ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ირაკლი იმედაძე

თანამედროვე ფსიქოლოგია: ძირითადი მიმდინარეობები და განვითარების პერსპექტივები



წიგნის დანიშნულებაა, მკითხველს შეუქმნას საკმარისად სრული წარმოდგენა იმ უმთავრესი მიმდინარეობებისა და თეორიული სისტემების შესახებ, რომლებიც ქმნიან თანამედროვე ფსიქოლოგიის ლანდშაფტს. იგი განკუთვნილია მათთვის, ვისაც სურს, გაიღრმაოს ცოდნა ფსიქოლოგიის ძირეულ თეორიულ და მეთოდოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებით. განსაკუთრებული აქცენტი სწორედ მეთოდოლოგიურ საკითხებზე კეთდება. თეორიული სისტემების შინაარსთან ერთად მოცემულია მათი კრიტიკული ანალიზი, რომელიც ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია, განწყობის ზოგადფსიქოლოგიური კონცეფციის პოზიციიდან ხორციელდება; განხილულია საკუთრივ უზნაძის სკოლის მონაპოვარიც. წიგნის ძირითადი მიზანია იმის ჩვენება, თუ რა უმთავრესი თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემები დგას თანამედროვე ფსიქოლოგიური მეცნიერების წინაშე და როგორია მათი გადაჭრის პერსპექტივები, როგორც ფსიქოლოგიის საკუთარი რესურსებით, ასევე სხვა მეცნიერებებთან თანამშრომლობით.

რედაქტორი თამარ გაგოშიძე

რეცენზენტები: დალი ფარჯანაძე
თამარ აბაშიძე

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022

ISBN 978-9941-491-49-8

შინაარსი

წინათქმა 7

I თავი. სიღრმის ფსიქოლოგია 11

II თავი. კლასიკური ბიჰევიორიზმი 66

III თავი. მთლიანობის ფსიქოლოგია 81

IV თავი. პოსტფროიდიზმი 101

V თავი. ნეობიჰევიორიზმი და ოპერანტული ბიჰევიორიზმი 136

VI თავი. ველის თეორია 164

VII თავი. გენეტიკური ფსიქოლოგია 186

VIII თავი. ადაპტაციის, ინსტინქტისა და ევოლუციის ცნებებზე აგებული თეორიული სისტემები 216

IX თავი. პერსონოლოგია 246

X თავი. ჰუმანისტური და ეგზისტენციალური ფსიქოლოგია 285

XI თავი. კოგნიტური ფსიქოლოგია 330

XII თავი. განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია 381

XIII თავი. თანამედროვე ფსიქოლოგიის ზოგიერთი ახალი მიმდინარეობა 417

XIV თავი. ფსიქოლოგიური მეცნიერება: მდგომარეობა და განვითარების ტენდენციები 458

წინათქმა

რას ნიშნავს სიტყვა „თანამედროვე“ ფსიქოლოგიური მეცნიერების დახასიათების თვალსაზრისით? როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, ის მხოლოდ ერთნახევარ საუკუნეს ითვლის. ამ ხნის განმავლობაში რაც გაკეთდა, დღესაც მეტნაკლებად აქტუალურია და, ამ გაგებით, თანამედროვე. ცხადია, არსებობს კვლევის წინა ხაზიც. ეს ეხება როგორც თემატიკას, ისე მეთოდურ და მეთოდოლოგიურ მიდგომებს. ამ უკანასკნელის თვალსაზრისით, ფსიქოლოგიაში თავიდანვე გაჩნდა და დღესაც სახეზეა ორი არსებითად განსხვავებული ფსიქოლოგიის ტიპი – საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული. ისინი, გარკვეულწილად, ანტაგონისტები არიან, თუმცა არსებობს ე.წ. ეკლექტიკური ტიპის შეხედულებები, რომლებიც ცდილობენ მათ ერთგვარ გაერთიანებას. და მაინც, ფსიქოლოგიური მიმდინარეობებისა თუ დიდი კონცეფციების უმეტესობა, ასე თუ ისე, თავსდება ამ „პარადიგმებიდან“ ერთ-ერთში.

სიტყვა პარადიგმა შემთხვევით არ ჩავსვით ბრჭყალებში. ამ ტერმინის ავტორის, თ. კუნის, მიხედვით, პარადიგმა არ შეიძლება იყოს რამდენიმე. ის მხოლოდ ერთია და განასახიერებს ამა თუ იმ მეცნიერების შიგნით არსებულ შეთანხმებულობას მისი აგების ძირეულ პრინციპებზე, ანუ იმაზე, თუ რას და როგორ შეისწავლის იგი. პარადიგმატულობა მეცნიერების შემდგარობის, მისი მოწიფულობის მაჩვენებელია. ფსიქოლოგიის პარადიგმული სტატუსი გაურკვეველია, ამაზე საერთო აზრი არ არსებობს. ზოგი ფიქრობს, რომ ფსიქოლოგიას არ მიუღწევია პარადიგმის დონემდე და, ამ აზრით, ჯერ ვერ ჩაითვლება, კუნის თქმით, „ნორმალურ“ მეცნიერებად. ზოგის აზრით, ეს მეცნიერება ვერც ვერასდროს გახდება პარადიგმატული, ვინაიდან იგი ჰუმანიტარულია, ხოლო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დახასიათება პარადიგმის მოდელით შეუძლებელია; ამ უკანასკნელის შესახებ მხოლოდ საბუნებისმეტყველო დისციპლინების შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი; მესამენი მიიჩნევენ, რომ ფსიქოლოგია უკვე შემდგარი დისციპლინაა, ოღონდ ისეთი, რომელშიც პრინციპულად რამდენიმე პარადიგმა უნდა იყოს რეალიზებული. ამიტომ ის გარემოება, რომ ფსიქოლოგიაში თავიდანვე რამდენიმე ერთმანეთთან დაპირისპირებული, საკუთარ პარადიგმაზე მდგარი მიმდინარეობა ფუნქციონირებდა და ამჟამადაც ფუნქციონირებს, სავსებით ნორმალური და ბუნებრივია.

ისინი, ვინც ასეთ შეფასებას არ იზიარებენ, მიიჩნევენ, რომ არსებული ვითარება, როდესაც ერთიანი ფსიქოლოგიური მეცნიერების ნაცვლად არსებითად სახეზეა რამდენიმე ფსიქოლოგია (მაგალითად: ფსიქოანალიზი, ბიჰევიორიზმი, ჰუმანისტური ან კოგნიტური ფსიქოლოგია და ა.შ.), ვერ ჩაითვლება ნორმალურ მდგომარეობად. ამ მოცემულობის აღსანიშნავად, უკვე თითქმის ასი წელია, რაც შემოღებულია ტერმინი „ფსიქოლოგიის კრიზისი“ (კ. ბიულერი). მას მერე განუწყვეტლივ მიდის მსჯელობა იმაზე, თუ როგორ უნდა იქნეს ეს კრიზისი დაძლეული.

კიდევ ერთი ტენდენცია, რომელიც თანამედროვე ფსიქოლოგიისთვის არის დამახასიათებელი, ესაა გართულებული ურთიერთობა აკადემიურ (კვლევით) და პრაქტიკულ (გამოყენებით) ფსიქოლოგიას შორის. ეს ვითარება სულ უფრო მეტად ხდება პრობლემატური. საქმე ისაა, რომ აკადემიური მკვლევრები და პრაქტიკოსი ფსიქოლოგები სხვადასხვა მიზნითა და კრიტერიუმებით ხელმძღვანელობენ და სულ უფრო შორდებიან ერთმანეთს. ვითარება უკვე ისეთია, რომ სულ უფრო თამამად ლაპარაკობენ პრაქტიკულ ფსიქოლოგიაზე, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებაზე; ყოველ შემთხვევაში, ფსიქოთერაპიის მიმართ ასეთი დამოკიდებულება ზოგიერთ ქვეყანაში უკვე ინსტიტუციურად არის გაფორმებული.

ერთი რამ ნათელია – პარადიგმატული მოდელის მიხედვით, ფსიქოლოგია ვერ ჩაითვლება შემდგარ მეცნიერებად. ფსიქოლოგიის რეალური წარმატებების, მისი სამეცნიერო საზოგადოებაში მაღალი სტატუსისა და უდავო პრაქტიკული ღირებულების გათვალისწინებით, ასეთი შეფასება არ გამოიყურება ადეკვატურად. მაგრამ პარადიგმული მიდგომა არ არის ერთადერთი. მეცნიერების მეთოდოლოგიაში (ეპისტემოლოგიაში) არსებობს სხვა მიდგომებიც, რომელთა თანახმად, მეცნიერებაში ყოველთვის არსებობს კონკურენციაში მყოფი მასშტაბური კონცეფციები/გლობალური თვალსაზრისები, რომლებიც მუდმივად ვითარდებიან და პერსპექტივაში ინტეგრაციისკენ მიისწრაფვიან (ი. ლაკატოში, პ. ფეირაბანდი და სხვ.). მეთოდოლოგების ნაწილი ამგვარი მოდელებით ფსიქოლოგიის დახასიათების მომხრენი არიან; სხვებმა პარადიგმის კუნისეული ცნების ტრანსფორმაცია მოახდინეს და იგი, არსებითად, მასშტაბურ ზოგად კონცეფციებს გაუიგივეს. ამ გადასახედიდან ფსიქოლოგიის პოლიპარადიგმატულობა არსებული მდგომარეობის ადეკვატური დახასიათების სახეს მიიღებს. ასეთი გააზრების ფარგლებში მაინც უფრო ზუსტი იქნება, ვილაპარაკოთ არა პარადიგმებზე დიდი თეორიების მნიშვნელობით, არამედ ფსიქოლოგიური აზრის გლობალურ მიმდინარეობებზე, რომლებიც თავის თავში აერთიანებენ რამდენიმე თეორიულ სისტემას. ამ მიმდინარეობებს ერთმანეთთან მეტ-ნაკლები კომუნიკაცია და გარკვეული ნათესაური კავშირი აქვთ (საერთო თემატიკა, მეთოდური, კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური პრინციპები) და, ამავე დროს, აუცილებლად შეიცავენ მათი სპეციფიკის გამომხატველ ერთ ან რამდენიმე ატრიბუტულ ნიშანს, სადაც გადის წყალგამყოფი სხვა მიმდინარეობებისგან. მაგალითად, ბიჰევიორისტული მიმდინარეობა აერთიანებს ჯ. უოთსონის, კ. ჰალის, ე. ტოლმენის, ნ. მილერისა და ჯ. დოლარდის, ბ. სკინერის თუ სხვათა თეორიულ სისტემებს; ჰუმანისტური მიმდინარეობა მოიცავს ა. მასლოუს და კ. როჯერსის თეორიებს, ხოლო კოგნიტური ფსიქოლოგია ფ. ჰაიდერის, ლ. ფესტინგერის, ჯ. როტერის, ჟ. ნიუტენის, ა. ბანდურას, ჯ. კელისა და კიდევ მრავალი სხვა ცნობილი ავტორის კონცეფციებს.

ეს მიმდინარეობები (პარადიგმები) გასული საუკუნის სხვადასხვა პერიოდში ჩამოყალიბდა და, ერთობლიობაში, თანამედროვე ფსიქოლოგიური მეცნიერების სახეს ქმნის. ოღონდ საკითხავია, რამდენად შეიძლება ყველა მათგანის განხილვა ფსიქოლოგიის განვითარების პერსპექტივის კუთხით. არსებული მდგომარეობა

სხვაა და განვითარების პერსპექტივა კიდევ – სხვა. ეს ძალზე რთული და საკამათო საკითხია. რა მიზანს უნდა ისახავდეს ფსიქოლოგიის განვითარების პერსპექტივა, კერძოდ, უნდა მოიცვას თუ არა მან ყველა მიმდინარეობის ინტეგრაცია, ან არის თუ არა კვლევის ისეთი მიმართულებები, რომელთა განვითარება უფრო პერსპექტიულია ფსიქოლოგიის კრიზისიდან გამოსვლის ამოცანის თვალსაზრისით? საზოგადოდ, ფსიქოლოგიური ცოდნის გაღრმავების რომელი მიმართულებებია ყველაზე მეტად პერსპექტიული ფუნდამენტური და პრაქტიკული ფსიქოლოგიის რეგიონალური განვითარების კუთხით? რომელ დისციპლინებთან უნდა ითანამშრომლოს ამ მხრივ ჩვენმა მეცნიერებამ?

ყოველივე ამაზე წიგნის ბოლო თავში იქნება საუბარი. იგი თანამედროვე ფსიქოლოგიაში შექმნილი მდგომარეობის განზოგადებულ მეთოდოლოგიურ ანალიზს შეიცავს. დანარჩენ თავებში განხილულია თანამედროვე ფსიქოლოგიის ყველაზე ძირითადი მიმდინარეობები; ნაჩვენებია მათი ძლიერი და სუსტი მხარეები. ამ კონტექსტში გაანალიზებულია განწყობის ფსიქოლოგიაც, როგორც ინტეგრაციული ზოგადფსიქოლოგიური სისტემის აგების ერთ-ერთი სერიოზული ვარიანტი.

წინამდებარე წიგნი სასარგებლო იქნება იმათთვის, ვინც სერიოზულად არის დაინტერესებული ძირითადი ფსიქოლოგიური კონცეფციების შინაარსით და მათი კრიტიკული ანალიზით, ასევე იმათთვის, ვისაც ფსიქოლოგიის მეთოდოლოგია აინტერესებს.

I თავი
სიღრმის ფსიქოლოგია

სიღრმის ფსიქოლოგია იმ კონცეფციების კრებითი სახელწოდებაა, რომელთა მიხედვით, ფსიქიკა არსებობს ცნობიერების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად. ამდენად, ეს მიმდინარეობა უპირისპირდება ყველა იმ თეორიულ სისტემას, რომლებიც ფსიქოლოგიის საგანს ცნობიერებით შემოფარგლავს. სიღრმის ფსიქოლოგიის უშუალო კვლევის საგანია *არაცნობიერი ფსიქიკა*. მაგრამ არაცნობიერი შეისწავლება ფართო კონტექსტში, პიროვნების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით. ამდენად, იგი *პიროვნების კატეგორიასაც* განიხილავს და აქცენტს აკეთებს იმ როლზე, რომელსაც მასში არაცნობიერი სფერო ასრულებს. სიღრმის ფსიქოლოგიაში არაცნობიერი ფსიქიკისა და პიროვნების პრობლემები ორგანულად არის დაკავშირებული ერთმანეთთან. ამ მიმდინარეობის ცენტრალური მოძღვრება ფროიდის ფსიქოანალიზია. მასთან ერთად, კლასიკური სიღრმის ფსიქოლოგიის კონცეფციებს მიკუთვნება კ. იუნგის ანალიზური ფსიქოლოგია და ა. ადლერის ინდივიდუალური ფსიქოლოგია.

ზიგმუნდ ფროიდი (1856-1939) დაიბადა ავსტრია-უნგრეთის პროვინცია მორავიაში, ქალაქ ფრაიბერგში, რომელსაც ამჟამად პრიბორი ჰქვია და ჩეხეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. იგი უფროსი ბავშვი იყო ხელმოკლე ებრაელი კომერსანტის მრავალშვილიან ოჯახში. 1904 წლიდან ოჯახი ვენაში გადასახლდა, სადაც ფროიდმა თითქმის მთელი სიცოცხლე გაატარა. იგი სწავლობდა ვენის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. აქვე მიიღო მედიცინის დოქტორის ხარისხი. დაინტერესებული იყო ქიმიით და, განსაკუთრებით, ბიოლოგიური დისციპლინებით, ამავე დროს, საკმაოდ ფართო ფილოსოფიური განათლებაც შეიძინა. უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად, ფროიდი მუშაობდა ვენის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში გამოჩენილ მეცნიერთან, ერნსტ ბრიუკესთან, რომელიც ფიზიოლოგიაში ე.წ. ფიზიკა-ქიმიის სკოლის ერთ-ერთ ფუძემდებლად ითვლება. მისგან ფროიდმა მკაცრი დეტერმინიზმის იდეა შეითვისა – ორგანიზმი უნდა განიხილებოდეს როგორც ფიზიკისა და ქიმიის კანონებით მოქმედი ენერგეტიკული სისტემა. ამ გავლენის შედეგად ახალგაზრდა ფროიდი ფსიქიკის გაგებაში ერთხანს ფიზიოლოგიური რედუქციონიზმის პოზიციაზე იდგა, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. საბოლოოდ, იგი ფსიქიკური დეტერმინიზმის თვალსაზრისის დამცველი გახდა, რომლის მიხედვითაც ცნობიერი ფსიქიკა მხოლოდ ფსიქიკით უნდა აიხსნას. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ფროიდმა ექსპერიმენტულ ნევროლოგიაში დაიწყო მუშაობა და რამდენიმე გამოკვლევაც შეასრულა ამ მიმართულებით, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ძირითადად, ფინანსური მოსაზრებებით, კერძო საექიმო პრაქტიკას მოჰკიდა ხელი. სწორედ ამ პრაქტიკამ მიიყვანა იგი თავის მეცნიერულ შეხედულებებამდე.

ფსიქოანალიზს, როგორც თეორიულ სისტემას, კლინიკური მონაცემები უდევს საფუძვლად. გარდა ამისა, ფსიქოანალიზის სახელით არის ცნობილი ფროიდის მიერ შემუშავებული ფსიქოთერაპიულ მეთოდიც. მას ფსიქოანალიზის ავტორი მეცნიერული კვლევის მეთოდადაც განიხილავდა და მთელი სიცოცხლე აქტიურად იყენებდა. ფროიდის სამკურნალო პრაქტიკა უაღრესად ფართო იყო. აღიარების მოპოვების მერე მასთან მთელი მსოფლიოდან ჩამოდიოდნენ პაციენტები. 1938 წელს, ავსტრიის გერმანიასთან მიერთების შემდეგ, ფროიდის სიცოცხლეს რეალური საფრთხე შეექმნა. იგი და მისი ქალიშვილი, ცნობილი ფსიქოანალიტიკოსი ანა ფროიდი დაკითხვაზე ჰყავდათ გესტაპოში. ფროიდს ძალიან არ უნდოდა დაეტოვებინა ვენა, მაგრამ მისი და ოჯახის უსაფრთხოების მიზნით იგი იძულებული გახდა, ემიგრაციაში წასულიყო და, საბოლოოდ, საკმაოდ დიდი სირთულეების გადალახვის შემდეგ, ლონდონში დასახლდა. ფროიდი ერთ წელიწადში გარდაიცვალა პირის ღრუს კიბოთი, რომლის გავრცელების შესაჩერებლად, 1923 წლიდან მოყოლებული, 33 ოპერაცია გადაიტანა და, რომელმაც მას განუზომელი ფიზიკური ტანჯვა მიაყენა.

მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარში ფროიდი ორჯერ ეწვია საფრანგეთს. იგი გადიოდა სტაჟირებას ჟ. მ. შარკოსთან პარიზის სახელგანთქმულ სალპეტრიელის კლინიკაში და შემდეგ ი. ბერნჰეიმთან, ნანსიში. აქ იგი დარწმუნდა, რომ არსებობს ე.წ. „ფუნქციონალური დაავადებები“ (მაგალითად, ისტერია), რომელთათვისაც დამახასიათებელია მოძრაობის, აღქმის, მეტყველების, მეხსიერების ან სეკრეტორული სახის დარღვევები. ამ დარღვევებს არ ჰქონდა რეალური ორგანული საფუძველი; ისინი გარკვეული ფსიქოტრავმატული სიტუაციებით გამონვეულ ფსიქოფიზიოლოგიურ რეაქციებს ან მათ ფრაგმენტებს წარმოადგენდნენ. ტიპურ შემთხვევად შეიძლება ჩაითვალოს გამუდმებული მენსტრუალური ციკლის მქონე პაციენტი ქალის მაგალითი, რომელსაც ქმარი არ უყვარდა და მასთან გაყრის შემდეგ ეს სიმპტომი გაუქრა. აღმოჩნდა, რომ ფუნქციონალური დარღვევების სიმპტომების მოხსნა შესაძლებელია ფსიქოთერაპიის მეშვეობით. გამოჩენილი ფრანგი ნევროპათოლოგები: მარტენ შარკო, იპოლიტ ბერნჰეიმი, ავგუსტ ლიებო, პიერ ჟანე და ვენელი ექიმი იოზეფ ბრეიერი, რომელსაც ფროიდი იმ ხანებში დაუახლოვდა, ამ შემთხვევებში იყენებდნენ ჰიპნოზის ტექნიკას. ავადმყოფს ჰიპნოტურ მდგომარეობაში ალაპარაკებდნენ იმ ვითარების შესახებ, რომელიც მისი დაავადების მიზეზი გახდა. როდესაც ამ მოგონებებს მწვავე ემოციური რეაქცია მოჰყვება, ხდება სიმპტომების მთლიანი ან ნაწილობრივი მოხსნა, ანუ *კათარზისი*[1]. ფროიდის თქმით, „ისტერიულ ავადმყოფებს აწუხებთ მოგონებები. მათი ჩივილები წარმოადგენენ გარკვეული ტრავმატული განცდების შესახებ მოგონებების ნარჩენებს ან სიმპტომებს“ [33; 153]. როგორც წესი, ავადმყოფებისთვის უცნობია პათოგენური გამოვლინებების რეალური მიზეზი და წყარო. ნორმალურ მდგომარეობაში პათოგენური სცენები და მათი კავშირი სიმპტომებთან ავადმყოფის ცნობიერები-

[1] ეს ტერმინი ჰიპოკრატემ შემოიტანა ზედმეტი სითხეებისგან ორგანიზმის გასუფთავების აღსანიშნად, ხოლო არისტოტელემ ამ ტერმინით გამოხატა თეატრალური წარმოდგენის „განმწმენდი“ ეფექტი.

დან განდევნილია. ჰიპნოტური გახსენება ტრავმატული განცდების ნარჩენების (სიმპტომების) მოხსნას იწვევს. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ფროიდი და ბრეიერი 1895 წელს ერთობლივად გამოქვეყნებულ წიგნში ისტერიის შესახებ, რომელიც ფსიქოანალიზის საწყის პუნქტად არის მიჩნეული.

ძალიან მალე ფროიდი წყვეტს ურთიერთობას ბრეიერთან. ზოგიერთი ბიოგრაფი ამას ხსნის იმ მძიმე დეპრესიით, რომელიც ფროიდმა განიცადა მამის სიკვდილის გამო. თეორიულ პლანში მათი პოზიციების დაშორება ფროიდის მიერ ნევროზის ბუნების სექსუალიზაციაში გამოიხატა. მოგვიანებით მას ამავე მიზეზით განუდგნენ უახლოესი თანამზრახველები, ადლერი და იუნგი. იდეა სექსუალური მომენტის შესაძლო მნიშვნელობის შესახებ ნევროზის ეტიოლოგიაში ფროიდმა პირველად შარკოსგან მოისმინა. ის ვარაუდის სახით იყო გამოთქმული პირად საუბარში, მაგრამ ფროიდმა ამ მომენტს უპირველესი მნიშვნელობა მიანიჭა. თვით ფროიდი თავისი მოძღვრების *პანსექსუალიზმს* ემპირიული ფაქტებით ამართლებდა; ფსიქოანალიზურ პრაქტიკაში, რომელიც ასოციაციების, სიზმრების, შემცდარი მოქმედებების და ა.შ. ანალიზს გულისხმობდა, იგი ნევროტული დაავადების ძირითადი მიზეზის როლში სექსუალურ სფეროსთან დაკავშირებულ მოვლენებს ანყდებოდა. ამგვარი ტრავმების სიხშირე ამ სფეროს განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

ხსენებულ ფსიქოანალიზურ მეთოდებს ფროიდმა მას მერე მიმართა, რაც დარწმუნდა ჰიპნოზის არაეფექტურობაში. კათარზისი ღრმა ჰიპნოტურ მდგომარეობას გულისხმობს, რომლის მიღწევა ყოველთვის არ ხერხდება. მეტიც, ზოგიერთი პიროვნება სულაც არ ექვემდებარება ჰიპნოზს. ყველაზე რთულ შემთხვევებში ჰიპნოზი არ მუშაობდა, იგი ვერ სძლევდა პაციენტის წინააღმდეგობას. ზოგჯერ ფროიდის გულაცრუებას ჰიპნოზის მიმართ იმითაც ხსნიან, რომ იგი უბრალოდ სრულყოფილად ვერ ფლობდა მის ტექნიკას. ასეა თუ ისე, ფროიდის წინ მთელი სიმწვავით დადგა ერთი შეხედვით სრულიად გადაუჭრელი ამოცანა – არაჰიპნოტურ, ჩვეულებრივ მდგომარეობაში მყოფი პაციენტისგან გაეგო ის, რაც მხოლოდ ექიმმა კი არა, თვით ავადმყოფმაც არ იცოდა. ფროიდი აღნიშნავდა, რომ ამ ამოცანის გადაწყვეტაში მას დაეხმარა ბერნჰეიმის გამოცდილება, რომელიც, პოსტჰიპნოტური ამნეზიის მიუხედავად, პაციენტისადმი დაჟინებული მოთხოვნით იწვევდა იმ განცდების მოგონებებს, რომლებიც მათ სომნამბულურ მდგომარეობაში ჰქონდათ. თავდაპირველად ფროიდი ასე იქცეოდა: როდესაც ავადმყოფები დაიწყებდნენ მტკიცებას, რომ მეტი აღარაფერი იციან, იგი არწმუნებდა მათ, რომ ეს ასე არ არის; მათ უნდა განაგრძონ მოგონება, საუბარი და, როგორც კი იგი შეეხება მათ შუბლს, ისინი აუცილებლად იტყვიან იმას, რაც საჭიროა. საკმაოდ ხშირად ფროიდი ასეთი გზით მართლაც იღებდა სასარგებლო ინფორმაციას პათოგენური სცენებისა და მათგან დარჩენილი სიმპტომების კავშირის შესახებ. მაგრამ ყოველივე ეს საკმაოდ რთულ, შრომატევად და არცთუ ყოველთვის წარმატებულ პროცედურას წარმოადგენდა. აშკარა იყო, რომ არსებობდნენ რაღაც ძალები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ მოგონებას. ამ წინააღმდეგობის იდეაზე ააგო ფროიდმა ფსიქოთერაპიის თავისი გაგება: პაციენტის გამოჯანმრთელებისთვის საჭიროა მოიხსნას ეს წინააღ-

მდეგობა. განკურნვის მექანიზმი, თავის მხრივ, მიგვანიშნებს დაავადების პროცესზე. დაავადებას სწორედ ის ძალები იწვევენ, რომლებიც ახლა ეწინააღმდეგებიან ტრავმატული შინაარსის მოგონებას. მათ განდევნეს ცნობიერებიდან შესაბამისი პათოგენური განცდები. ნევროზის ჩამოყალიბებაში უმთავრესი *განდევნის* მექანიზმია.

აღწერილი ფსიქოთერაპიული ტექნიკა თანდათანობით იხვეწებოდა და, საბოლოოდ, ე.წ. *თავისუფალი ასოციაციის* მეთოდის სახე მიიღო. ფროიდი უკვე აღარ უსვამს პაციენტს კითხვებს; ეს უკანასკნელი, უბრალოდ, მიჰყვება ასოციაციების დინებას, გულწრფელად ლაპარაკობს ყველაფერზე, რაც სპონტანურად მოუვა თავში, ყოველგვარი კონტროლისა და კრიტიკულობის გარეშე ვერბალიზებული შინაარსის მიმართ. მიღებულ მასალას ფროიდი ფსიქოანალიზის მადანს უწოდებდა. აუცილებელია მისი გადამუშავება, ინტერპრეტაცია, ვინაიდან წინააღმდეგობის გამო აზრი ან წარმოდგენა, რომელიც სიმპტომს გამოხატავს, მახინჯდება, მისი სხვა აზრით შენიღბვა ხდება. შენიღბული აზრი განდევნილი აზრის შემცველია. რაც მეტია წინააღმდეგობა, მით მეტია დამახინჯება. ამასთან, შენიღბულ აზრს ყოველთვის აქვს რაღაც მსგავსება საძიებელ პათოგენურ აზრთან, რაც შესაძლებელს ხდის ამ უკანასკნელის აღდგენას ანალიზის გზით. თავისუფალ ასოციაციებში ამოტივტივებული შემთხვევითი აზრი ან წარმოდგენა სინამდვილეში არ არის შემთხვევითი; იგი დაკავშირებულია განდევნილ შინაარსთან მინიშნების, გადაკრული სიტყვის წესით. ამ კავშირების ანალიზს, მათ გაშიფრვას ფროიდი მაშინ იწყებდა, როდესაც ასოციაციურ ექსპერიმენტში თავს იჩენდა სხვადასხვა სახის გართულება (პაციენტი იბნევა, ენა ებმის, იმეორებს ერთსა და იმავე სიტყვას, ჩივის, რომ რაღაცას ვერ იხსენებს, ან, სულაც, უარს ამბობს სეანსის გაგრძელებაზე და ა.შ.). მას მიაჩნდა, რომ ამ შემთხვევაში ავადმყოფი გაუცნობიერებლად, თავისდაუნებურად ეწინააღმდეგება რაღაც საიდუმლო აზრებს ან სურვილებს. სწორედ აქ ეძებდა ფროიდი იმ ძაფის ბოლოს, რომელსაც შეეძლო, მიეყვანა ცნობიერებიდან განდევნილ და აკრძალულ შინაარსებთან.

უკვე ითქვა, რომ ასოციაციურ ექსპერიმენტში ესა თუ ის გამონათქვამი მიანიშნებს ნევროზულ, დაფარულ აზრზე. მინიშნების ეს მექანიზმი ნორმაშიც მოქმედებს და ყოველდღიური ცხოვრების ბევრ მოვლენაში იჩენს თავს, ვთქვათ, ანეკდოტებში, ხუმრობებში და ა.შ. ამ საკითხის ფროიდისეული ანალიზის ილუსტრაციას შემდეგი მაგალითი იძლევა: ორი არცთუ კეთილსინდისიერი საქმოსანი საეჭვო გზებით დიდი ქონების მფლობელი გახდა. მათ გაუჩნდათ სურვილი, მაღალ საზოგადოებაში მოხვედრილიყვნენ. ამისთვის ცნობილ მხატვარს დაუკვეთეს თავისი პორტრეტები და მოაწყეს დიდი წვეულება. სტუმრებს შორის იყო სახელგანთქმული კრიტიკოსი, რომელიც მიიყვანეს კედელთან, სადაც პორტრეტები ერთმანეთის გვერდით ეკიდა. კრიტიკოსმა დიდ ხანს უყურა მათ, მერე მიუთითა სივრცეზე პორტრეტებს შორის და იკითხა, მაცხოვარი სად არისო? კრიტიკოსს უნდოდა ეთქვა: თქვენ ორი ყაჩაღი ხართ იმათ მსგავსად, რომელთა შორისაც ჯვარცმული მაცხოვარი ეკიდა. მაგრამ ამის ნაცვლად კრიტიკოსი ისეთ ფრაზას წარმოთქვამს, რასაც, ერთი შეხედვით,

კავშირი არა აქვს სიტუაციასთან, თუმცა ჩვენ მაშინვე ვხვდებით მის მინიშნებას. ეს მინიშნება ჭუშმარიტი აზრის „შემცველია“. აზრის შენიღბვის მოტივირება, მექანიზმი აქ ისეთივეა, როგორიც თავისუფალი ასოციაციების დროს. რატომ არ ითქვა სათქმელი პირდაპირ? იმიტომ, რომ ამ სიტუაციაში ეს არცთუ უსაფრთხო იყო [35].

იგივე მექანიზმი მოქმედებს სიზმარშიც. ამიტომ სიზმრების ინტერპრეტაცია ფსიქოანალიზის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია. ფროიდი განასხვავებს სიზმრის ღია ტექსტს ანუ მანიფესტურ სახეს, ფასადს და მის დაფარულ, შენიღბულ, ლატენტურ აზრს. ამ უკანასკნელს ის სურვილები და ტენდენციები შეადგენს, რომლებსაც ადამიანი საკუთარ თავსაც არ უმხელს, რომლებიც მისთვის აბსოლუტურად მიუღებელია. ასეთი აზრები, ჩვეულებრივ, ძლიერ წინააღმდეგობას აწყდებიან და ღვიძილში საერთოდ ვერ ამოდიან ცნობიერებაში, მაგრამ ძილში, როდესაც ცნობიერების კონტროლი შესუსტებულია, ანუ ნაკლები წინააღმდეგობის პირობებში, მათ საშუალება ეძლევათ, თავი იჩინონ სიზმრისეულ ცნობიერებაში, ოღონდ სახეშეცვლილი, შენიღბული, სიმბოლური სახით, ვინაიდან გარკვეული კონტროლი და ცენზურა ძილშიც შენარჩუნებულია. ამიტომ საჭირო ხდება მათი გაშიფრვა, ინტერპრეტაცია, რასაც ფსიქოანალიტიკოსი აკეთებს მათი რეალური მნიშვნელობის გამოსავლენად. *სიმბოლიზაციის* აზრი, რასაც ფროიდი „სიზმრების სამუშაოს“ უწოდებს, სიზმრის ნამდვილი შინაარსის შენიღბვაშია. *ფსიქოანალიზურ ინტერპრეტაციას* საწინააღმდეგო მიმართულება აქვს – მან ფარდა უნდა ახადოს საიდუმლო მნიშვნელობას. ფროიდის მიხედვით, სიმბოლოები, რითაც არაცნობიერი სარგებლობს, საკმაოდ ტიპურია, მდგრადია და მათი ცოდნა საშუალებას გვაძლევს, აღმოვაჩინოთ შენიღბული და განდევნილი ტენდენციები. მათ ძალიან ხშირად სექსუალური ხასიათი აქვთ. ფროიდის რწმენით, სიზმრისეული მასალა არაცნობიერის სექსუალიზაციას უეჭველად ადასტურებს. აქედან გამომდინარე, ამ სფეროსთან დაკავშირებული სიმბოლიკა განსაკუთრებით მდიდარი და მრავალფეროვანია, მაგალითად: წაწვეტებული, წაგრძელებული და მსგავსი საგნები მამაკაცის სასქესო ორგანოს აღნიშნავენ, ხოლო ქალისას – საგნები, რომელთაც აქვთ თვისება, შეზღუდონ ცარიელი სივრცე და რაღაცით შეივსონ; სქესობრივი აქტის სიმბოლურ გამოხატულებად სხვადასხვა სახის, უპირატესად რიტმული ხასიათს, მოქმედებები გვევლინება, კბილის ამოღება კასტრაციას აღნიშნავს და ა.შ.

სიზმრის მანიფესტური სახის ჩამოყალიბებაში განსხვავებული ფსიქოლოგიური პროცესები და მექანიზმები მონაწილეობენ. მათ შორის განსაკუთრებით აღნიშნავენ ე.წ. *შემჭიდროებას და გადანაცვლებას*. შემჭიდროების შემთხვევაში ერთი ელემენტი თავის თავზე იღებს მთელი ლატენტური შინაარსის წარმომადგენლობას. ამის გამო მანიფესტური შინაარსის მოცულობა უფრო მცირეა, ვიდრე იმ მასალისა, რომელსაც ის წარმოადგენს. მაგალითად, ადამიანმა შეიძლება სიზმარში ნახოს სახე, რომელსაც აქვს მამამისის თვალები, ძმის ცხვირი, ცოლის პირი, მისი მასწავლებლის ყურები. ერთი შეხედვით, ეს კომბინირებული სახე არა ჰგავს არცერთ დასახელებულ პირს. თუ ასეთი სახით წარმოჩენილ ინდივიდს სიზმარში მოკლავენ, მისი სიკვდილი შეიძლება მოგვეჩვენოს უწყინარ და შემთხვევით ფაქტად, მაგრამ

არაცნობიერად, ამ საერთო სახეში წარმოდგენილი ადამიანები სწორედ ისინი არიან, ვის წინააღმდეგაც მძინარეს გაუცნობიერებელი ბოროტი ზრახვები აქვს და რომლებიც სიზმარში ისჯებიან.

რაც შეეხება გადანაცვლების მექანიზმს, მისი არსი ისაა, რომ ხდება ენერგიის გადართვა ერთი შინაარსიდან მეორეზე. შედეგად, სიზმრის მანიფესტურ შინაარსში იმ ელემენტის ნაცვლად, რომელსაც სუბიექტისთვის განსაკუთრებული, შინაგანი კონფლიქტის შემცველი მნიშვნელობა აქვს, ჩნდება ისეთი ელემენტი, რომელსაც ამგვარი მნიშვნელობა არა აქვს, ან, სულაც, ნეიტრალურია. მაგალითად, დედის მიმართ სასიყვარულო მისწრაფება სიზმარში შეიძლება გადატანილ იქნეს სხვა ქალზე, რომელიც მაინც დედას წარმოაჩენს, ვინაიდან მისნაირი ფეხსაცმელი აცვია. ეს, ფაქტობრივად, იგივეა, რაც მინიშნების ზემოთ ნახსენები მექანიზმი ანეკდოტში.

სიზმარს ხედავენ როგორც ავადმყოფური, ისე ჯანმრთელი ფსიქიკის მქონე ადამიანები. ორივე შემთხვევაში მათი აღმოცენებისა და მოქმედების პრინციპები ერთი და იგივეა – განდევნა, სახეცვლილება, კომპრომისული შინაარსის შექმნა და ა.შ., რაც არაცნობიერი და ცნობიერი სისტემების დაპირისპირების შედეგია. ყოველივე ეს, ფროიდის თქმით, იმაზე მეტყველებს, რომ ფსიქოანალიზი არ არის დამხმარე მეცნიერება ფსიქოთერაპიის სფეროში, ის, საერთოდ, ფსიქიკის შესახებ მოძღვრებაა.

ამაზე მიუთითებს ისეთი სულიერი მოვლენების ანალიზიც, რომლებსაც, როგორც წესი, არ ანიჭებენ რაიმე მნიშვნელობას, მაგრამ რომელთა შესწავლა ფსიქოანალიზური კვლევის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ესაა ყოველგვარი სახის *შეცდომითი მოქმედება*, რომელიც მრავლად გვხვდება ყოველდღიურ ცხოვრებაში: წამოცდენები, წერითი ან კითხვითი შეცდომები, განზრახვის ან რაიმე კარგად ნაცნობის დავიწყება (მაგალითად, სიტყვების, სახელების), საგნების დაკარგვა, დამტვრევა და სხვ. ამას, ჩვეულებრივ, შემთხვევითობით, გულმავიწყობით, უყურადღებობით ხსნიან და გამორიცხავენ მათ ფსიქოლოგიურ დეტერმინაციას. ასევე, სრულებით არ ექცევა ყურადღება იმ ჟესტებს, მოძრაობებს, აქტებს, რომლებსაც მათი შემსრულებელი შეიძლება ვერც ამჩნევდეს: ხელში საგნების ტრიალი, რომელიმე მელოდიის გაუთავებელი ღიღინი ან ფრაზის აკვიატებული ჩურჩული და სხვ. სინამდვილეში, ასეთი გამოვლინებები სრულიად კონკრეტული ფსიქოლოგიური მნიშვნელობის მატარებელია და ხშირად ისეთი იმპულსებისა და ზრახვების არსებობაზე მიუთითებენ, რომლებიც ადამიანებმა საკუთარ ცნობიერებას უნდა დაუმალონ. მათი მეშვეობით ადამიანი ამჟღავნებს თავის საიდუმლოს, ხვაშიადს, სატკივარს, დაფარულ სურვილს [14]. ამიტომ, ასოციაციებისა და სიზმრების მსგავსად, საჭიროა მათი ინტერპრეტაცია. ამან შესაძლოა, განდევნილ შინაარსთან, მისი ნამდვილი სახის ნათელყოფასთან მიგვიყვანოს და, რამდენადაც ეს საერთოდ შესაძლებელია, არაცნობიერში ჩაგვახედოს. იგივე ითქმის ანეკდოტების, ხუმრობების, კალამბურების შესახებაც.

ფსიქოანალიზური მკურნალობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელია ე.წ. *გადატანა (ტრანსფერი)*. ფსიქოანალიზის პროცესში ხელახლა აღმოცენდება

პაციენტის გარკვეული განცდები, მაგრამ არა მოგონებების, არამედ ფსიქოანალიტიკოსისადმი აქტუალური ემოციური დამოკიდებულების სახით. ფსიქოანალიზის მსვლელობაში პაციენტში იღვიძებს წარსულის გრძნობები, ლტოლვები, ფანტაზიები, შიშები, რომლებიც ოდესღაც მისთვის მნიშვნელოვან ადამიანებს, უპირატესად მშობლებს, უკავშირდებოდა. ხდება მათი გადატანა ფსიქოანალიტიკოსის პიროვნებაზე, რომლის მიმართ დადებითი ან უარყოფითი ემოციური დამოკიდებულების ინტენსივობა შეიძლება ვარიირებდეს ვნებიანი შეყვარებულობიდან და აღტაცებიდან უკიდურეს მიუღებლობამდე და სიძულვილამდე. ხშირად ეს ემოცია ამბივალენტური ხასიათისაა. რბილ ფორმაში მიმდინარე გადატანამ შეიძლება გააძლიეროს ექიმის გავლენა და ხელი შეუწყოს ანალიზურ მუშაობას. მაგრამ, ძლიერი ფორმებით გამოხატული, იგი პაციენტის წინააღმდეგობის წყარო ხდება, აბრკოლებს ასოციაციების აღმოცენებას და ხელს უშლის მკურნალობას.

გადატანის ფენომენის არსებობა ფროიდმა მისი ფსიქოთერაპიული პრაქტიკის დასაწყისშივე შეამჩნია. თავდაპირველად ტრანსფერი ცალსახად უარყოფით ფაქტორად განიხილებოდა. თანდათანობით ამ მოვლენის გააზრება შეიცვალა და, საბოლოოდ, გადატანა ფსიქოანალიზური მკურნალობის აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი მდგენელი გახდა. ის, რისი გახსენებაც არ შეუძლია ავადმყოფს თავისი განვლილი გრძნობადი ცხოვრებიდან, თავიდან განიცდება ანალიტიკოსთან მიმართებით და ნათელს ჰფენს მის დათრგუნვილ მისწრაფებებს. ტრანსფერი გზას გვიხსნის პაციენტის არაცნობიერში დამალული გრძნობებისკენ, დღის სინათლეზე გამოაქვს პათოგენური მასალა; მოკლედ, აკეთებს არსებითად იმავეს, რასაც ასოციაციები და სიზმრები. დიაგნოსტიკური ფუნქციის გარდა, ტრანსფერი წმინდა თერაპიულ დატვირთვასაც იძენს. ფროიდის თანახმად, გადატანის დროს ანალიტიკოსს საქმე აქვს არა პაციენტის წინანდელ ავადმყოფობასთან, არამედ ახალშექმნილ და გადასხვაფერებულ ნევროზთან, რომელმაც პირველი შეცვალა. ამ ხელოვნურად შექმნილი ნევროზის, ე.წ. *გადატანის ნევროზის* გადალახვა ნიშნავს თერაპიული ამოცანის შესრულებას, ანუ ავადმყოფობისგან განთავისუფლებას, რომლის მკურნალობაც დაიწყო ფსიქოანალიტიკოსმა. ეს ასეა, ვინაიდან ადამიანი, რომელიც გარდაიქმნა ექიმთან ურთიერთობის შედეგად და განთავისუფლდა განდევნილი ლტოლვების მოქმედებისგან, შინაგანი არაცნობიერი ტვირთისგან, ასეთად დარჩება ყოველდღიურ ცხოვრებაში, იმის მერეც, რაც ექიმი და პაციენტი ერთმანეთს დაშორდებიან. აქ მთავარია, დროზე დადგინდეს გადატანის ნევროზი, ანუ მოხდეს პაციენტის დარწმუნება იმაში, რომ მისი გრძნობები ანალიტიკოსისადმი არის მისი ცხოვრებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის ხიფათის შემცველი ილუზია, წარსული განცდის არასწორად გადამისამართება.

თავისუფალი ასოციაციების, სიზმრების, შეცდომითი მოქმედებების ანალიზი და ტრანსფერი ფსიქოანალიზური ტექნიკის მდგენლებია, რომლებიც ერთნაირად მიესადაგება ავადმყოფური და ნორმალური ფსიქიკის თავისებურებათა გამოვლენის ამოცანას.

ამ განზოგადებამდე ფროიდი თანდათან მივიდა. პირველ ეტაპზე იგი ნევროზის მკურნალობით შემოიფარგლებოდა (1895-1905). ამ პერიოდში შექმნილ შრომებს შორის აღსანიშნავია: „სიზმრების ახსნა" (1900), „ყოველდღიური ცხოვრების ფსიქოპათოლოგია" (1901), „გონებამახვილობა და მისი კავშირი არაცნობიერთან" (1905), „სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიაში" (1905). 1902 წელს ყალიბდება ფსიქოანალიზით დაინტერესებულ პირთა მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელშიც შედიან: ექიმები, მწერლები, ხელოვნების მოღვაწეები; იგი თანდათან ფართოვდება და ფსიქოანალიზი ძალას იკრებს.

თეორიულ პლანში ფროიდი შემდეგი პრინციპებიდან ამოდის: ფსიქიკა არ ამოიწურება ცნობიერებით. უფრო მეტიც, ფსიქიკა აისბერგს წააგავს, რომლის მხოლოდ ზედა, მცირე ნაწილია ცნობიერება, ხოლო უმეტესი ნაწილი არაცნობიერის სიღრმეებშია ჩაძირული. ფსიქოანალიზს არაცნობიერი ფსიქიკის არსებობის შესახებ ფაქტობრივი და თეორიული არგუმენტები მოეპოვება. პირველ ყოვლისა, ეს თვით ფსიქოანალიზური პრაქტიკაა. ვინაიდან ის წარმატებულია და არაცნობიერის დაშვებაზეა დაფუძნებული, მაშასადამე, არაცნობიერის არსებობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. არაცნობიერი ფსიქიკური პროცესისთვის შინაარსისა და საზრისის მონახვა ცვლის ცნობიერებას (კურნავს მას). შესაბამისად, აქ ჩართული მოვლენები და პროცესები (ჰიპნოზი, ასოციაცია, სიზმარი, შეცდომითი მოქმედებები) არაცნობიერზე პირდაპირ მიმანიშნებელ ფაქტებად განიხილება. ამასთანავე, არსებობს თეორიული არგუმენტებიც. პირველ რიგში, ესაა თეზისი ფსიქიკის უწყვეტობის შესახებ, რომელზეც არაცნობიერის არსებობის დასამტკიცებლად ჯერ კიდევ ლაიბნიცი მიუთითებდა: ცნობიერებაში არსებული ხარვეზები (ცნობიერების დროებითი გაქრობა) იმის მანიშნებელია, რომ ფსიქიკური ცხოვრება ასეთ შემთხვევაში არაცნობიერ ფორმაში მიმდინარეობს. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, თეზისი ფსიქიკურის ფსიქიკურით დეტერმინებულობის თაობაზე. მასაც მივყავართ არაცნობიერის დაშვებამდე, ვინაიდან ცნობიერებამ ხშირად არ იცის იმის შესახებ, თუ რატომ ან როგორ წარმოიქმნება მისი შინაარსები. არაცნობიერი ფსიქიკური გასაგებს ხდის ცნობიერი პროცესების ურთიერთკავშირს და ცნობიერების შინაარსების ურთიერთგამომდინარეობას. დებულებები ადამიანის ფსიქიკური სამყაროს დიდი მოცულობისა და ცნობიერების ველის შეზღუდულობის შესახებ ასევე ემყარება არაცნობიერი ფსიქიკური რეალობის დაშვებას.

საზოგადოდ, ფსიქიკურ სინამდვილეში სამი სფერო გამოიყოფა: 1. *ცნობიერება,* რომელიც განცდადობის ნიშნით ხასიათდება; 2. *წინაცნობიერი ფსიქიკა,* რომელიც ამჟამად არ იმყოფება ცნობიერებაში, მაგრამ მასთან ახლოს არის და ადვილად, სერიოზული წინააღმდეგობების გარეშე, შეუძლია შეაღწიოს ცნობიერების ველში, ე.ი. მას აქვს ცნობიერად გადაქცევის უნარი; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის *ლატენტური არაცნობიერი,* ან პოტენციური ცნობიერი. წინაცნობიერი შეიცავს მთელ გამოცდილებას, რომელიც ამჟამად ცნობიერებაში არ იმყოფება; 3. *არაცნობიერი* – ესაა ცნობიერებიდან განდევნილი ლტოლვები, წარმოდგენები, გრძნობები, რომლებიც ტკივილს აყენებენ და საფრთხეს უქმნიან ცნობიერებას; ამ მიზეზის გამო

ისინი ვერასოდეს შეაღწევენ ცნობიერებაში თავისი ბუნებრივი სახით. ეს შეიძლება მოახერხოს მხოლოდ მათმა შენიღბულმა წარმომადგენელმა. ასე გამოიყურება ფსიქოანალიზის ფორმირების პირველ ეტაპზე შექმნილი ე.ნ. ფსიქიკის *ტოპოგრაფიული მოდელი* [36].

როგორიც არ უნდა იყოს არაცნობიერში მოცემული შინაარსი და მისი იქ მოხვედრის ისტორია, მას აქვს ცნობიერებასა და ქცევაში გამოვლენის ტენდენცია. არაცნობიერი დინამიკური ბუნებისაა; ფსიქოანალიზს *დინამიკურ ფსიქოლოგიასაც* უწოდებენ. აქედან გამომდინარე, არ არის სწორი არაცნობიერის წარმოდგენა ერთგვარი ფსიქიკური საპყრობილის სახით, რომელშიც ცნობიერების რეპრესირებული შინაარსებია გამომწყვდეული. ასეთი ინტერპრეტაციისას (რაც, სხვათა შორის, არცთუ იშვიათია) იჩრდილება არაცნობიერის დინამიკური ხასიათი, რაც ფროიდის თეორიის ერთ-ერთი მთავარი მომენტია. დათრგუნვა დინამიკური მოქმედებაა და არა სამუდამო გამოკეტვა ფსიქიკის სიღრმეებში. დათრგუნვილი აზრები და ლტოლვები აქტიურად ცხოვრობენ და გარკვეული სახით ვლინდებიან ნევროტულ სიმპტომებში, სიზმრებში, ფსიქიკურ შეცდომებსა თუ სუბლიმირებულ ქცევებში.

ფსიქიკური სტრუქტურა დაფუძნებულია ტენდენციების კონფლიქტზე. ერთი მხრივ, ეს არის მისწრაფებები, რომელთაც წინააღმდეგობას უწევს მეორე ძალა – *ცენზურა*. მისი გავლენით ხდება სურვილების განდევნა არაცნობიერში, რომელიც მათი ადგილსამყოფელია. ფსიქიკის ამ სტრუქტურული ფენიდან ისინი პერიოდულად გამოდიან ცნობიერებასა და ქცევაში, ოღონდ არა ნატურალური, არამედ სახეშეცვლილი, *სიმბოლური და სუბლიმირებული* ფორმით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ხდება ფსიქიკური ენერგიის განტვირთვა და მისი გადართვა პიროვნებისა და საზოგადოებისთვის მისაღებ ქცევებში, მაგალითად: შემოქმედებაში, მეცნიერულ ან პოლიტიკურ მოღვაწეობაში. როგორც ვხედავთ, ფროიდი ახდენს ნევროზებისთვის შექმნილი შეხედულების განზოგადებას ადამიანის ყოველგვარ მოქმედებაზე, ანუ მას ზოგადფსიქოლოგიურ ხასიათს ანიჭებს. იგი უფრო შორსაც მიდის და ცდილობს, ფსიქოანალიზურ ტერმინებში აღწეროს ისეთი სფეროები, როგორებიცაა: შემოქმედება, კულტურა, რელიგია, ისტორია. ამრიგად, ფსიქოანალიზი უნივერსალურ საზოგადოებრივ მოძღვრებად წარმოგვიდგება.

თავისი განვითარების მეორე ეტაპზე (1905-1920) ფსიქოანალიზი თანდათან ვრცელდება და საერთაშორისო აღიარებას აღწევს. 1907 წელს იქმნება ვენის ფსიქოანალიტიკური საზოგადოება, ხოლო 1910 წელს ნიურნბერგში ჩატარებულ კონგრესზე – ფსიქოანალიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაცია. 1909 წელს სტენლი ჰოლის მიწვევით ფროიდი (კ. იუნგთან ერთად) მიემგზავრება შეერთებულ შტატებში ლექციების წასაკითხავად. ამერიკა ეცნობა ფსიქოანალიზს. სულ მალე ამერიკაშიც და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაშიც იქმნება ფსიქოანალიზის საზოგადოებები. ამავე დროს, იწყება ფროიდის შეხედულებების კრიტიკაც. მას განუდგნენ უახლოესი და ყველაზე გავლენიანი თანამზრახველები, ალფრედ ადლერი და კარლ იუნგი. მათ სიღრმის ფსიქოლოგიის საკუთარი, ერთმანეთთან დაპირისპირებული მი-

მართულებები შექმნეს. ფსიქოანალიზის პიონერთა შორის ასევე უნდა აღინიშნოს კარლ აბრაჰამი, ოტო რანკი, ერნსტ ჯონსი, შანდორ ფერენცი, ჰანს საქსი.

განვითარების მესამე ეტაპზე (1920-1939) ფროიდის შეხედულებებმა სერიოზული ცვლილება განიცადეს. ეს აისახა ამ პერიოდის მრავალ შრომაში, რომელთა შორის შეიძლება გამოიყოს: „ფსიქოანალიზის შესავალი ლექციები" (1920) და მისი გაგრძელება (1933), „სიამოვნების პრინციპის მიღმა" (1920), „მე და იგი" (1923), „ერთი ილუზიის მომავალი" (1927), „ცივილიზაცია და მის მიმართ უკმაყოფილება" (1930), „ფსიქოანალიზის ნარკვევი" (1939) და სხვ. ცვლილებები უმთავრესად შეეხო ფროიდის მოსაზრებებს ლტოლვასა და პიროვნების სტრუქტურაზე; ამასთანავე, მოძღვრება გავრცელდა სოციალურ და კულტურულ სფეროზე. რაც შეეხება პიროვნების სტრუქტურას, ის განიხილება როგორც სამი დონის წარმონაქმნის ერთიანობა – *იდი (იგი), ეგო (მე) და სუპერეგო (ზე-მე).* იდში თავმოყრილია ჩვენი ლტოლვები, რომელთაც ბიოლოგიური ძირი აქვთ. იდი ყოველთვის არაცნობიერია; ესაა პრიმიტიული ინსტინქტებისა და ირაციონალური ძალების ქაოსური თარეშის სფერო. ერთადერთი პრინციპი, რომლითაც ეს პრიმიტიული ლტოლვები ხელმძღვანელობენ, *სიამოვნების პრინციპია.* იდის სამყაროსთვის უცხოა რაიმე ღირებულება, სიკეთე თუ ბოროტება, ყოველგვარი მორალი; მისთვის არ არსებობს აზროვნების ლოგიკური კანონები, იგი უგრძნობია შეუსაბამობებისა და წინააღმდეგობების მიმართ. საწინააღმდეგო ინსტინქტები თავისუფლად თანაარსებობენ და განტვირთვის (ანუ სიამოვნების) მიზნით ზოგჯერ წარმოუდგენელ, სრულიად არათავსებადი ელემენტებით დაკომპლექტებულ წარმონაქმნებში ერთიანდებიან. იდი არის მომთხოვნი, იმპულსური, ბრმა, ირაციონალური, ასოციალური, ეგოისტური და უაღრესად ჰედონისტური. მის განკარგულებაშია ორი მექანიზმი, რომლებითაც ხდება დაძაბულობის განტვირთვა. ესაა *რეფლექტორული მოქმედება და პირველადი პროცესი.* რეფლექტორული მოქმედება თანდაყოლილი ავტომატური რეაქციაა (ხველება, ცემინება, ცრემლდენა და სხვ.), რომელიც მომენტალურ განტვირთვას იძლევა. თუ ეს არ ხდება, ჩაირთვება ე.წ. *პირველადი პროცესი.* ამ შემთხვევაში იქმნება მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან ასოცირებული ობიექტის წარმოდგენა და სურვილი კმაყოფილდება ფანტაზიაში. ნორმალურ ადამიანთან პირველადი პროცესის მაგალითია სიზმარი, ფსიქოზით დაავადებულთან – ჰალუცინაცია.

იდი ორგანიზმში ენერგეტიკის ერთადერთი წყაროა. პიროვნების ყველა სტრუქტურა, ასე თუ ისე, მისი ენერგიით საზრდოობს და მას უკავშირდება. ეს, პირველ რიგში, ეხება ეგოს. ეგოს ფუნქცია იდის სურვილების დაკმაყოფილებაა რეალობის გათვალისწინებით და რეალობასთან მიმართებით. ეგო *რეალობის პრინციპით* ხელმძღვანელობს. ამ პრინციპის შესაბამისად, ეგო, საჭიროებისამებრ, აბრკოლებს იდის ენერგიის განტვირთვას, მიმართავს მას სხვა არხში ან აწესრიგებს მის თანდათანობით ხარჯვას. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რის საშუალებას იძლევა რეალური ვითარება, რამდენად ხელმისაწვდომია ლტოლვის საგანი. აქედან გამომდინარე, ეგო ასახავს სინამდვილეს, აანალიზებს მას და ახორციელებს ქცევის რეგულაციას. მის განკარგულებაშია მოტორული აპარატი და პერცეპტულ-

კოგნიტური ფუნქციები, რომელთაც ფროიდი *მეორეულ პროცესს* უწოდებს. ერთი სიტყვით, ეგო პიროვნების საშემსრულებლო იარაღია. ამ სტრუქტურის მეშვეობით, სინამდვილის მონაცემებისა და იდის მოთხოვნების გათვალისწინებით, იგეგმება და სრულდება ქცევა. ეგო სწორედ იდის სასარგებლოდ იღებს ამ ფუნქციას; წინააღმდეგ შემთხვევაში, იდი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სიამოვნების მიღების წყურვილით არის შეპყრობილი, რეალობასთან შეჯახებისას აუცილებლად განადგურდებოდა. ამასთან, იდი მუდამ ცდილობს, დაიმორჩილოს ეგო. პიროვნების ამ ორი სტრუქტურული ფენის ურთიერთმიმართებას ფროიდი ადარებს ცხენისა და მხედრის ურთიერთობას. მოძრაობის ენერგია ცხენიდან მომდინარეობს (იგი), მხედრის ფუნქცია მისი მართვაა (მე). მაგრამ ზოგჯერ მათ ურთიერთობაში ნაკლებ იდილიური სურათი იხატება, როცა მხედარი იძულებული ხდება, ცხენი იქით გააჭენოს, საითაც მას მოესურვება [37].

სუპერეგო მორალის პრინციპებით ხელმძღვანელობს. ესაა საზოგადოებრივი ნორმების, წესების, აკრძალვების სისტემა, რომლებიც გაშინაგანებული, ინტერიორიზებულია პიროვნების მიერ და მოქმედებს როგორც კრიტიკოსი, ცენზორი. ამით სუპერეგო მოზრდილ ადამიანში იმ როლის შესრულებას განაგრძობს, რომელსაც ასრულებდნენ მშობლები თუ აღმზრდელები მისი სიცოცხლის ადრეულ პერიოდში. გარდა იმისა, რომ ზე-მე პიროვნებაში, ასე ვთქვათ, სინდისის ადგილსამყოფელია, ის *მე-იდეალის* მატარებელიცაა, რომელთან მიმართებით ეგო აფასებს და სრულყოფს თავის თავს. ფროიდი აღნიშნავს, რომ ზე-მეში მოცემულია მუდმივი სწრაფვა სრულყოფისკენ. ის განასახიერებს ყველა იმ წარმოდგენას ადამიანის სუკეთესო და ამაღლებული მხარეების შესახებ, რაც ფსიქოლოგიურად პიროვნებაში შეიძლება იყოს მოცემული. სუპერეგო, ამავე დროს, მკაცრი ზნეობრივი მსაჯულია.

პიროვნების სტრუქტურის ამ სამ წარმონაქმნსა თუ კომპონენტს საკუთარი ინტერესი ამოძრავებს. ვისაც მეტი ძალა აღმოაჩნდება, ის იმარჯვებს. ადვილი დასანახავია, რომ იდისა და სუპერეგოს ინტერესები ერთმანეთის სანინააღმდეგოდ არის მიმართული, მათ შორის შეურიგებელი დაპირისპირება და მუდმივი კონფლიქტია. ორივე მათგანი ეგოს ურთიერთგამომრიცხავ მოთხოვნებს უყენებს და სჯის მას, ერთი მხრივ, დაუკმაყოფილებელი სურვილების მძაფრი განცდით (იდი) და, მეორე მხრივ, სინდისის ქენჯნისა და არასრულყოფილების მტკივნეული გრძნობით (სუპერეგო). ფროიდი ძალზე დრამატულად წარმოგვიდგენს ეგოს მძიმე ხვედრს: „იდის მიერ აღძრული ეგო, რომელსაც ზღუდავს სუპერეგო და უკუაგდებს რეალობა, მთელი ძალისხმევით ცდილობს, განახორციელოს თავისი ამოცანა – ჰარმონია დაამყაროს იმ ძალებსა და ზეგავლენებს შორის, რომლებიც მოქმედებენ მასში და მასზე. აქ კი უკვე ვხვდებით, თუ რატომ ვერ ვახერხებთ ასე ხშირად დავთრგუნოთ წამოძახილი: ცხოვრება იოლი არ არის! თუ ეგო იძულებული ხდება, აღიაროს საკუთარი სისუსტე, მას შიში იპყრობს, რეალური შიში გარე სამყაროს მიმართ, შიში სინდისისა სუპერეგოს წინაშე, ნევროტული შიში იდის ვნებათა ძალის წინაშე“ [35; 348].

ამრიგად, ეგო სამი სახის მუქარის წინაშე დგას და, შესაბამისად, სამი სახის შიში ან შფოთვა ახასიათებს: რეალისტური, ნევროტული და მორალური. *რეალის-*

ტური შფოთვა პასუხია რეალური სამყაროს რეალურ საფრთხეებზე. *ნევროტული შფოთვა* ემოციური პასუხია იმ მოსალოდნელ საფრთხეებზე, რომელთაც უქმნის ეგოს იდის უკონტროლო სურვილები. *მორალური შფოთვა* დაკავშირებულია სუპერეგოს სინდისთან და ვლინდება სირცხვილისა და დანაშაულის გრძნობებში. შფოთვის აღკვეთას ან შემცირებას ეგო სპეციალური *დაცვითი მექანიზმებით* ცდილობს. ისინი არაცნობიერად მოქმედებენ და მიმართული არიან აღქმული რეალობის უარყოფაზე ან დამახინჯებაზე. მთავარი დაცვითი მექანიზმი არის *განდევნა,* რაც გულისხმობს შემაწუხებელი აზრებისა და იმპულსების გატანას ცნობიერების ფარგლებს გარეთ. განდევნა ენერგიის დიდ ხარჯვას მოითხოვს და საგრძნობლად ზღუდავს მის რეალიზაციას განვითარებასა და შემოქმედებაზე მიმართულ ქცევებში. ძლიერი ფსიქიკური თავდაცვა ძვირად უჯდება ადამიანს. სრული და საბოლოო განდევნის მიღწევა საკმაოდ რთულია, ამიტომ მიუღებელი ტენდენციები ცნობიერებას პერიოდულად ახსენებს თავს სიზმრებისა და სხვადასხვა შეცდომითი მოქმედების სახით.

როდესაც განდევნა გართულებულია ან არაეფექტური, საქმეში ერთვება სხვა დაცვითი მექანიზმები. ერთ-ერთი ასეთი მექანიზმია *პროექცია,* რომელიც იმით გამოიხატება, რომ ინდივიდი თავის არასასურველ აზრებს, სურვილებსა თუ ქცევებს სხვას მიაწერს; ეს არსებითად პასუხისმგებლობის თავიდან აცილებაა (გამოცდაზე ჩაჭრილი სტუდენტი თავის წარუმატებლობას იმას აბრალებს, რომ პროფესორმა ეს თემა ლექციაზე არ ახსნა, ან არაობიექტურად ჩაატარა გამოკითხვა). პროექციის კლასიკური მაგალითია „განტევების ვაცის" ბიბლიური ფენომენი. დაცვის შემდეგი მექანიზმებია: *ჩანაცვლება* – იდის იმპულსების მიმართვა უფრო მისაწვდომ ან ნაკლებად სახიფათო ობიექტებზე (ბავშვი, რომელიც მშობლებმა გააბრაზეს, ჯავრს იყრის თავის დაზე, ძაღლზე ან სათამაშოზე); *უარყოფა* – სახიფათო ან ტრავმული რეალობის აღიარებაზე უარის თქმა, მისი უგულებელყოფა (განწირული ავადმყოფი, უბრალოდ, თვალს ხუჭავს სინამდვილეზე, არ უშვებს სწრაფი აღსასრულის შესაძლებლობას); უარყოფა ტიპურია პატარა ბავშვებისთვის ან დაბალი ინტელექტის მოზრდილებისთვის, თუმცა ძლიერ მატრავმირებელ სიტუაციებში მას სავსებით მოწიფული და ნორმალური ინდივიდებიც მიმართავენ; *რეგრესია* – ფსიქიკური ცხოვრების უფრო ადრეული, უსაფრთხო და სასიამოვნო ფორმებისკენ მიბრუნება (მოზრდილ ადამიანში ისეთი ქცევების გაჩენა, რომლებიც ბედნიერ ბავშვობასთანაა ასოცირებული. მაგალითად: თავშეუკავებლობა, გაბუტულობა, ბავშვური ტიტინი, სუსნაობა/ღორმუცელობა, ფრჩხილების კვნეტა, ავტორიტეტებისადმი წინააღმდეგობა და ა.შ.); *ინვერსია (რეაქციის ფორმირება)* – ნამდვილი სურვილის გამომხატველი მოქმედების, აზრის, გრძნობის შესანიღბავად შეცვლა დიამეტრულად საპირისპიროთი, რომელიც არ იწვევს შფოთვას (მაგალითად, ქალი რომელიც განიცდის შფოთვას საკუთარი გამოკვეთილი სქესობრივი ლტოლვების გამო, ხდება პარნოგრაფიული ფილმების წინააღმდეგ შეუპოვარი მებრძოლი; ფროიდი წერდა, რომ ჰომოსექსუალისტების დამცინავი ბევრი მამაკაცი სინამდვილეში თავს იცავს საკუთარი ჰომოსექსუალური ტენდენციებისგან); *რაციონალიზაცია* –

წარუმატებელი ან მიუღებელი ქცევის გამართლება მოგონილი მოსაზრებებით ან მისი სოციალურად მისაღები ინტერპრეტაცია, არსებითად თვითმოტყუება (სამსახური, საიდანაც გაგვაგდეს, არ ვარგოდა; საყვარელი, რომელმაც მიგვატოვა, უშნო იყო). რაციონალიზაციის კლასიკური მაგალითია ეზოპეს არაკში აღწერილი: „მწვანე ყურძნის" ფენომენი – მელა ვერ სწვდება ყურძენს და თავს იმით იმშვიდებს, რომ ის ჯერ არ დამწიფებულა).

ზემოთ უკვე ვახსენეთ ე.წ. *სუბლიმაცია,* რომელიც აგრეთვე დაცვითი მექანიზმია. ეს მექანიზმი განსაკუთრებულია თავისი სოციალური მნიშვნელობით და, არსებითად, განსხვავდება დანარჩენებისგან იმით, რომ არ გულისხმობს პირდაპირი წინააღმდეგობის გაწევას იდის ინსტინქტური იმპულსებისადმი. ამ იმპულსებიდან წამოსული ენერგია სხვა, სოციალურად მისაღებ და სასარგებლო არხებში მიიმართება. ფროიდმა, მაგალითად, ლეონარდოს მიერ მადონას შექმნა დედის მიმართ სექსუალური ლტოლვის სუბლიმაციით ახსნა; ქირურგის, ყასბის, მოკრივის ან რომანისტის საქმიანობა შეიძლება სადისტური (აგრესიული) იმპულსების სუბლიმაციას ნიშნავდეს; ფსიქიატრის სამუშაო იყოს სხვისი ცხოვრების დაფარულ მხარეებზე თვალთვალის სურვილის სუბლიმაცია; მასტურბაციასთან დაკავშირებული შფოთი შეიძლება მოიხსნას სათანადო ენერგიის სპორტულ ქცევაში სუბლიმირების გზით და ა.შ. ფროიდს მიაჩნდა, რომ სექსუალური და აგრესიული ენერგიის სუბლიმაციის მექანიზმი მეცნიერებისა და კულტურის მამოძრავებელი ძალაა, რომ ცივილიზაციის არსი ადამიანის ამ უნარშია [11].

ფროიდის შეხედულება მოტივაციაზე აშკარად ბიოლოგისტურია. იგი არც განასხვავებს ინსტინქტისა და ლტოლვის ცნებებს. ცხოვრებაში ორი რამ არის მთავარი: მე-ს და სახეობის შენარჩუნება. მათ შეესაბამება მე-ს ლტოლვები (შიმშილი, წყურვილი და სხვა) და სექსუალური ლტოლვები. თავისი კონცეფციის განვითარების ბოლო პერიოდში ფროიდმა შეცვალა კლასიფიკაცია და გამოყო *სიცოცხლისა (ეროსი) და სიკვდილის (თანატოსი)* ინსტინქტები. ეს უკანასკნელი აგრესიული, დესტრუქციული ქმედების საფუძველია და ემყარება არაცოცხალ მდგომარეობაში დაბრუნების ჰიპოთეზურ ტენდენციას. ფროიდის აზრით, ორგანულის სამყაროსთვის დამახასიათებელია არა მხოლოდ ზრდისა და ცვალებადობის ტენდენცია, არამედ გამეორების, აღდგენის, სტატუს-კვოს შენარჩუნების ტენდენციაც, რაც სიცოცხლის კონსერვატიულობის გამოვლინებაა. აქედან გამომდინარე, ყველა ლტოლვა წინანდელი გაწონასწორებული მდგომარეობის აღდგენისკენ მიისწრაფვის; მაშასადამე, ნებისმიერი ცოცხალი არსება, საბოლოო ანგარიშით, ცდილობს, დაუბრუნდეს თავის საწყის, ანუ არაორგანულ მდგომარეობას. ადრე თუ გვიან ეს ასეც ხდება – ყველა კვდება. ეს კანონზომიერება ინდივიდის მოტივაციურ ბუნებაშია ჩაწერილი სათანადო ტენდენციის – სიკვდილის ინსტინქტის სახით. ყოველგვარი სიცოცხლის მიზანი სიკვდილია, ამბობს ფროიდი [12]. მწვალებლობა, ნგრევა, ომები აქედან იღებენ სათავეს. ორივე ინსტინქტს, ეროსსაც და თანატოსსაც, თავისი ფიზიოლოგიური, სომატური წყარო აქვს. ამასთან, უპირატესობა მაინც ეროსს

ენიჭება. ესაა არსებითად *სქესობრივი ლტოლვა*, ანუ, ფროიდის ტერმინოლოგიით, *ლიბიდოს ენერგია.*

ლიბიდო სათავეს სხვადასხვა ორგანული წყაროდან მომდინარე ენერგეტიკული ნაკადულებიდან იღებს და მოგვიანებით სინთეზირდება ერთიან, მძლავრ ენერგეტიკულ ნაკადად. აქ ლაპარაკია სხვადასხვა სახის სიამოვნებაზე, რასაც ორგანიზმი სხეულის ამა თუ იმ ნაწილიდან იღებს; მათ *ეროგენული ზონები* ეწოდება. ეროსის ძირითადი მიზანი ორგანული სიამოვნების მიღებაა. ამრიგად, სხეულის სხვადასხვა ნაწილისთვის დამახასიათებელი ტენდენციები წარმოქმნიან და აკუმულირებას უკეთებენ ენერგიას, რომლის განტვირთვა სიამოვნებას იწვევს. ფროიდის მოტივაციური თეორია ლტოლვის რედუქციის თეორიაა. ის *ჰომეოსტაზურია* და *ჰედონისტური.* ამავე დროს, ის, უდავოდ, *პანსექსუალურია,* ვინაიდან სიამოვნება, რომელზეც ფროიდი ლაპარაკობს, ფართო მნიშვნელობით, სექსუალური ხასიათისაა. პირველადი და ძირეული ლტოლვა სექსუალურია. ამ ლტოლვის გენეზისზე, ანუ იმაზე, თუ რა სახით ჩამოყალიბდება იგი ბავშვობის ასაკში, დამოკიდებულია ადამიანის ფსიქიკის არსებითი ნიშნები: ხასიათის ტიპი, სექსუალური მიდრეკილებები, გადახრები, ნევროზები და ა.შ.

ფსიქოანალიზის პანსექსუალიზმი ის მომენტი იყო, რომელსაც ყველაზე მეტი დაპირისპირება და კრიტიკა მოჰყვა. ის ფროიდის ბევრმა უახლოესმა თანამზრახველმა არ გაიზიარა. გავრცელებული შეფასებით, ფროიდმა აშკარად გადაჭარბებულად წარმოადგინა ადამიანში სექსუალური საწყისის როლი, მაგრამ სწორედ ამ პუნქტში იგი იშვიათ სიჯიუტეს იჩენდა და მასში ეჭვის შეტანას ღალატის ტოლფასად თვლიდა. იგი ამტკიცებდა, რომ სექსუალური სფეროს განსაკუთრებული როლი პრაქტიკით, ნევროზებზე დაკვირვებით არის დადასტურებული. უმეტეს შემთხვევაში, ფსიქიკური ტრავმები, დარღვევები ამ სფეროდან მომდინარეობს. მაშასადამე, ეს სფერო ყველაზე მნიშვნელოვანია. ფროიდი, ცხადია, არ უარყოფს სხვა სახის ლტოლვებს, მაგრამ აქცენტს მხოლოდ იმაზე აკეთებს, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფსიქოანალიზური პრაქტიკის თვალსაზრისით. სხვა ბიოლოგიურ ლტოლვებზე იგი საერთოდ არც ლაპარაკობს და იფარგლება შენიშვნით, რომ „ლიბიდო აბსოლუტურად ანალოგიურია შიმშილის, მასში ისევეა მოცემული სექსუალური ლტოლვა, როგორც შიმშილში საჭმლისკენ ლტოლვაა მოცემული" [34; 199]. სოციალური მოტივები ფროიდის კონცეფციაში ისეთი ძალებია, რომლებიც აკავებენ, ებრძვიან, განდევნიან ლიბიდონალურ მისწრაფებებს (სუპერეგო). ფროიდი უარყოფდა ბრალდებას თავისი თეორიის პანსექსუალიზმის შესახებ, ვინაიდან იგი მხოლოდ ამახვილებდა ყურადღებას სექსუალურ მომენტზე და არ უარყოფდა სხვა მოთხოვნილებების როლს (ამ როლს, უბრალოდ, არ იკვლევდა). ამასთან ერთად, იგი უშვებდა ადამიანში მეორე მოტივაციურ საწყისსაც – თანატოსს.

ფროიდი პრინციპულად განასხვავებს სექსუალურსა და სქესობრივს. პირველი ცნება უფრო ფართოა და მოიცავს ისეთ ლტოლვებსაც, რომლებიც უშუალოდ და პირდაპირ არ უკავშირდებიან გამრავლების ფუნქციას. ჩვეულებრივ მათი გაიგივება ხდება, ხოლო რაც ამ ფუნქციას არ ეხება, გადახრად ითვლება. როცა სექსუ-

ალური აქტივობის მიზანი გამრავლება კი არა, უბრალოდ, სიამოვნების მიღებაა, ის სიმახინჯედ, გარყვნილებად ინათლება. მაგრამ ცხადია, რომ ეს ერთხელობრივი, შემთხვევითი მოვლენა არ არის; ის საკმაოდ გავრცელებულია და ამიტომ სათანადო მეცნიერული ინტერპრეტაცია ესაჭიროება. ფროიდს მიაჩნია, რომ ამ შემთხვევაშიც იგივე წყაროები და საწყისები უნდა მოინახოს, რომლებიც, საზოგადოდ, ე.წ. ნორმალურ სექსუალურ ცხოვრებას განსაზღვრავენ. ყოველივე ამის სათავე კი ბავშვობაში, უფრო ზუსტად, *ინფანტილურ სექსუალობაშია.*

ფსიქოანალიზის თანახმად, სექსუალურ ცხოვრებას ონტოგენეტური განვითარების ხანგრძლივი ისტორია აქვს. მისი საწყისები ადრეულ ბავშვობაში უნდა მოვიძიოთ [12]. ასეთი შეხედულება დიდ წინააღმდეგობას აწყდება, რადგან იგი არღვევს გავრცელებულ წარმოდგენას ბავშვზე, როგორც სუფთა და უმწიკვლო არსებაზე, რომელიც აბსოლუტურად ასექსუალურია. ფროიდი ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში ხდება რეალობაზე თვალის დახუჭვა და მისი შეგნებულად დამახინჯება. იგი ცდილობს, გააანალიზოს ამ ვითარების მიზეზი. მთავარი ისაა, რომ მოზრდილებში ინფანტილური სექსუალობის ცნობიერი კვალი აღარ არსებობს. მათ არ ახსოვთ ინფანტილურ სექსუალობასთან დაკავშირებული განცდები. მოზრდილთა ფსიქიკა აღზრდის პროცესით არის სახეშეცვლილი. საზოგადოება აღზრდის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად მიიჩნევს სექსუალური ლტოლვის დაოკებას, დათრგუნვას, თუ იგი გამრავლების ფუნქციას არ ასრულებს. საზოგადოება ცდილობს, სოციალურად მისაღები სახე მისცეს სექსუალურ ლტოლვას და მაქსიმალურად გადაწიოს მისი ფორმირება იმ დრომდე, როცა პიროვნების ჩამოყალიბების პროცესი გარკვეულ დონეს მიაღწევს. ამიტომ სექსუალური სფერო მკაცრი კონტროლისა და აკრძალვის ქვეშ იმყოფება. ეს განსაკუთრებით ეხება სათანადო მოთხოვნილებებისა და ქმედებების ადრეულ გამოვლინებას. მიზანი ერთია – გახადონ ბავშვის ცხოვრება მაქსიმალურად ასექსუალური და, საბოლოო ჯამში, იჯერებენ, რომ ამას მიაღწიეს. ინფანტილური სექსუალობის გენეზისის ყველაზე აქტიური წლები შემდგომში თითქმის მთლიანად ამნეზირებული ხდება. ამიტომ ფსიქოანალიზი კატეგორიულად სვამს ამ მივიწყებული პერიოდის განცდების მეხსიერებაში აღდგენის ამოცანას. ფროიდს მიაჩნია, რომ ეს დავიწყება განდევნის მექანიზმის მოქმედების შედეგია, რომლითაც აღმოიფხვრება ჩვენი სექსუალური ცხოვრების საწყისები და სათავეები.

რა არის დამახასიათებელი ინფანტილური სექსუალობის განვითარებისთვის? პირველი ის არის, რომ იგი მთლიანად თავისუფალია გამრავლების ფუნქციისგან. ეს ფუნქცია მხოლოდ გარდამავალი ასაკის შემდეგ ჩნდება. ამ მხრივ ადრეული სექსუალური ცხოვრება და ლტოლვა წააგავს მოზრდილის გადახრილ სექსუალურ ცხოვრებას. უფრო მეტიც, ეს გადახრები, ფროიდის აზრით, სხვა არაფერია, თუ არა „გაძლიერებული და ცალკეულ ლტოლვებად გახლეჩილი ინფანტილური სექსუალობა“ [35; 197]. ისინი ადრეული სექსუალობის ცალკეული მხარეების ფიქსაციას წარმოადგენენ. ეს ხდება იმის გამო, რომ აქ მიმდინარე გარდაქმნების პროცესი ნორმალურად არ წარიმართა, მან ვერ მიაღწია თავის ლოგიკურ დასასრულს, რაც

ერთიანი სექსუალური ლტოლვის ჩამოყალიბებითა და მის ბუნებრივ და შესატყვის ობიექტზე წარმართვით გამოიხატება.

როგორც აღინიშნა, თავდაპირველად ლიბიდო ან სექსუალური ლტოლვა რთული შემადგენლობისაა და მოიცავს სხვადასხვა ეროგენული ზონიდან მომდინარე სიამოვნებას. ამასთან, ფსიქოსექსუალური განვითარების პირველ პერიოდში, რომელიც დაახლოებით ექვს წლამდე გრძელდება, გამოიყოფა რამდენიმე ფაზა; ისინი განსხვავებული *ეროგენული ზონის* დომინირებით ხასიათდებიან. ეს ზონებია: ორალური, ანალური და ფალოსური. *ორალურ სტადიაზე* (1,5 წლამდე) ლიბიდოს დაკმაყოფილება პირის ღრუსთან დაკავშირებული კონტაქტებით ხდება – წოვა, კბენა, ღეჭვა. *ანალურ სტადიაზე* (1,5–3 წ.) ლიბიდონალური სიამოვნების ძირითად წყაროდ ანალური ზონა იქცევა და ფეკალური მასის განდევნა-შეკავების პროცესებს უკავშირდება; *ფალოსურ სტადიაზე* (3–6 წ.) ბავშვის ინტერესები ცენტრირდება სასქესო ორგანოებით მანიპულირებაზე. თანდათანობით იწყება გენიტალიური ზონის გაბატონების პროცესი. იგი სრულდება ონტოგენეტური განვითარების მეორე პერიოდში, ე.ი. *გარდამავალ ასაკში,* როცა უკვე, საბოლოოდ, გამოიკვეთება ინდივიდის ფსიქოსექსუალური ხასიათი. ცალკეული სექსუალური ინსტინქტი ექვემდებარება *გენიტალიურ ზონას,* რის შედეგადაც მთელი ლიბიდონალური ენერგია მიიმართება გამრავლების ფუნქციისკენ. ესაა ფსიქოსექსუალური განვითარების პირველი ხაზი. ვინაიდან ეროსის განვითარების პირველ ეტაპზე დაკმაყოფილება საკუთარი სხეულის სხვადასხვა ზონის გაღიზიანებით მიიღწევა, მას *აუტოეროტიზმის ეტაპი* ეწოდება.

ფსიქოსექსუალური განვითარების მეორე ხაზი აუტოეროტიზმის დაძლევასა და ადეკვატური ობიექტის არჩევას გულისხმობს. ნორმალური ცხოვრებისას ეროსი სხვა ადამიანებზე უნდა იყოს მიმართული. ლიბიდოს ტრანსფორმაციას ამ კუთხით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ლიბიდოს პირველი ობიექტი შეიძლება მხოლოდ მშობელი იყოს. ბიჭისთვის ეს დედაა. შესაბამისად, მასში ყალიბდება მამისადმი ეჭვიანი და მტრული დამოკიდებულება. გოგონასთან ყველაფერი პირიქითაა. ამ დრამატულ სიტუაციას, რომელიც ონტოგენეტური განვითარების ფალოსურ სტადიაზე ვითარდება, ფროიდი *ოიდიპოსისა და ელექტრას კომპლექსს* უწოდებს.[1] მორალური პრესის ქვეშ ეს კომპლექსი აუცილებლად განიდევნება ცნობიერებიდან, მაგრამ არაცნობიერისა და, მთლიანად, პიროვნების ფორმირების თვალსაზრისით, მისი მოქმედება ძალზე მნიშვნელოვანი და ხანგრძლივია. ფროიდი ფიქრობს, რომ ეს კომპლექსი და მისი დაძლევის რაგვარობა უპირატეს როლს ასრულებს ნევროზის ჩამოყალიბებაში. გარდა ამისა, აქ ხდება პიროვნების ძირითადი ღერძის, მისი სუპერეგოს ფორმირება. ამას განაპირობებს *იდენტიფიკაციის მექანიზმი.* ბავშვი თავს აიგივებს მეტოქე მშობელთან (ბიჭი მამასთან, გოგო დედასთან) და ითვისებს მშობ-

[1] ეს სახელწოდებები აღებულია ძველი ბერძნული მითებიდან, რომლებიც საფუძვლად დაედო სოფოკლესა და ევრიპიდეს ტრაგედიებს. გადმოცემის თანახმად, მეფე ოიდიპოსმა მამა მოკლა და ცოლად დედა მოიყვანა. მან არ იცოდა, რომ ისინი მისი მშობლები იყვნენ; ელექტრამ შური იძია მამისთვის და დედა მოკლა.

ლების ღირებულებების სისტემას. იდენტიფიკაციის პროცესი განსაზღვრავს აგრეთვე გენდერულ იდენტურობას – მამაკაცებისადმი ან ქალებისადმი მიკუთვნებულობის განცდას. უფრო მეტიც, ოიდიპოსის კომპლექსის აღმოცენებასა და დაძლევაში არსებითად მეორდება კაცობრიობის პრეისტორიის, პირველყოფილი გვარის განვითარებაში მომხდარი კოლიზიები. ამ კომპლექსის გადალახვის შემდეგ დგება *ლატენტური ფაზა*, ხოლო ფსიქოსექსუალური განვითარების მეორე პერიოდში ლიბიდოს ენერგია საბოლოოდ პოულობს შესატყვის და მისაღებ გარე ობიექტს.

პიროვნების ხასიათობრივი ნიშნები და ნევროტული გამოვლინებები, ძირითადად, იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გაიარა მან ფსიქოსექსუალური განვითარების გზა. ხასიათიც და ნევროზიც განიხილება როგორც ამა თუ იმ სტადიისთვის დამახასიათებელი რეაქციების გადმონაშთი. ფროიდის თანახმად, განვითარების ყოველი ახალი ეტაპი იწვევს ფრუსტრაციას (წინარე სურვილებისა და მოქმედებების ბლოკირება), რასაც შეიძლება ხანგრძლივი და სერიოზული შედეგები მოჰყვეს. ამ შემთხვევაში ხდება *ფიქსაცია* ერთ-ერთ სტადიაზე, რაც მისთვის დამახასიათებელი ქცევებისა და განცდების გაბატონებაში გამოიხატება. მაგალითად, ორალურ სტადიაზე ფიქსაცია საფუძველს უქმნის ისეთ ჩვევებს, როგორიცაა ფრჩხილების კვნეტა ან მოწევა, აჩენს მიდრეკილებას ბევრი ჭამისკენ, სმისკენ, ლაპარაკისკენ. იმის მიხედვით, თუ ამ სტადიის რომელ ფაზაზე ხდება ფიქსაცია (კბილების ამოსვლამდე, ანუ ორალურ-პასიური და კბილების ამოსვლის მერე, ანუ ორალურ-აგრესიული) ფორმირდება სხვადასხვა *ორალური ხასიათი*. პირველ შემთხვევაში – კეთილმოსურნე, პასიური, მიმნდობი, დამოკიდებული; მეორეში – აგრესიული, ცინიკური, დომინირებული. ანალურ სტადიაზე კონფლიქტი და ფიქსაცია დაკავშირებულია ტუალეტთან მიჩვევის აუცილებლობასთან, რასაც ბავშვის მხრიდან შეიძლება მოჰყვეს სათანადო აქტივობის გაძლიერება ან შეკავება. შესაბამისად, ამ სტადიაზე ფიქსაცია ორი ტიპის *ანალურ ხასიათს* იძლევა: ანალურ-გამოდევნითს – ჯიუტი, შფოთიანი, ექსტრავაგანტური, ფეთხუმი, ან ანალურ-შეკავებითს – სისუფთავის მოყვარული, ორგანიზებული, პუნქტუალური, ძუნწი. ფალოსურ და შემდგომ გენიტალიურ სტადიაზე ფიქსაციის შედეგია მოზრდილი ინდივიდის სექსზე ცენტრირებულობა, სექსუალური გადახრები და, საზოგადოდ, ამ სფეროსთან დაკავშირებული ფსიქიკური და ქცევითი პრობლემები.

როგორც ითქვა, ფროიდის აზრით, ოიდიპოსის კომპლექსში ჩადებულია ისტორიული განვითარების გამოცდილება. საერთოდ ფროიდი თვლის, რომ ონტოგენეტური განვითარების აღწერილი ფაზები ფსიქიკის ფილოგენეტური განვითარების პარალელურია. ყოველი ინდივიდუალური ბავშვი, ასე თუ ისე, მოკლედ იმეორებს ადამიანთა მოდგმის განვითარების ისტორიას. ძუძუმწოვარა ბავშვი მხოლოდ იდია. ეგო და სუპერეგო მერე ჩნდება. ასეთივე ვითარებაა პირველყოფილ ჯგუფში. სოციალური ორგანიზაციის ამ სტადიაზე ინდივიდს არა აქვს შინაგანი კონფლიქტები, მაგრამ არსებობს გარეგანი კონფლიქტი – ინდივიდებს შორის. აქ დამკვიდრებულია მკაცრი მამის მამაკაცური სურვილების აბსოლუტური ტირანია, გამეფებულია მამის შიში. როდესაც კონფლიქტი აპოგეას აღწევს, შვილები ერთიანდებიან და

კლავენ მამას. ამავე დროს, მათ ესმით, რომ მომავალში იგივე საშიშროება ელოდებათ თავისი შვილებისაგან, ამიტომ კრძალავენ ურთიერთმკვლელობას და ინცესტს (სისხლის აღრევას). ასე წარმოიქმნება ტაბუები (აკრძალვები) და მორალური წესები. ამასთან ერთად, ჩნდება მამის მკვლელობასთან დაკავშირებული მასობრივი დანაშაულის გრძნობა, რომელიც რელიგიის განვითარების ბიძგს წარმოადგენს; მამა ღმერთის პროტოტიპია, ხოლო მამის მკვლელობის დანაშაული – პირველი ცოდვა. მაშასადამე, „ოიდიპოსის კომპლექსში მოცემულია დასაწყისი რელიგიისა, ზნეობისა, საზოგადოებისა და ხელოვნებისა“ [31; 172]. საზოგადოება ეფუძნება დანაშაულში თანამონაწილეობას, რელიგია – დანაშაულის ცნობიერებას და მონანიებას, ზნეობა – იმავეს, რასაც რელიგია და, გარდა ამისა, საზოგადოების მოთხოვნილებებს. საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ მატულობს აკრძალვები, რაც ლიბიდონალური ლტოლვების განდევნას იწვევს. ამით არაცნობიერი იდის სფერო ენერგიით ივსება. იდის ნაწილი გარდაიქმნება ეგოდ და წარმოიქმნება სუპერეგო, რომელშიც საზოგადოებრივი ნორმებია გაშინაგანებული და, რომელიც შემდგომი სოციალური და ფსიქოლოგიური განვითარების მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალად იქცევა.

ფსიქიკის ისტორიულ განვითარებაში ორი ეტაპი გამოიყოფა: გვაროვნული და ცივილიზაციის. გვაროვნულ ეტაპზე ხანგრძლივი განვითარების შედეგად ფსიქიკაში ილექება ე.წ. არქაული მემკვიდრეობა. ის დისპოზიციურად არის მოცემული იდში და სუპერეგოში. მაგალითად, ინცესტური იმპულსი ლოკალიზდება იდში, ხოლო ინცესტური ტაბუ – სუპერეგოში. ცივილიზაციის ეტაპზე ინდივიდის მდგომარეობა უფრო რთულდება. პოლიგამიის ინსტიტუტის არსებობისას, თავისუფალი სქესობრივი მოქმედების პირობებში, პირველყოფილი ადამიანი ლიბიდონალური ენერგიის განტვირთვის მხრივ ძლიერ შეზღუდული არ იყო. მას არ სჭირდებოდა თავისი სექსუალური ენერგიის არასექსუალურ მოქმედებაზე გადატანა. ცივილიზაცია, რომელსაც ახასიათებს მონოგამია, სუპერეგოს გაძლიერება და ა.შ., აიძულებს ინდივიდს, მოძებნოს სხვა არხები ლიბიდონალური ენერგიის განტვირთვისთვის. იწყება ძლიერი სუბლიმაცია. ფროიდის თქმით, სუბლიმაცია კულტურის განვითარების თვისებაა. ამიტომ ასრულებს ესოდენ დიდ როლს კულტურულ ცხოვრებაში ადამიანის მოღვაწეობის ისეთი ფორმები, როგორებიცაა: მეცნიერება, ხელოვნება, იდეოლოგია და სხვ. შეზღუდვები სულ უფრო იზრდება და სუბლიმაციის შესაძლებლობაც თანდათან კლებულობს. სრულფასოვანი, სწორი სუბლიმაციის შეუძლებლობის შემთხვევაში ადამიანი ნევროტული ხდება; ლიბიდო თავის გამოსავალს ნევროტულ სიმპტომებში პოულობს. ცივილიზაციის პროგრესი ეროსთან ერთად თანატოსსაც განდევნის. აგრესიულობა, მკვლელობა ბუნებრივია პირველყოფილი მდგომარეობისთვის. ომი სიკვდილის ინსტინქტის გამოვლენის საუკეთესო საშუალებას იძლევა. მაშასადამე, ომი ბიოლოგიურად არის დეტერმინებული. ძალადობის ყოველგვარი გამოვლინება, განსაკუთრებით კი მისი მასობრივი ფორმები, ამ ინსტინქტის ამბოხია სუპერეგოსა და ცივილიზებული საზოგადოების შემაკავებელი ზემოქმედების წინააღმდეგ.

შეზღუდვებით გამოწვეული უკმაყოფილების კომპენსაციის ერთ-ერთი საშუალება რელიგიაც არის. თავდაპირველი სტიმული რელიგიური ცნობიერების აღმოცენებისა ისაა, რომ იგი ერთგვარად ანეიტრალებს პრიმიტიული ადამიანის უსუსურობის განცდას ბუნების მრისხანე ძალების წინაშე. ამასთან, იგი აგუებს ადამიანს თავის მწარე ხვედრთან (განსაკუთრებით სიკვდილის გარდაუვლობასთან) და ახდენს კულტურული შეზღუდვებით გამოწვეული ტანჯვის კომპენსირებას მათი ღვთიური წარმოშობის მტკიცებით. მაგრამ, რამდენადაც რაციონალობის როლი კულტურაში გამუდმებით იზრდება, ხოლო რელიგიური რწმენა ობიექტურად ვერ დასტურდება და აშკარად ეწინააღმდეგება რეალობასა და ლოგიკას, ცივილიზაციის განვითარების კვალობაზე მისი ძალა და შესაძლებლობები თანდათანობით მცირდება. ფროიდი ვარაუდობს, რომ ფართო მასების რელიგიური მორალისგან დაშორებამ შეიძლება დესტრუქციული შედეგები მოიტანოს, მაგრამ მათი დაძლევა უნდა მოხდეს მორალის სხვა საფუძვლების მონახვით. ფროიდის ათეისტურ-სციენტისტური პოზიციის თანახმად, ამაში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს მეცნიერებამ და მისმა პროგრესმა. ნაშრომში – „ერთი ილუზიის მომავალი“ – ავტორი რელიგიას ახასიათებს როგორც „სოციალურ ილუზიას“ და „კოლექტიური ნევროზის“ გარკვეულ ფორმას [13].

ამრიგად, კულტურისა და პიროვნების მიმართება ფსიქოანალიზში ორმხრივადაა დანახული. ერთი მხრივ, ცივილიზაცია და მისი შემადგენელი კულტურა თრგუნავს ინდივიდის ბუნებას, იწვევს მის ნევროტიზაციას; მეორე მხრივ, სუბლიმაციის გზით იგი სტიმულირებას უკეთებს პოზიტიურ, შემოქმედებით საქმიანობას. ადამიანისთვის შინაგანად დამახასიათებელი აგრესიულობისა და დესტრუქციულობის შეკავებისა და რეგულაციის თვალსაზრისით ცივილიზაციის საშუალებები საკმაოდ შეზღუდულია. ფროიდი სკეპტიკურად არის განწყობილი კაცობრიობის სოციალური პროგრესის მიმართ. ამასთან დაკავშირებით იგი ამბობს: „თუ ბუნების დამორჩილების საქმეში კაცობრიობა მუდმივი პროგრესის გზით მიდიოდა და უფლება აქვს, მომავალში კიდევ უფრო დიდ პროგრესს მოელოდეს, ადამიანური ურთიერთობების მოწესრიგების საქმეში ანალოგიური პროგრესის კონსტატირება რთულია“ [12; 5]. თვითგანადგურებისა და აგრესიულობის ბიოლოგიური ძალები ადამიანში შეურიგებელ წინააღმდეგობაში იმყოფებიან ლიბიდოსა და ცივილიზაციასთან. ამიტომ ცივილიზაციით უკმაყოფილება ადამიანის სულიერი ცხოვრების დაუძლეველი და მზარდი ნიშან-თვისებაა. ასეთია, ზოგადად, ფროიდის შეხედულება საზოგადოებისა და კულტურის ურთიერთმიმართებაზე.

ფსიქოანალიზის შეფასებისას, პირველ რიგში, უნდა გაირკვეს ამ მოძღვრების მეთოდოლოგიური, ეპისტემოლოგიური სტატუსი. ფსიქოანალიზის ფილოსოფიური საფუძვლები და მისი მიმართება სხვადასხვა ფილოსოფიურ სისტემასთან არაერთი კვლევის საგანი გამხდარა [7][18][25][49]. მიუხედავად ამისა, საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უყურებს ფროიდი საერთოდ მეცნიერებას, რა შინაარსს დებს მეცნიერულ შემეცნებაში და, აქედან გამომდინარე, რა ტიპის ფსიქოლოგიას მიეკუთვნება ფსიქოანალიზი, ღიად რჩება. მეთოდოლოგიური პრინციპების მიხედვით,

ფსიქოლოგიის ორი ტიპი გამოიყოფა – საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული. პირველი ამოდის საყოველთაო *დეტერმინიზმის* იდეიდან და კვლევას მოვლენათა *ახსნისკენ* მიმართავს; მეორე ეყრდნობა ადამიანის *თავისუფლების* რწმენას და სულიერი სამყაროს *გაგებისკენ* მიისწრაფვის. სად უნდა მოთავსდეს ფსიქოანალიზი? ერთი შეხედვით, პასუხი ნათელია, – პირველში. ცნობილია, რომ ფროიდი თავიდანვე ბუნებისმეტყველებაზე იყო ორიენტირებული და ეს ორიენტაცია სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა. ფსიქოანალიზური კვლევის დაწყებამდე ფროიდი, ერთი ისტორიკოსის თქმით, ნიუტონისეული შემართებით შეუდგა „სამეცნიერო ფსიქოლოგიის პროექტის" შექმნას (1895). ეს დაუმთავრებელი ნაშრომი ერთგვარი მცდელობა იყო, წარმოედგინა ფსიქიკური პროცესები რაოდენობრივად განსაზღვრული მატერიალური კომპონენტებისა და ნაწილების სახით. მაშასადამე, ფსიქოლოგიას, როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერებას, უნდა ეხელმძღვანელა ფიზიოლოგიური და, საბოლოო ჯამში, ფიზიკა-ქიმიის კანონებით [19][40]. შემდეგაც, როცა ფროიდი ფსიქიკურის ფსიქიკურით ახსნის თვალსაზრისზე დადგა, ფსიქიკურის უპირობო დეტერმინებულობის თეზისი მისი სისტემის საყრდენ იდეად რჩებოდა. იგი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ გარეგანი შემთხვევითობის დაშვება ასე თუ ისე შესაძლებელი იყო, მაგრამ შინაგანი შემთხვევითობისა მას არ სჯეროდა. „ფსიქოანალიზი გამოირჩევა განსაკუთრებით მყარი რწმენით სულიერი ცხოვრების დეტერმინებულობის მიმართ. ფსიქიკურ ცხოვრებაში მისთვის არაფერია უმნიშვნელო, ნებისმიერი და შემთხვევითი" [34; 171]. ფსიქიკურ სფეროში, ცნობიერად თუ არაცნობიერად, ყველაფერი განსაზღვრულია; ყველაფერი კანონზომიერებას ექვემდებარება. ესაა ფსიქოანალიზის რწმენაც და საბუნებისმეტყველო ფსიქოლოგიის ძირითადი მეთოდოლოგიური დებულებაც. სწორედ ამიტომ ფსიქოანალიზი ერთმნიშვნელოვნად მიეკუთვნება საბუნებისმეტყველო ფსიქოლოგიას. ფროიდის სისტემის ამგვარი შეფასება საკმაოდ არის გავრცელებული.

მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ ყველაფერი ასე მარტივი და ნათელი არ არის. ფროიდი არ იყო ყოველთვის თანმიმდევრული და ხშირად გამოთქვამდა ისეთ დებულებებს, რომლებიც არ ეთანხმებიან აღნიშნულ შეფასებას. მაგალითად, იგი მიუთითებს, რომ, ცნობიერისგან განსხვავებით, არაცნობიერი სულიერი პროცესები „ერთგვარი არაჩვეულებრივი თავისუფლებით სარგებლობენ" [32; 122]; გამოთქმული აქვს სერიოზული ეჭვი ფსიქოანალიზის ფარგლებში ფსიქიკური მოვლენების ახსნის შესაძლებლობის მიმართ: „ფსიქოანალიზის წინაშე მდგომი ახსნის ამოცანა საერთოდ ვიწროდ შეზღუდულია. ახსნა ესაჭიროება თვალში საცემ სიმპტომებს მათი წარმოშობის ჩვენების საშუალებით; ფსიქიკურ მექანიზმებს და ლტოლვებს, სადამდეც ამ გზით მიდიხარ, ვერ ახსნი; მხოლოდ მათი აღწერაა შესაძლებელი" [33; 184]. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ახსნითი (საბუნებისმეტყველო) ფსიქოლოგიიდან დილთაისა და შპრანგერის აღწერით ან გაგებით ფსიქოლოგიაში გადავინაცვლეთ. იქაც მთავარი იყო ფსიქიკური მოვლენის აღწერა, წვდომა და მისი გენეზისის დადგენა. საერთოდ კი, თუ ფსიქოანალიზს, როგორც მკურნალობისა და კვლევის მეთოდს, გავიაზრებთ, მასში მთავარია განცდის გაგება, ინტერპრე-

ტაცია, ცნობიერების შინაარსის მიღმა მდებარე საზრისის წვდომა, გაშიფრვა, რეკონსტრუირება. ამაშია მთელი ფსიქოანალიზური მეთოდის არსი, მაგრამ ამაშივეა, საზოგადოდ, ჰუმანიტარული ტიპის ფსიქოლოგიის ცენტრალური მეთოდოლოგიური იდეაც. აქედან გამომდინარე, არსებობს თვალსაზრისი, რომ ფსიქოანალიზი არ შეიძლება ცალსახად მიეკუთვნოს ფსიქოლოგიის რომელიმე ტიპს. მასში მოცემულია საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული ან, რადნიცკის ტერმინოლოგიით, ნატურალისტური და ჰერმენევტულ-ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ნიშნები [57]. სხვა ინტერპრეტატორები ლაპარაკობენ ფროიდის „ორ თეორიაზე" – კლინიკურსა და მეტაფსიქოლოგიურზე [55]. ფსიქოანალიზის ამ გაორებულობას სხვა ავტორებიც აფიქსირებენ და მის ერთ-ერთ ნაკლოვანებადაც მიიჩნევენ, ვინაიდან თვლიან, რომ სისტემის ეს ორი კომპონენტი ან ასპექტი ლოგიკურად არათავსებადია [29]; ზოგიერთის აზრით, ნაკლია ისიც, რომ ერთ-ერთ ასპექტს (მაგალითად, ჰერმენევტიკულს) არ მიენიჭა გადამწყვეტი უპირატესობა [49]. არიან ისეთებიც (როგორც წესი, ფსიქოანალიზის მიმდევრები), ვინც სწორედ ამაში ხედავენ ფროიდის მოძღვრების განსაკუთრებულობას და ნოვატორულობას [25][31].

როგორც ირკვევა, საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი ტიპის ფსიქოლოგიას მიეკუთვნება ფსიქოანალიზი, გადაწყვეტილად ვერ ჩაითვლება. არა და ეს არ არის მხოლოდ კლასიფიკაციის საკითხი. თეორიის კვალიფიკაცია ამ კუთხით განაპირობებს მისი შეფასების მთელ იდეოლოგიას. ფსიქოლოგიის ამ ორ ბანაკში ხომ თეორიის გააზრება-დახასიათების სრულიად განსხვავებული, უმეტესად საპირისპირო პრინციპები, სტანდარტები და კრიტერიუმებია ფორმულირებული. ამიტომ ბუნებრივია, რომ ფსიქოანალიზის უზარმაზარ სისტემაში გამოყოფენ და აფასებენ (დადებითად ან უარყოფითად) სხვადასხვა მომენტს.

ჰუმანიტარული ტიპის ფსიქოლოგიის ამა თუ იმ მიმართულების მკვლევართათვის მიუღებელია ფროიდის სისტემის მკვეთრად გამოხატული მექანიცისტური, ბიოლოგისტური, რედუქციონისტული, ჰედონისტური ხასიათი. ამ მხრივ ტიპურად შეიძლება მივიჩნიოთ ფსიქოანალიზის მიმართ ა. მასლოუს მიერ გამოთქმული კრიტიკული შეფასებები [26]. ძლიერ პროტესტს ინვევს ადამიანის ბუნებასთან დაკავშირებული ფროიდის მოსაზრებები, რომლებიც უპირატესად მის ფსიქოდინამიკურ შეხედულებებშია მოცემული. ფროიდი ადამიანის ინსტინქტურ ბუნებას შავბნელ ტონებში ხედავს; ადამიანი ეგოისტური, მხოლოდ სიამოვნებაზე მიმართული, აგრესიული, კონფლიქტური არსებაა. ცხადია, ასეთ დახასიათებას ვერ მიიღებენ ისინი, ვინც ფიქრობს, რომ ადამიანის ბუნება პრინციპულად დადებითია ან, უკიდურეს შემთხვევაში, ნეიტრალური (ადლერი, მასლოუ, როჯერსი, და სხვ.). ფროიდის მიხედვით, ადამიანი ირაციონალური არსებაა, იგი წარიმართება არაკონტროლირებადი, არაცნობიერი ძალებით. ისეთ შეხედულებებში, სადაც ადამიანი წარმოდგენილია რაციონალურ, გონიერ არსებად, რომელსაც ხელში უჭირავს ქცევის სადავეები, ნებისმიერად და ცნობიერად წარმართავს თავის ცხოვრებას, თვითონ ძერწავს საკუთარ თავს, ფროიდის კონცეფცია მკაცრ კრიტიკას იმსახურებს (ოლპორტი, მასლოუ, ადლერი, მეი, ფრანკლი, კელი და სხვა). ფროიდი ამოდის ავად-

მყოფობიდან და აქ დადასტურებულ მოვლენებს ნორმაზე ავრცელებს. მკვლევართა ნაწილისთვის, ვისი ინტერესიც კონცენტრირებულია ადამიანის სრულყოფილ, ჯანმრთელ და შემოქმედებით ფუნქციონირებაზე, ასეთი მიდგომა ან სრულიად მიუღებელია ან არასაკმარისი (მასლოუ, ოლპორტი, როჯერსი, სელიგმანი და სხვ.). ფროიდი თვლის, რომ პიროვნების ძირითადი სტრუქტურა ადრეულ ბავშვობაში ყალიბდება და უცვლელად რჩება ცხოვრების განმავლობაში. იმ მრავალრიცხოვან კონცეფციებში, სადაც ხაზი ესმება პიროვნების განუწყვეტელი ცვალებადობისა და განვითარების პრინციპს, ასეთი შეხედულება ნამდვილად ვერ იქნება შეწყნარებული (ერიქსონი, მასლოუ, როჯერსი, კელი და სხვა). ფროიდის მიხედვით, ადამიანში გადამწყვეტ როლს მისი წარსული ასრულებს. ჰუმანიტარული პარადიგმით გაერთიანებული თეორიების უმეტესობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ადამიანის აწმყოსა და მომავალს მიეწერება (კელი, ოლპორტი, მასლოუ, როჯერსი, ფრანკლი, მეი და სხვ.). ფროიდის მოტივაციის თეორია ჰომეოსტაზურია, ჰედონისტური და, ძირითადად, სექსუალურ მოთხოვნილებებზე დაფუძნებული, რაც, ცხადია, ვერ ამოწურავს ადამიანის მოთხოვნილებათა ფართო სპექტრს. ეს შეხედულება პრინციპულ და მძაფრ წინააღმდეგობას აწყდება იმათი მხრიდან, ვინც არასაკმარისად მიიჩნევს ადამიანის მოტივაციის დაყვანას დაძაბულობის მოხსნის, წონასწორობის აღდგენის ან სიამოვნების მიღების პრინციპებზე და ვინც ყურადღებას ამახვილებს პიროვნული ზრდის, თვითრეალიზაციისა და თვითაქტუალიზაციის ტენდენციებზე. იგივე ითქმის იმ მკვლევრებზე, ვინც მოტივთა მრავლიანობის იდეიდან ამოდის და დაუშვებლად მიიჩნევს მოტივაციური სფეროს შეზღუდვას ერთი, მით უფრო სექსუალური, მოთხოვნილებით (გოლდშტაინი, ოლპორტი, მასლოუ, როჯერსი, მიურეი, ფრანკლი და სხვ.).

ყველა ეს მოსაზრება სერიოზულია და საფუძვლიანი. ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ ფროიდის შეხედულებები უმთავრესად იმიტომ არის მიუღებელი, რადგან ფსიქოანალიზში მათი აბსოლუტიზაცია ხდება; ისინი უკიდურესი პოზიციის სახით არიან ფორმულირებული. ეს არ ნიშნავს, რომ ამ შეხედულებებში გამოთქმული იდეები მთლიანად და ხელაღებით უარსაყოფია. არც საწინააღმდეგო თვალსაზრისის აბსოლუტიზაცია მოიტანს სიკეთეს, რადგან ეს მეორე უკიდურესობა იქნება. ასეა, მაგალითად, მაშინ, როდესაც ადამიანის შინაგანი ბუნება აღიწერება როგორც ცალსახად დადებითი და კეთილი. ფროიდისეული სიკვდილის ინსტინქტი იქნებ ფანტაზიის სფეროსაც მიეკუთვნება, მაგრამ იმ მოსაზრების სასარგებლოდ, რომ აგრესიულობა ადამიანის თანდაყოლილი ბუნების ნაწილია და მას გარკვეული ბიოლოგიური ფესვები აქვს, სერიოზული თეორიული და ემპირიული არგუმენტები არსებობს. იგივე ითქმის სხვა პოზიციების შესახებაც. ადამიანის, როგორც მომავალზე ორიენტირებული არსების ხატი, სავსებით მისაღებია; ისიც ნათელია, რომ არც წარსულის მნიშვნელობის უარყოფა შეიძლება, რაზეც ფროიდი ამახვილებს ყურადღებას. ადამიანი, შესაძლოა, მთელი ცხოვრება ვითარდება, მაგრამ ბევრი ძირეული სტრუქტურა მართლაც ბავშვობის პერიოდში ფიქსირდება. ანალოგიურად, ადამიანში ცნობიერი და რაციონალური მომენტის ხაზგასმა მარ-

თებულია, მაგრამ ამის გამო არაცნობიერი და, თუნდაც, ირაციონალური მომენტის უგულებელყოფა საბედისწერო შეცდომა იქნება. არა და სწორედ ეს ასპექტია ყველაზე ნაკლებად დამუშავებული თეორიების უმეტესობაში. გამართულ თეორიაში ფსიქიკური ცხოვრების არც ერთი ასპექტის ჰიპერტროფირება არ უნდა ხდებოდეს. ასეა ჰომეოსტაზთან დაკავშირებითაც. წონასწორობის პრინციპი ვერ გავრცელდება პიროვნების მთელ მოტივაციაზე, მაგრამ მოტივაციის გარკვეული სახეები მას უთუოდ ექვემდებარება. იქაც, სადაც ფროიდის მიმართ ყველაზე სერიოზული და სამართლიანი კრიტიკაა გამოთქმული (მხედველობაში გვაქვს მისი მოძღვრების პანსექსუალიზმი), არსებითად იგივე ლოგიკა მოქმედებს. ადამიანის ყოვლისმომცველი სექსუალიზაცია, ცხადია, მიუღებელია. მაგრამ სამართლიანი არ იქნება ფროიდის ღვაწლის შეუფასებლობა სექსუალური მომენტის გათვალისწინებაში, რომელიც მანამდე სრულიად იგნორირებული ან მიჩუმათებული იყო.

შეიძლება ითქვას, რომ ფროიდის იდეებმა, მიუხედავად მათი ცალმხრივობისა (თუ მხედველობაში მივიღებთ მათ გავლენას არა მხოლოდ მეცნიერებაზე, არამედ მთელ საზოგადოებაზე), ბევრი თვალსაზრისით პოზიტიური და კვლევის მასტიმულირებელი როლი შეასრულა. ჰუმანიტარული ფსიქოლოგიის მხრიდან წამოსული კრიტიკა ისეთ შეხედულებებზეა დაფუძნებული, რომელთაც, ფროიდის იდეების მსგავსად, ერთი პრინციპული ხასიათის ნაკლი ახასიათებთ – ისინი არ არიან სათანადოდ ემპირიულად დასაბუთებული, ზუსტი და მკაცრი მეთოდებით შემოწმებული (იხ. X თავი). ესაა ძირითადი პრეტენზია, რომელსაც ფსიქოანალიზს (ისევე, როგორც, ვთქვათ, ჰუმანისტურ და ეგზისტენციალურ ფსიქოლოგიას) უყენებს აკადემიური საბუნებისმეტყველო ფსიქოლოგია.

გამოთქმულია ძალიან ბევრი შენიშვნა ფსიქოანალიზის მეცნიერულ სტატუსთან დაკავშირებით. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პოზიტივისტურად ორიენტირებული მეთოდოლოგების არგუმენტები. ცნობილია, მაგალითად, რომ ანალიზური ფილოსოფიის ერთ-ერთი შემქმნელი ლუდვიგ ვიტგენშტეინი ფსიქოანალიზს „მითოლოგიას“ უწოდებდა, ხოლო მასში გამოთქმულ იდეებს „ფანტასტიკურ ფსევდოახსნებს“. კრიტიკული რაციონალიზმის მოძღვრების ავტორი კარლ პოპერი, ისევე როგორც ვიტგენშტეინი, თავდაპირველად გატაცებული იყო ფსიქოანალიზით. თანდათან პოპერმა კრიტიკული პოზიცია დაიკავა მის მიმართ და საქმე იქამდეც მივიდა, რომ სწორედ ფროიდის თეორიის კრიტიკის საფუძველზე ჩამოაყალიბა თავისი გახმაურებული ფალსიფიცირებადობის პრინციპი, რომელიც თეორიის მეცნიერულობის კრიტერიუმად გამოაცხადა. ცნობილია, რომ ნეოპოზიტივისტები ცდილობდნენ, გაევლოთ სადემარკაციო ხაზი მეცნიერებასა და მეტაფიზიკას ან სხვა ფსევდომეცნიერულ შეხედულებებს შორის. მეცნიერულობის კრიტერიუმად მიჩნეული იყო ვერიფიკაციის პრინციპი. ითვლებოდა, რომ თეორია მეცნიერულია, თუ მისი ემპირიული დადასტურება, შემოწმება შეიძლება. ფსიქოანალიზში არსებული ვითარების გააზრებამ პოპერი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ვერიფიკაციის პრინციპი საკმარისი არ არის ფსევდომეცნიერების გამოსავლენად. საქმე ისაა, რომ ფსიქოანალიზი მუდამ ხაზს უსვამდა თავისი დებულებების ვერი-

ფიკაციის შესაძლებლობას კლინიკური დაკვირვებების საფუძველზე. მაგრამ ეს კლინიკური დაკვირვებები, პოპერის თანახმად, სხვა არაფერია, თუ არა ინტერპრეტაციები, რომლებიც ისევ და ისევ ფსიქოანალიზის თეორიაზეა დამყარებული. იქმნება მოჯადოებული წრე, რომლიდანაც გამოსავალი არ ჩანს. თეორია დასტურდება დაკვირვებით, რომლის ინტერპრეტაცია ამავე თეორიიდან გამომდინარეობს. ფსიქოანალიზის არც დადასტურება შეიძლება, არც უარყოფა. ამის საფუძველზე პოპერი გამოთქვამს ფალსიფიცირებადობის იდეას, რომლის თანახმად, თეორიის ყოველი ნამდვილი შემოწმება მისი უარყოფის მცდელობას უნდა იყოს. იმას, რისი ფალსიფიცირებაც პრინციპულად შეუძლებელია, მეცნიერების სტატუსი ვერ მიეწერება. ფაქტობრივად, ასეა ფსიქოანალიზის შემთხვევაში. პოპერმა აღმოაჩინა, რომ ფსიქოანალიზს შეუძლია ახსნას თითქმის ნებისმიერი ქცევა ან სულიერი ცხოვრების მოვლენა იმ შემთხვევაშიც, თუ მას საწინააღმდეგოთი შევცვლით. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა, რეალურად ეწინააღმდეგება იგი ფსიქოანალიზს თუ არა. ერთი ქცევა შეიძლება ინსტინქტის გამოვლინებად ჩაითვალოს, მისი საწინააღმდეგო – დაცვის გამოვლინებად, რაიმე მესამე – კომპრომისად ინსტინქტსა და დაცვას შორის. იგივე ითქმის ყოველგვარ შედეგზეც, რომელიც მიღებულია ფსიქოანალიზის შემოწმების პროცესში. ფროიდი საერთოდ არ თელიდა საჭიროდ თავისი თეორიის დებულებების შემოწმებას ობიექტური მეცნიერული პროცედურებით და ამტკიცებდა, რომ კლინიკური დაკვირვებები სრულიად საკმარისია, რადგან ისინი მთლიანად და უეჭველად ადასტურებენ ამ დებულებათა ჭეშმარიტებას. ერთ ამერიკელ ფსიქოლოგს, რომელმაც ფროიდს შესთავაზა, შეემოწმებინა ზოგიერთი მისი ჰიპოთეზა ლაბორატორიულ პირობებში, ფსიქოანალიზის ავტორმა უპასუხა: „ჩემი თეორიების სისწორე ფსიქოანალიტიკოსის ტახტზეა დამტკიცებული. ისინი არ მოითხოვენ ექსპერიმენტულ დასაბუთებას [18]. აქედან გამომდინარე, ფსიქოანალიზის ფარგლებში საერთოდ არ ყოფილა მისი ფალსიფიცირების მცდელობა. ამას კარლ პოპერი „ინტელექტუალური უპატიოსნების" გამოხატულებად თვლიდა. მისი აზრით, ფსიქოანალიზი ზოგიერთ საინტერესო დებულებას გვთავაზობს, მაგრამ მათ არაშემოწმებად ფორმაში გამოთქვამს. უმეტესწილად, ისინი უფრო მითებს მიეკუთვნება, ვიდრე მეცნიერებას. „რაც შეეხება ფროიდის მიერ მეს (ეგო), ზე-მეს (სუპერეგო) და იგის (იდი) აღწერებს, თავისი არსით ეს ყველაფერი იმაზე მეტად მეცნიერული არ არის, ვიდრე ჰომეროსის ისტორიები ოლიმპოს ღმერთების შესახებ" [28; 248].

ფსიქოანალიზის ფარგლებში წარმოებული დაკვირვებების ხარისხი და მეცნიერული სანდოობა ფალსიფიცირებადობის იდეის გარეშეც საფუძვლიან ეჭვს იწვევს. ადოლფ გრუნბაუმი, ფსიქოანალიზის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული კრიტიკოსი, თვლის, რომ კლინიკური მონაცემები საეჭვო და არაადეკვატური ბაზისია თეორიის შემოწმებისთვის [51]. ეს მოსაზრება, ყოველ შემთხვევაში ფროიდთან მიმართებით, საფუძვლიანად გამოიყურება. ცნობილია, რომ ფროიდი საკმაოდ ხშირად ამახინჯებდა დაკვირვებებს და იყენებდა შთამაგონებელ პროცედურებს. პაციენტები ფსიქოანალიტიკოსზე მიჯაჭვულები ხდებოდნენ და, შეგნებულად თუ შეუგნებლად,

„აწვდიდნენ" მას „საჭირო" ინფორმაციას. ფროიდის დაკვირვებათა ბაზა არასისტემატიზებული და არაკონტროლირებული გზით არის მოპოვებული. იგი არასდროს აკეთებდა ზუსტ ჩანაწერებს სეანსის მსვლელობაში; ეს მოგვიანებით ხდებოდა მეხსიერებაზე დაყრდნობით, ხშირად საკმაოდ დიდი დროითი ინტერვალის მერე. ასეთი მონაცემების სანდოობა ძალიან სათუოა, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ თვით ფსიქოანალიზის შეხედულებას დამახსოვრებისა და დავიწყების შესახებ, რომლის თანახმად, ადამიანი მისთვის სასურველს იმახსოვრებს და იმას ივიწყებს, რაც მის სურვილებს ეწინააღმდეგება. ფროიდის ჩანაწერების შესწავლამ აჩვენა, რომ ზოგ შემთხვევაში ისინი საგრძნობლად განსხვავდებოდნენ მის მიერ პუბლიკაციებში მოყვანილი ავადმყოფობის ისტორიის აღწერებისგან, რომლებიც, თითქოს, ამავე ჩანაწერებს ეყრდნობოდნენ [40]. ჰანს აიზენკი, ფსიქოანალიზის ერთ-ერთი ყველაზე შეურიგებელი კრიტიკოსი, გესლიანად შენიშნავს, რომ ჰიპოთეზების შემოწმება ფროიდის ფსიქოთერაპევტულ საწოლზე ისეთივე წარმატებით შეიძლება, როგორც ნიუტონისა და აინშტაინის ჰიპოთეზებს შორის არსებული დაპირისპირების გადაწყვეტა ვაშლის ხის ქვეშ წამოგორებით.

ფროიდს მტკიცედ სწამდა, რომ ფსიქოანალიზის უეჭველ დადასტურებად მისი თერაპიული წარმატებულობა უნდა ჩაითვალოს (ე.წ. შესატყვისობის არგუმენტი). იგი ამბობდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ფსიქოანალიზს შეუძლია ნევროზის რეალურად მოხსნა, ვინაიდან მხოლოდ ის აღმოაჩენს ფსიქიკის სიღრმეში არსებულ სურვილებსა და აზრებს, რომლებიც ნევროზის სიმპტომებს შეესაბამება. არაცნობიერი ტენდენციების გამოვლენის კვალდაკვალ სიმპტომები ქრება და ბოლოს ნევროზიც იკურნება. სხვა ფსიქოთერაპევტები, ფროიდის აზრით, აღწევენ მხოლოდ ნაწილობრივ და დროებით ეფექტს, ვინაიდან ვერ სწვდებიან ნევროზის ნამდვილ მიზეზს და მხოლოდ შთაგონების გზით აღწევენ მდგომარეობის უმნიშვნელო გაუმჯობესებას.

გრუნბაუმის აზრით, თუ შესაბამისობის არგუმენტი მართებულია, ფსიქოანალიზმა უნდა გვაჩვენოს უნიკალური თერაპიული ეფექტი, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ავტომატურად ბათილდება. თუ სხვა ფსიქოთერაპიული სისტემები ისევე კარგად მუშაობენ, მაშინ არ არსებობს საფუძველი, ვამჯობინოთ რთული ფსიქოანალიზი სხვა უფრო მარტივ თეორიებს. აქ ბევრი კითხვის ნიშანი ჩნდება. ჯერ ერთი, მიუხედავად ფროიდის საკმაოდ თამამი განცხადებებისა თავისი ფსიქოთერაპიული წარმატებების თაობაზე, მას ერთობ მცირე მასალა მოაქვს მათ გასამყარებლად. ფროიდს მკურნალობის სულ ექვსი შემთხვევა აქვს აღწერილი, რომელთაგან თვითონ მხოლოდ ორი ჩათვალა წარმატებულად („ადამიანი ვირთხა" და „ადამიანი მგელი"). ინტერპრეტატორების აზრით, ვერც ერთი მათგანის დახასიათება ვერ უძლებს სერიოზულ კრიტიკას. მათში ბევრ უზუსტობას ვხვდებით და პაციენტი ბოლომდე გამოჯანმრთელებული არ არის (ერთ-ერთი მათგანი ფროიდის მერეც 60 წელი განაგრძობდა მკურნალობას) [51][52]. ისინიც, ვინც ფსიქოანალიზს მეცნიერებად თვლიან, აღიარებენ, რომ ფროიდის მონაცემები მყარ საფუძველს არ იძლევა მისი ფსიქოთერაპიული პრაქტიკის ეფექტურობის დადასტურებისთვის.

მეტიც, არსებობს სერიოზული მტკიცებები იმისა, რომ ფსიქოანალიზს შეუძლია, ნეგატიური ზემოქმედება მოახდინოს როგორც პაციენტების პიროვნებაზე, ისე მათ ფსიქიკურ თუ ფიზიკურ მდგომარეობაზე [17][53].

ამასაც რომ თავი დავანებოთ, შესაბამისობის არგუმენტის საწინააღმდეგოდ ის გარემოებაც მეტყველებს, რომ ნევროტული სიმპტომების მქონე ბევრი ადამიანი (დაახლოებით ორი მესამედი) დროთა განმავლობაში თავისით გამოჯანმრთელდება ხოლმე, ყოველგვარი ფსიქოანალიზის გარეშე. იგივე ითქმის „პლაცებო მკურნალობაზე", რომლის ეფექტურობა, ფაქტობრივად, ისეთივეა, როგორიც ფსიქოანალიზისა [17]. პაციენტის მდგომარეობის გაუმჯობესება თერაპიის შემდეგ უთუოდ თეორიის სისწორეზე კი არ მიუთითებს, არამედ მხოლოდ იმაზე, რომ პაციენტისა და თერაპევტის ურთიერთობაში, მათ საუბრებში რაღაც ეფექტური აღმოჩნდა. ზოგადად თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს, რამდენად მართებულია თეორიის ჭეშმარიტების მტკიცება პრაქტიკის წარმატებაზე დაყრდნობით? აბსოლუტურ პრინციპად და კრიტერიუმად ეს, ცხადია, ვერ გამოდგება. ეფექტური მოქმედება შეიძლება მცდარ თეორიას ეფუძნებოდეს. ბოლოს და ბოლოს, ძველი მეზღვაურები წარმატებით მოგზაურობდნენ პტოლემეოსის ასტრონომიულ სისტემაზე დაყრდნობით. მაგრამ, თუ მაინც დავუშვებთ, რომ გამოჯანმრთელება ერთმნიშვნელოვნად დამოკიდებულია ქვემდებარე თეორიის დასაბუთებულობაზე (იგულისხმება, რომ თერაპიის სხვა სისტემები დაუსაბუთებელია და, მაშასადამე, არაეფექტური), ფსიქოანალიზის წარმატების პროცენტი მეტი უნდა იყოს, ვიდრე სხვა სახის ფსიქოთერაპიისა, რაც სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს [17][53][59].

აკადემიურმა ფსიქოლოგიამ არ ირწმუნა ფროიდის არგუმენტები და შეეცადა, ფსიქოანალიზის სერიოზული ვერიფიკაცია მოეხდინა. ამ სისტემის პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვანი დებულება ემპირიული, ექსპერიმენტული შემოწმების საგანი გახდა. ამ მიმართულებით ასეულობით გამოკვლევაა შესრულებული, დახარჯულია უამრავი დრო და ინტელექტუალური რესურსი. მიუხედავად ამისა, სურათი ბოლომდე ნათელი არ არის. სპეციალისტების ნაწილი თვლის, რომ ბევრმა პოსტულატმა შემოწმებას გაუძლო [59]. მაგრამ ექსპერტების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ფსიქოანალიზმა ვერ მოიპოვა ემპირიული დასაბუთება. ეს ეხება თეორიის საყრდენ ცნებებსა და კონსტრუქტებს (განდევნა, ოიდიპოსის კომპლექსი, სიკვდილის ინსტინქტი, ხასიათის ტიპოლოგია, სიზმრების კონცეფცია და სხვ.). თუ ფსიქოანალიზის პოსტულატებიდან ზოგი რამ დასტურდება კიდეც, მათ ნამდვილად ვერ ვუწოდებთ უნივერსალურ და ზოგად კანონებს, როგორც ფროიდი ფიქრობს. ფროიდი ხშირად გაუმართლებელ განზოგადებებს მიმართავდა. ამაზე ადლერი ამბობდა: „ფსიქოლოგიისა და ფსიქოპათოლოგიის მომავალ ისტორიაში ფროიდის სწავლება იქნება კურიოზული მცდელობა იმისა, რომ განებივრებული ბავშვის სულიერი ცხოვრება წარმოაჩინოს სექსუალური ტერმინოლოგიით გამოხატულ ზოგადი მნიშვნელობის მქონე ფსიქოლოგიად" [16; 178-179]. დიდი ფსიქოლოგის ეს პროგნოზი არ გამართლდა, თუმცა ფროიდი მართლაც ამოდიოდა კერძო, უნიკალური ფსიქოანალიზური გამოცდილებიდან და მას ადამიანის მთელი ბუნების მომცველი

ზოგადი კანონზომიერების სახით წარმოადგენდა. მაგალითად, მას შემდეგ, რაც მოახდინა თავისი ბავშვობისდროინდელი მოგონებების ფაბრიკაცია დედის მიმართ სექსუალური სწრაფვისა და მამის მიმართ ეჭვიანობისა და სიძულვილის თაობაზე, ფროიდმა დაასკვნა, რომ საქმე აქვს უნივერსალურ გამოცდილებასთან – ოიდიპოსის კომპლექსთან. ამ შემთხვევაში უფრო მართებული იქნებოდა დებულება, რომ ზოგიერთ ბავშვში ხანდახან შეიძლება აღმოცენდეს ასეთი განცდები. მაგრამ უნივერსალური შეხედულებებისადმი სწრაფვამ ფროდი მიიყვანა ერთჯერადი სუბიექტური გამოცდილების საფუძველზე საყოველთაო კანონის ფორმულირებამდე. ოიდიპოსის კომპლექსის უნივერსალობის წინააღმდეგ, სხვებთან ერთად, თუნდაც ანთროპოლოგების, სახელდობრ მინკოვსკის მიერ შეკრებილი მონაცემები მეტყველებს. აღმოჩნდა, რომ ბევრ კულტურაში, სადაც არ არსებობს ძლიერი პატრიარქალური ავტორიტეტი და როლების განაწილება სხვაგვარია, ვიდრე ფროიდის დროინდელ ვენაში, არაფერი დასტურდება იმის მსგავსი, რასაც ოიდიპოსის კომპლექსის რომანტიკული სამკუთხედი გულისხმობს. ფროიდი კი ფიქრობდა, რომ ოიდიპოსის კომპლექსი აუცილებლად არსებობს ოჯახის ნებისმიერ მოდელში [20]. ამდენად, იდეა ამ კომპლექსის ბიოლოგიური, მემკვიდრული და, მაშასადამე, უნივერსალური ბუნების შესახებ, არ დასტურდება. ამ და სხვა გამოკვლევების საფუძველზე, ფსიქოანალიზის მიმართ ისეთი დადებითად განწყობილი სპეციალისტიც, როგორიც გ. ბლუმია, ასკვნის, რომ ფროიდის კონცეფცია ოიდიპოსის კომპლექსის უნივერსალურობის შესახებ მოძველებულია და დროა შეწყდეს მასზე ლაპარაკი [19]. რ. ბენედიქტის, ფ. ბოასის, მ. მიდის და სხვა ცნობილი ანთროპოლოგების მიერ შეგროვებული მონაცემები ფსიქოანალიზის სხვა დებულებათა მიმართაც (ლიბიდო, სიკვდილის ინსტინქტი, ფსიქოსექსუალური განვითარების სტადიები და სხვ.) მსგავსი დასკვნის გამოტანის უფლებას იძლევა [56].

იგივე ითქმის განდევნის კონცეფციის შესახებ, რომელიც უმნიშვნელოვანესია ფსიქოანალიზისთვის. ის, არსებითად, დაფუძნებულია იდეაზე, რომ ადამიანისთვის მძიმე, მიუღებელი შინაარსები ითრგუნებიან და განიდევნებიან ცნობიერებიდან არაცნობიერში. მრავალი გამოკვლევა, რომელიც ამ კონცეფციის შესამოწმებლად ჩატარდა, საერთო ჯამში, უარყოფითი შედეგით დამთავრდა. მართალია, არსებობს ზოგიერთი ყოფითი და ექსპერიმენტული ფაქტი, რაც ადასტურებს, რომ გარკვეულ შემთხვევებში სუბიექტისთვის უარყოფითი ხასიათის მქონე ინფორმაცია უფრო ექვემდებარება დავიწყებას, მაგრამ, ასევე, არსებობს ფაქტები, რომლებიც საწინააღმდეგოზე მეტყველებს [27][40]. ექსპერტების აზრით, არ არსებობს მყარი ემპირიული მონაცემები იმის შესახებ, რომ ადამიანები უსიამოვნო ან სახიფათო განცდებს განდევნის საშუალებით ებრძვიან და მიაჩნიათ, რომ ამ მიმართულებით ძიებას თავი უნდა დავანებოთ [54].

განდევნის კონცეპტის ემპირიული ვერიფიკაციის კრახი ნიშანდობლივია იმიტომ, რომ ის ფროიდის სისტემის ერთ-ერთი ქვაკუთხედია; ეს არის საფუძველი, რომლის გამოცლაც მთელი შენობის დანგრევას გამოიწვევს. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ კრიტიკოსებისთვის პასუხის გაცემისას ფროიდი სწორედ გან-

დევნის მექანიზმზე მიუთითებს. როცა სხვა არგუმენტი აღარ გააჩნდა, იგი საყვედურობდა კრიტიკოსებს, რომ მათი დაცვითი მექანიზმები არ აძლევენ საშუალებას, აღიარონ და შეიწყნარონ ისეთი ფაქტები და შეხედულებები, როგორებიცაა: ინფანტილური სექსუალობა, ოიდიპოსის კომპლექსი, სიკვდილის ინსტინქტი და სხვ.

რაც შეეხება სიკვდილის ინსტინქტს, თითქმის ყველა აღიარებს, რომ ეს ფროიდის ყველაზე გაუგებარი და დაუსაბუთებელი პოსტულატია. იგი იმდენადაა გახვეული მეტაფიზიკურ ბურანში, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება მისი ფორმულირება ემპირიულად შემოწმებადი დებულებების ფორმაში. ეს ნაკლი საერთოდ ახასიათებს ფსიქოანალიზს. მისი ცნებებისა და კონსტრუქტების უზუსტობა, არაერთმნიშვნელოვნება და ბუნდოვანება აძნელებს მათ ტრანსკრიფციას ზუსტ ქცევით ენაზე და, მაშასადამე, შემოწმებას. სიკვდილისადმი სწრაფვის სავარაუდო ტენდენციით შეიძლება აიხსნას ისეთი ემპირიული მოვლენები, როგორებიცაა: თვითმკვლელობები, უბედური შემთხვევები და სხვ., მაგრამ ასეთ „პოსტფაქტუმ" ახსნას დიდი ღირებულება არა აქვს. ჰოლის და ლინდსეის შენიშვნისა არ იყოს, ეს დაახლოებით იგივეა, რაც ცხენზე ფსონის დადება დოღის დამთავრების მერე. კარგი თეორია წინასწარმეტყველების შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს [39]. სხვათა შორის, თვით ფროიდიც აღიარებდა, რომ მას უკეთ გამოსდის უკვე მომხდარის ინტერპრეტაცია, ვიდრე მოვლენების პროგნოზირება.

ფსიქოლოგიური კონცეფციების მკვლევრები ხშირად სვამენ ასეთ კითხვას: თუ ფსიქოანალიზი „ცუდი" თეორიაა, რომლის დებულებები ბუნდოვანია, შეუმოწმებადი და მეცნიერული პროცედურებით გაუმყარებელი, რატომ განიხილება იგი სერიოზულად სამეცნიერო წრეებში და რატომ აქვს მაღალი სტატუსი ინტელექტუალურ საზოგადოებაში? ჰოლის და ლინდსეის პასუხი ასეთია: ქცევის სრულმასშტაბიანი თეორიები საკმაოდ მწირია და არასრულყოფილი. ამიტომ ფსიქოლოგს უფლება აქვს, აირჩიოს თეორია არა ფორმალური ადეკვატურობის ან ფაქტობრივი მონაცემების არსებობის მიხედვით, არამედ ისეთი მოსაზრებების გამო, რომელთაც არ მოეპოვებათ „წმინდა მეცნიერული" შინაარსი. ამ მხრივ ფსიქოანალიზში უთუოდ ბევრი რამაა საინტერესო და მიმზიდველი. კარგი ენა, სტილი, მოქნილი ფრაზები ფროიდის ნაწარმოებებს სასიამოვნო საკითხავად აქცევენ არამხოლოდ სპეციალისტებისთვის. ამასთან ერთად, მათში საუბარია ისეთ საკითხებზე, რომლებიც მუდამ იზიდავენ ფართო მკითხველის ყურადღებას – სექსი, აგრესიულობა, დესტრუქციულობა, სიზმარი, სულიერი ტრავმები და დაავადებები. ეს თავისთავადაც მაცდური თემებია, მით უფრო, თუ მათი განხილვისას არაორდინარული და საკმაოდ სენსაციური მოსაზრებები გამოითქმის. ფსიქოანალიზის შემთხვევაში ყველაფერი სახეზეა, მაგრამ მხოლოდ ეს ნამდვილად ვერ ახსნის ფსიქოანალიზის მართლაც გრანდიოზულ პოპულარობას და იმ გავლენას, რომელიც მან გასული საუკუნის მთელ დასავლურ კულტურაზე მოახდინა. პირველი და გადამწყვეტი მნიშვნელობის გარემოება ამ შემთხვევაში ის უნდა იყოს, რომ ფსიქოანალიზის მეშვეობით კაცობრიობამ არსებითად პირველად შეძლო კარის შეღება არაცნობიერის სინამდვილეში, რომელიც მანამდე ცხრაკლიტულში იყო მოქცეული. ფროიდმა ჩაგვახედა ბნელეთით მოცულ,

ცნობიერების მიღმა მდებარე ფსიქიკურ სამყაროში. რამდენად მართებულად დაახასიათა მან იქაურობა, სხვა საკითხია. ფროიდს არ აღმოუჩენია არაცნობიერი, მაგრამ მან აჩვენა მისი უდიდესი როლი, რაც, თავისთავად, უკვე იწვევს მსოფლმხედველობრივი მასშტაბის ცვლილებებს ჩვენს წარმოდგენებში ადამიანის სულისა და ქცევის შესახებ. ფსიქოანალიზის ყველაზე დიდ წარმატებას და მნიშვნელობას თვითონ ფროიდიც ამაში ხედავდა და, უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ მისი თვითშეფასება პრეტენზიის უმაღლეს დონეზეა. ცნობილია ფსიქოანალიზის ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ კაცობრიობის თავმოყვარეობამ მეცნიერული აღმოჩენების მხრიდან სამი უმძიმესი შეურაცხყოფა განიცადა: პირველი იყო კოპერნიკი, რომელმაც დაამსხვრია რწმენა, რომ დედამიწა სამყაროს ცენტრია (კოსმოლოგიური შეურაცხყოფა); მეორე დარვინი იყო, რომელმაც გააქარწყლა ადამიანთა ქედმაღლური შეხედულება თავისი განსაკუთრებულობის შესახებ (ბიოლოგიური შეურაცხყოფა); მესამე თვითონ ფროიდია, რომელმაც კაცობრიობას ყველაზე მძიმე, ფსიქოლოგიური შეურაცხყოფა მიაყენა; მან აჩვენა, რომ ადამიანი საკუთარ სულიერ სამყაროშიც არ არის ბატონ-პატრონი, რომ ცნობიერება არაცნობიერი ძალების მუდმივი ზეგავლენის ქვეშ იმყოფება [9]. შესაძლებელია, ეს მსჯელობა ზედმეტი თავმდაბლობით არ გამოირჩევა, მაგრამ ფსიქოანალიზის კოლოსალური გავლენა კაცობრიობის კულტურაზე უეჭველია.

გარდა ზემოხსენებული მომენტებისა, ფსიქოანალიზის პოპულარობა კიდევ ერთმა თავისებურებამ განაპირობა – იგი ერთ-ერთი ყველაზე ფართოა ზოგადფსიქოლოგიურ სისტემებს შორის. ფსიქოანალიზი სულიერი და ქცევითი სფეროს უამრავ გამოვლინებას მოიცავს: ცნობიერება და არაცნობიერი, მოტივაციური და ემოციური სფერო, ფსიქიკური აშლილობები და ქცევითი გადახრები, ხასიათის ტიპები და პიროვნების განვითარება, სიზმარი, თამაში, შემცდარი მოქმედებები, სხვადასხვა სახის გადახრები, სექსი, აგრესია, კონფლიქტი, ოჯახი, ინცესტი, რწმენა, შემოქმედება, კულტურა, ცივილიზაცია და ა.შ. მოვლენების ფართო მომცველობა ერთხმად არის აღიარებული ფსიქოანალიზის ძლიერ მხარედ, რადგან თეორიის ეს ფორმალური ნიშანი ძალიან დიდი ღირებულების მატარებელია ფსიქოლოგიური კონცეფციების შემფასებლებს შორის. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ფსიქოანალიზის წარმატებები, ცოტა არ იყოს, გაზვიადებულია. საქმე ისაა, რომ ფროიდი, ფაქტობრივად, ქცევის მოტივაციური ასპექტით შემოიფარგლება. ქცევის საშემსრულებლო-ოპერაციულ მხარეზე, ფსიქოფიზიკურ თუ კოგნიტურ ფუნქციონირებაზე მის თეორიაში თითქმის არაფერია ნათქვამი, ყოველ შემთხვევაში ახალი და ღირებული. იგივე ითქმის გამოცდილების შეძენის, დასწავლის პროცესების შესახებაც, რის გარეშეც სრულყოფილი ზოგადფსიქოლოგიური კონცეფცია წარმოუდგენელია.

თეორიის მასშტაბის გათვალისწინებით, ფსიქოანალიზი საკმარისად ეკონომიურია; პროცესების დასახასიათებლად იგი ცნებების შედარებით მცირე რაოდენობას იყენებს. რადგან თეორიის შეფასების ფორმალურ კრიტერიუმებზე ვსაუბრობთ, აუცილებელია აღინიშნოს კიდევ ერთი – ესაა თეორიის ევრისტიკულობა; თეორი-

ის ღირებულება იმის მიხედვითაც ფასდება, თუ რამდენად ახდენს იგი შემდგომი კვლევებისთვის საჭირო ახალი იდეების სტიმულირებას. ამ მხრივ ფსიქოანალიზი ფრიად მაღალ შეფასებას იმსახურებს, ვინაიდან მან საფუძველი ჩაუყარა არაერთ ახალ მიდგომასა და გამოკვლევას. სხვა საკითხია, შეძლეს თუ არა ამ გამოკვლევებმა თვით თეორიის გაღრმავება და განვითარება, ან მისი დებულებებისა და ჰიპოთეზების დადასტურება. ფსიქოანალიზის, როგორც თეორიული სისტემის, მთავარი პრობლემა ისაა, რომ მისი ცნებები და ცნებათა შორის ნაგულისხმები მიმართებები არ არის ცხადი, ნათლად ფორმულირებული. ამან უაღრესად გაართულა, ზოგ შემთხვევაში კი, უბრალოდ, შეუძლებელი გახადა თეორიის ემპირიული შემოწმება. სპეციალისტების დასკვნით, ფსიქოანალიზურ კონცეფციასთან დაკავშირებით საკითხი ასე დაისმის: „ან იგი შეძლებს განვითარდეს შემოწმებადი თეორიის დონემდე, ან, არცთუ შორეულ მომავალში მას შეცვლის სხვა თეორია, რომელიც არც მომცველობის თვალსაზრისით და არც ცნებითი აპარატის ეკონომიურობით მას არ ჩამოუვარდება და, ამავე დროს, იქნება უფრო მისაწვდომი და ღია ექსპერიმენტული გამოკვლევისთვის“ [27; 191].

ეს პროცესი, როგორც ჩანს, დაწყებულია, ვინაიდან სპეციალისტები უკვე მიუთითებენ ფსიქოანალიზის პოპულარობის შემცირების ტენდენციაზე [16][23]. თუ ფროიდის მოძღვრებას განვიხილავთ, როგორც გარკვეული ფსიქოლოგიური მიმდინარეობის საბაზისო თეორიას, დავინახავთ, რომ მის უამრავ განშტოებაში, მოდიფიკაციაში ორთოდოქსული ფსიქოანალიზის პრაქტიკულად ყველა ძირითადი პოსტულატი ან უკუგდებულია, ან საფუძვლიანად შეცვლილი (იხ. თავი IV). ამ ნოვაციების გაერთიანება ერთ მწყობრ სისტემაში (თუ ეს შესაძლებელია) სულ სხვა თეორიას მოგვცემს. მომავალში, როგორც ჩანს, ასეც მოხდება. ადრე თუ გვიან ყველა ფსიქოლოგიური თეორია აღმოჩნდება ფსიქოლოგიის ისტორიის თაროებზე. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ფსიქოანალიზის ფესვგადგმულობას ჩვენს კულტურაში, აქტუალური მეცნიერებიდან წასულმა ფროიდის უდავოდ დიდმა თეორიამ შესაძლებელია, ოფიციალურად გადაინაცვლოს გენიალური მითებისა და ზღაპრების სამყაროში და უკვე იქიდან ემსახუროს კაცობრიობას.

კარლ გუსტავ იუნგი (1875-1961) კლასიკური სიღრმის ფსიქოლოგიის ერთ-ერთი მიმართულების, *ანალიზური ფსიქოლოგიის* ფუძემდებელია. იუნგი დაიბადა ბაზელის სიახლოვეს, კესვილის დასახლებაში (კომუნაში), კლასიკურ ენებში განსწავლული პროტესტანტული ეკლესიის პასტორის ოჯახში. ბაზელის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ (1900) იუნგმა მუშაობა დაიწყო ციურიხში, ფსიქიატრიულ კლინიკაში, რომელსაც გამოჩენილი ფსიქიატრი ე. ბლოილერი ხელმძღვანელობდა. აქ იწყებს ე.წ. *კონტროლირებადი ასოციაციის* მეთოდის გამოყენებას *კომპლექსის* გამოსავლენად. ეს მეთოდი ასოციაციური ექსპერიმენტის სახეობაა და განსხვავდება ფროიდის თავისუფალი ასოციაციების მეთოდისგან იმით, რომ აქ პაციენტმა რაც შეიძლება სწრაფად უნდა უპასუხოს მიწოდებულ სიტყვას თავში პირველად მოსული სიტყვით; მისაწოდებელი სიტყვათა რიგი წინასწარაა შედგენილი. პაციენტში კომპლექსის არსებობაზე შემდეგი გარემოებები

მიუთითებს: ასოციაციური რეაქციის ხანიერების გაგრძელება, სიტყვა-სტიმულის გაუგებრობა, მისი მექანკური გამეორება, თარგმნა სხვა ენაზე, „მაგარი" სიტყვების ხმარება, არამოტივირებული სიცილი და სხვ. პარალელურად იზომება გარკვეული ფიზიოლოგიური მაჩვენებლები: პულსი, სუნთქვის სიხშირე, ფსიქოგალვანური რეაქცია და სხვ. ყოველივე ეს განიხილება როგორც *კომპლექსის ინდიკატორი*, ანუ მითითება ისეთ ემოციურად დატვირთულ შინაარსზე, რომლის შესახებ სუბიექტს არ სურს და ხშირად არც შეუძლია ლაპარაკი. ამიტომ მის გამოვლენას ფსიქოთერაპიის კუთხით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. კომპლექსის იუნგისეული გაგება განსხვავდება ფროიდის თვალსაზრისისგან. იუნგის მიხედვით, კომპლექსი მეტწილად არაცნობიერია, მაგრამ არ არის აუცილებლად ფსიქიკის პათოგენური გამოვლენა. კომპლექსი ეწოდება ფსიქიკური მოვლენების კომბინაციას, გაერთიანებას ემოციური შინაარსის გარშემო. იგი არ ემორჩილება ცნობიერებას, აქვს საკუთარი ენერგეტიკული მუხტი, ტენდენცია. კომპლექსის სტრუქტურა რთულია, მასში გამოიყოფა გული ანუ ცენტრი (ემოციური შინაარსი) და მეორეული კონსტელაციური ასოციაციები (აზრები, მოგონებები). იუნგის თქმით, კომპლექსი ფსიქიკური ცხოვრების ყველაზე ცხელი წერტილია. კომპლექსის სტრუქტურა რთულია, მასში გამოიყოფა გული ანუ ცენტრი (ემოციური შინაარსი) და მეორეული კონსტელაციური ასოციაციები (აზრები, მოგონებები). კომპლექსები აღმოცენდება ძლიერ მატრავმირებელ ვითარებებში, აგრეთვე „უმნიშვნელო" მუდმივმოქმედი განცდების შედეგად, რომლებიც სულიერ ჭრილობებს გვაყენებენ. ასოციაციური მეთოდი საშუალებას იძლევა, დავინახოთ პაციენტის აქტუალური პრობლემები, მათი ურთიერთკავშირი და, ნაწილობრივ, მათი წარმოქმნის ისტორია.

1902 წელს იუნგმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია „ე.წ. ოკულტური ფენომენების ფსიქოლოგიასა და პათოლოგიაში". მას საფუძვლად დაედო დაკვირვებები მის ნათესავ ქალიშვილ-medიუმზე სპირიტუალისტური სეანსების დროს, რომელთაც იუნგი უნივერსიტეტში სწავლისას ესწრებოდა.

1907 წლიდან იწყება იუნგისა და ფროიდის დაახლოება და თანამშრომლობა. იგი თან ახლდა ფროიდს ამერიკაში, სადაც ლექციები წაიკითხა. იუნგი თანდათან წამყვანი ფიგურა ხდება ფსიქოანალიტიკურ მოძრაობაში; იგი ფსიქოანალიტიკოსთა საერთაშორისო საზოგადოების პირველი პრეზიდენტი და ფსიქოანალიტიკური ჟურნალის პირველი რედაქტორია. ფროიდი მას თავის მემკვიდრედაც მიიჩნევდა. მაგრამ მალე თავი იჩინა სერიოზულმა განსხვავებამ იუნგისა და ფროიდის თეორიულ პოზიციებს შორის. წიგნში – „არაცნობიერის ფსიქოლოგია" (1912) – იუნგი გამოთქვამს ფროიდისგან განსხვავებულ შეხედულებებს და არ ერიდება მის გაკრიტიკებას, რაზეც ეს უკანასკნელი, როგორც სჩვევია, მწვავე რეაქციით პასუხობს. ურთიერთობა მათ შორის თანდათან იძაბება. 1914 წელს იუნგი გამოდის ფსიქოანალიტიკოსთა საზოგადოებიდან და უარს ამბობს ჟურნალის რედაქტორობაზე. მას მერე იგი ფროიდს არ შეხვედრია.

უთანხმოების ძირითადი საგანი გახდა ფროიდის მიერ ფსიქიკური ცხოვრების გადაჭარბებული სექსუალიზაცია. ცოტა ხნით ადრე, ამავე მიზეზით, ფროიდს ჩა-

მოშორდა სიღრმის ფსიქოლოგიის კიდევ ერთი კლასიკოსი ადლერი, რომელმაც ფსიქიკური ცხოვრების ძირეულ მოტივაციურ საწყისად ძალაუფლებისკენ სწრაფვა აღიარა. იუნგის აზრით, ფროიდისა და ადლერის საერთო შეცდომა ის იყო, რომ მათ მთელი ფსიქიკური ცხოვრების დეტერმინანტად ერთი, თუმცა განსხვავებული, ინსტინქტი ან ლტოლვა იგულისხმეს. სინამდვილეში, იუნგის მიხედვით, ხდება ინსტინქტების მონაცვლეობა და ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული მოტივაციური ძალების დომინირება. იუნგი ლტოლვათა სიმრავლის თეზისს იცავდა, ხოლო თვით ტერმინი – ლიბიდო – მისთვის ზოგადად ფსიქიკურ ენერგიას აღნიშნავდა, რომელიც სასიცოცხლო პროცესებში ვლინდება, სუბიექტურად კი ლტოლვისა და სურვილის სახით განიცდება. იუნგი არ ეთანხმებოდა იმ გადაჭარბებულ როლსაც, რომელსაც ფროიდი ფსიქიკური სტრუქტურების ჩამოყალიბებაში ოიდიპოსის კომპლექსს მიაწერდა. მიუხედავად ამისა, იუნგი ბოლომდე მაღალ შეფასებას აძლევდა ფროიდის მოძღვრებას, თუმცა მას მხოლოდ „სანახევროდ მართებულად" თვლიდა. იუნგის თქმით, ფროიდამდე არაცნობიერს საერთოდ უარყოფდნენ, ფროიდის გავლენით კი, იგი ყოველივე უარყოფითის და მიუღებლის გადასაყრელ ადგილად იქცა. სინამდვილეში, იუნგის აზრით, არაცნობიერი, როგორც ბუნებრივი მოვლენა, ნეიტრალურია და „შეიცავს ადამიანური ბუნების ყველა ასპექტს – ნათელსა და ბნელს, სილამაზეს და სიმახინჯეს, სიკეთეს და ბოროტებას, სიბრძნეს და სისულელეს" [43; 94].

იუნგი, როგორც პრაქტიკოსი ფსიქოთერაპევტი, უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა. ამავე დროს, მან ჩამოაყალიბა თავისი თეორიული შეხედულებების სისტემა, რომელიც ფართოდ გავრცელდა არა მხოლოდ სპეციალისტებში, არამედ კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებს შორისაც. 1933 წელს იუნგი ხდება ახლად ორგანიზებული ფსიქოთერაპევტთა საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდენტი. 1948 წელს ციურიხში იხსნება იუნგის ინსტიტუტი, სადაც ანალიზური ფსიქოლოგიის სწავლება მიმდინარეობს. იუნგი მას სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა. ამჟამად ასეთი ინსტიტუტები ფუნქციონირებს ამერიკისა და ევროპის რამდენიმე ქალაქში. 1955 წელს იუნგის მონაფეებმა და მიმდევრებმა ციურიხშივე ჩამოაყალიბეს ანალიზური ფსიქოლოგიის საერთაშორისო ასოციაცია, რომელიც აერთიანებს ოცდაათამდე ქვეყნის სპეციალისტებს და ზრუნავს იუნგისეული ფსიქოლოგიის იდეებისა და პრაქტიკის პოპულარიზაციისთვის და მათი გავრცელებისთვის მთელ მსოფლიოში. 1921 წელს გამოდის იუნგის წიგნი „ფსიქოლოგიური ტიპები", რომელიც მის ძირითად ნაშრომად ითვლება. აქ მოცემულია არა მარტო მოძღვრება პიროვნების ტიპებზე, არამედ იუნგის შეხედულება არაცნობიერზე. თავისი თეორიის ჩამოყალიბებისას მან მდიდარი მასალა გამოიყენა, რომელიც სხვადასხვა კულტურის ფოლკლორის, მითების, რელიგიური შეხედულებების ანალიზის პროცესში მოიპოვა. ამ მასალის შესაგროვებლად იუნგმა სხვადასხვა დროს ბევრი იმოგზაურა. იყო აფრიკაში – ალჟირში, ტუნისში, კენიაში, საჰარის რეგიონში; ასევე მექსიკაში, სადაც ინდიელთა კულტურას გაეცნო; ინდუიზმისა და ბუდიზმის შესასწავლად ინდოეთსა და ცეილონში იმოგზაურა.

როგორც სიღრმის ფსიქოლოგიის წარმომადგენელი, იუნგი გამოყოფს *ცნობიერ და არაცნობიერ ფსიქიკას*. ცნობიერება ფსიქიკის მცირე ნაწილს შეადგენს; იგი პატარა კუნძულს წააგავს, რომელიც გარშემორტყმულია ფართო და ღრმა არაცნობიერი ზღვით. ადამიანს იმის განცდა აქვს, რომ იგი ცნობიერად ცხოვრობს; სინამდვილეში ასე არ არის. „ცნობიერება უცნაური რამაა. ის წყვეტილი ფენომენია. ადამიანის ცხოვრების მეხუთედი თუ მესამედი ან, იქნებ, ნახევარიც კი არაცნობიერ მდგომარეობაში მიმდინარეობს. ჩვენი ბავშვობის პირველი ხანა არაცნობიერად გადის, ყოველ ღამით არაცნობიერში ვიძირებით, და მხოლოდ განსაზღვრულ შუალედებში სიფხიზლესა და ძილს შორის ვფლობთ მეტ-ნაკლებად ნათელ ცნობიერებას. კაცმა რომ თქვას, ისიც საკითხავია, რამდენად ნათელია ეს ცნობიერება“ [5; 16].

სწორედ არაცნობიერი შეადგენს იუნგის ინტერესის ძირითად საგანს. არაცნობიერში, მისი აზრით, ორი დონე ან ორი სისტემა გამოიყოფა: *პირადი და კოლექტიური*. პირადი არაცნობიერი დაუშორებელია ცნობიერებისაგან. ესაა არაცნობიერის ზედა ფენა, რომელიც შედგება ცნობიერებიდან შესული შინაარსებისაგან – დავიწყებული აზრები, ზღურბლს ქვედა, სუსტი ენერგიის მქონე პერცეფციები, განდევნილი ტენდენციები და სურვილები, ტრავმატული შინაარსები. ადამიანს არ შეუძლია, ყოველთვის ამაღლებულად, სწორად და გაუყალბებლად იფიქროს – შენიშნავს ავტორი. ცდილობს რა შეინარჩუნოს და განამტკიცოს „იდეალური განწყობა“, იგი ავტომატურად განდევნის ცნობიერებიდან ყველაფერს, რაც მას ეწინააღმდეგება. ზემოთ აღნიშნული კომპლექსები პირად არაცნობიერში იმყოფებიან. პირადი არაცნობიერის შინაარსები ინდივიდუალური გამოცდილების შედეგია და, ამდენად, მე-ს, სუბიექტის კუთვნილება მისი ორგანული ნაწილია. მათი გასვლა ცნობიერებიდან განიცდება როგორც დანაკარგი, შემოსვლა კი, როგორც საკუთარის სასურველი დაბრუნება, რაც არცთუ იშვიათად განკურნვის, შემსუბუქების ეფექტს იძლევა. კოლექტიური არაცნობიერის მიმართ ეს ეფექტი შებრუნებულია. იგი მე-ს მიმართ გარეგანი და უცხოა, ზოგჯერ უსიამოვნო და სახიფათოც კი. ასეთი შინაარსი განიცდება როგორც რაღაც ზებუნებრივი, რაც გაოცებას, მოწიწებას, რიდს და, შესაძლოა, შიშსაც იწვევს. ამ მხრივ იგი ძალიან წააგავს იმ განცდებს, რასაც ადამიანში მითოლოგიურ-რელიგიური ცრურწმენები იწვევენ.

საერთოდ, კოლექტიური არაცნობიერის შინაარსები მითოლოგიურ-რელიგიური ცნობიერების ანალოგიურია, ვინაიდან ორივე კაცობრიობის წარსულისა და მეხსიერების გამოვლინებაა. კოლექტიური არაცნობიერი ფსიქიკის სიღრმივი ფენაა. ის არ არის დაკავშირებული ინდივიდუალურ ცხოვრებასთან და თანდაყოლილია. სხვანაირად, „კოლექტიური არაცნობიერი იდენტურია ყველა ადამიანთან და, ამდენად, წარმოქმნის თითოეული ინდივიდის სულიერი ცხოვრების საყოველთაო საფუძველს; ამავე დროს, თავისი ბუნებით, ზეპიროვნულია“ [44; 98]. გარკვეული დონეები კოლექტიურ არაცნობიერშიც გამოყოფა – იგი შედგება ნაციონალური, რასობრივი და ზოგადადამიანური მემკვიდრეობისგან. ყველაზე ღრმა შრე შეიცავს იმ კვალს, რომელიც ფსიქიკაში ცხოველურმა გამოცდილებამ დატოვა. აქედან მომ-

დინარეობს უმეტესწილად ინსტინქტები და ლტოლვები, რომლებიც ადამიანის ბუნებრივი არსებობის გამოვლინებებია.

კოლექტიური არაცნობიერი შედგება *არქეტიპებისგან.* არქეტიპი იუნგის სისტემის ერთ-ერთი ყველაზე რთული ცნებაა. სხვადასხვა ნაშრომში ავტორი მის რამდენადმე განსხვავებულ განსაზღვრებას იძლევა. არქეტიპი – „ესაა ჩვენი წინაპრების გონება, რომლითაც ისინი ფიქრობდნენ და გრძნობდნენ, ხერხი, საშუალება, რომლითაც ისინი სწვდებოდნენ ცხოვრებასა და სამყაროს, ღმერთებსა და ადამიანებს“ [42; 109]. არქეტიპი ბერძნულად პირველსახეს ან პირველად წარმოდგენას ნიშნავს. მაგრამ სინამდვილეში იგი არ არის საკუთრივ წარმოდგენა, ფსიქიკური შინაარსი – ესაა ყალიბი, ფორმა შინაარსის გარეშე, რომელიც ორგანიზებას უკეთებს და წარმართავს ფსიქიკურ პროცესებს. არქეტიპი შეიძლება შევადაროთ მშრალ კალაპოტს, რომელიც განსაზღვრავს მდინარის კონფიგურაციას, მაგრამ მდინარედ გადაიქცევა მხოლოდ მაშინ, როცა მასში წყალი იდინებს. არქეტიპის დანიშნულება სწორედ ისაა, რომ წყალი (ფსიქიკური პროცესი) გარკვეულ კალაპოტში წარიმართოს. „არქეტიპები რაღაცნაირად ჰგვანან რაციონალურამდელი ფსიქიკის ორგანოებს. ესაა მემკვიდრეობით მიღებული, ყოველთვის ერთნაირი ფორმები და იდეები, რომლებიც ჯერ კიდევ მოკლებულნი არიან სპეციფიკურ შინაარსს. სპეციფიკური შინაარსი ჩნდება მხოლოდ ინდივიდუალურ ცხოვრებაში, სადაც პირადი გამოცდილება სწორედ ამ ფორმებში ხვდება“ [45; 78]. ერთი სიტყვით, ევოლუციური და ისტორიული ფსიქიკური გამოცდილება გამზადებული, შინაარსობრივად გაფორმებული იდეის, წარმოდგენის ან განცდის სახით არ არის მოცემული. ჩვენს ფსიქიკურ მემკვიდრეობაში ჩანერგილია შესაძლებლობა, მიდრეკილება გარკვეული განცდებისა და რეაქციებისადმი. მაგალითად, იმ მიზეზის გამო, რომ ადამიანებს ყოველთვის ჰყავდათ დედები, ყველა ახალშობილს თან დაჰყვება დედის აღქმისა და მასზე რეაგირების გარკვეული მიდრეკილება.

არქეტიპი, როგორც წესი, სიმბოლურადაა მოცემული მითოლოგიური ფიგურის სახით და იგი არის წინაპართა უამრავი თაობის გამოცდილების ფორმულირება, ერთი და იმავე ტიპის უამრავი განცდის ფსიქიკური დანალექი. მაგალითად, მრავალი თაობა აკვირდებოდა მზის მოძრაობას ზეცაში. განცდების ეს სიმრავლე, საბოლოო ჯამში, დაფიქსირდა კოლექტიურ არაცნობიერში მზის ღვთაების, გაბრწყინებული ციური სხეულის სახით, რომელსაც ადამიანები თაყვანს სცემდნენ. გარკვეული წარმოდგენები უმაღლეს ღვთაებაზე, იუნგის აზრით, მზის არქეტიპს ეფუძნებიან. ასევეა დედის არქეტიპიც. იგი გამოიხატება დადებითი და უარყოფითი მნიშვნელობის კრებითი სიმბოლური წარმოდგენის სახით (ღვთისმშობელი, სიყვარულის ქალღმერთი, მზეთუნახავი, მაცდური ალი, ალქაჯი, მეძავი და სხვ.); მამის არქეტიპი განასახიერებს კაცებისადმი საერთო დამოკიდებულებას (ღმერთი, წმინდანი, მეფე, ბრძენი, გმირი, დესპოტი და სხვ.). არქეტიპული სიმბოლოები შეიძლება არსებობდნენ ადამიანების, დემონების, ცხოველების, ბუნების მოვლენების ან საგნების სახით. ამ წარმოდგენების უნივერსალურობა ამჟამინდელ და წარსულ კულტურებში იუნგისთვის იმის დამადასტურებელია, რომ ისინი კოლექტიურ არაცნობიერს

მიეკუთვნებიან. ამასთან, იუნგი მკაფიოდ მიჯნავს ერთმანეთისგან არქეტიპსა და სიმბოლოს. სიმბოლო მხოლოდ წარმოადგენს არქეტიპს, მაგრამ არც ერთ კონკრეტულ სიმბოლოს არ შეუძლია, მთლიანად გამოხატოს არქეტიპი. რაც უფრო მეტად შეესატყვისება სიმბოლო არქეტიპულ არაცნობიერს, მით უფრო ძლიერ ემოციურ რეაქციას იწვევს იგი სუბიექტში. ამდენად, არქეტიპული სიმბოლო ემოციურად დამუხტული წარმოდგენაა. ემოციების ხიდის მეშვეობით არქეტიპული ხატები ცოცხალ ადამიანს უკავშირდებიან და განსაკუთრებულ გრძნობად ტონს იძენენ. საზოგადოდ, არქეტიპები მხოლოდ წარსული გამოცდილების ანაბეჭდები არ არის; ისინი თავის თავში შეიცავენ ძალას, გამოიწვიონ ე.წ. *ნუმინოზური,* ანუ ძრწოლისა და აღმაფრენის განცდები, ან აღძრან ინდივიდი გარკვეული ქმედებისკენ. კოლექტიური არაცნობიერის წარმოდგენები შეიცავენ ყველაფერს, რაზეც ფიქრობდა და რასაც გრძნობდა კაცობრიობა – როგორც მშვენიერს და დიადს, ასევე საძაგელსა და ბარბაროსულს. სპეციფიკური ენერგიით თავისი დამუხტულობის გამო ის ცნობიერებაზე მოჯადოებისა და გატაცების ძალის მატარებელია, რამაც შეიძლება სერიოზულად იმოქმედოს სუბიექტზე და შეცვალოს იგი. ამას შეიძლება დავაკვირდეთ რელიგიური მოქცევის, სუგესტიისა და, განსაკუთრებით, შიზოფრენიის გარკვეული ფორმების დროს.

არქეტიპები იმდენივეა, რამდენიც ტიპური ცხოვრებისეული სიტუაცია, ე.ი. ძალიან ბევრი. იუნგი გამოყოფს რამდენიმეს, რომლებსაც, მისი აზრით, უმთავრესი მნიშვნელობა აქვთ პიროვნების ფორმირებისა და ფუნქციონირების თვალსაზრისით. ესენია: პერსონა, ჩრდილი, ანიმა, ანუსი და თვითონი. *პერსონა* ნიღაბია, რომელსაც ყველა ადამიანი ატარებს სხვებთან ურთიერთობისას. მისი საშუალებით ადამიანი თავს ისეთად და ისე წარმოაჩენს, როგორი სახითაც სურს, რომ საზოგადოებამ მიიღოს და შეაფასოს იგი. ეს ნიღაბი შეიძლება ადამიანის რეალურ ბუნებას ფარავდეს. პერსონა იძერწება სოციალური მოთხოვნების, დადგენილი წესებისა და მისაღები პიროვნული თვისებების ზემოქმედებით. იგი მოიცავს ამ პიროვნებისთვის ტიპურ როლებს, ქცევის სტილს, ურთიერთობების მანერას და ა.შ. პერსონა, როგორც არქეტიპი, მომდინარეობს ცხოველური და ისტორიული გამოცდილებიდან და აფიქსირებს იმ უდიდეს მნიშვნელობას, რომელიც მასში როლურ ურთიერთობებს ენიჭება. იგი აუცილებელია სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დასამყარებლად. მაგრამ, თუ სუბიექტი მთლიანად იდენტიფიცირებულია პერსონასთან, ამ უკანასკნელმა შეიძლება „გაგუდოს" ინდივიდუალობა. ადამიანი თავისი რეალური ბუნებისგან გაუცხოვდება და მხოლოდ როლის შემსრულებელ არსებად იქცევა. აქედან გასაგებია, რატომ უწოდა იუნგმა პერსონას „კონფორმულობის არქეტიპი".

თუ პერსონა, ასე თუ ისე, სოციალურ ადაპტაციასთანაა დაკავშირებული, *ლანდის არქეტიპი* პირიქით, სოციალურად მიუღებელ აზრებს, გრძნობებს და მოქმედებებს წარმოაჩენს. ლანდი შეიცავს ადამიანში მოცემულ ცხოველურ, ინსტინქტურ წარსულს. ამ არქეტიპის სიმბოლიზაცია პირველი ცოდვის, ეშმაკის ან მტრის ხატებით ხორციელდება. ლანდის არქეტიპი განაპირობებს ცნობიერებას და აქტივობაში უსიამოვნო და სოციალურად მიუღებელ აზრებს, გრძნობებს და ქმედებებს. ლან-

დის არქეტიპში მოქცეული პრიმიტიული და უარყოფითი ტენდენციები შეიძლება იმალებოდნენ პერსონის ნიღბის უკან ან იდევნებოდნენ პირად არაცნობიერში. ამავე დროს, ლანდს დადებითი ასპექტიც აქვს – იგი ინსტინქტური სასიცოცხლო ძალის შემცველია; გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევისა და სათანადო არხში მიმართვის შემთხვევაში, ის შეიძლება სპონტანურობის, შემოქმედებითი აღტკინების, ემოციური და გონებრივი გასხივოსნების წყარო გახდეს, რის გარეშეც პიროვნების სრულფასოვანი ცხოვრება ძნელი წარმოსადგენია.

ანიმასა და ანიმუსის არქეტიპებში ვლინდება იუნგის მიერ მითითებული გარემოება, რომ ყოველ ადამიანში მოცემულია საწინააღმდეგო სქესის გარკვეული თავისებურებები. ანიმა განასახიერებს ქალურ (ფემინურ) ნიშნებს მამაკაცის ფსიქიკაში, ხოლო ანიმუსი მამაკაცურს (მასკულინურს) – ქალში. ეს არქეტიპები ნაწილობრივ ემყარება ორგანიზმში ორივე სქესის ჰორმონების არსებობის ბიოლოგიურ ფაქტს. ისტორიული განვითარების კუთხით, მათში დაფიქსირებულია საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობის გამოცდილებასთან დაკავშირებული განცდები. ამის შედეგად მამაკაცის არაცნობიერმა სამყარომ (კოლექტიურმა არაცნობიერმა) გარკვეული ფემინიზაცია განიცადა, ხოლო ქალისამ – მასკულინიზაცია.

ყველაზე მნიშვნელოვანი არქეტიპი *თვითობაა*. ეს ცნება, ალბათ, ყველაზე ძნელად გასაგებია იუნგის სისტემაში. თვითონის ფუნქცია ფსიქიკური ცხოვრების ყველა ასპექტისა და ნაწილის გაერთიანება-მოწესრიგებაა. იგულისხმება როგორც ცნობიერი, ისე არაცნობიერი ფსიქიკა. თვითობა აკავშირებს ცნობიერებასა და არაცნობიერს. უფრო მეტიც, თვითობა პიროვნების მთლიანობას, მისი ყველა მხარის ინტეგრირებასა და ჰარმონიზაციას განაპირობებს. სხვა არქეტიპებისა არ იყოს, თვითობა ახდენს ქცევის მოტივირებას, კერძოდ, იწვევს მთლიანობისა და სისრულის ძიების სურვილს. ყველაზე თვალნათლივ ეს ადამიანთა რელიგიურ მისწრაფებებში გამოიხატება. ქრისტე, მუჰამედი, ბუდა თვითობის არქეტიპის პერსონალიზებული სიმბოლოებია. სიზმრებსა და ოცნებებში იგი ხშირად გამოიხატება როგორც ე.წ. „მანდალა“ (წრესთან შეხამებული კვადრატი); ეს საკრალური ფიგურა ბუდიზმსა და ინდუიზმში გამოიყენება როგორც მედიტაციის დამხმარე საშუალება. იუნგისთვის იგი სულიერი სამყაროს წინააღმდეგობრივ მხარეთა ერთიანობის გამომხატველი იყო. აღსანიშნავია, რომ შეხედულება თვითობის არქეტიპზე იუნგმა, დიდწილად, აღმოსავლური რელიგიების შესწავლის საფუძველზე ჩამოაყალიბა, სადაც რიტუალური პრაქტიკები სამყაროს მთლიანობისა და მასთან ერთიანობის გზად გვევლინება [44].

თვითობა შეიცავს მე-ს თვითრეალიზაციის ტენდენციას და ამიტომ პიროვნული განვითარების მექანიზმის ქვაკუთხედია. განვითარება, იუნგის მიხედვით, შიგნიდან დეტერმინირებული პროცესია, რომელიც მიმართულია არაცნობიერში იმთავითვე მოცემული პიროვნების შინაგანი ბირთვის – თვითობის გახსნასა და ჩამოყალიბებაზე. აქ იუნგს შემოაქვს *ინდივიდუაციის* ცნება, რომელიც ერთ-ერთი ცენტრალურია მის მოძღვრებაში [46]. ინდივიდუაცია მთელის წარმოქმნის, საკუთარ თვითობად გახდომის პროცესია. იგი ხელს უწყობს თვითობას, გადაიქცეს პი-

როვნების ცენტრად, რაც, თავის მხრივ, ინდივიდის თვითრეალიზაციას განაპირობებს. თვითრეალიზაცია ნიშნავს პიროვნების მიერ ყველა თავისი ინდივიდუალური თავისებურების აქტუალიზაციას. ინდივიდუაციის ამ ბოლო წერტილს მხოლოდ განსაკუთრებული თვისებებითა და შესაძლებლობებით დაჯილდოებული ინდივიდები აღწევენ. მაგრამ პიროვნების სხვადასხვა ძალის ინტეგრირებას ერთ მთლიანში, რომლის ცენტრი თვითონის არქეტიპია, ადამიანთა უმრავლესობა დაახლოებით 35-40 წლის ასაკში აღწევს. იუნგის მიხედვით, ეს არის პიროვნული განვითარების კრიტიკული პერიოდი (ე.წ. შუა ხნის კრიზისი), რომელიც ხშირად საკმაოდ რთულად მიმდინარეობს, მაგრამ, საბოლოოდ, სასიკეთო ტრანსფორმაციით მთავრდება.

როგორც ითქვა, არქეტიპებს ზეპიროვნული, აუცილებელი და საყოველთაო ხასიათი აქვთ. ამ კონტექსტში იუნგი განიხილავს კოლექტიური არაცნობიერის ტვინთან კავშირის საკითხს. მას მიაჩნია, რომ კოლექტიური არაცნობიერი ტვინის სტრუქტურის ნაწილია და მასთან ერთად მემკვიდრეობით გადაეცემა ინდივიდს. „ტვინში ჩადებულია პრეფორმირებული ინსტინქტები, აგრეთვე ის პირველყოფილი ტიპები ან ხატები და საფუძვლები, რომელთა შესაბამისად ოდითგანვე ყალიბდებოდა მთელი კაცობრიობის აზრები და გრძნობები; აქვე შედის მითოლოგიური თემების უზარმაზარი სიმდიდრე" [43; 154]. მაშასადამე, არქეტიპების თანდაყოლილობა და საყოველთაოობა მათი ტვინთან კავშირით არის განპირობებული. ეს არ ნიშნავს, რომ არაცნობიერი და, საზოგადოდ, ფსიქიკური ერთმნიშვნელოვნად არის დეტერმინირებული ტვინის სტრუქტურით. ასე რომ ყოფილიყო, ფსიქოლოგია ფიზიოლოგიაზე იქნებოდა დაყვანილი. იუნგი კატეგორიული წინააღმდეგია ფსიქიკურის სხვა ბუნების მოვლენებით ახსნისა. ასევე ეწინააღმდეგება თვით ფსიქოლოგიის ექსპანსიას სხვა სფეროებში, მაგალითად ხელოვნებასა და რელიგიაში. ხელოვნებას მხოლოდ იმდენად შეიძლება შეეხოს ფსიქოლოგია, რამდენადაც იგი თავის მხატვრულ პრაქტიკაში ფსიქიკური მოქმედებაა. მაგრამ ფსიქოლოგია ვერაფერს იტყვის ხელოვნების არსზე, ვინაიდან ეს უკანასკნელი სპეციალური, ესთეტიკურ-მხატვრული განხილვის საგანია. იგივე ითქმის რელიგიაზეც. ხელოვნება და რელიგია არ არის ფსიქოლოგიის ქვეგანაყოფი. მიუხედავად ამისა, ფსიქოლოგია არცთუ იშვიათად იჭრება მისთვის უცხო სფეროში, რაც სერიოზულ საფრთხესთან არის დაკავშირებული: „ასევე იოლად შეიძლება ანგარიში გაუსწორონ ფსიქოლოგიას და ნულამდე დაიყვანონ მისი განუმეორებელი ღირებულება, მისი არსი. ფსიქიკა შეიძლება განიხილონ როგორც თავის ტვინის რუხი ნივთიერების უბრალო ფუნქციონირება, რაც, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მოქმედების სხვა სახეებთან ერთად, არ სცდება ფიზიოლოგიის ცნობილი ქვეგანაყოფის ფარგლებს. ყველამ იცის, რომ ასეთი რამ ადრეც ხდებოდა" [44; 267]. ამის მაგალითად გამოდგება ფსიქიკური დაავადებებისადმი ისეთი მიდგომა, როცა მათ მიზეზად ცალსახად მიჩნეულია ორგანული ან ფიზიკური დაზიანება. ამგვარი დაზიანება უთუოდ უნდა არსებობდეს, თუმცა შეიძლება ვერ აღმოვაჩინოთ დიაგნოსტიკური საშუალებების არასრულყოფილების გამო. უეჭველი კავშირი ფსიქიკასა და ტვინს შორის, გარკვეულწილად, ამყარებს ასეთ თვალსაზრისს. მაგრამ, სანამ ზუსტად არ არის დამტკიცებული,

რომ ნევროზის შემთხვევაში მართლაც ადგილი აქვს ტვინის ორგანული პროცესების დარღვევას, შეუძლებელია გადაჭრით ვამტკიცოთ, თუ რას წარმოადგენენ არსებული ენდოკრინული დარღვევები – მიზეზს თუ შედეგს. სამაგიეროდ, არავინ კამათობს იმაზე, რომ ნევროზის უეჭველი მიზეზები თავისი წარმოშობით ფსიქიკურია.

იუნგის მიხედვით, ფსიქიკური, საზოგადოდ, ფსიქიკურითვეა დეტერმინირებული. თუმცა დეტერმინიზმი არ ნიშნავს აუცილებლად მიზეზობრივ კავშირს ფსიქიკურ მოვლენებს შორის. იუნგის აზრით, კაუზალობის ცნება იმ სახით, როგორც საერთოდ იხმარება მეცნიერებაში, არ არის საკმარისი ფსიქოლოგიისთვის. კაუზალობა – ამბობს იუნგი – მხოლოდ ერთი პრინციპია. ფსიქოლოგია, თავისი არსით, მხოლოდ კაუზალობით ვერ ამოიწურება, ვინაიდან ფსიქიკა მიზანმიმართულიცაა [48]. ამიტომ, კაუზალობის პრინციპთან ერთად, რომელიც ნიშნავს მოვლენის გამოწვევას წინა მოვლენის მიერ, საჭიროა *ტელეოლოგიური პრინციპიც,* რომელიც აწმყო მოვლენის მომავლით ახსნას ითვალისწინებს. ამდენად, იუნგის პოზიცია ფსიქიკურის ფსიქიკურით დეტერმინირებულობის შესახებ, სრულებითაც არ გულისხმობს ფსიქიკური მოვლენების განხილვის რაციონალურ-პოზიტივისტურ წესს. „ირაციონალური ფაქტი, რასაც ფსიქიკაც წარმოადგენს, ბევრად უკეთ აღიწერება ხატოვან ფორმაში" [44; 161]. ამიტომაცაა, რომ არქეტიპული შინაარსების მანიფესტაცია, გამოვლინება მითოლოგიური და რელიგიური თემების, დოგმატური და ირაციონალური წარმოდგენების სახით ხდება. აქედანვე გამომდინარეობს იუნგის ინტერესი ისეთი ირაციონალური სფეროების მიმართ, როგორებიცაა ალქიმია და ასტროლოგია. არქეტიპული სიმბოლიკის განმარტებისას იგი უხვად იყენებს ამ სფეროებში არსებულ მასალას.

გვიანდელ შრომებში იუნგმა შემოიტანა ე.წ. *სინქრონულობის პრინციპი* [47]. იგი ნიშნავს გარკვეული ფსიქიკური მდგომარეობისა და ერთი ან რამდენიმე გარე მოვლენის ერთდროულ მიმდინარეობას, რომელთა მნიშვნელობა (აზრი) ემთხვევა ერთმანეთს. სინქრონულობას სხვადასხვა ფორმა აქვს: ზოგი ერთმანეთთან აკავშირებს ადამიანებსა და მოვლენებს, დაშორებულს მანძილით, ზოგი – დროით; მთავარი ისაა, რომ ეს კავშირი შემთხვევითი არ არის. ის კანონზომიერია, მაგრამ არა მიზეზობრივი ან ფიზიკური, არამედ „ფსიქოიდური" ხასიათის. სინქრონულობის გამოვლინებაა მიმართება რაიმე აზრსა და ობიექტურ მოვლენას შორის (რაიმეს გაიფიქრებ ან დაგესიზმრება და აგიხდება). ასეთი *აკაუზალური* კავშირის დაშვებით იუნგი ცდილობდა, გაეხსნა არქეტიპის გაუგებარი, მიუწვდომელი ბუნება და დაეკავშირებინა ის სულიერი ცხოვრების აქამდე აუხსნელ გამოვლინებებთან. ყველა ადამიანის კოლექტიურ არაცნობიერში მოთავსებულია წარმოდგენების ერთობლიობა, რომელიც არ არის დამოკიდებული დროსა და სივრცეზე. კოლექტიური არაცნობიერის არქეტიპებია პირველწყარო ისეთი ფენომენებისა, როგორებიცაა: სიზმრის ახდენა, ტელეპათია, ტელეკინეზი, ნათელმხილველობა, მაგიური პრაქტიკები, კლინიკური სიკვდილის განცდები და სხვა პარანორმალური და ექსტრასენსორული მოვლენები. იუნგს სჯეროდა, რომ ჩვენი სიღრმისეული არაცნობიერი წარმოდგე-

ნები და აზრები მიმდინარე თუ დაშორებულ გარე მოვლენებთან რეზონანსში, გარკვეულ შესაბამისობაში იმყოფებიან. სამწუხაროდ, იუნგი არაფერს ამბობს იმაზე, როგორაა ეს შესაძლებელი; რომელი კანონზომიერების გამოვლინებაა სინქრონულობა? იგი შემოიფარგლება ნეგატიური დახასიათებებით, კერძოდ, რომ სინქრონული მოვლენები არ არის შემთხვევითი, რომ მათ არ მიეყენება სივრცის, ენერგიისა თუ სხვა ფიზიკური ცნებები და, შესაბამისად, არც მიზეზობრიობის კატეგორია. მითითება იმაზე, რომ მათში არქეტიპები იჩენენ თავს, სინქრონულ მოვლენათა პოზიტიურ დახასიათებად და, მით უფრო, მათ ახსნად ვერ ჩაითვლება.

არაკაუზალური კავშირები მოვლენებს შორის, რა თქმა უნდა, არსებობს. დეტერმინიზმის სფეროში შედის კავშირის არამიზეზობრივი ფორმებიც, მათ შორის მიზნობრივიც. მაგრამ გაუგებარი რჩება, რა ტიპის კავშირს მიეკუთვნება სინქრონულობის საფუძველში ნაგულისხმები აკაუზალური კავშირი სულიერ და მატერიალურ მოვლენებს შორის. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ თავად სინქრონულობა, როგორც არაშემთხვევითი და კანონზომიერი ფენომენი, სრულებითაც არ არის დასაბუთებული და უეჭველი. ის გარემოება, რომ რაიმე ფსიქიკურ შინაარსსა და მატერიალურ ხდომილებას (მაგალითად, ფიზიკურ მოქმედებას) ერთნაირი საზრისი (მნიშვნელობა, სემანტიკა) აქვთ, მათ ურთიერთკავშირზე არ ლაპარაკობს. ის გარემოება, რომ პირველ სართულზე მცხოვრები ადამიანი რატომღაც ამბობს სიტყვას ადექი და მეათე სართულზე მცხოვრები ადამიანი ამ დროს დგება სკამიდან, ნამდვილად არ იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ ამ ორ მოვლენას შორის რაიმე კავშირი არსებობს. სემანტიკური ერთიანობა, თავისთავად, არაფრის მთქმელია, ვინაიდან რეალური კავშირი მხოლოდ მოვლენათა ურთიერთქმედებაში ვლინდება, თანაც იგი კანონზომიერი უნდა იყოს. აქ კი მხოლოდ დროში დამთხვევა ჩანს და არაფრიდან ჩანს, რომ ეს შემთხვევითი არ არის. მოსაზრება იმის შესახებ, რომ ყველაფერი ყველაფერთან არის დაკავშირებული, ხოლო არქეტიპები საერთოდ ჯადოსნური თვისებებითაა დაჯილდოებული, დღეს გაბატონებული მეცნიერული პარადიგმისთვის გაუგებარი და მიუღებელია.

რამდენადაც არქეტიპებს აქვთ ტენდენცია, შექმნან გარკვეული ფსიქიკური ფორმები, საჭიროა მოინახოს ფსიქოლოგიური მასალა, რომელშიც ისინი ამჟღავნებენ თავის თავს. მინიშნებებს კოლექტიური არაცნობიერის შინაარსის შესახებ იუნგი ფსიქოპათოლოგიურ პრაქტიკაშიც პოულობდა, კერძოდ, ავადმყოფური ფანტაზიის მასალებში. მაგრამ კოლექტიური არაცნობიერის წვდომის ყველაზე ხელმისაწვდომი და ინფორმაციული წყარო სიზმრებია. ეს ასეა, ვინაიდან სიზმრები არაცნობიერი ფსიქიკის უნებლიე და სპონტანური ქმნილებებია. მათ ბუნებრივი ხასიათი აქვთ და არ არიან ფალსიფიცირებული რაიმე ცნობიერი მიზნით. იუნგი აღნიშნავს, რომ სწორედ სიზმრების შესწავლამ მიმართა ფსიქოლოგია ცნობიერი ფსიქიკური მოვლენების არაცნობიერი ასპექტებისკენ. იგი ძალიან სერიოზულად უდგებოდა სიზმრების ანალიზისა და ახსნის საკითხს.

იუნგი აღიარებდა ფროიდის დიდ დამსახურებას სიზმრის ბუნების გარკვევის საქმეში, მაგრამ არ მიაჩნდა მართებულად მისი მოსაზრება იმის შესახებ, რომ სიზ-

მარი შირმაა, რომლის უკან იმყოფება რაღაც, რასაც ადამიანი საგულდაგულოდ მალავს. სიზმარი საკუთარ თავს თავადვე განმარტავს – ის იმად უნდა მივიღოთ, რაც არის. „სიზმარი ბუნებრივი მოვლენაა და არ არსებობს რაიმე აშკარა მიზეზი იმის დასაშვებად, რომ ის შეცდომაში შესაყვანად მოგონილი ეშმაკური ფანდია“ [7; 43]. ადასტურებდა რა ტიპური სიზმრებისა და სიმბოლოების არსებობას, იუნგს მაინც შეუძლებლად მიაჩნდა იმაზე ოცნებაც კი, რომ შეიქმნება „სიზმრების განმარტებითი ლექსიკონი“, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო ყველა სიმბოლოს მნიშვნელობას მოვძებნით. სიზმრების სიმბოლიკის გაშიფვრა ინდივიდუალურ მიდგომას მოითხოვს. არ არსებობს არც ერთი სიზმრის ერთმნიშვნელოვანი და უნივერსალური ინტერპრეტაცია; სიზმრის არც ერთი სიმბოლო არ შეიძლება განვიხილოთ იმ ადამიანისგან განყენებულად, ვინც ეს სიზმარი ნახა. სიზმრების ფუნქცია, იუნგის მიხედვით, ცნობიერების *შევსება და კომპენსაციაა*. იუნგი შემდეგნაირად ახასიათებს კომპენსაციის მექანიზმს: „ფსიქიკა თვითრეგულირებადი სისტემაა, რომელიც წონასწორობას ზუსტად ისევე ინარჩუნებს, როგორც სხეული. ყოველ მეტისმეტად შორს მიმავალ პროცესს დაუყოვნებლივ და უეჭველად მოჰყვება კომპენსაცია. მის გარეშე არც ნორმალური მეტაბოლიზმი იქნებოდა და არც ნორმალური ფსიქიკა. ამ კუთხით, კომპენსაციის თეორია ფსიქიკური ქცევის ძირითად კანონად შეიძლება მივიჩნიოთ. ერთ მხარეზე არსებული დანაკლისი მეორე მხარის სიჭარბით კომპენსირდება. ცნობიერსა და არაცნობიერს შორის მიმართება კომპენსატორულია. ეს სიზმრის ინტერპრეტაციის მრავალნაკადი ხერხია. ყოველთვის, როდესაც სიზმრის ახსნას შევუდგებით, კარგი იქნება ვიკითხოთ, თუ რომელი ცნობიერი ატიტუდის კომპენსაცია ხდება“ [5; 310]. ატიტუდი ამ შემთხვევაში ექსტრავერსია-ინტრავერსიის თვისებას გულისხმობს. ექსტრავერტული პიროვნება თავის არაცნობიერში, ე.ი. სიზმარში, ინტრავერტულია, და პირიქით. კომპენსაციის მექანიზმი ეხება ფსიქიკისა და პიროვნების ყოველგვარ თვისებას თუ პროცესს. მაგალითად ადამიანი, რომლის ცნობიერებაში მთავარ როლს აზროვნების პროცესი ასრულებს არაცნობიერში და, კერძოდ, სიზმარში ინტუიციაზე იქნება ორიენტირებული; შეგრძნების დომინირებული პროცესი გრძნობით კომპენსირდება და ა.შ. მაგრამ ადამიანები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან იმ გზების არჩევაში, რის მეშვეობითაც მათი არაცნობიერი (სახელდობრ სიზმარი), კომპენსაციის ფუნქციას ასრულებს. ამდენად, სიზმრებისა და მათი სიმბოლიკის მეტნაკლებად დამაკმაყოფილებელი კლასიფიკაცია ძნელი წარმოსადგენია. კოლექტიური არაცნობიერიდან მომდინარე შინაარსები, რომელთაც უნივერსალური ხასიათი აქვთ, თავისებურად აისახება და, შესაბამისად, თავისებურად ვლინდება ინდივიდუალურ ფსიქიკაში. ამიტომ, მათ ამოსაცნობად პიროვნების ცხოვრების გზის, მისი გამოცდილებისა და ფსიქიკურ-ხასიათობრივი თავისებურებების გათვალისწინებაა აუცილებელი.

ამრიგად, ფსიქიკის კვლევისას იუნგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს კოლექტიური არაცნობიერის შესწავლას. ფსიქიკას აქვს ისტორია – ბიოლოგიურ-ცხოველური და ისტორიულ-ადამიანური. როგორც ჩვენი სხეულის სტრუქტურაა დაფუძნებული ძუძუმწოვართა საერთო ანატომიურ ნიმუშზე, ასევე ჩვენი ფსიქიკაც

დამყარებულია არქაული ფსიქიკის არაცნობიერ ფორმებზე; როგორც ბიოლოგიას სჭირდება შედარებითი ანატომია, ისე ფსიქოლოგიასაც ესაჭიროება „ფსიქიკის შედარებითი ანატომია“, რათა სიზმრები და არაცნობიერი ფსიქიკის მოქმედების სხვა პროდუქტები შეადაროს მითოლოგიურ მასალას და ამის საფუძველზე დაადგინოს ის საერთო, რაც მათ შორის არსებობს.

ცნობილია იუნგის შეხედულება პიროვნების ტიპოლოგიის შესახებ. აქ გამოყენებული ცნებები უკვე ვახსენეთ კომპენსაციის მექანიზმზე საუბრისას. პირველ ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ექსტრავერსია და ინტრავერსია, რომლებმაც მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრეს ფსიქოლოგიის ცნებით აპარატში. ტიპოლოგიის საფუძვლად აღებულია ადამიანის ორი სახის მიმართულობა (ატიტუდი): გარეთ – *ექსტრავერსია* და შიგნით – *ინტრავერსია*. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყოველ ადამიანს ორივე ატიტუდი აღენიშნება. ამიტომ ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ერთ-ერთის დომინირებაზე. მაშასადამე, ტიპი გამოყოფილი თვისების შედარებით სიჭარბეს ნიშნავს. ექსტრავერსია-ინტრავერსიის პარამეტრი არ ამონურავს ინდივიდუალობათა ყველა შესაძლო გამოვლინებას. იუნგს დამატებით შემოაქვს ისეთი დისკრიმინაციული ნიშანი, როგორიცაა ფსიქიკური ფუნქცია. იგი ოთხ ძირითად ფუნქციას გამოყოფს: *აზროვნებას, ემოციას, შეგრძნებასა და ინტუიციას*. ამ ფუნქციების საშუალებით ადამიანი ორიენტაციას ახდენს გარე და შიგა სამყაროში, ასახავს და შეისწავლის მას. აზროვნება მოვლენების არსისა და მნიშვნელობის გაგებას ემსახურება; გრძნობის (ემოციის) საშუალებით ხდება მოვლენების სუბიექტური შეფასება; შეგრძნების (პერცეფციის) ფუნქცია რეალობის უშუალო, პირველადი ასახვაა; რაც შეეხება ინტუიციას, ის მიმართულია ადამიანის მიერ ინფორმაციის მოპოვებაზე. აქ მნიშვნელოვან როლს ასრულებს: ადამიანის შესაძლებლობები, გამოცდილება, მომავალი მიზნები და არაცნობიერი პროცესები. აქტუალური მოცემულობა ამ პარამეტრებში აისახება. შესაბამისად, ინტუიციისთვის დამახასიათებელია წინათგრძნობა, მიხვედრა, გაბრწყინება. ერთ-ერთი ფუნქციის დომინირების მიხედვით (ე.წ. *უმაღლესი ფუნქცია*), ჩამონათვალის შესაბამისად, გამოიყოფა *ინტელექტუალური, სენტიმენტალური, სენსიტიური და ინტუიციური ტიპი*. ექსტრავერსია-ინტრავერსიისა და ფუნქციური პარამეტრების გათვალისწინებით ვიღებთ პიროვნების რვა ტიპს (მაგალითად, ექსტრავერტულ-ინტელექტუალურ ან ინტრავერტული-ინტუიციურ ტიპს). დიფერენციალურ ფსიქოლოგიაში ეს ერთ-ერთი გავრცელებული ტიპოლოგიაა. მის საფუძველზე შეიქმნა პიროვნების კვლევის ტესტი (მაიერს-ბრიქსის ტიპის ინდიკატორი).

ექსტრავერტული და ინტრავერტული განწყობის ცნება საყრდენია იუნგისთვის ძალზე მნიშვნელოვანი საკითხის, სახელდობრ, აღმოსავლური და დასავლური მენტალობის თავისებურებათა დახასიათებისთვის. აღმოსავლეთში ინტრავერტირებული განწყობაა გავრცელებული, „რომელიც უსპობს მნიშვნელობას გარე სამყაროს და ანიჭებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სუბიექტურ ფაქტორს“ [6; 52]. ეს აისახება ცხოვრების წესშიც და რელიგიურ წარმოდგენებშიც. აღმოსავლეთს სწამს „თვითდახსნისა“, რომ ადამიანი არის ერთადერთი მიზეზი თავისი უმაღლესი განვი-

თარებისა; მას თავადვე შეუძლია მიაღწიოს „სამადის“ მენტალურ მდგომარეობას, სადაც ეგო პრაქტიკულად განზავდება და მოხდება თვითგანთავისუფლება ყოფიერების ყოველგვარი სიმძიმისგან. დასავლეთის ექსტრავერტირებული განწყობა „ობიექტურობის“ მანიითაა შეპყრობილი. იგი გარე სამყაროზეა ორიენტირებული, მას არ ძალუძს, საკუთარ თავში იპოვოს თვითგადარჩენის გზა, გზა შეუზღუდაობისა და მარადიულობისკენ. სულიერი ჰარმონიის მიღწევისათვის აუცილებელი ეს მომენტები ისევ გარეთ არსებულ ძალაზე, ერთიან ღმერთზე აქვს გადაბარებული. თუმცა, ამავე დროს, დასავლეთის პრაგმატული ორიენტაცია ბევრი პრაქტიკული სიკეთის წყაროცაა. „აღმოსავლეთში ფასობს სიბრძნე, სიმშვიდე, განდგომილობა, სულის ინერცია, რომელიც შემობრუნდა თავისი ბუნდოვანი სათავეებისკენ, უკან დატოვა ცხოვრების ყველა მწუხარება და სიხარული“ [6; 60]. ამდენად, ორივე ეს განწყობა ცალმხრივია. იუნგის დასკვნა არსებითად განსხვავდება იმ თანამედროვე ზოგადინტეგრაციული პოზიციისგან, რომელიც აღმოსავლურ და დასავლურ მენტალობებს შორის ხიდების გადებას გულისხმობს. იუნგის აზრით, განსხვავება ამ ორ განწყობას შორის იმდენად დიდია, რომ მათი ერთმანეთში შერევა ისევე შეუძლებელია, როგორც ცეცხლისა და წყლის. მათი თვითმყოფადობის შენარჩუნების თვალსაზრისით, ეს არცაა სასურველი. შეუძლებელია, იყო ბუდა და თაყვანს სცემდე ღმერთს, ისევე როგორც შეუძლებელია, იყო კეთილი ქრისტიანი და თვითონვე გაითავისუფლო თავი საკუთარი ცოდვებისგან.

როგორც ითქვა, იუნგი სახელგანთქმული ფსიქოთერაპევტი იყო. ფსიქოთერაპიის ძირითად ამოცანას იგი პიროვნების ცნობიერ და არაცნობიერ სფეროებს შორის ნორმალური კავშირისა და ურთიერთობის დამყარებაში ხედავდა. პაციენტი მთლიანობაში უნდა განიხილებოდეს. თერაპია ანალიტიკოსისა და პაციენტის ძალისხმევათა გაერთიანებაა. უფრო მეტიც, როგორც სიღრმის ფსიქოლოგიის წარმომადგენელი, იუნგი თვლიდა, რომ ფსიქოთერაპია, პირველ ყოვლისა, ანალიტიკოსისა და პაციენტის არაცნობიერის ურთიერთობაა. მკურნალობის პროცესი ორ სტადიად იყოფა – ესენია *ანალიზური და სინთეზური* სტადიები. ანალიზური სტადია, თავის მხრივ, ორ ეტაპს გაივლის. პირველ ეტაპზე (ე.წ. *აღსარება)* ხდება მასალის შეგროვება. ანალიტიკოსის დახმარებით პაციენტი საუბრობს თავის ცხოვრებაზე, პრობლემებზე, განცდებზე, სიზმრებზე და ა.შ. ამ დროისთვის პაციენტი უკვე თერაპევტზე დამოკიდებული ხდება. მეორე ეტაპზე (ე.წ. *განმარტება)* მიმდინარეობს აღსარების მასალის ინტერპრეტაცია. აქ იუნგის ყურადღების ძირითადი ობიექტია სიზმრები და სიმბოლოები. პაციენტს საკუთარი თავისა და გარესამყაროს ახლებური გაგება უყალიბდება და, ამავე დროს, კიდევ უფრო დამოკიდებული ხდება თერაპევტზე; მკურნალობის სინთეზურ სტადიაზე, აგრეთვე, ორი ეტაპი გამოიყოფა: *დასწავლა და ტრანსფორმაცია*. ანალიზურ სტადიაზე მიღწეული გაგება და განმარტება საჭიროა, მაგრამ საკმარისი არ არის. შემდგომი საკმაოდ რთული და მნიშვნელოვანი ამოცანა დასწავლაა. ამ ეტაპზე პაციენტს ახალი ჩვევები, ქცევისა და რეაგირების ახალი სტერეოტიპები უყალიბდება. მკურნალობის ბოლო ეტაპი ეძღვნება პაციენტის ანალიტიკოსზე დამოკიდებულების მაქსიმალურ შესუსტებას,

ტრანსფორმაციას. აქცენტი გადადის თვით პაციენტზე, მის თვითგანათლებაზე, თვითსრულყოფაზე; ამის შედეგად იგი სულ უფრო პასუხისმგებელი ხდება საკუთარ განვითარებაზე. იუნგისეული ფსიქოთერაპიის სრულყოფაზე დღესაც ზრუნავენ მისი მიმდევრები [20].

იუნგის მეთოდოლოგიური პოზიცია კიდევ უფრო გაორებულია, ვიდრე ფროიდისა. ერთი მხრივ, არსებობს მისი ზუსტი მეცნიერული გამოკვლევები (მაგალითად, ასოციაციურ ექსპერიმენტთან დაკავშირებით) და დეტერმინისტული გამონათქვამები; მეორე მხრივ, ისეთი პრინციპები შემოაქვს, რომლებიც, მისივე თქმით, ფსიქოლოგიას საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიღმა ტოვებს. ეს ეხება ზემოთ აღნიშნულ ტელეოლოგიურ ან, უფრო სწორად, ე.წ. *სინქრონულობის პრინციპს,* რომელიც ფიზიკურ და ფსიქიკურ მოვლენათა შორის „აკაუზალურ კავშირებს" გამოხატავს. იუნგის ამ მოსაზრებებმა დღემდე ვერ პოვეს ემპირიული დასაბუთება. სპეციალისტების უმრავლესობა თანხმდება, რომ, თანამედროვე კრიტერიუმებით ისინი აშკარად გადიან არა მარტო ბუნებისმეტყველების, არამედ, საზოგადოდ, მეცნიერების ფარგლებს გარეთ. იუნგის ალქიმიური, ასტროლოგიური, სპირიტუალისტური და პარაფსიქოლოგიური ჩაღრმავებები ყოველთვის იწვევდა აკადემიური მეცნიერების ბუნებრივ პროტესტს; თუმცა ასევე ბუნებრივი იყო მისი სისტემით აღფრთოვანება იმათი მხრიდან, ვინც მისტიკურ ცნობიერებას ყველაფერზე მეტად აფასებს. თვით იუნგის სულიერებაში მეცნიერება და მისტიკა უცნაურად თანაარსებობდა.

საზოგადოდ, ყველა პრეტენზია, რომელიც ფსიქოანალიზის დებულებების დასაბუთებულობასა და ვერიფიცირებადობას ეხება, სრულად მიეყენება ანალიზურ ფსიქოლოგიასაც. იუნგს ხშირად აკრიტიკებდნენ იმის გამოც, რომ მის კონცეფციაში ნაკლებად იგრძნობა აზროვნების ნათლად სტრუქტურირებული სისტემა. იუნგის მოძღვრების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მცოდნის სიტყვებით: „ზოგჯერ გეჩვენება, რომ მის მიერ დაწერილი ემსგავსება რაღაც მიახლოებითს და არ წარმოადგენს ფორმალურად, ლოგიკურად ან, თუნდაც, სისტემატიურად გადმოცემულ იდეებს" [38; 108]. ეს ხარვეზი საკმაოდ ნათლად იჩენს თავს იუნგის მოსაზრებებში კოლექტიური არაცნობიერისა და არქეტიპების შესახებ, რაც იუნგის სისტემის ბირთვია და მაინც აღსავსეა ბუნდოვანი, ზოგჯერ წინააღმდეგობრივი დებულებებით. მაგალითად, რეალურად საკმაოდ რთულია იმის გაგება, თუ როგორი მიმართებაა კოლექტიური არაცნობიერისა პირად არაცნობიერსა და ცნობიერებასთან. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ზოგიერთი არქეტიპი ფსიქიკის მაღალ შრეებში ამოდის და მათი მნიშვნელოვანი ნაწილიც კი ხდება. არადა არქეტიპი, განსაზღვრების თანახმად, არ შეიძლება იყოს სხვაგან, თუ არა იმ კოლექტიურ არაცნობიერში, რომლის მთავარი ელემენტიცაა. მაგალითისთვის გამოდგება თვითობა, რომელიც ხან ცნობიერი მე-ს მასინთეზირებელ ცენტრად განიხილება, ხან კი არაცნობიერისა და ცნობიერების დამაკავშირებელ ინსტანციად. პირველ შემთხვევაში იგი ცალსახად ცნობიერი უნდა იყოს და მეორე შემთხვევაშიც უნდა ჰქონდეს ცნობიერებასთან რაღაც საერთო, სხვაგვარად მასზე მინერილ ფუნქციას ვერ შეასრულებს. ან

როგორ უნდა გავიგოთ დებულება იმის შესახებ, რომ ლანდის არქეტიპი ინდივიდუალურ არაცნობიერში იდევნება. არქეტიპის ადგილი ინდივიდუალურ არაცნობიერში არ არის. მიუხედავად ამისა, არქეტიპები, როგორც ჩანს, ივსებიან ინდივიდუალური მონაცემებით ცნობიერებიდან ან პირადი არაცნობიერიდან. სხვას რას უნდა ნიშნავდეს ის, რომ პერსონა გამოხატავს ინდივიდის თავისებურებებს და ამა თუ იმ საზოგადოებაში მიღებულ წესებს. აქედან გამომდინარე, ის ვერ ჩაითვლება არქაულად და მემკვიდრულად და, მაშასადამე, არქეტიპადაც. მიუხედავად ყოველივე ამისა, იუნგის შეხედულებებმა სერიოზული გამოძახილი პოვა კულტურის სხვადასხვა სფეროში (თეოლოგია, ისტორია, ხელოვნება და ა.შ.); ხოლო ფსიქოლოგიაში ანალიზური ფსიქოლოგიის თეორიულ იდეებსა და იუნგიანურ ფსიქოთერაპიას ამჟამადაც ჰყავს ერთგული მიმდევრები. ისინი გაერთიანებული არიან ანალიზური ფსიქოლოგიის საერთაშორისო ასოციაციაში, რომელიც ჯერ კიდევ 1955 წელს დაფუძნდა ციურიხში.

ადლერის *ინდივიდუალური ფსიქოლოგია* კლასიკური სიღრმის ფსიქოლოგიის კიდევ ერთი სერიოზული მიმართულებაა. **ალფრედ ადლერი** (1870-1937) იზრდებოდა ვენაში, საშუალო შეძლების ებრაელი ვაჭრის მრავალშვილიან ოჯახში. დაბადებიდან ძალზე სუსტი და ავადმყოფური, ადლერი გამუდმებით ებრძოდა თავის ფიზიკურ არასრულყოფილებას. ვენის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი იწყებს საექიმო პრაქტიკას, რომელმაც მალე მიიყვანა ნევროლოგიამდე და ფსიქიატრიამდე. ადლერი გაეცნო ფროიდის შრომებს, დაუახლოვდა მას და შევიდა 1902 წელს დაარსებულ „ფსიქოანალიზურ წრეში". შემდგომში მას ისეთი ფიგურები შეუერთდნენ, როგორებიცაა იუნგი და ბლეილერი. მალე ადლერი ფროიდის ერთ-ერთი უახლოესი თანამოაზრე გახდა, რომელზეც ეს უკანასკნელი განსაკუთრებულ იმედს ამყარებდა. 1907 წლიდან იწყება თეორიული უთანხმოება ადლერსა და ფროიდს შორის, რაც, ძირითადად, ამ უკანასკნელის შეხედულების პანსექსუალური ხასიათით იყო გამოწვეული. მიუხედავად ამისა, 1910 წელს ადლერს ვენის ფსიქოანალიზური საზოგადოების პრეზიდენტად ირჩევენ. 1911 წელს ფროიდი და ადლერი საბოლოოდ წყვეტენ ურთიერთობას. ადლერი იწყებს ორიგინალური კონცეფციის შექმნას და აყალიბებს ფსიქოანალიტიკოსთა ახალ ჯგუფს, რომელიც შემდგომში ინდივიდუალური ფსიქოლოგიის ასოციაციად გარდაიქმნება. პირველი მსოფლიო ომის დროს ადლერი ხელმძღვანელობდა სამხედრო ჰოსპიტალს. ომის შემდეგ იგი დაინტერესდა ბავშვების აღზრდის პრობლემებით და ვენაში დააარსა ბავშვებისა და მშობლების საკონსულტაციო ცენტრების/კლინიკების ქსელი, რომლებშიც მუშაობდნენ ექიმი, ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი. მოგვიანებით ასეთი ცენტრები სხვა ქვეყნებშიც გაიხსნა, რამაც ადლერს მსოფლიო სახელი მოუტანა.

ადლერის პოპულარობა სულ უფრო იზრდება; ინდივიდუალური ფსიქოლოგია საერთაშორისოდ აღიარებული ხდება, ტარდება კონგრესები, გამოდის ჟურნალები. 1935 წელს, ავსტრიის ნაცისტური მთავრობის მიერ ინდივიდუალური ფსიქოლოგიის აკრძალვის შემდეგ, ადლერი ოჯახით აშშ-ში გადადის საცხოვრებლად და ნიუ-იორკის სამედიცინო კოლეჯში იკავებს პროფესორის თანამდებობას. იგი

შოტლანდიაში გარდაიცვალა სალექციო ტურნეს მსვლელობისას. მეორე მსოფლიო ომის მერე კვლავ აღორძინდა ინტერესი ადლერის მიმართ. დიდი წვლილი ინდივიდუალური ფსიქოლოგიის პოპულარიზაციასა და განვითარებაში შეიტანა რუდოლფ დრაიკურსმა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ჩრდილოეთ ამერიკის ადლერიანული ფსიქოლოგიის საზოგადოებას (1952). მალე საგრძნობი გახდა ადლერის იდების გავლენა ნეოფროიდიზმსა და ჰუმანისტურ ფსიქოლოგიაზე.

ადლერი თვლიდა, რომ პიროვნების განვითარებისა და ჩამოყალიბებისთვის პირველადი და ძირეული სექსუალური მოტივაცია კი არ არის, არამედ *არასრულყოფილების განცდა* და მისი კომპენსაციის მექანიზმები. ადამიანი დაბადებიდან უსუსური და არასრულყოფილი არსებაა. იგი სრულიად უძლურია, დამოუკიდებლად შეეგუოს გარემოს, ამიტომ მშობლების მუდმივი მზრუნველობის ქვეშ იმყოფება. ეს გამოცდილება ბავშვში ინვევს არასრულყოფილების ღრმა გრძნობას ოჯახის უფრო მოზრდილ და ძლიერ წევრებთან შედარებით. იყო ადამიანი, ნიშნავს, გქონდეს არასრულყოფილების განცდა. ზოგიერთ ადამიანში ეს განცდა ზომაზე მეტად ძლიერდება და შეიძლება *არასრულფასოვნების კომპლექსის* სახე მიიღოს. ადლერი ამის სამ მიზეზს ასახელებს, ესენია: ფიზიკური ნაკლი, მშობელთა გადაჭარბებული მეურვეობა და მშობელთა უყურადღებობა. საერთოდ კი არასრულყოფილების განცდა საყოველთაო, პირველადი და ნორმალური განცდაა. ეს არ არის პასიური მდგომარეობა; იგი პიროვნების განვითარების სტიმულია, ვინაიდან მასში თავის დაძლევის ტენდენციას აჩენს. ეს ამოსავალი ლტოლვა ვლინდება ისეთი კონკრეტული მოტივაციური ტენდენციების სახით, როგორებიცაა *უპირატესობის მიღწევა* ან, უკიდურეს ვარიანტში, *ძალაუფლებისკენ სწრაფვა*. ადლერის თქმით, პიროვნების სოციალური სწრაფვების შესწავლა, არსებითად, უპირატესობის, ძალაუფლებისა და სხვებზე მბრძანებლობის განდევნილი სურვილების გაშიფვრას ნიშნავს [3]. აქ ნათლად ჩანს „ძალაუფლების ნების" შესახებ ნიცშესა და შოპენჰაუერის მიერ გამოთქმული იდეების გავლენა. მაგრამ ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ადლერი, ფაქტობრივად, იმეორებს ფროიდის ცენტრალურ იდეას არაცნობიერი ინსტინქტების თანდაყოლილობის შესახებ. ბიოლოგიური ინსტინქტური ლტოლვების ნაცვლად, ადლერი არასრულყოფილების გრძნობიდან მომდინარე სოციალურ მისწრაფებებზე ლაპარაკობს, რომელთაც პირველადი და თანდაყოლილი ხასიათი აქვთ. ისინი შეადგენენ პიროვნების მოტივაციურ ფუნდამენტს; მათზე აგებულია ე.წ. კონკრეტული *კომპენსაციის მექანიზმები,* რომელთა საშუალებითაც ხდება პირველადი არასრულყოფილების დაძლევა. ადამიანის მთელი ცხოვრება, მისი „ცხოვრების სტილი", „ფსიქიკური კონსტიტუცია", „მოძრაობის ხაზი" არის კომპენსატორული მექანიზმების რეალიზაცია კონკრეტულ ფორმებში. კომპენსაციის მექანიზმებს, კერძოდ *ცხოვრების სტილს,* ძირითადად, ადრეულ ბავშვობაში ეყრება საფუძველი. „ცხოვრების მეოთხე ან მეხუთე წლის მერე ყალიბდება *პროტოტიპი,* გარკვეული თავდაპირველი სასიცოცხლო ფორმა, *ფსიქიკური კონსტიტუცია,* რომელიც ავითარებს დამოუკიდებელ აქტივობას, განსაზღვრავს დასკვნებს და ათასი ვარიანტიდან შეარჩევს განვითარების საკუთარ გზას, იმას, რომელიც თავდაპირ-

ველი თავისებურებებით არის განპირობებული" [15; 174]. ცხოვრების სტილი, ერთი მხრივ, გამოხატავს ადამიანის უნიკალურობას, განუმეორებლობას; იგი ინდივიდუალურია. პირველადი, ამოსავალი მოტივაციის მსგავსების მიუხედავად, საბოლოო ჯამში, ყველა თავისებურად წყვეტს არასრულყოფილების დაძლევის ამოცანას. ამიტომ ეწოდება ამ თვალსაზრისს *ინდივიდუალური ფსიქოლოგია;* მეორე მხრივ, ფსიქიკური კონსტიტუცია ინდივიდუალობის მუდმივობას და, მაშასადამე, პიროვნების (ხასიათის) გარკვეულ ტიპს გულისხმობს.

ადლერი პიროვნების ოთხ ორიენტაციაზე ან ტიპზე ლაპარაკობს. ესენია: *მმართველი ტიპი,* მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალისტური ორიენტაციით, დომინირებისა და სხვებისადმი მტრული დამოკიდებულებით; *ამღებლური ტიპი,* რომელიც ორიენტირებულია მითვისებასა და მოპოვებაზე სხვების ინტერესების გაუთვალისწინებლად; *განრიდების ტიპი,* რომლისთვისაც მთავარია წარუმატებლობისაგან თავის არიდება და არა მიღწევისკენ სწრაფვა. ცხოვრების ეს სამივე სტილი, ძირითადად, არაადაპტურად და არაჯანსაღად უნდა ჩაითვალოს. ადაპტურს ადლერი მეოთხე, ე.წ. *სოციალურ-სასარგებლო ტიპს* უწოდებს. მასში მოცემულია ძლიერი სოციალური ორიენტირებულობა, სხვებთან ურთიერთობისა და მათზე ზრუნვის განწყობა. ასეთი პიროვნება სასიცოცხლო ამოცანებს თანამშრომლობისა და კონსტრუქციულობის ვითარებაში წყვეტს.

ადლერის თანახმად, პიროვნების ამა თუ იმ სტრუქტურისა და ორიენტაციის ფორმირებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის *დაბადების რიგითობა,* ანუ ის, თუ რიგით მერამდენეა ბავშვი, რა ადგილი უკავია ოჯახში და, აქედან გამომდინარე, რა სოციალური გამოცდილება აქვს მიღებული. პირველი შვილი ყურადღების ცენტრშია მანამ, სანამ არ გაჩნდება მეორე ბავშვი, რაც ბოლოს უღებს მის პრივილეგირებულ მდგომარეობას. ეს მძიმე განცდებს იწვევს, მათ შორის ისეთებს, როგორებიცაა: დაურწმუნებლობა და უსაფრთხოების დაკარგვა, ეჭვიანობა და მტრული დამოკიდებულება, წარსული მდგომარეობის დაბრუნების სურვილი. შედეგად, შეიძლება ჩამოყალიბდეს ავტორიტარულობა, კონსერვატიულობა, ძალაუფლებისკენ სწრაფვა, ლიდერობისკენ მიდრეკილება. ისინი ხშირად გვევლინებიან მორალური ღირებულებებისა და ოჯახური ტრადიციების დამცველებად, ახასიათებთ მოწესრიგებულობა, სერიოზულობა, სიჯიუტე, პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობის გრძნობა შეიძლება გადაჭარბებულიც იყოს, რის გამოც უფროსი შვილი ზოგჯერ ძლიერ მშფოთვარე პიროვნებად ყალიბდება. თუ „ტახტის დაკარგვასთან" შეგუება ნორმალურად არ ჩაივლის, არსებობს დიდი ალბათობა, რომ მივიღოთ პრობლემური ბავშვი, ხოლო მოზრდილობაში – დამნაშავე, ნევროტიკი, ალკოჰოლიკი, გარყვნილი პიროვნება. თუმცა, როგორც სტატისტიკა აჩვენებს, უფრო ხშირად სწორედ პირველი ბავშვები აღწევენ ცხოვრებაში დიდ წარმატებებს.

მეორე შვილი მუდამ „მდევნელის" როლშია, მისი ცხოვრების სტილი განისაზღვრება ამოცანით – აჯობოს თავის უფროს ძმას ან დას. მეორე ბავშვი იმთავითვე დაპირისპირებულია ლიდერთან, რაც მუდმივად აღძრავს მას შეჯიბრისკენ. ყველა მისი თვისება ასახავს მის მდგომარეობას ოჯახში. თავისი ბუნებით იგი ბუნტის-

თავია, რომელიც არ აღიარებს ძალაუფლებას და ავტორიტეტს. აქედან გამომდინარე, მას შეიძლება განუვითარდეს ამბიციურობა, ეჭვიანობა, პატივმოყვარეობა. საზოგადოდ კი, მეორე ბავშვებისთვის დამახასიათებელია მეტოქეობასა და წარმატებაზე მიმართულობა. ნორმის ფარგლებში, ეს ტენდენციები დადებითი სტიმულატორის როლს ასრულებენ, რის გამოც ისინი ბავშვობაში განვითარების ტემპით ხშირად აღემატებიან უფროს და-ძმას. ადლერის აზრით, ყველაზე კარგად ადაპტირებული სწორედ მეორე ბავშვია.

ყველაზე უმცროსი ბავშვის სიტუაცია თავისებურია. ერთი მხრივ, მას, ფაქტობრივად, არ აწუხებს ის პრობლემები, რომლებიც უფროსი დედმამიშვილების წინაშე დგას, რამდენადაც არასდროს ეყოლება კონკურენტი. მაშასადამე, უმცროსი ბავშვის მდგომარეობა, ფსიქოლოგიურად, ყველაზე ხელსაყრელია. ამიტომ, თუ არ არსებობს მისი ცხოვრების სხვა გამართულებელი გარემოებები, ჩვეულებრივ, უმცროსი საუკეთესოდ ვითარდება. დაწყებული პატარაობიდან და ხშირად ყმანვილობამდე, იგი გარშემორტყმულია სიყვარულით და ზრუნვით როგორც მშობლების, ისე უფროსი და-ძმების მხრიდან. იგი კეთილმოსურნეობის ატმოსფეროში იზრდება და თავადაც ასეთი დამოკიდებულება უმუშავდება სოციალური გარემოცვის მიმართ. მართალია, არსებობს საშიშროება, რომ განსაკუთრებულმა ზრუნვამ შეიძლება გაანებივროს ასეთი ბავშვი. იგი შეეჩვევა იმ აზრს, რომ მთელი სამყარო, სიცოცხლის ბოლომდე, მას უნდა ელოლიავოს და, თუ ეს მოლოდინი არ გამართლდება, თავს დაუმსახურებლად დაჩაგრულად გრძნობს, რაც დამოუკიდებლობის განცდის შესუსტებას იწვევს. მეორე საფრთხე იმაშია, რომ მოზრდილთა გარემოცვაში მყოფი ბავშვი შეიძლება სისტემატიურად გრძნობდეს თავის არასრულყოფილებას. ეს გრძნობა იმითაც იკვებება, რომ მას ნაკლები პრივილეგიები აქვს უფროს დედმამიშვილებთან შედარებით. შედეგად, შეიძლება გამოუმუშავდეს ამბიციურობა, მისწრაფება, რადაც არ უნდა დაუჯდეს, აჯობოს ყველას.

დედისერთას პრობლემა იმაშია, რომ იგი ოჯახის ცენტრია, ამიტომ მუდმივი ყურადღებისა და კონტროლის ქვეშ იმყოფება. განებივრებულობის შედეგად შეიძლება დამოუკიდებლობას მოკლებული და ეგოცენტრული პიროვნება განვითარდეს.

ადლერი საგანგებოდ იხილავს კომპენსაციის ერთ გამორჩეულ ფორმას, რომელიც გარკვეული ტიპის ცხოვრების სტილს ქმნის და მას *ჰიპერკომპენსაციას ან ზეკომპენსაციას* უწოდებს. ესაა თავისებური, არასრულყოფილებაზე განსაკუთრებით ძლიერი რეაქციის ტიპი. ამ შემთხვევაში პიროვნება საგანგებო ძალისხმევით, ნებისყოფის დიდი დაძაბვით, დაუღალავი ვარჯიშით ცდილობს, განივითაროს ის ფუნქციები და თვისებები, რომლებიც მას თავიდან არასრულყოფილად აქვს მოცემული. უდიდესი შეუპოვრობისა და შემართების შედეგად იგი უნიკალურ, უდიდეს შედეგებს სწორედ იმ სფეროში აღწევს, სადაც დეფექტი ჰქონდა. ჰიპერკომპენსაციას ფსიქიკის სფეროში თავისი ანალოგები მოეპოვება ორგანულ პროცესებში. აცრისას ორგანიზმი ავადდება, მაგრამ, ამარცხებს რა დაავადებას, იგი უფრო ჯანმრთელი და ძლიერი ხდება, ვიდრე იყო. ეს პარადოქსული ორგანული პროცესი,

რომელიც ავადმყოფობას ზეჯანმრთელობად, სისუსტეს ძლიერებად, მოწამვლას იმუნიტეტად აქცევს, ჰიპერკომპენსაციის გამოვლინებაა. ეს იმით აიხსნება, რომ რაიმე დაზიანებისა თუ საფრთხის წარმოქმნისას ორგანიზმი, როგორც მთლიანი სისტემა, თავს უყრის იმაზე მეტ სასიცოცხლო ძალებსა თუ ორგანულ რესურსებს, ვიდრე ეს კონკრეტული დარღვევის აღმოფხვრისათვის არის საჭირო; ამით იგი დაცულობის უფრო მაღალ გარანტიებს ქმნის. ფსიქიკური აპარატიც აყალიბებს ერთგვარ „ფსიქიკურ ზედნაშენს“ და განსაკუთრებულად ავითარებს ისეთ ფსიქიკურ პროცესებს, როგორებიცაა: მეხსიერება, ინტუიცია, ყურადღება, მგრძნობელობა, ინტერესი; ერთი სიტყვით, ქმნის ზესრულყოფილებას არასრულყოფილებიდან, გარდაქმნის დეფექტს ნიჭად, ტალანტად. ადლერს მრავლად მოაქვს ამგვარი მაგალითი: ბავშვობაში ენაბლუ დემოსთენე დიდი ორატორი გახდა, მანეს ასტიგმატიზმი სჭირდა, სმენადაქვეითებული ბეთჰოვენი საბოლოოდ დაყრუვდა, მაგრამ გენიალურ მუსიკას წერდა. ვილმა რუდოლფი ბავშვობაში გადატანილი პოლიომიელიტის შედეგად პარალიზებული ფეხებით სირბილში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. განსაკუთრებით ხშირად მიუთითებდა ადლერი ნაპოლეონზე, რომლის მხედართმთავრულ გენიას ნაწილობრივ მისი სიდაბლით, აგრეთვე, გარკვეული ფიზიკური დეფექტებით გამოწვეული არასრულყოფილების გრძნობით და, შესაბამისად, ამ გრძნობის დასაძლევად წარმართული ჰიპერკომპენსაციით ხსნიდა.

ცხოვრების სტილის საკითხის კონტექსტში ადლერი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს *საბოლოო მიზნის* ცნებას. „თუ ვინმე რეალობასთან შეგუებისას თავის მტკიცე საბოლოო მიზანს მეეტლის, მოძღვრის, სარდლის, ექიმის ან კაცობრიობის მხსნელის როლში ხედავს, როგორც ეს ბავშვის ფანტაზიაში ან პროფესიის არჩევანში გამოსჭვივის, მან უნდა იგრძნოს და შეაფასოს იგი მიღებული თვალსაზრისით“ [1; 139-140]. საბოლოო მიზანი პიროვნების ფორმირების საბოლოო წერტილია, მაგრამ მისი ჩანასახი ადრეულ ბავშვობაში უკვე არის მოცემული ე.წ. *პროტოტიპის* სახით. „როცა ყალიბდება პროტოტიპი – პიროვნების მიზნის განმასახიერებელი ადრეული ვარიანტი – განისაზღვრება ინდივიდის ცხოვრების მიმართულება და ორიენტირებულობა. ეს ყველაფერი შესაძლებლობას გვაძლევს, ვიწინასწარმეტყველოთ, თუ რა მოხდება მის შემდგომ ცხოვრებაში“ [2; 7]. ამ კონტექსტში ადლერი ლაპარაკობს „აპერცეფციის პირად სქემებზე“, რაც იმას ნიშნავს, რომ ბავშვი აღიქვამს სხვადასხვა სიტუაციას არა ისე, როგორც სინამდვილეშია მოცემული, არამედ თავისი, უკვე შექმნილი დამოკიდებულებებისა და ინტერესების შესაბამისად. პროტოტიპის სტრუქტურაში შედის როგორც არასრულყოფილების გრძნობა, ისე მისი კომპენსაციის გარკვეული მოდელები, ანუ დაცვითი მექანიზმები. ფაქტობრივი, კონკრეტიზებული საბოლოო მიზნის უკან ყოველთვის დგას ინდივიდის სურვილი, კომპენსაცია გაუკეთოს თავის ნაკლოვანებას, შეეგუოს რეალურ ცხოვრებას. ყოველივე ეს განსაზღვრავს ადამიანის მსოფლმხედველობას, მის ქცევას. საერთოდ, ადამიანის ქცევის ახსნისას ადლერი, კაუზალური მიდგომის ნაცვლად, ე.წ. *ფინალური ან ტელეოლოგიური* თვალსაზრისიდან ამოდის – იმისთვის, რომ გავიგოთ ადამიანის ქცევა, უნდა ვიცოდეთ საბოლოო მიზანი (რომელსაც იგი,

შესაძლებელია, ადეკვატურად ვერც აცნობიერებდეს) და, საერთოდ, მისი ცხოვრების სტილი. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ვინინასწარმეტყველოთ, თუ როგორ მოიქცევა გარკვეული ინდივიდი ამა თუ იმ სიტუაციაში. სწორედ ესაა ინდივიდუალური ფსიქოლოგიის მთავარი ამოცანა, რომლის გადაწყვეტასაც, ადლერის რწმენით, იგი საკმაოდ მიუახლოვდა.

ცხოვრების სტილისა და კომპენსაციის მექანიზმების დახასიათებასთან დაკავშირებით, ადლერს შემოაქვს *სოციალური გრძნობის* ცნება. ეს გრძნობა არ შეიძინება სოციალიზაციის პროცესში, იგი, ფაქტობრივად, თანდაყოლილია ისევე, როგორც არასრულყოფილების გრძნობა. ადამიანს არ შეუძლია მარტომ გადაწყვიტოს თავისი სასიცოცხლო (კომპენსატორული) ამოცანები, იგი იმთავითვე სოციალურია. ნორმალური განვითარებისთვის ინდივიდი აუცილებლად უნდა ჩაერთოს სოციალურ კონტექსტში, დაიმკვიდროს თავისი ადგილი ჯგუფში, საზოგადოებაში. „თავის სისუსტეში ადამიანს მხოლოდ საზოგადოებაზე დაყრდნობა შეუძლია. შეიძლება ითქვას, რომ მას არ ძალუძს, იარსებოს მარტო; არსებობის უნარს იგი მხოლოდ საზოგადოების დახმარებით იძენს. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ საზოგადოება იმ ფაქტორის სახით, რომელიც ინდივიდუუმის სისუსტის კომპენსირებას ახდენს“ [16; 174]. უპირატესობისკენ, დომინირებისკენ, ძალაუფლებისკენ სწრაფვა, როგორც ძირეული მოტივაციური ტენდენცია, თავისთავად გულისხმობს სხვას – სოციუმს. ასევე ენა, გონება, ზნეობა, ესთეტიკური გრძნობა თავისი ფორმირებისა და რეალიზაციისთვის მოითხოვს ბავშვის კავშირს ახლობელ ადამიანთან. სხვა ადამიანებთან ურთიერთობა, მათი შემეცნება, ადამიანის საზოგადოებაში ცხოვრების აუცილებელი წინაპირობაა.

სოციალური გრძნობა ძირითადად სამ სფეროში ვლინდება: პროფესიული საქმიანობა, სხვა ადამიანებთან სოციალური კონტაქტი და სიყვარული. პიროვნება, რომლის სოციალური გრძნობა შესუსტებულია, ან რომელიც სოციალურ ურთიერთობებში შეფერხებებს აწყდება, ვერ აღწევს სრულყოფილ რეალიზაციას ამ სფეროებში, რაც ავტომატურად გამორიცხავს ნორმალურ კომპენსაციას. ამის პირდაპირი შედეგია პიროვნების ავადმყოფური გამოვლინებები ან გადახრები, დევიანტური ქცევები და ა.შ. „ყველა ადამიანის წარუმატებლობაში, ალკოჰოლიზმში, მორფინიზმში, კოკაინიზმში, სქესობრივ დამახინჯებებში, არსებითად ყველა ნერვულ გამოვლინებაში ჩვენ, ფაქტობრივად, შეგვიძლია აღმოვაჩინოთ სოციალური გრძნობის არასაკმარისი დონე“ [50; 101].

ამრიგად, ნევროზი (ფსიქოანალიზური პრაქტიკის ძირითადი ობიექტი), ადლერის მიხედვით, არასრულფასოვანი, წარუმატებელი კომპენსაციის შედეგი ან გამოვლინებაა. კულტურის თვალსაზრისით, ნებისმიერი ნევროზი შეიძლება განიხილოს როგორც არასრულყოფილების გრძნობისაგან თავის დაღწევის არასწორი მცდელობა უპირატესობის გრძნობის მოსაპოვებლად. კომპენსაციის „ნორმალური“ საშუალებების ძიების ნაცვლად, ადამიანი „მირბის ავადმყოფობაში“, „იმუშავებს ნევროტულ სიმპტომებს“, რაც კომპენსაციის მიღწევის თავისებური ხერხია. საკუთრივ გზებისა და ხერხების რაგვარობა დამოკიდებულია კონკრეტულ სოცია-

ლურ პირობებსა და ხასიათის ტიპზე. იმას, რასაც ერთი ტიპი ნევრასთენიული ჩივილებით აღწევს, სხვა მოიპოვებს შიშის, ისტერიის, ნევროტული აკვიატებულობის ან, თუნდაც, სომატური აშლილობების გზით. ნევროტიკი, გარკვეული აზრით, ახლობლების ტირანია; იგი დომინირებს გარშემომყოფებზე, ყურადღების ცენტრშია, მასზე გამორჩეულად ზრუნავენ და ა.შ. ერთი სიტყვით, ძალაუფლებისკენ ლტოლვა ამ შემთხვევაში ერთგვარ დაკმაყოფილებას ნახულობს. მაგრამ პაციენტის გამტყუნება ასეთი ეგოიზმის გამო არ შეიძლება, იგი ავადმყოფია და სუბიექტურად, შინაგანად, ვერ ხედავს აზრს და შესაძლებლობას, იყოს სხვანაირი. პირიქით, მუდმივ ეჭვებსა და ყოყმანში მყოფ ნევროტიკს ესაჭიროება მხარდაჭერა. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება კრიტიკა; საჭიროა იმ შერყეული რწმენის გაძლიერება, რომ მას თვითონ შეუძლია წინ აღუდგეს სირთულეებს და მოერიოს ეგზისტენციალურ პრობლემებს.

ფსიქოთერაპიის პროცესში სამი ეტაპი გამოიყოფა: პირველ ეტაპზე უნდა დაისვას დიაგნოზი, ანუ ფსიქოთერაპევტმა უნდა შეიქმნას პაციენტის პრობლემების მეტ-ნაკლებად ადეკვატური სურათი, დაადგინოს მისი არასრულყოფილების გრძნობის ხასიათი, ცხოვრების სტილის თავისებურებები და ა.შ.; მეორე ეტაპზე ექიმმა უნდა დაიყვანოს პაციენტის ცნობიერებამდე, თუ რამდენად არაადეკვატურია მისი ცხოვრების მიზანი და ცხოვრების სტილი; როცა ამის გაგება მიღწეულია, დგება მესამე ეტაპი, რომლის დროსაც პაციენტმა უნდა გადაწყვიტოს, სურს თუ არა ცხოვრების სტილისა და მიზნის შეცვლა. ფსიქოთერაპევტი ეხმარება მას ამ ძალისხმევაში. შედეგად, პაციენტს უნდა გაუჩნდეს უნარი, გაუმკლავდეს ცხოვრებისეულ სირთულეებს, მოახდინოს ადაპტაცია საზოგადოებასა და სოციალურ ცხოვრებასთან. მკურნალობის წარმატებულობის კრიტერიუმად მიჩნეულია ადამიანის უნარი, გადაწყვიტოს სამი ძირეული ცხოვრებისეული ამოცანა: იმუშაოს, უყვარდეს და ჰყავდეს ოჯახი და ჰქონდეს სოციალური გრძნობა.

ფსიქოთერაპიის ზოგადი ამოცანაა, ხელი შეუწყოს პაციენტის ცხოვრების სტილისა და საბოლოო მიზნების გადასხვაფერებას, რათა მათ საზოგადოებრივი მნიშვნელობა შეიძინონ. აქედან გამომდინარე, გამოიყოფა ფსიქოთერაპიის სამი ძირითადი ასპექტი: პაციენტის სპეციფიკური ცხოვრების სტილის დადგენა, დახმარება თავისთავის გაგებაში და, რაც მთავარია, მისი სოციალური ინტერესის ფორმირება-გაძლიერება. ამისთვის თერაპევტმა უნდა დაამყაროს თანასწორუფლებიანი ურთიერთობა პაციენტთან მისი პრობლემების თავისუფალი განხილვის, მისი სულიერი სამყაროს შთაგრძნობის გზით და არა თავისუფალი ასოციაციების საშუალებით, როგორც ამას ფროიდი აკეთებდა. ადლერი თვლიდა, რომ ადამიანებს უნდა მიეცეთ საშუალება, იმოქმედონ დამოუკიდებლად. მაშასადამე, პაციენტმა მაქსიმალური აქტივობა უნდა გამოავლინოს, რათა გაიგოს და შეცვალოს თავისი თავი. ეს სრულ შესაბამისობაშია ადლერის იდეებთან მე-ს შემოქმედებითი ძალის შესახებ. იგი თვლიდა, რომ ადამიანს, თავისი ცხოვრების უნიკალური სტილის შესაბამისად, შეუძლია, აქტიური და შემოქმედებითი მონაწილეობა მიიღოს საკუთარი პიროვნების ფორმირებასა და, საერთოდ, საკუთარი ბედის განსაზღვრაში.

აქედან გამომდინარე, ადლერის ფსიქოთერაპიის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი თანასწორობის პრინციპია. ფსიქოთერაპიის სოციალური გარემო ისე უნდა იყოს აწყობილი, თითქოს პაციენტი და ექიმი პროცესის თანასწორი მონაწილენი არიან და თანამშრომლობენ. გარდა ამისა, ადლერი არ ცნობდა ფსიქოთერაპიის ჩატარების მკაცრ წესებს; ყოველი კონკრეტული სიტუაცია თვითონ კარნახობს მკურნალობის ოპტიმალურ სტრატეგიას. ეს სულაც არ გამორიცხავს ფსიქოთერაპიული ხერხების არსენალის არსებობას. მასში თავად ადლერის მიერ დამუშავებული ტექნიკებიც შედის. ასეთებია, მაგალითად, ყველაზე ადრეული მოგონებების გამოვლენა და ანალიზი. ასეთი მოგონებების აზრის გაგება, ადლერის თქმით, მოითხოვს „ემპათიის უმაღლეს დონეს", ბავშვთან და მის სიტუაციასთან იდენტიფიცირების უნარს. კიდევ ერთი ტექნიკა წარსულისკენ კი არა, მომავლისკენაა მიმართული. პაციენტს სთხოვენ, იფანტაზიოროს თავისი მომავლის თაობაზე, მიზნებზე, უახლოეს და შორეულ გეგმებზე. ამ ფანტაზიების ანალიზით შესაძლებელი ხდება, სიცხადე შევიტანოთ პაციენტის ცხოვრების მიზანსა და შესაბამის ცხოვრების სტილში, ხოლო ამის ცოდნა აადვილებს პაციენტის კონკრეტული პრობლემების გაგებას. ადლერი ასევე აანალიზებდა სიზმრებს და ეძებდა მათ სიღრმისეულ აზრს, რომლებშიც, როგორც წესი, დაფარულად მოცემულია არასრულყოფილების გრძნობა და მის გადალახვაზე მიმართული გამრუდებული ცხოვრების სტილი და მიზანი. თუმცა, ფროიდისგან განსხვავებით, სიზმრებთან მუშაობაშიც უარყოფილია მკაცრი წესები და ხერხები. ადლერი დიდ ყურადღებას აქცევდა სხეულს, მიაჩნდა, რომ ყოველი ჟესტი, სხეულებრივი მოძრაობა, სიარულის თუ ტანის დაჭერის მანერა და სტერეოტიპი ავლენენ პიროვნების განწყობებს, ცხოვრების მიზნებს, არასრულყოფილების გრძნობას.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ადლერის ფსიქოთერაპია ეკლექტურია. მასში ადვილი ამოსაცნობია ფსიქოანალიზის, რაციონალური თერაპიის, გეშტალტთერაპიის, არადირექტიული თერაპიისა თუ სხეულზე ორიენტირებული თერაპიის ნიშნები.

ადლერის თეორიის ინტერპრეტაცია და შეფასება არაერთგვაროვანია. ზოგჯერ ეჭვის ქვეშ აყენებენ მისი კონცეფციის სიღრმის ფსიქოლოგიისადმი მიკუთვნებულობის მართებულობას. სიღრმის ფსიქოლოგია არაცნობიერი ფსიქიკის შესახებ მოძღვრებაა. ამ მხრივ ადლერი საგრძნობლად ჩამოუვარდება ფროიდსა და იუნგს, ვინაიდან თითქმის არ იძლევა არაცნობიერის სტრუქტურის დახასიათებას [4][38]. არსებობს ისეთი საექსპერტო შეფასებაც, რომ ადლერის სისტემას ვერ შევადარებთ ვერც ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიას და ვერც ფროიდის სწავლებას. ადლერის ფსიქოლოგია სხვაგვარია, მას არა აქვს არც ფსიქოლოგიური ფაქტების ექსპერიმენტული შემოწმების და არც პიროვნების სიღრმითი შესწავლის პრეტენზია. ესაა „პრაგმატული ფსიქოლოგია", პრაქტიკაზე გათვლილი პრინციპებითა და მეთოდებით, პრობლემების სიღრმივი განხილვის გარეშე [52].

გავრცელებულია შეხედულება, რომ ადლერის კონცეფცია უფრო პიროვნების თეორიაა, რასაც ხაზგასმით აღნიშნავდნენ უდიდესი პერსონოლოგები (ვ. შტერნი,

ჰ. მიურეი, გ. ოლპორტი). თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ სიღრმის ფსიქოლოგიაში შემავალი სისტემები, არაცნობიერთან ერთად, ყოველთვის პიროვნების თეორიებსაც გულისხმობდა. ადლერის არაცნობიერი, ფაქტობრივად, არის პიროვნება – მისი ცხოვრების სტილი. ადლერი არაცნობიერ მიზანზე ლაპარაკობს; ის ყალიბდება ადრეულ ბავშვობაში და განსაზღვრავს ცხოვრების სტილს, რომელიც ამ მიზნის ხორცშესხმაა. არასრულყოფილების გრძნობაც, უმეტესწილად, არაცნობიერია, თუმცა ზოგჯერ მისი გაცნობიერებაც ხდება. მაშასადამე, საწყისი მოტივაციური ძალები ადლერთან მაინც არაცნობიერია, რაც სიღრმის ფსიქოლოგიისა და, სახელდობრ, ფსიქოანალიზის არსებითი ნიშანია. ინდივიდუალური ფსიქოლოგიის ფსიქოანალიზთან კავშირზე ის გარემოებაც მიანიშნებს, რომ ძირითადი პიროვნული სტრუქტურების ჩამოყალიბება, ორივე მათგანის მიხედვით, ადრეულ ბავშვობაში ხდება. ნიშანდობლივია ისიც, რომ ფროიდისა და იუნგის მსგავსად, ადლერიც ვერ ხედავს თვისებრივ განსხვავებას ნორმალური და ავადმყოფური ფსიქიკის მოქმედების ძირეულ მექანიზმებს შორის. ამ მომენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ნეოფროიდიზმში, ისევე როგორც სოციალური ფაქტორების გადამწყვეტ როლს პიროვნების ფსიქიკის ფორმირებასა და ნევროტიზაციაში. აქ უთუოდ უნდა აღინიშნოს ადლერის დამსახურება ფსიქოანალიზის ტრანსფორმაციაში მისი გასოციალურების მიმართულებით. ადლერი პირველი დაუპირისპირდა ფროიდის ბიოლოგიზმს. უპირატესობისა და ძალაუფლებისკენ სწრაფვა, სოციალური გრძნობა ადამიანის ძირეული ნიშნები და ტენდენციებია. თუმცა ლიბიდონალური ლტოლვების მსგავსად, ისინიც თანდაყოლილი ინსტინქტური ბუნების არიან; სოციალური გარემო მხოლოდ ხელს უწყობს ან აფერხებს მათ რეალიზაციას. ნეოფროიდიზმში სოციოლოგიურ და კულტუროლოგიურ ფაქტორებს გაცილებით მეტი მნიშვნელობა მიენიჭა. ისიც შეიძლება ითქვას, რომ ცნობიერი, რაციონალური პროცესების შესწავლაზე ორიენტირებული ეგოფსიქოლოგია, ადლერის მიერ გაკვალულ გზას გაჰყვა. დაბოლოს, ადლერის იდეებმა მე-ს უნარის შესახებ, თავად განსაზღვროს ცხოვრების გარკვეული სტილი, ერთგვარი გავლენა მოახდინა ჰუმანისტური ფსიქოლოგიის სათანადო შეხედულებების ჩამოყალიბებაზე. (იხ. IV და X თავები).

ამ დამსახურებების გამო ადლერის თეორიული სისტემა ფსიქოლოგიის ისტორიკოსებს შორის საკმაოდ მაღალი შეფასებით გამოირჩევა. მიუხედავად ამისა, არც მას დაჰკლებია კრიტიკა. შეიძლება ითქვას, რომ ფსიქოანალიზისა და ანალიზური ფსიქოლოგიის მიმართ აკადემიური ფსიქოლოგიის მხრიდან გამოთქმული შენიშვნები თითქმის მთლიანად ვრცელდება ინდივიდუალურ ფსიქოლოგიაზე. აქ გამომუშავებული ცნებები და შეხედულებები არ გამოირჩევა სიცხადითა და კონკრეტულობით და ამიტომ ნაკლებ ექვემდებარება შემოწმებას კონტროლირებადი სისტემატური გამოკვლევებით [40]. ადლერის კლინიკური დაკვირვებების გამეორება და ვერიფიკაცია შეუძლებელია. ისტორიკოსები მიუთითებენ, რომ იგი არც ცდილობდა, შეემოწმებინა პაციენტების მიერ მოწოდებული ცნობების სარწმუნოობა; ფროიდისა და იუნგის მსგავსად, ადლერი არ განმარტავდა, როგორ აანალიზებდა პირველად მონაცემებს და რის საფუძველზე მიდიოდა ამა თუ იმ დასკვნამდე [41].

ადლერის თეორიული სისტემა, მთლიანობაში, ძნელად ექვემდებარება მეცნიერულ დადასტურებას, მაგრამ მისი ერთი ასპექტი, კერძოდ, შეხედულება დაბადების რიგითობის შესახებ, ინტენსიური შესწავლის საგანი გახდა. შედეგებმა, მიუხედავად მათი არაერთმნიშვნელოვნებისა, დაადასტურა, რომ არსებობს გარკვეული კავშირი ინდივიდის დაბადების რიგითობასა და მის პიროვნულ თავისებურებებს შორის, თუმცა ყოველთვის ისეთი არა, როგორც ადლერი ვარაუდობდა [22]. მაგალითად, გამოკვლევების უმეტესობაში არ დამტკიცდა ადლერის დებულება, რომ მეორე ბავშვს უკეთესი ადაპტურობა და მიღწევის უფრო მაღალი დონე ახასიათებს. ირკვევა, რომ პირველი ბავშვები უფრო ინტელექტუალურები არიან, მათი ცხოვრებისეული წარმატებები უფრო მაღალია, ისინი მეტად არიან წარმოდგენილი აკადემიურ წრეებსა და პოლიტიკურ ლიდერებს შორის (მაგალითად, ამერიკის პრეზიდენტებსა და კონგრესის წევრებში პირველი ბავშვები ჭარბობს). ნავარაუდევზე უფრო მაღალია, აგრეთვე, ერთადერთი ბავშვების მონაცემები როგორც მიღწევების, ისე პიროვნული თვისებების კუთხით. საყურადღებოა, რომ ჩინეთში ეს მონაცემები უარესია, რაც, ალბათ, შვილიანობის შეზღუდვის იძაური სახელმწიფო პოლიტიკითაა განპირობებული. ეს გარემოპირობების ძლიერ გავლენაზე მიანიშნებს. ადლერი ამ გავლენას ნაკლებად ითვალისწინებდა და მიაჩნდა, რომ, საბოლოო ჯამში, ინდივიდი თვითონ ქმნის თავისი ცხოვრების სტილს.

ლიტერატურა

1. ადლერი ა., ინდივიდუალფსიქოლოგია / დასავლეთ ევროპის ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობები, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტფილისი, 1935.
2. ადლერი ა., ცხოვრება მეცნიერებაა, პეგა, თბილისი, 2013.
3. ადლერი ა., ინდივიდუალური ფსიქოლოგია. Books, თბილისი, 2018.
4. ბალიაშვილი მ., პიროვნების ფსიქოლოგიის საფუძვლები. უნივერსალი, თბილისი, 2012.
5. იუნგი კ. გ., ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები. დიოგენე, თბილისი, 1995.
6. იუნგი კ. გ., განსხვავება აღმოსავლურ და დასავლურ აზროვნებას შორის. მანდარიას სტამბა, ქუთაისი, 2005.
7. იუნგი კ., ფსიქოლოგია და რელიგია. დიოგენე, თბილისი, 2013.
8. კაკაბაძე ვ., სიღრმის ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლები. მეცნიერება, თბილისი, 1979.
9. ფროიდი ზ., ფსიქოანალიზის სიძნელე/ფსიქოანალიზი. სიახლე, თბილისი, 1995.
10. ფროიდი ზ., კულტურით უკმაყოფილება. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2012.
11. ფროიდი ზ., სექსუალობის ფსიქოლოგია. გეო, თბილისი, 2013.
12. ფროიდი ზ., სიამოვნების პრინციპის მიღმა / ფსიქოლოგიური თხზულებები, პეგა, თბილისი, 2014.

13. ფროიდი ზ., ერთი ილუზიის მომავალი / ფსიქოლოგიური თხზულებები, პეგა, თბილისი, 2014.
14. ფროიდი ზ., ყოველდღიური ცხოვრების ფსიქოპათოლოგია. პეგა, თბილისი, 2015.
15. Адлер А., Практика и теория индивидуальной психологии. Прогресс, М., 1995.
16. Адлер А., Индивидуальная психология и психоанализ / Зарубежный психоанализ. Хрестоматия. Питер, СПб., 2001.
17. Айзенк Г. Ю., Дж. Сорок лет спустя: новый взгляд на проблемы эффективности в психотерапии / Психологический журнал. 1994. 4. 3-19.
18. Айзенк Г. Ю., Психология: Польза и вред. Смысл и бессмыслица. Факты и вымисел. Харвест, Минск, 2003.
19. Блюм Г., Психоаналитические теории личности. "КСП", М., 1996.
20. Глейтман Г., Фридлунд А., Райсберг Д., Основы психологии. Речь, СПб., 2001.
21. Дикманн Х., Методы в аналитической психологии. "РОН", М., 2001.
22. Клонингер С., Теории личности. Питер, СПб., 2003.
23. Лейбин В., Фрейд, психоанализ и современная западная философия. Политиздат, М., 1990.
24. Лихи Т., История современной психологии. Питер, СПб., 2003.
25. Лоренцер А., Археология психоанализа. Прогресс-Академия, М., 1996.
26. Маслоу А., По направлению к психологии бытия. Эксмо-Пресс, М., 2002.
27. Первин Л., Джон О., Психология личности. Аспект-Пресс, М,2000.
28. Поппер К., Логика и рост научного знания. Прогресс, М., 1983.
29. Рикер П., Конфликт интерпретаций. Очерки о герменевтике. Медиум, М., 1995.
30. Руткевич А. М., От Фрейда к Хайддегеру.. Политиздат, М., 1985.
31. Томе Х., Кэхеле Х., Современный психоанализ. Т.1. Прогресс, М., 1996.
32. Фрейд З., Тотем и табу: Психология первобытной культуры и религии. ГИЗ, М.-Пг., 1923.
33. Фрейд З., Психоанализ детских неврозов. Государственное изд-во, М., 1925.
34. Фрейд З., О психоанализе. Пять лекций / Хрестоматия по истории психологии. Изд-во Моск. Ун-та, М., 1980.
35. Фрейд З., Введение в психоанализ. Лекции. Наука, М., 1989.
36. Фрейд З., Некоторые замечания относительно понятия бессознательного в психоанализе / Зарубежный психоанализ. Питер, СПб., 2001.
37. Фрейд З., Я и Оно. Эксмо-Пресс, М., 2017.
38. Фрейджер Р., Фейдимен Д., Личность: теория, упражнения, эксперименты. Прайм-ЕВРОЗНАК, СПб., 2001.
39. Холл К., Линдсей Г., Теории личности. КСП+, М., 1997.
40. Хьел Л., Зиглер Д., Теории личности. Питер, СПб., 1997.
41. Шульц Д. П., Шульц С. Э., История современной психологии. Евразия, СПб., 1998.
42. Юнг К. Г., Психологические типы. Прогресс-Универс, М., 1967.
43. Юнг К. Г., Аналитическая психология / История зарубежной психологии. Тексты. Изд-

во Моск. Ун-та, М., 1986.
44. Юнг К. Г., Архетип и символ. Ренессанс, М., 1991.
45. Юнг К.Г., О психологии восточных религий и философий. Медиум, М., 1994.
46. Юнг К.Г., Структура психики и процесс индивидуации. Наука, М., 1996.
47. Юнг К.Г., Синхронистичность. Рефл-бук, М., 1997.
48. Якоби И., Психология Юнга / Гуманистические проблемы психологической теории. Наука, М., 1995.
49. Ясперс К., Общая психопатология. Практика, М., 1997.
50. Adler A., Individual psychology / G. Lindzey, C. Hall (Eds.). Theories of personality. Basic Books, New York, 1965.
51. Grunbaum A. Foundations of psychoanalysis: A philosophical critique. University of California Press, Berkeley. 1984.
52. Ellenberger H., The discovery of the unconscious: The history and evolution of dynamic psychiatry. Basic Books, New York, 1970.
53. Ellis A., Is psychoanalysis harmful? / The Albert Ellis reader: a guide to well-being using rational emotive behavior therapy. Ed. by Albert Ellis and Shawn Blau. Citadel Press Book. Secaucus, N. J., 1998.
54. Erdelyi M. H., Psychoanalysis: Freuds cognitive psychology. Freeman, New York, 1985.
55. Klein G. S., Psychoanalytic theory: an exploration of essentials. International Universities Press, New York, 1982.
56. Nahem J., Psychology and psychiatry today. International Publishers, New York, 1981.
57. Radnitzky G., Conterprorary schools of metascience. Scandanavian University Books, Goteborg, 1970.
58. Smit N. W., Current systems in psychology: history, theory, research and applications. Wadsworthrrhomson Learning, Belmont, CA, 2001.
59. Western D., Unconscious thought, feeling, and motivation: The end of a century-old debate / R. Bornstein & J. Masling (Eds.), Empirical studies of unconscious processes. American Psychological Association Press, Washington, D.C., 1998.

II თავი
კლასიკური ბიჰევიორიზმი

ბიჰევიორიზმი არის ერთ-ერთი ყველაზე ფართო მასშტაბის და დიდი გავლენის მქონე ფსიქოლოგიური მიმდინარეობა, რომელიც თითქმის მთელი XX საუკუნის განმავლობაში ბატონობდა აშშ-ში და, რომელსაც ანგარიშს უწევდნენ ისინიც, ვინც არ იზიარებდა მის შეხედულებებს. მას საფუძველი ჩაუყარა ჯ. უოთსონმა 1913 წელს ფსიქოლოგიურ რევიუში დაბეჭდილი სტატიით: „ფსიქოლოგია ბიჰევიორისტის თვალსაზრისით". მაშინ ეს იყო სრულიად ახალი ზოგადფსიქოლოგიური მოძღვრება, რომელიც პრინციპულად უპირისპირდებოდა მანამდე არსებულ ფსიქოლოგიებს (შინაარსების ფსიქოლოგია, აქტფსიქოლოგია, სტრუქტურალიზმი, ფუნქციონალიზმი და ა.შ.). ეს იყო რეაქცია ამ ფსიქოლოგიების სუბიექტივიზმსა და ინტროსპექციონიზმზე. იგი უარს ამბობდა ცნობიერების კვლევაზე, რადგანაც მისი შესწავლა თვითდაკვირვებას გულისხმობდა. ფსიქოლოგიის საგნად გამოცხადდა ქცევა, რომელიც ობიექტურ დაკვირვებას და შესწავლას ექვემდებარება.

ჯონ ბროდეს უოთსონის (1878–1958) ბიოგრაფიიდან ნათელი ხდება, თუ ვისი გავლენა დაედო საფუძვლად მისი მეცნიერული მრწამსის ჩამოყალიბებას. იგი სწავლობდა ჩიკაგოს უნივერსიტეტში, ფუნქციონალიზმის ერთ-ერთ ცენტრში, ჯეიმს ენჯელთან. აქ 1903 წელს დაიცვა დისერტაცია იმის შესახებ, თუ რა შეგრძნებების გამოყენებაა საჭირო ვირთხის მიერ ლაბირინთის გავლისას. ეს შრომა მან ზოოფსიქოლოგიის მეტრის, რობერტ იერქსის ხელმძღვანელობით შეასრულა და ზოოფსიქოლოგიის პროფესორი გახდა. ჩიკაგოშივე სწავლობდა ჟაკ ლიობთან – ცხოველთა შესწავლისადმი ობიექტივისტური მიდგომის აღიარებულ ლიდერთან. ამ გვარებს უნდა დაემატოს ჯონ დიუიც, რომელთანაც იგი ფილოსოფიას ეუფლებოდა. დიუი პრაგმატიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელია, თუმცა, როგორც თვით უოთსონი შენიშნავს ავტობიოგრაფიაში, კარგად მაინც არასოდეს მესმოდაო, რას ქადაგებდა დიუი [23]. ზოგადად, უოთსონი ფილოსოფიას ერიდებოდა და თვლიდა, რომ მის ბიჰევიორისტულ პროგრამას არაფერი აქვს საერთო ფილოსოფიასთან. გამოჩენილი ფსიქოლოგიის ისტორიკოსის, ედვინ ბორინგის შეფასებით, ბიჰევიორიზმი მართლაც არასისტემატური (არაფილოსოფიური) მოძღვრებაა [16]; ობიექტურად იგი, ცხადია, გარკვეულ ფილოსოფიურ საფუძველზე დგას, თუმცა თვითონ ამაზე არ მსჯელობს. კლასიკური ბიჰევიორიზმის ფილოსოფიური საფუძველი *პოზიტივიზმი და პრაგმატიზმია*. გაანა სწორედ პოზიტივიზმი არ მოითხოვს, გამოირიცხოს მეცნიერებიდან ყველაფერი, რაც უშუალო დაკვირვებას არ ექვემდებარება? ამიტომ განიდევნა ბიჰევიორისტული კვლევიდან ცნობიერებაც და ფიზიოლოგიური მექანიზმებიც. უოთსონი ინტროსპექციონიზმს ებრძვის. მისი წინამორბედი აქაც პოზიტივიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი ოგიუსტ კონტია. პრაგმატიზმის გავლენა მუღავნდება ბიჰევიორიზმის საერთო

განწყობაში, შეხედო მეცნიერებას პრაქტიკული სარგებლიანობის თვალსაზრისით [18][19].

რაც შეეხება მეცნიერულ შეხედულებებს, რომლებმაც გავლენა მოახდინეს უოთსონის თვალსაზრისის ჩამოყალიბებაზე, აქ, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ცხოველთა ფსიქოლოგია, განსაკუთრებით ე. თორნდაიკი და ობიექტივისტური სკოლა შედარებით ფსიქოლოგიაში [1]. ამ გამოკვლევებს უოთსონი აფასებდა როგორც რეაქციას საზოგადოდ ანთროპომორფიზმზე და არა ცნობიერების ფსიქოლოგიაზე. თავის ფსიქოლოგიას – ბიჰევიორიზმს, იგი, სავსებით სამართლიანად, სწორედ ასეთ ფსიქოლოგიაზე ნეგატიურ რეაქციად მიიჩნევს. აქ ივანე პავლოვისა და ვლადიმერ ბეხტერევის გავლენაზეც შეიძლება ლაპარაკი.

1908-1920 წლებში უოთსონი ჰოპკინსის უნივერსიტეტის პროფესორია და ხელმძღვანელობს იქ არსებულ ამერიკის უძველეს ფსიქოლოგიურ ლაბორატორიას. აქ გამოქვეყნდა მისი ძირითადი შრომები. თავში აღნიშნულ სტატიას, რომელსაც ბიჰევიორიზმის მანიფესტი შეარქვეს და რომლითაც დაიწყო ე.წ. *ბიჰევიორისტული რევოლუცია*, სხვა შრომები მოჰყვა: „ქცევა: შესავალი შედარებით ფსიქოლოგიაში“ (1914) და „ფსიქოლოგია როგორც მეცნიერება ქცევის შესახებ“ (1919). უოთსონის იდეებმა უზარმაზარი რეზონანსი გამოიწვია და სწრაფადაც გავრცელდა, რაზეც თუნდაც ის მეტყველებს, რომ 1915 წელს, ოცდაჩვიდმეტი წლისა, იგი ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაციის პრეზიდენტად აირჩიეს. 1920 წელს უოთსონის ბრწყინვალე სამეცნიერო კარიერა მოულოდნელად წყდება სკანდალური განქორწინებით და თავის ასისტენტზე დაქორწინების მერე იგი იძულებული ხდება, შეწყვიტოს ბრწყინვალე სამეცნიერო კარიერა და გადაინაცვლოს ბიზნესის სფეროში. აქ მას გამოადგა კვალიფიკაცია რეკლამის ფსიქოლოგიაში, რომლის მიმართ ინტერესს პროფესორად ყოფნის დროს იჩენდა [17]. პერიოდულად გამოდიოდა პოპულარული ლექციებით, რომლებიც გამოქვეყნდა წიგნში – „ბიჰევიორიზმი“ (1925). ამ წიგნმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია მთელ მსოფლიოში. მიუხედავად ამისა, ბიჰევიორიზმი, არსებითად, მაინც ამერიკულ მოვლენად და მიმართულებად დარჩა.

უოთსონის კრიტიკა, უპირველეს ყოვლისა, ცნობიერების ფსიქოლოგიის ინტროსპექციონიზმის წინააღმდეგ არის მიმართული. იმჟამინდელი ფსიქოლოგია, მიუხედავად თავისი ექსპერიმენტულობისა, მართლაც ინტროსპექტული იყო. უოთსონის აზრით, ეს არის იმის მიზეზი, რომ თავისი არსებობის ორმოცდაათი წლის განმავლობაში ფსიქოლოგიამ, როგორც ექსპერიმენტულმა და, უდავოდ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებამ, ვერ მოახერხა, დაემკვიდრებინა თავი სხვა საბუნებისმეტყველო დისციპლინათა გვერდით. თვითდაკვირვების არასანდოობის გამო ჩვენ ვერ ვიღებთ ერთნაირ, უტყუარ და სანდო მონაცემებს. ამიტომაც გვიჭირს ძირითად საკითხებში შეთანხმება. ერთი და იმავე მოვლენის შესწავლისას ერთნაირ მონაცემებს ვერ ვიღებთ. თუ ფიზიკაში ან ქიმიაში ვინმემ ვერ მიიღო იგივე ცდისეული მონაცემები, რაც სხვებმა, ეს ექსპერიმენტის პირობებს ბრალდება (ან აპარატურა არ არის საკმარისად მგრძნობიარე, ან სუფთა რეაქტივები არ გამოიყენება და სხვ.). ფსიქოლოგიაში ვითარება სხვაგვარია. ამ შემთხვევაში პრეტენზიების ადრესატია არა ექსპერიმენ-

ტის პირობები, არამედ დამკვირვებელი. ყველაფრის მიზეზი ცდისპირის თვითდაკვირვების მოუმზადებლობაა. ამიტომაც აკრიტიკებენ ერთმანეთის თვითდაკვირვებას სტრუქტურალისტები და ვიურცბურგელები. ე. ტიტჩენერმა ნ. ახს „სტიმულის შეცდომა“ მოუნახა – შენ სტიმულებს აღწერ და არა განცდებსო; ეს მაშინ, როცა ვიურცბურგელთა ე.წ. სისტემატური თვითდაკვირვება ინტროსპექციის მწვერვალია ორგანიზაციისა და ცდისპირთა გაწაფულობის მხრივ. არათვალსაჩინო შინაარსების აღმოჩენით მათ თვითდაკვირვების მეთოდის ბუნებრივი საზღვარი აჩვენეს. ამ არათვალსაჩინო შინაარსში ინტროსპექციით უკვე ვეღარ შეაღწევ. ეს კი ეწინააღმდეგება შინაარსებისა და სტრუქტურული ფსიქოლოგიის მონაცემებს, რომლებიც აგრეთვე უფაქიზესი ინტროსპექციიდან გამომდინარეობენ და ამტკიცებენ, რომ ცნობიერება სენსორულ-წარმოდგენითია, ე.ი. თვალსაჩინოა. ვის შეუძლია, ეს დავა გადაწყვიტოს, როცა ორივეს მეთოდი თვითდაკვირვებაა. განა შეძლო ინტროსპექციამ, გადაეჭრა ძირეული საკითხი ფსიქიკური ელემენტების რაოდენობისა და ბუნების შესახებ? ზოგი მეცნიერისთვის ხომ გრძნობაც შეგრძნების სახეობაა. თვით შეგრძნების თვისებებიც არ არის გარკვეული. მოდალობას, ინტენსიობას, ხანიერებას უმატებენ ხან განფენილობას, ხან სიცხადეს, ხან მოწესრიგებულობას [1].

სანამ ინტროსპექციით ვხელმძღვანელობთ, ჭეშმარიტებას ვერ დავადგენთ. ამიტომ ფსიქოლოგიის მიერ ობიექტური მონაცემების მიღების იმედს უოთსონი ისეთი დარგების გამოცდილებაზე ამყარებს, რომლებშიც ინტროსპექცია არ გამოიყენება და დიდი წარმატებით ვითარდება; ესენია: რეკლამის ფსიქოლოგია, იურიდიული ფსიქოლოგია, ტესტოლოგია, პათოფსიქოლოგია, განსაკუთრებით კი ზოოფსიქოლოგია. უოთსონი მიუთითებს, რომ ცხოველის შესწავლა ინტროსპექციას გამორიცხავს. აქ გამოყენებული მეთოდები საესებით მიესადაგება ბავშვის ფსიქოლოგიასაც. ამიტომ თავი უნდა დავანებოთ თვითდაკვირვებას და *გარეგანი დაკვირვებით* შემოვიფარგლოთ. იმას უნდა დავაკვირდეთ, რაც ობიექტურად არის მოცემული. ასეთია *მოქმედება, ქცევა*. ფსიქოლოგიამ უარი უნდა თქვას ცნობიერების კვლევაზე და შეისწავლოს ის, რასაც „ადამიანები აკეთებენ დაბადებიდან სიკვდილამდე“. ერთხელ და სამუდამოდ უარი უნდა ვთქვათ მენტალისტურ ტერმინოლოგიაზე, ხმარებიდან ამოვიღოთ აღქმა, აზროვნება, წარმოდგენა, სურვილი და სხვა (ყოველ შემთხვევაში მათი თავდაპირველი და ჩვეული მნიშვნელობით). უნდა შეიქმნას ახალი ენა და ყველა ფსიქოლოგიური მოვლენა გამოიხატოს ქცევით ტერმინებში, ისეთებში, როგორებიცაა: სტიმული და რეაქცია, ჩვევების შემუშავება, მათი ინტეგრაცია და ა.შ.

უოთსონი ქმნის ფსიქოლოგიას ფსიქიკის გარეშე. იგი არ უარყოფს ფსიქიკის (ცნობიერების) არსებობას, როგორც ამას ზოგჯერ მიაწერენ ხოლმე. იგი, უბრალოდ, თავს არიდებს ამ პრობლემაზე მსჯელობას, ვინაიდან, როგორც თვითონ ამბობს, მასში ჩაღრმავებას აუცილებლად მივყავართ მეტაფიზიკამდე, რომლის გაგონებაც არ სურს. უოთსონი მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ ცნობიერება, ფსიქოლოგიაში დამკვიდრებული მნიშვნელობით, არ შეიძლება სრულყოფილი ექსპერიმენტული შესწავლის ობიექტად იქცეს. აქედან გამომდინარე, ფსიქოლოგიამ ქცევა უნდა შეისწავლოს. ეს უკანასკნელი ამომწურავად აღიწერება S-R (სტიმული-რეაქცია) წყვილით. „ბიჰე-

ვიორიზმის მთავარი ამოცანაა, შეკრიბოს ადამიანის ქცევაზე დაკვირვებათა მონაცემები, რათა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ბიჰევიორისტს შეეძლოს იმის თქმა, თუ როგორი იქნება რეაქცია მოცემულ სტიმულზე (უკეთესია ვთქვათ, სიტუაციაზე), ან, თუ სახეზეა რეაქცია, დაადგინოს, რა სიტუაციამ გამოიწვია იგი" [12; 36-37]. ფსიქოლოგიის ძირითადი მიზანი ქცევის *წინასწარმეტყველება და მართვაა* (კონტროლი).

სტიმული უოთსონისთვის მოცემულ მომენტში ორგანიზმზე მოქმედი გამღიზიანებელია. მაგალითად: ტალღების სხვადასხვა სიგრძის სინათლის სხივები, განსხვავებული სიხშირისა და ამპლიტუდის აკუსტიკური ტალღები, ყნოსვის ორგანოზე მოქმედი ნივთიერების უმცირესი ნაწილაკები და ა.შ. გარდა ამისა, სტიმულის როლი შეიძლება შეასრულოს კუნთების შეკუმშვამ, ჯირკვლების სეკრეციამ და სხვა ორგანულმა პროცესმა, რომელიც მგრძნობიარე ნერვს აღიზიანებს. ორგანიზმზე, როგორც წესი, სტიმულთა ერთობლიობა მოქმედებს. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, ვილაპარაკოთ სიტუაციის ზემოქმედებაზე. რაც შეეხება *რეაქციას*, ამ ტერმინში უოთსონი გულისხმობს იმ ცვლილებათა ერთობლიობას, რომელიც მიმდინარეობს კუნთებისა და ჯირკვლების მოქმედებისას; ე.ი. რეაქცია ორგანიზმის მოტორული და სეკრეტორული გამოვლინებაა.

ბუნებრივად ისმის კითხვა: ხომ არ არის ყოველივე ეს ფიზიოლოგიის კომპეტენცია? უოთსონს მიაჩნია, რომ ბიჰევიორიზმისა და ფიზიოლოგიის სამოქმედო არეალი განსხვავებულია. იგი ასე მსჯელობს: დავუშვათ, შევეხეთ თვალის რქოვან გარსს (ესაა სტიმული) და გამოვიწვიეთ თვალის დახუჭვა (ესაა რეაქცია). თუ ზუსტად არის აღწერილი სტიმული და რეაქცია და მათ შორის არსებული მიმართების ფაქტი ემპირიულად სანდოა, ბიჰევიორისტის საქმე შესრულებულად უნდა ჩაითვალოს. ფიზიოლოგიის ამოცანაა, დაადგინოს შესაბამისი ნერვული კავშირები, მათი მიმართულება, რაოდენობა, ხანგრძლივობა, გავრცელებულობა და ა.შ., ანუ ის, რასაც ნეიროფიზიოლოგია შეისწავლის. ბიჰევიორიზმი არც ფიზიკურ-ქიმიურ პრობლემებს ეხება, კერძოდ იმას, თუ რა ფიზიკური ან ქიმიური ბუნებისაა ნერვული იმპულსი, რა ენერგეტიკულ დანახარჯებთან არის დაკავშირებული რეაქცია და სხვ. მაშასადამე, ყოველ რეაქციას აქვს ბიჰევიორისტული, ნეიროფიზიოლოგიური და ფიზიკურ-ქიმიური ასპექტი. უოთსონის ანტიფიზიოლოგიზმი, არსებითად, ნეიროფიზიოლოგიაზეა მიმართული. ამიტომ პავლოვის მოძღვრებიდან მისთვის მისაღებია მხოლოდ მეთოდიკური ნაწილი, ის ნაწილი, რომელიც პირობითი რეფლექსის შემუშავების (ანუ დასწავლის) პროცესს ეხება. უოთსონი სრულიად უგულებელყოფდა პავლოვის მოძღვრების ნეიროფიზიოლოგიურ ასპექტს – მოსაზრებებს დროებით კავშირებზე, აგზნებისა და შეკავების პროცესებზე და ა.შ. რაც შეეხება ე.წ. დაკვირვებად ფიზიოლოგიას, იგი პირიქით, უოთსონის კვლევის ძირითად ობიექტს შეადგენდა; მოტორული ან ვისცერალური რეაქციები სწორედ დაკვირვებადი ფიზიოლოგიის სფეროს განეკუთვნება. აქედან გამომდინარე, ნათელი ხდება ერთი მოჩვენებითი შეუსაბამობის მიზეზი – ესაა შეუსაბამობა უოთსონის კატეგორიულ ანტიფიზიოლოგიზმსა და მისი შეხედულებების აშკარად ფიზიოლოგისტურად შეფასებას შორის.

უოთსონი უშვებს *თანდაყოლილი* და *შეძენილი* რეაქციების არსებობას. აგრეთვე გამოყოფს *ექსპლიციტურ (გარეგან)* და *იმპლიციტურ (შინაგან)* რეაქციებს. რეაქციათა ამ უკანასკნელმა სახეობამ, უოთსონის მიხედვით, უნდა შეცვალოს ის, რასაც ინტროსპექციული ფსიქოლოგია უწოდებს აზრს, ხატს, იდეას, წარმოდგენას და ა.შ. აზროვნება იმპლიციტური რეაქციის ტიპური ნიმუშია. ის უნდა აღიწეროს არა წარმოდგენებისა და აზრების, არამედ მოტორული რეაქციების ტერმინებში.

იმ დროს ფსიქოლოგიაში უკვე მტკიცედ იყო აღიარებული ფსიქიკური ფუნქციების კავშირი სამოძრაო აქტივობასთან. ცნობილი იყო, მაგალითად, მხედველობითი აღქმის დამოკიდებულება თვალის მოძრაობაზე, ემოციებისა – სხეულებრივ პროცესებზე, აზროვნებისა – სამეტყველო აპარატზე და ა.შ. ბიჰევიორისტებისთვის ეს საკმარისი იყო სუბიექტური ფსიქიკური პროცესების ობიექტური მოტორული პროცესებით ჩანაცვლებისთვის. ასეთი ლოგიკა, პირველ ყოვლისა, აზროვნების დახასიათებაზე გავრცელდა. უოთსონი ცდილობდა, ექსპერიმენტულად ეჩვენებინა არა მხოლოდ მეტყველებისა და აზროვნების მჭიდრო კავშირი, არამედ მათი იდენტურობაც. იგი სთხოვდა ცდისპირს, წარმოეთქვა რაიმე ფრაზა; პარალელურად აფიქსირებდა პირის ღრუსა და ხორხის კუნთების მოძრაობას. ამის შემდეგ ცდისპირს ეს ფრაზა გუნებაში უნდა გაემეორებინა. ოსცილოგრაფის ჩანაწერი აფიქსირებდა იმავე მოძრაობებს, ოღონდ უფრო მცირე ამპლიტუდით. უოთსონს მიაჩნდა, რომ ეს მონაცემები ამტკიცებდა მეტყველებისა და აზროვნების იგივეობრივი ბუნების თეზისს – აზროვნება იგივე მეტყველებითი რეაქციაა, რომელიც ზუსტად ისეთივე სახის, ოღონდ უფრო სუსტი მოტორიკის თანხლებით წარიმართება. უოთსონი გრძნობდა, რომ ასეთი შორს მიმავალი დასკვნებისთვის საკმარის ემპირიულ მონაცემებს არ ფლობდა, მაგრამ სჯეროდა, რომ უფრო მგრძნობიარე ლაბორატორიული მოწყობილობა აუცილებლად დაადასტურებდა უფრო დამაჯერებელ ფაქტებს. ასეა თუ ისე, იგი თვლიდა, რომ ენის სწავლის პროცესში სამეტყველო რეაქცია უკავშირდება გარკვეულ სტიმულს (საგანი). გარეგანი მეტყველება თანდათან, ჩურჩულის სტადიის გავლით, გადადის შინაგანში, იმპლიციტურში. შინაგანი მეტყველება (გაუხმოვანებელი ვოკალიზაცია) კი სხვა არაფერია, თუ არა აზროვნება. მეტყველების დასწავლას, არსებითად, ისეთივე სახე აქვს, როგორიც ცხოველის დასწავლას ლაბირინთში, რომელიც ცდისა და შეცდომის გზით მიმდინარეობს. დასწავლა აქაც სტიმულისა და რეაქციის დაკავშირებას ნიშნავს, მაგრამ მეტყველების დასწავლის დიდი უპირატესობა ისაა, რომ ამ შემთხვევაში ცდა და შეცდომა საგნებით რეალურ მანიპულირებას არ გულისხმობს და სამეტყველო სიგნალების დონეზე მიმდინარეობს. აქედან გამომდინარე, ის უფრო ეკონომიურია და არ შეიცავს რისკსა და საფრთხეს, რომლებიც ყოველთვის თან ახლავს გარეგან პლანში შესრულებულ შეცდომით რეაქციას.

რეაქციების ჩამოთვლილი სახეების კომბინაცია რეაქციათა ოთხი კლასის გამოყოფის საშუალებას იძლევა: 1) *ექსპლიციტური-შეძენილი* (სამოძრაო ჩვევები – ცეკვა, ჩოგბურთის თამაში, ჩაცმა და ა.შ.); 2) *იმპლიციტური-შეძენილი* (შინაგანი მეტყველება ანუ აზროვნება); 3) *ექსპლიციტური-თანდაყოლილი* (უპირობო რეფლექსები – ცხვირის ცემინება, თვალის დახამხამება, გამოყოფა და ა.შ.); 4) *იმპლი-*

ციტური-თანდაყოლილი (სეკრეცია, შინაგანი ფუნქციების მოქმედებასთან დაკავშირებული მოძრაობები). როგორც უოთსონი აღნიშნავს, ბიჰევიორისტულმა კვლევამ, ბავშვების აქტივობის შესწავლამ, ნათელყო, რომ, ფაქტობრივად, არ არსებობს რთული თანდაყოლილი რეაქციები, რომელთაც ინსტინქტებს უწოდებენ. თანდაყოლილია მხოლოდ მარტივი უპირობო რეფლექსები. ყველა მეტ-ნაკლებად რთული ქცევა შეძენილია. თანდაყოლილ ქცევებთან, ინსტინქტებთან ერთად უარყოფილია სპეციალური თანდაყოლილი ნიჭიც (მხატვრული, მუსიკალური თუ სხვა). მაშასადამე, ბავშვი იბადება თანდაყოლილი მარტივი რეაქციების შეზღუდული რაოდენობით. გარემოს მიზანდასახული ცვლილების გზით ჩვენ შეგვიძლია ნარვმართოთ მისი ფორმირების პროცესი საჭირო მიმართულებით. ქცევა დასწავლის შედეგია. დასწავლის საშუალებით ყველაფრის მიღწევა შეიძლება. ამასთან დაკავშირებით უოთსონი ამბობდა: „მომეცით რამდენიმე ჩვილი ბავშვი და შესაძლებლობა, აღვზარდო ისინი სპეციალურ იზოლირებულ გარემოში. მე გაძლევთ გარანტიას, რომ შემთხვევით შერჩეული ერთერთი მათგანისგან ნებისმიერი პროფილის სპეციალისტს გამოვიყვან: ექიმს, ადვოკატს, მხატვარს, ვაჭარს, მათხოვარსა და ქურდსაც კი, მიუხედავად მისი მიდრეკილებებისა, ნიჭისა, მისი წინაპრების საქმიანობისა და რასობრივი მიკუთვნებულობისა“ [22; 104].

ხელმძღვანელობდა რა ამ რწმენით, უოთსონმა მცირეწლოვანი ბავშვების შესწავლის მთელი პროგრამა შეიმუშავა. მას სურდა, ეჩვენებინა, რომ ქცევის პრაქტიკულად ყველა გამოვლინება თანდაყოლილი კი არა, ცხოვრების პროცესშია შეძენილი. ასეა, მაგალითად, მემარჯვენეობა-მემარცხენეობის შემთხვევაში; მან ამ მოვლენის ვერავითარი ბიოლოგიური საფუძველი ვერ აღმოაჩინა. ცდებიდან გამოირკვა, რომ თავდაპირველად არც ერთი ხელი არ არის დომინირებული. ასევე, საყოველთაოდ არის ცნობილი უოთსონის კვლევა-ძიება ემოციური რეაქციების გამომუშავებასთან დაკავშირებით. მან შეისწავლა ჩვილი ბავშვის ემოციური რეაქციები და მათი გამომწვევი გამღიზიანებლები. გამოვლინდა სამი სახის ძირითადი ემოციური რეაქცია: შიში, რომელსაც იწვევს ძლიერი ხმა ან წონასწორობის დაკარგვა; რისხვა, რომელიც მოსდევს მოძრაობის თავისუფლების შეზღუდვას და სიყვარული, რომელიც მოფერების, ხელის გადასმის, დარწევის პასუხია. ეს ემოციური რეაქციები სწავლის გარეშე ჩნდება. უოთსონი თელიდა, რომ ყველა დანარჩენი ემოცია მათ საფუძველზე აღმოცენდება, როგორც დასწავლის, ან პირობითი რეფლექსის შემუშავების შედეგი.

ამ მიდგომის დემონსტრირებას ემსახურება უოთსონისა და რაინერის კლასიკური გამოკვლევა, რომელშიც თერთმეტი თვის ბავშვს (ალბერტს) უმუშავებდნენ შიშის რეაქციას თეთრ ვირთხაზე. ეს პროცესი პირობითი რეფლექსის გამომუშავების ჩვეულებრივი სქემით მიმდინარეობდა. უპირობო სტიმულს წარმოადგენდა რკინაზე ჩაქუჩის დარტყმით გამოწვეული ძლიერი ხმა, რომელიც იწვევდა შიშის უპირობო რეაქციას. პირობითი გამღიზიანებელი იყო თეთრი ვირთხა, რომელთანაც ბავშვი მანამდე სიამოვნებით თამაშობდა. ექსპერიმენტის მსვლელობაში ცხოველთან გართობის პროცესში ძლიერი ხმის საშუალებით ბავშვში იწვევდნენ შიშის რეაქციას; შედეგად იგი წყვეტდა ცხოველთან თამაშს და ტირილს იწყებდა. რამდენიმე გამეორების შემ-

დეგ ეს რეაქცია წარმოიქმნებოდა უშუალოდ თეთრი ვირთხის დანახვაზე, ანუ მხოლოდ პირობით გამღიზიანებელზე, უპირობო სტიმულის გარეშე. უფრო მეტიც, შიში გავრცელდა სხვა თეთრბეწვიან ობიექტებზეც – კურდღელზე, ქურქზე, ბამბაზე და სანტა კლაუსის წვერიან ნიღაბზეც კი.

გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო უოთსონმა ვერ მოახერხა მუშაობის გაგრძელება ბავშვში შემუშავებული შიშის მოხსნაზე, თუმცა მას კარგად ესმოდა ამ საკითხის მნიშვნელობა. გადაჩვევა ზოგჯერ შეჩვევაზე უფრო მნიშვნელოვანია. გარკვეული ხნის მერე მას საშუალება მიეცა, ჩაეტარებინა ეს სამუშაო თავის სხვა თანამშრომელთან, მერი ჯონსთან ერთად. შეარჩიეს სამი წლის ბავშვი, სახელად პიტერი, რომელსაც პანიკურად ეშინოდა ვირთხების, კურდღლების, ბაყაყებისა და თევზების. თავდაპირველად პიტერს აჩვენებდნენ სხვა ბავშვებს, რომლებიც უშიშრად თამაშობდნენ მისთვის შიშისმომგვრელი ობიექტებით და გარკვეულ პროგრესს მიაღწიეს. ამ მეთოდს ამჟამად მოდელირება ეწოდება და ბანდურას და მისი კოლეგების მიერ ფართოდ გამოიყენება (იხ. XI თავი). მაგრამ მოხდა ისე, რომ პიტერს და მის ძიძას შემთხვევით ძაღლი დაესხა თავს და მისი შიშები კვლავ დაბრუნდა. ამის შემდეგ გადაწყვიტეს, მიემართათ ე.წ. *კონტრკონდიციონირებისთვის*. პროცედურა შემდეგნაირი იყო: დიდი ოთახის ერთ ბოლოში ბავშვს აძლევდნენ გემრიელ საჭმელებს (მაგალითად, ნაყინს და შოკოლადს). ამ დროს ოთახის მეორე ბოლოში დგამდნენ გალიას კურდღლით. რადგან ცხოველი საკმაოდ მოშორებით იყო, იგი არ იწვევდა დიდ შეშფოთებას. კურდღელს ყოველ დღე უახლოვებდნენ ბავშვს და თანდათანობით ისეთ მდგომარეობას მიაღწიეს, როცა პიტერი მას ყურადღებას აღარ აქცევდა, ბოლოს კი სრულიად მშვიდად რეაგირებდა მასზე, ხელში იყვანდა და ცდილობდა, რაიმე გემრიელით გამასპინძლებოდა. მოხდა ახალი ემოციური რეაქციის დასწავლა. ცხოვრების პროცესში შემუშავებული შიშის რეაქცია ჩაქრა და მისი ადგილი სხვა ემოციურმა რეაქციამ დაიკავა. ეს გამოკვლევა ფსიქოლოგიის ისტორიკოსების მიერ ქცევითი თერაპიის გამოყენების პირველ მცდელობად არის მიჩნეული [6][14][17]. ბიჰევიორალური ფსიქოთერაპიის სისტემატური გამოყენება მოგვიანებით, ოცდაათიანი წლების ბოლოს, დაიწყო და, პირველ რიგში, ჯოზეფ ვოლპეს სახელს უკავშირდება (იხ. თავი V).

ამრიგად, უოთსონმა აჩვენა, რომ ემოციები შეჩვევისა და გადაჩვევის შედეგია; ისინი წარმოიქმნებიან, ქრებიან და იცვლებიან დასწავლის კანონების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, გასაგებია, რომ ჩვევის შეძენის, დასწავლის პროცესი ბიჰევიორიზმისთვის მთავარი საკითხია. დასწავლის პრობლემატიკას ამერიკულ ფსიქოლოგიაში დღესაც სოლიდური ადგილი უკავია. ამ საკითხის შესწავლისას უოთსონი იმ ხაზს გაჰყვა, რომლის თავშიც იდგნენ თორნდაიკი და პავლოვი.

ედვარდ ლი თორნდაიკი (1874-1949) სამართლიანად ითვლება დასწავლის პრობლემატიკის კვლევის ერთ-ერთ პიონერად და ბიჰევიორიზმის ერთ-ერთ წინამორბედად, თუმცა თავის შეხედულებათა სისტემას იგი *კონექციონიზმს* უწოდებდა. თორნდაიკი დამსახურებულად არის მიჩნეული ერთ-ერთ უმთავრეს ფიგურად ამერიკული ფსიქოლოგიის ისტორიაში. თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობა, რომელიც, ძირითადად, ჰარვარდისა და კოლუმბიის უნივერსიტე-

ტებში წარიმართა, მან უპირატესად დასწავლის კანონზომიერებების შესწავლას და მათ პედაგოგიურ პრაქტიკაში დანერგვას მიუძღვნა. უკვე 1898 წელს შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომში, რომელიც ცხოველთა ინტელექტის, ანუ დასწავლისუნარიანობის კვლევას ეძღვნებოდა, ჩამოყალიბებულია მისი სისტემის ძირითადი პრინციპები. ამ სისტემას თორნდაიკი შემდგომში სულ უფრო სრულყოფდა; ახალ ექსპერიმენტულ ფაქტებზე დაყრდნობით ცვლიდა ზოგიერთ თეორიულ დებულებას და, რაც მთავარია, ცდილობდა გადაეტანა ცხოველთა კვლევისას დადგენილი კანონზომიერებანი ადამიანის ქცევაზე, საზოგადოდ, და, კერძოდ, ადამიანის სწავლაზე. ამგვარი გადატანის შესაძლებლობა თორნდაიკში ეჭვს არ იწვევს, ვინაიდან იგი ვერ ხედავს თვისებრივ განსხვავებას ცხოველსა და ადამიანში მიმდინარე დასწავლის პროცესებს შორის. იგი პირდაპირ აცხადებს: „ცხოველთა სამყაროს განვითარება, ამ თვალსაზრისით, გამოიხატება სიტუაციასა და საპასუხო რეაქციას შორის კავშირის დამყარების ერთი და იმავე პროცესის რაოდენობრივი ზრდით და რაოდენობრივი გართულებით, რომელიც დამახასიათებელია ყველა ხერხემლიანისთვის და უმდაბლესი ცხოველებისთვისაც, დაწყებული სალამურადან, დამთავრებული ადამიანით“ [9; 138]. საკითხის ასეთი დასმა, ძირითადად, დამახასიათებელია დასწავლის მთელი ბიჰევიორისტული თეორიისთვის. ამ თეორიის პირველი ვარიანტი სწორედ თორნდაიკს ეკუთვნის.

თორნდაიკის მიხედვით, დასწავლა არის კავშირის ანუ კონექციის დამყარება მოქმედებასა (რეაქციას) და სიტუაციას (სტიმულს) შორის (აქედან მოდის სახელწოდება კონექციონიზმი). თვით კონექციის განსაზღვრება წმინდად ფუნქციონალურია და ასე გამოიხატება: კავშირი სტიმულსა და რეაქციას შორის არსებობს მაშინ, თუ ამ სტიმულზე პასუხის აღმოცენების ალბათობა ნულზე მეტია. იმისათვის, რომ S-R კავშირი წარმოიქმნას, უნდა არსებობდეს გარკვეული პირობები, რომელთაც თორნდაიკი ე.წ. *დასწავლის კანონების* სახით აყალიბებს. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა *ეფექტის კანონს* ენიჭება. ამ კანონის თანახმად, „როდესაც სიტუაციასა და საპასუხო რეაქციას შორის კავშირის დამყარების პროცესს თან სდევს ან ცვლის სიამოვნების მდგომარეობა, კავშირის სიმტკიცე იზრდება; როდესაც ამ კავშირს თან სდევს ან ცვლის უსიამოვნების მდგომარეობა, მისი სიმტკიცე მცირდება“ [20; 4]. თავის მხრივ, სასიამოვნოდ მიჩნეულია ის მდგომარეობა, რომლის გამოწვევასა და შენარჩუნებას ორგანიზმი ესწრაფვის, ხოლო უსიამოვნებად – მდგომარეობა, რომელსაც ორგანიზმი ცდილობს, განერიდოს. როგორც ვხედავთ, ეფექტი შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. დადებითი ეფექტი აძლიერებს, ამტკიცებს კავშირს, უარყოფითი ასუსტებს ან, სულაც, სპობს მას.

ვარჯიშის კანონში მოცემულია კანონზომიერება, რომლის მიხედვითაც S-R კავშირის სიმტკიცე გამეორებათა რიცხვის პროპორციულად იზრდება. თუმცა აქვე ისიც არის აღნიშნული, რომ ეს კანონზომიერება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოქმედებს, თუ ყოველ შემდგომ გამეორებას დადებითი ეფექტი ანუ *განმტკიცება* მოჰყვება.

მზაობის კანონი იმ კავშირზე მიუთითებს, რომელიც დასწავლის სისწრაფესა და ორგანიზმის მოცემულ მდგომარეობას შორის არსებობს. თორნდაიკი აღნიშნავს,

რომ „ყოველგვარი ფსიქოლოგიური კავშირი აღბეჭდილია ინდივიდუალური ნერვული სისტემით მის სპეციფიკურ მდგომარეობაში" [20; 107]. ვარჯიში, თავის მხრივ, ცვლის ორგანიზმის მზაობას, გაატაროს ნერვული იმპულსები. აქ ჩანს მინიშნება ფიზიოლოგიურ სუბსტრატზე, თუმცა დასწავლის ფიზიოლოგიური მექანიზმის შემდგომი დაზუსტება არ ხდება.

ძირითადი სამი კანონის გარდა, თორნდაიკს ჩამოყალიბებული აქვს დასწავლის კერძო კანონები ან პრინციპები. მათ შორის აღსანიშნავია *ასოციაციის გადანაცვლების პრინციპი*. მის მიხედვით, თუ გამღიზიანებელთა ერთდროული მოქმედების დროს ერთ-ერთი მათგანი იწვევს რეაქციას, დანარჩენებიც იძენენ უნარს, გამოიწვიონ იგივე რეაქცია. პავლოვის პირობითი რეფლექსის შემუშავების სქემაც, ფაქტობრივად, ამ პრინციპს ეფუძნება. ამის გამო ბიჰევიორიზმში პავლოვის მოძღვრებას ზოგჯერ „ასოციაციის გადანაცვლების" თეორიას უწოდებდნენ.

შემდგომში თორნდაიკმა გარკვეული ცვლილებები შეიტანა თავის სისტემაში. ასე მაგალითად, ვარჯიშის კანონი შევიდა ეფექტის კანონის შინაარსში, რადგან ექსპერიმენტულად დადასტურდა, რომ თავისთავად გამეორება, რამდენჯერაც არ უნდა მოხდეს იგი, არ იწვევს მოქმედების განმტკიცებას, თუ არ არის ცნობილი მოქმდების რეზულტატი. ეს ნიშნავს, რომ ჯილდოს განმამტკიცებელი, „საინფორმაციო" ღირებულება აქვს. დამტკიცდა ისიც, რომ დასჯა (უარყოფითი ეფექტი) ავტომატურად კი არ იწვევს S-R კავშირის შესუსტებას, არამედ მხოლოდ ამუხრუჭებს მის გარეგან გამოვლინებას. უფრო მეტიც, დასჯა ზოგჯერ აძლიერებს კიდეც კავშირს [8].

უოთსონმა უარყო თორნდაიკის ეფექტის კანონი ან დასჯა-წახალისების პრინციპი, ვინაიდან მასში ისეთი მენტალური მოვლენებია ჩართული, როგორიცაა სიამოვნება-უსიამოვნების განცდა. მან უარყო მზაობის კანონიც, ვინაიდან აქ ნეიროფიზიოლოგიაა გარეული. ამავე მიზეზის გამო უარყო პავლოვის ნეოროფიზიოლოგიური შეხედულებებიც. მიუხედავად ამისა, უოთსონი პირობით და უპირობო რეფლექსებზე ლაპარაკობს. მისი აზრით, დასწავლისთვის საკმარისია სტიმულისა და რეაქციის თანხვედრა, მოსაზღვრეობა, ერთდროულობა. ეს პოზიცია, ფაქტობრივად, ბიჰევიორისტულ ტერმინებში იმეორებს კლასიკური ასოციაციონიზმის შეხედულებას.

იმავე ტრადიციას განაგრძობს ედვინ გათრი (1886-1959), რომელიც ა. ვეისთან, უ. ჰანტერთან, ე. ჰოლტთან და კ. ლეშლისთან ერთად კლასიკური ბიჰევიორიზმის[1] თვალსაჩინო წარმომადგენლად ითვლება. გათრისაც მიაჩნია, რომ ერთდროულობა S-R კავშირის შექმნის ერთადერთი პირობაა. სტიმულთა კომბინაციას, ამბობს იგი,

[1] კლასიკური ბიჰევიორიზმისა და ნეობიჰევიორიზმის გარდა, ფსიქოლოგიის ისტორიაში ქცევადმეცნიერების სახეობების სხვაგვარი დაყოფაც არსებობს. სახელდობრ, ლაპარაკობენ *მეთოდოლოგიურ და რადიკალურ ბიჰევიორიზმზე*. ტერმინი მეთოდოლოგიური ბიჰევიორიზმი ლეშლის ეკუთვნის და იმ პოზიციას შეესატყვისება, რომელიც უშვებს ცნობიერების ფაქტების არსებობას, მაგრამ უარყოფს მათი რამდენადმე სანდო მეცნიერული შესწავლის შესაძლებლობას. უოთსონი და პირველი ბიჰევიორისტების უმეტესობა, არსებითად, ამ პოზიციაზე იდგნენ. რაც შეეხება რადიკალურ ბიჰევიორიზმს, ეს ტერმინი მ. კალკინსისა და რ. უილერის მერე დამკვიდრდა ბიჰევიორიზმის იმ სახეობის აღსანიშნავად, რომელიც, ფაქტობრივად, უარყოფს ცნობიერების ფენომენებს. ამ შეხედულების ყველაზე თანმიმდევრული დამცველები ბ. სკინერი და მისი მიმდევრები იყვნენ (იხ. თავი V).

რომელსაც მოჰყვება რაიმე მოძრაობა, გამეორებისას აქვს ტენდენცია, კვლავ გამოიწვიოს ეს მოძრაობა. თუ ამ გამღიზიანებელს სხვა პასუხი აღარ მოჰყვება, მაშინ მასთან კავშირს ეს კონკრეტული რეაქცია ინარჩუნებს, ე.ი. სტიმული უკავშირდება ბოლო რეაქციას იმ რიგიდან, რომელიც ამ სტიმულის ფონზე აღმოცენდება. ამისთვის რაიმე სხვა ფაქტორი, მაგალითად განმტკიცება, საჭირო არ არის [13].

თორნდაიკისა და უოთსონ-გათრის პოზიციამ დასაბამი მისცა ორ თვალსაზრისს დასწავლის ბიჰევიორისტულ თეორიაში: პირველის მიხედვით, დასწავლა შეუძლებელია დადებითი ეფექტის, განმტკიცების გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ საკუთრივ განმტკიცების ბუნება სხვადასხვაგვარად არის გაგებული, იგი ყოველთვის დასწავლის აუცილებელი მომენტია; მეორე თვალსაზრისის თანახმად, განმტკიცება სრულებითაც არ არის აუცილებელი დასწავლისთვის. ამ თვალსაზრისების დაპირისპირებამ განსაკუთრებით იჩინა თავი *ნეობიჰევიორიზმში,* მაგრამ ამ მხრივ ერთიანი პოზიცია არც კლასიკური ბიჰევიორიზმის მიმდევრებში არსებობდა. ისინი სხვა საკითხშიც ემიჯნებოდნენ ერთამანეთს. ეს იყო პრინციპული მნიშვნელობის საკითხი ქცევის მეცნიერებისა და ფიზიოლოგიის მიმართების შესახებ. უოთსონის თვალსაზრისი ცნობილია; იგი ეყრდნობა შეხედულებას „ცარიელი ადამიანის" შესახებ და გვერდს უვლის როგორც ცნობიერებას, ისე ნეიროფიზიოლოგიასაც, ვინაიდან არც ერთი მათგანი არ ექვემდებარება პირდაპირ ობიექტურ დაკვირვებას. გათრი ამ საკითხშიც უოთსონის პოზიციას იცავს. პავლოვთან პაექრობისას იგი შენიშნავს, რომ ტვინის სტრუქტურებში მიმდინარე აგზნებისა და შეკავების პროცესებზე დაკვირვება არ შეიძლება; აქედან გამომდინარე, ამ ცნებებით ქცევაში რაიმეს ახსნა ყოველთვის იქნება შეუმოწმებელი და წინასწარმეტყველების უნარს მოკლებული.

ამის საწინააღმდეგოდ, ბიჰევიორისტების პირველი თაობის ერთმა ნაწილმა მიზნად სწორედ ის დაისახა, რომ ქცევა ფიზიოლოგიური საშუალებებით აეხსნა. მაგალითად, ალბერტ ვეისი (1879-1931) შესაძლებლად მიიჩნევდა ფსიქოლოგიური მოვლენების გამოხატვას ნერვულ სისტემაში მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიური პროცესების ტერმინებში. კარლ ლეშლი (1890-1959) გამოჩენილი ნეიროფსიქოლოგი იყო და წარმატებით შეისწავლიდა დასწავლის ნეიროფიზიოლოგიურ კანონზომიერებებს, რაც ზუსტ შესაბამისობაში არ იყო უოთსონის პოზიციასთან. წიგნში – „ტვინის მექანიზმები" (1929) – მან განაზოგადა თავისი მრავალწლიანი ექსპერიმენტული კვლევის შედეგები. ლეშლის ცდებში ცხოველებს ტვინის სხვადასხვა უბანს აცლიდნენ და აკვირდებოდნენ, თუ როგორ იმოქმედებდა ეს ჩვევის შემუშავების პროცესსა (დასწავლაზე) და დასწავლილის შენარჩუნებაზე (მეხსიერებაზე). აღმოჩნდა, რომ ყველა შემთხვევაში ტვინის მასის დაკარგვა უარყოფით გავლენას ახდენს აღნიშნულ პროცესებზე. ამასთანავე, გავლენა მით უფრო დიდია, რაც უფრო მეტი ნივთიერება არის ამოკვეთილი ტვინიდან. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, ლეშლიმ ჩამოაყალიბა *საერთო აქტივობის პრინციპი, ანუ ტვინის მასის ზემოქმედების კანონი,* რომლის თანახმად, რაც უფრო მეტია თავის ტვინის ქერქის ნივთიერება, მით უკეთ მიმდინარეობს დასწავლა და დასწავლილის შემონახვა; და პირიქით, დასწავლის უნარისა და მეხსიერების დაქვეითება ტვინის დაკარგული მასის პირდაპირპროპორციულია.

აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, ტვინის რომელი უბანია დაზიანებული. თუ დაირღვა ტვინის ერთი ზონა, მის ფუნქციას სხვა უბანი იღებს. ტვინის უბნების ურთიერთჩანაცვლების თვისებას *ექვიპოტენციალობა* ეწოდა და გამოითქვა მოსაზრება, რომ ტვინი მუშაობს როგორც მთლიანი ორგანო. ლეშლის კვლევების მიხედვით, ტვინი გაცილებით მეტ როლს ასრულებს დასწავლაში, ვიდრე ამას უოთსონი უშვებდა. გარდა ამისა, ლეშლი უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ინსტინქტებსა და მემკვიდრეობას [4].

უოთსონის სისტემას არც უოლტერ ჰანტერის (1889-1953) მონაცემები შეესატყვისებოდა, რომლებიც მან ე.წ. *გადავადებული რეაქციების* კვლევის შედეგად მიიღო. ამ ცდებში, რომლებმაც მის ავტორს გამოჩენილი ექსპერიმენტატორის სახელი მოუტანეს, მაიმუნებს აჩვენებდნენ, თუ რომელ ყუთში ათავსებდნენ საკვებს მოცემული ორი ყუთიდან. შემდეგ ცხოველსა და ყუთს შორის დგამდნენ შირმას, რომლის მოშორებაც მაიმუნებს საშუალებას მისცემდა, გაეკეთებინა არჩევანი ყუთებს შორის. ცხოველი წარმატებით წყვეტდა ამოცანას – პოულობდა საჭირო ყუთს; ეს ამტკიცებდა, რომ მას არა მხოლოდ პირდაპირი, არამედ გადავადებული რეაქციის უნარიც აქვს. ჰანტერის ექსპერიმენტებმა აჩვენეს ღია ქცევის წინმსწრები განწყობის როლი, რომელიც გამოხატავს ორგანიზმის მიმართულობას სტიმულზე და აშუალებს კავშირს სტიმულსა და რეაქციას შორის. ამ „ჩართული" განწყობის იგნორირება შეუძლებელს ხდიდა ბევრი ქცევითი ფენომენის გაგებას. მეორე მხრივ, მისი დაშვება ეჭვის ქვეშ აყენებდა სტიმულის მიერ რეაქციის პირდაპირი და უშუალო დეტერმინაციის უოთსონისეულ პრინციპს. ამის გათვალისწინებით, ჰანტერმა ქცევის მეცნიერებისთვის ახალი სახელწოდებაც კი შემოიტანა – ანთროპონომია, მაგრამ ეს ტერმინი ვერ დამკვიდრდა.

ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ კლასიკური ბიჰევიორიზმი, რომლის აღმავლობა გასული საუკუნის ოციან წლებში დაიწყო, არ იყო ერთიანი და ჩამოყალიბებული მიმართულება. ბიჰევიორისტული აზრი საკმაოდ დიდ დიაპაზონში მოძრაობდა და საკითხთა მთელი რიგის პრინციპულად სხვადასხვაგვარ გადაწყვეტას გვთავაზობდა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამოსავალ პუნქტში, რომელიც ცნობიერებისა და თვითდაკვირვების უარყოფას გულისხმობდა, უოთსონსა და სხვა ბიჰევიორისტებს შორის სრული თანხმობა სუფევდა. ისტორია გვერდს ვერ აუვლის იმ გარემოებას, რომ ანტიმეტალისტური და ანტიინტროსპექტიული ორიენტაცია, რომელიც ბიჰევიორიზმის არსებითი ნიშანია, უოთსონის პირველივე შრომების გამოქვეყნებისთანავე დამკვიდრდა მთელ ამერიკულ ფსიქოლოგიაში. ბორინგის გადმოცემით, ოციან წლებში ყველა ამერიკელი ფსიქოლოგი, ტიტჩენერისა და მისი ჯგუფის გარდა, ბიჰევიორისტი იყო. მიუხედავად ამისა, მათი უმრავლესობა თავს ბიჰევიორისტს არ უწოდებდა და ბევრ საკითხზე ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებს გამოთქვამდა [16].

ბიჰევიორიზმის ესოდენ სწრაფ და ფართო გავრცელებას ამერიკაში თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. პრაგმატიზმი ფილოსოფიასა და ცხოვრებაში, საქმიანი ცხოვრების წესისთვის დამახასიათებელი პრაქტიციზმი, ზუსტი პროგნოზის, მართვისა და კონტროლისკენ მისწრაფება ვერ ეგუებოდა ცნობიერების კლასიკური

ფსიქოლოგიის ჭვრეტით ხასიათს და პრაქტიკულ უნაყოფობას. აქედან გამომდინარე, ამერიკული საზოგადოება მზად იყო ბიჰევიორიზმის აღსაქმელად; იგი აღტაცებით შეხვდა ინტროსპექციული ფსიქოლოგიის უოთსონისეულ კრიტიკას[1]. უოთსონის წიგნი „ბიჰევიორიზმი" შეერთებული შტატების წამყვან გაზეთებში შეფასდა ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომად, რომელიც ოდესმე დაწერილა და რომელიც ახალ ეპოქას ქმნის კაცობრიობის ინტელექტუალურ ისტორიაში. ესოდენ დიდ წარმატებას ზოგიერთი სუბიექტური ფაქტორიც განაპირობებდა. პირველ რიგში, ეს იყო უოთსონის პიროვნული ძალა, საკუთარი პოზიციის ჭეშმარიტების რწმენა და პოლემიკური ნიჭი.[2] როგორც ზუსტად შენიშნა რ. ვუდვორთმა, „ამერიკული ბიჰევიორიზმის აღმოცენება უფრო პროტესტი იყო, ვიდრე აღმოჩენა" [24; 63]. კლასიკური უოთსონისეული ბიჰევიორიზმის ყველაზე ძლიერ მხარედ მისი კრიტიკული ნაწილი უნდა ჩაითვალოს.

ბიჰევიორიზმის (ისევე როგორც გეშტალტფსიქოლოგიის) ასპარეზზე გამოსვლა ფსიქოლოგიური მეცნიერების *ღია კრიზისის* ეპოქაში შესვლას მოასწავებდა [5]. პრინციპულად ახალი მიმართულების გაჩენა განაპირობა ცნობიერების ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიურმა შეზღუდულობამ, მეთოდიკურმა არასანდოობამ და პრაქტიკულმა არაპროდუქტიულობამ. XX საუკუნის დასაწყისისთვის ცნობიერების კლასიკურმა ფსიქოლოგიამ, ფაქტობრივად, ამოწურა თავისი ევრისტიკული შესაძლებლობები. იგი ფსიქიკურ სინამდვილეში შეღწევას მხოლოდ ინტროსპექტიული გზით ცდილობდა. აქ არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, რომ თვითდაკვირვება ექსპერიმენტულ სიტუაციაში მიმდინარეობდა (სტრუქტურული და ფუნქციონალური ფსიქოლოგია, გრაცისა და ვიურცბურგის სკოლა [1]). ეს ფსიქოლოგია მაინც ვერ შედგა სრულფასოვან საბუნებისმეტყველო დარგად, რომელიც თავის კვლევას მხოლოდ დაკვირვებად და გაზომვად მონაცემებზე დააფუძნებდა. ბიჰევიორისტები ამტკიცებდნენ, რომ მიზეზშედეგობრივი S-R კავშირების შესწავლა, რომელთაგანაც, მათი რწმენით, შედგება ცხოველისა და ადამიანის ქცევა, ისეთსავე მყარ და პროგნოზირებად კანონზომიერებებს დაადგენდა, როგორც ეს ქიმიასა და ფიზიკაშია [17]. ამდენად, ბიჰევიორიზმის მიერ ინტროსპექტიული ფსიქოლოგიის კრიტიკა საკმაოდ სამართლიანი და დროული იყო. ობიექტური მეთოდების დანერგვა და ქცევის კატეგორიის ფსიქოლოგიის ცენტრალურ კატეგორიად გამოცხადებაც, თავისთავად, პროგრესულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ ბიჰევიორიზმი მეორე უკიდუ-

---

[1] ბიჰევიორიზმი მაინც წმინდა ამერიკული მოვლენა იყო და ევროპაში ყოველთვის გაცილებით ნაკლები პოპულარობით სარგებლობდა.

[2] ფსიქოლოგიის ისტორიკოსების გადმოცემით, ცნობილი ფსიქოლოგი ვ. მაკდაუგოლი, ბიჰევიორიზმის ერთ-ერთი ძირითადი და მკაცრი ოპონენტი, თავის კომენტარებში ბიჰევიორიზმის გამაოგნებელი წარმატების მიზეზების შესახებ ირონიულად შენიშნავდა, რომ სტრუქტურალიზმის საპირისპიროდ, ბიჰევიორიზმი ადვილად გასაგები და მარტივი იყო. უოთსონი ერთი ხელის მოსმით აუქმებდა ცნობიერებასთან დაკავშირებულ თავსატეხ პრობლემებს, რომელთაც არცთუ დიდი წარმატებით ეჭიდებოდნენ უდიდესი ინტელექტუალები. უოთსონი მოუწოდებდა, უბრალოდ დაევიწყებინათ ისინი, ზურგი შეექციათ მათთვის. ეს მადლიერების გრძნობით აღავსებდა სტუდენტებს, რომელთაც გამოცდები ჰქონდათ ჩასაბარებელი [21].

რესობაში გადავარდა. მან საერთოდ მოსწყვიტა ერთმანეთს ქცევა და ცნობიერება. ცნობიერების ფსიქოლოგიის მანკიერებათა დაძლევა სრულებითაც არ გულისხმობს ქცევისა და ცნობიერების დაპირისპირებას. სინამდვილეში საჭირო იყო ქცევის ისეთი გააზრება, რომ მასში ცნობიერების ადგილი და ფუნქცია მოძებნილიყო. ახალი ფსიქოლოგიის აშენება მხოლოდ ქცევისა და ცნობიერების (ფსიქიკის) კატეგორიების ურღვევი ერთიანობის საფუძველზე შეიძლებოდა. უოთსონისეულ ბიჰევიორიზმს, თავისი რადიკალურობის გამო, არ შეეძლო და არც უნდოდა, ამ მიმართულებით რაიმე პოზიტიური ნაბიჯი გადაედგა. ამ მხრივ უძლური იყო სტრუქტურალიზმიც. ბიჰევიორიზმი ქცევას ცნობიერების გარეშე განიხილავდა, სტრუქტურალიზმი – ცნობიერებას ქცევის გარეშე. ამ მიმდინარეობებს შორის შეურიგებელი დაპირისპირება არსებობდა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ უოთსონს პირველმა სწორედ სტრუქტურული ფსიქოლოგიის აღიარებულმა ლიდერმა ედვარდ ტიჩენერმა უპასუხა. იგი აღნიშნავდა, რომ მოტორული და ვისცერალური რეაქციები მოვლენათა სხვა რიგს განეკუთნება და არ შედის ფსიქოლოგიის სფეროში. ეს განცხადება იმ თეზისის დასაცავად გაკეთდა, რომლის მიხედვითაც ფსიქოლოგიის ერთადერთ საგანს ცნობიერების მოვლენები შეადგენდა. მართალია, იგი მიზნად არ ისახავდა ქცევისა და ცნობიერების მიმართების ახლებურ გააზრებას, მაგრამ არსებითად სწორი იყო. რეაქცია, რომელიც მოკლებულია ფსიქიკურ შინაარსს, მართლაც არ წარმოადგენს იმ მოვლენას (ქცევას), რომლითაც ფსიქოლოგია შეიძლება დაინტერესდეს. მოქმედებას ფსიქოლოგიურ ფაქტად სწორედ ეს შინაარსი აქცევს; სხვაგვარად იგი აქტივობის ფიზიოლოგიის ჩარჩოს ვერ გასცდება. უოთსონის მტკიცება, რომ S-R ფორმულით აღწერილი აქტივობა ფსიქოლოგიის შესწავლის საგანია, სერიოზულ საფუძველს მოკლებულია. გამღიზიანებელზე ყოველგვარი პასუხი (სამოძრაო და სეკრეტორული) შინაგანი, ანუ ფსიქიკური მომენტის გარეშე სხვა არაფერია, თუ არა *რეფლექსი*. უოთსონი უფსიქიკო ფსიქოლოგიაზე ოცნებობდა, მაგრამ ასეთი მეცნიერების დამკვიდრება ლოგიკურადაც შეუძლებელი იყო და ფაქტობრივადაც. დ. უზნაძის შენიშვნისა არ იყოს, ფსიქიკისგან დაცლილი „ბიჰევიორისტული ფსიქოლოგია, ძალაუნებურად, რეფლექსების მოძღვრებად იქცევა“ [2; 14].

ამ შეფასების სამართლიანობას მთლიანად ადასტურებს *ობიექტური ფსიქოლოგიის* განვითარების ისტორია რუსეთში. ამგვარი ფსიქოლოგიის ჩამოყალიბება პავლოვმა და ბეხტერევმა უოთსონზე ადრე სცადეს. პირობით რეფლექსებს ივანე პავლოვი (1849-1936) თავდაპირველად ფსიქიკურს უწოდებდა, ხოლო პირობითრეფლექტორულ ქცევას ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის შესწავლის სფეროდ განიხილავდა. თავის მოხსენებას მადრიდის საერთაშორისო სამედიცინო კონგრესზე, სადაც სამეცნიერო საზოგადოებამ პირველად შეიტყო მისი ექსპერიმენტების შესახებ, პავლოვმა უწოდა „ცხოველთა ექსპერიმენტული ფსიქოლოგია და ფსიქოპათოლოგია“ (1903). მაგრამ მან მალე ამოიღო ხმარებიდან ტერმინი „ფსიქოლოგია“ და თავის კვლევას, სავსებით მართებულად, უმაღლესი ნერვული სისტემის მოძღვრება დაარქვა. მიუხედავად ამისა, მან ბოლომდე შეინარჩუნა რწმენა, რომ პირობითი რეფლექსები იდუმალ ფსიქიკურ სამყაროში შეღწევის გასაღებია. პავლოვს მიაჩნდა, რომ მი-

სი შესწავლა სუბიექტური მეთოდებით უნაყოფოა. ერთადერთი გზა ფიზიოლოგიური (რეფლექტორული) კვლევაა. იგი ამბობდა: „ფსიქოლოგიისთვის ჩვენს გამოკვლევებს ძალზე დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეთ, რადგან მომავალში მათ უნდა შექმნან ფსიქოლოგიური ცოდნის ძირითადი საძირკველი" [7; 89].

ასეთსავე მეთოდოლოგიურ პოზიციაზე იდგა ელადიმერ ბეხტერევი (1857-1927). ტრადიციული ინტროსპექტიული ფსიქოლოგიის (ე.წ. სუბიექტური ფსიქოლოგია) საპირისპიროდ შექმნილ თავის სწავლებას მან ჯერ ობიექტური ფსიქოლოგია უწოდა (1904), შემდეგ ფსიქორეფლექსოლოგია (1910) და, ბოლოს, რეფლექსოლოგია (1917). ეს იყო დისციპლინა, რომელიც მონოდებული იყო შეესწავლა გარეგან (მათ შორის სოციალურ) და შინაგან გამღიზიანებლებზე საპასუხო რეაქციები [3]. აღნიშნული მიმართულება, ისევე როგორც მისი უფრო შერბილებული ნაირსახეობა რეაქტოლოგია (კ. კორნილოვი), ოცდაათიანი წლებისთვის წყვეტს თავის არსებობას [15].

იგივე ითქმის კლასიკურ ბიჰევიორიზმზე; მისი ტრანსფორმაციის საფუძველზე იქმნება *ნეობიჰევიორისტული* შეხედულებები, რომელთა უშუალო გავლენა ფსიქოლოგიაზე დღესაც შესამჩნევია. აქედან გამომდინარე, მართალი იყო უოთსონი, როდესაც ბიჰევიორისტულ მანიფესტში იწინასწარმეტყველა: მიუხედავად ახალშექმნილი მოძღვრების ხარვეზებისა, ეს „თვალსაზრისი დიდ გავლენას მოახდენს ფსიქოლოგიის იმ ტიპზე, რომელიც მომავალში განვითარდება" [11; 32]. ასეც მოხდა.

ლიტერატურა

1. იმედაძე ი., ფსიქოლოგიის ისტორია: დასაბამიდან ჩვენს დრომდე. მწიგნობარი, თბილისი, 2021.
2. უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია / შრომები, ტ. 3-4. მეცნიერება, თბილისი, 1964.
3. Бехтерев В. М., Объективная психология. Наука, М., 1991.
4. Бьерк В., Интеграции Лешли / Великие психологи. Феникс, Ростов-на Дону, 2000.
5. Гальперин П. Я., Введение в психологию. Университет, М., 2000.
6. Лихи Т., История современной психологии. Питер, СПб., 2003.
7. Павлов И. П., Полное собрание трудов. Т. 3. Изд-во АН СССР, М., 1949.
8. Торндайк Э. Л., Принципы обучения основанные на психологии / Основные направления психологии в классических трудах. Бихевиоризм. ООО "Изд-во АСТ-ЛТД", М., 1998.
9. Торндайк Э. Л., Процесс учения у человека. Учпедгиз, М., 1935.
10. Уотсон Д. Б., Психология как наука о поведении / Основные направления психологии в классических трудах. Бихевиоризм. ООО "Изд-во АСТ-ЛТД", М., 1998.
11. Уотсон Д. Б., Психология с точки зрения бихевиориста / Хрестоматия по истории психологии. Изд-во МГУ, М., 1980.
12. Уотсон Д. Б., Бихевиоризм / Хрестоматия по истории психологии. Изд-во Моск. ун-та, М., 1980.
13. Хегенхан Б., Олсон М., Теории научения. Питер, СПб., 2004.
14. Шульц Д. П., Шульц С. Э., История современной психологии. Евразия, СПб., 1998.

15. Ярошевский М. Г., История психологии. Мысль, М., 1985.
16. Boring E. G., History of experimental psychology. Appleton-Century-Crofts, New York, 1950.
17. Hunt M., The Story of Psychology. Anchor Books, New York, 2007.
18. Hergenhahn B. R., An introduction to the history of psychology. Wadsworth Publishing, Belmont, CA, 2009.
19. Leahey T. H., A history of psychology. Main currents in psychological thought. Prentice-Hall, New Jersy,1992.
20. Thordake E. L., Educational psychology: The psychology of lerning. Teachers College, New York, 1913.
21. Marks M. H., Hillix W. A., Sistems and theories in psychology. Harper, New York, 1963.
22. Watson J. B., Behaviorizm. Norton, New York, 1924.
23. Watson J. B., Autobiography / C. C. Marchinson (Ed.). A history of psychology in autobiography. Vol.1. Clark University Press, Worcester, Massachusetts, 1930.
24. Woodworth R. S., Contemporary schools of psychology. Holt, New York, 1948.

III თავი
მთლიანობის ფსიქოლოგია

ბიჰევიორიზმის პარალელურად ევროპაში, კერძოდ გერმანიაში, ყალიბდება ძლიერი მიმდინარეობა გეშტალტფსიქოლოგია, ანუ ბერლინის სკოლა. ბიჰევიორიზმისა არ იყოს, გეშტალტფსიქოლოგია გამოხატავს პროტესტს ტრადიციული ფსიქოლოგიის მიმართ და ძირფესვიანად ცვლის მიდგომებს ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიის, საგნისა და მეთოდის ზოგიერთი არსებითი ასპექტის მიმართ. მისი კრიტიკის ძირითადი სამიზნეა ასოციაციონისტური ფსიქოლოგიის ელემენტარიზმი და მექანიციზმი. ძველი ფსიქოლოგიის თვალსაზრისს, რომ ფსიქიკური მთლიანობები მეორეული და ელემენტებისგან შედგენილი მოვლენებია, გეშტალტფსიქოლოგიამ დაუპირისპირა თეზისი: მთელი პირველადია და თავად განსაზღვრავს ელემენტებს. ფსიქიკური *მთლიანობის* საკითხი, თავისთავად, ახალი არ იყო. ტრადიციული ფსიქოლოგიისთვისაც ცნობილი იყო, რომ ფსიქიკური ფენომენები ისეთი მთლიანობებია, რომელთა თვისებები არ გამოიყვანება შემადგენელი ელემენტების მექანიკური ჯამიდან. ამაზე მიანიშნებდა ჯონ სტიუარტ მილის „სულის ქიმია"; იმავეს გამოხატვას ცდილობდა ვილჰელმ ვუნდტი თავისი „შემოქმედებითი სითეზის" ცნებით, თუმცა გეშტალტფსიქოლოგიის კრიტიკის მახვილი სწორედ ვუნდტისა და მისი იდეების ნიადაგზე აღმოცენებული სტრუქტურალიზმის სკოლის წინააღმდეგ იყო მიმართული [5].

მთლიანობის პრობლემა უშუალო კვლევის საგანი გახდა ე.წ. *ავსტრიულ ანუ გრაცის სკოლაში* (XIX ს. 80-იანი და XX ს. 10-იანი წლები). მისი წარმომადგენლებია: ალექსიუს მაინონგი (1853-1920), კრისტიან ფონ ერენფელსი (1859-1932), შტეფან ვიტაზეკი (1870-1915), ვიქტორ ბენუსი (1878-1927). პირველად 1890 წელს ერენფელსმა შემოიტანა ტერმინი *გეშტალტთვისება* (გეშტალტკვალიტეტი)[1]. მის კვლევას ბიძგი მისცა ავსტრიელი ფილოსოფოსისა და ფიზიკოსის, ერნსტ მახის წიგნმა – „შეგრძნებათა ანალიზი" (1886), რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა იმდროინდელ ფსიქოლოგიაზე. ცალკეულ შეგრძნებებთან ერთად (ფერი, ბგერა და ა.შ.), მახი გამოყოფდა მათგან დამოუკიდებელ ფორმის შეგრძნებას (მაგალითად, გეომეტრიული ფიგურის წრეობა ცალკე შეგრძნებაა და არ გამოიყვანება სხვა შეგრძნებათა გაერთიანებიდან). ერენფელსმა ჩამოაყალიბა და გააღრმავა ეს ანალიზი. მისი თქმით, აღნაგობა (ვთქვათ კვადრატულობა ან მელოდიურობა) უშუალოდ განიცდება, ამიტომ ის ახალი ელემენტია, რომელიც სხვებთან ერთად არსებობს. გეშტალტთვისება გონებრივი აქტების მიერ შექმნილი, აღნაგობის გამომხატველი ახალი რთული ელემენტია. მისი სპეციფიკური ნიშანია *ტრანსპოზიცია ანუ გადატანა* – სხვა ტონალობაში დაკრული მელოდია იმავე მელოდიად რჩება, ისევე, როგორც კვადრატულობა არ იცვ-

[1] გერმანულად სიტყვა *გეშტალტი* ნიშნავს ფორმას, სტრუქტურას, მთლიანობით კონფიგურაციას.

ლება ხაზების ფერის ან სიდიდის ცვლილებასთან ერთად; მეორე ნიშანია *შინაგანი დასრულებულობა*. მართალია, გეშტალტკვალიტეტი ელემენტია, მას ელემენტების სისტემაში უფრო მაღალი ადგილი უკავია. მაინონგის მიხედვით, ფსიქიკური შინაარსები ორი სახისაა – *ფუძემდებელი (შეგრძნებები) და ფუძედებული (გეშტალტები)*. ეს უკანასკნელნი პირველთა საფუძველზე იქმნებიან სპეციალური *ფუძედების აქტების* (პროცესების) მეშვეობით [3]. აქ ნათლად ჩანს აქტების ფსიქოლოგიის ავტორის, ფრანც ბრენტანოს გაელენა, რომელიც ამ სკოლის დამაარსებელთა მასწავლებელი იყო [5]. ერთი სიტყვით, ავსტრიულმა სკოლამ მოამზადა გეშტალტფსიქოლოგია, მაგრამ იგი ვერ გასცდა ელემენტების ფსიქოლოგიას. გეშტალტთვისების გამოყოფა და იმის თქმა, რომ მთელი მეტია ნაწილზე, არ არის საკმარისი. ელემენტარისტული ორიენტაციის ძირფესვიანი შეცვლისთვის საჭიროა ითქვას, რომ მთელს პირველადობაც ეკუთვნის, რომ ის კიდევ ერთი ელემენტი კი არ არის, არამედ მთავარი და „უკანასკნელი მოცემულობაა", რომ ნაწილი (ელემენტი) მთელის ნაწილია, მისგან გამოიყოფა და მხოლოდ მასში პოულობს თავის მნიშვნელობას. ეს დებულებები პირველად ფორმულირებულ იქნა ვერთჰაიმერის წერილში „მოძრაობის ექსპერიმენტული შესწავლა" (1912), რომელიც გეშტალტფსიქოლოგიური მიმდინარეობის ათვლის წერტილად ითვლება.

გეშტალტფსიქოლოგიის სამი წამყვანი ფიგურა – მ. ვერთჰაიმერი, ვ. კელერი და კ. კოფკა ერთმანეთს 1910 წელს შეხვდნენ, მაინის ფრანკფურტში. ვერთჰაიმერის მოძრაობის აღქმის პრობლემას იკვლევდა, ხოლო კელერი და კოფკა მისი ცდისპირები იყვნენ და მასთან ერთად აანალიზებდნენ ექსპერიმენტულ მონაცემებს. **მაქს ვერთჰაიმერი** (1880-1943) დაიბადა პრაღაში; აქვე სწავლობდა სამართალს და ფილოსოფიას. ფსიქოლოგიური განათლება მიიღო ბერლინში (კარლ შტუმფთან) და ვიურცბურგში (ოსვალდ კიულპესთან). 1910 წლიდან იგი ფრანკფურტშია, ხოლო 1922 წელს ბერლინს უბრუნდება. სწორედ აქ მიაღწია გეშტალტფსიქოლოგიამ თავის ზენიტს და ამიტომაც ეწოდა *ბერლინის სკოლა*. 1933 წლიდან ვერთჰაიმერი ემიგრაციაშია ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ ნიუ-იორკში.

1912 წელს, ხსენებულ გამოკვლევაში, ვერთჰაიმერმა ეჭვი შეიტანა იმაში, რომ ცდაში გამოვლენილი აღქმის ხატების გამოყვანა შესაძლებელია პირველადი სენსორული ელემენტებიდან. ექსპერიმენტი ადასტურებდა, რომ ორი ერთნაირი გამღიზიანებლის (ერთმანეთთან ახლომდებარე ჰორიზონტალური და დახრილი განათებული ხაზი) ეკრანზე მიწოდების მონაცვლეობის სისწრაფე სხვადასხვაგვარ აღქმით ხატებს გვაძლევს: დიდი ინტერვალის შემთხვევაში – თანმიმდევრულად მოცემულ განცალკევებულ ხაზებს, მცირე ინტერვალის დროს – კუთხეს, ხოლო საშუალო ინტერვალისას – დახრილი ხაზის გადანაცვლებას ჰორიზონტალურ მდგომარეობაში. ეს მოჩვენებითი მოძრაობა, რომელსაც F-ფენომენი უწოდეს, ნამდვილ მოძრაობად აღიქმება და მისი დახასიათება უნდა მოხდეს ისე, როგორც ის განცდაშია მოცემული. სწორედ ეს გამოარჩევს ე.წ. *ფენომენოლოგიური თვითდაკვირვების მეთოდს*, რომელიც გეშტალტფსიქოლოგიური ექსპერიმენტული კვლევის მთავარ ინსტრუმენტად იქცა: აღვწეროთ გამოცდილება მის უშუალო მოცემულობაში, დაუმახინჯებლად, და არა ანალიტიკურად, ანუ მასში რაღაც ნაგულისხმევი ნაწილების გამოვლენის მიზ-

ნით, რაც ვუნდტისეული ექსპერიმენტული თვითდაკვირვებისთვის იყო დამახასიათებელი. ვერთჰაიმერის აზრით, აღწერილ განცდაში არ უნდა ვეძებოთ ელემენტები, მოძრაობა არ არის გამღიზიანებლებისა და მათი შესატყვისი შეგრძნებების სივრცითი სერია. მოძრაობა უნდა გავიგოთ როგორც მთლიანობა, გეშტალტი და არა როგორც „შეგრძნებათა კონა". სტიმულსა და ფენომენს შორის, ამ შემთხვევაში, არ არის ერთმნიშვნელოვანი შესაბამისობა. მოძრაობის ფსიქიკური ფენომენი სახეზეა, თუმცა ფიზიკურად საგანი არ მოძრაობს – იგი არ გაივლის სივრცეში ყველა იმ წერტილს, რომელთაგან წამოსული გაღიზიანება შეგრძნებების რიგის სახით უნდა მოგვეცეს, რათა მოძრაობა განვიცადოთ. სწორედ ასე ფიქრობდა ტრადიციული ფსიქოლოგია.

ტრადიციული ფსიქოლოგია *შეგრძნებათა კონსტანტობის ჰიპოთეზაზეა* აგებული. ეს ტერმინი კელერმა შემოიღო, მასვე ეკუთვნის ამ მეთოდოლოგიური პრინციპის დასაბუთებული კრიტიკა. ძველი ფსიქოლოგია იქიდან ამოდის, რომ ყველა გამღიზიანებელს თავისი შესაბამისი შეგრძნება მოსდევს. რთული გამღიზიანებლის თითოეულ შემადგენელ მომენტს თავისი შეგრძნებითი ელემენტი შეესაბამება და ამიტომ სახეზეა შეგრძნებათა კომპლექსი. მაგალითად, აკორდი ტონების კრებადობაა, ე.ი. აკორდის აღქმა ამ ტონების შესატყვისი შეგრძნებების შეერთების შედეგია. მაგრამ ხომ ფაქტია, რომ აკორდის აღქმა მარტივია, მასში არ განიცდება შესაბამისი შეგრძნებები. მიუხედავად ამისა, დაშვებულია, რომ ისინი აუცილებლად არსებობენ, რადგან კავშირი გამღიზიანებელსა (ტონი) და შეგრძნებას შორის უცვლელია (კონსტანტურია). ამ დოგმატური პოსტულატის გადასარჩენად სრულიად მიუღებელი ვარაუდები გამოითქმება, მაგალითად, ვარაუდი შეუმჩნეველი შეგრძნებების არსებობის შესახებ. ეს ხდება ცნობიერების ფსიქოლოგიის ფარგლებში, სადაც ამგვარი რამ არაგანცდადი განცდის დაშვების ტოლფასია.

რეალური, ფენომენოლოგიურად მოცემული გამოცდილება არ ადასტურებს კონსტანტობის ჰიპოთეზას. ფენომენოლოგიური მეთოდი, რომელსაც აღიარებს გეშტალტფსიქოლოგია, მოითხოვს ცნობიერების მოვლენების განხილვას თავის უშუალო, ნამდვილ მოცემულობაში; ცნობიერების მონაცემები, სახელდობრ აღქმები, ყოველგვარი წინასწარი დაშვების, მოსაზრებისა თუ დაკვირვების სქემის გარეშე უნდა იქნეს აღწერილი და განხილული. *ანალიტიკური ინტროსპექციით* აღჭურვილი ტრადიციული ფსიქოლოგია იქიდან ამოდიოდა, რომ აღქმა არ არის პირველადი მოცემულობა, რომ იგი შენაერთია და ამიტომ უნდა დაიშალოს ელემენტებად, დაყვანილ იქნეს შეგრძნებებზე. აქედან გამომდინარე, ლაბორატორიაში სწორედ შეგრძნებები, ანუ ანალიზის ხელოვნური ნაყოფი, შეისწავლებოდა. ფენომენოლოგიურ მეთოდზე დამყარებულ ახალ ფსიქოლოგიას აღქმა შეგრძნებიდან კი არ გამოჰყავს, არამედ პირიქით, თვლის, რომ განცდაში პირველადი მოცემულობა მთელს აქვს და არა ნაწილს. მთელი უშუალოდ განიცდება და ყოველგვარი პრიორიტეტიც მას ეკუთვნის. ძველი ფსიქოლოგიის ობიექტი *ნაწილი (შეგრძნება)* იყო, ახლის ობიექტია *მთელი (აღქმის ხატი)*. ფსიქიკის კანონები ნაწილის *(ასოციაციის) კანონები* კი არ არის, არამედ მთელისა, ისინი *გეშტალტკანონებია*. აქამდე გეშტალტი ფსიქოლოგიის ერთ-ერთი პრობლემა იყო: არსებობენ ფსიქიკური მთლიანობები და ისინი უნდა შევისწავლოთ. გეშტალტფსიქოლო-

გიაში მთლიანი ერთ-ერთი მოვლენა ან საკითხი აღარ არის, იგი ძირითადი კანონია, პრინციპია, რომლიდანაც ყველა სხვა ფსიქიკური ფენომენი უნდა იყოს გამოყვანილი და ახსნილი. ასეთია გეშტალტფსიქოლოგიის კრედო [4][17][29][30].

ექსპერიმენტული ფენომენოლოგიის მეთოდს აღიარებდნენ აგრეთვე ახალგაზრდა ფსიქოლოგები: დავიდ კაცი (1884-1953) და ედგარ რუბინი (1886-1951), რომლებიც ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ერთ-ერთ ცენტრში, გიოტინგენის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიურ ლაბორატორიაში მოღვაწეობდნენ, გეორგ ელიას მიულერის ხელმძღვანელობით. განიხილავდნენ რა აღქმას ფენომენოლოგიურად, ანუ წინასწარი სტერეოტიპების გარეშე, მათ აღქმის ხატში ახალი თვისებები და კანონზომიერებები აღმოაჩინეს. დ. კაცის გამოკვლევაში გამოიკვეთა აღქმის ხატის ისეთი თვისება, როგორიცაა *კონსტანტობა*. მაგალითად, ქაღალდის თეთრი ფერი უცვლელი რჩება განათების ფიზიკური პირობების ცვალებადობის მიუხედავად. ამასთან, რასაც გეშტალტფსიქოლოგიისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, კონსტანტობა ირღვევა, თუ ობიექტი მთლიანი სიტუაციის აღქმის ველიდან ამოვარდნილია, იზოლირებულია. მაშასადამე, აღქმის ეს თვისება მთლიანობითი ბუნებისაა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1915 წელს რუბინის მიერ ორმაგი მნიშვნელობის სურათების მეშვეობით *ფიგურა-ფონის ეფექტის* აღმოჩენას [26].

გეშტალტფსიქოლოგიის განვითარების პირველ ეტაპზე საკმაოდ მდიდარი ფაქტობრივი მასალა იქნა მოპოვებული. ამ მხრივ აღსანიშნავია კელერის გამოკვლევათა სერია ცხოველებზე. **ვოლფგანგ კელერი** (1887-1967) დაიბადა რეველში (ტალინი). საუნივერსიტეტო განათლება მიიღო ტიუბინგენში, ბონსა და ბერლინში. აქ კარლ შტუმფის ხელმძღვანელობით დაიცვა დისერტაცია სმენის ფსიქოლოგიის საკითხებზე; იმავდროულად, ეუფლებოდა ფიზიკას მაქს პლანკთან. 1910 წელს იგი ფრანკფურტშია, სადაც ხვდება ვერთჰაიმერსა და კოფკას. 1913 წელს პრუსიის აკადემიის მიწვევით ხდება კანარის კუნძულებზე განთავსებული ანთროპოიდების შემსწავლელი სადგურის დირექტორი. პირველი მსოფლიო ომის გამო აქ მას დიდი ხნით მოუწია დარჩენა, რამაც საშუალება მისცა, ფართო კვლევითი სამუშაო გაეშალა. გერმანიაში დაბრუნების მერე მან დაიკავა შტუმფის ადგილი ფსიქოლოგიური ინსტიტუტის ხელმძღვანელის პოსტზე. 1935 წლიდან, გეშტალტფსიქოლოგიის სხვა ლიდერების მსგავსად, იგი განერიდა ფაშიზმს და გადასახლდა შეერთებულ შტატებში, სადაც საკმაოდ წარმატებით მუშაობდა და ერთ ხანს ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაციის პრეზიდენტის მოვალეობასაც კი ასრულებდა.

კელერის პირველი გეშტალტფსიქოლოგიური გამოკვლევა ჩატარდა ქათმებზე და ეხებოდა ტრანსპოზიციის ფენომენის შესწავლას. მას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა მთელისა და ელემენტის ურთიერთმიმართების ბუნების ცხადყოფის კუთხით. ქათმებს ავარჯიშებდნენ, რომ საკენკი აეკენკათ იმ კვადრატიდან, რომელიც უფრო ნათელი იყო ორ მოცემულ კვადრატს შორის. კრიტიკულ ცდაში მათ მიეწოდებოდა კვადრატების წყვილი, სადაც შეჩვეული ფერის კვადრატი მეორეზე უფრო მუქი იყო. ქათმები ამ მეორეს ირჩევდნენ, ე.ი. უფრო ნათელს. ეს ცდები ადასტურებს, რომ მნიშვნელობა აქვს მიმართებას, მთლიან სტრუქტურას და არა ელემენტს, მის აბსო-

ლუტურ თვისებას (განათების კონკრეტულ ხარისხს). ის გარემოება, რომ ეს ეფექტი გამოვლინდა ქათმებთან, მიუთითებს აღქმის სტრუქტურების პირველად და პრიმიტიულ ხასიათზე. სტრუქტურული მთლიანი არ არის მაღალი ფსიქიკური ფუნქციების ჩარევის შედეგი; ის არაა ინტელექტიდან, „შემოქმედებითი სინთეზიდან" (ვ. ვუნდტი) ან რაიმე მსგავსიდან ნაწარმოები თვისება. შემდგომ შრომაში – „ადამიანის მსგავსი მაიმუნების ინტელექტის გამოკვლევა" (1917), კელერმა განაზოგადა ანთროპოიდების კვლევისას მიღებული შედეგები. ეს კლასიკური მონოგრაფიაა. მასში ჩამოყალიბებულია მოსაზრებათა სისტემა ამოცანის გადაწყვეტის პროცესის შესახებ, რომელიც აღქმის სტრუქტურის შეცვლის, ანუ ახალი გეშტალტის წარმოქმნის მექანიზმს ეფუძნება.

1921 წელს **კურტ კოფკამ** (1886-1941) გამოაქვეყნა წიგნი „ფსიქიკური განვითარების საფუძვლები", რომელშიც სტრუქტურის პრინციპზე დაყრდნობით განიხილა ფსიქიკური განვითარების ფაქტები ფილოგენეზსა და ონტოგენეზში. კოფკას აზრით, განვითარება გეშტალტების ნარმოქმნა, დიფერენცირება და ამ სტრუქტურებს შორის კავშირების დამყარებაა. სულ პატარა ბავშვის სამყაროც ერთგვარად გეშტალტიზებულია, მაგრამ მისი გეშტალტები ნაკლებად სტრუქტურირებულია და ისინი განმხოლოებულნი არიან. ვინაიდან გეშტალტის ფორმირებისა და ტრანსფორმაციის პროცესს გარესამყაროს აღქმა განაპირობებს, სწორედ ის წარმოადგენს წამყვან ფუნქციას ფსიქიკურ განვითარებაში. აღქმის ძირითადი ნიშნები (კონსტანტობა, საგნობრიობა, სიზუსტე) თანდათან ყალიბდება, გეშტალტიზაციის თვისების მომწიფებასთან ერთად. თავის ლაბორატორიულ კვლევებში კოფკამ აჩვენა, რომ თავდაპირველად ბავშვს გარე სამყაროს ერთობ ბუნდოვანი და არცთუ ადეკვატური სურათი აქვს. ასეთია, მაგალითად, სხვა ადამიანის ხატი ახალშობილთან. ამ გეშტალტში შედის სახე, თმა, ხმა, სუნი, მოძრაობები და სხვა. ამიტომ თოთო ბავშვმა შეიძლება ვერც იცნოს ახლობელი ადამიანი, თუ ის შეიცვლის ვარცხნილობას ან ჩვეულ ტანსაცმელს. რამდენიმე თვეში ვითარება იცვლება, ეს დიფუზიური საერთო წარმოდგენა დიფერენცირდება; ადამიანის სახე ცალკე გეშტალტად გამოიყოფა და მისი ნაკვთები ამ საერთო სტრუქტურაში ერთიანდება; ჩნდება ხმასთან, მიმიკა-პანტომიმკასთან დაკავშირებული სტრუქტურები. იგივე ითქმის ფერების აღქმის შესახებ. თავდაპირველად ბავშვები აღიქვამენ გარემოს მხოლოდ როგორც შეფერილს და უფეროს; უფერო განიცდება ფონად, შეფერილი – ფიგურად. თანდათან შეფერილობის გეშტალტი დიფერენცირდება თბილ და ცივ ფერებად; უფრო მოგვიანებით კი თბილი ფერის მთლიან სტრუქტურაში გამოიყოფა ყვითელი და წითელი, ხოლო ცივისაში – მწვანე და ლურჯი. საწყისი დიფუზიური გეშტალტის დიფერენცირება გრძელდება იქამდე, ვიდრე ყველა ფერის სწორი აღქმა არ ჩამოყალიბდება.

ონტოგენეტური განვითარების კიდევ ერთი ხაზი აღქმითი და ქცევითი, ანუ *სენსომოტორული სტრუქტურების* განმტკიცება და გართულებაა. სენსომოტორული სტრუქტურები ნამდვილად ერთიანი და მთლიანი წარმონაქმნებია – მათი ნაწილებად დაშლა გამარტივების, უკუსვლის ტოლფასია. ამრიგად, ამ შემთხვევაშიც გეშტალტი პირველადია. ოღონდ აქ უკვე ლაპარაკია არა ერთი სფეროს (მაგალითად,

აღქმის) შიგნით, არამედ ორი სფეროს კავშირის გამომხატველ მთლიანობაზე. კოფკა იხილავს ასეთი კავშირების შემთხვევებს, ვთქვათ ბგერაზე თავის მობრუნების ან ტაცების პროცესს და ასაბუთებს სენსომოტორული მთლიანობის არსებობას. აქ სახეზეა არა სენსორული და მოტორული ერთეულების ასოციაციური კავშირი, არამედ კომპონენტების ერთიანობა ახალი სტრუქტურული მთლიანობის, ანუ გეშტალტის შიგნით [19].

1921 წელს გეშტალტფსიქოლოგიური ტრიუმვირატი აარსებს თავის საკუთარ ჟურნალს „ფსიქოლოგიური გამოკვლევები", სადაც იბეჭდება ვერთჰაიმერის საპროგრამო წერილები გეშტალტფსიქოლოგიის შესახებ. ამ წერილებში, კელერის 1929 წელს გამოსულ წიგნში – „გეშტალტფსიქოლოგია" [29] და კოფკას 1935 წლის მონოგრაფიაში – „გეშტალტფსიქოლოგიის პრინციპები" [30] ჩამოყალიბებულია ამ თეორიის ძირითადი შინაარსი. გეშტალტფსიქოლოგების პუბლიკაციებზე მსჯელობისას უთუოდ უნდა აღინიშნოს კელერის შრომა – „ფიზიკური გეშტალტები მოსვენებულ და სტაციონარულ მდგომარეობაში" (1920), რომელშიც განხილულია პრინციპული მეთოდოლოგიური პრობლემები და მოცემულია ე.წ. *იზომორფიზმის კონცეფცია*. აქ გეშტალტის იდეა ფსიქოლოგიის საზღვრებს სცდება და ზოგადმეცნიერული პრინციპის სახეს იღებს. მთლიანობა სამყაროს (მატერიალური, ცოცხალი, სულიერი) არსებობის პრინციპად და ძირეულ თვისებად არის მიჩნეული. ფიზიკური, ფიზიოლოგიური და ფსიქიკური მოვლენების ურთიერთმიმართების გააზრებას კელერი სწორედ ამ პრინციპების საფუძველზე ცდილობს.

საკითხი ფსიქიკურის ფიზიოლოგიური კორელატის შესახებ არსებითია გეშტალტფსიქოლოგიისთვის. აქ გავრცელებული თვალსაზრისის თანახმად, ფსიქიკურის თვისებები (პირველ რიგში, მთლიანობა) განისაზღვრება მისი ფიზიოლოგიური რეპრეზენტანტის ანალოგიური თვისებებით. ასე დასვა საკითხი ვერთჰაიმერმა F-ფენომენის ინტერპრეტაციისას. მისი აზრით, გაღიზიანებასა (შეგრძნებას) და მოძრაობის აღქმის ფსიქიკურ ფენომენს შორის ჩართულია სპეციფიკური *შუა პროცესი* ტვინში. ამასთან, აუცილებელი არ არის, რომ ყოველ გაღიზიანებას აუცილებლად კონკრეტული აგზნება შეესაბამებოდეს. ცალკეული გაღიზიანებით გამოწვეული აგზნება სცდება თავის ფარგლებს, „იღვრება გარემოში" გარკვეული შარავანდის სახით. როდესაც ორი სხვადასხვა წერტილი, a და b, თანმიმდევრულად გაღიზიანდება, ამ ორის შარავანდს შორის ერთგვარი „ფიზიოლოგიური მოკლე ჩართვები" ხდება. ამას მოჰყვება ორ წერტილს შორის არსებულ სივრცეში აგზნების პროცესის „გადადინება" a-დან b-ში. ეს შეხედულება გეშტალტფსიქოლოგიის პირველი ნაბიჯია – აქ ჯერ არ მომხდარა ელემენტარიზმის ნამდვილი დაძლევა. შუა პროცესი მაინც ცალკეული აგზნებებით არის გამოწვეული. ის ნამდვილი, იმთავითვე მოცემული მთლიანობა კი არ არის, არამედ მეორეული გაერთიანებაა, რომელიც განმხოლოებული აგზნებების ურთიერთგადადინებით ხორციელდება. მთლიანი ფსიქიკური პროცესის მთლიანი ფიზიოლოგიური კორელატის ჩვენების ამოცანა დასმულია, მაგრამ არ არის გადაწყვეტილი. სწორედ ამ საქმეს მოჰკიდა ხელი კელერმა აღნიშნულ წიგნში.

კელერი ამოდის იქიდან, რომ სამყაროში ყველა პროცესი გეშტალტურია. გეშტალტი უნივერსალური პრინციპია. ფსიქიკის ახსნა ნიშნავს მისი შესატყვისი (იზომორფული) მთლიანი პროცესის მონახვას ტვინში, რომელსაც, თავის მხრივ, შეესაბამება ფიზიკური პროცესი [16][17]. კელერს ფიზიკოსის განათლება საშუალებას აძლევს, თავისუფლად ილაპარაკოს მაქსველისა და ფარადეის მიერ აღმოჩენილ ველებზე. იგი უშვებს მათ არსებობას ტვინში. თვით ელემენტარული პროცესიც მთლიანია – ერთ ადგილას მომხდარი ცვლილება პრაქტიკულად მთელი სისტემის რეაქციას და ცვლილებას იწვევს. ელექტრომაგნიტურ ველს თავისი სტრუქტურა აქვს. ის არ იყოფა სეგმენტებად და არ შედგება ნაწილებისგან, რადგან მისი სტრუქტურული მომენტები ერთმანეთისმიერნი არიან: მომენტი მთლიანისმიერია, მთელი – მომენტისმიერი. მაშასადამე, ფიზიკურ სამყაროში არსებობს მოვლენები, რომელთაც გეშტალტის თვისება აქვთ. ახლა უკვე შესაძლებელი ხდება ფსიქიკურის ფიზიოლოგიური კორელატის ნამდვილად მთლიან, გეშტალტურ ბუნებაზე ლაპარაკი. გეშტალტის აღქმისას პერცეპტულ აპარატში (თვალის ბადურაზე) იმთავითვე მთლიანი პროცესი ჩნდება და შემდგომში ამავე სახით ცენტრალურ სფეროზე გადადის. მთელი ოპტიკური სექტორი, პერიფერიიდან ცენტრამდე, ერთი მთლიანი გეშტალტური ველია, ისეთივე, როგორიცაა, მაგალითად, მაგნიტური ველი. ფიზიოლოგიური გეშტალტური პროცესები ფიზიკურ-ქიმიური პროცესების, ე.ი. ფიზიკური გეშტალტების, იზომორფულია. თუ ადამიანი აღიქვამს თეთრ წრეს რუხ ფონზე, ეს იმას ნიშნავს, რომ ტვინში არსებობს წრის ფორმის მქონე შემოზღუდული არე. ამ ფიგურის კონტურებზე სპეციფიკური ელექტრული ძალები მოქმედებენ. ისინი უფრო ძლიერნი არიან, ვიდრე მათ გარშემო არსებული ელექტრული ველი, რომელიც რუხ ფონს შეესაბამება. ენერგიის სიმკვრივე ტვინის არეში, რომელიც შეესაბამება ფიგურას, ყოველთვის უფრო მაღალია, ვიდრე ფონის არეში – ამბობს კელერი. აქედან გამომდინარეობს ფიგურა-ფონის ფენომენოლოგია: ფიგურა უფრო გამოკვეთილია, საგნობრივია; კონტური ფიგურას ეკუთვნის, ველის არე კი ფონს; ფიგურა უფრო გეშტალტურია. ასე ხსნის იზომორფიზმის კონცეფცია გეშტალტფსიქოლოგიის ერთ-ერთ ძირითად კანონს – *ფიგურა-ფონის კანონს.*

კიდევ ერთი კანონი, ე.წ. *პრეგნანტობის კანონი,* უკეთესი გეშტალტისკენ, დასრულებული და კარგი ფორმისკენ სწრაფვაში გამოიხატება. ფიზიოლოგიის სფეროში მასაც თავისი შესაბამისი ტენდენცია მოეპოვება, რომელიც, თავის მხრივ, ფიზიკაში ცნობილი ენერგიის მინიმუმის, ენთროპიის პრინციპზეა დაფუძნებული. ცნობილია, რომ, თუ რთულად დახვეულ ლითონის მავთულში ძლიერ დენს გავატარებთ, ეს ფიგურა იქამდე იმოძრავებს, ვიდრე უმარტივეს და ეკონომიურ (წრისებრ) ფორმას არ მიიღებს. ამგვარად, ფსიქიკურ ტენდენციას აქაც პარალელური ფიზიკური ტენდენცია ახლავს და ასეა ყველგან. კელერის იზომორფიზმის თეორია ფსიქოფიზიკური და ფსიქოფიზიოლოგიური პარალელიზმის გეშტალტფსიქოლოგიური ვარიანტია.

აღნიშნული გეშტალტიზაციის კანონები, ფაქტობრივად, აღქმის კანონებია, ვინაიდან ისინი აღქმის სფეროში ჩატარებული მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტებით არის დადგენილი. ამ გამოკვლევებით დამტკიცდა, რომ აღქმა გეშტალტურია, მთლი-

ანია. პირველადი განცდა მთელის განცდაა, ხოლო ნაწილები მთლიანით განისაზღვრება და მისგან გამოიყვანება. ელემენტი ნაწარმოები, მეორეული განცდაა. ამას ადასტურებს სხვადასხვა ილუზიის ეფექტები, მაგალითად, ზანდერ-ფუქსის ილუზია, სადაც მოყვითალო-მომწვანო წრე ხან მწვანედ განიცდება, ხან ყვითლად, იმის მიხედვით, თუ რა ფერის წრეებს შორისაა ის მოთავსებული. იმავეზე მეტყველებს მიულერ-ლაიერის ცნობილი ილუზია, სადაც დიდი გეშტალტის შემადგენლობაში შესული ხაზი დიდად გვეჩვენება, და პირიქით.

გეშტალტის ჰეგემონია ნაწილებზე იმდენად დიდია, რომ გარკვეულ დონემდე ის დამოუკიდებელი ხდება სენსორული მასალისგან, ნაწილებისგან: შეგრძნების მასალა იცვლება, აღქმის გეშტალტი კი უცვლელი რჩება. მაგალითად: შესაძლებელია მელოდიის შესრულება სხვადასხვა ოქტავაში, სამკუთხედის გამოსახვა სხვადასხვა ფერით და ა.შ. ამ მოვლენას, როგორც აღინიშნა, გეშტალტის ტრანსპონირება ეწოდება. გეშტალტს ახასიათებს *შევსებულობა, სისრულე;* გარკვეულ ფარგლებში მას ვერ არღვევს ხარვეზები. ხარვეზი აღქმაში ივსება, ამიტომ ვერ ვამჩნევთ გამოტოვებულ ასოებს სიტყვაში, ხაზის წყვეტას სამკუთხედში და სხვ. ამ მოვლენას *ამპლიფიკაცია* ეწოდება. მისი გამოვლინებაა ე.წ. *დაუმთავრებლობის განცდა.* ის მაშინ ჩნდება, როცა ჩვენ ვამჩნევთ ხარვეზს და განცდაში მისი შევსების, დასრულების ტენდენცია აღმოცენდება. ეს სპეციფიკური, დაძაბულობის იერის მქონე და მისწრაფების ტენდენციის შემცველი განცდაა (მაგალითად, უეცრად შეწყვეტილი მელოდიის დასრულების სურვილი). დაუმთავრებლობის ფენომენის ეს მოტივაციური ასპექტი შემდგომში კვლევის საგანი გახდა კ. ლევინის სკოლაში, რომელიც გეშტალტფსიქოლოგიის საფუძველზე აღმოცენდა (იხ. VI თავი).

აღწერილ ფენომენებს სათანადო გეშტალტფსიქოლოგიური კანონები შეესაბამება, მაგრამ ძირითად კანონებად პრეგნანტობისა და ფიგურა-ფონის კანონები რჩება. აღქმის და, განსაკუთრებით, მხედველობის ველი იყოფა ფიგურად და ფონად. ფიგურა დახშულია, გაფორმებულია, დაკონკრეტებულია, წინ არის წამოწეული; ფონი განიცდება დიფუზიურად, ნაკლებ დანაწევრებულად, ის ფიგურის უკანაა, უფრო დიდია და ცუდად არის ლოკალიზებული [18]. რუბინის ორმაგ ფიგურებში ფიგურა-ფონის მონაცვლეობის განცდა ამ ფენომენოლოგიას ადასტურებს.

პრეგნანტობა აღქმის კონსტიტუციური პრინციპია. ყოველი გეშტალტი თავის დამახასიათებელ სტრუქტურულ ნიშნებს გამოკვეთს. გეშტალტი მიისწრაფვის მისთვის დამახასიათებელი ფორმის პრეგნანტული ანუ გამოკვეთილი, მკვეთრი, ზუსტი ჩამოყალიბებისკენ, ე.ი. კარგი გეშტალტისკენ. ამიტომ ხელით გავლებული ხაზი სწორი გვეჩვენება, წრე კი მრგვალი; საათის ნიკნიკს 3-4 ტაქტიან რიტმებად ვყოფთ (რიტმი კარგი გეშტალტია); 90 გრადუსით მოღუნულ რკალს მართ კუთხედ აღვიქვამთ და ა.შ.

ვერთჰაიმერისა და კელერის ცდებით დადგინდა ის ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ გეშტალტიზაციის პროცესს, ანუ ნაწილების გაერთიანებას მთელში. ესენია: სიახლოვე, მსგავსება, შინაგანი კუთვნილება, დახშულობა, უწყვეტობა, მდებარეობა ან განლაგება ერთმანეთის მიმართ, დისპოზიცია ანუ განწყობა, გამოცდილება[8][9][25][28].

გეშტალტის კანონები აღქმის მასალაზეა დადგენილი და, ბუნებრივია, რომ გეშტალტფსიქოლოგიამ, მთლიანობის იდეის გათვალისწინებით, აღქმის პროცესი სრულიად ახლებურად დაახასიათა. ეს ნოვაცია არ შემოიფარგლა აღქმის სფეროთი და სხვა ფსიქიკურ პროცესებზეც გავრცელდა. საფუძვლიანად შეიცვალა რეპროდუქციის და, საერთოდ, *მეხსიერების* მოვლენების გააზრებაც. ტრადიციულ ფსიქოლოგიაში ეს ასოციაციის მექანიზმის გამოყენებით ხდებოდა. ითვლებოდა, რომ ერთი წარმოდგენა მეორის მოგონებას ასოციაციის რეპროდუქციის ტენდენციის გამო იწვევს. გეშტალტთეორიის მიხედვით, ერთდროული წარმოდგენები მთლიანი სტრუქტურის ნაწილებად განიხილება და ერთის მიერ მეორის გამოწვევა ამ სტრუქტურის განახლების ტენდენციითაა განპირობებული. მაშასადამე, მეხსიერებაშიც გეშტალტის დასრულების კანონი მოქმედებს. საჩვენებლად შეიძლება თუნდაც ვულფის ექსპერიმენტებზე მითითება, სადაც ცდისპირებს გეომეტრიული ნახაზების აღქმის მერე მათ აღდგენას სთხოვდნენ. გამოირკვა, რომ მოგონების პროცესში მეხსიერების წარმოდგენები გარკვეულ ცვალებადობას განიცდიან და ეს ცვლილება გეშტალტის გამოკვეთის მიმართულებით წარიმართება. ამრიგად, დამახსოვრების, რეპროდუქციის და დავიწყების პროცესებიც გეშტალტკანონებს ექვემდებარება.

გეშტალტური კანონზომიერებები *აზროვნების* სფეროშიც მოქმედებენ. ე.წ. *აზრ-გეშტალტები* აღქმის გეშტალტებს ენათესავება, თუნდაც იმიტომ, რომ აზროვნება სივრცით და სენსომოტორულ სქემებს იყენებს და ხშირად იმის გარჩევაც კი ძნელია, ეს აღქმის გეშტალტია თუ აზროვნებისა. მაგრამ გეშტალტფსიქოლოგები უფრო შორს მიდიან და უშვებენ, რომ „ლოგიკური კავშირები გეშტალტკავშირებია, ლოგიკური პროცესები – მსჯელობა, დასკვნა და სხვა – გეშტალტპროცესები“ [10; 281].

აზროვნების შესწავლა გეშტალტფსიქოლოგიაში საკმაოდ ადრე დაიწყო. მას დასაბამი დაუდო კელერის ზემოხსენებულმა გამოკვლევამ შიმპანზეების ინტელექტის შესახებ. მის გახმაურებულ ექსპერიმენტებში მაიმუნებს უქმნიდნენ პრობლემურ სიტუაციას, რომელშიც მიზნის მიღწევა (საკვების მოპოვება) პირდაპირი გზით შეუძლებელი იყო და ამისთვის უნდა მიემართათ შემოვლითი გზისთვის. მათ უნდა გამოეყენებინათ სხვადასხვა საგანი, რომლებიც იარაღის ფუნქციას ასრულებდნენ, მაგალითად ჯოხი ბანანის ხელში ჩასაგდებად. ცდის უფრო რთულ ვარიანტებში (ე.წ. ორფაზიანი ამოცანები) მიზნის მისაღწევად ჯერ იარაღის მოპოვება ან შექმნა იყო საჭირო. მაგალითად, მოკლე ჯოხის საშუალებით მაიმუნს უნდა მიეზიდა გალიის გარეთ მდებარე უფრო გრძელი ჯოხი და მისი საშუალებით მისწვდომოდა ბანანს; ძალიან გართულებულ სიტუაციაში საჭირო იყო გრძელი ჯოხის შექმნა ორი არასაკმარისი სიგრძის ბამბუკის ჯოხის ერთმანეთში ჩარჭობით. ცდებმა აჩვენა, რომ პირდაპირი გზით ამოცანის გადაწყვეტის უშედეგო მცდელობის შემდეგ მაიმუნები წყვეტენ უაზრო მოქმედებას, გარკვეული ხანი აკვირდებიან სიტუაციას და მერე უცებ ასრულებენ სწორ მოქმედებას.

კელერის ინტერპრეტაციით, ამ ცდებში საქმე გვაქვს ინსაიტის მოვლენასთან. *ინსაიტი* – ამოცანის უცაბედი გადაწყვეტა, მიხვედრაა. აღწერილ შემთხვევაში ეს ნიშნავს მაიმუნის მიერ პრობლემური სიტუაციიდან თავის დასაღწევად აუცილებე-

ლი საგნობრივი მიმართებების უცაბედ წვდომას. ამოცანის ასეთი გადაწყვეტა ნამდვილ აზროვნებად არის მიჩნეული და იგი უპირისპირდება პროცესის ბიჰევიორისტულ, სახელდობრ, თორნდაიკისეულ ინტერპრეტაციას. თორნდაიკის ექსპერიმენტებში პრობლემური გალიიდან გამოსვლის ამოცანა თანდათანობით, მრავალი ცდისა და შეცდომის გავლით წყდება. კელერის აზრით, იქ ცხოველი ისეთ სიტუაციაშია მოქცეული, რომ იძულებულია, იაროს ბრმა დასწავლის გზით, რადგან მოკლებულია შესაძლებლობას, აღიქვას პრობლემის ყველა მნიშვნელოვანი ელემენტი. ინსაიტი შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, თუ სიტუაციის მთელი სტრუქტურა სახეზეა. კელერის ცდებში ინსაიტი აღქმის სტრუქტურის ელემენტებს შორის ისეთი მიმართებების წვდომაა, რომლებიც მანამდე გათვალისწინებული არ იყო. ინსაიტი, ფაქტობრივად, ახალი გეშტალტის შექმნის ან, როგორც ავტორი ამბობს, გეშტალტის გადასტრუქტურების აქტია [15].

საზოგადოდ, ინსაიტისთვის რამდენიმე ნიშანია დამახასიათებელი, რომელთაგან უმთავრესია *უცაბედობა ან მყისიერება და ტრანსპოზიცია*. ეს უკანასკნელი არის პრობლემის გადაწყვეტის უკვე მიგნებული ხერხის გადატანა სხვა მსგავს პრობლემებზე. ტრანსპოზიციის ფენომენის შესწავლას დიდი ყურადღება დაეთმო გეშტალტფსიქოლოგიურ კვლევაში [24]. საერთოდ კი ინსაიტის ცნებამ გეშტალტთეორიაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი დაიკავა და საფუძვლად დაედო აზროვნების პროცესის ყველა გამოვლინების დახასიათებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ე.წ. *პროდუქტიული აზროვნების* კვლევა, რომელიც ვერთჰაიმერმა განახორციელა. კვლევის შედეგები განზოგადებულია წიგნში – „პროდუქტიული აზროვნება", რომელიც ავტორის გარდაცვალების მერე გამოქვეყნდა და მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაშრომად ითვლება [34]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროდუქტიული აზროვნების ნაყოფიერ კვლევას ეწეოდა, აგრეთვე, გეშტალტფსიქოლოგიასთან დაახლოებული გერმანელ-ამერიკელი ფსიქოლოგი კარლ დუნკერი (1903-1940) [14].

ვერთჰაიმერმა მდიდარი ემპირიული მასალის (ბავშვებსა და მოზრდილებზე დაკვირვებიდან მიღებული ექსპერიმენტული მონაცემები, დიდი აღმოჩენების ანალიზი, უაღრესად საგულისხმო საუბრები აინშტაინთან) ანალიზით შეისწავლა შემეცნებითი სტრუქტურების სახეცვლილების, ტრანსფორმაციის კანონზომიერებები. იგი მივიდა დასკვნამდე, რომ აზროვნების პროცესს პროდუქტიული, *შემოქმედებითი* ხასიათი აქვს და გულისხმობს საწყისი მასალის *ცენტრირების შეცვლას*, მის ახალ დინამიკურ მთლიანობად *რეორგანიზაციას ან სტუქტურირებას*. ამ ტერმინებით აღიწერება ინტელექტუალური მოქმედების ლოგიკურისგან განსხვავებული, რეალური ფსიქოლოგიური ასპექტები. ვერთჰაიმერმა გამოყო აზროვნების პროცესის რამდენიმე ეტაპი: 1) თემის წარმოქმნა, საკითხის დასმა. აქ აღმოცენდება საკითხზე „მიმართული დაძაბულობა", რომელიც მობილიზაციას უკეთებს ადამიანის შემოქმედებით ძალებს; 2) პრობლემის გაცნობიერება და სიტუაციის ყველა ნიუანსის ანალიზი. ამ ეტაპზე პრობლემური სიტუაციის მთლიანი წარმოდგენა ყალიბდება; 3) პრობლემის გადაჭრა, საჭირო სტრუქტურის მონახვა ინსაიტის გზით. სააზროვნო პროცესის ეს სტა-

დია, უპირატესად, არაცნობიერად მიმდინარეობს; 4) საშემსრულებლო სტადია, ანუ ამ სტრუქტურის შესაბამისი რეალიზაციის გზების გამონახვა.

ვერთჰაიმერი განსაკუთრებით აღნიშნავს ამოცანის პირობების შემცველი მონახაზის, *თვალსაჩინო სქემის* მნიშვნელობას. სქემის ადეკვატურობა განსაზღვრავს ამოცანის გადაწყვეტის პროცესის მიმართულებას და სისწრაფეს, პრობლემის სხვადასხვა ნიუანსების დანახვისა და, საბოლოო ჯამში, ახალი გეშტალტის შექმნის სიადვილეს. აზროვნება სწორედ ეს არის; იგი „სტრუქტურული თვისებებისა და სტრუქტურული მოთხოვნების დანახვაში, გაცნობიერებაში მდგომარეობს; ისეთი მოქმედებების შერჩევაში, რომლებიც ამ მოთხოვნებს შეესაბამებიან, მათ მიერ განისაზღვრებიან და, ამდენად, სიტუაციას ცვლიან მისი სტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით“ [10; 270]. რაც უფრო მეტ ახალ მნიშვნელობას იძენს სტრუქტურებში ჩართული საგნები, მით უფრო მრავალფეროვანია აზრითი გეშტალტები და ეფექტურია აზროვნება. გეშტალტების *გადასტრუქტურების* პროცესი უფრო ადვილად წარიმართება მაშინ, როდესაც მასალა თვალსაჩინოა. ვერბალური მასალის შემთხვევაში პროცესი რთულდება. ამიტომ ვერთჰაიმერი თვლის, რომ ლოგიკურ აზროვნებაზე ნაადრევი გადასვლა ხელს უშლის ბავშვის შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. იგივე ითქმის, სხვათა შორის, მასალის მექანიკურ გამეორებაზეც. მიუხედავად იმისა, რომ ვერთჰაიმერის დასკვნები აზროვნების მთელ პროცესს ეხება და ზოგად ხასიათს ატარებს, მისი გამოკვლევა, უპირატესად, „ვიზუალურ“ აზროვნებას უკავშირდება. აქ კვლავ გამოჩნდა ის პრიორიტეტული როლი, რომელსაც გეშტალტფსიქოლოგია აღქმას ანიჭებს.

რადგან სიტყვამ მოიტანა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გეშტალტფსიქოლოგების ყურადღების კონცენტრაცია პერცეფციის საკითხებზე ბუნებრივია და კანონზომიერი. გეშტალტფსიქოლოგები, პირველ ყოვლისა, ვუნდტის სისტემის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ამ უკანასკნელის მთავარი დასაყრდენი კი შეგრძნებებისა და აღქმის კვლევის შედეგები იყო. ამიტომ გასაგებია, რომ საკუთარი კვლევა მათაც ამ მიმართულებით წარმართეს, რათა ოპონენტი „საკუთარ მინდორზე“ დაემარცხებინათ [25]. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ პერცეპტული და, განსაკუთრებით, ვიზუალური პროცესების კვლევა ექსპერიმენტული ცვლადების მკაცრი გაკონტროლების საშუალებას იძლევა, რაც ისეთი მომთხოვნი ექსპერიმენტატორებისთვის, როგორებიც გეშტალტისტები იყვნენ, საკმაოდ წონიან გარემოებას ქმნიდა.

მთლიანობის იდეა ერთ-ერთი უმთავრესი იყო **ფელიქს კრიუგერის** (1874–1948) შემოქმედებაშიც. ვუნდტის გადადგომის მერე იგი სათავეში ჩაუდგა ლაიფციგის სახელგანთქმულ ფსიქოლოგიის ინსტიტუტს. აქ მისი თაოსნობით ჩამოყალიბდა ე.წ. *ლაიფციგის მეორე სკოლა* (იგულისხმება, რომ პირველი ვუნდტის სკოლა იყო), რომელშიც შედიოდნენ ისეთი თვალსაჩინო მკვლევრები, როგორებიცაა: ჰანს ფოლკელტი (1886–1945), აგრეთვე ფ. ზანდერი, ო. კლემი, ა. ვალეკი. ეს სკოლა გეშტალტფიქოლოგიის სკოლის პარალელურად არსებობდა 30-იანი წლების ბოლომდე. ამ შემთხვევაშიც ატომიზმთან დაპირისპირებულ მთლიანობის ფსიქოლოგიასთან გვაქვს საქმე.

თეორიული სისტემის ძირითადი ცნება *კომპლექს-კვალიტეტია,* მაგრამ კრიუგერი გეშტალტურობას არ თვლის ფსიქიკის უნივერსალურ თვისებად არც აღწერითი, არც ახსნითი თვალსაზრისით. არსებობს ფსიქიკური მთლიანობები, რომლებიც არ არიან გეშტალტური ბუნების, თუმცა ყოველი გეშტალტი მთლიანობაა. სწორედ აქ შემოდის კომპლექს-კვალიტეტის ცნება. იგი უფრო ფართოა, ვიდრე გეშტალტი. ეს უკანასკნელი კომპლექს-კვალიტეტის ერთ-ერთი გამოვლინებაა, მისი უმაღლესი საფეხურია. მასში ყველაზე მეტია შინაგანი დანაწევრებულობა, რაც განსაკუთრებით შემეცნებითი, კერძოდ, აღქმის ფენომენებისთვისაა დამახასიათებელი; მათ გეშტალტფსიქოლოგია იკვლევდა. ამავე დროს, მთლიანობის საწყისი ფორმის, კომპლექს-კვალიტეტის პირველი საფეხური არის *გრძნობა.* იგი *გენეტიკურად პირველადია;* ამიტომ მას ყოველგვარი ფსიქიკური შეიცავს. მთელი ფსიქიკა, მართალია, გრძნობა არ არის, მაგრამ, კრიუგერის თქმით, ის ყოველთვის გრძნობისმიერია, ანუ *ემოციურია.* პირველადი გრძნობისეული, დიფუზიური საწყისი ყველგანაა. გრძნობის ელფერის გარეშე განცდა არ არსებობს, ცნობიერებაში მოცემული განცდა შეუძლებელია, მთლიანად მოკლებული იყოს „გრძნობის სითბოს". აქ მნიშვნელოვანი ის არის, რომ გრძნობა მთლიანობის პროტოტიპია, *მისი არსი მთლიანობაა.* ფსიქიკური კომპლექსი მით უფრო მეტად ჰგავს გრძნობას, რაც უფრო ნაკლებად არის დანაწევრებული და სხვა განცდებისგან გამოყოფილი. ყველაზე დიფერენცირებულ ფსიქიკურში იგი, შესაძლოა, მხოლოდ ფონის სახით იყოს მოცემული; მეორე მხრივ, ორ მეზობელ კომპლექსს შორის ის იმარჯვებს, რომელშიც მეტი ოდენობით არის წარმოდგენილი გრძნობა. გრძნობა ფსიქიკის *დინამიკურობას განსაზღვრავს* [20].

ლაიფციგის სკოლა უფრო ფართოდ განიხილავს მთიანობას. იგი გამოყოფს ისეთ მთლიანობებს, სადაც შერწყმულია ემოციური და კოგნიტური (ე.წ. *გეშტალტკომპლექსები).* ასეთი სტრუქტურები გენეტიკურად პირველადია და მათ შესასწავლად, ფენომენოლოგიურ მეთოდთან ერთად, გენეტიკური მეთოდიც გამოიყენება. საერთოდ კრიუგერი თვლის, რომ სტრუქტურა მუდამ დაკავშირებულია განვითარებასთან, ვინაიდან განცდათა ყოველგვარი სირთულე განვითარების გზით არის მიღებული. ამის გამო, რაც უფრო რთულია ფსიქიკური მოვლენა, მით უფრო მეტად ხდება საჭირო *შედარებითი ანუ გენეტიკური მეთოდის* გამოყენება [3]. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ კრიუგერის სისტემას *განვითარების თეორია* ეწოდება. ლაიფციგის სკოლაში ჩატარებულმა ონტოგენეტურმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ცალკეული ფსიქიკური ფუნქციების, მათ შორის აღქმის, ფორმირება რთული, გაუდიფერენცირებელი *ემოციურ-კოგნიტური მთლიანობების* დიფერენცირების შედეგად ხდება. ამ ფაქტის დადგენა ლაიფციგის მკვლევრების დიდ მიღწევად არის შეფასებული [12]. აღსანიშნავია, რომ, რა შორსაც არ უნდა წავიდეს თავდაპირველი გეშტალტ კომპლექსის დიფერენციაცია, ის ყოველთვის ინარჩუნებს ემოციურისა და კოგნიტურის ერთიანობის გარკვეულ დონეს. ეს მოსაზრება ძალიან აქტუალურად ჟღერს, ვინაიდან თანამედროვე ფსიქოლოგიაში ნამდვილ ფსიქიკურ რეალობებად სწორედ ასეთ მთლიანობებს მიიჩნევენ. კომპონენტებად დაშლა (შემეცნება, გრძნობა, მოტივაცია) ან წმინდა სახის ფსიქიკური რომელობების გამოყოფა აბსტრაქციის შედეგია.

თუ გეშტალტფსიქოლოგიის კრიტიკის სამიზნე კლასიკური ფსიქოლოგიის ატომიზმი იყო, კრიუგერის სკოლისთვის ასეთი სამიზნე მისი ინტელექტუალიზმიცაა. მთლიანობის ფსიქოლოგიის ამ ვერსიაში ხაზგასმულია ფსიქიკური სამყაროს ემოციური ბუნება და ამით გეშტალტთეორიის კოგნიტივისტური ცალმხრივობაა დაძლეული. ლაიფციგის სკოლამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ფსიქოლოგიაში მთლიანობითი მიდგომის აღმოცენებასა და განმტკიცებაში [22].

კლასიკური ფსიქოლოგიის გარდა, საინტერესოა გეშტალტფსიქოლოგიის მიმართება ბიჰევიორიზმთან, ვინაიდან ეს ორი მიმდინარეობა ერთი ტიპის, კერძოდ, საბუნებისმეტყველო ფსიქოლოგიას მიეკუთვნება. ისინი გარკვეული დროის განმავლობაში ერთდროულად ვითარდებოდნენ და, ზოგ შემთხვევაში, საკმაოდ მძაფრად ეპაექრებოდნენ ერთმანეთს. აშშ-ში გეშტალტფსიქოლოგიის შესახებ ოციანი წლების დასაწყისში გაიგეს გეშტალტფსიქოლოგიის ჟურნალში გამოქვეყნებული ვერთჰაიმერის წერილებიდან. უკვე ამ დროს ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ნეობიჰევიორისტი ე. ტოლმენი ლაბირინთში ვირთაგვების ქცევის ახსნისას იყენებს ტერმინებს: „საგნობრივი გეშტალტი" და „გეშტალტნიშანი". 1924 წელს კორნელის უნივერსიტეტში ლექციებით ჩამოდის კოფკა, ხოლო ერთი წლის მერე ჰარვარდში კელერი. მალე კოფკა ამერიკაში დასახლდა და მუშაობა დაიწყო სმითის კოლეჯში. 30-იან წლებში, განერიდა რა ნაციზმსა და ანტისემიტიზმს, გეშტალტფსიქოლოგიურმა ტრიუმვირატმა შეერთებულ შტატებში გადაინაცვლა. აქ ისინი დაიქსაქსნენ და გეშტალტფსიქოლოგიამ, როგორც ერთიანმა სკოლამ, ფაქტობრივად, შეწყვიტა თავისი არსებობა [33].

ფსიქოლოგიის ისტორიკოსებს შორის არ არის ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი აზრი იმის შესახებ, თუ რა გავლენა მოახდინა გეშტალტფსიქოლოგიამ ამერიკულ ფსიქოლოგიაზე. ერთნი ფიქრობენ, რომ ეს გავლენა ერთობ მნიშვნელოვანი იყო. მათი აზრით, გეშტალტფსიქოლოგიას დიდი წვლილი მიუძღვის თავდაპირველი, კლასიკური ბიჰევიორიზმის გარდაქმნაში ნეობიჰევიორიზმად [21][26]. სხვათა შეფასებით, გეშტალტფსიქოლოგიური იდეების გავრცელება ამერიკაში რთულად მიდიოდა; იქ ბიჰევიორიზმის ზეობის ხანა იყო. ამ უკანასკნელისთვის კი გეშტალტფსიქოლოგია თავისი მენტალურობის, ფილოსოფიურობისა და გერმანული აზროვნების „დამძიმებულობის" გამო, ცოტა არ იყოს, უცნაურ, არაერთმნიშვნელოვან და „თითქმის მისტიკურ" თეორიად რჩებოდა [25][28][31]. როგორც ჩანს, ორივე პოზიცია შეიცავს სიმართლეს და უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუ შუალედური თვალსაზრისით ვიხელმძღვანელებთ. ერთგვარი გავლენა ბიჰევიორიზმზე გეშტალტფსიქოლოგიამ უთუოდ მოახდინა და ამის საჩვენებლად თუნდაც ტოლმენის კონცეფციაზე მითითებაა საკმარისი. ამ გახმაურებულ მოდელში ასიმილირებულია გეშტალტფსიქოლოგიის ზოგიერთი იდეა და პირდაპირ არის ნათქვამი, რომ დასწავლის პროცესში გეშტალტური სტრუქტურების ჩამოყალიბება ხდება (იხ. V თავი); მეორე მხრივ, ისიც აშკარაა, რომ გეშტალტფსიქოლოგია ვერასდროს უწევდა ამერიკაში სერიოზულ კონკურენციას ბიჰევიორიზმს; მათ შორის ყოველთვის ბევრად მეტი განსხვავება იყო, ვიდრე მსგავსება. ეს ყველაზე კარგად ჩანს ამ ორი თეორიის მიმართებით ვუნდტიდან მომდინარე

კლასიკურ ფსიქოლოგიასთან, რომელსაც ორივე უპირისპირდება, მაგრამ განსხვავებული მოტივებით.

ტრადიციულ (ვუნდტისეულ) ფსიქოლოგიას, ჩვეულებრივ, ხუთი ნიშნით ახასიათებენ. ეს ფსიქოლოგია არის: 1) ექსპერიმენტული, 2) ინტროსპექციული, 3) სისტემური ანუ ფილოსოფიური, 4) ელემენტარისტული და 5) ასოციაციონისტური [27]. ექსპერიმენტულობა ერთნაირად მიესადაგება გეშტალტფსიქოლოგიასაც და ბიჰევიორიზმსაც. დანარჩენი ნიშნების მიმართ კი მათი პოზიციები განსხვავებულია. გეშტალტფსიქოლოგია არ უარყოფს კლასიკური ფსიქოლოგიის ინტროსპექციონიზმს; მისი ფენომენოლოგიური მეთოდი ხომ ექსპერიმენტული თვითდაკვირვების სახეობაა. ბიჰევიორიზმის მთავარი და არსებითი ნიშანი კი ინტროსპექციისა და ცნობიერების უარყოფაა. გეშტალტფსიქოლოგია საკმაოდ პოზიტიურად არის განწყობილი ფილოსოფიის მიმართაც – მას არ დაუკარგავს კავშირი დიდ სისტემებსა და მათ პრობლემებთან. კლასიკური ბიჰევიორიზმი (ნეობიჰევიორიზმს ეს ნაკლებად ეხება) გაურბის ფილოსოფიას, თუმცა მაინც იძულებულია, პასუხი გასცეს ზოგიერთ ფილოსოფიურ კითხვას. გეშტალტფსიქოლოგია კატეგორიულად უარყოფს ელემენტარიზმს. ყველაზე მეტად მისთვის სწორედ ეს არის დამახასიათებელი. ბიჰევიორიზმი ცნობიერებასთან ერთად უარყოფს ცნობიერების ელემენტებსაც, მაგრამ ელემენტარიზმზე, როგორც მეთოდოლოგიურ მიდგომაზე, უარს არ ამბობს და, სადაც ხელი მიუწვდება (პირველ ყოვლისა, ქცევის ანალიზისას), მიუთითებს ელემენტებზე და შეისწავლის მათ (S-R-კავშირები, რეფლექსური რკალი და სხვა). დაბოლოს, გეშტალტფსიქოლოგია გადაჭრით უარყოფს ასოციაციონიზმს, რადგან იგი ელემენტარიზმს გულისხმობს, ხოლო ბიჰევიორიზმი სავსებით ლოიალურია მის მიმართ. იგი პირდაპირ ლაპარაკობს ასოციაციურ კავშირებზე, თუმცა არა ცნობიერების შინაარსების, არამედ სტიმულისა და რეაქციის ტერმინებში. ზოგიერთ შემთხვევაში ასოციაცია იცვლება სხვა, მონათესავე ცნებებით – რეფლექსი, კონექცია და სხვ., მაგრამ ეს საქმის არსებით ვითარებას არ ცვლის.

გეშტალტფსიქოლოგიის უდიდესი დამსახურება ისაა, რომ მან საბოლოოდ გაათავისუფლა ფსიქოლოგია ელემენტარიზმის ბორკილებისგან. ეს საყოველთაოდ არის აღიარებული. ამავე დროს, გეშტალტფსიქოლოგიის მიმართ სერიოზულ შენიშვნებსაც გამოთქვამენ. არაერთხელ იქნა მითითებული გეშტალტურობის პრინციპის უკიდეგანო *უნივერსალიზაციის* დაუშვებლობაზე. მართლაც, გეშტალტთეორიაში გეშტალტის კანონები არა მხოლოდ ყველა ფსიქიკურ მოვლენაზე, არამედ, ფაქტობრივად, მთელ სამყაროზე იქნა გავრცელებული. მრავალმა მკვლევარმა აღნიშნა, რომ ყველა მოვლენა თვით ფსიქიკის სფეროშიც არ წარმოადგენს გეშტალტს, ანუ *გარედან გამოყოფილ და შიგნით დიფერენცირებულ მთლიანს*. არსებობს უაღრესად *დიფუზიური, არასტრუქტურირებული* მთლიანობებიც. ეს, როგორც კრიუგერმა აჩვენა, პირველ რიგში, გრძნობებს ეხება. მაგრამ ზოგიერთი აღქმაც, გეშტალტფსიქოლოგიის ეს საჩვენებელი ობიექტი, არაგეშტალტური ბუნებისაა. ვ. შტერნის ანალიზში მოცემულია ნამდვილად მთლიანი, მაგრამ დაუნაწევრებელი, არასტრუქტურირებული აღქმის არაერთი მაგალითი. ეს აღქმები ნაკლებად არიან პიროვნებისგან გამოყოფი-

ლი და სუბიექტურ შინაგან მდგომარეობასთან ერთიანობაში განიცდებიან. ასეთ განცდებს იწვევს ნიავი სიცხეში, აბაზანა სიცივეში, ყვავილების სურნელი ველზე და სხვ. ეს ნამდვილი აღქმებია, ოღონდ იმდენად ძლიერ შეფერილი ემოციური ტონით, რომ მათი განცდა უფრო ფონის დიფუზიურ განცდას უახლოვდება, ვიდრე ფიგურის დანაწევრებულ გეშტალტს [8].

რაც შეეხება უფრო შორს მიმავალ უნივერსალიზაციას, უნდა ითქვას, რომ თუ თავდაპირველად გეშტალფსიქოლოგიური კვლევა ზოგადი ფსიქოლოგიის ჩარჩოებში მიმდინარეობდა და კოგნიტურ პროცესებს მოიცავდა, საკმაოდ მალე იგი ფსიქოლოგიის სხვა დარგებზეც გავრცელდა. „მან ზოოფსიქოლოგიაც ჩაირთო. აღმოჩნდა, რომ მაიმუნების აზროვნებაც გეშტალტურია; იგი გავრცელდა ხელოვნებისა და ეთნიკურ ფსიქოლოგიაში – აღმოჩნდა, რომ პირველყოფილი წარმოდგენები მსოფლიოზე და ხელოვნების წარმოშობა აგრეთვე გეშტალტია; ბავშვის ფსიქოლოგიასა და ფსიქოპათოლოგიაში გეშტალტად იქცა ბავშვის განვითარება და ფსიქიკური დაავადება. საბოლოოდ, ერთიან მსოფლმხედველობად გადაქცევის კვალდაკვალ, გეშტალტფსიქოლოგიამ გეშტალტი ისეთ დარგებშიც აღმოაჩინა, როგორებიცაა ფიზიკა და ქიმია, ფიზიოლოგია და ბიოლოგია. ლოგიკური ფორმულის სახით ჩამოყალიბებული გეშტალტი სამყაროს საფუძველში აღმოჩნდა. როცა სამყაროს ქმნიდა, ღმერთმა ბრძანა: დე იყოს გეშტალტი – და იგი გაჩნდა ყველგან“ [13; 307-308]. ლ. ვიგოტსკის ეს ირონიული შეფასება ერთგვარი გაფრთხილებაა იმათთვის, ვინც კერძო ფსიქიკური მოვლენისა და, თუნდაც, ძალიან მნიშვნელოვანი პრინციპის მსოფლიო მიზიდულობის კანონის რანგში აყვანას შეეცდება.

გეშტალტფსიქოლოგიის კიდევ ერთი სერიოზული ნაკლი მისი უკიდურესი *ობიექტივიზმია*. გეშტალტთეორიის თანახმად, ქცევას მთლიანად განსაზღვრავს საგანთა ის ობიექტური მიმართებები და ველის ის ობიექტური სტრუქტურა, რაშიც უნდა გაერკვეს ცნობიერება. ასეა აღქმის შემთხვევაში. ის განიხილება როგორც პასიური პროცესი, რომლის ყველა თვისება ხატის სტრუქტურული ორგანიზაციის კანონზომიერებებით აიხსნება. ასევეა აზროვნებაშიც, მის რომელ ფორმაზეც არ უნდა ვილაპარაკოთ. პრაქტიკული ინტელექტის შემთხვევაში ამოცანის გადაწყვეტა ხდება მთლიანობითი სტრუქტურის, გეშტალტის შექმნის შედეგად, რომელიც მოიცავს როგორც მიზანს (ბანანი), ისე საშუალებას (ჯოხი). უხეშად რომ ვთქვათ, თვითონ მაიმუნი კი არ წყვეტს ამოცანას, არამედ მას თავისთავად აღმოუცენდება გეშტალტი – სიტუაციის მთლიანი ხედვა, საგანთა შორის მიმართებების წვდომა. იგივე ითქმის პროდუქტიულ აზროვნებაზეც. იგი ისე აღიწერება, თითქოს ამოცანის გადაწყვეტა ადამიანის, სუბიექტის გონებრივი მოქმედების შედეგი კი არ არის, არამედ თვითონ ამოცანა ხსნის თავის თავს, თავად მიისწრაფვის ამოხსნისკენ [11]. ერთი სიტყვით, გეშტალტთეორიაში იგნორირებულია სუბიექტის, პიროვნების როლი ფსიქიკურ აქტივობაში. იგი ანგარიშს არ უწევს ფსიქიკური მოქმედების შინაგან, სუბიექტისმიერ, პიროვნებიდან მომდინარე დეტერმინაციას. გეშტალტები პიროვნებისგან დამოუკიდებლად აღმოცენდებიან და მოქმედებენ. გეშტალტის მოწყვეტა პიროვნებისგან დაუშვებელია. როგორც შტერნი ამბობდა, არ არსებობს გეშტალტი გეშტალტმყო-

ფელის გარეშე [1]. თუ როგორ ხდება გეშტალტის ფორმირება და ფუნქციონირება, „დამოკიდებულია არა მარტო გარემოს ობიექტურ შემადგენლობასა და სიტუაციის თვისებებზე, არამედ ცნობიერების წინასწარ განწყობაზეც" [6; 114]. დ. უზნაძის ზოგაფსიქოლოგიური კონცეფციის თანახმად კი, ეს, პირველ რიგში, სწორედ *განწყობაზეა* დამოკიდებული [9]. რა თქმა უნდა, გეშტალტფსიქოლოგები ღიად არ უარყოფენ სუბიექტის როლს და გარკვეულად ითვალისწინებენ კიდეც მას (გეშტალტიზაციის ფაქტორებს შორის ვერთჰაიმერი „დისპოზიციის" ფაქტორს აღნიშნავს და ამით მიუთითებს პიროვნების განწყობის როლზე), მაგრამ არც თეორიული სისტემისა და არც ემპირიული კვლევის დონეზე პიროვნების ფაქტორს ყურადღება არ ექცევა; იგი, არსებითად, უგულებელყოფილია.

რაც შეეხება საკუთრივ მთლიანობის იდეას, ფსიქოლოგიისთვის ის უბრალოდ სასარგებლო კი არა, სრულიად აუცილებელი და ფუნდამენტურია. ამავე დროს, ის შეიძლება ნაყოფიერის ნაცვლად მავნეც აღმოჩნდეს, თუ იმდენად იქნება აბსოლუტიზებული, რომ ნაწილების ან კერძოს კვლევას შეაფერხებს და სრულად დაჩრდილავს. გარკვეული აზრით, ასე დაემართა გეშტალტფსიქოლოგიას. უპირატესად აღქმის სფეროში მიმდინარე კვლევა თავიდან ბოლომდე დაექვემდებარა ნაწილების მიმართ მთლიანის აბსოლუტური ჰეგემონიის იდეას. სავსებით გაუთვალისწინებელი აღმოჩნდა ნაწილის როლი მთელის განსაზღვრულობაში.

ცალკე განხილვის საგანია *გეშტალტთერაპია* – თანამედროვე ფსიქოთერაპიის ერთ-ერთი წამყვანი მიმართულება, რომელიც ჩამოყალიბდა XX საუკუნის მეორე ნახევარში აშშ-ში. მასში აისახა მთლიანობის ფსიქოლოგიის, კერძოდ გეშტალტფსიქოლოგიის ზოგიერთი საკვანძო იდეა. ამ სისტემის თეორიული და მეთოდიკური ასპექტების დამუშავებაში საკმაოდ ბევრი მეცნიერი მონაწილეობდა, მაგრამ მთავარი ფიგურა აქ, უთუოდ, ფ. პერლსია, რომლის სახელთანაც ასოცირდება ეს მიმართულება.

ფრიც პერლსი (1893-1970) სწავლობდა ბერლინის უნივერსიტეტში, გაიარა სასწავლო ფსიქოანალიზი კ. ჰორნის, ვ. რაიხის, ჰ. დოიჩისა და ე. ხიკმანის ხელმძღვანელობით და ეწეოდა ფსიქოანალიზურ პრაქტიკას ვენასა და ბერლინში. 1933 წელს იგი წავიდა ემიგრაციაში ჯერ ჰოლანდიაში, შემდეგ სამხრეთ აფრიკაში, სადაც ფსიქოანალიზის ინსტიტუტი დააარსა (იოჰანესბურგი). 1946 წლიდან პერლსი ამერიკაშია. აქ პერლსი იწყებს საკუთარი ფსიქოთერაპიული სისტემის შექმნას. 1952 წელს თანამოაზრეებთან ერთად აარსებს გეშტალტთერაპიის ინსტიტუტს ნიუ-იორკში. შემდგომში გადადის კალიფორნიაში, სადაც ლიდერობს მოძრაობას „ადამიანის პოტენციალის გახსნისთვის". სიცოცხლის მიწურულს აარსებს გეშტალტთემს კუნძულ ვანკუვერზე, ბრიტანულ კოლუმბიაში.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ გეშტალტთერაპია თავისი არსით ეკლექტიკური სისტემაა, როგორც კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიურ ნაწილში, ისე თერაპიული ტექნიკის მხრივ. მიუხედავად იმისა, რომ პერლსმა მოღვაწეობა დაიწყო როგორც მოქმედმა ფსიქოანალიტიკოსმა, შემდგომში იგი მტკიცედ დაუპირისპირდა ფსიქოანალიზის ბევრ დებულებას, ისეთებს, როგორებიცაა: ორიენტაცია წარსულზე, პაციენტის პრობლემების უპირატესად ინტელექტუალური გადამუშავება, ფსიქო-

ანალიზური მკურნალობისას პაციენტის პასიური პოზიცია, მოტივაციის დაყვანა სიცოცხლისა და სიკვდილის ინსტინქტებზე და ა.შ. თუმცა ისიც ცხადია, რომ გეშტალტთერაპიამ ფსიქოანალიზის ბევრი ელემენტის ასიმილაცია მოახდინა, თუნდაც საკმაოდ გადამუშავებული სახით. მაგალითად: არაცნობიერი, სიზმრების ანალიზი, ფსიქოსექსუალური განვითარების სტადიები, დაცვითი მექანიზმები, ნევროზისა და ფსიქოზის გარჩევა და სხვ. [23].

კიდევ უფრო მჭიდროა გეშტალტთერაპიის კავშირი ეგზისტენციალურ ფსიქოლოგიასთან. გეშტალტთერაპიის ბევრი წამყვანი წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ ის ერთ-ერთია ეგზისტენციალური თერაპიის სამ მიმართულებას შორის (იგულისხმება ლ. ბინსვანგერის ეგზისტენციალური ანალიზი და ვ. ფრანკლის ლოგოთერაპია) (იხ. X თავი). იგი ამოდის „საფირმო" ეგზისტენციალისტური წარმოდგენებიდან ადამიანის თავისუფალებისა და პასუხისმგებლობის შესახებ. ეს მახასიათებლები, თავის მხრივ, დაკავშირებულია ცნობიერებასთან. რაც უფრო მეტად აცნობიერებს ადამიანი რეალობას, მით უფრო შესწევს უნარი, აგოს პასუხი თავის ქმედებაზე, ანუ, პერლსის სიტყვებით, „დაეყრდნოს საკუთარ თავს". ფსიქოანალიზის წარსულზე ორიენტირებულობის ნაცვლად, ეგზისტენციალიზმი აქცენტს აკეთებს ცნობიერების აქტუალურ შინაარსებზე/მდგომარეობებზე. წამყვანი პრინციპია – *„აქ და ამჟამად"*, ანუ ფოკუსირება ხდება ფენომენოლოგიურ აწმყოზე და არა მის ინტერპრეტაციაზე. პერლსის მიხედვით, ადამიანს აქვს თვითრეგულაციის თანდაყოლილი უნარი, რომელსაც ვერც შეავსებ და ვერც ჩაანაცვლებ. ამიტომ ფსიქოთერაპევტის ძირითადი საზრუნავი უნდა იყოს ის, რომ კლიენტმა თვითონ გააკეთოს არჩევანი და მიიღოს გადაწყვეტილება. ჰუმანისტურ-ეგზისტენციალური მიმართულების პარადიგმაც ესაა (იხ. X თავი). ეგზისტენციალიზმთან სიახლოვის გამო ზოგიერთი ინტერპრეტატორი იმდენად შორს მიდის, რომ ცვლის ავტორისეულ დასახელებას და მოცემულ მიმართულებას ეგზისტენციალურ გეშტალტთერაპიად მოიხსენიებს [7].

აქ გარკვევით იჩენს თავს კურტ გოლდშტაინის (1878-1965) გავლენა, რომლის ხელმძღვანელობითაც პერლსი ერთხანს მუშაობდა. გოლდშტაინი ერთ-ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ფიგურაა ფსიქოლოგიის ისტორიაში. საქმე ისაა, რომ მან შესამჩნევი გავლენა მოახდინა XX საუკუნის ორ უმნიშვნელოვანეს და ერთმანეთისგან ძალზე განსხვავებულ მიმდინარეობაზე – გეშტალტფსიქოლოგიასა და ჰუმანისტურ ფსიქოლოგიაზე. როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ამ უკანასკნელმა ცენტრალურ ცნებებად აქცია გოლდშტაინის მიერ შემოტანილი თვითაქტუალიზაციისა და თვითრეალიზაციის ცნებები. ასევე, გეშტალტფსიქოლოგიისთვის ფრიად სასარგებლო აღმოჩნდა ამ თვალსაჩინო ნევროლოგისა და ნეიროფსიქიატრის *ჰოლისტური იდეები* – მთლიანობითი თვალსაზრისი ორგანიზმის სტრუქტურულ-ფუნქციონალური ასპექტების მიმართ.

პერლსის თეორიული შეხედულებები ერთგვარად აერთიანებს ჰუმანისტურ-ეგზისტენციურ და მთლიანობით-ჰოლისტურ მიდგომას. და მაინც, პერლსმა თავისი სისტემის დასახელება გეშტალტის ცნებაზე დააფუძნა. ამით ხაზი გაუსვა იმ მნიშვნელობას, რომელსაც ანიჭებდა მთლიანობის იდეას, საზოგადოდ, და, კერძოდ, გეშ-

ტალტფსიქოლოგიისა და მისი გაგრძელების – ველის თეორიის ზოგიერთ საკვანძო პრინციპს (იხ. VI თავი).

გეშტალტთერაპიაში ცნება „მთლიანობითი" ფართო მნიშვნელობას იძენს და „გულისხმობს სოციალურ-კულტურული, ბიოლოგიური და ფიზიკური ველის ერთიანობას ყოველ კონკრეტულ გამოცდილებაში" [23; 24]. ქცევის ახსნისას პერლსი და მისი კოლეგები ამოდიან იქიდან, რომ ადამიანი და გარემო ერთიან გეშტალტს, სტრუქტურულ მთლიანობას ქმნიან, რომელსაც უწოდებენ „ერთიან ველს – ორგანიზმი/გარემო". ორგანიზმი გარემოსთან წონასწორობისკენ მიისწრაფვის. იგი გამუდმებით ცვლის თავისი ნაწილობრივი სისტემების ფუნქციონირებას და, ამავე დროს, იცვლება როგორც მთლიანობა (მთლიან ველში მომხდარი მთელი ველის გადასტრუქტურებას იწვევს).

აქტიურად გამოიყენება ფიგურა-ფონის დინამიკის კონცეფცია და ფენომენოლოგიური მიდგომა. ფიგურა-ფონის მიმართება კოგნიტური პროცესების სფეროდან გადმოიტანეს პიროვნების ქცევის სფეროში. იგი განიხილება მოთხოვნილებების აღმოცენება-დაკმაყოფილების კუთხით. ამ კონტექსტში ლაპარაკია იმაზე, რომ გააქტიურებულ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი საგნები აღქმის ველში ფიგურად იქცევიან. ადამიანური ფუნქციონირება საჭირო ობიექტებზე ცნობიერების კონცენტრაციას გულისხმობს. ფონი არააქტუალურ შინაარსებს მოიცავს. აქტუალიზებული მოთხოვნილება მასთან დაკავშირებულ შინაარსებს „გამოაცოცხლებს", ანუ ფიგურად გარდაქმნის. ესაა ადამიანისთვის ამ მომენტში მნიშვნელოვანი ვითარება (ინფორმაცია), რომელიც ცნობიერებაში ცენტრალურ ადგილს იკავებს და წარმოქმნის ფონიდან გამოყოფილ ფიგურას (გეშტალტს).

დიდი ყურადღება ეთმობა დაუმთავრებელი გეშტალტის საკითხს. ანალიზი აქაც სცდება კოგნიტურ სფეროს და პიროვნების ფუნქციონირების პლანში გადაინაცვლებს. დაუმთავრებელი გეშტალტი დაუსრულებელი საქმეა, დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებაა. როცა მოთხოვნილება დაკმაყოფილებულია, ამბობს პერლსი, მისი გეშტალტი დასრულებული ხდება, იგი აღარ ახდენს გავლენას ინდივიდზე – ორგანიზმი თავისუფალია ახალი გეშტალტების ფორმირებისთვის. პერლსს მიაჩნდა, რომ ადამიანი თვითრეგულირებადი სისტემაა და შეუძლია ოპტიმალური წონასწორობის მიღწევა, როგორც თავის შიგნით, ისე გარემოსა და საკუთარ თავს შორის.

ერთი სიტყვით, გეშტალტთერაპიამ საკმაოდ ბევრი რამ შეითვისა გეშტალტფსიქოლოგიიდან [33]. თერაპიული ტექნიკების ნაწილში მან სხვა სისტემების გამოცდილების ასიმილირება მოახდინა (ფსიქოდრამა, ძენ-ბუდიზმი, სხეულზე ორიენტირებული თერაპია და სხვ.). ამავე დროს, პერლსმა და სხვა გეშტალტთერაპევტებმა მკურნალობის მრავალი ახალი, ორიგინალური პრინციპი და პროცედურა შეიმუშავეს, როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური მუშაობის ფორმატში [32]. როგორც ფსიქოთერაპიის სახეობა, გეშტალტთერაპია მოწოდებულია, აღადგინოს დარღვეული თვითრეგულაციის პროცესი, რომელიც ამა თუ იმ დაცვითი მექანიზმის გაბატონებით ვლინდება (ინტროექცია, პროექცია, რეტროფლექსია, დეფლექსია, კონფლუ-

ექცია). ეს მექანიზმები არღვევენ პიროვნების მთლიანობას, იწვევენ მის ფრაგმენტაციას, არარეალისტური მე-ს ხატის ფორმირებას და პიროვნული ზრდის შეწყვეტას.

ამ მიმდინარეობის ცნობილი წარმომადგენლებია: ლორა პერსი, პოლ გუდმანი, ისიდორ ფრომი, ელიოტ შაპირო, ელისონ მონტეკი, პოლ ვეისი, სილვესტერ ისტმენი და სხვ.

ლიტერატურა

1. აბაშიძე ე., პერსონალისტური ფსიქოლოგია. საქ. სსრ მეცნ. აკადემია, თბილისი, 1962.
2. ბოჭორიშვილი ა., ლაიფციგის სკოლა / დასავლეთ ევროპის ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობები. სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტფილისი, 1935.
3. ბოჭორიშვილი ა., ფსიქოლოგიის პრინციპული საკითხები. ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის კრიტიკა. საქ. სსრ მეცნ. აკადემია, თბილისი, 1959.
4. ვერთჰაიმერი მ., გეშტალტფსიქოლოგიური კვლევა / დასავლეთ ევროპის ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობები. სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტფილისი, 1935.
5. იმედაძე ი., ფსიქოლოგიის ისტორია: ანტიკური ხანიდან ჩვენს დრომდე. მწიგნობარი, თბილისი, 2021.
6. მეგრელიძე კ., აზრის სოციალური ფენომენოლოგია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 1990.
7. ნადირაშვილი დ., ეგზისტენციალური გეშტალტთერაპია. ნეკერი, თბილისი, 2007.
8. ნათაძე რ., ზოგადი ფსიქოლოგია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 1977.
9. უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია / შრომები, ტ. 3-4. მეცნიერება, თბილისი, 1964.
10. ხარაზიშვილი ფ., გეშტალტთეორია / დასავლეთ ევროპის ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობები. სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტფილისი, 1935.
11. Абульханова-Славская К. А., Проблема мышления в гештальтпсихологии / Основные направления исследований мышления в капиталистических странах. Наука, М., 1966.
12. Выготский Л. С., Развитие высших психических функций. АПН РСФСР, М., 1960.
13. Выготский Л. С., Исторический смысл психологического кризиса. Собрание сочинений. Т.1. Педагогика, М.,1982.
14. Дункер К., Психология продуктивного (творческого) мышления / Психология мышления. Сб. переводов с нем. и англ. Прогресс, М., 1965.
15. Келер В., Исследование интеллекта человекоподобных обезьян. Изд-во Ком. Академии, М., 1930.
16. Келер В., Об изоморфизме / Хрестоматия по истории психологии. Тексты. Изд-во Моск. ун-та, М., 1980.
17. Келер В., Некоторые задачи гештальтпсихологии / Хрестоматия по истории психологии. Тексты. Изд-во Моск. ун-та, М., 1980.

18. Кофка К., Восприятие: введение в гештальттеорию / Хрестоматия по ощущению и восприятию. МГУ, М., 1975.
19. Кофка К., Основы психического развития. Академический проект, М., 2017.
20. Крюгер Ф. Сущность эмоционального переживания / Психология эмоций. Тексты. Изд-во Моск ун-та, М., 1984.
21. Марцинковская Т. Д., История психологии. Академия, М., 2001.
22. Соколова Е. Е., Из истории проблемы целостности в психологии (Лейпцигская школа // Вестник МГУ. Психология. 1982, 4. С. 56-64.
23. Перлз Ф., Теория гештальт-терапии. Институт общегуманитарных исследований, М., 2004.
24. Хегенхан Б., Олсон М. Теории научения. Питер, СПб., 2004.
25. Шульц Д. П., Шульц С. Э., История современной психологии. Евразия, СПб.: 1998.
26. Ярошевский М. Г. История психологии. Смысл, М., 1997.
27. Boring E. G., A history of experimental psychology. Appleton-Century-Crofts, New York, 1950.
28. Hant M., The Story of psychology. Anchor Books, New York, 2007.
29. Kohler W., Gestalt psychology. Liveright, New York, 1970.
30. Koffka K. Principles of gestalt psychology. Taylor & Francis, New York, 2013.
31. Leahey T. H., A history of psychology. Main currents in psychological thought. Prentice-Hall, New Jersy, 1992.
32. Perls F., Hefferlint R., Goodman P. Gestalt Therapy: excitement and growth in the human personality. Dell, New-York, 1965.
33. Perls F. S., The gestalt approach and eyewitness to therapy. Bantam Books, New York, 1973.
34. Sokal M. M., The Gestalt psychologists in behaviorist America / American Historical Review, 1984, 89. P. 1240-1263.
35. Wertheimer M. Productive thinking. Harper, New-York, 1959.

IV თავი
პოსტფროიდიზმი

სიღრმის ფსიქოლოგია, როგორც ფსიქოლოგიური აზრის გარკვეული მიმართულება, ყოველთვის საკმაოდ მრავალფეროვანი იყო და განსხვავებულ მიმდინარეობებს აერთიანებდა. მას, ძირითადად, მიეკუთნება ყველა, ვინც ადამიანის ქცევის გაგებაში გადამწყვეტ მნიშვნელობას არაცნობიერ, ინდივიდის „სიღრმიდან" მომდინარე ტენდენციებს ანიჭებს. ამავე დროს, ამ ტენდენციების ბუნება და მოქმედების მექანიზმი ხშირად ძალზე განსხვავებულად არის გაგებული. ეს ვითარება უკვე ე.წ. კლასიკურ სიღრმის ფსიქოლოგიაში გვხვდება, რაც, როგორც ცნობილია, ზ. ფროიდის ფსიქოანალიზთან ერთად, ა. ადლერის ინდივიდუალურ ფსიქოლოგიას და კ. იუნგის ანალიტიკურ ფსიქოლოგიას აერთიანებს. ყველა მათგანს თავისი მიმდევრები ჰყავს, მაგრამ ცენტრალურ მოძღვრებად უთუოდ ფროიდის ფსიქოანალიზი რჩება. სწორედ მასთან მიმართებით ახდენდა და ახდენს თვითგამორკვევას ყველა, ვინც ასე თუ ისე ცნობს და იყენებს ფსიქოანალიტიკურ მეთოდს.

პოსტფროიდისტულ პერიოდში ამ თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად გამოკვეთილი სამი პოზიცია დასტურდება. მათ თავისი წარმომადგენლები ჰყავთ, ესენია: 1) ორთოდოქსული ფროიდიზმის მიმდევრები; მათ, ძირითადად, მიეკუთვნებიან მსოფლიო ფსიქოანალიზურ ასოციაციაში გაერთიანებული პრაქტიკოსი ფსიქოანალიტიკოსები, რომლებიც გამორჩეული სიმტკიცითა და სიმკაცრით იცავენ ფროიდის მოძღვრების სიწმინდეს[1]; 2) რეფორმატორი ფსიქოანალიტიკოსები; მათი ამოსავალი წერტილი ფროიდის თეორიაა, თუმცა ისინი არ ეთანხმებიან მისი მოძღვრების ზოგიერთ პრინციპულ დებულებას და ცდილობენ ფსიქოანალიზის კონცეპტუალური სისტემის მეტ-ნაკლებად სერიოზულ რეფორმირებას; 3) მკვლევრები, რომლებიც თავიდან ფსიქოანალიზის პოზიციებზე იდგნენ, მაგრამ, საბოლოოდ, იმდენად დაშორდნენ პირველწყაროს, რომ ამჟამად დამოუკიდებელი მიმდინარეობის წარმომადგენლებადაც შეიძლება ჩაითვალონ. აქ შესაძლებელია დავასახელოთ ისეთი გამოჩენილი მეცნიერები, როგორებიცაა: ლ. ბინსვანგერი, მ. ბოსი, ჟ. ლაკანი, ჰ. მარკუზე, რ. მეი, პ. რიკერი, ვ. ფრანკლი და სხვ. მათი შეხედულებები, არსებითად, სხვადასხვა ფილოსოფიური სისტემისა (ფენომენოლოგია, ეგზისტენციალიზმი, სტრუქტურალიზმი,

---

[1] ამგვარ ტენდენციას სათავე თვით ფროიდმა დაუდო, რომელიც სრულიად ვერ ურიგდებოდა თავის თეორიასთან მცირეოდენ შეპაექრებასაც კი. ასეთ პოზიციას იგი ამართლებდა „შეხედულებით", რომლის თანახმადაც ფსიქოანალიზის ოპონენტები იმიტომ ეწინააღმდეგებიან ამ მოძღვრების „ჭეშმარიტებებს", რომ თავად ვერ გამოსულან მასში აღწერილი არაცნობიერი ლტოლვების, კომპლექსებისა და დაცვითი მექანიზმების ტყვეობიდან [2]. შემდგომში მისმა ფანატიკოსმა მიმდევრებმა (მაგალითად, ე. ჯონსმა) ზოგიერთი „ერეტიკოსი" სულით ავადმყოფადაც კი შერაცხეს [9]; ისინი ნამდვილი ოსტრაკიზმის მსხვერპლნი გახდნენ [21].

მარქსიზმი) და ფსიქოანალიზის დაკავშირების ან სინთეზის შედეგია. აქვე უნდა დავასახელოთ თვალსაჩინო ფსიქოთერაპევტები: ა. ბეკი, ა. ელისი, ე. ბერნი, ფ. პერლსი და სხვ., რომლებმაც, ფსიქოანალიზის გაელით, საკუთარი ფსიქოთერაპიული სისტემები შექმნეს (კოგნიტური თერაპია, რაციონალურ-ემოციური ქცევითი თერაპია, ტრანსაქტიური ანალიზი, გეშტალტთერაპია).

რეფორმისტულ ფსიქოანალიზში, ჩვეულებრივ, ორი დიდი მიმართულება გამოიყოფა: *ეგოფსიქოლოგია* და *ნეოფროიდიზმი.* ეგოფსიქოლოგიისთვის საზოგადოდ დამახასიათებელია ეგოს როლის წინ წამოწევა, მისი განხილვა არა იდისა და სუპერეგოს უბრალო მარიონეტად, არამედ შედარებით ან საესებით დამოუკიდებელ წარმონაქმნად, რომელიც აქტიურად არეგულირებს ურთიერთობას განსხვავებულ შინაგან ტენდენციებსა და გარემოს შორის. მე-ს აქვს განვითარების თავისი გზა და ლოგიკა, საკუთარი სტრუქტურები, რომლებიც თავდაცვას და ადაპტაციას ემსახურებიან. ეგოფსიქოლოგიის სხვადასხვა განშტოებაში მე-ს ფუნქციონირების ცალკეული ასპექტებია წინ წამოწეული.

ზიგმუნდ ფროიდის შვილის, **ანა ფროიდის** (1895-1982) შემოქმედების ერთ-ერთ მთავარი თემა *„მე"-ს დაცვითი მექანიზმები* იყო. ზ. ფროიდი ინსტინქტური ლტოლვებისაგან დაცვის ერთ უმთავრეს მექანიზმზე საუბრობდა – ეს იყო განდევნა. 1936 წელს გამოსულ წიგნში – „მე და დაცვითი მექანიზმები" – ანა ფროიდმა პირველად განიხილა მთელი რიგი დაცვითი მექანიზმებისა, მნიშვნელოვნად შეავსო ფსიქოანალიზის კონცეპტუალური სისტემა [16].

ანა ფროიდი აქტიურად მონაწილეობდა ფსიქოანალიზურ მოძრაობაში. 1924 წლიდან მუშაობდა ვენის ფსიქოანალიზის ინსტიტუტში, იყო ვენის ფსიქოანალიზური საზოგადოების მდივანი. 1938 წელს, მამის ოჯახთან ერთად, გადასახლდა ლონდონში, სადაც ეწეოდა ნაყოფიერ პრაქტიკულ და კვლევით საქმიანობას ბავშვის ფსიქოანალიზის სფეროში. 1952 წელს დააფუძნა ბავშვების ფსიქოანალიზით მკურნალობის კლინიკა, რომელსაც სიკვდილამდე ხელმძღვანელობდა. 1973 წელს ა. ფროიდი აირჩიეს ფსიქოანალიზის საერთაშორისო ორგანიზაციის საპატიო პრეზიდენტად. იგი იყო მრავალი უნივერსიტეტის (ვენის, შეფილდის, კლარკის, ჩიკაგოს, იელის, ჰარვარდის და ა.შ.) საპატიო დოქტორი და სამეცნიერო საზოგადოებისა თუ გაერთიანების საპატიო წევრი.

ა. ფროიდმა აქცენტი გააკეთა პიროვნების ფუნქციების *ადაპტაციურ* ასპექტებზე. ინდივიდის ნორმალური ფუნქციონირება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შესწევს მე-ს უნარი, შეარიგოს იდ-ის იმპულსები სუპერეგოს მოთხოვნებსა და გარემოს ზემოქმედებებთან. უფრო კონკრეტულად, მე-ს წინაშე სამი სახის ამოცანა დგას: *შუამავლობა* პიროვნების სხვა სტრუქტურებთან, *დაკვირვება* გარემოსა და ლტოლვებზე და იმპულსების *კონტროლი.* ეს ჩამონათვალი გარკვეულად ეხმიანება ფ. ალექსანდერის შეხედულებას მე-ს ოთხი ძირითადი ფუნქციის შესახებ, ესენია: 1) სუბიექტური საჭიროებების აღქმა – *შინაგანი პერცეფცია;* 2) გარესამყაროს შესახებ მონაცემების აღქმა – *გარეგანი პერცეფცია;* 3) გარეგანი და შინაგანი აღქმის მონაცემების *ინტეგრაცია,* რომელსაც მივყავართ სუბიექტური საჭიროებების დასაკმა-

ყოფილებლად მიმართული მოქმედებების *დაგეგმვასთან;* 4) განზრახული აქტივობის კონტროლი – მე-ს *საშემსრულებლო ფუნქცია* [5].

ეგოფსიქოლოგიის მეორე ხაზს 1939 წელს გამოქვეყნებული წერილით – „მე-ს ფსიქოლოგია და ადაპტაციის პრობლემა" – **ჰაინც ჰარტმანმა** (1894-1970) დაუდო სათავე. თუ ფროიდი მხოლოდ იმის კონსტატაციით კმაყოფილდება, რომ ეგო რეალობის პრინციპით ხელმძღვანელობს, ჰარტმანი დანერილებით განიხილავს იმ ფუნქციებს, რომელთა მეშვეობითაც გარემოსთან ურთიერთობა მყარდება. ესაა ე.წ. *მეორეული ფუნქციები:* აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება, მეტყველება, მოტორიკა; ერთი სიტყვით, ის, რაც ტრადიციული ზოგადი ფსიქოლოგიის საგანია. ფაქტობრივად, ჰარტმანი და მისი მიმდევრები (ე. კრიზი, რ. ლევენშტაინი, დ. რაპაპორტი და სხვ.) ცდილობენ, ერთგვარად შეარიგონ ფსიქოანალიზი და კლასიკური ფსიქოლოგია, რომლის მონაცემებსაც ფროიდი დიდ ყურადღებას არ აქცევდა. ჰარტმანმა საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ფსიქოანალიზის სისტემაში. იგი შეეცადა, მოეხსნა ფროიდის მიერ ხაზგასმული დაპირისპირება ფსიქიკური ცხოვრების ამა თუ იმ მხარეს შორის. აქ იგულისხმება იდის მოთხოვნების და მე-ს დაცვითი მექანიზმების ფიქსაციისა და ანტიფიქსაციის, ეროსისა და თანატოსის, სიამოვნებისა და რეალობის პრინციპების პოლარიზაცია. გარდა ამისა, იმ აქტივობას, რომელსაც ეგო გარემოსთან ურთიერთობისა და შეგუების პროცესში ახორციელებს ე.წ. მეორეული ფუნქციების მეშვეობით, ჰარტმანმა თავისთავადი მნიშვნელობა მიანიჭა. ამ აზრით, იგი მეორეულ ფუნქციებს *ავტონომიურსაც* უწოდებს და გულისხმობს, რომ ისინი არა მხოლოდ სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურებიან, არამედ თავად არიან გარკვეულ აქტივობასთან დაკავშირებული სიამოვნების წყარო. მაგალითად, უეჭველია, რომ პატარა ბავშვს უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს მოტორული თუ სენსორული აქტივობა, დამახსოვრება, მეტყველება, ახლის გაგება და ა.შ. ეს სიამოვნება განპირობებულია არა ინსტინქტებით, არამედ ადაპტაციის ინტერესებით და მასში ჩართული პროცესებით. არსებითად, ჰარტმანი ლაპარაკობს მე-ს მეორეული ფუნქციებიდან მომდინარე *ფუნქციონალურ სიამოვნებაზე* (ეს ტერმინი, როგორც ცნობილია, კარლ ბიულერს ეკუთვნის) და ამით ეგოს საკუთარ, არაინსტინქტური წარმოშობის აფექტურ შინაარსებს უკავშირებს. ეგოს ფუნქციების ავტონომიურობა იმაშიც ვლინდება, რომ მათ თავისი *მომწიფების განრიგი* აქვთ; მათი განვითარება ინსტინქტური (ფსიქოსექსუალური) განვითარებისაგან განსხვავებული კანონზომიერებით და მექანიზმებით მიმდინარეობს [35].

სოციალურ გარემოსთან ადაპტაციას, პირველ რიგში, ხაზს უსვამს **ერიკ ერიქსონი** (1902-1990). მან ფსიქოანალიზი ანა ფროიდის ხელმძღვანელობით შეისწავლა ვენაში. ამერიკაში გადასახლების შემდეგ (1933) ეწეოდა ფსიქოანალიზურ პრაქტიკას და ასწავლიდა ჰარვარდის, იელისა და ბერკლის უნივერსიტეტებში. ერიქსონის პირველი წიგნი, რომელმაც ავტორს საყოველთაო აღიარება მოუტანა, როგორც ეგოფსიქოლოგიის წამყვან მკვლევარს, იყო „ბავშვობა და საზოგადოება" (1950). წიგნი 40-ზე მეტ ენაზეა ნათარგმნი და მასში გადმოცემულია ერიქსონის *ეპიგენეზური თეორიის* ძირითადი შინაარსი.

ერიქსონის აზრით, სოციალურ გარემოში ადამიანის ქცევის ძირითადი ნიშანი *ფსიქოსოციალური იდენტურობაა,* რომელიც სუბიექტურად განიცდება როგორც მუდმივი იგივეობა თავის თავთან. ამის საფუძველია მე-ს მთლიანობითი ხატი, რომელიც, მიუხედავად ასაკობრივი ცვალებადობისა, ყოველთვის ინარჩუნებს ერთსა და იმავე მე-სთან მიკუთვნებულობის ნიშანს.

იდენტურობის განცდას საკმაოდ რთული სტრუქტურა აქვს. მისი ფენომენოლოგიური დახასიათება შეიცავს თავისი უნიკალურობისა და განცალკევებული არსებობის გრძნობას; ასევე შინაგანი იგივეობრიობისა და მუდმივობის გრძნობას, იმის განცდას, რომ ცხოვრებას აქვს შეთანხმებულობა და საზრისი; იდენტურობას ქმნის, აგრეთვე, შინაგანი ჰარმონიისა და ერთიანობის გრძნობა და, ბოლოს, ჯგუფსა და საზოგადოებასთან სოლიდარობის, სხვების მოლოდინებისა და აღქმებისადმი შესატყვისობის გრძნობა. ამ განცდების ერთიანობა იძლევა დასრულებული, ერთიანი იდენტურობის განცდას. ერიქსონი იდენტურობის სხვაგვარ ანალიზსაც მიმართავს. ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია ის, თუ ინდივიდის რომელ ფენას ან ასპექტს უკავშირდება იდენტურობა. ამის მიხედვით, გამოიყოფა: 1) *სომატური იდენტურობა,* რომელიც გამომდინარეობს ორგანიზმის მისწრაფებიდან, შეინარჩუნოს თავისი მთლიანობა გარემოსამყაროსთან ურთიერთობისას; 2) *პიროვნული იდენტურობა,* რომელიც ინტეგრირებას უკეთებს ადამიანის გარეგან და შინაგან გამოცდილებას და 3) *სოციალური იდენტურობა,* რომელიც გამოხატავს ადამიანების ერთიანობას გარკვეული წესრიგისა და სტაბილურობის შექმნასა და შენარჩუნებაში.

იდენტურობის ჩამოყალიბების პროცესი პიროვნების ფორმირების პროცესია, რომელიც, ფაქტობრივად, მთელი ცხოვრების განმავლობაში მიმდინარეობს. ამიტომ ეგოფსიქოლოგიის ამ ვარიანტისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელია აქცენტი მე-ს ონტოგენეზური განვითარების საკითხზე. ერიქსონის აზრით, ფროიდის მიერ აღწერილ ფსიქოსექსუალური განვითარების სტადიებთან ერთად, როცა ხდება ლტოლვის მიმართულების გადანაცვლება აუტოეროტიზმიდან გარე ობიექტისკენ, არსებობს, აგრეთვე, მე-ს განვითარების ის სტადიები, რომელთა მსვლელობაში ინდივიდი აყალიბებს ძირითად ორიენტაციებს საკუთარი თავისა და სოციალური გარემოს მიმართ. ფროიდისგან განსხვავებით, ერიქსონი ამტკიცებს, რომ პიროვნების ქმნადობის პროცესი არ მთავრდება გარდამავალ ასაკში. ის გრძელდება მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში.

პიროვნების ფორმირების თვალსაზრისით, გარდამავალ (მოზარდობის) ასაკს ერიქსონის კონცეფციაშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამ პერიოდში მოზარდები სინჯავენ სხვადასხვა სოციალურ როლსა და მე-ს ხატს, რათა მონახონ და მოირგონ ისეთი, რომელიც მეტად შეეფერება მათ შინაგან ბუნებას. ერიქსონის მიერ შემოღებული ტერმინი – *მოზარდობის იდენტურობის კრიზისი* – გამოხატავს იდენტურობის ძიებასთან დაკავშირებულ კოლიზიებს. ეს კრიზისი, შესაძლოა, ყველაზე მწვავეა, მაგრამ არა ერთადერთი. ერიქსონის მიხედვით, ადამიანი მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში განვითარების რვა *ფსიქოსოციალურ სტადიას* გაივლის. თითოეული მათგანი შეიცავს კონფლიქტს ან კრიზისს. კრიზისი აუცილებლად

წარმოიქმნება, რადგან სოციალური და ფიზიკური გარემო ყველა სტადიაზე ახალი ამოცანების წინაშე აყენებს ინდივიდს. მათი გადაწყვეტა ადვილი არ არის, მაგრამ აუცილებელია ინდივიდის გადასვლისთვის განვითარების ახალ დონეზე. კრიზისის დაძლევა უთუოდ მოხდება, ოღონდ ადაპტური ან არაადაპტური გზით. რეალური პროგრესი, ცხადია, მხოლოდ პირველს უკავშირდება. თუ კრიზისი ნეგატიურად არის გადაწყვეტილი, ვითარების გამოსწორება შესაძლებელია შემდგომ სტადიაზე ადაპტური გადაწყვეტის გამონახვით. ამიტომ ოპტიმისტური პერსპექტივა განვითარების ყველა სტადიაზეა შენარჩუნებული. ყველა სტადიაზე არსებობს ცნობიერი კონტროლისა და კორექციის შესაძლებლობა. აქ მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ სტადიების გავლის აუცილებლობა და მათი თანმიმდევრობა გენეტიკურად არის დაპროგრამებული. ერიქსონის *განვითარების ეპიგენეტიკური მოდელის* თანახმად, ფსიქოსოციალური სტადიები *პიროვნების გეგმის* დროში გაშლაა. განვითარება ამ მხრივ მომწიფების პროცესს ემსგავსება. მომწიფებით დეტერმინირებული პროცესი კი *უნივერსალურ* ხასიათს ატარებს და ყველა კულტურაში ერთნაირად მიმდინარეობს. ერიქსონი, ცხადია, აცნობიერებდა კულტურათა შორის განსხვავებულობის მნიშვნელობას და იკვლევდა კიდეც სტადიების გავლის თავისებურებებს სხვადასხვა კულტურაში, მაგრამ მას, უბრალოდ, მიაჩნდა, რომ ადამიანის ფორმირების პროცესი ყველა კულტურაში პრინციპულად მსგავსი პრობლემების გადაჭრას გულისხმობს. ყველამ უნდა დაძლიოს პატარა ბავშვის უსუსურობა, მისცეს ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ცოდნა-ჩვევები, გამოუმუშაოს სოციალური თანაცხოვრების წესები; ყველგან წარმოიქმნება იდენტურობის მიღწევის, შემდგომი თაობის გაზრდისა და სიკვდილისათვის თვალის გასწორების პრობლემა. შესაბამისი ამოცანები ყველა კულტურაში დგება, ვინაიდან თვით კულტურა ევოლუციური პროცესის ნაწილია [32].

პირველ სტადიაზე (*ძუძუს ხანა*, დაბადებიდან 1 წლამდე) კრიზისი დაკავშირებულია იმასთან, თუ როგორ უკმაყოფილებს მომვლელი პირი (ძირითადად, ესაა მშობელი) ბავშვს მთავარ სასიცოცხლო მოთხოვნილებებს. შესაბამისად ვითარდება *ან ბაზისური ნდობა* გარემოსადმი ან *უნდობლობა*. ნდობა-უნდობლობის კონფლიქტის წარმატებული დაძლევის შედეგად შეიძინება ისეთი *დადებითი ფსიქოსოციალური თვისება ან საბაზისო ძალა*, როგორიცაა *იმედი*.

მეორე სტადიაზე (ადრეული *ბავშვობა*, 1-3 წელი) კრიზისი ვითარდება ტუალეტთან მიჩვევისა და სისუფთავის ჩვევების გამომუშავების გარშემო. იმის მიხედვით, თუ როგორ იქცევიან ამ შემთხვევაში მშობლები (დახმარება ან მკაცრი კონტროლი), ბავშვს უვითარდება *ავტონომიურობა ან სირცხვილი და დაურწმუნებლობა*. ამ სტადიის შედეგად შეძენილი საბაზისო ძალა *ნებისყოფაა*.

მესამე სტადიაზე (სკოლამდელი *ასაკი*, 3-6 წელი) კრიზისის პრობლემა სოციალიზაციაშია. ბავშვმა უნდა გაითავისოს საზოგადოებაში მიღებული ნორმები და შეუფარდოს მათ თავისი აქტივობა. შედეგად ყალიბდება *ინიციატივა ან დანაშაულის განცდა*. ინიციატივას თან სდევს *მიზანდასახულების* გამომუშავება.

მეოთხე სტადიაზე (პირველი *სასკოლო ასაკი*, 6-12 წელი) ბავშვს უნდა გამოუმუშავდეს სერიოზული საქმის კეთების, სწავლის, დამოუკიდებელი მუშაობის უნარი.

აქედან გამომდინარე, შეიძლება მოხდეს *შრომისმოყვარეობის ან არასრულყოფილების* ფორმირება. შრომისმოყვარეობა *კომპეტენტურობის* საწინდარია.

მეხუთე სტადიაზე (მოზარდობა, 12-20 წელი) კრიზისის მთავარი თემებია თანატოლებთან ურთიერთობა, პროფესიისა და ცხოვრების შემდგომი გზის არჩევა. აქ გადამწყვეტი ხდება საკუთარი მე-ს, თავისი უნარების ადეკვატური გაცნობიერება, წარსული გამოცდილებისა და მომავალი მიზნების ინტეგრაცია პიროვნების სტრუქტურაში. ამ გზაზე წარმატების შემთხვევაში ვითარდება *თვითიდენტურობა,* წარუმატებლობის შემთხვევაში – *აღრეული იდენტურობა.* სტადიის დადებითი თვისება *ერთგულებაა.*

მეექვსე სტადიაზე (ადრეული *მოწიფულობა,* 20-35 წელი) კრიზისი სხვა ადამიანებთან, უპირატესად საპირისპირო სქესის წარმომადგენლებთან ახალი ურთიერთობების დამყარებას და ოჯახის შექმნას უკავშირდება. წარმატებული გამოცდილება ამ სარბიელზე *ავტონომიურობას* აჩენს, წარუმატებელი – *იზოლაციას.* სტადიის დადებითი თვისება *სიყვარულია.*

მეშვიდე სტადიაზე (მოწიფულობა, 35-65 წელი) ადამიანის საზრუნავი ისაა, რომ შეინარჩუნოს და განავითაროს თავისი აქტიურობა და შემოქმედებითობა მოღვაწეობის ყველა სფეროში (ინტიმური კავშირი, შვილების აღზრდა, პროფესიული საქმიანობა და ა.შ.). თუ ეს მოხერხდა, ვიღებთ *პროდუქტიულობას,* თუ არა – *სტაგნაციას.* სტადიის დადებითი თვისებაა *ზრუნვა.*

მერვე სტადიაზე (სიბერე, 65 წლის შემდეგ) ადამიანი *ხანდაზმულობის კრიზისში* შედის. მან უნდა შეაჯამოს თავისი ცხოვრება, როგორც მთლიანობა, რომელშიც მან განახორციელა თავისი თავი. ამ შემთხვევაში მას არ აშინებს სიკვდილის გარდაუვალობა, რადგან ხედავს თავის გაგრძელებას შთამომავლობასა და შემოქმედებით წარმატებებში. იგი ხდება *ინტეგრირებული.* წინააღმდეგ შემთხვევაში მას *სასოწარკვეთილება* იპყრობს. ამ სტადიაზე გამომუშავებული საბაზისო ძალა *სიბრძნეა* [29].

საზოგადოდ, ეგოფსიქოლოგია უფრო კლასიკური ფსიქოანალიზის დამატება და განვითარებაა. *ნეოფროიდიზმი* ბევრად უფრო კრიტიკულია ფროიდის თეორიის დებულებების მიმართ და რადიკალურია მათი ტრანსფორმაციის თვალსაზრისით. ეს მიმდინარეობა წარმოიქმნა ამერიკაში XX საუკუნის 30-იან წლებში. მისი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლებია: ე. ფრომი, კ. ჰორნი და ჰ. სალივანი. ნეოფროიდისტები უარყოფენ ფროიდის *ბიოლოგიზმს,* ადამიანის წარმოდგენას ისეთ არსებად, რომელსაც მართავენ ფილოგენეზიდან მომდინარე ინსტინქტური ძალები. ცდილობენ რა, მონახონ ერთიანობა ადამიანის ბუნებრივ და სოციალურ საწყისებს შორის, ისინი პრიორიტეტს მაინც საზოგადოებრივ ფაქტორებს ანიჭებენ. შეიძლება ითქვას, რომ ნეოფროიდიზმში ფსიქოანალიზის შეხედულებების *სოციალიზაცია* მოხდა. ძირითად საკითხად იქცა სოციალური პროცესები და მათი როლი პიროვნების ქცევისა და ხასიათის ფორმირებაში[1]. დაიწყო და კვლავაც გრძელდება ფროიდის თვალსაზ-

[1] ცნობილია, რომ ფსიქოანალიზის შემქმნელი ადამიანის აქტივობის ყოველგვარი გამოვლინების მხოლოდ შინაგან, ბიოფსიქიკურ დეტერმინაციას აღიარებდა. გარე, სოციალურ ფაქტორებს იგი პრაქტიკულად არ ითვალისწინებდა და კითხვაზე მათი შესაძლო როლის შესახებ ხუმრობით პასუხობდა: მე კლიმატიც არ მაინტერესებს, თუმცა მასაც მნიშვნელობა აქვს.

რისის *დესექსუალიზაცია*. გამოყოფილია პირველადი მოტივაციის ისეთი სახეები, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო ლიბიდოსთან, ეროსსა და თანატოსთან. ეს მოტივები ან თავად არიან სოციალური ბუნების ან ინდივიდისა და სოციალური გარემოს ურთიერთქმედების შედეგად ჩნდებიან. სოციალური გარემოს იმანენტურ მანკიერებათა გამო ეს ურთიერთქმედება ძირეული, ამოსავალი კონფლიქტის შემცველია. ადამიანის ხასიათი და ქცევითი სტრატეგიები ამ კონფლიქტის ნაყოფია. მათ დაცვითი ფუნქცია აქვთ. ხასიათისა და დაცვითი აქტივობის მრავალი ფორმის ყოვლისმომცველი დახასიათებით ნეოფროიდისტები საკმაოდ შორს წავიდნენ ფროიდისგან.

ამავე დროს, ნეოფროიდისტები გაგებით ეკიდებიან თანამედროვე ფსიქოანალიზში გავრცელებულ მოწოდებას – „უკან, ფროიდისკენ", რადგან მათ არასდროს გაუწყვეტიათ ორგანული კავშირი ფროიდის მოძღვრებასთან და ამას თავადაც აღნიშნავდნენ. როგორც სილრმის ყოველგვარ ფსიქოლოგიაში, ნეოფროიდიზმშიც შენარჩუნებულია *არაცნობიერის პრიორიტეტი:* ამოსავალი მოტივაციური ძალები, კონფლიქტის წყარო და მისი დაძლევის გზები (მექანიზმები) არაცნობიერია. ასევე შენარჩუნებულია ცნობიერებისა და არაცნობიერის დაპირისპირების ფროიდისეული სქემა – ცნობიერება წინააღმდეგობას უწევს არაცნობიერ იმპულსებს და *განდევნის* მათ. მკურნალობა არაცნობიერი შინაარსების *გაცნობიერებას* უკავშირდება. ამისთვის, გარკვეულ ნოვაციებთან ერთად, გამოიყენება ფსიქოანალიზის ტრადიციული ხერხები. მართალია, ნეოფროიდიზმში უფრო ხშირად ლაპარაკია არა ნევროტულ სიმპტომებზე, არამედ ნევროზულ ხასიათზე, მაგრამ აქაც შენარჩუნებულია ფროიდის თეზისი ნორმასა და პათოლოგიაში მოქმედი *მექანიზმების იდენტურობის* შესახებ. ეს პრინციპი საერთოდ ფსიქოანალიზის ქვაკუთხედია, ვინაიდან მისი მტკიცე დაცვის გარეშე იგი ზოგადფსიქოლოგიური კონცეფციის სტატუსს დაკარგავს.

აღნიშნული თავისებურებები ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა ნეოფროიდიზმის გამოჩენილი თეორეტიკოსის, **ერიხ ფრომის** (1900-1980) შემოქმედებაში. ფრომი დაიბადა გერმანიაში. ფილოსოფიური და ფსიქოანალიზური განათლების მიღების შემდეგ ერთხანს მუშაობდა ფრანკფურტის სოციალური კვლევების ინსტიტუტში, სადაც მოქმედებდა ერთ-ერთი ძლიერი სოციოლოგიური სკოლა. 1933 წელს ფრომი გადასახლდა ამერიკაში. იგი ეწეოდა ფსიქოანალიზურ პრაქტიკას და, ამავე დროს, მოღვაწეობდა კოლუმბიისა და იელის უნივერსიტეტებში. დიდი ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მეხიკოს ფსიქოანალიზის ინსტიტუტს, იყო ნიუ-იორკის აკადემიის წევრი. ფსიქოლოგიის, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის, სოციოლოგიის, თეოლოგიის საკითხებზე შექმნილმა შრომებმა მას საერთაშორისო აღიარება მოუტანა.

ფრომის შემოქმედების ცენტრში *ფსიქიკური და სოციალური* ფაქტორების ურთიერთობის საკითხია. თავის კონცეფციაში იგი ცდილობს, გააერთიანოს ფროიდისა და მარქსის შეხედულებები[1]. ამგვარი გაერთიანების საფუძველი იყო ფრომის რწმენა, რომ „სოციალური და კულტურული ფონის ცოდნის გარეშე შეუძლებელია, სწორად

[1] საერთოდ, ე.წ. *ფროიდო-მარქსიზმი* ფსიქოანალიზური აზროვნების ერთ-ერთ საინტერესო განშტოებაა და საკმარისი რაოდენობის მიმდევარი ჰყავს. მისი წამყვანი ფიგურები, ფრომთან ერთად, არიან: ჰ. მარკუზე, კ. რაიხი, რ. ლიკტმენი [10].

გავიგოთ ფსიქოლოგიური პრობლემები. მაგრამ ზუსტად ასევე შეუძლებელია სოციალური მოვლენების გაგება იმის ცოდნის გარეშე, თუ როგორ მოქმედებს მათ საფუძვლად მდებარე ფსიქოლოგიური მექანიზმები" [18; 119]. რადგან ფრომს უდიდეს ფსიქოლოგად ფროიდი მიაჩნდა, ხოლო უდიდეს სოციალურ ფილოსოფოსად მარქსი, ბუნებრივია, რომ არჩევანი სწორედ მათზე შეჩერდა. ფრომი თვლიდა, რომ მარქსმა ვერ შეძლო იმის ჩვენება, თუ როგორ გადადის ეკონომიკური ბაზისი იდეოლოგიურ ზედნაშენში. მათ შორის არსებული უფსკრულის ამოვსება, ფრომის აზრით, შესაძლებელია ფსიქოანალიზის საშუალებით. ამ მიზნით მას შემოაქვს *სოციალური ხასიათის* ცნება. ის უნდა გაიმიჯნოს ინდივიდუალური ხასიათისგან. სოციალურ ხასიათში განსაზღვრულია ამა თუ იმ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურით განპირობებული ადამიანთა ქცევისა და აზროვნების საერთო წესი. ის წარმართავს ამ საზოგადოების წევრთა ენერგიას საჭირო მიმართულებით, აიძულებს მათ, იმოქმედონ და იფიქრონ საზოგადოების ინტერესების შესაბამისად, რის შედეგადაც წარმოიქმნება ამ კულტურისთვის დამახასიათებელი იდეები და იდეალები. მაგრამ საზოგადოება განსაზღვრავს იმასაც, თუ რა გრძნობები და აზრებია დასაშვები ინდივიდების ცნობიერებაში. მაშასადამე, არსებობს როგორც სოციალური ხასიათი, ისე *სოციალური არაცნობიერი.* ეს უკანასკნელი გულისხმობს ისეთ შინაარსებს, რომლებიც განდევნილია საზოგადოების წევრთა უდიდესი ნაწილის ცნობიერებიდან. ეს შინაარსები თუ ტენდენციები ეხება იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც ამ საზოგადოებაში არსებობს და, რომელთა გაცნობიერებამ შეიძლება დაარღვიოს ინდივიდისა და, შესაბამისად, მთელი საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირება (ფრომის თქმით, საზოგადოება არაფერია, თუ არა ინდივიდების ერთიანობა). ამიტომ საზოგადოების მკურნალობა, ფრომის მიხედვით, მისი წევრების მკურნალობას ნიშნავს. ეს ამოცანა კი ფსიქოანალიზმა უნდა შეასრულოს.

ფრომისთვის, ისევე როგორც ყველა ფსიქოანალიტიკოსისთვის, არაცნობიერი საყრდენი ცნებაა. ფრომის შეფასებით, ფროიდის სხვა დიდ აღმოჩენებს შორის (ოიდიპოსის კომპლექსი, ნარცისიზმი, სიკვდილის ინსტინქტი, ინფანტილური სექსუალობა და სხვ.) არაცნობიერი ყველაზე ფუნდამენტურია. უბედურება ის არის, რომ მას იგივე ბედი ეწია, რაც დანარჩენებს – მისი რეალური სიდიადე და მნიშვნელობა ერთგვარად გააფერმკრთალა ფროიდის ბიოლოგისტურ-მექანიცისტურმა თვალსაზრისმა. არაცნობიერი არ არის ბნელი ინსტინქტური ძალების სათარეშო ასპარეზი, მანკიერებათა თავშესაფარი. მის შინაარსს შეადგენენ, როგორც ბოროტი, ისე კეთილი ზრახვები და მისწრაფებები. ამავე დროს, არ უნდა ვიფიქროთ, რომ არაცნობიერის სფერო მხოლოდ ირაციონალურ ემოციურ-მოტივაციურ შინაარსებს შეიცავს. რაციონალური იდეები და რწმენები მასში ბევრად მეტია, ვიდრე ცნობიერებაში. საქმე ისაა, რომ ჩვენი ცნობიერების *რაციონალური შინაარსები* თითქმის არ შეიცავენ ჭეშმარიტებებს – ეს არის არასწორი ინფორმაციის, ცრურწმენების, ამოჩემებების, რაციონალიზაციებისა და სხვა მსგავსი შინაარსების ნაზავი. აზროვნების პროცესში ილუზიების ეს სამყარო თითქოს ლოგიკისა და სანდოობის პრინციპების თანახმად ორგანიზდება. ითვლება, რომ ცნობიერების აღნიშნული დონე რეალობას ასახავს და ჩვენი ცხოვრე-

ბა ამ სურათის მიხედვით იგეგმება. მაგრამ სინამდვილეში ეს სურათი სრულებითაც არ შეესაბამება რეალობას. სწორედ ამიტომ იგი არ ითრგუნება, პირიქით, ითრგუნება და განიდევნება ჭეშმარიტი ცოდნა. აქედან გამომდინარე, კითხვაზე – რა არის არაცნობიერი, ფრომი პასუხობს: „ირაციონალური ვნებების გარდა, ესაა თითქმის მთელი ჩვენი ცოდნა რეალობის შესახებ“ [19; 105]. ჩვენ ვიცით ჭეშმარიტება, მაგრამ ვთრგუნავთ მას. არსებობს არაცნობიერი ცოდნა, რომლის გაცნობიერებაც ცხოვრებას უაღრესად დაამძიმებდა და სახიფათოდ აქცევდა. ამიტომ ადამიანის ენერგიის დიდი ნაწილი იმაზე იხარჯება, რომ დაუმალოს საკუთარ თავს ის, რაც იცის.

მაინც რა შეადგენს ამ ესოდენ ძნელად მისაღები და სუბიექტურად გასაიდუმლოებული ცოდნის შინაარსს? ამ კითხვაზე პასუხი უნდა ვეძიოთ ფრომის შეხედულებაში *ეგზისტენციალური წინააღმდეგობების* შესახებ. ფრომის თანახმად, ცხოველი გარემოსთან ჰარმონიულ დამოკიდებულებაში იმყოფება, რასაც შეგუების ინსტინქტური მექანიზმები განაპირობებენ. ადამიანთან ინსტინქტების როლი პრაქტიკულად ნულამდეა დაყვანილი. სამაგიეროდ მას აღმოუცენდა ახალი თვისებები, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია *თვითცნობიერება, გონება და წარმოსახვა*. ამ უნარების განვითარებით დაირღვა ცხოველის არსებობისთვის დამახასიათებელი ჰარმონია. ადამიანი გახდა ნორმიდან გადახვეული, ანომალია, ბუნების ახირება. მისი არსებობა სავსეა წინააღმდეგობებით: ადამიანი ბუნების ნაწილია, ემორჩილება მის კანონებს, მაგრამ, ამავე დროს, იგი მუდმივად გადის ბუნების სამყაროს ფარგლებს გარეთ, ტრანსცენდენტირებს; იგი თავისთავადია და, ამასთან ერთად, მთელის ნაწილიცაა; იგი მოკვდავია, იცის ამის შესახებ და ვერ ახერხებს თავისი შესაძლებლობების სრულ განხორციელებას მისთვის განკუთვნილი მოკლე დროის განმავლობაში; ადამიანისთვის რთულია იმ ფაქტის მიღება, რომ დაიბადა საკუთარი ნების გარეშე და გარდაიცვლება ამ ნების საწინააღმდეგოდ – უფრო ადრე ან უფრო გვიან, ვიდრე მისი საყვარელი ადამიანები; ადამიანი მარტოსულია, თავს ერთჯერად და თავისთავად არსებად განიცდის, მაგრამ ვერ იტანს მარტოობას. მისი ბედნიერება სხვებთან კავშირში, მის თანამედროვე, წარსულ და მომავალ თაობებთან თანაზიარებაშია; ადამიანმა არ შეიძლება იცოდეს ყველაფერი, მაგრამ საკუთარი არსებობა მისთვის აუცილებლად გააზრებული უნდა იყოს. ფრომის თქმით, ადამიანი ერთადერთი ცხოველია, რომლისთვისაც მისი არსებობა პრობლემას შეადგენს. ეს პრობლემა აუცილებლად უნდა გადაწყდეს. ეგზისტენციალურ წინააღმდეგობებს გვერდს ვერ აუვლი. ადამიანის არსი ამ ფუნდამენტურ წინააღმდეგობებშია მოცემული და ყოველი სიცოცხლე მათზე ინდივიდუალური პასუხია.

ამრიგად, ეგზისტენციალურ წინააღმდეგობებს ის გარემოება ქმნის, რომ გაწყვეტილია ადამიანის კავშირი *ბუნებასთან, სხვა ადამიანებსა და საკუთარ თავთან*. ადამიანს აქვს უნარი ამ ვითარების გაცნობიერებისა, მაგრამ ეს ცოდნა წინააღმდეგობათა გარდაუვალობის გამო, მეტად მძიმე და მტკივნეულია. ამიტომ ის ან *განდევნილია* ცნობიერებიდან, ან *შენიღბული და რაციონალიზებულია*.

ეგზისტენციალური წინააღმდეგობები აისახება არა მხოლოდ და არა იმდენად რაციონალურ, რამდენადაც ემოციურ-მოტივაციურ ფორმაში. ეგზისტენციალური

კონფლიქტი წარმოშობს მუდმივი გაუწონასწორებლობის მდგომარეობას; ესაა წყარო ადამიანური აქტივობის დინამიკისა. ადამიანს ცხოველისთვის დამახასიათებელი ბიოლოგიური მოთხოვნილებებიც აქვს, მაგრამ მათი დაკმაყოფილება სრულყოფილი ადამიანური არსებობისთვის საკმარისი არ არის. ფრომი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ადამიანის ფსიქიკის გაგება უნდა ემყარებოდეს იმ მოთხოვნილებების ანალიზს, რომლებიც ეგზისტენციის პრობლემებიდან მომდინარეობენ. ეს პრობლემები კი მისგან მოქმედებას მოითხოვენ. ადამიანმა უნდა დაძლიოს უსუსურობა, განკერძოებულობა, დაკარგულობა, ე.ი. უპასუხოს ეგზისტენციალურ წინააღმდეგობებს. ასეთ პასუხად შეიძლება მოგვევლინოს როგორც სიყვარული, მისწრაფება თავისუფლებისკენ, ჭეშმარიტებისკენ, სამართლიანობისკენ, ასევე სიძულვილი, სადიზმი, დესტრუქციულობა, ნარცისიზმი და სხვ. ყოველივე ეს ეგზისტენციალური წინააღმდეგობებიდან ნაწარმოები მოთხოვნილებების გამოვლენაა და ადამიანის ხასიათში მყღავნდება. ფრომი მათ „ხასიათში ფესვგადგმულ ვნებებსაც“ უწოდებს. საერთოდ, ხასიათისა და მოთხოვნილების ცნებები მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ხასიათი განისაზღვრება როგორც ყველა არაინსტინქტური მისწრაფების „შედარებით მდგრადი სისტემა, რომლითაც ადამიანი მიმართებას ამყარებს ბუნებრივ და ადამიანურ სამყაროსთან“ [33; 305]. ინდივიდებს შორის განსხვავებებს განსაზღვრავს ის, თუ რა ეგზისტენციალური მოთხოვნილებებია გაბატონებული მათ ხასიათში.

ხასიათში მოცემულია ინდივიდისთვის ტიპური აღქმის, განცდისა და ქცევის სურათი. ადამიანში ხასიათი ენაცვლება დაკარგულ ინსტინქტებს და ინსტინქტის მსგავსად მოქმედებს. ხასიათის შესაბამისი რეაქციები პიროვნებისთვის მისაღები და ბუნებრივია. ხასიათი კონკრეტული ადამიანისთვის დამახასიათებელი ქცევის მოდელია. მისი წყალობით ადამიანი თანმიმდევრულად მოქმედებს და თავისუფლდება მძიმე ტვირთისგან, მუდმივად მიიღოს ახალი და გააზრებული გადაწყვეტილებები; შესაბამისი მისწრაფებებიც უპირატესად გაუცნობიერებელია. ინდივიდუალურ-ხასიათობრივი განსხვავებები ადამიანებს შორის განპირობებულია მშობლების პიროვნული თვისებებით, ფსიქიკური და მატერიალური პირობებით, რომლებშიც იზრდება ბავშვი, აგრეთვე მისი კონსტიტუციისა და ტემპერამენტის თავისებურებებით.

მიუხედავად იმისა, რომ ხასიათი ეგზისტენციალურ წინააღმდეგობებზე ინდივიდუალური პასუხია, მასში აუცილებლად არის მოცემული ნიშნები, რომლებიც საერთოა საზოგადოების ამა თუ იმ ჯგუფისთვის (თემი, ერი, კლასი). ეს კი უკვე სოციალური ხასიათია, რომელზეც ზემოთ იყო ლაპარაკი. იგი სხვადასხვა ქარაქტეროლოგიური სტრუქტურის ბირთვია. ესაა – ნიმუში, ნორმა, რომელსაც ინდივიდი აღზრდის, სოციალიზაციის პროცესში ითვისებს. ფრომი სოციალური ხასიათის შემდეგ ტიპებს გამოყოფს: რეცეფციულს, ექსპლოატატორულს, დამგროვებელს, საბაზროს, პროდუქტიულს.

რეცეფციული (პასიური) ხასიათის ადამიანს მიაჩნია, რომ ყოველივე მატერიალური თუ სულიერი სიკეთე და სიამოვნება გარედან, სხვა ადამიანებისგან მიიღება. ამიტომ იგი ძლიერაა დამოკიდებული სხვებზე, მოკლებულია სერიოზული, დამოუკი-

დებელი გადაწყვეტილებისა და მოქმედების უნარს. არის მიმნდობი, პასიური, სენტიმენტალური.

ექსპლოატატორული ტიპიც დარწმუნებულია, რომ ყველაფერი გარედან მოდის, მაგრამ არ სჯერა იმისა, რომ სხვებისგან რაიმეს საჩუქრად მიღება შეიძლება; სასურველი უნდა მოიპოვო ძალით ან ეშმაკობით. იგი იდეებს კი არ ქმნის, არამედ სესხულობს ან იპარავს. წართმეული შექმნილს ურჩევნია, ექსპლოატაციას უწევს ყველას, ვისგანაც რაიმეს გამორჩენა შეუძლია. ესაა ძლიერი, თვითდარწმუნებული, საკუთარი ღირსების მქონე პიროვნება. ამავე დროს, მტრულად განწყობილი, ცინიკური, ეჭვიანი და შურიანი.

დამგროვებელი ორიენტაციის ადამიანს არ სჯერა, რომ გარედან რაიმე ახალს მიიღებს, ამიტომ საჭიროა არსებულის შენახვა და ეკონომია. მისი დევიზია: მაქსიმალური მოხვეჭა და მინიმალური გაცემა – ჩემი ჩემია – შენი შენია. ესაა ხარბი, პედანტური, აკურატული, ჯიუტი, არადამთმობი ადამიანი.

საბაზრო ტიპი თანამედროვე საბაზრო საზოგადოების პროდუქტია. ასეთი ადამიანისთვის მთავარია, თუ რა სასაქონლო, გასაყიდი ღირებულება აქვს მას. მთავარია, რომ მასზე, როგორც დაქირავების ობიექტზე, მოთხოვნა იყოს. ინდივიდუალურობას, უნიკალურობას ადამიანებში ფასი დაკარგული აქვს, მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, თუ ვინ გაიმარჯვებს საბაზრო კონკურენციაში. ასეთი ადამიანის დევიზია: „მე ისა ვარ, რასაც ინებებთ". ასეთი პიროვნება ცარიელია, არა აქვს მდგრადი შეხედულებები, მისი განწყობები ცვალებადია და ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი.

აღწერილი ხასიათის ოთხი ტიპი *არაპროდუქტიულ* ორიენტაციას მიეკუთვნება. მათ უპირისპირდება *პროდუქტიული* ხასიათი. ეს უკანასკნელი, ფრომის აზრით, ადამიანის განვითარების საბოლოო მიზანია. იგი არის დამოუკიდებელი, პატიოსანი, წყნარი, მოსიყვარულე, კრეატიული და სოციალურად სასარგებლო. მისთვის დამახასიათებელია მომართულობა საკუთარი ბუნებრივი შესაძლებლობების მაქსიმალურ რეალიზაციაზე. ესაა აქტიური და შემოქმედი პიროვნება. სხვებისადმი ინტერესის, პატივისცემის, სიყვარულისა და მეგობრობის გრძნობებით სავსე, იგი, ამავე დროს, რეალისტურად, კრიტიკულად და ნაყოფიერად მოაზროვნეცაა.

ყოველი ინდივიდუალური ხასიათი სოციალურისა და ბუნებრივის სინთეზია. ამასთან, ბუნებრივი გაგებულია არა იმდენად ბიოლოგიურად, რამდენადაც ეგზისტენციალურად.

ადამიანის, როგორც საზოგადოებრივი არსების, ისტორია იწყება იქიდან, რომ იგი გამოდის ცხოველური მდგომარეობიდან, რითაც კარგავს ერთიანობას ბუნებასთან და იძენს *თავისუფლებას*. თავისუფლების საკითხს ფრომი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან, მისი აზრით, ადამიანური არსებობა და თავისუფლება თავიდანვე განუყოფელია. თავდაპირველად თავისუფლება შეზღუდულია. ისტორიის ადრეულ საფეხურებზე ადამიანი მჭიდროდ არის დაკავშირებული გვართან, თემთან. იგი სრულად იკმაყოფილებს მოყვასთან კავშირის, სხვასთან გაერთიანების *წარმმართველ მოთხოვნილებას*. ამასთან, სხვასთან ურთიერთობა არ დაიყვანება ფიზიკურ კონტაქტზე. აქ მთავარია ერთიანობა საზოგადოებაში მიღებულ ღირებულებებთან,

ნორმებთან, იდეალებთან. ადამიანი შეიძლება სხვებთან ერთად ცხოვრობდეს და მარტო იყოს, ვინაიდან იგი გაუცხოებულია საზოგადოების სულიერი სამყაროსგან. პირველყოფილ საზოგადოებაში ასეთი გაუცხოებისგან მას მითოლოგია და მაგია იცავს. შუა საუკუნეები ფრომის მიერ შეფასებულია სოლიდარობისა და უსაფრთხოების ხანად. ადამიანის თავისუფლება შეზღუდულია მკაცრი სოციალური იერარქიით, მაგრამ ეს წესრიგი მასში დაცულობისა და გულდაჯერებულობის განცდას ინვევს. ამას რელიგიაც აძლიერებს. რენესანსის ეპოქაში საზოგადოების სტრუქტურა იცვლება, ირღვევა ტრადიციული კავშირები, წინა პლანზე წამოიწევს სიმდიდრისა და ძალაუფლების მოპოვების ჟინი; ქრება სოლიდარობა, ძლიერდება ეგოიზმი, ინდივიდუალიზმი. ადამიანი ხდება უფრო თავისუფალი და დამოუკიდებელი, მაგრამ, ამავე დროს, იზოლირებულიც. სწორედ ასეთი იზოლირების შედეგად იჩენს თავს დაურწმუნებლობა, დაუცველობა, შიში, მარტოობა. კაპიტალიზმსა და თანამედროვე საზოგადოებაში ეს პროცესები კიდევ უფრო გაძლიერდა. ადამიანის მდგომარეობა აუტანელი გახდა. მას აღარ სურს თავისუფლება, რომლისაც ეშინია. ეს არის *ნეგატიური თავისუფლება ანუ თავისუფლება რაიმესგან,* ამ შემთხვევაში ტრადიციული კავშირებისგან, ერთიანობისგან, დაცულობისგან. ადამიანი ცდილობს, გაექცეს ასეთ თავისუფლებას და ამისთვის გარკვეულ ფსიქოლოგიურ მექანიზმებს მიმართავს.

უმწეობისა და მარტოობის დაძლევა ორი გზით შეიძლება: ერთ გზას მივყავართ *პოზიტიური თავისუფლებისკენ* – ესაა *თავისუფლება რაიმესკენ.* ადამიანს შეუძლია, სპონტანურად დაუკავშირდეს სამყაროს სიყვარულისა და შრომის საშუალებით, თავისი უნარებისა და შესაძლებლობების სრული გამოვლინებით. ამ გზით მას შეუძლია, დაიბრუნოს ერთიანობა სხვა ადამიანებთან, სამყაროსა და თავის თავთან ისე, რომ უარი არ თქვას დამოუკიდებლობასა და მე-ს მთლიანობაზე; მეორე გზა – ესაა გზა უკან, უარის თქმა თავისუფლებაზე იმისთვის, რომ დაიძლიოს მარტოობა. ეს არის გაქცევა აუტანელი სიტუაციიდან. მას იძულებითი ხასიათი აქვს და დაკავშირებულია ინდივიდუალობისა და მე-ს მთლიანობის ნაწილობრივ ან სრულ დაკარგვასთან. მას არ მივყავართ ბედნიერებასთან. იგი ამცირებს შფოთს, აქცევს ცხოვრებას ასატანად, მაგრამ პრობლემის არსებით გადაჭრას ვერ უზრუნველყოფს.

ფრომი თავისუფლებისგან გაქცევის სამ ძირითად მექანიზმს გამოყოფს: ავტორიტარიზმს, დესტრუქტივიზმს და ავტომატურ კონფორმიზმს. *ავტორიტარიზმი* მოიცავს *სადიზმსა და მაზოხიზმს* [18]. მაზოხისტური პიროვნებისთვის დამახასიათებელია უსუსურობის, უბადრუკობის, ნაკლოვანების გრძნობები. ასეთი ადამიანი მიდრეკილია, დააკნინოს თავისი თავი, დაექვემდებაროს რაიმეს ან ვინმეს. მაზოხისტური ტენდენციების უკიდურესი გამოვლენაა საკუთარი თავისადმი ვნების, სულიერი ან ფიზიკური ტკივილის მიყენების სურვილი. სადისტური პიროვნება მიმართულია იმაზე, რომ თავი დააღწიოს საკუთარ მარტოსულობას და გამომწყვდეულობის გრძნობას სხვა ადამიანის თავის ნაწილად ან საკუთრებად ქცევით. სადისტურ მისწრაფებებსაც მრავალი სახე აქვს: სხვისი დათრგუნვა, მორჩილებაში ყოლა, ყოველგვარი ექსპლოატაცია და, ბოლოს, სხვისთვის ზიანისა და ტანჯვის მიყენება. სადიზმი და მაზოხიზმი ე.წ. *სიმბიოზური განწყობის* რეალიზაციაა. სიმბიოზი, ფსიქოლოგი-

ური თვალსაზრისით, არის ისეთი კავშირი ინდივიდებს შორის, როცა ორივე მხარე კარგავს მე-ს მთლიანობას და სრული ურთიერთდამოკიდებულების მდგომარეობაში ექცევა. სადისტსაც და მაზოხისტსაც ერთნაირად ესაჭიროება სხვა; ესაა სხვასთან შერწყმა ერთიანობის გარეშე. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ერთი იმორჩილებს, მეორე კი ექვემდებარება. პირველი არის სიმბიოზის აქტიური ფორმა, მეორე – პასიური. ასეა თუ ისე, ორივე შემთხვევაში ადამიანი მტკიცედ უკავშირდება სხვას და ინდივიდუალობისა და თავისუფლების დაკარგვის ხარჯზე თავს აღწევს იზოლირებულობასა და მარტოობას.

დესტრუქტივიზმი განსხვავდება ავტორიტარიზმისგან, რადგან მისი მიზანი სიმბიოზი კი არ არის, არამედ ყოველგვარი ობიექტის განადგურება, რომელთანაც ინდივიდი მიმართებას ამყარებს. განადგურებას ექვემდებარება როგორც სხვა ადამიანები, ისე მატერიალური თუ სულიერი ფასეულობები. ამით ხდება უმწეობისა და უძლურების გრძნობის დაძლევა. სადიზმის შემთხვევაში ადამიანი ძალას სხვისი დამორჩილების წყალობით იძენს, ხოლო დესტრუქტივიზმის დროს გარე საშიშროების მოშორების, ლიკვიდაციის საშუალებით. საზოგადოდ კი, ორივე მათგანი ე.წ. *არაკეთილთვისებიანი აგრესიის* გამოვლინებებია, რომელიც, განსხვავებით ე.წ. *კეთილთვისებიანი აგრესიისგან,* არ ემსახურება ბიოლოგიურ ადაპტაციას, სიცოცხლის შენარჩუნების ფიზიოლოგიურ ამოცანებს და მხოლოდ ადამიანისთვისაა დამახასიათებელი. მას არა აქვს ინსტინქტური ბუნება. იგი ადამიანის ცხოვრების სოციალური პირობებისა და ეგზისტენციალური მოთხოვნილებების ურთიერთქმედების შედეგია [33].

გაუცხოებისა და მარტოობის დაძლევის ყველაზე გავრცელებული ხერხი *ავტომატური კონფორმიზმია.* ამ შემთხვევაში ადამიანი მთლიანად ისეთი ხდება, როგორიც სხვები. ინდივიდი კარგავს თავისთავადობას, გადაიქცევა ავტომატად. განსხვავება საკუთარ „მე"-სა და გარემოცვას შორის იშლება. ამასთან ერთად კი, ქრება მარტოობისა და უსუსურობის შიში. კონფორმიზმი წააგავს *მიმიკრიის* მექანიზმს, როცა ცხოველი საფრთხის სიტუაციაში შეფერილობას იცვლის და ისე ემსგავსება გარემოს, რომ მისგან აღარ გაირჩევა. თავის მე-ზე უარის თქმით ადამიანი გადაიქცევა მილიონების მსგავს რობოტად და აღარ განიცდის მარტოობასა და შფოთს, მაგრამ ეს საკუთარი პიროვნების დაკარგვის ფასად უჯდება.

როგორც ითქვა, გაუცხოების გადალახვა, სამყაროსა და სხვებთან ერთიანობის მიღწევა ამ ნეგატიური შედეგების გარეშეც არის შესაძლებელი. ადამიანმა შეიძლება მიაღწიოს პოზიტიურ თავისუფლებას, მაგრამ მისკენ მიმავალი გზა ბევრად უფრო რთულია. ამიტომ უმრავლესობა თავისუფლებისგან გაქცევას ამჯობინებს. მიუხედავად ამისა, ეს გზა არსებობს და იგი თავისი *თვითონის* შესაძლებლობების სრულ და შეუზღუდავ გაშლასა და *განხორციელებაში,* სპონტანურ *შემოქმედებით საქმიანობასა და სიყვარულშია.* ყოველგვარი სახის კრეატიული სამუშაოს დროს, ხელოვანისა იქნება ის, მეცნიერის თუ ხელოსნის, ან ვაზის მომვლელი გლეხის, შემოქმედი და მისი მუშაობის საგანი, ქმნილება ხდებიან ერთიანი. ამ გაგებით, შემოქმედებითი საქმიანობა სამყაროსთან გაერთიანებაა, ცხადია, ერთი პირობით – ის არ უნდა იყოს

იძულებითი. ამის მიღწევა კი საზოგადოების მოწყობის თანამედროვე დონეზე საკმაოდ რთულია. ამიტომ გაერთიანების სხვა ფორმები უფრო ხელმისაწვდომია.

კიდევ ერთი გზა სიყვარულია, რომლის გარეშე, ფრომის თქმით, კაცობრიობა საერთოდ ვერ იარსებებდა. „ადამიანის განცალკევებულობის გაცნობიერება სიყვარულით შეერთების გარეშე არის სირცხვილის, იმავდროულად, დანაშაულის გრძნობისა და შფოთვის სათავე“ [3; 16]. ადამიანური არსებობის პრობლემის ნამდვილი გადაწყვეტა სიყვარულშია. „სიყვარული ადამიანში მოქმედი ძალაა, რომელიც მას სხვებთან აერთიანებს; სიყვარული ეხმარება ადამიანს იმაში, რომ გადალახოს მარტოობისა და გაუცხოების გრძნობა და, ამავე დროს, დარჩეს უცვლელი, შეინარჩუნოს თავისი მთლიანობა“ [20; 121]. ასეთი სიყვარული არსებითად განსხვავდება ფსიქოლოგიური სიმბიოზისგან. „სიმბიოზური ერთიანობის საპირისპიროდ, სიყვარული არის ურთიერთშერწყმა პიროვნების სისრულის, ინდივიდუალიზმის შენარჩუნების პირობით“ [3; 31]. განიხილავს რა სიყვარულის სხვადასხვა ფორმას (დაძმური *ანუ მოყვასის, დედობრივი, ეროტიული, საკუთარი თავის, ღმერთის),* ფრომი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ის არ არის უბრალოდ, ფსიქიკური, სულიერი მდგომარეობა. ჭეშმარიტი სიყვარული არის ზრუნვა, თავდადება, პატივისცემა და პასუხისმგებლობა. აქედან გამომდინარე, სიყვარული მოქმედებაა. ის, პირველ რიგში, გაცემაა და არა მიღება. შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილი სიყვარული ფორმის გაგებით არის ზმნა და არა არსებითი სახელი. არაჩვეულებრივი ძალისა და ხიბლის მქონე განცდასთან ერთად, ის არის აქტივობა, ჭეშმარიტი ადამიანური არსებობის ხელოვნება („სიყვარულის ხელოვნება“ – ასე უწოდა ავტორმა თავის გახმაურებულ წიგნს). ამიტომ მას გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია ეგზისტენციალური პრობლემების რეალური გადაწყვეტის საქმეში.

ნამდვილი სიყვარული ადვილი არ არის. თავისი თავის რეალიზაცია სიყვარულსა და შემოქმედებით შრომაში ცოტას თუ შეუძლია. ცხოვრების ასეთი სტილი და შესაბამისი ხასიათი იშვიათობაა. პოზიტიური თავისუფლების მიღწევა უდიდეს თავდადებას და სიმტკიცეს მოითხოვს. ამ მხრივ ფსიქოანალიზს დიდი დახმარების გაწევა შეუძლია, ვინაიდან იგი, პირველ რიგში, ხასიათის კორექციაა. ერთადერთი, რასაც შეუძლია შეარბილოს ან სულ მოსპოს ის ბოროტება, რაც ხასიათში გამჯდარ დამანგრეველ, ავტორიტარულ თუ კონფორმულ ტენდენციებშია, არის შემოქმედებითი პოტენციალის გაძლიერება, ადამიანის უნარის განვითარება, პროდუქტიულად გამოიყენოს თავისი ძალები.

ადამიანის ბუნებისთვის იმთავითვე დამახასიათებელია მისწრაფება ბედნიერებისკენ, სიყვარულისკენ, თავისუფლებისკენ, სხვებთან ურთიერთობისკენ. ეს ყოველივე ისევე გამომდინარეობს ადამიანის არსიდან, როგორც დამანგრეველი ტენდენციები. ადამიანის ბუნება თავისთავად არ არის არც კეთილი, არც ბოროტი. ადამიანის ბუნებას მისი არსებობის პირობებიდან გამომდინარე წინააღმდეგობები შეადგენს. ეგზისტენციალურ წინააღმდეგობებთან დაკავშირებული იმანენტური კონფლიქტი აუცილებლად მოითხოვს გადაწყვეტას, რომელიც, არსებითად, ორი სახის შეიძლება იყოს: *რეგრესული ან პროგრესული.* პირველი, საბოლოო ჯამში, მე-ს განადგურებაა

და, ამდენად, ბოროტებად უნდა ჩაითვალოს; მეორე მე-ს შესაძლებლობების მაქსიმალური თვითრეალიზაციაა და, ამდენად – სიკეთე. *ჰუმანისტური ფსიქოანალიზი*, როგორც ფრომი უწოდებს თავის მოძღვრებას, მხარში უნდა ამოუდგეს ადამიანს, რათა იგი სწორედ ამ გზას დაადგეს.

ფრომს მტკიცედ სჯერა ფსიქოანალიზური მეთოდისა. მისი გამოყენებით პრინციპულად ორი სხვადასხვა მიზნის მიღწევა შეიძლება, ესენია: *სოციალური ადაპტაცია და სულის განკურნება*. პირველ შემთხვევაში თერაპია ნევროტული სიმპტომების მოხსნას გულისხმობს. გასული საუკუნის დასაწყისში პაციენტები მიმართავდნენ ფსიქოანალიტიკოსს, ვინაიდან მათ აწუხებდათ მოტორიკის, სენსორიკის, სეკრეციისა და სხვა ფუნქციების დარღვევები. ეს დარღვევები მათ ხელს უშლიდა, შეესრულებინათ ის როლები, რომლებსაც საზოგადოება კარნახობდა. ანალიზური მკურნალობა სოციალურ შეგუებას ემსახურებოდა. მსგავსი სიმპტომების მქონე ავადმყოფები, ცხადია, დღესაც არიან, მაგრამ ისინი უმცირესობას შეადგენენ. *ახალი პაციენტები*, ჩვეულებრივი მნიშვნელობით, ავადმყოფებად ვერც ჩაითვლებიან. მათი საზოგადოებრივი ფუნქციონირება ნორმალურია, მაგრამ ისინი ლაპარაკობენ ერთგვარ *შინაგან სიკვდილზე*, გარკვევით არც იციან, რა აწუხებთ. ადამიანები უჩივიან უძილობას, დათრგუნვილობას; ოჯახურ ცხოვრებას მათთვის ბედნიერება არ მოაქვს, ხოლო სამსახურს – კმაყოფილება და სიხარული. ისინი ვერ ხვდებიან, რომ ეს სირთულეები მათი ძირეული, სიღრმისეული პრობლემის – *გაუცხოების* გამოვლენის ფორმებია. ჰუმანისტური ფსიქოანალიზი ამ ვითარების გაგებასა და გამოსწორებას ემსახურება. მკურნალობის მიზანი ამ შემთხვევაში იმდენად შეგუება კი არ არის, რამდენადაც ადამიანის შესაძლებლობების ოპტიმალური განვითარება და ინდივიდუალურობის მაქსიმალური რეალიზაცია. სულის განკურნება ავადმყოფობისა და ნორმის ისეთ კონცეფციას გულისხმობს, რომელიც უპირატესობას აძლევს არა საზოგადოების მოთხოვნებს, არამედ ინდივიდის ღირებულებებსა და მოთხოვნილებებს.

საქმე ისაა, რომ პიროვნების განვითარებისა და საზოგადოების ფუნქციონირების ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვევა. ის, ვინც ნორმალურად არის მიჩნეული ადაპტირებულობის ნიშნის მიხედვით, შეიძლება ნევროტიზე ნაკლებად ჯანმრთელი აღმოჩნდეს, ადამიანური ღირებულებების თვალსაზრისით. კარგი შეგუება ხშირად საკუთარ პიროვნებაზე უარის თქმის ხარჯზე მიიღწევა. ადამიანი ხდება ისეთი, როგორსაც საზოგადოება მოითხოვს, ამიტომაც კარგავს ინდივიდუალურობას და უშუალობას. ამის საწინააღმდეგოდ, ნევროტიკი შეიძლება ისეთ ადამიანად წარმოვიდგინოთ, რომელიც იბრძვის თავისი პიროვნების შესანარჩუნებლად. მარცხის შემთხვევაში, პიროვნების შემოქმედებითი თვითრეალიზაციის ნაცვლად, იგი გამოსავალს პოულობს ნევროტულ გამოვლინებებში ან ფანტაზიის სამყაროში. მაგრამ, ადამიანური ღირებულებების კუთხით, იგი ნაკლებად არის დასახიჩრებული, ვიდრე ის „ნომალური“, რომელმაც საერთოდ დაკარგა თავისი ინდივიდუალურობა. საზოგადოდ, ფრომს მიაჩნია, რომ ადამიანთა დაყოფა ნორმალურებად და ნევროტიკებად სამართლიანი არ არის. ნევროზულ ადამიანთან პრინციპულად იმავე მოვლენებს ვხვდებით, რასაც „ნორმალურ“ ადამიანთან, ოღონდ ნევროტიკთან მათ უფრო გა-

მოკვეთილი, მძაფრი და გაცნობიერებული ხასიათი აქვთ. ნორმალური ადამიანები ვერც აცნობიერებენ თავისი არსებობის ძირეულ პრობლემებს.

ამ პოზიციაზე დგას ნეოფროიდიზმის ერთ-ერთი ლიდერი **კარენ ჰორნიც** (1885-1952). განსხვავება ნევროტულ და ჯანმრთელ ადამიანს შორის მხოლოდ რაოდენობრივია. ეს დებულება გამოთქმულია მის საპროგრამო წიგნში – „ჩვენი დროის ნევროტული პიროვნება" (1937). აქ ჰორნიმ თავი მოუყარა მოსაზრებებს, რომლებიც გაუჩნდა ხანგრძლივი ფსიქოანალიზური პრაქტიკის დროს გერმანიასა და ამერიკაში, სადაც იგი 1932 წელს გადასახლდა. აქ ჰორნი მუშაობდა ჯერ ჩიკაგოში, ხოლო შემდეგ ნიუ-იორკის ფსიქოანალიზის ინსტიტუტში. ხსენებული საპროგრამო წიგნის გამოსვლის შემდეგ, აშკარა გახდა კლასიკური ფსიქოანალიზის მომხრე კოლეგებთან მისი უთანხმოება. ჰორნი მიდის ინსტიტუტიდან და, თავის მომხრეებთან ერთად, აარსებს ფსიქოანალიზის განვითარების ასოციაციას, ხოლო სულ მალე ფსიქოანალიზის ამერიკულ ინსტიტუტსა და ჟურნალს (1941), რომელთაც სიკვდილამდე ედგა სათავეში.

ფრომის მსგავსად, ჰორნი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ახალი სოციალური ვითარებების შესაბამისად უნდა შეიცვალოს ფსიქოანალიზის თვალსაზრისი ნევროზის ბუნებისა და მკურნალობის თაობაზე. მისი აზრით, ნევროტულ სიმპტომებზე აქცენტის ნაცვლად, საჭიროა იქიდან ამოვიდეთ, რომ „ამ ფსიქიკურ აშლილობათა ნამდვილი მიზეზი ხასიათის დარღვევაშია და რომ ნევროზული ხასიათის სტრუქტურის გამოვლენისა და კორექციის გარეშე ჩვენ ვერ შევძლებთ ნევროზის მკურნალობას" [24; 97]. რაც შეეხება ხასიათს, იგი სოციალური ფაქტორებით არის განსაზღვრული. ჰორნი გადაჭრით ამბობს უარს ფროიდის ბიოლოგისტურ ორიენტაციაზე და *სოციალურად ორიენტირებული ფსიქოანალიზის* განვითარებას ცდილობს. პიროვნების, მისი ხასიათის ჩამოყალიბება ადრეულ ბავშვობაში იწყება, მაგრამ შესაძლებელია, ძალიან გვიან დასრულდეს. ადამიანი ერთგვარად მთელი ცხოვრების განმავლობაში იცვლება. ჰორნი უარს ამბობს ფიქსირებულ ფსიქოსექსუალურ სტადიებზე; მისი აზრით, განვითარება არ მიმდინარეობს უნივერსალური, ბიოლოგიურად დეტერმინირებული სტადიების შესაბამისად; ამიტომ ხასიათის ფორმირება მთლიანად გარემოს ფაქტორზეა დამოკიდებული. აქ, ძირითადად, ოჯახური ფაქტორები იგულისხმება; უფრო ფართო კონტექსტში კი – კულტურული და სოციალური ფაქტორები [25].

ჰორნის თეორიის საყრდენი ცნება არის *ძირეული შფოთი* – ესაა მარტოობისა და უსუსურობის განცდა, რომელსაც ინდივიდში პოტენციურად მტრული გარემო იწვევს. ის აღმოცენდება სოციალური გარემოს ზეგავლენით, კერძოდ კი, მშობლებისა და ბავშვის ურთიერთობის იმ არასასურველი ფორმების შედეგად, რომლებიც ადრეული ასაკიდან იჩენს თავს. ეს შეიძლება იყოს სიყვარულის, გაგების, შემწყნარებლობის დეფიციტი ან გადაჭარბებული მეურვეობა, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების შეზღუდვა, ერთ-ერთი შვილისთვის უპირატესობის მინიჭება და ა.შ. ამას ჰორნი *მთავარ* ბოროტებას უწოდებს. შფოთი, როგორც ძირეული მოტივაციური ძალა, წარმოშობს სიყვარულისა და ურთიერთობის სურვილს, რომლის უკანაც უსაფრთხოების მოთხოვნილება დგას. ჰორნის თანახმად, ადამიანის აქტივობას განსაზღვრავს ორი მთავარი მისწრაფება – *უსაფრთხოებისა და სურვილების დაკმაყოფილებისა*. ისინი

შეუთავსებელი ტენდენციებია, ვინაიდან სურვილების შეუზღუდავი დაკმაყოფილება აუცილებლად გამოინვევს დაგმობას ან დასჯას საზოგადოების მხრიდან, რაც რეალურად ემუქრება უსაფრთხოებას.

ჰორნი საგანგებოდ განიხილავს იმას, თუ როგორ აღწევს თავს კონფლიქტურ ვითარებას ნევროტული ადამიანი. იგი აღნიშნავს, რომ ნევროტიკი კი არ მართავს თავის მისწრაფებებს, არამედ პირიქით, მისწრფებები მართავენ მას. კონფლიქტური ტენდენციების არაცნობიერება და შეუთავსებლობა შეუძლებელს ხდის მათ შორის გაწონასწორებული არჩევანის გაკეთებას. ამიტომ ნევროზული პიროვნება მიმართავს კონფლიქტის დაძლევის არარაციონალურ გზას ან ქცევით სტრატეგიას. თუ ეს სტრატეგია ფიქსირდება, იგი ხასიათობრივი თვისების ან, ავტორის ტერმინით, *ნევროზული მიდრეკილების* სახეს იღებს.

ჰორნი 10 ასეთ ნევროზულ მიდრეკილებას გამოყოფს: 1) *მიდრეკილება სიყვარულისა და მოწონებისადმი* (უზომო სურვილი, მოსწონდე და უყვარდე ყველას); 2) მიდრეკილება, *გყავდეს ხელმძღვანელი პარტნიორი* (მარტოობის შიშიდან გამომდინარე „მიწებება" პარტნიორზე და ამით პარაზიტირება); 3) *მიდრეკილება ცხოვრების ვიწრო ჩარჩოებით შეზღუდვისადმი* (არამომთხოვნელობა, ცოტათი კმაყოფილება, ჩრდილში დარჩენა, საკუთარი შესაძლებლობების დაკნინება); 4) *მიდრეკილება ძალაუფლებისადმი* (მბრძანებლობისა და დამორჩილების თვითმიზნური ტენდენცია, ძალის თაყვანისცემა და სისუსტის ზიზღი); 5) *მიდრეკილება სხვების ექსპლოატირებისადმი* (ადამიანების თავის სასიკეთოდ გამოყენება, მათგან გამორჩენის მიღება და იმის შიში, რომ შენც იგივე არ დაგმართონ); 6) *მიდრეკილება საზოგადოებრივი აღიარებისადმი* (დაუცხრომელი ჟინი პრესტიჟის, სტატუსის, სახელის მოპოვებისა); 7) *მიდრეკილება აღტაცების ობიექტად ყოფნისადმი* (ნარცისიზმი, მოწონებისა და ქების დაუოკებელი წყურვილი); 8) *მიდრეკილება პატივმოყვარეობისადმი* (წრეგადასული მისწრაფება, იყო ყველაზე კარგი); 9) *მიდრეკილება თვითკმარობისა და დამოუკიდებლობისადმი* (ვალდებულებებისგან გაქცევა, ყველაფრისგან და ყველასგან დისტანცირება); 10) *მიდრეკილება სრულყოფილებისა და მოუწყვლადობისადმი* (აკვიატებული მისწრაფება, იყო უშეცდომო და წუნდაუდებელი ყველა თვალსაზრისით, შეცდომებისა და ნაკლოვანებების გამომჟღავნების შიში).

ნევროზულ მიდრეკილებებს გარკვეული საერთო თვისებები აღენიშნებათ. ჯერ ერთი, ისინი არაცნობიერია. ადამიანს არ ესმის, რამდენადაა ამ ტენდენციებით შეპყრობილი და რამდენად განსაზღვრავენ ისინი მის ცხოვრებას. კიდევ უფრო ნაკლებად ცნობიერდება, თუ რატომ აქვს ამ ტენდენციებს მასზე ზემოქმედების ასეთი ძალა. გარდა ამისა, ნევროზული მიდრეკილებები აკვიატებული ხასიათისაა; ისინი არ წარმართავენ ადამიანს განსხვავებული მიზნების შერჩევისკენ და მას რიგიდულს ხდიან. დაბოლოს, ნევროზული მიდრეკილებები არარეალისტური და პრინციპულად დაუკმაყოფილებელია, ხოლო მათი ფრუსტრაცია აუცილებლად იწვევს ძლიერი შფოთის რეაქციას [26].

წიგნში – „ჩვენი შინაგანი კონფლიქტები" (1945) – ავტორი აერთიანებს ყველა ამ მიდრეკილებასა თუ რეაგირების ტიპს დაცვითი ქცევის სამ გლობალურ სტრატეგი-

აში, ესენია: *1) მოძრაობა ადამიანებისკენ, 2) მოძრაობა ადამიანებისგან და 3) მოძრაობა ადამიანების წინააღმდეგ.* თუ ნორმაში ეს ტენდენციები ასე თუ ისე თანაარსებობენ და აწონასწორებენ ერთმანეთს, ნევროზში ისინი მთლიანად ურთიერთგამომრიცხავი ხდებიან და ერთ-ერთი მათგანი იკავებს გაბატონებულ ადგილს. ამის შედეგად შფოთვა, რომლის შემცირებასაც თითქოს უნდა ემსახურებოდეს ქცევის ეს სტრატეგია, კიდევ უფრო ძლიერდება, რადგან სხვა სტრატეგიების შესაბამისი მოთხოვნილებები არ კმაყოფილდება. საბოლოო ჯამში, ნევროტიკი ექცევა *მანკიერ ნევროტულ წრეში* – ცდილობს, შეამციროს შფოთვა იმ ხერხით, რომელსაც ამ უკანასკნელის გაძლიერებისკენ მივყავართ.

აღნიშნული სამი ქცევითი სტრატეგიის შესაბამისად, გამოიყოფა ნევროტული პიროვნების (ხასიათის) სამი ტიპი: 1) დამთმობი 2) განდგომილი და 3) აგრესიული. *დამთმობი ტიპი* მიისწრაფვის ადამიანებისკენ, რომლებიც მასზე დომინირებენ, უყვართ იგი და იცავენ მას; *განდგომილი ტიპი* ერიდება ადამიანებს, უყვარს მარტოობა, არის დამოუკიდებელი და თვითკმარი; *აგრესიული (მტრული) ტიპი* მიმართულია სხვა ადამიანებთან დაპირისპირებისკენ, მას იზიდავს ძალაუფლება, პრესტიჟი, დომინირება. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ, ჰორნის თვალსაზრისით, განსხვავება ნევროზით შეპყრობილ და ნორმალურ პიროვნებას შორის მხოლოდ რაოდენობრივი სახისაა. წინააღმდეგობა კონფლიქტურ ტენდენციებს შორის ნევროტიკთან ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე ჯანმრთელ ადამიანთან [27].

თავის ბოლო წიგნში – „ნევროზი და პიროვნების განვითარება" (1950) – ჰორნი მსჯელობს ნევროზული და ნორმალური პიროვნების განვითარების საკითხებზე. ნორმალური განვითარება *რეალური მე-ს* თვითრეალიზაციას ნიშნავს. ძირეულ შფოთთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად ნევროზული პიროვნება იმუშავებს *იდეალიზებულ მე-ს* არაადეკვატური, გადაჭარბებული თვითშეფასებით. ფსიქოთერაპიული მუშაობის მიზანი პაციენტის რეალურ მე-სთან დაბრუნებაა. ადამიანმა უნდა მიიღოს საკუთარი თავი ისეთი, როგორიც ის არის – ყველა ნაკლოვანებითა და შეზღუდულობით. ამისთვის საჭიროა შფოთვის შემცირება იმ დონემდე, რომ ადამიანმა შეძლოს ნევროტული სტრატეგიების გარეშე ცხოვრება. ამას ემსახურება ჰორნის მიერ საკმაოდ მოდერნიზებული ფსიქოანალიზი, რომლისთვისაც, ფროიდის ფსიქოანალიზისგან განსხვავებით, დამახასიათებელია უფრო მეტი ორიენტირებულობა აწმყოსა (და არა წარსულზე) და სტრუქტურაზე (და არა გენეზისზე) [28].

ჰორნი უარყოფს ფროიდის პანსექსუალიზმს და ლიბიდოს თეორიას, ეჭვი შეაქვს ოიდიპოსის კომპლექსისა და სიკვდილის ინსტინქტის არსებობაში, ასევე იდის, ეგოსა და სუპერეგოს ცნებების მართებულობაში და ა.შ. ყველაზე უფრო კატეგორიულად ჰორნი ეწინააღმდეგებოდა ფროიდის „პატრიარქალურ" შეხედულებას ქალის ფსიქოლოგიაზე, რომელიც, ფაქტობრივად, ქალს ე.წ. „მასკულინური კომპლექსით" შეპყრობილ არასრულფასოვან მამაკაცად სახავდა. ქალის ფსიქიკური წყობის ღერძული მომენტი პენისის უქონლობით გამოწვეული არაცნობიერი შურის გრძნობაა; იგი სიმბოლურად კომპენსირდება ასევე არაცნობიერი მისწრაფებით, შვას ბიჭი. აქედანვე გამომდინარეობს ქალის ეჭვიანი ბუნება. საზოგადოდ კი, გოგო ვერ ახერხებს,

სრულფასოვნად დაძლიოს ოიდიპოსის კომპლექსი, რის გამო ქალის სუპერეგო ნაკლებად განვითარებული და გაშინაგნებულია, ვიდრე მამაკაცისა. ქალებს აქვთ სუსტი ხასიათი, მიდრეკილნი არიან მორჩილებისა და მაზოხიზმისკენ. ჰორნი მკაცრად ილაშქრებს ამ შეხედულების წინააღმდეგ და მას „მასკულინური აზროვნების" აღმაშფოთებელ რეციდივად განიხილავს. ეს დამამცირებელი სურათი ჰორნისთვის აგრესიული პროტესტის წყარო ხდება. იგი ამტკიცებს, რომ კაცებს, თავის მხრივ, იმთავითვე აწუხებთ „საშვილოსნოს კომპლექსი". ისინი შეპყრობილნი არიან შურით, რომ არ შეუძლიათ, იყოლიონ შვილი, არა აქვთ მკერდი, რომ გამოკვებონ ბავშვი. ამიტომ, დაცვითი მექანიზმის სახით, მათ უჩნდებათ არაცნობიერი ტენდენცია, დაამცირონ ქალის მნიშვნელობა. რაც შეეხება მამაკაცთა შედარებით მაღალ შემოქმედებით პოტენციალს, ეს არის ზეკომპენსაცია მათი მცირე როლისა შთამომავლობის გაგრძელების პროცესში.

თავის ცნობილ წიგნში – „ქალის ფსიქოლოგია" – ჰორნი აღნიშნავს, რომ ფსიქოანალიზი „მამაკაცური გენიის" პროდუქტია და ყველას, ვინც მას ავითარებდა, სხვაგვარი (მასკულინური) პირადი გამოცდილება ჰქონდა [4]. ემყარებოდა რა სქესთა თანასწორობის იდეას, ჰორნი ამტკიცებდა, რომ ქალებისადმი, როგორც მეორეხარისხოვანი არსებებისადმი, დამოკიდებულება ისტორიულად ჩამოყალიბდა. ისინი მთელი ცხოვრება ეკონომიურად, პოლიტიკურად და ფსიქოსოციალურად დამოკიდებული არიან მამაკაცებზე და მათთან შედარებით თავს არასრულყოფილებად გრძნობენ; ამიტომაც ცდილობენ, გამოავლინონ მასკულინობა, რასაც არაფერი აქვს საერთო გამოგონილ „პენისის უქონლობის კომპლექსთან". იგი ასახავს მათ მისწრაფებას თანასწორობისკენ, ძალაუფლებისკენ და მამაკაცური პრივილეგიებისკენ. ჰორნის ამ მოსაზრებებს, თავის დროზე, კრიტიკულად შეხვდა ფსიქოანალიზური საზოგადოება, მაგრამ ამჟამად ისინი საკმაოდ პოპულარულია, და არა მხოლოდ ფემინისტური მოძრაობის მომხრეთა შორის.

მიუხედავად ამისა, ჰორნი ძალზე მაღალ შეაფასებას აძლევს ფროიდის მოძღვრებას და მიაჩნია, რომ საჭიროა არა მისი უარყოფა, არამედ სრულყოფა. ამასთან დაკავშირებით ჰორნი თვლის, რომ მის კონცეფციას აქვს ფსიქოანალიზისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი, ესენია: შეხედულებათა გარკვეული სისტემა არაცნობიერი პროცესების როლისა და გამოვლენის ფორმების შესახებ და გარკვეული თერაპიული პროცედურების სისტემა, რომლითაც ეს პროცესები ცნობიერდება.

ბევრად უფრო პრობლემატურია ფროიდიზმისადმი ამერიკელი ფსიქიატრისა და ფსიქოლოგის, **ჰარი სტეკ სალივანის** (1892-1945) შეხედულებათა სისტემის მიკუთვნება. ჩიკაგოში სამედიცინო განათლების მიღების მერე გაიარა კლასიკური ფსიქოანალიზის კურსები. ეწეოდა აქტიურ კლინიკურ და კერძო პრაქტიკას, რომლის დროსაც ფსიქოთერაპიული მეთოდი ფსიქოზების, სახელდობრ შიზოფრენიის, მკურნალობაში შეიტანა. იგი პრაქტიკულ მუშაობას უთავსებდა თეორიულ კვლევას და პედაგოგიურ მოღვაწეობას. აქტიურად მონაწილეობდა ვაშინგტონის ფსიქოანალიზური საზოგადოებისა (1932) და ფსიქიატრიული სკოლის დაარსებაში (1936), იყო მისი პროფესორი, აგრეთვე დააარსა და რედაქტორობდა ჟურნალს – „ფსიქიატრია" (1937).

სალივანი გამოირჩეოდა იშვიათი დამოუკიდებლობითა და კრიტიკულობით ორთოდოქსული ფსიქოანალიზის მიმართ. ამასთან, სულიერი მოვლენების განხილვისას იგი ცოდნის სხვადასხვა დარგის სინთეზის მომხრე იყო. მისი თვალსაზრისი ჩამოყალიბდა გარკვეული ფსიქონევროლოგიური (უ. უატი), კულტურულ-ანთროპოლოგიური (ე. სეპირი, რ. ბენედიქტი) და სოციოლოგიური (ჯ. მიდი) მოსაზრებების გავლენით. რაც შეეხება ფსიქოლოგიას, აქ, ფსიქოანალიზთან ერთად, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ველის თეორია (კ. ლევინი) და სოციალური ბიჰევიორიზმი (ლ. კორტელი). სალივანს ზოგჯერ ამ უკანასკნელი მიმართულების წარმომადგენლადაც თვლიან [30]. ამის საფუძველს, ალბათ, ის გარემოება იძლევა, რომ სალივანი თავისი სისტემის აგებისას აქტიურად იყენებდა ოპერაციონალიზმს. როგორც ცნობილია, ფილოსოფიური აზრის ეს მიმართულება იმჟამინდელი ამერიკული მეცნიერების მენტალიტეტში ღრმად იყო ფესვგადგმული და ნეობიჰევიორიზმის ძირითად მეთოდოლოგიურ საფუძველს შეადგენდა (იხ. V თავი). ნეობიჰევიორისტების მსგავსად, სალივანი ცდილობდა, აეგო ფსიქოლოგია ზუსტი საბუნებისმეტყველო მეცნიერების მიხედვით. ამისთვის მან გარკვეული თეორემებიც კი ჩამოაყალიბა. ასეა თუ ისე, ფსიქოლოგიის ისტორიაში სალივანი მაინც ნეოფროიდიზმის წარმომადგენელთა შორის განიხილება. ეს სავსებით გამართლებულია, ვინაიდან სალივანისთვის, ისევე როგორც ყველა ნეოფროიდისტისთვის, მაინც ამოსავალი იყო შეხედულება არაცნობიერი ფსიქიკის სამალავში მოთავსებული მოტივაციური ძალების შესახებ.

ამ ძალების მასაზრდოებელი წყარო, სალივანის თანახმად, ინსტინქტური ლტოლვები კი არა ინტერპერსონალური ურთიერთობებია. ადამიანის მთელი ცხოვრება პიროვნებათშორის ურთიერთობებში მიმდინარეობს. პიროვნება მხოლოდ სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში ყალიბდება და ვლინდება. ეს ურთიერთობა შეიძლება იყოს რეალური ან წარმოსახვითი, მაგრამ ყველა შემთხვევაში ის ჩართულია ადამიანის ქცევაში. ამ აზრით, ადამიანის მთელი ფსიქიკური წყობა ინტერპერსონალური ხასიათისაა. უფრო მეტიც, სალივანი განსაზღვრავს პიროვნებას, როგორც „შედარებით მდგრად მოდელს გამეორებადი პიროვნებათშორისი სიტუაციებისა, რომლებიც ახასიათებს ადამიანის ცხოვრებას" [37; 111]. ეს ნიშნავს, რომ ობიექტური კვლევის საგანი ინდივიდები კი არ უნდა იყვნენ, არამედ „პიროვნებათშორის ველებში მიმდინარე მოვლენები და მოქმედებები" (იქვე). ის, რაც განსაზღვრავს ადამიანის ქცევას, მოთავსებულია მასში კი არა, პიროვნებათშორის ველში. აშკარაა, რომ ეს მსჯელობა ლევინის ველის თეორიასთან სრულ შესაბამისობაში იმყოფება (იხ. VI თავი).

ინტერპერსონალურ ურთიერთობაში ინდივიდი დაბადებიდანვე შედის. უკვე ახალდაბადებულ ბავშვს უჩნდება ორი ძირითადი ინტერპერსონალური მისწრაფება: დედის (მომვლელის) ალერსის, სითბოს მიღების მოთხოვნილება და შფოთის, წუხილის არიდების ტენდენცია. ეს სოციალური მოტივაცია იმთავითვე თანაარსებობს და თანამოქმედებს ბიოლოგიურ მოტივაციასთან. სითბოსა და ალერსის მიღების სწრაფვა ჩართულია ბიოლოგიურ მოტივაციაში იმდენად, რამდენადაც კვებითი, ტემპერატურული თუ სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის აუცილებელია სხვა ადამიანის მზრუნველობა და თანამონაწილეობა. რაც შეეხება შფოთს, ის

გადაეცემა ბავშვს დედისგან (ან სხვა უახლოესი პირისგან), როცა იგი არაკეთილგანწყობილია, შეწუხებულია ან გაბრაზებულია. ეს ვითარება სალივანის მიერ დაფიქსირებულია *შფოთის თეორემაში*, რომლის თანახმად, შფოთის დაძაბულობა მომველელ პირში ინდუქცირებას უკეთებს შფოთს ჩვილ ბავშვში. შფოთი მძიმედ მოქმედებს კეებით ან სხვა ორგანიზმულ პროცესებზე და, საბოლოოდ, ბავშვის ჯანმრთელობაზე. მოგვიანებით ის შესაძლოა, უარყოფითად აისახოს პიროვნებათშორის ურთიერთობებზეც.

შფოთის არიდების მოთხოვნილება აიძულებს ბავშვს, ყურადღება მიაქციოს იმას, თუ რას იწონებენ უფროსები და რას – არა. ამ შეფასებების გაელენით ურთიერთობის პროცესში ყალიბდება *მე-სისტემა*, რომელშიც პერსონიფიკაციის გარკვეული სახეა მოცემული. *პერსონიფიკაციის* ტერმინით აღინიშნება ის წარმოდგენები თავის თავისა და სხვების შესახებ, რომელთა პირველადი ფორმები უკვე ადრეულ ბავშვობაშია მოცემული. ისინი შეიძლება იყოს ადეკვატური და არაადეკვატური. მე-სისტემის სტრუქტურა თავისი თავის პერსონიფიკაციებს შეიცავს. ისინი სამი სახისაა: *კარგი-მე, ცუდი-მე* და *არა-მე*. იმის მიხედვით, რომელი – კარგი თუ ცუდი მე-ს – სტრუქტურა დომინირებს მე-სისტემაში, ინდივიდი განსხვავებულად რეაგირებს მნიშვნელოვანი მოთხოვნილებების ფრუსტრაციაზე. ცუდი მე-ს იდენტიფიკაციისას სუბიექტი თავის თავს ამტყუნებს, ხოლო კარგი მე-ს შემთხვევაში სხვაზე გადაბრალებას ახდენს. მე-სისტემის ჩამოყალიბება საკმაოდ ადრეულ ასაკში (12-18 თვე) იწყება ცნობიერების მონაწილეობის გარეშე. საბოლოო სტაბილიზაციას იგი აღწევს გვიანი ყრმობის ეტაპზე, რომელიც პიროვნების განვითარების ბოლო სტადიად განიხილება (სალივანის მიხედვით, მონიფულობამდე პიროვნება ექვს სტადიას გაივლის). მე-სისტემა, როგორც წესი, ნაკლებად ექვემდებარება კრიტიკას და მეტ-ნაკლებად უცვლელი სახით თან გაჰყვება ადამიანს მთელი ცხოვრების განმავლობაში. მის შესაცვლელად, არცთუ იშვიათად, საგანგებო ფსიქოთერაპიული ჩარევა ხდება საჭირო.

ინტერპერსონალური ურთიერთობები, ცხადია, ყოველთვის ჰარმონიული და უკონფლიქტო ვერ იქნება. შფოთი სოციალური ცხოვრების მოუცილებელი მომენტია. ამ ვითარებასთან შეგუების პროცესში პიროვნებაში ფსიქოლოგიური თავდაცვის ერთგვარი მექანიზმი წარმოიქმნება. მისი მოქმედების გამოვლინებაა, როცა ადამიანი თითქოს ვერ ამჩნევს იმას, რაც ეწინააღმდეგება მე-სისტემას და იწვევს შინაგან დისკომფორტს. ეს მოვლენა სალივანის კონცეფციაში *შერჩევითი ყურადღების ან დისოციაციის* სახელწოდებით აღინიშნება. ფსიქოთერაპიის მთავარი დანიშნულება, მისი აზრით, ისეთი თავდაცვითი მექანიზმების შემუშავებაა, რომლებიც ხელს შეუწყობენ სოციალურ გარემოსთან ჰარმონიულ შეგუებას. ამ მიზნით გამოიყენება *ფსიქიატრიული ინტერვიუს მეთოდი*, რომელიც გულისხმობს პაციენტთან კონტაქტის პროცესში აქტიურ ზემოქმედებას ინტერპერსონალურ ურთიერთობებზე.

სოციალური გარემო, რომელსაც სალივანი კლინიკაში ქმნიდა პერსონალის სპეციალური შერჩევის, სწავლების, პაციენტების თანაცხოვრების ყველა ნიუანსის გათვალისწინებით და ფსიქოთერაპიული სეანსების დროს თავისი გამორჩეული ემპათიური უნარის მეშვეობით, საოცარ თერაპიულ ეფექტებს იწვევდა. ზოგიერთი ცნობით,

გამოჯანმრთელების შემთხვევები მასთან ფსიქიატრიულ კლინიკებს შორის ყველაზე მაღალი იყო და 86%-ს აღწევდა [8]. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო სალივანის წარმატებები შიზოფრენიის მკურნალობის საქმეში, რამაც მას ამერიკის წამყვანი ფსიქიატრის სახელი მოუტანა. სალივანმა ამ მიმართულებით გააფართოვა ფსიქოანალიზი. მან პირველმა გაავრცელა ფსიქოანალიზური მიდგომა *ფსიქოზებზე*. ფროიდს ფსიქოზები ესმოდა როგორც კონფლიქტი ინდივიდსა და გარე სამყაროს შორის, რის შედეგადაც ადამიანი გარემოსგან პირს იბრუნებს. ნევროზი კი ინტრაფსიქიკურ აშლილობად არის წარმოდგენილი; ის იდის, ეგოსა და სუპერეგოს სტრუქტურებს შორის კონფლიქტის შედეგია. ვინაიდან გარე სამყარო სხვა ადამიანებისგან შედგება, ძირითადი კონფლიქტი ინდივიდსა და მის სოციალურ გარემოს შორის წარმოიქმნება. სალივანი თვლის, რომ ეს ერთნაირად მართებულია როგორც ფსიქოზის, ისე ნევროზის შემთხვევაში, რადგან ინტრაფსიქიკური კონფლიქტები თავდაპირველად პიროვნებათშორისი კონფლიქტებია და განვითარების პროცესში პიროვნულ სტრუქტურებში ინტერნალიზდებიან. სალივანი უფრო შორსაც მიდის და თვლის, რომ პიროვნება, როგორც არსი, როგორც *პირადი ინდივიდუალობა*, ილუზიაა, რადგან ჩვენ არ ვცხოვრობთ თავისთავად, ავტონომიურად და ინდივიდუალურად. ამიტომ აქცენტი უნდა გაკეთდეს არა იმდენად პიროვნებაზე, რამდენადაც ინტერპერსონალურ სიტუაციებზე. ამგვარი მიდგომა, ცხადია, ვრცელდება შიზოფრენიაზეც. ყურადღების ცენტრში აქაც სოციალური სიტუაცია უნდა იყოს და არა ავადმყოფი ინდივიდუუმი. თავის ამოცანას სალივანი იმაში ხედავს, რომ დაეხმაროს შიზოფრენიით დაავადებულს, ჰარმონიულად „ჩაეწეროს" სოციალურ გარემოცვაში. ამ დაავადებისას რეალურ ცხოვრებასთან შეგუებისთვის საჭირო ფუნქციები არ არის მოშლილი და სამუდამოდ დაკარგული; ისინი მხოლოდ დათრგუნვილია და ეს დათრგუნვა ინდივიდისთვის რეალობისაგან გაქცევის საშუალებაა. ამოცანა ავადმყოფის სოციალური რეალობისკენ შემობრუნება და დათრგუნვის მოხსნაა. წამყვანი ფსიქოანალიტიკოსების შეფასებით, სალივანი, თავისი *ინტერპერსონალური ფსიქიატრიის* მოდელის ფარგლებში, შიზოფრენიის მკურნალობისას დინამიკური ფსიქოთერაპიული მეთოდების გამოყენების უზარმაზარ გამოცდილებას ფლობდა [5].

თუ სალივანმა ფსიქოანალიზი ფსიქოზებზე გაავრცელა, **ჰაინც კოხუტი** (1913-1981) შეეცადა, ფსიქოანალიზი ისეთ პაციენტებთან გამოეყენებინა, რომლებიც უჩიოდნენ შინაგან დეზინტეგრაციასა და სიცარიელეს. მათ შორის იგი ხშირად ხვდებოდა *სასაზღვრო მდგომარეობებში* მყოფ პირებს და *ნარცისიზმის კომპლექსით* შეპყრობილ ინდივიდებს. ტრადიციულ ფსიქოანალიზში, ითვლება, რომ ნარცისიზმთან დაკავშირებული დარღვევები იმ კონფლიქტის შედეგია, რომელიც დაუძლეველ ლტოლვებსა და დაცვით მექანიზმებს შორის არსებობს; ის მკურნალობას არ ექვემდებარება. კოხუტმა დაადასტურა, რომ ლტოლვების განდევნის იდეოლოგიაზე დამყარებული ფსიქოანალიზი თავისი ინტერპრეტაციული მეთოდიკით არა მხოლოდ არაეფექტურია, არამედ კიდევ უფრო ამძიმებს ამ პაციენტების მდგომარეობას. თუ ამ მდგომარეობას გავაანალიზებთ როგორც მე-ს აშლილობას, გამოვიყენებთ *ემპა-*

თიური მოსმენის მეთოდს და პაციენტს ვაგრძნობინებთ, რომ ნამდვილად გვესმის მისი სატკივარი, შეიძლება, ძალიან კარგი თერაპიული ეფექტი მივიღოთ.

კოხუტი არ თვლის, რომ ნარცისიზმი თავისთავად პათოლოგიური მდგომარეობაა. ნარცისიზმის ეტაპს თავის განვითარებაში ყველა გაივლის და ეს ნორმალურია. ბავშვმა, გარკვეული ხნის განმავლობაში მაინც, საკუთარი თავი მთელი სამყაროს ცენტრად უნდა განიცადოს. თუ ეს მოთხოვნილება სათანადოდ არ კმაყოფილდება, მაშინ ვითარდება ნარცისისტული გადახრა. ნორმალური მე-ს ფორმირებისთვის საჭიროა *ნორმალური ნარცისისტული პროცესის* გავლა. ეს პროცესი ორი სახისაა: *ასახვა*, რომლის დროს ბავშვი დედის მოსიყვარულე მზერაში თავისი თავის მნიშვნელობასა და ღირებულებას ამოიკითხავს და *იდეალიზაცია*, როდესაც თავისი მე-ს სხვაზე (მშობელზე) პროეცირება ხდება. ორივე შემთხვევაში ბავშვი თავის მე-ს სხვისი დახმარებით შეიცნობს. ამ სხვას *მე-ობიექტი* ეწოდება და მის როლში ისინი გამოდიან, ვინც უვლიან პატარა ბავშვს; ჩვეულებრივ, ესაა დედა. მე-ს ჩამოყალიბება მე-ობიექტთან მიმართებით, ასახვა-იდეალიზაციის პროცესების გავლით ხდება. ამ პროცესების დარღვევა და ბავშვის მიერ ნორმალური ნარცისისტული ტენდენციების დაუკმაყოფილებლობა მოზრდილობაში პათოლოგიური ნარცისიზმით კომპენსირდება. კოხუტის აზრით, როცა ფსიქოთერაპევტი აკმაყოფილებს ამ ტენდენციებს, იგი მე-ობიექტად იქცევა. თერაპევტმა უნდა აჩვენოს პაციენტს, თუ საიდან მომდინარეობს მისი უსუსურობისა და უიმედობის განცდა, მაშასადამე, ხელი შეუწყოს ინდივიდის მიერ თავისი ნამდვილი ბუნების გაგებას. მხოლოდ მაშინ იგრძნობს იგი საკუთარ თავში დარწმუნებულობას; მაშინ წარმართავს თავის აუხდენელ ოცნებას ნორმალური იდეალებისკენ, სიძლიერისა და ძალაუფლებისკენ. პაციენტი თავისი მე-ს ფსიქოანალიტიკოსზე გადატანას ახორციელებს და აღარ გრძნობს თავს მარტოსულად და დაცარიელებულად. საბოლოოდ, პაციენტი ფსიქოანალიტიკოსის პიროვნების ინტერნალიზაციას ახდენს და აღადგენს მე-ს ნორმალურ სტრუქტურას (ორგანიზაციას), ანუ, ერთგვარად, თავიდან გაივლის იმ ნარცისისტულ პროცესს, რომლის დეფექტმაც მისი პრობლემები წარმოშვა. საზოგადოდ, კოხუტი პიროვნებისა და ქცევის ნარცისისტულ დარღვევებზე ლაპარაკობს. ორივე გულისხმობს მე-ს (თვითონის) დროებით დაშლას, შესუსტებას ან სერიოზულ დამახინჯებას, მაგრამ განსხვავებული სიმპტომატიკით გამოვლენილს. პიროვნების ნარცისისტული დარღვევის სიმპტომებია მგრძნობიარობის აწევა სხვების მიერ უგულებელყოფის მიმართ, იპოქონდრია და დეპრესია; ქცევითი ნარცისისტული დარღვევისთვის დამახასიათებელია პერვერსია, დელიკვენტურობა და დამღუპველი ჩვევები [11].

ფსიქოანალიზის გამოყენების სფერომ მოიცვა არა მარტო სხვადასხვა ფსიქიკური და ქცევითი დარღვევები, არამედ ორგანული პათოლოგიებიც, უფრო ფართოდ – ფსიქიკურისა და სხეულებრივის ურთიერთობა. ფსიქოანალიზის ფარგლებში წარმოიშვა *სხეულზე ორიენტირებული და ფსიქოსომატური* მიდგომა. მათი ამოსავალი წერტილი არის თეზისი სულისა და სხეულის ერთიანობისა და განუყოფლობის შესახებ. ორგანიზმული პროცესები ფსიქოფიზიოლოგიური ბუნების პროცესებია. ამიტომ მათი ერთ-ერთი მხარის ცვლილება, ასე თუ ისე, იწვევს მთლიანობითი ხასიათის

სტრუქტურულ და ფუნქციონალურ ცვლილებებს. აქედან გამომდინარე, ფსიქოანალიზის პროცესში შესაძლებელია მოძრაობა როგორც სხეულიდან სულისკენ, ასევე ფსიქიკიდან სომისკენ.

პირველი მიმართულების იდეოლოგი იყო **ვილჰელმ რაიხი** (1897-1957). რაიხი იყო ზ. ფროიდის პირველი ასისტენტი ვენის ფსიქოანალიზის კლინიკაში, მოგვიანებით, პირველი სასწავლო ფსიქოანალიზური ინსტიტუტის რექტორი. მარქსიზმისა და ფროიდიზმის გავლენით გაატარა პრაქტიკული ღონისძიებები (დააფუძნა სექსუალური კლინიკები მუშებისთვის) და გამოთქვა სექსუალურ რევოლუციასთან დაკავშირებული მოსაზრებები. 1933-1939 წლებში ცხოვრობდა დანიაში, შვედეთსა და ნორვეგიაში. 1939 წელს გადასახლდა აშშ-ში. ნიუ-იორკში რაიხმა დააარსა „ორგონის ინსტიტუტი", სადაც იკვლევდა ბიოენერგეტიკის საკითხებს. შექმნა ე.წ. ორგონის ენერგიის აკუმულირების მოწყობილობა სხვადასხვა დაავადებათა (კიბო, სტენოკარდია, ასთმა, ეპილეფსია და ა.შ.) სამკურნალოდ. 1954 წელს სპეციალურმა უწყებამ მისი გამოყენება ოფიციალურად აკრძალა. რაიხი ამას არ დაემორჩილა, რასაც შედეგად მოჰყვა მისი დაპატიმრება. იგი გარდაიცვალა ციხეში გულის შეტევით.

რაიხის საერთო ორიენტაცია ასე გამოიხატება: ფსიქიკური სრულფასოვნებისა და სრულყოფილების მისაღწევად აუცილებელია სხეულის ბუნებრივი და თავისუფალი ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ადრინდელ შრომებში რაიხი აქცენტს აკეთებს ხასიათის საკითხზე და მას *ფსიქოლოგიური* ან *პიროვნული ჯავშნის* ცნებას უკავშირებს. ხასიათი პიროვნებისთვის ფსიქოლოგიური ჯავშნის ფუნქციას ასრულებს. იცავს მას მრავალრიცხოვანი ინსტინქტური, უპირატესად სექსუალური, იმპულსებისგან. ხასიათში მოცემული თავდაცვითი რეაქციები მჟღავნდება შესაბამისი მიმიკის, ჟესტების, პოზების სახით. რაიხი ფიქრობს, რომ სხეულებრივი გამოვლინებები უფრო მეტს გვეუბნებიან პაციენტის ხასიათზე, ვიდრე მისი სიტყვები, ვინაიდან, სიტყვებისგან განსხვავებით, ისინი არასდროს ტყუიან. ამიტომ თავის პრაქტიკულ მუშაობაში რაიხი რუდუნებით შეისწავლიდა პაციენტებისთვის დამახასიათებელ გამომხატველ მოძრაობებს [14].

ემოციების დათრგუნვის უნივერსალური მექანიზმი *კუნთური რიგიდულობა ანუ კუნთური ჯავშანია*. ამ კუნთური დაცვითი რეაქციების შემცირება ან მოხსნა, ფსიქოლოგიური მასალის ანალიზთან ერთად, თერაპიის პროცესში ათავისუფლებს ლიბიდოზულ ენერგიას და შესაბამის ემოციებს, რომლებიც ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში იყვნენ ბლოკირებული კუნთური ჯავშნით.

მოგვიანებით რაიხმა ჩამოაყალიბა შეხედულება *სასიცოცხლო ანუ ორგანული ენერგიის* შესახებ, რომელიც ყველა ორგანიზმისთვის დამახასიათებელ *ბიოენერგეტიკას* წარმოადგენს (ტერმინი ბიოენერგეტიკა და შესაბამისი თეორია რაიხის მოწაფეს, ალექსანდრ ლოუენს ეკუთვნის). საბოლოოდ, რაიხმა ფსიქოთერაპია კუნთური ჯავშნის მიერ ბლოკირებული ორგანული ენერგიის განთავისუფლების პროცესად მიიჩნია. ფსიქოთერაპიამ უნდა უზრუნველყოს ამ ენერგიის თავისუფალი მოძრაობა მთელ სხეულში. სხეულებრივი ჯავშანი შვიდი ძირითადი თავდაცვითი სეგმენტისგან შედგება. ისინი, ჰორიზონტალური რკალების სახით, ხერხემლის გაყოლებაზეა გან-

ლაგებული, თვალების, პირის, კისრის, მკერდის, დიაფრაგმის, წელისა და მენჯის მიდამოში. სხეულზე ორიენტირებული ფსიქოანალიზური თერაპია გულისხმობს უშუალო ზემოქმედებას თითოეულ სეგმენტში არსებულ *კუნთურ დაჭიმვებზე* სპეციალური მასაჟებისა და ვარჯიშების საშუალებით, ასევე ენერგიის დაგროვებას საგანგებო სუნთქვითი პროცედურებით. ფსიქოთერაპიის მიზანია, აგრეთვე, არაცნობიერი მიზეზების ფსიქოლოგიური ანალიზი, რომლებიც აძლიერებენ ან ასუსტებენ კუნთურ დაჭიმვებს.

ფრანც ალექსანდერი (1891-1964) ფსიქოანალიზური მკურნალობის იმ მიმართულების სათავეში იყო, რომელიც ორგანულ დაავადებებზე ფსიქიკური ფაქტორის გავლენას იკვლევდა. ფსიქოანალიზური განათლება მან მიიღო ბერლინში (ოტო რანკთან). 1932 წლიდან მოღვაწეობდა აშშ-ში. 1956 წლამდე ხელმძღვანელობდა ჩიკაგოს ფსიქოანალიზის ინსტიტუტს, სადაც წამოიწყო ფსიქოსომატური პრობლემატიკის კვლევა ფსიქოანალიზზე დაყრდნობით. შემდგომში იყო ფსიქიატრიული და ფსიქოსომატური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ლოს-ანჯელესში, ფსიქოსომატური მედიცინის ჟურნალის მთავარი დამაარსებელი და რედაქტორი. ითვლებოდა ამერიკის წამყვან ფსიქოანალიტიკოსად. იყო APA-ს პრეზიდენტი (1938).

სხეულზე ფსიქოტრავმების გავლენა ფსიქოანალიზის ფარგლებში თავიდანვე გამოიკვეთა. როგორც ცნობილია, ფროიდმა იმით დაიწყო, რომ ე.წ. კონვერსიულ ისტერიას ჰიპნოზის გამოყენებით მკურნალობდა. იგი ფიქრობდა, რომ ისტერიის ორგანული სიმპტომები (ვთქვათ, სამოძრაო აპარტის ან გრძნობის ორგანოს ფუნქციის დაზიანება) ის ფიზიოლოგიური რეაქციებია, რომლებიც ჩაენაცვლებიან განდევნილ, მიუღებელ ან აუტანელ ფსიქიკურ შინაარსებს და ემოციურ დაძაბულობებს. ესაა საფასური, რომელსაც ისტერიით შეპყრობილი პაციენტი იხდის იმის გამო, რომ ვერ უმკლავდება თავის ლტოლვებსა და ემოციებს. ამგვარი მოდელი უშვებს გარკვეულ შესაბამისობას განდევნილ ფსიქიკურ შინაარსებსა და ფსიქოგენურ სიმპტომებს შორის პერიფერიულ ორგანოებში.

ალექსანდერმა მკაფიოდ განასხვავა კონვერსიული რეაქციები და შინაგანი, ვეგეტატიური ფუნქციების ცვალებადობა, რაც დაკავშირებულია გარკვეულ ემოციურ დაძაბულობებსა და კომპლექსებთან. 1932 წელს ჩიკაგოს ცნობილ ფსიქოანალიზის ინსტიტუტში მან დააარსა ლაბორატორია, სადაც პირველად დაიწყო ფსიქოსომატური პრობლემების შესწავლა ფსიქოანალიზზე დაყრდნობით. ამ კვლევების შედეგად აღიწერა განსხვავებული ტიპის პიროვნებებისთვის დამახასიათებელი კონფლიქტური მოდელები, რომლებიც მჭიდრო კავშირშია გარკვეული სახის დაავადებებთან. თავის *ვექტორულ თეორიაზე* დაყრდნობით ალექსანდერმა ჩამოაყალიბა მოსაზრება სამი ელემენტარული სასიცოცხლო მოტივაციური ტენდენციის შესახებ და გამოყო კონფლიქტური იმპულსების სამი ვექტორი, რომლებიც თვით დაავადებაშია „მოთავსებული“: 1) *მიღებისა და გაერთიანების* სურვილი; 2) *განდევნისა და დახარჯვა-განადგურების* სურვილი და 3) *შენახვისა და დაგროვების* სურვილი. ამ არაცნობიერი ტენდენციების კონფლიქტი მათ ბლოკირებას იწვევს. ეს ვითარება კომპენსირდება სპეციფიკური ფსიქოფიზიოლოგიური ან ვეგეტატიური რეაქციებით, რაც, თავის

მხრივ, ამა თუ იმ განსაზღვრული ორგანული დაავადების ეტიოლოგიური ფაქტორი ხდება. ასე მაგალითად, ალექსანდერის ანალიზის შესაბამისად, კუჭ-ნაწლავის ფუნქციები ხშირად აქვთ დარღვეული იმ პირებს, რომელთაც უჭირთ, გამოავლინონ მისწრაფება ან სიყვარული სხვა ადამიანებისადმი და ახშობენ სურვილს, მიიღონ მათგან დახმარება თუ თანადგომა. ამ კონფლიქტს აქვს სრულიად გარკვეული მიმართება კვებასთან, ვინაიდან უკვე პატარა ბავშვის განცდაში ორი სურვილი – უყვარდე დედას და იყო მაძღარი – მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. მოზრდილობაში შეიძლება ისე მოხდეს, რომ სიყვარულისა და დახმარების მიღების სურვილმა გამოიწვიოს სირცხვილისა და მორიდებულობის განცდები (რასაც ხშირად ვხვდებით საზოგადოებაში, რომლის მთავარ ღირებულებას დამოუკიდებლობა წარმოადგენს). ეს კონფლიქტი იწვევს პირველადი ტენდენციის ფრუსტრაციას, რაც შეიძლება რეგრესიის წყარო გახდეს. „სურვილი უყვარდეთ, გადაიქცევა სურვილად – გამოგკვებონ. სიყვარულის ობიექტად ყოფნის დათრგუნვილი სურვილი კუჭის ინერვაციის მობილიზებას იწვევს, რაც პოსტნატალური არსებობის დასაწყისიდანვე მჭიდროდ არის დაკავშირებული რაიმეს მიღების ყველაზე პრიმიტიულ ფორმასთან, კონკრეტულად კი საჭმლის შთანთქმის პროცესთან“ [6; 114-115]. ეს მისწრაფება კუჭის სეკრეციის ქრონიკულ სტიმულირებას იწვევს, რაც ამისკენ მიდრეკილ ინდივიდში შეიძლება წყლულის მიზეზი გახდეს. ამგვარადვე აღიწერება რამდენიმე დაავადებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფსიქოდინამიკური კოლიზია: რევმატოიდური ართრიტი, ასთმა, ესენციალური ჰიპერტონია, ნეიროდერმატიტი და ტიროტოქსიკოზი.

ამასთან ერთად, აშკარაა, რომ ყველას, ვისაც ამ დაავადებებისთვის დამახასიათებელი, ფსიქოანალიზურ ენაზე აღწერილი ფსიქიკური თავისებურებანი აღენიშნება, არ უვითარდება პათოლოგიური პროცესი. ამისთვის, დამატებით, ე.წ. *იქს-ფაქტორია* საჭირო. ეს არის სათანადო ორგანოს კონსტიტუციური ან შეძენილი მოწყვლადობა. მაგრამ არც ეს არის საკმარისი. ორგანული და ფსიქიკური წინაპირობები ხშირად ბევრად ადრე არსებობენ, ვიდრე საკუთრივ დაავადება განვითარდება. ალექსანდერმა დაუშვა, რომ ფსიქიკური კონფიგურაციისა და იქს-ფაქტორის გარდა, არსებობს მესამე პირობა – *გამშვები მექანიზმი* ანუ, სხვანაირად, *დამაჩქარებელი სიტუაცია*. ადამიანს, ორგანიზმის სპეციფიკური მოწყვლადობითა და დამახასიათებელი კონფლიქტური მოდელით, შესაბამისი დაავადება მხოლოდ იმ შემთხვევაში განუვითარდება, თუ ცხოვრებაში მომხდარი ძლიერი ძვრები გამოიწვევენ მისი ცენტრალური კონფლიქტის მობილიზებას და დაანგრევენ ორგანიზმის ფსიქიკურ თავდაცვას. სხვა შემთხვევაში, ადამიანი ფსიქიკური და ორგანული მიდრეკილებით, შეიძლება არც დასნეულდეს. ამრიგად, ალექსანდერის გამოკვლევებმა აჩვენა, რომ „ქრონიკული ორგანული დაავადებები მხოლოდ სპეციფიკური ორგანული პათოლოგიით არ ხასიათდებიან; ამ დაავადებების მქონე პაციენტებს სპეციფიკური ფსიქოპათოლოგიაც აღენიშნებათ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სხეულის დაავადებები მჭიდროდ არის დაკავშირებული ხასიათობრივ დარღვევებთან. ემოციური ფაქტორები ორგანული დაავადებების ეტიოლოგიაში მონაწილეობენ, თუმცა არანაირად არ წარმოადგენენ მათ ერთადერთ მიზეზს“ [5; 564].

ფსიქოანალიზის საგნობრივი ველის გაფართოების კიდევ ერთი მიმართულება ბავშვის ფსიქოანალიზია. ბავშვისადმი ინტერესი კლასიკური ფსიქოანალიზიდან მომდინარეობს. ფროიდის მიხედვით, ძირითად კომპლექსებს სწორედ ბავშვობაში ეყრება საფუძველი. კლასიკური ნიმუში ფსიქოანალიზისა, რომელიც ფროიდს მოჰყავდა, ხუთი წლის ჰანსის მკურნალობას ეხება, თუმცა ამ შემთხვევაში ინფორმაციის წყაროდ ფროიდთან დაახლოებული პირი და ამ ბავშვის მამა გვეელინება. მაგრამ უშუალოდ ბავშვთან სისტემატურ ფსიქოანალიზურ მუშაობას გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში მოჰკიდეს ხელი. აქ თავიდანვე ორი მიმართულება გამოიკვეთა: მ. კლაინისა და ა. ფროიდის. მათი სკოლები ერთმანეთს უპირისპირდება მრავალ სერიოზულ საკითხში. **მელანი კლაინი** (1882-1960) უფრო იქით იხრება, რომ კლასიკური ფსიქოანალიზის კონცეპტუალური აპარატის მეშვეობით გაიაზროს ბავშვის ფსიქიკური განვითარება და აქ აღმოცენებული პრობლემები. მან ოიდიპოსური მტრობისა და ბრალეულობის კომპლექსის ასაკი უფრო ადრეულ ბავშვობაში ჩამოსწია, ხოლო ნორმალური და პათოლოგიური განვითარების მოდელი ამ კომპლექსსა და სიკვდილის ინსტინქტთან (თანდაყოლილ აგრესიულობასთან) დაკავშირებულ კოლიზიებზე ააგო. *აგრესია და სიყვარული* ფსიქიკის ფუნდამენტური მაორგანიზებელი ძალებია; პირველი ანაწევრებს ფსიქიკას, მეორე ადუღაბებს. ბავშვთან პრაქტიკული მუშაობაც კლასიკური ფსიქოანალიზის პრინციპების შესაბამისად იგეგმებოდა და ხორციელდებოდა. კლაინი ყოველთვის ცდილობდა ბავშვის არაცნობიერი მოტივაციის პირდაპირ ინტერპრეტირებას. იგი ოსტატურად რთავდა ბავშვებს ფსიქოანალიზურ სეანსში. აქტიურად იყენებდა თამაშს, რომელიც დიდ დახმარებას უწევს თერაპევტს ბავშვის მეტყველების შეზღუდულობის გადალახვაში და, ერთგვარად, თავისუფალი ასოციაციების ეკვივალენტის ფუნქციას ასრულებს. კლაინს მიაჩნდა, რომ თამაშის მასალაში უშუალოდ მჟღავნდება არაცნობიერი კონფლიქტები. ყოველი თამაში პირდაპირ გამოხატავს ბავშვის სატკივარს. ფსიქოანალიზის პროცესში ბავშვს ანალიტიკოსზე გადააქვს თავისი რთული გრძნობები და ტენდენციები მშობლების მიმართ (ტრანსფერი). ამაში ვლინდება კლაინის მიერ შემუშავებული *პროექციული იდენტიფიკაციის* კონცეფცია. ისევე როგორც მოზრდილებთან, ბავშვსა და ანალიტიკოსს შორის წარმოიქმნება ე.წ. გადატანის ნევროზი. მოზრდილების ანალიზის პროცედურები ბავშვს მიეყენება და მოიცავს თამაშის აზრის სექსუალურ ინტერპრეტაციას, მათში გამომჟღავნებულ ოიდიპოსურ კონფლიქტებს, მშობლების მიმართ აგრესიულ ტენდენციებს და ფსიქოანალიზური სისტემის სხვა მომენტებს. კლაინი თვლიდა, რომ პატარა ბავშვის ნევროზი გამოწვეულია მისი უუნარობით, მოთოკოს თავისი აგრესია, ძლიერი სუპერეგოთი გამოწვეული შფოთი და ბრალეულობის განცდა. მხოლოდ ლიბიდოს გაძლიერებას შეუძლია აგრესიის შემცირება.

ანა ფროიდს მიაჩნდა, რომ ანალიზის მიზანი იდთან დაპირისპირებაში მყოფი ეგოს გაძლიერებაა. ბავშვის ეგო განვითარების პროცესში იმყოფება და ჯერ სუსტია. ანალიტიკოსი უნდა დაეხმაროს ბავშვის ეგოს. ამისთვის იგი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ინტერპრეტაციით; მან ბავშვზე აღმზრდელობითი ზემოქმედება უნდა მოახდინოს. იგებს რა ანალიზის პროცესში თავისი ქცევის ნამდვილ მიზეზებს,

ბავშვი სწავლობს, თუ როგორ შეიკავოს თავი არასასურველი ქცევებისგან. ა. ფროიდი ფიქრობდა, რომ ინტერპრეტაცია და გადატანა არ არის მთავარი სამკურნალო ფაქტორი, როცა საქმე ბავშვთან გვაქვს. კლასიკური ფსიქოანალიზის ამ პროცედურებს ბავშვის უნიკალურ ბუნებასთან შეგუება ესაჭიროება. ბავშვის სუპერეგო ძალიან სუსტია, რაც ხელს უშლის მასთან მოზრდილის ტიპის ანალიზსა და ტრანსფერს. მართალია, ბავშვს, როგორც წესი, მშობლების მიმართ გრძნობები ფსიქოანალიტიკოსზე გადააქვს, მაგრამ ეს არ გადაიზრდება სრულყოფილ გადატანის ნევროზში, ვინაიდან ბავშვის მიჯაჭვულობა მშობელზე ძალიან დიდია. ბავშვი მუდამ ურთიერთობს მშობელთან. ამიტომ მას ყოველთვის არ გადააქვს ანალიტიკოსზე თავისი წარმოსახული გრძნობები, ხოლო როცა გადააქვს, ეს არასაკმარისი ხარისხით ხდება. ა. ფროიდი გამოდიოდა თამაშის უპირობო სექსუალიზაციის წინააღმდეგ და თვლიდა, რომ ის ყოველთვის არ გამოხატავს სიღრმივ არაცნობიერ კონფლიქტებს. თამაშში ბავშვი რეალობას ეგუება. ამიტომ თამაში ხშირად რეალობის გამოხატულებაა. გარდა ამისა, კლაინისგან განსხვავებით, ა. ფროიდი მუშაობდა მშობლებთან მჭიდრო კავშირში [17]. იგი დიდ ყურადღებას უთმობდა ბავშვის პირადი ისტორიის, ოჯახის ისტორიისა და ოჯახური გარემოს შესწავლას, ოჯახის წევრებისგან და გარშემო მყოფთაგან მიღებულ ინფორმაციას. კლაინი ანალიზური მუშაობისას მშობლებს მონაწილეობის უფლებას არ აძლევდა და მიიჩნდა, რომ ბავშვთა ფსიქოანალიზს არაფერი აკავშირებს პედაგოგიკასა და აღმზრდელობით საქმიანობასთან [1]. როგორც ვხედავთ, კლაინისა და ა. ფროიდის დაპირისპირება ეხება როგორც ფსიქოანალიზური თეორიის, ასევე (შეიძლება უფრო მეტადაც) პრაქტიკისა და ტექნიკის მნიშვნელოვან ასპექტებს [36].

რაც შეეხება საზოგადოდ პრაქტიკას, იგი პოსტფროიდულ ეპოქაშიც ფსიქოანალიზის განუყოფელ შემადგენელ ნაწილად რჩება. არსებითად უცვლელია მისი, როგორც ფსიქოთერაპიული მეთოდის, ძირეული პრინციპებიც. ესენია სხვადასხვა ტექნიკის საშუალებით (ასოციაციების, სიზმრების, შეცდომითი მოქმედებების ინტერპრეტაცია, ტრანსფერი) არაცნობიერი მასალის ცნობიერებაში ამოტანა და ტრანსფერი – გადაუწყვეტელი კომპლექსებისა და კონფლიქტების ანალიტიკოსზე გადატანა, ანუ *პირველსაწყისი ნევროზის* შეცვლა *გადატანის ნევროზით*. ბოლო ეტაპზე ხდება უკვე ინტერპრეტირებული და ტრანსფერის საშუალებით თავიდან განცდილი ფსიქიკური და ქცევითი შინაარსების დამუშავება, მათთვის უარყოფითი მუხტის მოხსნა, ერთი სიტყვით, განმეორებითი გადატანის ნევროზის პრობლემების გადაწყვეტა (იხ. I თავი).

თერაპევტის ობიექტური და მიუკერძოებელი დამოკიდებულება ხელს უწყობს ყველა ამ პროცესის ეფექტურ წარმართვას. ზ. ფროიდი ანალიტიკოსს ცარიელ ეკრანს ადარებდა, რომელზეც პაციენტი თვისი განცდებისა და როლების პროეცირებას ახდენს. პოსტფროიდისტულ პერიოდში ნათლად გამოჩნდა, რომ ანალიტიკოსი არ შეიძლება იყოს და ვერც იქნება ცარიელი ეკრანი აბსოლუტურად ნეიტრალური პოზიციით. როგორც კონკრეტული პიროვნება, იგი რეაგირებს პაციენტზე, ემოციურად ჩართულია მის პრობლემებში, რასაც ფსიქოანალიზში *კონტრგადატანა* ენო-

დება. იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი უნდა იყოს ანალიტიკოსის პოზიცია, რამდენად სასურველია კონტრგადატანა, სადღეისოდ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ზოგი მას სასარგებლოდ მიიჩნევს, ზოგი ფროიდის ადრეულ თვალსაზრისს იზიარებს, რომელიც კონტრგადატანას მკურნალობის ხელისშემშლელ ფაქტორად განიხილავდა, ზოგიც თვლის, რომ სპონტანური გრძნობების გამოხატვა, სიტუაციის მიხედვით, შეიძლება, სასარგებლოც აღმოჩნდეს და მავნეც. საერთო ტენდენცია თანამედროვე ფსიქოანალიზში მაინც ისეთია, რომ ანალიტიკოსის პიროვნების როლი სულ უფრო მეტ წონას იძენს.

საკამათოა ფსიქოანალიზურ მეთოდთან დაკავშირებული ისეთი საკითხი, როგორიცაა მკურნალობის ხანგრძლივობა. ტრადიციული შეხედულებით, ითვლება, რომ, რაც უფრო დიდხანს გრძელდება ანალიზის კურსი, მით მეტია განკურნების ალბათობა. აქედან გამომდინარე, არსებობდა და, ტრადიციის მკაცრ მიმდევრებში ახლაც არსებობს, „გადაჭარბებული მკურნალობის“ ტენდენცია. ამასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა ფროიდის ეპოქაშივე იჩინა თავი და სათანადო ნოვაციებიც იყო შემოთავაზებული (ფერენცი, რანკი და სხვ.). თანამედროვე ფსიქოანალიზში მკურნალობის კურსის ხანგრძლიობის შემცირებისა და მისი ზუსტი დროითი რეგლამენტაციის პრაქტიკა უკვე ფართოდაა გავრცელებული.

კიდევ ერთი მომენტი თანამედროვე ფსიქოანალიზის პრაქტიკაში პაციენტის აწმყო მდგომარეობის გათვალისწინებაა. კლასიკური ფსიქოანალიზი პიროვნების ყველა პრობლემის საფუძველს წარსულში ხედავს და მთელი გულისყური იქ გადაატანს. ცხოვრების ამჟამინდელი ვითარებები მხოლოდ ადრეულ წარსულში ჩასახული ნევროზის გამაძლიერებლის სახით განიხილება. ასეთი გააზრება ვერ ეგუება პოსტფროიდისტული შეხედულებებისთვის დამახასიათებელ აქცენტს სოციალურ კონტექსტზე, რომელშიც მუდმივად არის ჩართული პაციენტი. იგივე ითქმის იმ შეხედულებებზეც, რომ ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში ვითარდება და ცვალებადობს. თეორიის გარეშეც, რეალურ ქცევაზე დაკვირვება მონმობს, რომ მთელი ცნობიერი ცხოვრების პირველად ლტოლვებზე დაყვანა სინამდვილეზე ძალადობაა. ნევროტული შიშები, დაცვითი და აკვიატებული მოქმედებები, ისტერიული გამოვლინებები იმდენად აშკარად უკავშირდება მოზრდილი ადამიანების განცდების სამყაროს, სასიცოცხლო მიზნებს, კონკრეტულ სოციალურ გარემოს (და არა დინამიკური ენერგეტიკული პროცესებისა და ბავშვობის ფიქსაციებს), რომ ამის გაუთვალისწინებლობა, უბრალოდ, შეუძლებელია. ორთოდოქსული ფსიქოანალიზი აუცილებლად ეძებს ადრეულ კომპლექსებს იქ, სადაც ისინი არ არის; თუ პიროვნება იტანჯება საყვარელი ადამიანის დაკარგვის ან სამსახურებრივი უსიამოვნების გამო, მისი ნევროზის გასაკურნად სულაც არ არის საჭირო მშობლებთან ოიდიპოსური ურთიერთობის თემის ამოწევა და სათანადო განცდების ძიება. აქედან გამომდინარე, დღეს სახეზეა ტენდენცია, რომ ფსიქოანალიზური მკურნალობა კონკრეტული პიროვნებისა და მისი სასიცოცხლო პრობლემების თავისებურების გათვალისწინებით წარიმართოს. ყოველ შემთხვევაში, არატრადიციულად მოაზროვნე ანალიტიკოსებში წარსულისადმი ინტერესი აწმყოს ხარჯზე დაუშვებლად არის მიჩნეული.

კვლევისა და მსჯელობის საგანი კლინიკური ფსიქოანალიზის სხვა მომენტებიც არის – საქმე ეხება გარკვეული პრინციპებისა და ტექნიკების ერთგვარ მოდერნიზაციას. ეს პოსტფროიდისტული მოძრაობის ერთი ასპექტია; მეორე ასპექტი, როგორც აღინიშნა, ფსიქოანალიზის გამოყენების სფეროს გაფართოებას გულისხმობს – ფსიქოზები, სასაზღვრო მდგომარეობები, ფსიქოსომატიკა, ბავშვის ფსიქოანალიზი. ორივე ეს ასპექტი უფრო პრაქტიკას ეხება; მესამე ასპექტი საკუთრივ კონცეფციის შემდგომ განვითარებასთან არის დაკავშირებული. ამ მხრივ, როგორც დავრწმუნდით, მრავალი ახალი ცნება, იდეა თუ შეხედულება გაჩნდა, მაგრამ, ძირითადად, თეორიული აზრის ორი მიმართულებაზე შეიძლება ლაპარაკი. ერთ შემთხვევაში ხდება ფსიქიკურ ცხოვრებაში მე-ს როლისა და მნიშვნელობის გაზრდა-გაფართოება; აქცენტი კეთდება მე-ს ავტონომიურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პროცესებისა და მექანიზმების დახასიათებაზე (ეგოფსიქოლოგია); მეორე შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება არაცნობიერი და ცნობიერი ფსიქიკის სოციალურ-კულტურულ დეტერმინაციას ექცევა (ნეოფროიდიზმი). ზოგადად, პოსტფროიდისტულ ეპოქაში ფსიქოანალიზური მიმდინარეობა კიდევ უფრო არაერთგვაროვანი გახდა. კლასიკური სიღრმის ფსიქოლოგიის სისტემებს დაემატა მრავალრიცხოვანი, ერთმანეთისგან საგრძნობლად განსხვავებული შეხედულებები, რომლებსაც ერთიანობაში დღეს ფსიქოანალიზური მოძრაობა ეწოდება. თუმცა ზოგიერთი პოსტფროიდისტული მოდელი იმდენად დაშორდა პირველწყაროს, რომ მისი ფსიქოანალიზურ მიმდინარეობასთან ერთმნიშვნელოვნად გაიგივება საკმაოდ პრობლემურია. და მაინც, ფსიქოანალიზი ფართოდ არის გავრცელებული ფსიქოლოგიასა და ფსიქიატრიაში. მსოფლიოში, უპირატესად ევროპასა და ამერიკაში, ფუნქციონირებს მრავალი ფსიქოანალიზური ასოციაცია, კლინიკა, სამეცნიერო თუ სასწავლო ინსტიტუტი. ფსიქოანალიზი არ იზღუდება მხოლოდ კლინიკური ან ზოგადფსიქოლოგიური ამოცანებით. უკვე ფროიდთან ფსიქოანალიზმა მსოფლმხედველობრივი მოძღვრების სახე მიიღო. იგი განვითარებული ქვეყნებისა და, განსაკუთრებით, ამერიკული ცხოვრების წესის შემადგენელი ნაწილი გახდა, გავრცელდა მთელ კულტურაზე, ხელოვნებაზე, საზოგადოებრივ მეცნიერებაზე და ა.შ. მრავალი ადამიანი, მათ შორის ის, ვინც საზოგადოებრივ აზრს აყალიბებს (პედაგოგი, პოლიტიკოსი, მღვდელმსახური, იურისტი, მწერალი, ჟურნალისტი და სხვ.), თავის საქმიანობაში, გარკვეულწილად, ფსიქოანალიზის პრინციპებით ხელმძღვანელობს. ფსიქოანალიზური ტერმინები ყოველდღიურ ენაში დამკვიდრდა. საკუთარ ფსიქოანალიტიკოსთან კონსულტირება პრესტიჟის საქმედ იქცა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქოანალიზის პოპულარობის მაჩვენებელმა კარგა ხანია, გაიარა თავისი აპოგეა და ახლა განუხრელად დაღმავალი ხაზით მიდის.

თანამედროვე ფსიქოლოგიურ მიმდინარეობებს შორის ფსიქოანალიზი უდავოდ ყველაზე გახმაურებულია და გავრცელებული ფართო საზოგადოებაში. ეს მნიშვნელოვანწილად იმან განსაზღვრა, რომ ფსიქოანალიზი, ფროიდის გამოთქმით, აგებულია *მკურნალობისა და შესწავლის ერთიანობის პრინციპზე*. ფსიქოანალიზური მეთოდი თერაპიაც არის და კვლევაც. იგი გულისხმობს პაციენტთან ხანგრძლივი და

ჩაღრმავებული ურთიერთობის პროცესში ადამიანის სულიერი სამყაროს ძირეული მომენტების გამოაშკარავებას და ინტერპრეტაციას. პაციენტი აქტიურად არის ჩართული ანალიზის პროცესში, რომელიც მისი ნამდვილი პრობლემის, რეალური სატკივრის გაცნობიერებას გულისხმობს. თუ ამას შედეგად მდგომარეობის გაუმჯობესება მოჰყვება, ადამიანს, ბუნებრივია, უმტკიცდება რწმენა თეორიის მიმართ, რაც მის პოპულარობას განაპირობებს. აკადემიური ფსიქოლოგია მოკლებულია ხანგრძლივი ინტერპერსონალური ურთიერთობებიდან მომდინარე ამ უპირატესობას.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქოანალიზსა და აკადემიურ ფსიქოლოგიას შორის თავიდანვე საკმაოდ რთული ურთიერთობა დამყარდა. საკუთრივ ფროიდი უარყოფითად აფასებდა ტრადიციული ფსიქოლოგიის მიღწევებს და შესაძლებლობებს. არც მოპირდაპირე მხარე იჩენდა ნაკლებ კრიტიკულობას და სკეპტიციზმს. მაგალითად, ცნობილია, რომ ფროიდის მიერ ამერიკაში წაკითხული ლექციების შემდეგ მის მსმენელთა შორის ერთ-ერთმა ყველაზე ავტორიტეტულმა მეცნიერმა უილიამ ჯეიმსმა ფროიდის შეხედულებას სიზმრების შესახებ ჰალუცინაციების ნაყოფი უწოდა, მაგრამ საერთოდ შეეძლო კი ცნობიერების კლასიკურ ფსიქოლოგიას რაიმე კონკრეტული ეთქვა არაცნობიერის კატეგორიის შესახებ, რომელიც ცენტრალურია ფსიქოანალიზისთვის? ალბათ, ბევრი არაფერი. ეს დაადასტურა, თუნდაც, 1910 წელს ბოსტონში სპეციალურად არაცნობიერის პრობლემისადმი მიძღვნილმა სიმპოზიუმმა. მის მასალებში თავისი აზრი გამოთქვა იმ დროის ბევრმა გამოჩენილმა ფსიქოლოგმა, მაგალითად: ფ. ბრენტანომ, ჰ. მიუნსტენბერგმა, პ. ჟანემ, თ. რიბომ, მ. პრინსმა და სხვებმა. ვითარება შემდეგნაირი აღმოჩნდა: თითქოს ყველა ხვდებოდა, რომ ცნობიერების მექანიზმისა და შინაარსის გასაგებად აუცილებელია მის ფარგლებს გარეთ გასვლა, მაგრამ სად, რა რეალობაში აღმოვჩნდებით ამის შედეგად, არავინ უწყოდა. რა არის ის, რაც განსაზღვრავს ცნობიერებას და არ არის თავად ცნობიერი? სად უნდა ვეძებოთ ეს მოვლენა – ტვინში თუ ფსიქიკაში? ერთი სიტყვით, არაცნობიერი არ იყო გააზრებული როგორც ფუნდამენტური მნიშვნელობის ამხსნელი ცნება. ამ ვითარების გათვალისწინებით, „საეჭვოა, ისეთი ვინმე მოინახოს, ვინც არ დაეთანხმება იმას, რომ ფროიდის ნაშრომების შემდეგ ახალი ერა დაიწყო არაცნობიერის თეორეტიზაციისა და მისი საკმაოდ ბუნდოვანი ფენომენოლოგიის ანალიზური გააზრების მიმართულებით“ [13; 25]. ფსიქოანალიზი ერთიანი მოძღვრებაა ფსიქიკური ცხოვრების შესახებ, რომელშიც ამხსნელი ცნების როლს არაცნობიერი ასრულებს. ამ კონცეფციაში, ავტორის ბევრ შესანიშნავ მიგნებასთან ერთად, არის წარმოდგენებიც, რომელთა რეალურობა და ჭეშმარიტება სერიოზულ ეჭვს იწვევს თვით ფსიქოანალიტიკოსებშიც და, მით უფრო, აკადემიური ფსიქოლოგიის ნარმომადგენლებში. ამ უკანასკნელთ, შესამჩნევი წარმატების გარეშე, არაერთხელ უცდიათ, მეცნიერული ფსიქოლოგიის მეთოდებით შეემოწმებინათ ფროიდის შეხედულებები ლიბიდოსა და სიკვდილის ინსტინქტის, ფსიქოსექსუალური სტადიებისა და ხასიათის ტიპების, ოიდიპოსისა და კასტრაციის კომპლექსის, ასევე სისტემის სხვა ელემენტების შესახებ. აკადემიურ ფსიქოლოგიაში გამოთქმულია საფუძვლიანი შენიშვნები ფსიქოანალიზის და, საერთოდ, სიღრმის ფსიქოლოგიის მიმართ მათი მონაცემების სანდოო-

ბის, კონცეფციების ვალიდობისა და შემოწმებადობის კუთხით (იხ. I თავი). ეს შენიშვნები, არსებითად, პოსტფროიდისტულ სისტემებზეც ვრცელდება.

უფრო რთულადაა ვითარება თვით ფსიქოანალიზის ფარგლებში, სადაც თითქმის არ არსებობს შეთანხმებული საკითხი. თუ სპეციალისტები აკადემიური ფსიქოლოგიის წრეებიდან, როგორც წესი, უბრალოდ, მიუთითებენ ფსიქოანალიზური დებულებების დაბალ სანდოობასა და ვერიფიკაციის სირთულეებზე, თვით ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები საკმაოდ მძაფრად აკრიტიკებენ ერთმანეთის სისტემებს (როგორც დეტალებში, ისე მთლიანად) და ურთიერთსაწინააღმდეგო კონცეფციებს ქმნიან. ამ ვითარებამ უკვე კლასიკურ სიღრმის ფსიქოლოგიაში იჩინა თავი. საკმარისია, გავიხსენოთ აზრთა სხვადასხვაობა ფროიდს, იუნგსა და ადლერს შორის. ამ უთანხმოებებისა და კონცეპტუალური სიჭრელის უპირველესი მიზეზი ემპირიული მასალისა და თეორიის ურთიერთმიმართების თავისებურებაშია. ყოველი ფსიქოანალიტიკოსი თავისი თერაპიული გამოცდილებიდან ამოდის. თეორიის აგებისას იგი ამ გზით მოპოვებულ ფაქტოლოგიურ მასალას ეყრდნობა. მაგრამ კლინიკური სამუშაოს ეს მონაცემები იმთავითვე ინტერპრეტაციას გულისხმობენ, რომელიც, თავის მხრივ, უკვე მიღებულ თეორიულ მოსაზრებებს ეფუძნება. ვიღებთ შეკრულ წრეს. შედეგად, ერთსა და იმავე მოქმედებას, გამონათქვამსა თუ წარმოდგენას განსხვავებული მნიშვნელობა ენიჭება; და ეს მაშინ, როცა, პროცედურული თვალსაზრისით, ფსიქოანალიზური ტექნიკის ძირეული პრინციპები ყველგან ერთნაირია (ასოციაციების, სიზმრების, შეცდომითი მოქმედებების ანალიზი).

საქმე ისაა, რომ სინამდვილეში ფსიქოანალიზური ტექნიკა თეორიისგან განცალკევებულად არ არსებობს. მაგალითად, სიზმრების გაშიფრვა, ინტერპრეტაცია ყოველგვარი ფსიქოანალიზის შემადგენელი ნაწილია. მაგრამ სიზმრის წაკითხვა აბსოლუტურად განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა შეხედულება აქვს ავტორს სიზმარზე, ფსიქიკაში მის ადგილსა და როლზე და, საერთოდ, არაცნობიერი სფეროს შინაარსეულ და სტრუქტურულ მხარეებზე. ფრომი ფსიქოანალიზის ფარგლებში სიზმრის, სულ ცოტა, სამ თეორიას გამოყოფს, რომელთაგან თითოეული სიზმრისეული წარმოდგენების თავისებურ განმარტებას იძლევა [20]. ასეთივე შეუთანხმებლობაა სხვა საკითხებშიც. ავიღოთ, თუნდაც, საკითხი აქტივობის ძირეული მამოძრავებელი ძალების შესახებ. ფროიდი ლაპარაკობს ლიბიდოზე, სიცოცხლისა და სიკვდილის ინსტინქტებზე; იუნგისთვის ლიბიდო სასიცოცხლო ენერგიის ეკვივალენტური ცნებაა; ადლერი მთავარ აღმძვრელ ძალად არასრულყოფილების განცდას მიიჩნევს; ეგოფსიქოლოგიაში მე-ს ლიბიდოსგან განსხვავებული ავტონომიური ძალა მიეწერება; ფრომი მიუთითებს ფუნდამენტურ ეგზისტენციალურ წინააღმდეგობებთან დაკავშირებულ მისწრაფებებზე: სიყვარული, თავისუფლება, დესტრუქტივიზმი, ავტორიტარიზმი; ჰორნი ამოდის ძირეული შფოთიდან და მას უსაფრთხოებისა და სურვილების დაკმაყოფილების მოთხოვნილებებს უკავშირებს; სალივანი წამყვან მისწრაფებებს ინტერპერსონალურ ურთიერთობებში ხედავს და ამოსავალ მოტივაციად თბილი ურთიერთობებისა და წუხილის არიდების ტენდენციებს მიიჩნევს; ალექსანდერი სამ პირველად მოტივაციურ ტენდენციას გამოყოფს: მიღების, შეკავებისა და გაცემა-

განადგურების. არსებობს სხვა მოსაზრებებიც ამ საკვანძო საკითხის გარშემო, რომლის ასეთი თუ ისეთი გადაწყვეტა მთლიანად განსაზღვრავს ფსიქოანალიზური თეორიისა და პრაქტიკის ხასიათს.

რა კრიტერიუმებით შეიძლება ამ არსებითად განსხვავებული შეხედულებების შედარება? როგორ უნდა განესაჯოთ, რომელი თვალსაზრისია ჭეშმარიტი? ფროიდისა და პოსტფროიდისტული ეპოქის ყველა ავტორი ხომ თავისი ანალიტიკური პრაქტიკიდან ამოდის და ამტკიცებს, რომ სწორედ მან დაარწმუნა იგი ამა თუ იმ მოტივაციური ტენდენციის პირველადობასა და პრიორიტეტულობაში. მაშასადამე, საქმე მეთოდში ყოფილა. საგულისხმოა ამ მხრივ ფრომის შეფასება. იგი წერს: „ფსიქოანალიზმა ვერ მიაღწია იმ იდეალს, რომლისკენაც მრავალი ნელი მიისწრაფოდა აკადემიური ფსიქოლოგია; ასეთი იდეალი ზუსტი ექსპერიმენტული მეთოდების პირდაპირი გამოყენება იყო. მიუხედავად ამისა, იგი, არსებითად, ემპირიულ მეთოდს წარმოადგენს; ესაა მეთოდი, რომელიც ადამიანის შინაგანი ცენზურის მიერ შეკავებული აზრების, სიზმრებისა და ფანტაზიის გულმოდგინე დაკვირვებას ეფუძნება. მხოლოდ არაცნობიერ ძალებზე დამყარებულ ფსიქოლოგიას შეუძლია შეაღწიოს იმ საფარველს მიღმა, რომელსაც შეცდომაში შემყვანი რაციონალიზაცია ქმნის. ამგვარ რაციონალიზაციასთან გვაქვს საქმე როგორც ცალკეული ადამიანების, ისე მთელი საზოგადოებების ანალიზისას“ [18; 120]. მაგრამ საქმეც ისაა, რომ არაცნობიერში შეღწევისას ყველა ფსიქოანალიტიკოსი თავის აღმოჩენებს აკეთებს და ერთმანეთის გამომრიცხავ კონცეფციას ქმნის. ამ ვითარებაში ჭეშმარიტების კრიტერიუმად თითქოს თერაპიის ეფექტურობა უნდა მოგვევლინოს. მაგრამ არც აქ არის გამოსავალი, ვინაიდან ყველა საკუთარი თეორიის პრაქტიკულ ნაყოფიერებაზე მიუთითებს, ხოლო რამდენადმე სარწმუნო სტატისტიკა არ არსებობს.

ამ გაურკვეველი სიტუაციიდან ვერც იუნგის თვალსაზრისს გამოვყავართ, რომლის თანახმად, ანალიზური თერაპიის ეფექტურობა იმით აიხსნება, რომ ყოველ ფსიქოანალიტიკოსთან მისი ფსიქიკური წყობის შესატყვისი პაციენტი მიდის. ასე ფროიდს სხვა პაციენტები აკითხავდნენ, ადლერს ან თავად იუნგს კი – სხვა. ეს რომ მართლაც ასე იყოს, სრულიად გაუგებარი დარჩებოდა, თუ როგორ ხვდებიან წინასწარ ამ შესატყვისობის შესახებ პაციენტები. მაგრამ ესეც არ არის მთავარი. იუნგის მოსაზრება, ფაქტობრივად, იმის დაშვების ტოლფასია, რომ არსებობს ადამიანის ბუნების იმდენი ნაირსახეობა, რამდენი ფსიქოანალიტიკოსიცაა. სინამდვილეში, როგორც მართებულად შენიშნავს ა. რუტკევიჩი, ყველაფერი გაცილებით მარტივად აიხსნება. საქმე ისაა, რომ „თვით ანალიტიკოსთან საუბარი აძლევს პაციენტს თავისი თავის ხედვის ხერხს. პაციენტს უკვე სჯერა იმისა, რასაც, ნებსით თუ უნებლიეთ, ფსიქოანალიტიკოსი კარნახობს. ეს უკანასკნელი კი შემდგომ თავისი თეორიის შესატყვის პასუხებს იღებს. სწორედ ამიტომ კამათი სხვადასხვა ფსიქოანალიზურ სკოლას შორის გადაუწყვეტელი რჩება; შეუძლებელია რომელიმე მათგანს ჭეშმარიტების პრეტენზია ჰქონდეს“ [15; 26]. თუ გავითვალისწინებთ როგორც კლასიკური სიღრმის ფსიქოლოგიის, ისე პოსტფროიდისტული კონცეფციების სიჭრელეს, საქმის ვითარების ამგვარი შეფასება, ძირითადად, მართებული შეიძლება იყოს.

პოსტფროიდისტული პერიოდის განსხვავებული შეხედულებების სინთეზი ერთიან ახალ თეორიულ სისტემაში ნაკლებ შესაძლებლად გამოიყურება და არც არავის უცდია. ჯერ თითოეულმა კონცეფციამ უნდა გაიაროს ტესტი სანდოობასა და ვალიდურობაზე. ამიტომ თანამედროვე ფსიქოანალიზურ მიმდინარეობაში საქმის ვითარება, გ. ბლუმის სიტყვებით, ასე გამოიყურება – თეორიის დამამტკიცებელი მყარი მონაცემები იმდენად უმნიშვნელოა, რომ ანგარიშში ჩასაგდები არ არის; შედეგად, ჯერჯერობით ვერ ხერხდება სრულფასოვანი, კარგად აწყობილი თეორიის შექმნა [7]. ამას ამბობს ფსიქოანალიზის მიმართ უაღრესად კეთილგანწყობილი მკვლევარი. აკადემიური ფსიქოლოგიის პოზიცია ამ მხრივ კიდევ უფრო სკეპტიკური და პესიმისტურია [11][22][33][37].

ლიტერატურა

1. ვანიე ა., ფსიქოანალიზის შესავალი. დიოგენე, თბილისი, 2017.
2. ფროიდი ზ., წინააღმდეგობანი ფსიქოანალიზის მიმართ / ფსიქოანალიზი, სიახლე, თბილისი, 1995.
3. ფრომი ე., სიყვარულის ხელოვნება. აზრი, თბილისი, 2016.
4. ჰორნი კ., ქალის ფსიქოლოგია. პეგა, თბილისი, 2015.
5. Александер Ф., Селесник Ш. Человек и его душа: познание и врачевание от древности до наших дней. Прогресс, М., 1995.
6. Александер Ф., Психосоматическая медицина. ЭКСМО-Пресс, М., 2002.
7. Блюм Г., Психоаналитические теории личности. "КСП", М., 1996.
8. Глейтман Г., Гари Стек Салливан: клиницист и человек / Великие психологи. Феникс, Ростов-на Дону, 2000.
9. Джонс Э., Жизнь и творения Зигмунда Фрейда. Гуманитарий, М., 1997.
10. Кельнер М. С., Тарасов К. Е., Фрейдо-Марксизм о человеке. Мысль, М., 1989.
11. Кохут Х., Восстановление самости. Когито-Центр, М., 2002.
12. Первин Л., Джон О., Психология личности: Теория и исследования. Речь, М., 2000.
13. Прангишвили А. С., Шерозия А. Е., Бассин Ф. В., К истории и современной постановке вопроса / Бессознательное: природа, функции, методы исследования. Т. 1. Мецниереба, Тбилиси, 1978.
14. Райх В., Характероанализ. Когито-Центр, М., 2006.
15. Руткевич А. М., От Фрейда к Хайдеггеру. Политиздат, М., 1985.
16. Фрейд А., Психология Я и защитные механизмы. Педагогика, М., 1993.
17. Фрейд А., Теория и практика детского психоанализа. Т. 1-2. ЭКСМО-Пресс, М., 1999.
18. Фромм Э., Бегство от свободы. Прогресс, М., 1990.
19. Фромм Э., Иметь или быть. Изд-во АСТ, М., 1990.
20. Фромм Э., Душа человека. Республика, М., 1992.
21. Фромм Э., Миссия Зигмунда Фрейда. Прогресс-Академия, М., 1996.
22. Фромм Э., Кризис психоанализа. Академический проект, СПб., 2000.

23. Холл К. С., Линдсей Г., Теории личности. "КСП+", М., 1997.
24. Хорни К., Культура и невроз / Психология личности. Тексты. Изд-во МГУ, М., 1982.
25. Хорни К., Новые пути в психоанализе / Собрание сочинений. Т.2. Смысл, М., 1997.
26. Хорни К., Самоанализ / Собрание сочинений. Т.2. Смысл, М., 1997.
27. Хорни К., Наши внутренние конфликты / Собрание сочинений. Т.3. Смысл, М., 1997.
28. Хорни К., Невроз и развитие личности / Собрание сочинений. Т.3. Смысл, М., 1997.
29. Эриксон Э., Идентичность: юность и кризис. Прогресс, М., 1996.
30. Ярошевский М. Г., История психологии. Мысль, М., 1976.
31. Boeree C. G., Erik Erikson, 2006 - http://webspace.ship.edu/cgboer/erikson.html
32. Erikson E., Childhood and society. Norton, New York: 1963.
33. Fromm E., The anatomy of human destructiveness. Holt, Rinehart and Winston, New York, 1973.
34. Grunbaum A., Foundations of psychoanalysis: A philosophical critique. University of California Press, Berkeley, 1984.
35. Hartmann H., Ego psychology and problem of adaptation. International Universities Press, New York, 1958.
36. Klein M., The Psychoanalysis of children / The Writings of Melanie Klein, Vol. 2. Hogarth Press, London, 1984.
37. Sallivan H., The interpersonal theory of psychiatry. Norton, New York. 1953.
38. Smith N., W. Current systems in psychology: History, theory, research, and applications. Wadsworth, Belmont, CA, 2001.

V თავი
ნეობიჰევიორიზმი და ოპერანტული ბიჰევიორიზმი

კლასიკური ბიჰევიორიზმი იყო ამბოხი ცნობიერების ფსიქოლოგიის წინააღმდეგ და ნაბიჯი ქცევის ფსიქოლოგიისკენ. როგორც არსებითად რევოლუციურ წამოწყებას, მას ძლიერ გამოხატული რადიკალიზმი ახასიათებდა. უკვე XX საუკუნის ოციან წლებში, როცა უოთსონისეული ბიჰევიორიზმის პოპულარობამ ზენიტს მიაღწია, თანდათან შესამჩნევი გახდა მისი შეზღუდულობაც. საქმე ისაა, რომ ორთოდოქსული ბიჰევიორიზმი S-R ფორმულის იქით არ მიდის; მას იგი სავსებით საკმარისად მიაჩნია და საჭიროდ არ თვლის, მიუთითოს რაიმე ფსიქოლოგიურ ან ფიზიოლოგიურ პროცესებზე, რომლებიც სტიმულსა და რეაქციას შორის მიმდინარეობენ. მაგრამ ფიზიოლოგების, მეტადრე ი. პავლოვის კვლევები, რომლის შრომებს თავის ტვინის ქერქის მუშაობის შესახებ ამერიკელები ოციანი წლების ბოლოს გაეცნენ, ნათლად აჩვენებდა, რომ გარემოს ზემოქმედება მხოლოდ რთული ქერქული გადამუშავების შემდეგ იწვევს რეაქციას. ამავე დროს, თვით ფსიქოლოგების მიერ ქცევის შესწავლისას მუდამ იჩენდა თავს შინაგანი, ფსიქიკური ფაქტორები და ბიჰევიორისტები იძულებული იყვნენ, გაეთვალისწინებინათ ეს გარემოება. ჯერ კიდევ უ. ჰანტერის ადრინდელმა ცდებმა ე.წ. გადავადებულ რეაქციებზე გამოავლინა, რომ ცხოველები უშუალოდ არ რეაგირებენ სტიმულებზე; რეაქცია სტიმულის გარკვეულ გადამუშავებას გულისხმობს. ამგვარი პროცესის რამდენადმე ადეკვატური დახასიათება რადიკალური ბიჰევიორიზმის ჩარჩოებში, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო (იხ. II თავი). თვით ჰანტერი დასაშვებად მიიჩნევდა ბიჰევიორისტულ თეორიაში ცნობიერების ცნების შემოტანასაც კი, მაგრამ ამ უკანასკნელში გულისხმობდა გარე რეაქციების გამაშუალებელ შინაგან სამეტყველო რეაქციებს. ნათელია, რომ გაშუალების ამგვარი გააზრება არაფერს ახალს არ იძლეოდა. 1929 წელს რობერტ ვუდვორთმა შემოგვთავაზა ფორმულა S-O-R, რითაც პრინციპული ნაბიჯი გადადგა სტიმულსა და რეაქციას შორის მიმართების გამაშუალებელი ჰიპოთეზური კონსტრუქტის შემოსატანად. O (ორგანიზმი) აღნიშნავდა რაღაც უხილავ ფსიქოლოგიურ ცვლადებსა თუ პროცესებს (პირველ რიგში, ლტოლვებს). და მაინც, მხოლოდ ე. ტოლმენმა 1932 წელს პირველად დაასაბუთა ამ პროცესების ჰიპოთეზური ხასიათი, მათ შუალედური ცვლადები უწოდა და შეეცადა, დაეხასიათებინა ისინი მკაცრად ობიექტური და ოპერაციული პარამეტრებით. ამ ცვლადების თავისებურებანი, რაოდენობა, ურთიერთმიმართება და მათი კავშირი სტიმულსა და რეაქციასთან გახდა იმ არაერთგვაროვანი ქცევის მოდელების განმსაზღვრელი ნიშანი, რომელსაც *ნეობიჰევიორისტული მიმდინარეობა* ეწოდა და, რომელმაც დიდად განსაზღვრა საბუნებისმეტყველო, ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის სახე XX საუკუნის 30-50-იან წლებში. ამ მიმდინარეობის ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენლები არიან კ. ჰალი და ე. ტოლმენი. ორივე მეტად ავტორი-

ტეტული მეცნიერი იყო და ძლიერ მიმართულებას ედგა სათავეში. მათი შეხედულებები მრავალ პრინციპულ საკითხში ერთმანეთისგან განსხვავდებოდა, ისინი ბევრს კამათობდნენ, თუმცა ორივე ყოველთვის ნეობიჰევიორისტული ორიენტაციის ფარგლებში რჩებოდა.

კლარკ ლეონარდ ჰალი (1884-1952) თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის პირველ პერიოდში აზროვნების, ნიჭიერების ტესტირებისა და ჰიპნოზის საკითხებს შეისწავლიდა. უკვე ამ გამოკვლევებში იგი ე.წ. *ჰიპოთეზურ-დედუქციური* მეთოდის, ერთგვარ აპრობაციას ახდენს. ეს მეთოდი მისი თეორიული სისტემის საფუძველია. ჰალი ამოდის რამდენიმე ზოგადი ჰიპოთეზური დებულებიდან, რომელთაც პრინციპებსა ან პოსტულატებს უწოდებს. მათი სხვადასხვაგვარი კომბინირებით მიიღება ე.წ. თეორემები ან კერძო დებულებები, რომელთა ექსპერიმენტული შემოწმება შესაძლებელი და აუცილებელია. ის დებულებები, რომლებიც ვერ გაუძლებს ამ შემოწმებას, ახლებით იცვლება. ეს უკანასკნელნი, თავის მხრივ, ასევე გაივლიან ექსპერიმენტულ შემოწმებას. საბოლოოდ, იქმნება თეორიული სისტემა, რომელიც პირველადი და მათგან დედუქციურად გამომდინარე მეორეული პრინციპების ერთობლიობად წარმოგვიდგება, იმის მსგავსად, როგორც ეს ევკლიდეს გეომეტრიაში ან ნიუტონის ფიზიკაშია. ჰალი ცდილობს ამ სისტემის მაქსიმალურ ფორმალიზებას, დებულებების ზუსტი მათემატიკური ენით გამოხატვას. იგი, ფაქტობრივად, *ქცევის დედუქციურ-მათემატიკურ* თეორიას ქმნის და მოითხოვს, რომ „ქცევის მკვლევარი არა მარტო ერკვეოდეს მათემატიკაში, არამედ მან უნდა ისწავლოს აზროვნება განტოლებებისა და უმაღლესი მათემატიკის ცნებებით“ [21; 358]. ფორმალიზაციის თვალსაზრისით, ჰალის სისტემა მართლაც სამაგალითოა ფსიქოლოგიაში[1]. ამ სისტემის ჩამოყალიბება მან იმის შემდეგ დაიწყო, რაც იელის უნივერსიტეტის კელევით ჯგუფს ჩაუდგა სათავეში (1930-1950). აქ ჰალი დიდი გავლენით სარგებლობდა. იყო ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაციის (APA) პრეზიდენტი (1936). მის მოწაფეთა, თანამშრომელთა და მიმდევართა შორის იყვნენ გამოჩენილი მეცნიერები – ჯეიმს ბრაუნი, ჯონ დოლარდი, ნილ მილერი, რობერტ მაურერი, რობერტ სირსი, კენეტ სპენსი, კარლ ჰოვლენდი და სხვები, ვინც ეპოქა შექმნა ამერიკულ ფსიქოლოგიაში. ჰალის კონცეფციის პირველი ვარიანტი მოცემულია წიგნში – „ქცევის პრინციპები“ (1943); საბოლოო ვარიანტი ასახულია შრომაში – „ქცევის სისტემა“ (1952), რომელიც მოიცავს 17 პოსტულატს და 133 თეორემას.

როგორც ნამდვილი ნეობიჰევიორისტი, ჰალი ცდილობს, გამოავლინოს და შეისწავლოს ის შუალედური ცვლადები, რომლებიც სტიმულსა და რეაქციას შორის არის მოთავსებული. ასეთებია, პირველ რიგში, *ჩვევა* (sHR) და მოთხოვნილება, იგივე ლტოლვა ან *დრაივი* (D). ჩვევის ცნება, ჰალის მიხედვით, გამოხატავს მოტორული და აფექტური პროცესების დაკავშირების გზით შექმნილ ნერვული სისტემის რეალურ

[1] ჰალის ესოდენ ძლიერი ინტერესი მათემატიკისადმი შესაძლოა, მისი საინჟინრო განათლებით იყო გაპირობებული. ფსიქოლოგიის ზოგიერთი ისტორიკოსის შეფასებით, ჰალი, ერთგვარად, ამ ინტერესის მსხვერპლიც კი გახდა, ვინაიდან მისი მცდელობები, რაოდენობრივად გამოეხატა ყველა დებულება, ზოგჯერ საკითხს აბსურდულად აქცევდა [17].

მდგომარეობას. ის ვლინდება ქცევაში, როგორც ტენდენცია, ანუ სტიმულზე საპასუხო რეაქციის აღმოცენების ალბათობა. რაც უფრო ძლიერია ჩვევა, მით უფრო დიდია ეს ალბათობა, და პირიქით. ამ ცვლადის უფრო კონკრეტული დახასიათება თეორიაში არ ხდება. სამაგიეროდ, დეტალურად არის აღწერილი და შესწავლილი ჩვევის შემუშავების ანუ, რაც იგივეა, *დასწავლის პროცესი*. ამ პროცესში უმთავრეს როლს მოტივაციური ფაქტორი ასრულებს. ეს გულისხმობს აქტუალური მოთხოვნილების, დრაივის არსებობას და მის *რედუქციას* (შესუსტებას) სათანადო მოქმედების გზით. ყოველივე ამას *განმტკიცება* ეწოდება. ჰალი განმტკიცების მოქმედებას შემდეგნაირად ახასიათებს: „ყოველთვის, როდესაც რეაქცია (R) და სტიმული (S) ერთმანეთს ემთხვევა დროში და ეს თანხვედრა უშუალოდ ასოცირდება მოთხოვნილების დაქვეითებასთან, <...> მატულობს ამ სტიმულის ტენდენცია, გამოიწვიოს ეს რეაქცია მომდევნო სიტუაციებში. ასეთი მატებანი წარმატებული განმტკიცების შემთხვევაში ჯამდება და შედეგად გვაძლევს ჩვევის საერთო ძალას (sHR), რომელიც წარმოადგენს განმტკიცებათა რიცხვის უბრალო ზრდად ფუნქციას" [21; 178].

მაშასადამე, სტიმულ-რეაქციული კავშირის (sHR) სიმტკიცე მთლიანად დამოკიდებულია განმტკიცების სიხშირეზე. განმტკიცება დასწავლის, როგორც ამ კავშირის ჩამოყალიბების პროცესის, ძირითადი მექანიზმია. ეს მექანიზმი ლტოლვის შემცირებას, დრაივის რედუქციას გულისხმობს. მაგრამ რას ნიშნავს ეს? ცხადია, რომ აქ არ იგულისხმება მოთხოვნილებით მიღებული სიამოვნების ეფექტი, რომელსაც თორნდაიკმა „ეფექტის კანონი" უწოდა (იხ. II თავი). ობიექტივისტი ჰალისთვის განმტკიცების ამგვარი მენტალისტურ-ჰედონისტური დახასიათება სრულიად მიუღებელია. იგი მხოლოდ დაკვირვებად და გაზომვად ცვლადებზე ლაპარაკობს. დრაივი არის მდგომარეობა, რომელიც ჰომეოსტაზის დარღვევით წარმოიქმნება და ობიექტური მონაცემებით იზომება, ისეთებით, როგორებიცაა: დეპრივაციის დრო, სისხლში ქიმიური ნივთიერებების კონცენტრაცია, ამა თუ იმ ინექციის დოზა და ა.შ. მაშასადამე, დრაივის რედუქცია ფიზიოლოგიური ნონასწორობის, *ჰომეოსტაზის აღდგენასთან დისბალანსის შემცირებას* ნიშნავს.

ჰალის დამსახურება მოტივაციის პრობლემატიკის დამუშავებაში საყოველთაოდ არის აღიარებული. მოტივაციის წამყვანი სპეციალისტის, ჰაინც ჰეკჰაუზენის თქმით, „მოტივაციის ფსიქოლოგიაში იგი ლტოლვის თეორიის ჭეშმარიტი შემქმნელია" [15; 79]. ამ თეორიის თანახმად, არსებობს რამდენიმე *პირველადი დრაივი;* ყველაზე ხშირად ამ კონტექსტში შიმშილის, წყურვილის, სქესობრივ და ტკივილის დრაივებზე მიუთითებენ. ობიექტებს ან მოვლენებს, რომლებიც მათ რედუქციას ახდენენ (საკვები, სითხე, სექსუალური აქტივობა, მავნე ვითარებისგან განრიდება) *განმამტკიცებლები* ეწოდება. ორგანიზმის ყოველგვარი აქტივობა, ქცევა მხოლოდ ამა თუ იმ დრაივის რედუქციას ემსახურება. ამასთან, დრაივის რედუქცია აძლიერებს და ამტკიცებს სათანადო აქტივობას. იგი, როგორც ითქვა, ის მექანიზმია, რომელიც დასწავლის ეფექტს განაპირობებს.

მოტივაცია კიდევ ერთ ფუნქციას ასრულებს. ის აუცილებელია სტიმულსა და რეაქციას შორის შექმნილი კავშირის გამოსაველენად და ასამოქმედებლად ანუ, დას-

წავლის თეორიის ტერმინით რომ ვთქვათ, მოტივაცია *შესრულების* პირობაა. ცხადია, ორგანიზმს შეიძლება ჰქონდეს ძლიერი ჩვევა, მაგრამ არ გამოავლინოს იგი. შესრულება, ერთი მხრივ, დეტერმინირებულია იმით, თუ რა და როგორ აქვს დასწავლილი ორგანიზმს და, მეორე მხრივ, მისი მოტივაციური სფეროს ამჟამინდელი მდგომარეობით. ამასთან, ვერც ცალკე ჩვევა, ვერც დრაივი ვერ გამოიწვევს საჭირო ქცევას; ამისთვის მათი გაერთიანებული მოქმედებაა საჭირო. ქცევაში ამ ფაქტორების თანამონაწილეობის ასახსნელად ჰალს შემოაქვს კიდევ ერთი შუალედური ცვლადი, რომელსაც *აგ ზნების ან რეაქციის პოტენციალი* ეწოდება და რომელიც ჩვევასა და დრაივის ფუნქციას წარმოადგენს: sEr = F(sHr x D).

იმისთვის, რომ ზუსტად გაირკვეს კონკრეტული ქცევის დაწყებისა და განხორციელების პირობები, არც ამ მონაცემების ცოდნაა საკმარისი. საქმე ის არის, რომ რეაქციის პოტენციალზე კიდევ მოქმედებს ერთი ძალა, შუალედური ცვლადი – *შეკავება*. რეაქციის შესრულება ანტაგონისტურ ზემოქმედებას ახდენს ამ რეაქციის აღძრის პოტენციალზე. შესრულების პროცესში წარმოიქმნება შეკავება, რაც, თავის მხრივ, დაღლილობასთან დაკავშირებული პროცესებითაა გამოწვეული. *შეკავების პოტენციალი* (Jr) იზრდება შესრულებული სამუშაოს მოცულობასთან, რეაქციის გამეორების რაოდენობასთან ერთად, და პირიქით, დასვენებასთან ერთად ის მცირდება. *რეაქციის მოქმედი ან ეფექტური პოტენციალის* საბოლოო ფორმულა ასე გამოიყურება: sEr = sEr – Jr.

ჰალის კონცეფცია ყოველმხრივი განხილვის საგანი გახდა. მაგალითად, ამერიკელ მეცნიერთა შორის მწვავე დისკუსია გაიმართა ჰალის იმ მოსაზრებების გარშემო, რომლებიც მან გამოთქვა განმტკიცების მექანიზმის შესახებ. როგორც ვიცით, ჰალისთვის ეს მექანიზმი დრაივის რედუქციას გულისხმობს და მკაფიოდ ანტიჰედონისტური ხასიათისაა. ამ საკითხის განხილვის თორნდაიკიდან მომდინარე ჰედონისტური ტრადიცია მთლიანად არ იყო უარყოფილი. ის მნიშვნელოვნად გაძლიერდა ამერიკული მოტივაციის ფსიქოლოგიის კლასიკოსის, პაულ თომას იანგის თეორიაში. სახელდობრ, იანგს მიაჩნდა, რომ დრაივის რედუქცია, როგორც მოთხოვნილების დაკმაყოფილების ფაქტი, დაკავშირებულია სიამოვნების მიღებასთან და სწორედ ამის გამო ხდება იგი ახალი ჩვევის განმტკიცების საფუძველი. ამ დებულებას ექსპერიმენტული საბუთი მოეპოვება. გამოირკვა, რომ მშიერ ცხოველს შეიძლება დაასწავლო ლაბირინთიდან გამოსვლა მაშინაც, როდესაც განმამტკიცებელ აგენტად საქარინიანი წყალი გამოიყენება. ასეთ სითხეს არა აქვს კვებითი ღირებულება, ამიტომ მას არ შეუძლია, დრაივის რედუქცია გამოინვიოს, შეამციროს შიმშილის მოთხოვნილება. უფრო მეტიც, ეს სითხე მაშინაც იწვევს განმტკიცებას, როდესაც გარეთ ფისტულის საშუალებით გამოიყვანება და კუჭს საერთოდ ვერ აღწევს. იანგი ამ ეფექტებს მხოლოდ სიტკბოს მიერ გამოწვეულ სიამოვნებას მიაწერს. ამგვარი ფაქტების ახსნის აუცილებლობამ აიძულა ჰალი, გამოეთქვა მოსაზრება ე.წ. *მეორეული დრაივისა და განმტკიცების* შესახებ [19].

დრაივთეორიაში პირველად დრაივებად მიჩნეულია რამდენიმე ბიოლოგიური მოთხოვნილება, რომელთა დაკმაყოფილების გარეშე ორგანიზმის სიცოცხლის შე-

ნარჩუნება შეუძლებელია. ასევე, გამოთქმულია დებულება, რომ ცხოვრების პროცესში გარემოს სხვადასხვა ნეიტრალური ობიექტის (სტიმულების) პირველად დრაივებთან დაკავშირების გზით წარმოიქმნება ე.წ. მეორეული, ანუ დასწავლილი დრაივები და შესაბამისი მეორეული განმამტკიცებლები. ამასთან, იმ ობიექტების როლში, რომელთა დანაკლისსაც მეორეული დრაივები ასახავს, შეიძლება გამოდიოდეს როგორც ბუნებრივი სტიმულები, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული საგნები და მოვლენები. ადამიანისთვის ტიპური სოციალური მოტივები, ამ თეორიით, გაგებულია სასიცოცხლო მოთხოვნილებებიდან ნაწარმოები მეორეული დრაივების სახით. საზოგადოდ კი, ნაგულისხმევია, რომ, თუ რაიმე აქტივობა არ ემსახურება პირველადი დრაივის რედუქციას, ის მეორეული დრაივით არის მოტივირებული, მაგრამ ყველა შემთხვევაში დრაივი ავტომატურად ახდენს ქცევის მოტივირებას [24].

მეორეული დრაივების წარმოქმნის პროცესი შეისწავლა ჰალის სკოლის ერთერთმა გამოჩენილმა წარმომადგენელმა ნილ მილერმა. მის კლასიკურ ექსპერიმენტებში ლაბორატორიულ ვირთაგვას ათავსებენ ორი თეთრი და შავი განყოფილებისგან შემდგარ გალიაში. თეთრი განყოფილების იატაკი რკინის ბადითაა დაფარული და მასში დენს უშვებენ. განყოფილებებს შორის კარია, მისი გაღება შეიძლება სპეციალური ბორბლის მოტრიალებით ან რაზის ჩამოწევით. ცდის პირველ ნაწილში კარი ღიაა და თეთრ განყოფილებაში მოთავსებული ცხოველი თავისუფლად გადადის შავ განყოფილებაში. ამას იგი აკეთებს მაშინაც, როცა დენს აღარ ურტყამენ. ეს ნიშნავს, რომ გამომუშავდა შიშის პირობითი რეაქცია თეთრ გალიაზე. და მაინც, რით არის გამოწვეული ამ შემთხვევაში ცხოველის ქცევა, ახალი დრაივით თუ უბრალო ჩვევით? ამის გასარკვევად ცდის მეორე ფაზაში ამოწმებენ, შეუძლია თუ არა შეძენილ შიშს ახალი რეაქციის ფორმირების პროცესის მოტივირება. ამჯერად კარი იკეტება. ვირთაგვას დენს აღარ ურტყამენ, მაგრამ იგი შიშის აშკარა ნიშნებს გამოხატავს (ორინაცია, დეფეკაცია, აგზნებულობა). გარკვეული დროის გასვლის შემდეგ იგი შემთხვევით ატრიალებს ბორბალს და აღებს კარს. რამდენიმე მცდელობის შემდეგ იგი სავსებით ეუფლება ამ ჩვევას. ცდის გართულებულ ვარიანტში ცხოველი კარის გაღებას რაზის ჩამოწევითაც სწავლობს. მილერის ინტერპრეტაცია ასათია: ვირთაგვამ შეიძინა შიშის დრაივი, რომელიც ისევე მოქმედებს, როგორც პირველადი დრაივები (მაგალითად, შიმშილი ან წყურვილი). ის აიძულებს ცხოველს, შეიძინოს ახალი ჩვევები. მაშასადამე, აქ საქმე გვაქვს ნამდვილ მოტივაციასთან, დრაივთან, რომელიც დასწავლის შედეგად პირველადი აღმძვრელიდან (ამ შემთხვევაში ტკივილის დრაივიდან) აღმოცენდა. საზოგადოდ, „ეს შეძენილი დრაივები პირველადი დრაივების საფუძველზე ყალიბდება, მათ განვითარებას წარმოადგენს და იმ ფასადს ქმნის, რომლის მიღმაც თანდაყოლილი დრაივების ფუნქციები იმალება“ [20; 32]. ზემოთ აღნიშნულ გემოს მოტივაციურ ეფექტს ჰალი იმით ხსნის, რომ გემო მეორეულ განმამტკიცებელ ფაქტორად გვევლინება და ნაწილობრივ ამცირებს მოთხოვნილებას.

ჰალის დებულება, რომ დრაივის რედუქცია დასწავლის ერთადერთი მექანიზმია, სხვა ასპექტითაც გახდა სადავო. ასე მაგალითად, გამოირკვა, რომ დასწავლა მაშინაც ხორციელდება, როდესაც ფისტულის გამოყენების გზით საკვები ან წყალი არ

აღწევს კუჭს, ან როდესაც კოპულაციას არ მოჰყვება ეაკულაცია. ამ ფაქტებს შეფილდი ე.წ. *დამამთავრებელი პასუხის თეორიით* ხსნის. დამამთავრებელი პასუხის ცნება შემოტანილია ეთოლოგების მიერ და აღნიშნავს იმ საბოლოო აქტს, რომელიც აგვირგვინებს, ასრულებს რაიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული აქტების წყებას. შიმშილის ან წყურვილის შემთხვევაში ეს არის ჭამა ან დალევა; სქესობრივი მოთხოვნილების შემთხვევაში – კოპულაცია და ა.შ. ჰალის ზოგიერთი ოპონენტი ფიქრობს, რომ განმტკიცების ფუნქციას დასწავლის პროცესში ასრულებს დამამთავრებელი პასუხი და არა დრაივმდგომარეობის რედუქცია. ამ თვალსაზრისის უარსაყოფად ჰალმა და მისმა თანამშრომლებმა ჩაატარეს სპეციალური ცდები: მათ საკვები შეჰყავდათ მშიერი ცხოველების კუჭში ან სისხლში უშუალოდ, ე.ი. მოთხოვნილების დაკმაყოფილება ხდებოდა გამოვლენილი დამამთავრებელი პასუხის გარეშე. გამოირკვა, რომ დასწავლა ასეთ შემთხვევაშიც ხორციელდება, რაც დრაივრედუქციის მოდელის სასარგებლოდ მეტყველებს. სამაგიეროდ, საწინააღმდეგოს ამტკიცებს ე.წ. ნაწილობრივი განმტკიცების ექსპერიმენტებში მიღებული ფაქტები; გამოირკვა, რომ, ზოგ შემთხვევაში, დასწავლის ეფექტი იზრდება, თუ განმტკიცება თან ახლავს არა ყველა სწორ რეაქციას, არამედ მხოლოდ მათ გარკვეულ ნაწილს. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ კვლევა და მსჯელობა დრაივრედუქციის მექანიზმების გარშემო დასწავლის ფსიქოლოგიის ფარგლებში ამოწურულად ვერ ჩაითვლება [15][19][24].

ჰალის მთავარი ოპონენტი მაინც ტოლმენი იყო. ისინი ერთმანეთს დასწავლის თეორიის ორ ფუნდამენტურ საკითხში დაუპირისპირდნენ: პირველი დასწავლის ფსიქოლოგიური არსის დადგენას ეხება. ამისთვის საჭიროა, გაირკვეს, თუ რა ახალი კავშირები იქმნება დასწავლის პროცესში და, საერთოდ, რა ფორმით შემოინახება გამოცდილება; მეორე საკითხი დასწავლის პროცესს ეხება. აქ მთავარია გავიგოთ, თუ რა პირობებია საჭირო დასწავლის ეფექტის მისაღწევად. ჰალს მიაჩნდა, რომ დასწავლა ნიშნავს S-R კონექციების (კავშირების) შექმნას დრაივრედუქციის საშუალებით, ხოლო ტოლმენი თვლიდა, რომ ამ შემთხვევაში წარმოიქმნება S1-S2 სტრუქტურები რედუქციის მოტივაციური მექანიზმის გარეშე.

ედვარდ ჩეიზ ტოლმენმა (1886-1959) უმაღლესი განათლება თავდაპირველად ფიზიკა-მათემატიკის განხრით მიიღო. ამის შემდეგ დაინტერესდა ფსიქოლოგიით; სწავლობდა ჰარვარდში, სადაც მას მიენიჭა დოქტორის წოდება ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დარგში. მანამდე იგი ერთ ხანს ეუფლებოდა ფსიქოლოგიას გერმანიაში, გეშტალტფსიქოლოგიის ერთ-ერთი ლიდერის, კ. კოფკას ხელმძღვანელობით. ალბათ აქედან მომდინარეობს მის მიერ ტრადიციული ფსიქოლოგიის ცნებების მიმღებლობა და ის გახსნილობა, რასაც იგი იჩენდა მისი თანამედროვე ევროპული მიმდინარეობების, განსაკუთრებით გეშტალტფსიქოლოგიისა და ფსიქოანალიზის მიმართ. ამავე დროს, ტოლმენი ყოველთვის რჩებოდა ბიჰევიორისტული მრწამსის პრინციპულ დამცველად. 1918 წლიდან მისი სახელი უკავშირდება ბერკლის (კალიფორნიის) უნივერსიტეტს, სადაც უდიდესი აღიარება მოიპოვა. ეკავა ხელმძღვანელი

პოსტები აშშ-ის სამეცნიერო საზოგადოებებში, იყო ნაციონალური აკადემიის წევრი და ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაციის პრეზიდენტი (1937).

ცნობილია, რომ უოთსონისეულ ბიჰევიორიზმს თავი მოჰქონდა ანტიფილოსოფიური პოზიციით. ტოლმენის შეხედულებას, ისევე როგორც მთელ ნეობიჰევიორიზმს, *ოპერაციონალიზმის* სახით ნათლად გამოკვეთილი ფილოსოფიური საფუძველი აქვს. ოპერაციონალიზმის იდეები, რომლებიც თავისი ბუნებით ლოგიკური პოზიტივიზმისა და პრაგმატიზმის ერთგვარი სინთეზია, პირველად 1927 წელს გამოთქვა ფიზიკოსმა პ. ბრიჯმენმა ამ მეცნიერების ცნებათა ობიექტურობისა და „მეცნიერულობის" დასაბუთებად. ოპერაციონალიზმის დასრულებულ ფილოსოფიურ სისტემად ჩამოყალიბების საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს როგორც ვენის წრის ფილოსოფოსებმა (კ. ნეირატი, რ. კარნაპი, მ. შლიკი), ისე ნეობიჰევიორისტმა ფსიქოლოგებმა (ე. ბორინგი, ბ. სკინერი, ს. სტივენსი, ე. ტოლმენი და სხვ.). ნეობიჰევიორიზმსა და ოპერაციონიზმს შორის ძალიან მჭიდრო კავშირი არსებობს. უფრო მეტიც, როგორც სპეციალისტები მიუთითებენ, „ძნელია იმის თქმა, ემპირიულად რომელი რომელს განსაზღვრავდა – ოპერაციონიზმის ფილოსოფია (მეცნიერების მეთოდოლოგია) ბიჰევიორისტულ ფსიქოლოგიას, თუ პირიქით, ბიჰევიორისტული ფსიქოლოგია ოპერაციონიზმს. ყოველ შემთხვევაში, ერთი უმთავრესი ფაქტორი, რომელიც ოპერაციონალიზმის ფილოსოფიური თეორიის დამუშავებას განაპირობებდა, ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიის პრინციპების დასაბუთების სურვილი იყო" [1; 62].

ოპერაციონალიზმის მიხედვით, ყოველგვარი მეცნიერული ცნების შინაარსს შეადგენენ არა საგნისა თუ მოვლენის თვისებები, არამედ დაკვირვებადი ოპერაციების (მოქმედებების) სისტემა, რომლითაც ეს ცნება დგინდება. ბრიჯმენი ნათელყოფს ამ დებულებას ფიზიკის ცნებების, სახელდობრ სიგრძის ცნების მაგალითზე, რომელიც მთლიანად დაიყვანება სიგრძის გაზომვის კონკრეტული ოპერაციების ჯამზე. იგივე ითქმის სხვა ცნებებზეც: სიჩქარე, მასა და ა.შ. თუ ცნება ოპერაციულ კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებს, ის მეცნიერულ აზრს მოკლებული ხდება. ასეა, მაგალითად, სივრცის უსასრულობის ცნების შემთხვევაში, რომლის შინაარსის დადგენა უსასრულო რაოდენობის ოპერაციების შესრულებას მოითხოვს. იგივე ითქმის ფსიქოლოგიური ცნებების მიმართაც. მათი შინაარსი შესაძლებელია და საჭიროა გამოიხატოს დაკვირვებადი ოპერაციების ტერმინებში, რომელთაც მიმართავს ცდისპირი თუ ექსპერიმენტატორი. ასეთი მიდგომის შემთხვევაში ფსიქოლოგიური ცნებები, რომლებიც თავისი სუბიექტურობის გამო ნაკლებად ექვემდებარებიან ობიექტურ და ე.ი. მეცნიერულ დახასიათებას, თითქოს ნახულობენ თავისი დადგენის ემპირიულად სანდო გზას. საბოლოო ჯამში, ოპერაციონალიზმი სწორედ ცნებათა მეცნიერულობის კრიტერიუმების დადგენას ცდილობს. ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ ისეთ ობიექტივისტურად ორიენტირებულ ფსიქოლოგიას, როგორიც ბიჰევიორიზმი იყო, ოპერაციონალისტური მეთოდოლოგია ზედმიწევნით ზუსტად მოერგო.

ტოლმენი ამ მეთოდოლოგიას, პირველ რიგში, *შუალედური ცვლადების* შესწავლის ამოცანასთან დაკავშირებით მიმართავს. ამ ცვლადებთან ერთად, რომელთა შემოტანითაც ტოლმენმა მნიშვნელოვნად გაამდიდრა ფსიქოლოგიის ცნებითი აპარა-

ტი, გამოიყოფა ე.წ. *დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადები.* დამოუკიდებელ ცვლადებად მიჩნეულია: გარემოს სტიმულები, ორგანიზმული ლტოლვა ანუ დარღვეული წონასწორობის საწყისი ფიზიოლოგიური მდგომარეობა, მემკვიდრეობა, გამოცდილება ანუ ძველი ვარჯიში და ასაკი. ეს ფაქტორები საწყისი მიზეზების სახით განსაზღვრავენ ქცევას, ანუ დამოკიდებულ ცვლადს, მაგრამ ამას უშუალოდ, პირდაპირ კი არ აკეთებენ, არამედ შუალედურ ცვლადებზე მოქმედების გზით.

თავის მთავარ ამოცანად ტოლმენი იმის ემპირიულ კვლევას მიიჩნევდა, თუ როგორ მიმდინარეობს შუალედური ცვლადების აღმოცენება-ფორმირება და, შემდგომ, მათი ჩართვა-რეალიზაცია ქცევის დეტერმინაციაში. ამ შუალედურ ცვლადებს მოტივაციური და შემეცნებითი რიგის მოვლენები შეადგენენ. მათ აღსანიშნავად ტოლმენი მიმართავს ტრადიციული ფსიქოლოგიის ცნებებს, ასეთებია: მიზანი, მოთხოვნილება, ლტოლვა, მზაობა, განზრახვა, მოლოდინი, გეშტალტი და სხვ. ეს არ ნიშნავს, რომ ტოლმენი ცნობიერების ფსიქოლოგიის ცნებებით ოპერირებს. პირიქით, როგორც ნამდვილი ბიჰევიორისტი, იგი მთლიანად გამორიცხავს ცნობიერების, ინტროსპექციის მონაცემებს. შუალედურ ცვლადებში შემავალი ფენომენებისა და პროცესების დახასიათება ხდება წმინდა ობიექტური მონაცემებით, ოპერაციონალურად, იმ რეგისტრირებული ცელილებების საშუალებით, რომლებსაც ისინი იწვევენ კონტროლირებად დამოუკიდებელ ცვლადებსა და ქცევაში. საბოლოოდ, ყველაფერი დაიყვანება ემპირიულად განხორციელებულ კონკრეტულ რეაქციებსა და ოპერაციებზე, რასაც ცდის სიტუაციაში ახორციელებს ცხოველი და მკვლევარი. ტოლმენის მიხედვით, შუალედური ცვლადები „მთლიანად უნდა განისაზღვრებოდნენ ოპერაციონალურად, ანუ ფაქტობრივად არსებული ექსპერიმენტული ოპერაციების ტერმინებში, რომლებიც განაპირობებენ მათ არსებობას ან არარსებობას და მიმართებას კონტროლირებად დამოუკიდებელ ცვლადებთან და საბოლოო დამოკიდებულ ქცევასთან“ [34; 101]. შუალედური ცვლადის კლასიკური მაგალითია შიმშილი, რომელსაც, როგორც შინაგან მდგომარეობას, ცდისპირში პირდაპირ ვერ დააკვირდები, ვერც ადამიანში და ვერც ცხოველში. მიუხედავად ამისა, შიმშილი შეიძლება სავსებით ობიექტურად და ზუსტად დავუკავშიროთ ექსპერიმენტულ ცვლადებს, მაგალითად: დროის ხანგრძლიობას, რომლის განმავლობაში ორგანიზმი მოკლებული იყო საკვებს, ან დამოუკიდებელი ცვლადის, ქცევის მახასიათებლებს – ვთქვათ, შეჭმული საკვების რაოდენობას ან მისი შთანთქვის სიჩქარეს. ამრიგად, არადაკვირვებადი ფაქტორი (ამ შემთხვევაში შიმშილი) ზუსტ ემპირიულ შეფასებას ექვემდებარება და ამით ხელმისაწვდომი ხდება გაზომვებისა და ექსპერიმენტული მანიპულაციებისთვის.

როგორც ვხედავთ, ტოლმენის ფსიქოლოგიური შეხედულება სავსებით იმსახურებს თავის ერთ-ერთ სახელწოდებას – *ოპერაციონალური ბიჰევიორიზმი.* ამავე დროს, ეს სახელწოდება არ არის ერთადერთი, მას აგრეთვე მოიხსენიებენ, როგორც *მოლარულ ბიჰევიორიზმს, მიზნობრივ ბიჰევიორიზმს და შემეცნებით ანუ კოგნიტურ ბიჰევიორიზმს.* უნდა ითქვას, რომ ყველა მათგანი მართებულია, რადგან სამივე ნაწარმოებია ტოლმენის მიერ გამოყოფილი ქცევის აღწერითი მახასიათებლებიდან. იგი ერთმანეთს უპირისპირებს ქცევის ორგვარ დახასიათებას: *მოლეკულარულს* და

მოლარულს. პირველს მიმართავდა უოთსონი მარტივი S-R კავშირების ანალიზისას. ამ კავშირის საფუძველზე აშენებული აქტივობა მთლიანად აღიწერება ფიზიკურ და ფიზიოლოგიურ ტერმინებში, ანუ დაიყვანება იმ პროცესებზე, რომლებიც რეცეპტორებში, გამტარ გზებსა და ეფექტორებში მიმდინარეობს. ტოლმენის სამართლიანი შენიშვნით, ასეთი მოლეკულარული მიდგომით ქცევის რამდენადმე მართებული გაგება შეუძლებელია. მისი აზრით, ყოველგვარი ქცევა მართლაც შეიცავს მოლეკულარულ სეგმენტებს, ანუ ფიზიოლოგიურ კომპონენტებს, მაგრამ იგი არ არის მათი მექანიკური ჯამი, არ დაიყვანება მათზე. ქცევა ახალი თვისებრიობაა, მას საკუთარი აღწერითი მახასიათებლები და ნიშნები აქვს. ტოლმენს მოჰყავს მოლარული ქცევის მაგალითები: ვირთხა დარბის ლაბირინთში, კატა გამოდის ექსპერიმენტული გალიიდან, ადამიანი მიემართება სახლში სასადილოდ, ბავშვი ემალება უცხოებს, ქალი ლაპარაკობს ტელეფონზე, მოსწავლე ავსებს ფსიქოლოგიურ ტესტს და ა.შ. მნიშვნელოვანი განსხვავებების მიუხედავად, მათ აერთიანებთ ის არსებითი გარემოება, რომ მოლარული ქცევა მთლიანი ორგანიზმის ერთიანი შეგუებითი აქტივობაა და არა იზოლირებული სენსომოტორული პასუხების რიგი.

მოლარულ ქცევას სამი ძირითადი აღწერითი ნიშანი აქვს: 1) *მიზნობრიობა ან მიზანმიმართულობა*. აქ არ იგულისხმება მიზანი, როგორც ცნობიერების ფენომენი. ქცევა ობიექტურად არის მიმართული რაიმე რეზულტატზე, მიზანზე, მიუხედავად იმისა, გაცნობიერებულია ის თუ არა. ამიტომ მიზანმიმართულობა ერთნაირად ახასიათებს ცხოველისა და ადამიანის ქცევას. ამ დებულებას მთლიანად ადასტურებს ტოლმენის საეტაპო შრომის სათაური: „მიზნობრივი ქცევა ცხოველებსა და ადამიანთან“; 2) მიზნის მისაღწევად გამოყენებულ ობიექტებთან მოპყრობის გარკვეული სურათი. როცა ადამიანი სამსახურიდან სახლში ბრუნდება, მისი ქცევა ხასიათდება არა მხოლოდ სათანადო მიზნით, არამედ იმ ობიექტებთან სპეციფიკური მოპყრობის წესით, რომლებიც ქცევის განხორციელების *საშუალებებია* (გზა, ტრანსპორტი და ა.შ.). არსებითად, აქ ლაპარაკია იმაზე, თუ რა კონკრეტული მოქმედებების გამოყენებით სრულდება ქცევა; 3) *სელექციუროობა* საშუალებებად გამოყენებული ობიექტების მიმართ. ამაში ვლინდება ორგანიზმის მზაობა, არჩეულ იქნეს ის საშუალებები, რომელთაც მიზნამდე უმოკლესი გზით მივყავართ. ერთი სიტყვით, ცხოველისა თუ ადამიანის ქცევაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ იგი მიმართულია მიზანზე, ხორციელდება გარკვეული საშუალებების გამოყენებით და რომ მიზნისა და საშუალებების მიმართება გარკვეული სტრუქტურით ხასიათდება. ეს სტრუქტურა *პლასტიკურია;* ამოცანისა და ვითარებების გათვალისწინებით, ინდივიდს საშუალება აქვს, აირჩიოს და ქცევაში ჩართოს სხვადასხვა სენსორული და მოტორული სისტემები. ამაში მჟღავნდება ქცევის გონიერება, „გამგებიანობა“ ან, უფრო ზუსტად, მისი *შემეცნებითი, კოგნიტური ბუნება*. მაშასადამე, „ქცევა, რომელიც განიხილება როგორც მოლარული, არის მიზნობრივი და კოგნიტური. მიზნები და შემეცნებითი მომენტები შეადგენენ მის უშუალო საფუძველსა და ქსოვილს“ [33; 38].

ყოველივე ეს ადასტურებს, რომ ტოლმენის თეორიის ყველა სახელწოდება, რომლებიც დაკავშირებულია ქცევის მოლარულობასთან, მიზნობრიობასა და კოგნიტუ-

რობასთან, კანონიერია. ისიც კანონზომიერია, რომ ყველაზე ხშირად ტოლმენის კონცეფციას კოგნიტურ ბიჰევიორიზმს უწოდებენ. საქმე ისაა, რომ ქცევის შემეცნებითი ხასიათი თეორიაში ელინდება არა მხოლოდ მოვლენის (ქცევის) აღწერის, არამედ ახსნის დროსაც. ეს განსაკუთრებით იჩენს თავს დასწავლის მექანიზმების დახასიათებისას. ყველა ბიჰევიორისტის მსგავსად, ტოლმენისთვისაც დასწავლის საკითხი ქცევის ფსიქოლოგიის ცენტრალური საკითხია.

ტოლმენის მიხედვით, დასწავლის არსი არა S-R კავშირის შექმნა და გაძლიერებაა, არამედ გარკვეული პერცეპტულ-კოგნიტური სტრუქტურების ჩამოყალიბება, რომლებიც შუალედური ცვლადებია. აქ, ფაქტობრივად, ლაპარაკია *ცოდნაზე*, სიტუაციაში გარკვეულ *ორიენტირებულობაზე*. ეს ცოდნა მოცემულია *მოლოდინების* სახით, რომლებიც აშუალებენ მიზნისა და საშუალებების ურთიერთმიმართებას. კოგნიტური სტრუქტურის (სხვანაირად გეშტალტის) ჩამოყალიბება ნიშნავს იმდაგვარი მოლოდინის წარმოქმნას, როცა მოცემულ სტიმულზე (S_1) გარკვეული მოქმედებით (R_1) პასუხის შემთხვევაში გაჩნდება სხვა სტიმული (S_2). ჩემი ძაღლი, ამბობდა ტოლმენი, ავტომანქანის საყვირის გაგონებაზე გზაზე გამოდის და ჩემი მანქანის გამოჩენას ელოდება.

ამრიგად, კოგნიტური სტრუქტურის ფორმულა ასე გამოიყურება: (S_1-R_1-S_2). ამგვარი სტრუქტურები ერთიანდებიან რთულ სისტემებში, რომელთაც ტოლმენი *კოგნიტურ რუკებს* უწოდებს. „სწორედ ეს რუკა მიუთითებს ქცევის გზებსა (მარშრუტებსა) და მიმართულებებზე, გარემოს ელემენტების ურთიერთკავშირებზე და, საბოლოო ანგარიშით, ზუსტად განსაზღვრავს, როგორ საპასუხო რეაქციას განახორციელებს ცხოველი“ [13; 67]. ასე მაგალითად, ლაბირინთიდან გამოსვლისას ცხოველი სამოძრაო ჩვევათა ერთობლიობას კი არ იძენს (როგორც ჰალი ფიქრობს), არამედ ლაბირინთის მარშრუტის ცოდნას, გზის კოგნიტურ რუკას. ეს რუკა, ფაქტობრივად, ლაბირინთის ასახვა, *რეპრეზენტაციაა*. მასში, ტოლმენის თქმით, მოცემულია ორიენტაცია სათანადო სტიმულებსა და რეაქციებს შორის არსებულ მიმართებებში: ამ კედლის დანახვისას უნდა გაკეთდეს გარკვეული მოძრაობა (მარჯვნივ გახვევა), რის შემდეგაც გამოჩნდება ახალი სტიმული, რომელზეც სხვაგვარი პასუხი იქნება საჭირო და ასე შემდეგ, მიზნამდე. იქმნება სიგნალთა გამოჩენის მოლოდინების ერთგვარი რიგი. თუ მოლოდინი არ გამართლდება, ქცევა შეიცვლება, თუ გამართლდება, პირიქით, *განმტკიცდება*. მაშასადამე, კოგნიტური რუკების ფორმირების პროცესი მოლოდინების გამართლებისა და არა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გზით ხორციელდება. ტოლმენის აზრით, შემეცნებითი სტრუქტურის წარმოქმნისთვის საჭიროა არსებობდეს გეშტალტის შექმნის ობიექტური პირობები – შინაგანი კუთვნილება, მეზობლობა დროსა და სივრცეში და სხვ. (აქ გამოჩნდა გეშტალტფსიქოლოგიის პირდაპირი გავლენა) და მოტივაცია. ეს უკანასკნელი აუცილებელია: 1) რათა ცოცხალი არსება დასწავლის პროცესში აქტიური იყოს და 2) რომ ის, რაც დასწავლილია, გამოვლინდეს. ამაშია მოტივაციის ფუნქცია. ჰალისგან განსხვავებით, ტოლმენი უარყოფს დასწავლის პროცესში დრაივის რედუქციის, მოთხოვნილების დაკმაყოფილების აუცილებლობას.

ეს მოსაზრება გარკვეულ ფაქტებს ეყრდნობა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი, უდავოდ, ე.წ. *ლატენტური დასწავლის* ექსპერიმენტია, რომელიც ასე გამოიყურება: ლაბირინთში მოთავსებული ვირთაგვების ერთი ჯგუფი ყოველთვის იღებს საჭმელს ლაბირინთიდან გამოსვლისას, ხოლო მეორე ჯგუფის ცხოველთა ქცევის განმტკიცება მხოლოდ რამდენიმე დღის მერე იწყება. მანამდე ისე გადაადგილდებიან ლაბირინთში, რომ საჭმელს არ იღებენ. მიუხედავად ამისა, მათი დასწავლის ეფექტურობის საბოლოო მაჩვენებლები თითქმის არ განსხვავდება პირველი ჯგუფის ცხოველების მონაცემებისგან, ე.ი. მათი დასწავლა ბევრად უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე ეს უნდა მომხდარიყო, თუ ლაბირინთი სრულიად უცხო იქნებოდა მათთვის. სავარაუდოა, რომ იმ დღეების განმავლობაში, როცა ცხოველების ქცევა არ მტკიცდებოდა, ისინი მაინც იძენდნენ ლაბირინთში სწორი მოქმედების გამოცდილებას, სწავლობდნენ გზას და იყენებდნენ ამ ცოდნას მაშინვე, როგორც კი ამის საჭიროება გაჩნდებოდა, ანუ როდესაც სწორ მოქმედებას განმტკიცება მოჰყვებოდა. ამ ექსპერიმენტებით თითქოს მტკიცდება, რომ დასწავლისთვის მოთხოვნილების დაკმაყოფილება აუცილებელი არ არის. თუმცა არსებობს ამ ცდების სხვაგვარი გააზრებაც, რომლის მიხედვითაც მოცემულ ცდებში მაინც ხდება გარკვეული სახის დრაივის, კერძოდ გამოკვლევის (ცნობისმოყვარეობა) მოთხოვნილების დაკმაყოფილება და, მაშასადამე, განმტკიცება.

ასეა თუ ისე, ტოლმენს მიაჩნდა, რომ აღნიშნული ექსპერიმენტები მხოლოდ იმას კი არ ამტკიცებს, რომ დასწავლა დრაივის რედუქციის გარეშეც ხორციელდება, არამედ ნაწილობრივ იმასაც, რომ დასწავლისას სწორედ კოგნიტური სტრუქტურები და არა S-R-კავშირები იქმნება, ცხოველები ლაბირინთში ორიენტაციას სწავლობენ. ამ თეზისის გასამტკიცებლად ტოლმენი მიუთითებდა იმ ადამიანებზე, რომლებიც კარგად იცნობენ ქალაქს ან მიდამოს; მათ შეუძლიათ, მივიდნენ ერთი წერტილიდან მეორეში სხვადასხვა გზით და მარშრუტით, რადგან აქვთ არემარის კოგნიტური რუკა. არსებითად იმავეს ადასტურებს ექსპერიმენტები, სადაც ცხოველები სწავლობენ ლაბირინთიდან გამოსვლას სირბილით, შემდეგ კი იძულებული ხდებიან, ლაბირინთიდან ცურვით (ე.ი. სრულიად სხვა მოძრაობების, რეაქციების გამოყენებით) გამოაღწიონ, რასაც წარმატებით ართმევენ თავს. გარდა ამისა, ნეიროფსიქოლოგიურ ცდებში ხდება სამოძრაო სისტემის სერიოზული დარღვევა, მაგრამ ცხოველის უნარი, მონახოს სწორი მიმართულება და უშეცდომოდ მიაღწიოს მიზანს, არ იცვლება.

ტოლმენის შეხედულება დასწავლაზე და ქცევასთან მის მიმართებაზე თითქოს უფრო პროგრესულად გამოიყურება. მართლაც, ჰალისგან განსხვავებით, მან აჩვენა, რომ ცოცხალი არსებები უბრალოდ კი არ რეაგირებენ გარემოცვაზე, ისინი ეცნობიან მას და თავის ქცევაში, მიმდინარე სტიმულებთან ერთად, იყენებენ გამოცდილებაში დაცულ გარემოს რეპრეზენტაციებს. ექსპერტების დასკვნით, „მართალია, ტოლმენმა ბევრი შერკინება წააგო S-R-ბიჰევიორისტებთან (იგულისხმება ჰალის სკოლა, ი.ი.), მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ თანამედროვე ფსიქოლოგია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს კოგნიტური პროცესების შესწავლას, მისი თეორია, მაინც, გამარჯვებული აღმოჩნდება“ [14; 311]. ამავე დროს, ტოლმენის კონცეფცი-

აში სერიოზულ სირთულეს ქმნის პომუნკულუსის პრობლემა. იგი არაპირდაპირი ფორმით გულისხმობს რეალური ვირთაგვის თავში პატარა ვირთაგვის არსებობას, რომელიც კითხულობს კოგნიტურ რუკებს და ირჩევს ქცევის მიმართულებას. ჰალის მიმდევრებმა ეს სირთულე შეუმჩნეველი არ დატოვეს [3][23]. და მაინც, მოლარული ქცევის არსებითი ნიშნების დახასიათებით, დასწავლის მექანიზმების ექსპერიმენტულ-თეორიული კვლევით და, რაც მთავარია, შუალედური ცვლადების იდეის შემოტანით, ტოლმენმა, უადავოდ, დიდი როლი შეასრულა ქცევის ფსიქოლოგიური შესწავლის საქმეში.

ნეობიჰევიორიზმის (პირველ რიგში, ჰალის) იდეების გადმოტანა პიროვნების ფსიქოლოგიის სფეროშიც სცადეს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია **ჯონ დოლარდისა** (1900-1980) და **ნილ მილერის** (1909-2002) კლასიკური შრომა „პიროვნება და ფსიქოთერაპია". ავტორებს სურთ ხიდის გადება ბიჰევიორიზმსა და ფსიქოანალიზს შორის. ფსიქოანალიზის ბევრი ცნება (განდევნა, გადატანა, იდენტიფიკაცია, სიმპტომი, სუპერეგო და სხვ.) განხილულია ბიჰევიორიზმის დებულებების ჭრილში. აქ იგულისხმება როგორც დასწავლისა და მეორეული დრაივების ფორმირების მექანიზმები, ისე მილერის მიერ ჩამოყალიბებული მოტივაციური ტენდენციების კონფლიქტის მოდელი. ამ მოდელში მილერმა გამოიყენა კ. ლევინის მოსაზრება მოტივაციური კონფლიქტის სამი სახის თაობაზე (მიახლოება-მიახლოება, განრიდება-განრიდება და მიახლოება-განრიდება) და ჰალის სკოლაში გამოთქმული ჰიპოთეზა ე.წ. *მიზნის გრადიენტის* შესახებ. ამ ჰიპოთეზის თანახმად, მისწრაფების ძალა მიზან-ობიექტთან მიახლოების კვალდაკვალ იზრდება (მიახლოების *გრადიენტი).* შესაბამისად, განრიდების ტენდენცია მით უფრო დიდია, რაც უფრო მცირეა მანძილი უარყოფითი ვალენტობის მქონე ობიექტამდე (განრიდების *გრადიენტი).* ეს უკანასკნელი ტენდენცია პირველზე უფრო ძლიერია. მილერმა კონფლიქტის ტიპებისა და მიზნის გრადიენტის კონცეპტები ექსპერიმენტულად გაამყარა და შექმნა *მოტივაციური კონფლიქტის საერთო მოდელი* [15][16].

მილერმა და დოლარდმა გამოიყენეს ეს მოდელი, ასევე შეხედულება შიშსა და შფოთვაზე, როგორც მეორეულ დრაივებზე და მათ რედუქციაზე იმის საჩვენებლად, თუ როგორ ხდება ნევროტული ქცევის ფორმირება. განვითარების პროცესში ბავშვმა უნდა მოახერხოს (ისწავლოს) თავისი პირველადი დრაივების (კვებითი იქნება, სექსუალური თუ აგრესიის) სოციალურად მისაღებ ფორმაში რეალიზება. ამ ტენდენციების მიუღებელი ფორმით გამოვლენა ისჯება უფროსების მიერ. დასჯა იწვევს გარკვეული სტიმულების მიმართ შიშის ან შფოთვის მეორეული დრაივების ფორმირებას. ეს დრაივები თვითონ ხდებიან ისეთი აქტივობის აღმძვრელები, რომლებიც მათ რედუქციას იწვევს (მაგალითად, ბრძოლის ან განრიდების რეაქცია), ხოლო ეს რედუქცია, თავის მხრივ, მათ განმტკიცებას უზრუნველყოფს. თუ ამ ყველაფერს მიახლოება-განრიდების ტენდენციების კონფლიქტსაც დავუმატებთ, მივიღებთ იმის სურათს, თუ როგორ ხდება, დასწავლის თეორიის თვალსაზრისით, ნევროტული კონფლიქტების სიმპტომების, ანუ ნევროზის ჩამოყალიბება.

მილერი და დოლარდი იმითაც ინტერესდებიან, თუ როგორაა შესაძლებელი ამ ნევროზების მკურნალობა. ისინი თანმიმდევრულნი არიან და ფსიქოთერაპიის პრინციპებსაც დასწავლის კანონზომიერებების შესაბამისად განიხილავენ. თუ ნევროტული ქცევა დასწავლის შედეგია, ამბობენ ისინი, მაშინ საწინააღმდეგო ეფექტის მიღწევა (დასწავლილის ჩაქრობა) შესაძლებელია იმავე პრინციპების შესაბამისად, რითაც დასწავლა ხორციელდებოდა. ფსიქოთერაპია ქმნის პირობების სისტემას, რომელიც დასწავლილი ნევროტული ჩვევების მოსპობისა და არანევროტული ჩვევების დასწავლის საშუალებას მოგვცემს. ამ შემთხვევაში თერაპევტი „მასწავლებლად" წარმოგვიდგება, ხოლო პაციენტი – „მოწაფედ" [20].

მილერმა და დოლარდმა უთუოდ მისცეს გარკვეული ბიძგი *ქცევითი ფსიქოთერაპიის* განვითარებას, მაგრამ ბიჰევიორალური ფსიქოთერაპიის ფუძემდებლად მაინც **ჯოზეფ ვოლპე** (1915-1997) ითვლება. ბიჰევიორიზმთან სრულ შესაბამისობაში, იგი *ნევროტულ ქცევას* განსაზღვრავს როგორც დასწავლის პროცესში შეძენილი არაადაპტური ქცევის ჩვევას. ვოლპემ შეიმუშავა სპეციალური ტექნიკა პირობითი, შეძენილი ნევროტული რეაქციების ჩასაქრობად. ეს არის ე.წ. *სისტემატური დესენსიბილიზაცია.* ვოლპე იყენებდა *პროგრესული კუთხური რელაქსაციის* ტექნიკას. პაციენტს ასწავლიან ღრმა რელაქსაციას. შემდეგ, რელაქსაციის მდგომარეობაში, მან თანმიმდევრულად უნდა წარმოიდგინოს გარკვეული სიტუაციები, რომლებიც მის კონკრეტულ შიშს უკავშირდება. თერაპევტი წინასწარ ადგენს ასეთი სიტუაციების იერარქიულ ნუსხას. თავდაპირველად პაციენტი წარმოიდგენს შფოთვასთან ან შიშთან ყველაზე ნაკლებად ასოცირებულ სიტუაციას. თუ რელაქსაციის ფონზე ის შემაწუხებლად აღარ განიცდება, მაშინ იწყება მუშაობა შედარებით უფრო მძიმე სიტუაციის წარმოდგენაზე და ა.შ. საბოლოოდ, ყველაზე მძიმე სიტუაციებიც კი შიშს აღარ იწვევს. არსებობს ამ ტექნიკის სხვა ვარიანტებიც. მაგალითად, ზოგიერთ შემთხვევაში, პაციენტს პირდაპირ ათავსებენ ფობიურ სიტუაციაში. ფსიქოკორექციულ და ფსიქოთერაპიულ პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება სხვა სახის ბიჰევიორალური მეთოდებიც (თუნდაც იგივე სკინერის „ჟეტონების სისტემა", რომელსაც ქვემოთ შევეხებით), ოღონდ ყველა მათგანში შენარჩუნებულია ბიჰევიორიზმიდან გამომდინარე მთავარი ამოსავალი პრინციპი – უნდა მოხდეს ცხოვრების პროცესში შემუშავებული, დასწავლილი არაადაპტური ქცევის ლიკვიდაცია, ტრანსფორმაცია ან ახლით შეცვლა დასწავლის კანონზომიერებების შესაბამისად [6][26].

კლასიკური ბიჰევიორიზმის უნაყოფობა S-R-სქემის შეზღუდულობით იყო გამოწვეული. ჰალი, ტოლმენი და მათი მიმდევარი ნეობიჰევიორისტები ამ სქემის შუალედური ცვლადებით შევსების გზით ცდილობდნენ ქცევის ადეკვატური მოდელის ჩამოყალიბებას. მაგრამ ისინიც სერიოზული წინააღმდეგობების წინაშე აღმოჩდნენ, რასაც, საბოლოოდ, ნეობიჰევიორიზმის კრახი მოჰყვა. საქმე ისაა, რომ შუალედურ ცვლადებს, ფაქტობრივად, კვლევაში შემოჰქონდათ ფსიქიკური (შემეცნებითი და მოტივაციური) ფაქტორები, რომელთა გარეშე ორგანიზმისა და გარემოს აქტიური ადაპტაციური ურთიერთმიმართება, ანუ ქცევა შეუძლებელია. ნეობიჰევიორიზმის მიღწევები, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოდ დასწავლის კანონზომიერებათა შეს-

წავლისას გამოვლინდა, სწორედ ამ ვითარების გათვალისწინების შედეგი იყო. მეორე მხრივ, პოზიტივიზმისა და მისი ნაირსახეობის, ოპერაციონიზმის მეთოდოლოგიაზე დამყარებული ობიექტივისტური მიდგომა, რაც, საზოგადოდ, ყოველგვარი ბიჰევიორიზმის არსებითი ნიშანია, რეალურად შეუძლებელს ხდიდა ამ ცვლადების ადეკვატურ გააზრებას. იგი კრძალავდა მათ წარმოდგენას შინაგანი, ფსიქიკური სამყაროს მოვლენების სახით და მოითხოვდა მათ აღწერას ობიექტურად დაკვირვებადი პროცედურებისა და ოპერაციების საშუალებით. ობიექტური ოპერაციებით კი მხოლოდ ობიექტურ ფაქტებს თუ გამოავლენ. ამრიგად, განაგრძობდა რა თეორიაში ფსიქიკის მნიშვნელობის უარყოფას, ნეობიჰევიორიზმი, ფაქტობრივად, უშვებდა ქცევაში ფსიქიკის მონაწილეობას. ეს წინააღმდეგობა, ბოლოს და ბოლოს, იმდენად საგრძნობი გახდა, რომ თვით ტოლმენი იძულებული შეიქნა, თავის ერთ-ერთ ბოლო შრომაში განეცხადებინა: „შუალედურ ცვლადებს მივყავართ ისეთ ჰიპოთეზებამდე, რომელთა საფუძველია ინტუიცია, საღი აზრი, ფენომენოლოგია და ძალიან ზოგადი, არცთუ მთლად გამოკვეთილი ნეიროფიზიოლოგიური იდეები“ [34; 98]. ეს აღიარება ძალიან ნიშანდობლივია; ის ეკუთვნის მკვლევარს, რომელმაც ფსიქოლოგიაში შუალედური ცვლადების ცნება შემოიტანა და, აქედან გამომდინარე, შესაძლებლად ჩათვალა ფსიქოლოგიური ცნებებისთვის ობიექტური მნიშვნელობის მინიჭება. მაგრამ რა უნდა ითქვას ბიჰევიორისტზე, რომელიც ეყრდნობა ფენომენოლოგიას და ინტუიციას? 1960 წელს გამოცემულ ცნობილ წიგნში მილერი, გალანტერი და პრიბრამი შეეცადნენ, პასუხი გაეცათ ამ კითხვაზე. ისინი მსჯელობენ, თუ რამდენად აზრიანია, რომ ცნობიერების ფენომენებს, კერძოდ გეგმას, შუალედური ცვლადი ეწოდოს და ამით ოპერაციონალური ბიჰევიორიზმის ტერმინებში გამოიხატოს. საბოლოოდ, ავტორები მიდიან დასკვნამდე, რომ ეს არაფერს მოიტანს, ვინაიდან, თუ ბიჰევიორისტი, ძირითადად, თანახმაა, საქმე იქონიოს ინტროსპექციის მონაცემებთან, იგი უკვე სუბიექტური ბიჰევიორისტია, მიუხედავად იმისა, სურს მას ეს, თუ არა[1]. სწორედ ასე დაემართა ნეობიჰევიორიზმს. სამოციანი წლებიდან ის თანდათანობით თმობდა პოზიციებს. ქცევის მოდელები სულ უფრო მეტად ივსებოდა სუბიექტური შინაარსით. ეს იქამდე გრძელდებოდა, ვიდრე თეორიული პარადიგმა რადიკალურად არ შეიცვალა და ასპარეზზე ახალი მიმდინარეობა – კოგნიტივიზმი არ გამოვიდა (იხ. X თავი).

გვიანდელი ბიჰევიორიზმის წამყვანი ფიგურაა **ბერას ფრედერიკ სკინერი** (1904-1990). იგი XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფსიქოლოგია, მრავალი წოდებისა და ჯილდოს მფლობელი. სკინერმა დაამთავრა ჰამილტონ-კოლეჯი ნიუ-იორკში და ასპირანტურა ჰარვარდში, სადაც 1931 წელს მიენიჭა ფილოსოფიის დოქტორის წოდება. შემდგომში მოღვაწეობდა მინესოტისა და ინდიანის შტატების უნივერსიტეტებში, ხოლო 1948 წლიდან ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორია. 30-იანი წლებიდან სკინერი შეუდგა დასწავლის მექანიზმების კვლევას ცხოველებში – „ორგანიზმების ქცევა“ (1938); 50-იანი წლებიდან დაიწყო თავისი მოდელის გავრცე-

[1] თუმცა ავტორები თავს სუბიექტურ ბიჰევიორისტებს უწოდებენ ისინი კარგად გრძნობენ ამ ტერმინის წინააღმდეგობრიობას [4]. შემდგომში მიმდინარეობას, რომლის სათავეებთან ისინი იდგნენ, კოგნიტური ფსიქოლოგია შეერქვა.

ლება ადამიანის ქცევაზე – „მეცნიერება და ადამიანის ქცევა" (1953), „ვერბალური ქცევა" (1957), ხოლო 70-იანი წლებიდან სოციალური ქცევისა და საზოგადოებრივი მოვლენების გაგებაზეც – „თავისუფლებისა და ღირსების მიღმა" (1971). განმაზოგადებელი შრომებიდან აღსანიშნავია წიგნები: „ბიჰევიორიზმის შესახებ" (1974) და „ფიქრები ბიჰევიორიზმსა და საზოგადოებაზე" (1978).

სკინერის აზრით, მეცნიერება ფაქტებიდან ამოდის და კანონზომიერებისკენ მიემართება. მისი ზოგადი მიზანია მოვლენების პროგნოზირება და მართვა. *ქცევის ანალიზისას* (ასე უწოდებს სკინერი თავის მიდგომას ფსიქოლოგიისადმი) კვლევა უნდა მიმდინარეობდეს მარტივიდან რთულისკენ, ამიტომ უნდა დავიწყოთ შედარებით დაბალი რიგის ორგანიზმების შესწავლით, სადაც უფრო ადვილია ქცევის გამომწვევი გარემო ფაქტორების კონტროლი და მანიპულაცია. ადამიანის ქცევას აქვს თავისი სპეციფიკა, მაგრამ ფუნდამენტური კანონზომიერებები ყველგან ერთია. ამ კანონზომიერებების გამოვლენა შესაძლებელია ერთეული ორგანიზმის შესწავლისას, ამიტომ საჭირო არ არის დიდი რაოდენობის ინდივიდების კვლევასთან დაკავშირებული სტატისტიკური მეთოდების გამოყენება. ასეთია, მოკლედ, სკინერის სისტემის მეთოდოლოგიური პრინციპები. რაც შეეხება საკუთრივ ფსიქოლოგიურ თეორიას, ჰალთან და ტოლმენთან შედარებით, სკინერი უფრო *რადიკალური ბიჰევიორიზმისკენ* იხრება (მის სისტემას ასეც უწოდებენ ხოლმე). იგი ანალიზის ორწევრიან სქემას უბრუნდება და მხოლოდ დაკვირვებად ცვლადებს აღიარებს. ესენია: *სტიმული, რეაქცია და განმტკიცება*, რომლებიც ობიექტურად ფიქსირდება და იზომება. მათი ურთიერთმიმართების ზუსტი აღნუსხვითა და დახასიათებით შესაძლებელი ხდება *ქცევის მართვა, კორექცია, კონტროლი*, რაც, სკინერის აზრით, ფსიქოლოგიური მეცნიერების საბოლოო მიზანია. მისი განხორციელება ფსიქოლოგიის პრაქტიკული გამოყენების საშუალებას იძლევა. სწორი, ადაპტური რეაქციების ფორმირების პროცესის კანონზომიერებათა შესასწავლად სკინერმა უამრავი ცდა ჩაატარა. ამისთვის მან გამოიგონა სპეციალური ექსპერიმენტული დანადგარი, რომელსაც შემდგომში სკინერის პრობლემური ყუთი შეარქვეს. ის თორნდაიკის პრობლემური ყუთების პირდაპირი მემკვიდრეა და არის გალია, რომელშიც დამაგრებულია მანიპულატორი (ბერკეტი ან ღილაკი). გალიაში მოთავსებული მშიერი ცხოველი (სკინერი ცდებს თეთრ ვირთაგვებსა და მტრედებზე ატარებდა) შემთხვევით ეხება (თათით ან ნისკარტით) მანიპულატორს და იღებს განმტკიცებას (საკვებ ბურთულას). ფიქსირდება დაწოლის ძალა, სიხშირე და ხანგრძლიობა, რაც რეაქციების ბევრად უფრო ზუსტი აღრიცხვის საშუალებას იძლევა, ვიდრე, თუნდაც, თორნდაიკის ყუთებში იყო შესაძლებელი.

ამ ხელსაწყოთი შეისწავლება რეაქციების გაძლიერების ან შესუსტების კანონზომიერებები სხვადასხვა სტიმულისა (სინათლე, ხმა) და განმამტკიცებელი აგენტების (დადებითი ან უარყოფითი) მიწოდების რეჟიმებთან მიმართებით. მაგალითად, შესაძლებელია, განმტკიცება მხოლოდ გარკვეული სენსორული სიგნალის მერე ხდებოდეს; ასევე შესაძლებელია, ცვალებადობდეს თვით *განმტკიცების სქემა* – იყოს *მუდმივი ან ნაწილობრივი*. პირველ შემთხვევაში, განმტკიცდება ყველა სწორი რეაქცია. გამოირკვა, რომ განმტკიცების ასეთი რეჟიმის პირობებში რეაქცია სწრაფად

გამომუშავდება, მაგრამ სწრაფადვე ქრება. ამ კუთხით უფრო ეფექტურია ნაწილობრივი განმტკიცება. ის, თავის მხრივ, შეიძლება იყოს ორი სახის: *რეგულარული და არარეგულარული (ვარიატიული).* პირველ შემთხვევაში განმტკიცება ხდება ყოველთვის რეაქციების გარკვეული რაოდენობის შესრულების ან გარკვეული დროის მონაკვეთის გაელის შემდეგ; მეორე შემთხვევაში, განმტკიცება არ უკავშირდება რეაქციების მკაცრად განსაზღვრულ რიცხვს ან დროის ინტერვალს. ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ ძლიერი და მყარი რეაქციების მისაღებად ყველაზე ეფექტური სწორედ ვარიატიული განმტკიცების რეჟიმია [28]. თავად განმტკიცება შეიძლება ორი სახის იყოს: *პოზიტიური და ნეგატიური.* პოზიტიური განმტკიცება რეაქციის შემდეგ დადებითი სტიმულის (მაგალითად: საკვები, სითხე, სექსუალური კონტაქტი) მიცემას გულისხმობს, ხოლო ნეგატიური განმტკიცებისას უარყოფითი სტიმულაციის (მაგალითად: ტკივილის მომგვრელი ელექტროდენი, უსიამოვნო ხმა, ძალიან მაღალი ან დაბალი ტემპერატურა და ა.შ.) მოცილება ხდება. მთავარი ისაა, რომ ორივე შემთხვევაში განმტკიცების წინმსწრები ქცევა ძლიერდება, ანუ ანალოგიურ სიტუაციაში მისი შესრულების ალბათობა მატულობს [25].

ქცევის მოდიფიცირებისა და კონტროლის კიდევ ერთი გზა არის დასჯა; იგი ქცევის გამოვლენის ალბათობის შემცირებას ისწევს. დასჯა განიმარტება როგორც უარყოფითი სტიმულის შეტანა ან დადებითის მოშორება. შესაბამისად, განმტკიცების მსგავსად, დასჯის ორი სახეობა გამოიყოფა: დადებითი და უარყოფითი. *დადებითი დასჯისას,* ქცევის შემდგომ, ინდივიდს უარყოფითი (ავერსიული) სტიმული მიეწოდება, ანუ სიტუაციას ემატება რაღაც და ამ აზრით არის ეს პროცესი „დადებითი" (მაგალითად: მტკივნეული გამღიზიანებელი, გაკიცხვა, ჯარიმა და სხვ.); *უარყოფითი დასჯის* დროს ქცევას მოჰყვება სასურველი სტიმულის ჩამოშორება, ანუ სიტუაციას აკლდება რაღაც და ამიტომაა ეს პროცესი „უარყოფითი" (მაგალითად: საკვების წართმევა, თამაშის აკრძალვა, თავისუფლების აღკვეთა და სხვ.). არასასურველი ქცევის მყისიერი დათრგუნვის თვალსაზრისით, დასჯა შეიძლება ეფექტური იყოს, მაგრამ ხანგრძლივ პერსპექტივაში იგი, როგორც წესი, არაეფექტურია. მეტიც, მას შეიძლება, მთელი რიგი უარყოფითი შედეგებისა მოჰყვეს, მაგალითად, გამოიწვიოს მძიმე განცდები (ფრუსტრაცია, შიში, შფოთვა, დეპრესია, დაურწმუნებლობა და ა.შ.), რომლებიც არასასურველი ქცევის აღკვეთის შემდეგაც განაგრძობენ თავის დამანგრეველ ზემოქმედებას ინდივიდის სხვა ქცევებზე. ამიტომ სკინერი მიიჩნევს, რომ დასჯას მხოლოდ მაშინ უნდა მივმართოთ, თუ განმტკიცების მექანიზმის გამოყენება შეუძლებელია.

სკინერი თვლის, რომ ყველა მოქმედება, რეაქცია შეიძლება ორ კლასად დაიყოს: პირველს მიეკუთვნება რეაქციები, რომლებსაც პავლოვი შეისწავლიდა. მათ სკინერი *რესპონდენტულს* უწოდებს. ამ შემთხვევაში რეაქცია ყოველთვის არის პასუხი რაიმე სტიმულზე (უპირობო ან პირობით გამღიზიანებელზე). დასწავლის არსი კი ისაა, რომ ძველი რეაქცია (მაგალითად, ნერწყვის გამოყოფა) უკავშირდება ახალ გამღიზიანებელს (სინათლე ან ბგერა), უპირობო და პირობითი გამღიზიანებლების დროში მეზობლობის გამო. ამასთან, რეაქცია ყოველთვის და ავტომატურად მტკიცდება.

სკინერის ყუთში ცხოველი სხვაგვარ მოქმედებას ახორციელებს. მას *ოპერანტული* რეაქცია ეწოდება და არ წარმოადგენს უშუალო პასუხს რაიმე სტიმულზე. ახალი რეაქცია (ბერკეტზე დაწოლა, ღილაკზე ნისკარტის დარტყმა) სპონტანურად აღმოცენდება და მტკიცდება, თუ ის სწორია. ამ შემთხვევაში დასწავლა ახალი რეაქციის მონახვითა და გაძლიერებით გამოიხატება. მოქმედება განმტკიცების მიღების საშუალებაა, მისი ინსტრუმენტია. ამიტომ ასეთ დასწავლას, მილერისა და კონორსკის შემდეგ, *ინსტრუმენტულსაც* უწოდებენ [5][12]. რესპონდენტული აქტივობის მაგალითებია: თვალის დახამხამება, მუხლის მოხრა, ნერწყვის გამოყოფა, შიშის რეფლექტორული რეაქციები და ა.შ.; ოპერანტული აქტივობის პატერნებია: წერა, კითხვა, დანა-ჩანგლით ჭამა, ავტომობილის ტარება, ფორტეპიანოზე დაკვრა და ა.შ.

ოპერანტულ რეაქციებს სკინერი აქტიურ ქცევად განიხილავს. სწორედ მათი საშუალებით ხორციელდება გარემოსთან შეგუება. ბუნებრივად მიმდინარე ადაპტაციის პროცესში ოპერანტული ქცევის ფორმირება და შეცვლა განმტკიცებებთან მისი თანხვედრის შემთხვევითობაზეა დამოკიდებული. მაგრამ, თუ მოქმედების განმტკიცებასთან შეუღლების პროცესი მიზანდასახულად არის წარმართული, შესაძლებელი უნდა იყოს ქცევის მართვა ისე, როგორც გვესაჭიროება. ადამიანის ყველა მეტნაკლებად რთული ქცევა ოპერანტული ბუნებისაა და ექვემდებარება იმ ზოგად კანონზომიერებებს, რაც ცხოველთა ქცევის შესწავლის საშუალებით დადგინდა. დასწავლის ფუნდამენტური პრინციპები და მექანიზმები, სკინერის აზრით, თავისუფლად შეგვიძლია მივუყენოთ ადამიანს, როცა მისი ქცევის ფორმირების, კონტროლისა და რეგულაციის ამოცანებია გადასაწყვეტი. აქედან გამომდინარე, *ოპერანტული განმტკიცების ტექნიკა* გამოყენებულ იქნა მოსწავლეებისა და სტუდენტების სწავლებაში, გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვების აღზრდაში, ფსიქიკურ დაავადებათა მკურნალობაში და ა.შ. ფსიქიკური დაავადება ავადმყოფობად არც განიხილება. ადამიანი ავად კი არ არის, არამედ, უბრალოდ, არაადეკვატურად რეაგირებს სტიმულებზე; მას არასწორი ქცევა აქვს ჩამოყალიბებული. ამ დეფექტის გასაგებად და აღმოსაფხვრელად სულიერი ტრავმების, ცნობიერი თუ არაცნობიერი კონფლიქტების, განდევნილი ლტოლვებისა თუ თვითშეფასების მექანიზმებზე კი არ უნდა ვილაპარაკოთ, არამედ ქცევის მართვის პრინციპებს მივმართოთ. ამ პრინციპების თანახმად, ადამიანებს არასწორი, „ავადმყოფური" ქცევა იმიტომ უყალიბდებათ, რომ სოციალურ გარემოში ადაპტური ქცევა არ იყო სათანადოდ განმტკიცებული და ხდებოდა არაადეკვატური ქცევის განმტკიცება. ასეა თუ ისე, მდგომარეობის გამოსწორება, ანუ ქცევის მოდიფიკაცია, გაუმჯობესება, ყველა შემთხვევაში შედარებით უფრო ადაპტური და ადეკვატური აქტივობის თანდათანობითი განმტკიცების გზით ხორციელდება.

ქცევის მოდიფიკაციის ტექნოლოგიის ერთ-ერთი ვარიანტი ფსიქიატრიულ კლინიკებში გავრცელებული ე.წ. *ჟეტონების სისტემაა*. პაციენტების მიერ სხვადასხვა პოზიტიური მოქმედებების შესრულება (მაგალითად: ოთახის დალაგება, მორიგეობა სასადილოში, ინიციატივის გამოჩენა და სხვ.) ჯილდოვდება ჟეტონებით. პაციენტებს შეუძლიათ ამ ჟეტონების გადაცვლა მათთვის სასურველ საგნებზე (სიგარეტი, ტკბილეული, ჟურნალი, კინოს ბილეთი და ა.შ.). ფსიქიატრიული კლინიკის მკაცრად

კონტროლირებად პირობებში, ფაქტობრივად, შესაძლებელია, რომ პაციენტის თითქმის ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილება რაიმე „კარგი“ ქცევის შესრულებას ან არშესრულებას დაუკავშირდეს. ირკვევა, რომ ჟეტონებით განმტკიცების ეს სისტემა საკმაოდ ეფექტურია არაადაპტური ქცევების ჩაქრობისა და ადაპტური ქცევების ფორმირების თვალსაზრისით. ქცევის მოდიფიკაციის ამ პროგრამამ გაამართლა სხვა სიტუაციებშიც, სახელდობრ, გონებაჩამორჩენილებთან, დელიკვენტურ მოზარდებთან, აგრესიულ ან აუტისტურ ბავშვებთან, აგრეთვე სასკოლო თუ საოჯახო პრობლემების დარეგულირებისას.

თავის დროზე ფართოდ გავრცელდა სკინერის მიერ შექმნილი *პროგრამირებული სწავლების* მეთოდი. სკოლაში საგნების სწავლების ეფექტურობის ასამაღლებლად, აქაც ოპერანტული დასწავლის პრინციპები გამოიყენეს. სკინერი ყოველგვარ ცოდნას განსაზღვრავს როგორც გარკვეული მასალით სარგებლობის უნარს საჭირო შედეგის მისაღწევად. ამიტომ პედაგოგიურ პროცესში ცოდნის მიღება, არსებითად, ორ რაიმეს გულისხმობს: სწორი მოქმედების მონახვას და მის ფიქსაციას. ამ პრინციპებზე აგებული სასწავლო პროგრამები მოთავსებულია სპეციალურ სასწავლო მანქანებში. პროგრამა არის კადრების გრძელი თანმიმდევრობა. ის შეიცავს გარკვეულ ინფორმაციას შესასწავლი საგნის შესახებ და ტექნოლოგიას, რომელიც უზრუნველყოფს ამ ინფორმაციის ეფექტურ გაგება-შეთვისებას და ცოდნის შემოწმებას. ამისთვის მოწაფეს ინფორმაცია ეძლევა ნაბიჯ-ნაბიჯ, მცირე დოზებით; სასწავლო მასალაში შეტანილია ხარვეზები, გამოტოვებულია სიტყვები ან სიმბოლოები, რომლებსაც მოსწავლე ავსებს და ამით მუდმივად აქტიურ მდგომარეობას ინარჩუნებს. უზრუნველყოფილია უწყვეტი უკუკავშირი და მოსწავლე დაუყოვნებლივ იღებს ინფორმაციას თავისი შედეგების შესახებ. ცოდნის ფიქსაცია-გამყარებისთვის გამოყენებულია გამეორებისა და განმტკიცების სისტემა. ეს უკანასკნელი ძალიან მნიშვნელოვანია ოპერანტული დასწავლის მეთოდოლოგიისთვის. სკინერი ხაზს უსვამს, რომ „აუცილებელია გამომუშავდეს პედაგოგიური განმტკიცებების პროგრამა, რომლის შესაბამისად სწორი რეაქციები მუდმივად უნდა „ფასდებოდეს“ [11; 77]. ამისთვის გამოიყენება სიტყვიერი წახალისება, შექება ან, უბრალოდ, იმის შეტყობინება, რომ პასუხი სწორია – წარმატება თავისთავად ახდენს სწავლების პროცესის სტიმულირებას. დასჯას საერთოდ არ მიმართავენ. სკინერი თვლის, რომ დასჯა არ აუმჯობესებს დასწავლას, თუმცა სკოლა, ტრადიციულად, ყოველთვის მიმართავდა მას. იცავს რა პროგრამირებულ სწავლებას, სკინერი ამტკიცებს, რომ თანამედროვე სასკოლო სისტემა მთლიანად გაკოტრებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან მას არ შეუძლია, სხვაგვარად აიძულოს მოსწავლე, ისწავლოს, თუ არ დააშინა იგი უსწავლელობის მოსალოდნელი შედეგებით. ავტორი თავისი გამოგონების ბევრ უპირატესობაზე მიუთითებს. პროგრამირებული სწავლებისას სწავლის პროცესი მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად მიმდინარეობს; რთულ მასალაზე გადასვლა მხოლოდ წინა თემების სრულყოფილი ათვისების შემდეგ ხდება; შემთხვევითობა და ეშმაკობა გამორიცხულია, ვინაიდან სწორი პასუხი საკითხში გარკვეულობას გულისხმობს; მოსწავლე ზუსტადაა ინფორმირებული თავისი წარმატებების შესახებ.

დღეს სასწავლო მანქანები კომპიუტერებმა შეცვალა. ამან განუზომლად უფრო ეფექტური და საინტერესო გახადა სწავლის პროცესი. კომპიუტერი ცოდნის (ინფორმაციის) მიწოდების უზარმაზარ შესაძლებლობებს ფლობს, თანაც, კომპიუტერი ცოდნის გადაცემით არ იზღუდება. ის მოსწავლესთან დიალოგში შედის, აძლევს რჩევებს, ახსენებს, მიანიშნებს, აჩვენებს საკითხს სხვადასხვა რაკურსში და ა.შ.

პროგრამირებულ სწავლებას თავისი ოპონენტები ჰყავს. ითვლება, რომ ამ მეთოდის გამოყენებისას იკარგება ყოველივე დადებითი, რაც ჯგუფურ სწავლებას ახასიათებს (ჯგუფური ენერგია, საერთო ენთუზიაზმი და ა.შ.); იგი ხელს უწყობს იზოლაციასა და ინდივიდუალიზაციას. ეს, გარკვეულად, მართებულია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ჯგუფურ სწავლებასაც თავისი სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს. კომპიუტერული პროგრამები ამ სირთულეების დაძლევის საშუალებას იძლევა. მათი მეშვეობით შესაძლებელი ხდება ურთიერთობა არა მხოლოდ კლასის შიგნით, არამედ, ფაქტობრივად, მთელ მსოფლიოსთან.

რაც შეეხება *სოციალური ქცევის* ანალიზს, აქ ისეთივე სურათია, რაც სხვა სახის ქცევების შემთხვევაში. სკინერს მიაჩნია, რომ სოციალური ქცევის მართვისთვის განმტკიცებათა ორგანიზებული და ეფექტური სისტემაა საჭირო. ასეთი მიდგომისას „ლიტერატურა, ფერწერა და ესტრადა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც კარგად გააზრებული განმტკიცებები“ [11; 78]. ადამიანის შინაგანი სამყაროს გამომხატველი ცნებები – განზრახვა, მიზანი, გონება, თვითცნობიერება და პიროვნებაც კი – „ახსნით ფიქციებად“ არის მიჩნეული; მეორე მხრივ, იგნორირებულია ის, რომ ქცევა, პირველ რიგში, აქციაა და არა რეაქცია, რომ მას აქტიური, შინაგანად დეტერმინებული და შემოქმედებითი ხასიათი აქვს. აქედან გამომდინარე, როცა ყველაფერი განმტკიცებების მონაცვლეობასა და გარეგან კონტროლზეა დაყვანილი, ჩვეულ აზრსა და მნიშვნელობას კარგავს ისეთი ცნებები, როგორებიცაა: თავისუფლება, ვალდებულება, ღირსება და სხვ. თავის სკანდალურად ცნობილ წიგნში – „თავისუფლებისა და ღირსების მიღმა“ (1971) – სკინერი ამ კატეგორიებს მითებს უწოდებს. ამ შრომაში საზოგადოების პრობლემების გადაჭრისა და სოციალური ჰარმონიის მიღწევის გზად აღიარებულია *ქცევის ტექნოლოგია*, რომელიც, ისევ და ისევ, განმტკიცებათა სახეობისა და მათი მიწოდების რეჟიმის კონტროლზე დაიყვანება [30]. სკინერმა, რომელიც ახალგაზრდობაში მწერლობაზე ოცნებობდა, თავის პოპულარულ რომანში – „უოლდენ ორი“ – მხატვრულ ფორმაშიც კი აღწერა ის, თუ როგორ გამოიყურება ასეთი საზოგადოება.

ამ ყველაფრის მიღმა სერიოზული მოსაზრებები და არგუმენტებია, რომლებიც ქცევის დეტერმინებულობის აუცილებლობას უკავშირდება, ხოლო დეტერმინიზმის პრინციპი, თავის მხრივ, მყარად არის დაკავშირებული მეცნიერებასთან. ფსიქოლოგიის ისტორიაში სკინერი, ალბათ, ყველაზე პრინციპულ დეტერმინისტად უნდა ჩაითვალოს. მისი პოზიცია ერთმნიშვნელოვანია და თანმიმდევრული. „თუ გვსურს, გამოვიყენოთ მეცნიერული მეთოდები ადამიანთა ურთიერთობის სფეროში, ჩვენ ვალდებულები ვართ, დავუშვათ, რომ ქცევა კანონზომიერებებს ექვემდებარება და დეტერმინირებულია. ჩვენ უნდა ვეცადოთ იმის აღმოჩენას, რომ ადამიანის ქმედე-

ბები გარკვეული პირობების შედეგია, და თუ ეს პირობები დადგინდება, ჩვენ შეეძლებთ, ვიწინასწარმეტყველოთ მისი მოქმედებები" [29; 6]. აქედან გამომდინარე, სკინერი ნამდვილ ბრძოლას უცხადებს ადამიანის ფილოსოფიაში შექმნილ წარმოდგენებს, რომლებიც, მისი აზრით, შეუძლებელს ხდის ადამიანის ქცევის მეცნიერულ შესწავლას. აქ საუბარია ადამიანის თავისუფლების, ღირსების, პასუხისმგებლობის, შემოქმედების იდეებზე. სკინერი კარგად ხედავს, რომ ამ წარმოდგენებით მთელი დასავლური ცივილიზაციაა გამსჭვალული და მათ ასე ადვილად არავინ დათმობს. „მოწოდება, რომ უკუვაგდოთ ეს შეხედულებები, ნიშნავს, დაემუქრო ბევრ სათუთად ნალოლიავებ რწმენას, ძირი გამოუთხარო იმას, რაც ადამიანის ბუნების შთამაგონებელ და შემოქმედებით კონცეფციად გამოიყურება" [29; 7]. და მაინც, ამ ნაბიჯის გადადგმა აუცილებელია. ალტერნატივა გამოკვეთილია: ან კანონზომიერება, დეტერმინიზმი და მეცნიერება, ან თავისუფლება, ინდეტერმინიზმი და მითოლოგია. თავისუფლებას ორი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს: ის ან იარლიყია, რომელსაც მივაწერთ ქცევას, როცა არ გვესმის ან არ ვიცით მისი მიზეზები, ან, „თუ თავისუფლება მართლაც არსებობს, ფორმები, რასაც ის იღებს, აბსოლუტურად შემთხვევითი უნდა იყოს" [32; 1208].

ღირსება ისეთივე ახსნითი ფიქციაა, როგორც თავისუფლება. ჩვენ შიგნით მოთავსებული და საკუთარი ნების მქონე მე-ს იდეის ბოლო დასაყრდენი შემოქმედებაა, მაგრამ ესეც უბრალო მეტაფიზიკური იარლიყია, რომლის მიღმა ქცევის კონკრეტული მიზეზების არცოდნა იმალება. შემოქმედებითი ქცევა არაფრით განსხვავდება სხვა ქცევებისგან, გარდა იმისა, რომ ელემენტები, რომლებიც მას წინ უსწრებენ და განსაზღვრავენ, ნაკლებად არის შესწავლილი. ქცევის ელემენტები თუ ფაქტორები, სკინერის მიხედვით, ადამიანის გარეთ, რეალურ გარემოში უნდა ვეძებოთ; ამიტომ, ოპტიმალური ქცევის ფორმირება და, საზოგადოდ, ნორმალური ცხოვრების მოწყობა შინაგან „ნებაზე" კი არ არის დამოკიდებული, არამედ გარემო პირობების სწორ და ეფექტურ ორგანიზაციაზე. ქცევა გარემოთი იმართება, მოგვწონს ეს თუ არა. ჩვენი საქმეა მივიღოთ ეს ფაქტი და გარემოცვის ისეთი კონსტრუირება მოვახერხოთ, რომ ის შეესაბამებოდეს ჰუმანისტურ მიზნებს. ამიტომ პირველ პლანზე წამოიწევს პირობების მანიპულირება და ქცევის კონტროლი.

სკინერის პოზიცია უკომპრომისო და რადიკალურია, სწორედ ამიტომ ეწოდება მის სისტემას *რადიკალური ბიჰევიორიზმი*. მისი მთლიანი გაზიარება ფსიქოლოგთა უმრავლესობისთვის ძნელი აღმოჩნდა. საკმაოდ დიდი პროტესტი გამოინვია სკინერის სისტემამ ამერიკის ფართო ინტელექტუალურ საზოგადოებრიობაშიც, რაც ბუნებრივიცაა – როგორ შეიძლება, ეჭვი შეიტანოს თავისუფლების იდეაში ერმა, რომლის სათავე თავისუფლების დეკლარაციაა. მიუხედავად ამისა, სკინერის პრინციპულობა და თანმიმდევრულობა უდიდეს პატივისცემას იმსახურებს. როგორც სხვა შემთხვევებში, სკინერმა რადიკალური მეთოდით სცადა თავისუფლების პრობლემის გორდიას კვანძის გახსნა: თუ თავისუფლების იდეა ვერ ურიგდება მეცნიერების მოთხოვნებს, აუცილებელია მისი უარყოფა, რაც არ უნდა ძნელი იყოს ეს კულტურული ტრადიციისა თუ მორალური ფილოსოფიის თვალსაზრისით. ქცევის მეცნიე-

რული შესწავლის საქმე ამ პრობლემას ყოველთვის ჩიხში შეჰყავდა და ფსიქოლოგიურ აზროვნებას გამოუვალი წინააღმდეგობების ხლართებში აქცევდა. საკმარისია გავიხსენოთ, თუნდაც, უილიამ ჯეიმსი, ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მოაზროვნე ფსიქოლოგიის ისტორიაში. იგი ამბობდა, რომ თავისუფლების ცნება სამეცნიერო ლაბორატორიის კართან უნდა დავტოვოთო. ამავე დროს, შინაგანად სჯეროდა ნების თავისუფლებისა და გამალებით ცდილობდა, ფარდა აეხადა ამ პრობლემის საიდუმლოებისთვის, თუმცა, როგორც ყველა სხვა, უშედეგოდ. შეიძლება ითქვას, რომ სკინერმა XXI საუკუნის ფსიქოლოგიას თამამი გამოწვევა ესროლა – შეინარჩუნოს, თუ საჭიროდ ჩათვლის, თავისუფლების იდეა და, ამავე დროს, არ გამოვიდეს ქცევის შესწავლის მეცნიერული ჩარჩოებიდან, დარჩეს დეტერმინაციისა და კანონზომიერების იდეების ერთგული.

საკმაოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად, სკინერს, როგორც თეორეტიკოსს, ფსიქოლოგიაში პრინციპული სიახლე არ შემოუტანია. იგი, არსებითად, აგრძელებდა თორნდაიკისა და უოთსონის ხაზს, ხოლო მისი დიდი პოპულარობა, ძირითადად, ბიჰევიორალური ტექნიკის პრაქტიკული დანერგვით არის განპირობებული. ეს შეფასება, გარკვეული აზრით, სამართლიანია, თუნდაც იმიტომ, რომ სკინერი საერთოდ სკეპტიკურად იყო განწყობილი მეცნიერებაში თეორიის როლის მიმართ და საკუთარ თავს „სისტემურ ემპირიკოსად" მიიჩნევდა [31]. და მაინც, თუ მხოლოდ ამით შემოვიფარგლებით, გაუგებარი დარჩება, რატომ ითვლება სკინერი, ფროიდთან ერთად, XX საუკუნის ყველაზე გავლენიან ფსიქოლოგად. საქმე ისაა, რომ სკინერი იყო საბუნებისმეტყველო ან სციენტისტური ფსიქოლოგიის პრინციპების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური გამტარებელი. იგი ფიქრობდა, რომ: 1) მეცნიერების შესწავლის არეში უნდა მოექცეს მხოლოდ ობიექტურად აღრიცხვადი მოვლენები; 2) მკაცრი ექსპერიმენტული პროცედურების საშუალებით დადგინდეს მათ შორის არსებული მიმართებები და 3) გამოვლენილ კანონზომიერებათა საფუძველზე შემუშავდეს პრაქტიკული პროგრამები ადამიანების ცხოვრებისეული პრობლემების გადასაჭრელად. ამ მარტივი და ცხადი პრინციპებიდან გამომდინარე, ფსიქოლოგიის საკვლევი სფერო იზღუდება დაკვირვებადი ქცევით, რომელიც, ასევე, აღრიცხვადი და გაზომვადი ფაქტორებითაა განპირობებული (სიტუაციისა და განმტკიცების რეჟიმების მონაცემები). ფართო ექსპერიმენტული კვლევის შედეგად სკინერმა ერთმნიშვნელოვნად დაადგინა ამ მოვლენებს შორის არსებული ურთიერთკავშირები და აჩვენა, თუ როგორ არის შესაძლებელი ქცევის გაკონტროლება და მართვა ლაბორატორიულ პირობებშიც და სასიცოცხლო ამოცანების გადაწყვეტის პროცესშიც. ზუსტი კანონზომიერებებისა და პრაქტიკული ეფექტურობის დეფიციტით შეშფოთებული ფსიქოლოგებისთვის სკინერის ეს წარმატებები მართლაც შთამბეჭდავად გამოიყურებოდა. სწორედ ეს იყო მიზეზი, რის გამოც მან, სავსებით დამსახურებულად, უდიდესი ავტორიტეტი და აღიარება მოიპოვა.

ყოველივე ამას თავისი შებრუნებული მხარეც აქვს. აღნიშნული მიღწევები ხომ ფსიქოლოგიური რეალობის გამარტივებისა და შეზღუდვის ხარჯზე მოხდა! ფსიქოლოგიური კვლევის მიღმა დარჩა ყველაფერი ის, რაც გარეგან დაკვირვებაში არ

ფიქსირდება, ინდივიდის შიგნითაა, მაგრამ მაინც განსაზღვრავს ქცევას. ამ მოვლენებს არსებობის უფლება კი მიეცათ, მაგრამ მათი მეცნიერული შესწავლა შეუძლებლად ჩაითვალა. ცოცხალი არსება, ადამიანი, შავი ყუთია. ჩვენ ვერ დავინახავთ, თუ რა არის მასში. შავი ყუთის შინაარსი პოზიტიური ცოდნის საგანი ვერ გახდება. ამიტომ ფსიქოლოგიის კვლევის სფეროდან გამოირიცხა ცნობიერი და არაცნობიერი პროცესები, პიროვნების თვისებები და დისპოზიციები. ისინი, ვინც ყოველივე ამას ადამიანის ბუნების მოუცილებელ ნაწილად თვლიდნენ, ცხადია, ვერ შეურიგდებოდნენ ეგზომ რადიკალურ თვალსაზრისს. ამიტომ სხვა პოზიციაზე მდგომი მეცნიერები ხშირად გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას სკინერის სისტემის ამა თუ იმ ასპექტის მიმართ. სკინერი, როგორც წესი, ასეთ გამოსვლებს უპასუხოდ არ ტოვებდა. ამ მხრივ საყურადღებოა მისი დისკუსია ჩომსკისა და როჯერსთან.

გამოჩენილი ლინგვისტი **ნოამ ჩომსკი** (1928-) აკრიტიკებდა ბიჰევიორიზმის, კერძოდ სკინერის, თვალსაზრისს მეტყველების პროცესის ბუნების შესახებ, რომელიც გადმოცემულია მის ცნობილ წიგნში – „ვერბალური ქცევა". სკინერის თანახმად, მეტყველება ქცევაა და ექვემდებარება იმავე კანონზომიერებებს, რასაც ყველა ქცევა. ვერბალური ქცევა გულისხმობს მთქმელსა და მსმენელს. ადამიანის მიერ წარმოთქმული ბგერები გარკვეული სახის რეაქციებია (სულ გამოიყოფა ოთხი ტიპის ვერბალური რეაქცია), რომლებიც მტკიცდებიან მსმენელის პასუხებით ან მიმიკით. ამასთან, მოსაუბრეს შეუძლია, წარმართოს კომუნიკაციის მეორე წევრის სამეტყველო რეაქციები განმტკიცებათა ცვალებადობის გზით. ამიტომ დადებით განმტკიცებებს (ღიმილი, შექება, წახალისება) შეუძლია, გააძლიეროს ინდივიდში გარკვეული სიტყვის, ფრაზის ან გრამატიკული ფორმის გამოყენების ტენდენცია, ხოლო უარყოფითმა შეფასებამ და შენიშვნამ კი შეასუსტოს იგი ან სხვა ვერბალური რეაქციით შეაცვლევინოს. ასე ხდება მეტყველების პროცესის მართვა. ასევე ხდება ენის ათვისებაც. მეტყველების სწავლის პროცესში მშობლები დადებითად რეაგირებენ ბავშვის მიერ სიტყვის სწორ ხმარებაზე, გამართულ ფრაზაზე, კარგ გამოთქმაზე, და პირიქით, შეძლებისდაგვარად ზღუდავენ არასწორ ვერბალურ რეაქციებს. ერთი სიტყვით, მეტყველება, სკინერის მიხედვით, მთლიანად შეძენილი, დასწავლილი ქცევაა, რომელიც თითოეული ვერბალური რეაქციის თანდათანობითი განმტკიცების პროცესში ყალიბდება.

ამის საპირისპიროდ, ჩომსკი ამტკიცებდა, რომ ენის შეთვისების პროცესის დაყვანა ოპერანტული დასწავლის კანონზომიერებებზე შეუძლებელია. ენის არსებითი კომპონენტები *თანდაყოლილია*. ენა არ ისწავლება ყოველი სიტყვის გამეორების მექანიკურ პროცესში. ბავშვები წარმოთქვამენ გრამატიკულად გამართულ ფრაზებს, რომლებიც არასდროს მოუსმენიათ. ჩომსკის აზრით, ეს აიხსნება გარკვეულ *სილრმივ სტრუქტურებზე* დაფუძნებული ბავშვის იმპლიციტური მიდრეკილებით ენის მიმართ. ამასთან, თანდაყოლილია არა გრამატიკის კონკრეტული სისტემა, არამედ ენობრივი ინფორმაციის გადამუშავებისა და ენის აბსტრაქტული სტრუქტურების ფორმირების ერთგვარი თანდაყოლილი სქემა, ენის შეთვისების გამოცდილებამდელი მექანიზმი, რომელიც მეტყველების ფორმირების პროცესს განსაზღვრავს. ამით აიხსნება, რომ

ბავშვები მთელ მსოფლიოში ერთი ტემპით ითვისებენ ენას და ამ პროცესში ერთსა და იმავე ეტაპებს გაივლიან ერთნაირი თანმიმდევრობით. ამ თანდაყოლილ მექანიზმს სხვაგვარად *ენობრივ ნიჭიერებასაც* უწოდებენ. დღეს უკვე საყოველთაოდაა მიღებული თვალსაზრისი, რომ ბავშვის განვითარებაში არსებობს გარკვეული *სენსიტიური პერიოდი* (1-6 წლები), როდესაც ეს უნარი განსაკუთრებით მძლავრად იჩენს თავს და დედა ენის უპრობლემო ათვისებას უზრუნველყოფს. ამ პერიოდში სხვა ენების ათვისებაც იოლია. ასაკის მატებასთან ერთად თანდაყოლილი ენობრივი ნიჭიერება კლებულობს და ენების ათვისებაც რთულდება. ჩომსკის ფრიად მკაცრი შეფასებით, ადამიანის სამეტყველო აქტივობის სკინერისეული გააზრებისას ბიჰევიორისტული თეორია აბსურდამდე მიდის და იმდენად შორს სცდება რეალობას, რომ უკვე მეცნიერებადაც ვეღარ ჩაითვლება[18]. ფსიქოლოგიის ისტორიკოსებს სამართლიანად მიაჩნიათ, რომ ჩომსკის კრიტიკამ, რომელიც პირველად 1959 წელს გაისმა, ერთ-ერთი ყველაზე შესამჩნევი გავლენა მოახდინა, ზოგადად, ბიჰევიორიზმის დასამარების პროცესზე [3][24].

სიღრმივი სტრუქტურების საკითხი მხოლოდ ვერბალურ ქცევასთან მიმართებით არ დაისმის. სკინერი, საზოგადოდ, „ცარიელი ადამიანის" თეზისიდან ამოდის და მხოლოდ გარემოსეულ, სიტუაციურ განსაზღვრულობას აღიარებს. *ინვაიერონმენტალიზმი* საერთოდ ბიჰევიორიზმის დამახასიათებელი ნიშანია. სკინერის პოზიცია ამ შემთხვევაშიც რადიკალურია. მის მიერ, ფაქტობრივად, იგნორირებულია მთელი ის თეორიული და ემპირიული ცოდნა, რომელიც ფსიქოლოგიაში არსებობს პიროვნებისა და ხასიათის ტიპების, კონსტიტუციური ნიშნების, ნასახების, დისპოზიციების, მიდრეკილებების, პიროვნული თვისებებისა და ა.შ. შესახებ. ამიტომ სკინერის მიდგომა მიუღებელია არა მხოლოდ იმ მკლევრებისთვის, რომლებიც ე.წ. *დისპოზიციონისტურ* თვალსაზრისს იცავენ, არამედ იმათთვისაც, ვინც *ინტერაქციონისტულ* პოზიციაზე დგანან და ქცევას შინაგანისა და გარეგანის, თანდაყოლილისა და შეძენილის ურთიერთქმედების პროცესად განიხილავენ. თეორიულ შეხედულებებსაც რომ თავი დავანებოთ, თანამედროვე ფსიქოლოგიის განკარგულებაშია იმის სარწმუნო ემპირიული მონაცემები, რომ ადამიანის აქტივობის მრავალი ასპექტი (კოგნიტური ფუნქციები, ტემპერამენტი, პიროვნული თვისებები და სხვ.) მეტ-ნაკლებად განსაზღვრულია გენეტიკური (თანდაყოლილი) ფაქტორებით [7][8][9]. ეს მონაცემები ძირს უთხრის სკინერის მტკიცებას, რომ ადამიანებს შორის ინდივიდუალური განსხვავებებისა და საერთოდ ქცევის განმაპირობებელი ფაქტორები მთლიანად გარემოშია მოთავსებული. სიზუსტისთვის საჭიროა აღინიშნოს, რომ სკინერი არ უარყოფს გენეტიკური ფაქტორების არსებობას. ისინი განსაზღვრავენ რეაქციათა ზოგად დიაპაზონს, რომელთა განხორციელება შეუძლია ინდივიდს. მემკვიდრეობა არსებობს, მაგრამ გარემოსთან მიმართებით ის მაინც მეორეულია, რამდენადაც მემკვიდრეობა, თუ მას ევოლუციური თვალსაზრისით შევხედავთ, გარემომ, კერძოდ გადარჩენისთვის ხელსაყრელმა პირობებმა შექმნა [25]. გარდა ამისა, სკინერს მიაჩნია, რომ გენეტიკური ფაქტორების როლი გადაჭარბებულადაა წარმოდგენილი. ქცევის რეგულაციის პრინციპების გამოყენებით შესაძლებელია ისეთი ადამიანების მდგომარეო-

ბის გაუმჯობესებაც, რომელთაც ცუდი გენეტიკური ფონი, დაბალი ინტელექტი ან ფსიქიკური აშლილობებისადმი მაღალი მიდრეკილება აქვთ. მემკვიდრეობის დადგენა შეიძლება ქცევის პროგნოზირებაში დაგვეხმაროს, მაგრამ ის უსარგებლოა ქცევის კორექცია-მართვის თვალსაზრისით, რადგან არ ექვემდებარება შეცვლას. ამის გამო სკინერს გამართლებულად მიაჩნია მემკვიდრეობასთან დაკავშირებული მონაცემების იგნორირება. უნდა ითქვას, რომ გენური ინჟინერიის მზარდი მიღწევების ფონზე ეს მსჯელობა თავის დამარწმუნებლობას კარგავს (იხ. XIV თავი).

კრიტიკის მეორე ტალღა წამოვიდა სკინერის იმ მოსაზრებებთან დაკავშირებით, რომლებიც ქცევის მართვასა და კონტროლს ეხება. ამ კუთხით მისი ყველაზე პრინციპული და ავტორიტეტული ოპონენტი კ. როჯერსი იყო. სკინერის ინიციატივით მათ შორის საჯარო დისკუსიაც კი მოეწყო [27]. ეს პოლემიკა იმით არის გამორჩეული XX საუკუნის ფსიქოლოგიის ისტორიაში, რომ ერთმანეთს მხოლოდ ორი უაღრესად გავლენიანი მეცნიერი და თეორიული ორიენტაცია კი არ დაუპირისპირდა, არამედ ორი მსოფლმხედველობაც. მსჯელობა გასცდა საკუთრივ ფსიქოლოგიური მეცნიერების ფარგლებს და უფრო გლობალურ პრობლემებს შეეხო, ისეთებს, როგორებიცაა საზოგადოების მოწყობა და მართვა, კულტურის ბუნება, მეცნიერების ფუნქცია სოციალურ პროცესებში, მეცნიერებისა და საზოგადოების მიზან-ღირებულებების ურთიერთმიმართება და, ბოლოს, თავისუფლების საკრამენტული პრობლემა. ორივე მხარე წლების განმავლობაში შეუპოვრად იცავდა თავის პოზიციას და, როგორც ხშირად ხდება ასეთ დროს, არც ერთ მათგანს პოზიცია საბოლოოდ არ შეუცვლია.

სკინერის თვალსაზრისი ასეთია: არსებობენ ადამიანები, ვინც კონტროლს ტირანიის გამოხატულებად მიიჩნევენ და მოგვიწოდებენ, მთლიანად უარი ვთქვათ მასზე. ასეთი პოზიცია არა მხოლოდ უტოპიურია, არამედ მავნეც. კონტროლი სოციალურ ცხოვრებაში ყოველთვის იყო და იქნება, რადგან მის გარეშე საზოგადოება უბრალოდ ვერ იარსებებს. შვილები მშობლების კონტროლის ქვეშ უნდა იმყოფებოდნენ, მოსწავლეები – მასწავლებლის, მოზრდილი მოქალაქეები – საზოგადოებრივი სისტემის. ჩვენს აქტივობას აკონტროლებს ბუნება და კულტურა. პრობლემა, სკინერის აზრით, მაკონტროლებელი ძალებისა და პირობების მოცილება კი არ არის, არამედ მათი მაქსიმალურად გეგმაზომიერი და ეფექტური გამოყენება [31]. ტირანიის დამარცხება მისი კონტროლის მექანიზმების ცოდნის გარეშე შეუძლებელია. კონტროლის ფორმები და გამოვლინებები კი სხვადასხვაა. აქამდე კონტროლის ყველაზე გავრცელებული ფორმა დასჯის მექანიზმის გამოყენებას ითვალისწინებდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, სკინერის კვლევებმა აჩვენა, რომ დასჯა არაეფექტურია და ზოგჯერ მავნეც. ქცევა, რომელიც დასჯამ უნდა აღკვეთოს, როგორც წესი, არ ქრება. თუ არ მოხდა შემდგომი დასწავლა, „დასჯილი" ქცევა რაიმე სახით კვლავ იჩენს თავს, ხოლო ქცევა, რომელიც მას ჩაენაცვლება, პოზიტიურ რეზულტატზე კი არ იქნება მიმართული, არამედ დასჯის არიდებაზე ან, უარეს შემთხვევაში, დამსჯელის მიმართ ანგარიშსწორებაზე. ამას ადასტურებს სკოლისა და, განსაკუთრებით, სასჯელაღსრულების სისტემის (ციხის) გამოცდილება. დასჯამ შეიძლება გამოიწვიოს ემოციონალურად და სოციალურად უარყოფითი შედეგები: შფოთვა, შიში, ანტისოციალური ქმედება,

დარწმუნებულობისა და თვითპატივისცემის დაქვეითება და ა.შ. დასჯის მუქარამ შეიძლებელია, იმაზე უარესი ქცევისკენ უბიძგოს ადამიანს, ვიდრე ის, რომლისთვისაც თავდაპირველად დაისაჯა. ერთი სიტყვით, იშვიათ შემთხვევებში უაღრესად არასასურველი ან სახიფათო ქცევის დასათრგუნავად შესაძლოა, გამართლებულიც იყოს დასჯის გამოყენება, მაგრამ, საზოგადოდ, უნდა ვეცადოთ, შევქმნათ ისეთი გარემო, სადაც არა იძულების, არამედ დადებითი განმტკიცების მეშვეობით გამოვუმუშავებთ ადამიანებს საზოგადოებრივად მისაღები მოქმედების სტილს ან ქცევის ახალ ფორმებს. ასეთი კონტროლი რბილი, ჰუმანური და ეფექტურია.

სკინერის არგუმენტაციაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა იმ გარემოებასაც, რომ კონტროლი ორმხრივ ხასიათს ატარებს. ცხოველებთან ოპერანტული გაპირობების დროსაც მხოლოდ ექსპერიმენტატორი კი არ მართავს ცხოველის ქცევას, არამედ ამ უკანასკნელის რეაქციებიც აკონტროლებენ მკვლევრის მოქმედებებს. საზოგადოებაშიც ასეა, ოღონდ აქ საკითხი იმის შესახებ დაისმის, თუ ვინ ისახავს პოზიტიურ მიზნებს და ჰუმანურად განახორციელებს მათ. სკინერს სჯერა, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში კონტროლის ორმხრივობის დონე ისეთი იქნება, რაც გამორიცხავს არაჰუმანურ და ტოტალიტარულ მართვას.

ეს თეზისი როჯერსში სერიოზულ ეჭვებს აღძრავს. სკინერს მხედველობიდან რჩება, რომ ორმხრივი კონტროლი თითქმის ყოველთვის ასიმეტრიულია. მართალია, მონათმფლობელი და მონა, გარკვეულად, ერთმანეთს აკონტროლებენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათ კონტროლის ერთნაირი შესაძლებლობები აქვთ. ამიტომ საკითხი გამკონტროლებლის ვინაობის, ე.ი. ძალაუფლების შესახებ, დიდი საშიშროების შემცველია. ქცევის მართვის ტექნოლოგია ტირანის ხელში საზარელ იარაღად იქცევა. ესეც რომ არ იყოს, როჯერსი არც იმ მიზნებს აღიარებს, რომლებიც კონტროლის მეთოდების „წესიერი" გამოყენების შემთხვევაში უნდა იქნეს მიღწეული. სკინერისთვის ესაა ადამიანის ბედნიერება, ინფორმირებულობა, გაწაფულობა, ნაყოფიერება. რაც მთავარია, დადებითი განმტკიცების ტექნოლოგია გვეხმარება, რომ ამის მიღწევა ჰარმონიული გზით, წინააღმდეგობისა და აღშფოთების გარეშე შევძლოთ. მეტიც, ადამიანები აკეთებენ იმას, რაც მათ სურთ და თავს თავისუფლად გრძნობენ. ისინი იმართებიან ისე, რომ ვერც ამჩნევენ ორგანიზებულ კონტროლს. როჯერსი ფიქრობს, რომ ეს ადამიანების რობოტიზაციას, პიროვნების დაკარგვას ნიშნავს, რომ კონტროლირებადი ბედნიერება და ნაყოფიერება კარგი ცხოვრება კი არა, ფსევდოთავისუფლება და ფსევდობედნიერებაა. როჯერსი გვთავაზობს სხვა ღირებულებებს, რომლებიც მეცნიერებამ ადამიანის თავისუფალი ბუნების გათვალისწინებით უნდა დაისახოს და ამის შესაბამისი მეთოდებით განახორციელოს. ამ შემთხვევაში მთავარია არა იმდენად შედეგი, რამდენადაც პროცესი, პროცესი თვითაქტუალიზაციისა, შემოქმედებითი პოტენციალის გახსნისა, პასუხისმგებლობის განვითარებისა, მოქნილობისა და მრავალმხრივობის შეძენისა. როჯერსი დარწმუნებულია, რომ ამისთვის საუკეთესო პირობებს მის მიერ შემუშავებული კლიენტზე ორიენტირებული, არადირექტიული ფსიქოთერაპია ქმნის (იხ. X თავი). როგორც ექიმები, ამბობს იგი, ჩვენ ვქმნით გარკვეულ პირობებს ერთგვარი ტიპის ურთიერთობების სახით და

ამაში კლიენტი ფრიად მოკრძალებულ მონაწილეობას იღებს. მაგრამ ამ ემოციონალურ პირობებს, ანუ ურთიერთობის არადირექტიულ სტილს ისეთ ქცევამდე მივყავართ, როცა კლიენტი ხდება უფრო დამოუკიდებელი, ნაკლებ რიგიდული, უფრო გახსნილი გრძნობადი აღქმისადმი, ორგანიზებული და მთლიანი, თავის მიერ არჩეული იდეალისადმი უფრო მიმსგავსებული.

როჯერსი ვერ ეგუება სკინერის მიერ თავისუფლების უარყოფას. მისი აზრით, თავისუფლება ადამიანის მოუცილებელი ნიშანია. ამავე დროს, მას კარგად ესმის რომ მეცნიერება მოვლენათა დეტერმინებულობის, პირობადებულობის, კანონზომიერების გარეშე წარმოუდგენელია. „თუ ქცევას განვიხილავთ როგორც მეცნიერულ ფენომენს, ცხადია უმჯობესი იქნება ჩავთვალოთ, რომ იგი იმ მიზეზითაა გამოწვეული, რომელიც მას წინ უსწრებდა. ეს მეცნიერების მნიშვნელოვანი ფაქტია. მაგრამ ჩვენი ცხოვრების ასეთივე მნიშვნელოვანი ფაქტია პასუხისმგებლობის შემცველი პირადი არჩევანი, რომელიც ადამიანის ყველაზე არსებითი ნიშანია. იგი ფსიქოთერაპიის ის მთავარი მონაპოვარია, რომელიც წინ უსწრებს ყოველგვარ მეცნიერულ გამოკვლევას" [10; 465].

ჩომსკი და როჯერსი სკინერს ეკამათებიან იმ დებულებებში, რომლებიც, არსებითად, ცხოველებზე მიღებული პირველადი მონაცემების ადამიანის ქცევაზე ექსტრაპოლაციას ეხება. ცხოველებში დასწავლის პროცესზე მომუშავე ექსპერიმენტატორებმა და ეთოლოგებმა ამ პირველად მონაცემებშიც შეიტანეს ერთგვარი ეჭვი. ამ სფეროში მიღებულ შედეგებს სკინერი უტყუარად თვლიდა, ისევე, როგორც მათ საფუძველზე ფორმირებულ დებულებებს. სახელდობრ, იმას, რომ დასწავლის სიტუაციაში ცხოველები tabula raza-ს სახით წარმოგვიდგებიან, რომ მნიშვნელობა არა აქვს სახეობათა შორის განსხვავებებს და რომ საპასუხო რეაქციის გამომუშავება ნებისმიერ სტიმულზე შეიძლება. სხვადასხვა გამოკვლევამ (ბრილენდი, მაკფარლანდი, ჯეკინსი და სხვ.) აჩვენა, რომ ყველაფერი ასე მარტივად არა არის. ხშირ შემთხვევაში ცხოველის ევოლუციური მემკვიდრეობა, ინსტინქტური პროგრამების სახით, საგრძნობ შეზღუდვებს უწესებს „ყოვლისშემძლე" დასწავლას, ზოგჯერ კი სრულებით შეუძლებელსაც ხდის გარკვეული ტიპის ახალი ქცევის ათვისებას. აქ მნიშვნელობა არა აქვს იმას, განმტკიცების რა ტექნოლოგია გამოიყენება. ამ კუთხით, სხვადასხვა სახეობას შორის მნიშვნელოვანი განსხვავებებია დაფიქსირებული. მსგავსი ფაქტების აღსანიშნავად სპეციალური ტერმინიც კი გაჩნდა: „ორგანიზმების ანომალიური ქცევა", რომელიც ერთგვარი პაროდიაა სკინერის პირველი ძირითადი წიგნის სათაურისა – „ორგანიზმების ქცევა". ყველა ეს აღმოჩენა იმაზე მიუთითებს, რომ გარემო და დასწავლის ტექნოლოგიები არ არიან ყოვლისშემძლე; ყველა ცხოველურ ორგანიზმს ვერ დაასწავლი, რაც გინდა იმას. ერთგვარი ცენტრალური კონტროლი დასწავლაზე ყოველთვის არსებობს და ის, ნაწილობრივ მაინც, მემკვიდრეობით არის განპირობებული [14]. არსებობს თუ არა ასეთი რამ ადამიანში? თანამედროვე ევოლუციური ფსიქოლოგია და სოციობიოლოგია ამ კითხვაზე დადებით პასუხს იძლევა (იხ. VIII და XIV თავები).

შენიშვნები სკინერის სისტემის სხვა ასპექტების მიმართაც არსებობს [16][28]. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ XX საუკუნის ფსიქოლოგთაგან არავის განუცდია ისეთი მძაფრი კრიტიკა და, ამავე დროს, არავინ ყოფილა ისე დაფასებული, როგორც სკინერი. ამ მხრივ მას მხოლოდ ფროიდი თუ შეედრება.

ლიტერატურა

1. ტაბიძე ო., ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლები. მეცნიერება, თბილისი, 1962.
2. ხეჩუაშვილი ლ., შესავალი პიროვნების ფსიქოლოიგაში. თსუ, თბილისი, 2013.
3. Лихи Т., История современной психологии. Питер, СПб., 2003.
4. Миллер Дж., Галантер Е., Прибрам К., Планы и структуры поведения. Прогресс, М., 1964.
5. Монпелье Ж., Научение / Экспериментальная психология. Под ред. П. Фресс, Ж. Пиаже. Т. IV. Прогресс, М., 1973.
6. Нельсон-Джоунс Р., Теория и практика консультирования. Питер, СПб., 2000.
7. Палмер Д., Палмер Л., Эволюционная психология. Прайм-Еврознак, СПб., 2003.
8. Первин Л., Джон О., Психология личности. Теория и исследования. Аспект Пресс, М., 2000.
9. Равич-Щербо И. В., Марютина Т. М., Григоренко Е. Л., Психогенетика. Аспект- пресс, М., 2003.
10. Роджерс К., Взгляд на психотерапию. Становление личности. Прогресс, М., 1994.
11. Скинер Б., Оперантное поведение / История зарубежной психологии. Тексты. Изд-во МГУ, М., 1986.
12. Спенс К., Теоретический анализ процесса научения / Экспериментальная психология. Под ред. К. Спенса. Т. II. Изд-во иностр. лит-ры, М., 1963.
13. Толмен Э., Когнитивные карты у крыс и у человека / Хрестоматия по истории психологии. Изд-во Моск. ун-та, М., 1980.
14. Хегенхан Б., Олсон М., Теории научения. Питер, СПб., 2004.
15. Хекхаузен Х., Мотивация и деятельность. Смысл, М., 2003.
16. Холл К. С., Линдсей Г., Теории личности. "КСП+", М., 1997.
17. Ярошевский М. Г., Психология в XX столетии. Политиздат, М., 1971.
18. Chomsky N., A Review of B. F. Skinner's Verbal Behavior // Language, 1959, 35 (1). P. 26-58.
19. Cofer C. N., Appley M. H., Motivation: theory and research. John Wiley, New York, 1966.
20. Dollard J., Miller N. E., Personality and psychotherapy: an analysis in terms of learning, thinking and culture. McGraw-Hill, New York, 1950.
21. Hall C. L., Principles of behavior. Appleton-Century-Crofts, New York, 1943.
22. Hergenhahn B. R., An introduction to the history of psychology. Wadsworth Publishing, Belmont, CA, 2009.
23. Leahey T. H., A history of psychology. Main currents in psychological thought. Prentice-Hall, New Jersy,1992.

24. Mowrer R. R., Klein S. B. (Eds). Handbook of contemporary learning theories. Elbraum Associates, Hillsdale N.J., 2001.
25. Nye R. D., Three psychologies: Perspectives from Freud, Skinner and Rogers. Thomson Learning, Belmont: Wadsworth, 2000.
26. Patterson C. H., Theories of counselling and psychotherapy. Harper and Row, New York, 1986.
27. Rogers C. R., and Skinner B. F. Some issues concerning the control of human behavior: A symposium / Science, 1956, 124 (3231). P. 1057-1066.
28. Smith, N. W., Current systems in psychology: History, theory, research, and applications. Wadsworth, Belmont, CA, 2001.
29. Skinner B. F., Science and human behavior. Macmillan, New York, 1953.
30. Skinner B. F., Beyond freedom and dignity. Knopf, New York, 1971.
31. Skinner B. F., About behaviorism. Knopf, New York, 1974.
32. Skinner B. F., Can psychology be a science of mind? / American Psychologist, 1990, 45. P. 1206–1210.
33. Tolman E. C., Purposive behavior in animals and men. Appleton-Century, New York, 1932.
34. Tolman E. C., The intervening variable / Marx M. H. (Ed.). Psychology theory. Ronald Press, New York, 1951.
35. Tolman E. C., Principles of purposive behavior / Koch S. (Ed.). Psychology: a study of a science. Vol. 2. McGraw-Hill, New York, 1959.

VI თავი
ველის თეორია

კურტ ლევინი (1890-1947) აღიარებულია როგორც ერთ-ერთი უდიდესი თეორეტიკოსი და ექსპერიმენტატორი ფსიქოლოგიის ისტორიაში, რომელმაც ღრმა კვალი დაამჩნია ამ მეცნიერების განვითარებას. იგი სამართლიანად ითვლება გერმანელ-ამერიკელ ფსიქოლოგად. მართლაც, ძალზე ნაყოფიერი გერმანული პერიოდის შემდეგ ემიგრაციაში წასული ლევინი მალე შეერთებული შტატების ერთ-ერთი წამყვანი ფსიქოლოგი ხდება. მისმა თეორიულმა და ექსპერიმენტულმა კვლევებმა ფსიქოლოგიის სხვადასხვა დარგში უაღრესად დიდი ზეგავლენა მოახდინა მთელ ამერიკულ ფსიქოლოგიაზე. უეჭველია, რომ საპირისპირო გავლენაც იყო, მაგრამ მისი გადაჭარბება და ლევინის შეხედულებათა წარმოდგენა გეშტალტფსიქოლოგიისა და ბიჰევიორიზმის ერთგვარი ჰიბრიდის სახით, რასაც ფსიქოლოგიის ზოგიერთ ისტორიკოსთან ვხვდებით [20], არ უნდა იყოს მართებული. ლევინი ყოველთვის მენტალისტურად იყო ორიენტირებული, ხოლო ბიჰევიორიზმს, თავის ყველაზე ლიბერალურ ფორმებშიც, მხოლოდ კონტრაბანდით შემოჰქონდა მენტალისტური ცნებები.

არაერთმნიშვნელოვანია ლევინის გეშტალტფსიქოლოგიასთან კავშირის შეფასებაც. ხშირად მას მიიჩნევენ გეშტალტფსიქოლოგიის ერთ-ერთ წარმომადგენლად, რომელმაც, უბრალოდ, ფსიქოლოგიის სხვა სფეროებზე (პიროვნება, მოტივაცია, სოციალური ჯგუფი) განავრცო გეშტალტთეორიის პრინციპები [28]. ლევინს მართლაც ბევრი რამ აკავშირებს გეშტალტფსიქოლოგიასთან. იგი ბერლინში მოღვაწეობდა ამ სკოლის წამყვან ფიგურებთან ერთად. მისი მოძღვრების ცენტრალური ცნება არის დინამიკური ველი, რომლის ყველა პუნქტი ერთმანეთთან ურთიერთობს და ნებისმიერ ადგილას წარმოქმნილი დაძაბულობა იწვევს მისი მოხსნისა და საერთო დინამიკური წონასწორობის აღდგენის ტენდენციას. ლევინს გეშტალტფსიქოლოგიასთან აახლოებს აგრეთვე ორიენტაცია ფიზიკა-მათემატიკურ მოდელებზე. მისთვის არც მთლიანობის, ინსაიტისა თუ იზომორფიზმის იდეებია უცხო (იხ. III თავი). ყოველივე ამასთან ერთად, ლევინის მიერ რეალიზებული მეთოდოლოგიური და თეორიული პრინციპები გამოკვეთილად თავისებური და ორიგინალურია. რაც მთავარია, არსებითად განსხვავებულია კვლევის საგანი. გეშტალტფსიქოლოგია კოგნიტურ, უპირატესად, პერცეპტულ სტრუქტურებს შეისწავლიდა, ხოლო ლევინი – ზოგადად ქცევას. იგი ქცევის მოტივაციის ექსპერიმენტული კვლევის პიონერია, რის გამოც დამოუკიდებელი მიმდინარეობისა და სკოლის შემქმნელად თვლიან. თავად ლევინი ყოველთვის ღრმა პატივისცემას გამოხატავდა თავისი გეშტალტფსიქოლოგი კოლეგების მიმართ, მაგრამ, ამავე დროს, მკაფიო საზღვარს ავლებდა მათ შეხედულებებთან და სპეციალურად არქმევდა თავის სისტემას ხან *ველის თეორიას*, ხან *დინამიკურ თეორიას*, ხან *ტოპოლოგიურ ფსიქოლოგიას*. სხვათა შორის, ასევე აფასებდა ლევინის

კონცეფციას ვ. კელერიც; მას მიაჩნდა, რომ ეს სისტემა არ არის გეშტალტფსიქოლოგიის იგივეობრივი და იმსახურებს სხვა სახელწოდებას [8].

კურტ ლევინი დაიბადა პრუსიაში. სწავლობდა ფრაიბურგის, მიუნხენისა და ბერლინის უნივერსიტეტებში. ამ უკანასკნელში 1914 წელს კარლ შტუმფის ხელმძღვანელობით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ომის დაწყებისთანავე გაიწვიეს ჯარში, სადაც ოთხი წელი იმსახურა. იყო მძიმედ დაჭრილი, დაიმსახურა საბრძოლო ჯილდოები. ომის მერე დაუბრუნდა ბერლინის უნივერსიტეტს და ჩაერთო აქტიურ პედაგოგიურ და კვლევით საქმიანობაში. 1933 წელს, გერმანიაში ფაშისტური წყობილების დამყარების გამო, იძულებული გახდა, გადასახლებულიყო აშშ-ში. აქ იგი ჯერ სტენფორდის, შემდეგ კორნელის უნივერსიტეტებში მოღვაწეობდა. 1945 წელს დააარსა და სათავეში ჩაუდგა ჯგუფური დინამიკის კვლევით ცენტრს მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში. ლევინის ძირითადი შრომებია: „განზრახვა, ნებელობა და მოთხოვნილება“ (1926), „პიროვნების დინამიკური თეორია“ (1935), „ტოპოლოგიური ფსიქოლოგიის პრინციპები“ (1936).

ლევინს ფართო მეცნიერული ინტერესები ჰქონდა – კარგად იცნობდა ფიზიკას, მათემატიკას, ბიოლოგიას. იგი დაინტერესებული იყო ზოგადმეცნიერული, მეთოდოლოგიური საკითხებით და ცდილობდა, გაეაზრებინა ფსიქოლოგიის კრიზისული მდგომარეობა მეცნიერების განვითარების საერთო კანონზომიერებათა ფონზე. ამისთვის იგი მიმართავდა ანალოგიას ფიზიკასთან, რომლის დიდი წარმატებები, ლევინის აზრით, დაკავშირებული იყო ძველი, არისტოტელესეული აზროვნების წესიდან ახალ, გალილეისეულ აზროვნების წესზე გადასვლასთან. არისტოტელეს მიხედვით, სამყარო ჰეტეროგენულია, ყველა ფიზიკურ სხეულს თავისი საკუთარი, იმანენტური თვისება აქვს. მაგალითად, ობიექტი ზევით იმიტომ მოძრაობს, რომ მსუბუქია. ეს კი იმით არის გამოწვეული, რომ მისი ძირითადი ელემენტი ჰაერია. მძიმე სხეული ქვევით მოძრაობს, ვინაიდან მისი ძირითადი ელემენტი მიწაა. მაშასადამე, საგანთა „ყოფაქცევა“ დეტერმინებულია მათთვის შინაგანად დამახასიათებელი უცვლელი თვისებებით. ამასთან, სამყარო გაყოფილია მიწიერ და ციურ სფეროებად, სხეულთა განსხვავებული თვისებებით, ამიტომ დედამიწის ობიექტებისთვის დამახასიათებელია მოძრაობის ერთი სახე (ვერტიკალური), ხოლო კოსმოსურისთვის – მეორე (ბრუნვადი). ამასთანავე ითვლება, რომ ეს უკანასკნელი მოძრაობის უფრო მაღალ დონეა. ერთი სიტყვით, არისტოტელეს მიხედვით, სამყაროს მოვლენები დაყოფილია იარუსებად და მოვლენათა თითოეულ კლასს საკუთარი კანონზომიერება აქვს. კანონზომიერება კი ნიშნავს მოვლენის განმეორებადობას, რეგულარულობას.

ახალი დროის ფიზიკა სრულიად სხვაგვარად განიხილავს სამყაროს. გალილეისეული მიდგომის თანახმად, იგი ამოდის არა საგანთა საკუთარი თვისებებიდან, არამედ მათ შორის არსებული მიმართებებიდან. სამყარო ჰომოგენურია; ყველა საგანი თუ მოვლენა სერთო კანონებს ემორჩილება. ფიზიკა ამ კანონებს ადგენს (მაგალითად, ნიუტონის მექანიკის კანონები), რაც საშუალებას გვაძლევს, ვიწინასწარმეტყველოთ ყოველი კონკრეტული ობიექტის ქცევა. ლევინის აზრით, ფსიქოლოგია არისტოტელე-

სეული აზროვნების წესით შემოიფარგლა და ამ დონეზე შეჩერდა. ფსიქოლოგიაშიც, მინიერი და ციური სფეროების გამიჯვნისა არ იყოს, სულიერი სამყარო დაყოფილია მოელენათა განსხვავებულ კლასებად თავისი საკუთარი თვისებებითა და კანონებით. მათ ფსიქოლოგიის სხვადასხვა დარგი შეისწავლის განსხვავებული პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით. ლევინის რწმენით, ფსიქოლოგიის პროგრესი შესაძლებელია, თუ ყოველი ფსიქიკური ფაქტი მიზეზობრივი მიმართებების ერთიანი სისტემის საფუძველზე იქნება განხილული. სწორედ ასეთი მიმართებების დადგენა მოგვცემს შესაძლებლობას, *ვიწინასწარმეტყველოთ* კონკრეტული, კერძო ფსიქოლოგიური მოვლენა. ამის გარეშე ფსიქოლოგია გამართული *საბუნებისმეტყველო მეცნიერების* რანგში ვერასდროს ამაღლდება. აუცილებელია ფსიქოლოგიის *ჰომოგენიზაცია*. კანონის მოქმედება მთელ ფსიქიკურ სფეროზე უნდა ვრცელდებოდეს. ამასთან ერთად, „ყოველი ფსიქოლოგიური კანონი უნდა სრულდებოდეს გამონაკლისის გარეშე" [11; 147]. ეს შესაძლებელს გახდის, მოიხსნას გადაულახავი საზღვარი და დაპირისპირება ნორმასა და პათოლოგიას, ადამიანსა და ცხოველს, ბავშვსა და მოზრდილს, სულსა და სხეულს შორის. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები უკვე გადადგა ფსიქოანალიზმა და ბიჰევიორიზმმა. თუმცა განსაკუთრებულ იმედებს, ბუნებრივია, ლევინი მთლიანობის ფსიქოლოგიაზე ამყარებს; ამ უკანასკნელის მიერ ოპტიკურ სფეროში აღმოჩენილი სტრუქტურის (გეშტალტის) კანონები ვალიდური აღმოჩნდა არა მხოლოდ მთლიანად კოგნიტური სფეროს მიმართ, არამედ ისეთი მოვლენების მიმართაც, როგორებიცაა: ნებელობა, მოტივაცია, ემოცია და ა.შ. მათ კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ პიროვნებისა და მისი ქცევის ორგანიზაციისთვის.

სწორედ ეს პრობლემატიკა გახდა ცენტრალური ლევინის კვლევა-ძიებაში. ჯერ კიდევ თავის სადისერტაციო ნაშრომში ლევინი ცდილობდა, გაერკვია, თუ რა მოტივაციური ძალები მოქმედებს ნარცის ახის ცნობილ ექსპერიმენტებში, სადაც ნაცადი იყო ნებელობის გაზომვა. როგორც ცნობილია, ამ მიზნით ნ. ახი ერთმანეთს უპირისპირებდა ასოციაციური კავშირიდან მომდინარე „რეპროდუქციის ტენდენციას" და ამოცანით, განზრახვით გამოწვეულ „დეტერმინაციის ტენდენციას". ნებისყოფის ძალის მაჩვენებლად მიჩნეული იყო ის, თუ რა სიძლიერის ასოციაციას დაძლევდა იგი. ასოციაციის ძალა, ვარაუდის თანახმად, გამეორებათა რაოდენობის პროპორციული უნდა ყოფილიყო. ლევინმა ექსპერიმენტულად აჩვენა, რომ თავისთავად ასოციაციური კავშირი, რა ძალისაც არ უნდა იყოს ის, არ შეიცავს მისი რეპროდუქციის, აქტივობაში გამოვლენის ტენდენციას. იმისთვის, რომ ეს მოხდეს, აუცილებელია, არსებობდეს გარკვეული მოტივაციური ფაქტორი, რომელიც განაპირობებს ამ კავშირის რეალიზაციას ქცევაში [21][23]. შეიძლება ითქვას, ლევინმა პირველმა გამოთქვა იდეა იმის თაობაზე, რომ ყოველგვარი ქცევის შესრულება დასწავლილი კაუშირის (ჩვევის) და მოტივაციის (დრაივის) თანაარსებობას გულისხმობს. ამ იდეას, ჩვეულებრივ, ჰალის სახელთან აკავშირებენ (იხ. V თავი).

ამრიგად, ყველგან, სადაც არის ქცევა, უნდა არსებობდეს სათანადო დინამიკური, *მოტივაციური ფაქტორი*. ლევინმა მრავალი ექსპერიმენტული და თეორიული გა-

მოკლევა მიუძღვნა იმის გარკვევას, თუ რა სახისაა ეს ფაქტორი და როგორ მოქმედებს იგი.

ლევინის თანახმად, ყოველგვარი აქტივობის აღმძრველ მიზეზს, მოტორს ფსიქიკური ენერგიის შემცველი *დაძაბულობის სისტემა* შეადგენს. დაძაბულობის სისტემა, არსებითად, *წონასწორობის დარღვევის* გამოხატულებაა და მისი აღდგენის ტენდენციას შეიცავს. აქტივობის დინამიზაციის ამგვარი გააზრება, არსებითად, ჰომეოსტატური ხასიათისაა [27]. იგი სხვაგანაც გვხვდება, კერძოდ ფსიქოანალიზში, ინსტინქტთეორიაში, ბიჰევიორიზმში და სავსებით ორგანულია გეშტალტფსიქოლოგიისთვისაც. მართლაც, ამ მოძღვრების ძირითადი პრინციპი, ე.წ. პრეგნანტობის ტენდენცია, რაც საუკეთესო, დასრულებული, მარტივი მთლიანისკენ სწრაფვას ნიშნავს, სხვა არაფერია, თუ არა მისწრაფება წონასწორობის დამყარებისკენ, რომელიც ლევინმა საფუძვლად დაუდო აქტივობის პროცესის აღმოცენებას. ლევინმა დაძაბულობის დინამიკური სისტემის ორი სახეობის არსებობა დაუშვა, ესენია: *ბუნებრივი მოთხოვნილება და კვაზიმოთხოვნილება. ნამდვილი ან პირველადი* მოთხოვნილებები თანდაყოლილი და მდგრადი ხასიათისაა. კვაზიმოთხოვნილებები ცხოვრებისეული ამოცანების შესაბამისად მიღებული *გადაწყვეტილებებისა თუ განზრახვების* შედეგად წარმოიქმნება. ფუნქციონალურად, აქტივობის დინამიკის განსაზღვრის თვალსაზრისით, ისინი ბუნებრივი მოთხოვნილებების ეკვივალენტურია. „დინამიკურად, განზრახვა უნდა განისაზღვროს როგორც კვაზიმოთხოვნილების, ანუ ერთგვარი დაძაბულობის მდგომარეობის შექმნა, რომელიც ნამდვილ მოთხოვნილებებთან შორს მიმავალ პარალელებსა და რეალურ მიმართებებს ავლენს“ [30; 384].

როგორიც არ უნდა იყოს მოტივაციური ფაქტორი, ის ერთმნიშვნელოვნად არ განსაზღვრავს მოქმედების განხორციელების, შესრულების კონკრეტულ სახესა და გამოვლინებას. ამის დასადგენად საჭიროა გვქონდეს მონაცემები გარემოს შესახებაც. აქედან გამომდინარე, ლევინი დიდ ყურადღებას უთმობს გარემოს ადეკვატურ დახასიათებას. *გარემოს ან სიტუაციის* შემადგენლობაში მას შეჰყავს *ფიზიკური, სოციალური და ცნებითი სამყაროს* ყველა ფაქტი, მაგრამ არა იმ მნიშვნელობით, როგორც ისინი ობიექტურად არსებობენ ან მოიაზრებიან, არამედ მათი ფსიქოლოგიური მნიშვნელობით, ანუ იმის გათვალისწინებით, თუ რა ზეგავლენას ახდენენ ისინი ამჟამად მოქმედ სუბიექტზე. ინდივიდთან, მის მოთხოვნილებებსა თუ კვაზიმოთხოვნილებებთან კავშირის გამო, გარემოს ობიექტები და მოვლენები არ არიან ნეიტრალური, ისინი ამჟღავნებენ ჩვენ მიმართ გარკვეულ „ნებას“, გვიწვევენ სამოქმედოდ. კარგი ამინდი, გარკვეული ლანდშაფტი – ამბობს ლევინი – გვიზიდავს სასეირნოდ, ლეკვი – სააღერსოდ; კარი ბავშვს უბიძგებს გაღებისა ან დახურვისკენ, კუბიკები – სათამაშოდ, ხოლო შოკოლადის ან ნამცხვრის ნაჭერს „უნდა“, რომ ის შეჭამონ. გარემოს ობიექტების ამ თვისების აღსანიშნავად ლევინს შემოაქვს ცნება *გამომწვევი ხასიათი* (Aufforderungscharacter). ამ ფენომენის გამოვლენის ფორმები მთლიანად განისაზღვრება დაძაბულობათა სისტემის აქტუალური მდგომარეობით. მაგალითად, იმის მიხედვით, თუ რა ტენდენციასთან არის დაკავშირებული, ობიექტის გამომწვევი

ხასიათი ვლინდება მისკენ მიზიდულობის ან მისგან უკუქცევის სახით. ასევე ცვალებადია ამ მოვლენის ინტენსივობა; ის ვარიირებს *სუსტი მიზიდულობიდან* ე.წ. *ბრძანებით ხასიათამდე. ბუნებრივი ან პირველადია* ისეთი სახის გამომწვევი ხასიათი, რომელსაც ობიექტი მოთხოვნილების ან კვაზიმოთხოვნილების დაკმაყოფილების პირდაპირ საშუალებად გვევლინება, ხოლო მასთან გარკვეულ მიმართებაში მყოფი საგნები და მოვლენები ე.წ. *ნაწარმოები,* გამომწვევი ხასიათისაა. მაგალითად: სახლმა, ქუჩამ, ქალაქმა, სადაც სატრფო ცხოვრობს, შეიძლება თვითონაც შეიძინოს გამომწვევი ხასიათი. ამერიკული პერიოდის შრომებში ობიექტების გამომწვევი ხასიათის გამოსახატავად ლევინს დამატებით *ვალენტობის* ტერმინიც შემოაქვს და ლაპარაკობს საგნების დადებით და უარყოფით ვალენტობებზე.

აქტივობის აღმოცენებისა და მიმდინარეობისთვის საჭირო ძალა, ენერგია, ყოველთვის დაძაბულობის სისტემებიდან, ინდივიდის მოთხოვნილებებიდან მომდინარეობს. ამიტომ გარემოს საგანთა ვალენტობა, მათი გამომწვევი ხასიათი ქცევის აღძვრას როდი ნიშნავს. დინამიკურ პროცესს, რომელსაც ქცევა ეწოდება, ყოველთვის გარკვეული *მიმართულება* აქვს. დადებითი და უარყოფითი ვალენტობის მქონე ობიექტები სწორედ ამას ემსახურება – ისინი განსაზღვრავენ ქცევის კონკრეტულ გზას, მარშრუტს, მიმართულებას. მაგალითად, მაგიდაზე დადებული ტკბილეული იზიდავს ბავშვს და იგი პირდაპირ მიემართება მისკენ. მაგრამ, თუ მაგიდასა და ბავშვს შორის ძაღლი წევს, იგი ძაღლს შორიდან მოუვლის და მაგიდას მეორე მხრიდან მიუახლოვდება. აქ კარგად ჩანს, რომ გარკვეული მოთხოვნილებით აღძრული აქტივობის მიმართულება კონკრეტული სიტუაციის ობიექტების მიზიდულობისა და განზიდულობის ძალების მოქმედებით არის განსაზღვრული.


ამრიგად, ფსიქოლოგიური გარემო ქცევის განხორციელების აუცილებელი ფაქტორია. ეს დებულება ძალაშია ყოველგვარი ქცევის მიმართ, როგორც არ უნდა განსხვავდებოდნენ ეს ქცევები ერთმანეთისგან გარემოსთან ურთიერთმიმართების თვალსაზრისით. ამ მხრივ კი მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს. ლევინი ერთმანეთისგან მიჯნავს *ველისმიერ, ანუ არადაუფლებულ და ნებელობით, ანუ დაუფლებულ* მოქმედებას. პირველ შემთხვევაში ქცევა ფსიქოლოგიური ველის ვალენტობების შესატყვისად მიმდინარეობს. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, რითაა იგი აღძრული, ბუნებრივი მოთხოვნილებით თუ განზრახვის საფუძველზე წარმოქმნილი კვაზიმოთხოვნილებით. ორივე შემთხვევაში ვითარება პრინციპულად ერთნაირია – არსებობს დაძაბულობის სისტემა, რომლის შესაბამისად სტრუქტურირდება *ფსიქოლოგიური ველი.* ობიექტები იძენენ მეტ-ნაკლებ ვალენტობას და სათანადოდ განსაზღვრავენ აქტივობის მიმდინარეობას. განზრახული ქცევაც, უმეტესწილად, თავისთავად, ველის ძალების შესაბამისად ხორციელდება და ამიტომ უფრო ველისმიერ მოქმედებებს უნდა მიეკუთვნოს, ვიდრე დაუფლებულ მოქმედებებს. განზრახული არ ნიშნავს აუცილებლად ნებელობითს, როგორც ეს ტრადიციულად ითვლებოდა ფსიქოლოგიაში. ლევინი ველისმიერი ქცევის ორ სახეობას განასხვავებს: 1) როცა კავშირი გამომწვევი ხასიათის ობიექტსა და მოთხოვნილებას შორის აშკარაა. მაგალითად, იმპულსურ ქცევაში ურთიერთმიმართება შიმშილსა და საჭმელს შორის, როგორც წე-

სი, თვალსაჩინოდაა მოცემული. ასეთსავე მიმართებას ეხედავთ წერილის გაგზავნის განზრახვისა და საფოსტო ყუთის შემთხვევაში; 2) როცა ამგვარი კავშირი ნათლად არ ჩანს და აქტივობას შემთხვევითი სიტუაციური ფაქტორები განსაზღვრავს. მოხტუნავე ან გამოგორებული ბურთი, ჩვეულებრივ, დაჭერის ან ფეხის გარტყმის სურვილს აღძრავს, ხოლო ძაფი კოსტუმზე მისი მოცილების ტენდენციას და ა.შ. ნორმის შემთხვევაში ადამიანს შეუძლია, არ დაემორჩილოს ამ ტენდენციებს, წინ აღუდგეს დაძაბულობის სხვა სისტემებს და *დაეუფლოს* თავის ქცევას. ლევინის აზრით, სწორედ ასეთ მოქმედებებს უნდა ეწოდოს ნებელობითი. „რასაკვირველია, დაუფლებული მოქმედებაც ექვემდებარება მთლიანი ფსიქიკური ველის ძალებს. მაგრამ, დაუფლებული მოქმედების შემთხვევაში, ადამიანი, ჩვეულებრივ, არ არის მთლიანად ჩართული მოცემულ ველში – გარკვეული ხარისხით ხდება შეკავება, საგნობრივი ვითარების ზემოთ დგომა, აქ უფრო მეტად ხორციელდება მოქმედების კონტროლი. სხვანაირად რომ ვთქვათ, სულიერი სისტემების შემოფარგვლა დაუფლებული მოქმედების დროს სხვაგვარია, ვიდრე არადაუფლებული მოქმედებისას, რასაც, პირველ ყოვლისა, მე-სისტემის მეტი დამოუკიდებლობა, ანუ მისი უკეთესი ბატონობა განაპირობებს“ [30; 378].

მე-სისტემა ინდივიდის, პიროვნების შედარებით ღრმა შრეებს მიეკუთვნება. პერიფერიულ შრეებში შემავალ დაძაბულობის სისტემებთან შედარებით, მე-სთან დაკავშირებულ დაძაბულობებს ფუნქციონალურად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. საერთოდ კი, ლევინის მიხედვით, პიროვნების სტრუქტურაში შეიძლება გამოიყოს *შიდა* და *გარე* რეგიონი ანუ *დაძაბულობის სისტემების* სფერო (მოთხოვნილებები და კვაზიმოთხოვნილებები) და *მოტორულ-პერცეპტული* სფერო. გარემოსთან კავშირი ამ უკანასკნელის საშუალებით მყარდება. გარემოს ზეგავლენა ინდივიდზე პერცეპტული გზით ხორციელდება, ხოლო დაძაბულობის სისტემების ზეგავლენა გარემოზე – მოტორული სფეროს საშუალებით. პიროვნების მოტივაციური შრეც სტრუქტურირებულია. აქ არსებული რეგიონების რაოდენობა, მათ შორის კომუნიკაციის ინტენსივობა და, საერთოდ, მთელი სასიცოცხლო სივრცის დიფერენცირებულობის ხარისხი ადამიანის განვითარების დონის მაჩვენებლად ითვლება. ასეთივე მაჩვენებელია რეგიონების საზღვრების სიმტკიცე, დაძაბულობის სისტემების ორგანიზაცია და იერარქიზაცია. როგორც ნორმალური ონტოგენეტური პროცესის, ისე ფსიქიკური დაქვეითება-ჩამორჩენის ან რეგრესიის ანალიზი ამ ტერმინებში მიმდინარეობს [16].

ამრიგად, აქტივობის პროცესის დახასიათებისთვის ლევინი ორ ძირითად ფაქტორს მიმართავს: ერთი მხრივ, შიდადაძაბულობის სისტემებს და, მეორე მხრივ, ფსიქოლოგიურ გარემოს. ამასთან, იგი ხაზს უსვამს, რომ ყოველი მათგანის ზემოქმედება ქცევაზე მხოლოდ ერთიმეორესთან მიმართებით შეიძლება იქნეს გაგებული. ქცევის დეტერმინაციის პროცესში მოვლენები, რომლებიც ინდივიდსა და გარემოს მიეკუთვნებიან, გარკვეულ ერთიანობას, მთლიანობას ქმნიან. ამ რეალობას ლევინი მთლიან ფსიქოლოგიურ ველს ანუ *ინდივიდის სასიცოცხლო სივრცეს* უწოდებს, რომელიც გრაფიკულად ასე გამოიხატება:

სასიცოცხლო სივრცე



ინდივიდის სასიცოცხლო სივრცე (LSp) შეიცავს იმ ფაქტორების ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავენ ინდივიდის ქცევას (B) გარკვეულ მომენტში, ე.ი. პიროვნებას (P) და გარემოს (E). ყოველივე ეს გამოიხატება ფორმულით: B = F(P + E) = (LSp). ის გვეუბნება, რომ სასიცოცხლო სივრცის მოცემული სტრუქტურა ფუნქციონალურად განსაზღვრავს ქცევის აღწერით თვისებებს. ავტორი საგანგებოდ აზუსტებს, რომ „ეს მტკიცება ერთნაირად მართებულია, როგორც ემოციური აფეთქების, ისე „მიზანდასახული“ ქმედებისთვის; როგორც სიზმრისთვის, სურვილისა და აზროვნებისთვის, ისე მოქმედებისა და მეტყველებისთვის“ [18; 372]. ლევინი სპეციალურად აღნიშნავს იმასაც, რომ ქცევის მოცემული ფორმულის ორი წევრი, ადამიანის მდგომარეობა (P) და გარემოს თავისებურებები (E), არ არის ერთმანეთისგან მთლიანად დამოუკიდებელი. მართებულია დებულება, რომ გარემო განსაზღვრულია პიროვნების მახასიათებლებით E = F(P); ერთი და იმავე ადამიანის სამყარო განსხვავებული იქნება იმის მიხედვით, მშიერია იგი თუ მაძღარი, ენერგიით სავსე თუ დაღლილი და ა.შ. ზუსტად ასევე, სამართლიანი იქნება შებრუნებული მტკიცებაც – ადამიანის მდგომარეობა დამოკიდებულია მის გარემოზე P = F(E); სუბიექტის მდგომარეობა განსხვავებულია გაკიცხვისა და დაჯილდოების სიტუაციაში, კეთილგანწყობილ და მტრულ ატმოსფეროში, დემოკრატიულ და ავტორიტარულ ჯგუფში; ადამიანის აზრთა წყობა, ღირებულებები, განწყობები იმ კულტურის ძლიერ გავლენას განიცდის, რომელშიც იგი აღიზარდა, ასევე იმ სოციალური და ეკონომიკური ჯგუფისა, რომელსაც მიეკუთვნება და ა.შ. ერთი სიტყვით, ქცევის წინასწარმეტყველებისთვის ინდივიდი და მისი გარემოცვა ურთიერთდამოკიდებული ფაქტორების კომპლექსად უნდა ჩაითვალოს. ამ ფაქტორების ერთობლიობა აღინიშნება „სასიცოცხლო სივრცის“ ტერმინით.

ფსიქოლოგია შეისწავლის იმას, რაც ინდივიდის სასიცოცხლო სივრცეშია მოქცეული. სასიცოცხლო სივრცე „ფსიქოლოგიის სამყაროა“, მთელი ფსიქოლოგიური სინამდვილეა. ქცევის ფსიქოლოგიური გაგება მისი გამომწვევი სასიცოცხლო სივრცის ზუსტ დახასიათებას გულისხმობს, ეს კი გარკვეული მეთოდოლოგიური და თეორიული ამოცანების გადაჭრასთან არის დაკავშირებული. პირველ რიგში, საჭიროა გაირკვეს, თუ რა მიეკუთვნება სასიცოცხლო სივრცეს და რა არა. როგორც უკვე ითქვა, გარემოს მხრიდან მასში შეიძლება შევიდეს ფიზიკური, სოციალური და ცნებითი სამყაროს ყველა ფაქტი, რომლებიც სუბიექტურად, ფსიქოლოგიურად არსებობს და ამჟამად აქტუალურია ინდივიდისთვის. პიროვნების სისტემის დახასიათებისას

გათვალისწინებული უნდა იყოს აქ და ამჟამად მოქმედი ფაქტორები. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ინდივიდისთვის წარსული და მომავალი არ არსებობს. ერთიც და მეორეც უსათუოდ მონაწილეობს სასიცოცხლო სივრცის აგებაში, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის აწმყოსთან არის დაკავშირებული. ლევინის თქმით, მიზანი, რომელიც მომავალში უნდა განხორციელდეს და შიში იმისა, რაც წარსულში მოხდა, რეალური ფსიქიკური მოვლენების სახით აწმყოში არსებობენ და მხოლოდ ამიტომ განსაზღვრავენ აქტივობას. ამ ვითარების აღსანიშნავად ლევინს შემოაქვს *დროითი პერსპექტივის* ცნება. დროითი პერსპექტივა, ფაქტობრივად, ინდივიდის სასიცოცხლო სივრცის ერთ-ერთი განზომილებაა. აწმყოს ჭრილში დანახული წარსული და მომავალი შეიძლება იყოს სხვადასხვა ხანგრძლივობის, განსხვავებული გამოკვეთილობის, სირთულის და ა.შ. მთავარი ის არის, რომ წარსულიც და მომავალიც ამჟამად მოცემული ფსიქოლოგიური ველის სტრუქტურირების, მისი გარკვეული ორგანიზაციის პირობაა.

უფრო რთულია საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარმოვადგინოთ, გამოვხატოთ სასიცოცხლო სივრცე. ლევინისთვის ეს პრინციპული მნიშვნელობის მქონე პრობლემაა. რაც უფრო სრულად და ზუსტად იქნება დახასიათებული სასიცოცხლო სივრცე, მით უფრო ღრმად და სწორად იქნება გაგებული კონკრეტული ქცევა. რა საშუალებებით უნდა მოხდეს ეს? ლევინის რწმენით, მისი თანამედროვე ფსიქოლოგიის განკარგულებაში არ არის ასეთი აღწერისთვის აუცილებელი მეცნიერული ენა და მეთოდი. ამიტომ, სასიცოცხლო სივრცის ადეკვატური დახასიათებისთვის იგი მათემატიკას მიმართავს, კერძოდ კი გეომეტრიის ერთ-ერთ ნაწილს – ტოპოლოგიას. ტოპოლოგია შეისწავლის გარკვეულ სივრცით მიმართებებს, ისეთებს, როგორებიცაა: ნაწილი-მთელი, ჩართულობა, კავშირის არსებობა-არარსებობა და სხვ. სასიცოცხლო სივრცე იყოფა სხვადასხვა რაოდენობის *სფეროებად, რეგიონებად,* რომელთაც აქვთ მეტ-ნაკლებად *მყარი ან ცვალებადი ფორმა,* გამოყოფილი არიან *განსხვავებული სიმტკიცის საზღვრებით, ბარიერებით* და ა.შ. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ეს სფეროები ერთმანეთთან გარკვეულ *კავშირში* იმყოფება: ახლო და შორი, უშუალო და გაშუალებული, რთული და მარტივი, ნათესაური და ანტაგონისტური; ამაში ვლინდება ადამიანის სხვადასხვა ინტერესისა და ტენდენციის ურთიერთმიმართება.

სასიცოცხლო სივრცეში სხვადასხვა ინტენსივობისა და მიმართულების ძალები მოქმედებს. ლევინს მიაჩნია, რომ *ძალის* ცნების გარეშე საერთოდ შეუძლებელია აქტივობის დინამიკის გაგება. მართალია, ძალის ცნება ფიზიკიდან მომდინარეობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ფსიქოლოგიაში მისი გამოყენება არ შეიძლება. ლევინი სპეციალურად აღნიშნავს: „როდესაც ვიყენებთ ამგვარ ეკვივალენტურ ცნებებს, ჩვენ არ ვცდილობთ ფსიქოლოგიური ცნებების გამოყვანას ფიზიკური ცნებებიდან“ [30; 65]. ამრიგად, იგი უარს ამბობს ფიზიკურ რედუქციონიზმზე, რაც, ძირითადად, დამახასიათებელია გეშტალტფსიქოლოგიისთვის და, განსაკუთრებით, ვ. კელერისთვის (ე.წ. იზომორფიზმის პრინციპი) (იხ. III თავი). ლევინი ძალას განიხილავს როგორც ფსიქოდინამიკურ ფაქტორს, თუმცა არ ცდილობს მისი ფსიქოლოგიური ბუნების შინაარსობრივ გახსნას და ძალის ფუნქციონალური დახასიათებით შემოიფარგლება: ძალა ის ფაქტორია, რომელიც იწვევს *ლოკომოციას.* ფსიქოლოგიური მოძრაობის (ლოკო-

მოციის) ქვეშ ლევინი გულისხმობს არა მხოლოდ რეალურ გადაადგილებას სივრცეში მიზნის მიმართულებით (ანუ მოტორულ პროცესს), არამედ „შინაგან მოძრაობასაც", ანუ წარმოდგენების, აზრების, გრძნობების და ა.შ. ცვალებადობას (ანუ მენტალურ პროცესს). ლოკომოცია, საზოგადოდ, მთელი სიტუაციის სტრუქტურის შეცვლას გულისხმობს. ძალის გრაფიკული გამოხატვა *ვექტორის* საშუალებით ხდება – ვექტორის სიგრძე ძალის ოდენობაზე მიანიშნებს, ხოლო ისარი – მიმართულებაზე. სასიცოცხლო სივრცეში, ჩვეულებრივ, ერთმანეთს უპირისპირდება დადებითი და უარყოფითი ვალენტობის მქონე ობიექტებიდან მომდინარე ძალები; თავად აქტივობა მოცემულ ტოპოლოგიურ არეში არსებული ყველა ძალის ურთიერთქმედების შედეგია. ვექტორების დაჯამებით და გამოკლებით ლევინი ცდილობდა, მოეხახა მათი ტოლქმედი, რომელიც ინდივიდის მოქმედების ინტენსივობისა და მიმართულების მაჩვენებელი იქნებოდა. ლევინის ფსიქოლოგიური სისტემის მთავარი მიზანი სწორედ ესაა. ამ მიზნის მისაღწევად ლევინმა მიმართა გრაფიკული სიმბოლოებისა და სივრცითი სქემების ენას. იგი არ დაკმაყოფილდა ტოპოლოგიური სივრცით, რომლითაც არ გამოიხატებოდა დინამიკურ პროცესებთან დაკავშირებული ისეთი ცნებები, როგორებიცაა: ძალა, მიმართულება, მანძილი; მან შემოიღო ე.წ. *გოდოლოგიური სივრცე;* გოდოლოგია (ოდოს – გზა, ბერძნულად), ესაა მეცნიერება მიმართულებებისა და გზების შესახებ. გოდოლოგიური სივრცის საშუალებით გრაფიკულად აღიწერება გზები, რომლებითაც მიემართება ინდივიდი სასიცოცხლო სივრცის ერთი რეგიონიდან მეორისკენ. ამით ლევინმა საფუძველი ჩაუყარა ფსიქოლოგიაში მათემატიკური მოდელების გამოყენების ტრადიციას. ეს ტრადიცია, სხვადასხვა სახით, XX საუკუნის ფსიქოლოგიის არაერთ მიმდინარეობაში გამოვლინდა, განსაკუთრებით კი იმათში, რომლებიც საბუნებისმეტყველო პარადიგმის კალაპოტშია მოქცეულია.

ლევინი მხოლოდ უდიდესი თეორეტიკოსი კი არა, ბრწყინვალე ექსპერიმენტატორიც იყო. მის მიერ და მისი ხელმძღვანელობით შესრულდა არაერთი კლასიკური გამოკვლევა, რომლებმაც სათავე დაუდო მრავალი საკითხის ემპირიულ შესწავლას, ერთი მხრივ, ქცევისა და მოტივაციის ფსიქოლოგიის სფეროში და, მეორე მხრივ, სოციალური ფსიქოლოგიის სფეროში. აღსანიშნავია, რომ ლევინის სკოლაში ჩატარებული ექსპერიმენტები უმეტესწილად თეორიიდან გამომდინარეობდა და თეორიის სხვადასხვა ასპექტის დასაბუთებას ემსახურებოდა. ეს ექსპერიმენტული სამუშაო გარკვეულ მეთოდოლოგიურ პრინციპებს ეყრდნობოდა. ერთ-ერთი ფუძემდებლური იყო იდეა ინდივიდუალური შემთხვევის შესწავლის მნიშვნელობის შესახებ. თუ ფსიქიკური მოვლენების სფეროში, ფიზიკური სამყაროს მსგავსად, ზოგადი კანონები მოქმედებს, ყოველგვარი კონკრეტული შემთხვევა კანონზომიერია და არა შემთხვევითი. ამდენად, იგი ისევე იმსახურებს შესწავლასა და გაანალიზებას, როგორც „გასაშუალოებული" შემთხვევა (ამა თუ იმ ასაკის საშუალო ინდივიდი, ამა თუ იმ ჯგუფის საშუალო წარმომადგენელი და სხვ.). ის გარემოება, რომ ინდივიდუალური შემთხვევის შესწავლა ხშირად ისეთ შედეგს არ გვაძლევს, როგორსაც თეორია ვარაუდობს, იმით კი არ არის გამოწვეული, რომ პროცესი შემთხვევითია, არამედ იმით, რომ კონკრეტული მოვლენა არასდროს გვეძლევა „სუფთა სახით", არ იმართება მხოლოდ ერთი კანონზომიერებით. ინდივიდუალური შემთხვევისას, როგორც წესი, მოქმედებს

კანონების მთელი რიგი, თუმცა, ერთი შეხედვით, შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს საქმე გვაქვს ერთიან პროცესთან. სინამდვილეში აქ ერთმანეთში გარდამავალი პროცესების ერთობლიობაა და თითოეული იმართება თავისი ზოგადი კანონზომიერებით. ამიტომ ლევინი სასარგებლოდ თვლის, გამოიყოს, ერთი მხრივ, *ფენოტიპური ცნებები* (რომლებიც აღწერენ კომპლექსურ პროცესს ისე, როგორც მოცემულია რეალურად გამოვლენილ ინდივიდუალურ შემთხვევაში) და, მეორე მხრივ, *კაუზალურ-გენეტიკური ცნებები* (რაც ფენომენის აღწერით დახასიათებას კი არა, ერთმნიშვნელოვანი კანონებით მის ახსნას გულისხმობს) [14]. აქედან გამომდინარე, ლევინის სკოლაში, ექსპერიმენტული კვლევის წარმოდგენის დროს, ავტორები ცდილობენ, შეძლებისდაგვარად მკაფიოდ გამოყონ ფენოტიპი და გენოტიპი, საკუთრივ აღწერითი და კაუზალურ-დინამიკური ნაწილი. ამავე დროს, ყურადღება ექცევა ყოველდღიურ, ბუნებრივ სიტუაციებს, ფენოტიპის ამა თუ იმ ინდივიდუალურ გამოვლინებას. ამის გამო ლევინის სკოლის ემპირიული კვლევა, მიუხედავად თავისი ლაბორატორიულობისა, ბუნებრივი ექსპერიმენტის გარკვეულ ნიშნებს შეიცავს. ეს ვლინდება უკვე ცდის დაგეგმვაში, მის სცენარში, რომელიც ექსპერიმენტატორს ზოგჯერ საკმაოდ რთული როლის შესრულებას აკისრებს და მისგან გარკვეულ არტისტიზმს მოითხოვს. ექსპერიმენტატორს ცდის მსვლელობაშიც უხდება თავისი ქცევის გარკვეულ ფარგლებში ვარიირება კონკრეტული სიტუაციის (ცდისპირის ქცევის) შესაბამისად.

ემპირიული კვლევის ეს ნიშნები ყველაზე თვალნათლივ აისახა ე.წ. *შეწყვეტილი მოქმედების* მეთოდით შესრულებული გამოკვლევების ციკლში. მათი უმეტესობა დაძაბულობის სისტემების დინამიკის შესწავლაზე იყო მიმართული. ერთ-ერთ ასეთ გამოკვლევას სკოლის ლიდერის გამჭრიახი დაკვირვება დაედო საფუძვლად. თავის თანამშრომლებთან კაფეში მყოფი ლევინი მოულოდნელად ეძახის ოფიციანტს და ეკითხება, რა დაკვეთები მიიღო მის მომსახურებაში მყოფი რამდენიმე მაგიდიდან. ოფიციანტი, წიგნაკში ჩაუხედავად, ამომწურავ პასუხს იძლევა. შემდეგ იმავე კითხვას უსვამს კაფედან გამავალი წყვილის დაკვეთასთან დაკავშირებით, რომელსაც ოფიციანტი უკვე მოემსახურა. აქ ოფიციანტი ჩაფიქრდება და მერყეე და არასწორ პასუხს იძლევა. ლევინი სვამს კითხვას – რატომ დაიმახსოვრა ოფიციანტმა უკეთ ის შეკვეთა, რომელიც ჯერ არ შესრულებულა? ასოციაციის კანონების თანახმად, მას უკეთ უნდა დაემახსოვრებინა დასრულებული მოქმედება, რომელშიც ასოციაციების გრძელი რიგია რეალიზებული. პასუხი ასეთია: ოფიციანტს აღარ აქვს მოთხოვნილება, დაიმახსოვროს იმ კლიენტის შეკვეთა, რომელიც მიდის. მიზეზი ისაა, რომ სათანადო დაძაბულობის სისტემა მოხსნილია, სხვა შემთხვევებში ასეთი კვაზიმოთხოვნილება აქტუალურად მოქმედებს.

ამ იდეის შესამოწმებლად ბლიუმა ზეიგარნიკმა (1900-1988) ჩაატარა სპეციალური გამოკვლევა, რომელშიც პირველად (1927წ.) იქნა აპრობირებული აღნიშნული შეწყვეტილი მოქმედების მეთოდი. ცდისპირს აძლევენ დავალებების რიგს, რომელთაგან ნახევარს აწყვეტინებენ, ნახევარს კი ასრულებინებენ. გარკვეული ხნის შემდეგ მას სთხოვენ, აღადგინოს მეხსიერებაში ყველაფერი, რაც გააკეთა. აღმოჩნდა, რომ ცდისპირებს დაუმთავრებელი მოქმედებები თითქმის ორჯერ უკეთ ამახსოვრდებათ [9]. ამ მოვლენას შემდგომში *ზეიგარნიკის ეფექტი* დაერქვა. მისი მიზეზი,

ლევინის მიხედვით, დაძაბულობის სისტემების ნაწილობრივ ან სრულ განტვირთვაში უნდა ვეძებოთ.

თუ ზეიგარნიკის ცდებში კვაზიმოთხოვნილების დაკმაყოფილების დინამიკა მნემურ პროცესებზე მისი ზეგავლენის საშუალებით შეისწავლებოდა, ლევინის კიდევ ერთი, რუსეთიდან ჩასული მოწაფის, მ. ოვსიანკინას, გამოკვლევაში დაძაბულობის სისტემის მოქმედების კანონზომიერება უშუალოდ ქცევის შესრულების პროცესში იქნა შემოწმებული. ამ ცნობილ გამოკვლევაში ნათლად გამოჩნდა ექსპერიმენტის ის თავისებურებები, რაზეც ზემოთ იყო ლაპარაკი. აქაც შეწყვეტილი მოქმედების მეთოდია გამოყენებული. ცდისპირებს შესასრულებლად სთავაზობენ საკმაოდ მარტივ და არცთუ საინტერესო დავალებების სერიას; მაგალითად, ცდისპირმა ნაწილებისგან უნდა ააწყოს ფიგურა, გადათვალოს საგნები, დახატოს გამოსახულება და სხვ. ცდისპირს დავალების შესრულებას შუაში აწყვეტინებენ და სთხოვენ, გადავიდეს სხვა მოქმედებაზე. მომდევნო მოქმედება თავისი სტრუქტურით სრულიად განსხვავდება წინასგან და მას ბოლომდე ასრულებინებენ. ამ დავალების შესრულების მსვლელობისას ექსპერიმენტატორი ახერხებს წინა მოქმედების მასალის ნარჩენების დამალვას, მაგალითად, ვითომ შემთხვევით, მას ზემოდან აფარებს გაზეთს. მეორე მოქმედების დასრულების შემდეგ ცდის ხელმძღვანელი თავს ისე აჩვენებს ცდისპირს, თითქოს რაღაც საქმითაა დაკავებული (რაიმეს ეძებს მაგიდაზე, მიდის ფანჯარასთან, რაღაცას წერს); ამავე დროს, შეუმჩნევლად აკვირდება მის ქცევას. გამოირკვა, რომ ასეთ სიტუაციაში ცდისპირების 86% უბრუნდება წინა, შუა გზაზე მიტოვებულ მოქმედებას. ეს სხვადასხვა ფორმით ვლინდება: ზოგჯერ ცდისპირები სთხოვენ ექსპერიმენტატორს დაამთავრებინოს შეწყვეტილი მოქმედება, ხან კი პირდაპირ, უკითხავად იღებენ წინა მასალაზე გადაფარებულ გაზეთს და იწყებენ მოქმედებას. მიღებული შედეგი (ე.წ. *ოვსიანკინას ეფექტი*) მართლაც შთამბეჭდავია. ბოლოს და ბოლოს, ლაპარაკია იმაზე, რომ მოზრდილ, ნორმალურ ადამიანს უჩნდება უძლიერესი ტენდენცია ყოველგვარი დავალების გარეშე, საკუთარი ინიციატივით კვლავ მიუბრუნდეს ისეთ „არასერიოზულ“ მოქმედებას, როგორიც, ვთქვათ, ფიგურების გადათვლა ან აწყობაა. შეწყვეტილი მოქმედებისადმი ესოდენ გამოკვეთილი მისწრაფება, ლევინის შეხედულების თანახმად, სათანადო კვაზიმოთხოვნილების, დაძაბულობის სისტემის არასრული განტვირთვით, მის მიერ ენერგეტიკული მუხტის შენარჩუნებით აიხსნება.

კვლევის ამ ხაზის გაგრძელებაა ლევინის სკოლაში შესრულებული შრომების ციკლი, რომლებიც ე.წ. *შენაცვლებითი მოქმედების* შესწავლაზეა მიმართული (ა. მალერი, კ. ლისნერი, ს. სლოსბერგი). მათში განხილულია საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელია ამოცანით გამოწვეული დაძაბულობის სისტემის თუნდაც ნაწილობრივი განტვირთვა არაპირდაპირი გზით, შენაცვლებითი მოქმედების შესრულების საშუალებით და რა პირობებია ამისთვის საჭირო. აღმოჩნდა, რომ ეს მართლაც შესაძლებელია: თუ შეწყვეტილი მოქმედების შემდეგ ცდისპირი ასრულებს ამ მოქმედების მსგავს ან იდენტურ დავალებას, მას თითქმის არასდროს უჩნდება ტენდენცია, დაუბრუნდეს დაუმთავრებელ მოქმედებას. ეს იმას ნიშნავს, რომ მომდევნო მოქმედებამ განტვირთა დაძაბულობის სისტემა, ანუ ნამდვილად შემნაცვლებელი მოქმედების როლი შეასრულა. ლევინის ტერმინოლოგიით, ამ შემთხვევაში

ხდება კვაზიმოთხოვნილებების *კომუნიკაცია*, რაც ენერგიის ურთიერთგადადინებაში გამოიხატება. ამ მოვლენას ადამიანის აქტივობაში დიდი ადგილი უკავია.

ექსპერიმენტულად დადგინდა, რომ შენაცვლებითი ეფექტი მით უფრო ძლიერია, რაც უფრო მსგავსია მოქმედებები, რაც უფრო ნაკლებია მათ შორის დროითი ინტერვალი, რაც უფრო რთულია შემნაცვლებელი მოქმედება და რაც უფრო მიმზიდველია იგი. მნიშვნელობა აქვს, ასევე, პიროვნულ და სოციალურ მომენტებს. საერთოდ კი, საკითხის ინტენსიურმა ემპირიულმა შესწავლამ ლევინს საშუალება მისცა, გამოეყო შენაცვლებითი დაკმაყოფილების ოთხი სახე: 1) ეკვივალენტური ან სიტუაციის შესატყვისი დაკმაყოფილება. ეს ხდება, მაგალითად, მაშინ, როდესაც ადამიანი თვითონ კი არ უშვებს საფოსტო ყუთში წერილს, არამედ სხვას ავალებს ამის გაკეთებას; 2) "Pars pro toto" (ნაწილი მთელის მაგიერ). მაგალითად, იმის ნაცვლად, რომ იყიდოს რაიმე ნივთი, ადამიანი იმით კმაყოფილდება, რომ უბრალოდ გაივლის საჭირო ქუჩაზე და მაღაზიაში შესვლა კი ავიწყდება; ან მხოლოდ ჩაინიშნავს თავის განზრახვას ნიგნაკში, საქმეს კი აღარ ასრულებს. ამ შემთხვევაში მოქმედება მიემართება „სწორი მიმართულებით" და შემდეგ მუხრუჭდება, მაგრამ ჩნდება თავისებური კმაყოფილების განცდა, რომ რაღაც მაინც გაკეთდა. ეს ნაწილობრივ ამცირებს დაძაბულობას; 3) არანამდვილი, მოჩვენებითი დაკმაყოფილება. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როდესაც მოქმედება ძნელი შესასრულებელია და ადამიანი სუროგატით კმაყოფილდება. ლევინის მაგალითის თანახმად, სტუდენტი, რომელიც ოცნებობს, იქონიოს როიალი, აგროვებს როიალების კატალოგებს, ვინაიდან რეალური ინსტრუმენტის საყიდელი სახსრები არ გააჩნია. ლევინს მოჰყავს ბავშვის მაგალითიც, რომელიც ვერ ახერხებს შეასრულოს ექსპერიმენტატორის დავალება, კერძოდ ამოაცვას რგოლი მოშორებით მდგარ ბოთლს; ამის სანაცვლოდ ბავშვი რგოლს მასთან ახლო მყოფ ბოთლზე ათავსებს; 4) შენიღბული მოჩვენებითი დაკმაყოფილება. ბოლო მაგალითში მეორე შემნაცვლებელი ბოთლის ადგილი შეიძლება დაიკავოს სათამაშო დათუნიამ ან რაიმე ამდაგვარმა არაეკვივალენტურმა საგანმა. თვით მოქმედებამაც შეიძლება იმდენად იცვალოს სახე, რომ ძნელად საცნობი გახდეს. ასეთი მოქმედება შეიძლება მაშინ აღმოცენდეს, როცა სიტუაცია მოითხოვს შემნაცვლებელი მოქმედების დაფარვას, ვთქვათ, როცა ადამიანი მორცხვობს.

ფსიქოლოგიის ისტორიკოსების მიერ არაერთხელ აღნიშნულა მსგავსება, რომელიც იკვეთება ლევინისა და ფროიდის შეხედულებებში შენაცვლების საკითხთან დაკავშირებით. თუ მხედველობაში საკითხის ფაქტოლოგიურ მხარეს მივიღებთ, ეს მართლაც ასეა და ამას თვით ლევინიც ადასტურებს. მაგრამ ლევინი კატეგორიულად არ ეთანხმება იმ თეორიულ კონსტრუქციებს, რომლებსაც ფროიდი მიმართავს საერთოდ აქტივობისა და, კერძოდ, შემნაცვლებელი მოქმედების ახსნისას. თავის ინტერპრეტაციებში ლევინი ამოდის სიტუაციურად შექმნილი ველის ძალებიდან და არა თანდაყოლილი ლიბიდოზური ტენდენციებიდან ან ოდესღაც ცნობიერებიდან განდევნილი განცდებიდან. ფროიდის თანახმად, ადამიანი შემნაცვლებელი მოქმედების გზით ცდილობს, თავი დააღწიოს წარსულიდან მომდინარე არარეალიზებული ლტოლვების შემაწუხებელ დიდქტატს. ლევინის მიხედვით კი, შემნაცვლებელი მოქ-

მედება ამჟამად შექმნილი დაძაბულობის სისტემის გადასტრუქტურების, ანუ უფრო აქტუალური რეგულაციის ფუნქციას ასრულებს, და არა ზოგადად თავდაცვისას.

დაძაბულობის სისტემის აღკვეთის დინამიკას ეხება ე.წ. *სიმაძღრისა და მოყირჭების* მოვლენების კვლევა, რომელიც ა. კარსტენს ეკუთვნის. ბიოლოგიური მოთხოვნილებების შემთხვევაში გამოვლენილია შემდეგი დინამიკა: დეპრივაცია – დაკმაყოფილება – მოყირჭება. ლევინი თვლის, რომ ასეთივე დინამიკა უნდა იყოს კვაზიმოთხოვნილების შემთხვევაშიც. სპეციალურმა ექსპერიმენტებმა დაადასტურა ეს მოსაზრება. ცდის პირებს ეძლევათ ხანგრძლივი, მონოტონური დავალება, რომლის შესრულება მათ საკმაოდ მალე ბეზრდებათ (მაგალითად, უნდა დახატონ ხაზები ან წრეები მათ წინ მდებარე ფურცლების დასტაზე). ვინაიდან ამოცანით შექმნილი დაძაბულობის სისტემა მაინც მოქმედებს, ისინი ცდილობენ, გააგრძელონ დავალების შესრულება, მაგრამ ამ პროცესში გარკვეული ცვლილებები შეაქვთ, რითაც იადვილებენ მობეზრებული და არასასურველი საქმის კეთებას. მაგალითად, ცვლიან ხაზების ან წრეების ზომას, სამუშაოს ტემპს, რიტმს და ა.შ. ზოგჯერ მიმართავენ „მიმყოლ“ მოქმედებებს: ღიღინებენ, უსტვენენ, ფეხებს აბაკუნებენ. რაც უფრო მატულობს სიმაძღრის დონე, მით უფრო გამოკვეთილი და ხშირი ხდება სტერეოტიპულ მოქმედებაში შეტანილი ცვლილებები, იქამდე, რომ ზოგჯერ იგი, ფაქტობრივად, სხვა მოქმედების სახეს იღებს. იმ შემთხვევაში, თუ ცდის პირობები გამკაცრდება და მოქმედების ამგვარი ტრანსფორმაციის შესაძლებლობა გამოირიცხება, ცდისპირები საერთოდ წყვეტენ დავალების შესრულებას, ვინაიდან ის მათთვის აუტანელი ხდება. ამ დროს სიმაძღრე უკვე მოყირჭების სტადიაში გადადის. სიმაძღრის მოვლენა გასაგებს ხდის ერთი მოქმედებიდან მეორეზე გადასვლის დინამიკას. მოქმედების განხორციელება ამცირებს მისი შესრულების ტენდენციას, რის გამოც სასიცოცხლო სივრცეში დომინანტური ხდება დაძაბულობის სხვა სისტემები და აქტივობაც მათ შესაბამისად წარიმართება [10].

აღნიშნული გამოკვლევები, არსებითად, მოტივაციის დინამიკური ასპექტის შესწავლაზე იყვნენ მიმართული, ასეთებია: დაძაბულობის წარმოქმნა და მისი განტვირთვა, ბლოკირება, გადართვა და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ მოტივაციის პიროვნულ ასპექტს ამ კვლევებში პრაქტიკულად არ ექცეოდა ყურადღება, ზოგ შემთხვევაში ის მაინც იჩენდა თავს. იმავე ზეიგარნიკის ზემოთ მოყვანილ გამოკვლევაში, სადაც გაირკვა, რომ დაუმთავრებელი მოქმედება უკეთ აღიბეჭდება მეხსიერებაში, ამ ზოგადი კანონზომიერების გარდა ერთი საგულისხმო მომენტიც დადასტურდა, სახელდობრ ის, რომ მნიშვნელობა აქვს მოქმედების პიროვნულ ღირებულებას. ზეიგარნიკის ეფექტი ბევრად მეტია, თუ შეწყვეტილი მოქმედება სუბიექტისთვის მნიშვნელოვანია (ვთქვათ, დაკავშირებულია მის პატივმოყვარეობასთან). ეფექტი ნაკლებია, როცა დავალების შესრულებას ცდისპირი არ განიცდის პიროვნულ მიღწევად. მსგავსი რამ დადასტურდა კარსტენის ცდებშიც, სადაც აღმოჩნდა, რომ მოყირჭების მდგომარეობა უფრო ადვილად იქმნება მაშინ, თუ მოქმედება პიროვნულად ნაკლებ ღირებულია.

მოტივაციის პიროვნული ასპექტის მნიშვნელობა ნათლად გამოჩნდა გამოკვლევებში *პრეტენზიის დონის* შესახებ. ეს ცნება შემოიტანა ლევინის სკოლის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა ფერდინანდ ჰოპემ. ის აღნიშნავს მიზნის სირთუ-

ლის იმ დონეს, რომლისკენაც სუბიექტი მიისწრაფვის. ამას განსაზღვრავს, თუ რამდენად წარმატებით დამთავრდა ამოცანის გადაწყვეტის წინა მცდელობა. ცდის პირებს გადასაწყვეტად აძლევენ სხვადასხვა სირთულის გონებრივ ამოცანებს. ისინი თავისუფალი არიან ამოცანის სირთულის შერჩევაში. ცდისპირები თავდაპირველად სირთულის გარკვეულ დონეს ირჩევენ. მომდევნო ეტაპზე, შემდგომი ამოცანების სირთულის შერჩევისას, ისინი თავის პრეტენზიებს ცვლიან. ლევინის სკოლაში ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით, პრეტენზიის დონის ცვლილების დინამიკა დამოკიდებულია მყარ პიროვნულ ფაქტორზე, სახელდობრ იმაზე, რომ ადამიანს აქვს ზოგადი ტენდენცია, რაც შეიძლება მაღალ დონეზე შეინარჩუნოს თავისი მე, ანუ ის, რასაც შემდგომში თვითშეფასება ეწოდა. ეს ზოგადი ტენდენცია წარმოშობს ორ კონფლიქტურ მოტივაციურ ძალას: მისწრაფებას *წარმატებისკენ* და მისწრაფებას *წარუმატებლობის არიდებისკენ*. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ პრეტენზიის დონის სტრუქტურა პიროვნების მოტივაციის მყარ თვისებას შეადგენს, რომელიც განსაზღვრავს მის მიერ მიზნის შერჩევის ხასიათს. ის ინდივიდები, ვისთანაც წარმატების მიღწევის ტენდენცია დომინირებს, ჩვეულებრივ, საშუალო სირთულის რეალისტურ მიზნებს ისახავენ. წარმატების არიდებაზე ორიენტირებული პირები კი, როგორც წესი, ირჩევენ ან ძალიან რთულ, ან პირიქით, ძალიან მარტივ მიზნებს [31].

ძნელი დასანახი არ არის, თუ რა მჭიდრო კავშირი არსებობს პრეტენზიის დონის პრობლემატიკასა და ქცევის ფსიქოლოგიის ფუნდამენტურ საკითხებს შორის, ასეთებია: მიღწევის მოტივაცია, ქცევის სუბიექტური ალბათობა, არჩევანი, გადაწყვეტილება, კონფლიქტი და სხვ. ლევინის სამეცნიერო მოღვაწეობის ამერიკულ ეტაპზე მათ დიდი ყურადღება ექცეოდა. ლევინი *კონფლიქტის* ფსიქოლოგიური კვლევის პიონერად ითვლება. ჯერ კიდევ 1931 წელს სპეციალურ გამოკვლევაში მან განსაზღვრა კონფლიქტი როგორც ვითარება, როდესაც სუბიექტზე მოქმედებენ ურთიერთსანინააღმდეგოდ მიმართული და დაახლოებით თანაბარი ძალის მქონე ტენდენციები [15]. მანვე მოგვცა კონფლიქტის სახეების კლასიკური დაყოფა მიახლოებისა და განრიდების ტენდენციების ურთიერთმიმართების მიხედვით, ესენია: 1) *მიახლოება-განრიდების* ტიპის კონფლიქტი, როდესაც მოცემულია თანაბარი დადებითი ვალენტობის მქონე ორი მიზან-ობიექტი. ამ კონფლიქტის კლასიკური მაგალითი ბურიდანის ვირის შემთხვევაა; 2) *განრიდება-განრიდების* ტიპის კონფლიქტი, როდესაც არჩევანი უნდა მოხდეს ორ თანაბრად უსიამოვნო ალტერნატივას შორის. ამის მაგალითია სცილასა და ქარიბდას შემთხვევა ბერძნული მითოლოგიიდან; ყოფაში კონფლიქტის ეს სახე ხშირად იჩენს თავს, როცა მოზრდილები ცდილობენ, დასჯის მუქარით აიძულონ ბავშვი, გააკეთოს მისთვის არასასურველი რამ; 3) *განრიდება-მიახლოების* ტიპის კონფლიქტი, როდესაც ერთი და იმავე მიზან-ობიექტთან დაკავშირებულია როგორც მიზიდულობის, ისე უკუქცევის ტენდენციები. ასეთ სიტუაციაშია, მაგალითად, სუბიექტი, რომელსაც უნდა იქორწინოს და, ამავე დროს, ეშინია დაკარგოს თავისუფლება; ბავშვი, რომელსაც სურს, მოეფეროს ძაღლს და თან უფრთხის მას. მოგვიანებით კონფლიქტის ეს ტიპები სისტემატურად იქნა შესწავლილი კლარკ ჰალის სკოლაში, კერძოდ ნილ მილერის მიერ (იხ. თავი V).

გადაწყვეტილების მიღებისა და სათანადო ქცევის განხორციელების შედეგად აქტივობის პლანში კონფლიქტი შეიძლება მოხსნილად ჩაითვალოს. ამავე დროს, გონებაში, კოგნიციის პლანში, მოცემული ალტერნატივები არსებობას განაგრძობენ. მათი დაპირისპირება ქმნის დაძაბულობის სისტემას, რომელიც უნდა აღიკვეთოს ან შემცირდეს. ეს მოსაზრებები დაედო საფუძვლად ლევინის ერთ-ერთი ამერიკელი მოსწავლის ლეონ ფესტინგერის ცნობილ თეორიას, რომელიც სოციალურ ფსიქოლოგიაში გავრცელებულ ე.წ. კოგნიტური შესატყვისობის მოდელებს შორის საუკეთესოთა რიცხვშია (იხ. XI თავი). საერთოდ, ლევინის იდეები სოციალურ ფსიქოლოგიაში კოგნიტივისტური ორიენტაციის მასაზრდოებელ წყაროდ იქცა. ლევინი სოციალური ფსიქოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებლად და უდიდეს თეორეტიკოსად არის აღიარებული. ცალკეული ინდივიდისა და გარემოს ურთიერთქმედების აღსაწერად შემოღებული ცნებები (ველი, დაძაბულობა, ვალენტობა, ვექტორი და სხვ.) მან გამოიყენა სოციალური ჯგუფის შიგნით და ჯგუფებს შორის მიმდინარე პროცესების დახასიათებისთვის. ინდივიდის მსგავსად, ჯგუფი და მისი გარემოცვა ქმნის სოციალურ სივრცეს. მის სტრუქტურაში შედიან ცალკეული ინდივიდები, მიკროჯგუფები, სოციალური ნორმები, ღირებულებები, კომუნიკაციის არხები და ა.შ. ამდენად, ჯგუფური ქცევა ყოველ მომენტში განსაზღვრულია სოციალურ ველში მოქმედი რეალური ძალებით. ლევინის ფიგურის მასშტაბზე ის გარემოებაც მიუთითებს, რომ „მისი მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ, 1948 წელს, არსებითად იცვლება დამოკიდებულება სოციალურ ფსიქოლოგიაში საკმარისად ზოგადი თეორიების აგების შესაძლებლობის მიმართ“ [7; 19].

ამ მიმართულებით გაწეული ემპირიული და პრაქტიკული სამუშაო ეყრდნობა ე.წ. *ქმედითი კვლევის* მოდელს. თავისი არსით ესაა, ფუნდამენტურ-გამოყენებითი კვლევის მეთოდი, რომელიც ორი ძირითადი ნიშნით ხასიათდება: სოციალური პრობლემის სისტემატური, უპირატესად ექსპერიმენტული შესწავლა და ძალისხმევა მისი პრაქტიკული გადაწყვეტის მიმართულებით. მაშასადამე, კვლევა ჩართულია სოციალური ამოცანების რეალური გადაწყვეტის საქმეში, მაგალითად ისეთის, როგორიცაა ჯგუფური ურთიერთობების შეცვლა [12]. ამ იდეოლოგიით, ლევინის ხელმძღვანელობით, ჯგუფური დინამიკის კვლევის ცენტრში განხორციელდა მცირე ჯგუფების ფუნქციონირების სხვადასხვა ასპექტის უაღრესად მრავალფეროვანი და ნაყოფიერი კვლევა. შეისწავლებოდა ლიდერობა და მართვის სტილი, ჯგუფური ატმოსფერო და ჯგუფის შეჭიდულობა, ადაპტაცია და კომუნიკაცია ჯგუფში და ჯგუფებს შორის, სოციალური პერცეფცია და ჯგუფის პროდუქტიულობა და სხვ. ლევინი უფრო შორს წავიდა და უშუალოდ პრაქტიკული სამუშაოს ორგანიზაციას მოჰკიდა ხელი. მაგალითად, შრომისნაყოფიერების ასამაღლებლად იგი მიმართავდა ლიდერობის სტილის შეცვლას. ჯგუფის შიგნით და ჯგუფთა შორის წარმოქმნილი კონფლიქტების, მათ შორის რასობრივ ნიადაგზე აღმოცენებული დაძაბულობის შესუსტების მიზნით ლევინი აწყობდა სპეციალურ ტრენინგებს. ისინი, მოგვიანებით, ძალიან პოპულარული შეხვედრის ჯგუფების პროტოტიპად იქცნენ. ლევინი დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ გამოყენებითი და თეორიული ფსიქოლოგია მჭიდრო კავშირში უნდა იმყოფებოდეს. თანამშრომლობა ამ სფეროებში მომუშავე სპეციალისტებს შორის სავსებით შე-

საძლებელია, „თუ თეორეტიკოსი ქედმაღლურად არ იბრუნებს პირს გამოყენებითი პრობლემებისგან და სოციალურ პრობლემებს არ შეუშინდება, ხოლო გამოყენებითი ფსიქოლოგი გააცნობიერებს, რომ არ არსებობს იმაზე უფრო პრაქტიკული რამ, ვიდრე კარგი თეორია“ [19; 331]. ლევინის მოღვაწეობა ფსიქოლოგიაში ამ თეზისის შესანიშნავი ილუსტრაციაა.

მოტივაციის ცნობილი სპეციალისტის ჰეკჰაუზენის შეფასებით, ლევინმა არა მარტო საფუძველი ჩაუყარა მოტივაციის ფენომენების ექსპერიმენტულ შესწავლას, არამედ მნიშვნელოვნად განსაზღვრა ქცევისა და მოტივაციის ფსიქოლოგიის ყველაზე გავრცელებული თანამედროვე შეხედულებები, კერძოდ ინსტრუმენტალობისა და მიღწევის მოდელები [23]. ინსტრუმენტალობა მიანიშნებს იმაზე, თუ როგორ აფასებს ადამიანი სასურველი შედეგის მიღწევის შესაძლებლობას ან ალბათობას (იხ. XI თავი). ლევინის ერთ-ერთი მოწაფე ჯ. ატკინსონი ამას უმატებს მიღწევის მოტივაციას, რომელშიც ხორციელდება ადამიანის ზოგადი ტენდენცია, რაც შეიძლება უკეთ შეასრულოს მოქმედება. ეს მოტივაცია მონაწილეობს ყველა სახის სოციალურად მნიშვნელოვანი ქცევის რეალიზაციაში და, ზუსტად ისევე, როგორც ლევინთან, ვლინდება წარმატების მიღწევისა და წარუმატებლობის არიდების მისწრაფებების სახით. პირველ შემთხვევაში სუბიექტის ქცევაში შეიმჩნევა ინიციატივა, შეჯიბრისა და გონიერი რისკის ტენდენცია, მეორეში ქცევას გაცილებით ფრთხილი და გაუბედავი ხასიათი აქვს.

გორდონ ოლპორტი, რომელიც პირადად იცნობდა გასული საუკუნის ფსიქოლოგიის ბევრ მთავარ ფიგურას, წერილში – „კურტ ლევინის გენია – მას ყველაზე ორიგინალურ მეცნიერად მოიხსენიებს [22]. ლევინმა მნიშვნელოვნად განსაზღვრა თანამედროვე ფსიქოლოგიის სახე. ყოველ შემთხვევაში, ეს დარწმუნებით შეიძლება ითქვას საბუნებისმეტყველო ორიენტაციის ფსიქოლოგიაზე. მის მიერ შემოტანილი მრავალი ცნება ფსიქოლოგიური მეცნიერების ორგანული ნაწილი გახდა. ხშირ შემთხვევაში ლევინმა მეცნიერება, ფაქტობრივად, მიმართა ახალი სფეროების ათვისებისკენ თეორიული და პრაქტიკული კუთხით (მაგალითად: ჯგუფური დინამიკა, პრეტენზიის დონე, სოციალური პერცეფცია); ზოგ შემთხვევაში ფსიქოლოგიის წინაშე უკვე მდგარი საკითხების ექსპერიმენტული შესწავლის გზა გაკვალა და მდიდარი ემპირიული მონაცემები მოიპოვა (მაგალითად, ადამიანის მოტივაციის საკითხი); ასევე, ნათელ მოჰფინა მანამდე არსებულ საკმაოდ ბუნდოვან თეორეტიზაციებს ამა თუ იმ საკითხის გარშემო (ასეთი ბუნდოვანი სახით იყო წარმოდგენილი, მაგალითად, კონფლიქტის მოვლენა ფსიქოანალიზში).

რაც უფრო ღრმა და მასშტაბურია თეორიული სისტემა, მით უფრო სერიოზულია მისი შეფასება და მძაფრია კრიტიკა. ყოველ შემთხვევაში, ასეა ფსიქოლოგიაში. გამონაკლისი არც ლევინის სისტემა გამხდარა. ამ სისტემის კონკრეტული ასპექტების მიმართ მრავალი შენიშვნაა გამოთქმული განსხვავებული თეორიული ორიენტაციის მქონე მეცნიერთა მიერ. შევჩერდეთ მხოლოდ ყველაზე არსებითზე. ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლაში სერიოზული პრეტენზიები არსებობს კვაზიმოთხოვნილების ცნე-

ბასთან დაკავშირებით. შ. ჩხარტიშვილის აზრით, ლევინმა ტერმინი „კვაზი" (ვითომდა) იმიტომაც იხმარა, რომ კვაზიმოთხოვნილება სინამდვილეში საერთოდ არ არის მოთხოვნილება. იგი მოკლებულია მოთხოვნილების ძირითად ფსიქოლოგიურ თავისებურებებს. კვაზიმოთხოვნილება განზრახვის მოქმედი ძალის გამოხატულებაა, მაგრამ „გადაწყვეტილება შეიძლება ერთბაშად მოიხსნას, თუ მისი განხორციელება აშკარად მიზანშეუწონელი აღმოჩნდება", მაშინ, როდესაც „მოთხოვნილებები არ იხსნებიან და არც მიზანშეწონილობას იღებენ მხედველობაში, როცა თავიანთთვის საჭირო იმპულსებს იძლევიან" [5; 25]; ზ. ხოჯავა თვლის, რომ „კვაზიმოთხოვნილება შეუძლებელი ცნებაა". მისი აზრით, „კ. ლევინის შეცდომა იმაშია, რომ მან სინამდვილედ მიიჩნია მხოლოდ ბიოლოგიური მოთხოვნილებანი და მხედველობაში არ მიიღო მაღალი, პიროვნული ხასიათის მოთხოვნილებათა არსებობა (მე-ს მოთხოვნილებები, ზნეობრივი მოთხოვნილებები). დაძაბულობის მდგომარეობა, რომელიც გადაწყვეტილების აქტს უკავშირდება, უთუოდ ამ კატეგორიის მოთხოვნილებათაგან გამომდინარეობს და მაშინ კვაზიმოთხოვნილების ცნებაც ზედმეტი ხდება" [6; 46].

რა უნდა ითქვას ამ შენიშვნებზე? ნამდვილ მოთხოვნილებებად მხოლოდ ბიოლოგიური მოთხოვნილებების აღიარება, მართლაც, არ უნდა იყოს მართებული. არსებობს არაორგანიზმული მოთხოვნილებები, რომლებიც თავად წარმოადგენენ გადაწყვეტილების საფუძველს, ხოლო განზრახვის შედეგად აღმოცენებული დინამიკური მდგომარეობა უკვე სხვა ცნებით უნდა დახასიათდეს და არა მოთხოვნილებით, თუნდაც კვაზიმოთხოვნილებით. ლევინის შეხედულებაში ამ ვითარების გაუთვალისწინებლობა, ნაწილობრივ მაინც, იმით აიხსნება, რომ ავტორი ამოდიოდა კვაზიმოთხოვნილების ცნების ე.წ. *კონდიციონალურ-გენეტიკური* დახასიათებიდან. ეს ნიშნავს, რომ ყურადღება გამახვილებულია მოვლენის წარმოქმნა-აღმოცენების წესზე და არა მის შინაგან ბუნებაზე.

მართებული საყვედურია გამოთქმული იმის თაობაზეც, რომ ლევინის თეორიაში იგნორირებულია ფსიქიკური მოვლენების, სახელდობრ მოთხოვნილებების, როგორც დაძაბულობის სისტემების, შინაარსეული მხარე და მხოლოდ მათ დინამიკურ ასპექტზეა გამახვილებული ყურადღება [9]. გარდა ამისა, ლევინის თეორია იმავე საყვედურს იმსახურებს, რომელიც იმ ფსიქოლოგიური სისტემების მიმართ გამოითქმის, სადაც ქცევის მოტივირების პროცესი მხოლოდ წონასწორობის, ანუ ჰომეოსტაზის პრინციპზეა დაფუძნებული. კ. გოლდშტაინის, გ. ოლპორტის, ა. მასლოუს და სხვათა კვლევებმა ამგვარი მიდგომის უმართებულობა ნათლად აჩვენეს, რაშიც კიდევ დავრწმუნდებით.

არანაკლებ მძიმეა შენიშვნა, რომ ლევინი, ფაქტობრივად, აღწერით იფარგლება და იქ ჩერდება, სადაც მოვლენის ახსნის ამოცანა დგება. იგი საკითხსაც არ სვამს იმის შესახებ, თუ რატომ არსებობს მოცემული დინამიკური მიმართებები. ზოგჯერ იმასაც ამბობენ, რომ ლევინის მიერ გაკეთებული ქცევის ტოპოლოგიური და ვექტორული დახასიათება არაფერს ახალს არ ავლენს ქცევაში; ის არის მხოლოდ გარკვეული ფენომენების პოსტფაქტუმ ილუსტრაცია, თვით მოვლენები კი აუხსნელი რჩება.

მაგალითად, ლევინის მახვილი თვალი ამჩნევს კვაზიმოთხოვნილებასა და საგნის გამომწვევ ხასიათს შორის არსებულ მიმართებას, მაგრამ, უზნაძის სამართლიანი შენიშვნისა არ იყოს, ამის დადასტურება, საუკეთესო შემთხვევაში, მოვლენის ზუსტი აღწერაა და არა მისი ახსნა [3]. ეს და სხვა მიმართებები, ლევინის თანახმად, გარკვეული მთლიანის (სასიცოცხლო სივრცის) გამოვლინებებია, ვინაიდან მისი ნაწილების მიმართებებს შეადგენენ. მართლაც, სასიცოცხლო სივრცე შედგება დაძაბულობის სისტემებისგან, გარკვეული ვალენტობის მქონე ობიექტებისგან, ზღუდეებისგან და ა.შ., მაგრამ სასიცოცხლო სივრცის დახასიათება არა მხოლოდ მისი შემადგენელი ელემენტების აღნუსხვას, არამედ, პირველ რიგში, მათ შორის არსებული კავშირებისა თუ მიმართებების გამოვლენას გულისხმობს. მთლიანი სასიცოცხლო სივრცე, როგორც ახსნითი ცნება, ვერაფერს ამბობს აქტივობაში გამოვლენილი მიმართებების წარმოშობაზე, ვინაიდან თვითონ სხვა არაფერია, თუ არა ეს მიმართებები. ამასთან დაკავშირებით, ლევინის შემოქმედების ერთ-ერთი სერიოზული მკვლევარი ნ. ადამაშვილი აღნიშნავს, რომ „ერთი მთლიანისადმი მოვლენების მიკუთვნება იგივეა, რაც მათ შორის გარკვეულ მიმართებათა დადგენა, ვინაიდან ამ მთლიანს დამოუკიდებელი, რეალური არსებობა არა აქვს. ასეთ შემთხვევაში გასაგებია, რომ მსჯელობას – მოცემულ შემთხვევაში იმიტომ გვაქვს გარკვეული მიმართებები, რომ საქმე გვაქვს მოვლენათა გარკვეულ მთლიანობასთან – აზრი ეკარგება. არსებითად, იგი მოასწავებს უარის თქმას შესასწავლ ემპირიულ სფეროში დადასტურებული მიმართებების ახსნაზე“ [1; 156].

არსებითი ამ შენიშვნაში იმაზე მითითებაა, რომ ლევინის სასიცოცხლო სივრცე, როგორც გარკვეული მთლიანობის გამომხატველი ცნება, სინამდვილეში არის ერთგვარი აბსტრაქტულ-ჰიპოთეზური კონსტრუქცია, რომელსაც „დამოუკიდებელი, რეალური არსებობა არა აქვს“. ლევინი, ალბათ, ასეთ შეფასებას არ მიიღებდა, ვინაიდან დარწმუნებული იყო, რომ რეალური ფენომენი აღწერა. მაგრამ საქმეც ისაა, რომ, ამ აღწერის მიხედვით, შეუძლებელია იმაზე წარმოდგენის შექმნა, თუ რა მოვლენასთან გვაქვს საქმე, ბუნებრივ მოვლენათა რომელ სახეობას განეკუთვნება იგი. ერთია, სწორად განსაზღვრო საგნის/მოვლენის შემადგენელი ნაწილები და მათ შორის არსებული კავშირები, და მეორე, ზუსტად გაარკვიო, რა კონკრეტულ ფორმაში არიან ისინი გაერთიანებული, მისცე ამ მთლიანობას ზუსტი დახასიათება.

ლევინი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც მტკიცედ და თანმიმდევრულად დადგა *ინტერაქციულ* პოზიციაზე. მისთვის ქცევისა და სასიცოცხლო სივრცის სიტუაციური და პიროვნული ფაქტორები თანაბარუფლებიანი წევრები არიან ფორმულისა: $B = F(P,E) = F(LSp)$. შესაბამისად, ყველა, ვინც ამ ფორმულის ერთ-ერთ წევრზე აკეთებს აქცენტს, ავტომატურად მის ოპონენტად იქცევა. პერსონალისტებს მიაჩნიათ, რომ ლევინი სათანადო ყურადღებას არ აქცევს პიროვნებას, მის ისტორიას, ფორმირების პროცესს და ამ პროცესის მექანიზმებს – მემკვიდრეობას, მომწიფებას, დასწავლას და ა.შ. უმრავლეს შემთხვევაში ლევინის სისტემა არც განიხილება პიროვნების კონცეფციად, რაზეც ის ვითარება მეტყველებს, რომ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, პიროვნების თეორიებისადმი მიძღვნილ სქელტანიან კომპენდიუმებში, სა-

დაც თავმოყრილია პრაქტიკულად ყველა, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური შეხედულება, ლევინის სისტემა, უბრალოდ, იგნორირებულია (მაგალითად, კლონინგერის, მადის, პერვინის და ჯონსის, ჰიელისა და ზიგლერის და კიდევ სხვათა მონოგრაფიები). ეს ერთობ უცნაური და, ამავე დროს, ნიშანდობლივი გარემოებაა.

არანაკლებ მკაცრია სიტუაციონისტების შეფასებაც. მათი ნაწილი (ბრუნსვიკი, ლიპერი, ტოლმენი) ლევინს საყვედურობს, რომ იგი მხედველობაში არ იღებს ობიექტურ გარემოს. ფსიქოლოგიურმა თეორიამ უნდა გაითვალისწინოს, თუ რა გავლენას ახდენს სასიცოცხლო სივრცეზე მის გარეთ მდებარე არაფსიქოლოგიური ვითარება. ლევნმა იცოდა ეს შენიშვნა და სრულიად გარკვეული პასუხიც ჰქონდა. სახელდობრ, ბრუნსვიკთან პოლემიკაში იგი ასე აყალიბებს თავის პოზიციას: ფსიქოლოგიამ უნდა ილაპარაკოს ფიზიკური და სოციალური სინამდვილის იმ ფაქტორებზე, რომლებიც აქტუალურად მოქმედებენ სასიცოცხლო სივრცეზე. ლაბირინთის ბოლოს, კარს მიღმა დადებული საკვები სასიცოცხლო სივრცის ნაწილი ვერ გახდება, თუ ცხოველს მხედველობის ან ყნოსვის საშუალებით მის შესახებ ცნობები არ გააჩნია. როდესაც ინდივიდმა იცის, რომ კარს მიღმა საკვებია, ეს ცოდნა, რასაკვირველია, სასიცოცხლო სივრცეშია მოცემული, ვინაიდან ქცევაზე მოქმედებს. ბრუნსვიკი ფიქრობს, რომ ფიზიკური გარემო, რომელიც ამჟამად არ აღიქმება, მაინც ანგარიშგასაწევია სტატისტიკური (ალბათობის) თვალსაზრისით, ე.ი. იმდენად, რამდენადაც მან შეიძლება მომავალში იმოქმედოს სუბიექტზე. ლევინი, ძირითადად, ეთანხმება საკითხის ასეთ დასმას, მაგრამ მოითხოვს, ნათლად გაიმიჯნოს სუბიექტური და ობიექტური ალბათობა. თუ ადამიანი ოთახში ზის და დარწმუნებულია იმაში, რომ ჭერი თავზე არ ჩამოეგრევა, მისი ქცევის პროგნოზირებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ეს *სუბიექტური ალბათობა* და არა ინჟინრის მიერ გამოთვლილი *ობიექტური ალბათობა*, რომლის შესახებ ინდივიდმა არაფერი იცის. ამავე დროს, ლევინს ისიც ესმის, რომ ქცევის გრძელვადიან პერსპექტივაში პროგნოზირებისთვის ჩვენ მოგვიწევს, გარკვეულად გავითვალისწინოთ არაფსიქოლოგიურ გარემოსთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემებიც. აქედან გამომდინარე, ლევინი გვთავაზობს კვლევის ახალ სფეროს – *ფსიქოლოგიურ ეკოლოგიას*. მისი ამოცანაა იმის წინასწარმეტყველება, ობიექტური გარემოს რა ცვლადები იმოქმედებენ ინდივიდის სასიცოცხლო სივრცეზე განსაზღვრულ მომავალში.

ფლოიდ ოლპორტი, რომელიც ასევე სიტუაციონისტური პოზიციიდან ამოდის, ფიქრობს, რომ ლევინი ერთმანეთში ურევს ფიზიკურსა და ფსიქოლოგიურს, ანუ ფენომენალურ სამყაროს. ლოკომოცია ხან ფიზიკურია, ხან მენტალური, საზღვრები – ხან გარეგანი, ხან შინაგანი და ა.შ. ამის შედეგად, ფ. ოლპორტის აზრით, ყველაფერი აღრეულია; ერთ სივრცეშია მოქცეული ადამიანის შინაგანი ფაქტორებიც (ფენომენოლოგია) და მის გარეთ არსებული მოვლენებიც (ფიზიკალიზმი) [24].

ეს კრიტიკა გადაჭარბებულია და არცთუ ადეკვატური, რადგან, როგორც ითქვა, ფიზიკური, ისევე როგორც ყოველგვარი არაფსიქიკური, განიხილება არა თავისთავად, არამედ მხოლოდ მის ფსიქიკურ რეპრეზენტაციაში (გარემოს ფსიქიკური მოცემულობა). ლევინი ამ მოცემულობას პიროვნულ (მოტივაციურ) ფაქტორებთან ერთად

განიხილავს და მათ გააზრებას ერთიანობის გამომხატველი ცნების, სასიცოცხლო სივრცის საშუალებით ცდილობს. ასეთი მიდგომა, უეჭველად, სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია.

ნამდვილი სირთულე ისაა, რომ თვით სასიცოცხლო სივრცის ბუნება არ არის ბოლომდე ნათელი. ლევინის ზოგიერთი გამონათქვამიდან ძნელია ზუსტი აზრის გამოტანა. მაგალითად, ავტორი ამბობს, რომ სასიცოცხლო სივრცე, ესაა „ინდივიდი და მისი ფსიქოლოგიური გარემოცვა იმ სახით, როგორც ის არსებობს თვით ინდივიდისთვის. ჩვენ, ჩვეულებრივ, ეს გვაქვს მხედველობაში, როდესაც ვლაპარაკობთ მოთხოვნილებებზე, მოტივაციაზე, განწყობილებაზე, მიზნებზე, წუხილებსა და იდეალებზე“ [17; 248]. მაგრამ მთელი ეს ჩამონათვალი ხომ ინდივიდის (P) ფაქტორის მახასიათებლებია; სად გაქრა გარემოს მონაცემები, გარემოს ფაქტორი (E)? ამ კითხვის გაჩენა სავსებით ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ ლევინის დებულებას, რომ „ფსიქოლოგიური გარემო ფუნქციურად უნდა განვიხილოთ, როგორც ერთი ინტეგრირებული ველის, სასიცოცხლო სივრცის ნაწილი, რომლის მეორე ნაწილი ადამიანია“ [13; 162]. გრაფიკულად სასიცოცხლო სივრცე გამოიხატება ელიფსის სახით. მასში მოთავსებულია წრე, რომელიც ინდივიდს, პიროვნებას (P) გამოხატავს. წრისა და ელიფსის კონტურებს შორის მოთავსებული სივრცე ფსიქოლოგიური გარემოა (E), ხოლო ელიფსის მთელი სივრცე – სასიცოცხლო სივრცე (LSp).

სასიცოცხლო სივრცის რეალური ონტოლოგიური ბუნების ახსნის საკითხში არც ტოპოლოგიური ფსიქოლოგიის ინტერპრეტატორებს შეაქვთ მეტი სიცხადე. მაგალითად, ჰოლი და ლინდსეი ამტკიცებენ, რომ „წრე ელიფსში – ეს არის რეალობის რუკა, ანუ მისი კონცეპტუალური რეპრეზენტაცია. ნებისმიერი რუკის მსგავსად, მისი ფუნქციაც ისაა, რომ რუკის მფლობელს გზა გაუკვლიოს უცნობ ტერიტორიაზე და რეალობასთან დაკავშირებული ფაქტები გააცნოს“ [24; 351]. რამდენად ეხმარება შემეცნების საქმეს ეს ანალოგია, ძნელი სათქმელია. როდესაც რუკა უცნობ ტერიტორიას გვაცნობს, ჩვენ ვიცით, რომ ეს მიწიერი რეალობაა, საყოველთაოდ ცნობილი თვისებებითა და კოორდინატებით. სასიცოცხლო სივრცის შემთხვევაში კი გაურკვეველია, რომელ სამყაროში ვიმყოფებით, რა რეალობასთან გვაქვს საქმე. მ. იაროშევსკი თელის, რომ „ლევინისთვის „ველი“ – ეს არის სტრუქტურა, რომელშიც სრულდება ქცევა. ის *განუყოფლად* (ხაზგასმა ჩვენია, ი.ი.) მოიცავს ინდივიდის მოტივაციურ მისწრაფებებს (განზრახვებს) და ამ მისწრაფებების ინდივიდის გარეთ არსებულ ობიექტებსაც“ [26; 221]. მაგრამ რას ნიშნავს განუყოფლად, სად და როგორ ხდება მათი გაერთიანება? რა გარკვეულობას, რომელ სინამდვილეს გამოხატავს სასიცოცხლო სივრცის ცნება?

სწორია თეზისი, რომ პიროვნებისეული გულისხმობს გარემოსეულს, და პირიქით; ისიც მართებულია, რომ მხოლოდ ამ ფაქტორების ერთიანობა შეიძლება იყოს ქცევის საფუძველი. კითხვა იმას ეხება, თუ როგორ უნდა გამთლიანდნენ ისინი ისე, რომ შექმნან რაღაც *თავისებური რეალობა* სასიცოცხლო სივრცის სახით. ეს უკანასკნელი ხომ მდგენელების უბრალო ჯამი არ არის – იგი ახალი სტრუქტურა, მთლიანობა, გეშტალტია, რომელიც თითქოს არც სუბიექტს ეკუთვნის და არც გარემოს.

სამწუხაროდ, არც სასიცოცხლო სივრცის სიტყვიერი დახასიათება, არც გრაფიკული გამოსახულება არაფერს გვეუბნება მისი ნამდვილი ონტოლოგიური ბუნების შესახებ. სად, რომელ ინსტანციაში უნდა შეხვდნენ და გამთლიანდნენ გარემო და ინდივიდი – ეს საკითხი ღიად რჩება. ნახაზიდან ჩანს, რომ ეს არ ხდება პიროვნებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოსახულება სხვაგვარი იქნებოდა და ამაზე პირდაპირი მითითება გაკეთდებოდა. ამავე დროს, აღნიშნულია, რომ სასიცოცხლო სივრცე *ფსიქოლოგიური სამყაროა*. თუ ეს ასეა, იგი სუბიექტში უნდა იყოს მოთავსებული; ფსიქოლოგიური სამყაროს ადგილი ფსიქიკაშია. ის, ცხადია, გარემოს გულისხმობს, მაგრამ იმ გარემოს, რომელიც სუბიექტის მიერ არის ასახული და სუბიექტში გადმოტანილი. ამდენად, მოტივაცია და სიტუაცია (ფსიქოლოგიური გარემო) მხოლოდ ინდივიდში შეიძლება შეხვდნენ ერთმანეთს და გაერთიანდნენ, როგორც ქცევის აღმოცენება-შესრულებისთვის აუცილებელი ორი მოცემულობა. აქაც (ანუ სუბიექტის, P-ს შიგნით) მოსანახია ისეთი მთლიანი მდგომარეობა, რომელიც მათ განუყრელად დააკავშირებს, პიროვნების მდგომარეობა, რომელიც გააერთიანებს ფსიქიკურ მონაცემებს გარეგანისა და შინაგანის შესახებ და, ამის გამო ინდივიდის მიერ გარემოში ქცევის განხორციელების მექანიზმის ფუნქციას შეასრულებს. ველის ტოპოლოგიურ თეორიაში ასეთი მექანიზმი საერთოდ არ არის ნაგულისხმები.

ლევინის აზრი, ძირითადად, სწორი მიმართულებით მოძრაობდა, მაგრამ მან ვერ მიაღწია საჭირო ცნებამდე და შეხედულებათა სისტემამდე; ვერ მოინახა ის რეალობა, რომელშიც ბუნებრივად არის გამთლიანებული აქტივობის დეტერმინაციისთვის აუცილებელი ყველა ფაქტორი. მოტივაციისა და სიტუაციის გაერთიანება გაურკვეველი ბუნებისა და ფენომენოლოგიის მქონე სასიცოცხლო სივრცეში საკითხის გადაწყვეტად ვერ ჩაითვლება. სასიცოცხლო სივრცის ცნებას აკლია გარკვეულობა. სახელდობრ, არაა ნათელი, რეალური სამყაროს, სინამდვილის რომელ ფორმას მიეკუთვნება იგი.

ასეთი ცნებისა და თვალსაზრისის დამუშავების მცდელობა მოცემულია დ. უზნაძის განწყობის ზოგადფსიქოლოგიურ თეორიაში (იხ. XII თავი). ამიტომ გასაგებია ქართული ფსიქოლოგიური სკოლის დაინტერესება ველის თეორიით. გასაგებია ის ტენდენციაც, რომელიც ამ სისტემის ცენტრალური ცნებების, კერძოდ, კვაზიმოთხოვნილების განწყობისეულ გააზრებაში ვლინდება [2][3][4][5]. საფიქრებელია, რომ ამ მხრივ უფრო საინტერესო და აზრიანია სასიცოცხლო სივრცისა და განწყობის ცნებათა ურთიერთმიმართების გარკვევა.

ლიტერატურა

1. ადამაშვილი ნ., კურტ ლევინის აქტივობის თეორია. საკანდიდატო დისერტაცია. (ხელნაწერი). 1946.
2. კაკაბაძე ვ., მოთხოვნილების ფსიქოლოგია. მეცნიერება, თბილისი, 1988.
3. უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია / შრომები, ტ. 3-4. მეცნიერება, თბილისი, 1964.
4. უზნაძე დ., განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები / შრომები, ტ. 6. მეცნიერება, თბილისი, 1977.

5. ჩხარტიშვილი შ., ნებისყოფა და მისი აღზრდა. მეცნიერება, თბილისი, 1964.
6. ხოჯავა ზ., მოთხოვნილების ცნების საკითხისათვის უცხოურ ფსიქოლოგიაში / ფსიქოლოგია, ტ. 12. მეცნიერება, თბილისი, 1960.
7. Андреева Г. М., Богомолова Н. Н., Петровская Л. А., Современная социальная психология на западе. Изд-во Моск. ун-та, М., 1978.
8. Бласс Т., Природные целостные системы: Вольфганг Келер и теория, гештальтов / Великие психологи. Феникс, Ростов-на-Дону, 2000.
9. Зейгарник Б. В., Теория личности К. Левина. Изд-во МГУ, М., 1981.
10. Карстен А., Психическое насыщение / Динамическая психология. Смысл, М., 2001.
11. Левин К., Конфликт между аристотелевским и галилеевским способами мышления в современной психологии / Психологический журнал, 1990, 5. С. 134-158.
12. Левин К., Разрешение социальных конфликтов. Речь, СПб., 2000.
13. Левин К., Теория поля в социальных науках. Сенсор, СПб., 2000.
14. Левин К., Закон и эксперимент в психологии / Динамическая психология. Смысл, М., 2001.
15. Левин К., Психологическая ситуация награды и наказания / Динамическая психология. Смысл, М., 2001.
16. Левин К., Регрессия, ретрогрессия и развитие / Динамическая психология. Смысл, М., 2001.
17. Левин К., Определение «поля в данный момент времени» / Динамическая психология. Смысл, М., 2001.
18. Левин К., Поведение и развитие ребенка как функция от ситуации в целом / Динамическая психология. Смысл, М., 2001.
19. Левин К., Проблемы социально-психологического исследования / Динамическая психология. Смысл, М., 2001.
20. Мансуров Н. С., Современная буржуазная психология. Соцэкгиз, М., 1962.
21. Нюттен Ж., Мотивация / Экспериментальная психология. Под ред. П.Фресса и Ж.Пиаже.Т.V. Политиздат, М., 1975.
22. Олпорт Г., Гений Курта Левина / Личность в психологии. Ювента, СПб., 1998.
23. Хекхаузен Х., Мотивация и деятельность. Смысл, СПб., 2003.
24. Холл К. С., Линдсей Г., Теории личности. КСП+, М., 1997.
25. Шульц Д. П., Шульц С. Э., История современной психологии. Евразия, СПб., 1998.
26. Ярошевский М. Г., Психология в XX столетии. Политиздат, М., 1974.
27. Cofer C. N., Appey M. H., Motivation: Theory and research. John Wiley, New York, 1966.
28. Hothersall D., History of psyhology. McGraw-Hill, New-York, 1995.
29. Lewin K., Vorsatz, Will und Bedurfnis / Fsychologische Forschung, 1926, 7. P. 330–385.
30. Lewin K., A dynamic theory of personality: Selected papers. McGraw-Hill, New-York, 1935.
31. Lewin K., Dembo T., Festinger L., Sears P. Level of aspiration / Hunt I. (Ed.). Personality and the behavior disorders, vol. 1. Ronald Press Company, New-York, 1944.

VII თავი
გენეტიკური ფსიქოლოგია

გენეტიკურ ფსიქოლოგიას, ჩვეულებრივ, უწოდებენ შვეიცარიელი მეცნიერის, ჟან პიაჟეს მიერ ჩამოყალიბებულ თეორიულ სისტემას. შინაარსეულადაც და მეთოდურადაც იგი ამართლებს ამ სახელწოდებას, რამდენადაც მასში დადგენილია შემეცნებითი პროცესების ონტოგენეტური განვითარების კანონზომიერებანი. მაგრამ, საზოგადოდ, გენეტიკური მიდგომა ფსიქიკური ცხოვრების ანალიზის მიმართ, რა თქმა უნდა, პიაჟეთი არ იწყება. ევოლუციური სულისკვეთება უკვე სპენსერისეული ასოციაციონიზმისთვისაა დამახასიათებელი. ზოოფსიქოლოგია, რომელსაც XIX საუკუნის მიწურულს ჩაეყარა საფუძველი, უშუალოდ იყო მიმართული ფსიქიკის ფილოგენეზის შესწავლაზე. პარალელურად, სწრაფად იკრებს ძალას ბავშვის ფსიქოლოგია და, მაშასადამე, ინტენსიურად მუშავდება ფსიქიკის ონტოგენეზის საკითხებიც. ამაზე ადრე ჰერბარტის მიმდევრების, შტაინტალის, ლაზარუსის და სხვების ეთნოფსიქოლოგიურ კვლევებში, მოგვიანებით კი ვ. ვუნდტის ხალხთა ფსიქოლოგიაში დაიწყო ფსიქიკის ისტორიული განვითარების საკითხების დამუშავება. საფრანგეთში ფსიქიკის ისტორიული განვითარების შესწავლით გამორჩეულად ლ. ლევი-ბრიულმა გაითქვა სახელი. იგი შეეცადა, ეჩვენებინა ის თავისებურებები, რაც ახასიათებს პრიმიტიული კულტურების ადამიანთა აზროვნებას. როგორც ვხედავთ, ფსიქიკის შესწავლის აუცილებლობა განვითარების ასპექტში XX საუკუნის დამდეგისთვის უკვე კარგად იყო გაცნობიერებული. ამან თავი იჩინა შესაბამისი დარგების ჩამოყალიბებაში, სადაც საგანგებოდ შეისწავლებოდა ფსიქიკის ონტოგენეზის, ფილოგენეზისა და ისტორიოგენეზის კანონზომიერებანი [1].

მიუხედავად ამისა, XIX საუკუნის ზოგადფსიქოლოგიურ სისტემებში, განსაკუთრებით კი გერმანულ ფსიქოლოგიაში, გენეტიკურ-ევოლუციონისტური აზროვნების წესი ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე დამკვიდრებული. სამაგიეროდ, ფრანგული და ფრანგულენოვანი ფსიქოლოგიისთვის, რომელსაც ზოგჯერ *ემპირიული ფსიქოლოგიის ფრანგულ სკოლასაც* უწოდებენ, სწორედ გენეტიკური მიდგომაა განსაკუთრებით დამახასიათებელი. ამ სკოლისა თუ ტრადიციის ფუძემდებლად სამართლიანად ითვლება **თეოდიულ რიბო** (1839-1916). მას არ შეუქმნია ორიგინალური დიდმასშტაბიანი ფსიქოლოგიური კონცეფცია, მაგრამ ბევრი რამ გააკეთა საგანმანათლებლო და ორგანიზაციული კუთხით. სწორედ მან გააცნო საფრანგეთს გერმანული და ინგლისური ემპირიული ფსიქოლოგია. რიბოს ეკუთვნის მრავალი ნაშრომი, სადაც, მისი თანამედროვე ფსიქოლოგიის მონაცემების გათვალისწინებით, აღწერილია რიგი ფსიქიკური ფუნქციებისა [26][27][28]. რიბომ წაიკითხა სორბონის უნივერსიტეტში პირველი ფსიქოლოგიური კურსი, დააარსა ფსიქოლოგიური კათედრა, საფუძველი ჩაუყარა ფრანგული ფსიქოლოგიის ბეჭდვით ორგანოს. ის იყო ორგანიზატორი 1989

წელს პარიზში ჩატარებული ფსიქოლოგთა პირველი მსოფლიო კონგრესისა. ამით დასაბამი მიეცა ფსიქოლოგების რეგულარულ საერთაშორისო ფორუმებს.

რიბომ დიდი გავლენა მოახდინა ფრანგული ფსიქოლოგიის განვითარებაზე. იგი იბრძოდა, რომ ფსიქოლოგია დამოუკიდებელ ემპირიულ მეცნიერებად ჩამოყალიბებულიყო. რიბო გადაჭრით უარყოფდა ყოველგვარ გონებაჭვრეტით და მეტაფიზიკურ ფსიქოლოგიას, ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ფილოსოფიზაციას ფსიქოლოგიაში. სამაგიეროდ, ყოველმხრივ ცდილობდა, დაეახლოებინა ეს უკანასკნელი საბუნებისმეტყველო, კერძოდ, ბიოლოგიურ მეცნიერებებთან. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სამედიცინო, უფრო ზუსტად, ფსიქონევროპათოლოგიურ მონაცემებს, რაც, გარკვეულად, გამოჩენილი ფრანგი ნევროლოგის ჟან მარტენ შარკოს (1825-1893) გავლენას უნდა მიეწეროს. რიბოს მიაჩნდა, რომ ნორმალური ფსიქიკის კანონზომიერებათა დასადგენად საუკეთესო გზა ფსიქოპათოლოგიური მონაცემების შესწავლაა. ფსიქოპათოლოგიურ მეთოდში გაერთიანებულია როგორც წმინდა დაკვირვება, ისე ექსპერიმენტი, ვინაიდან ავადმყოფობა არის ბუნების მიერ საუკეთესოდ განხორციელებული ცდა. ამგვარი მეთოდოლოგიის რეალიზაციად იქცა მისი შრომები, რომლებიც ყურადღების, წარმოსახვის, მეხსიერების, გრძნობების, ნებისყოფის, პიროვნების ნორმა-პათოლოგიას ეხება. ნორმაში პათოლოგიის გზით შესვლისა და ფსიქოლოგიური და ფსიქიატრიული ცოდნის დაახლოების ტრადიცია ფრანგული ფსიქოლოგიის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად გადაიქცა. მისი კიდევ ერთი ძირითადი თავისებურებაა, როგორც ზემოთ ითქვა, ფსიქიკური სინამდვილის გენეტიკური განხილვის წესი.

რიბოს გავლენამ აქაც იჩინა თავი. გენეტიკური მიდგომის დამარწმუნებელი მაგალითია მისი წიგნი „საერთო იდეების ევოლუცია". მასში ავტორი განიხილავს განყენებისა და განზოგადების აქტებს, როგორც ასოციაციურ მექანიზმზე დაუყვანადი ინტელექტუალური მოქმედების აქტიურ ფორმას ან უნარს, რომელსაც თავისი გენეზისი და განვითარების სხვადასხვა დონე აქვს. ამ უნარის განვითარების უმარტივეს, მეტყველებამდელ დონეზე იმყოფებიან ცხოველები, ჩვილი ბავშვები და ყრუ-მუნჯები; საშუალო დონე ახასიათებს პრიმიტიულ ადამიანებს, ხოლო უმაღლესი – კულტურულ, ზრდადასრულებულ პირებს, რომლებიც აზროვნებენ ისეთი ცნებებით, როგორებიცაა: რიცხვი, კაუზალობა, კანონი, დრო-სივრცე და ა.შ. ყოველი დონის თავისებურებათა დასადგენად რიბო მიმართავს ფილოგენეტურ, ონტოგენეტურ და ანთროპოგენეტურ მასალას [29].

რიბოს ერთ-ერთი საინტერესო მიგნება ონტოგენეზისა და ფსიქოპათოლოგიის გადაკვეთაზე არის *მეხსიერების უკუგანვითარების კანონი,* ან სხვაგვარად, *მეხსიერების პროგრესული დაკარგვის კანონი.* მასში განსაზღვრულია როგორც მეხსიერების ასაკობრივი დასუსტების, დაკარგვისა და დროებითი წართმევის მექანიზმი, ასევე მისი აღდგენის კანონზომიერებანი. მეხსიერების დაქვეითება მიმდინარეობს ორი მიმართულებით: ახლიდან ძველისკენ და მარტივიდან რთულისკენ. პირველ რიგში, ძნელდება უახლესი და მიმდინარე მოვლენების, გრძნობების, მოქმედებებისა და ზოგადი იდეების გახსენების უნარი, შემდეგ – კონკრეტული საგნების და მოგვიანებით –

განყენებული ცნებებისა. განყენებული ცნებების შედარებით ხანგრძლივი შემონახვა განპირობებულია დროისა და ძალისხმევის მეტი ოდენობით, რომელიც თავდაპირველად იქნა დახარჯული მათი მეხსიერებაში შემოსანახავად. აღდგენისას სურათი შებრუნებულია – პირველ რიგში აღდგება ის, რაც ბოლოს დაიკარგა [27].

რიბოს ტრადიცია გააგრძელეს თვალსაჩინო ფსიქოლოგებმა: პ. ჟანემ, ჟ. დიუმამ, შ. ბლონდელმა, ა. პიერონმა, ჟ. პიაჟემ, ა. ვალონმა და სხვებმა. რიბოს უშუალო მოწაფეებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა **პიერ ჟანე** (1859-1947). სწორედ ჟანეს შემოქმედება შეიძლება ჩაითვალოს იმ რგოლად, რომელიც აკავშირებს XIX-XX საუკუნეების მომიჯნავე და თანამედროვე ფრანგულ ფსიქოლოგიას. გენეტიკური პრინციპის განხორციელების თვალსაზრისით, აქ შეიძლება გამოიყოს სამი მიმართულება, რომელთაც უშუალოდ ჟანეს მოწაფეები და მიმდევრები ჩაუდგნენ სათავეში; მათ შორისაა ანრი პიერონი, რომელიც, გარდა ფსიქოფიზიკისა, აქტიურად იკვლევდა ფილოგენეზის საკითხებს; ედვარდ კლაპარედი, ჟან პიაჟე, ანრი ვალონი, რომლებიც, უპირატესად, ონტოგენეტური კვლევებით არიან ცნობილი, დაბოლოს, ინიას მეერსონი და ჟან პიერ ვერნანი, რომლებიც ფსიქიკას ისტორიული განვითარების პლანში განიხილავდნენ.

ჟანე იყო თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ფსიქოლოგი და ფსიქიატრი, საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. 1890 წლიდან იგი სათავეში ჩაუდგა ფსიქოლოგიის ლაბორატორიას სალპეტრიერის ცნობილ კლინიკაში, სადაც ხუთი ათეული წელი ეწეოდა კვლევით და სამკურნალო საქმიანობას. პარალელურად ხელმძღვანელობდა კათედრას „კოლეჯ დე ფრანსში". დააარსა საფრანგეთის ერთ-ერთი წამყვანი ფსიქოლოგიური ჟურნალი – „ნორმალური და პათოლოგიური ფსიქოლოგია" (1904).

ჟანე საბუნებისმეტყველო ფსიქოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი ფსიქოლოგიური შეხედულებების ფილოსოფიურ საფუძველს, არსებითად, პოზიტივიზმი შეადგენს, თუმცა, როგორც ფილოსოფოსი (თავისი მეცნიერული კარიერა მან ფილოსოფიის ლექტორობით დაიწყო და მოგვიანებით დაინტერესდა ფსიქოლოგიითა და ფსიქიატრიით), სხვა გავლენებისაგანაც არ იყო თავისუფალი. ეს არ ნიშნავს, რომ მისი კვლევითი მეთოდოლოგია ლაბორატორიულ-ექსპერიმენტული იყო. პირიქით, მიჰყვებოდა რა რიბოს ხაზს, ჟანე გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა კლინიკურ დაკვირვებებს, რაც ბუნებრივი ექსპერიმენტის რანგში ჰქონდა აყვანილი. რიბოს მსგავსად, ჟანე ცდილობდა, დაეახლოებინა ფსიქოლოგია და ფსიქიატრია. ამ მხრივ, იგი თავის მასწავლებელზე უფრო შორსაც წავიდა და მათ სინთეზზე დაიწყო მსჯელობა. ამავე დროს, ცხადია, კვლევის ობიექტურობა მისთვის ყოველთვის ფუძემდებლური პრინციპი იყო.

ჟანეს მეთოდოლოგიური პოზიციის ეს თავისებურებანი ნათლად გამომჟღავნდა მის პირველსავე ფსიქოლოგიურ გამოკვლევაში, რომელიც *ფსიქიკურ ავტომატიზმებს* მიეძღვნა. ამ წიგნში, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა, ჟანე თავიდანვე მიუთითებს, რომ ესაა ექსპერიმენტული და ობიექტური ფსიქოლოგიის შექმნის მცდელობა; ამავე დროს, აღნიშნავს, რომ „ექსპერიმენტული ფსიქოლოგია უნდა იყოს პათოლო-

გიური ფსიქოლოგია", ვინაიდან, „როგორც ავადმყოფური, ისე ჯანმრთელი მდგომარეობისთვის ერთი და იგივე კანონები არსებობს", და მათი დადგენის „მთავარი მეთოდი უნდა იყოს საბუნებისმეტყველო" [13; 3-5].

რაც შეეხება საკუთრივ ჟანეს თეორიულ სისტემას, მას თავად ავტორი *ქცევის ევოლუციურ თეორიას* უწოდებს. ფსიქოლოგია, ჟანეს მიხედვით, არის მეცნიერება ქცევის შესახებ. მიუხედავად ამ განმარტების ბიჰევიორისტული ულერადობისა, ჟანე საგანგებოდ ემიჯნება ბიჰევიორიზმს. მიჰყვება რა კვლევის ობიექტურობის პრინციპს, იგი აღიარებს, რომ ქცევა არის ობიექტურად დაკვირვებადი რეაქციებისა თუ მოძრაობების სისტემა, რომელიც რაღაცას ცვლის გარემოში. მაგალითად, ვაშლის შეჭმა გარკვეული მოძრაობების ერთობლიობაა, რომელმაც ერთგვარად შეცვალა გარემო, მაგრამ ქცევის ასეთი აღწერა მხოლოდ ცხოველების მიმართ არის სამართლიანი, ისიც ნაწილობრივ. უმაღლესი ცხოველებისა და, მით უფრო, ადამიანის მოქმედების დახასიათებისთვის აუცილებელი ხდება ქცევაში ცნობიერებისა და ფსიქიკური პროცესების ადგილის გათვალისწინება. ადამიანის ქცევა მთლიანადაა გამსჭვალული ფსიქიკით. ერთი მხრივ, ცნობიერების ფენომენები თვითონ არიან განსაკუთრებული, უმაღლესი ფორმის ქცევები (მაგ., მსჯელობა და სხვ.); მეორე მხრივ, ფსიქიკური ფენომენები წარმოადგენენ ყოველი გარე გამოვლენილი მოქმედების შინაგან, ფსიქიკურ შინაარსს, რომელიც, ფაქტობრივად, დაუშორებელია ქცევისაგან და მას ემსახურება. მაშასადამე, ობიექტურად გამოვლენილი მოძრაობები და ფსიქიკური მოვლენები უთუოდ გულისხმობენ ერთმანეთს და სპეციფიკურ ერთიანობას ქმნიან; ამ ერთიანობის აღსანიშნავად და ბიჰევიორიზმისაგან მის გასამიჯნავად, ჟანეს სპეციალური ტერმინი conduite (ქმედება) შემოაქვს. ასეთ ქმედებაში ჩართული ფსიქიკური ფაქტები წარმოდგენილია ქცევის მოსამზადებელი და მარეგულირებელი რგოლებისა და მექანიზმების სახით.

ჟანე ცდილობს, დაძლიოს კლასიკური ფსიქოლოგიის ფუნქციონალიზმი და ყოველ ფსიქიკურ ფუნქციას იმ ადგილის მიხედვით განიხილავს, რომელიც მას ქცევის სტრუქტურაში უკავია, კერძოდ, იმის მიხედვით, თუ ქცევის რა რგოლს ემსახურება იგი. ამ მიზნით მას ორი ახალი ცნება შემოაქვს: ტენდენცია და ერექცია. სანამ ინდივიდზე სტიმული იმოქმედებს და ქცევა დაიწყება, ეს უკანასკნელი *ტენდენციის* (შეიძლება ითქვას, მზაობის) სახით *ლატენტურ ფაზაში* იმყოფება. ქცევა, მაშასადამე, არის ლატენტური ფაზიდან გამოსვლა, ტენდენციის გამოვლენა.

ლატენტური ფაზიდან გამოსული ანუ გამოვლენილი ქცევა პირდაპირ და ავტომატურად ვერ გადადის *განხორციელების, დასრულების ფაზაში;* ასეთი რამ მხოლოდ ქცევის უმარტივესი, რეფლექსური ფორმებისთვისაა დამახასიათებელი. ქცევის მსვლელობის პროცესში, როგორც წესი, ხდება ტენდენციების დროებითი შეჩერება ერთგვარ აქტივირებულ მდგომარეობაში, რომელიც *შუამდებარეა ლატენტურსა და დამამთავრებელ (კონსუმოტორულ)* ფაზებს შორის. ეს მდგომარეობა ჟანემ *ერექციის* ტერმინით აღნიშნა; სწორედ ერექციის ცნება იძლევა საშუალებას, რომ ყოველგვარი ფსიქიკური პროცესი ქცევის სტრუქტურასთან მიმართებით დახასიათდეს. ისინი, ფაქტობრივად, ერექციის მდგომარეობაში მყოფი ქცევის რგოლების

სახით არიან გააზრებული. ასე მაგალითად, გრძნობა, აღძვრის მომენტში, აქტივაციის პირველ სტადიაზე შეჩერებული ქმედებაა; იგი არ არის დასრულებული და სპეციფიკურად, სხვებისაგან დაფარულად მიმდინარეობს. სურვილი ქმედების დასაწყისია, რომელიც მთლიანად არ ხორციელდება. აღქმა პირველადი პერცეპტული ქმედებაა, რომელიც ერექციის ფაზაზეა შეჩერებული, ხოლო აზროვნება გაგებულია როგორც ქმედების მომზადების საშუალება. ეს არ არის სრული ქმედება, მაგრამ შეიძლება სპეციფიკურად განხორციელებული ქმედების მცდელობად ჩაითვალოს და ა.შ. როგორც ვხედავთ, ტრადიციული ფსიქოლოგიური ცნებები ჟანესთან ერთობ თავისებურადაა განმარტებული.

ჟანეს ქცევის თეორიაში *გენეტიკური და დინამიკური* ასპექტები გამოიყოფა. პირველ შემთხვევაში განიხილება ტენდენციებისა და შესაბამისი ქცევების იერარქიის საკითხი. ქცევის შესწავლა ნიშნავს ქცევათა იერარქიის მწკრივში მისთვის ადგილის მიჩენას და სხვა ქცევებთან მიმართების გარკვევას. მართალია, ეს იერარქიული სისტემა უპირატესად კლინიკური ფაქტების გააზრების გზით ყალიბდება, მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, ევოლუციურ-გენეტიკური ხასიათისაა. როგორც პ. ფრესი მიუთითებს, ჟანეს ინტერესები სცდებოდა პათოლოგიის ჩარჩოებს და „ქცევაში იგი ყოველთვის იკვლევდა ფილოგენეზსა და ონტოგენეზს“ [35; 51].

ჟანე გამოყოფს დაბალი, საშუალო და მაღალი ტენდენციებისა და ქცევების სტადიას. თითოეული, თავის მხრივ, სხვადასხვა დონეს მოიცავს. ფსიქიკის ჩასახვას ჟანე უკავშირებს ცოცხალ ორგანიზმებში მოძრაობის, გადაადგილების უნარის გაჩენას. იგი სასიცოცხლო ფუნქციებზეა დაშენებული: აღგზნებადობა, სეკრეცია, კვება, გამრავლება. *დაბალი ქცევების* საწყის ფორმას *რეფლექსები* შეადგენენ. ესაა ფეთქებადი რეაქცია გარკვეული ინტენსივობის სტიმულზე, რომელიც გრძელდება მანამ, სანამ არ ამოიწურება მისი ქვემდებარე ტენდენცია. დაბალი სტადიის მეორე დონეს *სქემატური ან პერცეპტული* ქცევები შეადგენს. ამ შემთხვევაში ცოცხალი არსება რეაგირებს არა ცალკეულ სენსორულ სტიმულებზე, არამედ მისთვის ბიოლოგიური მნიშვნელობის მქონე რთულ ობიექტებზე. ასეთი ქცევა გარკვეული სქემის რეალიზაციაა. აქ დამამთავრებელ ფაზაში გადასვლა უშუალოდ აღარ ხდება; ჩნდება უკვე აღწერილი ერექციის ფაზა, ე.ი. ელემენტარული ფსიქიკური პროცესები. პირველი სტადიის მომდევნო დონეზე წარმოიშობა *სოციალური ქცევები*. ბიოლოგიური განვითარების საწყის ეტაპზე სოციალური ქცევები შეზღუდულია იმიტაციით, ელემენტარული ურთიერთქმედებით და სექსუალური რეაქციებით. შემდგომში ვითარდება დაქვემდებარების, თანაგრძნობის, თანამშრომლობისა და სხვა აქტები. სოციალური ქცევის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი მისი *ორმაგობაა*. ეს ნიშნავს, რომ სოციალურ აქტში, გარდა საკუთარი გამოვლენილი აქტივობისა, ნაგულისხმევია სხვისი მოქმედების შინაარსიც. ეს კარგად ჩანს ბრძანების აქტში. იგი თითქოს ორად არის გაყოფილი. მის ერთ ნაწილს ასრულებს მეთაური (შეფი), ხოლო მეორეს – მებრძოლი (შემსრულებელი). მეთაური ბრძანებებს გასცემს (რაც მისი გამოვლენილი მოქმედებაა). იგი შესაძლოა, უშუალოდ არ მონაწილეობდეს ბრძოლაში, მაგრამ სხვათა აქტივობას უთვალთვალებს, თანაუგრძნობს სხვათა ბრძოლას, როგორც საკუთარს, ისე, თითქოს

თვითონ იბრძოდეს. მაგრამ მისი ქცევის მთელი მეორე ნაწილი, ე.ი. განხორციელება, ერექციის ფაზაშია მოქცეული. რაც შეეხება მეომარს, იგი ბრძოლის სახით გამოვლენილ მოქმედებას ასრულებს, მაგრამ მეთაურის ბრძანება ყოველთვის მხედველობაში აქვს; ეს უკანასკნელი მუდამ არსებობს ერექციის ფაზაში. რეალურად ორივე პირი სრულად ახორციელებს ერთ სოციალურ ქცევას, ოღონდ მას, არსებითად, ორმაგი ბუნება ახასიათებს: ერთ პირს შესრულებამდე მიჰყავს ქცევის მხოლოდ პირველი ნაწილი, მეორე ნაწილს კი ერექციის ფაზაში ტოვებს; მეორე პირი ახორციელებს ქცევის მეორე ნაწილს, ხოლო პირველი ერექციის ფაზაშია. სოციალური ქცევების დონეს ჟანეს სისტემაში მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. იგი აუცილებელი პირობაა სპეციფიკურად ადამიანური ქცევების აღმოცენებისთვის. ამ უკანასკნელთ მიეკუთვნება მაღალი საფეხურის ქცევები. რაც შეეხება აქამდე დახასიათებული საფეხურის ქცევებს, ისინი საკუთრივ ადამიანური ქცევების რიგს არც განეკუთნება.

საშუალო სტადიაზე ჩნდება *მაღალი ფსიქიკური ფუნქციების* შესაბამისი ქმედებები. პირველია *მეტყველება* – ქცევის ფორმა, რომელიც ოპერირებს არა რეალური საგნებით, არამედ „ადვილად გადატანადი" ნიშნებით. იგი უშუალოდაა დაშენებული სოციალურ ქცევაზე, ვინაიდან გულისხმობს მთქმელსა და გამგებს, ბრძანების მიმცემსა და შემსრულებელს, ერთი სიტყვით, ურთიერთობას. მეტყველება, თავის მხრივ, აპირობებს ქცევის ახალი ფორმის წარმოქმნას – ესაა *გონებრივი მოქმედება;* იგი, ფაქტობრივად, პრაქტიკული მოქმედების გაშინაგანების შედეგად წარმოიქმნება. თავდაპირველად ადამიანი ახმოვანებს, ანუ მეტყველების ფორმით გამოხატავს თავისი პრაქტიკული მოქმედების განზრახვასა და გეგმას. თანდათანობით ასეთი მეტყველება გადადის შინაგანი, უხმო მეტყველების პლანში და, საბოლოოდ, გადაიქცევა გონებრივ ოპერაციად, აზროვნებად, იდეად. ამ პროცესს ჟანემ *ინტერიორიზაცია* უწოდა და ამით მეცნიერებაში შემოიტანა უმნიშვნელოვანესი ცნება, რომლის გარეშე შეუძლებელია თანამედროვე ფსიქოლოგიის წარმოდგენა. შეიძლება ითქვას, რომ ჟანემ, ფაქტობრივად პირველმა, განიხილა გონებრივი ოპერაციები გარდაქმნილი, გაშინაგანებული გარეგანი მოქმედებების სახით, რომელთა გენეზისიც სოციალურ და მეტყველებით დონეზე გაფორმებულ ინტერიორიზაციის მექანიზმს ეფუძნება. ეს იდეა ნაყოფიერად ვითარდება პიაჟესა და ვიგოტსკის შემოქმედებაში.

ინტერიორიზაციის მექანიზმი, ისევე როგორც ქცევის სოციალურობა და ვერბალურობა, არა მარტო აზროვნების, არამედ, საზოგადოდ, ყველა მაღალი ფსიქიკური ფუნქციის (ნებელობა, მეხსიერება, წარმოსახვა) წინაპირობაა. სოციალური ქმედების ორმაგი ხასიათი, ანუ ის, რომ მის სხვადასხვა ნაწილს განსხვავებული შემსრულებელი ჰყავს, განვითარების პროცესში ერთი ინდივიდის შიგნით თავსდება. სუბიექტი უკვე საკუთარი თავის მიმართ ასრულებს იმ მოქმედებებს, რასაც სხვას ავალებდა და იგი, ასე ვთქვათ, თავის თავთან თანამშრომლობას, საკუთარი ბრძანებისადმი დაქვემდებარებას სწავლობს. იგი ხდება თავისი მოქმედების ავტორი, საკუთარი ნების მქონე პირი.

აქამდე ფსიქოლოგიაში *ნებელობა* ესმოდათ როგორც სუბიექტის საკუთარი, იმანენტური ძალა, რომელიც მის ცნობიერებაშია დაბუდებული. ჟანე კი ამტკიცებს,

რომ ის მეორეულია და სხვა ადამიანებთან ურთიერთობის ობიექტური სოციალური პროცესიდან გამომდინარეობს.

ჟანეს გახმაურებული *მეხსიერების* კონცეფციაც ამავე მექანიზმს ეფუძნება. ავტორი მეხსიერებას არ მიიჩნევს უბრალო მნემურ ფუნქციად, რომელიც ევოლუციის ყველა ეტაპზე მოქმედებს და ახალი რეაქციების შეძენას განაპირობებს. მეხსიერება, ჟანეს მიხედვით, არის არა მხოლოდ სპეციფიკურად ადამიანური მოქმედება, არამედ „კაცობრიობის ქმნილება", რომელიც „თანდათანობით შექმნა ადამიანურმა გენიამ". იგი ადამიანების მიერ ერთმანეთისთვის ცნობებისა და დავალებების შენახვა-გადაცემას ემსახურება ისეთ პირობებში, როდესაც ამის გაკეთება უშუალოდ ვერ ხერხდება ურთიერთობის ერთ-ერთი წევრის არყოფნის გამო. საზოგადოების განვითარების საწყის ეტაპზე მნემური მოქმედება დავალების მიცემისა და შესრულების აუცილებლობით არის განპირობებული. ჟანეს თანახმად, „დავალება, ჩვეულებრივ, ბრძანებაა, მაგრამ თავისებური სახის ბრძანება: ესაა მეხსიერების აქტის შესრულების ბრძანება" [14; 91]. შესაბამისად, ის ნათქვამის დამახსოვრების ძალისხმევაცაა. ამრიგად, მეხსიერება გააზრებულია როგორც სოციალური აქტი, სოციალური ფუნქცია.

თანდათანობით დავალების მიმცემისა და შემსრულებლის (დამმახსოვრებლის) ფუნქციას ერთი ადამიანი იღებს თავის თავზე; მნემური მოქმედება ინტერიორიზაციას განიცდის. ამასთან, იგი ყოველთვის მიმართულია სხვისთვის შეტყობინების გადაცემაზე. მეხსიერება არის ნანახისა და გაგონილის შესახებ მონათხრობის შედგენა, შენახვა და აღდგენა. მეხსიერების ამ ფრიად ორიგინალურ გაგებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა, განსაკუთრებით ისტორიული ფსიქოლოგიის ფარგლებში.

კიდევ ერთი ნიშანი, რომელიც ამ დონის ქცევებს და მათში ჩართულ ფსიქიკურ პროცესებს ახასიათებს, ესაა *რწმენა*. რწმენა ჟანეს სისტემის ერთ-ერთი საყრდენი ცნებაა; იგი საკმაოდ რთული ბუნებისაა. რელიგიური რწმენა ფსიქიკური რწმენის ერთ-ერთი გამოვლინებაა. ე.წ. *უშუალო რწმენა* კი ფსიქოლოგიურად შინაგანი დარწმუნებულობაა, რომელიც დასაბუთებული არ არის და შეიძლება ლოგიკურად საერთოდ დაუსაბუთებადიც იყოს. თუ უშუალო რწმენა ავტომატურად აკეთებს ობიექტების კატეგორიზაციას და სუბიექტისთვის ქცევის ავტომატურ მიმღებლობას განაპირობებს, რწმენის უფრო მაღალი ფორმა, *რეფლექსიური რწმენა*, სოციალური, ეთიკური, ლოგიკური და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით ყალიბდება და, უმთავრესად, ქცევის უმაღლეს დონეებში ვლინდება.

მესამე, უმაღლეს სტადიაზე ჟანეს სისტემაში ის ქცევებია წარმოდგენილი, რომელთაც თანამედროვე, ცივილიზებული ადამიანი ასრულებს. აქ უკვე იკვეთება ნებელობა და ვალდებულების ფსიქოლოგიური მექანიზმი. სოციალურობა იმპერატიული და მორალისმიერი ხდება, ამ სტადიის ქცევებისა და ტენდენციების დახასიათებისას ჟანე ლაპარაკობს შრომაზე, შემოქმედებაზე, მეცნიერებაზე, რწმენაზე, თავისუფლებაზე, პროგრესზე და ა.შ.

ქცევის უმაღლესი ფორმები დაშენებულია დაბალ ფორმებზე და ამიტომ რეალურ იერარქიულ რიგს ქმნიან. როდესაც ეს იერარქია გააზრებულია ქცევის დონეე-

ბის თანმიმდევრული წარმოშობისა და განვითარების კუთხით ფილოგენეზში, ონტოგენეზსა და სოციოგენეზში, მაშინ მისი განხილვა გენეტიკურ ხასიათს იღებს. მაგრამ, ამასთან ერთად, მხედველობაშია მისაღები აქტუალგენეზის ასპექტიც, ანუ საკითხი იმის შესახებ, თუ რა წვლილი შეაქვთ იერარქიული მწკრივის წევრებს მოცემული კონკრეტული ქმედების აღმოცენება-განხორციელების საქმეში. ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა: რატომაა, რომ ერთგვარი სიტუაციის პირობებში ლატენტური ფაზიდან გამოდის და აქტივირდება ერთი გარკვეული ტენდენცია და არა იერარქიის რომელიმე სხვა წევრი? ამგვარ კითხვებზე პასუხს ჟანეს სისტემის დინამიკური ასპექტი იძლევა. ფროიდისა და სხვა „დინამიკოსთა" მსგავსად, ჟანესთვის მისაღებია ვარაუდი *ფსიქიკური ენერგიის* არსებობის შესახებ, თუმცა ჟანე აღნიშნავს, რომ არ იცნობს და არც ეძებს ამ ენერგიის ჭეშმარიტ ბუნებას. ენერგია გაგებულია როგორც ძალა. ენერგიის ოდენობა პირდაპირ ვლინდება ტენდენციის ძალაში და შესაბამისი ქცევის ხანგრძლიობასა და სიჩქარეში. ტენდენციებს განსხვავებული ძალა აქვთ და ეს დამოკიდებულია იერარქიულ რიგში მათ ადგილმდებარეობაზე. რაც უფრო დაბალი დონისაა ტენდენცია (ქცევა), მით უფრო მეტი ძალის მატარებელია იგი, და პირიქით. ამაში ვლინდება ჟანეს შეხედულების ერთ-ერთი მთავარი პრინციპი, რომლის მიხედვით, ქცევის მაღალი ფორმები ფსიქიკური ენერგიის მაქსიმალურ ეკონომიას გულისხმობენ. მაგალითად, აზროვნება ოპერირებს არა რეალური საგნებით, არამედ მათი ნიშნებით თუ სიმბოლოებით და, ამიტომ, „ძალისხმევის უზარმაზარ ეკონომიას" იძლევა.

მაგრამ თუ ძალა და, მაშასადამე, აღმოცენების პოტენციალიც დაბალ ტენდენციებს უფრო მეტი აქვთ, მაშინ ადამიანის აქტივობა მხოლოდ ამ უკანასკნელთა შესატყვისი ქცევებისაგან უნდა შედგებოდეს. ეს კი, ცხადია, ასე არ არის. მაშ რაშია საქმე? ამ ვითარების ნათელსაყოფად ჟანეს, ფსიქიკური ძალის ცნებასთან ერთად, შემოაქვს ფსიქიკური *დაძაბულობის ანუ ტენზიის* ცნება. ფსიქიკური დაძაბვა ფსიქიკური ენერგეტიკის ერთგვარი გამოვლინებაა. ჟანე ასეც ამბობს – იგი ძალის მეორე ფორმაა. მაგრამ, ძალისაგან განსხვავებით, ტენზია არ ხასიათდება მხოლოდ რაოდენობრივი ნიშნით. მას, შეიძლება ითქვას, ერთგვარი თვისებრივი, შინაარსობრივი მხარეც აქვს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ტენზია განსაკუთრებულადაა დაკავშირებული ქცევის მაღალ ფორმებთან, რომელთაც, მართალია, ნაკლები ძალა აქვთ, მაგრამ მეტად არიან დატვირთულნი ფსიქოსოციალური შინაარსით. ტენზია გარკვეულად ანაწილებს ფსიქიკურ ენერგიას, აკეთებს მის კონცენტრაციას ისეთ ტენდენციებში, რომლებიც თავისთავად სუსტია და ამით აძლიერებს მათ. აქედან გამომდინარე, რაც უფრო მაღალი ადგილი უჭირავს ქცევას იერარქიულ რიგში, მით უფრო მეტადაა ის ტენზირებული, და პირიქით. ტენზია შესაძლებლობას იძლევა, ადამიანში მოცემული უამრავი ტენდენცია მოწესრიგდეს გარემოსთან ეფექტური შეგუების თვალსაზრისით, მაშასადამე, იგი აქტივობის რეგულაციას ემსახურება. შეიძლება ითქვას, რომ ტენზიის ცნების შინაარსში მოცემულია გარკვეული ნიშნები, რომლებიც მას ისეთ ცნებებთან აახლოებენ, როგორებიცაა: აპერცეფცია, ცნობიერი აქტივობა, თვითრეგულაცია, ნებელობა, ყურადღება და სხვ., ე.ი. ისეთ ცნებებთან, რომლებიც ფსიქიკური ცხოვ-

რების მაორგანიზებელ ძალას გამოხატავენ [40]. შეიძლება სხვაგვარადაც გვეთქვა – ტენზია პიროვნების ძალაა. ჟანეს თანახმად, პიროვნება სოციალურ-ისტორიული წარმონაქმნია. პიროვნება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ჩამოყალიბებულად, როდესაც სუბიექტისადმი წაყენებული მოთხოვნები იქცევა თვით სუბიექტის შინაგან მოთხოვნებად, მისივე ინიციატივით წარმართული ქცევის საფუძვლად, ქცევისა, რომელიც გარეგანი გამოწვევის გარეშე ხორციელდება.

ნორმის შემთხვევაში ძალასა და ტენზიას შორის დინამიკური წონასწორობის მდგომარეობა არსებობს. პიროვნება, როგორც მთლიანი სისტემა, პასუხობს სიტუაციის მოთხოვნებს ადეკვატური დონის ქცევებით და აკავებს დანარჩენ ტენდენციებს. მაგრამ ამ სისტემის *დინამიკური წონასწორობის* მდგომარეობაში შენარჩუნება სუბიექტისაგან დიდ დაძაბვას მოითხოვს. თუ ეს დაძაბულობა ანუ ტენზია ქვეითდება, გაწონასწორების პროცესი ირღვევა და წარმოიქმნება ესა თუ ის აშლილობა. პათოლოგიის ხასიათი და სიღრმე დამოკიდებულია ტენზიის დაქვეითების დონეზე. რაც უფრო დიდია იგი, მით უფრო მეტადაა გამოსული მწყობრიდან მაღალი დონის ტენდენციები, რომელთაც, ჩვეულებრივ, აქტუალიზაციისთვის დიდი ტენზია ესაჭიროებათ. აქტივობის სისტემა რეგრესს განიცდის და ავადმყოფი მეტ-ნაკლებად დაბალი ტენდენციების ამარა რჩება. ფსიქიკური დარღვევის ყველა ფორმას ჟანე იმის მიხედვით განიხილავს, თუ რომელი დონის ტენდენციებმა და ქცევებმა დაიკავეს დომინირებული ადგილი ინდივიდის ფსიქიკურ აქტივობაში. მაგალითად, თუ პათოლოგია მხოლოდ ზედა დონეებს მოიცავს, ეს ნევროზია, თუ ქვედა დონეებზეც გავრცელდა – ფსიქოზი. ჟანე აღწერს გონებრივი განუვითარებლობის (იდიოტიზმის) შემთხვევებს, როცა ქცევის დეგრადაცია რეფლექტორული მოქმედების სტადიას აღწევს.

ნევროზების შემთხვევაში ფსიქიკური დაძაბულობის შესუსტების მიზეზი შეიძლება იყოს სომატური დაავადება, მუდმივი ცხოვრებისეული უსიამოვნებები, ნერვული სისტემის თანდაყოლილი სისუსტე ან მოულოდნელი მძიმე განცდები. დეპრესიის შემთხვევაში ყველაზე მეტად ზიანდება უმაღლესი დონის უნარები, როგორიცაა, მაგალითად, გადაწყვეტილების მიღების ან ნებელობითი უნარი. მძიმე განცდების განდევნა ცნობიერებიდან არ არის ნევროზის სიმპტომი. პირიქით, ჟანეს აზრით, სწორედ დავიწყების უნარი უნდა ჩაითვალოს ჯანმრთელი ფსიქიკის გამორჩეულ თვისებად. ნევროზით დაავადებულთან ეს უნარია შესუსტებული; ამის გამო მძიმე მოგონებები მთლიანად და სრულყოფილად არ განიდევნებიან და განაგრძობენ უარყოფით ზემოქმედებას პიროვნების ქცევაზე [12].

ბოდვითი იდეები, ჟანეს მიხედვით, უშუალო რწმენის დონეზე არსებული პათოლოგიაა. აქედან პირდაპირ გამომდინარეობს პათოლოგიის ამ ფორმის ძირითადი თვისებები: ბრმა, ყოველგვარ გონიერ საბუთს მოკლებული დარწმუნებულობა, მისი თანმდევი აგრესიულობა და ა.შ. რეფლექსიური რწმენის სტადიას უფრო ფსიქოპათიური სიმპტომატიკა შეესაბამება: ეგოიზმი, სიზარმაცე, სიცრუე, ემოციური სფეროს დომინირება და სხვა. რაც შეეხება ფსიქოსთენიურ დარღვევებს, ისინი რაციონალურ სტადიას შეესაბამება და ა.შ.

ფსიქიკური დაძაბულობის პერიოდულმა მკვეთრმა ცვალებადობამ შეიძლება გამოიწვიოს ორი და მეტი პიროვნული სისტემის ჩამოყალიბება; ყოველი მათგანი ტენზიის საკუთარ დონეზე ფუნქციონირებს, რაც განაპირობებს ისეთ პათოლოგიურ ფენომენს, როგორიცაა პიროვნების გაორება.

ჟანე თავისი დროის ერთ-ერთი უდიდესი ფსიქოპათოლოგი იყო. ამ სფეროში მას არაერთი ნოვატორული იდეა ეკუთვნის. შეუძლებელია, რომ მის შეხედულებებს გარკვეული შეხება არ ჰქონოდათ ფროიდის შეხედულებებთან, მით უფრო, რომ მათი მეცნიერული მოღვაწეობა ერთდროულად მიმდინარეობდა. ფროიდისა და ჟანეს ურთიერთობის პიროვნული და კონცეპტუალური მხარე ყოველთვის იპყრობდა ფსიქოლოგიის ისტორიკოსების ყურადღებას. მათ ურთიერთობას საკმაოდ ართულებდა დაუსრულებელი დავა პრიორიტეტების თაობაზე. ვინ აღმოაჩინა, მაგალითად, ნევროზის, სახელდობრ ისტერიის, მკურნალობის პრინციპი, რომელიც ჰიპნოტური კათარზისის გამოწვევით ხდება. პირველობას ორივე მხარე იჩემებდა[1].

იგივე ითქმის ნევროზის სექსუალურ სფეროსთან კავშირის შესახებაც. ორივე ამტკიცებდა, რომ ეს კავშირი მისი აღმოჩენაა. ისიც სათქმელია, რომ ჟანე მკაცრად აკრიტიკებდა ფროიდს სექსუალობის იდეის ჰიპერტროფირების გამო. სექსუალური პრობლემები, რომელთაც ფროიდი ნეიროტულ დარღვევათა უმეტესობის წყაროდ განიხილავდა, ჟანეს აზრით, ნევროტული დაავადების შედეგია და არა ამოსავალი წერტილი. როგორც ვიცით, ფსიქოანალიზის პანსექსუალიზმი მიუღებელი იყო სხვებისთვისაც, თუნდაც იუნგისთვის და ადლერისთვის, ჰუმანისტური ფსიქოლოგებისთვის და სხვ. სხვათა შორის, საგულისხმოა, რომ ეს ავტორები აღნიშნავდნენ მათზე ჟანეს გავლენას. ადლერი არაერთგან მიუთითებდა, რომ მისი ნაშრომი არასრულყოფილების გრძნობის შესახებ იყო ჟანეს დაკვირვებების გაგრძელება, ხოლო ის, რასაც იუნგი კომპლექსს უწოდებდა, თავდაპირველად სხვა არაფერი იყო, თუ არა ჟანეს „ფიქსირებული არაცნობიერი იდეის“ ეკვივალენტი. თუმცა ექსპერტებისთვის საკითხავია – ხომ არ იყო ფსიქოანალიზისგან „განდგომილთა“ ეს განცხადებები გაკეთებული ფროიდის ჯიბრზე, რომელიც კატეგორიულად უარყოფდა ფრანგი კოლეგის იდეების მასზე რაიმე გავლენას [39].

რაკი სიტყვა ჩამოვარდა ჟანესა და ფროიდის შეხედულებათა ურთიერთმიმართების შესახებ, უნდა ითქვას, რომ მათი პოზიცია ბევრ სხვა მნიშვნელოვან საკითხშიც განსხვავდება. მაგალითად, ორივე მეცნიერი დიდ ყურადღებას უთმობდა ფსიქიკური ცხოვრების ენერგეტიკულ მხარეს, თუმცა ის სხვადასხვაგვარად ესმოდათ. ჟანესთან ფსიქიკური ენერგია არ არის სტრუქტურირებული და, უბრალოდ, ძალისა

[1] სადარის ჭეშმარიტება, მართლაც ძნელი დასადგენია. ჟანეს გამოკვლევა ავტომატიზმების შესახებ, სადაც იგი კათარზისულ მეთოდოლოგიას მიმართავდა, 1889 წელს გამოქვეყნდა, მაგრამ როდის დაიწყო მისი გამოყენება კვლევაში, უცნობია. ბრეიერი ამ მეთოდს 1880-1882 წლებში იყენებდა. 1893 წელს გამოქვეყნებულ წიგნში ისტერიული ფენომენების მექანიზმის შესახებ, რომელიც ფსიქოანალიზის ათვლის წერტილად არის მიჩნეული, მან და ფროიდმა განაზოგადეს კათარზისული მეთოდით მიღებული გამოცდილება. საზოგადოდ კი, ფსიქოლოგიის ისტორიკოსები მიუთითებენ, რომ პირველად კათარზისული ფსიქოთერაპია გამოიყენა ჰოლანდიელმა ექიმმა ანდრის ჰოეკმა 1868 წელს [33].

და დაძაბულობის ნიშნებით ხასიათდება. ფროიდი ფსიქიკურ ენერგიას ლტოლვებს უკავშირებს და მის სექსუალურ და აგრესიულ სახეობებს გამოყოფს. ფროიდისთვის მთავარი კატეგორია აფექტია, ჟანესთვის – მოქმედება. ჟანესთვის სოციალურობა ქცევისა და პიროვნების ძირეული მახასიათებელია. ფსიქოანალიზში ინდივიდი დაპირისპირებულია მტრულ გარემოცვასთან, მასთან ურთიერთობა თავდაცვითი ხასიათისაა. მიუღებელია ჟანესთვის ფროიდის თეორიის სიმბოლიზმიც, რაც ფსიქოანალიზურ პრაქტიკაში ძალუმად ვლინდება [37].

დაპირისპირება უფრო მნიშვნელოვან პრობლემებსაც ეხებოდა.[1] ფსიქოლოგიისა და ფსიქოპათოლოგიის ისტორიოგრაფიაში საკითხის ასეთ დასმასაც კი შეხვდებით: ვინ აღმოაჩინა არაცნობიერი – ფროიდმა თუ ჟანემ? ამგვარი მიდგომა საერთოდ არაა კორექტული, თუ გავითვალისწინებთ საკითხის დამუშავების ხანგრძლივ ისტორიას. აქ ლაპარაკია არაცნობიერის კატეგორიის არა ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიურ კვლევაზე, არამედ მის ბუნებისმეტყველურ და კონკრეტულ მეცნიერულ გააზრებაზე, მისთვის ემპირიული მეცნიერებისთვის დამახასიათებელი შინაარსის მიცემაზე – ფროიდი სწორედ ამაზე აცხადებდა პრეტენზიას. ჟანე ამ მხრივ უფრო მოკრძალებულია. იგი უშვებს არაცნობიერის ემპირიულ არსებობას *ავტომატიზმების* სახით. იგი მიიჩნევს, რომ ეს სფერო ფსიქოლოგიის კომპეტენციას მიეკუთვნება და არა ფიზიოლოგიისას [13]. მაშასადამე, ჟანე არ შემოფარგლავს ფსიქიკურ სინამდვილეს ცნობიერებით. ამავე დროს, იგი წინააღმდეგია არაცნობიერის მნიშვნელობის გაზვიადებისა და, მით უმეტეს, მისი ახსნითი როლის უნივერსალიზაციისა, რაც ფსიქოანალიზისთვის არის დამახასიათებელი. არაცნობიერის სამკვიდრო ჟანესთან მაღალი ფსიქიკური პროცესების გარეშე მიმდინარე ელემენტარული აქტებით არის წარმოდგენილი. ასეთია ცხოველების, პატარა ბავშვებისა და ზოგიერთი სულით ავადმყოფის აქტივობა. ამ უკანასკნელთა შესწავლამ ავტორი იმაში დაარწმუნა, რომ ფსიქიკური აშლილობები გარკვეულ ფუნქციაზე მოქმედებენ, რასაც მათი დისოციაცია ანუ დაშლა მოჰყვება. ეს უპირატესად ეხება ახალშექმნილ ფუნქციებს. ძველი ფუნქციები, რომელთაც ჟანე არაცნობიერს მიაკუთვნებს, თითქმის უცვლელი რჩება. ამასთან, არაცნობიერის არეში მყოფი ფუნქციები გამოყოფილია პირველადი ცნობიერებისაგან. ერთი სიტყვით, არაცნობიერი მოქმედება ისეთი აქტია, რომელსაც ფსიქიკური

[1] სამწუხაროდ, მეცნიერულმა დაპირისპირებამ პიროვნული ხასიათი მიიღო. ფროიდი საკმაოდ გესლიანად ახსენებდა ოპონენტს და სახლშიც კი არ შეუშვა ჟანე, როცა იგი ვენაში ყოფნისას მას ეწვია. ვალში არც ჟანე რჩებოდა. მაგალითად, ერთ-ერთ ნაშრომში არაცნობიერის ფროიდისეულ გაგებას ჟანე ახასიათებს როგორც უცნაურს. ფსიქოანალიზი, ამბობს იგი, ქვეცნობიერში ათავსებს ყველაფერს, რისი ჩატევაც შეუძლია. ჟანე ამტკიცებს, რომ თავის კვალს ცხოვრების ყველა მომენტი ტოვებს. ჩვენ გვაქვს მოგონებები ყველაფრის შესახებ, რაც მომხდარა, თუმცა ისინი არ გვახსოვს, ვინაიდან არაცნობიერნი არიან. ამას მოჰყვება ირონიით სავსე აღწერა იმისა, თუ როგორ ესმის ფსიქოანალიზს მელანქოლიკის შფოთვა: „ყველა ჩვენგანს სიცოცხლის დასაწყისში აქვს უსიამოვნო მომენტი, როცა დედის მუცელს ტოვებს. საშო უჰაერო, ვიწრო, მოუხერხებელი ადგილია: ჩვენ ვგრძნობთ დისკომფორტს, შფოთვას. ეს შფოთვა თითქოს ჩვენში რჩება, თუმცა ჩვენ ის არ გვახსოვს. და ყოველთვის, როცა მძიმე განცდებს, შფოთვას ვგრძნობთ, მეორდება საშოდან გამოსვლის მომენტი.“ [15; 109].

აქტის ყველა ნიშანი აქვს, გარდა ერთისა – იგი არასოდეს ცნობიერდება სუბიექტის მიერ. მაგალითად, ამნეზიის მიუხედავად, არსებობს მოგონების წარმოდგენა, მეტყველება და ლოკომოცია შენარჩუნებულია ძილის დროს, ასევე მუტიზმისა და დამბლის შემთხვევაში. მაშასადამე, ეს მოქმედებები ნორმალური ცნობიერების გარეშე ხორციელდება.

მოზრდილი, ნორმალური ადამიანი, უმეტესწილად, მაღალ, ცნობიერების პლანში მიმდინარე ქცევებს მიმართავს, მაგრამ მას შენარჩუნებული აქვს დაბალი ფორმის რეაქციებიც, რომლებიც ქვეცნობიერ აქტებად უნდა ჩაითვალოს. ნამდვილ ადამიანურ ფსიქოლოგიას ჟანე საერთოდ მეორე სტადიის ქცევებიდან იწყებს, ანუ მაღალ ფსიქიკურ პროცესებს უკავშირებს და მაქსიმალურად ცდილობს, თავი დააღწიოს „არაცნობიერს, რომელსაც ვერასოდეს ვხედავთ და რომლის კონსტრუირებისას ჩვენი ფანტაზიით შემოვიფარგლებით“ [41; 41]. ფროიდის თეორეტიზაცია არაცნობიერის შესახებ ჟანეს ასეთი ფანტაზიის გამოვლენად მიაჩნდა.

მიუხედავად ამისა, აღნიშნულ ავტორებს ზოგი რამ აერთიანებს: ორივე მათგანი ფსიქოლოგიის ბუნებისმეტყველური გააზრების პოზიციაზე დგას და დაავადებულ ფსიქიკას შეისწავლის; ორივე დასაშვებად და აუცილებლადაც მიიჩნევს ფსიქოლოგიაში ენერგიის ცნების შემოტანას. მეორე მხრივ, ამ თეორიულ სისტემებს შორის არსებული განსხვავება ყველაზე მეტად სწორედ ენერგიის ცნების გააზრებაში მჟღავნდება. ჟანეს მიერ დახასიათებული ფსიქოლოგიური ძალა არის ორგანიზმის გაუფორმებელი ენერგია, რომელიც განტვირთვისკენ მიისწრაფვის. ფროიდი არ დაკმაყოფილდა ასეთი აბსტრაქციით. იგი შეეცადა, არაცნობიერ ენერგეტიკაში კონკრეტული ფსიქოლოგიური შინაარსი ჩაედო; მან დაამუშავა ინსტინქტური ლიბიდონალური ენერგეტიკის აღმოცენების, ფორმირების და მოქმედების კონკრეტული მექანიზმები და ამით ადამიანის ქცევის სიღრმივ საფუძველში, არაცნობიერ სამკვიდროში შეღწევა სცადა (იხ. I თავი). ჟანე, პირიქით, ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ძალას, რომელსაც ბრმას უწოდებდა და აშკარა უპირატესობას ანიჭებდა ფსიქოლოგიურ ტენზიას, რომელიც აკავებს ამ ძალას, აწესრიგებს და შესატყვისად წარმართავს. მაშასადამე, ჟანეს კონცეფციაში ყურადღება მაღალი ფსიქიკური ფუნქციების როლზეა გამახვილებული. ამასთან დაკავშირებით ცნობილი ფრანგი ფსიქოლოგი და ფსიქიატრი ანრი ეი შენიშნავს, რომ ფროიდი და ჟანე ისევე უპირისპირდებიან ერთმანეთს, როგორც ფსიქოლოგიური ძალისა და ტენზიის ცნებები. ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ფროიდს არ ესმოდა ფსიქიკისა და ცნობიერების მაღალი დონეების მნიშვნელობა, არც იმას, რომ ჟანე უყურადღებოდ ტოვებდა არაცნობიერს. თუმცა, ფროიდის მკაცრი შეფასებით, როცა ჟანე არაცნობიერ გონებრივ აქტივობაზე ლაპარაკობს, იგი გარკვეულს არაფერს გულისხმობს და ეს უფრო მოდურ ფრაზად უნდა ჩაითვალოსო [4]. ასეა თუ ისე, არაცნობიერის კატეგორიის დამუშავების საქმეში ფროიდის ღვაწლი შეუდარებლად დიდია.

როგორც ზოგადფსიქოლოგიური თეორიის ავტორი და, მით უფრო, როგორც ფსიქიატრი და ფსიქოთერაპევტი, ჟანე ვერ ასცდებოდა *პიროვნების კატეგორიას*. მისი ანალიზისას კარგად გამოიკვეთა ჟანესთვის დამახასიათებელი გენეტიკური და

კლინიკური მიდგომა [15]. მისი თვალსაზრისი აქაც ერთობ თავისებური და ორიგინალურია. ძირითადი საკითხია, როგორ ხდება ინდივიდის შემადგენელი უამრავი კომპონენტის გაერთიანება და გამთლიანება ერთ პიროვნებად. აქედან გამომდინარე, ჟანეს ანალიზი, პირველ რიგში, პიროვნების სინთეტური უნარის დახასიათებას გულისხმობს. პიროვნული სინთეზი, ძირითადად, მიმართულია მთლიანობის, დიფერენციალურობისა და თვითიდენტურობის მიღწევაზე, რაც მომწიფებული პიროვნების ნიშნებია. მაგრამ საკუთრივ პიროვნება, ჟანეს გაგებით, არის არა მხოლოდ სინთეტური „სამუშაოს" პროდუქტი, არამედ თვით პროცესი ქმნადობისა, კონსტრუირებისა. პიროვნებას ადამიანი თვითონ ქმნის – ზოგი უკეთ, ზოგი უარესად, იმ შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომელთაც მას აძლევს სოციალური გარემოცვა და მემკვიდრეობა. თუმცა გადამწყვეტი მაინც *თვითქმნადობაა*. ძნელი დასანახი არ არის ამ მიდგომის მსგავსება თანამედროვე ჰუმანისტური და, განსაკუთრებით, ეგზისტენციალური ფსიქოლოგიის იდეებთან (იხ. X თავი).

თვითქმნადობის ეს სამუშაო, ფაქტობრივად, მთელი ცხოვრება გრძელდება, მიმდინარეობს სხვადასხვა დონეზე და ჩაირთავს მოქმედების რეგულაციის ზემოთ აღწერილ განსხვავებულ მექანიზმებს. იგი იწყება სხეულებრივი ინდივიდის ფორმირებით და მიემართება მე-სა და ინდივიდუალობის ჩამოყალიბებისკენ. *პიროვნული სინთეზი* რთული პროცესია. ის შეიძლება ხორციელდებოდეს არა მხოლოდ ევოლუციურად, არამედ ინვოლუციურადაც. იგულისხმება ის, რომ გარკვეულ პირობებში შეიძლება მოხდეს ფსიქიკური დეზინტეგრაცია, ფსიქიკის გახლეჩა. ამის მიზეზია ფსიქიკური ძალის (ენერგიის) კლება. შედეგად, აღმოცენდება ფსიქიკური პათოლოგია, თუმცა „სინთეზის შეცდომის" მაგალითები, შედარებით რბილ ფორმებში, ნორმალური ფსიქიკის შემთხვევაშიც გვხდება. პიროვნული აშლილობების დროს კი პიროვნების დეზინტეგრაცია დემონსტრაციულ ხასიათს იღებს. ჟანე ამას ხშირად ხვდებოდა ისტერიით დაავადებულებთან და ისტერიას ფსიქიკური დეზინტეგრაციის ფორმად განიხილავდა. ფსიქიკური სისუსტის გამო, ისტერიით დაავადებულები ვერ ახერხებენ მოვლენათა იმ სიმრავლის ინტეგრაციას, რომელთაც განიცდიან. პათოლოგიის განსაკუთრებით დრამატულ შემთხვევებში საქმე იქამდეც მიდის, რომ ერთი ინდივიდის ფარგლებში ორი და მეტი პიროვნება იწყებს ფუნქციონირებას. როგორც ფსიქოპათოლოგი, ჟანე უაღრესად დიდ ყურადღებას აქცევდა პიროვნების გახლეჩის/გაორების შემთხვევათა ანალიზს და მოახდინა მათი კლასიფიკაცია.

უნდა ითქვას, რომ ჟანეს კონცეფციაში ფსიქოლოგიის ბევრ ძირეულ ცნებას არატრადიციული, ზოგ შემთხვევაში, ერთობ თავისებური მნიშვნელობა აქვს მინიჭებული და მხოლოდ ამ თეორიული სისტემის ფარგლებში შეიძლება ჰქონდეს აზრი. აქედან გამომდინარე, ამ ცნებების ახალი მნიშვნელობები ფსიქოლოგიაში ვერ დამკვიდრდა. რაც შეეხება სრულიად ახალ, ორიგინალურ ჟანესეულ ცნებებს, ისეთებს, როგორებიცაა: ერექცია, ტენზია და სხვ., მათი გაგების სირთულეს ბევრი ავტორი აღნიშნავს [2][5][30][40]. ეს, ალბათ, არც უნდა იყოს გასაკვირი, ვინაიდან ჟანე თავად მიუთითებდა მათ დროებითსა და ჰიპოთეზურ ხასიათზე [42]. როგორც მკაცრი ემპირიკოსი, იგი ამ ცნებებისა და თეორიული კონსტრუქციების მეშვეობით იმ ფსიქოლო-

გიური ფაქტების შეძლებისდაგვარად ზუსტ აღწერას ცდილობდა, რომელთა გამოყოფა და კვლევა ეს-ესაა დაიწყო. ამასთან დაკავშირებით ჟანეს ინტერპრეტატორები შენიშნავენ, რომ მისი ზოგიერთი ცნება, თანამედროვე ნეიროფსიქოლოგიის მონაცემების გათვალისწინებით, რეალურ ემპირიულ შინაარსს იძენს. ასე მაგალითად, ტენზია ძალიან ემსგავსება ნერვული რეგულაციის იმ ფუნქციას, რომელიც დღევანდელი გააზრებით რეტიკულარულ ფორმაციას უკავშირდება [40].

ერთი რამ მაინც ფაქტია – ჟანეს წვლილი თანამედროვე ფსიქოლოგიის სახის განსაზღვრაში ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ დაფასებული. ამასთან დაკავშირებით ჰ. ელენბერგერი წერს, რომ ჟანეს შრომები შეიძლება შევადაროთ ფერფლის ქვეშ ჩამარხულ, პომპეის მსგავს უზარმაზარ ქალაქს. ყოველი ჩამარხული ქალაქის ბედი გაურკვეველია. ის შეიძლება, საუკუნეების განმავლობაში დარჩეს დაფარული, მიუხედავად იმისა, რომ მას გამუდმებით ქურდავენ მოროდიორები. მაგრამ ოდესმე იგი ამოვა მზის სინათლეზე და დაუბრუნდება სიცოცხლეს [39].

მიუხედავად ამისა, რეალურად ფსიქოლოგიური მეცნიერება დიდ ვალშია ჟანესთან. მან გენეტიკური კუთხით წარმოაჩინა ბევრი ახალი საკითხი, რომელთაც უმდიდრესი კლინიკური მასალა კარნახობდა. „მიუხედავად იმისა, რომ ჟანეს ზოგიერთი შეხედულება სადავოა, მისი შრომები ზოგადი ფსიქოლოგიისა და პათოფსიქოლოგიის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენენ. ისინი ამთავრებენ ერთ პერიოდს, რომელიც ჩვენთვის უკვე ისტორიაა და იწყებენ ახალს – თანამედროვეს“ [30; 358]. ფართო კლინიკური პრაქტიკა ჟანეს საშუალებას არ აძლევდა, უშუალოდ ეკვლია გენეზისის ესა თუ ის ასპექტი, ამიტომ ერთ-ერთ ბოლო შრომაში მან უანდერძა თავის მოწაფეს, ჟან პიაჟეს, ექსპერიმენტულად შეესწავლა ინტელექტუალური ოპერაციების ფორმირების პროცესი. პიაჟემ პირნათლად შეასრულა მასწავლებლის დანაბარები, რამაც მას მსოფლიო აღიარება მოუტანა.

ჟან პიაჟე (1896–1980) გასული საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ფსიქოლოგია. მისი უმდიდრესი მეცნიერული შემოქმედება შეიცავს შრომებს ბიოლოგიაში, ლოგიკაში, ეპისტემოლოგიაში. საკუთრივ ფსიქოლოგიაში მისი ინტერესები საკითხების საკმაოდ ფართო სპექტრს აერთიანებს. მიუხედავად ამისა, პიაჟემ დატოვა შეხედულებათა ერთიანი, მწყობრი სისტემა, რომელიც ფსიქოლოგიის ისტორიაში შევიდა *გენეტიკური ფსიქოლოგიის ანუ ჟენევის სკოლის* სახელწოდებით.

პიაჟე დაიბადა შვეიცარიაში, ნეშტალის უნივერსიტეტის კომუნაში. ამავე უნივერსიტეტში მიიღო განათლება ბიოლოგიის სპეციალობით. მისი პირველი მეცნიერული კვლევები მოლუსკების ქცევის შესწავლას ეძღვნებოდა. ძალიან მალე პიაჟე მთლიანად გადაერთო ფილოსოფიურ-შემეცნებით, ხოლო შემდეგ ფსიქოლოგიურ პრობლემებზე. 1921 წელს ე. კლაპარედი რუსოს სახელობის ცნობილ ინსტიტუტში (ჟენევა) ლაბორატორიის ხელმძღვანელად იწვევს პიაჟეს. იგი იწყებს ფართო კვლევა-ძიებას ბავშვის კოგნიტური პროცესების სფეროში, რომელიც, საბოლოოდ, მას საქვეყნო აღიარებას მოუტანს. 1929 წლიდან პიაჟე ჟენევის უნივერსიტეტის პროფესორი ხდება. ჟენევაშივე 1955 წელს აარსებს გენეტიკური ეპისტემოლოგიის ცენტრს, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობს. პარალელურად ეკავა პროფე-

სორის თანამდებობა ლოზანისა და სორბონის უნივერსიტეტებში. იყო მსოფლიოს მრავალი წამყვანი უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, მინიჭებული ჰქონდა არაერთი პრესტიჟული სამეცნიერო ჯილდო და პრემია.

პიაჟეს ბიოლოგიური ორიენტაცია გამომჟღვნდა პირველივე გნოსეოლოგიური ხასიათის შრომაში – „გამოკვლევები" (1918), რომელშიც იგი შეეცადა, დაესაბუთებინა, რომ ბიოლოგიას ძალუძს, თავისი წვლილი შეიტანოს კლასიკური ეპისტემოლოგიური პრობლემების გადაჭრაში. ოღონდ ეს უნდა მოხდეს არა ბიოლოგიის მონაცემების უშუალო გადატანით შემეცნების თეორიაში, არამედ მათ შორის შუალედური რგოლების აგების გზით. როგორც პიაჟეს შეხედულებების შემდგომმა განვითარებამ ცხადყო, ეს ადგილი უნდა დაიკავოს *განვითარების ფსიქოლოგიამ და გენეტიკურმა ეპისტემოლოგიამ.* ეს უკანასკნელი პიაჟეს მიერ გაგებულია როგორც მეცნიერება ცოდნის სხვადასხვა სახის, ცნებების, შემეცნებითი სტრუქტურების ფორმირების მექანიზმების შესახებ. იგი ეყრდნობა განვითარების ფსიქოლოგიის, ასევე თანამედროვე ლოგიკისა და მათემატიკის მონაცემებს. ბიოლოგიასთან კავშირი თავს იჩენს პიაჟეს კონცეფციის ბევრ დებულებაში. თავის მეცნიერულ ავტობიოგრაფიაში იგი აღნიშნავს, რომ პრობლემების უმრავლესობას მაინც ბიოლოგიის თვალით უყურებდა. იმავე შრომაში პიაჟე თავის მასწავლებლებად ასახელებს პიერ ჟანეს – ფსიქოლოგიაში გენეტიკური იდეების აქტიურ გამტარებელს და ედვარდ კლაპარედს – ევროპული ფუნქციონალიზმის გამოჩენილ წარმომადგენელს [44]. მათი გავლენა ნათლად აისახა პიაჟეს მეცნიერულ შემოქმედებაში, რომლისთვისაც განსაკუთრებით დამახასიათებელია წინამორბედი ფსიქოლოგიის მთავარ მონაცემთა ერთიან სისტემაში გააზრების ტენდენცია.

პიაჟე კრიტიკულად აანალიზებს ფსიქოლოგიის ძირითად მიმდინარეობებს (ასოციაციონიზმი, სტრუქტურალიზმი, ფუნქციონალიზმი, ბიჰევიორიზმი, გეშტალტთეორია, ფენომენოლოგიურ-ეგზისტენციალური ფსიქოლოგია). მათი სუსტი და ძლიერი მხარეების გაშუქებისას იგი გამოყოფს ფუნდამენტურ პრინციპებს, რომლებსაც უნდა ითვალისწინებდეს ფსიქიკური სამყაროს ყოველგვარი კვლევა. პიაჟეს მიაჩნია, რომ ფსიქიკური მოვლენების გაგება აუცილებლად ნიშნავს მისი როლის, ფუნქციის დადგენას შეგუების პროცესში; ამასთან, ფსიქიკის ანალიზი გულისხმობს მასში სხვადასხვა სახის სტრუქტურების (სქემების, ოპერაციების) გამოვლენას. მაგრამ, მთავარი მაინც ის არის, რომ ამ სტრუქტურების ბუნებისა და მოქმედების წესის გაგება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცნობილია მათი ჩამოყალიბებისა და განვითარების კანონზომიერებანი. ამდენად, *გენეტიკური მიდგომა* ფსიქოლოგიური შემეცნების ძირეულ მეთოდოლოგიურ პრინციპად გვევლინება. იგი მიჯნავს ფსიქოლოგიური კვლევის *ფუნქციონალურ და სტრუქტურულ* ასპექტებს. თვითონ პიაჟე საკუთარ მიდგომას *სტრუქტურულ-გენეტიკურს* უწოდებს და მას ისეთ შეხედულებებს უპირისპირებს, სადაც აქცენტი კეთდება გენეზისზე და იგნორირებულია სტრუქტურა, და პირიქით, შეისწავლება სტრუქტურა მისი განვითარების კანონზომიერებათა ჩვენების გარეშე. პირველი სახის კვლევებს, პიაჟეს აზრით, მიეკუთვნება ძველი ასოციაციონისტური თეორიები და დასწავლის თანამედროვე ბიჰევიორისტული მოდე-

ლები; მეორეს – ფენომენოლოგია და გეშტალტფსიქოლოგია. ეს უკანასკნელი პიაჟეს განსაკუთრებული ყურადღების ობიექტია, რაც სავსებით ბუნებრივია, ვინაიდან სწორედ გეშტალტფსიქოლოგიამ დაიწყო შემეცნებითი ფსიქიკური სტრუქტურების აქტიური ემპირიული შესწავლა, რაც თავად პიაჟეს ყველაზე მეტად აინტერესებდა ფსიქოლოგიაში. აღნიშნავდა რა გეშტალტთეორიის უდიდეს დამსახურებას, პიაჟე არ ეთანხმებოდა მას გეშტალტურობის პრინციპის უნივერსალიზაციაში და იმაში, რომ გეშტალტი განიხილებოდა როგორც „მარადიული" ფორმა, რომელიც განვითარებას არ ექვემდებარება. პიაჟემ ექსპერიმენტულად აჩვენა, რომ ბევრი გეშტალტური თვისება, მაგალითად აღქმის კონსტანტობა, ასაკობრივად ცვალებადი ფენომენია.

პიაჟე ვერც ბიჰევიორიზმს აუვლიდა გვერდს, რადგან, მისი რწმენით, ფსიქიკური სტრუქტურების ფორმირებასა და ფუნქციონირებაზე ლაპარაკი მხოლოდ ქცევის პროცესთან მიმართებით იძენს აზრს. ამასთანავე, პიაჟეს არ აკმაყოფილებდა ქცევის ბიჰევიორისტული გაგება აქტივობის შინაგანი, შემეცნებითი პლანის გარეშე, ვინაიდან მისი ინტერესი სწორედ ამ უკანასკნელისკენ იყო მიმართული. ქცევა მოტორულისა და მენტალურის ერთიანობაა; შინაგანი, ფსიქიკური მომენტის გარეშე ქცევის აზრის გაგება საერთოდ შეუძლებელია. ბიჰევიორიზმის ფორმულა S-R არაადეკვატურია, ვინაიდან გარკვეულ სტიმულზე რეაგირებისათვის ორგანიზმს უნდა ჰქონდეს გარკვეული სენსიტიურობა მის მიმართ, ანუ მიდრეკილება, თვისება, უპასუხოს მას. ეს კი ნიშნავს, რომ ორგანიზმს უკვე მოეპოვება გარკვეული სტრუქტურა, რომელშიც მოცემული სტიმული ჩაერთვება, ასიმილირდება. აქედან გამომდინარე, პიაჟე გვთავაზობს სქემას: S-(AT)-R, სადაც (AT) ნიშნავს სტიმულის (S) ასიმილაციას სტრუქტურაში (T). ქვემოთ ვნახავთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება პიაჟეს კონცეფციაში ასიმილაციის ცნებას. აქ კი მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ, ნეობიჰევიორიზმისაგან განსხვავებით, პიაჟეს მხედველობაში აქვს არა ფენომენოლოგიურ მოცემულობას მოკლებული შუალედური ცვლადები, ჰიპოთეტური კონსტრუქტები, არამედ რეალური ფსიქიკური მოვლენები, შემეცნებითი სტრუქტურები, რომლებიც ქცევაში არიან ჩართული და მის განუყოფელ ელემენტს შეადგენენ.

პიაჟეს თანახმად, ყოველგვარი ქცევა არის *ადაპტაცია*. ინდივიდი მოქმედებს მხოლოდ მაშინ, თუ წარმოიქმნება მოთხოვნილება, ანუ ირღვევა წონასწორობა ორგანიზმსა და გარემოს შორის. ცოცხალი სისტემის აქტივობა, საზოგადოდ, მიმართულია ამ წონასწორობის აღდგენისკენ. ქცევა გარემოსა და სუბიექტს შორის ურთიერთქმედების, ურთიერთგაცვლის ერთ-ერთი სახეობაა. ფიზიოლოგიური პროცესებისაგან განსხვავებით, რომლებსაც მატერიალური ხასიათი აქვთ და სხეულთა შინაგან ცვალებადობას გულისხმობენ, ქცევა არ წარმოადგენს სხეულისა და გარემოს მატერიალურ ურთიერთშეღწევას – იგი ფუნქციონალური ბუნებისაა. ფუნქციონალური ქცევა რთული ტრაექტორიით ხასიათდება. სუბიექტი დიდი მანძილით შორდება ობიექტს სივრცეში (აღქმა) და დროში (მეხსიერება). ასე გაგებული ქცევა ყოველთვის ორ ასპექტს მოიცავს – *აფექტურს და კოგნიტურს*. პირველი ქცევის ენერგეტიკას უზრუნველყოფს, მეორე განსაზღვრავს მის ფორმას, სტრუქტურას, ანუ იმ კონკრეტულ გზებს, რომლებითაც ხდება სუბიექტისა და ობიექტის დაკავშირება. აღქმის, სენ-

სომოტორული ჩვევების, გაგებისა თუ მსჯელობის აქტების ფუნქცია გარემოსა და ორგანიზმს შორის ურთიერთობის სტრუქტურირებაშია. პიაჟეს კვლევის ძირითადი საგანი სწორედ ქცევის სტრუქტურულ-კოგნიტური ასპექტია, მაგრამ ყურადღების გარეშე არც ქცევის აფექტური მხარე რჩება. შემეცნებითი სტრუქტურების ფუნქციონირების მექანიზმებზე მსჯელობისას ავტორი საგანგებოდ მიუთითებს, რომ ყოველ მათგანს აქვს საკუთარი მოტივაცია ანუ ემოციურ-ვოლიტური კომპონენტი. ყოველი სტრუქტურა მამოძრავებელ ძალას შეიცავს. ინტელექტუალური სტრუქტურების შემთხვევაში ესაა სპეციფიკური შემეცნებითი მოთხოვნილებები, რომლებიც, თავის მხრივ, სენსორული მოთხოვნილებებიდან ვითარდება. თვალს, პიაჟეს თქმით, ისევე ესაჭიროება მხედველობითი გამღიზიანებელი, როგორც სხეულის ქსოვილებს კვება. სენსორული მოთხოვნილებების განვითარების შედეგად ჩნდება ყურადღების (ორიენტაციის), შემდგომ კი შემეცნების მოთხოვნილებები. საბოლოოდ, ქცევის ანალიზს პიაჟე ფუნდამენტურ დასკვნემდე მიჰყავს, კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ საერთოდ არ შეიძლება გონების გამოცალკევება გრძნობისაგან. „აფექტი და ინტელექტი ყოველგვარი ადამიანური ქცევის ორ ურთიერთშემავსებელ ასპექტს შეადგენს“ [45; 23].

კოგნიტურ და ემოციურ სფეროთა ერთიანობა ყველაზე მკაფიოდ იჩენს თავს ნებელობითი ქცევის დახასიათებისას. პიაჟეს მიხედვით, ნებისყოფის პრობლემის არსი ისაა, რომ თავდაპირველად უფრო სუსტი ტენდენცია გაბატონდება ძლიერზე და წარმართავს ქცევას. ამ ფენომენის ასახსნელად, პიაჟეს აზრით, არ არის საჭირო პიროვნებაში არსებული რაიმე დამატებითი ძალის დაშვება. ნებისყოფის სფეროში ყველაფერი *ინტელექტუალური ოპერაციების* ანალოგიურად ხორციელდება, ოღონდ ამ შემთხვევაში უნდა ვილაპარაკოთ *ემოციურ ოპერაციებზე*. ისინი დაკავშირებულია ღირებულებების *შემონახვასა და კოორდინაციასთან*, ხოლო ინტელექტუალური ოპერაციები – მიმართებების შემონახვასა და კოორდინაციასთან.

როგორ ხორციელდება ნებისყოფის აქტი? პიაჟე აქ, პირველ რიგში, ღირებულებების შემონახვის პრინციპზე მიუთითებს. აფექტური ბუნების ღირებულებები ისევე შემოინახება, როგორც აზრი ინტელექტუალურ ოპერაციებში, რაც საფუძვლად ედება ლოგიკურ თანმიმდევრობას. მორალი აფექტური ღირებულებების შემონახვის მექანიზმია. გქონდეს ნებისყოფა, ნიშნავს გაგაჩნდეს *ღირებულებების პერმანენტული სკალა*. თუ კი ის არსებობს, ჩვენ შეგვიძლია, ნებელობითი კონფლიქტი გადავჭრათ აქტუალური ემოციური მდგომარეობის რეალური ღირებულებებისადმი დაქვემდებარების გზით, ანუ დეცენტრაციის მექანიზმის მეშვეობით. *დეცენტრაცია* პიაჟეს მოძღვრების ერთ-ერთი ცენტრალური ცნებაა და გამოიყენება სოციალიზაციის, კოგნიტური და მორალური განვითარების ანალიზისას. ის წარმოადგენს ინდივიდის ამჟამინდელი პოზიციის, ცნების, შეხედულების შეცვლას სხვა ვითარებებსა და პოზიციებთან შეპირისპირებისა და ინტეგრაციის გზით.

პიაჟე განიხილავს ნებელობითი ქცევის მაგალითს, როდესაც მუშაობის თავდაპირველად სუსტი ტენდენცია გაბატონდება ყველა სიტუაციურ ტენდენციაზე, რაც სათანადო ქცევის განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. როგორ მოხდა ამ ტენდენციის გაძლიერება? დეცენტრაციის საშუალებით – პასუხობს პიაჟე. და-

საწყისში ჩვენ სიტუაციური სურვილების ტყვეობაში ვიმყოფებით. ამ მდგომარეობის დაძლევა ორი გზით არის შესაძლებელი: წარსულის აღდგენით და მომავლის წარმოდგენით, რაც განაპირობებს აქტუალური ღირებულების (სურვილის) დაქვემდებარებას უფრო დიდი ღირებულებათა სკალისადმი, ამ შემთხვევაში, ჩემი ამოცანის, საქმის ღირებულებისადმი. იმ მომენტიდან, როცა ძალთა კონფიგურაცია იცვლება და მე ვიწყებ მოქმედებას ჩემი ჩვეულებრივი ღირებულებების სკალის შესაბამისად (ე.ი. იქიდან მოყოლებული, როდესაც ჩემი აქტუალური სურვილი ჩაერთვება ღირებულებათა პერმანენტულ სკალაში), კონფლიქტი გადაწყვეტილია; ადრინდელი ძლიერი სურვილი სუსტდება და ექვემდებარება ტენდენციას, რომელიც დასაწყისში უფრო სუსტი იყო.

როგორც ითქვა, პიაჟე გამოყოფს ემოციურ და ინტელექტუალურ ოპერაციებს. ინტელექტის საკითხი პიაჟეს ყურადღების ცენტრშია, მაგრამ ინტელექტი არ განიხილება სხვა კოგნიტური პროცესებისგან მოწყვეტით. ინტელექტი, უფრო დაბალი დონის კოგნიტურ-მოტორული სტრუქტურების მსგავსად (აღქმა, ჩვევა, სენსომოტორიკა, მეხსიერება), შეგუების, წონასწორობის მიღწევის საშუალებაა. „ერთიმეორის ზემოთ განლაგებულ ამ სტრუქტურათა თანმიმდევრობა ისეთი რიგის სახით უნდა განიხილებოდეს, რომელიც ევოლუციის კანონების მიხედვით აიგება. ყოველი სტრუქტურა უზრუნველყოფს იმ პროცესების უფრო მდგრად და ფართოდ გავრცელებად წონასწორობას, რომლებიც წინა სტრუქტურაში აღმოცენდნენ. ინტელექტი სხვა არაფერია, თუ არა გვაროვნული სახელწოდება, რომლითაც აღინიშნება კოგნიტური სტრუქტურების ორგანიზაციის ან წონასწორობის უმაღლესი ფორმები“ [21; 65].

ინტელექტი, როგორც ყოველგვარი მოქმედება, არის *ადაპტაცია.* ამიტომ მისი უფრო დეტალური დახასიათება საჭიროებს გარკვეული შეხედულების ჩამოყალიბებას ზოგადად ადაპტაციაზე. პიაჟეს თანახმად, ყოველგვარი ადაპტაცია, ბიოლოგიური იქნება ის თუ ფსიქიკური, გულისხმობს ორი ურთიერთდაკავშირებული პროცესის განხორციელებას: *ასიმილაციას და აკომოდაციას.* ბიოლოგიური თვალსაზრისით, ასიმილაცია არის გარეგანი ელემენტების ინტეგრაცია ორგანიზმის განვითარებად ან უკვე ჩამოყალიბებულ სტრუქტურებში. ფიზიოლოგიურად ეს ნიშნავს, რომ ორგანიზმი გარედან იღებს გარკვეულ ნივთიერებებს და გადაამუშავებს მათ თავისი სტრუქტურის შესაბამისად. ასიმილაცია, ასეთი ფართო გაგებით, არსებობს ქცევის შემთხვევაშიც. ეს ეხება როგორც პერცეპტულ, ასევე ინტელექტუალურ და სხვა ქცევებს. ასიმილაცია არის ახალი ობიექტის, პრობლემური სიტუაციის ჩართვა უკვე არსებულ ქცევით სქემაში. რაც შეეხება აკომოდაციას, იგი გულისხმობს აღნიშნული სქემის შეცვლას ახალი ვითარების შესაბამისად, მასთან უკეთ შეგუების მიზნით. ყოველგვარი ადაპტაცია, მათ შორის კოგნიტურიც, ასიმილაციისა და აკომოდაციის პროცესების განწონასწორებული მიმდინარეობაა. სწორედ მათი ერთიანობა განაპირობებს წონასწორობას ორგანიზმსა და გარემოს შორის, რისკენაც ყოველგვარი ცოცხალი სისტემა მიისწრაფვის. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სრული წონასწორობის დამყარება არსებითად შეუძლებელია, ვინაიდან ორგანიზმი მუდმივად განიცდის შიდა ან გარე სტიმულებისა და პროცესების ზემოქმედებას. ამიტომ მთავარია არა წონასწორობა, როგორც ასეთი, არამედ *განწონასწორების პროცესი.*

თვით წონასწორობა, რომლისკენაც მიისწრაფვის ყოველგვარი ცოცხალი სისტემა, არ უნდა გავაიგივოთ სიმშვიდესთან ან უძრაობასთან. წონასწორობა, წერს პიაჟე, უნდა გავიგოთ „როგორც კომპენსაცია, რომელიც ხორციელდება სუბიექტის მოქმედების საშუალებით გარეგან პერტურბაციაზე საპასუხოდ და, არავითარ შემთხვევაში, როგორც სიმშვიდის მდგომარეობაში მყოფი ძალების ბალანსი“ [44; 115]. რაც უფრო მყარია წონასწორობა, მით მეტ აქტივობას მოითხოვს იგი სუბიექტისგან, მით უფრო აქტიური და განწონასწორებულია ასიმილაციისა და აკომოდაციის პროცესები. ეს გარემოება ფრიად მნიშვნელოვანია, ვინაიდან მისი გათვალისწინებით პიაჟე უპირისპირდება ქცევის ადაპტაციურ, ჰომეოსტაზურ მოდელებს, რომელთათვისაც ქცევის ანალიზის ათვლის წერტილი წონასწორობის, ბალანსის, უძრაობის მდგომარეობაა. ისინი ვერ უძლებენ სერიოზულ კრიტიკას, როდესაც საკითხი ადამიანის ქცევის სპეციფიკას ეხება.

ყოველი ქცევა, რომელიც კოგნიტური პროცესების მეშვეობით ხორციელდება, ერთგვარად ათავისუფლებს ორგანიზმს აქ და ამჟამად მოცემულ, უშუალოდ მოქმედ გარემოსთან მიჯაჭვულობისგან. მათი საშუალებით შესაძლებელი ხდება ადაპტაციური ურთიერთობის დამყარება სივრცეში დაშორებულ ობიექტებთან, მომავლის წინასწარმეტყველება და წარსულის აღდგენა. ინტელექტის როლი ამ მხრივ განსაკუთრებულია. მხოლოდ მას შესწევს უნარი, გაითვალისწინოს მოქმედების ადაპტურობისთვის აუცილებელი ყველა გარემოება. „მხოლოდ იგი მიილტვის ტოტალური წონასწორობისკენ, ესწრაფვის მას, რომ სინამდვილის მთელი ერთობლიობის ასიმილაცია და მასში მოქმედების აკომოდირება მოახდინოს, მოქმედების, რომელსაც იგი ათავისუფლებს იმთავითვე არსებულ „აქ და ამჟამად“ მოცემულობაზე მონური დაქვემდებარებულობისგან“ [21; 67-68]. ინტელექტით უზრუნველყოფილი მოქმედება ყველაზე რთული, ყოვლისმომცველი და მოქნილი ქცევაა.

ყოველგვარი ფსიქიკური, მათ შორის ინტელექტუალური, ქცევა წარმოიქმნება გარეგანი, მატერიალური მოქმედებიდან. მენტალური მოქმედების უმარტივესი სტრუქტურა არის *სქემა*. სქემები ორი ტიპისაა: სენსომოტორული და კოგნიტური. *ოპერაცია* კოგნიტური სქემის ერთგვარი სახეა, რომელიც გონებრივი განვითარების გარკვეულ ეტაპზე წარმოიქმნება და, საბოლოოდ, ინტელექტუალური აქტივობის ძირითად ელემენტად იქცევა. ოპერაციები *ინტერიორიზებული*, ე.ი. გაშინაგანებული გარეგანი მოქმედებებია (მაგალითად, შეკრება შეიძლება შესრულდეს ჯერ მატერიალურ საგნებზე, შემდეგ კი გონებაში). მაგრამ ყოველგვარი ინტერიორიზებული გონებრივი მოქმედება, რომელიც საგნობრივი მოქმედებიდან არის წარმოქმნილი, ჯერ კიდევ არ არის ოპერაცია. იმისთვის, რომ იგი საკუთრივ ოპერაციად იქცეს, მან უნდა შეიძინოს გარკვეული ნიშან-თვისებები. ოპერაციებს, პირველ რიგში, ის გარემოება გამოარჩევს, რომ ისინი *შექცევადნი* არიან. ოპერაცია, ფაქტობრივად, რაიმეს *გონებრივი გარდაქმნაა*, რადგან ამ დროს ობიექტი ან პროცესი ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადადის. ამიტომ ყველა ოპერაციისთვის უნდა არსებობდეს საწინააღმდეგო, სიმეტრიული ოპერაცია, რომელიც აღადგენს ამოსავალ მდგომარეობას (მაგალითად, შეკრების ოპერაციის საწინააღმდეგოა გამოკლება). გარდა ამისა, მოქმედე-

ბა მაშინ არის ოპერაცია, თუ ის *კოორდინირებულია* სხვა ოპერაციებთან, იმათთან, რომლებთან ერთადაც მოძრავ მთლიანობით სტრუქტურებს ქმნის. იზოლირებული ოპერაცია გონებრივი ამოცანის სრულყოფილ გადაწყვეტას ვერ მოგვცემს. მაგალითად, არითმეტიკული ან გრამატიკული წესი აზრს მხოლოდ სათანადო მათემატიკურ ან ენობრივ სისტემაში იძენს. ასევეა ცალკეული სივრცითი ან დროითი მიმართებების წვდომის შემთხვევაშიც. არსებითად იგივე ითქმის ემოციურ ოპერაციებზეც, რომლებიც, როგორც ზემოთ დავინახეთ, მხოლოდ ღირებულებათა მუდმივ სისტემასთან მიმართებით იძენენ ნებელობითი აქტის წარმართვის უნარს.

გასული საუკუნის ოციან წლებში პიაჟემ დაიწყო ბავშვის აზროვნების გენეზისის ემპირიული შესწავლა. კვლევის მეთოდიკური პრინციპების განსაზღვრისას პიაჟე უარს ამბობს გონებრივი კოეფიციენტების ტესტური დადგენის, მისი აზრით, უნაყოფო პრაქტიკაზე და მიმართავს *კლინიკური ან თავისუფალი საუბრის მეთოდს.* ასეთი საუბრისას ბავშვს ეძლევა მის სპონტანურ გამონათქვამებთან მაქსიმალურად დაახლოებული კითხვები. მაგალითად: რა ამოძრავებს ცაში ღრუბლებს, მდინარეში წყალს, ქარის დროს ჰაერს? რატომ იძირება პატარა ქვა და დაცურავს დიდი ნავი? რატომ არ ვარდება დაბლა მზე, მთვარე ან ვარსკვლავები? საიდან ჩნდება სიზმრები? და ა.შ. ბავშვის მსჯელობებში, გამონათქვამებში პიაჟე ეძებს იმას, რაც არსებითად განასხვავებს მისი აზროვნების წესს მოზრდილისგან. თავდაპირველად ასეთ ძირითად თვისებად პიაჟეს ბავშვის *ეგოცენტრიზმი* მიაჩნდა. პატარა ბავშვი საკუთარი დახშული სამყაროს ცენტრია. იგი უკიდურესად ეგოისტურია და ახასიათებს *ბიოლოგიური ეგოიზმი,* რაც თავს იჩენს ორგანული მოთხოვნილებებისა და თამაშის გამოკვეთილ პრიორიტეტში. იგი მოკლებულია ობიექტურობას და კრიტიკულობას საკუთარი თავის მიმართ. ეგოცენტრიზმი თვალსაჩინოდ ვლინდება ბავშვის მეტყველებაში. ეგოცენტრული მეტყველება – ესაა *მეტყველება თავისთავთან და მეტყველება თავისთავისთვის;* მას არა აქვს ურთიერთობის და გაგებინების ფუნქცია. ის უფრო ბავშვის განცდისა და მოქმედების თანმხლები მომენტი, მათი ილუსტრაციაა. ბავშვის აზროვნებას სხვა თვისებებიც ახასიათებს, ესენია: *ანიმიზმი* – საგნების სულიერი თვისებებით აღჭურვა; *არტიფიციალიზმი* – ბუნების მოვლენების ადამიანის მიერ შექმნილად მიჩნევა; *მაგია* – სიტყვებისა და ჟესტებისთვის საგნებზე ზემოქმედების უნარის მიწერა და სხვ.

ოცდაათიან წლებში პიაჟე მკვეთრად ცვლის თავის მიდგომას ინტელექტის ონტოგენეტური განვითარების საკითხის მიმართ. ინტელექტის განვითარება ახლა უკვე განიხილება როგორც გარკვეული გონებრივი სტრუქტურების თანმიმდევრული ცვალებადობის პროცესი. შესაბამისად, გამოიყოფა ინტელექტის განვითარების ოთხი სტადია: პირველი – *სენსომოტორული ინტელექტის სტადია.* იგი გრძელდება დაბადებიდან 1,5-2 წლამდე. ესაა პერცეპტული და პრაქტიკული მოქმედებების პლანში მიმდინარე რეაქციების ხანა; იგი ამზადებს ეტაპს, როდესაც აქტივობა საკუთრივ გონებრივი მოქმედებებით, ანუ შინაგან პლანში იწარმოებს. ამ დროს ინტელექტი თავისი განვითარების მეორე სტადიაზე გადადის, რომელიც 7-8 წლამდე გრძელდება და *ოპერაციამდელი სტადია* ეწოდება. მართალია, ამ სტადიაზე უკვე მოხდა გარეგანი

მოქმედებიდან შინაგან მოქმედებაზე გადასვლა, მაგრამ ეს მოქმედება ჯერ კიდევ არ არის ინტელექტუალური ოპერაცია, ვინაიდან მას არ გააჩნია შექცევადობის თვისება. პიაჟემ ეს მრავალრიცხოვანი გონებამახვილური ექსპერიმენტების საშუალებით დაადგინა. მაგალითად, თუ უფროსი სკოლამდელი ასაკის ბავშვს ვთხოვთ, გადაასხას სითხე დაბალი და ფართო ჭურჭლიდან მაღალ და ვიწრო ჭურჭელში, იგი გვეტყვის, რომ სითხის რაოდენობა გაიზარდა. ამ შემთხვევაში ბავშვს არ შეუძლია, გონებაში შეაბრუნოს გადასხმის მოქმედება. იგი იმყოფება უშუალოდ დანახულის შთაბეჭდილების ქვეშ – ვინაიდან მაღალყელიან ჭურჭელში სითხის დონემ აიწია, მაშასადამე მისი რაოდენობა მეტია. სკოლამდელი ბავშვის აზროვნება, პიაჟეს თქმით, *თვალსაჩინოა*. შვიდი წლიდან მოყოლებული, ბავშვები ამგვარ შეცდომებს აღარ უშვებენ, მათი გონებრივი მოქმედებები შებრუნებადობის თვისებას იძენენ, რაც *კონკრეტული ოპერაციების* პერიოდის დაწყებას მოასწავებს. ბავშვი ასრულებს გონებრივ ოპერაციებს, თუმცა, როგორც წესი, ეყრდნობა კონკრეტულ მასალას. ეს არ ნიშნავს, რომ მას მოქმედება მხოლოდ ამჟამად მოცემული საგნებით შეუძლია, მაგრამ მისი ინტელექტის ძირითადი ინტენცია სწორედ ასეთია. 11 წლიდან ბავშვი გადადის *ფორმალური ოპერაციების სტადიაზე*, რომელიც სრულდება 15 წლისათვის. ბავშვს უკვე შეუძლია, ფორმალურად განსაზღვროს ცნებები, რომლებსაც მანამდეც იყენებდა, მაგრამ ვერ განსაზღვრავდა. ჩნდება გონებრივი მოქმედების აბსტრაქტულ პლანში წარმართვის უნარი, რაც ჰიპოთეტურ გამონათქვამებზე დაყრდნობით ხდება.

პიაჟესა და მისი თანამშრომლების მრავალწლიანმა გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ „სტადიები ყოველთვის უცვლელი თანმიმდევრობით აღმოცენდება, რასაც იმის დაშვებამდე მივყავართ, რომ აქ გარკვეული ბიოლოგიური ფაქტორი მოქმედებს, ისეთი, როგორიცაა მომწიფება“ [22; 251]. გარემოს, კერძოდ, პედაგოგიურ ზემოქმედებას, შეუძლია, ერთგვარად დააჩქაროს ან შეცვალოს სპონტანური განვითარების პროცესი, მაგრამ მას არსებითად ვერ შეცვლის. აქედან გამომდინარე, პიაჟე ერთმნიშვნელოვნად წყვეტს სწავლებისა და განვითარების ურთიერთმიმართების პრობლემას, რომელიც უმნიშვნელოვანესია პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში. სასწავლო პროცესის ორგანიზაციას, უპირველეს ყოვლისა, უნდა განსაზღვრავდეს ბავშვის ინტელექტუალური განვითარების დონე. ამგვარი პოზიცია სრულებითაც არ არის საყოველთაოდ მიღებული. დიამეტრულად საწინააღმდეგო მოსაზრებას იცავს ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგი ჯერომ ბრუნერი. იგი საერთოდ უარყოფს კავშირს განვითარებასა და სწავლებას შორის, მიაჩნია რა, რომ პრინციპულად შესაძლებელია ნებისმიერი ასაკის ბავშვს ვასწავლოთ ყველაფერი, რაც გვინდა, მთავარია, მოინახოს მასალის მიწოდების საჭირო ფორმა [6]. ამ პოლუსებს შორის არის თვალსაზრისი (ვიგოტსკი, უზნაძე და სხვ.), რომლის თანახმად, სწავლების სირთულის დონე გარკვეულად წინ უნდა უსწრებდეს განვითარების აქტუალურ დონეს. მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება იგი განვითარების მამოძრავებელი ფაქტორი.[1]

[1] დ. უზნაძე ასე მსჯელობდა: სასწავლო მასალა, ერთი მხრივ, „მოსწავლის ძალთა განვითარების აქტუალური დონისათვის უნდა იყოს შესატყვისი; მეორე მხრივ, საკმარისად უნდა იყოს მას დაშორებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ე.ი. რომ იგი სავსებით განვი-

პიაჟე დამსახურებულად ითვლება XX საუკუნის ერთ-ერთ იდიდეს ფსიქოლოგად. მის გავლენას განვითარების ფსიქოლოგიაზე ადარებენ შექსპირის გავლენას ინგლისურ ლიტერატურაზე. მიუხედავად ამისა, ინტელექტის სტადიების კონცეფცია მრავალი ასპექტით გახდა კრიტიკული განხილვის საგანი, თუმცა ნიშანდობლივია, რომ თვითონ კრიტიკოსებს შორისაც არ არსებობს თანხმობა პიაჟეს უმდიდრესი მეცნიერული შემოქმედების შეფასებაში. ზოგი მისი სისტემის თეორიულ ნაწილს თვლის საკამათოდ, ზოგი მეთოდიკურს, ზოგიც ფაქტოლოგიურს. პიაჟეს შეხედულებათა გარშემო უცნაური მდგომარეობა შეიქმნა: „ერთი მხრივ, ინტელექტის განვითარების ვერც ერთი თანამედროვე მკვლევარი ვერ ასცდება იმას, რომ არ დაიმოწმოს პიაჟეს მიერ მოპოვებული ფაქტები და მათი ახსნა; მეორე მხრივ, პიაჟეს არავინ ეთანხმება“ [25; 217]. ეს შეფასება გარკვეულად ასახავს საქმის ვითარებას, თუმცა მისი ბოლო პასაჟი უდავო გადაჭარბებაა.

მართლაც, არსებობს გამოკვლევები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ადამიანის კოგნიტური განვითარება ყველგან, ყველა კულტურაში ისე მიმდინარეობს, როგორც ეს პიაჟემ დაადგინა [19]. ამასთანავე, არის საწინააღმდეგო მონაცემებიც. მაგალითად, ბრუნერის მიერ ჩატარებულმა პიაჟეს ფენომენების კროსკულტურულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ისინი განსხვავებულად ვლინდებიან სხვადასხვა კულტურაში. ამიტომ მან ჩათვალა, რომ პიაჟეს ფენომენები უნდა განიხილებოდეს ბავშვის მიერ გარკვეული მოთხოვნების შეთვისების კონტექსტში. ეს არის მოთხოვნები, რომლებსაც საზოგადოება უყენებს ბავშვს იმის შესაბამისად, თუ განვითარების რომელ სტადიაზე იმყოფება იგი [20]. კროსკულტურული კვლევების ისეთ განზოგადებასაც ვხვდებით, რომლის თანახმად, სტადიების თანმიმდევრობა უნივერსალურია, ხოლო მათი გავლის ტემპი სოციალურ-კულტურული ფაქტორების მიხედვით ცვალებადობს [31].

არსებობს ექსპერიმენტულად დასაბუთებული კრიტიკა პიაჟეს იმ დებულებისა, რომ ლოგიკური ოპერაციების შემუშავების პროცესი და მისი ასაკობრივი დინამიკა განსაზღვრულია ბავშვის ინტელექტუალური უნარების (ტრანზიტულობა, კონსერვაცია, კლასიფიკაცია და ა.შ.) განვითარების დონით. მრავალი ავტორი აჩვენებს, რომ ბავშვის წარუმატებლობა პიაჟეს ამოცანების შესრულებისას შეიძლება განპირობებული იყოს მისი სხვა ფუნქციების, კერძოდ ყურადღებისა და მეხსიერების, განვითარების ჩამორჩენილობით [32].

ბევრი გამოკვლევა ჩატარდა იმის გასარკვევად, თუ რამდენად ზუსტად ადგენს პიაჟეს მიერ გამოყენებული მეთოდური აპარატი ამა თუ იმ სტადიის ასაკობრივ ჩარჩოებს. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელი გახდა პიაჟეს ამოცანების ისეთი გადასხვაფერება, რომ ისინი 2-3 წლით უმცროსმა ბავშვებმა ამოხსნეს, ანუ იმ ბავშვებმა,

თარების აქტუალური დონის შესატყვისი ყოფილიყო, როგორ შეძლებდა იგი წინსვლისა და უფრო მაღალ დონეზე ამაღლების პირობად გამხდარიყო. სასწავლო მასალა, მაშასადამე, ყოველთვის ისეთია, რომ მონაფის განვითარების აქტუალურ დონეზე მაღალია“ [3; 563]. მაგრამ, ვინაიდან განვითარებისთვის მისი აქტუალურ დონესთან გარკვეული შესაბამისობაც უნდა იყოს დაცული, საჭირო ხდება მასწავლებლის ჩარევა, რომელიც ისე აწოდებს მასალას მონაფეს, რომ მისთვის მისაწვდომი შეიქნეს.

რომლებიც, პიაჟეს მიხედვით, უფრო ადრეულ სტადიაზე იმყოფებოდნენ. საზოგადოდ, პიაჟეს ექსპერიმენტების ტოტალური გადამოწმების შემდეგ ბევრმა მკვლევარმა ჩათვალა, რომ ისინი ძალზე „რთულებია". როცა იგივე უნარები სხვა, ბავშვის ინტელექტისთვის უფრო მისაწვდომი ამოცანებით შეამოწმეს, აღმოჩნდა, რომ მონაცემები გაცილებით უკეთესია, ვიდრე ამას პიაჟე ვარაუდობდა [16][17].

უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი მაინც ღიად რჩება, ვინაიდან, პიაჟეს მომხრეთა აზრით, სწორედ კრიტიკოსები ცდებიან, როცა ბავშვებს მათი ინტელექტის რეალური განვითარების დონესთან შედარებით ბევრად ადვილ ამოცანებს აძლევენ, და საერთოდ, რა უნდა ჩაითვალოს ინტელექტის განვითარების რეალური დონის მაჩვენებლად? პიაჟე ხომ თავის ექსპერიმენტებში სპეციალური ინტერვიუს მეშვეობით არკვევდა არა მარტო იმას, შეასრულა თუ არა ბავშვმა ამოცანა, არამედ იმასაც, თუ რატომ უპასუხა მან მოცემულ კითხვაზე ასე და არა სხვაგვარად. ამრიგად, პიაჟეს მიაჩნდა, რომ ინტელექტის ესა თუ ის თვისება მჟღავნდება არა მხოლოდ სათანადო გონებრივი მოქმედების შესრულებაში, არამედ მის გაცნობიერებაშიც. კრიტიკოსთა ცდებში კი ეს, უდავოდ, მნიშვნელოვანი მომენტი არ იყო სათანადოდ გათვალისწინებული [11]. ეს თემა რომ დავასრულოთ, მოვუსმინოთ პიაჟეს შემოქმედების ერთ-ერთ საუკეთესო მკვლევარს, ფლეიველს. პიაჟეს ემპირიული მონაცემების კრიტიკული შეფასების შემდეგ იგი საკმაოდ ფრთხილად შენიშნავს, რომ პატარა ბავშვებს, ალბათ, მეტი შეუძლიათ, ვიდრე ამას პიაჟე ფიქრობდა, ხოლო მოზარდებსა და მოზრდილებს – უფრო ნაკლებიო [34].

პიაჟეს სისტემის სხვა ასპექტების მიმართაც არის გამოთქმული სერიოზული შენიშვნები. მათზე აღარ შევჩერდებით. ამ მიმართულებით იმდენად დიდი მასალა არსებობს, რომ პიაჟეს სისტემის ანალიზი და შემოწმება ფსიქოლოგიის ცალკე დარგადაც შეიძლება ჩამოყალიბდეს. პიაჟეს მიერ შესრულებული გრანდიოზული სამუშაო, ცხადია, ვერ იქნებოდა იდეალური. სირთულეებისა და შეცდომებისგან დაზღვეული არავინ არის, მაგრამ, როგორც ამ მოძღვრების დამცველნი ამტკიცებენ, კრიტიკა საკმარისად არ ითვალისწინებს პიაჟეს მეთოდოლოგიური მიზნების, მეთოდური მიდგომებისა და თეორიული შეხედულებების თავისებურებას. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ავტორი ხანგრძლივი კვლევის პროცესში ამა თუ იმ საკითხზე თვალსაზრისს იცვლიდა. ამიტომ მის უამრავ პუბლიკაციაში წარმოდგენილი მოსაზრებების სრულყოფილი და ადეკვატური ანალიზი მეტად რთულია. თავისი აღმოჩენებით გატაცებული, პიაჟე ხშირად ნაკლებ ყურადღებას აქცევდა მონაცემების ზუსტ აღწერას. იგი კლინიკური კვლევის სტრატეგიით ხელმძღვანელობდა და უარყოფდა სტატისტიკურ მიდგომებს. თუ ეს გარემოებანი სათანადოდ იქნება გათვალისწინებული, შესაძლოა, საეჭვო გახდეს პიაჟეს კრიტიკის ბევრი დებულების მართებულობა [18].

აღსანიშნავია, რომ თვითონ პიაჟე საერთოდ არ პასუხობდა თავისი მისამართით გამოთქმულ კრიტიკას. ერთადერთი ავტორი, რომელსაც მან სპეციალური წერილით უპასუხა, იყო ლ. ვიგოტსკი. ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ახლაც ბევრს მსჯელობენ ამ მეცნიერთა პოზიციების ურთიერთმიმართებაზე. მათ თვალსაზრისებს შორის მართლაც არსებობს როგორც მსგავსება, ისე განსხვავება. ზემოთ უკვე აღინიშნა

მათი შეხედულებების სხვადასხვაობა სწავლისა და განვითარების პროცესების ურთიერთმიმართების პრობლემასთან დაკავშირებით. მოკლედ რომ ვთქვათ, პიაჟეს მიხედვით, განვითარება წინ უსწრებს სწავლას. ეს უკანასკნელი შეიძლება საზიანოც აღმოჩნდეს განვითარებისთვის, ვინაიდან ბავშვი ვერ ეჩვევა დამოუკიდებელ აზროვნებას. ვიგოტსკისთვის პირიქით, სწავლა, როგორც სოციალური მოელენა, წინ უსწრებს და აპირობებს განვითარებას.

ადამიანის ფსიქიკის ქმნადობისა და განვითარების საქმეში სოციალური ფაქტორების აბსოლუტური პრიორიტეტი ვიგოტსკის შეხედულებათა ქვაკუთხედია. პიაჟე, ცხადია, არ უარყოფს სოციალური ფაქტორების მნიშვნელობას, მაგრამ წამყვან როლს ფსიქიკურ განვითარებაში *მომწიფების* ბუნებრივ და სპონტანურ პროცესებს ანიჭებს. ერთ შემთხვევაში აქცენტი ფსიქიკის გარეგან დეტერმინაციაზე კეთდება, მეორეში – შინაგანზე.

მოცემული დიქოტომიის კონტექსტში გასაგები ხდება იმ დისკუსიის არსი, რომელიც გაიმართა პიაჟესა და ვიგოტსკის შორის *ეგოცენტრული მეტყველების* საკითხთან დაკავშირებით. ეგოცენტული მეტყველების სტადიაზე ბავშვი არავის მიმართავს, ლაპარაკობს თავის თავთან ისე, თითქოს ხმამაღლა ფიქრობდეს. პიაჟეს თანახმად, ეგოცენტრული მეტყველება ბავშვის აზროვნების *აუტიზმის, ეგოცენტრიზმის* გამოვლენაა. მას უკიდურესად უჭირს სხვის პოზიციაზე დადგომა და, მით უმეტეს, თავისი პოზიციის შეცვლა სხვისი პოზიციის გათვალისწინებით. ეგოცენტრიზმი „დეცენტრაციის უკმარისობაა – ეს არის საკუთარი გონებრივი პერსპექტივის შეცვლის შეუძლებლობა როგორც სოციალურ, ისე სხვა ურთიერთობაში“ [23; 468]. პიაჟე თვლის, რომ კოგნიტური განვითარების კუთხით ეგოცენტრულ მეტყველებას, არსებითად, პოზიტიური ფუნქცია არ გააჩნია; როგორც შუალედური რგოლი, ის მხოლოდ სათანადო გამოცდილებით უზრუნველყოფს ბავშვს და გზას უხსნის *სოციოცენტრულ*, ანუ ურთიერთობაზე მიმართულ მეტყველებას (მიმართულება შიგნიდან – გარეთ).

ვიგოტსკის მიხედვით, მეტყველების განვითარების ვექტორს საწინააღმდეგო მიმართულება აქვს. ბავშვის (ისევე როგორც მოზრდილის) მეტყველება იმთავითვე სოციალური ბუნებისაა და ურთიერთობას ემსახურება. შემდეგ ის გაივლის ეგოცენტრულ საფეხურს, რომელიც თან სდევს ბავშვის აქტივობას და მის დაგეგმვასა და მართვას ემსახურება, ე.ი. ის სრულიად გარკვეული პოზიტიური ფუნქციის მატარებელია. ამ შუალედური სტადიის გავლით, საბოლოოდ, ბავშვი მიდის შინაგან მეტყველებამდე და აზროვნებამდე (მოძრაობა გარედან – შიგნით) [9].

ვიგოტსკი ორიგინალური ზოგადფსიქოლოგიური კონცეფციის ავტორია, რომელმაც, განსაკუთრებით ბოლო ხანებში, მსოფლიო ფსიქოლოგთა ყურადღება მიიპყრო. ამაში, შესაძლოა, გარკვეული როლი იმანაც შეასრულა, რომ ვიგოტსკის თეორიით ისეთი დიდი ავტორიტეტი დაინტერესდა, როგორიც პიაჟე იყო. ყოველ შემთხვევაში, ლიტერატურაში მათი თვალსაზრისები ხშირად ერთ კონტექსტში განიხილება.

ლევ ვიგოტსკიმ (1896-1934) ბავშვობა გაატარა გომელში. მოსკოვის უნივერსიტეტებში სწავლობდა მედიცინას, სამართალმცოდნეობას, ისტორიას, ფილოლო-

გიას. მისი დიპლომი ეხებოდა შექსპირის „ჰამლეტის“ ანალიზს. შემდეგ მუშაობდა მოსკოვის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში, სადაც შეხვდა თანამოაზრეებს, რომლებთან ნაყოფიერად თანამშრომლობდა (ა. ლურია, ა. ლეონტიევი, ლ. ბოჟოვიჩი, ა. ზაპოროჟეცი, დ. ელკონინი და სხვ.). ვიგოტსკიმ, ლურიასთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა ნეიროფსიქოლოგიურ მოძღვრებას უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციების განვითარება-დაშლის შესახებ. ვიგოტსკი დაინტერესებული იყო ხელოვნების ფსიქოლოგიით, ბავშვის ფსიქოლოგიით, დეფექტოლოგიით. დააფუძნა დეფექტოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც დღესაც არსებობს. 1920 წლიდან ვიგოტსკი ჭლექით დაავადდა, რომელმაც მოუსწრაფა სიცოცხლე. იგი გარდაიცვალა 38 წლის ასაკში შემოქმედებითი აღმავლობის ხანაში. ვიგოტსკის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ გამოვიდა ავადსახსენებელი პარტიული დადგენილება, რომელმაც საბჭოთა კავშირში გაანადგურა ფსიქოლოგიური კვლევის რიგი მიმართულებებისა, მათ შორის პედოლოგია, რომლის ერთ-ერთი ლიდერიც ვიგოტსკი იყო. მას მერე უკვე გარდაცვლილი ვიგოტსკი მკაცრი იდეოლოგიური კრიტიკის სამიზნე გახდა. მისი დაბეჭდილი წიგნების უმეტესობა ამოიღეს ხმარებიდან, ხოლო ბევრი ნაწარმოები გამოუქვეყნებელი დარჩა და მხოლოდ რამდენიმე ათეული წლის მერე მიაღწია მკითხველამდე.

ვიგოტსკის კონცეფციის ყველაზე გავრცელებული სახელწოდება *ფსიქიკის კულტურულ-ისტორიული თეორიაა*. ზოგჯერ მას უწოდებენ ადამიანის უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციების საზოგადოებრივ-ისტორიული წარმოშობის თეორიასაც. ამ შეხედულების ცენტრში მართლაც დგას საკითხი ადამიანის სპეციფიკური ფუნქციების წარმოქმნის შესახებ. ვიგოტსკის ემპირიული კვლევის მეთოდოლოგიაც ამ ფუნქციების ფორმირებას უკავშირდებოდა. ვიგოტსკი ცდილობდა, განეხილა ფსიქიკის განვითარება ყველა სახის გენეზისის (ონტოგენეზი, ფილოგენეზი, ანთროპოგენეზი) კუთხით. როგორც ვხედავთ, ეს ფსიქოლოგიური სისტემა თავისი არსით *გენეტიკურია*, ამიტომ სავსებით ლოგიკურია მისი დახასიათება ამ თავში.

ვიგოტსკის მიხედვით, ადამიანის ფსიქიკის ქვედა ფენას, რომელიც მის ცხოველურ წარმოშობაზე მიანიშნებს, შეადგენს ე.წ. *ნატურალური, დაბალი*, ანუ *უნებლიე პროცესები* (სენსომოტორული, მნემური და სხვ.). ადამიანისთვის სპეციფიკური, *უმაღლესი ფსიქიკური პროცესები* (ნებისმიერი ყურადღება, ნებისმიერი მეხსიერება, ლოგიკური აზროვნება და ა.შ.) მათგან არსებითად განსხვავდება. ამ განსხვავებას, პირველ ყოვლისა, უმაღლესი ფსიქიკური პროცესების (ფუნქციების) *გაცნობიერებულობა, ნებისმიერობა და გაშუალებულობა* განაპირობებს. ნატურალურ პროცესებს ადამიანი ვერ აკონტროლებს, ხოლო უმაღლესი ფსიქიკური პროცესები მისი ცნობიერების მართვას ექვემდებარება. რეგულაციის ამგვარი სახე მათი გაშუალებული ხასიათიდან გამომდინარეობს და ხორციელდება კაცობრიობის კულტურულ-ისტორიული განვითარების პროცესში შექმნილი *ნიშნების ან ნიშანთა სისტემის* მეშვეობით. ესენია: ენა, დამწერლობა, დათვლის სისტემა და სხვა. ნიშანი „აზროვნებისა და ყველა უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციის საშუალებად გვევლინება“ [8; 484]. ნიშნები ქმნიან დამატებით კავშირებს სტიმულსა და რეაქციას შორის (როგორც ქცევით, ისე გონებრივ სფეროში), რაც პროცესის დაუფლების, მისი შეგნებული გამოყენების

საფუძველია. ნატურალური, უშუალო ფსიქიკური პროცესები S-R სქემით გამოიხატება. უმაღლესი ფსიქიკური პროცესების სქემაში ამ ორ წევრს შორის მიმართება ნიშნით არის გაშუალებული.

თავდაპირველად, პრეისტორიულ ხანაში, ნიშნებს საგნობრივი ხასიათი ჰქონდა. მაგალითად, „მეხსიერების კვანძი" ძაფზე ან ჭდე ხეზე ნიშნის როლს ასრულებს. პრიმიტიული ადამიანი ხედავს ჭდეს და იხსენებს, რა უნდა გააკეთოს. ასეთი ნიშან-სიმბოლოები წარმოადგენენ უმაღლესი ფსიქიკური პროცესების გამშვებ მექანიზმებს, ანუ ასრულებენ „ფსიქოლოგიური იარაღის" ფუნქციას. კულტურული განვითარების პროცესში გაშუალების ფუნქცია სიტყვებმა (ენამ) იკისრა. როგორც მართლმორწმუნე მარქსისტი, ვიგოტსკი ამოდიოდა იქიდან, რომ შრომამ შექმნა ადამიანი. კოლექტიური შრომის პროცესში ინდივიდები ერთმანეთს აგებინებდნენ, თუ რა უნდა გაეკეთებინა თითოეულს სპეციალური ნიშნების გამოყენებით. შესაძლებელია, რომ პირველი სიტყვები იყო სიტყვა-ბრძანებები: „გააკეთე ეს", „აიღე ან წაიღე ეს" და ა.შ. იგივე ხდებოდა ნადირობის ან ბრძოლის პროცესშიც. ბგერათა გარკვეული კომპლექსის გაგონებაზე ადამიანი ასრულებდა შესაბამის ოპერაციას, მაგრამ შემდგომში მან დაიწყო ბრძანებების სხვაზე კი არა, საკუთარ თავზე მიმართვა. შედეგად, ბრძანებითი ფუნქციიდან აღმოცენდა შინაგანი მოქმედების მაორგანიზებელი ფუნქცია. მასშასადამე, კულტურულ-ისტორიული განვითარების პროცესში ადამიანმა თანდათან ისწავლა თავისი ქცევის მართვა. ამიტომაც ეწოდება ამ თეორიას კულტურულ-ისტორიული.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ანთროპოგენეზის პროცესის საწყის სტადიაზე ბრძანების მიმცემისა და შემსრულებლის ფუნქციები გაყოფილი იყო და მთელი ეს პროცესი, ვიგოტსკის თქმით, „ინტერფსიქოლოგიურ" ხასიათს ატარებდა. შემდგომში ამ ურთიერთობებმა საკუთარ თავთან ურთიერთობის, ე.ი. „ინტრაფსიქოლოგიური" ფორმა მიიღო. ამ გარეგანი პლანიდან შინაგანში გადასვლის პროცესს კულტურულ ისტორიულ თეორიაში *ინტერიორიზაცია* ეწოდება.

კულტურულ-ისტორიული თეორიის თანახმად, თანამედროვე ადამიანის ონტოგენეზში პრინციპულად იგივე პროცესი ხორციელდება. დასაწყისში უფროსი სიტყვით ზემოქმედებს ბავშვზე, რათა აიძულოს, გააკეთოს რამე; შემდეგ ბავშვი ურთიერთობის იმავე საშუალებას მიმართავს და სიტყვით ზემოქმედებს უფროსზე; ბოლო სტადიაზე ბავშვი თავის თავზე იწყებს ქცევის მართვის იმ საშუალებათა გამოყენებას, რომელთაც სხვები იყენებდნენ მის მიმართ, ხოლო იგი – მათ მიმართ. ამრიგად, ნიშნების შეთვისება უფროსებთან ურთიერთობის პროცესში ხდება. ამდენად, ნიშანი თავიდან გარეგან პლანში, ურთიერთობის პროცესში ჩნდება, ხოლო შემდგომ გადადის შინაგან, ცნობიერების პლანში: „ბავშვის კულტურული განვითარების ისტორიაში ყოველი ფუნქცია ორ პლანში იჩენს თავს – ჯერ სოციალურში, შემდგომ ფსიქიკურში; ჯერ ადამიანთა შორის, როგორც ინტერფსიქოლოგიური კატეგორია, ხოლო შემდეგ ბავშვის შინაგან სამყაროში, როგორც ინტრაფსიქოლოგიური კატეგორია" [10; 145]. ერთი სიტყვით, ხდება ნიშანთა ინტერიორიზაცია, რაც ბავშვის ფსიქიკის განვითარების ძირითადი მექანიზმია. ინტერიორიზაციის შედეგად ნატურალური

ფსიქიკური პროცესები მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდიან: გაშინაგანდებიან, „იკვეცებიან", ხდებიან ავტომატიზებული, გაცნობიერებული და ნებელობითი. თუ გაჩნდება დაბრკოლება აზროვნებასა და სხვა ფსიქიკურ პროცესებში, ყოველთვის შეიძლება „ექსტერიორიზაცია", ანუ შინაგან პლანში მოცემული ჩანაფიქრის გარეთ გამოტანა და მისი დაზუსტება გარეგან-საგნობრივ მოქმედებაში.

კულტურულ-ისტორიული თეორიის, როგორც მარქსისტული ფსიქოლოგიის ვარიანტის, ღერძული იდეა ისაა, რომ სოციალური გარემო ერთ-ერთი ფაქტორი კი არაა, არამედ განვითარების მთავარი მამოძრავებელი წყარო – ასეა როგორც ანთროპოგენეზში, ისე ონტოგენეზში. ეს უკანასკნელი ვიგოტსკის უშუალო კვლევის საგანი იყო. მან გამოყო ბავშვის განვითარების პერიოდები და თავის პერიოდიზაციას საფუძვლად დაუდო *სოციალური სიტუაციის* ცნება. ამით ხაზი გაესვა სოციალურ ურთიერთობათა გადამწყვეტ როლს ბავშვის განვითარებაში. ეს ურთიერთობები ცვალებადობენ ასაკის ცვლილების კვალდაკვალ და ქმნიან ყოველი ასაკისთვის სპეციფიკურ, სრულიად თავისებურ ურთიერთობათა ფორმას ბავშვსა და მის სოციალურ გარემოცვას შორის.

სოციალურობის კონტექსტში განიხილება, აგრეთვე, განვითარებისა და სწავლების მიმართების უმნიშვნელოვანესი საკითხი. ვინაიდან უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციების ფორმირების წყარო ურთიერთობა და სწავლებაა, კეთდება დასკვნა განვითარებაში სწავლების წამყვანი როლის შესახებ. როგორც უკვე ითქვა, ეს ნიშნავს, რომ სწავლება წინ უსწრებს განვითარებას. აქ ვიგოტსკის შემოაქვს ერთობ ნაყოფიერი ცნება და თეორიული კონსტრუქტი – *განვითარების უახლოესი ზონა*. ბავშვის ფსიქიკური განვითარება შეიძლება შემოწმდეს მის მიერ დამოუკიდებლად გადაწყვეტილი სატესტო მასალის/ამოცანების სირთულით/რაოდენობით ან იმ შედეგით, რომელსაც უფროსების დახმარებით აღწევს. პირველი აქტუალური განვითარების დონეს შეესაბამება, მეორე – პოტენციურს. ეს უკანასკნელი აჩვენებს განვითარების პერსპექტივას და სწორედ მასზე უნდა იყოს ორიენტირებული სწავლება – არა ბავშვის განვითარების გუშინდელ დღეზე, არამედ ხვალინდელზე.

ძნელი შესამჩნევი არ არის ამ კონცეფციის მსგავსება დიურკჰეიმის, ჟანეს და ფრანგული სკოლის სხვა წარმომადგენელთა თვალსაზრისთან. ვიგოტსკი კარგად იცნობდა მათ შეხედულებებს და, როგორც ჩანს, მათ გარკვეულ გავლენასაც განიცდიდა. მართლაც, ჟანეს *ფსიქოლოგიის ფუნდამენტური კანონი* ხომ იმას გულისხმობს, რომ განვითარების პროცესში ბავშვი საკუთარი თავის მიმართ იწყებს ქცევის იმ ფორმების გამოყენებას, რომლებიც თავდაპირველად მის მიმართ გამოიყენეს უფროსებმა. ბავშვი ითვისებს ქცევის სოციალურ ფორმებს და ინტერიორიზაციის გზით გადმოაქვს ისინი თავის თავში.

ვიგოტსკის თეორია არ გახდა რუსული საბჭოთა ფსიქოლოგიის ერთადერთი და წამყვანი კონცეფცია. მას დაუპირისპირდნენ *ქმედების თეორიის* წარმომადგენლები, როგორც სერგეი რუბინშტეინის (1889-1960), ისე ალექსეი ლეონტიევის (1903-1979) სკოლებიდან. უკიდურესად განზოგადებული სახით, კულტურულ-ისტორიული და ქმედების თეორიების განსხვავების დედააზრი შემდეგზე დაიყვანება: პირველში რე-

ალიზებულია ბიბლიაში მოცემული ფორმულა – „პირველად იყო სიტყვა", ხოლო მეორეში – ფორმულა, რომელიც, ჩვეულებრივ, გოეთეს მიეწერება – „პირველად იყო საქმე".

სინამდვილეში სიტყვა და საქმე სულაც არ უპირისპირდება ერთმანეთს, გენეტიკური თვალსაზრისით კი მჭიდრო ურთიერთკავშირშიც იმყოფება: ბავშვები, საზოგადოდ, ადამიანები, ენას ურთიერთობის პროცესში ითვისებენ, გარემოსთან გრძნობად-პრაქტიკული კონტაქტების საფუძველზე. ამ პროცესის კვალდაკვალ სიტყვა, მეტყველება, ენა სულ უფრო მეტ გავლენას ახდენს პრაქტიკულ, პერცეპტულ, სააზროვნო თუ სხვა სახის ქმედების შემდგომ განვითარებაზე და, საზოგადოდ, ადამიანის მთელ აქტივობაზე. ამავე დროს, ამოსავალი პრაქტიკული ქმედების პრიორიტეტი ყოველთვის ძალაში რჩება. ქმედების თეორიის დამცველნი ამტკიცებენ, რომ მათ სწორედ ასე ესმით საქმის ვითარება. ალტერნატიული, „არაქმედებითი" თვალსაზრისის მიხედვით (ვიგოტსკი), ადამიანისა და მისი ფსიქიკის განვითარების ძირითადი „მაწარმოებელი მიზეზი" არის ნიშანი, სიტყვა, სიმბოლო და ა.შ.

სხვადასხვა ფორმითა და ხარისხით ფსიქოლოგიაში ამ თვალსაზრისს ავითარებდნენ: კ. გოლშტაინი, ა. გელბი, გ. ჰედი, ე. კასირერი, ჟ. პიაჟე თავისი შემოქმედების დასაწყისში და ლ. ვიგოტსკი. ამ უკანასკნელის კონცეფცია სათანადო ანგარიშს არ უწევს იმას, რომ თვით მეტყველება ურთიერთობის პროცესში განხორციელებული, ამოსავალი სენსორულ-პრაქტიკული ქმედების საფუძველზე შეითვისება. მეტყველება ქმედებასთან ურთიერთკავშირში და მის კონტექსტში შეადგენს მოქმედ ძალას. ამის გარეშე ის იქცევა ადამიანის ფსიქიკური განვითარების თვითკმარ ფაქტორად. ქმედების თეორიის წარმომადგენელთა აზრით, მეტყველების ანალიზი კულტურულ-ისტორიული თეორიის პოზიციებიდან სწორედ ამ არასწორი მიმართულებით მიემართებოდა [7].

მთავარი მაინც ის არის, რომ ვიგოტსკის კონცეფცია, არსებითად, ფსიქიკური ფუნქციების თეორიად, ანუ ფსიქიკური პროცესების ფსიქოლოგიად რჩება. საქმე ისაა, რომ ფსიქიკის ყოველგვარი გარეგანი დეტერმინაცია, მათ შორის ნიშნებითაც, ყოველთვის შინაგანით, სუბიექტურით არის გაშუალებული. „სუბიექტი წარმოადგენს ყველა ფსიქიკური პროცესის, მდგომარეობისა და თვისების, ცნობიერებისა და არაცნობიერის განვითარების საერთო და ერთიან საფუძველს <...> ამდენად, სწორედ სუბიექტის მთლიანობაა ობიექტური საფუძველი მისი ყველა ფსიქიკური პროცესის, მდგომარეობისა თუ თვისების მთლიანობისა და სისტემურობისა [24; 203]. ვიგოტსკის თეორიული სისტემა, როგორც უზნაძე იტყოდა, რეალურად უსუბიექტო ფსიქოლოგიაა.

ეს შეფასება, არსებითად, მართებულია, თუმცა თავისი შემოქმედების ბოლო ეტაპზე ვიგოტსკი შეეცადა, თავის სისტემაში დაემკვიდრებინა პიროვნების ცნება, განსაკუთრებით ასაკობრივ კრიზისებზე მსჯელობისას. ასეა თუ ისე, უზნაძის სკოლაში კულტურულ-ისტორიული თეორია უფრო იმ პოზიციიდან ფასდებოდა, რომ ცნობიერების პროცესები ნიშნებით კი არა, სუბიექტის მთლიანობითი მდგომარეობით, განწყობით არიან გაშუალებული.

ლიტერატურა

1. იმედაძე ი., ფსიქოლოგიის ისტორია: ანტიკური ხანიდან ჩვენს დრომდე. მწიგნობარი, თბილისი, 2021.
2. საყვარელიძე მ., მასალები ბოდვის ფსიქოპათოლოგიისათვის. მეცნიერება, თბილისი, 1965.
3. უზნაძე დ., სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია / შრომები, ტ. 5. მეცნიერება, თბილისი, 1967.
4. Александер Ф., Селесник Ш., Человек и его душа: познание и врачевание от древности и до наших дней. Прогресс-Культура, М., 1995.
5. Анциферова Л. И., Психологическая концепция Пьера Жане / Вопросы психологии, 1979, 4. С. 172-184.
6. Брунер Дж., Процесс обучения. Изд-во АПН РСФСР, М., 1962.
7. Брушлинский А. В., С. Л. Рубинштейн – основоположник деятельностного подхода / С.Л. Рубинштейн - очерки, воспоминания, материалы. Наука, М., 1989.
8. Выготский Л. С., Педология подростка. Изд-во БЗО при педфаке 2-го МГУ, М.-Л., 1931.
9. Выготский Л. С., Мышление и речь / Собрание сочинений. Т. 2. Педагогика, М., 1982.
10. Выготский Л. С., История развития высших психических функций / Собрание сочинений. Т. 3. Педагогика, М., 1983.
11. Гамильтон Я. С., Что такое психология. Питер, СПб., 2002.
12. Жане П., Неврозы. Космос, М., 1911.
13. Жане П., Психологический автоматизм. Начало, М., 1913.
14. Жане П., Эволюция памяти и понятие времени / Хрестоматия по общей психологии. Психология памяти. Изд-во МГУ, М., 1979.
15. Жане П., Психологическая эволюция личности. Академ Проект, М., 2010.
16. Крайг Г., Психология развития. Питер, СПб, 2000.
17. Крейн У., Теории развития. Прайм-ЕВРОЗНАК, М., 2002.
18. Лоренцо О., Мачадо А. В защиту теории Пиаже: Ответ на десять пунктов критики / Жан Пиаже: теория, эксперименты, дискусси. Гардарики, М., 2001.
19. Майерс Д., Психология. Попурри, Минск, 2001.
20. Марцинковская Т. Д., История психологии. Академия, М., 2001.
21. Пиаже Ж., Избранные психологические труды. Просвещение, М., 1969.
22. Пиаже Ж., Теория Пиаже / История зарубежной психологии. Тексты. Изд-во Моск. ун-та, М., 1986.
23. Пиаже Ж., Комментарии к критическим замечаниям Л. Выготского / Речь и мышление ребенка. Педагогика-Пресс, М., 1999.
24. Психологическая наука в России XX столетия. Проблемы теории и истории. Изд-во ИП РАН, М., 1997.
25. Психология. Под ред. В. Н. Дружинина. Питер, СПб., 2000.
26. Рибо Т., Психология внимания. Изд. Ф. Павленкова, СПб., 1892.

27. Рибо Т., Память в ее нормальном и болезненном состояниях. Изд. В. И. Губинского, СПб, 1894.
28. Рибо Т., Психология чувств. Изд. Ф. Павленкова, СПб., 1898.
29. Рибо Т., Эволюция общих идей. Изд. Ф. Павленкова, СПб., 1898.
30. Роговин М. С., Введение в психологию. Высшая школа, М., 1969.
31. Росс Б., Наследие Жана Пиаже / Великие психологи. Феникс, Ростов-на-Дону, 2000.
32. Солсо Р., Л. Когнитивная психология. Питер, М., 1996.
33. Федунина Н. Ю., Пьер Жане. Жизнь и творчество. 2006. http://pierrejanet.narod.ru/ index. html
34. Флейвел Дж., Генетическая психология Жана Пиаже. Просвещение, М., 1967.
35. Фресс П., Развитие экспериментальной психологии / Экспериментальная психология. Под ред. П. Фресса, Ж. Пиаже. Т.1-2. Изд-во иностр. лит-ры, М., 1966.
36. Шульц Д. П., Шульц С. Э., История современной психологии. Евразия, СПб., 1998.
37. Barraud H. J., Freud et Janet: Etude Comparee. Privat, Toulouse, 1971.
38. Boring E. A., A history of experimental psychology. Appleton-Century-Crofts, New York, 1950.
39. Ellenberger H. F., The Discovery of the unconscious. The history and evolution of dynamic psychiatry. Basic Books, New York, 1970.
40. Ey H., Forces et faiblesses des concepts génétiques et énergétiques de la psychopathologie de Pierre Janet. / Bulletin de psychologie, 1960, 14 (184). P. 50-55.
41. Hesnard A., Un parallèle Janet-Freud / Bulletin de Psychologie, 1960, 14 (184). P. 69-73.
42. Janet P., Autobiography / C. C. Murchison (Ed.), A history of psychology in autobiography. Vol. I. Clark University Press, Worcester, Massachusetts, 1930.
43. Leahey T. H., A history of psychology: main currents in psychologycal thought. Printice Hall, New Jersey, 1992.
44. Piaget J., Autobiography / E. Boring, H. S. Langfeld, H. Werner, R. M. Yerkes (Eds.). A history of psychology in autobiography. Vol. 4. Clark University Press, Worcester, Massachusetts, 1952.
45. Piaget J., Six etudes de psychologie. Editions Gonthier, Geneve, 1964.

VIII თავი

ადაპტაციის, ინსტინქტისა და ევოლუციის ცნებებზე აგებული თეორიული სისტემები

სანამ ამერიკაში ბიჰევიორიზმი გაბატონდებოდა, იქაც, ისევე როგორც ყველგან, ცნობიერების ფსიქოლოგია იყო გავრცელებული. აშშ-ში მისი ყველაზე დიდი წარმომადგენლები იყვნენ **ედვარდ ტიტჩენერი** (1867-1927) და **უილიამ ჯეიმსი** (1842-1910). პირველი აქცენტს ცნობიერების სტრუქტურაზე აკეთებდა, მეორე – პროცესზე. პროცესუალური მიდგომა, თავის მხრივ, წარმოშობს საკითხს პროცესის დანიშნულების შესახებ. ამასთან დაკავშირებით, ჯეიმსი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ ცნობიერება ბიოლოგიური სარგებლიანობით ხასიათდება, რაც გასაგებს ხდის მის წარმოშობასა და განვითარებას. აქედან გამომდინარე, იმის გათვალისწინება, თუ რას აკეთებს ცნობიერება (ფუნქცია), შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანიც იყოს, ვიდრე იმის გარკვევა, თუ რისგან შედგება იგი (შინაარსი). ჯეიმსის მიხედვით, ცნობიერების მთავარი ფუნქციაა არჩევანი. ცნობიერება ყოველთვის მიმართულია გარკვეულ მიზანზე, რომელიც, საბოლოოდ, ემსახურება ორგანიზმის შეგუებას გარემო პირობებთან. მიზნის მიღწევის გზაზე ცნობიერება მუდმივი შეფასების პროცესშია, რაღაცას იწყნარებს ან უკუაგდებს, მოკლედ, არჩევანის ფუნქციას ახორციელებს [1]. ამ იდეების საფუძველზე ჩიკაგოსა და ნიუ-იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტებში ჩამოყალიბდა ძლიერი მიმდინარეობა *ფუნქციონალური ფსიქოლოგიის* სახით. პირველის (ჩიკაგოს სოკოლა) ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ: ჯ. დიუი და ჯ. ენჯელი, მეორის (კოლუმბიის სკოლა) – რ. ვუდვორთი.

ჯონ დიუი (1859-1952) თავის ანალიზს რეფლექსის ცნების განხილვით იწყებს. ფიზიოლოგიური რეფლექსი ერთმანეთს უთანხმებს სტიმულაციასთან დაკავშირებულ შეგრძნებას, საკუთრივ მოძრაობას და მისგან წამოსულ კინესთეტიკურ შეგრძნებას. ის ამ ელემენტების უბრალო ერთობლიობა კი არ არის, არამედ მთლიანი, კოორდინირებული სენსომოტორული აქტია, რომელიც მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურება. მით უფრო ითქმის ეს ფსიქიკურ მოქმედებაზე. აქ შინაგან (მოთხოვნილება) და გარეგან (გამღიზიანებელი) სტიმულაციასა და მოქმედებას შორის *ცნობიერება* ერთვება. ის აფასებს მოქმედების წარმატებულობას მოთხოვნილების დაკმაყოფილების, ე.ი. შეგუების კუთხით. თუ კოორდინაცია გარემოსა და მოქმედებას შორის დაირღვა, სუბიექტი იწყებს წარუმატებლობის მიზეზის გაცნობიერებას; მოძრაობა მუხრუჭდება და ყურადღება მიიმართება შემაფერხებელი ვითარების ამსახველ სტიმულებზე. ამგვარად, ქცევა და მასში მონაწილე ცნობიერება უნდა განიხილებოდეს ცოცხალი არსების *გარემოსთან შეგუების* თვალსაზრისით. ცნობიერი მოქმედების ფუნქცია ორგანიზმის *ადაპტაციაშია* და ფუნქციონალურმა ფსიქოლოგიამ სწორედ ეს რეალური პროცესი უნდა შეისწავლოს.

დიუის ანალიზი გაამდიდრა და გააფართოვა **ჯეიმს ენჯელმა** (1869-1949). იგი ფიქრობდა, რომ ფუნქციონალური ფსიქოლოგია არის *ცნობიერების სარგებლიანობის* ფსიქოლოგია, რომელშიც ცნობიერება გააზრებულია როგორც „შუამავალი გარემოსა და ორგანიზმის მოთხოვნილებებს შორის". ცნობიერების, ფსიქიკური პროცესების ფუნქციაა ახალი ვითარებებისადმი შეგუება, *შეგუებით მომსახურება*. შეიძლება ითქვას, რომ ფუნქციონალური ფსიქოლოგია სამი მნიშვნელობით არის „ფუნქციონალური": ერთი მხრივ, ის ფსიქიკური ფუნქციების, ოპერაციების ფსიქოლოგიაა. ამ გაგებით, ის აქტების ფსიქოლოგიაა და არა ცნობიერების შინაარსების ფსიქოლოგია; მეორე მხრივ, მას მხედველობაში აქვს ამ აქტების როლი, მათი დანიშნულება გარემოსთან ადაპტაციის კუთხით. მისთვის მთავარია, გაარკვიოს, თუ რა ფუნქციას ასრულებს ფსიქიკა. გარდა ამისა, ფსიქოლოგიის ეს მიმართულება ფუნქციონალურია თავისი საზოგადოებრივი მნიშვნელობის, თავისი სარგებლიანობის ასპექტით. ყოველივე ამისთვის ინტროსპექცია საკმარისი არ არის, აუცილებელია კვლევის *ობიექტური მეთოდების* გამოყენება. ამით გზა იხსნება ფსიქიკის ადაპტაციური ფუნქციის კვლევისკენ ცხოველებთან, ბავშვებთან, სულიერი გადახრების მქონე ინდივიდებთან, მოკლედ, ფსიქიკურის ყველა გამოვლინებაში.

ჩიკაგოს სკოლასთან ერთად, ფსიქოლოგიის ამ მიმართულებას მიეკუთვნება ე.წ. *კოლუმბიის სკოლაც,* რომელსაც ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ფსიქოლოგი **რობერტ ვუდვორთი** (1869-1962) ედგა სათავეში. ვუდვორთმა ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური განათლება მიიღო ჰარვარდისა და ნიუ-იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტებში, სადაც შემდგომში 55 წლის განმავლობაში ეწეოდა ნაყოფიერ კვლევით და პედაგოგიურ საქმიანობას.

ოციან წლებში ფუნქციონალური ფსიქოლოგია, ფაქტობრივად, წყვეტს არსებობას და ადგილს უთმობს ბიჰევიორიზმს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ამერიკული ფსიქოლოგიის წამყვან მიმდინარეობად დარჩება. მაგრამ ამ მიმდინარეობამ შესამჩნევი კვალი დაამჩნია, საზოგადოდ, მთელ თანამედროვე ფსიქოლოგიას, რამდენადაც ფსიქოლოგიის კლასიკური სისტემებისგან განსხვავებით, რომლებიც მეტწილად ფსიქიკის (ცნობიერების) სტრუქტურის ანალიზზე იყვნენ ფოკუსირებული, წინ წამოსწია ფსიქიკის უმნიშვნელოვანესი *ადაპტაციური ასპექტი.* აღსანიშნავია ისიც, რომ ფსიქიკის ანალიზი, მისი შეგუებითი ფუნქციის თვალსაზრისით, არა მხოლოდ თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც მნიშვნელოვანი იყო. ამით ამერიკულმა ფუნქციონალიზმმა ძლიერი ბიძგი მისცა გამოყენებითი ფსიქოლოგიის განვითარებას [1][22][27][33].

ამრიგად, ფუნქციონალიზმის გამორჩეული და ძირითადი მახასიათებელი ფსიქიკის, მისი დანიშნულების, სარგებლიანობის, ადაპტური ფუნქციის კუთხით განხილვაში მდგომარეობს. ეს იდეები ევროპაშიც იყო გავრცელებული. ევროპული ფუნქციონალიზმის გამოჩენილი წარმომადგენლებია: დ. უორდი, გ. სტაუტი (ინგლისი), თ. რიბო და ა. ბინე (საფრანგეთი). მათ შორის გამოსარჩევია ჟენევის უნივერსიტეტის პროფესორი **ედვარდ კლაპარედი** (1873-1940), რომელიც საგანგებოდ უსვამდა ხაზს ფუნქციონალური მიდგომის აუცილებლობას. 1901 წელს მან დააარსა ჟურნალი

„ფსიქოლოგიის არქივი“ (“Archives de Psychologie”), ხოლო 1912 წელს „რუსოს ინსტიტუტი“ – ექსპერიმენტული კვლევების საერთაშორისო ცენტრი ბავშვის ფსიქოლოგიის სფეროში; ასევე, სათავეში ჩაუდგა ფსიქოტექნიკის საერთაშორისო საზოგადოებას (1920). მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფსიქოლოგთა საერთაშორისო თანამშრომლობაში. წლების განმავლობაში იყო საერთაშორისო ფსიქოლოგიური კონგრესების ორგანიზაციის მდივანი.

კლაპარედის პირველი სერიოზული კვლევები გასული საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა. ფუნქციონალური ფსიქოლოგიის დებულებებს იგი გარდაცვალებამდე აქტიურად ავითარებდა და მრავალი მათგანი იმ მოსაზრებათა ორგანული ნაწილი გახდა, რომლებიც გამოთქმულია თანამედროვე ფსიქოლოგიაში, განსაკუთრებით ქცევის პრობლემატიკის სფეროში. ეს ერთნაირად ეხება ისეთ განსხვავებულ თეორიულ ორიენტაციებს, როგორებიცაა: ნეობიჰევიორიზმი, კოგნიტური ფსიქოლოგია, განწყობის ზოგადფსიქოლოგიური კონცეფცია, ქმედების თეორია და მოტივაციის სხვა თანამედროვე მოდელები. ეს სავსებით ბუნებრივია, ვინაიდან, როგორც თავად კლაპარედი შენიშნავდა, ფუნქციონალიზმი არ არის დამოუკიდებელი მნიშვნელობის ფსიქოლოგიური კონცეფცია, რომელიც უპირისპირდება სხვა თეორიებს. ის ქცევითი და მენტალური ფენომენების განხილვის ერთგვარი ხერხია, რომელსაც მრავალი განსხვავებული ფსიქოლოგიური სკოლის წარმომადგენელი მიმართავს. ესაა ფსიქიკური ფენომენების განხილვა იმის მიხედვით, თუ რა როლს ასრულებენ ისინი ცხოვრებაში, რა სარგებლობა მოაქვთ ინდივიდისა და გვარისთვის. ფუნქციონალური ფსიქოლოგია ფსიქიკურ მოვლენებს განიხილავს მოთხოვნილებებთან მიმართებით.

კლაპარედმა კარგად აითვისა თანამედროვე ფსიქოლოგიის გაკვეთილები. მისი ფუნქციონალური ფსიქოლოგია უკვე აღარ არის წმინდად ცნობიერების ფსიქოლოგია (ისე, როგორც ჩიკაგოს სკოლაში იყო მოცემული). ფსიქოლოგიის ცენტრალური პრობლემა *ქცევის პრობლემაა*, ხოლო ცნობიერი ფსიქიკური პროცესები მენტალური აქტივობის მხოლოდ ცალკეული სახეობებიაო, ამბობდა იგი. ყოველგვარი ქცევის მსგავსად, „მენტალური აქტივობა სხვა არაფერია, თუ არა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისთვის განხორციელებული ღონისძიებების სერია“ [30; 6].

როგორც ვხედავთ, მოთხოვნილების ცნებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ეს ლოგიკურად გამომდინარეობს კლაპარედის შემდგომი დებულებიდან: ფსიქოლოგია ბიოლოგიის ნაწილია, ამ უკანასკნელის მთავარი პრობლემა კი ადაპტაციის პრობლემაა. ქცევა (რომელსაც ფსიქოლოგია შეისწავლის) *ადაპტაციის* ერთგვარი სახეა, ადაპტაცია კი, საზოგადოდ, ნიშნავს წონასწორობის დარღვევის თავიდან აცილებისთვის საჭირო ქმედების განხორციელებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადაპტაცია (ქცევა) მოთხოვნილების დაკმაყოფილებაა, ხოლო მენტალური აქტივობა მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე მიმართულ მოქმედებათა ერთობლიობა. ამ გაგებით, ყოველგვარი ფსიქოლოგიური კონცეფცია, რომელიც აქცენტს აკეთებს ფსიქიკური აქტივობის შეგუებით ხასიათსა და ქცევის მიზანშეწონილებაზე, ფუნქციონალური ფსიქოლოგიის სახეობად გვევლინება. ეს უკანასკნელი მათი ერთგვარი გამაერთიანებელიც შეიძლება იყოს, რაც უთუოდ ესაჭიროება ფსიქოლოგიას. ამასთან

დაკავშირებით ავტორი გულისტკივილით შენიშნავს, რომ მრავალი ფსიქოლოგიური სისტემის არსებობა ფსიქოლოგიის სერიოზულ ჩამორჩენილობაზე მეტყველებს. „არ არსებობს მრავალი ფიზიკა, არც მრავალი ქიმია, ასევე უნდა გექონდეს მხოლოდ ერთი ფსიქოლოგია“ [30; 8], ამბობს იგი.

როგორც ეხედავთ – კლაპარედი ქცევას და ფსიქიკურ ფენომენებს მენტალური აქტივობის სახეებად მიიჩნევს და მოთხოვნილებებთან მიმართებით განიხილავს. ამასთან, ქცევის რეგულაციის მექანიზმის დახასიათებისას იგი არც გარემოს მონაცემებს ტოვებს უყურადღებოდ. ავტორი სვამს საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ ახერხებს ცოცხალი არსება მრავალი შესაძლო რეაქციიდან შესაფერისის მონახვას. ეს, არსებითად, ქცევის *მიზანშეწონილების საკითხია,* რომელიც განიხილება არა ცნობიერების ან ნებელობის, არამედ მექანიკური, არაცნობიერი, შეიძლება ითქვას, იმპულსური მოქმედების პლანში. ყოველ მომენტში საჭირო ქცევის სელექციას ორი ფაქტორი განაპირობებს: დასაკმაყოფილებელი მოთხოვნილება და დაკმაყოფილების შესაძლებლობის მქონე საგანი. ორგანიზმისთვის შესაფერისი რეაქციის არჩევანს აკეთებს არა რაღაც საიდუმლო ძალა (როგორც ამას, ვთქვათ, ვიტალისტები ფიქრობენ), არამედ მოთხოვნილებისა და საგნის კომბინაცია, მათი ტოლქმედი. კლაპარედი ცდილობს, აღწეროს ის ფსიქოფიზიოლოგიური მექანიზმი, რომლის საშუალებითაც მხოლოდ აქტუალური მოთხოვნილების შესატყვისი გამღიზიანებელი იძენს ქცევის გამოწვევის, მისი აღძვრის უნარს.

წარმოვიდგინოთ, წერს ავტორი, ორგანიზმში დიდი რეზერვუარი, რომელიც სათანადო ძალით უზრუნველყოფს საჭირო რეაქციებს. იგი აღჭურვილია ონკანების სისტემით; მათი გახსნა იწვევს შესაბამისი ენერგიის გადადინებას სპეციალური რეაქციის მკვებავ მილებში. ყოველი ონკანი აღჭურვილია საკეტით, რომლის გასაღებს სათანადო გამღიზიანებლები წარმოადგენენ. მიზანშეწონილების მექანიზმი უნდა უზრუნველყოფდეს, რომ ონკანი მხოლოდ მაშინ იღებოდეს, როცა მისი შესატყვისი რეაქცია სასარგებლოა. ამისათვის ყოველი ონკანის გახსნა დამოკიდებული უნდა იყოს არა მარტო გამღიზიანებელზე, არამედ აქტუალურ მოთხოვნილებაზეც. ამგვარი ორმაგი დამოკიდებულების განხორციელება დამატებით მოწყობილობას გულისხმობს, რომლის მოდელი შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: ყოველ საკეტს აქვს გასაღების ჭუჭრუტანა, მისი ფორმა ვარიირებს ორგანიზმის მოთხოვნილებათა მიხედვით და იღება მხოლოდ ჭუჭრუტანის ფორმის შესატყვისი გასაღებით (ანუ იმ გამღიზიანებლით, რომელიც პასუხობს აქტუალურ მოთხოვნლებას). ამ მექანიზმის წყალობით სასარგებლო რეაქციების ენერგიით მომარაგების პროცესში ისეთი გამღიზიანებლის ჩართვა ხდება, რომელიც შეესაბამება მომენტის უძლიერეს ინტერესს [29; 514]. ძნელი შესამჩნევი არ არის, თუ როგორ წააგავს აღწერილი მექანიზმი კონრად ლორენცის მოტივაციის ჰიდრავლიკურ მოდელს, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.

კლაპარედი ფიქრობს, რომ ფუნქციონალური თვალსაზრისი ბევრი მხრივ არის სასარგებლო ფსიქოლოგიისთვის. ჯერ ერთი, იგი საშუალებას იძლევა, უფრო სრულყოფილად აღიწეროს და გაიმიჯნოს ფსიქიკური მოვლენები. ამ მხრივ მისი მიდგო-

მა განსხვავდება სტრუქტურული ფსიქოლოგიის მიდგომისგან. ამ განსხვავების ნათელსაყოფად კლაპარედი მიმართავს რაიმე პრეპარატის მიკროსკოპით შესწავლის ანალოგიას – მიკროსკოპი ძლიერი გადიდებით სტრუქტურაში შეღწევის შესაძლებლობას იძლევა, მაგრამ ის ვერ დაგვანახვებს, თუ რა ადგილს იკავებს პრეპარატის თითოეული ნაწილი მთელში. ფეხს და ხელს მიკროსკოპის ქვეშ ვერ გაარჩევ, რადგან ორივე ერთსა და იმავე კუნთურ და ძვლოვან ქსოვილებს შეიცავს.

ანალოგიური რამ ხდება ფსიქოლოგიური გამოკვლევის დროსაც. სტრუქტურული თვალსაზრისით, ფაქტობრივად შეუძლებელია, ვთქვათ, აზროვნებისა და ნებისყოფის გამიჯვნა – თითოეულ მათგანში ვნახულობთ წარმოდგენებს, აზრებს, ტენდენციებს, აფექტებს და სხვა. ფუნქციონალური კუთხით მათი განხილვა ნიშნავს იმის გარკვევას, თუ რა როლი აკისრია ამ ფენომენებს, რა გარემოში განიცდებიან ისინი და რა სიტუაცია წარმოშობს მათ. თუ აზროვნებასა და ნებელობას ასე გავაანალიზებთ, ადვილად დავადგენთ, რომ ისინი ქცევის *დეზადაპტაციით* გამოწვეული მოვლენებია. მაგრამ ქცევის შეფერხებამ შეიძლება გამოიწვიოს აზროვნებაც და ნებელობითი აქტიც. მათ გასარჩევად საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა ვითარებამ გამოიწვია დეზადაპტაცია. პრობლემა შეიძლება იყოს ქცევის *მიზნის არჩევა* ან *ქცევის საშუალებების* დადგენა. შესაბამისად, ნებისყოფა განისაზღვრება როგორც პროცესი, რომლის ფუნქციაა მიზნის პრობლემის გადაწყვეტა, ხოლო აზროვნება – როგორც პროცესი, რომლის ფუნქციაა საშუალებების პრობლემის გადაწყვეტა. ფუნქციონალური დეფინიცია, ცხადია, არ ეხება ფსიქიკური პროცესების სტრუქტურას, მათ ფორმებს და ა.შ., მაგრამ ფენომენის ზუსტი აღწერისა და გამოკვეთის გზით, იგი სტრუქტურის უფრო ადეკვატური ანალიზის საშუალებას იძლევა.

გარდა ამისა, ფუნქციონალური თვალსაზრისი ქმნის იმის შესაძლებლობასაც, რომ დადგინდეს ქცევის ზოგადი კანონები. კლაპარედი თორმეტ ასეთ კანონს გამოყოფს. მათ შორისაა: *მოთხოვნილების კანონი* – ყოველი მოთხოვნილება მიისწრაფვის მისი დაკმაყოფილების შესაბამისი რეაქციის გამოწვევისკენ. *მენტალური ცხოვრების განვითარების კანონი* – მენტალური ცხოვრების განვითარება პროპორციულია იმ დაშორების ოდენობისა, რომელიც არსებობს მოთხოვნილებასა და მისი დაკმაყოფილების საშუალებებს შორის. მართლაც, თუ ისინი ერთმანეთისგან დაშორებული არ არიან, თუ მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი ფაქტორი იოლი მისაწვდომია, მაშინ მენტალური აქტივობა ზედმეტი ხდება და არც ხორციელდება.

ამ კანონის განზოგადებაა კლაპარედის მიერ ფორმულირებული *გაცნობიერების კანონი.* ამ კანონის თანახმად, ცნობიერება ჩნდება მაშინ, როდესაც ინდივიდის ადაპტაცია აღარ მიმდინარეობს ავტომატურად (არაცნობიერად), როდესაც თავს იჩენს რაიმე სირთულე და ინდივიდი იძულებული ხდება, გაითვალისწინოს ქცევის სუბიექტური და ობიექტური გარემოებანი – მაშინ აღმოცენდება სპეციალური პროცესი, რომელიც ხასიათდება „ცნობიერების უეცარი ამოხეთქით“[1].

[1] სხვათა შორის, კლაპარედი სპეციალურად მიუთითებს, რომ ეს იდეა უფრო ადრე გამოთქვა ვილიამ შტერნმა, როდესაც ლაპარაკობდა გარემოსა და პიროვნების კონვერგენციის პროცესის შეფერხებაზე, კონფლიქტზე. ცნობიერება პიროვნების სამყაროსთან

შემდეგი კანონია *განჭერეტის კანონი.* მის მიხედვით, ყველა მოთხოვნილება, რომლის ბუნება ისეთია, რომ უმალ არ შეიძლება დაკმაყოფილდეს, ჩნდება ნინასწარ. შიმშილის განცდა ბევრად უფრო ადრე იჩენს თავს, ვიდრე ორგანიზმი სიკვდილის პირას მივა გამოფიტვის გამო. ამ შემთხვევაში მოთხოვნილების განცდა აქტივობის სიგნალის ფუნქციას ასრულებს. *სუბსტიტუციის კანონი* – როდესაც რაიმე მიზანი არ მიიღწევა გარკვეული ტექნიკის გამოყენებით (გარკვეული მოქმედებით, ოპერაციით), მას ჩაენაცვლება სხვა ტექნიკა, რომელიც იმავე მიზანს ემსახურება. *მენტალური ინტერესის კანონი* – ყოველ მომენტში ორგანიზმი მიჰყვება თავისი ყველაზე დიდი ინტერესის ხაზს. ეს კანონი, ფაქტობრივად, გამოხატავს იმ გარემოებას, რომ მოთხოვნილებების სფეროში საკმაოდ მკაცრი ურთიერთდაქვემდებარება და იერარქია არსებობს. კლაპარედს მოჰყავს მაგალითი, როცა თავისუფლების მოთხოვნილება ახშობს კვების მოთხოვნილებას. როდესაც მისი ძაღლი დაბმული იყო, ის ჯაჭვის გაწყვეტას ცდილობდა და საკვებს არ იღებდა. მაგრამ, საკმარისი იყო აეშვათ, რომ ბაღში რამდენიმე ნახტომის მერე იგი უბრუნდებოდა საკვებს და ხარბად შეექცეოდა მას. თავისუფლების მოთხოვნილების დაკმაყოფილებამ თითქოს გამოათავისუფლა ველი ჭამის მოთხოვნილებისათვის. დ. კაცის ცდებში ქათმები მაშინვე წყვეტდნენ ჭამას, როგორც კი მათთან გალიაში ზღვის ღორს უშვებდნენ. ამ შემთხვევაში უსაფრთხოების ინტერესი, თავდაცვის მოთხოვნილება თრგუნავს კვებით ქცევას და სათანადო მოთხოვნილებას. ეს დაკვირვებები, ერთი შეხედვით, ნაკლებად ეთანხმებიან ა. მასლოუს ცნობილ მოთხოვნილებათა იერარქიის მოდელს (იხ. X თავი). როგორც ითქვა, კლაპარედს სხვა კანონებიც აქვს ფორმულირებული. მათზე აქ აღარ შევჩერდებით; მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ მათი უმეტესობა სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს, რამდენადაც, ძირითადად, შეესაბამება, როგორც ყოფითი დაკვირვების, ისე ემპირიული კვლევის მონაცემებს.

კლაპარედი აღნიშნავდა, რომ ფუნქციონალური მიდგომა *გენე ზისის* პრობლემას სვამს და, გარდა ამისა, მნიშვნელოვან სტიმულს წარმოშობს ფსიქოლოგიის პრაქტიკული გამოყენებისთვის. კლაპარედი თვითონ იყო გენეტიკური (ბავშვისა და პედაგოგიკური) ფსიქოლოგიის თვალსაჩინო სპეციალისტი და განვითარების პრობლემატიკის კვლევის ორგანიზატორი [1].

ფუნქციონალური მიმდინარეობა აღარ არის წმინდა ცნობიერების კლასიკური ფსიქოლოგია. ის უკვე თანამედროვე ფსიქოლოგიად უნდა მივიჩნიოთ, რამდენადაც განიხილავს ზოგადად *შეგუებით აქტივობას,* ქცევას, რომელსაც ფსიქიკური პროცესები ემსახურება. თავის მხრივ, ქცევის ანალიზი განუყოფელია მოტივაციური

კონფლიქტის მანიშნებელია, მისი პროდუქტი და დაძლევის საშუალებაა – ამბობს შტერნი (იხ. IX თავი). ცნობიერების აქტუალიზაციის მსგავს ფუნქციონალურ გაგებას სხვა ავტორებთანაც ვხვდებით. ასე მაგალითად, ვიემენი კონფლიქტს განიხილავს, როგორც „მენტალობის სტიმულს“, ხოლო ფუნქციონალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი დიუი საუკუნეების მიჯნაზე ამბობდა: იქ, სადაც მხოლოდ ისეთი საგნებია, რომლებიც ინდივიდის წინაშე არავითარ პრობლემას არ აყენებენ, ცნობიერებაც არ ფუნქციონირებსო. აღსანიშნავია, რომ ცნობიერების აღმოცენების და ფუნქციონირების მსგავს გააზრებას უშუალოდ ეხმიანება გამოჩენილი ქართველი ფსიქოლოგის, უზნაძის *ობიექტივაციის თეორია* (იხ. XII თავი).

სფეროს ანალიზისგან. ამიტომ ფუნქციონალურ ფსიქოლოგიას აინტერესებს მოტივაციის საკითხი (ვუდვორთი, კლაპარედი). ე.წ. „ჰორმული ფსიქოლოგიის" ავტორის, უ. მაკ-დაუგოლის შემოქმედებაში კი ქცევასა და მის მოტივაციასთან დაკავშირებული პრობლემატიკა გაცილებით დიდ ადგილს იკავებს.

ჰორმული ფსიქოლოგია ინსტინქტთეორიის სახესხვაობაა, რომელიც შექმნა გამოჩენილმა ინგლისელ-ამერიკელმა ფსიქოლოგმა **უილიამ მაკ-დაუგოლმა** (1871-1938). ჩამოყალიბებული სახით ეს ზოგადფსიქოლოგიური სისტემა გადმოცემულია წიგნში – „ფსიქოლოგია: ქცევის შესწავლა" (1912). მანამდე, 1908 წელს გამოიცა მაკ-დაუგოლის წიგნი „შესავალი სოციალურ ფსიქოლოგიაში", რომელიც სოციალური ფსიქოლოგიის საწყის პუნქტად არის მიჩნეული. ეს საეტაპო ნაშრომები ავტორის ლონდონისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებში მოღვაწეობის პერიოდს განეკუთვნება. 1920 წელს მაკ-დაუგოლი გადასახლდა აშშ-ში და შეცვალა ჰიუგო მიუნსტენბერგი ჰარვარდში. შვიდი წლის შემდეგ ჩაუდგა სათავეში ფსიქოლოგიის ფაკულტეტს დიუკის უნივერსიტეტში, ჩრდილოეთ კაროლინაში. წიგნში – „ჯგუფური ფსიქოლოგია" – განიხილა ინდივიდუალური ფსიქიკა ნაციონალურ-კულტურულ ჭრილში.

მაკ-დაუგოლი ფსიქოლოგიის ამოცანას ხედავს ქცევის შესწავლაში, რათა შესაძლებელი გახდეს მისი რეგულირება და ცვალებადი გარემოებებისადმი შეგუება. ქცევის აღძრასა და წარმართვას უზრუნველყოფს სპეციალური ფსიქიკური სისტემა ან *მექანიზმი,* რომლის სტრუქტურა და ფუნქცია ფსიქოლოგიამ უნდა გამოიკვლიოს. მასში გამოიყოფა ორი ასპექტი: *მოტივაციური და საშემსრულებლო,* ან სხვაგვარად, *ენერგეტიკული და შემეცნებითი.* ამ მექანიზმის ბუნების გასარკვევად მაკ-დაუგოლმა მიმართა *ინსტინქტის* ცნებას, რომელიც, ევოლუციური იდეების გავლენით, არცთუ იშვიათად გამოიყენებოდა ქცევის დახასიათებისას. ჯეიმსი, მაგალითად, ინსტინქტში დაუსწავლელი (თანდაყოლილი) მოქმედების საშუალებით გარკვეული სასარგებლო შედეგის მიღწევის უნარს ხედავდა. თუ ჯეიმისისთვის ინსტინქტი ქცევის ერთ-ერთი მექანიზმია, მაკ-დაუგოლთან ის ყოველგვარი აქტივობის ძირეული ამხსნელი პრინციპის სახეს იღებს. ინსტინქტში მოცემულია ყველაფერი, რაც ქცევას ესაჭიროება. პირველ ყოვლისა, ეს არის ენერგეტიკა, იმპულსი, მისი ტერმინოლოგიით – „ჰორმე" (ბერძნული სიტყვიდან – Horme, რაც გარკვეული მიზნისკენ მისწრაფებას ნიშნავს). მიზნისკენ სწრაფვა ცოცხალის ფუნდამენტური ნიშანია და ერთნაირად ახასიათებს ცხოველისა და ადამიანის ქცევას. ის არის ორგანიზმის ბუნებაში ჩანერგილი თანდაყოლილი სასიცოცხლო ანუ *ვიტალური ენერგიის* გამოხატულება, რომელიც ინსტინქტში რეალიზდება. ყოველი ქცევა, ავტორის აზრით, ტელეოლოგიურია, მიზანმიმართულია, ორიენტირებულია დასახული მიზნობრივი მდგომარეობის მისაღწევად. აქედან გამომდინარე, თავის თეორიულ სისტემას უწოდებს *ჰორმულსა და ტელეოლოგიურს.*

ჰორმული ენერგიის „მარაგი", ისევე როგორც მისი განაწილებისა და „განმუხტვის" გზები, მოცემულია ინსტინქტში. ამიტომ ეს უკანასკნელი გააზრებულია რთული წარმონაქმნის სახით, რომელიც სამ, ერთმანეთის მიმყოლ პროცესს მოიცავს: 1) სელექციურ აღქმას, რომელიც გამომდინარეობს ორგანიზმის სპეციფიკური

მდგომარეობიდან, მიდრეკილების მაგვარად (მაგალითად, საკვები ობიექტების უფრო ადვილი აღმოჩენა შიმშილის დროს); 2) შესაბამის ემოციურ იმპულსს (ინსტინქტის ბირთვი); 3) მიზნის მიღწევაზე მიმართულ საშემსრულებლო აქტივობას (მაგალითად, გაქცევა შიშის დროს). სხვა სიტყვებით: „ინსტინქტური ქცევის ყოველი ნიმუში მოიცავს ცოდნას რაიმეს შესახებ (ობიექტი), მისადმი დამოკიდებულებას და მისკენ მისწრაფებას ან მისგან განრიდებას"[ციტირებულია ჰეკჰაუზენიდან – 21; 123]. ამგვარად, ინსტინქტს, როგორც ქცევისადმი მიდრეკილებას, დისპოზიციას აქვს *ემოციურ-მოტივაციური, კოგნიტური და მოტორული* ასპექტები. ამა თუ იმ ინსტინქტის კოგნიტური და მოტორული კომპონენტი შეიძლება ცვალებადობდეს ცხოვრებისეული გამოცდილების მიხედვით, მაგრამ ემოციურ-მოტივაციური ბირთვი ყოველთვის უცვლელი რჩება. ამიტომ ყველა ინსტინქტს შეესაბამება თავისი ემოცია, რომელიც მასთან განუყრელ ერთიანობას ქმნის.

თავდაპირველად მაკ-დაუგოლმა გამოყო ადამიანის ინსტინქტ-ემოციის 12 წყვილი: 1) ბრძოლის ინსტინქტი (ბრაზი); 2) გაქცევის ინსტინქტი (შიში და თვითშენახვის გრძნობა); 3) გვარის გაგრძელების ინსტინქტი (სქესობრივი გრძნობა, ეჭვიანობა და ქალური სიმორცხვე); 4) კვებითი ინსტინქტი (შიმშილი); 5) მშობლიური ინსტინქტი (სინაზე); 6) ცნობისმოყვარეობის ინსტინქტი (გაკვირვება); 7) ჯოგური ინსტინქტი (მიკუთვნებულობის გრძნობა); 8) მიუღებლობის ინსტინქტი (ზიზღი); 9) მოპოვების ინსტინქტი (საკუთრების გრძნობა); 10) შენების ინსტინქტი (შემოქმედების გრძნობა); 11) თვითდამკვიდრების ინსტინქტი (აღმაფრენა); 12) თვითდამცირების ინსტინქტი (უხერხულობის გრძნობა).

ინსტინქტის ცნება ერთგვარ უხერხულობას უქმნიდა თავად მაკ-დაუგოლს, ვინაიდან მისი შეხედულების ისეთი წაკითხვის საშუალებას იძლეოდა, თითქოს ქცევა ყოველთვის და მხოლოდ თანდაყოლილი ემოციურ-მოტივაციური დისპოზიციებით არის განსაზღვრული. ამიტომ გვიანდელ ნაშრომებში, ქცევის ემოციურ-მოტივაციური საფუძვლის აღსანიშნავად, მან გამოიყენა ტერმინი *მიდრეკილება*. თავისი არსით ის შეესაბამება *პოტენციურ მოთხოვნილებას*, ანუ ისეთ დისპოზიციას, რომელიც აქტუალიზაციის შემთხვევაში *ტენდენციის, მისწრაფების ან ლტოლვის* სახით ვლინდება. საბოლოოდ, მაკ-დაუგოლმა გამოყო 18 მიდრეკილება: 1) საკვების მოპოვება, საკვების ძიება და შენახვა; 2) ზიზღი, მავნე ნივთიერებებისგან განრიდება; 3) სექსუალობა, არშიყობა და საქორწინო ურთიერთობა; 4) შიში, გაქცევა ან დამალვა სახიფათო და ტკივილის მომგვრელი ზემოქმედებისგან; 5) ცნობისმოყვარეობა, უცნობი ადგილებისა და საგნების გამოკვლევა; 6) მფარველობა და მშობლიური ზრუნვა, პატარების გამოკვება და დაცვა; 7) ურთიერთობა, თანასწორებს შორის ყოფნა და კონტაქტის ძიება; 8) თვითდამკვიდრება, დომინირება და ლიდერობა, თავის გამოჩენა; 9) დაქვემდებარებულობა, დათმობა, მორჩილება ძლიერისადმი; 10) რისხვა. გაბრაზება და ძალისმიერი მოცილება იმისა, რაც სხვა მიდრეკილებებს აბრკოლებს; 11) დახმარების მოხმობა, აქტიური მოწოდება საშველად, როცა ჩვენი ძალისხმევა წარუმატებლად მთავრდება; 12) შექმნა, თავშესაფრისა და შრომის იარაღის კეთება; 13) მომპოვებლობა, ყოველივე იმის მოპოვება, ფლობა და დაცვა, რაც სასარგებლოა

და მიმზიდველი; 14) სიცილი, სხვა ადამიანების ნაკლოვანებებისა და წარუმატებლობის დაცინვა; 15) კომფორტი, დისკომფორტის მოხსნა ან არიდება; 16) დასვენება და ძილი, უძრაობისკენ, განტვირთვისა და ძილისკენ მიდრეკილება დაღლილობის დროს; 17) მაწანწალობა, გადაადგილება ახალ შთაბეჭდილებათა ძიებაში; 18) პრიმიტიულ მიდრეკილებათა ჯგუფი, რომლებიც ემსახურებიან სხეულებრივ პროცესებს, ისეთებს, როგორებიცაა: ხველა, ცემინება, სუნთქვა, დეფეკაცია და ა.შ.

რაც შეეხება ქცევის საშემსრულებლო ასპექტს, მის აღსანიშნავად მაკ-დაუგოლმა გამოიყენა ტერმინი *უნარი*. შესაბამისად, გამოიყო *შემეცნებითი და მოტორული* უნარები, თუმცა ეს დაყოფა ერთგვარად პირობითია, რადგან, მაკ-დაუგოლის აზრით, ყოველ შემეცნებით უნარს აქვს ბუნებრივი გამოხატულება გარკვეული რეაქციების სახით, ხოლო ყოველი სამოძრაო უნარის საორიენტაციო ნაწილში ჩართულია გრძნობადი შთაბეჭდილებები და კოგნიტური სტრუქტურები.

შესაბამისად, დაკონკრეტდა ინსტინქტის ცნებაც. ის აღნიშნავს მხოლოდ თანდაყოლილ, ფიქსირებულ კავშირს ერთ-ერთ მიდრეკილებასა და შესაბამის უნარს შორის. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ცხოველებშიც კი ეს კავშირი სხვადასხვა დიაპაზონში ცვალებადობს გარემო პირობების გავლენით. ქცევის ინსტინქტური, თანდაყოლილი საწყისი ფატალურად არ განსაზღვრავს ქცევას და ადგილს უტოვებს ადაპტაციურ პროცესს, რაც მიდრეკილებისა და უნარის ახალი კავშირების შეძენით გამოიხატება. ამაში ჩანს ფსიქიკური ცხოვრების განვითარების უმთავრესი პრინციპი. ცხოველისაგან განსხვავებით, ადამიანთან კავშირი მიდრეკილებასა და უნარს შორის, ჩვეულებრივ, არ არის ფიქსირებული – ერთი მიდრეკილება უკავშირდება სხვადასხვა უნარს, და პირიქით, ერთი უნარი ემსახურება განსხვავებულ მიდრეკილებებს. როგორც მიდრეკილებები, ისე უნარები შეიძლება გაერთიანდნენ მეტ-ნაკლებად ფართო კომპლექსებში ან სისტემებში. გართულების კიდევ ერთი ხაზი ისაა, რომ განვითარების უმაღლეს დონეზე, მიდრეკილებათა საფუძველზე, აღმოცენდება სპეციფიკურად ადამიანური ემოციურ-მოტივაციური წარმონაქმნები – *მოტივები და განზრახვები*. მათი აღმოცენება და ფუნქციონირება ცნობიერების პლანში მიმდინარეობს.

ყოველ მიდრეკილებაში (მისწრაფებაში) „ჩაწერილია" ობიექტები, რომლებზეც ის არის მიმართული. ამ ობიექტების დანაკლისი უარყოფით გრძნობას იწვევს, ხოლო მათი მოპოვება – დადებითს. აქედან გამომდინარე, მაკ-დაუგოლი თვლის, რომ შეიძლება ვილაპარაკოთ გრძნობის ორ პირველად და ძირეულ ფორმაზე, ესენია: *სიამოვნება-უსიამოვნება ან კმაყოფილება-უკმაყოფილება*. ეს გრძნობები, ასე თუ ისე, ყველა მისწრაფებას ერთვიან და მათი რეალიზაციის წარმატება-წარუმატებლობაზე მიანიშნებენ.

ორგანიზმის შემეცნებითი ფუნქციების განვითარების კვალდაკვალ ეს გრძნობებიც ვითარდება. ამას განაპირობებს ის გარემოება, რომ შემეცნება ერთდროულად სწვდება ობიექტებისა და სიტუაციების სხვადასხვა ასპექტს და, ამასთანავე, განჭვრეტს შესაძლო ემოციურ მდგომარეობას. ეს ქმნის რამდენიმე მისწრაფების ერთდროული აქტუალიზაციის საშუალებას და, ასევე, ფაქტობრივი და განჭვრეტილი

წარმატება-წარუმატებლობის გაერთიანების შესაძლებლობას. შედეგად, კოგნიტურად საკმარისად განვითარებულ ცოცხალ ორგანიზმს არა მხოლოდ უბრალო სიამოვნება-უსიამოვნების, არამედ ისეთი გრძნობებიც უვითარდება, რომლებშიც გაერთიანებულია დადებითი და უარყოფითი რომელობა. წარმოიქმნება *რთული გრძნობები:* სევდა, შფოთვა, მონანიება და სხვ. განვითარების პროცესში ისინი ერთიანდებიან კიდევ უფრო რთულ *ემოციურ მდგომარეობებში:* ადამიანი განიცდის ტკბილ სევდას, ტანჯვით შეფერილ სიხარულს, იმედისა და შფოთვის უცნაურ შეხამებას.

ყველა ამ შემთხვევაში ძალაში რჩება გრძნობის სპეციფიკური ნიშანი – ის წარმოიქმნება იმის მიხედვით, თუ რამდენად წარმატებით ან წარუმატებლად ხორციელდება მისწრაფება. გრძნობა მიზანზე მიმართული აქტივობის პროცესის ან შედეგის თანმხლებია. მაკ-დაუგოლი ფიქრობს, რომ ასეთი *გრძნობები* უნდა განვასხვავოთ საკუთრივ *ემოციებისგან.* მეცნიერებაში ეს ცნებები არ არის სათანადოდ გამიჯნული, არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი თვალსაზრისი იმაზე, თუ რა პროცესების შედეგად წარმოიქმნება ისინი და როგორია მათი ბუნება. იგი ცდილობს, მეტი გარკვეულობა შეიტანოს ამ საკითხში და განასხვაოს გრძნობა და ემოცია „მათი ფუნქციონალური კავშირის მიხედვით მიზანმიმართულ აქტივობასთან, რომელსაც ისინი განსაზღვრავენ და მიჰყვებიან, ვინაიდან ეს კავშირი ორივე შემთხვევაში არსებითად განსხვავებულია“ [13; 143].

მაკ-დაუგოლის მიხედვით, ნამდვილი ემოციები წინ უსწრებენ წარმატებას ან წარუმატებლობას და მათზე არ არიან დამოკიდებული. ისინი წარმოიქმნებიან მისწრაფებათა აქტუალიზაციასთან ერთად და მათ თავისებურ ემოციურ შეფერილობას ქმნიან. ამით თითოეული მოქმედი ან განჭვრეტილი მისწრაფება საკუთარ თვისებრიობას იძენს, რაც სპეციფიკურად განასხვავებს მას სხვა ტენდენციისგან. აქ მნიშვნელობა არა აქვს, წარმატებულია მისი რეალიზაცია თუ არა. ამდენად, ყველა სპეციფიკურ მისწრაფებას საკუთარი *ემოციური თვისებრიობა* აქვს. ამ სპეციფიკური განცდის ძირი იმ ორგანულ კომპლექსებსა და შესაბამის შეგრძნებებში უნდა ვეძებოთ, რომლებიც თან ერთვიან, აადვილებენ და აძლიერებენ სხეულებრივ აქტივობას. მაკ-დაუგოლი არ იღებს მთლიანად ჯეიმს-ლანგეს თეორიას, მაგრამ მიიჩნევს, რომ „სხეულებრივი ორგანიზაციის ყოველი ასეთი სისტემა ორგანიზმის განცდებში აისახება და ამით ყოველ სპეციფიკურ მისწრაფებას თავისებურ განმასხვავებელ თვისებას ანიჭებს – ერთ-ერთი პირველადი ემოციის თვისებას“ [13; 145]. მოკლედ, ემოცია განსაზღვრავს მისწრაფების გრძნობად რაგვარობას და შედის ინსტინქტის ან მიდრეკილების ე.წ. *ემოციურ ბირთვში.*

საზოგადოდ, ემოცია-გრძნობა იმის მაჩვენებელია, თუ რაზეა მიმართული აქტივობა (მიზანი) და რამდენად არის ეს მიზანი მიღწეული. მაკ-დაუგოლი გამოყოფს კიდევ ერთ ფსიქიკურ წარმონაქმნს, რომელიც, ემოცია-გრძნობისგან განსხვავებით, მიზანთან კი არ არის დაკავშირებული, არამედ მისი მიღწევის საშუალებებთან. მას *გემოვნება* ეწოდება. ჩამოყალიბებული გემოვნება განსაზღვრავს იმას, თუ რა გზებით და ხერხებით იქნება რეალიზებული მიზანი.

ემოცია-გრძნობებისა და გემოვნების ერთობლიობა, ავტორის თანახმად, წარმოქმნის *პიროვნების* სამი ქვესტრუქტურიდან ერთ-ერთს, კერძოდ *ხასიათს*. რაც უფრო ორგანიზებულია გრძნობა-გემოვნების სისტემა, მით უფრო მთლიანია პიროვნება, მით უფრო მტკიცეა მისი ხასიათი. პიროვნების მეორე კომპონენტის სახით გამოყოფილია *ინტელექტი*. ინტელექტი არის უნარების ერთობლიობა, რომელიც განსხვავებულ მიდრეკილებებს ემსახურება და პიროვნებაში ხასიათისგან შედარებით დამოუკიდებელ ქვესისტემას ქმნის. პიროვნების მესამე კომპონენტია *ტემპერამენტი*. ის ძლიერ არის დამოკიდებული სხეულის ქიმიურ შემადგენლობაზე, რაც ნერვული სისტემის მდგრადობაზე აისახება. ტემპერამენტი განსაზღვრავს პიროვნების ექსპრესიულობას და, თავისი თანდაყოლილი ბიოლოგიური დეტერმინებულობის მიუხედავად, გარკვეულწილად ექვემდებარება აღზრდას.

მაკ-დაუგოლის სისტემა მრავალმხრივაა საინტერესო. მისი ბევრი შეხედულება დღესაც იქცევს მკვლევართა ყურადღებას, განსაკუთრებით მოტივაციის ფსიქოლოგიის სფეროში. ამასთან, მათში სათუო მომენტებიცაა. პირველ რიგში, ეს ინსტინქტების სიას ეხება. არ არის ნათელი, რის საფუძველზე გამოიყო სწორედ ეს ინსტინქტები და არა სხვა, რატომ ამდენი და არა მეტი ან ნაკლები. ამასთან, ზოგიერთი ინსტინქტი ისეა დახასიათებული, რომ ძნელი გასარჩევია სხვა ინსტინქტისგან. მაგალითად, მაწანწალობა, რომელიც შთაბეჭდილებების ძიებაში გადაადგილებად განიმარტება, სავსებით შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ცნობისმოყვარეობის ნაირსახეობა, რომლის შინაარსი უცნობი ადგილებისა და საგნების გამოკვლევას გულისხმობს. მიუხედავად ამისა, მაკ-დაუგოლის შეხედულებები საკმაოდ პოპულარული იყო როგორც ფსიქოლოგიაში, ისე მომიჯნავე დისციპლინებში, მაგალითად, სოციოლოგიაში ან პოლიტოლოგიაში, სადაც ყოველთვის არსებობდა ერთგვარი სწრაფვა საზოგადოებრივი მოვლენების დაკავშირებისა ადამიანთა ფსიქიკურ თვისებებსა თუ ტენდენციებთან. თავის სოციალურ ფსიქოლოგიაში მაკ-დაუგოლი შეეცადა, პირველადი ინსტინქტებიდან გამოეყვანა ძირეული სოციალური ინსტიტუტები (მაგალითად, ოჯახი, ვაჭრობა) და პროცესები (მაგალითად, ომები). ამ მხრივ ყველაზე დიდი მნიშვნელობა მიენიჭა *ჯგუფურ ინსტინქტს*, რომელიც ადამიანთა ერთად ყოფნას განაპირობებს. მისი მოქმედების შედეგად არის მიჩნეული ისეთი სოციალური პროცესები, როგორებიცაა: ქალაქების წარმოქმნა და ზრდა, ადამიანთა სხვადასხვა სახის თავყრილობები, შრომისა და დასვენების კოლექტიური ხასიათი და ა.შ. [12]. გარდა იმისა, რომ ძირითადი საზოგადოებრივი მოვლენების ინსტინქტებიდან გამოყვანა ბევრად უფრო სერიოზულ დასაბუთებას მოითხოვს, ახსნის ასეთი მეთოდოლოგია თავის თავში შეიცავს ტავტოლოგიური მსჯელობის საფრთხეს. მაგალითისთვის განვიხილოთ შემდეგი სქემა: ომები იწყება აგრესიულობის ინსტინქტის მოქმედების გამო, მაგრამ საიდან ვიცით, რომ აგრესიულობის ინსტინქტი არსებობს? იქიდან, რომ ადამიანები ხშირად ომობენ.

თანამედროვე სოციალურ ფსიქოლოგიაში, რომლის სათავეებთანაც დგას მაკ-დაუგოლი, არ არის მიღებული ადამიანის ქცევის ინსტინქტებიდან გამოყვანა. ყველაზე მეტ პროტესტს ამ ცნებასთან მყარად ასოცირებული თანდაყოლილობის იდეა

იწვევს. უნდა აღინიშნოს, რომ მაკ-დაუგოლი თავადაც აცნობიერებდა ამ გარემოებას და მიდრეკილების ცნების შემოტანით ცდილობდა, შეერბილებინა სოციალური ქცევის ბიოლოგიურ დეტერმინებულობასთან დაკავშირებული სირთულეები. მიუხედავად ამისა, ევოლუციურ შეხედულებებს და მათთან დაკავშირებულ თეზისს ქცევითი დისპოზიციების (ინსტინქტებისა და მიდრეკილებების) მეტ-ნაკლები თანდაყოლილობის შესახებ იგი არასდროს უარყოფდა. ამ საკითხში მაკ-დაუგოლი ლამარკის ევოლუციის თეორიის პოზიციას იზიარებდა, რომლის თანახმად, შეძენილი თვისებები მემკვიდრეობით გადაეცემა. არსებითად, მაკ-დაუგოლის თვალსაზრისით, პროსოციალურ ქცევას ნაწილობრივ მემკვიდრული საფუძველი აქვს, რომელიც შემდგომში ტრადიციითა და აღზრდით განმტკიცდება. იგი სრულ შესაბამისობაშია თანამედროვე ფსიქოლოგიური აზრის მძლავრ ნაკადთან, რომელსაც ევოლუციურ ფსიქოლოგიას ან სოციობიოლოგიას უწოდებენ და, რომელსაც ამავე თავში განვიხილავთ.

მაკ-დაუგოლის მომდევნო ხანის სოციალური ფსიქოლოგია უმეტესწილად უპირისპირდება გენეტიკურ-დისპოზიციურ მიდგომას და აქცენტს ქცევის შეძენილ და სოციალურად განმტკიცებულ მექანიზმებსა და დისპოზიციებზე აკეთებს. მაგრამ, როგორც არ უნდა ხასიათდებოდეს სოციალური ფსიქოლოგიის მიერ გამოკვლეული ქცევითი დისპოზიციები (ე.წ. ატიტუდები ანუ სოციალური განწყობები), მათ ისეთივე შემადგენლობა აქვთ, როგორიც მაკ-დაუგოლის მიერ დახასიათებულ ინსტინქტებსა და მიდრეკილებებს – ისინიც იმავე ემოციური, კოგნიტური და ქცევითი კომპონენტებისგან შედგება (ე.წ. *ატიტუდის სამკომპონენტიანი მოდელი).* როგორც ჩანს, აქტივობის მიზანშეწონილი წარმართვისთვის ყოველგვარ ქცევით დისპოზიციას ისეთი სტრუქტურა უნდა ჰქონდეს, როგორიც მაკ-დაუგოლმა თითქმის ასი წლის წინ ივარაუდა და რაც ამ თვალსაჩინო მკვლევრის დიდ გამჭრიახობაზე მეტყველებს. აღსანიშნავია ისიც, რომ მაკ-დაუგოლი იმ მცირერიცხოვან ავტორებს მიეკუთვნებოდა, ვინც ღიად დაუპირისპირდა ამერიკაში ბიჰევიორიზმს. ჯ. უოთსონთან პოლემიკისას იგი ამტკიცებდა, რომ ბიჰევიორიზმმა, გონებისა და ცნობიერების ცნებათა უარყოფით, არა მხოლოდ წაართვა ფსიქოლოგიას თავისი კვლევის საგნის უმნიშვნელოვანესი სფერო, არამედ სრულიად დაუშვებლად დატოვა იგი მხოლოდ შეძენილის/ დასწავლილის ამარა და უგულებელყო ყველაფერი ის, რაც ადამიანის ბუნების მოუცილებელი, თანდაყოლილი ნაწილია.

მაკ-დაუგოლის თეორიულ სისტემაში საკვანძო ცნება *ინსტინქტია.* ამ ცნების შემდგომი დამუშავება, ქცევისა და ფსიქიკური ცხოვრების გააზრება ევოლუციონისტური მოძღვრების საფუძველზე თანამედროვე მეცნიერებაში ყველაზე თანმიმდევრულად და ნაყოფიერად განხორციელდა *ეთოლოგიასა* და *სოციობიოლოგიაში* (ევოლუციურ ფსიქოლოგიაში). ეს ორი დისციპლინა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. შეიძლება ითქვას, რომ მეორე, ფაქტობრივად, პირველიდან არის ამოზრდილი [2]. ეთოლოგია შეისწავლის ცხოველთა ქცევას ბუნებრივ პირობებში. სოციობიოლოგია იკვლევს საზოგადოებრივი ქცევის ყოველგვარი ფორმის ევოლუციურ-ბიოლოგიურ საფუძვლებს და ცდილობს, აქ დადგენილი კანონზომიერებანი ადამიანის სოციალური ქცევის ასახსნელად გამოიყენოს.

გასული საუკუნის 30-იან წლებში მას საფუძველი ჩაუყარეს ზოოლოგებმა, ავსტრიელმა **კონრად ლორენცმა** ((1903-1989) და ჰოლანდიელმა **ნიკოლას** (ნიკო) **ტინბერგენმა** (1907-1988), რისთვისაც 1973 წელს ნობელის პრემია მიენიჭათ. ეთოლოგიის მთავარი ამოცანაა, ფილოგენეტურად და ფიზიოლოგიურად ახსნას ქცევაზე მოქმედი ყველა ფაქტორის ფუნქციონალური ურთიერთკავშირები. ეს ამოცანა ბევრ კითხვაზე პასუხს მოითხოვს: როგორია ინსტინქტის ბუნება, რამდენად განისაზღვრება ქცევა ინსტინქტებით და შეძენილი რეაქციებით, როგორია ურთიერთმიმართება ქცევის თანდაყოლილ და შეძენილ ელემენტებს შორის, როგორ ცვალებადობს ცხოველთა ქცევა ორგანული ევოლუციის პროცესში და ა.შ. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ცხოველთა სოციალურ ქცევას (რიტუალები, კომუნიკაცია, აგრესია და ა.შ.) და სოციალურ ორგანიზაციას [18]. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ეთოლოგიის ყურადღების ცენტრში მოექცა ადამიანის ქცევის დახასიათება ეთოლოგიის პოზიციებიდან. სოციობიოლოგია სწორედ ამ ნიადაგზე აღმოცენდა [8].

ეთოლოგიური კვლევის მსვლელობაში შემუშავდა ცხოველთა ინსტინქტური ქცევის, მისი ონტოგენეტური და ფილოგენეტური განვითარების ახლებური გაგება. ცხოველის ყოველ ქცევაში შერწყმულია სახეობისთვის დამახასიათებელი და შეძენილი ქცევის ელემენტები. საქმე ისაა, რომ ქცევა შედგება ორი ძირითადი ფაზისგან: *ძიებითი* (ან მოსამზადებელი) და *დამამთავრებელი* აქტებისგან. პირველი ფაზა ყოველთვის რაიმე მოთხოვნილებით არის აქტივირებული. ის გამოიხატება რაიმე მოთხოვნილებით სტიმულირებული საერთო აღგზნებით და ცხოველის ძიებითი ქცევით, ანუ არამიმართული გადაადგილებით, გარემოს გამოკვლევით. ამ აქტივობის პროცესში ცხოველი, როგორც წესი, წააწყდება ხოლმე ე.წ. *ჩამრთველ სტიმულებს*, სხვაგვარად, *რელიზერებს*, რომლებიც აღძრავენ საკუთრივ ინსტინქტურ მოქმედებას, ან, უფრო ხშირად, მოქმედებათა წყებას. მაგალითად, მტაცებლის კვებითი ქცევა იწყება ქაოსური სირბილით და ტერიტორიის გამოკვლევით. ნადავლის გამოჩენა ქცევას ორგანიზებულს ხდის: ცხოველი ჯერ ეპარება, მერე მისდევს და ბოლოს კლავს თავის მსხვერპლს, შემდეგ გლეჯს ნანადირევს და ყლაპავს ხორცს. აქტების ამ რიგში მხოლოდ ორი უკანასკნელი წარმოადგენს საკვების მოპოვების ქცევის დამამთავრებელ, საკუთრივ *ინსტინქტურ ფაზას*. ყველაფერი, რაც მას წინ უსწრებს, შეიძლება მიეწეროს ძიებით, ანუ *არაინსტინქტურ ფაზას*.

ქცევა ყველაზე უფრო პლასტიკურია ძიებით ფაზაში. სწორედ აქ ითვისებს ცხოველი ქცევის ახალ ხერხებს. რაც უფრო ვუახლოვდებით დამამთავრებელ ფაზას, მით უფრო სტერეოტიპული ხდება მოძრაობები. საკუთრივ დამამთავრებელ ფაზაში მოძრაობები აბსოლუტურად სტერეოტიპულია, ფიქსირებულია და მაღალორგანიზებული. ამიტომ ეთოლოგიაში მათ ხშირად ინსტინქტურის ნაცვლად უწოდებენ *ფიქსირებულ მოძრაობათა კომპლექსს* (ფმკ). ყველა სახეობას მისთვის დამახასიათებელი (ფმკ) აქვს. კვლევის შედეგად ზოგიერთი მათგანისთვის გამოიყო სპეციფიკური ჩამრთველი სტიმულები. ისინი, შესაძლოა, სრულიად განსხვავებული გამღიზიანებლების სახით წარმოგვიდგნენ: გარკვეული ფერის, ფორმის, სუნის, ხმის, მოძრაობის და ა.შ. სახით. რელიზერებს ადარებენ გასაღებს, რომელიც ზუსტად არის

მორგებული ბოქლომს (ანუ ფმკ-ს). ეთოლოგიაში მათ შეისწავლიან ე.წ. *მოდელების* – ამ სტიმულებისთვის დამახასიათებელი თვისებების მქონე ხელოვნური ობიექტების საშუალებით. რელიზერების გამოჩენისას წყდება ძიებითი აქტივობა და იწყება დამამთავრებელი აქტები, ანუ ჩაირთვება (ფმკ). ძიებითი და დამამთავრებელი ფაზების თანაფარდობა განსხვავდება სხვადასხვა ცხოველში. მთავარი ის არის, რომ, რაც უფრო განვითარებულია ცხოველის ფსიქიკური ორგანიზაცია, მით უფრო გაშლილი და ხანგრძლივია ძიებითი ფაზა, მით უფრო მდიდარი და მრავალფეროვანი გამოცდილების მიღება შეუძლია ცხოველს. ისე კი, ფილოგენეტური განვითარების გარკვეული დონიდან მოყოლებული, ცხოველის ფაქტობრივად ყოველ ქცევაში შერწყმულია სახეობისთვის დამახასიათებელი თანდაყოლილი და შეძენილი ქცევის ელემენტები.

ეთოლოგიაში მიჩნეულია, რომ არ არის მართებული თანდაყოლილისა და შეძენილის, ინსტინქტურისა და დასწავლილის მკაცრი დაპირისპირება, მით უფრო, მათი ერთმნიშვნელოვანი მიწერა დაბალი ან მაღალი განვითარების ცხოველთა სახეობისთვის. ირკვევა, რომ ახალ სიტუაციასთან მორგება, გამოცდილების შეძენა უდაბლეს ცხოველებსაც შეუძლიათ (მაგალითად: ინფუზორია, ჭიაყელა). ამ უნარს ცხოველთა სამყაროში მუდამ ვხვდებით. ხშირად იგი მჟღავნდება იმდენად ადრეულ ასაკში, რომ იქმნება ილუზია, თითქოს ქცევა თავიდან ბოლომდე თანდაყოლილია. ამის ნათელი მაგალითია ე.წ. *იმპრინტინგი* (აღბეჭდვა). ეს მოვლენა ლორენცმა აღმოაჩინა. იგი დარწმუნდა, რომ ახალგამოჩეკილი ბატის ჭუკები აუცილებლად თავის დედას კი არ მიჰყვებიან, არამედ იმ ობიექტს, რომელსაც ისინი გამოჩეკვისას პირველად ნახულობენ. ამ შემთხვევაში ეს იყო თვითონ ლორენცი, ვის მიმართაც ეს ბატები მოზრდილობაშიც გასაოცარ მიჯაჭვულობას ამჟღავნებდნენ. ბუნებრივ პირობებში ის, ვისი აღბეჭდვდეაც ხდება, დედაა, და ჭუკებიც მას ავტომატურად დაჰყვებიან. მაგრამ, სინამდვილეში, ეს ინსტინქტის კი არა, ადრეული დასწავლის გამოვლინებაა. იმპრინტინგის მექანიზმი განაპირობებს ხერხემლიანთა ბევრ ისეთ მოქმედებას, რომლებიც დაკავშირებულია მშობლების, თავის გარემოცვის, სასიცოცხლო გარემოს ნიშან-თვისებათა ცნობასთან [14][19].

საზოგადოდ, ცხოველთა ქცევაში ინსტინქტურისა და დასწავლილის ურთიერთმიმართება რთული და მრავალფეროვანია. უწინ ერთმანეთს უპირისპირებდნენ ინსტინქტსა და დასწავლაზე დაფუძნებულ ქცევებს. მიაჩნდათ, რომ ინსტინქტური მოქმედებები მკაცრად არის დაპროგრამებული და ცხოველებს შეუძლიათ მათი შესრულება ყოველგვარი ინდივიდუალური გამოცდილების გარეშე. თანამედროვე მონაცემებით, ეს ასე არ არის. ნაჩვენებია, რომ ზოგიერთმა ინსტინქტურმა მოქმედებამ ცხოველის ინდივიდუალური განვითარების მსვლელობაში უნდა გაიაროს ჩამოყალიბებისა და ვარჯიშის პერიოდი. დასწავლის ასეთმა ფორმამ მიიღო *ობლიგატური* (ე.ი. სავალდებულო) დასწავლის სახელწოდება. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ წინილა გამოჩეკვისთანავე ახორციელებს ინსტინქტურ საკენკ მოძრაობებს, მათ სიზუსტე აკლიათ. პირველი დღეების განმავლობაში სიზუსტე მნიშვნელოვნად მატულობს. ობლიგატური დასწავლის მეორე მაგალითია ჩიტების ფრენა. ბარტყი გამოჩეკვისთანავე აქნევს ფრთებს და მხოლოდ გარკვეული ხნის შემდეგ აფრინდება

ჰაერში, მაგრამ მისი ფრენა, განსაკუთრებით დაშვებისას, პირველ ხანებში მაინც, ძალიან არასრულყოფილია.

ეთოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად გამოვლინდა, რომ მრავალი ქცევითი ფენომენი, რომლებიც ადრე ადამიანის ექსკლუზიურ მახასიათებლად, მის მონოპოლიურ კუთვნილებად ითვლებოდა, ამა თუ იმ ფორმით ვლინდება არა მხოლოდ მაღალ ცხოველებში, არამედ უკვე ევოლუციური კიბის საკმაოდ დაბალ საფეხურებზე, ესენია: სოციალური ორგანიზაცია და სოციალური იერარქია (მწერების რთული სოციალური ორგანიზაცია; საჭმლის მიღების რიგითობა ზოგიერთი სახის თევზებში, ჩიტებსა და ძუძუმწოვრებში); წინამძღოლისადმი მორჩილება (მგლები, ძაღლები); „ქორწინება“, კავშირი მამრსა და მდედრს შორის მთელი ცხოვრების განმავლობაში (თევზები, ჩიტები, ძუძუმწოვრები); არშიყობა, „სიყვარული პირველი დანახვით“ (ჩიტები, ძუძუმწოვრები); ტრადიციების გადაცემა (ჩიტები, ძუძუმწოვრები, პრიმატები); ხუმრობა (პრიმატები); განზრახული მოტყუება და სიმულაცია, ტყუილის ამოცნობის უნარი (ძაღლები, ანთროპოიდები); ფსიქოსომატური დაღრევევები და მარტოობის აუტანლობა (ადამიანის მსგავსი მაიმუნები).

აქედან გამომდინარე, ბუნებრივად დაისვა საკითხი ადამიანის ქცევაში ევოლუციური წარმომავლობის ელემენტების ძიებისა და შესწავლის შესახებ. ეს ბუნებრივია, ვინაიდან ეს გამომდინარეობდა ევოლუციური მოძღვრებდან, რომელიც, ფსიქოლოგიის ისტორიკოსის თქმით, ეპოქის ინტელექტუალურ ფენომენად იქცა და მის გავლენას დაემორჩილა ბიოლოგიაც და ფსიქოლოგიაც [27]. ევოლუციის თეორია მოითხოვს სხვადასხვა სახეობის ცხოველებსა, და შემდგომ, ცხოველებსა და ადამიანს შორის უწყვეტი განვითარების დადასტურებას. ეს ეხება ფსიქიკური ცხოვრების ყველა ასპექტს – კოგნიტურს და ქცევითს.

პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით თავად დარვინმა გადადგა. 1872 წელს გამოქვეყნებულ წიგნში – „ემოციის გამოსახვა ადამიანსა და ცხოველებში“, დაკვირვებათა მდიდარ მასალაზე და ევოლუციურ კონცეფციაზე დაყრდნობით, მან დაასაბუთა ადამიანისა და ცხოველის ემოციათა (შიში, აგრესიულობა, გაკვირვება და სხვა) მთელი რიგის გამომხატველ მოძრაობათა წარმოქმნის ერთიანობის თეზისი და მიუთითა მათ შეგუებით მნიშვნელობაზე. დარვინი ლაპარაკობს არა ემოციურ განცდებზე, არამედ გამომხატველ მოძრაობებზე და მიიჩნევს, რომ ადამიანთან ისინი ფილოგენეტურად მიზანშეწონილი და სასარგებლო მოძრაობების ნარჩენებს ანუ რუდიმენტებს წარმოადგენენ. გამძვინვარებული ადამიანის მუშტი, კბილების ღრჭენა, თმების ყალყზე დადგომა და სხვა იმ დროის ქცევის ნიშნებია, როცა იგი მართლაც მუშტებით და კბილებით იბრძოდა, აბურძგვნით კი აშინებდა მოწინააღმდეგეს. ფაქტობრივად, აქ ლაპარაკია გარკვეულ ქცევით პატერნებზე (მიმიკა-პანტომიმიკა), რომლებმაც ევოლუციური განვითარების გრძელი გზა გაიარეს. თავდაპირველად ისინი მხოლოდ ბიოლოგიურ ფუნქციონირებას ემსახურებოდნენ, ხოლო ანთროპოგენეზის გარკვეულ სტადიაზე სოციალური, სახელდობრ, შეტყობინება-კომუნიკაციის ფუნქცია შეიძინეს.

ეთოლოგიური თვალთახედვით, ადამიანის ქცევა, მისი უდავო უნიკალურობის მიუხედავად, ინარჩუნებს ადამიანამდელი ქცევის მრავალ ელემენტს. ბევრი ეთოლოგი (ლორენცი, ეიბლ-ეიბესფელდი, კრანახი და სხვ.) *ადამიანის ეთოლოგიის* ან *ეთოლოგიური ანთროპოლოგიის* პრობლემატიკის დამუშავებზე გადაერთო. მისი ძირითადი თემებია: ადამიანურ ქცევაში კულტურულისა და ბუნებრივის თანაფარდობა, ქცევის ცვალებადობა სოციალიზაციის პროცესში, რიტუალები და რიტუალიზაციის პროცესები, ადამიანის ტერიტორიული ქცევა, არაეერბალური კომუნიკაციის მექანიზმების სახეები და თავისებურებები, სიყვარული, მიჯაჭვულობა, ალტრუიზმი, შიში, აგრესია.


აგრესიის პრობლემა ძალზე მნიშვნელოვანია საზოგადოების ფუნქციონირების თვალსაზრისით და, შესაბამისად, სოციალურ მეცნიერებათა და, კერძოდ, ფსიქოლოგიის განსაკუთრებული ინტერესის საგანია. ადამიანური ისტორიის მთელ გაყოლებაზე აგრესიის უამრავ გამოვლინებას ვხვდებით. არსებობს სხვადასხვაგვარი შეხედულება აგრესიის ბუნებაზე, მის მიზეზებსა და მექანიზმებზე [4][25]. მთავარი საკითხია, აგრესია თანდაყოლილი, ინსტინქტური ფენომენია, თუ ის ადამიანის სოციალურ გარემოსთან ურთიერთობისა და დასწავლის შედეგია. ამ უკანასკნელ თვალსაზრისს ავითარებს სოციალურ-კოგნიტური დასწავლის თეორია (იხ. XI თავი). არსებობს შეხედულება, რომლის მიხედვით, აგრესია არის რეაქცია მიზანშეწონილი ქცევის ბლოკირებაზე ანუ ფრუსტრაციაზე [26][31]. აგრესიის ინსტინქტოიდურ ბუნებას ამტკიცებს ფსიქოანალიზი (იხ. I თავი) და ეთოლოგია. ამ მიმართულების ფარგლებში აგრესიის შესწავლა პირველმა დაიწყო ლორენცმა [11].

ადამიანური ქცევის ფილოგენეზის დახასიათებისას ჯერ კიდევ დარვინმა აღწერა *სოციალური ინსტინქტი,* რომელიც „იზიდავს" ერთმანეთისკენ საზოგადოებრივ ცხოველებს. მაგრამ ცხოველთა ქცევის მთელი დინამიკის გამოყვანა ამ ინსტინქტიდან შეუძლებელია. ლორენცმა აჩვენა, რომ გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ცხოველებში სოციალურ ინსტინქტს უპირისპირდება მიზიდულობის საწინააღმდეგოდ მოქმედი, „შიდასახეობრივი აგრესიის ინსტინქტი". ე.წ. ტერიტორიული ცხოველების ქცევა განპირობებულია დინამიკური წონასწორობით ამ ინსტინქტსა და „მიზიდულობის" ინსტინქტებს შორის (სქესობრივი ინსტინქტი, საზოგადოებრივ ცხოველებში – სოციალური ინსტინქტი). ამ ინსტინქტების ურთიერთქმედებიდან წარმოიქმნა ცხოველებისა და ადამიანების ყველა „მაღალი" ემოცია – თავდადება, მეგობრობა, სიყვარული, აგრესიის შეზღუდვა, სწორედ შეზღუდვა, რამდენადაც აგრესია ცხოველისა და ადამიანის ბუნების მოუცილებელი და მნიშვნელოვანი ნაწილია. საბოლოო ჯამში, იგი გამომდინარეობს გადარჩენისთვის ბრძოლის თანდაყოლილი ინსტინქტიდან, რომელიც გულისხმობს კონკურენციას საკვებისთვის, ტერიტორიისთვის, სქესობრივი პარტნიორობისთვის და ა.შ. აგრესიის ინსტინქტიც ზემოთ აღწერილი მოტივაციური მექანიზმის შესაბამისად მოქმედებს. აგრესიული ქცევა პასუხია „ჩამრთველ სტიმულებზე", მაგრამ, თუ აგრესიის ენერგია უხვადაა დაგროვილი, ის გამოკვეთილი საბაბის გარეშეც შეიძლება აღმოცენდეს (ე.წ. „არამოტივირებული აგრესია").

აგრესიის ენერგიის გაგება ეფუძნება ლორენცის მიერ შემუშავებულ ე.წ. ჰიდრომექანიკურ მოდელს. ეს მოდელი ხსნის, საიდან წარმოიქმნება ინსტინქტური ქცევის მოტივაცია და როგორ მოქმედებს იგი. შემდგომში ეთოლოგიის მოტივაციური წარმოდგენები განავითარა და დააზუსტა ტინბერგენმა. ჰიდრომექანიკური მოდელი ორგანიზმის შინაგან ფიზიოლოგიურ მდგომარეობასა და გარემოდან მოქმედი გამღიზიანებლების კავშირების გააზრებისა და გრაფიკული გამოსახვის მცდელობაა.

დაშვებულია, რომ შინაგანი ფაქტორები უშუალოდ უკავშირდებიან ნერვულ სისტემაში არსებულ ენერგიას, რომელიც გამოიყენება გარკვეულ მოქმედებათა აღძვრისთვის. სამწუხაროდ, ზუსტად არ არის განსაზღვრული ამ ენერგიის ბუნება და წარმომავლობა. *უბრალოდ, ნათქვამია, რომ* ამ ენერგიის რაოდენობა შესაბამისობაშია *გარეგან ფაქტორებთან (მაგალითად,* მოცემული სახეობის წლიურ ციკლებთან) *და შინაგან ფაქტორებთან (მაგალითად, ჰორმონებთან, ტემპერატურასთან და ა.შ.). იგი გროვდება სათანადო ნერვულ ცენტრებში და გარკვეული მოთხოვნილებებისთვის (შიმშილი, წყურვილი და ა.შ.) სპეციფიკური „მოქმედების ენერგიის“ სახე აქვს.*

გარე ფაქტორები მოცემულ მოთხოვნილებასთან დაკავშირებული სტიმულებია. ლორენცის მოდელი მოიცავს რეზერვუარს, რომელშიც გროვდება ნერვული სისტემიდან წამოსული ენერგია და ღეროს საცობს, რომელიც ზამბარის მეშვეობით დაკეტილ მდგომარეობაში ინარჩუნებს გამოსასვლელს რეზერვუარიდან. ღეროზე ჩამოკიდებულია ბაქანი, რომელზეც შეიძლება განსხვავებული წონის გირი დაიდოს. მისი წონა გარე გამღიზიანებლების სხვადასხვა ძალას შეესაბამება.



სურათზე გამოსახულია ჰიდრომექანიკური მოდელი: 1. ენერგიის რეზერვუარი, რომელიც ივსება ნერვული მექანიზმების აგზნებით; 2. გარე გამღიზიანებლები; 3. ქცევის რეალიზაცია (მეტ-ნაკლებად ინტენსიური შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ძალის შესაბამისად; 4. ამა თუ იმ რეაქციის აღმოცენების ზღურბლი.

აქ შეიძლება, სხვადასხვა სიტუაციაა გასათვალისწინებელი: 1. დაგროვილი ენერგიის რაოდენობა ისეთია, რომ მას შეუძლია, გამოიწვიოს რეზერვუარის გახსნა და

რაიმე ქცევის ინიციირება. ასეა, მაგალითად, ზოოპარკის გალიაში (ვოლიერში) მარტოობაში მყოფი მაიმუნების შემთხვევაში – ისინი, არცთუ იშვიათად, მასტურბირებენ ან თივის მანეკენთან დაწყვილებას ცდილობენ; 2. გარე გამღიზიანებელი იმდენად მომხიბვლელია, რომ საპასუხო რეაქცია შეიძლება აღმოცენდეს შესაბამისი მოთხოვნილების არსებობის გარეშე. მაგალითად, გემრიელმა კერძმა შეიძლება ჭამისკენ სრულიად მაძღარ ადამიანსაც უბიძგოს. თუმცა ყველაზე ხშირად სახეზეა შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ერთდროული მოქმედება. მათი წვლილი ქცევის აღძრაში შესაძლოა, არ იყოს თანაბარი, მაგრამ ისინი მაინც ერთმანეთს ავსებენ.

სპეციალისტები გარკვეულ მსგავსებას ხედავენ ამ მოდელსა და ფროიდის მოტივაციურ თეორიას შორის [6]. ეს ბუნებრივიცაა იმდენად, რამდენადაც ორივე შეხედულება ჰომეოსტაზის პრინციპზეა აგებული. ლორენცის მოდელი, ძირითადად, თანხმობაშია ფროიდის მოსაზრებასთან, რომ აგრესიას შინაგანი ძრავი აქვს და ის არაა მხოლოდ რეაქცია გარეგან გამღიზიანებლებზე. ეს გამღიზიანებლები რომ მოვაცილოთ, აგრესიის ენერგია დაგროვდება და სპონტანურად ამოიფრქვევა აგრესიული ქცევის სახით.

50-ზე მეტი სახეობის ცხოველთა ქცევის ანალიზის შედეგად ლორენცი მივიდა დასკვნამდე, რომ ყველა ცოცხალი არსება დაჯილდოებულია უნარით, შეაკავოს ან დათრგუნოს თავისი ლტოლვა ძალადობისკენ. ამასთან, ძლიერ შეიარაღებულ (სიმარდე, ძალა, დიდი ბრჭყალები და ეშვები) სახეობებში ევოლუციური შერჩევის გზით შემუშავდა გარკვეული „თანდაყოლილი მორალი", კერძოდ, ინსტინქტური შეზღუდვა მთელი თავისი არსენალის გამოყენებისა და კონკურენტის უმოწყალო მკვლელობის მიმართ, როდესაც საქმე ეხება სახეობათა შორის დაპირისპირებას და, მეტადრე, თუ დამარცხებული კაპიტულაციის, დამორჩილების დემონსტრირებას ახდენს. ლაპარაკია ლორენცის მიერ აღწერილ ე.წ. *დამორჩილების პოზებზე*, რომელთა მეშვეობითაც უფრო სუსტი ცხოველები აჩერებენ მოწინააღმდეგის აგრესიას. ეს განსაკუთრებით გავრცელებულია მტაცებელ ცხოველებთან. ორი მგლის ჩხუბისას დამარცხებული ინდივიდი ქვაბდება ჩვენთვის წარმოუდგენელ პოზაში: იგი გაწევს თავს მოწინააღმდეგისგან და მიუშვერს დაუცველ კისერს – იმ ადგილს, სადაც ვენა გადის. მაგრამ სწორედ ეს პოზა აჩერებს გააფთრებულ მოწინააღმდეგეს – ცხოველი უკიდურესად აგზნებულია, იგი ჯერ კიდევ კანკალებს და კბილებს აღრჭიალებს, მაგრამ, უბრალოდ, „ძალა არ შესწევს", მიეკაროს მიშვერილ კისერს. მისი დანახვა მოქმედებს როგორც ჩამრთველი სტიმული, რომელიც ამუხრუჭებს, ბლოკავს აგრესიულ მოქმედებას. საკმარისია, მსხვერპლმა შეიცვალოს პოზა, რომ შეტევა უმალ განახლდება [10].

პირიქით, სუსტად შეიარაღებული სახეობების თანდაყოლილი მორალი დაქვეითებულია, რადგანაც მათთვის არ არსებობს ძლიერი მორალის ევოლუციური საჭიროება. მტრედებს, მაგალითად, თუ ისინი ტერიტორიისთვის ბრძოლის აუცილებლობის წინაშე დგანან (გალიებში ან ვიწრო ვოლიერებში), შეუძლიათ, სიკვდილამდე „ჩაკენკონ" ერთმანეთი. ადამიანი მიეკუთვნება ბუნებრივად სუსტად შეიარაღებულ სახეობებს და ძალზე ხშირად ძალადობს თვისტომებზე. ხელოვნური იარაღის გამოგონებით ადამიანი გადაიქცა ყველაზე შეიარაღებულ სახეობად დედამიწაზე, ხოლო

მისი მორალი დარჩა იმავე დონეზე. მასობრივი განადგურების იარაღის შექმნამ კაცობრიობის, როგორც სახეობის, გადარჩენა საფრთხის წინაშე დააყენა. საბედნიეროდ, შემაკავებელი მექანიზმები მაინც არსებობს. ფროიდის სუბლიმაციისა არ იყოს, ლორენციც ფიქრობს, რომ გარკვეულ ქმედებებში მონაწილეობით, რომლებიც არ გულისხმობს პირდაპირი ზიანის მიყენებას, შესაძლებელია აგრესიის ენერგიის სახიფათო დონემდე ზრდის შეზღუდვა.

ზემოთ აღინიშნა, რომ სოციობიოლოგია ადამიანის ეთოლოგიის საფუძველზე აღმოცენდა. თანამედროვე მეცნიერებაში ბიოლოგიისა და ფსიქოლოგიის გადაკვეთაზე შექმნილ ყველაზე ავტორიტეტულ კონცეფციად სწორედ *სოციობიოლოგია* გვევლინება. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, აქ გაჩნდა მრავალი ახალი ჰიპოთეზა და, მაშასადამე, წარმოიშვა ახალი მონაცემების მიღების საჭიროება, ე.ი. გაკეთდა ის, რაც ევალება პროდუქტიულ თეორიას. „სოციობიოლოგიამ ისეთი ინტელექტუალური გამოცოცხლება გამოიწვია, როგორიც მეცნიერულ დისციპლინებში იშვიათად ხდება“ [8; 337]. სოციობიოლოგიის იდეებს დღეს იმდენად ბევრი მკვლევარი იზიარებს, რომ მან მძლავრი მეცნიერული მიმდინარეობის სახე მიიღო. ამიტომ, ამ ნაშრომის კონტექსტში, მისი ძირითადი დებულებები მაინც უნდა იქნეს განხილული.

სოციობიოლოგიის შექმნა ბიოლოგებმა დაიწყეს. სოციობიოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი **ედვარდ უილსონი** (1929-) მას ევოლუციური კვლევების „სუბდისციპლინად“ თვლის. მაგრამ მასში თანდათანობით ჩაერთო ფსიქოლოგიური კორპუსი (ბიჰევიორალური და კოგნიტური მეცნიერებების წარმომადგენლები) და ამჟამად, სოციობიოლოგიის ნაცვლად, უფრო ხშირად, ევოლუციურ ფსიქოლოგიაზე ლაპარაკობენ ან მათ სინონიმებად მოიხსენიებენ [15][20]. ყველაზე ზოგად პლანში „სოციობიოლოგია – ესაა საზოგადოებრივი ქცევის ბიოლოგიური საფუძვლების სისტემატური გამოკვლევა“ [35; 4]. ევოლუციური პროცესი ბუნებრივი შერჩევის გზით მიმდინარეობს, რომელიც, თავის მხრივ, არსებობისთვის ბრძოლას გულისხმობს. ეს უკანასკნელი არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ორგანიზმი დაბადებიდანვე დაუნდობელ კონკურენტულ ბრძოლაში უნდა ჩაებას თავის მსგავსებთან. უკვე ჩარლზ დარვინი აღნიშნავდა, რომ ევოლუციური პროცესის უკეთ გასავლელად ხშირად სხვებთან კოოპერირებისა და ურთიერთდახმარების სტრატეგიაა უფრო ეფექტური. ამ კონტექსტში დგება *ალტრუისტული ქცევის* საკითხი. სოციობიოლოგიაში მიღებული განსაზღვრების თანახმად, ესაა უანგარო ქცევა, რომელიც არახელსაყრელად გამოიყურება და შეიძლება სახიფათოც არის ინდივიდისთვის, მაგრამ ემსახურება სახეობის სხვა წევრების კეთილდღეობას. ცხოველთა სამყაროში: ფუტკრები თვითმკვლელობას ჩადიან სხვების სასარგებლოდ, როდესაც გესლავენ მომხდურს, რომელიც ხელყოფს სკაში არსებულ საკვების მარაგს; პატარა ჩიტების ბევრი სახეობა თავს დიდ საფრთხეში იგდებს, როდესაც გამოსცემს „განგაშის სიგნალს“ და ატყობინებს გუნდს ქორის მოახლოების შესახებ; მრავალი ცხოველი თავს სწირავს შვილების გადასარჩენად და ა.შ. ადამიანთა საზოგადოებაში ხომ ასეთი ქცევის უამრავ მაგალითს ვხვდებით [7][8][23]. სოციობიოლოგია ამ ვითარების კონკრეტული ევოლუციურ-გენეტიკური მექანიზმების დადგენაზეა ორიენტირებული. დასადგენი კი ის არის, თუ როგორ ხდება ისეთი ქცევის განმტკიცება ბუნებრივი შერჩევის გზით, რომელიც სხვისი გადარჩენის ხარ-

ჯზე ამცირებს საკუთარი დღეგრძელობისა და, მაშასადამე, გამრავლების შესაძლებლობას. რადგან ალტრუიზმის გენების მქონე ინდივიდები ნაკლებად მრავლდებიან, ვიდრე მათი არმქონენი, ისინი, უბრალოდ, უნდა გამქრალიყვნენ.

პირველი ნაბიჯი ამ დილემის გადაწყვეტის საქმეში ვ. ჰამილტონმა გადადგა. მან განავითარა *ნათესაური შერჩევის ან ერთობლივი შეგუების* კონცეფცია. მისი საყრდენი იდეა საკმაოდ მარტივია. ევოლუციურ პროცესში რეალური მნიშვნელობა აქვს არა იმდენად ინდივიდუალურ სიცოცხლეს, რამდენადაც მემკვიდრეობის ერთეულების, გენების წარმატებულ გადაცემას თაობიდან თაობაში. უფრო ადაპტირებულია ის, ვინც მოახერხებს თავის შემდეგ მეტი გენი დატოვოს საერთო გენოფონდში. ვინაიდან ნათესაობაში საერთო გენების ნაწილი ტრიალებს, ზოგიერთ სიტუაციაში, ერთობლივი შეგუების თვალსაზრისით, ინდივიდისთვის შეიძლება უფრო სასარგებლო აღმოჩნდეს ნათესავების გამრავლებისთვის ხელის შეწყობა, თუ საჭიროა საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი. ასეთი ქცევის ევოლუციური ეფექტურობა დამოკიდებულია გენეტიკური მასალის ოდენობაზე, რომელიც ამით გადარჩება. მაგალითად, რადგან შვილებს დედისა და მამის გენეტიკური მასალის ნახევარი დაჰყვებათ, ერთ-ერთი მშობლის მიერ თავგანწირვა ბიოლოგიურად გამართლებული იქნება, თუ ამის შედეგად გადარჩება და, მაშასადამე, გააგრძელებს რეპროდუქციას ორი შვილი. ამ რაოდენობის გაზრდსთან ერთად იზრდება ერთობლივი შეგუების მაჩვენებელიც. ის შეიძლება, ასევე, გამოითვალოს უფრო შორეული ნათესაობის მიმართ: ბებია-ბაბუები, ბიძები-მამიდები ჩვენი გენების 25%-ს იზიარებენ, ბიძაშვილ-მამიდაშვილები 12,5%-ს და ა.შ. ამაშია ნათესაური შერჩევის იდეა.

ეს ნაყოფიერი მოდელია, მაგრამ იგი არ არის საკმარისი. საქმე ისაა, რომ ალტრუისტული ქცევა აღინიშნება მაშინაც, როცა არ არსებობს ნათესაური კავშირები. რ. ტრაივერსის *ორმხვრივი ან რეციპროკული ალტრუიზმის* კონცეფციის თანახმად, ინდივიდები საჭიროების შემთხვევაში ეხმარებიან ერთმანეთს, ვინაიდან მოელიან, რომ მათაც დაეხმარებიან. ასეთ მოლოდინებზე დამყარებული ქცევა არაა დაკავშირებული ნათესაურობასთან და გულისხმობს პირდაპირ უკუგებას, მაშინ როდესაც ნათესაური შერჩევის გამართლება მხოლოდ შემდგომი თაობების გამრავლებით ხდება. რეციპროკული ალტრუიზმი შეიძლება განვითარდეს მარტო იმ სახეობებში, რომელთაც აქვთ უნარი, გაარჩიონ თავისი პოპულაციის წევრები და ისინი, ვინც არ ღვევენ თამაშის წესებს, ე.ი. მატყუარები, რომლებიც მხოლოდ იღებენ დახმარებას, თვითონ კი სამაგიეროდ არაფერს აკეთებენ. ამის უზრუნველმყოფელი გენეტიკური მექანიზმების არსებობა მართლაც დასტურდება [7][15]. უილსონის თანახმად, ისინი ე.წ. *ეპიგენეტური მიდრეკილებების ან წესების* სახით არსებობენ. ესაა გარკვეული მემკვიდრული უპირატესობები და შეზღუდვები, რომლებიც ადამიანის ფსიქიკაში არსებობს. ისინი ორი ტიპისაა: *პირველადი და მეორეული.* პირველადს მიეკუთნება სხვადასხვა სახის ავტომატური პროცესები, რომელთაც მივყავართ სენსორულ ფილტრაციამდე (მაგალითად, უპირატესობის მინიჭება რომელიმე გემოსა და ფერისადმი). „მეორეული ეპიგენეტური წესები მოქმედებს აღქმის სფეროში მოცემული ყოველგვარი ინფორმაციის საფუძველზე. ისინი თავის თავში შეიცავენ თავად აღ-

ქმის შეფასებას, რაც ინდივიდებს შესაძლებლობას აძლევს, უპირატესობა მიანიჭონ ერთი გარკვეული რიგის კულტუროგენებს სხვებთან შედარებით“ [17; 98-99][1].

ეპიგენეტური წესები ადამიანის გარემოსთან შეგუების შედეგია და, ბუნებრივი შერჩევის წყალობით, გენეტიკურად არიან განმტკიცებული. ჩვენი გონება და სურვილები გენეტიკურად განსაზღვრული მიმართულებით წარიმართება, ჩვენ მიდრეკილი ვართ გარკვეული სოციალური თუ კულტუროგენური ქმედებისადმი, რამდენადაც ბიოლოგიურად ასეთი მოქმედება სხვაგვარზე უფრო ხელსაყრელია. ამრიგად, ადამიანების ბევრი უნარ-თვისება, მიდრეკილება, გემოვნება და სათანადო ქცევითი ტენდენცია ევოლუციურად ჩამოყალიბებული ეპიგენეტური წესების გამოძახილია. ზოგიერთ მათგანზე კიდევ იქნება საუბარი უკანასკნელ თავში (იხ. XIV თავი). ეს წესები ადამიანის ფსიქიკას აწესრიგებენ ისე, რომ განაწყობენ გარკვეული არჩევანისადმი, მოქმედებებისადმი, სოციალური ქცევებისა და, საბოლოოდ, კულტურის განვითარებისადმი.

ადამიანური აზროვნების განვითარებაც, გარკვეული დოზით, გენოკულტურული მექანიზმებით არის განპირობებული [34]. ეს საყურადღებო თეზისია, რამდენადაც მიუთითებს იმ რგოლზე, რომელიც აშუალებს გენების ზემოქმედებას კულტურაზე. ლაპარაკია კოგნიტური განვითარების გარკვეული დონეების შესაბამის მენტალურ სტრუქტურებზე, რომლებიც წინ უსწრებენ და განსაზღვრავენ ღია ქცევას. უილსონი ასე მსჯელობს: ჩვენი გონება, არსებითად, ერთ-ერთი ორგანოა ბიოლოგიური უპირატესობის მოსაპოვებლად. „ტვინი არსებობს იმდენად, რამდენადაც უზრუნველყოფს გენების გადარჩენას და გამრავლებას. ადამიანური ცნობიერება არის გადარჩენისა და გამრავლების საშუალება, ხოლო გონება მხოლოდ ტექნიკის ერთ-ერთი სახეობაა“ [35; 12]. გონება ადამიანური სახეობის მამოძრავებელი ძალაა. ის აქცევს მას ყველაზე ადაპტურ არსებად. გონებრივი მოქმედება ქმნის ყველაფერს, რასაც კულტურა ეწოდება. მეცნიერული ცოდნაც კულტურის ნაწილია. აქედან გამომდინარე, მასაც უნდა ჰქონდეს ევოლუციურ-ბიოლოგიური და, საბოლოო ჯამში, გენეტიკური ძირები.

სოციალური და, კერძოდ, ზნეობრივი ქცევის სტრატეგიებს შორის, რომლებიც მოქმედებენ ადამიანების საზოგადოებაში საერთო სარგებლიანობის გასაზრდელად და ინდივიდუალური ექსპლოატაციისა და მაქინაციების აღსაკვეთად, შეიძლება დასახელებულ იქნეს ძალაუფლებისადმი მორჩილება, სამართლიანობისაკენ სწრაფვა, არაპატიოსანი ქცევის მიმართ გამახვილებული მგრძნობელობა და ა.შ. ტრაივერსმა რეციპროკული ალტრუიზმის სამი შემთხვევა განიხილა: სხეულის წმენდასთან დაკავშირებული სიმბიოზი (ე.წ. გრუმინგი), ჩიტების გამაფრთხილებელი ხმები და ადამიანთა ურთიერთალტრუიზმი.

უილსონმა თავის გახმაურებულ წიგნში – „სოციობიოლოგია: ახალი სინთეზი“ [35] – თავი მოუყარა და სისტემატიზებული სახე მისცა ფაქტობრივ მონაცემებს და თეორიულ მოსაზრებებს. იგი სოციობიოლოგიის თავისებურ ბიბლიად იქცა. უილსონმა სოციობიოლოგიის პრინციპები ადამიანის ქცევაზე გადაიტანა და ყურადღე-

[1] ტერმინ „კულტუროგენით“ აღინიშნება კულტურული ინფორმაციის ყოველგვარი ცალკე აღებული ერთეული, ბიოლოგიური მემკვიდრეობის ერთეულის, გენის ანალოგიით.

ბის ცენტრში მოაქცია მორალისა და ზნეობრივი ქცევის ევოლუციური და გენეტიკური ასპექტები. იგი ამოდის იქიდან, რომ არსებობს მჭიდრო კავშირი ცხოველურ სამყაროში მოცემულ ალტრუიზმსა და ადამიანურ ზნეობას შორის. ეს კავშირი არსებობს იმდენად, რამდენადაც თანაფარდია მათ საფუძველში მდებარე პროცესები. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს ცხოველსა და ადამიანს შორს მიმაჟალ ანალოგიას ან, მით უფრო, მათ გაიგივებას და ადამიანის გამორჩეული სპეციფიკის უარყოფას. იგი მხოლოდ იმას გულისხმობს, რომ Homo Sapiens-ი ცოცხალი სამყაროს ევოლუციის პროდუქტია, რაც, უილსონის რწმენით, მეცნიერების სფეროში დისკუსიის საგანი აღარ უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ადამიანის ფსიქიკაში არსებობს ერთგვარი შემზღუდავი მემკვიდრული საწყისი, რომელიც ეპიგენეტიკური წესების სახითაა მოცემული. ინცესტური ბარიერი ამის ერთ-ერთი მაგალითია. ავტორი ამტკიცებს, რომ „მორალი დაშიფრულია ეპიგენეტიკურ წესებში, პირველ ყოვლისა მეორეულში, მაგრამ ამ წესების როგორც არსი, ისე ფორმა იმართება მექანიზმებით, რომლებიც ალტრუიზმს ქმნიან“ [17; 100]. იგივე ბიოლოგიური მიზეზები განაპირობებს იმასაც, რომ ადამიანები თავის მსგავსებთან ერთიანდებიან და თანამშრომლობენ. ადამიანის შემთხვევაში ამას, სხვა ცოცხალ არსებებთან შედარებით, მეტი საფუძველი აქვს; მხედველობაშია მისაღები ჩვენი განსაკუთრებული ბიოლოგიური ბუნება, მაგალითად ის, რომ ადამიანი იძულებულია, ძალიან დიდი ყურადღება დაუთმოს შვილებზე ზრუნვას, რომლებიც სრულებით უსუსურები იბადებიან და უკიდურესად ნელა იზრდებიან, ან ის, რომ ფიზიკურად შედარებით დაუცველ ადამიანს ესაჭიროება ერთობლივი მოქმედება ნადირობისთვის, თავდაცვისთვის, გამოცდილების შენახვისა და გადაცემისთვის და ა.შ. ამიტომ ადამიანების მიდრეკილებას გაერთიანებისკენ ან ზოგიერთ ინდივიდთან განსაკუთრებული ურთიერთობების დამყარებისკენ გადამწყვეტი სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება. მაგალითად, მოხუცებისადმი გამორჩეულ პატივისცემას, რომელიც პრაქტიკულად ყველა კულტურაში არსებობს, გარკვეული მემკვიდრული საფუძველი აქვს, რომელიც შემდგომში, ცხადია, ტრადიციითა და აღზრდით მტკიცდება. ალტრუიზმის ამ ფორმის ევოლუციური მიზანშეწონილება, სოციობიოლოგიის მიხედვით, იმაშია, რომ ადამიანთა ადრეულ გაერთიანებებს სასიცოცხლოდ ესაჭიროებოდათ სამეურნეო, სანადირო, სამკურნალო, სოციალური და ა.შ. გამოცდილების შემონახვა, მისი აკუმულირება, მეტადრე დამწერლობის არარსებობის პირობებში, შეეძლოთ მხოლოდ ხანში შესულ ინდივიდებს, რომლებიც იმ დროს დიდი იშვიათობა იყო.

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის სოციალურ ქცევას ევოლუციური ფესვებიც ასაზრდოებს. ჩვენში არსებობს ახლო ნათესავების დახმარებისა და მათზე ზრუნვის მიდრეკილება, რომელიც ფსიქიკურად მოვალეობის სახით განიცდება. ისიც ეპიგენეტიკური წესების გამოვლინებაა და ნათესაური შერჩევის გზით ჩამოყალიბდა. ჩვენ თვისტომებისა და, საერთოდ, კაცობრიობის წინაშეც ვგრძნობთ ვალდებულებას, რაც კოოპერაციის ობიექტური აუცილებლობით და რეციპროკული ალტრუიზმის მექანიზმითაა განპირობებული. ერთი სიტყვით, მორალური ვალდებულებების განცდა ჩვენს აზროვნებასა და მოქმედებაშია ჩადებული და განმტკიცებულია ევოლუციურად ფორმირებული ეპიგენეტიკური წესების სახით. ადამიანები ურთი-

ერთქმედებენ მორალური განცდების თანხლებით და ამას გარკვეული ბიოლოგიური საფუძველიც აქვს.

უოთსონი ადამიანს (Homo sapiens) *ეუსოციალური* ცოცხალი არსებების კლასს მიაკუთვნებს. ეს ტერმინი გულისხმობს, რომ ასეთი სახეობები ცხოვრობენ რამდენიმე თაობისგან შემდგარ ჯგუფებში. ამ ჯგუფის წევრებს შორის ხდება შრომის რეგულარული განაწილება, რომლის შესაბამისად, ისინი ერთმანეთის მიმართ ალტრუისტულად მოქმედებენ. ავტორი ასეთ 18 სახეობას გამოყოფს (მათი უმეტესეობა მწერებია) და, ამავე დროს, დამაჯერებლად აჩვენებს ადამიანების განსხვავებას სხვა ეუსოციალებისგან. ამიტომ ადამიანთა სახეობის სოციალური განვითარება სხვაგვარად წარიმართა. მან გაიარა ანთროპოგენეზის რამდენიმე საკვანძო ეტაპი, სადაც მოხდა ისეთი თვისებების ფორმირება, რომლებიც შეადგენენ ადამიანური მოდგმის უნიკალურ სპეციფიკურ ბუნებას (ენის ფლობა, მაღალი ინტელექტი და კულტურის შემოქმედება). ესეც რომ არ იყოს, ადამიანური ეუსოციალურობა განსხვავებულია იმით, რომ ადამიანური საზოგადოების ყველა ნორმალურ წევრს შეუძლია გამრავლება და მათი უმეტესობა კონკურენციაში იმყოფება ერთმანეთთან ამ თვისების რეალიზაციის მხრივ. გარდა ამისა, ადამიანებს შეუძლიათ, შექმნან ძალზე მოქნილი კავშირები არა მხოლოდ ოჯახის შიგნით, არამედ მის გარეთ, სხვა ოჯახებთან, სქესებთან, კლასებთან, ტომებთან. ეს კავშირები დამყარებულია თანამშრომლობაზე ჯგუფის წევრებს ან ჯგუფებს შორის, რომლებიც ერთმანეთს იცნობენ და შეუძლიათ, დააჯილდოონ კონკრეტული ადამიანი ქონებით ან სოციალური მდგომარეობით, მისი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე. ასეთი ფაქიზი შეფასების აუცილებლობა ნიშნავდა, რომ ჩვენი წინაპრები პრინციპულად სხვა გზით მიდიოდნენ, ვიდრე ინსტინქტს დამორჩილებული სხვა ეუსოციალები, თუნდაც მწერები. ამ გზისთვის დამახასიათებელია ორი სახის შერჩევა, რაც დამყარებულია ან ჯგუფის შიგნით მიღწეულ წარმატებებზე, ან მთელი ჯგუფის მიერ მიღწეულ წარმატებებზე. ამ „თამაშის" სტრატეგია ყალიბდებოდა დახვეწილი ალტრუიზმის, თანამშრომლობის, კონკურენციის, დომინირების, ურთიერთგაცვლის, ღალატისა და მოტყუების რთული კომპლექსიდან [37].

ამრიგად, როგორც ვხედავთ, სოციობიოლოგია, ალტრუიზმის საკითხიდან გამომდინარე, აყენებს ადამიანური ბუნებისა და ზნეობრივი ქცევის ურთულეს ფუნდამენტურ პრობლემას. რუსი მკვლევარი ვ. ეფროიმსონი ასე აყალიბებს სოციობიოლოგიურ პოზიციას: ჩვენ არ ვაპირებთ ყველა ეთიკური ნორმის, ადამიანის სინდისის ყველა გამოვლინების ახსნას ბუნებრივი შერჩევით. მათ რეალიზაციაში უზარმაზარ როლს ასრულებს სოციალური გამოცდილება, ტრადიციების, ჩვევების გადაცემა, პირადი მაგალითი და აღზრდის სისტემები. მაგრამ „სრული დარწმუნებულობით შეიძლება იმის მტკიცებაც, რომ ადამიანურობასთან, სიკეთესთან დაკავშირებული ემოციები, ქალებისა და მოხუცების მიმართ რაინდული დამოკიდებულება, ბავშვების დაცვა და ცოდნისადმი სწრაფვა ის თვისებებია, რომლებიც მიზანმიმართულად და გარდაუვლად ვითარდებოდა ბუნებრივი შერჩევის გზით. ისინი ადამიანის მემკვიდრეობითი მახასიათებლების ფონდში შედიან." [23; 205].

აქ რამდენიმე მომენტია აღსანიშნავი. ერთი ის, რომ სოციობიოლოგია და, მაშასადამე, ევოლუციური ფსიქოლოგია ადამიანის საზოგადოებრივ და ზნეობრივ ქცევას განიხილავს როგორც მემკვიდრულისა და შეძენილის, გენეტიკურისა და სოციალურ-კულტურულის ერთდროული მოქმედების შედეგს. ამ თეზისს ხაზს უსვამს სოციობიოლოგიური მიმდინარეობის ყველა წამყვანი ავტორი და იგი ძალიან მნიშვნელოვანია ამ მიმდინარეობის მუდმივი დანაშაულების ფონზე *გენეტიკურ დეტერმინიზმში*. ვითარებაში გასარკვევად საჭიროა მოკლე ისტორიული ექსკურსი. გავიხსენოთ, რომ XIX საუკუნის ბოლოს, ძირითადად, ჰერბერტ სპენსერის *სოციალური დარვინიზმის* გავლენით, დაიწყო „დარვინიზმის ბოროტად გამოყენება" სხვადასხვა ჯგუფის რეაქციული იდეების გასამართლებლად. ბუნებრივი შერჩევის პრინციპის სპენსერისეული ფორმულირებით – ცოცხლად ყველაზე შეგუებულები რჩებიან – უნდოდათ გაემართლებინათ თავისუფალი მეწარმეობის დაუნდობელი ხასიათი, „ცუდად შეგუებულების" განადგურების პრაქტიკა (ფაშიზმი, რასიზმი და ა.შ.) და კარგად შეგუებული ინდივიდების ხელოვნურად გამოყვანის მცდელობა (ევგენიკა). ჰიტლერი ამბობდა: ბუნება ულმობელია, ამიტომ მეც ულმობელი ვარო. ამასთან დაკავშირებით პალმერი სწორად შენიშნავს, რომ ეს *ნატურალისტური სოფიზმის* გამოვლენაა, რომლის მიხედვით, ბუნების მოვლენები პირდაპირ კარნახობენ ადამიანებს სწორი ქცევის მოდელებს [15]. ბუნებაში მართლაც შეიძლება მოინახოს სოციალური სისტემისა და ქცევის ბევრი მაგალითი, რაც არ ნიშნავს, რომ ისინი ადამიანთა ქცევისა და საზოგადოების სასურველ პროტოტიპებს წარმოადგენენ. მოკლედ, ევოლუციონიზმის დამახინჯებამ გენეტიკური დეტერმინიზმის იდეა (რომელიც, უბრალოდ, გენების მიერ სიცოცხლის განსაზღვრულობის თავისთავად სწორ მოსაზრებას წარმოადგენს) დაუკავშირა უკიდურეს ბიოლოგიზმს ადამიანის ქცევის გაგებაში.

საპირისპირო რეაქციამაც არ დააყოვნა – გაჩნდა *გარემოსეული დეტერმინიზმის* კონცეფციები, სადაც ქცევა მთლიანად გარეგანი სტიმულაციით და დასწავლით აიხსნება. ასეთია ი. პავლოვისა და ვ. ბეხტერევის რეფლექსოლოგია, ჯ. უოთსონისა და ე. თორნდაიკის კლასიკური ბიჰევიორიზმი, თანამედროვე ვერსიით კი, ბ. სკინერის რადიკალური ბიჰევიორიზმი. ყველა ამ შემთხვევაში გენეტიკური საწყისი ქცევაში ან იგნორირებულია, ან, უბრალოდ, უარყოფილი. ასეთსავე უკიდურესობაში გადავარდა ანთროპოლოგიაც (მაგალითად, კულტურული რელატივიზმის კონცეფცია), რომელმაც სოციალურ-კულტურული დეტერმინიზმის ჰიპერტროფირება მოახდინა და ადამიანის ქცევის განხილვიდან საერთოდ ამოიღო ევოლუციური თეორიის, გენეტიკისა და ნეიროფსიქოლოგიის მონაცემები. კიდევ უფრო მძაფრი იყო რეაქცია იმათი მხრიდან, ვინც, ისტორიული მატერიალიზმის დოქტრინიდან გამომდინარე, ადამიანის ქცევას და ფსიქიკურ წყობას თავიდან ბოლომდე ეკონომიკური ბაზისით განპირობებული იდეოლოგიური ზედნაშენის პროდუქტად მიიჩნევდა. თუ რა სავალალო შედეგების მოტანა შეუძლია ასეთ იდეოლოგიას ტოტალიტარულ და რეპრესიულ სახელმწიფოში, საბჭოთა მეცნიერების ისტორიაც გვიჩვენებს [16][32]. ერთი სიტყვით, უკიდურეს და მახინჯ ფორმებში წარმოდგენილი ორივე სახის დეტერმინიზმი (ბიოლოგიურიც და სოციალურიც) მეცნიერებისთვის მავნეა და საზოგადოებისთვის სახიფათო. ეს კარგად აქვეთ შეგნებული სოციობიოლოგიისა და ევოლუციური ფსი-

ქოლოგიის წარმომადგენლებს. ამიტომ ისინი ძალზე ფრთხილად უდგებიან ქცევისა და ფსიქიკის დეტერმინაციის საკითხს, რათა არ დაუშვან ბიოლოგისტური გადახრები და გენეტიკური ცალმხრივობა. მიუხედავად ამისა, უილსონის ზემოთ ნახსენები წიგნი თავდაპირველად ბევრმა ისე მიიღო, როგორც გენეტიკური დეტერმინიზმის რეციდივი, მისი თანამედროვე ვერსია. სოციობიოლოგია ასოცირებული იყო რასიზმთან, სექსიზმთან და უამრავ უარყოფით მოვლენასთან, რის გამოც იგი მკაცრი კრიტიკის საგანი გახდა. და მაინც, კრიტიკის სიმძაფრე თანდათან კლებულობდა, რასაც ხელს უწყობდა ევოლუციურ ფსიქოლოგიაში მიმდინარე კვლევების წარმატებები და ამ მიმართულების წარმომადგენელი მეცნიერების სპეციალური განმარტებები, საერთოდ, ქცევის დეტერმინიზმისა და, კერძოდ, გენეტიკური დეტერმინიზმის საკითხთან დაკავშირებით [7][25].

უილსონისა და რიუზის შეხედულება, მაგალითად, ასეთია: კრიტიკოსები ამბობენ, თითქოს სოციობიოლოგები ორგანიზმის ყველა თვისებას, მათ შორის ფსიქიკურს (აზრები, მიდრეკილებები, ქცევის მოდელები), ამ თვისებების საფუძვლად მდებარე გენეტიკური სუბსტრატების უშუალო პროდუქტად თელიან. ამიტომ ადამიანის თვისებები და ქცევა მკაცრად და ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრულია გენებით და არაფრის შეცვლა არ შეიძლება. ესაა Status quo-ს ცნობილი პრინციპი თავისი ნეგატიური სოციალური ჟღერადობითა და იმპლიკაციებით. სინამდვილეში არცერთი სოციობიოლოგი არ ამტკიცებს ამას. „მიზეზობრიობა ყოველთვის წარმოადგენს გენების ფუნქციას, რომლებიც გარემოსეულ ფაქტორებთან კოორდინირებულად მოქმედებენ“ [17; 105-106]. უფრო მეტიც, ადამიანის ქცევა, საბოლოო ჯამში და უპირატესად, გენებისგან განსხვავებული მიზეზების შედეგია – ასეთი მიზეზებია გარემო, აღზრდა და ა.შ. მაგალითად, ის, რომ ინგლისელი ინგლისურად ლაპარაკობს, ხოლო ქართველი ქართულად, იმით კი არ არის გამოწვეული, რომ ინგლისელსა და ქართველს განსხვავებული გენები აქვთ, არამედ იმით, რომ ისინი ინგლისურენოვან და ქართულენოვან გარემოში აღიზარდნენ. გენების მნიშვნელობა იმაშია, რომ მათ, საზოგადოდ, ლაპარაკის უნარი შეგვძინეს, რაც ადამიანს ცხოველური სამყაროსგან განასხვავებს და მისი სპეციფიკური მემკვიდრული არსენალია. ერთადერთი, რასაც სოციობიოლოგია კატეგორიულად ამტკიცებს მორალსა და, ზოგადად, სოციალურ ქცევასთან დაკავშირებით, არის ის, რომ გენები ზემოქმედებენ თავის ტვინის ბუნებაზე, ხღუდავენ მას გარკვეულ ფარგლებში და, ამდენად, გავლენას ახდენენ ჩვენი აზრების მიმდინარეობასა და მოქმედების წესზე. არსებითად, იგივე ითქმის, ვთქვათ, ადამიანის ფიზიკურ თვისებებზე. ამავე დროს, ისიც ცხადია, რომ გარემოს პირობების მანიპულირებით შესაძლებელია, შევცვალოთ როგორც ადამიანის შეხედულებები, ისე მოქმედება. ეს კარგად ჩანს სხვადასხვა კულტურაში არსებული მორალური ნორმების განსხვავებულობიდან, რაც აშკარად ისტორიული, სოციალური, ეკონომიკური, ეთნიკური და სხვა ფაქტორების მოქმედების შედეგია. აქედან გამომდინარე, ავტორები ასკვნიან, რომ სოციობიოლოგები „უკუაგდებენ ყოველგვარი სახის გენეტიკურ დეტერმინიზმს ყოველგვარი ორგანიზმის მიმართ. მაშასადამე, ასეთი დეტერმინიზმი მიუღებელია მორალური აზროვნებისა და მოქმედებისადმი ჩვენი მიდგომის მიმართაც“ [17; 106].

გენებისა და კულტურის ურთიერთმიმართების პრობლემის კონტექსტში უილსონმა და ლადსმენმა სპეციალურად დაამუშავეს ე.წ. *გენოკულტურული კოევოლუ-*

ციის კონცეპტი. მასში გაკრიტიკებულია როგორც ცალსახა გენეტიკური დეტერმინიზმის პოზიცია, ასევე თვალსაზრისი, რომლის თანახმად, კულტურის ელემენტები (ცოდნა, ენა, ტრადიციები და ა.შ.) მხოლოდ კულტურით განისაზღვრება და ტრანსლირდება. ადამიანი არ არის მთლიანად გენეტიკურად დაპროგრამებული არსება, მაგრამ არც ისეთი ინდივიდია, რომლის ესა თუ ის არჩევანი მთლიანად კულტურით იყოს განპირობებული. ადამიანის რეალური გზა გენოკულტურული არჩევანი და გადაცემაა. ეპიგენეტური წესები განასახიერებენ ინდივიდის მიერ კულტურის ათვისების თანდაყოლილ სტრატეგიებს. თეორიულად აქ შეიძლება სამ სტრატეგიაზე ვილაპარაკოთ: 1. ეპიგენეტური წესები განსაზღვრავენ ერთ ევოლუციურ რეაქციას რაიმე კულტუროგენზე ან კულტუროგენების რიგზე; 2. კულტურის ათვისება და გავრცელება მხოლოდ მისი საკუთარი მექანიზმებით ხდება, ყოველგვარი თანდაყოლილი მაორიენტირებელი ფაქტორების გარეშე; 3. ე.წ. *გენოკულტურული ტრანსლაცია*, რომლის დროსაც ეპიგენეტური წესები მეტი ალბათობით იყენებენ გარკვეულ და არა სხვა კულტუროგენებს. ინდივიდის წინაშე მყოფი მრავალი შესაძლებლობიდან უპირატესობა ენიჭება მხოლოდ გარკვეული ქცევის აქტებს, არჩევანი გარკვეულ კულტუროგენებზე ჩერდება, ე.ი. კულტურა გაივლის ეპიგენეტური წესებით განპირობებული ინდივიდუალური მიდრეკილებების ფილტრში. ეს „ევოლუციური ფილტრები" გარკვეულ არხებში მიმართავენ ადამიანის სხეულებრივ, კოგნიტურ თუ პიროვნულ განვითარებას და ამით ზემოქმედებენ კულტურის ქმნადობა-გავრცელებაზე. ეს გამოიხატება ერთგვარ წინასწარ განწყობილებაში – აღიქვა კულტურის გარკვეული ერთეულები – კულტუროგენები. მაგრამ ეს მიმართება არ არის ცალმხრივი, კულტურაც, თავის მხრივ, ზემოქმედებს ადამიანის ეპიგენეტურ ბაზისზე. ავტორების მტკიცებით, ამ უკანასკნელის შესაცვლელად სულაც არ არის აუცილებელი მილიონწლიანი ევოლუციის გავლა. ერთი ალელი,[1] ანუ გენის ერთი ტიპი (ნუკლეიდების განსაზღვრული თანმიმდევრობა), რომელსაც გარკვეული ადგილი უჭირავს ადამიანის ქრომოსომულ ნაკრებში, იცვლება 20 თაობაში, ანუ დაახლოებით 1000 წელში. მაშასადამე, ადამიანი არა მხოლოდ კულტურული, არამედ ბიოლოგიური კუთხითაც იმყოფება ქმნადობის პროცესში. ადამიანის, როგორც Homo sapiens-ის, ბიოლოგიური ევოლუცია გრძელდება, მაგრამ ახლა ის მიმდინარეობს კულტურის ზემოქმედების შედეგად, კულტურის თანაზიარი ხდება და, ამდენად, კულტუროგენულ კოევოლუციად გარდაიქმნება [34][35].

ამრიგად, ევოლუციური ფსიქოლოგიის წარმომადგენლები და სოციობიოლოგები კატეგორიულად ემიჯნებიან ცალმხრივი ბიოლოგიური (გენური) დეტერმინიზმის თვალსაზრისს. ისინი მყარად დგანან *ინტერაქციონიზმის* პოზიციაზე, რომელიც გულისხმობს გარემოს აუცილებელ მონაწილეობას ევოლუციის პროცესის ყოველ ეტაპზე. გარემო (ეკოლოგიური თუ კულტუროლოგიური ფაქტორი), ერთი მხრივ, განაპირობებს და აყალიბებს ფილოგენეტურ ადაპტაციურ მექანიზმებს, რომლებიც გენოტიპში ფიქსირდება; მეორე მხრივ, იგი აქტიურად ზემოქმედებს იმაზე, როგორ განვითარდება ეს მექანიზმები ონტოგენეზში და როგორ გამოვლინდება აქტუალურ

[1] ერთი გენის სახეცვლილება ან სხვადასხვა მდგომარეობა, რაც იწვევს ერთი და იმავე ნიშან-თვისებების ვარიაციებს.

ქცევაში (აქტუალგენეზში). ამდენად, გენები და გარემო ყოველთვის და აუცილებლად კოორდინებულად მოქმედებენ. შესაბამისად, თანდაყოლილის და შეძენილის ან ბიოლოგიურის და კულტურულის დაპირისპირება აზრს კარგავს [28].

ცალმხრივი გენეტიკური და გარემოსეული დეტერმინიზმის უმართებულობა არ ნიშნავს დეტერმინიზმის უარყოფას საერთოდ. არადა, ზნეობრივი ქცევის სოციობიოლოგიური გააზრება სწორედ მისი დეტერმინისტული პოზიციის გამოა მიუღებელი ეგზისტენციალურად ორიენტირებული მკვლევრებისთვის. როგორც ზემოთ დავრწმუნდით, ეგზისტენციალისტებისთვის ადამიანის ძირეული ნიშანი თავისუფლებაა. ისინი ამტკიცებენ, რომ მხოლოდ თავისუფალ პიროვნებას აქვს ზნეობრივ პიროვნებად გახდომის პოტენცია. ნატურალისტური მიდგომა ადამიანისადმი გამორიცხავს ზნეობას, ვინაიდან, თუ ადამიანი ბუნების შვილია, იგი არ არის თავისუფალი არსება – ბუნებაში ხომ მიზეზობრიობისა და დეტერმინიზმის პრინციპები მოქმედებენ. ბილიარდის ბურთები, რომლებიც მაგიდაზე მიგორავენ, დეტერმინირებულები არიან და აქ არ შეიძლება ლაპარაკი თავისუფლებაზე. ასევე, თუ ადამიანები ევოლუციის პროდუქტებია, ეს გამორიცხავს თავისუფალი მოქმედების, კეთილსა და ბოროტს შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას და პასუხისმგებლობას, რომლის გარეშე ზნეობრივ ქცევაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

სოციობიოლოგია ამას გამართულ, მკაფიოდ ჩამოყალიბებულ თვალსაზრისს უპირისპირებს. ჯერ ერთი, ზნეობრივი ქცევის ბუნების გაგებისთვის დეტერმინიზმის პრინციპზე უარის თქმა სულაც არ არის ნაკლები სირთულეებისა და გაუგებრობის მომტანი, ვიდრე თავისუფლების უარყოფა. თუ ადამიანის ქმედებები ველური, უმიზეზო, უსაზრისო და შემთხვევითია (ე.ი. არადეტერმინირებული), მორალის არსებობა ყოველგვარ საფუძველს დაკარგავს. მაგალითად, თუ ვინმე ყელს გამოსჭრის მოყვასს და თავის გასამართლებლად იმას იტყვის, რომ ეს იყო წმინდა ნყლის შემთხვევითობა, უმიზეზო მოქმედება, მას ვერც გავკიცხავთ და ვერც დავადანაშაულებთ. ასეთი რამ შესაძლებელი და აზრიანია მხოლოდ პასუხისმგებელ არსებასთან მიმართებით, რომლის ქცევა გონიერია და საფუძვლიანი და არა უმიზეზო, შემთხვევითი ან ალალბედზე შესრულებული (ანუ ინდეტერმინირებული).

მაშასადამე, ადამიანის საზოგადოებრივი, ზნეობრივი ქცევა გულისხმობს მის დეტერმინირებულობას, მაგრამ ეს დეტერმინირებულობა არ გამორიცხავს თავისუფლებას იმ გაგებით, რასაც მორალის ფილოსოფოსები გვთავაზობენ. ლაპარაკია არჩევანის თავისუფლებაზე (ან უნარზე). ამისთვის საკმარისია, რომ ადამიანი არ იყოს ფიზიკური თვალსაზრისით შეზღუდული და ჰქონდეს საღი ფსიქიკა. სხვა საქმეა, რომ ამ თავისუფალი არჩევანის წინაპირობა, ანუ ის, რასაც მორალური არჩევანი ეხება, ფსიქიკაში არჩევანამდე უნდა არსებობდეს, და ამ წინასწარი მოცემულობის ერთ-ერთი წყარო მემკვიდრეობაა. ეს არ ნიშნავს, რომ ადამიანის ქცევა წინასწარ არის ბიოლოგიურად დაპროგრამებული, როგორც, ვთქვათ, ჭიანჭველას ან ფუტკრის შემთხვევაში. ჩვენი ქცევის ბიოლოგიური დეტერმინაციის ეს სახე უნდა გავიგოთ როგორც გარკვეული ქცევების ზნეობრივი (დადებითი ან უარყოფითი) შეფასების ერთგვარი *მემკვიდრული მიდრეკილება*. ადამიანის ქცევა, სხვა (გარემოსეულ) ფაქტორებთან ერთად, ჯერ ამ მიდრეკილების ფუნქციას წარმოადგენს და, მხოლოდ

შემდეგ – თავისუფალი და ცნობიერი არჩევანის შედეგს.

არსებითი განსხვავება სოციობიოლოგიურ და ეგზისტენციალურ თვალსაზრისს შორის ისაა, რომ, ამ უკანასკნელის თანახმად, ზნეობრივი ქმედების ნამდვილი თავისუფლება მოითხოვს თავისუფლებას თვით მორალური პრინციპების საკითხშიც – იმის განსაზღვრაში, თუ რა არის კეთილი და რა ბოროტი. სარტრი და სხვა ეგზისტენციალისტები თვლიან, რომ ჩვენი ქცევის, თვით მორალურობის არსიც ჩვენი თავისუფალი არჩევანის საგანია. სოციობიოლოგიის მიხედვით, ქმედება მოითხოვს მოქმედების თავისუფლებას გარკვეული მორალური და სოციალური ნორმების ფონზე. როცა მოცემულია იმის ცოდნა, თუ რა უნდა ვაკეთოთ, ჩვენ თავისუფლები ვართ, ჩვენს გადაწყვეტილებაში მოვიქცეთ ასე, ან სხვაგვარად. მაგრამ ეს თავისუფლება თავის თავში არ შეიცავს გადაწყვეტილების თავისუფლებას თავად ნორმების შესახებ. ქცევის ნორმები ობიექტური და იმპერატიული მოცემულობაა, რომელსაც ევოლუციური ძირებიც აქვს და არა პირადი თავისუფალი გადაწყვეტილების საგანი.

როგორც ვხედავთ, უილსონის პოზიცია თანმიმდევრულად დეტერმინისტულია. მის ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ დეტერმინიზმი გაიგივებულია მიზეზობრიობასთან. ზემოთ უკვე ითქვა, რომ დეტერმინიზმის ცნებას უფრო ფართო შინაარსი აქვს და მოვლენათა ყველა სახის კანონზომიერ კავშირს მოიცავს. მიუხედავად ამისა, გასათვალისწინებელია მთავარი აზრი, რომელიც ადამიანის მთელ ქცევაზე (და არა მხოლოდ ზნეობრივზე) უნდა განზოგადდეს. ადამიანს აქვს არჩევანისა და გადაწყვეტილების უნარი და ესაა მისი თავისუფლების არსი. მაგრამ არჩევანის მასალა, ყველაფერი ის, რისი შეფასება, შეწყნარება ან უკუგდება ხდება (მოტივები, განწყობები, ნორმები, ღირებულებები და ა.შ.), ასევე შეფასების წესები და კრიტერიუმები ჩადებულია ფსიქიკაში ნაწილობრივ მისი მემკვიდრეობის, ნაწილობრივ კი აღზრდისა და სოციოკულტურული ზემოქმედების გზით. ამდენად და ამ აზრით, ქცევა დეტერმინებულია.

ძალაუნებურად ჩნდება ანალოგია კომპიუტერთან, რომელიც, ასევე, „თავისუფალ" არჩევანს აკეთებს იმ მონაცემებისა (ინფორმაციის) და წესების (პროგრამა) შესაბამისად, რაც მასშია ჩადებული. „ხელოვნური ფსიქიკის" ბუნებრივთან მიმართების საკითხს ქვემოთ შევეხებით (იხ. XIV თავი). აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ მათ შორის განსხვავება, ალბათ, იმ კრიტერიუმებში უნდა ვეძებოთ, რომლებზე დაყრდნობითაც ხორციელდება არჩევანი და მიიღება გადაწყვეტილება. მანქანა მხოლოდ რაციონალურ საფუძველზე მოქმედებს. ფსიქოლოგიამ უკვე აჩვენა, რომ რაციონალური გადაწყვეტილების მოდელი ადამიანის მოქმედების დასახასიათებლად არასაკმარისი და არაადეკვატურია [3]. კომპიუტერს არ გააჩნია სუბიექტური უპირატესობები, მაგრამ საკითხავია, რატომ? – იმიტომ, რომ ეს პრინციპულად შეუძლებელია, თუ, უბრალოდ, იმიტომ, რომ ჯერ კიდევ ძალზე ცოტაა ცნობილი ემოციურ-მოტივაციური სფეროს შესახებ და ეს ართულებს მის მიდელირებას? როგორც ვხედავთ, დეტერმინაცია-თავისუფლების დიქოტომია ამ კონტექსტშიც იჩენს თავს, რაც მის მართლაც ფუნდამენტურ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად თავისი პრეტენზიისა, სოციობიოლოგია ვერ ჩაითვლება გამართულ ინტერაქციონისტულ თვალსაზრისად, ჯერ ერთი,

მისი უდავო ბიოლოგისტური გადახრის გამო, და მეორეც, იმიტომ, რომ ბიოლოგიური (გენეტიკური) და სოციალური (შეძენილი) მასში, უბრალოდ, პლუს ნიშნით არის გაერთიანებული და ნაკლებად არის გათვალისწინებული მათი იმპლიციტური, ორგანული კავშირი (რაც სხვა ბევრი ინტერაქციონისტული მოდელისთვისაცაა დამახასიათებელი) [9]. ეს კავშირი განსაკუთრებით იჩენს თავს გენოტიპის ონტოგენეტური დაზუსტებისა და გაშლის პროცესში, მაგალითად, ლ. ვიგოტსკის ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, ნატურალური (თანდაყოლილი) ფუნქციების უმაღლეს ფსიქიკურ ფუნქციებად (კულტურულ-ისტორიულად განსაზღვრულ ფუნქციებად) გარდაქმნის პროცესში. გარდა ამისა, სოციობიოლოგიას იგივე თავისებურება ახასიათებს, რაც საერთოდ ფსიქოგენეტიკურ კვლევებს. ა. ანასტაზის თქმით, ესაა მისწრაფება იმისკენ, რომ, უბრალოდ, გაირკვეს, თუ რა არის მოცემული ადამიანის ფსიქიკაში მემკვიდრეობით და რა შედის მასში გარემოდან. საჭიროა შემდგომი ნაბიჯის გადადგმა და იმის ჩვენება, თუ როგორ *ურთიერთქმედებს* ეს ორი ფაქტორი ამა თუ იმ ფუნქციის ფორმირებისას [5][24]. მიუხედავად ამ ხარვეზებისა, სოციობიოლოგია და საერთოდ ფსიქოგენეტიკა, როგორც დისციპლინათშორისი კვლევის სფერო, რომელშიც ფსიქოლოგიაც იგულისხმება, წარმატებით ვითარდება. მომავალში მისგან ბევრად მეტს მოელიან. ამ მიმდინარეობის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან: ედვარდ უილსონი, რობერტ ტრაივერსი, რიჩარდ დოკინსი, ვილიამ ჰამილტონი, ჯონ სმიტი და სხვ.

ლიტერატურა

1. იმედაძე ი., ფსიქოლოგიის ისტორია: ანტიკური ხანიდან ჩვენ დრომდე. მწიგნობარი, თბილისი, 2021.
2. ცაგარელი ს., ქცევის ფიზიოლოგიური საფუძვლები. თსუ, თბილისი, 2015.
3. ჩარკვიანი დ., გადაწყვეტილების მიღების ნორმატიული კრიტერიუმები და პრობლემური ვითარების ობიექტური მახასიათებლები / ფსიქოლოგია, დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის შრომები, ტ. 19. თბილისი, 2004.
4. ჭიჭინაძე კ., აგრესიის ეთოლოგიური, ფსიქოლოგიური, ფიზიოლოგიური გამოვლინებები და მექანიზმები. თსუ, თბილისი, 2010.
5. Анастази А., Дифференциальная психология. Индивидуальные и групповые различия в поведении. Апрель Пресс, М., 2001.
6. Годфруа Ж., Что такое психология. Мир, М., 1996.
7. Докинз Р., Эгоистичный ген. ACT:CORPUS, М., 2013.
8. Дьюсбери Д., Поведение животных: Сравнительные аспекты. Мир, М., 1981.
9. Имедадзе И. В., Интеракционизм и общепсихологическая теория установки / Психологический журнал, 2012, 3. С. 33-44.
10. Лоренц К., Кольцо царя Соломона. Знание, М., 1980.
11. Лоренц К., Агрессия (так называемое зло). Прогресс-Универс, М., 1994.
12. Мак-Дауголл У., Основные проблемы социальной психологии. Космос, М., 1916.
13. Мак-Дауголл У., Различение эмоции и чувства / Психология эмоций. Тексты. МГУ, М.,

1984.

14. Мак-Фарленд Д., Поведение животных: психобиология, этология и эволюция. Мир, М., 1988.
15. Палмер Д., Палмер Л., Эволюционная психология. Прайм-Еврознак, СПб., 2003.
16. Психологическая наука в россии XX столетия: Проблемы теории и истории. Институт психологии РАН, М., 1997.
17. Рьюиз М., Уилсон Э. О., Дарвинизм и этика / Вопросы философии, 1987, 1. С. 94-108.
18. Тинберген Н., Социальное поведение животных. Мир, М., 1993.
19. Хайнд Р., Поведение животных: синтез этологии и сравнительной психологии. Мир, М., 1975.
20. Хегенхан Б., Олсон М., Теории научения. Питер, СПб., 2004.
21. Хекхаузен Х., Мотивация и деятельность. Смысл, М., 2003.
22. Шульц Д. П., Шульц С. Э., История современной психологии. Евразия, СПб., 1998.
23. Эфроимсон В. П., Родословная альтруизма. Этика с позиций эволюционной генетики человека // Новый мир, 1961, 10. С. 190-210.
24. Эфроимсон В. П., Генетика этики и эстетики. Талисман, СПб., 1995.
25. Baron R. A., Richardson, D. R., Human aggression. Plenum Press, New York, 1994.
26. Berkowitz L., Aggression: Its causes, consequences and control. McGraw-Hill, New York, 1993.
27. Boring E. G., History of experimental psychology. Appleton-Century-Crofts, New York, 1950.
28. Buss D. M., The handbook of evolutionary psychology. Wiley, New York, 2005.
29. Claparede E., Psychologie de l'enfant et pedagogie experimentale. Librairic Kundig, Geneve, 1926.
30. Claparede E., La psychologie fonctionnellee / Revue Philosophique. 1933, 115. P. 5-17.
31. Franken R. E., Human motivation. Wadsworth, New York, 2006.
32. Graham L., R. Science, philosophy, and human behavior in the Soviet Union. Columbia University Press, New York, 1987.
33. Leahey T. H., A history of psychology. Main currents in psychological thought. Prentice-Hall, New Jersy, 1992.
34. Lumsden C. J., Wilson E. O. Genes, mind and culture. Harvard University Press, Cambridge, 1981.
35. Lumsden C. J., Does culture need genes? / Ethology and Sociobiology, 1989, 10 (1-3). P. 11-28.
36. Wilson E. O., Sociobiology. The new syntesis. Harvard University Press, Cambridge, MA, 1975.
37. Wilson E. O., The Social conquest of earth. W. W. Norton and Company, New York, 2012.

IX თავი
პერსონოლოგია

პერსონოლოგია, ზუსტი გაგებით, არ არის დამოუკიდებელი ფსიქოლოგიური მიმდინარეობა. ეს უფრო მეცნიერული აზრის გარკვეული მიმართულებაა, სადაც ცენტრალური ადგილი ადამიანის პიროვნებას უკავია. ამ ტერმინში შეიძლება გაერთიანდნენ სხვადასხვა ორიენტაციის მკვლევრები, ვისთვისაც ანალიზის ობიექტი პიროვნებაა. ბიჰევიორიზმსა და გეშტალტფსიქოლოგიაში პიროვნების ცნებისთვის თითქმის არ რჩება ადგილი. ფსიქოანალიზი შეიცავს პიროვნების კონცეფციას, მაგრამ ის უფრო ფართო თეორიულ კონტექსტშია ჩართული და, ამასთან, პიროვნება არ არის ამოსავალი ცნება. ბევრად უფრო „გაპიროვნებულია" ნეოფროიდიზმი და ჰუმანისტური ფსიქოლოგია. და მაინც, საკუთრივ პერსონოლოგიად უნდა მივიჩნიოთ ის ფსიქოლოგიური სისტემები, სადაც პიროვნება საყრდენი, „სისტემის შემქმნელი" ცნებაა და რომელთა ფარგლებში უშუალოდ პიროვნების, მისი სტრუქტურის, თვისებებისა და ა.შ. შესწავლა მიმდინარეობს. ამ თავში ჩვენ განვიხილავთ რამდენიმე გამოჩენილი პერსონოლოგის შეხედულებას.

პირველი ამ რიგში, ყოველ შემთხვევაში ქრონოლოგიურად, და, შესაძლოა კვლევის მასშტაბითაც, უთუოდ გერმანელი ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი **ვილიამ შტერნია** (1871-1938). შტერნი სწავლობდა ბერლინში ჰერმან ებინჰაუსთან. ასწავლიდა ბრესლაუსა და ჰამბურგის უნივერსიტეტებში. ბერლინში მან დააარსა გამოყენებითი ფსიქოლოგიის ინსტიტუტი და ჟურნალი (1906), ხოლო 1919 წელს ჰამბურგში ფსიქოლოგიის ლაბორატორია და პედაგოგიური ფსიქოლოგიის ჟურნალი. 1933 წლიდან ემიგრაციაშია, ჯერ ჰოლანდიაში, შემდეგ აშშ-ში (დიუკის უნივერსიტეტის პროფესორი).

შტერნის შემოქმედება გამორჩეულად მდიდარი და მრავალმხრივია. იგი იყო უნივერსალური მკვლევარი, რომელიც ერთნაირი წარმატებით მოღვაწეობდა ფსიქოლოგიური მეცნიერების სხვადასხვა სფეროში, ეწეოდა ნაყოფიერ თეორიულ და ემპირიულ კვლევას, ქმნიდა მეთოდიკებს. მიუხედავად ამისა, თავისი ცხოვრების მთავარ საქმედ შტერნს ფართომასშტაბიანი თეორიული სისტემის – *პერსონალისტიკის* შექმნა მიაჩნდა. თუმცა ისტორიამ სხვაგვარად განსაჯა. დღეს შტერნი უფრო ცნობილია არა როგორც დიდი კონცეფციის ავტორი, არამედ როგორც მკვლევარი, რომელიც იდგა ფსიქოლოგიის მრავალი მნიშვნელოვანი დარგის სათავეებთან. ასეთებია: დიფერენციალური ფსიქოლოგია, ტესტოლოგია (ინტელექტის კოეფიციენტი IQ მისი შემოღებულია), ფსიქოტექნიკა (შრომის ფსიქოლოგია), ჩვენების ფსიქოლოგია (იურიდიული ფსიქოლოგია). შტერნი საყოველთაოდ ცნობილია როგორც ბავშვის ფსიქოლოგიის უდიდესი სპეციალისტი [3]. რაც შეეხება შტერნის თეორიულ შეხედულებებს, ისინი სწორედ იმით არიან საინტერესო, რომ აქ ყველაზე ადრე პრინ-

ციპულად და ფართოდ დაისვა პიროვნების საკითხი. პიროვნებაზე ცენტრირებული ყოველგვარი პერსონოლოგიური ფსიქოლოგიის საწყისი პუნქტი სწორედ შტერნის მოძღვრებაა.

შტერნი ფსიქოლოგიის განვითარების იმ ხაზს მიჰყვება, რომელიც მთლიანობის იდეიდან ამოდის. მას სავსებით სამართლიანად მიაჩნია, რომ ამ იდეის ხორცშესხმისთვის საჭიროა, წარმოდგენა გვქონდეს ისეთ რეალობაზე, რომლიდანაც ყოველგვარი ფსიქიკური გამომდინარეობს და, რომელიც ცალკეულ ფსიქიკურ მოვლენებს ამთლიანებს. მოკლედ, საჭიროა *ფსიქიკურის სუბსტრატის* მოძიება და დახასიათება. ამის გარეშე ყველაზე მთლიანობითი ფსიქოლოგიაც, თუნდაც ისეთი, როგორიცაა გეშტალტფსიქოლოგია, შეიძლება ახალ ელემენტარიზმად გადაიქცეს. ეს საფრთხე მართლაც არსებობს, თუ გეშტალტი განიხილება როგორც თვითკმარი, მხოლოდ საკუთარ კანონებს დაქვემდებარებული მოვლენა, ანუ ისეთი რამ, საიდანაც, როგორც ელემენტისგან, აიგება ფსიქიკური ცხოვრება. გეშტალტებს შემქმნელი და გამაერთიანებელი ესაჭიროებათ. არ არსებობს გეშტალტი, გარეშე გეშტალტმყოფელისა, ამბობს შტერნი, და ამ ფუნქციას პერსონას, პიროვნებას აკუთვნებს. ფსიქიკური მთლიანობითი ხასიათისაა იმიტომ, რომ იგი მთლიანობითი ბუნების მქონე *პერსონის გამოვლენაა.*

პიროვნების ცნებაზე აქცენტირება შტერნის მიერ, არსებითად, უსუბიექტო ფსიქოლოგიის მანკიერებათა დაძლევას ემსახურება, რაც, უდავოდ, ფსიქოლოგიის სწორი მიმართულებით განვითარების საწინდარია. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ შტერნი უჩვეულოდ აფართოებს პიროვნების (პერსონის) ცნების შინაარსს. პერსონა მხოლოდ ინდივიდუალური სუბიექტი, ადამიანი არ არის; ოჯახი, ერი, კაცობრიობა ე.წ. *ზეადამიანურ პერსონებად* განიხილება. ავტორი უფრო შორსაც მიდის – პერსონებად სიცოცხლის ადამიანამდელი ფორმების გამოვლინებებსაც მოიაზრებს და მეტიც, პერსონათა იერარქიაში, ერთგვარი *ყოვლად პერსონის* სახით, კოსმოსს, საერთოდ სამყაროსაც მიუჩენს ადგილს. ყოველივე ეს, უთუოდ, სამყაროს ფსიქოლოგიზაცია, ყველაფერზე ინდივიდუალური პიროვნების თვისებების გადატანაა, რაც შტერნის ფილოსოფიური კონცეფციის მთავარი საკამათო მომენტია [1].

საერთოდ, შტერნის ფსიქოლოგია განუყრელად არის დაკავშირებული ფილოსოფიასთან. ფსიქოლოგია, მისი აზრით, მეცნიერებათა იმ ჯგუფში შედის, რომელიც პიროვნების სხვადასხვა გამოვლინებებს შეისწავლის. ფსიქოლოგია პიროვნებას განცდის თვალსაზრისით განიხილავს. იკვლევს იმას, თუ როგორ აღმოცენდება განცდა, როგორც პიროვნების ერთ-ერთი თვისება. განიხილავს, რა მნიშვნელობა აქვს მას პიროვნებისთვის. ადამიანის შესახებ სხვა მეცნიერებათა მსგავსად, ფიზიოლოგია იქნება ეს თუ სოციოლოგია, ფსიქოლოგიასაც ესაჭიროება ზოგადი მეცნიერება, რომელსაც ის დაეფუძნება. ასეთად შტერნი მიიჩნევს მის მიერ ჩამოყალიბებულ ფილოსოფიურ დისციპლინას – *პერსონალისტიკას* [44]. აღსანიშნავია, რომ პერსონალისტიკამ ვერ მოიპოვა სათანადო აღიარება სამეცნიერო წრეებში. ფსიქოლოგიამ თავისი მეთოდოლოგიური საფუძვლის ძიებაში სხვა ფილოსოფიურ სისტემებს მიანიჭა უპირატესობა (პოზიტივიზმი, ეგზისტენციალიზმი და სხვ.). სავარაუდოა, რომ სწო-

რედ ამიტომ არ გამოუჩნდა მიმდევრები შტერნის ზოგადფსიქოლოგიურ თეორიას, რომელიც განუყოფელია პერსონალისტიკისგან.

პერსონალისტიკა არის მოძღვრება პიროვნების (პერსონის) შესახებ. პერსონა ინდივიდუალური, თავისებური მთლიანობაა, რომელიც მიზანსწრაფულად მოქმედებს, ღიაა სამყაროსთვის, ცოცხლობს და განიცდის. ეს უკანასკნელი ნიშანი, განცდა, აუცილებელი არ არის. პერსონა შეიძლება განცდის გარეშეც არსებობდეს. სამაგიეროდ მრავალერთიანობის, ინდივიდუალურობისა და მიზანსწრაფულობის ნიშნების გარეშე პერსონა ვერ მოიაზრება. *მრავალერთიანობის* ნიშანი პერსონის ისეთ მთლიანობაზე მიუთითებს, რომელსაც გარკვეული ნაწილები, სტრუქტურა აქვს. *ინდივიდუალურობა* იმას ნიშნავს, რომ ყოველი პერსონა თავისებური, განუმეორებელი და ერთხელობრივია. პერსონებს, როგორც გარკვეული სქესის, ერის ან რასის წარმომადგენლებს, მსგავსი ნიშნები აქვთ, მაგრამ ინდივიდუალური პერსონა ყოველთვის უნიკალური, თავისთავადი სამყაროა და ამით უპირისპირდება ყველა სხვა პერსონას. რაც შეეხება *მიზანსწრაფულობას*, ის პერსონის ანალიზში ცენტრალურ ადგილს იკავებს. პერსონა ყოველთვის მიმართულია გარკვეული მიზნისკენ და იმანენტურად აღჭურვილია სამოქმედოდ. გამოიყოფა ორი ძირითადი მიზანი, რომლებიც პერსონისთვის შინაგანია; ესაა პიროვნების *თვითშენარჩუნება და თვითგანვითარება*. ცხადია, პერსონა ისეთ მიზნებსაც ახორციელებს, რომელთა სათავე პიროვნების მიღმა, სოციალური სინამდვილის ფასეულობებსა და ღირებულებებშია, მაგრამ ისინი მხოლოდ მაშინ იქცევიან პერსონის მოქმედების მიზნებად, თუ პიროვნება მათ გაითავისებს, გაიშინაგანებს. ამას შტერნი *ინტროცეფციას* უწოდებს.

იმისთვის, რომ პერსონამ გარკვეული მიზნები დაისახოს და მათი რეალიზაცია მოახდინოს, მას წინასწარ უნდა ჰქონდეს ამის შინაგანი პოტენცია. პერსონის ეს თვისება ე.წ. *დისპოზიციების* სახით არის წარმოდგენილი. ყოველ დისპოზიციაში ერთდროულად მოცემულია მოქმედების ტენდენციაც და უნარიც. იმის მიუხედავად, თუ რომელი მხარე ჭარბობს, გამოიყოფა *შესაძლებლობების (აღჭურვილობის) და დამოკიდებულების (მიმართულების)* დისპოზიციები, რაც ერთგვარად, ინტელექტისა და ინტერესის დაყოფას მოგვაგონებს. ამასთან, დისპოზიციები უნდა განვიხილოთ არა როგორც დამოუკიდებელი ძალები ან ნიჭები, არამედ როგორც მთლიანი პიროვნების ერთეულები[1]. ცალკეული დისპოზიციების (მაგალითად, გარკვეული უნარ-თვისებების) გამოკვლევა აუცილებელია და სასარგებლო, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მთლიანობის შესწავლით არის შევსებული.

პიროვნების შინაგანი პოტენციალის გამოვლენა მხოლოდ გარემოში და გარემოსთან მიმართებით ხდება. ამრიგად, შტერნის წინაშე დგება პრინციპული საკითხი შინაგანის, თანდაყოლილისა და გარეგანის, შეძენილის ურთიერთმიმართების შესახებ. მეცნიერების ისტორია ამ საკითხის გადაწყვეტის ორ ვარიანტს იცნობს – *ნატივისტურს და ემპირისტულს*. ნატივისტური შეხედულების მიხედვით, პიროვნების

[1] ამიტომაც, სხვათა შორის, შტერნი საკმაოდ კრიტიკულად იყო განწყობილი ინტელექტის ტესტებით გატაცების მიმართ და თავისი ადრინდელი გამოგონების (ინტელექტის კოეფიციენტის) ფართო გავრცელებას დამლუპველიც კი უწოდა [44].

მოქმედებასა და განვითარებას ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს პიროვნების მემკვიდრულად მოცემული უნარები. ემპირიზმის თანახმად კი, პიროვნების ჩამოყალიბების მთელი პროცესი გარეგანი ფაქტორების გავლენით წარიმართება. თავისი *კონვერგენციის თეორიით* შტერნი ცდილობს, დაძლიოს ამ თვალსაზრისების ცალმხრივობა. კონვერგენცია ნიშნავს გარესამყაროსა და მიზანსწრაფული პიროვნების ურთიერთქმედებას. არ არსებობს პიროვნების რაიმე ისეთი თვისება ან მის მიერ განხორციელებული მოქმედება, რომელშიც აუცილებლად არ მონაწილეობდეს ორივე ფაქტორი – შინაგანი ტენდენცია და გარეგანი ზემოქმედება. პიროვნება და სამყარო ურთიერთგამსჭვალულია. პიროვნულ სამყაროდ გარე სამყაროს მხოლოდ ის ნაწილი იქცევა, რომელიც ეხმარება ან ეწინააღმდეგება პიროვნების შინაგან სწრაფვას ამა თუ იმ მიმართულებით. ამავე დროს, მხოლოდ ის შინაგანი პიროვნული მიზანსწრაფვა შეიძლება განხორციელდეს და პერსონალური ცხოვრების თავისებურებები განაპირობოს, რომლისთვისაც გარეგანი პირობები გამღიზიანებლის, მასალის, ამოცანის, ჯილდოს ან სასჯელის ხასიათს მიიღებს. ამაში მჟღავნდება პერსონას განსაზღვრებაში მოცემული პიროვნების სამყაროსადმი გახსნილობის ნიშანი.

კონვერგენციის თეორია პიროვნების განვითარებაზე შტერნის შეხედულებათა საფუძველია. შტერნმა უდიდესი წვლილი შეიტანა ბავშვის ფსიქოლოგიის კვლევაში; ემპირიულად შეისწავლა ფსიქიკური ონტოგენეზის დინამიკა, შეასრულა მნიშვნელოვანი თეორიული სამუშაო (წარმოადგინა თამაშის ორიგინალური კონცეფცია, დაამუშავა ფსიქიკური განვითარების პერიოდიზაციის პრობლემა და ა.შ.) [3][6]. ყოველივე ამას დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ განვითარების საკითხი არსებითია პერსონოლოგიის მთელი კონცეფციის თვალსაზრისითაც. პიროვნება სტრუქტურირებული მთლიანობაა, მაგრამ ეს მთლიანობა არასდროს არ არის ერთხელ და სამუდამოდ დასრულებული, იგი მუდმივი განვითარებაა. ამასთან, პიროვნების განვითარება ისე კი არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც მოვლენათა უბრალო თანმიმდევრობა, რომელიც სტრუქტურის რომელიმე ელემენტში გვხვდება, არამედ პიროვნების, როგორც მთლიანის „თვითგახსნა“. განვითარებაში თითოეული კერძო მიღწევა მთელი პიროვნების წარმატებაა. ის გამოიხატება: 1. ზრდაში – ფსიქოფიზიკური ძალებისა და განცდების რაოდენობრივი მატება; 2. დიფერენციაციაში – მოძრაობა დიფუზიური მდგომარეობიდან დანაწევრებულობისკენ; და 3. გადასხვაფერებაში – პიროვნება თავის განვითარებაში გაივლის თვისებრივად განსხვავებულ, მაგრამ შინაგანად განსაზღვრულ ეტაპებს.

პერსონა, როგორც სამყაროს სუბსტანცია, *ფსიქოფიზიკურად ნეიტრალურია*. იგი, თავისთავად, არც მატერიალურია, არც სულიერი, მაგრამ აქვს როგორც გარე, ისე შიდა გამოვლინება. ეს გამოიხატება ყოველგვარი მოქმედების სხეულებრივ და ფსიქიკურ ასპექტებში. ფსიქიკური – პიროვნების შინაგანი გამოვლინებაა. „პიროვნება თავის ყოფნას ცნობიერ ყოფნად აქცევს, თავის ცხოვრებას განცდად“ [7; 69]. ფსიქოლოგია სწორედ ის მეცნიერებაა, რომელიც ამ ფსიქიკურ მოვლენებს შეისწავლის. მაგრამ, ვინაიდან ყოველი ფსიქიკური ფენომენი პიროვნული ფენომენიცაა, უფრო მეტიც, პიროვნების შინაგანი გამოვლენაა, ის იმ თვალსაზრისით უნდა შეისწავლებოდეს, თუ რა ადგილი უკავია და რა როლს ასრულებს პიროვნების ფუნქცი-

ონირებაში. ამიტომაც, როგორც ითქვა, ფსიქოლოგიის მეცნიერული წანამძღვარი სწორედ პერსონალისტიკაა.

სულიერი სამყაროს პირველად ფაქტს *განცდა*, ანუ, რაც იგივეა, *ცნობიერება* შეადგენს. როგორ და რისთვის აღმოცენდება ცნობიერება? ამის გასარკვევად შტერნი ერთმანეთს უპირისპირებს კონვერგენციისა და კონფლიქტის ცნებებს. კონვერგენცია წარმოშობს და წარმართავს პიროვნების ცხოვრებას, *კონფლიქტი* კი წარმოშობს ამ ცხოვრების განცდას. განცდა, ცნობიერება პერსონის ინსტრუმენტია სამყაროსთან კონფლიქტის დასაძლევად. თუ ცხოვრება ჩვეული გზით მიემართება, თუ გარეგანი ფაქტორები და შინაგანი დისპოზიციები უპრობლემოდ ურთიერთზემოქმედებენ, ცხოვრებაც თვითკმარია და თავის თავის დანახვას არ საჭიროებს. თუ რაიმე შეუთანხმებლობამ, შეფერხებამ ან წინააღმდეგობამ იჩინა თავი, ეს კონფლიქტი „ცნობიერების ნაპერწკალს“ ისვრის [7]. ამიტომაც ცნობიერებაში მთელი სიცოცხლე კი არ აისახება, არამედ მხოლოდ მისი მებრძოლი მხარე: მე-ს ცნობიერებაში – მე-ს მებრძოლი ნაწილი, ხოლო ობიექტის ცნობიერებაში სამყაროს მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც „დაუფლებული“ ან „აცილებული“ უნდა იქნეს. თუ განცდის ობიექტი თვით პიროვნებაა, მაშინ ამ უკანასკნელის აქტუალური მდგომარეობა *გრძნობის* სახით განიცდება. პიროვნების აქტივობა განცდაში *ნებისყოფის* სახითაა მოცემული, ხოლო პერსონის დროში ხანგრძლივი არსებობა, როგორც *თვითცნობიერება*. თუ განცდის ობიექტი გარე სამყაროა, მისი ამჟამინდელი მდგომარეობა განიცდება როგორც *აღქმა*, წარსული და მომავალი – როგორც *წარმოდგენა* და *აზრი*, ხოლო დროში მისი მყარი არსებობა როგორც *იდეა*.

ცნობიერებას აქვს *სიღრმის განზომილება*. ამ მხრივ ცნობიერებაში გარკვეული დონეები გამოიყოფა. ცნობიერების ზოგი შინაარსი უფრო გამოკვეთილია, ზოგიც უფრო დიფუზიური, ნაკლებად ნათელი, დაფარული. მთლიანად დაფარული *არაცნობიერია*. განვითარების შედარებით დაბალ საფეხურებზე (ცხოველი, ბავშვი, პრიმიტიული ადამიანი) ცნობიერების როლი ნაკლებია. მოზრდილი კულტურული პიროვნების ცხოვრებაში ცნობიერება უზარმაზარ მნიშვნელობას იძენს, ვინაიდან მისი შინაგანი სამყარო რთულია. ასევე მრავალფეროვანია გარესამყაროსთან მიმართებებიც. აქედან გამომდინარე, წარმოიქმნება ბევრი დაბრკოლება თუ სირთულე, ხოლო კონფლიქტი, როგორც ითქვა, ცნობიერების ჩართვის პირობა და სტიმულია. მიუხედავად ამისა, ცნობიერების როლი აქაც ნაწილობრივია და ის აუცილებლად უნდა შეივსოს არაცნობიერით.

პერსონალისტური ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, პიროვნებაში არაცნობიერია ყოველივე ის, რასაც კავშირი აქვს მისი ცნობიერების მოვლენებთან, რასაც მნიშვნელობა აქვს მათთვის, თვითონ კი ცნობიერი არ არის. შტერნი არაცნობიერი მოვლენების ორ ჯგუფს გამოყოფს: *ქვეცნობიერს და ზეცნობიერს*. ქვეცნობიერია პიროვნების ყველა მდგომარეობა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის, ან უკვე აღარ არის ცნობიერი, წინ უსწრებს ან თან სდევს ცნობიერებას, მისი მოსამზადებელი საფეხური ან შემდგომი მოქმედებაა. ასეთებია ზღურბლქვედა გამღიზიანებლები, შთაბეჭდილებების კვალი, რომელიც მეხსიერებაში ინახება და შეიძლება ისევ გამოჩნდეს ცნობიერებაში

მოგონების სახით; ქვეცნობიერშივე თავსდება ის იშვიათი უკიდურესი მდგომარეობებიც, სადაც ცნობიერების გამომწვევი კონფლიქტი დროებით ცხრება (ექსტაზი, მისტიკური ჭვრეტა და სხვ.).

ზეცნობიერს მიეკუთვნება ყოველივე ის, რაც მეტია, ვიდრე მხოლოდ ცნობიერება. აქ შედის პიროვნების ქმედების აქტიური სახეები (მოღვაწეობა, შემოქმედება), რომლებიც სარგებლობენ ცნობიერებით, მაგრამ თვითონ ცნობიერებას არ შეადგენენ. პიროვნების აქტიობა დისპოზიციების გამოვლინებაა. დისპოზიციები კი პერსონაში იმყოფებიან და არა ცნობიერებაში. ისინი მოქმედების არაცნობიერ, ან, უფრო კონკრეტულად, ზეცნობიერ უნარიანობას შეადგენენ. დაბოლოს, ზეცნობიერის უმაღლესი საფეხური თვით პიროვნებაა. პიროვნება „ცნობიერების შემოქმედია“, იგი ამთლიანებს და აზრს აძლევს ცალკეულ განცდებს, ცნობიერების შინაარსებს. ცნობიერი და არაცნობიერი ერთად ამოწურავს ფსიქიკურის ცნების შინაარსს. ფსიქიკური მოვლენები, პროცესები და თვისებები არსებობს მხოლოდ როგორც კონკრეტული პერსონის კუთვნილება. მათი არსი და აზრი იმის მიხედვით ირკვევა, თუ რა ადგილი უკავიათ პიროვნებაში და რა მნიშვნელობა აქვთ მისთვის. ამდენად, ფსიქოლოგიის განმსაზღვრელ კატეგორიას ფსიქიკა კი არა პიროვნება შეადგენს.

შტერნი ცდილობდა ზოგადი ფსიქოლოგიის რეკონსტრუირებას პერსონალისტიკის პოზიციებიდან. მან საფუძვლიანად განიხილა ცნობიერების პროცესები პიროვნებასთან მათი კავშირისა და ფუნქციის თვალსაზრისით. ამით ზოგადი ფსიქოლოგიის ტრადიციულმა თემებმა (აღქმა, მეხსიერება, აზროვნება, ნებელობა და ა.შ.) ახალი, საინტერესო ჟღერადობა შეიძინა [45]. მაგალითისთვის, ძალიან მოკლედ გრძნობის პერსონალისტურ ანალიზს შევეხოთ. ოლპორტის შეფასებით, მასთან შედარებით ვუნდტის გრძნობის თეორია ქვის ხანაა [15]. მართლაც, შტერნი გრძნობის მრავალ, იმ დროისთვის ახალ ასპექტს, თვისებას თუ სახეობას შეეხო. გრძნობები მეტ-ნაკლებად გამოკვეთილია: ზოგი მათგანი უფრო საგანს მიეკუთვნება (საგნობრივი გრძნობები), ზოგი – პიროვნებას (ემოციები). ისინი უკავშირდებიან წარსულსაც (ნაღველიანობა, ნოსტალგია), აწმყოსაც (თავზარი, რისხვა) და მომავალსაც (შფოთვა, იმედი). განსხვავებული გრძნობებით ხასიათდება ქცევის დასაწყისი ეტაპი, მისი მიმდინარეობა და დასასრული. გრძნობები განსხვავდება სიღრმით, პიროვნებაში გავრცელებულობით, სუბიექტურობით, სიმყარით, სერიოზულობით და ა.შ. ისინი დაკავშირებული არიან როგორც ფიზიოლოგიურ, ისე სოციალურ ფუნქციებთან და ვლინდებიან როგორც ადაპტაციურ, ისე ექსპრესიულ მოქმედებაში. წარმოდგენილი მახასიათებლების უმეტესობა დღესაც გამოიყენება ემოციების ფსიქოლოგიაში. არსებითად, იგივე ითქმის შტერნის მიერ სხვა ფსიქიკური ფუნქციების ანალიზის შესახებაც, მაგრამ თვით პერსონალისტურმა კონცეფციამ, როგორც უკვე აღინიშნა, ფსიქოლოგიაში დიდი აღიარება და გაგძელება ვერ პოვა. ამის მთავარი მიზეზი, ალბათ, ის არის, რომ პიროვნების, ფსიქიკისა და ცნობიერების ცნებების პერსონალისტური გაგება ძალზე ზღუდავს ფსიქოლოგიური მეცნიერების კვლევისა და გამოყენების არეს.

შტერნის მიხედვით, ფსიქოლოგიის საგანი *განცდა ანუ ცნობიერებაა*. ფსიქოლოგიამ უნდა შეისწავლოს მისი აღმოცენების პირობები, მისი რაგვარობა, ფუნქციო-

ნირების წესი და კანონზომიერება. მაგრამ ამის გასაგებად და ასახსნელად ფსიქოლოგიას უხდება ცნობიერების ფარგლებს გარეთ გასვლა და კვლევითი ინტერესის მიმართვა იმაზეც, რაც პერსონაში არსებითადაა დაკავშირებული განცდასთან. პერსონალურ მოვლენათა ამ უფრო ფართო სფეროს *ფსიქიკა* ენოდება. აქედან გამომდინარე, საკმაოდ რთული ხდება პერსონალისტიკისა და ფსიქოლოგიის კომპეტენციის გამიჯვნა და თვით ფსიქოლოგიის საკვლევი მოვლენების წრის შემოფარგვლა. მართლაც, თუ ფსიქოლოგია მხოლოდ ცნობიერებას შეისწავლის, იგი არ არის მეცნიერება ფსიქიკის შესახებ, ვინაიდან ფსიქიკა მოიცავს ცნობიერს და არაცნობიერს. თუმცა აქვე ირკვევა, რომ არაცნობიერის შესწავლაც ფსიქოლოგიის საქმეა; მეორე მხრივ, თუ ფსიქიკის არაცნობიერი მხარე ცალსახად პიროვნულ სამყაროს ეკუთვნის (რასაც შტერნი ხაზგასმით აღნიშნავს), იგი პერსონალისტიკის კომპეტენცია ყოფილა და ფსიქოლოგიამაც მისი მონაცემებით უნდა იხელმძღვანელოს, მაგრამ ამ შემთხვევაში ფსიქოლოგია თავისი ტრადიციული და უმნიშვნელოვანესი თემების გარეშე რჩება. ძნელია დაარწმუნო თანამედროვე ფსიქოლოგი იმაში, რომ მან არ უნდა იკვლიოს პიროვნება, მისი სტრუქტურა, თვისებები და ა.შ. ან რატომ უნდა შეელიოს ფსიქოლოგია არაცნობიერის შესწავლას სწორედ მაშინ, როცა დიდი ძალისხმევის ფასად, იგი თავისი კვლევის არეში მოაქცია. ის მოვლენები, რომლებიც შტერნს არაცნობიერში შეაქვს (ქცევა, შემოქმედება, უკიდურესი მდგომარეობები, მეხსიერება, დისპოზიციები), საკმაოდ წარმატებით შეისწავლება ფსიქოლოგიის მიერ. განსაკუთრებით საკვირველია დისპოზიციების ამოღება ფსიქოლოგიის კომპეტენციიდან, შტერნი ხომ თვითონ იყო მათი, სახელდობრ ინტელექტის, კონკრეტულ-ფსიქოლოგიური შესწავლის ერთ-ერთი ინიციატორი [23].

მთლიანად ფსიქიკაც (ცნობიერი თუ არაცნობიერი) და პიროვნებაც, მისი ფსიქოლოგიური განზომილებებით, ფსიქოლოგიის ფარგლებში უნდა მოექცეს. ეს ის ძირეული კატეგორიებია, რომელთა გარეშე თანამედროვე ფსიქოლოგია ვერ მოიაზრება. ნებით თუ უნებლიეთ, შტერნმა ფსიქოლოგია კვლავ ტრადიციული ცნობიერების ჩარჩოებში მოაქცია, ამიტომაც მას არავინ გაჰყვა. შტერნის მსჯელობის ლოგიკას XIX საუკუნის დიდებული მითის ანაბეჭდი ეტყობაო – თქვა მისმა მოწაფემ და საუკეთესო ინტერპრეტატორმა გორდონ ოლპორტმა. მიუხედავად ამისა, ოლპორტისავე შეფასებით, პერსონის ცნებაზე ცენტრირებით შტერნმა მძლავრი იმპულსი მისცა პიროვნების ფსიქოლოგიის განვითარებას [15]. ამასთან, შტერნი დაინტერესებული იყო არა მხოლოდ პიროვნების ფენომენის ზოგადი ბუნების დადგენით, არამედ პიროვნების ინდივიდუალურობისა და პიროვნებათშორისი განსხვავებულობების დადგენით. იგი შეეცადა, შეექმნა *დიფერენციალური ფსიქოლოგიის* მთლიანი კონცეფცია, რომელიც მოიცავს ინტელექტისა და ნიჭების, ტემპერამენტისა და ხასიათის, მეხსიერების, აზროვნების, ყურადღებისა და სხვა ფუნქციების ტიპების შესწავლას. ამავე დისციპლინის ჩარჩოებში უნდა განხორციელდეს გენიოსების, სხვადასხვა სქესის, რასის, სოციალური ჯგუფისა და ა.შ. ინდივიდების შედარებითი ანალიზი [24].

რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ კონვერგენციის თეორიაზე. შტერნის შემოქმედების მკვლევართა მიერ ეს თეორია შეფასებულია როგორც ერთ-ერთი უდიდესი

მნიშვნელობის მონაპოვარი [1]. მართლაც, დღეს ყველგან, სადაც მსჯელობის საგნად იქცევა პიროვნებისა და მისი აქტივობის განვითარების შინაგანი და გარეგანი ფაქტორები, კონვერგენციის იდეას იხსენებენ, მაგრამ ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში დ. უზნაძემ აჩვენა ამ კონცეფციის სერიოზული ნაკლი [4]. საქმე ისაა, რომ კონვერგენცია მხოლოდ შინაგანისა და გარეგანის ურთიერთქმედების ფაქტს აღწერს, მაგრამ ვერ ხსნის, თუ რა აქცევს მას კანონზომიერ მოვლენად. შინაგანი და გარეგანი ერთმანეთისგან არსებითად განსხვავებულ და გამიჯნულ ფაქტორებად განიხილება, რომელთა შეხვედრა და შეკავშირება მხოლოდ შემთხვევითი ხასიათისა შეიძლება იყოს. მაგრამ სინამდვილეში, აქტივობისა და განვითარების პროცესები ამ ფაქტორების არა შემთხვევითი, არამედ სავსებით კანონზომიერი და მიზანშეწონილი ურთიერთქმედების გზით ხორციელდება. ეს იმიტომაა შესაძლებელი, რომ მათ შორის იმთავითვე არსებობს გარკვეული ერთიანობა (კოინცინდენცია), ისინი ერთმანეთს გულისხმობენ და აპირობებენ. მაგალითად, თვალს, როგორც თანდაყოლილ ორგანოს, ისეთი სტრუქტურა და ფუნქცია აქვს, რომელიც გულისხმობს მასზე სრულიად გარკვეულ ზემოქმედებას. ამის გარეშე თვალი არც იმოქმედებს და არც განვითარდება. მხედველობის ფუნქცია შინაგანისა (თვალის სტრუქტურა) და გარეგანის (ელექტრომაგნიტური ტალღები) განუყოფელი ერთიანობაა. ასევეა ყველა სხვა ფსიქოფიზიკური და ფსიქიკური ფუნქციების შემთხვევაშიც. შინაგანში გარეგანია ჩანერილი, ხოლო გარეგანში ის სტრუქტურა იგულისხმება, რომელზეც მან უნდა იმოქმედოს. ამ ერთიანობას ითვალისწინებს პედაგოგიკა, რომელიც ყოველი ფუნქციის განვითარებისთვის შესატყვისი ზემოქმედების ორგანიზაციას აკეთებს. ერთი სიტყვით, შტერნის კონვერგენციის თეორიის სირთულეები უზნაძის *კოინცინდენციის თეორიაში* იქნა დაძლეული. სამწუხაროდ, ეს უკანასკნელი თითქმის არ არის ცნობილი ფართო სამეცნიერო საზოგადოებისთვის.

ჰენრი მიურეი (1893-1988) კიდევ ერთი გამოჩენილი პერსონოლოგია. ტერმინი *პერსონოლოგია* სწორედ მიურეის მიერაა შემოტანილი თავის ყველაზე ცნობილ წიგნში „პიროვნების გამოკვლევები“ (1938). ან მიიღო სამედიცინო-ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური განათლება (ჰარვარდი, კემბრიჯი). ერთხანს კონსულტაციებს გადიოდა კ. იუნგთან, რამაც აღუძრა ინტერესი სიღრმის ფსიქოლოგიისა და არაცნობიერის მიმართ. თითქმის მთელი სიცოცხლე მოღვაწეობდა ჰარვარდში პროფესორად და ფსიქოლოგიური კლინიკის ხელმძღვანელად.

მიურეის პერსონოლოგია აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ ქცევა მთლიანია და მისი გაგება-დახასიათება შეუძლებელია პიროვნებისგან მოწყვეტით. პიროვნების ანალიზის ძირითადი ერთეული *მოთხოვნილებაა*. მოთხოვნილება მიურეის კონცეფციაში იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც პიროვნების ნიშან-თვისება სხვა პერსონოლოგებთან, მაგალითად ოლპორტთან. მაგრამ, თუკი ოლპორტს ქცევა არსებითად პიროვნებიდან გამოჰყავს, მიურეის პოზიცია ამ მხრივ აშკარად *ინტერაქციონისტულია*. ქცევის დეტერმინაციაში იგი თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს როგორც პიროვნულ, ისე სიტუაციურ ფაქტორებს. ორგანიზმი (პიროვნება) და გარემო (ფიზიკური თუ სოციალური) ერთიანობაში უნდა იყვნენ განხილული. ისინი ქმნიან ურთიერთქმედების

ერთეულს, რომლის წევრები ერთმანეთს განაპირობებენ. ძირითადი ცნებები, რომელთა ურთიერთშესაბამისობასაც აანალიზებს მიურეი, ესაა პიროვნების მხრიდან მოთხოვნილება, ხოლო გარემოს მხრიდან – პრესი (დაწოლა).

მიურეის თანახმად, „მოთხოვნილება ტვინში მოქმედი უცნობი ფიზიკურ-ქიმიური ბუნების ძალის აღმნიშვნელი კონსტრუქციაა (კონვენციონალური ფიქცია ან ჰიპოთეტური წარმოდგენა), რომელიც ორგანიზებას უკეთებს პერცეფციას, აპერცეფციას, ინტელექტის მოქმედებასა და ნებისმიერ ქცევას ისე, რომ მოცემული არადამაკმაყოფილებელი სიტუაცია გარკვეული მიმართულებით შეიცვალოს“ [42; 123]. მოთხოვნილება დაძაბულობის რედუქციის პრინციპით მოქმედებს, რაც მიზანშეწონილ შეგუებას უზრუნველყოფს. მოთხოვნილება იძლევა იმპულსს, წარმართავს ძალებს, მიმართავს ყურადღებას, ირჩევს მოქმედებას, განაპირობებს გადაწყვეტილებას, ხოლო ზოგჯერ ილუზორულ აღქმებსა და ბოდვით აზრებს აღძრავს.

დიდ ყურადღებას უთმობს მიურეი მოთხოვნილებათა სახეებისა და ტიპების დახასიათებას. პირველ ყოვლისა, გამოყოფს პირველად ანუ *ვისცეროგენურ* და მეორეულ ანუ *ფსიქოგენურ* მოთხოვნილებებს. ვისცეროგენური მოთხოვნილებები დაკავშირებულია სპეციფიკურ ორგანულ პროცესებსა და სხეულებრივ დაკმაყოფილებასთან. ესენია: კვების, წყურვილის, სუნთქვის, სექსის, ურინაციის, დეფეკაციის, ძილისა და სხვა მოთხოვნილებები. ფსიქოგენური მოთხოვნილებები არ უკავშირდება რაიმე სპეციფიკურ ორგანულ პროცესს ან ფიზიკური სახის დაკმაყოფილებას, ასეთებია: მიღწევის, მფარველობის, აღიარების, დამოუკიდებლობის, დომინირების, აგრესიის, წესრიგისა და სხვა მოთხოვნილებები.

მიურეი ერთმანეთისგან მიჯნავს, აგრეთვე, ღია ანუ *მანიფესტურ* და ფარულ ანუ *ლატენტურ* მოთხოვნილებებს. აქ ლაპარაკია მოთხოვნილებებზე, რომლებიც მეტ-ნაკლებად ღიადაა მოცემული და მოთხოვნილებებზე, რომლებიც შეკავებული და განდევნილია. მანიფესტური მოთხოვნილებები, ჩვეულებრივ, პრაქტიკულ ქცევაში ვლინდება, ხოლო ლატენტური – ფანტაზიასა და სიზმარში. ფარულ მოთხოვნილებათა არსებობა შედეგია ე.წ. *ინტერნალიზებული სტრუქტურების* (სუპერეგო) მოქმედებისა, რომლებიც განსაზღვრავენ იმას, თუ რა არის სწორი და მისაღები ქცევა. გარკვეული მოთხოვნილებები ვერ გამოვლინდება, თუ არ დაირღვა არსებული საზოგადოებრივი კონვენციები და ნორმები. ამიტომ ისინი ხშირად მოქმედებენ ფარულ, ლატენტურ რეჟიმში.

განიხილება *ფოკალური და დიფუზიური* მოთხოვნილებები. მოთხოვნილებათა ასეთი დაყოფა მათი ობიექტებთან მიმართების საფუძველზე ხდება. ფოკალური მოთხოვნილებები მჭიდროდაა დაკავშირებული გარემოს ობიექტების შემოსაზღვრულ წრესთან. თუ მოთხოვნილება დაკავშირებულია არაადეკვატურ ობიექტთან, მაშინ ხდება ე.წ. *ფიქსაცია*, რაც, ჩვეულებრივ, პათოლოგიად განიხილება. დიფუზიური მოთხოვნილებები ობიექტების ფართო წრეს მოიცავს. მოთხოვნილებასთან დაკავშირებული გარეგანი მოვლენების არეალი შეიძლება გაფართოვდეს ან შევიწროვდეს, რაც, თავის მხრივ, ცვლის მასთან ასოცირებული ქცევების რაოდენობას.

დაშვებულია *პროექტიული და რეაქტიული* მოთხოვნილებების არსებობა. პრო-

ექტიული მოთხოვნილება შინაგანად, სპონტანურად არის დეტერმინირებული იმით, რაც პიროვნებაშია. რეაქტიული მოთხოვნილება კი გარედანაა განსაზღვრული; ის გარემოში მიმდინარე პროცესის შედეგი და მასზე პასუხია. ეს ცნებები გამოიყენება ინდივიდებს შორის ურთიერთქმედების პროცესის აღსაწერადაც, სადაც ერთი გვევლინება *პროექტორის* ანუ გამომწვევის როლში (სვამს კითხვებს, იწვევს სტიმულებს, რომლებზეც სხვამ პასუხი უნდა გასცეს), მეორე კი *რეაქტორის* ანუ მოპასუხის როლში (რეაგირებს პროექტორის მიერ პროდუცირებულ სტიმულებზე).

დასასრულ, გამოიყოფა *პროცესის, მოდალობისა და ეფექტის* მოთხოვნილებები. ეფექტის მოთხოვნილებას სასურველ მდგომარეობამდე ან შედეგამდე მივყავართ. პროცესისა და მოდალობის მოთხოვნილება კი განიხილება როგორც ტენდენცია, განხორციელდეს გარკვეული აქტები თვით განხორციელების გამო. პროცესუალური აქტივობა გამოიხატება სხვადასხვა პროცესის (მხედველობა, სმენა, აზროვნება, მეტყველება და ა.შ.) უწესრიგო, არაკოორდინირებული, არაფუნქციონალური მიმდინარეობით. აქ ლაპარაკია ფუნქციობიდან მიღებულ სიამოვნებაზე, მოქმედებაზე მოქმედებისთვის. მოდალობის მოთხოვნილებაც ისეთ აქტივობას იწვევს, რომელიც თვითონაა სიამოვნების წყარო, მაგრამ ამისთვის საჭიროა, რომ იგი საკმარისად მაღალ დონეზე განხორციელდეს (მუსიკალური ვირტუოზობა, ლოგიკური სიცხადე, მჭევრმეტყველება და სხვ.).

მოთხოვნილებები ერთმანეთისგან განცალკევებულად არ არსებობენ. ისინი ხშირად ერთდროულად აქტუალიზდებიან და გარკვეულ ურთიერთობაში შედიან ერთმანეთთან. მიურეი ადასტურებს მოთხოვნილებათა ურთიერთქმედების ოთხ სახეს: *გაბატონებას, კონფლიქტს, შერწყმას და დაქვემდებარებას*. გაბატონების შემთხვევასთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა ერთ-ერთი მოთხოვნილება ინტენსივობის ისეთ დონეს აღწევს, რომ მისი დაკმაყოფილების გადადება შეუძლებელი ხდება (მაგალითად: ტკივილი, წყურვილი, შიმშილი და სხვ.). ამ მოთხოვნილებათა მინიმალური დაკმაყოფილება აუცილებელი პირობაა სხვა, ერთდროულად მოცემულ მოთხოვნილებათა აქტივობაში გამოსაყვლინებლად.

მოთხოვნილებები კონფლიქტურ მდგომარეობაშია, როდესაც დაახლოებით თანაბარი ინტენსივობის ორი ან მეტი მოთხოვნილება ერთდროულად მოითხოვს აქტივობის წარმართვას სხვადასხვა მიმართულებით. მოთხოვნილებათა შორის კონფლიქტი მათი დაკმაყოფილების პრიორიტეტებს ეხება და იგი კონკრეტული მოთხოვნილების გაბატონების წინა ვითარებაა. მიურეის პერსონოლოგიაში პიროვნების მნიშვნელოვან მახასიათებლად განიხილება ის, თუ რა ინტენსივობისაა მოტივაციური კონფლიქტები და რა სახისაა მასში ჩართული მოთხოვნილებები.

იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი აქტივობის ფარგლებში კმაყოფილდება რამდენიმე მოთხოვნილება, ლაპარაკია მოთხოვნილებათა შერწყმაზე. დაბოლოს, თუ ერთი მოთხოვნილება ემსახურება მეორის დაკმაყოფილებას, ხელს უწყობს მის რეალიზაციას, შეიძლება ვილაპარაკოთ ერთი მოთხოვნილების მიერ მეორის დაქვემდებარების ან სუბსიდიაციის შესახებ. მაგალითად, პიროვნება შეიძლება ავლენდეს აგრესიულ ტენდენციას, მაგრამ ეს მხოლოდ აღიარების მოთხოვნილების დაკმაყო-

ფილებას ემსახურებოდეს. ყოველთვის, როცა ერთი მოთხოვნილების დაკმაყოფილება მხოლოდ სხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებაა, შეიძლება ითქვას, რომ იგი მის სუბსიდირებას ახდენს. ინდივიდში მოთხოვნილებათა დაქვემდებარების შესწავლა მნიშვნელოვანია, ვინაიდან ამას პიროვნების მოტივაციურ იერარქიაზე და დომინირებულ მოტივებზე გავყავართ.

როგორც უკვე აღინიშნა, მიურეის თანახმად, ქცევა განსაზღვრულია როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორებით. მოთხოვნილება ქცევის შინაგანი, პერსონის მხრიდან მოქმედი დეტერმინანტია, ხოლო პრესი (დაწოლა) ქცევის მნიშვნელოვანი დეტერმინანტია გარემოს მხრიდან. პრესი, რომელიც ხორციელდება გარემოს ობიექტის ან სხვა ადამიანის მხრიდან, აადვილებს ან ართულებს გარკვეული მიზნის მისაღწევად წარმართულ აქტივობას. ავტორისეული ფორმულირებით: „ეს არის ობიექტის ან სიტუაციის მიერ სუბიექტზე განხორციელებული ერთგვარი ზეწოლა, რომელიც, ჩვეულებრივ, აღიქმება მის მიერ ორგანიზმისთვის საფრთხის ან სარგებლობის შემცველი სტიმულების ერთობლიობად“ [42; 148]. ამრიგად, პრესი დაკავშირებულია საგნებთან ან ადამიანებთან, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენენ სუბიექტის მიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პროცესზე. ცხადია, ჩვენ უკეთ გვეცოდინება, რას მოიმოქმედებს პიროვნება, თუ გამოვავლენთ არა მხოლოდ მის მოტივებსა და ტენდენციებს, არამედ იმასაც, თუ როგორ აღიქვამს და აფასებს იგი გარემოს. პრესის ცნება მიურეის სისტემაში სწორედ ამას ემსახურება. მიურეი გამოყოფს ალფა და ბეტა პრესებს. *ალფა პრესი* გარემო ვითარების მიერ რეალურად განხორციელებული ზეწოლაა (ზემოქმედება), რომელსაც ობიექტურად ვაფიქსირებთ; *ბეტა პრესი* კი არის ფენომენების სუბიექტისეული აღქმა და ინტერპრეტაცია. ქცევა უფრო მეტად ამ უკანასკნელთანაა დაკავშირებული. მაგრამ მთლიანი სურათის მისაღებად საჭიროა იმ ვითარების გაანალიზება, როდესაც არსებობს მნიშვნელოვანი განსვლა რეალურად არსებულ ალფა პრესსა და იმ ბეტა პრესს შორის, რომელზეც რეაგირებს პიროვნება. მიურეი პრესების მაგალითებზე საუბრისას ასახელებს იმ მნიშვნელოვან შემთხვევებსა და ვითარებებს, რომლებიც თავს იჩენს ბავშობაში. ასეთ პრესებს მიეკუთვნება: ოჯახური დასაყრდენის არქონა, სიღარიბე, სხვადასხვა ხიფათი, სხეულთან დაკავშირებული საშიშროება ან ტრავმა, უგულებელყოფა და უყურადღებობა, და-ძმის შეძენა, შექება და აღიარება, მეგობრობა, დაქვემდებარება და სხვ.

მოთხოვნილებისა და პრესის თანაქმედების ეფექტის დასახასიათებლად მიურეის შემოაქვს *თემის* ცნება. თემა აერთიანებს ქცევის გარეგან და შინაგან დეტერმინანტებს, გამოხატავს რეაგირების ზოგად ბუნებას გარემოსა და სუბიექტის ურთიერთქმედების თვალსაზრისით. მაგალითად, სუბიექტი განიცდის წარუმატებლობას (პრესი), მას უჩნდება წარმატების მიღწევის მოთხოვნილება, რის შემდეგაც იწყებს ახალ მოქმედებას, რათა მიაღწიოს წარმატებას განცდილი მარცხის მერე. აქ პრესისა და მოთხოვნილების ურთიერთქმედებამ წარმოშვა ახალი თემა, რომელიც გარკვეული ქცევის ლაიტმოტივი გახდა. მაშასადამე, თემა ქცევის დინამიკური სტრუქტურაა. მისი დადგენა საშუალებას გვაძლევს, გავცდეთ ქცევის კერძო დეტერმინანტების დონეს და ანალიზი უფრო ზოგადი და გლობალური ერთეულების საშუალებით ვა-

ნარმოოთ. მიურეის მიხედვით, სოციალურ გარემოში, კულტურაში არსებობს მრავალი ობიექტი (საგანი, ადამიანი, დანესებულება, ორგანიზაცია და ა.შ.), რომლებიც ინდივიდის სპეციფიკურ რეაქციას იწვევს. ეს ე.წ. *კატექსირებული ობიექტები* დადებითი ან უარყოფითი პრესებია, რომელთა კომბინაცია მოთხოვნილებებთან წარმოქმნის თემას. თემა, როგორც მოთხოვნილებისა და პრესის კავშირი, შეიძლება იყოს შედარებით მარტივი ან რთული, ხანმოკლე ან ხანგრძლივი. მარტივი თემების გაერთიანება ქმნის *სერიალურ თემებს*. დომინირებული მოთხოვნილებებისა და პრესების ბავშობაში დაფიქსირებული კავშირები წარმოქმნიან *ერთიან თემებს*, რომლებიც ძირითადად არაცნობიერად მოქმედებენ და მრავალგვარ ფორმაში მეორდებიან მთელი ცხოვრების განმავლობაში.

გასაგებია, რომ ემპირიული და, მით უფრო, პრაქტიკული კუთხით, პერსონის აქტივობის თემების გამოვლენა და ნათელყოფა უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანაა. მის გადასაჭრელად მიურეიმ შეიმუშავა საყოველთაოდ ცნობილი *თემატური აპერცეფციის ტესტი*. ცდისპირს ეძლევა საკმაოდ გაურკვეველი შინაარსის სურათები და მოეთხოვება, მათ საფუძველზე შექმნას მოთხრობა, რომელშიც ახსნილი იქნება, თუ რამ გამოიწვია მოცემული შემთხვევა, რა ხდება ამჟამად, რას გრძნობენ პერსონაჟები და რით დამთავრდება ყოველივე. ამ ისტორიებს შემდგომში აანალიზებენ, მათში გამჟღავნებული მოთხოვნილებების, პრესებისა და თემების კუთხით. ოცდაათიან წლებში შემოთავაზებულმა ამ მეთოდიკამ დიდი როლი შეასრულა საერთოდ პროექციული ტექნიკის განვითარების საქმეში. მან სტიმული მისცა კვლევებს, რომლებმაც ძირფესვიანად შეცვალეს მოტივაციის გაზომვის ტექნოლოგია. მისი გამოყენებით ახლაც შეისწავლება კონკრეტული მოტივები, მაგალითად: აფილაცია, მიღწევა და სხვ. [20].

თავის პერსონოლოგიაში მიურეი დიდ ადგილს უთმობს პიროვნების განვითარების საკითხს. განვითარების ყოველ სტადიაზე წამყვანი ხდება დაძაბულობის მოხსნის, დაკმაყოფილების მიღწევის გარკვეული ხერხი. ეს სტადიები აღიბეჭდება პიროვნებაში ერთგვარი *კომპლექსების* სახით. კომპლექსები ყველა ადამიანში მოქმედებს. ესაა ინდივიდის ქცევაში არაცნობიერი ინფანტილური განცდებისა თუ გამოცდილების გამოვლენის გზა. არაცნობიერი სფეროს დახასიათებისას მიურეი მიმართავს ფსიქოანალიზურ ცნებებს: იდი, განდევნა, წინააღმდეგობა და ა.შ. იყენებს ეგოს, სუპერეგოს და სხვა ფროიდისეულ ცნებებსაც. საერთოდ კი, უნდა ითქვას, რომ მიურეი, ალბათ, ერთ-ერთი პირველი ამერიკელი ფსიქოლოგი იყო, რომელიც მიხვდა ქცევის არაცნობიერი დეტერმინანტების მნიშვნელობას და ალღო აუღო ფსიქოანალიზს. ფსიქოლოგიის ისტორიის კუთხით მიურეის ღვაწლი ისიცაა, რომ მისი გავლენით ამერიკული ფსიქოლოგია სერიოზულად დაინტერესდა ფსიქოანალიზური მიდგომით [21].

მიურეის, როგორც თეორეტიკოსის, მთავარი მიღწევა მაინც ადამიანის მოტივების სფეროს ნაყოფიერი დახასიათება-კლასიფიკაციაა. ამასთან, როგორც ვნახეთ, მიურეი არ შემოიფარგლება მოტივაციით (მოთხოვნილება) და ქცევის სიტუაციური დეტერმინანტების (პრესი) დახასიათებასაც მიმართავს. უფრო მეტიც, მიურეი

შინაგან და გარეგან ფაქტორებს თანაბარღირებულად მიიჩნევს და, თემის სახით მათი ურთიერთკავშირის ფორმასაც განიხილავს. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ინტერაქციული პოზიცია უდავოდ უფრო პერსპექტიულია, ვიდრე ის თვალსაზრისები, რომლებიც ქცევის განსაზღვრაში გადამჭრელ უპირატესობას პიროვნულ დისპოზიციებს ან სიტუაციურ ზეგავლენას ანიჭებენ, იგი მაინც არ არის ბოლომდე დამაკმაყოფილებელი.

საქმე ისაა, რომ მიურეის სისტემაში, ფაქტობრივად, ღიად რჩება ქცევის ფსიქოლოგიის უმთავრესი საკითხი – საკითხი ქცევის განმსაზღვრელი მექანიზმის შესახებ. მიურეი არც სვამს საკითხს ქცევის მიზანშეწონილობის ახსნის თაობაზე. იგი გამოყოფს ქცევის დეტერმინაციაში მონაწილე ფაქტორებს, მიუთითებს მათ შორის არსებულ მიმართებაზე, მათ კავშირზეც კი ლაპარაკობს, მაგრამ არაფერს ამბობს იმაზე, თუ რა მოვლენა, მექანიზმი წარმოიქმნება ასეთი დაკავშირების შედეგად, როგორია მისი არსებობის ფორმა და მოქმედების წესი. თემა წმინდა აღწერითი ცნებაა, რომელიც გამოიყენება აქტივობის ნაკადში ცალკეული ქცევითი ერთეულების გამოყოფის მიზნით. თემის დახასიათებით ქცევის ესა თუ ის კონკრეტული სახე აღიწერება, მაგრამ რეალური ქცევის პროცესი თემიდან არ გამოიყვანება, თემიდან არ წარმოიქმნება; თემა არ არის ქცევის განმსაზღვრელი ფსიქოლოგიური რეალობა. არა და, ქცევის აღმოცენებისა და რეალიზაციის ფაქტის სრულყოფილი მეცნიერული ახსნა სწორედ ისეთი რეალობის ჩვენებას გულისხმობს, რომელიც, როგორც ქცევის ნამდვილი მექანიზმი, თავის თავში მოიცავს ყოველივე იმას, რაც აუცილებელია და საკმარისი მისი განხორციელებისთვის სუბიექტისა თუ სიტუაციის მხრიდან [10]. ეს მექანიზმი, სხვათა შორის, უნდა მოიცავდეს მონაცემებს ფსიქოფიზიკური ფუნქციების, ოპერაციული შესაძლებლობებისა და დასწავლის სფეროებიდანაც. ქცევის ეს დეტერმინანტები მიურეისთან ყურადღების მიღმა რჩება.

პერსონოლოგიური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა **გორდონ ოლპორტია** (1897-1969). იგი თითქმის მთელი შეგნებული ცხოვრება ჰარვარდის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა. აქ მიიღო ფსიქოლოგიის დოქტორის წოდება 1922 წელს. ოლპორტის დისერტაცია პირველი ნაშრომია აშშ-ში, რომელიც პიროვნების თვისებებს მიეძღვნა და რომელთა შესწავლას იგი მთელი ცხოვრება განაგრძობდა. ამავე წელს, ჰარვარდში მიღებული სტიპენდიის წყალობით, ოლპორტი ევროპაში გაემგზავრა, სადაც ორი წლის განმავლობაში გადიოდა სტაჟირებას ბერლინში, ჰამბურგსა და კემბრიჯში ფსიქოლოგიის ისეთ მეტრებთან, როგორებიც იყვნენ: მ. ვერთჰაიმერი, ვ. კელერი, ვ. შტერნი და ჰ. ვერნერი. ჰარვარდში დაბრუნებული ოლპორტი სიკვდილამდე ეწეოდა უაღრესად ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას; იყო ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო და აღიარებული ფსიქოლოგი, მრავალი ასოციაციისა თუ საზოგადოების წევრი, ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი (1939). მიღებული აქვს ამ ასოციაციის ყველაზე პრესტიჟული ჯილდო – „მეცნიერებაში გამორჩეული წვლილისთვის". მის უშუალო მოწაფეებს შორის ყველაზე ცნობილია: ჯ. ბრუნერი, ფ. ვერნონი, გ. ლინდსეი, ს. მილგრემი, ლ. პოსტმანი, რ. უაიტი და სხვ.

ოლპორტს მიაჩნია, რომ ფსიქოლოგიის პერსონოლოგიური მიმართულება სათავეს შტერნიდან იღებს, თუმცა პიროვნების თეორიების შემსწავლელი სპეციალისტები თვლიან, რომ თვით ოლპორტის სისტემა, შტერნის შეხედულებებთან ერთად, თავის თავში აერთიანებს უ. ჯეიმსის, უ. მაკ-დაუგოლისა და გეშტალტფსიქოლოგების მნიშვნელოვან იდეებსაც. ოლპორტის მიხედვით, პერსონოლოგიის არსებითი ნიშანი ისაა, რომ იგი ამკვიდრებს განუმეორებელი, თვითმყოფადი ინდივიდის ფსიქოლოგიას. ოლპორტი დარწმუნებულია, რომ ადამიანის ყველაზე დამახასიათებელი თვისება მისი *უნიკალურობაა*. „ინდივიდუალურობა, წერს იგი, არის ადამიანის ბუნების ძირითადი მახასიათებელი“ [26; 21]. აქამდე ფსიქოლოგია ზოგადი კანონების დადგენაზე იყო მიმართული. ეს იყო მისი საბედისწერო შეცდომა, ვინაიდან ადამიანის ფსიქიკა მხოლოდ კონკრეტულ და ძალიან პიროვნულ ფორმაში არსებობს, ხოლო განზოგადებული ადამიანის ფსიქიკა მითია და მეტი არაფერი. არ არსებობს ზოგადი ფსიქოლოგიის ისეთი კანონები, რომლებიც შეიძლება გავრცელდეს ყველა პიროვნებაზე. „ზოგადით ჩვენი ცალმხრივი გატაცება სწორედ ის არის, რაც უნაყოფოდ და დაუშვებლადაც კი აქცევს კონკრეტული პიროვნების გაგების მცდელობებს“ [14; 86]. ამიტომ ფსიქოლოგიამ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ დაადგინოს თავისებური და უნიკალური პიროვნების სტრუქტურა.

ოლპორტი მიმართავს გერმანელი ფილოსოფოსის, ვ. ვინდელბანდის მიერ შემოტანილ მეცნიერებათა დაყოფას *ნომოთეტურად და იდეოგრაფიულად*. ნომოთეტური მიდგომა ზოგადი კანონების დადგენაზეა ორიენტირებული, იდეოგრაფიული – ერთეული მოვლენების შესწავლაზე. პიროვნების დასახასიათებლად სწორედ იდეოგრაფიულ მეთოდოლოგიას უნდა მივმართოთ. ტრადიციულად პიროვნების უნიკალურობას წარმოგვიდგენდნენ ესთეტიკურად განწყობილი ფილოსოფოსები, მოფილოსოფოსო მწერლები ან სხვა ხელოვანები. ოლპორტის აზრით, ფსიქოლოგიამ ბევრი რამ შეძლება ისწავლოს ხელოვნებისგან, რათა მის მიერ მოცემული უნიკალური პიროვნების დახასიათება უსუსურად არ გამოიყურებოდეს ლიტერატურული აღწერების ფონზე. გარკვეული აზრით, ლიტერატურა და ფსიქოლოგია კონკურენტებიც კი არიან, რადგან ორივეს პიროვნებასთან აქვს საქმე. პიროვნების განუმეორებლობამდე ერთი ხელოვნების გზით მიდის, მეორე – მეცნიერების [12]. დადგა დრო, რომ შეიქმნას პიროვნების უნიკალურობის კვლევის ადეკვატური მეცნიერული მეთოდები (ე.წ. მორფოგენეტური მეთოდოლოგია). მათი გამოყენებით მიღებული შედეგები უნდა იყოს შემოწმებადი და გამოხატვადი, მათ უნდა ჰქონდეთ პროგნოსტული ძალა. იმავდროულად, ოლპორტი არ უარყოფს ისეთი კანონების დადგენის საჭიროებასაც, რომლებიც მრავალ ადამიანზე ვრცელდება. ასეთ კანონებს იგი „მიახლოებითს“ უნოდებს, მათი დადგენის გზას კი ტესტური კვლევების სტატისტიკურ ანალიზში ხედავს. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ უპირატესობა ენიჭება იდეოგრაფიულ კვლევას, დაშვებულია ნომოთეტური კვლევის კანონიერებაც, რაც ოლპორტის პოზიციას ამ საკითხში ეკლექტურ ხასიათს ანიჭებს.

ეკლექტიზმი საერთოდ ოლპორტის თეორიული სისტემის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. ოლპორტი, ალბათ, ყველაზე უფრო შეგნებული და თანმიმდევ-

რული ეკლექტიკოსი იყო ფსიქოლოგიის ისტორიაში. თავის მსჯელობებში იგი თავისუფლად უხამებდა ერთმანეთს ფილოსოფიის, სოციოლოგიის, ფილოლოგიისა თუ თეოლოგიის სფეროდან აღებულ ცნებებს. ჰარვარდის უნივერსიტეტში ოლპორტი სათავეში ჩაუდგა დისციპლინათშორის მოძრაობას და დააფუძნა ე.წ. სოციალური ურთიერთობების დეპარტამენტი, სადაც ფსიქოლოგების, სოციოლოგებისა და ანთროპოლოგების გაერთიანებული კვლევითი პროცესი მიმდინარეობდა. რაც მთავარია, ოლპორტი მომხრე იყო ფსიქოლოგიური კონცეფციების ინტეგრაციისა. ეს აისახა *პლურალისტური მიდგომის ანუ სისტემური ეკლექტიზმის* პრინციპში. ამ პრინციპამდე ოლპორტი თანამედროვე ფსიქოლოგიაში შექმნილი მდგომარეობის საყურადღებო ანალიზის შედეგად მივიდა.

ოლპორტის აზრით, ფსიქოლოგია პარტიკულარიზმის სენითაა შეპყრობილი; არსებობს უამრავი თეორია, რომლებსაც ზოგადობის, ყოვლისმომცველობის პრეტენზია აქვთ, მაგრამ სინამდვილეში ფიქსირებული არიან ადამიანის ბუნების ერთ ან რამდენიმე გამორჩეულ ასპექტზე, რაც მკაცრად განსაზღვრავს კვლევის მიმართულებას. ამასთან, ყოველი მათგანი მხოლოდ საკუთარი მიდგომის ჭეშმარიტებას ცნობს და უარყოფს ყველაფერს, რაც სხვა თეორეტიკოსებისთვისაა მნიშვნელოვანი. ეს ცალმხრივი თეორიები ორ დიდ მიმდინარეობაში ერთიანდება. თეორიათა ერთი ჯგუფი ფიზიკური მონიზმისა და დეტერმინიზმის თვალსაზრისს ემხრობა, ასეთებია: ბიჰევიორიზმი, ნეობიჰევიორიზმი, პირობითი რეფლექსის თეორია, ორთოდოქსული ფსიქოანალიზი, კოგნიტივიზმი. ეს თეორიები უპირისპირდებიან მეორე ჯგუფის კონცეფციებს, რომლებიც იმ პრინციპიდან ამოდიან, რომ ადამიანი თავისუფალია და თვითონ მონაწილეობს თავისი ბედის შექმნაში. ამ თეორიებს მიეკუთვნება ეგოფსიქოლოგია, პერსონალიზმი, ეგზისტენციალური და ფენომენოლოგიური ფსიქოლოგიის სხვადასხვა ნაირსახეობა. მეტის თქმაც შეიძლება: ერთ პარადიგმაში მოქცეულ თეორიათა შორისაც შეუთანხმებლობა და ანარქია სუფევს. მაგალითად, დასწავლის თანამედროვე კონცეფციებში მოცემულია სტიმულ-რეაქციის, ასოციაციის, წვდომის, ლატენტური და ბიოგრაფიული სწავლის მოდელები, რომლებიც არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან დასწავლის ბუნების გაგებაში. განსხვავებული ფაქტოლოგიაზე დაყრდნობით, ისინი განსხვავებულ მექანიზმებს პოულობენ. აქ, ცხადია, რაიმე სახის ერთიანობაზე ლაპარაკი შეუძლებელია.

ყოველ თეორიას აქვს თავისი საფუძველი. S-R მოდელი სავსებით დამაკმაყოფილებელია იმ შემთხვევაში, თუ ყურადღება არ ექცევა საკუთარი ცნობიერების არსებობას; გარემოთი გაპირობებულობის თვალსაზრისი (ე.წ. ინვაირონმენტალიზმი) მისაღებია, თუ არაფერი ვიცით გენეტიკის არსებობის შესახებ; არაცნობიერის კონცეფცია მაშინაა საკმარისი, თუ დავივიწყებთ, რომ კონფლიქტების უმეტესობა მკაფიოდაა მოცემული ცნობიერებაში და ა.შ. გაუგებრობა მაშინ იწყება, როდესაც მკვლევრები იმის მტკიცებას იწყებენ, რომ მათ მიერ შერჩეული პარამეტრი ან მოდელი ადამიანის მთელ პიროვნებაზე ვრცელდება.

ოლპორტის მიხედვით, ამ ცალმხრივობის დაძლევა და მეცნიერული მონიზმის მიღწევა ფსიქოლოგიაში არსებითად შეუძლებელია, ვინაიდან თეორიათა დაპირის-

პირება, საბოლოოდ, ფსიქოფიზიკურ მონიზმსა და დუალიზმთან, დეტერმინიზმსა და მიზანმიმართულებასთან დაკავშირებული ანტინომიებიდან მომდინარეობს; აქ კი შეთანხმება პრინციპულად შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, ჩვენ უარი არ უნდა ვთქვათ ერთიანი თეორიის შექმნის იდეაზე. ანარქიის მდგომარეობის დაძლევა ფსიქოლოგიური თეორიის სფეროში აუცილებელია, ოღონდ ეს ამოცანა უნდა გადაწყდეს არა პარტიკულარული (ნაწილობრივი) თეორიების სინთეზის საშუალებით, რაც არარეალურია, არამედ სისტემური ეკლექტიზმის პრინციპის საფუძველზე. „მისი საბოლოო მიზანია ყოვლისმომცველი თეორიის აგება, რომელიც ახსნის ადამიანის ბუნებას" [13; 21]. უსისტემო ეკლექტიზმისგან განსხვავებით, სისტემური ეკლექტიზმი შეგნებულად ცდილობს ფსიქოლოგიის ფუნდამენტური პრობლემების გადაწყვეტას. იგი გამოარჩევს და შეაკავშირებს იმას, რასაც მნიშვნელოვნად მიიჩნევს ყოველ კონკრეტულ თეორიაში. სისტემური ეკლექტიზმი მიისწრაფვის ადამიანის ბუნების ერთიანი მეტათეორიისკენ, რომელშიც თავმოყრილი იქნება ყველა სანდო მონაცემი – სუბიექტური და ობიექტური, ცნობიერი და არაცნობიერი, მექანისტური და ჰოლისტური, სოციალური და ინდივიდუალური. არც ერთი ვარაუდი ადამიანის ბუნების შესახებ არ უნდა იყოს უარყოფილი, თუ ის კონკრეტული ცხოვრებისეული გამოცდილებიდან მომდინარეობს. აქ მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა გზით არის ის შეძენილი.

საზოგადოდ, პერსონოლოგიური ფსიქოლოგიის და, კერძოდ, ოლპორტის თეორიის ცენტრალური ცნება *პიროვნებაა*. მთელი ფსიქიკური ცხოვრება განიხილება პიროვნებასთან მიმართებით, რადგან სწორედ პიროვნებაა ის ინსტანცია, რომელიც ორგანიზებას უკეთებს ფსიქიკურ სამყაროს. ოლპორტი მიუთითებს, რომ ფსიქიკის ორგანიზაცია შეუძლებელია ორგანიზატორის გარეშე; შეგუება გულისხმობს შემგუებელს; მეხსიერება ვერ იარსებებს მე-ს დროში განფენილობის გარეშე; სწავლა პიროვნების შეცვლას ითვალისწინებს, ხოლო ცოდნა – თავის მატარებელს. ამიტომ გასაგებია, რომ ოლპორტი განსაკუთრებული სერიოზულობით ეკიდება პიროვნების ცნების განსაზღვრებას. თავის ერთ-ერთ ძირითად წიგნში – „პიროვნება: ფსიქოლოგიური ინტერპრეტაცია" (1937) – ოლპორტმა განიხილა და შვიდ კლასად დააჯგუფა პიროვნების ორმოცდაათზე მეტი განსაზღვრება. იგი შეეცადა, ამოეკრიფა ამ განსაზღვრებების საუკეთესო ელემენტები და შემდეგ ფორმულირებამდე მივიდა: „პიროვნება არის ინდივიდში იმ ფსიქოფიზიკური სისტემების დინამიკური ორგანიზაცია, რომლებიც განსაზღვრავენ მისთვის დამახასიათებელ შეგუებას გარემოსთან" [25; 48]. მოგვიანებით, თავის ყველაზე ცნობილ წიგნში – „კანონზომიერება და განვითარება პიროვნებაში" (1961) – მან ოდნავ დააზუსტა ეს განსაზღვრება და შეგუების ნაცვლად ქცევა და აზროვნება ჩაწერა [26]. ამრიგად, ავტორის განსაზღვრებაში ნაგულისხმევია, რომ პიროვნება მუდმივად იცვლება (დინამიკური ორგანიზაცია), რომ პიროვნება გონებრივისა და სხეულებრივის დაუნაწევრებადი ერთიანობაა (ფსიქოფიზიკური სისტემები) და რომ მისი განუმეორებელი, უნიკალური თავისებურებები (მისთვის დამახასიათებელი) განსაზღვრავენ ყოველგვარი სახის აქტივობას (ქცევა და აზროვნება). მრავალი ასპექტის მომცველი ეს გულდასმით შესრულებული განსაზღვრება დიდი პოპულარობით სარგებლობს თანამედროვე ფსიქოლოგიაში.

ოლპორტი გამიჯნავს პიროვნების ცნებას ხასიათისა და ტემპერამენტის ცნებებისგან. *ხასიათი* პიროვნებისა და მისი ქცევის ზნეობრივ შეფასებას გულისხმობს. კარგი ან ცუდი ხასიათი პიროვნების თვისებების სოციალურ-მორალური თვალსაზრისით მისაღებობას აღნიშნავს. *ტემპერამენტი* გამოხატავს ინდივიდის ემოციური რეაგირების (ემოციების ინტენსივობა, აგზნებადობა და ა.შ.) ბიოლოგიურ, ფიზიოლოგიურ მხარეს. ტემპერამენტი ინდივიდის თანდაყოლილი ნიშანია. ის პიროვნების საშენი მასალაა, გონებრივ შესაძლებლობებსა და ორგანიზმის ფიზიკურ კონსტიტუციასთან ერთად.

ანალიზის ძირითადი ერთეული, რომელმაც ნათელი უნდა გახადოს, თუ რატომ მოქმედებენ გარკვეულ სიტუაციებში ადამიანები ერთგვაროვნად და, ამავე დროს, ინდივიდუალურად და თავისებურად, ესაა ე.წ. *პიროვნების ნიშან-თვისება* (Trait). ნიშან-თვისება არის „ნეიროფსიქიკური სტრუქტურა, რომელსაც შეუძლია, მრავალი სტიმული ეკვივალენტურად აქციოს; აგრეთვე, აღძრას და წარმართოს ადაპტაციური და ექსპრესიული ქცევის საკმარისად მდგრადი ფორმები“ [26; 373]. პიროვნების ნიშან-თვისებათა მაგალითებია: კომუნიკაბელურობა, აგრესიულობა, გულითადობა, სიხარბე, აკურატულობა, თავაზიანობა, მორიდებულობა და ა.შ. შეიძლება ასეც ითქვას, რომ ნიშან-თვისება გამოხატავს ადამიანის მიდრეკილებას, ერთნაირად მოიქცეს სიტუაციების ფართო დიაპაზონში. ვთქვათ, თუ პიროვნება კომუნიკაბელურია, იგი სათანადოდ მოიქცევა სახლშიც, სამსახურშიც, ექსპედიციაშიც და ა.შ.

განსაზღვრებიდან ჩანს, რომ ნიშან-თვისება ქცევას აღძრავს. მაშასადამე, ის დინამიკური ძალის მქონე მოტივაციური წარმონაქმნია. როგორც პიროვნების სტრუქტურის ელემენტი, ნიშან-თვისება მუდმივად ესწრაფის გამოვლენას. თუ ადამიანს, მაგალითად, ახასიათებს ისეთი პიროვნული თვისება, როგორიც კომუნიკაბელურობაა, იგი კონტაქტის მუდმივ ძიებაში იმყოფება. საკუთრივ მოტივებთან შედარებით, ნიშან-თვისება უფრო ფართო რეგულაციურ ფუნქციას ასრულებს. აღძვრასთან ერთად ის განსაზღვრავს ქცევის სახეს, მის რაგვარობას. ოლპორტი აღნიშნავს, რომ ნიშან-თვისება მოტივაციური, შემეცნებითი და საშემსრულებლო კომპონენტების ერთობლიობაა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ნიშან-თვისებისა და ჩვევის ურთიერთმიმართების საკითხი. ორივე მათგანი მოქმედების შესრულების თავისებურებას განსაზღვრავს, მაგრამ თვისება ბევრად უფრო მოქნილი და ზოგადი ხასიათის წარმონაქმნია; ის პასუხობს სიტუაციების გაცილებით ფართო წრეს და გამოიხატება მრავალი ჩვეული მოქმედების საშუალებით. მაგალითად, ბავშვს უმუშავდება ხელების დაბანვის ჩვევა. დროთა განმავლობაში იგი ეჩვევა სხვა მოქმედებების შესრულებასაც – ივარცხნის თმას, აწესრიგებს თავის ტანსაცმელს, მაგიდას და ა.შ. ამ ჩვევების ინტეგრაციის გზით ვიღებთ ისეთ პიროვნულ ნიშან-თვისებას, როგორიც აკურატულობაა.

ოლპორტი გამოყოფს ნიშან-პიროვნულ თვისებათა სამ სახეს: კარდინალური, ცენტრალური და მეორეული. ისინი გენერალიზაციისა და დომინირების ხარისხით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. *კარდინალური ნიშან-თვისება* იმდენად განზოგადებულია, რომ, თუ ის ადამიანში არსებობს, მის ყოველ ქცევას ასვამს დაღს. ესაა პი-

როვნების მთელი ცხოვრების წარმმართველი ვნება, რომელიც, ოლპორტის აზრით, ცოტას თუ გააჩნია. მათ საილუსტრაციოდ ავტორი მიმართავს ისტორიული პირებისა და ლიტერატურული პერსონაჟების მაგალითებს, რომელთა სახელებიც საზოგადო სახელებად გადაიქცა. სადიზმი, მაზოხიზმი, შოვინიზმი, დონკიხოტობა, დონჟუანობა – გარკვეული პიროვნებებისთვის დამახასიათებელი კარდინალური დისპოზიციების მაგალითებია. მათგან განსხვავებით, *ცენტრალური ნიშან-თვისებები* (სხვანაირად, *პირადი დისპოზიციები)* ყველას აქვს და ისინი პიროვნების მთავარ მახასიათებელ ნიშნებს შეადგენენ. მათი შენიშვნა ადამიანში ძნელი არ არის. ოლპორტის გამოკვლევების მიხედვით, ადამიანებში ცენტრალურ ნიშან-თვისებათა რაოდენობა გასაოცრად მცირეა და საშუალოდ ხუთიდან ათამდე მერყეობს. ამ დასკვნებამდე ოლპორტი სპეციალური გამოკვლევის საფუძველზე მივიდა. მან გამოკითხვა ჩაუტარა თავის სტუდენტებს, რომელთაც სთხოვდა მათი ახლობლებისთვის ყველაზე უფრო დამახასიათებელი, ამ პიროვნებისთვის არსებითი ნიშნების ჩამოთვლას. აღმოჩნდა, რომ საშუალოდ ასეთი 7,2 ნიშანი სახელდებოდა. ცენტრალური ნიშან-თვისების მაგალითებია: კომუნიკაბელურობა, სიმორცხვე, გამბედაობა, ხელგაშლილობა, ექსტრავერტულობა და ა.შ.; *მეორეული ნიშან-თვისებები* გაცილებით ნაკლებად განზოგადებული, არცთუ მკაფიოდ გამოვლენილი და ნაკლებად ინფორატულია პიროვნების დახასიათებისთვის. ისინი გამოხატავენ ადამიანების კონკრეტულ გემოვნებასა და მიდრეკილებებს, რაც უცხო თვალისთვის იოლი აღმოსაჩენი არ არის.

პიროვნების ნიშან-თვისება ოლპორტის თეორიის ცენტრალური ცნებაა. მისი საკვანძო მნიშვნელობის გამო ამ კონცეფციას, ხშირად, *ნიშან-თვისებების თეორიასაც* უწოდებენ. ამასთანავე, ოლპორტს შემოაქვს ცნება *პროპრიუმი,* რომელიც უკავშირდება იმ იდეას, რომ პიროვნება არ არის ერთმანეთთან დაუკავშირებელი თვისებებისა თუ დისპოზიციების ერთობლიობა, რომ პიროვნებაში მისი სტრუქტურული ელემენტების გამაერთიანებელი, მაორგანიზებელი პრინციპი მოქმედებს. პროპრიუმში შედის შინაგანი სამყაროს ის ნაწილი (ქცევები, თვისებები, ღირებულებები, მოტივები და სხვ.), რომელიც პიროვნების მიერ ყველაზე მნიშვნელოვნად და ახლობლად განიცდება. გამოხატავს რა *პიროვნების ცენტრს*, პროპრიუმი, ფაქტობრივად, ისეთი ცნებების იდენტურია, როგორებიცაა „მე" და „თვითონი". ოლპორტი გამოყოფს პროპრიუმის შვიდ ასპექტს, რომლებიც პიროვნების ონტოგენეტური განვითარების სხვადასხვა სტადიებზე გამოვლინდება. ესენია: საკუთარი სხეულის შეგრძნება, თვითიდენტიფიკაცია, თვითპატივისცემა, პიროვნების გაფართოება, მე-ს ხატი, რაციონალური თვითმართვა და პროპრიატული მისწრაფებები. პროპრიუმის ეს უკანასკნელი ასპექტი მოიცავს იმ მოტივებს, რომელთაც ადამიანი საკუთარ, პირად მისწრაფებად განიცდის და მათ საფუძველზე ისახავს თავისი ცხოვრების მნიშვნელოვან მიზნებს. ეს მოტივაციური სისტემა ამთლიანებს პიროვნებას.

როგორც აღინიშნა, თვისებას აქვს მოტივისთვის დამახასიათებელი ნიშნებიც. ამიტომ გასაგებია, რომ მოტივაციის საკითხი ოლპორტის მხედველობის ველში ხვდება. უფრო მეტიც, სხვა პერსონოლოგების მსგავსად, მასაც მიაჩნია, რომ მოტივაციის ბუნების გარკვევა პიროვნების ყოველგვარი თეორიის საფუძველია.

თავის შეხედულებას მოტივაციაზე ოლპორტი ფსიქოანალიზსა და ბიჰევიორიზმთან დაპირისპირებაში აყალიბებს. იგი სხვა თეორეტიკოსებზე მეტად უსვამს ხაზს ცნობიერი მოტივაციის მნიშვნელობას. ოლპორტი ამბობდა, რომ სიღრმის ფსიქოლოგია ზოგჯერ ზედმეტად „ღრმად თხრის“. იქ, სადაც რეალურად მოქმედებენ ცნობიერი მოტივები, საჭირო აღარ არის აუცილებელი ჩაღრმავება არაცნობიერში. იგი გაუმართლებლად მიიჩნევს მთელი მოტივაციური სფეროს დაყვანას რამდენიმე ძირითად მოტივზე. მისი აზრით, არც ის არის სწორი, როდესაც მოტივების ფუნქციონირების ერთადერთ მექანიზმად წონასწორობის, ჰომეოსტაზის პრინციპი მოიაზრება. ადეკვატური შეხედულება მოტივაციაზე პლურალისტური უნდა იყოს. ეს გულისხმობს როგორც მოტივთა მრავლიანობის, ისე მათი წარმოქმნისა და ფუნქციონირების განმსაზღვრელი პრინციპების მრავალგვარობის აღიარებას.

ყოველგვარი მოტივი კონკრეტული და უნიკალურია. მიუხედავად ამისა, მოტივთა, სულ ცოტა, ორ სახეობაზე შეიძლება ლაპარაკი, ესენია: *საჭიროების ან დეფიციტის* მოტივები და *უმაღლესი განვითარების* მოტივები. ჰომეოსტაზის პრინციპი მხოლოდ პირველი სახის მოტივებს მიეყენება. ჰომეოსტაზის ფორმულაში ვერ ეტევა ადამიანის ჭეშმარიტად პიროვნული არსებობის მრავალი ფორმა – ახალი, სულ უფრო რთული მიზნების დასახვა, ახალი ინტერესებისა და ინიციატივების გაჩენა, პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება და ა.შ. მაღალი მოტივაციისთვის დამახასიათებელია დაძაბულობის ძიება, წონასწორობისადმი წინააღმდეგობის გაწევა [6]. ოლპორტი მიუთითებს კრიტიკულ ცხოვრებისეულ სიტუაციებზე, როდესაც მაღალი მოტივაცია დაბალს უპირისპირდება. ასეთ დროს, განსაკუთრებით დრამატულ ვითარებებში, ადამიანი ამჯობინებს, დაიღუპოს, ვიდრე უღალატოს თავის მე-ს. ოლპორტის ამგვარი მსჯელობები სრულიად ემთხვევა ჰუმანისტური ფსიქოლოგიის შეხედულებას მოტივაციაზე[1].

ბევრი თეორია ამოდის რწმენიდან, რომ პიროვნებას თავისი წარსული განსაზღვრავს. ოლპორტის თანახმად, პიროვნების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი მის მოტივებსა და მიზნებში მოცემული ქმნადობისა და განვითარების პერსპექტივებია. ოლპორტი ფიქრობს, რომ პიროვნებისთვის გაცილებით მეტი მნიშვნელობა მის მომავალს აქვს. ცნობილია მისი ფრაზა: მითხარი, როგორ წარმოგიდგენია შენი მომავალი და მე გეტყვი, ვინ ხარ შენ. აქედან გამომდინარე, ისეთ კოგნიტურ ფენომენებს, როგორებიცაა: მიზანი, გეგმა, განზრახვა, მნიშვნელოვანი მოტივაციური როლი ენიჭება. სწორედ ისინი შეადგენენ მე-ს საკუთარ დინამიკურ ძალებს, რომლებსაც ფრო-

[1] საზოგადოდ, პარალელების გავლება ოლპორტის შეხედულებებსა და ჰუმანისტურ ფსიქოლოგიას შორის ადვილია, თუნდაც იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი ადამიანის ფსიქიკური წყობის სპეციფიკურ თავისებურებებზეა ფოკუსირებული. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ოლპორტი აქტიურად მონაწილეობდა ჰუმანისტური ფსიქოლოგიის დაფუძნების საქმეში (იხ. X თავი). მიუხედავად ამისა, არ იქნება სწორი ოლპორტის პერსონოლოგიის გაიგივება ჰუმანისტურ ფსიქოლოგიასთან, რაც ზოგჯერ ხდება ხოლმე. როგორც ითქვა, ოლპორტი ეკლექტიკოსია. იგი თანაბრად ღირებულად განიხილავს ფსიქოლოგიური მეცნიერების ორივე სახეობის – საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული ფსიქოლოგიის – მონაცემებსა და პრინციპებს, მაშინ, როდესაც ჰუმანისტური ფსიქოლოგია, არსებითად, ჰუმანიტარულ პარადიგმაზეა აგებული (იხ. XIV თავი).

იდი ყურადღების მიღმა ტოვებდა. იგი თვლიდა, რომ ინდივიდის მოტივაციური აღჭურვილობა უცვლელი ინსტინქტური მისწრაფებებისგან შედგება.

ოლპორტისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ წარმოიქმნება და ფუნქციონირებს მეორეული, მაღალი მოტივები. აქ იგი მკვეთრად უპირისპირდება ნეობიჰევიორისტულ თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც ყოველი ახალი აღმძვრელი წარმოიქმნება მაშინ, როცა მანამდე ნეიტრალური სტიმული რაიმე თანდაყოლილი, ორგანული მოთხოვნილების დაკმაყოფილების პროცესს დაუკავშირდება. ასეთ შემთხვევაში, სტიმული იძენს ახალი ქცევის აღძვრის უნარს. ამ თვალსაზრისის მიხედვით, ყველა მეორეული მაღალი სოციალური მოთხოვნილება არის მხოლოდ ორგანული მდგომარეობის დერივატი (პროდუქტი, წარმოებული), სიგნალი მის მიღმა მყოფი ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა. ნეობიჰევიორისტები ამტკიცებენ, რომ მეორეული მოთხოვნილებები მხოლოდ იმ ფასადის როლს ასრულებენ, რომელიც ფარავს მათ საფუძველში მყოფ თანდაყოლილ ორგანულ აღმძვრელებს. ადამიანს ჰგონია, რომ მას სამოქმედოდ მაღალი მოთხოვნილების შინაარსი აღძრავს, რეალურად კი ამას მის მიღმა არსებული ბიოლოგიური მოტივაცია აკეთებს.

ამ შეხედულების საწინააღმდეგოდ, ოლპორტი აყალიბებს *მოტივთა ფუნქციონალური ავტონომიის* კონცეფციას. მისი დედააზრი ასეთია: მოზრდილი ადამიანის მაღალი მოტივები თავისთავადი და უსასრულოდ მრავალფეროვანი სისტემებია. ფუნქციონალური ავტონომია – ეს არის „მოტივაციის ყოველგვარი ნაწარმოები სისტემა, სადაც ჩართული დაძაბულობები განსხვავდებიან იმ წინამორბედი დაძაბულობებისგან, რომელთაგანაც ეს შეძენილი სისტემა წარმოიქმნა“ [26; 229]; ისინი ამოიზრდებიან წინამორბედი მოტივაციური სისტემებიდან, მაგრამ ფუნქციონალურად მათგან დამოუკიდებლები არიან. ეს პრინციპი, უბრალოდ, იმაზე მიუთითებს, რომ ქცევა, რომელიც თავდაპირველად აღმოცენდება რომელიმე პირველად მოთხოვნილებასთან დაკავშირებით, როგორც მისი დაკმაყოფილების მომსახურე აქტივობა, დროთა განმავლობაში კავშირს წყვეტს ამ საწყის მოტივთან და გადაიქცევა ფუნქციონალურად დამოუკიდებელ, თვითკმარ მოტივაციურ ერთეულად. ის, რაც მიზნის მიღწევის საშუალება იყო, თვითონ ხდება მიზანი. ობიექტები და მოქმედებები, რომლებიც ოდესღაც მხოლოდ რაიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილების ინსტრუმენტები იყვნენ, თავად იქცევიან ინტერესის საგნად – იძენენ საკუთარ მოტივაციურ ძალას. მაგალითად, სუბიექტი თავდაპირველად ნადირობს საკვების მოპოვების მიზნით, მაგრამ, რატომ განაგრძობს ნადირობას იმის მერე, რაც გამოკვების პრობლემა მოხსნილია? თუ, როგორც ოლპორტი უწოდებს, „უცვლელი მოტივების თვალსაზრისზე“ დავრჩებით, ანალიზი ისევ პრიმიტიულ მოტივებთან, ვთქვათ, თანდაყოლილ აგრესიულ ტენდენციასთან მიგვიყვანს. ოლპორტი უარს ამბობს ასეთ ინტერპრეტაციაზე. მისი აზრით, ფუნქციონალური ავტონომია შემდეგ რამეს ნიშნავს: როცა სუბიექტი პირველადი საბაზო მოტივაციის გარეშეც განაგრძობს მოქმედებას (ამ შემთხვევაში ნადირობას), ეს იმის გამო ხდება, რომ მას, უბრალოდ, მოსწონს, ეხალისება ეს საქმიანობა. ამრიგად, ავტონომიური მოტივები დამოუკიდებელ მისწრაფებად იქცევიან

და კარგავენ კავშირს საბაზო ტენდენციებთან. ეს კი არსებითად ნიშნავს, რომ მოწიფული პიროვნების ქცევა არ არის ფუნქციონალურად დამოკიდებული იმაზე, თუ რამ წარმართა იგი თავდაპირველად. მაშასადამე, პიროვნება, ფუნქციონალურად მაინც, არ არის პირდაპირ ამოზრდილი თავისი წარსულის ფესვებიდან.

ნათელია, რომ ეს შეხედულება საფუძვლიანად განსხვავდება იმ თვალსაზრისისგან, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ინდივიდის წარსულს, ადრეული პერიოდის ფიქსაციებსა თუ განსაზღვრულობას ენიჭება (ფსიქოანალიზი, ბიჰევიორიზმი და სხვ.). ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ის სერიოზული ანალიზის საგანი გახდა. ეს უთუოდ საინტერესო კონცეფცია მართლაც წარმოშობს გარკვეულ კითხვებს: შეიძლება თუ არა, რომ ყოველი აქტივობა, ხშირად გამეორების შემთხვევაში, გახდეს ავტონომიური მოტივაციის მატარებელი და რა შეზღუდვები არსებობს ამასთან დაკავშირებით? რაც მთავარია, როგორია მოტივების ავტონომიზაციის ჭეშმარიტი ფსიქოლოგიური მექანიზმი, საიდან მომდინარეობს მოტივის დინამიკური ძალა, თუ მისი კავშირი პირველად აღმძვრელებთან დაკარგულია?

ცდილობს რა, გარკვეული სიცხადე შეიტანოს ამ საკითხებში, ოლპორტი ფუნქციონალური ავტონომიის ორ დონეს განასხვავებს: *პერსევერაციულს* და *პროპრიატულს*. პირველი მოიცავს ჩვეულებებს, განმეორებად აქტებს (პერსევერაციებს), სტერეოტიპებს. მათი წარმოქმნა ახალი ნერვული კავშირების ფიქსაციას გულისხმობს. მოტივაციური სისტემის მყარ და ავტონომიურ ფუნქციონირებას ამ შემთხვევაში ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმები განსაზღვრავენ; მეორე, ე.წ. პროპრიატულ დონეზე წარმოდგენილია შეძენილი ინტერესები, ღირებულებები, განწყობები, პიროვნული დისპოზიციები, ცხოვრების სტილი. ეს არის ადამიანის მთავარი მოტივაციური სისტემა, რომელიც მისი ქცევის ინდივიდუალურ თავისებურებებსა და პიროვნულ მოწიფულობას გამოხატავს. მისი შექმნა იმას ნიშნავს, რომ მე-ს საკუთარი მოტივაციური აღჭურვილობა გაუჩნდა. სწორედ მე არის ის ინსტანცია, რომელიც მოტივების ავტონომიზაციის ამ დონის ფორმირებას განსაზღვრავს. აქ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ის გარემოება, რომ ადამიანში მოცემული ენერგეტიკის რაოდენობა სჭარბობს ბიოლოგიური შეგუებისთვის საკმარის დონეს. ამიტომ თავისუფალი ენერგეტიკის ნაწილი მიემართება პიროვნული მნიშვნელობის მეორეულ მოტივებში.

ეს, ერთგვარად, სპეკულატური მსჯელობა შესაძლოა, უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო, ოლპორტს რომ ჰქონოდა თუნდაც დ. უზნაძის ფუნქციონალური ტენდენციის მსგავსი კონცეპტი. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ ყველა ფსიქოფიზიკურ ფუნქციას ან ქცევის ფუნქციონალურ ერთეულს აქვს თვითაქტივობის, ფუნქციონირების ტენდენცია. თუ არსებობს ფსიქოფიზიკური სტრუქტურა, ის სათანადო აქტივობის იმპულსსაც იძლევა. ეს მისწრაფება განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, თუ ფუნქცია ქცევაში ნაკლებად რეალიზდება [6]. ფუნქციონალური ავტონომია გულისხმობს, რომ აქტივობის გარკვეული სტრუქტურა ან პატერნი, რაიმე პირველადი მოტივის მომსახურების პროცესში, თავისთავად ხდება მისწრაფების საგანი, ანუ, თავდაპირველი ინსტრუმენტული აქტივობა თვითმიზნად გადაიქცევა. მონადირის მაგალითს თუ დავუბრუნდებით, სუბიექტი ნადირობას იმიტომ განაგრძობს, რომ,

უბრალოდ, ეს პროცესი ანიჭებს სიამოვნებას. ამ შემთხვევაში შესაძლებელია დავუშვათ, რომ პირველადი მოტივაციის დამაკმაყოფილებელი აქტივობა განმეორებათა შედეგად ჩამოყალიბდა თავისებურ ქცევით სტრუქტურად, ფუნქციონალურ ერთეულად, რომელშიც ჩადებულია ფუნქციონალური ტენდენცია, თავისი პროცესუალური მოტივაცია. ეს მოტივაცია ამიერიდან პირველადი მოტივაციისგან დამოუკიდებლად, ავტონომიურად მოქმედებს. შესაძლებელია ფუნქციონალური ავტონომიის მექანიზმის გააზრება სხვა ახსნითი მოდელის, თუნდაც დასწავლის თეორიის, ტერმინებში. ასეა თუ ისე, ფუნქციონალური ავტონომიის კონცეფციის შესამჩნევი სისუსტე ისაა, რომ ის, არსებითად, აღწერით მოდელად რჩება. ოლპორტი არსად მიუთითებს მოტივთა ავტონომიის მოვლენის საფუძვლად მდებარე ფსიქოლოგიურ პროცესსა თუ მექანიზმზე. ამის გამო ძნელია იმის წინასწარმეტყველება, თუ როდის და რა ვითარებაშია მოსალოდნელი კონკრეტული ავტონომიური მოტივის წარმოშობა.

რადგან სიტყვა წინასწარმეტყველებაზე ჩამოვარდა, უნდა აღინიშნოს, რომ სადავო საკითხად იქცა და მრავალი გამოკვლევის ობიექტი გახდა ისიც, თუ რამდენადაა შესაძლებელი ინდივიდის ქცევის პროგნოზირება მისი პიროვნული ნიშან-თვისებების მიხედვით; რამდენად შეესატყვისება საერთოდ ერთმანეთს ქცევა და პიროვნების თვისება. როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ეს საკითხი, ინტენსიური კვლევის მიუხედავად, დახურულად ვერ ჩაითვლება და კვლავაც რჩება ე.წ. სიტუაციონიზმისა და დისპოზიციონიზმის დაპირისპირების საგნად. მაგრამ ეს ხელს არ უშლის პიროვნების თეორიების შემსწავლელ სპეციალისტებს, აღიარონ ოლპორტის სისტემის ისეთი კონცეპტების მნიშვნელობა, როგორებიცაა: პიროვნების თვისება, ფუნქციონალური ავტონომია, პროპრიუმი და სხვ. მათი ნაყოფიერება მრავალგზის გამოვლინდა პერსონოლოგიურ კვლევაში [16][19][21][22][29].

სხვა საკითხია, როგორ უნდა ხორციელდებოდეს ასეთი კვლევა. როგორც ზემოთ ვნახეთ, ოლპორტი ეკლექტიზმისკენ მოგვიწოდებს, მაგრამ, რამდენად თანმიმდევრულია იგი ამ მხრივ? უნდა აღინიშნოს, რომ მის მიერ დეკლარირებული მეთოდოლოგია და ემპირიული კვლევა, გარკვეული აზრით, ნინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან. თეორიულ პლანში ოლპორტი აშკარად იხრება იდეოგრაფიული მიდგომისკენ. სამაგიეროდ, ემპირიულ კვლევაში, თუ არ ჩავთვლით ე.წ. ჯენის წერილების გამოკვლევას[1], უპირატესობა ნომოთეტურ მეთოდოლოგიას ენიჭება. ოლპორტი ფსიქომეტრულ მეთოდებს იყენებს და თავადაც არის რამდენიმეს ავტორი. მათ შორის ყველაზე ცნობილია ღირებულებების შემსწავლელი ტესტი, რომელიც ე. შპრანგერის ღირებულებით ტიპოლოგიას ეყრდნობა. ბუნებრივად იბადება კითხვა, როგორ უნდა შეთავსდეს სტანდარტიზებული ტესტების გამოყენება იდეოგრაფიულ მიდგომასთან, რომელიც, თუ თანმიმდევრულად იქნა გატარებული, იმას გულისხმობს, რომ ყოველი

[1] ინდივიდუალური, კონკრეტული შემთხვევების შესწავლის ოლპორტის მოწოდების ყველაზე მკაფიო გამოხატულება იყო მისი გახმაურებული გამოკვლევა, სადაც, ვინმე ჯენი მასტერსის ცენტრალური პიროვნული თვისებების გამოვლენის მიზნით, და ექსპერტული შეფასების (კონტენტანალიზის) გზით, შესწავლილ იქნა ერთი ნაცნობი წყვილისადმი მის მიერ გაგზავნილი სამასამდე წერილი [19].

ადამიანის შესწავლისას კვლევის ინსტრუმენტი საგანგებოდ უნდა იქნეს შესაბამისობაში მოყვანილი ამ პიროვნების კონკრეტულ, განუმეორებელ თავისებურებებთან.

ყოველივე ეს უკავშირდება ოლპორტის თეზისს პიროვნების ინდივიდუალურობისა და უნიკალურობის თაობაზე, რომელიც იმდენად რადიკალურად არის ფორმულირებული, რომ, ძირითადად, გამორიცხავს ადამიანის ფსიქიკის სფეროში რაიმე ზოგადი კანონზომიერების ძიების შესაძლებლობას. უნდა ითქვას, რომ ოლპორტის თეორიული სისტემის ამ პუნქტმა ყველაზე დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია იმ ფსიქოლოგთა შორის, რომლებსაც კანონზომიერების დადგენისა და განზოგადების გარეშე მეცნიერული კვლევა ვერ წარმოუდგენიათ. ინდივიდუალობის შესწავლა ზოგადის აღმოჩენაზე უარის თქმას არ უნდა ნიშნავდეს. პიროვნების ფსიქოლოგიის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ინდივიდის უნიკალურობა პიროვნული თვისებების სხვადასხვა დონის უნიკალურ შეხამებას ნიშნავს, ამასთან, ეს თვისებები ყველასთვის ერთნაირია [35]. უფრო ზოგად პლანში ეს პოზიცია მკაფიოდ გამოხატა ა. ფრანგიშვილმა. მისი თქმით, „პერსონალისტური ფსიქოლოგია, რომელიც უარყოფს პიროვნების შესწავლას ზოგადი ფსიქოლოგიის ფარგლებში, აგებულია კერძოსა და ზოგადის მცდარ ანტითეზაზე <...>პერთეული არ არსებობს სხვაგვარად, თუ არა იმ კავშირებში, რომელთაც მივყავართ ზოგადამდე. ზოგადი არსებობს მხოლოდ ერთეულში და ერთეულის წყალობით <...>პზოგადი ფსიქოლოგიისა და პიროვნების ფსიქოლოგიის დაპირისპირება კარგავს ყოველგვარ აზრს – ზოგადი ფსიქოლოგია არის, იმავე დროს, პიროვნების, ინდივიდუალობის ფსიქოლოგია“ [17; 32].

ოლპორტის თეორიულმა სისტემამ ბიძგი მისცა პერსონოლოგიაში *პიროვნული ნიშან-თვისებების მიმართულების* შექმნას. ამ ორიენტაციის ფარგლებში მრავალი მკვლევარი მუშაობს. მათ შორის განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებენ ჰ. აიზენკი და რ. კეტელი.

ჰანს იურგენ აიზენკი (1916-1997) – გერმანული წარმოშობის ბრიტანელი ფსიქოლოგი, პიროვნების სამფაქტორიანი თეორიის ავტორი, პიროვნებისა და ინტელექტის პოპულარული ტესტების შემქმნელი. განათლება მიიღო ლონდონის უნივერსიტეტში და აქვე მუშაობდა მის მიერ ჩამოყალიბებულ კლინიკური ფსიქოლოგიის განყოფილებაში. 1955 წლიდან 80-იანი წლების შუა პერიოდამდე ფსიქიატრიის ინსტიტუტის პროფესორი იყო. ამავე დროს, ეკავა მთავარი ფსიქიატრის თანამდებობა მოდსლის სამეფო ჰოსპიტალსა და ბედლამის ცნობილ ფსიქიატრიულ კლინიკაში. 1983 წლიდან ლონდონის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორია. დააფუძნა და რედაქტორობდა ორ ჟურნალს: „პიროვნება და ინდივიდუალური განსხვავებები“ და „ბიჰევიორალური კვლევები და ფსიქოთერაპია“. აიზენკმა 800-ამდე სტატია და 75-ზე მეტი წიგნი დატოვა. მის საინტერესოდ დაწერილ სამეცნიერო-პოპულარულ ნაშრომებს დღესაც მკითხველთა დიდი საერთაშორისო აუდიტორია ჰყავს.

აიზენკი ამოდის მოსაზრებიდან პიროვნების ელემენტების იერარქიული წყობის შესახებ. მან გამოყო ქცევის ორგანიზაციის ოთხი დონე: პირველი დონეა *სპეციფიკური მოქმედებები* (აზრები), რომლებიც შეიძლება შემთხვევით წარმოიქმნან და არც გამოხატავდნენ პიროვნების თავისებურებებს; მეორე დონეზე ჩვენ უკვე საქმე

გვაქვს *ჩვევით მოქმედებებთან*, ე.ი. ისეთ აქტებთან, რომლებიც გარკვეულ პირობებში რეგულარულად მეორდებიან; იერარქიის მესამე დონეზე თავს იჩენენ *პიროვნული ნიშან-თვისებები*. ისინი რამდენიმე ჩვეული მოქმედების გაერთიანების საფუძველზე აღმოცენდებიან. ქცევის ორგანიზაციის უმაღლეს, მეოთხე დონეზე გამოიყოფა *ტიპები ან სუპერფაქტორები*. ისინი, თავის მხრივ, რამდენიმე პიროვნული ნიშან-თვისების გაერთიანების შედეგად წარმოიქმნებიან [9].

პიროვნების ელემენტები ან პარამეტრები ფაქტორული ანალიზის გზით გამოიყოფა. ეს არის სტატისტიკური ტექნიკა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, დავადგინოთ ფაქტორები, ანუ ურთიერთდაკავშირებული მოქმედების ჯგუფები. ისინი პიროვნების სტრუქტურის ელემენტებია. ფაქტორული ანალიზის სხვადასხვა დონეზე გარკვეული წონის ფაქტორები მიიღება. მაგალითად, ისეთი პიროვნული ნიშან-თვისებების გამოყოფის შემდეგ, როგორებიცაა: კომუნიკაბელურობა, აქტიურობა, იმპულსურობა, აღგზნებულობა, თავდაჯერებულობა, უდარდელობა, ოპტიმიზმი და სხვ., შემდგომი ფაქტორული ანალიზი საშუალებას იძლევა, დადასტურდეს მათი გამაერთიანებელი უმაღლესი რიგის ფაქტორის – ექსტრავერსიის არსებობა.

თავდაპირველად აიზენკმა ორი სუპერფაქტორი გამოყო და მოგვიანებით მათ კიდევ ერთი დაუმატა. ყოველი სუპერფაქტორი *ბიპოლარულია*, ანუ ურთიერთსაწინააღმდეგო პარამეტრებისგან შედგება. მაგალითად, *ექსტრავერსიის* საპირისპირო ტიპი არის *ინტრავერსია* – ესაა პასიური, ფრთხილი, არაკომუნიკაბელური, ჩუმი, პესიმისტური, მშვიდობისმოყვარე, საღად მოაზროვნე ადამიანი.

მეორე სუპერფაქტორია *ნევროტიზმი-სტაბილობა*. ადამიანები ნევროტიზმის ნიშნის მაღალი მაჩვენებლით ძალზე ძლიერად რეაგირებენ აგზნებაზე და ძნელად უბრუნდებიან ნორმალურ მდგომარეობას. მათ ახასიათებთ შფოთვის მაღალი დონე, დაძაბულობა, დათრგუნვილობა, დაბალი თვითშეფასება და მიდრეკილება გარკვეული ორგანული და ფსიქოლოგიური პრობლემებისადმი.

მესამე სუპერფაქტორი *ფსიქოტიზმია*. ადამიანი მისი მაღალი მაჩვენებლით არის ეგოცენტრული, ცივი, აგრესიული, იმპულსური, მტრული, ანტისოციალური და ეჭვიანი. ის, ვინც დაბალი ფსიქოტიზმით ხასიათდება (აიზენკის ტერმინოლოგიით, ძლიერი *სუპერეგოთი*) ემპათიური ადამიანია, თანამშრომლობს სხვებთან, მზრუნველია და სოციალურად კარგად არის ადაპტირებული.

ამ ტიპების გამოსაელენად აიზენკმა შექმნა რამდენიმე ტესტური მეთოდიკა, რომელთა გამოყენებით მრავალი საინტერესო მონაცემი მიიღო. ეს, განსაკუთრებით, ექსტრავერსია-ინტრავერსიის პარამეტრს ეხება. მაგალითად, გამოირკვა, რომ ინტრავერტები უფრო მგრძნობიარენი არიან სენსორული სტიმულაციისა და ტკივილის მიმართ. ისინი, ექსტრავერტებთან შედარებით, უფრო მალე იღლებიან. ექსტრავერტები უფრო ხშირად მონაწილეობენ სოციალურ მოვლენებში, მიისწრაფვიან ექსტრემალური და სარისკო სიტუაციებისა და ქცევებისკენ, მეტ მიდრეკილებას იჩენენ ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მიმართ, უფრო აქტიურ სექსუალურ ცხოვრებას ენევიან. სკოლასა და კოლეჯში მათი მოსწრების დონე ჩამორჩება ინტროვერტებისას.

სხვადასხვა ფაქტორის გარკვეული კომბინაცია კორელაციაშია პიროვნებისა და ქცევის მნიშვნელოვან მაჩვენებლებთან, როგორებიცაა: მიდრეკილება ორგანული დაავადებებისადმი (მაგალითად: კიბო, ჰიპერტონია და ა.შ.), შემოქმედების უნარი და სხვ. მრავალმა ემპირიულმა და გამოყენებითი ხასიათის კვლევამ აჩვენა, რომ ეს თეორიული მოდელი „მუშაობს" პრაქტიკაში და იძლევა სანდო განსხვავებებს დამნაშავეობის სტატისტიკაში, სულიერი და ფსიქოსომატური დაავადებებისადმი თუ უბედური შემთხვევებისადმი მიდრეკილების შემთხვევაში, პროფესიათა შერჩევაში, სპორტულ თუ სხვა წარმატებებში. დადგენილია, მაგალითად, რომ კრიმინალურ და ანტისოციალურ ინდივიდებს, ჩვეულებრივ, ნევროტიზმის, ექსტრავერსიისა და ფსიქოტიზმის მაღალი მაჩვენებლები აღენიშნებათ.

ყოველივე ეს საკმაო დამარწმუნებლობას ანიჭებს პიროვნების დახასიათებისადმი აიზენკისეულ მიდგომას და სარწმუნოს ხდის მის მიერ გამოყოფილი პარამეტრების რეალურ არსებობას. თვით აიზენკი ამ საკითხს უაღრესად სერიოზულად უდგებოდა. ფაქტორის რეალურ არსებობას, მისი აზრით, ყველაზე მეტად ამ უკანასკნელის ბიოლოგიური, საბოლოო ჯამში კი, ბიოქიმიური განპირობებულობა ადასტურებს. ამიტომ იგი რუდუნებით აგროვებდა საბუთებს სამივე სუპერფაქტორის გენეტიკური დეტერმინებულობის დასამტკიცებლად. პიროვნების ფორმირებაში ბიოლოგიური კომპონენტის მნიშვნელობაზე კროსკულტურული კვლევები მიუთითებს: სრულიად განსხვავებულ კულტურებში ერთნაირი ფაქტორები გამოვლინდა. იმავეზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ცალ-ცალკე გაზრდილი ჰომოზიგოტური ტყუპები ამ პიროვნული ნიშნების მიხედვით ბევრად უფრო მსგავსები არიან, ვიდრე ერთად გაზრდილი ჰეტეროზიგოტული ტყუპები. მნიშვნელობა აქვს ლონგიტუდური კვლევის შედეგებსაც. მათ აჩვენეს, რომ პიროვნების სამფაქტორიანი სტრუქტურა დროში უაღრესად გამძლეა. საბოლოოდ, აიზენკი მივიდა დასკვნამდე, რომ თითოეული სუპერფაქტორის ვარიაციის 65%-75% განსაზღვრულია მემკვიდრეობით, ხოლო დანარჩენი – გარემო პირობების თავისებურებებით [32].

ამას ეფუძნება აიზენკის შეხედულება ავადმყოფობასა და მკურნალობაზე. აღნიშნულ საკითხს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა პიროვნების ფსიქოლოგიაში. აიზენკის ე.წ. *დიათე ზურ-სტრესული* მოდელის მიხედვით, ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან თავისი მიდრეკილებებით ამა თუ იმ ფსიქიკური აშლილობის მიმართ. ფსიქიკურ დარღვევებს განაპირობებს ის მიდრეკილებები (დიათეზი), რომლებსაც ფსიქოტიზმის სკალაზე მაღალი მაჩვენებელი აქვთ, მაგრამ არა ცალსახად, არამედ სტრესული სიტუაციის მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან ერთად. იგივე ხდება ნევროზების შემთხვევაშიც. ნევროზით დაავადებული პაციენტების უმრავლესობაში ნევროტიზმის დონე მაღალია, ხოლო ექსტრავერსიისა – დაბალი. მაგრამ ნევროტიზმის სკალაზე მაღალი მაჩვენებელი, თავისთავად, სულაც არ ნიშნავს, რომ ადამიანს ნევროზი სჭირს ამ სიტყვის ფსიქოპათოლოგიური მნიშვნელობით. ამრიგად, მიუხედავად გენეტიკური ფაქტორის მნიშვნელობისა, ტრავმატული ფაქტორის მინიმიზაციამ ქცევის სათანადო რეგულაციის გზით შეიძლება, მოგვცეს საგრძნობი დადებითი ეფექტი როგორც პროფილაქტიკის, ისე თერაპიის კუთხით. ამიტომ აიზენ-

კი ყოველმხრივ პროპაგანდას უწევდა *ბიჰევიორალურ თერაპიას.*

მეცნიერებაში თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობით, განსაკუთრებით დიაგნოსტიკური მეთოდების შემოტანით, აიზენკმა ფართო აღიარება მოიპოვა. აიზენკს არ შეუქმნია მასშტაბური თეორიული სისტემა, მით უფრო, ახალი მიმდინარეობა. მისი შეხედულებები მთლიანად თავსდება პერსონოლოგიის იმ განხრაში, რომელსაც თვისებების/ნიშნების ფსიქოლოგიას უწოდებენ. თუმცა ამ მიმართულებით მან ფრიად მნიშვნელოვანი იდეები გამოთქვა და, რაც მთავარია, მრავალი საინტერესო მონაცემით გაამდიდრა პიროვნების ფსიქოლოგია. აიზენკი მომხრე იყო ექსპერიმენტული და კორელაციური მეთოდების შეუღლებისა და გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი მომთხოვნელობით ემპირიული კვლევის სიზუსტისა და სანდოობის მიმართ. აქედან გამომდინარე, იგი უაღრესად კრიტიკული და, შესაძლოა, ზედმეტად კატეგორიულიც იყო სხვა ავტორებისა და მთელი მიმდინარეობების მიმართაც, თუ ისინი სათანადოდ არ ზრუნავდნენ ემპირიული მონაცემების სანდოობასა და ვერიფიკაციაზე. ამ მხრივ აიზენკი ფსიქოანალიზის ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი კრიტიკოსის სახელითაა ცნობილი (იხ. I თავი).

რაიმონდ ბერნარდ კეტელი (1905-1998) არანაკლებ მომთხოვნი იყო იმ კვლევის სანდოობის მიმართ, რომლითაც პიროვნების თვისებების დადგენა და გაზომვა ხდება. კეტელმა სადოქტორო დისერტაცია დაიცვა ფაქტორული ანალიზის ერთ-ერთი შემქმნელის, ჩარლზ სპირმენის ხელმძღვანელობით ლონდონის უნივერსიტეტში (1929). მუშაობდა ფსიქიატრიული კლინიკის დირექტორად. გასული საუკუნის 30-იანი წლების მიწურულს აქტიურად თანამშრომლობდა ამერიკულ უნივერსიტეტებთან. 1941 წლიდან ჰარვარდშია, სადაც დაუახლოვდა გამოჩენილ პერსონოლოგებს: გ. ოლპორტს და ჰ. მიურეის. სამი ათეული წელი იყო პროფესორი ილინოისის უნივერსიტეტში და ხელმძღვანელობდა პიროვნებისა და ჯგუფური ქცევის შემსწავლელ ლაბორატორიას.

განსხვავება აიზენკისა და კეტელის მიდგომებს შორის პიროვნების ნიშან-თვისებების რაოდენობას უკავშირდება. კეტელი უფრო მეტ ნიშან-თვისებასაც გამოყოფს და მათ უფრო მრავალფეროვან სურათსაც გვთავაზობს. პირველ რიგში, ხდება *ზედაპირული და სიღრმივი (საერთო)* ნიშან-თვისებების დიფერენცირება. ეს უკანასკნელნი წარმოადგენენ „საშენ ბლოკებს", რომლებითაც პიროვნება აიგება; ისინი პიროვნების სტრუქტურის ძირითადი ელემენტებია. მათ დასადგენად ზედაპირული ნიშან-თვისებების ფაქტორული ანალიზი ხორციელდება. თავის მხრივ, ზედაპირული ნიშან-თვისებების ნუსხა, ძირითადად, ორი ხერხით დგება: ერთ შემთხვევაში გამოიყენება ე.წ. ცხოვრებისეული ან L-მონაცემები (Life – ცხოვრება). აქ იგულისხმება როგორც ობიექტური ინფორმაცია (მაგალითად, გამოცვლილი სამუშაო ადგილების რაოდენობა დროის გარკვეულ მონაკვეთში), ისე სხვების შეფასებები (მაგალითად, უფროსის აზრი თანამშრომლის საქმიანი თვისებების შესახებ); მეორე შემთხვევაში, ათვლის წერტილს ლექსიკონში მოცემული ზედსართავები შეადგენენ. კეტელმა დაიწყო 4500 ზედსართავით, რომლებიც 18000 სიტყვიდან შეირჩა. ეს სია შემცირდა სინონიმების, ჟარგონული გამონათქვამებისა და რთული ან უწვეულო სიტყვების გა-

მორიცხვის ხარჯზე. დარჩენილი 171 ზედაპირული ნიშან-თვისება გაივლის ექსპერტული რანჟირების პროცედურას, ხოლო შემდეგ, ისევე როგორც პირველ შემთხვევაში, მიმართავენ მრავალფაქტორული ანალიზის მეთოდს, რომლის საშუალებითაც რამდენიმე ზედაპირული ნიშან-თვისება ერთიანდება მსხვილ ფაქტორში. ასე გამოიყო 16 საერთო პიროვნული ნიშან-თვისება და შედგა მათი გასაზომი საყოველთაოდ ცნობილი 16-ფაქტორიანი პიროვნული კითხვარი. იგი გვაძლევს ე.წ. Q მონაცემებს (Questionnaire – კითხვარი) ისეთი პარამეტრების შესახებ, როგორებიცაა, მაგალითად: თავშეკავებულობა, ინტელექტი, ემოციური მდგრადობა, დომინანტურობა, გამბედაობა, პრაქტიკულობა, კონსერვატიულობა, დისციპლინირებულობა და სხვ. შემდგომში, ე.წ. ობიექტური ტესტების ან OT მონაცემების (Objective Tests) საფუძველზე ეს სია გაიზარდა 23-ამდე, თავის ანტონიმებთან ერთად.

საერთო პიროვნული ნიშან-თვისებები იყოფა *ტემპერამენტის, უნარების და მოტივაციურ* თვისებებად. პირველი ეხება ადამიანის ემოციური ცხოვრების თავისებურებებს; მეორე – მის ინტელექტს, მუსიკალურ, მხატვრულ თუ სხვა ნიჭს, სენსომოტორულ თვისებებს და ა.შ.; მესამე – მოტივაციური სფეროს დინამიკურ და შინაარსობრივ მახასიათებლებს.

აიზენკისაგან განსხვავებით და ოლპორტის მსგავსად, კეტელი დიდ ყურადღებას აქცევდა პიროვნების აქტივობის მოტივაციურ მხარეს. მოზრდილების, ბავშვების, სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლების მიერ კონკრეტულ სიტუაციებში განხორციელებული მოქმედებებიდან მიღებული მრავალრიცხოვანი T-მონაცემის ფაქტორული ანალიზის შედეგად, კეტელი მივიდა დასკვნამდე, რომ პიროვნების მოტივაციური სფერო შედგება *თანდაყოლილი (ერგები) და შეძენილი (სენტიმენტები)* ტენდენციებისგან. ერგები ქცევის პირველადი და ბუნებრივი აღმძვრელებია, ისეთები, როგორებიცაა: შიმშილი, წყურვილი, სექსი, უსაფრთხოება, ცნობისმოყვარეობა და ა.შ. სენტიმენტებს შეადგენენ მოტივები, რომლებიც უკავშირდება ზნეობას, რელიგიას, კარიერას და ა.შ. საბოლოო ჯამში, ყოველთვის არის შესაძლებელი მათი კავშირის დადგენა სათანადო ერგებთან; ე.ი. მეორეული მოტივების ენერგია პირველადი მოტივებიდან მომდინარეობს. ერგები და სენტიმენტები, როგორც წესი, თანამონაწილეობენ რეალური ქცევის მოტივირების პროცესში და გარკვეულ პოლიმოტივაციურ სისტემებს ქმნიან.

კეტელის საბოლოო ამოცანას სწორედ რეალური, კონკრეტულ სიტუაციაში მიმდინარე ქცევის *წინასწარმეტყველება* შეადგენდა. ამისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ იმის ცოდნა, თუ რა პიროვნული ნიშან-თვისებები ახასიათებს ინდივიდს. პიროვნული ნიშან-თვისებები ხომ ქცევის ისეთ პარამეტრებზე მიუთითებს, რომლებიც მეტ-ნაკლებად ყველა სიტუაციაში ვლინდება. მაგრამ რეალურ ქცევაში თავს იჩენს კონკრეტულ დროსა და ვითარებასთან დაკავშირებული ფაქტორებიც. მაგალითად, დროსთან მიმართებით ცვალებადობს ე.წ. *მდგომარეობები.* ყოველ მომენტში ადამიანი სხვადასხვა ფსიქოლოგიურ (სიხარული, შფოთვა, დაღლილობა, აგზნებულობა, დეპრესია და ა.შ.) და ფიზიოლოგიურ (სხეულის ტემპერატურა, არტერიული წნევა, გულის ცემის რიტმი და სხვ.) მდგომარეობაში იმყოფება. ყოველივე ეს, ნაწილობრივ,

სიტუაციურად არის განპირობებული და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს იმაზე, თუ რა ქცევა იქნება არჩეული და როგორ წარიმართება იგი. ქცევის სიტუაციური ვარიირება კიდევ უფრო მეტადაა დაკავშირებული ე.წ. *როლებთან*. კეტელი ამ შემთხვევაში იმას გულისხმობს, რომ ადამიანის რეალური ქცევა განსაზღვრულია, ჯერ ერთი, იმ ტრადიციებითა და ნორმებით, რაც მიღებულია კონკრეტულ სოციალურ გარემოში და, ასევე, იმ როლით, რასაც ადამიანი ასრულებს მოცემულ სიტუაციაში.

საბოლოო ჯამში, პიროვნული ნიშან-თვისებების სტრუქტურის, სუბიექტის მდგომარეობისა და რეალური ვითარების გათვალისწინებით, კეტელი ცდილობს, განსაზღვროს ამა თუ იმ ქცევის განხორციელების ალბათობა კონკრეტულ სიტუაციაში. ამრიგად, როგორც თანამედროვე ფსიქოლოგების უმეტესობა, კეტელიც კარგად აცნობიერებს იმას, რომ ქცევა განსაზღვრულია როგორც პიროვნული (დისპოზიციური), ისე სიტუაციური ფაქტორებით. მიუხედავად ამისა, კეტელი მაინც დისპოზიციონისტად არის მიჩნეული. ეს, ალბათ, იქიდან გამომდინარეობს, რომ ფსიქოლოგიაში მისი წვლილი არსებითად პიროვნული ნიშან-თვისებების შესწავლას უკავშირდება.

ფსიქოლოგიაში საბუნებისმეტყველო პარადიგმის ერთ-ერთი ყველაზე პრინციპული მომხრე, კეტელი, განსაკუთრებით ზრუნავდა იმაზე, რომ დაემტკიცებინა მის მიერ გამოვლენილი ელემენტების რეალური არსებობა პიროვნების სტრუქტურაში. ამის დასადასტურებლად იგი მრავალნაირ ფაქტობრივ მასალას იყენებდა. ეს იყო სხვადასხვა გზით მოპოვებული მონაცემების ფაქტორული ანალიზი, კროსკულტურული და ონტოგენეტური კვლევის შედეგები. აქვე შედიოდა პიროვნულ ნიშან-თვისებებზე დაყრდნობით, ბუნებრივ პირობებში მიმდინარე ქცევის პროგნოზირებისა და ტყუპების მეთოდით ჩატარებული მრავალრიცხოვანი კვლევების მონაცემები [28]. ყოველივე ამის საფუძველზე კეტელი მივიდა დასკვნამდე, რომ მის მიერ გამოყოფილი პიროვნული ნიშან-თვისებები ნამდვილად არსებობენ, რომ შესაძლებელია მათი გაზომვა და, შესაბამისად, რეალური ქცევის წინასწარმეტყველება. ამას კი სრულიად გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, თუნდაც პროფესიული ორიენტაციისა და კონკრეტული საქმიანობისთვის შერჩევის ან ფსიქიკური აშლილობების პროფილაქტიკისა და მკურნალობის კუთხით.

ამ უკანასკნელ ასპექტს კეტელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. სათანადო კლინიკური და კვლევითი გამოცდილების საფუძველზე, მან გამოყო ორი სახის პათოლოგია: ერთი ნორმალური ფუნქციების დისბალანსით გამოწვეული მდგომარეობაა, ხოლო მეორე – განსაკუთრებული და სრულიად გარკვეული ავადმყოფური პროცესების შედეგი. ფსიქიკური გადახრების მქონე ინდივიდებს ისეთივე პიროვნული ნიშნები ახასიათებთ, რაც ნორმალურ ადამიანებს, ოღონდ, დამატებით, მათ ანომალიური თვისებებიც აქვთ. ფსიქიკურად დაავადებული ინდივიდების შესწავლამ იგივე 23 პიროვნული ნიშან-თვისება გამოავლინა, პლუს 12 დამატებითი პათოლოგიური ფაქტორი.

დასასრულ, საჭიროა აღინიშნოს, რომ კეტელის სისტემის შეფასებების დიაპაზონი საკმაოდ ფართოა – აღფრთოვანებულიდან მკაცრად კრიტიკულამდე [21]. მიუხედავად ამისა, როგორც არ უნდა ვაფასებდეთ კეტელის თეორიულ მოსაზრებებს,

უდავოა, რომ მის მიერ შექმნილი ტესტი იყო და რჩება პიროვნების შესწავლის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ და პოპულარულ ფსიქოდიაგნოსტიკურ საშუალებად.

ნათელია, რომ პერსონოლოგიის იმ მიმართულებაში, რომელიც პიროვნული თვისებების/ნიშნების ფსიქოლოგიად იწოდება, არ არსებობს შეთანხმებული შეხედულება პიროვნების სრულყოფილი დახასიათებისთვის საჭირო ნიშან-თვისებების რაოდენობაზე. ყოველი პიროვნების უნიკალური ნიშან-თვისებების ღირებულების ხაზგასმით და ფაქტორულ მეთოდზე უარის თქმით, ოლპორტი, ფაქტობრივად, ნიშან-თვისებების განუსაზღვრელი რაოდენობის აღიარებამდე მიდის. კეტელს, ფაქტორული ანალიზის საშუალებით, საერთო ნიშან-თვისებების რაოდენობა ოცდასამამდე დაყავს. აიზენკი კი, სულაც, სამი ნიშან-თვისებით (სუპერფაქტორით) კმაყოფილდება [33].

ბოლო ხანებში სულ უფრო მეტ ძალას იკრეფს ახალი მიდგომა, რომელიც ამ მხრივ ერთგვარ კომპრომისად შეიძლება ჩაითვალოს. ამ შეხედულების თანახმად, პიროვნების არსებითი დახასიათებისთვის აუცილებელი და საკმარისია ხუთი თვისება/ნიშანი, ესენია: *ნევროტიზმი, ექსტრავერსია, ღიაობა გამოცდილებისადმი, კეთილმოსურნეობა და შეგნებულობა*. ეს, ცხადია, სუპერფაქტორებია, რომლებიც უფრო დაბალი წონის ფაქტორებს აერთიანებენ. მაგალითად, გამოცდილებისადმი ღიაობაში შედის ისეთი ნიშნები, როგორებიცაა: ცნობისმოყვარეობა, დაინტერესებულობა, კრეატიულობა, შთაგონებულობა, გაწაფულობა, რეფლექსიურობა და სხვ.; კეთილმოსურნეობაში – სიკეთე, სირბილე, თანამშრომლობა, თავმდაბლობა, დიდსულოვნება, პირდაპირობა, ხელგაშლილობა და სხვ.; შეგნებულობაში – პასუხისმგებლობა, აკურატულობა, ორგანიზებულობა, გულმოდგინეობა, დისციპლინირებულობა, პრაქტიკულობა, შეუპოვრობა და სხვ.; ნევროტიზმი და ექსტრავერსია ისეთივე ნიშნებით ხასიათდება, როგორც აიზენკთან.

თავდაპირველად *ხუთფაქტორიანი მოდელის* იდეა უორენ ნორმანმა წამოაყენა. მისი აზრით, მიუხედავად დიდი რაოდენობის სპეციფიკური და ინდივიდუალური ნიშან-თვისებებისა, არსებობს ხუთი საბაზისო ფაქტორი, რომლებიც საკმაოდ სრულყოფილად და, ამასთან, ეკონომიურად ახასიათებს პიროვნებას. ეს ფაქტორები ბევრს გვეუბნება მისი ინდივიდუალურობის შესახებაც. შემდგომში ამ მოდელის დაზუსტებასა და გაღრმავებაში მრავალი მკვლევარი მონაწილეობდა (ლ. გოლდბერგი, ჯ. დიგმანი, ო. ჯონი, რ. მაკკრეი, პ. კოსტა და სხვ.). დადასტურდა ხუთივე ფაქტორის ვალიდობა და სანდოობა, ასევე მათი სტაბილობა ადამიანის ცხოვრების განმავლობაში. შეფასდა ამ ფაქტორების კავშირი მემკვიდრეობასა და ევოლუციურ თეორიასთან.

ხუთფაქტორიანი მოდელის ფარგლებში რამდენიმე ფსიქოდიაგნოსტიკური ტესტია შექმნილი. ისინი ფართოდ გამოიყენებიან პრაქტიკაში, სახელდობრ: პროფესიის შერჩევისას, ფსიქოკონსულტაციური და ფსიქოპათოლოგიური დიაგნოსტირებისა და სათანადო მკურნალობის შერჩევისას. არსებული გამოცდილება ადასტურებს, რომ ადამიანის პროფილის ცოდნა აღნიშნული ხუთი ფაქტორის მიხედვით, საშუალებას იძლევა, საკმაოდ სანდოდ ვივარაუდოთ, თუ რა სახის საქმიანობაში მიაღწევს იგი მეტ წარმატებას, როგორი იქნება მისი სასწავლო მოსწრების დონე და რა ტიპის ფსი-

ქოთერაპია მოუტანს მეტ სარგებლობას საჭიროების შემთხვევაში [35]. საბოლოოდ, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ხუთფაქტორიანი მოდელი პიროვნული ნიშნების ფსიქოლოგიის ყველაზე თანამედროვე და პერსპექტიული მიმართულებაა. მის ემპირიულ დამუშავებაზე ოთხი სოლიდური კვლევითი ჯგუფი მუშაობდა სხვადასხვა მეთოდიკური აპარატის გამოყენებით [8]. მუშაობა კვლავაც გრძელდება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვა მოდელებს, თუნდაც სამფაქტორიან თეორიას, ფარ-ხმალი აქვთ დაყრილი. აიზენკმა საკმაოდ ძლიერი არგუმენტები წამოაყენა იმის საჩვენებლად, რომ ბაზისურ სუპერფაქტორებად მაინც მის მიერ გამოყოფილი სამი ფაქტორი უნდა იქნეს მიჩნეული [34].

პიროვნული თვისებების/ნიშნების კონცეფცია XX საუკუნის ფსიქოლოგიის და, კერძოდ, პერსონოლოგიური მიმდინარეობის ერთ-ერთ ყველაზე მძლავრი ნაკადია. ის ახლაც დინამიკურად ვითარდება. მართალია, ფსიქოლოგია ჯერ კიდევ შორსაა იმისგან, რომ პიროვნების სრულყოფილი და ამომწურავი დახასიათება მოგვცეს, მაგრამ წარმატებები ამ მხრივ მაინც სახეზეა. ამაში დიდი წვლილი სწორედ პიროვნების თვისებების ფსიქოლოგიას მიუძღვის. მის ფარგლებში მართლაც ბევრი რამ გაკეთდა. შეიქმნა საკმაოდ მძლავრი მეთოდიკური აპარატი, ძირითადად, კითხვარის ტიპის სხვადასხვა ტესტის სახით. იგი გამოყენებულ იქნა მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან კორელაციურ კვლევებში, რომლებმაც გამოავლინეს პიროვნულ ნიშან-თვისებათა კავშირი ადამიანის ფუნქციონირების ამა თუ იმ მხარესთან. სახელდობრ, ძალიან მნიშვნელოვანია პიროვნული თვისებების ფორმირებაში მემკვიდრული და გარემოსეული ფაქტორების წვლილის დადგენასთან დაკავშირებული მონაცემები. ისინი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევენ ფსიქოლოგიის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით, რაც ფსიქობიოლოგიურ და ფსიქოგენეტიკურ კვლევებს უკავშირდება (იხ. VIII და XIV თავები). პიროვნული თვისებების ფსიქოლოგიის მთავარი ფიგურები ძალზე მრავალმხრივი და ნაყოფიერი მეცნიერები არიან. ორიგინალური დიაგნოსტიკური მეთოდების გამოყენებით მათ კლასიკური ემპირიული გამოკვლევების ნიმუშები შექმნეს; გამოთქვეს არაერთი საინტერესო მოსაზრება ფსიქოლოგიის ძირითადი ცნებების, თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპების გარშემო. ამ მიმართულების თეორეტიკოსების უმრავლესობა მეცნიერებაში მკაცრი დეტერმინისტული და სციენტისტური მიდგომის მომხრეა. გამონაკლისი გ. ოლპორტია, რომელიც ჰუმანისტური ფსიქოლოგიის სათავეებთან იდგა და ერთ-ერთმა პირველმა იგრძნო ჰუმანიტარული მეთოდოლოგიის მნიშვნელობა. ამავე დროს, იგი არც საბუნებისმეტყველო პარადიგმას უარყოფდა და, ალბათ, თანამედროვე ფსიქოლოგიის ყველაზე დიდ ეკლექტიკოსად უნდა მივიჩნიოთ.

პიროვნული ნიშან-თვისებების ფსიქოლოგია, ცხადია, ვერ ასცდებოდა კრიტიკულ შენიშვნებს. ისინი შეეხო ფაქტორული ანალიზის მეთოდოლოგიას, ემპირიული მონაცემების ურთიერთშეუსაბამობას, შეუთანხმებლობას ცენტრალურ საკითხში ფაქტორების რაოდენობასთან დაკავშირებით და ბევრ სხვა მომენტს. მაგრამ მთავარი დარტყმის ობიექტი ერთი, აქსიომატურად მიჩნეული დებულება გახდა. იგულისხმება პიროვნული თვისებების ფსიქოლოგიაში გაბატონებული რწმენა, რომ

თვისებები განაპირობებენ ადამიანის ქცევის მდგრადობას დროსა და სხვადასხვა სიტუაციაში (ე.წ. *ლონგიტუდური და კროსსიტუაციური სტაბილობა).* ეს ნიშნავს, რომ, თუ ადამიანს აქვს გამოკვეთილი პიროვნული თვისება, იგი თანმიმდევრულად გამოვლინდება როგორც დროის სხვადასხვა მონაკვეთში, ისე სხვადასხვა სიტუაციაში.

ლონგიტუდურ სტაბილობაზე გამახვილდა ყურადღება პაულ კოსტას (1942-) და რობერტ მაკკრეის (1949-) მოდელში, რომელიც ხუთფაქტორიანი მიდგომის ფარგლებში შემუშავდა და თანამედროვე პერსონოლოგიის ერთ-ერთ ყველაზე დამუშავებულ კონცეფციად შეიძლება ჩაითვალოს [40][41]. დიდ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით, ავტორები მიდიან დასკვნამდე, რომ პიროვნების ხუთივე სუპერფაქტორი დროში სტაბილურია, ანუ არ იცვლება, ან უმნიშვნელოდ იცვლება ცხოვრების განმავლობაში, მას მერე. რაც ადამიანს 30 წელი შეუსრულდება. მანამდე, ონტოგენეზის უფრო ადრეულ პერიოდში, განსაკუთრებით ადრეული მოზარდობის ასაკში, პიროვნული ნიშნები საგრძნობ ცვლილებებს განიცდის.

კოსტას და მაკკრეის აზრით, ლონგიტუდური სტაბილობის ფაქტი პიროვნული თვისებების ბიოლოგიურ, გენეტიკურ განსაზღვრულობაზე მიუთითებს. ონტოგენეზის ადრეულ სტადიაზე გამოვლენილი ცვალებადობაც, ძირითადად, ბიოლოგიური ძირების მქონე მომწიფების უნივერსალური პროცესის შედეგის სახით განიხილება. პიროვნების თვისებების არსებითად მემკვიდრეობით გაპირობებულობაზე მიანიშნებს ის გარემოებაც, რომ პიროვნების ხუთფაქტორიანი სტრუქტურა ყველა კულტურაში აღინიშნება და, ფაქტობრივად, ერთნაირი სახე აქვს (კროსკულტურული სტაბილობა), და რომ ეს სტრუქტურა და მისი ონტოგენეტური დინამიკა არსებითად ერთნაირია ქალებსა და კაცებში (გენდერული სტაბილობა)[1].

ყოველივე ეს პიროვნულ ნიშან-თვისებათა წარმომავლობას ეხება და არა ქცევის დეტერმინაციას. ამ უკანასკნელ საკითხში კოსტა და მაკკრეი, ძირითადად, *ინტერაქციულ* პოზიციაზე დგანან. ყოველგვარი ქცევა შინაგანი (ენდოგენური) და გარეგანი (ეგზოგენური) ფაქტორების ურთიერთქმედების შედეგია. პიროვნული თვისებები, როგორც დისპოზიციები, ან ე.წ. „ბაზისური ტენდენციები", შედიან შინაგანი ფაქტორის სტრუქტურაში. ისინი განსაზღვრავენ „დამახასიათებელ ადაპტაციებად" წოდებულ ენდოგენურ სტრქუტურას, რომელიც, მე-კონცეფციასთან ერთად, უშუალოდ გადის ქცევაზე. არსებითად, ესენია: მოქმედი მოტივაციური ცვლადები, კონკრეტული ადამიანის მისწრაფებები, ტენდენციები და ა.შ. მათ ჩამოყალიბებაში, პიროვნული

[1] ზემოთ მითითებულ გამოკვლევაში აიზენკი კოსტა-მაკკრეის ხუთფაქტორიანი თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ წამოყენებულ სხვა არგუმენტებთან ერთად იმასაც ამტკიცებს, რომ ამ მოდელზე დაყრდნობით ვერ ხერხდება დამარწმუნებელი კაუზალური კავშირის ჩვენება ფაქტორების გენეტიკურ მექანიზმსა და ქცევის ორგანიზაციას შორის, მაშინ როდესაც სამფაქტორიანი მოდელი, მისი აზრით, ამის შესაძლებლობას იძლევა. კრიტიკული შენიშვნები სხვებსაც აქვთ გამოთქმული. მაგალითად, სერიოზული ეჭვი ჩნდება იმის თაობაზე, თუ რამდენად შეიძლება ჩაითვალოს ხუთფაქტორიანი მოდელი პიროვნების სრულფასოვან კონცეფციად. მართლაც, ასეთ თეორიულ სისტემაში, დიდი ხუთეულის გარდა, უნდა იყოს მოცემული თეორიულად გამართული და ემპირიულად დადასტურებული შეხედულებები მე-კონცეფციის, პიროვნების იდენტურობის, არაცნობიერის და სხვა საკვანძო საკითხების გარშემო [16].

დისპოზიციების გარდა, ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს გარეგანი ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება ადამიანის ცხოვრებისეულ პერიპეტიებს (მის ბიოგრაფიას) და კულტურალურ ზემოქმედებებს (ნორმებს, ტრადიციებს და ა.შ.). რეალური ქცევა ამ ფაქტორებითაა დეტერმინებული, პლუს, რა თქმა უნდა, კონკრეტული სიტუაციის თავისებურებებით [8].

განსაკუთრებული დავის საგანი გახდა თვისებათა სტაბილობის კროსსიტუაციური ასპექტი. ამ მიმართულებით პირველი გამოკვლევა ჯერ კიდევ 1928 წელს შეასრულეს ჰიუ ჰარშტორნმა და მარკ მეიმ. მათი ნაშრომი იმის გარკვევას ეხებოდა, არის თუ არა პატიოსნება სიტუაციურად მდგრადი პიროვნული თვისება. ისინი საშუალებას აძლევდნენ ბავშვებს, ეცრუათ, ეთაღლითათ და მოეპარათ სხვადასხვა სიტუაციაში – საკუთარ სახლში, კლასში მეცადინეობისას, სპორტულ დარბაზში შეჯიბრისას და ეკლესიაში კათეხიზისის შესწავლისას. მაგალითად, საკლასო სამუშაოს დროს მათ შეეძლოთ, გადმოეწერათ პასუხი. გამოირკვა, რომ ბავშვები არ არიან ყოველთვის თანმიმდევრულად პატიოსნები (ან პირიქით). თუ ბავშვმა ითაღლითა ერთ სიტუაციაში, მაგალითად საკლასო წერისას, ეს არ ნიშნავს, რომ იგი უპატიოსნოდ მოიქცევა სპორტულ მოედანზე ან ეკლესიაში. კორელაციის მაჩვენებელი სხვადასხვა სიტუაციაში გამოვლენილ ქცევებსა და პიროვნულ ნიშნებს შორის ძალიან დაბალი აღმოჩნდა.

მოგვიანებით, სამოციანი წლებიდან მოყოლებული, დაიწყო საკითხის ფართო და სკრუპულოზური შესწავლა. ამის მთავარი ინიციატორი თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი ფსიქოლოგი უოლტერ მიშელი (1930-2018) იყო. იგი ჯ. კელისა და ჯ. როტერის ხელმძღვანელობით დაეუფლა სპეციალობას კლინიკური ფსიქოლოგიის განხრით ოჰაიოს უნივერსიტეტში და რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ეწეოდა კვლევით და პედაგოგიურ საქმიანობას ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებში (კოლორადო, ჰარვარდი, სტენფორდი, კოლუმბია).

თავის კლასიკურ გამოკვლევაში შეგნებულობის შესახებ მიშელმა აღმოაჩინა, რომ სტუდენტების მიერ გამოვლენილი შეგნებულობა ერთ ვითარებაში (მეცადინეობებზე დასწრება) და მეორეში (დავალებების დროული შესრულება) ან სულ არ არის ერთმანეთთან კავშირში, ან ეს კავშირი ძალზე სუსტია. მიშელმაც და სხვა მკვლევრებმაც უჩვენეს, რომ მოცემული ეფექტი აღინიშნება სხვა ქცევებისა და პიროვნული თვისებების შემთხვევაშიც (აგრესიულობა, რიგიდობა, ექსტრავერსია და ა.შ.). კორელაციის მაჩვენებელი ერთი რომელიმე პიროვნული თვისების კროსსიტუაციურ გამოვლინებებს შორის საშუალოდ 30%-ის ფარგლებშია და არ აღემატება 40%-ს. მიშელმა ისიც აღნიშნა, რომ პიროვნული თვისებების ტესტური გაზომვების პროგნოზული ღირებულება ძალზე მცირეა. მაგალითად, ექსტრავერსიის ტესტურ მნიშვნელობაზე დაყრდნობით, ვერ იწინასწარმეტყველებ ინდივიდის ქცევას სხვადასხვა ვითარებაში. არ არსებობს მყარი კავშირი სპეციფიკურ ქცევასა და პერსონალურ ნიშან-თვისებებს შორის [38].

საბოლოო ჯამში, ამ მონაცემების საფუძველზე გამოითქვა მოსაზრება, რომ ქცევა ბევრად მეტად განისაზღვრება სიტუაციის მახასიათებლებით, ვიდრე პიროვნული თვისებებით. ჩამოყალიბდა *სიტუაციონისტური* თვალსაზრისი, რომელიც და-

უპირისპირდა *დისპოზიციონისტურს*. დავა ამ შეხედულებებს შორის დღესაც მიმდინარეობს. სიტუაცია – დისპოზიციის დილემა ერთ-ერთი უმწვავესია თანამედროვე ფსიქოლოგიაში. დისკუსიაში ჩართული არიან როგორც პიროვნების ფსიქოლოგიის, ისე სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალისტები. გადამწყვეტი უპირატესობა ჯერ-ჯერობით არც ერთ მხარეს არ მოუპოვებია, ვინაიდან ორივეს საკმაოდ სერიოზული არგუმენტები აქვს საკუთარი პოზიციის დასაცავად.

ავიღოთ, თუნდაც, სიტუაციონიზმი. მისი მთლიანი უარყოფა არათუ ძნელია, არამედ შეუძლებელიც, ვინაიდან ეს ქცევაზე სიტუაციის გავლენის უარყოფის ტოლფასი იქნება. სიტუაციის პრიორიტეტი პიროვნულ ფაქტორზე ზოგჯერ მართლაც თვალსაჩინოა. შუქნიშანზე წითელი სინათლის ანთებისას მძღოლები ჩერდებიან, ხოლო მწვანის ანთებისას ადგილიდან იძვრიან. აქ მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა პიროვნული ნიშნებით ხასიათდება თითოეული მათგანი. გარკვეულ სიტუაციებში ყველა ნორმალური ადამიანი ერთნაირად იქცევა, რასაც, უმეტესწილად, მათი როლური მიკუთვნებულობა განსაზღვრავს. სასამართლოში ინდივიდის ქცევის წინასწარმეტყველებისთვის მის პიროვნულ თვისებებზე უფრო მნიშვნელოვანი ის არის, თუ რა როლს ასრულებს იგი (მოსამართლე, ადვოკატი, პროკურორი თუ ბრალდებული). თუ პიროვნული თვისებების ფსიქოლოგიის წარმომადგენლები მართლა ელოდებიან, რომ ადამიანის აგრესიულობა აუცილებლად გამოვლინდება რელიგიური ცერემონიის დროს, ხოლო კეთილმოსურნეობა – რეგბის თამაშისას, ისინი, უბრალოდ, ცდებიან – სამართლიანად მიაჩნიათ სიტუაციონისტებს. ისინი მიუთითებენ, ყოველდღიურ ყოფაში გავრცელებულ ფენომენზე, რომელიც *ატრიბუციის ფუნდამენტური შეცდომის* სახელით არის ცნობილი (ლ. როსი). ეს ნიშნავს ადამიანთა გაზვიადებულ წარმოდგენას პიროვნული ნიშნებისა და დისპოზიციების მნიშვნელობის შესახებ და, იმავდროულად, მათ უუნარობას, აღიარონ სიტუაციური ფაქტორების ზემოქმედების მნიშვნელობა სხვის ქცევაზე. ფაქტობრივად, ატრიბუციის ფუნდამენტურ შეცდომას ორი ასპექტი აქვს – გადაჭარბებული დისპოზიციონიზმი და არასაკმარისად განვითარებული სიტუაციონიზმი. ეს ფენომენი მრავალ გამოკვლევაში იქნა დადასტურებული. გამოითქვა რამდენიმე მოსაზრება მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ [11][18]. სიტუაციონისტები თვლიან, რომ ყოველდღიური ცნობიერების ამ მცდარ რწმენას უკრიტიკოდ იღებს ზოგიერთი მეცნიერი, როდესაც დისპოზიციონიზმის შეხედულებას იცავს.

მეორე მხრივ, მეცნიერულ ღირებულებას მოკლებულია სიტუაციონისტების „კრიტიკული" პოზიციაც, როცა ის სიტუაციური ფაქტორის აბსოლუტურ დომინირებას ან ერთადერთობას ამტკიცებს. მეტიც, ასეთი პოზიცია საერთოდ მცდარია, ვინაიდან მას, ფაქტობრივად, პიროვნების ცნების უარყოფამდე მივყავართ. პიროვნება, თუ ის რეალობაა, მუდმივ მახასიათებლებს გულისხმობს, რომლებიც არ შეიძლება ქცევაში არ აისახებოდნენ. ამიტომ ბუნებრივია, რომ სიტუაციონისტურ შემოტევას პერსონოლოგების საპასუხო რეაქცია მოჰყვა. შესრულდა სპეციალური ემპირიული გამოკვლევები იმის საჩვენებლად, რომ პიროვნული თვისებები დროისა და სიტუაციის პარამეტრების მიმართ საკმაოდ მაღალი მდგრადობით ხასიათდება. მაგალითად,

ლონგიტუდური კვლევებით დადასტურდა, რომ გარკვეული თვისებების (ემოციური სტაბილობა, დომინირებულობა, კომუნიკაბელურობა და სხვ.) ტესტურ მაჩვენებლებს შორის ცხოვრების სხვადასხვა პერიოდებში ძალიან მაღალი კორელაცია არსებობს. ეს პიროვნული თვისებების დროში მდგრადობაზე მეტყველებს, რაზეც ზემოთ ითქვა.

ქცევის სიტუაციურ შეთანხმებულობასთან დაკავშირებით, მიშელის შემდეგ, ყველაზე მეტი ეჭვი გაჩნდა. აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სეიმურ ეპსტაინის შრომები. სწორედ მან მოუნახა მეთოდური ხარვეზი იმ გამოკვლევებს, რომლებიც, პიროვნულ თვისებებთან შედარებით, სიტუაციური ფაქტორის გადამწყვეტ როლზე მიანიშნებდნენ. ეპსტაინი ამტკიცებს, რომ არ შეიძლება ვიმსჯელოთ ადამიანის პატიოსნებაზე ან სიკეთეზე ერთჯერად სიტუაციებში განხორციელებულ ქცევებზე დაკვირვებით და მათ შორის კორელაციის გამოთვლით. ერთი სიტუაცია შეიძლება არარელევანტური აღმოჩნდეს მოცემული თვისებისთვის და ეს გაზომვის მცდარ მაჩვენებელში აისახება. მან აჩვენა, რომ სანდო მონაცემების მისაღებად ადამიანის მოქმედება გაცილებით მრავალფეროვან და, რაც მთავარია, მრავალრიცხოვან სიტუაციებში უნდა შემოწმდეს. თუ ეს გაკეთდება, მაშინ აღმოჩნდება, რომ პიროვნული თვისებების (და სათანადო ქცევების) ვარიაცია სიტუაციიდან სიტუაციამდე სულაც არ არის ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც ამას სიტუაციონისტები წარმოადგენენ. ეპსტაინის ცნობილ გამოკვლევაში ოცდაათი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა დაკვირვება ცდისპირების განცდებსა და ქცევებზე. ამ რთული ექსპერიმენტის შედეგებს თუ განვაზოგადებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ ადამიანის ქცევაზე ერთსაათიანი დაკვირვება საკმარისი არ არის იმის განსაზღვრისთვის, თუ როგორ იმოქმედებს იგი შემდგომი მეორე საათის განმავლობაში. მაგრამ თუ დაკვირვება, ვთქვათ, ერთ კვირას გრძელდება, მაშინ საკმაოდ ზუსტად შეძლება იმის განსაზღვრა, თუ როგორ მოიქცევა იგი ნებისმიერი სხვა კვირის განმავლობაში. საბოლოოდ, ეპსტაინის თანახმად, ტესტებში გამოვლენილი პიროვნული თვისებების მიხედვით, ქცევა პროგნოზირებადია, ოღონდ ამისთვის სიტუაციები ეკვივალენტური უნდა იყვნენ. მართლაც, ხომ არ შეიძლება მოელოდე, რომ ადამიანი სრულიად განსხვავებულ სიტუაციებში აბსოლუტურად ერთნაირად მოიქცევა. ამასთან, მოქმედებები, რომლებიც განსხვავებულად გვეჩვენება, შეიძლება ერთი და იმავე პიროვნული თვისების გამოვლინება იყოს. მაგალითად, ადამიანებთან ხშირი კონტაქტი, მრავალი მეგობრის ყოლა და ძლიერი შთაბეჭდილებების ძიება ერთი თვისების, კერძოდ ექსტრავერსიის, გამოვლინებებია. საფიქრებელია, რომ ეს თვისება სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვა ქცევის სახით რეალიზდება.

პიროვნული თვისებების მიხედვით ქცევის წინასწარმეტყველება, ზოგადად, უკეთ ხერხდება, თუ ქცევის სიტუაციური კონტექსტი ნაცნობი და არაფორმალურია, რეაქციების სპექტრი ფართოა, ანუ არსებობს მისაღები ქცევების მრავალი ვარიანტი და სიტუაცია მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი დროის განმავლობაში უცვლელია [35]. სადღეისო მდგომარეობით, ექსპერტების დასკვნა ასეთია: „თვისებათა შეთანხმებულობა, პრინციპში, დასტურდება, მაგრამ მეტი შეთანხმება აღინიშნება გარ-

კვეული სიტუაციური კატეგორიების შიგნით (მაგალითად: სახლი, სკოლა, სამუშაო, გართობა, დასვენება) და არა მათ შორის. იმის გამო, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ ვაკვირდებით ადამიანების ქცევას სიტუაციების შეზღუდულ დიაპაზონში, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ქცევების შეთანხმებულობა მეტია, ვიდრე სინამდვილეში" [16; 317].

როგორც ჩანს, სწორედ ამის გათვალისწინებით, მიშელმა, რომელიც, ფაქტობრივად, დისპოზიციონიზმზე შემოტევის წამომწყები იყო, შემდგომში ერთობ შეარბილა თავისი პოზიცია და საკმაოდ გაწონასწორებული მოდელი შემოგვთავაზა *პიროვნულ თვისებათა კოგნიტურ-აფექტური სისტემის* სახით. ამ კონცეფციის დედააზრი იმის დაშვებაშია, რომ, ადამიანის ქცევის სიტუაციური ცვალებადობის მიუხედავად, მას სრულიად გარკვეული და პროგნოზირებადი ხასიათი აქვს. მაგალითად, ცოლზე გამწყრალმა ადამიანმა შეიძლება მის მიმართ აგრესია გამოავლინოს, მაგრამ თავის უფროსზე გაჯავრებისას, საფიქრებელია, რომ ასეთი რამისგან თავს შეიკავებს. ეს ვითარება თითქოს იმის მაჩვენებელია, რომ სუბიექტი ერთსა და იმავე სტიმულზე განსხვავებულად რეაგირებს და, მაშასადამე, აგრესიულობა, როგორც პიროვნული თვისება, ან სულ არ არსებობს, ან მხედველობაში მისაღები არ არის. მაგრამ, მიშელის მოდელის მიხედვით, სხვადასხვა პირის მიერ გამოწვეული გაღიზიანება ერთ და იმავე სტიმულად ვერ ჩაითვლება. აღწერილი მოქმედების ნიმუშები შეიძლება გამოხატავდნენ ადამიანის რეაგირების სტაბილურ სქემას. მიშელის აზრით, აქტივობა რომ ნიშან-თვისებათა სისტემის მდგრადი კონფიგურაციის შედეგი იყოს, მაშინ არ იარსებებს ქცევის სიტუაციური ვარიაცია; ე.ი., თუ ადამიანი ბრაზიანია, იგი, მეტ-ნაკლებად, ყოველთვის ერთნაირად იმოქმედებს. აქ მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ როგორია კონკრეტული სიტუაცია. სინამდვილეში პიროვნებას აქვს მყარი სქემა თავისი ქცევის ვარიირებისა სხვადასხვა სიტუაციაში. ამ სქემას მიშელი *პიროვნულ ავტოგრაფსაც* უწოდებს და თვლის, რომ ის ყველა სიტუაციაში სტაბილური რჩება, მაშინაც, როცა კონკრეტული ქცევა ცვალებადობს. პიროვნული ავტოგრაფი, არსებითად, დისპოზიციური ხასიათის მატარებელია. მასში შედის ისეთი საკმარისად მდგრადი *კოგნიტურ-აფექტური ერთეულები,* როგორებიცაა: მიზნები, ღირებულებები, მოლოდინები, ინფორმაციის კოდირებისა და თვითრეგულაციის სტრატეგიები. ისინი გარკვეული თვალსაზრისით ენაცვლებიან იმას, რასაც პიროვნული თვისებები/ნიშნები გულისხმობს. კრიტიკოსების საპასუხოდ, გვიანდელ პუბლიკაციებში მიშელი ამბობს, რომ უარყოფს არა ნიშან-თვისებებს, როგორც ასეთებს, არამედ ე.წ. განზოგადებულ ნიშან-თვისებებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ადამიანთა ინდივიდუალობასა და უნიკალობას. მაშასადამე, გამოდის, რომ ქცევის სიტუაციური ცვალებადობა კანონზომიერი და, ამავე დროს, დისპოზიციურად განპირობებული მოვლენაა. ასეთნაირად ცდილობს კოგნიტივისტი მიშელი სიტუაციონიზმისა და დისპოზიციონიზმის შერიგებას [39].

ამრიგად, როგორც ჩანს, არც ცალმხრივი სიტუაციონიზმია მართებული და არც ცალმხრივი დისპოზიციონიზმი. ქცევას პიროვნული ფაქტორიც განსაზღვრავს და გარემოსეულიც. ქცევის წინასწარმეტყველებისთვის ორივეს შესახებ მონაცემე-

ბის გათვალისწინებაა საჭირო, მაგრამ ესეც არ კმარა. მხედველობაშია მისაღები ის ეფექტებიც, რომლებიც მათი ურთიერთგავლენის შედეგად წარმოიქმნება. კრიტიკულ ფაქტორს სწორედ პიროვნული ნიშან-თვისებებისა და სიტუაციის ურთიერთქმედება შეადგენს. ამაშია ე.წ. *ინტერაქციული* თვალსაზრისის ძირითადი იდეა, რომელიც მყარად იკიდებს ფეხს თანამედროვე ფსიქოლოგიაში [10][30][36].

ინტერაქციის იდეა, თავისთავად, ახალი არ არის. მას სხვადასხვა ფორმით ბევრი მეცნიერი გამოთქვამდა. როგორც უკვე დავინახეთ, ჩამოყალიბებული ინტერაქციული სახე აქვთ მიურეისა და კეტელის კონცეფციებს. ინტერაქციული შეხედულების ვარიანტია, ფაქტობრივად, შტერნის ზემოთ განხილულილი კონვერგენციის თეორია და კოსტა-მაკრეის მოდელი. ასეთივე ბუნებისაა უზნაძის კოინცინდენციის თეორია-ც. უფრო მეტიც, უზნაძის მთელი ზოგადფსიქოლოგიური მოძღვრება ინტერაქციული მიდგომის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია, რადგან მასში, განწყობის სახით, ისეთი რეალობაა მონახული, რომელშიც შინაგანი და გარეგანი, პიროვნული და სიტუაციური ურღვევ და არსებით კავშირში იმყოფება (იხ. XII თავი). მიშელის თეორიის ბოლო ვერსია, შესაძლოა, მაინც უფრო სიტუაციონიზმისკენაა გადახრილი, მაგრამ უკვე შეიცავს ინტერაქციონიზმისთვის დამახასიათებელ ნიშნებს.

საკითხი, რომელიც ამჟამად დაისმის ინტერაქციონიზმის თეორეტიკოსების მიერ, ძირითადად, პიროვნული თვისებებისა და სიტუაციის ურთიერთმიმართებასა და ურთიერთზემოქმედებას ეხება. მაგრამ, ინტერაქციაზე საუბარი, მისი რეალური შესწავლა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ გავითვალისწინებთ, რომ სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები უკვე იქამდე ახდენენ ერთმანეთზე სერიოზულ ზეგავლენას, ვიდრე კონკრეტულ აქტივობაში მოხდება მათი დაკავშირება. ეს გავლენა ორმხრივია. სუბიექტის სიტუაციაზე გავლენაში, სულ ცოტა, ორი ასპექტი შეიძლება გამოიყოს. უფრო ზოგად პლანში თუ ვილაპარაკებთ, პიროვნება პირდაპირი მნიშვნელობით ქმნის კულტურულ, სოციალურ გარემოცვას და გარდაქმნის ფიზიკურ სამყაროს. ამავე დროს, პირადი გარემოც დიდწილად თვით ადამიანის მიერ განისაზღვრება და კონსტრუირდება. ინდივიდები ირჩევენ, სად ისწავლონ, იცხოვრონ, იმუშაონ, გაერთონ, ვისთან იმეგობრონ და ა.შ. ამ არჩევას, ნაწილობრივ მაინც, მათი პიროვნული თვისებები განსაზღვრავს. მაგალითად ის, თუ რა სიტუაციაში გაატარებს ადამიანი საღამოს, დამოკიდებულია მის ექსტრავერტობა-ინტრავერტობაზეც. ექსტრავერტი, ალბათ, უფრო ხმაურიან წვეულებას აირჩევს, ინტრავერტი კი სახლის მშვიდ სიტუაციას ამჯობინებს. მოკლედ, ადამიანი ქმნის და შემოფარგლავს იმ სიტუაციებს, რომელშიც უხდება ყოფნა და მოქმედება.

სიტუაციაზე პიროვნების გავლენის მეორე ასპექტი ისაა, რომ ადამიანს, ფაქტობრივად, საქმე აქვს არა გარემოსთან, მისი ობიექტური, ინტერსუბიექტური მნიშვნელობით, არამედ სიტუაციის ინდივიდუალურ-საზრისულ შინაარსთან (მოცემულობასთან). „რეალური სამყარო, სადაც შევიგრძნობთ, ვგრძნობთ, ვფიქრობთ და ვმოქმედებთ – ეს არის ჩვენ მიერ აღქმული და საზრისმინიჭებული სამყარო" [37; 232]. სიტუაცია, როგორც მოქმედი ფაქტორი, ადამიანის სუბიექტური ინტერპრეტაციის შედეგია და, ამდენად, იმთავითვე განპირობებულია პიროვნული ცვლადებით.

ეს შეიძლება იყოს კონტექსტურ, მიმდინარე სუბიექტურ მდგომარეობებთან დაკავშირებული სემანტიკა; აგრეთვე, სიტუაციის ისეთი ფუნდამენტური მომენტებით განსაზღვრული მნიშვნელობები, როგორებიცაა: ადამიანის ცოდნა და მისი ცხოვრების ისტორია. ყოველივე ამის გამო სიტუაციის აღქმა ყოველთვის საკმაოდ ინდივიდუალურია. რამდენი ადამიანიცაა სიტუაციაში, იმდენნაირია მისი გაგება და შეფასება. ერთი და იმავე ინდივიდისთვისაც სიტუაციამ სხვადასხვა დროს შეიძლება, განსხვავებული მნიშვნელობა შეიძინოს. სხვათა შორის, სწორედ ამ ვითარებას ითვალისწინებდა უზნაძე, როდესაც ერთმანეთისგან მკაფიოდ განასხვავებდა გარემოსა და სიტუაციის ცნებებს. სიტუაცია, მისი აზრით, გარემოს ის ნაწილია, რომელიც ინდივიდის გაბატონებულ მოტივაციასა და მის შესაძლებლობებს შეესაბამება, მათი რელევანტურია [5]. ამრიგად, სიტუაცია სუბიექტურად წაკითხული გარემოა.

თავის მხრივ, ინდივიდიც იმთავითვე სიტუაციური ზეგავლენის ქვეშ იმყოფება. აქაც ორი ასპექტი შეიძლება გამოიყოს: ერთი – აქტუალური ასპექტი; ინდივიდი ყოველთვის მხედველობაში იღებს ამჟამინდელი თუ მომავალი ქცევის სიტუაციას, რათა იგი მიზანშეწონილად წარმართოს; მეორე – გენეტიკური ასპექტი; პიროვნების ფორმირება გარემოს (სიტუაციის) მუდმივი და გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ზეგავლენის ქვეშ მიმდინარეობს. პიროვნული ნიშნები, თვისებები, დისპოზიციები, გარკვეულწილად, ყალიბდება სიტუაციური, ცხოვრებისეული გამოცდილების აკუმულირების შედეგად [10].

ამრიგად, თანამედროვე პერსონოლოგიაში (და სოციალურ ფსიქოლოგიაში) სიტუაცია-დისპოზიციის დილემა ჯერ კიდევ აქტუალურად დგას, ოღონდ ახლა მან სხვა სახე მიიღო. რადიკალური პოზიციები, რომლებიც ერთი ფაქტორის აღიარებასა და მეორის უკუგდებაში მდგომარეობდა, შერბილდა და შეიცვალა ქცევის ერთ-ერთი ასპექტისთვის უპირატესობის მინიჭებით. ზოგჯერ იმაზეც ლაპარაკობენ, რომ დღეს ყველა ფსიქოლოგი, ფაქტობრივად, ინტერაქციულ შეხედულებას იზიარებს [27]. ამაში შეიძლება არის ჭეშმარიტების მარცვალი, თუმცა უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ინტერაქციონისტული თვალსაზრისი თანდათან იკრებს ძალას. ნამდვილი და თანმიმდევრული ინტერაქციონიზმი შინაგანი და გარეგანი ფაქტორების პრინციპული თანაბარღირებულების, მათი არსებითი და ორგანული დაკავშირებულობის იდეებს ავითარებს. ჩვენ ვნახეთ, რომ ამ იდეების რეალიზაცია სხვადასხვა თეორიულ სისტემაში განსხვავებულ სახეს იღებს. მაშასადამე, ინტერაქციონიზმის სხვადასხვა სახეობა არსებობს [43]. საჭიროა პრინციპული მოსაზრებების ინტეგრირება და დასაზუსტებელი ემპირიული საკითხების შესწავლა. მომავალში ფსიქოლოგიის კრიზისის დაძლევაზე, თეორიულ შეხედულებათა ინტეგრაციაზე მიმართულ მკვლევრებს, სხვებთან ერთად, ამ ამოცანის გადაჭრაც მოუწევთ (იხ. XIV თავი).

ლიტერატურა

1. აბაშიძე ე., პერსონალისტური ფსიქოლოგია (ვ. შტრენი). საქ. სსრ მეცნ. აკადემია, თბილისი, 1962.

2. ბალიაშვილი მ., პიროვნების ფსიქოლოგიის საფუძვლები. უნივერსალი, თბილისი, 2012.
3. იმედაძე ი., ფსიქოლოგიის ისტორია: ანტიკური ხანიდან ჩვენს დრომდე. მწიგნობარი, თბილისი, 2021.
4. უზნაძე დ., პედოლოგია, დაუსწრებელი პედაგოგიური უნივერსიტეტი. ტფილისი, 1933.
5. უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია / შრომები, ტ. 3-4, მეცნიერება, თბილისი, 1964.
6. უზნაძე დ., ბავშვის ფსიქოლოგია / შრომები, ტ. 5, მეცნიერება, თბილისი, 1967.
7. შტერნი ვ., პერსონალისტური ფსიქოლოგია / დასავლეთ ევროპის ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობები. სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტფილისი, 1935.
8. ხეჩუაშვილი ლ., შესავალი პიროვნების ფსიქოლოგიაში, ტ. 1. თსუ, თბილისი, 2013.
9. Айзенк Г., Структура личности. КСП+, М., 1999.
10. Имедадзе И. В., Интеракционизм и общепсихологическая теория установки / Психологический журнал, 2012, 3. С. 33-44.
11. Майерс Д., Социальная психология. Питер, СПб., 1997.
12. Олпорт Г., Личность: Проблема науки или искусства / Психология личности. Тексты. МГУ, М., 1982.
13. Олпорт Г., Горечь и сладость плодов эклектизма / Личность в психологии. Ювента, СПб., 1998.
14. Олпорт Г., Общее и уникальное в психологии / Личность в психологии. Ювента, СПб., 1998.
15. Олпорт Г., Персоналистическая психология Вильяма Штерна / Личность в психологии. Ювента, СПб., 1998.
16. Первин Л., Джон О., Психология личности. Теория и исследования. Аспект Пресс, М., 2000.
17. Прангишвили А. С., О некоторых вопросах общепсихологической теории / Сообщения АН ГССР. Т. 17, 4, 1956.
18. Росс Л., Нисбетт Р., Человек и ситуация. Уроки социальной психологии. Аспект Пресс, М., 1999.
19. Фрейджер Р., Фейдимен Дж., Личность: теории, упражнения, эксперименты. Прайм-ЕВРОЗНАК, СПб., 2001.
20. Хекхаузен Х., Мотивация и деятельность. Смысл, М., 2003.
21. Холл К., Линдсей Г., Теории личности. КСП+, М., 1997.
22. Хьелл Л., Зиглер Д., Теории личности. Питер, СПб., 1997.
23. Штерн В., Одаренность детей и подростков и методы ее исследования. Задруга, М., 1922.
24. Штерн В., Дифференциальная психология и ее методические основы. Наука, М., 1998.
25. Allport G. W., Personality: A psychological interpretation. Holt, Rinehart and Wilson, New York, 1937.
26. Allport G. W., Pattern and growth in personality. Springer-Vergal, New York, 1986.
27. Argyle M., Furnham A., Graham J., Social situations. Cambridge University Press, Cambridge,

1981.

29. Cattell R. B., Personality and learning theory. Springer, New York, 1979.
30. Cloninger S. C., Theories of personality: Understanding persons. Pearson/Allyn and Bacon, Boston, MA, 2012.
31. Endler N. S., Persons, situations and their interactions / Further explorations in personality. Wiley, New York, 1981.
32. Evans R. I., Gordon Allport: the man and his ideas. Dutton, New York, 1970.
33. Eysenck H. J., Personality, genetics and behavior: Selected papers. Praeger, New York, 1982.
34. Eysenck H. J., Dimensions of personality: 16, 5, or 3? – criteria for a taxonomic paradigm / Personality and Individual Differences. 1991, 12 (8). P. 773-790.
35. Eysenck H. J., Four ways five factors are not basic / Personality and Individual Differences. 1992, 13 (6). P. 653-665.
36. Furnham A., Heaven P., Personality and social behaviour. Oxford University Press, New York, 1999.
37. Houts A. C., Cook T. D., Shadish W. R., The person-situation debate: A critical multiplism perspective // Journal of Personality, 1986, 54 (1). P. 52–105.
38. Magnusson D., Situational determinants of stress: an interactional perspective / A. Coldberger, S. Breznitz (Eds.). Handbook of stress. The Free Press, New York, 1982.
39. Mischel W., Introduction to personality. Holt, Rinehard&Winston, New York, 1976.
40. Mischel W., Shoda Y., A cognitive-affective system theory of personality / Psychological Review, 1995, 102 (2). P. 246-268.
41. McCrae R. R., Costa P. T., Four ways five factors are basic / Personality and Individual Differences. 1992, 13 (6). P. 667-673.
42. McCrae R. R., Costa P. T., Personality in adulthood: A five-factor theory perspective. Guilford Press, New York, 2003.
43. Murray H. A., Explorations in personality. Oxford University Press, New York, 1938.
44. Ozer D. J., Consistency in personality: A methodological framework. Springer-Vergal, New York, 1986.
45. Stern W., Autobiography / C. C. Murchison (Ed.). A History of psychology in autobiography. Vol. I. Clark University Press, Worcester, Massachusetts, 1930.
46. Stern W., General psychology the personalistic standpoint. Macmillan Company, New York, 1938.

X თავი
ჰუმანისტური და ეგზისტენციალური ფსიქოლოგია

XX საუკუნის პირველ ნახევარში ამერიკული ფსიქოლოგიის წამყვანი მიმდინარეობა უთუოდ ბიჰევიორიზმი იყო. გარკვეული გავლენით სარგებლობდა ფსიქოანალიზიც. 60-იანი წლებიდან მათ დაუპირისპირდა „მესამე ძალად" წოდებული ჰუმანისტური ფსიქოლოგია. მან ორგანიზაციულად გააერთიანა მკვლევრები, რომელთაც არ აკმაყოფილებდა პირველი ორი მიმდინარეობის ნატურალისტური, მექანიცისტური და რედუქციუნისტული ტენდენციები. ჰუმანისტური ფისიქოლოგია იმთავითვე არ იყო და არც ამჟამად არის ერთიანი თეორიული სისტემა ან სკოლა. ამიტომაც უფრო ხშირად ლაპარაკობენ *ჰუმანისტურ მოძრაობაზე*, რომელიც მიმართულია არა მხოლოდ მეცნიერულ-თეორიულ საკითხებზე, არამედ პრაქტიკის, სოციალურ ყოფასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაზე. ჰუმანისტური მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, მას სურს თავისუფალი, ჯანსაღი და ღირსეული ადამიანებით წარმოდგენილი საზოგადოების შექმნა. რაც შეეხება ჰუმანისტური ფსიქოლოგიის კონცეპტუალურ სახეს, იგი მიეკუთვნება ფსიქოლოგიური აზროვნების იმ ნაკადს, რომელიც უპირისპირდება ბუნების მოვლენების შემსწავლელი დისციპლინების ყაიდაზე აგებულ ფსიქოლოგიას.

ცნობილია, რომ უკვე XIX საუკუნის ბოლო მეოთხედიდან, ფსიქოლოგიის დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბებისთანავე, მისი განვითარება ორი, ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით წარიმართა. ერთი, ვუნდტიდან მომდინარე უფრო ძლიერი ნაკადი, ბუნებისმეცნიერებათა კალაპოტში მიედინებოდა. აქ ფსიქოლოგია ექსპერიმენტულ მეთოდოლოგიაზე იყო დაფუძნებული. პარალელურად, ვუნდტის თანამედროვეებმა: ფ. ბრენტანომ, ე. ჰუსერლმა და ვ. დილთაიმ საფუძველი ჩაუყარეს ფსიქოლოგიის ალტერნატიულ, შეიძლება ითქვას, ჰუმანიტარულ გააზრებას, რის მეტამეცნიერულ საფუძველსაც სიცოცხლის ფილოსოფია, ფენომენოლოგია და ეგზისტენციალიზმი შეადგენდა. ასეთი ორიენტაციის მქონე ფსიქოლოგია ამოდიოდა ცნობიერების და პიროვნების უნიკალური, ბუნების პროცესებზე დაუყვანადი თავისებურებებიდან (ინტენციონალობა, მთლიანობა, ობიექტურ ღირებულებებთან კავშირი და სხვ.); მას დაუშვებლად მიაჩნდა ადამიანის ფსიქიკის შესწავლა იმ მეთოდებით, რომლებიც ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების კვლევის პროცესში იყო აპრობირებული.

ავიღოთ, თუნდაც, ვილჰელმ დილთაის და ედუარდ შპრანგერის აღწერითი ან გაგებითი ფსიქოლოგია. დილთაის მიაჩნდა, რომ ფსიქოლოგია, პირველ რიგში, უნდა გავიგოთ როგორც კულტუროლოგიური მეცნიერება, რომელიც ითვალისწინებს ყოველი ადამიანის დინამიკურ ბუნებასა და უნიკალურ განვითარებას. იგი თვლიდა, რომ ახსნითი ან საბუნებისმეტყველო ფსიქოლოგია არ კმარა ადამიანის სრულყო-

ფილი შესწავლისთვის – ფსიქოლოგიური ლაბორატორია თავისი ატომისტური მიდგომით ვერ სწვდება ადამიანს, როგორც მთლიანს. დილთაის მოწაფე შპრანგერი, იყენებდა რა უფრო ინტუიტურ, ვიდრე ლაბორატორიულ მეთოდებს (გაგება, წვდომა, შთაგრძნობა), პიროვნებას შეისწავლიდა როგორც მთლიანს, მის ისტორიულ გარემოსთან, მის მიზნებსა და ღირებულებებთან მიმართებით [3]. უკვე აქ გამოიკვეთა ორგვარი – ე.წ. ახსნითი და გაგებითი – ფსიქოლოგიის დაპირისპირება. მაგრამ საგულისხმოა, რომ დილთაი და შპრანგერი მთლიანად არც ახსნით (ელემენტარისტულ, საბუნებისმეტყველო) ფსიქოლოგიას უარყოფდნენ და უშვებდნენ მისი შეზღუდული გამოყენების შესაძლებლობას პერიფერიულ პროცესებთან მიმართებით. პროცესის შემადგენელი ელემენტების ექსპერიმენტულ შესწავლას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, რაც უკვე განხორციელდა მისი მთლიანი საზრისული ბუნების გაგება, წვდომა. ამიტომაც, შპრანგერის თანახმად, ელემენტარისტული (ე.ი. ახსნითი) ფსიქოლოგია „მეთოდურად დაკავშირებულია სტრუქტურულ (ე.ი. გაგებით – ი.ი.) ფსიქოლოგიასთან და მას მიჰყვება“ [32; 299]. იყვნენ უფრო რადიკალურად განწყობილი მოაზროვნეებიც, რომლებიც საერთოდ უარყოფდნენ საბუნებისმეტყველო ფსიქოლოგიის კანონიერებას. გავიხსენოთ, თუნდაც, ედმუნდ ჰუსერლი, რომელმაც არსებითად გააიგივა ცნობიერების ფილოსოფიურ-ფენომენოლოგიური და ფსიქოლოგიური კვლევა [1].

ამრიგად, ფსიქოლოგიის ორი, დიამეტრულად განსხვავებული ვერსიის არსებობა თავიდანვე იყო დამახასიათებელი ფსიქოლოგიური მეცნიერებისთვის და მთელ მის ისტორიას წითელ ხაზად გაჰყვა. გასული საუკუნის პირველ ნახევარში დომინირებულ ძალას აშკარად საბუნებისმეტყველო ფსიქოლოგია წარმოადგენდა. 50-იანი წლებიდან მოყოლებული, ჰუმანიტარული პარადიგმა ახალ ძალას იკრებს და, საბოლოოდ, ჰუმანისტური ფსიქოლოგიის სახით ყალიბდება. იგი, როგორც ერთიანი მოძრაობა, *მესამე ძალა*, მოიცავს, აგრეთვე, *ეგზისტენციალურ და ფენომენოლოგიურ* ფსიქოლოგიას. ეს მოძრაობა არ არის ერთგვაროვანი. მისი ერთი ნაწილი (ეკლექტიკოსების ფრთა) შედარებით ზომიერ თვალსაზრისს იზიარებს და საბუნებისმეტყველო პარადიგმასთან გარკვეული კომპრომისების მომხრეა (გ. ოლპორტი, ა. მასლოუ, კ. როჯერსი, შ. ბიულერი, ი. ჩაილდი, ჯ. რიჩლაკი, პ. პოპენი, დ. რიქსი და სხვ.); მეორე ნაწილი (ეგზისტენციალისტების ფრთა) კატეგორიულად უარყოფს ადამიანის სულიერი სამყაროს შესწავლისას ექსპერიმენტის, გაზომვის, სტატისტიკისა და ბუნების კვლევაში დამკვიდრებული სხვა პროცედურების გამოყენების შესაძლებლობას და ამ სფეროში ერთადერთ რელევანტურ მეთოდოლოგიად ე.წ. ფენომენოლოგიურ, გაგებით ან ჰერმენევტიკულ მიდგომას მიიჩნევს (ლ. ბინსვანგერი, მ. ბოსი, ჯ. ბუგენტალი, რ. მეი, ა. ჯიორჯი, ჯ. ბერელი, კ. აანტესი და სხვ.) [15].

მიუხედავად ამ განსხვავებებისა, ჰუმანისტური მოძრაობის ყველა წარმომადგენელი აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ ადამიანურ არსებობას თავისი უნიკალური ონტოლოგიური თავისებურებები აქვს. აქედან გამომდინარე, „მეცნიერების ის მოდელი, რომელიც ნაწარმოებია საგნების, ობიექტების, ცხოველების, პროცესების შესახებ მეცნიერებებიდან შეზღუდული და არაადეკვატური ხდება მაშინ, როდესაც ჩვენ ვცდილობთ გავიგოთ ინდივიდები“ [45; 13]. მათთვის ერთნაირად მიუღებელია ბიჰე-

ვიორიზმისა და ფსიქოანალიზის არაჰუმანური და რედუქციონისტული მომენტები. ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ასოციაციის პირველმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუგენტალმა შემდეგნაირად გამოხატა ეს დამოკიდებულება: ჩვენ, ჰუმანისტი ფსიქოლოგები ვწუხვართ იმის გამო, რომ ფსიქოლოგები ვართ, რადგან ფსიქოლოგია ადამიანს განიხილავს როგორც დიდ თეთრ ვირთხას (ბიჰევიორიზმი) ან ნელა მომუშავე კომპიუტერს (კოგნიტივიზმი) [38]. ჰუმანისტური ფსიქოლოგია უპირისპირდება ასევე აკადემიურ ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ატომიზმს, რომელიც ვერ ითვალისწინებს შინაგანი გამოცდილების მთლიანობას. „ჰუმანისტურ ფსიქოლოგიაში – წერს ამ მიმდინარეობის მთავარი ჟურნალის რედაქტორი თომას გრინინგი – ადამიანი, როგორც შესწავლის ობიექტი, არ იშლება ცალკეულ ელემენტებად, ისეთებად, როგორებიცაა: რეფლექსები, შემეცნებითი პროცესები, ინტელექტუალური ცოდნა, არაცნობიერი ფიქსაციები ან ნევროზების პროექციები. ანალიზის სტატისტიკური მეთოდები, დეპერსონალიზებული ცდისპირების ე.წ. ობიექტური დაკვირვებები, ფსიქოპათოლოგიური ცვლილებების ცალმხრივი შესწავლის კლინიკური მეთოდები ჰუმანისტური ფსიქოლოგების მიერ განიხილება არა მხოლოდ როგორც არასაკმარისი, არამედ, აგრეთვე, როგორც შეცდომაში შემყვანი წყარო ჩვენი ცოდნისა ადამიანის შესახებ, ცოდნისა, რომელიც არ აელენს ადამიანის შინაგანი ცხოვრების მთელ სისავსესა და სიმდიდრეს“ [12; 161].

წინანდელი ფსიქოლოგიის მიუღებლობა იმდენად შორს მიდიოდა, რომ ჰუმანისტური მოძრაობის ფორმირების პროცესში იმაზეც კამათობდნენ, გამოეყენებინათ თუ არა საერთოდ სიტყვა *ფსიქოლოგია* და ხომ არ აჯობებდა, ასოციაციის პერიოდული გამოცემისთვის „ადამიანის კვლევათა ჟურნალი“ ეწოდებინათ. ასეა თუ ისე, საბოლოოდ, შეწყნარებულ იქნა ტერმინი *ჰუმანისტური ფსიქოლოგია*, რომელიც ჯერ კიდევ 1930 წელს გორდონ ოლპორტმა გამოიყენა. შესაბამისი ჟურნალი დაარსდა 1961 წელს, ხოლო ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ამერიკული ასოციაცია 1962 წელს შეიქმნა. 1970 წელს ის გადაკეთდა საერთაშორისო ორგანიზაციად. ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ფუძემდებლებმა (ოლპორტი, მასლოუ, როჯერსი, მეი, ბუგენტალი, მესტაკესი) ჩამოაყალიბეს მათი საზოგადოების კრედო, რომელიც შეიცავს ოთხ პუნქტს, ესენია: 1. ყურადღების გამახვილება პიროვნებაზე, როგორც განცდის უნარის მქონე ინდივიდზე და განცდაზე, როგორც ადამიანის შესწავლის პირველად ფენომენზე; 2. ადამიანის მექანიცისტური და რედუქციონისტური გაგების საპირისპიროდ, აქცენტის გაკეთება ისეთ, გამორჩეულად ადამიანურ თვისებებზე, როგორებიცაა: არჩევანი, შემოქმედებითობა, ღირებულებათა მიღება და თვითრეალიზაცია; 3. კვლევის მეთოდის არჩევა მისი საზრისიანობის მიხედვით; 4. ადამიანის ღირსებისა და ღირებულებების გათვალისწინება, ყოველ ადამიანში მოცემული სპეციფიკური ძალებისა და უნარების განვითარება. ამ თვალსაზრისში მთავარი პიროვნებაა, რომელიც პოულობს თავის თავს და უკავშირდება სხვა ადამიანებსა და სოციალურ ჯგუფებს [49].

ჰუმანისტური ფსიქოლოგია დაფუძნებულია შემდეგ ძირითად დებულებებზე: ადამიანის მიერ სამყაროსა და თავის თავის განცდა მთავარი ფსიქოლოგიური რეა-

ლობაა. ადამიანი აქტიური, მიზანმიმართული, შემოქმედებითი არსებაა, პიროვნებაა, რომელიც, გარკვეული აზრით, თავისუფალია გარეგანი დეტერმინაციისგან, ვინაიდან არჩევანს თავისი ნების მიხედვით აკეთებს. სინამდვილე ადამიანს საზრისებსა და ღირებულებებში გარდატეხილი სახით ეძლევა. ამასთან, ყოველი ინდივიდი უნიკალურია, ამიტომ ერთეული შემთხვევების ანალიზი კანონიერიც არის და ნაყოფიერიც. მნიშვნელოვანია, რომ ადამიანის სიცოცხლე ქმნადობისა და არსებობის ერთიანი პროცესია – ადამიანი ერთდროულად არის ის, რაც არის და ის, რისკენაც იგი მიისწრაფვის. ადამიანი დაჯილდოებულია განვითარებისა და თვითრეალიზაციის თვისებით, რაც მისი ფსიქოლოგიური ბუნების არსებით მხარეს შეადგენს.

ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ეს პრინციპები ყველაზე სრულად და მკაფიოდ მასლოუს შეხედულებათა სისტემაში გამოვლინდა. **აბრაჰამ მასლოუ** (1908-1970) დაიბადა ნიუ-იორკში, რუსეთიდან გადმოსახლებულ ებრაულ ოჯახში. მან კარგი ექსპერიმენტული წრთობა გაიარა ვისკონსინის უნივერსიტეტის პრიმატების ქცევის შემსწავლელ ლაბორატორიაში, ნეობიჰევიორიზმის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენლის, ჰ. ჰარლოუს ხელმძღვანელობით. დოქტორის ხარისხის მიღების შემდეგ (1934წ.) იგი ერთ ხანს მუშაობდა ნიუ-იორკში, კოლუმბიის უნივერსიტეტში, ე. თორნდაიკის ხელმძღვანელობით, ხოლო შემდეგ ბრუკლინის კოლეჯში გადავიდა. ნიუ-იორკში გატარებულმა წლებმა დიდი გავლენა მოახდინა მასლოუს ორიენტაციის საბოლოო ჩამოყალიბებაზე. იმ პერიოდში ნიუ-იორკში მოღვაწეობდნენ ნაციზმს გარიდებული ბრწყინვალე ევროპელი სპეციალისტები: ა. ადლერი, რ. ბენედიქტი, მ. ვერთჰაიმერი, ფ. კოფკა, ე. ფრომი, კ. ჰორნი, რომლებთანაც მასლოუს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა. 1951-1968 წლებში იგი სათავეში ედგა ფსიქოლოგიის კათედრას ბრანდეისის ახალგახსნილ უნივერსიტეტში, ბოსტონის მახლობლად.

მასლოუს თავდაპირველი ფსიქოლოგიური ორიენტაცია ბიჰევიორისტული იყო. მისი სადოქტორო ნაშრომი ეხებოდა მაიმუნების კოლონიაში სექსუალურ ქცევაზე მოქმედი სოციალური ფაქტორების შესწავლას. როგორც შედარებითი ფსიქოლოგიის სპეციალისტი, იგი ემყარებოდა რწმენას, რომ ცხოველების შესწავლამ შეიძლება საშუალება მოგვცეს, გავიგოთ ადამიანის ქცევა, ვინაიდან ადამიანებიც ცხოველებს მიეკუთვნებიან. მოგვიანებით მასლოუმ ისევე, როგორც ყველა მისმა თანამზრახველმა ჰუმანისტურმა ფსიქოლოგმა, კატეგორიულად უარყო ყოველგვარი მოდელი, რომელიც ადამიანის ცხოველთან ან მანქანასთან ანალოგიას გულისხმობს. მასლოუს ახალი მრწამსის ჩამოყალიბება დაიწყო ოცდაათიანი წლების ბოლოს, როდესაც მან ხელი მოჰკიდა ისეთი ადამიანური თვისებების შესწავლას, როგორებიცაა დომინანტობა და თვითპატივისცემა. კვლევაში გაჩნდა და განმტკიცდა მოსაზრება, რომ ეს თვისებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სულიერი ჯანმრთელობის თვალსაზრისით. ამ იდეებმა განაპირობა მასლოუს ინტერესები მოტივაციისა და ჯანმრთელობის საკითხის მიმართ, რაც მას მთელი სიცოცხლის განმავლობაში გაჰყვა. შემდგომში მასლოუ დაინტერესდა ფენომენოლოგიით და აღმოსავლური ფილოსოფიით, სახელდობრ, ჩინური სისტემით, დაოსიზმით. მასლოუს მიაჩნდა, რომ დასავლურ მეცნიერებაში არსებული მიდგომები მასალის ორგანიზაციისა და აღწერის მიმართ დამყა-

რებულია აბსტრაქტულ სქემებსა და გონებაჭვრეტით სპეკულაციებზე. მათ სანაცვლოდ უნდა გამოვიყენოთ დაოსური *ჩაურეველი შემეცნება*, უშუალო გამოცდილების ჭვრეტა, მოძრაობა „უკან საგნებისკენ“, როგორც ამას ჰუსერლი მოითხოვდა. ეს ნიშნავს ჭეშმარიტ წვდომას, გაგებას, მკვლევრისა და ობიექტის შერწყმას. ობიექტი უნდა მივიღოთ ისე, როგორც ის გვეძლევა, მთლიანად, წინასწარი შეფასებებისა და ვარაუდების გარეშე; მივიღოთ იგი უშუალო მოცემულობაში ანუ *ექსპერიმენტულად* (განცდისეულად). ასე უნდა იწყებოდეს ფსიქოლოგიური კვლევა, როგორც იდეოგრაფიული შემეცნება უნიკალური, თავისებური პიროვნებისა. შემდგომ ეტაპზე, როდესაც დადგება ამ ინდივიდუალური ფენომენოლოგიური გამოცდილების ორგანიზაციის, კლასიფიკაციისა თუ განზოგადების ამოცანა, მოვა ჰიპოთეზური კონსტრუქციების და მათი ექსპერიმენტული შემოწმების დროც. მაშასადამე, ამოცანა ამ ორი მეთოდოლოგიის ოპტიმალური ურთიერთშეხამებაა იმის გათვალისწინებით, რომ ყოველთვის მაქსიმალურად ახლოს ვიყოთ უშუალო სასიცოცხლო გამოცდილებასთან. საერთოდ კი მასლოუს მიაჩნდა, რომ საჭიროა კონცენტრირება პრობლემებზე და არა მეთოდებზე. ყოველი მეთოდის ათვისება აჩენს სურვილს, გამოიყენო იგი მისი რეალური შესაძლებლობების ფარგლებს მიღმა. თუ თქვენ მხოლოდ ჩაქუჩი გაქვთ, ჩნდება ცდუნება, მოეპყრო ყველაფერს, როგორც ლურსმნებს – ამბობდა იგი [45]. უნდა შევისწავლოთ მართლაც მნიშვნელოვანი პრობლემები და არ შემოვიფარგლოთ იმით, რაც მისაწვდომია არსებული კვლევითი ტექნიკებისთვის.

მოტივაციის კვლევისა და პიროვნების თეორიის განვითარებისას, კერძოდ თვითაქტუალიზებული ადამიანების შესწავლისას, მასლოუ ამ მეთოდოლოგიურ პოზიციაზე იდგა. თავდაპირველად თვითაქტუალიზებული პიროვნებების შესწავლა არ იყო ჩაფიქრებული ავტორის მიერ, როგორც მეცნიერული კვლევა. მას ბიძგი მისცა მასლოუს ინტერესმა, გაერკვია თუ რითი განსხვავდებიან მისი სათაყვანებელი მასწავლებლები – რუთ ბენედიქტი და მაქს ვერთჰაიმერი – სხვებისგან. მასლოუს აღფრთოვანება ამ პიროვნებებით იმდენად დიდი იყო, რომ ექმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ისინი რაღაც უფრო მეტნი იყვნენ, ვიდრე უბრალოდ ადამიანები. ამ საკითხზე ფიქრმა მიიყვანა მასლოუ რწმენამდე, რომ შესაძლებელია ამ ორი ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებული პიროვნების ხატის განზოგადება და დაასკვნა, რომ აქ საქმე გვაქვს ადამიანთა გარკვეულ ტიპთან – *თვითაქტუალიზებულ პიროვნებებთან.*[1]

ომის შემდგომ პერიოდში მასლოუ იწყებს თვითაქტუალიზებული პიროვნებების სისტემატურ კვლევას. კლინიკურ ანალიზთან ერთად, იგი იყენებდა ბიოგრაფიულ მეთოდსაც. შეისწავლა რა გამოჩენილი ადამიანების მთელი რიგის (მაგალითად: ბარუხ სპინოზას, აბრაამ ლინკოლნის, თომას ჯეფერსონის, უილიამ ჯეიმსის, ალბერტ

[1] ტერმინი „თვითაქტუალიზაცია“ პირველად გამოიყენა კურტ გოლდშტაინმა (1878-1965), რომელსაც ფსიქოლოგიის ისტორიკოსები ამის გამო ჰუმანისტურ ფსიქოლოგიასთან საკმაოდ დაახლოებული ორიენტაციის მკვლევარად ასახელებენ. გოლდშტაინის პოლისტურმა იდეებმა, მართლაც, სერიოზული გავლენა მოახდინა ფენომენოლოგიური და ჰუმანისტური ორიენტაციის ფსიქოლოგებზე. მაგრამ გოლდშტაინი, როგორც გამოჩენილი ნევროლოგი, მყარად იდგა საბუნებისმეტყველო პარადიგმის პოზიციებზე, რაც გამორიცხავს მის წარმოჩენას ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ორიენტაციის მკვლევრად.

აინშტაინის, ოლდოს ჰაქსლისა და სხვ.) სასიცოცხლო გზა, მასლოუმ გამოყო ის თვისებები, რომლებიც განსაკუთრებით გამოარჩევთ თვითაქტუალიზებულ პიროვნებებს. მათ შორისაა: რეალობაზე ორიენტირებულობა, მომთმენლობა და შემწყნარებლობა, უბრალოება და ბუნებრიობა, სპონტანურობა, პრობლემებსა და საქმეებზე ცენტრირება, უმაღლესი ანუ მისტიკური განცდების ქონა, დამოუკიდებლობა და ავტონომიურობა, აღქმის სიცხოველე, ზეშთაგონებულობა, საზოგადოებრივი ინტერესი, თანაგრძნობა, ხასიათის დემოკრატიულობა, სიკეთისა და ბოროტების, მიზნისა და საშუალების გამიჯვნა, ფილოსოფიური იუმორის გრძნობა, შემოქმედებითობა და არაკონფორმულობა.

ამ პიროვნული სტრუქტურის საყრდენი ღერძი თვითაქტუალიზაციის მოტივია. თვითაქტუალიზებული პიროვნების მოტივაციურ სფეროში *თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილებას* დომინირებული ადგილი უკავია. ადამიანს აქვს მოთხოვნილება, აკეთოს ის, რისთვისაც არის მოწოდებული. თუ ადამიანში ჩადებულია მოაზროვნის, მეცნიერის თვისებები, მან უნდა მოახდინოს ამ თვისებების რეალიზაცია; მხატვრული ნიჭით დაჯილდოებულმა ადამიანმა უნდა ხატოს, პოეტური ნიჭის მქონემ – წეროს ლექსები, თუ, რა თქმა უნდა, მას საკუთარ თავთან ჰარმონიაში ყოფნა სურს. „ადამიანი ვალდებულია, იყოს ის, რაც მას შეუძლია იყოს. ადამიანი გრძნობს, რომ უნდა შეესაბამებოდეს თავის ბუნებას. ამ მოთხოვნილებას შეიძლება ეწოდოს თვითაქტუალიზაცია“ [19; 90].

მასლოუს მიხედვით, თვითაქტუალიზებული პიროვნებები მოსახლეობის უმცირესობას, დაახლოებით 1-4% შეადგენენ. არა და, სწორედ ისინი გამოხატავენ ყველაზე მეტად ადამიანურობის არსებას და არიან ფსიქოლოგიურად ჯანმრთელი პიროვნების მაგალითები. ბუნებრივია, ისმის კითხვა: რატომ არის ასე? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას მასლოუ ცდილობს *მოტივთა იერარქიული თეორიის* საფუძველზე. ავტორის თანახმად, ერთმანეთისგან უნდა გამოვყოთ მოტივების ანუ ე.წ. *ბაზური მოთხოვნილებების* ხუთი კლასი, რომლებიც დონეების მიხედვით არიან იერარქიზებული: 1) ფიზიოლოგიური *მოთხოვნილებები* (შიმშილი, წყურვილი, სექსუალური ლტოლვა, ძილი და ა.შ.); 2) *უსაფრთხოების მოთხოვნილებები* (ტკივილის, შიშის, დისკომფორტის და ა.შ., არიდების მოთხოვნილებები, სტაბილური, ორგანიზებული და პროგნოზირებული ცხოვრების მოთხოვნილებები); 3) *სოციალური კავშირებისა და სიყვარულის მოთხოვნილებები* (სოციალური მიკუთვნებულობის, იდენტიფიკაციის, სითბოს, სიყვარულის, მარტოობისა და გაუცხოების არიდების მოთხოვნილებები); 4) *აღიარებისა და დაფასების მოთხოვნილებები*. აქ ორი ჯგუფი გამოიყოფა: ა) სიძლიერის, დომინირების, მიღწევის, შეჯიბრის, დამოუკიდებლობის მოთხოვნილებები და ბ) პატივისცემის, ყურადღების, დაფასების, აღიარების მოთხოვნილებები; 5) *თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილებები* (ადამიანის უნარ-შესაძლებლობების, პიროვნული პოტენციალის მაქსიმალური რეალიზაციის მოთხოვნილებები).

ამ მოთხოვნილებათა გამოვლენის ფორმები ძალზე განსხვავებულია. მაგალითად, პატივისცემისა და აღიარების მოთხოვნილება სხვადასხვა ადამიანში შეიძლება თავისებურად წარმოჩნდეს: ერთისთვის აუცილებელია, გახდეს გამოჩენილი პოლი-

ტიკოსი და მოიპოვოს თანამოქალაქეთა უმრავლესობის მონონება, მეორისთვის კი შვილების მიერ მისი ავტორიტეტის აღიარებაც საკმარისია. ერთი მოთხოვნილების ფარგლებში ვარიაციათა ასეთივე ფართო დიაპაზონი არსებობს ე.წ. „მოტივების პირამიდის" ყველა დონეზე, მათ შორის პირველზეც (ანუ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებში). თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილებებზე ხომ უკვე ითქვა.

მოთხოვნილებების ეს ჯგუფები იერარქიულ რიგს ქმნიან. იერარქიის უდაბლეს დონეს ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები შეესაბამებიან, ხოლო უმაღლესს – თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილებები. რაც უფრო მაღალია მოთხოვნილება, მით უფრო გვიან წარმოიქმნება იგი განვითარების პროცესში (ფილოგენეზსა და ონტოგენეზში), მით უფრო ხანგრძლივად შეიძლება მისი დაუკმაყოფილებლობის ატანა. იგი ნაკლებ სომატიზებულია, ნაკლები საარსებო მნიშვნელობა აქვს და, შესაბამისად, სუბიექტურად ნაკლებ მომთხოვნად განიცდება; მაღალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ბიოლოგიურ და ფსიქიკურ ფუნქციონირებას უფრო ეფექტურს ხდის და პიროვნულ ზრდას უწყობს ხელს; მათ დაკმაყოფილებას დადებითი და სასურველი სოციალური და მოქალაქეობრივი შედეგები მოჰყვება; ცხოვრება უმაღლეს მოტივაციურ დონეზე არის მოძრაობა ჯანმრთელობისკენ და ფსიქოპათოლოგიის საწინააღმდეგო მიმართულებით. ამ დონეზე ადამიანი უფრო ემორჩილება ფსიქოთერაპიულ ზემოქმედებას. ოღონდ მაღალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება იწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია რიგში უფრო დაბლა მდგომი მოთხოვნილებები. თუ, მაგალითად, დეპრივირებულია ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები, ინდივიდის მთელი აქტივობა მათ დაკმაყოფილებაზეა მიმართული და სხვა მოთხოვნილებები ამ დროს მისთვის არც არსებობენ. დაკმაყოფილების შემდეგ ეს მოთხოვნილებები აქტუალურობას კარგავენ და ინდივიდს შესაძლებლობა ექმნება, იზრუნოს შემდგომი დონის, ანუ უსაფრთხოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე და ა.შ. მაშასადამე, თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილებებმა მხოლოდ მაშინ შეიძლება განსაზღვრონ პიროვნების აქტივობა, თუ ყველა დანარჩენი მოთხოვნილება ასე თუ ისე დაკმაყოფილებულია. ადამიანთა უმეტესობისთვის ეს ვითარება მიუღწეველია; მათი ქცევა მთელი ცხოვრების განმავლობაში წარმართულია არა თვითაქტუალიზაციაზე, არამედ დაბალი რიგის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. ამიტომაც შეადგენენ თვითაქტუალიზებული პიროვნებები მოსახლეობის უმცირესობას[1]. საჭიროა აღინიშნოს, რომ მასლოუ ადასტურებს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც მოთხოვნილებების დაკმაყოფილების იერარქიული წესი ირღვევა და მაღალი მოთხოვნილებები ქცევის რეალური მოტივები ხდებიან დაბალი მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობის პირობებშიც. მაგრამ, ავტორის თქმით, ეს მხოლოდ ის გამონაკლისია, რომელიც საერთო წესს ადასტურებს. აღწერილი მოდელი მასლოუმ ჩამოყალიბებული სახით დააღაგა თავის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ წიგნში „მოტივაცია და პიროვნება" (1954). ამ წიგნის უკანასკნელ გამოცემაში (1970) ბაზისურ ხუთ მოტივს დაემატა შემეცნე-

[1] მასლოუ ვარაუდობდა, რომ საშუალო ადამიანი მოთხოვნილებებს შემდეგი ოდენობით იკმაყოფილებს: ფიზიოლოგიურს – 85%, უსაფრთხოების – 70%, სოციალური კავშირის – 50%, აღიარების – 40% და თვითაქტუალიზაციის – 10%.

ბითი მოთხოვნილებები (ცოდნის, გაგების, გამოკვლევის წყურვილი), და მასზე დაშენებული ესთეტიკური მოთხოვნილებები (სურვილი, ააცხო ცხოვრება სილამაზით, ჰარმონიით, ხელოვნებით).

ავტორი მუდმივად სრულყოფდა და ამდიდრებდა თავის შეხედულებებს თვითაქტუალიზაციის შესახებ. სახელდობრ, დაინტერესდა თვითაქტუალიზაციის განვითარების საკითხით. საქმე ისაა, რომ მასლოუს მიერ შესწავლილი თვითაქტუალიზებული პიროვნებები, ძირითადად, ასაკოვანი ხალხი იყო, რომელთათვისაც თვითაქტუალიზაცია მათი პიროვნული განვითარების შედეგს, საბოლოო მდგომარეობას წარმოადგენდა. მაგრამ, როგორ შეიძლება დახასიათდეს თვითაქტუალიზაციის კუთხით თუნდაც ეს პიროვნებები მათი ჩამოყალიბების მთელი პროცესის განმავლობაში? ნუთუ თვითაქტუალიზაციისთვის უცხოა დინამიკა, ქმნადობა?

ამ საკითხის დამუშავების პროცესში მასლოუმ შეარბილა თავისი პოზიცია მოტივთა აქტუალიზაციის მკაცრი იერარქიულობის შესახებ. მან თავის მოდელში ე.წ. *ზრდის მოტივაცია* შემოიტანა. ესაა განვითარებისკენ სწრაფვის მუდმივმოქმედი ტენდენცია, რომლის უმაღლეს და საბოლოო სახეს თვითაქტუალიზაცია შეადგენს. თვითაქტუალიზებულ პიროვნებებში ეს მოტივაცია ბატონობს, მაგრამ მისი ელემენტები ყველა ადამიანთან გვხვდება. ავტორი ასე აყალიბებს თავის მოსაზრებას: „თვითაქტუალიზაცია რამდენადმე განხორციელებულ ფაქტს მხოლოდ მცირე რაოდენობის ადამიანებთან წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, უმრავლესობასთან იგი არსებობს იმედის, მისწრაფების, ლტოლვის, ბუნდოვნად სასურველის, მაგრამ ჯერ მიუღწეველის სახით. თვითაქტუალიზაციის ღირებულებები რეალურად არსებობენ მაშინაც, როცა ისინი არ არიან აქტუალიზებული. ადამიანი ერთდროულად წარმოადგენს იმასაც, რაც ის არის და იმასაც, რისკენაც ის მიისწრაფვის" [46; 160].

მასალოუს პოზიციის ფორმირებაში დიდი როლი შეასრულა ფსიქოკონსულტაციური პრაქტიკის მონაცემებმა. იგი დარწმუნდა, რომ, ფაქტობრივად, ყველა ადამიანში არსებობს მისწრაფება თვითაქტუალიზაციისკენ, უმრავლესობას კი, ძირითადად, შეუძლია თვითაქტუალიზაციისკენ გზის გამონახვა ან დამოუკიდებლად, ან ფსიქოკონსულტანტის დახმარებით. ამრიგად, თვითაქტუალიზია არაა მხოლოდ ერთეული პიროვნებების სასრული და მუდმივი მდგომარეობა. თვითაქტუალიზაციის პოტენციამ შეიძლება თავი იჩინოს ხანმოკლე ეპიზოდების, მდგომარეობების სახითაც. ამ კონტექსტში მასლოუ ლაპარაკობს *საზღვრულ განცდებზე*. მათ დახასიათებას ავტორი შემდეგი სიტყვებით ცდილობს: ესაა ყველაზე შესანიშნავი განცდა, ცხოვრების ყველაზე ბედნიერი წამები, მომენტი აღფრთოვანებისა, ნეტარებისა და ექსტაზისა. ეს შეიძლება მოხდეს სიყვარულში, მუსიკის მოსმენისას, წიგნის კითხვის ან შემოქმედებითი აღტკინებისას. ამგვარ საზღვრულ განცდებში ადამიანი მაქსიმალურად ავლენს თავის შესაძლებლობებს და სწორედ მაშინ ხდება ადამიანი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ესაა ჭეშმარიტი თვითაქტუალიზაციის ეპიზოდები. მაშასადამე, თვითაქტუალიზაცია მხოლოდ გამორჩეულთა ხვედრი არ ყოფილა. „ყოველი ადამიანი, ამბობს მასლოუ, ყოველ საზღვრულ განცდაში დროებით იძენს ბევრ იმ თვისებათაგანს, რომლებიც მე აღმოვაჩინე თვითაქტუალიზებულ პიროვნებებ-

ში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველი ადამიანი, ხანმოკლე დროით მაინც, ხდება თვითაქტუალიზებული“ [46; 97].

მიუხედავად ამისა, მასლოუს ძირითად ინტერესს შეადგენს არა თვითაქტუალიზაცია, როგორც ერთხელობრივი აქტი, გაბრწყინება, ეპიზოდი, არამედ თვითაქტუალიზაცია, როგორც ცხოვრების სტილი, როგორც სრულყოფილი, განვითარებული პიროვნების არსებობის ფორმა. თავის საეტაპო წიგნში „ყოფიერების ფსიქოლოგიისკენ“ (1962) იგი განსაკუთრებულ ყურადღებას პრობლემის ამ ასპექტზე ამახვილებს და მას *მეტამოთხოვნილებების და ყოფიერების ღირებულებების* ტერმინებში აღწერს. მასლოუ გამოჯნავს, ჩვეულებრივ, საბაზო მოტივაციას, რომელიც ახასიათებს იმ ადამიანებს, რომელთაც არ მიუღწევიათ თვითაქტუალიზაციის დონემდე და მეტამოტივაციას, რომელიც დამახასიათებელია თვითაქტუალიზაციის მიღმა, ჭეშმარიტი არსებობის დონეზე მცხოვრები ადამიანებისთვის. ამ პიროვნებებს ყოველთვის აქვთ რაიმე მისია, როლი, მოწოდება, რომლის განხორციელებისთვის ზრუნვა მათთვის ყველაზე მნიშვნელოვან და საინტერესო საქმიანობად განიცდება. ეს მოწოდება ყოველთვის რომელიმე უმაღლეს ღირებულებასთან არის დაკავშირებული. მაშასადამე, მეტამოთხოვნილებების როლს უმაღლესი ღირებულებები ან, როგორც ავტორი უწოდებს, ყოფიერების ღირებულებები ასრულებენ. მასლოუ 14 ასეთ ღირებულებას გამოყოფს, მათ შორის არის: ჭეშმარიტება, სილამაზე, უნიკალურობა, სრულყოფილება, აუცილებლობა, სამართლიანობა, წესრიგი, უბრალოება, დასრულებულობა, თვითკმარობა და სხვ. მასლოუ აღნიშნავს, რომ ეს ღირებულებები ან მეტამოთხოვნილებები ყველას აქვს, რადგან ისინი ადამიანის ბუნებას გამოხატავენ, მაგრამ ზოგიერთი ინდივიდი მათ არსებობას ვერც გრძნობს, ხოლო ზოგიერთისათვის ისინი ქცევისა და ცხოვრების განმსაზღვრელი ფაქტორებია.

ამრიგად, მეტამოთხოვნილებები ადამიანის ბუნების ნაწილს შეადგენენ. თანდაყოლილი ბიოლოგიური მოთხოვნილებების მსგავსად, ყველა ადამიანს იმთავითვე ახასიათებს ყოფიერების ღირებულებებისადმი სწრაფვა. „სავსებით გარკვეული და ემპირიული აზრით, ადამიანისთვის აუცილებელია, იცხოვროს სილამაზეში და არა სიმახინჯეში, ისევე, როგორც აუცილებელია საკვები მშიერი კუჭისთვის ან დასვენება დაღლილი სხეულისთვის“ [18; 111]. მეტამოტივები *ინსინქტოიდური* ხასიათისაა. გარემოს, კულტურას შეუძლია, მხოლოდ ხელი შეუწყოს ან შეაფერხოს მათი აქტუალიზაცია. ის ვითარება, რომ ადამიანების უმრავლესობა ვერ ახერხებს ნამდვილი ყოფიერების დონეზე ასვლას და მეტამოტივირების რეალიზაციას, უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით არის განპირობებული. ასეა თუ ისე, მეტამოთხოვნილებების ქრონიკული ფრუსტრაცია ინვევს ფსიქიკურ დაავადებებს ანუ, მასლოუს ტერმინოლოგიით, *მეტაპათოლოგიებს*. ასეთი მდგომარეობები, როგორებიცაა: დეპრესია, აპათია, გაუცხოება და სხვ., სწორედ ასეთი უმაღლესი დონის აშლილობების რიცხვს მიეკუთვნება.

მასლოუს, პირველ ყოვლისა, ფსიქიკურად სრულყოფილი, ჯანსაღი ადამიანი აინტერესებს. აბსოლუტურად ჯანმრთელი, ნორმალური, ბედნიერი ადამიანი მეტამოტივირებული პიროვნებაა. მას არ უნდა ანუხებდეს დაბალი რიგის მოთხოვნილე-

ბები. მასლოუს აზრით, თუ ადამიანში მუდმივად არის აქტუალიზებული სხვა ფუნდამენტური მოთხოვნილებები, იგი, ფაქტობრივად, ავადაა. ნათელია, რომ სიტყვა ავადმყოფობა აქ სპეციფიკური მნიშვნელობით იხმარება. ავადმყოფობა ამ შემთხვევაში ინდივიდისა და სოციალური გარემოს ურთიერთმიმართების ჭრილშია განხილული. მსჯელობას ასეთი სახე აქვს: ვინაიდან ადამიანი „ავადაა" მისი ფუნდამენტური მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობის გამო, ხოლო ბაზური მოთხოვნილებების ფრუსტრაცია განპირობებულია მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდის გარეთ არსებული ძალებით და პირობებით, მისი ავადმყოფობა საკუთრივ საზოგადოების „ავადმყოფობის" შედეგია. ჯანმრთელი საზოგადოება ისეთი საზოგადოებაა, სადაც ადამიანებს შეუძლიათ წარმატებით ურთიერთთანამშრომლობა, თავისი პოტენციალის განვითარება და მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სხვათა თავისუფლების შეუზღუდავად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მასლოუს მიერ წარმოდგენილი ჰუმანისტური ფსიქოლოგიის მეტამიზანი კარგი საზოგადოების შექმნაა, ისეთი საზოგადოებისა, რომელშიც შესაძლებელია საკუთარი თავის რეალიზება და თვითაქტუალიზაცია. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა აქტიური ფსიქოკონსულტაციური და ფსიქოკორექციული მუშაობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, იქნება ეს ოჯახი, განათლების სისტემა, ბიზნესი თუ პოლიტიკა.

მასლოუ თვითონ იყო ჰუმანისტური რეფორმების გატარების ინიციატორი ბიზნესისა და ინდუსტრიის სფეროში. მან სპეციალური შრომაც მიუძღვნა მენეჯმენტის ფსიქოლოგიას, რომელიც ითვალისწინებდა ხელმძღვანელსა და შემსრულებელს შორის დემოკრატიული ურთიერთობების დამყარებას უმაღლესი მოტივების შესაბამისად. მისი მიზანი ისეთი სამუშაო სიტუაციის შექმნა იყო, რომელშიც შესაძლებელი იქნებოდა თვითაქტუალიზაცია და პიროვნული ზრდა. იმ რამდენიმე კორპორაციაში, სადაც მასლოუსეული პრინციპები დაინერგა, აღინიშნებოდა შესამჩნევი წარმატება მომსახურეთა პროდუქტიულობის, ეფექტურობისა და ბედნიერების ზრდის მხრივ. ამ შედეგებმა ცხადყო და დაადასტურა მასლოუს თეზისი, რომ პიროვნული ძალების გამოვლენის მაღალი დონე მხოლოდ მაშინ მიიღწევა, როდესაც ვაღიარებთ თვითაქტუალიზაციის მოტივაციას ყველა ადამიანში და ხელს შევუწყობთ ამ მოტივაციის მაქსიმალურად სრულ რეალიზაციას.

მასლოუ, ალბათ, ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ყველაზე სერიოზული თეორეტიკოსია. მისი იდეები ფართოდაა გავრცელებული თანამედროვე ფსიქოლოგიურ (და არა მხოლოდ ფსიქოლოგიურ) საზოგადოებრიობაში, რაც სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ამ იდეებს ყველა იზიარებს. განსაკუთრებით დიდი გამოხმაურება პოვა მოტივაციის იერარქიულმა მოდელმა, რომელიც მასლოუს შეხედულების ქვაკუთხედია. ბევრი თვლის, რომ ეს არის მოტივთა კლასიფიკაციის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ცდა [34]. ამიტომ მკვლევრები შეეცადნენ მის განვითარებას. ძირეული მოტივების იერარქიული წყობა საბოლოოდ დაზუსტდა და მან ხუთსაფეხურიანი პირამიდის გრაფიკული სახე მიიღო, რომლის ფუძეს ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები ქმნიან, ხოლო წვერზე თვითაქტუალიზაციის მოთხოვნლებაა მოთავსებული. მოგვიანებით, მასლოუს კლასიკურ პირამიდას დაემატა აღიარების მოტივაციაზე დაშენებული ორი

საფეხური – შემეცნებითი (ცოდნა, კეთება, გამოკვლევა, შემოქმედება) და ესთეტიკური (ჰარმონია, წესრიგი, სილამაზე) მოთხოვნილებების სახით. ისინი, როგორც ითქვა, თავად თეორიის ავტორის მიერვე იქნა შეტანილი საბაზისო მოტივების რიცხვში.

მიუხედავად თავისი პოპულარულობისა, მოთხოვნილებების თანმიმდევრული აქტუალიზაციის პრინციპი, რომელზეც აღნიშნული მოდელია დაფუძნებული, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ზოგიერთი შეფასებით, იგი არსებითად სწორად გამოხატავს საქმის ვითარებას და შეესაბამება ონტოგენეტური განვითარების მონაცემებს, რომლებიც ადასტურებენ მასლოუს მიერ დადგენილ თანმიმდევრობას. მართლაც, სულ პატარა ბაღშვისთვის მთავარია ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები. შემდგომ სტადიაზე უფრო მნიშვნელოვანი ხდება უსაფრთხოება. მომდევნო ეტაპზე დომინირებულ ადგილს სოციალური კონტაქტი და თვითშეფასება იკავებს. თვითაქტუალიზაცია თავს იჩენს მხოლოდ გარდამავალ ასაკში, სრულად კი უკვე მოზრდილობაში რეალიზდება. დომინანტურ იერარქიას ადასტურებენ ექსპერიმენტული მონაცემებიც, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ, რადგან ისინი იერარქიის ორ უდაბლეს დონეს მოიცავენ. ასე მაგალითად, დიდ ემპირიულ მასალაზეა ნაჩვენები, რომ ძირითადი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების (შიმშილი, წყურვილი, გამოყოფის მოთხოვნილება და ა.შ.) დეპრივაციის შემთხვევაში, ისინი აბსოლუტურად გაბატონებულ ადგილს იკავებენ ქცევასა და ცნობიერებაში. არსებითად იგივე ითქმის უსაფრთხოებაზეც. დაცულობის მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობამ, რაც გამოვლინდა სტიქიური უბედურებების ზონებში, სრულებით დათრგუნა რიგში მასზე მაღლა მდგომი მოტივები. ეს დასკვნები არ ვრცელდება მასლოუს იერარქიის შემდგომ დონეებზე. მონაცემები, რომლებიც არსებობს, მაგალითად, სოციალური კონტაქტის მოთხოვნილებების დეპრივაციასთან დაკავშირებით, არ იძლევა ანალოგიური ერთმნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას. ამიტომ ავტორთა უმრავლესობა სამართლიანად სვამს საკითხს მასლოუს მოდელის უნივერსალურობის თაობაზე [34][40][41][53]. პირველ რიგში, ეს ეხება თვითაქტუალიზაციის პირობებს. მართლაც, აუცილებელია თუ არა ამ პირობების შესაქმნელად ყველა დანარჩენი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, როგორც ამას მასლოუ ამტკიცებს? აქ თითქოს, მართლაც, არსებობს დაეჭვების საფუძველი. შეიძლება უამრავი მაგალითის მოყვანა ხელოვნების, მეცნიერების, პოლიტიკისა თუ სხვა სფეროებიდან, როდესაც აქ მოღვაწე პიროვნებები შთაგონებით ასრულებდნენ თავის მოწოდებას, ახორციელებდნენ სრულ თვითაქტუალიზაციას, საოცარი გაჭირვებისა და მორალური თუ ფიზიკური ტანჯვის მიუხედავად. მართლაც, არსებობენ ადამიანები, რომელთა ღირებულებები და იდეალები იმდენად ძლიერია, რომ ისინი მზად არიან, გადაიტანონ ტკივილი, შიმშილი, იზოლაცია, დამცირება და სიკვდილსაც კი გაუსწორონ თვალი.

ეს კრიტიკული მოსაზრებები, ძირითადად, მართებულია და მათ მასლოუც უწევდა ანგარიშს. გვიანდელ შრომებში მან ერთგვარად შეარბილა იერარქიული მოდელი. კერძოდ, აღიარა, რომ ერთი დონის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ავტომატურად არ იწვევს მასზე მაღალი დონის მოტივაციის აქტუალიზაციას. თვითაქტუალიზაციის ტენდენციაც არ ჩნდება მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა მოთხოვნილებებია

დაკმაყოფილებული. სრული დაკმაყოფილება, საზოგადოდ, არ არის მაღალი დონის მოთხოვნილების გაჩენის აუცილებელი პირობა. ასევე, მოთხოვნილებათა განლაგება არ არის ფიქსირებული და ერთმნიშვნელოვნად ისეთი, როგორც სქემაზეა მოცემული. ასეთი იერარქია არსებობს როგორც ყველაზე მდგრადი და გავრცელებული, მაგრამ სხვადასხვა ადამიანში, მათი ბიოგრაფიიდან გამომდინარე, იგი შესაძლოა, ცვალებადობდეს. მაგალითად, ზოგიერთისთვის პრიორიტეტული შეიძლება იყოს აღიარების მოთხოვნილება და არა სიყვარულის, ან უფრო აინტერესებდეს პრესტიჟი, ვიდრე ინტიმური ურთიერთობები და ოჯახი. ერთი სიტყვით, მასლოუ გარკვეულ დათმობებზე წავიდა თავისი მოდელის უნივერსალურობის თვალსაზრისით, მაგრამ საკითხი, არსებითად, მაინც ღიად დარჩა. სწორია თუ არა მოტივების იერარქიის მოდელის პრინციპი? მასლოუს ბოლომდე ეჭვი არ ეპარებოდა მის მართებულობაში.

კრიტიკული განსჯის საგანი გახდა თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილების ბუნებაც. მაგალითად, ვ. ფრანკლს მიაჩნია, რომ „თვითაქტუალიზაცია ადამიანის საბოლოო დანიშნულება არ არის. იგი პირველად მისწრაფებად ვერ ჩაითვლება. თუ თვითაქტუალიზაციას თვითმიზნად ვაქცევთ, ის ადამიანური არსებობის თვითტრანსცენდენტურობასთან წინააღმდეგობაში მოვა. ბედნიერების მსგავსად, თვითაქტუალიზაცია მხოლოდ შედეგია, საზრისის განხორციელების შედეგი. ადამიანი თავისთავს მხოლოდ იმდენად ახორციელებს, რამდენადაც ახერხებს საზრისის განხორციელებას, რომელსაც გარე სამყაროში პოულობს. თუ მას განზრახული აქვს, მოახდინოს თავისთავის აქტუალიზაცია საზრისის განხორციელების ნაცვლად, თვითაქტუალიზაციის აზრი მაშინვე იკარგება“ [28; 58-59]. მაშასადამე, თვითაქტუალიზაცია არ არის თვითმიზანი, პიროვნების ყველაზე მაღალი მოტივაციური ძალა, არამედ საზრისის განხორციელების თანმხლები პროდუქტია. მაგრამ, თვითაქტუალიზაცია დაკავშირებულია არა აუცილებლად საზრისის განხორციელებასთან, არამედ ყველა სხვა მოთხოვნილებასთან. თვითაქტუალიზაციის ნიშანი, თვისება ყოველგვარ მოთხოვნილებაშია წარმოდგენილი. როგორც ერთ-ერთი ავტორი კითხულობს: „განა თვითაქტუალიზაცია მაშინ არ ხდება, როცა ადამიანი ორგანული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ცდილობს, როცა იგი თავის უსაფრთხოების უზრუნველყოფისკენ, სიყვარულისა და პატივისცემისკენ მიისწრაფვის, ან როცა შემოქმედებით საქმიანობას ეწევა?“ [7; 299]. ერთი სიტყვით, თვითაქტუალიზაცია უფრო მოტივაციური პროცესების თანმხლებ მომენტად განიხილება, ვიდრე დამოუკიდებელ მოტივაციურ წარმონაქმნად.

თვითაქტუალიზაციის კონცეფციის სერიოზულ ნაკლად მიჩნეულია ადამიანის პოზიტიური განვითარების გაიგივება მასში ჩადებული პოტენციალის მაქსიმალურ გამოვლენასთან. კრიტიკოსები მიუთითებენ, რომ მანკიერება და ბოროტება ისევე შედის პოტენციათა რიცხვში, როგორც სათნოება; რაიმეზე სპეციალიზაცია ისეთივე პოტენციაა, როგორც ყოველმხრივი განვითარება და ა.შ. [53]. ყველა პოტენციის რეალიზაცია, თავისთავად, სრულებითაც არ არის დადებითი მოვლენა, ყოველ შემთხვევაში საზოგადოებრივი თვალსაზრისით. სოკრატე, მაგალითად, თვლიდა, რომ აქვს ყველა მონაცემი, რათა გახდეს ნიჭიერი დამნაშავე. კარგია თუ ცუდი, რომ მან

არ მოახდინა ამ პოტენციათა რეალიზაცია? – კითხულობს ვ. ფრანკლი. საზოგადოდ, ყოველმხრივი თვითაქტუალიზაციის იდეა, რომელსაც ასე ხაზს უსვამს ჰუმანისტური ფსიქოლოგია და, კერძოდ, მასლოუ – არასასურველიცაა და უტოპიურიც. უნდა თუ არა, ადამიანს ყოველთვის უხდება უარის თქმა მასში არსებულ მრავალ შესაძლებლობაზე, რომლებიც შეუთავსებელია მისი ცხოვრების წესთან.

ყველაზე მეტი კრიტიკა წილად ხვდა მასლოუს მოსაზრებებს თვითაქტუალიზაციისა და მაღალი, მეტამოთხოვნილებების ე.წ. ინსტინქტოიდურობის შესახებ. მასლოუმ ისინი ადამიანის თანდაყოლილი ბუნების ნაწილად ჩათვალა. ვიტალური მოთხოვნილებების მსგავსად, ადამიანი იბადება ჩანერგილი ყოფიერების ღირებულებებით. გარემოს პირობები მხოლოდ მათი აქტუალიზაციის ხელშემწყობ ან დამაბრკოლებელ ფაქტორებად არის წარმოდგენილი. ეს თვალსაზრისი ნამდვილად ბიოლოგისტურია. მასში იგნორირებულია სპეციფიკური ადამიანური მოტივაციის ქმნადობის, ფორმირების, გარემოსეული დეტერმინირებულობის უმნიშვნელოვანესი ასპექტი. უნდა აღინიშნოს, რომ მასლოუს პოზიცია ერთგვარად ეხმაურება ე.წ. *სოციობიოლოგიურ* კონცეფციას, რომლის თანახმად, ადამიანის მაღალი მოთხოვნილებები (მაგალითად, ეთიკური) ევოლუციის შედეგია და მის მემკვიდრულ ნიშან-თვისებას შეადგენს. ცხოველთა სამყაროში ალტრუისტული ქცევა მოცემული სახეობისთვის სასარგებლო ფაქტორად გვეელინება. ამის გამო სათანადო (ალტრუისტული) მოტივაცია მტკიცდება და მემკვიდრეობით გადაეცემა. ამ შეხედულების ერთ-ერთი მთავარი შემქმნელის, ედუარდ უილსონის თქმით, სოციობიოლოგიის არსი საერთოდ ქცევისა და კონკრეტულად ადამიანის საზოგადოებრივი ქცევის გენეტიკური განსაზღვრულობის ჩვენებაშია (იხ. VIII თავი). ამ კონტექსტში აუცილებელია ითქვას, რომ მეორეული მოტივაციის, მაღალი მოთხოვნილებების წარმოშობის პრობლემა, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი. საფიქრებელია, რომ აქ მართლაც არის გარკვეული თანდაყოლილი, მასლოუს ტერმინოლოგიით, ინსტინქტოიდური მომენტები. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევართა უმრავლესობა, განურჩევლად მათი თეორიული ორიენტაციისა, ემხრობა მაღალი მოტივაციის შეძენილობის, მისი უპირატესად სოციალური დეტერმინებულობის თვალსაზრისს.

სერიოზული და დასაბუთებული კრიტიკის საგანი გახდა მასლოუს ემპირიული კვლევის მეთოდოლოგია. როგორც ითქვა, თვითაქტუალიზებული პიროვნების დახასიათება მასლოუმ რამდენიმე გამოჩენილი ადამიანის ბიოგრაფიის ანალიზის საფუძველზე ჩამოაყალიბა. ეს კვლევა არ პასუხობს მეცნიერულობის კრიტერიუმებს, თუნდაც გამეორებადობასა და ობიექტურობას [53]. იგი სუბიექტურია პრინციპულად, ვინაიდან შესასწავლი ადამიანების შერჩევა აუცილებლად არის დაკავშირებული თავად მკვლევრის და მისი კულტურის ღირებულებათა და შეფასებათა სისტემასთან. „ვინ არის უფლებამოსილი, აირჩიოს ყველაზე თვითაქტუალიზებული ადამიანი – მასლოუ, წმინდა პავლე თუ მაო ძედუნი?" [44; 33] – კითხულობს კრიტიკოსი.

ჰუმანისტური ფსიქოლოგიის კიდევ ერთი წამყვანი ფიგურაა **კარლ როჯერსი** (1902-1987). როჯერსი იზრდებოდა საკმაოდ შეძლებულ ოჯახში მკაცრი პროტესტანტული და ფუნდამენტალისტური ტრადიციებით. იგი თავდაპირველად თეოლო-

გიას სწავლობდა ვისკონსინის უნივერსიტეტში, ხოლო შემდგომში ფსიქოლოგიით დაინტერესდა და სწავლა განაგრძო კოლუმბიის უნივერსიტეტში, სადაც მიიღო სამეცნიერო ხარისხი კლინიკური ფსიქოლოგიის სფეროში 1931 წელს. მომდევნო ცხრა წლის განმავლობაში მუშაობდა ნიუ-იორკში ბავშვის ფსიქოლოგიის განხრით. 1940 წლიდან იწყება მისი აკადემიური კარიერა კოლუმბიის, ჩიკაგოსა და ვისკონსინის უნივერსიტეტებში. 1964 წელს როჯერსი გადასახლდა კალიფორნიაში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ბიჰევიორალურ მეცნიერებათა დასავლეთის ინსტიტუტში და ადამიანის შემსწავლელ ცენტრში. როჯერსი ძალიან ბევრს აკეთებდა თავისი ფსიქოთერაპიული სისტემის პოპულარიზაციისთვის. იგი ხშირად მოგზაურობდა, ატარებდა სემინარებსა და სეანსებს სხვადასხვა ქვეყანაში. 1987 წელს ამ მიზნით ეწვია თბილისს.

როჯერსი თავის შეხედულებებში ამოდის იქიდან, რომ ადამიანის ქცევის გაგება შესაძლებელია მხოლოდ სინამდვილის მისეული განცდიდან/აღქმიდან და შემეცნებიდან. ეს შინაგანი ათვლის სისტემა და რეალობის სუბიექტური წვდომა/ინტერპრეტაცია გადამწყვეტი მნიშვნელობისაა გამოვლენილი ქცევის განსაზღვრაში. ფენომენოლოგიური მიდგომისთვის მნიშვნელოვანია, აგრეთვე, იდეა, რომ ადამიანები თავისუფლები არიან გადაწყვეტილებებში, თავად განსაზღვრავენ საკუთარ ქცევას და, ამდენად, პასუხისმგებლები არიან მასზე. პიროვნების ფენომენოლოგიური თეორიის კიდევ ერთი საყრდენი რწმენა ადამიანების ბუნებას ეკუთვნის – იგი კეთილია და მიმართულია სრულყოფილებისკენ. ყველა ადამიანი ბუნებრივად და გარდაუვლად მიემართება დამოუკიდებლობისკენ და მოწიფულობისკენ. პიროვნული ზრდის კონცეფცია, რომელიც შინაგანი შესაძლებლობებისა და პოტენციალის გახსნის იმანენტური ტენდენციის დაშვებას გულისხმობს, საზოგადოდ, დამახასიათებელია ჰუმანისტური ფსიქოლოგიისთვის. როჯერსთან, ისევე როგორც მასლოუსთან, ამ შემთხვევაში გამოიყენება თვითაქტუალიზაციის ტერმინი. როჯერისისთვის ეს არის ძირითადი ტენდენცია და ფუნდამენტური მოტივაციური ძალა, რომელიც აერთიანებს ინდივიდის ყველა სხვა მისწრაფებას. ადამიანის ცხოვრების უმთავრესი მოტივი არის მისწრაფება, გახსნას საკუთარი თავი, მაქსიმალურად გამოავლინოს მასში ბუნებრივად მოცემული საუკეთესო თვისებები. ეს ტენდენცია, ამავე დროს, გულისხმობს იმანენტურ მიმართულობას განვითარებაზე და, არსებითად, არა მხოლოდ ადამიანის, არამედ ყოველივე ცოცხალის ფუნდამენტური მახასიათებელია.

როჯერსი, პირველ რიგში, პრაქტიკოსი ფსიქოთერაპევტი იყო და მისი პერსონოლოგიური შეხედულებანი სწორედ ამ პრაქტიკაზე დაყრდნობით შემუშავდა. როჯერსის თვალსაზრისის ცენტრალური ცნება *მე-კონცეფციაა*. ესაა ქცევისა და ცნობიერების თვითრეალიზაციის ძირეული მექანიზმი. „როდესაც ორგანიზმი გარკვეულ ძალისხმევას ახორციელებს თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მის მიერ განცდილ სამყაროში, ამ ძალისხმევის ფორმა თავსებადი უნდა იყოს მე-კონცეფციასთან [25; 56]. ეს უკანასკნელი მთლიანობაა, გეშტალტია, რომლის ძირითადი მახასიათებელი ის არის, რომ იგი მუდმივად ცვალებადია. ფსიქოლოგიაში მიღებულია ამ ცნების გამოყენება სტაბილური, უცვლელი პიროვნების აღსანიშნავად. პი-

როვნების ფენომენოლოგიურ თეორიაში მე-კონცეფცია აღნიშნავს პროცესს, მუდმივად ცვალებად მთლიანობით სისტემას. სწორედ მე-ს გადასხვაფერების უნარს, მის მოქნილობას ემყარება როჯერსის თვალსაზრისი, რომ ადამიანებს არა უბრალოდ განვითარებისა და ზრდის უნარი აქვთ, არამედ ეს ტენდენცია მათთვის ბუნებრივია და უპირატესი. მე-კონცეფცია არის ადამიანის მიერ საკუთარი თავის გაგება, რომელიც დამყარებულია ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე, ამჟამინდელ მოვლენებსა და მომავლის მოლოდინებზე. მიუხედავად თქმულისა მე-ს ცვალებადობის შესახებ, როჯერსი აღნიშნავს, რომ მუდმივად ცვალებადი მე ინარჩუნებს მთლიანი გეშტალტის თვისებას, ანუ ადამიანის წარმოდგენები თავის თავზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში შედარებითი სტაბილურობით ხასიათდება.

მე-კონცეფცია შედგება მე-ს შეხედულებებისგან თავის თავზე (თვითშეფასება) და იმაზე, თუ როგორი სურს მას, იყოს (იდეალური *მე*). ჯანმრთელი, ნორმალური, მონიფული და ჰარმონიული პიროვნების მე-კონცეფციაში ეს ელემენტები ურთიერთთავსებადად, როჯერსის ტერმინოლოგიით, *კონგრუენტულად* არიან ინტეგრირებული. მე-კონცეფციის დეზინტეგრაციის საშიშროება მაშინ იქმნება, როდესაც ხდება განსვლა თვითშეფასებასა და იდეალურ მე-ს შორის, თვითშეფასებასა და ადამიანის უშუალო და რეალურ ქცევით გამოცდილებას შორის. მე-კონცეფციის დეზინტეგრაცია ვლინდება თავის თავში დაურწმუნებლობის, შიშის, შფოთვის და სხვა განცდებში. დასაწყისში შეუმჩნეველი ეს განცდები თანდათან ძლიერი და შემანუხებელი ხდება. ამ ვითარებიდან ნამდვილი გამოსავალი მე-კონცეფციის გადახალისებაში მდგომარეობს. მაგრამ პიროვნება, როგორც წესი, ცდილობს, შეინარჩუნოს არსებული მე-კონცეფცია; იგი შეძლებისდაგვარად ებრძვის დეზინტეგრაციულ პროცესებს და დაცვით მექანიზმებს მიმართავს.

როჯერსი ორ ძირითად მექანიზმზე მიუთითებს: 1) *რეალობის აღქმის დამახინჯება* (მაგალითად, მიუხედავად მარცხისა და წარუმატებლობისა, ადამიანი მაინც მიიჩნევს, რომ ნიჭიერია და, უბრალოდ, არ უმართლებს); 2) მე-კონცეფციისთვის საფრთხის შემცველი *გამოცდილების იგნორირება* (მაგალითად, ადამიანი არ აცნობიერებს, თვალს ხუჭავს იმაზე, რომ იგი ბევრს ჭამს, ეწევა, უხეშობს, ფეთხუმია და ა.შ.).

ისეთი თეორეტიკოსებისგან განსხვავებით, როგორებიც არიან: ზ. ფროიდი, ა. ადლერი, ე. ერიქსონი და სხვ., როჯერსი არ ქმნის იმ კრიტიკული სტადიების სპეციალურ სქემას, რომლებსაც გადიან ადამიანები თავის ფორმირებისას. მან ყურადღება გაამახვილა იმაზე, თუ როგორ მოქმედებს სხვა ადამიანების მიერ ინდივიდის შეფასება პოზიტიური ან ნეგატიური მე-ს ხატის (თვითშეფასების) ჩამოყალიბებაზე. აქ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ადრეული ბავშვობის პერიოდი. თუ ბავშვი გრძნობს მშობლებისგან სრულ მიმღებლობას, ან, რასაც როჯერსი უწოდებს, „უპირობო პოზიტიურ ყურადღებას“, მაშინ განვითარებადი მე-კონცეფცია შეესაბამება ყველა თანდაყოლილ პოტენციალურ შესაძლებლობებს. სამწუხაროდ, ეს ყოველთვის ასე არ არის. ამოდიან რა თავისი შეხედულებებიდან ბავშვის შესაძლებლობებისა და დანიშნულების შესახებ, მშობლები, არცთუ იშვიათად, მას თავს ახვევენ საკუთარ შეფასებას, აიძულებენ, გაითავისოს იგი და აქციოს თვითშეფასებად. ზოგიერთი ბავშვი

ცდილობს, შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა, რასაც მოჰყვება კონფლიქტი გარემოცვასთან, აგრესია, ნეგატივიზმი. თუმცა, უმეტესწილად, ბავშვები არ ეწინააღმდეგებიან უფროსების გავლენას, რადგანაც ძალიან ესაჭიროებათ მათი მოფერება და მიმღებლობა. ასეთ მისწრაფებას, დაიმსახურო გარემოცვის სიყვარული და ერთგულება, როჯერსი უწოდებს „ღირებულების პირობას". გადაჭარბებულ შემთხვევაში ის შეიძლება სერიოზულ შემაფერხებელ ფაქტორად იქცეს პიროვნული ზრდის გზაზე, რამდენადაც ხელს უშლის ნამდვილი მე-ს, ჭეშმარიტი მოწოდების გაცნობიერებას და ამას სხვებისთვის სასიამოვნო წარმოდგენით ანაცვლებს. ასეთი არაადეკვატური თვითშეფასებით ადამიანი ვერ იქნება წარმატებული. ეს იწვევს დაძაბულობას, შფოთს, დათრგუნვილობას და ა.შ.

მოკლედ, პიროვნების ფენომენოლოგიური თეორიის თანახმად, ბავშვების აღზრდა უპირობოდ პოზიტიური ყურადღებით გზას უხსნის თვითაქტუალიზაციის ბუნებრივ ტენდენციას და ქმნის იმის საფუძველს, რომ ჩამოყალიბდეს ე.წ. „სრულყოფილად ფუნქციონირებადი პიროვნება". მას ახასიათებს განცდებისადმი ღიაობა (ემოციური სიღრმე და რეფლექსიურობა), ეგზისტენციალური ცხოვრების სტილი (მოქნილობა, ადაპტურობა, სპონტანურობა, ინდუქციური აზროვნება), ორგანიზმული ნდობა (ინტუიტურობა, თვითდარწმუნებულობა, ნდობა), ემპირიული თავისუფლება (ნების თავისუფლების სუბიექტური განცდა) და კრეატიულობა (ახალი იდეებისა და საგნების შექმნისადმი მიდრეკილება).

პიროვნების მეორე ტიპი, შესაბამისად, არ არის სრულყოფილად ფუნქციონირებადი. მისი „ღირებულების პირობები" გაზვიადებულია, მე-კონცეფცია არ შეესატყვისება პოტენციურ შესაძლებლობებს, მისი ქცევა დამძიმებულია დაცვითი მექანიზმებით. იგი ცხოვრობს წინასწარ მოცემული გეგმის მიხედვით და არა ეგზისტენციურად, უგულებელყოფს თავის ორგანიზმს და არ ენდობა მას. იგი თავს უფრო მართულად გრძნობს, ვიდრე თავისუფლად, უფრო ჩვეულებრივად და კონფორმულად, ვიდრე შემოქმედად. დაცვითმა მექანიზმებმა შეიძლება გარკვეულ ფარგლებში შეანელონ ან შეარბილონ ამ ტიპის პიროვნების დეზინტეგრაციული ტენდენციები, მაგრამ, არსებითად, საქმეს ვერ შველიან. პირიქით, უფსკრული მე-კონცეფციასა და რეალობას შორის სულ უფრო იზრდება, რასაც შეიძლება სერიოზული ფსიქოლოგიური დეზადაპტაცია და აშლილობა მოჰყვეს. ასეთ შემთხვევაში უკვე ფსიქოთერაპევტის ჩარევა ხდება საჭირო. ამოცანა ისაა, რომ ინდივიდს გამოუმუშავდეს საკუთარი თავის ახალი, რეალობის ადეკვატური ხატი, და ჩამოუყალიბდეს თავისი შესაძლებლობების შესატყვისი იდეალური მე.

იმისათვის, რომ მივიღოთ უფრო მოქნილი მე-კონცეფცია, საჭიროა მოიხსნას ან მაქსიმალურად შესუსტდეს დაცვითი მექანიზმები, რომლებიც ამახინჯებენ მე-კონცეფციას. ეს გზას გაუხსნის პიროვნებაში არსებულ ჯანსაღ ძალას, მიმართულს მის განვითარებასა და თვითგამოვლენაზე. „რაც არ უნდა ვუწოდოთ მას, ამბობს როჯერსი, ზრდის ტენდენცია, აღძრულობა თვითაქტუალიზაციისკენ თუ წინ მოძრაობის ტენდენცია – ესაა სიცოცხლის მთავარი მამოძრავებელი ძალა, მისწრაფება, რომელზეც დამოკიდებულია მთელი თერაპია; ესაა მთელ ორგანულ და ადამიანურ

ცხოვრებაში ჩართული მისწრაფება, გავრცელდეს, გაფართოვდეს, გახდეს დამოუკიდებელი, განვითარდეს, გამოაელინოს და აამოქმედოს ორგანიზმის ყველა შესაძლებლობა ისეთ დონემდე, რომ გაძლიერდეს ორგანიზმი ან „მე" [24; 77].

ამრიგად, როჯერსი ამოდის იქიდან, რომ პიროვნება, კერძოდ მისი მე-კონცეფცია სტატიკური, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული რამ კი არ არის, არამედ მუდმივად ცვალებადი, არამდგრადი სისტემა. ადამიანში იმთავითვე ჩადებულია ზრდისა და განვითარების ტენდენცია. სწორედ ამაში ხედავს როჯერსი პიროვნების, როგორც ფენომენის, არსებით და განმსაზღვრელ ნიშანს. ჩვეულებრივ, ეს ტენდენცია თავისთავად რეალიზდება ადამიანის შინაგანი სამყაროს სრულყოფისა და ჰარმონიზაციის გზით. მაგრამ, როდესაც მე-კონცეფციის დეზინტეგრაციის პროცესები საკმაოდ ძლიერ არის გამოხატული, პიროვნებაში ღრმა და მნიშვნელოვანი ძვრების მისაღწევად საჭირო ხდება პიროვნული ზრდის, განვითარების, თვითგამოხატვის ბუნებრივი მექანიზმისთვის „ხელის შეშველება" ანუ ფსიქოთერაპია. პოზიტიური ეფექტი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღწევა, თუ ფსიქოთერაპიული სეანსების დროს შექმნილია სათანადო ატმოსფერო და ურთიერთობები. სწორედ ამაზეა მიმართული ფსიქოთერაპიის ის სახე, რომელიც მტკიცედ არის დაკავშირებული როჯერსის სახელთან; მას *არადირექტიული* ან *კლიენტზე ცენტრირებული თერაპია* ეწოდება[1]. ამგვარი თერაპია გულისხმობს თერაპევტის მიერ კლიენტისათვის თბილი და მიმღებლური ატმოსფეროს შექმნას, რომელშიც ეს უკანასკნელი სრულ ფსიქოლოგიურ დაცულობას და უსაფრთხოებას გრძნობს. თერაპევტი ამყარებს კეთილმოსურნეობას, „უეჭველ დადებით დამოკიდებულებას"; გულწრფელი ინტერესით და ემპათიით ცდილობს, ჩასწვდეს მეორე ადამიანის შინაგან სამყაროს, დაინახოს ისე, როგორც ეს უკანასკნელი ხედავს მას. ასეთ სიტუაციაში იცვლება კლიენტის დამოკიდებულება საკუთარი თავის მიმართ: იგი ხდება უფრო გულისხმიერი და მიმღებლური თავისი რეალური განცდებისა და თვისებების მიმართ; მას უჩნდება რწმენა თავის თავში, უძლიერდება თვითკონტროლი და ავტონომიურობა; იგი უკეთესად ახერხებს თვითრეალიზაციას. ერთი სიტყვით, ხდება პიროვნული ზრდა, მე-კონცეფციის ჰარმონიზაცია და რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანა. შედეგად ვიღებთ სრულყოფილად ფუნქციონირებად ინდივიდს, რომელსაც უნარი ექნება, წარმატებით და უმტკივნეულოდ გაართვას თავი ცხოვრებისეულ პრობლემებს.

თავისი ფსიქოთერაპიული საქმიანობის მეორე პერიოდში როჯერსის ინტერესმა გადაინაცვლა ინდივიდუალური ფსიქოთერაპიიდან ჯგუფურზე. 60-70-იან წლებში, ბევრწილად როჯერსის გავლენით, ამერიკაში უაღრესად პოპულარული გახდა ე.წ. *შეხვედრის ჯგუფები*. როჯერსი თვლიდა, რომ პიროვნული ცვალებადობა, შინაგანი პოტენციალის ზრდა უფრო სწრაფად ხდება მცირე და ინტენსიურ ჯგუფებში [42].

[1] როჯერსი შეგნებულად ერიდებოდა ტერმინ „პაციენტის" ხმარებას, ვინაიდან ეს უკანასკნელი გულისხმობს უსუსურ ავადმყოფს, რომელიც საშველად მიმართავს სპეციალისტს. კლიენტი კი არის ადამიანი, რომელიც თვლის, რომ იგი ვერ მოერევა თავის პრობლემებს და საჭიროებს მომსახურებას და თანადგომას. ექიმისა და პაციენტის ურთიერთობისგან განსხვავებით კლიენტს და თერაპევტს შორის ერთგვარი თანასწორობა იგულისხმება.

კლიენტზე ცენტრირებული მიდგომა ფსიქოთერაპიის ფარგლებს გასცდა და ადამიანური ურთიერთობების სხვა სახეებზეც გავრცელდა. საკმაოდ ბევრის მიერ შეწყნარებული და პრაქტიკულად რეალიზებულ იქნა როჯერსის მიდგომის მთავარი პრინციპი, რომ *გამაადვილებელი, ფასილიტაციური* ფსიქოლოგიური კლიმატი ხელს უწყობს პიროვნულ ზრდას ყოველგვარ სიტუაციაში, იქნება ეს თერაპევტისა და კლიენტის, მშობლისა და შვილის, მასწავლებლისა და მოსწავლის, ლიდერისა და ჯგუფის, ადმინისტრატორისა და თანამშრომლის თუ სხვა სახის ურთიერთობა. განსაკუთრებული გაქანება მოიპოვა ჰუმანისტურმა მიდგომამ განათლების სფეროში [26]. როჯერსი აღიარებულია თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო ფსიქოთერაპევტად. იგი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ხვეწდა ფსიქოთერაპიულ ტექნიკას, მაგრამ, როგორც მკვლევარი, არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ ტექნიკის სრულყოფით და ცდილობდა, მკაცრი ემპირიული მეთოდებით შეემოწმებინა თავისი მოდგომის მართებულობა. ამაში გამომჟღავნდა მისი მეთოდოლოგიური პოზიცია, რომელსაც ზემოთ ეკლექტიკური ვუწოდეთ. როჯერსი დასაშვებად, ზოგჯერ კი აუცილებლად მიიჩნევს ფენომენოლოგიური და ობიექტურ-პოზიტივისტური მეთოდოლოგიის შეთავსებას.

როჯერსი შემეცნების სამ გზას გამოყოფს: 1) *შინაგანი, სუბიექტური გამოცდილება*, რომელიც დამყარებულია ე.წ. *ორგანიზმულ გრძნობაზე* და შეადგენს შინაგანი ჰიპოთეზების ფორმულირების წყაროს; 2) *ობიექტური შემეცნება*, რომელიც არსებითად კლასიკურ საბუნებისმეტყველო მეთოდოლოგიას გულისხმობს და 3) *პიროვნებათშორისი ან ფენომენოლოგიური შემეცნება*. ამ შემთხვევაში ემპათია მიმართულია სხვა ადამიანის სუბიექტური სამყაროს წვდომაზე, იმაზე, თუ რამდენად რელევანტურად შევდივართ მის ფენომენოლოგიურ ველში, მისი საზრისების სისტემაში. ამ გზით მიღებული ცოდნა აბსოლუტურად ინდივიდუალურია, მაგრამ, ამავე დროს, შესაძლებელია მისი განზოგადება და შემოწმება სავსებით ობიექტური (ექსპერიმენტული) პროცედურების მეშვეობით. ბიჰევიორიზმის ცალმხრივობა ის იყო, რომ იგი მხოლოდ მეორე სახის შემეცნებას ცნობდა. ქცევის ნამდვილი მეცნიერული შესწავლა კი სამივე სახის შემეცნებას გულისხმობს. როჯერსს სჯერა, რომ სწორედ ჰუმანისტურ ფსიქოლოგიას (რომელსაც იგი ფენომენოლოგიურ-ეგზისტენციალურს უწოდებს) შესწევს ამის უნარი. რას ემყარება ეს რწმენა?

ჰუმანისტური ფსიქოლოგია არ იზღუდება გარედაკვირვებადი მოვლენების (სენსომოტორული რეაქციების) აღწერით. ძირითადი აქცენტი კეთდება შინაგანი საზრისების, მიზნების, განზრახვების, თვითაღქმის, სხვათა აღქმის, პიროვნული კონსტრუქტების და ა.შ. გამოვლენაზე, ე.ი. ყოველივე იმაზე, რაც ორგანიზაციას უკეთებს ადამიანის საზრისულ ფენომენოლოგიურ სამყაროს. ეს სამყარო, როგორც მეცნიერული რეალობა, საერთოდ არ არსებობდა რადიკალური ბიჰევიორიზმისთვის. სამაგიეროდ, მისი შესწავლა შესაძლებელია ფენომენოლოგიურ-ეგზისტენციალური მიდგომის ფარგლებში. როჯერსის აზრით, ამის შესაძლებლობას იძლევა ის გარემოება, რომ ხსენებული მიდგომა არ იფარგლება წინასწარ მოცემული მეთოდოლოგიით და შემეცნების ყველა ხერხს იყენებს. ფენომენოლოგიური სამყაროს კოორდინატთა

სისტემა, შინაგანი ცვლადები, უნდა გამოვლინდეს ფენომენოლოგიური გზით ანუ ემპათიური წვდომით, ხოლო შემდგომ, საჭიროების შემთხვევაში, გაიზომოს ობიექტური პროცესების საშუალებით.

ამგვარი პროცედურების მაგალითად როჯერსი ასახელებს სემანტიკური დიფერენციალის მეთოდს, რომელიც მართლაც იძლევა საშუალებას, ოპერაციონალიზაცია გაუკეთდეს ისეთ „ეგზისტენციალურ სფეროს“, როგორიცაა ადამიანის საზრისებისა და მნიშვნელობების სამყარო; იგი ლაპარაკობს აგრეთვე მე-ს აღქმაზე, თვითშეფასებაზე, თვითპატივისცემაზე, იდეალურ მე-ზე, როგორც ფენომენოლოგიურ ცვლადებზე და მათი ობიექტურ-ტესტური გაზომვის ხერხებზე; ამასთან, კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ სწორედ ფენომენოლოგიურ-ეგზისტენციალურმა მიდგომამ გაუხსნა გზა ამგვარ კვლევებს. უფრო მეტიც, როჯერსი დარწმუნებულია, რომ ეს მიმდინარეობა მიგვიყვანს ისეთ თეორიულ დასკვნებამდე, რომლებიც გააოცებენ ტრადიციულ ფსიქოლოგებს, ვინაიდან იგი „თავის თავში შეიცავს ახალი მეცნიერების სათავეებს – ეს იქნება მეცნიერება, რომელსაც არ შეეშინდება, ხელი მოჰკიდოს პიროვნების პრობლემას, როგორც დამკვირვებლის, ისე დასაკვირვებადი პიროვნებისა და გამოიყენოს როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური შემეცნება“ [23; 230].

უნდა ითქვას, რომ ეს პრეტანზიები ნამდვილად გადაჭარბებულია. მიმდინარეობას, რომელსაც როჯერსი წარმოადგენს, არც მაშინ, როდესაც ეს სიტყვები იწერებოდა და არც ახლა, ნახევარ საუკუნეზე მეტის მერე, არავინ გაუოცებია განსაკუთრებული მონაცემებით ან აღმოჩენებით, მით უფრო ახალი მეცნიერებით. როჯერსის პოზიცია დამაჯერებლად ჟღერს მხოლოდ ორთოდოქსულ ბიჰევიორიზმთან მიმართებით, რომელიც მართლაც იზღუდებოდა მხოლოდ გარედაკვირვებადი ცვლადების გაზომვით. მაგრამ განა იმ ფენომენების (მიზანი, საზრისი, განზრახვა, თვითაღქმა, თვითშეფასება და ა.შ.) მეცნიერული კვლევის ტრადიციას, რომლებიც პიროვნულ-მოტივაციურ სფეროს მიეკუთვნებიან, ფენომენოლოგიურმა და ეგზისტენციალურმა ფსიქოლოგიამ დაუდო სათავე? XX საუკუნის დასაწყისიდან ევროპულ ფსიქოლოგიაში ეს პრობლემატიკა ყოველთვის აქტუალური იყო. საკმარისია დავასახელოთ ვიურცბურგის სკოლა (ნ. ახი, კ. ბიულერი), ფუნქციონალიზმი (ე. კლაპარედი), პერსონოლოგია (ვ. შტერნი, ფ. ლერში), ველის თეორია (კ. ლევინი, ფ. ჰოპე). რაც შეეხება ამერიკულ ფსიქოლოგიას, ჯერ კიდევ უ. ჯეიმსი მთელი სიმწვავით სვამდა პიროვნებისა და მე-ს პრობლემებს. ჯეიმსმა განსაზღვრა პიროვნება, როგორც მიზნების განსახორციელებლად მებრძოლი ინდივიდი. მასვე ეკუთვნის ფსიქოლოგიური მე-ს ერთ-ერთი პირველი განსაზღვრება და ცნობილი ფორმულა, რომლის მიხედვით თვითპატივისცემა უდრის წარმატებას, გაყოფილს პრეტენზიის დონეზე. მე-ს ფსიქოლოგიასთან დაკავშირებული პრობლემატიკით დაინტერესებას ამერიკაში სტიმული მისცა ლევინის ემიგრაციამ ამ ქვეყანაში. ამ მიმართულებით კვლევა განაგრძეს დ. ჯ. მაკ-ლელანდმა და ატკინსონმა, რომლებმაც წარმატებით გამოიყენეს ჰ. მიურეის თემატური აპერცეფციის ტესტი. ორმოციანი წლებიდან მოყოლებული, ამ სფეროში შესრულებულია უამრავი ექსპერიმენტული გამოკვლევა. ისინი შეისწავლიან მე-კონცეფციის ისეთ ასპექტებს, როგორებიცაა: მე-ს ხატი, იდეალური მე, თვითშეფასება,

პრეტენზიის დონე, მოლოდინი, ფრუსტრაცია და სხვ. აღსანიშნავია, რომ ეს კვლევები საბუნებისმეტყველო-პოზიტივისტური ორიენტაციით ხასიათდება, რომელიც ფენომენოლოგიურ-ეგზისტენციალური მეცნიერული მსოფლმხედველობისთვის ანტაგონისტურია. ამრიგად, სუბიექტური, პიროვნულ-მოტივაციური ფენომენების კვლევას ტრადიციული ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ფარგლებში ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამ კვლევებს თავისი ლოგიკა და მეთოდოლოგია გააჩნია. ამიტომ სინამდვილეს არ შეეფერება ის შეფასება, თითქოს მათ გზა გაუხსნა ფსიქოლოგიის ასპარეზზე მესამე ძალის გამოჩენამ[1]. ის გარემოება, რომ ამ ფენომენებს როჯერსი ფენომენოლოგიურ-ეგზისტენციალურ ცვლადებს უწოდებს, თავისთავად არ აქცევს მათ ჰუმანისტური ფსიქოლოგიის კუთვნილებად. საჭიროა იმის დაზუსტება, თუ რა არის საკუთრივ ფენომენოლოგიური და ეგზისტენციალური ფსიქოლოგია.

ფენომენოლოგიური ფილოსოფია ედმუნდ ჰუსერლის (1859-1938) სახელთან არის დაკავშირებული. მისი ძირითადი აზრი და სულისკვეთება, პირველ რიგში, ცნობიერების ანალიზისკენ არის მიმართული. ამიტომ გასაგებია, რომ თავიდანვე არსებობდა განსაკუთრებული ურთიერთინტერესი და ურთიერთმიმართება ფილოსოფიის ამ მიმდინარეობასა და ფსიქოლოგიურ მეცნიერებას შორის. ამასთან, ეს ურთიერთმიმართება არასდროს იყო მარტივი. საქმე ისაა, რომ ჰუსერლის ფილოსოფიური მოღვაწეობის თავდაპირველი სტიმული ფსიქოლოგიზმთან ბრძოლა იყო. მას სურდა, გაეწმინდა ფილოსოფიური შემეცნება ფსიქოლოგიის ყოველგვარი შინაარსისგან. მიისწრაფოდა რა ცნობიერების საყოველთაო, წმინდა ან ტრანსცენდენტური სტრუქტურების გამოვლენისკენ, ჰუსერლმა შეიმუშავა ფენომენოლოგიური მეთოდი, რომელიც ე.წ. „რედუქციის პროცედურებს“ გულისხმობს. მათი არსი ისაა, რომ „ნატურალისტური განწყობების“ გადალახვით გამოიყოს ცნობიერება, როგორც ანალიზის ერთადერთი ობიექტი, და შემდგომ თვითონ ცნობიერება გაიწმინდოს ყოველგვარი კულტუროლოგიური, პირველ ყოვლისა, ემპირიულ-ფსიქოლოგიური გამოცდილებისგან.

ჰუსერლის მოძღვრება ერთ-ერთი ურთულესია XX საუკუნის ფილოსოფიაში, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ფსიქოლოგიის ადგილი გვაინტერესებს ამ სისტემაში. სპეცი-

[1] იგივე ითქმის ჩ. ოსგუდზე, რომლის სემანტიკური დიფერენციალის მეთოდი როჯერსისთვის სამაგალითოა. რაც შეეხება ჯეიმსს, მის მიმართ ჰუმანისტური ორიენტაციის წარმომადგენელთა დამოკიდებულება ერთობ სუბიექტურია. იგი აღიარებულია როგორც ერთ-ერთი პირველი ამერიკელი ეგზისტენციალისტი. ეს შეფასება ფრიად საგულისხმოა. საქმე ისაა, რომ ჯეიმსი ცნობილია როგორც პრაგმატიზმის ფილოსოფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ფსიქოლოგიაში იგი მკაცრი საბუნებისმეტყველო მიდგომის მომხრე იყო და თეორიული ორიენტაციით უფრო ფუნქციონალურ ფსიქოლოგიას უახლოვდებოდა [3]. როლო მეი ჯეიმსს უწოდებს „ეგზისტენციალიზმის განვითარების მონაწილეს“, რადგანაც იგი აქტიურად მიმართავდა ისეთ ცნებებს, როგორებიცაა: ცნობიერების ნაკადი, აზრისა და მოქმედების ერთიანობა, ნებელობა და გადაწყვეტილება [47]. ეს მართლაც ასეა, მაგრამ აქედან სულაც არ გამომდინარეობს ის, რომ ჯეიმსი ეგზისტენციალისტი ფსიქოლოგია. ამგვარი „ეგზისტენციალური ელემენტი“ ხომ პრაქტიკულად მთელს ფსიქოლოგიაში გვხვდება, დაწყებული კლასიკური ცნობიერების ფსიქოლოგიიდან დღემდე, ბიჰევიორიზმის გამოკლებით. თუ ასეთ შეფასებას შევიწყნარებთ, გაუგებარი გახდება, რას ნიშნავს საკუთრივ ეგზისტენციალური ფსიქოლოგია, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერული მიმდინარეობა.

ალისტები თელიან, რომ „ფსიქოლოგიისა და ფენომენოლოგიის, როგორც ფილოსოფიის ურთიერთობის, პრობლემა ერთ-ერთი ყველაზე ბუნდოვანი ადგილია ჰუსერლის კონცეფციაში. ჰუსერლმა ნამდვილად ვერ მოახერხა, სრულიად არაორაზროვნად და ერთმნიშვნელოვნად გადაეწყვიტა იგი“ [4; 144]. ჰუსერლის პოზიცია, ძირითადად, ანტიფსიქოლოგისტურია. ვუნდტიდან მომდინარე ემპირიულ-ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიას იგი არ ცნობს ამ უკანასკნელის ნატურალიზმისა და ბუნებისმეტყველურობის გამო. მისი აზრით, ბუნების მეცნიერებებისადმი მიბაძვამ ფსიქოლოგია დაღუპა და მუდმივი კრიზისის მდგომარეობაში ჩააყენა. ფენომენოლოგიური რედუქცია საშუალებას იძლევა, „ამოირთოს“, „ფრჩხილებში ჩაისვას“ ტრადიციული ფსიქოლოგია, რათა გზა გაეხსნას ნამდვილ ფსიქოლოგიას. მაგრამ ფსიქოლოგიის რეფორმირების ჰუსერლისეული მოდელი მიზანს მაინც ვერ აღწევს. ნამდვილი ანუ ფენომენოლოგიური ფსიქოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინის, შესაძლებლობის დასაბუთება ჰუსერლმა ვერ მოახერხა და, საბოლოოდ, ის ფენომენოლოგიასთან ანუ ფილოსოფიასთან გააიგივა. მხოლოდ ამ უკანასკნელის ფარგლებშია შესაძლებელი წმინდა ცნობიერების ან წმინდა სუბიექტურობის პირდაპირო ჭვრეტა, მისი არსებითი მხარის გათვალისწინება, ინტუიციური წვდომა; ყოველგვარი სხვა გზა შემეცნებისა აუცილებლად მარცხს განიცდის. ამრიგად, ფსიქოლოგია კი არ რეფორმირდება, არამედ ფაქტობრივად უქმდება.[1]

შეიძლება ითქვას, რომ ვიწრო და სპეციალური მნიშვნელობით ფენომენოლოგიური ფსიქოლოგია ეწოდება ჰუსერლის შეხედულებათა სისტემას, რომელიც უპირისპირდება აკადემიურ საბუნებისმეტყველო ფსიქოლოგიას და, გაგებით ფსიქოლოგიასთან ერთად, ფსიქოლოგიური აზრის ერთიან ნაკადს ქმნის. ჰუსერლმა საფუძვლიანად დაამუშავა ცნობიერების საკითხი. გამოყო ცნობიერების ზოგიერთი არსებითი ნიშანი, მათ შორის ინტენციონალობა და ნაკადისებურობა.[2] მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ ჰუსერლის ფენომენოლოგიური მეთოდის პირდაპირი გადატანა კონკრეტული ფსიქოლოგიური კვლევის სფეროში პრაქტიკულად შეუძლებელია. აქ რამდენიმე გარემოება იჩენს თავს: ჯერ ერთი, ყოველთვის უნდა გვქონდეს მხედველობაში, რომ ეს არ არის სპეციალური ფსიქოლოგიური მეთოდი. ჰუსერლს მიაჩნდა, რომ ფენომენოლოგია არის „ტრანსცენდენტალურ ყოფიერებაში“ ან „უნივერსალურ ონტოლოგიაში“ შეღწევის გზა. იგი ავლენს ყველა იმ მოვლენის არსს, რომელიც ცნობიერებაში ჩნდება, მათ შორის ისეთებისაც, რომელთაც ფსიქიკური მოვლენები ან პროცესები ეწოდება. ამდენად, ეს არის საერთოდ ფილოსოფიური აზროვნების ერთგვარი წესი. ამასთანაა დაკავშირებული ის გარემოებაც, რომ ფენომენოლოგია თვითკმარია; ფენომენოლოგიური შემეცნებით მოპოვებული ცოდნის ემპირიული შე-

---

[1] დაინტერესებულ ქართველ მკითხველს შეუძლია, დაწვრილებით გაეცნოს ჰუსერლის მოსაზრებებს ფსიქოლოგიის შესახებ ანგია ბოჭორიშვილის ფუნდამენტური ნაშრომის საშუალებით [1].

[2] ჰუსერლი პირველი არ იყო, ვინც ცნობიერების ამ არსებით ნიშნებზე მიუთითებდა. უფრო ადრე ეს გააკეთეს ფ. ბრენტანომ და უ. ჯეიმსმა, მაგრამ ჰუსერლის მერე მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა [3].

მოწმება ძირითადად შეუძლებელია. გარდა ამისა, ფენომენოლოგიური მეთოდი, ფაქტობრივად, კეტავს შემეცნების პროცესს ინდივიდუალური ცნობიერების სფეროში. აქედან გამომდინარე, „სუფთა ფენომენოლოგიური ფსიქოლოგია“ ალბათ არც არსებობს. ფსიქოლოგიური ფენომენოლოგია გულისხმობს ფენომენოლოგიას, როგორც ფსიქოლოგიურ პრობლემათა კვლევის მეთოდს, რომელიც ფსიქოლოგიურ დონეზე გამოიყენება. ამ გაგებით, იგი უნდა განვასხვავოთ ფილოსოფიური ან ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგიისგან, ანუ ფილოსოფიის პროდუქტისგან, რომელიც მიმართულია მოვლენების არსზე და საბოლოო სინამდვილის ცოდნაზე. ფსიქოლოგი, რომელიც ფენომენოლოგიური მეთოდით სარგებლობს, უბრალოდ, ცდილობს, განიხილოს სულიერი მოვლენა ისე, როგორც ის უშუალოდ არის მოცემული განცდაში. ეს არის მცდელობა დაკვირვებისა, წინასწარი დაშვებებისა და ვარაუდების გარეშე, რომელთაც შეუძლიათ, დაამახინჯონ ფენომენოლოგიური გამოცდილება ჩვენი თეორიებისა და დოგმების შესაბამისად. პირველ რიგში, ამით განსხვავდება იგი კლასიკური თვითდაკვირვებისგან, რომელიც ფენომენოლოგიურად ორიენტირებულმა მკვლევრებმა გააკრიტიკეს ცნობიერების ცალმხრივი და ფრაგმენტული შესწავლის გამო. ვუნდტის და ტიტჩენერის ექსპერიმენტული ინტროსპექციის დროს კარგად გაწაფული დამკვირვებელი გარკვეული სტიმულაციის შემთხვევაში გადმოსცემს თავის შთაბეჭდილებებს და ცდილობს, დაიყვანოს ისინი უმარტივეს მენტალურ ელემენტებამდე, როგორებიცაა: შეგრძნებები, გრძნობები, წარმოდგენები. იგი აგრეთვე ცდილობს, დაადგინოს მათი თვისებები: რომელობა, ინტენსივობა, ხანიერება. ფენომენოლოგიური დაკვირვებისას კი არ არსებობს არავითარი წინასწარი ვარაუდი, რომელიც ეხება შთაბეჭდილებების თვისებების ერთობლიობას. უფრო მეტიც, მაშინ, როდესაც ინტროსპექტიულ პასუხებში ობიექტები და მნიშვნელობები მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს,[1] ფენომენოლოგიური კვლევისას ისინი არსებით მომენტებად გვევლინებიან; ფენომენოლოგიას აინტერესებს სტიმულებისა და სიტუაციების ის მნიშვნელობანი, რომლებიც მათ დამკვირვებლისთვის აქვთ.

ფენომენოლოგიური აღწერის სისტემატური და ეფექტური გამოყენების პირველ მაგალითებს XIX საუკუნის დასაწყისში ვხვდებით. ასეთებია: ი. გოეთესა და ი. პურკინიეს კვლევები მხედველობითი აღქმის სფეროში. მოგვიანებით, ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ჩამოყალიბების მერე, ამ მეთოდს მიმართავდნენ: ე. ჰერინგი, კ. შტუმფი, გ. ე. მიულერი, ვ. ფენდერი, თ. რიბო და სხვ. XX საუკუნის დასაწყისში ფენომენოლოგიური კვლევა ახალ საფეხურზე აიყვანეს დ. კაცმა და მ. ვერთჰამერმა. მათი შრომები ფერისა და მოძრაობის აღქმას მიეძღვნა. ამ კლასიკურ გამოკვლევებში განხორციელდა ლაბორატორიული ტექნიკისა და ფენომენოლოგიური აღწერის ორგანული შერწყმა, რამაც მოგვიანებით *ექსპერიმენტული ფენომენოლოგიის* სახელწოდება

[1] ე. ტიტჩენერი ამ კონტექსტში მიუთითებდა ე.წ. „სტიმულის შეცდომაზე“, რაც იმას ნიშნავს, რომ ცდისპირი თვითდაკვირვების მონაცემების გადმოცემისას, ფაქტობრივად, აღწერს საგნებს, სტიმულებს და არა „წმინდა ცნობიერების შინაარსებს“. მაგალითად, უნდა ვილაპარაკოთ არა ლამპარზე, არამედ შეგრძნებებზე, გრძნობებზე, წარმოდგენებზე, რომლებსაც იგი იწვევს [3].

მიიღო. აქ საქმე გვაქვს უშუალო გამოცდილების, განცდის ისეთ თავისებურებებთან, რაც პირდაპირ არ გამოიყვანება ფიზიკური სტიმულების თვისებებიდან. ასე იქნა აღმოჩენილი ბევრი საინტერესო ფენომენი ვიზუალური აღქმის სფეროში (კონსტანტობა, ფიგურა-ფონი, სხვადასხვა ილუზია). ექსპერიმენტული ფენომენოლოგიის ფარგლებში მუშაობდნენ ისეთი თვალსაჩინო მეცნიერები, როგორებიცაა: ვ. კელერი, კ. კოფკა, ე. რუბინი, ნ. ახი, კ. ბიულერი, გ. რეევერსი, ფ. კრიუგერი, ა. მიშოტი, ვ. ბოიტენდაიკი და სხვ.

ამრიგად, ფენომენოლოგიურ კვლევას ფსიქოლოგიაში დიდი ტრადიცია აქვს. ჰუმანისტურ ფსიქოლოგიაში ფენომენოლოგია ძირითად მეთოდად გვევლინება. განსხვავებით ტრადიციული ფსიქოლოგიისგან, სადაც უპირატესად სხვადასხვა ფსიქიკური პროცესის კვლევა მიმდინარეობდა, ჰუმანისტურ ფსიქოლოგიაში ფენომენოლოგიური მეთოდი პიროვნების შესასწავლად გამოიყენება. მესამე ძალის წარმომადგენლები იქიდან ამოდიან, რომ პიროვნების გაგება მხოლოდ მისი საკუთარი თვალსაზრისიდან, მისი სუბიექტური გამოცდილებიდან შეიძლება. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, ემთხვევა თუ არა ეს სუბიექტური გამოცდილება ობიექტურ ვითარებას. მთავარია, გავიგოთ, როგორ განიცდის ადამიანი თავის თავს და სასიცოცხლო პრობლემებს. პიროვნების შემეცნების საუკეთესო საშუალებად მიჩნეულია ემპათია-შთაგრძნობა, უშუალო შესვლა შინაგან სამყაროში, თანაგანცდა, ერთი სიტყვით, ის, რასაც როჯერსი ფენომენოლოგიურ შემეცნებას უწოდებს. როჯერსისა და სხვა ეკლექტიკოსების მეთოდოლოგიური პოზიცია განსხვავებული მეთოდების შეუღლებაა; სხვების აზრით კი ფენომენოლოგია ჭეშმარიტი შემეცნების ერთადერთი იარაღია. ამგვარ ორიენტაციას ხშირად ეგზისტენციალურ ფსიქოლოგიას უწოდებენ. თუმცა, ალბათ, არ შეცდებით, თუ ვიტყვით, რომ მთელი ჰუმანისტური ფსიქოლოგია ეგზისტენციალურია ისევე, როგორც ფენომენოლოგიური. „თუ ფენომენოლოგია ჰუმანისტური ფსიქოლოგიის მეთოდური საფუძველია, ეგზისტენციალური შეხედულებები მის ფილოსოფიურ ბაზისს ქმნიან“ [39; 380].

ამ კონტექსტში არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საზღვრები ფენომენოლოგიასა და ეგზისტენციალიზმს შორის ხშირად ძნელი დასადგენია, რადგან ორივე ეს ფილოსოფიური მიმდინარეობა კონცეპტუალურად ურთიერთზემოქმედებენ და მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ერთმანეთზე [10]. ამდენად, განსხვავება მათ შორის რამდენადმე პირობითია და ხელოვნური. მასლოუს აზრით, ჰუმანისტურ ფსიქოლოგიაზე ეგზისტენციალური ფილოსოფიის გავლენა იმითია განპირობებული, რომ ამ უკანასკნელს პირველ პლანზე გადმოაქვს შეხედულება პიროვნების შესახებ; პიროვნებაში ჭვრეტს ადამიანის ბუნებისა და ფილოსოფიის არსს. შარლოტა ბიულერს მიაჩნია, რომ ჰუმანისტური ფსიქოლოგია ეგზისტენციალიზმამდე მიიყვანა ინდივიდის, როგორც მთლიანის და მისი მთელი სიცოცხლის, გააზრების აუცილებლობამ. მართლაც, ეგზისტენციალიზმში ყურადღება საგნებისა და მოვლენების არსიდან, რაზეც ტრადიციულად მიმართული იყო ფილოსოფიის ინტერესი, გადატანილია ადამიანის ინდივიდუალურად განცდილ არსებობაზე და მის პიროვნულ მახასიათებლებზე. ეგზისტენციალიზმში თავად ადამიანის საკუთარი ხედვა, თვალსაზრისი ხდება საზოგა-

დოდ მსოფლმხედველობის ათვლის წერტილი. სამყაროს სურათი არ არის ადამიანის მიმართ ტრანსცენდენტური, თავისთავად არსებული და რაციონალურად შემეცნებადი მიზეზშედეგობრივი კავშირების რიგი ან ერთობლიობა. სამყაროს სურათი ისე უნდა დაიხატოს, როგორც ადამიანისთვის არის მოცემული – ის ინდივიდუალური ცნობიერების შინაარსი, *არსებობის სამყაროა*. პიროვნული სამყაროა იმ ღირებულებებისა და საზრისების სტრუქტურა, რომელშიც ადამიანი არსებობს და მოქმედებს. ყოველგვარი მოვლენა სამყაროში არსებობს იმდენად და იმდაგვარად, როგორც მას აცნობიერებს, აფასებს და ეპყრობა სუბიექტი.

ეგზისტენციალური აზროვნების წინამორბედებად ითვლებიან: სიორენ კირკეგორი, ედმუნდ ჰუსერლი და მარტინ ჰაიდეგერი, ხოლო საკუთრივ ეგზისტენციალისტ ფილოსოფოსებად – კარლ იასპერსი, ჟან-პოლ სარტრი, ალბერ კამიუ, გაბრიელ მარსელი, მორის მერლო-პონტი, ნიკოლა აბელიანო, მარტინ ბუბერი, პაულ ტილიხი, მიგელ დე უნამონო.

ადამიანზე ორიენტირებულმა ამ ფილოსოფიამ ღრმა კვალი დაამჩნია ჰუმანისტური ფსიქოლოგიის წარმომადგენელთა მსოფლმხედველობას და პირდაპირი გავლენა მოახდინა ეგზისტენციალური ფსიქოლოგიის პრინციპებისა და თემების გააზრებაზე. ამ პრინციპებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი: 1) ყოველი ადამიანი განუმეორებელია; უნიკალურია როგორც მისი შინაგანი სამყარო, ასევე მის მიერ გარე სამყაროს აღქმა და შეფასება, უნიკალურია ადამიანის რეაგირებაც ამ სამყაროზე (იდეოგრაფიული პრინციპი); 2) ადამიანი, პიროვნება არ შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც მისი შემადგენელი ფუნქციების ან ელემენტების უბრალო ერთობლიობა. პიროვნების სუბიექტური, ფენომენალური სამყარო უნდა განიხილებოდეს მთლიანობითი და არა ფრაგმენტული თვალსაზრისით (ჰოლისტური პრინციპი). ეგზისტენციალური ფსიქოლოგიის საბოლოო მიზანია ადამიანის ცხოვრებაში იმ ძირითადი თემის, ტენდენციისა თუ ძალის პოვნა, რომელიც ერთგვარი გასაღები იქნება პიროვნების ბუნების უნიკალურობისა და მთლიანობის გასაგებად. რაც შეეხება ეგზისტენციალური ფსიქოლოგიის მთავარ თემებს, ესენია: ა) ცხოვრების საზრისი და უსაზრისობა; ბ) თავისუფლება, არჩევანი, პასუხისმგებლობა; გ) შფოთვა, შიში, აპათია, სასოწარკვეთა, ეჭვი, იმედი, რწმენა; დ) ადამიანური ურთიერთობები, მარტოობა, გაუცხოება, სიყვარული, ზრუნვა, ერთგულება.

ჰუმანისტური მოძრაობის (მესამე ძალის) წარმომადგენლებს ბევრი რამ იზიდავს ეგზისტენციალიზმში. პირველ რიგში, ის, რომ ამ ფილოსოფიური სისტემის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ადამიანი მისი არსებობისთვის დამახასიათებელი ყველა პრობლემით და კონფლიქტით. ისინი დაკავშირებული არიან არსებობის ფინალობასთან, სიცოცხლის საზრისის უქონლობასთან ან დაკარგვასთან, ადამიანის თვისებებისა და უნარების რეალიზაციის შეუძლებლობასთან და სხვ. ყოველივე ეს უკმაყოფილების, დაურწმუნებლობის, შფოთვის, ეგზისტენციალური შიშის, სასონარკვეთილების და, შესაძლოა, ფსიქიკური აშლილობის წყარო ხდება. თავის ძირითად დანიშნულებას ეგზისტენციალური ფსიქოლოგია ამ ვითარების გამოსწორებაში, სხვა ადამიანის სუ-

ბიექტური სამყაროს სირთულეების მოხსნაში, მის ჰარმონიზაციაში ხედავს.[1] ამიტომ გასაგებია, რომ ამ მიმდინარეობის წარმომადგენელთა აბსოლუტური უმრავლესობა ფსიქოთერაპევტებია, რომლებიც უფრო ინდივიდუალური ცნობიერების პრობლემების აღწერით და გაგებით არიან დაინტერესებული, ვიდრე ზოგადი კანონზომიერებებისა და კონცეფციების დადგენით. სწორედ ამას გულისხმობს რ. მეი, როცა აღნიშნავს, რომ ეგზისტენციალური ფსიქოლოგია ორიგინალური თეორიული სისტემა ან სკოლა კი არ არის, არამედ ერთგვარი დამოკიდებულება, პოზიცია თეორიის მიმართ. „ვინაიდან ჩვენ გვინდა შევისწავლოთ ადამიანები, რომლებიც უშუალოდ განიცდიან, იტანჯებიან, იბრძვიან, იმყოფებიან კონფლიქტში, ჩვენ არ შეგვიძლია, გვერდი ავუაროთ თერაპიას. ჩვენ საქმე გვაქვს ავადმყოფებთან, რომელთა შფოთვა და ტანჯვა არ განიკურნება აბსტრაქტული კანონებითა და თეორიებით, რაც არ უნდა ბრწყინვალე იყვნენ ისინი. ამ გაგებით, ფსიქოთერაპევტები უფრო რეალისტი პროფესიონალები არიან, ვიდრე ჩვენი კოლეგები ლაბორატორიებში. ფსიქოთერაპიაში ამგვარი უშუალო ჩარევით ჩვენ ვაღწევთ ადამიანთა გაგებას და ისეთ ინფორმაციას ვიღებთ, რომელსაც სხვა გზით ვერასდროს მოვიპოვებდით“ [47; 10].

ეს პოზიცია, ალბათ, მაინც ცალმხრივია, თუნდაც იმიტომ, რომ ყოველგვარი ფსიქოთერაპია, საბოლოო ჯამში, უეჭველად და აუცილებლად არის დამყარებული რაიმე ზოგადფსიქოლოგიურ თეორიაზე. ამასთან, ამ მიდგომაში მკაფიოდ არის გამოვლენილი მისწრაფება, რომ ფსიქოლოგის საქმიანობა კონკრეტული ადამიანების რეალური სასიცოცხლო პრობლემების გადაჭრისკენ წარიმართოს. ამ სულისკვეთებით მუშაობენ მრავალრიცხოვანი ეგზისტენციალისტი ფსიქიატრები და ფსიქოთერაპევტები სხვადასხვა ქვეყანაში. მიუხედავად ამისა, მათი მოსაზრებები ფსიქოპათოლოგიური და ფსიქოთერაპიული პროცესების მიმართ ფრიად განსხვავებულია. ამიტომ, სპეციალისტთა შეფასებით, ეგზისტენციალური ფსიქოთერაპია არის მოზაიკა, რომლის ნაწილების იდენტიფიკაცია და ურთიერთდაკავშირება საკმაოდ რთულია [27][35][49].

ეგზისტენციალურ ფსიქოლოგიაში ორი მიმართულება გამოიყოფა – ევროპული და ამერიკული. ყველაზე ცნობილი ამერიკელი ეგზისტენციალისტი ფსიქოლოგია **როლო მეი** (1909-1994). თავდაპირველად მან მიიღო თეოლოგიური განათლება პაულ ტილიხის ხელმძღვანელობით, ხოლო შემდგომში დაეუფლა კლინიკურ ფსიქოლოგიას (კოლუმბიის უნივერსიტეტი) და ფსიქოანალიზს. ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ და კლინიკურ მუშაობას. სხვადასხვა დროს ასწავლიდა ჰარვარდის, პრინსტონის, იელის, კოლუმბიის, ნიუ-იორკის უნივერსიტეტებში და რამდენიმე კოლეჯში. იყო ეგზისტენციალური ფსიქოლოგიის საბჭოს თავმჯდომარე. მის სახელს ატარებს ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ძირითადი სასწავლო და სამეცნიერო ცენტრი სან-ფრანცისკოში.

[1] ნიშანდობლივია, რომ ეგზისტენციალიზმის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა კარლ იასპერსი გამოჩენილი ფსიქიატრი და პათოლოგიური განცდების მკვლევარი იყო [36]. პაულ ტილიხის შეფასებით კი, ეგზისტენციალური ფსიქოთერაპია საერთოდ ტრუიზმია, ვინაიდან დაავადება ცენტრალური ეგზისტენციალური ცნებაა [27]. იგივე ითქმის ბინსვანგერზე [9].

მეი თავიდანვე ფსიქოკონსულტაციაზე ან ფსიქოთერაპიაზე იყო ორიენტირებული. როგორც ჭეშმარიტი ეგზისტენციალისტი, მეი ადამიანის ბუნების ცენტრალურ მომენტად მის თავისუფლებას მიიჩნევს. მაგრამ თავისუფლება ყოველთვის დაკავშირებულია პასუხისმგებლობასთან როგორც საზოგადოების, ისე, პირველ რიგში, საკუთარი თავის, თავისი ცხოვრებისა და ბედის მიმართ. ჯანმრთელ ადამიანებს არ ეშინიათ, თვალი გაუსწორონ ცხოვრების პერსპექტივებს, აფასებენ და უფრთხილდებიან თავისუფლებას, პატიოსნები არიან საკუთარი თავის და სხვების წინაშე. ისინი აცნობიერებენ ცხოვრების სასრულობას, მაგრამ ყოფნით გამბედაობა, იცხოვრონ სრულფასოვანი ცხოვრებით. არის ხალხი, რომლებსაც არ ძალუძთ, ზიდონ თავისუფლების ტვირთი, აიღონ თავზე ვალდებულება საკუთარი ბედის წინაშე, თმობენ თავისუფლებას, გაურბიან არჩევანს, იმუშავებენ არაადეკვატურ თვითშეფასებას და უყალიბდებათ საკუთარი თავის უმნიშვნელობისა და სამყაროსაგან გაუცხოების განცდა.

პიროვნებისა და გარემოს ერთიანობის თეზისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ეგზისტენციალიზმში. მას უპირატესად აღნიშნავენ ჰაიდეგერის მიერ შემოტანილი გერმანული ტერმინით – Dasein, რომელიც სამყაროში ყოფნას ნიშნავს. ამ მოდუსის გარეშე ჭეშმარიტი ადამიანური არსებობა (ეგზისტენცია) შეუძლებელია. საღი სულიერი ცხოვრება ჰარმონიული Dazein-ის გარეშე წარმოუდგენელია.

სამყაროში არსებობა ბუნებასთან, სხვა ადამიანებსა და თავის თავთან ურთიერთობათა სტრუქტურას მოიცავს. შესაბამისად, კავშირის შესუსტება ან გაწყვეტა თითოეულ მათგანთან, არღვევს სრულფასოვან არსებობას, იწვევს მძიმე განცდებს იმის გამო, რომ ადამიანი შორდება ბუნებას, აქვს მნიშვნელოვანი და ადეკვატური პიროვნებათშორისი ურთიერთობების დეფიციტი და გაუცხოებულია საკუთარი ჭეშმარიტი მესგან. მეი ეთანხმება ეგზისტენციალურ ფილოსოფიაში მიღებულ მოსაზრებას, რომ იზოლირებულობა, სხვებისაგან და თავის თავისგან გაუცხოება, ძირითადად, დამახასიათებელია ყველასთვის, ვინც დღევანდელ დასავლურ საზოგადოებაში ცხოვრობს. მაგრამ ადამიანები მეტ-ნაკლებად რეაგირებენ ამაზე, მეტ-ნაკლებად განიცდიან ამ მდგომარეობას. განსხვავებულია არა მარტო შესაბამისი განცდების ინტენსივობა, არამედ რომელობაც. ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს სხვადასხვა ეგზისტენციალური განცდის დახასიათებას, როგორც დადებითების (მზრუნველობა, სიყვარული) ისე უარყოფითების (სიკვდილის შიში, შფოთვა, დანაშაული, აპათია და სხვ.). ამ უკანასკნელთა ანალიზი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ასე მაგალითად, დანაშაულის ცნებას მეი არ უკავშირებს სიტუაციურად აღმოცენებულ, კონკრეტული ვითარებებიდან გამომდინარე განცდებს. დანაშაულის განცდას თვით ყოფიერებასთან, Dasein-თან მივყავართ. *ონტოლოგიური დანაშაული* წარმოიქმნება, თუ კი ჩვენ ზურგს ვაქცევთ ბუნებას, თუ ვერ ვამყარებთ ნორმალურ ურთიერთობებს სხვა ადამიანებთან და ვაკნინებთ ჩვენს შესაძლებლობებს ან ვაზიანდებთ წარუმატებლობას.

ყველაზე დიდი გამოხმაურება მაინც მეის მიერ ჩატარებულ შფოთვის საფუძვლიან ანალიზს ხვდა. ბევრი რამ მასში ავტორმა საკუთარ თავზე დაკვირვებიდან

აიღო. საკმაოდ ახალგაზრდა, იგი ჭლექით დაავადდა და სამი წელი სპეციალურ სანატორიუმში გაატარა. მაშინ ამ დაავადების მკურნალობის ეფექტური მეთოდები არ იყო; მეი საკმაოდ დიდხანს იმყოფებოდა ცუდის მოლოდინის და მწვავე შფოთის მდგომარეობაში, რამაც ამ განცდის ფენომენოლოგიის შემაძრწუნებელ სილრმეში ჩაახედა. შფოთვა, მეის მიხედვით, არის „ადამიანის მიერ იმ ღირებულებებისადმი წარმოქმნილი საფრთხის გაცნობიერება, რომელთაც იგი მნიშვნელოვნად მიიჩნევს მისი, როგორც პიროვნების, არსებობისთვის“ [48; 239]. საფრთხე შეიძლება ემუქრებოდეს ადამიანის ფიზიკურ და ფსიქიკურ არსებობას (სიკვდილი და თავისუფლება) ან რაიმე სხვა ღირებულებას (სიყვარული, ურთიერთობა, პრესტიჟი და ა.შ.), მაგრამ მთავარი მნიშვნელობა ენიჭება არსებობის საზრისის დაკარგვას. საქმე ისაა, რომ რაიმე კონკრეტული ნივთის ან ფასეულობის დაკარგვისას ადამიანი შფოთვას კი არა, შიშს განიცდის. იგი ახერხებს საფრთხის ფორმულირებას და ამიტომ მასთან ბრძოლა ან თუნდაც მისგან გაქცევა შეუძლია. საშიში პიროვნების ბირთვს არ ემუქრება, მაშინ, როდესაც შფოთი საფრთხეს უქმნის მის ფსიქოლოგიურ საფუძველს, რომელსაც საკუთარი თავისა და სამყაროს გაგება ემყარება. შფოთვისას ადამიანი თავისი ეგზისტენციის, საკუთარი თავის დაკარგვის საფრთხეს განიცდის. ნევროტულია არა თვით ბაზისური შფოთვა, არამედ მისგან გაქცევის მცდელობა. ნორმალური ადამიანი ამ დროს მხოლოდ შიშს განიცდის. ეს არის არსებობის ფინალობის, „არაფრად ქცევის“ შიში. მაგრამ იგი მაინც ახერხებს, წინ აღუდგეს ამ შიშს, რისთვისაც თავის არსებობის წესში ნახულობს გარკვეულ რესურსებს.

ასეთია მეის მიერ ეგზისტენციალური შფოთვის ანალიზის ერთი ხაზი; მეორე ხაზი ზუსტად არ იმეორებს პირველს და საკითხის ახალ ასპექტებს წარმოაჩენს. აქ განიხილება ორი სახის შფოთვა – *ნორმალური და ნევროტული*. ნორმალურ შფოთვას ვერავინ გაექცევა, იგი თან ახლავს ძველი ღირებულებების უარყოფის ან გადახალისების პროცესს, რაც ყოველთვის დაკავშირებულია პიროვნების ზრდასა და განვითარებასთან, ამდენად, ეს ნორმალური მდგომარეობაა. თუ შფოთვა საფრთხის პროპორციულია, მასთან სავსებით შესაძლებელია გამკლავება ცნობიერების დონეზე, მაგრამ, თუ შფოთვა საფრთხის მიმართ პროპორციული არ არის, იგი ნევროტულ სახეს იძენს და მწვავე კონფლიქტის წყარო ხდება. მისი სათავეა რაიმე ღირებულებისთვის არაადეკვატურად დიდი მნიშვნელობის მინიჭება და დოგმის რანგში აყვანა. ამ ღირებულებაზე უარის თქმამ შეიძლება არსებობის საზრისის დაკარგვის საფრთხე შექმნას და ნევროტული ბუნების ეგზისტენციალური შფოთვა გამოიწვიოს. ნევროზისკენ მივყავართ სიცარიელისა და აპათიის განცდასაც, რომელიც თან სდევს გაუცხოებას. ამგვარი განცდა მაშინ ჩნდება, როცა ადამიანს არ გააჩნია ან დაკარგული აქვს სრულფასოვანი ცხოვრების, სამყაროსთან და თავის თავთან ნორმალური ურთიერთობის უნარი. სიცარიელე და აპათია აბრკოლებს აქტიურ ცხოვრებას, ჩნდება ნევროტული სიმპტომები, რომლებიც ავიწროებენ და ამახინჯებენ პიროვნების ფენომენოლოგიურ სამყაროს და თრგუნავენ შინაგანი თავისუფლების გრძნობას. შინაგანად არათავისუფალი ადამიანი თავის გარშემო იქმნის ისეთ რეალობას, სადაც მას არ ესაჭიროება არჩევანის გაკეთება, ვალდებულებების აღება. ნევროტული სიმ-

პტომები თავისუფლების და, შესაბამისად, პასუხისმგებლობისგან გაქცევის მიმანიშნებელია, იმის მაჩვენებელი, რომ ადამიანი არ იყენებს თავის შესაძლებლობებს. ფსიქოთერაპიის მიზანია, დაეხმაროს ადამიანებს თავისუფლების მოპოვებაში, რათა მათ გააცნობიერონ და გამოიყენონ თავისი შესაძლებლობები. როდესაც პაციენტი უფრო თავისუფალი ხდება, მისი ნევროტული სიმპტომები, როგორც წესი, ქრება, ნევროტული შფოთვა ადგილს უთმობს ნორმალურს. მაგრამ ეს მხოლოდ თანმხლები ეფექტებია იმ მთავარი მიზნისა, რაც პაციენტის მიერ სრულფასოვანი არსებობისკენ მიმავალი გზის არჩევაში მდგომარეობს. როგორ შეიძლება ამის მიღწევა? მეი, ეგზისტენციალისტი ფსიქოთერაპევტების უმეტესობის მსგავსად, არ ზრუნავს სპეციალური ტექნიკებისა და მეთოდების შემუშავებაზე. „ეგზისტენციალური ტექნიკა მოქნილი და მრავალფეროვანი უნდა იყოს, უნდა შეიძლებოდეს მისი შეცვლა სხვადასხვა პაციენტის შესატყვისად, ხოლო ერთი პაციენტის შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს თერაპიის ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლა“ [21; 185]. ეს, ფაქტობრივად, მეთოდური ეკლექტიზმია, თუმცა მეი უარყოფს ამას. მისი აზრით, მთავარია პაციენტთან სანდო ადამიანური ურთიერთობების დამყარება, მისი უნიკალურობის გათვალისწინებით. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა *ემპათიას* ენიჭება, რომელიც, მეის თქმით, კონსულტირების პროცესის გასაღებს წარმოადგენს. კონსულტირების ან ფსიქოთერაპიის პროცესი, ცხადია, სტრუქტურირებულია. კონტაქტის, ნდობის შემცველი ურთიერთობის დამყარებას მოჰყვება აღსარების ეტაპი, როდესაც კლიენტს საშუალება ეძლევა, გამოთქვას თავისი სატკივარი. შემდგომი ეტაპი ტრანსპოზიციის ეტაპია. აქ ფსიქოთერაპევტი იყენებს განმარტებას, რჩევას, გარკვეულ შთაგონებასაც კი. მაგრამ ეს ყოველივე თავისუფალი საუბრის რეჟიმში, ურთიერთმიმღებლურ ატმოსფეროში ხდება, უაღრესად ფაქიზად, პიროვნების ავტონომიაში ჩარევის გარეშე. ფსიქოთერაპევტი მხოლოდ რბილად უბიძგებს პაციენტს იმისკენ, რომ მან თავის თავზე მუშაობა დაიწყოს და ამით მიაღწიოს გარე და შინაგანი სამყაროს ადეკვატურ და უკეთეს გაგებას; საბოლოოდ, იგი უნდა გახდეს ის, რაც არის, დაიბრუნოს თავისუფლება და პასუხისმგებლობა საკუთარ ცხოვრებაზე.

ადვილი შესამჩნევია, რომ ყოველივე ეს საკმაოდ ახლოს არის როჯერსიანულ მიდგომასთან, სახელდობრ, ფსიქოთერაპიის, როგორც ისეთი ადამიანური კონტაქტის გაგებასთან, სადაც იქმნება რბილი, სანდო ურთიერთობა კლიენტთან, სადაც ხორციელდება კლიენტის შინაგანი შემოქმედებითი პოტენციალის აქტუალიზაცია და, შესაბამისად, მისი პიროვნული ზრდა. მიუხედავად ასეთი მსგავსებისა, არის განსხვავებებიც, რაც მეის გაცნობიერებული აქვს. იგი აღნიშნავს ეგზისტენციალური ფსიქოთერაპიული ურთიერთობის შედარებით ხანგრძლივობას, ფსიქოთერაპევტის მეტ აქტიურობას და იმასაც, რომ როჯერსის თვალსაზრისი უფრო ოპტიმისტურია. ეგზისტენციალური ფსიქოთერაპევტები უფრო მეტად ამახვილებენ ყურადღებას ადამიანის არსებობის უარყოფით მხარეებზე, სასიცოცხლო კრიზისების ტრაგედიაზე და ა.შ. ეს ბუნებრივიცაა. ამაში მჟღავნდება ეგზისტენციალისტური მსოფლმხედველობის თავისებურება.

ეგზისტენციალური ფსიქოთერაპია, ისე როგორც იგი მეისთან არის მოცემული, მოიცავს რელიგიას და მეცნიერებას. ის ნდობაზე დაფუძნებულ ინტერპერსონა-

ლურ ურთიერთობებს გულისხმობს და იდეალურ ვარიანტში მეგობრობას წააგავს. ასეთი თერაპია, კრიტიკოსების აზრით, მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ეფექტური, როდესაც საქმე გვაქვს სამედიცინო თვალსაზრისით პრაქტიკულად ჯანმრთელ ადამიანებთან, რომლებსაც თავისი არსებობის უაზრობა აშფოთებთ. ასეთი კლიენტები მართლაც მრავლად ჰყავს ეგზისტენციალისტ ფსიქოლოგს. იგი არადირექტიულად, მაგრამ მაინც არწმუნებს თავის კლიენტებს იმაში, რომ ყველაფერი მათ ხელშია და მათ თავისუფალ არჩევანზეა დამოკიდებული. ასეთი ზემოქმედების სარგებლიანობა ფრიად საეჭვოა რეალურად ავადმყოფი ადამიანების შემთხვევაში, რომლებიც სწორედ იმიტომ მივიდნენ სამკურნალოდ, რომ მხოლოდ ნებელობის დაძაბვით არ შეუძლიათ, მოერიონ აკვიატებულ მოქმედებებსა თუ შემაწუხებელ ფსიქოსომატურ აშლილობებს. მეტიც, ასეთმა ზემოქმედებამ შეიძლება ნევროტული სიმპტომების გაძლიერებაც გამოიწვიოს [27].

ეგზისტენციალური ფსიქოლოგიის ევროპული მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენელია ავსტრიელი ფსიქიატრი, ფსიქოლოგი და ფსიქოთერაპევტი, ლოგოთერაპიის, ან სხვანაირად, ვენის მესამე (ზ. ფროიდის და ა. ადლერის შემდეგ) სკოლის შემქმნელი **ვიქტორ ფრანკლი** (1905-1997). 1933-1937 წლებში მუშაობდა თვითმკვლელობების აცილების მიმართულებით და სამი ათასზე მეტ ადამიანს გაუწია დახმარება. ავსტრიის გერმანიასთან მიერთების მერე მას აეკრძალა მუშაობის გაგრძელება ებრაელობის გამო, ხოლო 1942 წლიდან ომის დამთავრებამდე იგი საკონცენტრაციო ბანაკებში იმყოფებოდა, სადაც დაიღუპნენ მისი მშობლები და მეუღლე. განთავისუფლების მერე ფრანკლი ხელმძღვანელობდა ვენის ნევროლოგიურ კლინიკას, ასწავლიდა ვენის უნივერსიტეტში, იყო ავსტრიის ფსიქოთერაპევტთა საზოგადოების პრეზიდენტი. 1981 წელს შედგა პირველი მსოფლიო კონგრესი ლოგოთერაპიაში. 1991 წელს ვენაში შეიქმნა ფრანკლის ინსტიტუტი.

თავისი საექიმო მოღვაწეობის დასაწყისში ფრანკლი გატაცებული იყო ფსიქოანალიზით, რომელსაც შემდგომში მკაცრად დაუპირისპირდა. ფროიდი ამბობდა: თუ ადამიანი ცხოვრების საზრისზე დაფიქრდა, იგი სერიოზულად ავადაა. ცნობილია მისი მეორე გამონათქვამიც: ადამიანის ფსიქიკის უზარმაზარი შენობის კვლევისას მე სარდაფში გავჩერდიო. ფრანკლის მოძღვრება ეხება ადამიანის სულიერი ცხოვრების მწვერვალებს და არა სიღრმეებს და „სარდაფებს“. ამასთანავე, მისი თეორიული სისტემის ღერძი სწორედ საზრისია. მის თანახმად, პიროვნების არსებობის მამოძრავებელ ძალად გვევლინება საკუთარი არსებობის საზრისის ძიების ტენდენცია. ადამიანური არსებობა მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს ადამიანურად, თუ მასში არსებობს საზრისი. ასეთი საზრისის არარსებობის შემთხვევაში წარმოიქმნება *ეგზისტენციალური ვაკუუმი,* რომელმაც შეიძლება ე.წ. *ნოოგენური ნევროზის* სახე მიიღოს. ფრანკლის, როგორც ეგზისტენციალური ფსიქოთერაპევტის, ინტერესი მიმართულია ამ ახალი ტიპის ნევროზებისკენ, რომლებიც დასავლური სამყაროს მახასიათებლები გახდნენ. რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა ეკონომიკურად, მით მეტია იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც ეგზისტენციალურ ვაკუუმში იმყოფება. ესაა ადამიანები ინტერესების, ინიციატივის, ცხოვრების საზრისის გარეშე. სამედიცინო თვალსაზრისით, ისინი ჯანმრთელები არიან, რაც ფსიქოთერაპევტებს აყენებს არა

კლინიკური სიმპტომების, არამედ ადამიანური პრობლემების წინაშე. ისეთი პრობლემების წინაშე, რომლებიც აქამდე სასულიერო პირების კომპეტენციაში შედიოდა. საზრისის ძიება არ არის პათოლოგია. იგი ჭეშმარიტად ადამიანური არსებობის უპირველესი ნიშანია. ეს უფრო სულიერი დისტრესია, ვიდრე ფსიქიკური დაავადება. მაგრამ ადამიანს ამ შემთხვევაშიც სჭირდება დახმარება. ფსიქოთერაპევტი, ამბობს ფრანკლი, ადამიანს საზრისს ვერ „ჩაუნერგავს", მაგრამ მის ძიებაში, მის დანახვაში დაეხმარება.

ფრანკლის მიდგომას *ლოგოთერაპია,* ანუ ცხოვრების საზრისის მოპოვებაზე მიმართული თერაპია ეწოდება. ცხოვრების საზრისი ყოველ ადამიანს თავისი აქვს. იგი უნდა აცნობიერებდეს პასუხისმგებლობას იმ მიზანთა შესრულებაზე, რომლებშიც მისი ცხოვრების საზრისი რეალიზდება. ნევროზის შემთხვევაში ადამიანი ან ვერ ხედავს საზრისის მქონე მიზნებს, ან მცდარად განსაზღვრავს მათ, ან ცდილობს ერთი მიზნის მიღწევას მეორის ხარჯზე. ფრანკლი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ არ არსებობს საყოველთაოდ გამორჩეული ცხოვრების საზრისი; ეს იგივეა, რომ გროსმაისტერს დაუსვა კითხვა: „რომელი სვლაა ჭადრაკში ყველაზე კარგი?". საზრისი ყოველთვის უნიკალურია – ის კონკრეტული პიროვნებისა და კონკრეტული ვითარების გადაკვეთაზე წარმოიქმნება. საზრისი აუცილებლად რაიმე ღირებულებას უკავშირდება. ღირებულებებს ფრანკლი სამ ჯგუფად ყოფს: *შემოქმედების* ღირებულებები (პირველ ყოვლისა, შრომა), *განცდის* ღირებულებები (ერთ-ერთი უმთავრესია სიყვარული) და *დამოუკიდებლობის* ღირებულებები. ეს რიგი გამოხატავს სამ ძირითად გზას, რომლებითაც ადამიანს ცხოვრების საზრისის პოვნა შეუძლია. ჯერ ერთი, საზრისი მიიღწევა ადამიანის ქმედებით, მოღვაწეობით, ფართოდ გაგებული შემოქმედებით, ანუ გარკვეული ამოცანების შესრულებით, რაიმე საქმის კეთებით; მეორე – ადამიანი საზრისს ნახულობს სხვების მიმართ მზრუნველობაში, სხვა ადამიანების სიყვარულში; დაბოლოს, ადამიანი პოულობს საზრისს მკაფიოდ გაცნობიერებული პოზიციის გამომუშავებით სხვადასხვა ცხოვრებისეული სიტუაციისა და, საზოგადოდ, თავისი ბედის მიმართ.

თვით სიკვდილშიც შეიძლება მოინახოს საზრისი და მაშინ მის მიმართ დამოკიდებულება სრულიად იცვლება. ასევეა ტანჯვის შემთხვევაშიც. ფრანკლს მოჰყავდა ერთი მაგალითი თავისი პრაქტიკიდან, როდესაც მასთან კონსულტაციაზე მოვიდა მოხუცი ექიმი, მძიმე დეპრესიით შეპყრობილი უსაყვარლესი მეუღლის გარდაცვალების გამო. ფრანკლი მალე მიხვდა, რომ ჩვეულებრივი ფსიქოთერაპია აქ უძლური იქნებოდა და შემდეგი კითხვით მიმართა პაციენტს: „რა იქნებოდა, ექიმო, თქვენ რომ მომკვდარიყავით პირველი და თქვენი ცოლი დარჩენილიყო ცოცხალი?" „ო, იგი ძალიან დაიტანჯებოდა" – უპასუხა მან. ხედავთ, განაგრძო ფრანკლმა, რა ფასად დაუჯდებოდა თქვენს მეუღლეს ეს და თქვენ იქნებოდით მისი ტანჯვის მიზეზი. მაგრამ ახლა თქვენ იხდით იმის საზღაურს, რომ დარჩით ცოცხალი და დასტირით მას. პაციენტმა არაფერი უპასუხა, ხელი ჩამოართვა ფსიქოთერაპევტს და ჩუმად წავიდა. ტანჯვა უკვე აღარ განიცდება ტანჯვად, როცა მოინახება მისი საზრისი, თუნდაც ეს იყოს თავგანწირვის საზრისი. ამ შემთხვევაში ფრანკლმა მოახერხა, შეეცვალა პაციენტის დამოკიდებულება თავისი ბედის მიმართ, მან დაინახა თავისი ტანჯვის საზრისი. ესაა

სწორედ ლოგოთერაპიის ძირეული პრინციპი – ადამიანისთვის უმთავრესია არა სიამოვნების მიღება ან ტკივილის არიდება, არამედ, საკუთარი ცხოვრების საზრისის დანახვა. ამიტომ ადამიანი მზადაა, დაიტანჯოს კიდეც, თუ ამ ტანჯვას აქვს აზრი.

ფრანკლი ადამიანის არსებაში სამ ფენას განიხილავს: *ბიოლოგიურს (სომატურს), ფსიქიკურსა და ნოეტურს ანუ გონითს*. პირველ ორს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობს, ისინი ქმნიან ფსიქოსომატიკას და მოიცავენ კონსტიტუციურ და მემკვიდრულ ფაქტორებს, მათ შორის თანდაყოლილ ლტოლვებს. სიღრმის ფსიქოლოგიამ ადამიანის ამ ფენებზე გააკეთა აქცენტი, მაგრამ ადამიანის ცხოველისგან განმასხვავებელი სპეციფიკა მის უმაღლეს გონით განზომილებაშია მოცემული, სადაც თავმოყრილია საზრისები და ღირებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ ქვედა დონეების როლს პიროვნული აქტივობის დეტერმინაციაში. ამიტომ ავტორი თავის თვალსაზრისს *სიმაღლის ფსიქოლოგიად* მიიჩნევს და, გასაგები ლოგიკით, განასხვავებს მას სიღრმის ფსიქოლოგიისგან. მისი შეფასებით, ლოგოთერაპია ადამიანის არსებობის მწვერვალისკენ არის მიმართული, ხოლო ფსიქოანალიზი ადამიანის ბუნების უფსკრულებში იხედება.

რადგან ადამიანს გონითი განზომილებაც აქვს, იგი მეტია, ვიდრე ფსიქიკა. ადამიანი გარკვეულად თავისუფალია საკუთარი ფსიქიკური მოცემულობისგან, მით უმეტეს, გარემოსა და მემკვიდრეობისგან. ადამიანები, რა თქმა უნდა, განიცდიან მათ გავლენას, მაგრამ აქვთ თავისუფლებაც, ანუ იმის უნარი, რომ მიიღონ ან უარყონ ყოფიერების ეს პირობები. ამას უკავშირდება ადამიანის ორი ფუნდამენტური უნარი: *თვითტრანსცენდენცია* (საკუთარ ფარგლებს გარეთ გასვლა) და *თვითგანრიდება* (პოზიციის დაკავება გარე ვითარებისა და საკუთარი თავის მიმართ) [28]. ეს უნარები უნდა დაუპირისპირდეს ადამიანებში ხშირად დადასტურებულ ტენდენციას გადაჭარბებული თვითრეფლექსიისკენ (ე.წ. ჰიპერრეფლექსია) და მიდრეკილებას, დაუთმოს ზედმეტი ყურადღება თავისი სურვილების დაკმაყოფილებას (ე.წ. ჰიპერინტენცია). საკუთარ მე-ზე გულისყურის წარმართვის ეს ტენდენციები ხელს უშლის იმას, რაც, ფრანკლის აზრით, ძირეულია ნორმალური ადამიანური არსებობისთვის – ცხოვრების საზრისის პოვნას, საზრისისა, რომელიც ადამიანის გარეთ არსებულ რაიმე ღირებულებას უკავშირდება.

მეისა და სხვა *ეგ ზისტენციალისტ-ანალიტიკოსებისგან* განსხვავებით, ფრანკლი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ფსიქოთერაპიის ტექნიკას. მის სახელს უკავშირდება მკურნალობის ორი ახალი პრინციპი ან მეთოდი: დერეფლექსია და პარადოქსული ინტენცია. ამ ფსიქოთერაპიული ხერხის ეფექტურობა, ფრანკლის აზრით, ზემოთ აღნიშნული ადამიანის ორი უნარის, კერძოდ თვითტრანსცენდენციისა და თვითგანრიდების გამოყენებას ეფუძნება. *დერეფლექსიის მეთოდი* ჰიპერრეფლექსიის სანინააღმდეგოდ მოქმედებს და მიმართულია იმაზე, რომ აღიკვეთოს თავის სირთულეებზე გაუთავებელი ფიქრი და გადაჭარბებული თვითკონტროლი. მთელმა რიგმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ეს, მართლაც, ერთობ მნიშვნელოვანი მომენტია. მაგალითად, გამოვლინდა, რომ თანამედროვე ახალგაზრდებს რეალურ კომპლექსებზე მეტად ის აზრი თრგუნავს, რომ მათ კომპლექსები აქვთ. დერეფლექსია ეხმარება პაციენტს, ყურადღება არ მიაქციოს შემანუხებელ სიმპტომებს, დადგეს რეალისტურ პოზიცი-

აზე და გათავისუფლდეს აკვიატებული და არაადეკვატური განწყობისგან, რომ იგი ვალდებულია და შეუძლია, დაძლიოს ყველაფერი. იგი ეჩვევა, გადართოს ყურადღება დარღვეული ფუნქციიდან სხვა მოქმედებაზე. ამით მთელი სიტუაციის საზრისი იცვლება – პაციენტი თავისუფლდება პრობლემებსა და საკუთარ მდგომარეობებზე გადაჭარბებული ყურადღებით გამოწვეული ზედმეტი სტრესისგან.

პარადოქსული ინტენციის მეთოდი ჰიპერინტენციის ტენდენციას უპირისპირდება და გულისხმობს თერაპევტის მიერ კლიენტის მომართვას სწორედ იმის გასაკეთებლად, რასაც იგი გაურბის. თუ, მაგალითად, ფობიის შემთხვევაში პაციენტი მოახერხებს, რამდენჯერმე ისურვოს ან შეასრულოს ის, რისიც ეშინოდა, აღმოჩნდება, რომ აქ არც ყოფილა რაიმე პრობლემა და შიშიც უკან დაიხევს, ან საერთოდ გაქრება. ეს მეთოდი სრულ თანხვედრაშია ქცევითი თერაპიის გარკვეულ ტექნიკებთან [22]. ამასთან, ზოგ შემთხვევაში აქტიურად გამოიყენება იუმორი, რომელსაც ფრანკლი ადამიანის თავისუფლების ერთ-ერთ ფორმად მიიჩნევს. ირონია საშუალებას აძლევს პაციენტს, „გაანერიდოს" თავის ნევროტულ მდგომარეობას, სასაცილოდ აიგდოს თავისი სიმპტომები. ფრანკლი წარმატებით იყენებდა მას პაციენტების სხვადასხვა ჩივილების შემთხვევაში: შიშები და ფობიები, უნებლიე მოძრაობები (ტიკები, კანკალი), ენის ბორძიკი, ოფლიანობა, უძილობა და სხვ. ეს მეთოდი ეფექტურია აბსცესურ-კომპულსური და ფობიური ფსიქიკური დარღვევების სწრაფი მკურნალობისას[30]. ფრანკლს მოჰყავს ამ მეთოდის გამოყენების სხვადასხვა შემთხვევა. მაგალითად, ერთ ახალგაზრდა ექიმს ეშინოდა, რომ დაეწყებოდა ოფლიანობა ადამიანებთან შეხვედრისას. ფსიქოლოგიური კონსულტაციის ჩატარების მერე, ყოველთვის, როცა ხვდებოდა ისეთ პირს, ვინც მასში შფოთს იწვევდა, იგი ეუბნებოდა საკუთარ თავს: „ახლა მე ათი ლიტრი ოფლის გამოყოფას ვაპირებ ადრინდელი ერთი ლიტრის ნაცვლად". პარადოქსული ინტენციის მხოლოდ ერთი სეანსის შემდეგ პაციენტი განთავისუფლდა ფობიისგან, რომელიც მას ოთხი წელი აწუხებდა; სხვა მაგალითში სტუდენტ გოგონას ძალიან ეშინოდა კანკალის, რომელიც მას იტანდა პროფესორის დანახვაზე. პარადოქსული ინტენციით მან ადვილად გადაწყვიტა ეს პრობლემა. პროფესორის შემოსვლისას იგი ეუბნებოდა საკუთარ თავს: „ახლა მე მას მართლა ვაჩვენებ, როგორ უნდა კანკალი, როგორი მაგარი „მოკანკალე ვარ". მაგრამ ყოველთვის, როდესაც ამის გაკეთებას ცდილობდა, კანკალი წყდებოდა [29].

აღნიშვნის ღირსია ის, რომ ფრანკლის თეორიული და ფსიქოთერაპიული იდეების ფორმირებაში უდიდესი წვლილი შეიტანა მისმა პირადმა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ. ფრანკლმა, როგორც ებრაელმა, სამი წელი დაყო სხვადასხვა საკონცენტრაციო ბანაკში, მათ შორის ოსვენციმსა და დახაუში, სადაც რამდენჯერმე სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს (გაზის კამერაში, ავადმყოფობისგან თუ უჭმელობისგან). თავდაპირველად იგი განაწესეს საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც ადამიანების მიზანდასახული განადგურება არ ხდებოდა და პატიმრებს ერთმანეთთან ურთიერთობა შეეძლოთ. ფრანკლმა იქ მყოფ კოლეგა ფსიქიატრებთან ერთად შექმნა ფსიქოლოგიური სამსახური, რამაც ბევრს გაუადვილა საზარელ პირობებთან ადაპტაცია და ბევრი გადაარჩინა თვითმკვლელობას. ყველაზე დიდი საფრთხე ადამიანების სასოწარკვეთილებასთან იყო დაკავშირებული. საჭირო იყო ადამიანებ-

ში ცხოვრების გაგრძელების ნების აღძრა, მაგრამ ტანჯვის გადატანის ვაჟკაცობა თუ პიროვნული კაპიტულაცია დამოკიდებული იყო იმაზე, ჰქონდა თუ არა ადამიანს საკუთარი ცხოვრების საზრისის რწმენა. საზრისდაკარგული სიცოცხლე საკონცენტრაციო ბანაკის პირობებში დიდხანს არც გრძელდებოდა. ფრანკლი აღნიშნავს, რომ საკონცენტრაციო ბანაკში მიმდინარე ფსიქოთერაპიული სამუშაოს დევიზად ნიცშეს შემდეგი სიტყვები გამოდგება: „ვინც იცის, „რისთვის" უნდა იცხოვროს, გადალახავს ყოველგვარ „როგორს".

მეისა და ფრანკლთან ერთად, ყველაზე გამოჩენილ ეგზისტენციალისტ ფსიქოთერაპევტებს მიეკუთვნებიან შვეიცარიელი ფსიქიატრები: ლუდვიგ ბინსვანგერი და მედარდ ბოსი, რომელთა შეხედულებები *ეგზისტენციალური ანალიზის* სახელითაა ცნობილი; ასევე იგორ კარუზო – *პერსონალისტური ფსიქოთერაპიის* ავტორი; იტალიელი რობერტო ასანჯიოლი – *ფსიქოსინთეზის* შემქმნელი; ინგლისელი ფსიქიატრი რობერტ ლაინგი, *ანტიფსიქიატრიის* ერთ-ერთი ლიდერი; საფრანგეთში მოღვაწე იუჯინ მინკოვსკი; ამერიკაში – ჯეიმს ბუგენტალი, ამადეო ჯიორჯი და სხვ. ყველა ეს ავტორი საკუთარი გზით მივიდა ფენომენოლოგიურ-ეგზისტენციალურ თვალსაზრისამდე და, ამავე დროს, გამოკვეთილი ინდივიდუალურობა შეინარჩუნა. მიუხედავად ამისა, ყოველი მათგანის ფსიქოთერაპიული პრაქტიკა იმ მთავარ დებულებას ეყრდნობა, რომ ადამიანი თავის შესაძლებლობათა საფუძველზე და ღირებულებათა საკუთარი არჩევანის გზით, თვითონ ქმნის თავისი არსებობის *პროექტს*, ცხოვრების წესს. ნამდვილი ანუ *ავთენტური არსებობა* – ესაა გაცნობიერებული, ნებითი, პიროვნულ გადაწყვეტილებასა და პასუხისმგებლობაზე დამყარებული არსებობა. მხოლოდ ამ უკანასკნელს მიეწერება თავისუფლების ნიშანი. არანამდვილი არსებობა ნიშნავს იმას, რომ ადამიანს დაკარგული აქვს თავისი ცნობიერებისა და ნების საშუალებით *ცხოვრების სამყაროს* კონსტრუირების უნარი; იგი გარბის პრობლემებისგან, თავისუფლებისგან და ა.შ. ამიტომ ყველა ეგზისტენციალისტი ფსიქოთერაპევტი თუ კონსულტანტი ცდილობს, შეაღწიოს პაციენტის შინაგან სამყაროში, განიცადოს ის, რასაც პაციენტი განიცდის და, შემდგომ, დაეხმაროს მას თვითგამორკვევაში, სწორი არჩევანის გაკეთებაში, ჭეშმარიტი მიზნისა და საზრისის პოვნაში, ერთი სიტყვით, საკუთარი თავის განხორციელებაში.

ბევრი მსგავსების მიუხედავად, ჰუმანისტური და ეგზისტენციალური ფსიქოლოგია სხვადასხვა მიმდინარეობაა. ჰუმანისტური ფსიქოლოგიის პოზიცია *პოტენციალისტურია*. ამ ტერმინით აღნიშნავს ფრანკლი იმ შეხედულებას, რომლის თანახმად, ის, რაც აღმოცენდება განვითარების მსვლელობაში, ჩანერგილია ორგანიზმში დაბადებიდან და რეალიზდება სათანადო პირობების არსებობის შემთხვევაში. პოტენციურად მოცემულის განვითარება ორგანიზმისა და პიროვნების ერთადერთი ნამდვილი მამოძრავებელი ძალაა, რომელიც ძირეული მოტივაციური ტენდენციების სახით ვლინდება.

პონტენციალიზმის საპირისპირო, ეგზისტენციალური პოზიცია ყველაზე მკაფიოდ და მოკლედ გამოთქვა ჟან პოლ სარტრმა (1905-1980) თავის ცნობილ თეზისში: „არსებობა წინ უსწრებს არსს". სხვანაირად რომ ვთქვათ, ადამიანში არ არსებობს არავითარი წინასწარ მოცემული ბუნება ან არსი. ცხოვრების ყოველ მომენტში ადა-

მიანი თვითონ საზღვრავს, როგორი იქნება და რა მიმართულებით განვითარდება. სარტრის სიტყვებით, ადამიანი თავად ქმნის საკუთარ თავს და არის მხოლოდ ის, რაც თავის თავისგან აკეთებს [27]. შეიძლება ითქვას, რომ ეს თეზისი ეგზისტენციალიზმისა და, შესაბამისად, ეგზისტენციალური ფსიქოლოგიის კვინტესენციაა. ეგზისტენციალიზმი, ფაქტობრივად, უარყოფს ან ყურადღების მიღმა ტოვებს თანდაყოლილ და შეძენილ დისპოზიციებს, ტენდენციებს, ორიენტაციებს, პიროვნულ თვისებებს, რომლებიც წინ უსწრებენ ქმედებას და განაპირობებენ მას. ერთადერთი, რაც განსაზღვრავს, თუ რას მოიმოქმედებს ან განიცდის ადამიანი, არის აქ და ამჟამად გაკეთებული მისი არჩევანი. პიროვნება თვითონვე „აპროექტებს" საკუთარ თავს და საკუთარ არსებობას. *თვითქმნადობის, თვითშემოქმედების* მომენტი ეგზისტენციალური აზროვნების ქვაკუთხედია. ჰუმანისტური ფსიქოლოგებიც აღნიშნავენ ამ მომენტს, მაგრამ არ ახდენენ მის აბსოლუტიზაციას და კატეგორიულად გამორიცხავენ პიროვნების მიერ საკუთარი თავის მთლიანი კონსტრუირების შესაძლებლობას [46].

ჰუმანისტური და ეგზისტენციალური ფსიქოლოგია განსხვავდება, აგრეთვე, ადამიანის ბუნების ზნეობრივი სახის გაგებაში. ეს მკაფიოდ გამოჩნდა როჯერსისა და მეის დისკუსიაში. როჯერსი ამტკიცებდა, რომ ადამიანისთვის იმთავითვე დამახასიათებელია სიკეთე, ხოლო ბოროტება მის ბუნებაში გარედან, გარემოდან არის შემოტანილი. მეის მიაჩნია, რომ ბოროტება საერთოდ აუხსნელი დარჩება, თუ ადამიანის ბუნებაში მხოლოდ სიკეთე იქნება მოცემული. ეგზისტენციალური მიდგომის მიხედვით, ადამიანი არ არის იმთავითვე მიდრეკილი არც სიკეთისა და არც ბოროტებისკენ – იგი ორივესადმი ღიაა, თავად ირჩევს ერთ-ერთს და, ამდენად, ორივეს შემქმნელად გვევლინება. ფრანკლიც დაახლოებით ასე ფიქრობს, როცა აკრიტიკებს მასლოუს თვითაქტუალიზაციის თანდაყოლილობის მოსაზრებას. იგი ამტკიცებს, რომ ჩვენში ჩადებულია შესაძლებლობა, ვაკეთოთ კარგიც და ცუდიც. თუ რომელი შესაძლებლობის აქტუალიზაციას და რეალიზაციას მოახდენს ადამიანი, ეს მისი არჩევანისა და, შესაბამისად, პასუხისმგებლობის საქმეა.

თეორიის გაგება შეიძლება არა მხოლოდ იმის გათვალისწინებით, თუ რას ამტკიცებს იგი, არამედ იმისიც, თუ რას უპირისპირდება, უარყოფს იგი. უკვე ითქვა, რომ ჰუმანისტური ფსიქოლოგია, როგორც მესამე ძალა, უპირისპირდება ბიჰევიორიზმს და ფსიქოანალიზს. მაგრამ ამ სამი მიმდინარეობის ურთიერთმიმართება მაინც სპეციფიკურია. თუ ბიჰევიორიზმსა და ჰუმანისტურ ფსიქოლოგიას შორის ხიდის გადება არსებითად ვერ ხერხდება [56], ფსიქოანალიზის შემთხვევაში ეს, ფაქტობრივად, უკვე გაკეთებულია. არსებობს აშკარად გარდამავალი, ინტეგრაციული ხასიათის თეორიული სისტემები, ისეთები, როგორებიცაა: *ჰუმანისტური ფსიქოანალიზი* (ფრომი) ან *ეგზისტენციალური ანალიზი* (ბინსვანგერი, ბოსი). მათ სინთეტურ ხასიათზე თავად სახელწოდებები მეტყველებს. ჰუმანისტური ფსიქოლოგიის, განსაკუთრებით კი მისი ეგზისტენციალური ფრთის წარმომადგენელთა დიდი ნაწილი ერთ დროს ფსიქოანალიზური მოძრაობის რომელიმე მიმართულებასთან იყო დაკავშირებული. ეს სავსებით გასაგებია, ვინაიდან მათ უმრავლესობას ფსიქოთერაპევტები შეადგენენ, ხოლო ფსიქოანალიზი იყო და არის სერიოზული ავტორიტეტი, რომელსაც ვერც ერთი ფსიქოთერაპევტი გვერდს ვერ აუვლის, თუნდაც მის მიმართ კრიტიკული დამოკიდებუ-

ლების გამოხატვით. მაგალითად, ბინსვანგერი იუნგთან სწავლობდა და ბოლომდე მეგობრობდა ფროიდთან; ფრანკლის მასწავლებლები იყვნენ ფროიდი და ადლერი, ბოსისა – ჯონსი, რაიხი, ჰორნი; მეიმ ფსიქოანალიზური წვრთნა ადლერთან გაიარა და ა.შ. მოგვიანებით ისინი თანდათანობით დაუახლოვდნენ ფენომენოლოგიურ-ეგზისტენციალურ იდეებს და შედარებით დაშორდნენ ფსიქოანალიზს, თუმცა მასთან კავშირი მთლიანად და საბოლოოდ არ გაუწყვეტიათ. ფსიქოანალიზის უდიდეს დამსახურებაზე ფენომენოლოგიურ-ეგზისტენციალური ორიენტაციის ყველა მეცნიერი ლაპარაკობს. მიუხედავად ამისა, გამოთქმულია უამრავი შენიშვნა, რომელიც ფსიქოანალიზის სხვადასხვა ასპექტს ეხება. ყველაზე მწვავე კრიტიკა ფსიქოანალიზის მეთოდოლოგიაზეა მიმართული. ეს უკანასკნელი ისევე, როგორც ბიჰევიორიზმი, ე.წ. სციენტისტურ ან დეტერმინისტულ-საბუნებისმეტყველო პარადიგმაზე დგას, რის გამოც ხასიათდება რედუქციონიზმით, ნატურალიზმით და მექანიციზმით.[1]

ჰუმანისტური ფსიქოლოგებისთვის ფსიქოანალიზის ტექნიკაც მიუღებელია, ვინაიდან ეს უკანასკნელი პაციენტს თავს ახვევს მკაცრად გარკვეული სქემებიდან გამომდინარე ინტერპრეტაციებს. ეს, რასაკვირველია, პრინციპულად ეწინააღმდეგება ფენომენოლოგიური მეთოდის სულისკვეთებას, რომლისთვისაც მთავარი სწორედ პიროვნებისა და მისი პრობლემების ყოველგვარი წინასწარი სქემებისა და თვალსაზრისებისგან თავისუფალი წვდომა-გაგებაა.

არსებითი ხასიათისაა შენიშვნები ფსიქოანალიზის მოტივაციის კონცეფციის მიმართ. პირველ რიგში, საქმე ეხება ამოსავალი ლტოლვების ჰომეოსტაზურ ხასიათს. დაძაბულობის რედუქციისკენ სწრაფვის გამოცხადება ადამიანის მოტივაციის ერთადერთ მექანიზმად (რაც, სხვათა შორის, ერთნაირად არის დამახასიათებელი როგორც ბიჰევიორიზმის, ისე ფსიქოანალიზისთვის) პიროვნების ჭეშმარიტი ბუნების გაუგებრობის, მისი პრიმიტივიზაციისა და ბიოლოგიზაციის ტოლფასია. არავინ უარყოფს იმას, რომ ადამიანს აქვს დაძაბულობის მოხსნისა და წონასწორობის აღდგენის პრინციპით განსაზღვრული მოთხოვნილებები. მაგრამ, თუ ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ ამგვარი მოტივაციის ფარგლებში არსებობს, იგი ავადმყოფია – აღნიშნავდა გოლდშტაინი. იგი მხოლოდ ამჟამინდელი უსიამოვნებისა და დისკომფორტის არიდებაზე ზრუნავს; აქედან გამომდინარე, ვერ ემსახურება შორს მიმავალ მიზნებსა და მაღალ ფასეულობებს. ნორმალური და ჯანსაღი პიროვნება, პირველ რიგში, მიმართულია თვითგანხორციელებისკენ და საზრისულ-ცხოვრებისეული მიზნების მიღწევისკენ. ამ გზაზე იგი არ ერიდება სირთულეებს, ენერგიის ხარჯვას, დისკომფორტს. იგი ცდილობს, გამოხატოს საკუთარი თავი სულ უფრო რთულ, ახალ და საინტერესო ვითარებებში. ამრიგად, პიროვნება თვითონ არღვევს წონასწორობას, არ გაურბის დაძაბულობას. იგი უფრო მეტად დაძაბულობის შექმნასა და შენარჩუნებისკენ მიისწრაფვის, ვიდრე მისი შემცირებისა და მოხსნისკენ.

---

[1] საკითხი იმის შესახებ, თუ რა ტიპის ფსიქოლოგიას მიეკუთვნება ფსიქოანალიზი, საბუნებისმეტყველოს, ჰუმანიტარულს თუ მათ შუალედურ ფორმას, ფსიქოლოგიის ისტორიასა და მეთოდოლოგიაში გადაწყვეტილად ვერ ჩაითვლება (იხ. I თავი). ყოველ შემთხვევაში, ძნელია იმის უარყოფა, რომ ფსიქოანალიზში, როგორც ფსიქოთერაპიულ სისტემაში, არის ჰერმენევტულ-გაგებითი ელემენტი, რაც მას ჰუმანისტურ-ეგზისტენციალურ ფსიქოლოგიასთან აახლოებს.

ჰუმანისტური და ეგზისტენციალური ფსიქოლოგები უარყოფენ სოციალურ-კულტურული და გონით-ღირებულებითი მოვლენების ახსნას დაცვითი მექანიზმებით, სუბლიმაციებით თუ კომპლექსებით. განსაკუთრებით მკვეთრად ილაშქრებს ამის წინააღმდეგ ფრანკლი, რომლის შეხედულების თანახმად, როგორც ზემოთ ვნახეთ, პიროვნების საქმიანობის ძირითად მამოძრავებელ ძალას სიცოცხლის საზრისის ძიება და განხორციელება შეადგენს. სუბიექტური საზრისები პასუხობენ გარკვეულ ღირებულებებს, რომლებიც გონით სამყაროს მიეკუთვნებიან. ამ უკანასკნელთა გათავისება და მათდამი შესატყვისი მოქმედება თავის თავზე ვალდებულების აღებას, სინდისის პირისპირ დგომას ნიშნავს. ნორმალური ადამიანური არსებობა საზრისებსა და ღირებულებებთან მუდმივ ურთიერთობას გულისხმობს. ამიტომ გასაგებია, თუ რამდენად მიუღებელია ფრანკლისთვის ფროიდის თვალსაზრისი, რომელიც ამ უკანასკნელმა ერთგან ასე გამოხატა: იმ მომენტში, როდესაც ადამიანი საკითხს სვამს ცხოვრების საზრისისა და ღირებულების შესახებ, იგი ავადმყოფია.

მოცემულ კონტექსტში ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო მაინც ისაა, თუ როგორ შემოაქვს ჰუმანისტურ-ეგზისტენციალურ მიმდინარეობას თავისი შემეცნების არეში არაცნობიერი. ფსიქოანალიზი ხომ პირველ რიგში არაცნობიერის შემსწავლელი მოძღვრება და მეთოდია. აქ საკმაოდ რთული პრობლემები იჩენს თავს. საქმე ისაა, რომ ჰუსერლის ფილოსოფიურ სისტემაში ფორმირებული ფენომენოლოგიური მეთოდი ცნობიერების არსობრივი მხარის შესწავლაა, რომელიც ხორციელდება საკუთარი ცნობიერების სპეციფიკურად, *ფენომენოლოგიური განწყობით* მომართული ანალიზის მეშვეობით. ფსიქოლოგიაში მან შეიძლება ექსპერიმენტული ფენომენოლოგიის სახე მიიღოს. ის, როგორც ზემოთ ვნახეთ, მნიშვნელოვნად განსხვავდება ტრადიციული ფსიქოლოგიის ინტროსპექციისგან, მაგრამ, ცხადია, მაინც საკუთარი ცნობიერების დაკვირვებად რჩება. ერთი სიტყვით, საიდანაც არ უნდა მივუდგეთ ფენომენოლოგიას, ჩვენი საკუთარი ცნობიერების ფარგლებში აღმოვჩნდებით. ფილოსოფიაში ეს სოლიფსიზმთან, ხოლო ფსიქოლოგიაში სუბიექტივიზმთან დაკავშირებულ პრობლემებს აჩენს. ეს გარემოება აბსოლუტურად დამღუპველია ფსიქოთერაპიისთვის, რადგან აქ, პრინციპულად, სწორედ სხვა ადამიანის სულიერი სამყაროს შესწავლის ამოცანა დგება. შემეცნების მეთოდოლოგია, რომელიც საკუთარი სულიერების ჩარჩოებშია ჩაკეტილი, ვერანაირი ფსიქოთერაპიის საფუძველი ვერ იქნება.

საზოგადოდ, გაგებით მეთოდოლოგიაზე მსჯელობისას ჰუმანიტარული ტიპის ფსიქოლოგიის სხვადასხვა ვერსიაში მიუთითებენ ისეთ პროცედურებზე, როგორებიცაა: შთაგრძნობა, წვდომა/ჩაწვდომა, ემპათია, ანალოგიით დასკვნა და ა.შ. ე.წ. „შთაგრძნობის თეორიის" ავტორის, თ. ლიპსის თანახმად, სხვა ადამიანებისა და კულტურის, ხელოვნების მოვლენების გაგება შესაძლებელია სპეციალური ინსტინქტური ბუნების აქტის, შთაგრძნობის საშუალებით; იგი სხვა ადამიანის წარმოდგენებში (ან ხელოვნების ნაწარმოებში) საკუთარი გრძნობების შეტანას გულისხმობს. ბუნებრივად წარმოიქმნება კითხვა ამ მეთოდოლოგიის საზღვრებისა და ევრისტიკულობის შესახებ. მართლაც, როგორ უნდა იგრძნო სხვისი განცდა, როგორ უნდა ჩასწვდე სხვის სულიერ სამყაროს, თუ შენ არ გქონია ანალოგიური გამოცდილება? ხოლო თუ ჩვენ მხოლოდ იმის გაგება შეგვიძლია სხვაში, რაც ჩვენი უშუალო გამოც-

დილებისთვის უკვე ნაცნობია, მაშინ რა მეცნიერული სიახლის მოტანა შეუძლია ასეთ კვლევას? პრაქტიკის შემთხვევაში, ასეთი სირთულის სიმძაფრე თითქოს ნაკლებია, ვინაიდან ამ დროს მენტალური ცხოვრების ახალი ასპექტების გამოვლენაზე კი არა ვართ ორიენტირებულები, არამედ იმის ცხადყოფაზე, თუ რა სატკივარი აქვს პაციენტს. მისი განცდის ჩვენს შინაგან გამოცდილებასთან გაიგივებით სწორედაც უკეთ გავუგებთ მას. მაგრამ, სინამდვილეში, აქაც სერიოზული სირთულეები იჩენს თავს. საქმე ისაა, რომ ძნელია, ზოგჯერ შეუძლებელიც, ფსიქოთერაპევტმა მონახოს თავის გამოცდილებაში ისეთი ფსიქიკური მოვლენები, რომლებიც აღენიშნება პაციენტს. როგორ უნდა შეიგრძნო და რეალური ემპათიურ-ფენომენოლოგიური კონტაქტი დაამყარო, მაგალითად, მძიმე დეპრესიით შეპყრობილ პაციენტთან, თუ არასდროს განგიცდია ის აუტანელი „სულის ტკივილი“, რომელიც ამ დროს აღინიშნება? ამ ლოგიკამ ე.წ „ფენომენოლოგიურ ფსიქიატრიასთან“ მიმართებით შესაძლოა, ერთობ უხერხულ დასკვნამდეც მიგვიყვანოს, სახელდობრ, გამოდის, რომ, ვთქვათ, შიზოფრენიული მენტალობის ადეკვატური გაგება მხოლოდ იმ სპეციალისტს ძალუძს, ვისთვისაც ეს ფენომენოლოგიური სამყარო შინაგანად ნაცნობია!?

ეგზისტენციალისტი ფსიქოლოგებიდან და ფსიქიატრებიდან ამ ვითარებას ყველაზე მეტად ბინსვანგერმა მიაქცია ყურადღება. მოცემული სირთულის გადალახვა მან მაქს შელერის თვალსაზრისის გამოყენებით სცადა. ამ შეხედულების თანახმად, არსებობს ორი სახის აღქმა – გარეგანი და შინაგანი. პირველი მიმართულია ისეთ შინაარსებზე, რომლებიც სულიერ მოვლენებს არ განეკუთვნებიან. ესაა გარეგანი საგნების, აგრეთვე სხვისი და საკუთარი სხეულის აღქმა. შინაგანი აღქმის შინაარსს, საზოგადოდ, სულიერი ფენომენები შეადგენენ. ამასთან, სულ ერთია, ეს ჩვენი განცდაა თუ სხვისი. შელერის აზრით, სხვათა სულიერი ცხოვრების წვდომა შინაგანი აღქმის საშუალებით უშუალოდ ხდება. ფენომენოლოგია გვიდასტურებს, რომ ჩვენ შეგვიძლია, საკუთარი აზრები სხვის აზრებად მოვიაზროთ, ჩვენი გრძნობები სხვის გრძნობებად ვიგრძნოთ. პირიქითაც ხდება, სხვისი აზრები იმდენად ჩვენს საკუთრებად გვაქვს ქცეული, რომ ამას ვეღარც ვგრძნობთ. ბოლოს ისეც ხდება, რომ, უბრალოდ, მოცემულია განცდა, იმის ცნობიერების გარეშე, თუ ვისია იგი – ჩვენი თუ სხვისი, მისი წარმომავლობა ჩვენთვის სათუოა. ეს უკანასკნელი ვითარება განსაკუთრებით ცხადად პრიმიტიული ადამიანებისა და ბავშვების ცნობიერებაშია წარმოდგენილი. მაგრამ განვითარებული ცნობიერება ცხადად არჩევს საკუთარს და სხვისას. განა მუდმივად არ აღვნიშნავთ, ამბობს შელერი, ჩვენი აზრების განსხვავებას იმ აზრებისგან, რომლებიც ან სადმე ამოგვიკითხავს, ან ვინმესგან გვსმენია? იგივე ითქმის სხვა განცდებზეც.

ამრიგად, შელერის შინაგანი აღქმის თეორიას თუ ვირწმუნებთ, თითქოს გზა იხსნება სხვა ადამიანის ცნობიერების ფენომენოლოგიური შესწავლისკენ.[1] მაგრამ,

[1] თუ სხვა ადამიანის ცნობიერების შინაარსებს მართლაც უშუალოდ აღვიქვამთ, მაშინ საერთოდ არ უნდა მოგვდიოდეს შეცდომა სხვისი აზრების, გრძნობებისა თუ განზრახვების შეფასებაში. ამას, ცხადია, არავინ არ დაადასტურებს, მით უფრო, ფსიქოთერაპევტი. ამ თეორიის საფუძვლიანი კრიტიკული ანალიზი მოცემულია დ. უზნაძესათან [5], ა. ბოჭორიშვილთან [1], გ. ცინცაძესთან [6].

სამწუხაროდ, საქმე სხვაგვარდაა. იმასაც რომ თავი დავანებოთ, თუ რამდენად დამარწმუნებელია მტკიცება, თითქოს სხვის ცნობიერებაში ჩახედვა ასე უშუალოდ შეიძლება, აქ სხვა სირთულეც იჩენს თავს. საქმე ისაა, რომ სხვა ადამიანის ცნობიერებაც ცნობიერებაა და გამოდის, რომ სხვა პიროვნების ფენომენოლოგიური შესწავლისას მისი ცნობიერების ფარგლებს ვერ გავცდებით. არადა, პიროვნების შესწავლა, მითუმეტეს ფსიქოთერაპია, ცნობიერების ანალიზით არ ამოიწურება და ვერც მისით შემოფარგლება. ფენომენოლოგიურ-ეგზისტენციალური ორიენტაციის ფსიქოლოგებსა და ფსიქოთერაპევტებს ეს კარგად ესმით. სათანადოდ არის შეფასებული ფროიდის ღვაწლიც. „ფროიდმა დაამტკიცა, წერს როლო მეი, რომ პიროვნების ცნება შორს გადიოდა არსებული ვიწრო სქემებიდან. აღმოაჩინა რა ჩვენთვის განუზომელი და მძლავრი სფერო არაცნობიერისა, მან მიანიჭა სიღრმე ადამიანის ბუნებას“ [20; 13]. მიუხედავად ამისა, არაცნობიერის ბუნების გაგებაში ამ ორ მიმდინარეობას შორის არსებითი სახის განსხვავებაა.

ფსიქოანალიზის მიხედვით, დინამიკური არაცნობიერი მოვლენები აბსოლუტურად მიუწვდომელნი არიან პირდაპირი აღქმისთვის როგორც საკუთარ მე-ში, ასევე სხვაში. ისინი უშუალოდ არ გვეძლევიან. შესაძლებელია მხოლოდ მათი გამოვლენა და რეკონსტრუირება ისეთი მასალის ანალიზით, როგორებიცაა: სიზმრები, მცდარი მოქმედებები ან თავისუფალი ასოციაციები. ფენომენოლოგიური მიდგომის თანახმად კი, არაცნობიერი შინაარსების ფიქსაცია და აღწერა შესაძლებელია უშუალო გამოცდილების საზღვრებში. ის მიმართულია იმაზე, რომ დაადასტუროს არაცნობიერი ფსიქიკური სინამდვილე ცნობიერების ფარგლებიდან გასვლის გარეშე. ამდენად, მოცემული მეთოდოლოგია ურთულესი ამოცანის წინაშე დგას: მან არაცნობიერი უნდა აღმოაჩინოს ფენომენოლოგიური კვლევის გზით, ანუ მონახოს არაცნობიერი ცნობიერებაში.

თეორიულ პლანში ეს ამოცანა ასე წყდება: ცნობიერების ინტენციონალური შინაარსების გარდა, არსებობს შინაარსები, რომლებიც ყურადღების საგნად არ ქცეულან, რომლებიც ჯერჯერობით შეუმჩნეველნი არიან. სწორედ ეს შეუმჩნეველი შინაარსებია ის, რასაც არაცნობიერი ეწოდება. პრაქტიკულ პლანში ეს ნიშნავს, რომ პაციენტისა და ფსიქოთერაპევტის ემპათიურ ურთიერთობაში ფენომენოლოგიური წვდომის გზით ხდება იმის დადგენა, რასაც პაციენტი სათანადოდ ვერ აცნობიერებდა და რაც ხელს უშლიდა მის თვითგანხორციელებას. საფიქრებელია, რომ ასეთი რამ შესაძლებელია მხოლოდ იმ შინაარსების მიმართ, რომელთაც ფროიდი წინაცნობიერს უწოდებდა. ისინი ცნობიერების ფოკუსის მიღმა, გარკვეულ ფონურ ჰორიზონტში იმყოფებიან და, ამდენად, პოტენციურად გაცნობიერებადნი არიან. მათი შემოტანა ნათელი ცნობიერების ველში მართლაც შესაძლებელია, რადგან ამ შემთხვევაში, ფაქტობრივად, მხოლოდ ცნობიერების პერიფერიული, მკრთალი და ბუნდოვანი შინაარსების შემჩნევა და გამოაშკარავება ხდება. მაგრამ, რაც შეეხება არაცნობიერის კატეგორიის თეორიულ გააზრებას, აქ ჩვენ საქმე გვაქვს არაცნობიერი ფსიქიკის ცნობიერების ჩარჩოებში დასაბუთების მცდელობასთან, რაც სერიოზულ სირთულეებს აწყდება. საქმე ისაა, რომ „ამ შემთხვევაში ცნობიერების ფარგლებია გაფართოებული, იგი შეიცავს როგორც არაცნობიერს, ისე ცნობიერ ფსიქიკურს. ჩვენ ვი-

ცით მხოლოდ ის, რომ ასე გაგებულ ცნობიერებაში მოთავსებულია შეუმჩნეველი და შემჩნეული ფსიქიკური, მაგრამ როგორია კავშირი მათ შორის, ეს საიდუმლოდ არის დაფარული. თუ შეუმჩნეველ ფსიქიკურს კავშირი არა აქვს გაწყვეტილი ცნობიერ ფსიქიკურთან, მაშინ რატომ უნდა ჩაითვალოს ის არაცნობიერად? არც ამ მხრივ არსებობს გარკვეულობა" [2; 26]. არსებითად, ფენომენოლოგიური მიდგომა არაცნობიერი სფეროს მიმართ ცნობიერების ინტენსივობის, განათების ხარისხის მეტ-ნაკლებობაზე მითითებით ამოიწურება. ამიტომ, ფსიქოანალიტიკოსთა აზრით, ეს პოზიცია არაცნობიერი ფსიქიკურის დასაბუთება კი არა, მისი უარყოფაა. ფენომენოლოგიური მიდგომის ფარგლებში, რომელიც განცდების ანალიზს გულისხმობს, არაცნობიერი ვერ დასაბუთდება და, მით უფრო, ვერ შეისწავლება.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ სიღრმის ფსიქოლოგიის ძირითადი ავტორები არცთუ დიდ ინტერესს იჩენდნენ ფენომენოლოგიური და ეგზისტენციალური კვლევების მიმართ. რაც შეეხება ნეოფროიდიზმს და თანამედროვე ფსიქოანალიზს, აქ ვითარება ერთგვარად შეიცვალა. ისინი ანგარიშს უწევენ ფილოსოფიური და მეცნიერული აზრის ამ მიმართულების პოპულარობას და ცდილობენ, შეუხამონ თავის თვალსაზრისს ამ სისტემის ზოგიერთი ელემენტი. მაგრამ, საერთო ჯამში, მაინც მიიჩნევენ, რომ მან ბევრი ვერაფერი შესძინა ფსიქოთერაპიულ პრაქტიკას. „ძნელი სათქმელია, ამბობს პოსტფროიდისტული პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ფსიქოანალიტიკოსი ფ. ალექსანდერი, თუ რას ამტკიცებს ფსიქიატრი ეგზისტენციალისტი, გარდა იმისა, რომ ყოველ პაციენტს უნდა მიეუდგეთ მისი საკუთარი პრობლემების ან, მათი ტერმინოლოგიით, მისი საკუთარი სამყაროს თვალთახედვით. ასეთი პოზიცია, რასაკვირველია, არ განსხვავდება ფსიქოანალიზის პრინციპებისაგან" [8; 525]. მას მიაჩნია, რომ ეგზისტენციალურმა ფსიქოთერაპიამ და ფსიქიატრიამ ჯერჯერობით ვერ შემოგვთავაზა რამდენადმე სისტემატური სამკურნალო მეთოდიკა. რაც შეეხება ჰუმანისტურ-ეგზისტენციალურ ფსიქოლოგიას, როგორც თეორიულ სისტემას, ფსიქოანალიტიკოსებს შორის უფრო გავრცელებულია შეხედულება, რომ მას არა აქვს მყარი კოორდინატები, მისი მონაცემები შეუმოწმებადია, ხოლო ენა – ლიტერატურული, ამიტომ ძნელია მისი მეცნიერული ღირებულების გამოვლენა და შეფასება.

ასეთივეა დამოკიდებულება მის მიმართ აკადემიურ ფსიქოლოგიაშიც, რომელიც, უპირატესად, სციენტისტურ-საბუნებისმეტყველო კვლევის გზას მიჰყვება. ზემოთ ნახსენებ დისკუსიაზე როჯერსსა და სკინერს შორის ამ უკანასკნელმა ჩამოაყალიბა თავისი დამოკიდებულება როჯერსის და, მაშასადამე, საერთოდ ჰუმანისტური ფსიქოლოგიის მიმართ. მას მიაჩნია, რომ კვლევის ფიქსაცია ფენომენოლოგიური სამყაროს ინდივიდუალურ და უნიკალურ ასპექტებზე არსებითად გამორიცხავს გამეორებადი მონაცემების მიღებას, მათ ურთიერთდაკავშირებას და, აქედან გამომდინარე, ზოგადი კანონზომიერებების დადგენას. ამის გამო პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება ადამიანთა ინდივიდუალური და საზოგადოებრივი აქტივობის წინასწარმეტყველება, დაგეგმვა და რეგულაცია. ცივილიზაცია კი ამის გარეშე ვერ იარსებებს [52].

გამოჩენილი ამერიკელი მეთოდოლოგი და ფსიქოლოგიის ისტორიკოსი ზიგმუნდ კოხი, რომელიც საერთოდ ცნობილია თავისი გამოზომილი და ფრთხილი შეფასებე-

ბით, ეგზისტენციალური მიმდინარეობის გავრცელებაში ერთგვარ საფრთხეს ხედავს მეცნიერული ფსიქოლოგიისთვის. მისი აზრით, ეს მიმდინარეობა ისეთი ინტელექტუალური ობიექტების თუ იდეების არსებობას უშვებს, რომლებიც არაკონვენციური, ანუ სხვებისთვის პრინციპულად მიუწვდომელი და გაუგებარი შეიძლება იყოს. მეცნიერებისთვის ასეთი განწყობა მიუღებელია. კოხი თვლის, რომ ფსიქოლოგია ლოგიკურად ვერ იქნება ჰარმონიული, თანმიმდევრული და შეთანხმებული მეცნიერება. ამის გათვალისწინებით, იგი ამ მიმართულებისთვისაც ადგილს ტოვებს ფსიქოლოგიური მეცნიერების სივრცეში [43].

უფრო რადიკალური და მკაცრია ჟან პიაჟეს პოზიცია. მას მიაჩნია, რომ ფენომენოლოგიური ფსიქოლოგია ფილოსოფიური დოქტრინის ნაწილია და მეცნიერული ფსიქოლოგიის საფუძვლად ვერ გამოდგება. ფენომენოლოგიას მან უწოდა *პარამეცნიერული ფილოსოფია*, რომლის მთელი სააზროვნო „ბაგაჟი" დაიყვანება იმ თეორიების კრიტიკაზე, რომლებიც თვით ფსიქოლოგებმა უკვე უარყვეს და წმინდა სპეკულაციურ მსჯელობებზე [51]. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ აკადემიურ ფსიქოლოგიაში ბოლო ხანებამდე საკმაოდ კრიტიკულად აფასებდნენ ფსიქოლოგიის ასპარეზზე გამოსული *მესამე ძალის* შესაძლებლობებს ყოველგვარი მეცნიერებისთვის აუცილებელი ნიშნების – სიზუსტის, შემოწმებადობის, სანდოობის, დასაბუთებულობის ნაკლებობის ან არქონის გამო. ამდაგვარად მომართულ მუშაობას ზოგჯერ *პოეტურ ძიებებსაც* კი უწოდებენ.

ასეთ პოზიციას, გადაჭარბებული რადიკალიზმისა და შეუწყნარებლობის მიუხედავად, გარკვეული გამართლება აქვს. მართლაც, ფსიქოლოგიის დეჰუმანიზაციასთან ბრძოლის საბაბით ჰუმანისტურ-ეგზისტენციალურმა მიმდინარეობამ, ფაქტობრივად, უარყო ბევრი ისეთი რამ, რაც ტრადიციული მეცნიერული კვლევის საფუძველი იყო. ძნელი წარმოსადგენია, რა კოორდინატებზე შეიძლება იყოს აგებული რაიმე ემპირიული კვლევის პროგრამა, ან საერთოდ რა სახე უნდა ჰქონდეს ცოდნის სისტემას, თუ არ არსებობს დეტერმინიზმი, მიზეზობრიობა, განმეორებადობა; თუ უგულებელყოფილია ზოგადი კანონების დადგენის, ობიექტური გაზომვის, წინასწარმეტყველების შესაძლებლობა. ნებით თუ უნებლიეთ, ეს რაციონალური შემეცნების გზიდან გადახვევას და ირაციონალურ-ინტუიციური შემეცნების პოზიციაზე გადასვლას ნიშნავს.[1] ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ფსიქოლოგიის ამ მიმართულების ბევრი მიმდევარი თავისი იდეების დასაყრდენს აღმოსავლურ (ძველ ინდურ, ჩინურ, იაპონურ) რელიგიურ-ფილოსოფიურ სისტემებში ეძებს. ეს ხდება, მიუხედავად იმისა, რომ მათში განხორციელებული აზროვნების წესის გაგება დასავლური გონებისთვის

[1] მსჯელობს რა ეგზისტენციალიზმისა და ფსიქოლოგიის ურთიერთმიმართებაზე, რ. მუსი გადაჭრით ამბობს, რომ ეგზისტენციალიზმი არის ირაციონალიზმი. ადამიანის ეგზისტენცია არ შეიძლება აიხსნას მეცნიერების მიერ. ამიტომ, დაასკვნის იგი, ეგზისტენციალიზმი უნდა შეფასდეს როგორც მეცნიერული ფსიქოლოგიის ოპოზიციური მოძღვრება, მიუხედავად იმისა, რომ ის შეიცავს უამრავ ტერმინსა და ცნებას, რომელთა გარეშე ფსიქოლოგიის წარმოდგენა შეუძლებელია [50]. მკაფიოდ გამოხატულ ანტისციენტისტურ პოზიციას აფიქსირებენ ეგზისტენციალური ფსიქოლოგიის წამყვანი ფიგურები, როგორებიცაა: ბინსვანგერი [9], ბოსი [37], მეი [47] და სხვ.

არაჩვეულებრივად გაძნელებულია [13]. მათში მოცემული გამოცდილების აღწერა და დახასიათება თითქმის შეუძლებელია რაციონალურ-მეცნიერული ცნებებით, რის გამოც კულტივირებულია პოეტური აფორიზმებისა და მეტაფორების ენა. როგორც აღმოსავლური ინტელექტუალური კულტურის ცნობილი პოპულარიზატორი და ინტერპრეტატორი დ. სუძუკი აღნიშნავს, ის შინაგანი განთავისუფლების მისტიკური განცდა ან *უმაღლესი მდგომარეობა*, რომელიც, ამ სისტემების მიხედვით, საერთოდ ადამიანის მისწრაფებების საბოლოო მიზანია, სიტყვიერ განმარტებას, ცნებით განსაზღვრებას ან ანალიტიკურ-ლოგიკურ დასაბუთებას არ ექვემდებარება და მხოლოდ ინტუიტური წვდომის გზით შეიმეცნება. გონება და ლოგიკა გვეხმარებიან გარე სამყაროს შესწავლაში, მაგრამ ისინი დაბრკოლებად იქცევა საკუთარი არსებობის წვდომის შემთხვევაში [26]. ყოველივე ეს იმ ძირითადი ნიშან-თვისებიდან გამომდინარეობს, რაც ამ ფსიქოკულტურებს ახასიათებთ – ბუნებისა და საზოგადოების დამთრგუნველი ზემოქმედებისგან განრიდება და საკუთარ თავში ჩაღრმავება. ზოგჯერ ეს ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ ღირებულებებზე და რეალურ ქცევაზე უარის თქმის ტოლფასია. „მართალია, იოგა მოქმედების დისციპლინას გვასწავლის, მისი სახეობების უმრავლესობა გვასწავლის შინაგანი სიმშვიდის მიღწევას უმოქმედობის გზით“ [31; 551]. ამიტომ ეგზისტენციალიზმს ანუ *არსებობის ფილოსოფიას*, რომელსაც, მისივე თქმით, „სამყარო-ში“ *ყოფნა* და *სასიცოცხლო მოქმედება* აინტერესებს, ეს გზა ბევრს ვერაფერს მისცემს, ვინაიდან ქცევის ბევრი ნამდვილი დეტერმინანტი, უბრალოდ, მხედველობის მიღმა აღმოჩნდება. შინაგან სამყაროსთან განმარტოებისა და სინამდვილის მოთხოვნებთან კავშირის გაწყვეტის შემთხვევაში, რაც დამახასიათებელია აღმოსავლური ფსიქოპრაქტიკისთვის, ჩვეულებრივი, რეალური ადამიანური არსებობა და აქტივობა, უბრალოდ, განიდევნება კვლევის სფეროდან. არადა, ჰუმანისტურ-ეგზისტენციალური ფსიქოლოგია, მეტადრე მისი ფსიქოთერაპიული თუ ფსიქოკონსულტაციური პრაქტიკა, თითქოს სწორედ ამ აქტივობის რეგულაციასა და ჰარმონიზაციაზეა მიმართული.

აღმოსავლურ რელიგიურ-ფილოსოფიურ მოძღვრებებს, მაგალითად: იოგას, ძენ-ბუდიზმს, დაოსიზმს და სხვას, ნამდვილად აქვთ პრაქტიკული, მათ შორის, სამედიცინო ასპექტები. მედიტაცია, რელიგიური ფსიქოტრენინგი და თვითრეგულაცია, უდავოდ, იძლევა გარკვეულ ფსიქოთერაპიულ ეფექტს. ამიტომ ეგზისტენციალური და ასევე სხვა ორიენტაციის ფსიქოთერაპევტთა ინტერესი ასეთი პრაქტიკებისადმი საკმაოდ გასაგები და კანონზომიერია. მაგრამ როგორაა შესაძლებელი იმავე ჰუსერლის ან ჰაიდეგერის ევროპული აზროვნების ფესვებიდან ამოზრდილი ურთულეს მოძღვრებათა აღმოსავლურ რელიგიურ-ფილოსოფიურ სისტემებთან დაკავშირება, ამის გარკვევით თქმა თითქმის შეუძლებელია. ერთადერთი, რაც მათ მსგავსებაზე მსჯელობის საფუძველს იძლევა, ესაა საერთო აქცენტი თვითცნობიერებაზე, როგორც ჭეშმარიტი და ღრმა შემეცნების ერთადერთ რეალურ წყაროზე. მაგრამ ამ მოძღვრებათა ინტელექტუალური ენის ურთიერთწვდომის პრაქტიკული შეუძლებლობა ეჭვს ბადებს საკმაოდ გავრცელებული შეხედულების მართებულებაში, თითქოს ეგზისტენციალიზმი ძენ-ბუდიზმის ან, თუნდაც, სხვა აღმოსავლური სისტემის დასავლური ვარიანტია.

დაუბრუნდეთ ჰუმანისტურ-ეგზისტენციალური ფსიქოლოგიის ზემოთ მოცემულ კრიტიკას. მის გარკვეულ საფუძვლიანობაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ამ მიმდინარეობის ბევრი წამყვანი ფიგურა ეკლექტიკური ან, შესაძლებლობის ფარგლებში, სინთეზური, ინტეგრაციული პოზიციისკენ იხრება და ცდილობს, ზუსტი მეცნიერული პროცედურების გამოყენების გზით მეტი დამაჯერებლობა და სანდოობა შესძინოს ფენომენოლოგიურ კვლევას. ამ მხრივ მასლოუსთან, როჯერსთან, შ. ბიულერსა და სხვებთან ერთად, აღნიშვნის ღირსია ეგზისტენციალური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ადრიან ვან-კაამი, რომლის მუშაობა მიმართულია ადამიანთა ინტენციონალური ქცევების ფუნდამენტური და სპეციფიკური სტრუქტურების გამოვლენაზე ფენომენოლოგიური პროცედურების (სახელდობრ, ე.წ. *ფენომენოლოგიური ექსპლიკაციების)* საშუალებით და, განსაკუთრებით, მათ ვალიდიზაციასა და ვერიფიკაციაზე [54].

საბოლოოდ, უნდა ითქვას შემდეგი: ჰუმანისტური ფსიქოლოგია, როგორც მესამე ძალა, ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ფსიქოლოგიური მეცნიერების ასპარეზზე გამოვიდა. ამიტომ უკვე შესაძლებელია მისი შეფასება ისტორიულ პერსპექტივაში. ფსიქოლოგიის ამ მიმდინარეობამ აქცენტი გააკეთა ცნობიერებაზე, ნორმაზე, პიროვნულ ზრდასა და განვითარებაზე, შემოქმედებითობაზე. ამით მან უთუოდ შეუწყო ხელი იმ ერთგვარი ცალმხრივობის აღმოფხვრას, რაც, ბიჰევიორიზმისა და ფსიქოანალიზის გავლენით, დამახასიათებელი იყო ამერიკული ფსიქოლოგიისთვის. იგი ახლაც მიუთითებს იმ პრობლემებზე, რომლებიც წარმოიქმნება თანამედროვე ფსიქოლოგიაში მექანიცისტური თვალსაზრისის ამა თუ იმ გამოვლინებასთან დაკავშირებით.

ჰუმანისტურ-ეგზისტენციალური მიდგომა ერთ-ერთი პირველთაგანი იყო მათ შორის, ვინც ფსიქოანალიზის რეალური ალტერნატივა გახდა ფსიქოთერაპიის სფეროში. ჰუმანისტური ფსიქოლოგიის გავლენით ახალი და საინტერესო ტენდენციები გაჩნდა განათლების სფეროშიც. მთლიანობის, ავთენტურობის, კრეატიულობის იდეების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა ჰუმანისტური პედაგოგიკა და პედაგოგიური ფსიქოლოგია. დაიწყო მოტივების იერარქიული მოდელისა და კლიენტზე ცენტრირებული მიდგომის რეალიზაცია საწარმოებსა და ორგანიზაციებში, რამაც გავლენა მოახდინა მართვის, პერსონალის კონსულტირებისა და ატესტირების ტექნოლოგიასა და პოლიტიკაზე.

ერთი სიტყვით, ჰუმანისტურმა ფსიქოლოგიამ შესამჩნევი წვლილი შეიტანა გამოყენებითი ფსიქოლოგიის განვითარებაში და, უფრო ფართოდ, საზოგადოების მოწყობის საქმეში. მან ნამდვილად მოახდინა გარკვეული გავლენა ამერიკულ კულტურაზე. მაგალითად, ხშირად აღნიშნავენ, რომ როჯერსის მიდგომა, რომლის მიხედვითაც კლიენტებს ეპყრობიან როგორც თანასწორუფლებიან პირებს, რომელთაც აქვთ „გამოჯანმრთელების“ შინაგანი უნარი და არ არიან დამოკიდებული ავტორიტეტული ადამიანის ან ექსპერტის სიბრძნეზე, კარგად ესადაგება ამერიკულ დემოკრატიულ ტრადიციას [42]. სხვათა შორის, როჯერსი თვითონ აღიარებდა, რომ ამერიკულ კულტურაზე ჰუმანისტური ფსიქოლოგიის მნიშვნელოვანი გავლენის მიუხედავად, მან ვერ შეძლო ზეგავლენის მოხდენა ფსიქოლოგიური აზრის ძირეულ მიმართულებაზე.

ეს, ალბათ, კანონზომიერიცაა. ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგიის ისტორიკოსის, თომას ლიხის შეფასებით, გრძნობისა და ინტუიციის კულტივირებამ ჰუმანისტური ფსიქოლოგია კვლავ მიიყვანა მეცნიერული რევოლუციის რომანტიკულ უარყოფამდე, თუმცა მას არ ეყო გულწრფელობა, რომ ეს ეღიარებინა. ჰუმანისტურ ფსიქოლოგებს, როჯერსისა და მასლოუს ჩათვლით, თავი ყოველთვის მეცნიერებად მიაჩნდათ, მაგრამ არ აღიარებდნენ იმ ღრმა კონფლიქტს, რომელიც არსებობს ბუნებრივი კანონისა და დეტერმინიზმისადმი მეცნიერების ერთგულებასა და ადამიანის მიზნისა და თავისუფლებისადმი ერთგულებას შორის. „ჰუმანისტურმა ფსიქოლოგებმა მხოლოდ უსაფუძვლო პროტესტი შემოგვთავაზეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების იმპერიალიზმის წინააღმდეგ. თუ მართლაც საჭირო იყო სარჩელის წარდგენა ადამიანის საბუნებისმეტყველო-მეცნიერული, რედუქციონისტური გაგებისადმი, იგი სხვა, უფრო გონივრულ წყაროს უნდა დამყარებოდა“ [16; 424]. ფსიქოლოგიის ისტორიკოსები და მეთოდოლოგები საკმაოდ ერთსულოვანნი არიან იმაში, რომ ჰუმანისტური ფსიქოლოგია თავისი არსებობის საკმაო ხნის განმავლობაში ვერ ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ მეცნიერულ სისტემად თავისი ერთიანი თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპებით. ამ პრინციპების ნაწილი საკმაოდ ბუნდოვანია, ხოლო მათ შორის კავშირი – პირობითი [33][53].

ამ შეფასებებს, ალბათ, სერიოზული საფუძველი აქვთ. მიუხედავად ამისა, ვინაიდან ფსიქოლოგია იყო და რჩება საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მსოფლმხედველობის საერთო ინტერესის საგნად, ეს მიმდინარეობა, როგორც ჰუმანიტარული პარადიგმის განსახიერება, ფსიქოლოგიური მეცნიერების განუყოფელ ნაწილად უნდა განვიხილოთ. ამასთან, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჰუმანისტური და ეგზისტენციალური ფსიქოლოგია თავის წვლილს შეიტანს მომავალი ერთიანი ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებაში, თუ ასეთი რამ საერთოდ შესაძლებელია.

ლიტერატურა

1. ბოჭორიშვილი ა., ფსიქოლოგიის პრინციპული საკითხები. საქ. სსრ მეცნ. აკადემია, თბილისი, ნაწილი Ia-1957, IIბ-1959, IIIც-1962.
2. ბუალავა ი., ფსიქოზურ განცდათა ფენომენოლოგია. მეცნიერება, თბილისი, 1968.
3. იმედაძე ი., ფსიქოლოგიის ისტორია: ანტიკური ხანიდან ჩვენ დრომდე. მწიგნობარი, თბილისი, 2021.
4. კაკაბაძე ზ., „ექსისტენციალური კრიზისის“ პრობლემა და ედმუნდ ჰუსერლის ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგია. მეცნიერება, თბილისი, 1985.
5. უზნაძე დ., ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები / შრომები, ტ. II, საქ. სსრ მეცნ. აკადემია, თბილისი, 1960.
6. ცინცაძე გ., გაგების მეთოდი ფილოსოფიაში და პიროვნების პრობლემა. მეცნიერება, თბილისი, 1975.
7. Андиферова Л. И., Некоторые вопросы исследования личности в современной психологии капиталистических стран / Теоретические проблемы психологии личности. Наука, М., 1974.

8. Александер Ф., Селесник Ш.. Человек и его душа: познание и врачевание от древности до наших дней. Прогресс-Культура, М., 1995.
9. Бинсвангер Л., Бытие в мире. Введение в экзистенциальную психиатрию. Ювента, СПб., 1999.
10. Власова О. А., Феноменологическая психиатрия и экзистенциальный анализ: История, мыслители, проблемы. Изд. дом «Территория будущего», М., 2010.
11. Глейтман., Фридлунд А., Райсбергер Д., Основы психологии. Речь, СПб., 2001.
12. Гриниг Т., История и задачи гуманистической психологии // Вопросы психологии, 1988, 4. С. 68-73.
13. История современной зарубежной философии: Компаративистский подход. Лань, СПб., 1997.
14. Какабадзе В. Л., Теоретические проблемы глубинной психологии. Мецниереба, Тбилиси, 1982.
15. Кришнер С., де Карвало Р., Проблема метода в гуманистической психологии / Психологический журнал, 1993, 2. С. 113-126.
16. Лихи Т., История современной психологии. Питер, СПб., 2003.
17. Майерс Д., Психология. Прайм-Еврознак, СПб., 2001.
18. Маслоу А., Самоактуализация / Психология личности. Тексты. Изд-во МГУ, М., 1994.
19. Маслоу А., Мотивация и личность. Евразия, СПб., 1999.
20. Мей Р., Искусство психологического консультирования. Класс, М., 1994.
21. Мей Р., Вклад экзистенциальной психотерапии / Экзистенция – новое измерение психиатрии и психологии. Эксмо, М., 2001.
22. Нельсон-Джоунс Р., Теория и практика консультирования. Питер, СПб., 2000.
23. Роджерс К., К науке о личности / История зарубежной психологии. Тексты. Изд-во МГУ, М,1986.
24. Роджерс К., Взгляд на психотерапию. Становление личности. Прогресс, М., 1994.
25. Роджерс К., Клиенто-центрированная психотерапия. Рефл-бук, М., 1997.
26. Роджерс К., Фрейнберг Д., Свобода учиться. Смысл, М., 2002.
27. Руткевич А. М., От Фрейда к Хайдеггеру. Политиздат, М., 1985.
28. Судзуки Д., Основы дзэн-буддизма. Одиссей, Бишкек, 1993.
29. Тиллих П., Избранное. Теология культуры. Юрист, М., 1995.
30. Франкл В., Человек в поисках смысла. Прогресс, М., 1990.
31. Франкл В., Основы логотерапии. Речь, СПб., 2000.
32. Франкл В., Доктор и душа: Логотерапия и экзистенциальный анализ. ООО Альпина нонфикшн, М., 2017.
33. Фрейджер Р., Фрейдимен Д., Личность: теории, эксперименты, упражнения. прайм-ЕВРОЗНАК, СПб., 2001.
34. Шпрангер Э., Два вида психологии / Хрестоматия по истории психологии. Изд-во Моск. ун-та, М., 1980.
35. Шульц Д. П., Шульц С. Э., История современной психологии. Евразия, СПб., 1998.
36. Хекхаузен Х., Мотивация и деятельность. Смысл, М., 2003.
37. Экзистенциальная психология. Под ред. Р. Мея. Апрель Пресс, М., 2001.

38. Ясперс К., Общая психопатология. Практика, М., 1997.
39. Boss M., Existential foundations of medicine and psychology. Oswald Wolff, London-New York, 1979.
40. Bugental J. F. T., The third force in psychology / Journal of Humanistic Psychology, 1964, 4 (1). P. 19-25.
41. Buhler Ch., Basic theoretical concept of humanistic psychology / American Psychologist, 1971, 26. P. 431-442.
42. Cloninger S. C., Theories of personality: understanding persons. Pearson/Allyn and Bacon, Boston, MA, 2012.
43. Copfer C. N., Aplley M. H., Motivation: theory and research. John Wiley, New York, 1964.
44. Evans R. I., Carl Rogers: the man and his ideas. Dutton, New York, 1975.
45. Koch S., Psychological science versus the science-humanism antinomy / American Psychologist, 1961, 16. P. 629-639.
46. McClelland D. C., Comments on professor Maslow's paper / Nebraska symposium on motivation. V.3 / M.R. Jones (Ed.). University of Nebraska Press, Lincoln (Nb), 1955.
47. Maslow A., The psychology of science. A reconnaissance. Harper and Row, New York, 1966.
48. Maslow A., Toward a psychology of being. Van Nostrand, New York, 1968.
49. Mey R., The emergence of existential psychology. Random House, New York, 1969.
50. Mey R., Meaning of anxiety. Roland Press, New York, 1977.
51. Misiak H., Sexton V. S., Phenomenological, existential and humanistic psychologies. Norton, New York, 1973.
52. Muuss R., Existencialism and psychology / Educational Theory, 1976, 6. P. 135-153.
53. Piaget J., Epistemologie des sciences de l'homme. Denoël-Gonthier, Paris, 1977.
54. Rogers C., R. and Skiner B. F. Some issues conserning the control of human behavior: A symposium / Science. 1956, 124 (3231). P. 1057-1066.
55. Smith M. B., Humanizing social psychology. Jossey-Bass, San Francisco, 1974.
56. Smith, N. W., Current systems in psychology: history, theory, research, and applications. Wadsworth, Belmont, CA, 2001.
57. Van Kaam A., Existential foundations of psychology. Duquesne University Press, Pittsburgh, 1966.
58. Wandersman A., Poppen P. J., Ricks D. F., (Eds). Humanism and behaviorism: dialogue and growth. Pergamon, New York, 1976.

XI თავი
კოგნიტური ფსიქოლოგია

ამ თავში წარმოდგენილი იქნება ის მეცნიერული მიმდინარეობა, რომელსაც გამორჩეული ადგილი უკავია თანამედროვე ფსიქოლოგიის რუკაზე. წინა თავში ჩვენ ვნახეთ, რომ XX საუკუნის სამოციან წლებში ამერიკაში ჩამოყალიბება დაიწყო ჰუმანისტურმა ფსიქოლოგიამ, რომელიც მისმა ლიდერებმა მესამე ძალად მონათლეს. იგულისხმება, რომ იგი არის, ბიჰევიორიზმსა და ფსიქოანალიზთან ერთად, კიდევ ერთი მასშტაბური ფსიქოლოგიური მიმდინარეობა ან ორიენტაცია. თანამედროვე ფსიქოლოგიაც, არსებითად, სამი ძირითადი მიმართულებითაა წარმოდგენილი, ოღონდ, ბიჰევიორიზმის ნაცვლად, უკვე *კოგნიტურ ფსიქოლოგიაზე* უნდა ვილაპარაკოთ. მან საუკუნის შუა წლებიდან დაიწყო განვითარება, თანდათან გამოდევნა ბიჰევიორისტული ორიენტაცია და მისი ნიშა დაიკავა. ეს შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ კოგნიტურ ფსიქოლოგიას, ბიჰევიორიზმისგან მნიშვნელოვანი განსხვავებულობის გარდა, მასთან სრულიად გარკვეული ნათესაობაც აკავშირებდა. ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ფსიქოლოგიური აზრის ამ ორ მიმართულებას შორის ორია: ერთი ის, რომ კოგნიტივიზმი ფსიქიკურ პროცესებს რეალური მოვლენების სახით განიხილავს, მაშინ, როდესაც ბიჰევიორიზმის სხვადასხვა ვარიანტში მათი არსებობა ან უარყოფილია, ან უგულებელყოფილი, ან, საუკეთესო შემთხვევაში, ჰიპოთეზური ცვლადის ფორმითაა დაშვებული; მეორე – კოგნიტურმა ფსიქოლოგიამ ბიჰევიორიზმისთვის დამახასიათებელი გარეგანი მიზეზობრიობიდან აქცენტი შინაგან მიზეზობრიობაზე გადმოიტანა. რაც შეეხება მათ მსგავსებასა და მემკვიდრეობითობას, აქ, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ კოგნიტივიზმი, ისევე როგორც ბიჰევიორიზმი, არის პოზიტივისტურად ორიენტირებული ფსიქოლოგია თავისი ექსპერიმენტული და სტატისტიკური პროცედურებით, ასევე იმ ჰიპოთეტიკო-დედუქტიციური მეთოდოლოგიით, რომელიც ემპირიული ჰიპოთეზებიდან თეორიის გამოყვანას გულისხმობს. მან შეინარჩუნა ბიჰევიორიზმის ინტერესი მოდელირების მიმართ (ოღონდ მექანიკურ-მანქანური მოდელები კომპიუტერულით შეცვალა) და, აგრეთვე, დასწავლისა და მეხსიერების პრობლემის მიმართ [63].

უნდა ითქვას, რომ ბიჰევიორიზმის ჩანაცვლება კოგნიტივიზმით საკმაოდ უმტკივნეულოდ მოხდა.[1] ამის მიზეზი თვით ბიჰევიორიზმის ევოლუციასა და ეტაპობ-

[1] ყოველივე ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ამჟამად აღარ არსებობენ მკვლევართა ჯგუფები, რომლებიც ბიჰევიორისტულ ტრადიციას აგრძელებენ. მეტიც, არ წყდება მცდელობები ბიჰევიორისტული და კოგნიტური ფსიქოლოგიის პრინციპების ურთიერთშესაბამისობაში მოყვანისა. ამგვარი ძალისხმევის შედეგად ისიც ხდება, რომ ფუნდამენტური განსხვავება მათ შორის, ფაქტობრივად, იკარგება და ტერმინოლოგიურზე დაიყვანება. განსაკუთრებული დამაჯერებლობით არც ის განცხადებები გამოირჩევა, რომ კოგნიტივიზმსაც და ბიჰევიორიზმსაც ფსიქიკასთან აქვს საქმე, ოღონდ პირველი მას ღია პროცესად განიხილავს, ხოლო მეორე — ფარულად [59].

რივ ტრანსფორმაციაში უნდა ვეძებოთ. როგორც ცნობილია, ოცდაათიანი წლებიდან კლასიკურ ბიჰევიორიზმს ცვლის ნეობიჰევიორიზმი. სტიმულსა და რეაქციას შორის ჩნდება შუალედური ცვლადები. მიუხედავად იმისა, რომ ამ ცვლადებს, ერთი შეხედვით, საკმაოდ მენტალისტური ჟღერადობა ჰქონდათ (განზრახვა, მოლოდინი, ცოდნა და სხვ.), მათი განსაზღვრება წმინდა ოპერაციონისტულ, არაფენომენოლოგიურ ხასიათს ატარებდა, რაც, თითქოს, თანხვდებოდა ბიჰევიორიზმისთვის დამახასიათებელ ანტიმენტალისტურ პოზიციას. და მაინც, იმავე ტოლმენისეულ ბიჰევიორიზმში გამოყენებულ ისეთ ცნებებს, როგორებიცაა: მიზანი, მიზნობრივი ქცევა, კოგნიტური რუკა, გეშტალტი, არ შეეძლო გარკვეულად არ შეერყია ეს პოზიცია. ამიტომ არის, რომ ტოლმენის თეორიას ხშირად შემეცნებით ან კოგნიტურ ბიჰევიორიზმს უწოდებენ და კოგნიტური ფსიქოლოგიის შორეულ წინაპრად მოიხსენიებენ.

დაახლოებით იმავე პერიოდში ბიჰევიორიზმს საგრძნობი დარტყმა მიაყენა ერთერთმა ყველაზე ავტორიტეტულმა ამერიკელმა ფსიქოლოგმა რობერტ ვუდვორთმა. იგი გადაჭრით ამტკიცებდა, რომ ტაბუ, რომელიც ბიჰევიორიზმმა დაადო განცდებს, წარმოდგენებს, იდეებს, ამუხრუჭებდა ფსიქოლოგიური მეცნიერების განვითარებას. ვუდვორთი ებრძოდა ბიჰევიორიზმისთვის დამახასიათებელ უფსიქიკო ფსიქოლოგიას და თვლიდა, რომ „ქცევა ბუნებრივი მოვლენების სამყაროს მიეკუთვნება, ინდივიდის ცნობიერი გამოცდილება კი მჭიდროდაა დაკავშირებული მის გარე ქცევასთან; ამგვარად, ორივე მათგანი ერთი და იმავე ქმედების ნაწილია" [66; 18]. ბიჰევიორიზმის კლასიკურ სქემაში ვუდვორთმა ორგანიზმი, სუბიექტი (S-O-R) შემოიყვანა და განსაკუთრებული გულისყურით დაიწყო იმ შემეცნებითი ფუნქციების შესწავლა, რომლებიც ქცევის რეგულაციას ახორციელებენ; უპირატესად ეს აღქმას ეხებოდა. ამ მიმართულებით 30-50-იან წლებში მუშაობდნენ, როგორც *ფუნქციონალური ფსიქოლოგიის* მიმდევრები (ე. ბრუნსვიკი, რ. ვუდვორთი), ასევე, ე.წ. *ახალი ხედვის* (New look) წარმომადგენლები (ჯ. ბრუნერი, დ. კრეჩი, ლ. პოსტმანი და სხვ.).

ამ ახალი ხედვის მქონე მკვლევრები აღქმის, პიროვნებისა და სოციალური ფსიქოლოგიის გადაკვეთაზე მუშაობდნენ და ფიქრობდნენ, შეესწავლათ პიროვნება აღქმის მეშვეობით. მათ დაადასტურეს, რომ აღმქმელი სუბიექტის თავისებურებები და სოციალური ფონი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს იმას, თუ რას და როგორ ხედავს ადამიანი. მაგალითად, ერთი და იმავე მოცულობის მონეტას ღარიბი უფრო დიდად ხედავს, ვიდრე მდიდარი. რაც უფრო დიდია ობიექტის სოციალური ღირებულება, მით მეტია მისი აღქმული სიდიდის დამახინჯება. მაშასადამე, ღირებულებათა სისტემა ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის მსოფლაღქმის ინდივიდუალურ თავისებურებებს.

მაგრამ ყველაზე ცნობილი გამოკვლევები ეხებოდა ე.წ. პერცეპტული დაცვის ეფექტებს აღქმაში. გართულებული აღქმის პირობებში ცდისპირებს უნდა ამოეცნოთ სხვადასხვა ემოციური შინაარსის სიტყვები – ნეიტრალური და მეტ-ნაკლებად ტაბუირებული (მაგალითად, უხამსი, სექსუალური შინაარსის და ა.შ.). აღმოჩნდა, რომ ამ უკანასკნელთა ამოცნობას მეტი დრო ესაჭიროება. გამოითქვა ვარაუდი, რომ ცდისპირები არაცნობიერად აღიქვამენ ტაბუირებული სიტყვების უარყოფით ემო-

ციურ შინაარსს და თრგუნავენ მის გაცნობიერებას. პერცეპტული დაცვის ფენომენის გარშემო თავიდანვე გაცხოველებული კამათი გაიმართა, რომელიც დღესაც მიმდინარეობს. მნიშვნელოვანია, რომ „ახალმა ხედვამ" ყურადღება მიმართა განწყობების როლზე ადამიანის მიერ გარემოს აღქმის პროცესში. მაგრამ მთავარია, რომ ის პერცეფციას განიხილავდა აქტიური ცნობიერი და არაცნობიერი პროცესის სახით, რომელიც სტიმულსა (შეგრძნებას) და საპასუხო რეაქციას შორის არის მოთავსებული. ამდენად, ნათელია, რომ ეს ახალი ხედვა ბიჰევიორიზმისკენ ნამდვილად არ იყო მიმართული.

იმის დადგენამ, რომ აღქმაში აქტიურად მონაწილეობენ გონება და პიროვნება, **ჯერომ ბრუნერის** (1915-2016) ინტერესი იმდროინდელ ამერიკულ ფსიქოლოგიაში მიეიწყებული უმაღლესი ფსიქიკური პროცესებისკენ წარმართა. კვლევებმა კოგნიტური პროცესების ფუნქციონირებისა და გენეზისის სფეროში მას მსოფლიო აღიარება მოუტანეს. ბრუნერმა ერთ-ერთმა პირველმა წამოიწყო კატეგორიზაციის ექსპერიმენტული შესწავლა და აჩვენა, რომ ახალი ცნების ფორმირება აქტიური ინტელექტუალური პროცესია, რომლის დროსაც სუბიექტი იმუშავებს სხვადასხვა სტრატეგიას და მათ საფუძველზე ახორციელებს სტიმულების მიკუთვნებას გარკვეული კონცეპტუალური კატეგორიებისადმი [19]. მოკლედ, აქაც სტიმულსა და რეაქციას შორის მოქცეული კოგნიტური სფერო შეისწავლებოდა. 1960 წელს ბრუნერმა **ჯორჯ მილერთან** (1920-2012) ერთად დააარსა კოგნიტური კვლევების ცენტრი ჰარვარდის უნივერსიტეტთან. სიმბოლურია, რომ ეს ცენტრი განათავსეს შენობაში, რომელშიც თავის დროზე ცხოვრობდა თვით უილიამ ჯეიმსი, რომელმაც ფსიქოლოგიის ისტორიას ცნობიერების ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი დახასიათება დაუტოვა. აქ დაიწყო ისეთი თემების დამუშავება (აღქმა, მეხსიერება, აზროვნება, მეტყველება), რომლებიც ბიჰევიორიზმს საფუძვლიანად გადაავიწყდა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამავე პერიოდში **ნოამ ჩომსკის** (1928-) მიერ დაწყებულ ლინგვისტურ კვლევებს, რომლებმაც სერიოზულად შეარყია ბიჰევიორიზმის პოზიციები არა მხოლოდ ვერბალური ქცევის, არამედ, საზოგადოდ, ადამიანის ქცევის გააზრების საქმეში [45] (იხ. V თავი).

როგორც ვხედავთ, თვით ამერიკაში მიმდინარეობდა ბიჰევიორისტული პროგრამის საერთო დისკრედიტაციის პროცესი მისი რადიკალური ანტიმენტალიზმის გამო. საუკუნის მეორე ნახევრისთვის მან უკვე გამოხატული სახე მიიღო. ამას, გარკვეულწილად, ხელი შეუწყო ევროპული ფსიქოლოგიის გავლენამ, სადაც ე.წ. ბიჰევიორისტულმა რევოლუციამ გაცილებით მშვიდობიან ფორმაში ჩაიარა და სადაც ცნობიერება ბოლომდე არასოდეს განდევნილა ფსიქოლოგიიდან. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი შეასრულა კ. ლევინმა და გეშტალტფსიქოლოგიამ, რომლის ყველა წამყვანი ფიგურა, ოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, ამერიკაში მოღვაწეობდა. ამას უკვალოდ არ ჩაუვლია. მათმა მოწაფეებმა (ჰაიდერმა, ფესტინგერმა და სხვ.) სოციალურ ფსიქოლოგიაში შექმნეს ახალი, ძლიერი მიმართულება, რომელსაც *კოგნიტივისტური ორიენტაცია* ეწოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორიენტაციაში გაერთიანებულ მოდელებს ტრადიციულად სოციალურ ფსიქოლოგიას აკუთვნებენ, მათი ავტორები არ აიგივებენ თავს უთუოდ სოციალურ ფსიქოლოგიასთან. ალბათ მართებულია აზ-

რი, რომლის თანახმადაც შემეცნებითი სტრუქტურებისა და ადამიანის კოგნიტური ორგანიზაციის პრობლემა, ფართო გაგებით, ზოგადფსიქოლოგიურია; სოციალური ფსიქოლოგიისთვის მხოლოდ მისი ზოგიერთი ასპექტია საინტერესო [13]. *კოგნიტური თავსებადობის თეორიები*, რომლებიც ორმოცდაათიანი წლებიდან გამოჩნდნენ, კოგნიტივიზმის, როგორც ქცევის კონცეფციის კონკრეტულ სახეობებს წარმოადგენენ. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული თეორიები, პირველ რიგში, სოციალურ ფსიქოლოგიურ მასალას ეფუძნება [47][64][67]. ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ ამ დროისთვის უკვე არსებობს ქცევის სოციალური ფსიქოლოგიური თეორიის გარკვეული ვარიანტები, რომლებიც, უპირატესად, ვერთჰაიმერისა და ლევინისგან მომდინარე ტრადიციის გავლენით შეიქმნა ამერიკაში.

რადგან კოგნიტური ფსიქოლოგიის სათავეებზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ ვახსენოთ ჟან პიაჟეს გენეტიკური ფსიქოლოგია, რომელიც შემეცნებითი სტრუქტურების გენეზისს შეისწავლის. შინაარსის მიხედვით, ჟენევის სკოლაში მიმდინარე კვლევა კოგნიტური ფსიქოლოგიაა, თუმცა მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, იგი საგრძნობლად განსხვავდება ამერიკული კოგნიტივიზმისგან და გაცილებით ადრეც დაიწყო (იხ. VII თავი). თანამედროვე კოგნიტური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი უ. ნაისერი სინანულით აღნიშნავს, რომ პიაჟეს შრომებმა ნეობიჰევიორიზმის ბატონობის დროს ვერ მოიპოვეს ფართო აღიარება. ეს მხოლოდ მას მერე მოხდა, რაც კოგნიტივიზმი წამყვან მიმდინარეობად დამკვიდრდა ფსიქოლოგიაში. მან ხელახლა აღმოაჩინა და სათანადოდ შეაფასა პიაჟეს შემოქმედება.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ გასული საუკუნის შუა ხანებში ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომელიც სტიმულს აძლევდა ცნობიერების ფსიქოლოგიის ხელახალ აღორძინებას. მაგრამ კოგნიტური ფსიქოლოგიის დაფუძნების და სწრაფი გავრცელების უშუალო ფაქტორი სხვა რამეა. იგი დაკავშირებულია *კიბერნეტიკასა და გამოთვლითი მანქანების* შექმნასთან. როგორც ცნობილია, კიბერნეტიკაში არსებობს დისციპლინათა სინთეზის ძლიერი ტენდენცია. 1948 წელს გამოსულ ნორბერტ ვინერის წიგნში – „კიბერნეტიკა ანუ მართვა და კავშირი ცხოველსა და მანქანაში" – გაღრმავებულია უკუკავშირების იდეა, რომელსაც მანამდეც ექცეოდა ყურადღება ცოცხალი არსებების მიზანშეწონილი ქცევის ახსნისას. მოცემულია, აგრეთვე, რთული სისტემების მართვის ზოგადი თეორია. კიბერნეტიკა ეყრდნობა იდეას, რომ მართვისა და ინფორმაციის გადამუშავების პროცესი ყოველგვარ რთულ სისტემაში – კომპიუტერშიც და ცოცხალ არსებაშიც – საერთო, ზოგად კანონზომიერებებს ემორჩილება. ბიჰევიორისტული კრიზისით გზააბნეული ფსიქოლოგიისთვის ეს პრინციპები, ერთი შეხედვით, უაღრესად პროდუქტიული და ევრისტიკული ჩანდა. იხსნებოდა ახალი გზა მენტალური და, კერძოდ, კოგნიტური პროცესების შემეცნებისკენ. გამოთვლითი მანქანების მსგავსად, ადამიანის ფსიქიკაში ინფორმაცია აისახება, გაიშიფრება, ტრანსფორმირდება, კლასიფიცირდება, შეინახება, რეპროდუცირდება და გამოიყენება. ერთი სიტყვით, ხდება ინფორმაციის გადამუშავება. ბიჰევიორიზმის მიერ ტაბუირებული კოგნიტური პროცესები (აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, წარმოსახვა, ამოცნობა, ამოცანის გადაწყვეტა და სხვ.) რე-

ალური მოვლენების სტატუსს იძენენ, როგორც ინფორმაციის გადამუშავების ერთიანი, რთული პროცესის სტადიები თუ ელემენტები. 50-60-ანი წლებიდან ინფორმატიკისა და გამოთვლითი მათემატიკის სპეციალისტები (ალან ტიურინგი, კლოდ შენონი, მარვინ მინსკი, ჯონ მაკკარტი, ალან ნიუელი, ჰერბერტ საიმონი და სხვები) იწყებენ იმის შესწავლას, თუ როგორ შეიძლება კომპიუტერების გამოყენება ლოგიკური და მეცნიერულ-კვლევითი პრობლემების გადაჭრისთვის. ისინი იმედოვნებდნენ, რომ ეს სამუშაო გახდებოდა იმის მოდელი, თუ როგორ ხსნიან საზოგადოდ ადამიანები პრობლემებს. ეს იდეა გახდა ლაიტმოტივი გახმაურებული სიმპოზიუმისა მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში, რომელშიც მონაწილეობდნენ ინფორმატიკის, ფსიქოლოგიის, ნეირომეცნიერებისა და ლინგვისტიკის სპეციალისტები (1956). ფსიქოლოგიის ისტორიკოსების შეფასებით, ამ სიმპოზიუმმა დასაბამი მისცა *კოგნიტურ რევოლუციას* და იმას, რასაც დღეს *კოგნიტური მეცნიერება* (ან, უფრო მოკლედ, *კოგნიტივიზმი)* ეწოდება [37][50][55]. თუ ჩამოთვლილ ოთხ სპეციალობას დავუმატებთ ცნობიერების ფილოსოფიას და კოგნიტურ ანთროპოლოგიას, მივიღებთ იმ დისციპლინათა სიას, რომლებიც კოგნიტური მეცნიერების ბირთვს ქმნიან.

კოგნიტურ ფსიქოლოგიას მათ შორის საპატიო ადგილი უჭირავს. ფსიქოლოგიური კვლევის ამ მიმართულებამ თავიდანვე ორიენტირად გაიხადა შემეცნების ისეთი გაგება, რომელიც მას ინფორმაციის გადამუშავების პროცესთან აიგივებს. იგი მიმართულია აღქმაში, მეხსიერებაში, აზროვნებაში, მეტყველებასა და ა.შ., მოქმედი ინფორმაციული პროცესების გამოვლენაზე. გამოთვლით მანქანასთან ანალოგია, ანუ, როგორც ამბობენ, *კომპიუტერული მეტაფორა,* საშუალებას იძლევა, რომ კოგნიტური პროცესები რეალურად იქნეს შესწავლილი და, შესაძლოა, გაგებულიც. იქმნება უზუსტეს გაზომვებზე დამყარებული ექსპერიმენტული მეთოდიკები; ახალი ცნებებით მდიდრდება ლექსიკონი, რომლითაც აღიწერება კოგნიტური ფუნქციონირების ელემენტები: ინფორმაცია, სისტემის შესავალი, გადამუშავება, კოდირება, პროგრამა და ა.შ. მართალია, თავიდანვე დადგა და ახლაც მწვავედ დგას საკითხი მანქანური და ფსიქიკური პროცესების სტრუქტურულ-ფუნქციონალური იგივეობის მართებულობის შესახებ, მაგრამ ეჭვი არავის ეპარება, რომ კომპიუტერთან ფსიქიკური პროცესების ანალოგიამ შეიძლება გარკვეული სარგებლობა მოუტანოს თანამედროვე ფსიქოლოგიას (იხ. XIV თავი). ისე კი სათქმელია, რომ ახალდაბადებული ექსპერიმენტული ფსიქოლოგია XIX და XX საუკუნეთა გასაყარზე, ფაქტობრივად, შემეცნების ანუ კოგნიტური ფსიქოლოგია იყო, რამდენადაც შესწავლის ძირითად ობიექტებს შეადგენდა: აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება [3]. შემდგომში, ბიჰევიორიზმისა და ფსიქოანალიზის ზეობის ხანაში, ეს პრობლემატიკა კვლევის სარბიელიდან გაქრა, ყოველ შემთხვევაში აშშ-ში მაინც. ამიტომაც არის, რომ XX საუკუნის შუა პერიოდის კოგნიტურ რევოლუციას ზოგჯერ „კოგნიტურ კონტრრევოლუციას" უწოდებენ [50].

1967 წელს გამოდის უ. ნაისერის საპროგრამო წიგნი „კოგნიტური ფსიქოლოგია". ფსიქოლოგიის ისტორიაში მას ხშირად კოგნიტივიზმის, როგორც ახალი მიმდინარეობის, ათვლის წერტილად მოიხსენიებენ. **ულრიკ ნაისერი** (1928-2012) სწავლობდა ჰარვარდში ჯ. მილერთან და სვარტმორის კოლეჯში ვ. კელერთან; მუშაობდა ბრანდეისის უნივერსიტეტში, სადაც ფსიქოლოგიის ფაკულტეტს სათავეში მასლოუ ედგა.

ამ ნაშრომში კოგნიტური ან შემეცნებითი აქტივობა განსაზღვრულია ისეთ ქმედებად, რომელიც ცოდნის ან ინფორმაციის მიღებას, ორგანიზაციასა და გამოყენებას უკავშირდება. კოგნიტური ფსიქოლოგიის ამოცანაა, იმის დახასიათება, თუ როგორ მოძრაობს ინფორმაციის ნაკადი სისტემაში [56]. ამგვარი ინფორმაციული მიდგომა შემეცნებითი ფსიქიკური პროცესების შესწავლის მიმართ ორ ძირითად დაშვებაზეა დამყარებული: 1) ფსიქიკაში, როგორც რთულ სისტემაში, ხდება ინფორმაციის ეტაპობრივი გადამუშავება და 2) სისტემის მოცულობა და გამტარუნარიანობა შეზღუდულია; ამას უკავშირდება მოსაზრება ინფორმაციის გადამუშავების პროცესების უწყვეტობის შესახებ.

პირველი დაშვების არსი შემდეგშია: ინფორმაციის გადამუშავების პროცესი ქვეპროცედურების ან ეტაპების მთელ რიგს გაივლის. ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლისას ინფორმაცია მნიშვნელოვან სახეცვლილებას განიცდის. ამის საილუსტრაციოდ შემდეგი ყოფითი ფაქტი გამოდგება – ადამიანი აჩერებს მანქანას წითელ შუქზე. ეს თითქოს მარტივი პროცესი სინამდვილეში შემდეგ ეტაპებად იყოფა: ჯერ ერთი, ჩვენი მხედველობითი სისტემა რეგისტრაციას უკეთებს წითელ სინათლეს; მეორე, ჩვენ ამოვიცნობთ მოცემულ მხედველობით გამღიზიანებელს, როგორც იმას, რასაც სინამდვილეში წარმოადგენს ანუ, შუქნიშნის წითელ სინათლეს. აქ შემოდის მეხსიერებაში არსებული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყურება შუქნიშნის წითელი სიგნალი; მესამე, ჩვენ ვიყენებთ წესს, რომელიც აგრეთვე მეხსიერებაშია შემონახული – „წითელ სიგნალზე მანქანის გაჩერება აუცილებელია“. ცხადია, რომ ძირითადად, ეს პროცესი შეიძლება, უფრო მეტადაც დანაწევრდეს. მაგრამ მთავარი სხვაა, კერძოდ ის, რომ აღწერილ ეტაპებზე პირველადმა ინფორმაციამ საგრძნობი გარდაქმნა განიცადა. უბრალო მხედველობითი შეგრძნებიდან იგი გადაიქცა ამოცნობილ კატეგორიად (წითელი სიგნალის საგნობრივ აღქმად), რის შემდეგაც იგი ისევ შეიცვალა და გადაიქცა გარკვეული წესის შესრულების პირობად. აქედან ჩანს, რომ პროცესის ყოველი ეტაპი ან დონე შეესაბამება სტიმულში ჩადებული ინფორმაციის გარკვეულ ფსიქიკურ მოცემულობას. ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლისას იცვლება ინფორმაციის ფსიქიკური რეპრეზენტაციის სახე.

იგივე მაგალითი შეიძლება განხილულ იქნეს სისტემის ინფორმაციული გამტარიანობისა და მოცულობის თვალსაზრისითაც. ყოველ ეტაპს ინფორმაციის გადამუშავების გარკვეული ფარგლები აქვს. თუ შუქნიშნის წითელ სინათლეს დავუმატებთ მოძრაობის მომწესრიგებელ პოლიციელს, რამდენიმე მოსეირნეს და სასწრაფო დახმარების მანქანას, ერთეულთა რაოდენობამ შეიძლება გადააჭარბოს იმ საზღვარს, რომელშიც მხედველობით სისტემას შეუძლია სტიმულთა ერთდროული რეგისტრაცია. ხდება რეგისტრის გადატვირთვა, რასაც მთელი რიგი გართულებებისა შეიძლება მოჰყვეს. მაგალითად, ინფორმაციის ნაწილი არ შევიდეს სისტემაში; მოხდეს სტიმულური სიტუაციის სრულიად ახლებური კოდირება და მან სხვა სტიმულის სახე მიიღოს (სახიფათო სიტუაცია), ან კიდევ დაიწყოს ინფორმაციის უფრო სელექციური გადამუშავება – მაგალითად, მთელი ყურადღება დაფიქსირდეს პოლიციელზე და სტრუქტურის დანარჩენი ელემენტები საერთოდ შეუმჩნეველი დარჩეს [25].

ადამიანის მიერ ინფორმაციის მიღებისა და გადამუშავების უნარის შეზღუდულობის შესახებ შემეცნებითი პროცესების კლასიკურ ფსიქოლოგიაშიც ბევრი რამ იყო ცნობილი. არსებითად, ამაზე მეტყველებს ყურადღების მოცულობასა და განაწილებასთან, მის რხევადობასა და მდგრადობასთან დაკავშირებული ფაქტები. კოგნიტურმა ფსიქოლოგიამ ამ ფენომენების ბევრად უფრო ღრმა, ზუსტი და მრავალმხრივი შესწავლა მოახერხა. ამისთვის შეიქმნა მრავალი ახალი, უფაქიზესი და უზუსტესი ლაბორატორიული მეთოდიკა. შემეცნების პროცესში მონაწილე მოვლენების უფრო დიფერენცირებული და მკაცრი აღწერა-დახასიათებისთვის შემოიღეს ბევრი ახალი ტერმინი: მხედველობითი, ვერბალური, სივრცითი თუ სხვა კოდები, ანალოგობრივი და სივრცითი რეპრეზენტაციები, სხვადასხვა რიგის იზომორფიზმები, სენსორული რეგისტრები, იკონიკური და ექოიტური მეხსიერება, მრავალგანზომილებიანი სივრცეები, შაბლონები, სტრუქტურული აღწერები, სემანტიკური ბადეები, მულტიკომპონენტური ფაქტორები და ჰოლოგრამებიც კი. მაგრამ კოგნიტური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტის, ს. პალმერის თქმით, ეს ტერმინოლოგიური სიჭარბე სასარგებლო არ აღმოჩნდა იმის გამო, რომ ტერმინებს შორის არსებული მიმართებები და განსხვავებები, უმრავლეს შემთხვევაში, ბოლომდე გასაგები არ არის. ეს კი შეუთავსებელია ცოდნის იმ დარგისთვის, რომელსაც ღრმად ესმის თავისი პრობლემები და სერიოზულად არის მიმართული მათ გადასაწყვეტად, დაასკვნის იგი [60].

როგორც ვხედავთ, შეფასება საკმაოდ მკაცრია. მიუხედავად იმისა, რომ 70-90-იანი წლები უკვე კოგნიტივიზმის ტოტალური ბატონობის სურათს წარმოაჩენს, დღეს ამ მიმართულების მიღწევების შეფასება თვით მისი წარმომადგენლების მხრივაც საკმაოდ თავშეკავებულია. კომპიუტერული მიდგომის შემოტანამ თავდაპირველად, მართლაც, დიდი ენთუზიაზმი აღძრა. ახალი მეთოდიკების სიუხვემ, ცდების დაგეგმვაში, წარმართვასა და მასალის დამუშავებაში გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებამ, ინფორმაციულ-კომპიუტერულმა ცნებებმა და ანალოგიებმა პროგრესის მათრობელი განცდა გამოიწვია. გაჩნდა იმედი, რომ კოგნიტური ფსიქოლოგია დაძლევდა ყველა იმ სირთულეს, რომლებმაც, საბოლოო ჯამში, ჩიხში შეიყვანეს შემეცნებითი პროცესების შესწავლა კლასიკურ ფსიქოლოგიაში. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მოლოდინები გადაჭარბებული იყო. ფსიქოლოგიის ისტორიკოსების დასკვნით, ე.წ. *კოგნიტური რევოლუცია* მითი აღმოჩნდა [27]. კვლევის მეთოდოლოგიაში კოგნიტური ფსიქოლოგიის დამკვიდრებას თვისებრივი ცვლილება არ მოჰყოლია. მან მართლაც მიაკვლია ტრადიციული ფსიქოლოგიის პრობლემების ბევრ ახალ ასპექტს, მაგრამ პარადიგმატული გადატრიალებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. აუცილებელი იყო ამოსავალი მეთოდოლოგიური მიდგომის კარდინალური შეცვლა, რაც, სამწუხაროდ, არ მოხდა. ნაისერი თავის შემაჯამებელ წიგნში გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ინფორმაციის გადამუშავებასთან დაკავშირებული „თანამედროვე კვლევების საფუძვლადმდებარე პოსტულატები, ინტროსპექციაზე უარის თქმის მიუხედავად, განსაცვიფრებლად მცირედ განსხვავდებიან XIX საუკუნის ინტროსპექტული ფსიქოლოგიის პოსტულატებისაგან“ [30; 29].

ნაისერი საკმაოდ კრიტიკულია იმ მიმართულების მიმართ, რომლის ერთ-ერთი მთავარი ფიგურაც თავად არის. ეს საკმაოდ იშვიათი მოვლენაა მეცნიერებაში.[1] მას არ აკმაყოფილებს ცოდნის ის დონე, რომელიც არსებობს მთლიანად შემეცნებითი პროცესების კვლევაში და, კერძოდ, მეხსიერების ფსიქოლოგიაში. ვნახოთ, როგორია მეხსიერების შესწავლის ზოგიერთი ძირითადი შედეგი კოგნიტურ ფსიქოლოგიაში. აქ ინფორმაციის გადამუშავების თანმიმდევრული ეტაპების სახით მეხსიერების სამი ბლოკი გამოიყოფა: პირველი – ესაა ე.წ. *სენსორული ან კატეგორიამდელი მეხსიერება*. ამ ეტაპზე ხდება ინფორმაციის შენახვა სტიმულის უშუალო აღბეჭდვის ფორმაში. ის არის ზემოქმედი სიტუაციის მყისიერი და ზუსტი სურათი, რომელიც წამის მეათედების განმავლობაში შემოინახება. ეს ხდება უპირატესად ვიზუალურ (იკონიკური მეხსიერება) ან აკუსტიკურ (ექოიტური მეხსიერება) ფორმაში. აღნიშნულ ეტაპზე ინფორმაციის გადამუშავება არ მიმდინარეობს, მაგრამ ეს სენსორული ანაბეჭდი ქმნის „არჩევანის სივრცეს", საჭირო ინფორმაციის არასაჭიროსგან გამოყოფის საშუალებას. ამრიგად, მეხსიერების ამ ფორმის ნიშნებია: სტიმულისა და მისი გამოსახულების სრული შესაბამისობა, ჭარბი ინფორმაციის არსებობა და არასელექტიურობა.

ინფორმაციის მნემური გადამუშავების შემდგომი ეტაპი *ხანმოკლე მეხსიერებაა*. ინფორმაციის შემონახვის დრო ამ შემთხვევაში 20-30 წამით შემოიფარგლება. გარდა მეტი ხანგრძლივობისა, სენსორული მეხსიერებისგან მას ისიც განასხვავებს, რომ აქ იწყება ინფორმაციის ინტერპრეტაცია, მისი მიკუთვნება სხვადასხვა კლასის კატეგორიებისადმი. ხანმოკლე მეხსიერების მოცულობა 7±2 ერთეულის ტოლია. გავრცელებული შეხედულებით, მასში ინფორმაცია აკუსტიკურ ფორმაშია კოდირებული [8][16][25], თუმცა, თანამედროვე მონაცემებით, აქ ვიზუალური და სემანტიკური კოდებიც მონაწილეობენ. ამასთან, ვიზუალური კოდები დროში წინ უსწრებენ დანარჩენებს.

რაც შეეხება *ხანგრძლივ მეხსიერებას*, რომელიც ინფორმაციის მნემური ორგანიზაციის მესამე საფეხურია, აქ ინფორმაციის შემონახვა უპირატესად სემანტიკურ ფორმაში ხორციელდება. ინფორმაციის მოცულობა და შენახვის ხანგრძლიობა პრაქტიკულად შეუზღუდავია. ხანგრძლივი მეხსიერება სხვადასხვა სისტემას შეიცავს: *ეპიზოდურს და სემანტიკურს, დეკლარაციულს და პროცედურულს*. ეპიზოდურ მეხსიერებაში მოცემულია ავტობიოგრაფიული ხასიათის ინფორმაცია, სემანტიკურში – ცოდნა; თავის მხრივ, დეკლარაციულ მეხსიერებაში აღბეჭდილია ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რას წარმოადგენს ესა თუ ის მოვლენა, ხოლო პროცედურულში – როგორ უნდა შესრულდეს ესა თუ ის მოქმედება. კოგნიტური ფსიქოლოგია ცდილობს, გაარკვიოს, სად და როგორ ხდება ხანგრძლივ მეხსიერებაში ინფორმაციის შემოსვლა, ორგანიზაცია, ფიქსაცია და წაშლა. ამ კითხვებზე ამომწურავი პასუხი ჯერჯერობით არ არსებობს. მეხსიერების ფუნქციონირების ყველა ამ მხარის დახასიათებისთვის სპეციალური მიკროთეორიებია შემუშავებული. რაც შეეხება ხანგრძლივი მეხსიერების საერთო მოდელს, მასში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული

[1] ერთ-ერთმა ანალიტიკოსმა ამ არაორდინარულ ვითარებას დაარქვა „ნაისერი ნაისერის წინააღმდეგ" [15].

ის გარემოება, რომ მეხსიერებაზე დაყრდნობით ადამიანს საშუალება აქვს, უპასუხოს ყოველგვარ კითხვაზე, რომელიც წინასწარ არ იყო დაგეგმილი. ხანგრძლივი მეხსიერების ეს თავისებურება იმაზე მიუთითებს, რომ მოგონება წარსულში მომხდარის პასიური აღდგენის პროცესი კი არ არის, არამედ მნემური ამოცანის გადაწყვეტის აქტიური პროცესია. შემოსული ინფორმაციის „გაგება“ ხანგრძლივ მეხსიერებაზე აგებული ქცევის აუცილებელი თვისებაა. ადამიანი დაუფიქრებლად აანალიზებს ინფორმაციას წინა გამოცდილებასთან შესატყვისობის თვალსაზრისით. ამიტომ მეხსიერება არ შეიძლება იყოს ფაქტების უწესრიგო თავყრილობა. ინფორმაციული ერთეულები ორგანიზებული არიან ერთიან სისტემაში, სადაც ხდება ცნებების სწრაფი ურთიერთშედარება მათი მსგავსებისა და განსხვავების დასადგენად.

გამოთქმულია რამდენიმე ვარაუდი ინფორმაციის მნემური ორგანიზაციის ფსიქოლოგიური პრინციპებისა და მექანიზმების შესახებ. ერთ-ერთი მათგანია ასოციაცია. ნაჩვენებია, თუ როგორ ფუნქციონირებს შემოსული ინფორმაციის ამოცნობის მექანიზმი ხანგრძლივ მეხსიერებაში შენახულ ეტალონებთან მისი შედარების გზით. ფართოდ განიხილება გამეორება, როგორც რეგულაციური პროცესი. შემონახვის მოვლენის შესწავლა და ანალიზი ორი კუთხით მიმდინარეობს: ფსიქოინფორმაციულით და ნეიროფსიქოლოგიურით. პირველ შემთხვევაში, ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე საკმაოდ რთული თეორიული მოდელები მუშავდება. მათში დეტალურად არის აღწერილი ის კოგნიტური სტრუქტურები, სადაც ინფორმაციაა ორგანიზებული [4][8][36]. რაც შეეხება ნეიროფსიქოლოგიურ კვლევას, ის, ძირითადად, ადასტურებს, რომ მნემური ფუნქცია ტვინში საკმაოდ სტრუქტურირებულია: ხანმოკლე მეხსიერების ფუნქციონირებისას ტვინის ერთი უბანია აქტივირებული, ხოლო სემანტიკური გადამუშავებისას – მეორე. იგივე სურათი მეორდება მეხსიერებიდან სხვადასხვა სახის ინფორმაციის ამოღებისას [22].

დაბოლოს, დავიწყების მოვლენის ასახსნელად კოგნიტურ ფსიქოლოგიაში, ძირითადად, ორი მექანიზმი განიხილება: ერთის მიხედვით, დავიწყება ხდება ინფორმაციის წაშლის გზით (პასიური ჩაქრობა), ხოლო მეორის მიხედვით მთავარ როლს ასრულებს ახალი მასალის შემოსვლა და ძველის განდევნა (ინტერფერენცია).

ყოველივე ამის მიუხედავად, ან, შესაძლოა, სწორედ ამიტომ, ნაისერი ასეთ დასკვნამდე მიდის: მეხსიერების ასწლიანმა შესწავლამ, ამბობს იგი, საკმაოდ შემაცბუნებელი შედეგები მოგვცა. ჩვენ დავადგინეთ სანდო ემპირიული განზოგადებები, მაგრამ მათი უმრავლესობა იმდენად აშკარაა, რომ ათი წლის ბავშვისთვისაცაა ცნობილი. მეხსიერების თანამედროვე მოდელები თითქოს უშეცდომოა, მაგრამ ისინი იმდენად ცოტას ამბობენ მეხსიერების ყოველდღიური გამოყენების შესახებ, რომ, საბოლოო ჯამში, იმავე ბედს იზიარებენ, რაც დასწავლის თეორიას ეწია [21]. ერთი სიტყვით, კოგნიტური ფსიქოლოგიის მოდელები *ეკოლოგიურად ვალიდური* არ არიან (ტერმინი ა. ბრუნსვიკსა და ჯ. გიბსონს ეკუთვნით). ეს იმას ნიშნავს, რომ გარკვეული ხელოვნურობისა და ლაბორატორიულობის გამო, ისინი ვერ გამოხატავენ შემეცნებითი პროცესების ყოველდღიურ და ბუნებრივ ფუნქციონირებას. კოგნიტურმა ფსიქოლოგიამ ვერ შექმნა შემეცნებითი პროცესების ერთიანი სურათი. სადღეისოდ

არსებობს უამრავი ფაქტი და მინითეორია, რომელთა გაერთიანება მწყობრ სისტემაში ვერ ხერხდება. შეიძლება ითქვას, რომ კოგნიტივისტური მიდგომა, ადრეული მენტალისტური ფსიქოლოგიის მსგავსად, სერიოზულ სირთულეებს განიცდის შინაგანი ფსიქიკური პროცესების ადეკვატურ მეცნიერულ ენაზე წარმოდგენის საქმეში.

მაგრამ ნაისერის პრეტენზიები კოგნიტური ფსიქოლოგიის მიმართ უფრო არსებითი და პრინციპული ხასიათისაა. ნაისერს არ აკმაყოფილებს ის გარემოება, რომ კოგნიტივიზმი რჩება მხოლოდ შემეცნების პროცესების ფსიქოლოგიად. ნამდვილმა ფსიქოლოგიამ უნდა დასვას და გადაჭრას უფრო ფუნდამენტური პრობლემები, რომლებიც ადამიანის ბუნებასა და ქცევის დეტერმინაციასთან არის დაკავშირებული. ეს პრობლემები, ამბობს იგი, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ არ შეიძლება მათი მიტოვება ბიჰევიორიზმისა და ფსიქოანალიზის ამარა. რამდენადაც ისინი ქცევისა და პიროვნების ზოგადფსიქოლოგიური თეორიებია, გამოდის, რომ კოგნიტურ ფსიქოლოგიასაც მსგავსი პრეტენზიები უნდა ჰქონდეს. როგორც ჩანს, ნაისერი მართლაც ასე ფიქრობს, ვინაიდან თავის საპროგრამო წიგნში კოგნიტური ფსიქოლოგიის საბოლოო ამოცანად იმას მიიჩნევს, რომ აჩვენოს ცოდნის როლი ადამიანის ქცევის დეტერმინაციაში. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მკითხველისთვის გაუგებარი რჩება, თუ როგორ აპირებს ავტორი ამ ამოცანის გადაწყვეტას, რადგანაც მთელი შრომა ფსიქიკაში ინფორმაციის გადამუშავების პროცესებს ანუ შემეცნებით ფსიქოლოგიას ეძღვნება.

იბადება კითხვა, შეიძლება კი, საერთოდ, შემეცნების ფსიქოლოგიიდან, როგორც ზოგადი ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ნაწილიდან, მივიღოთ ზოგადფსიქოლოგიური მასშტაბის კონცეფცია? ცხადია, არ კმარა მხოლოდ იმის თქმა, რომ ქცევა ცოდნით არის დეტერმინირებული (რასაც ნაისერი ამბობს კიდეც). კოგნიტურმა ფსიქოლოგიამ ზოგადფსიქოლოგიური თეორიის სახე რომ მიიღოს, აუცილებელია იმ კანონზომიერებათა ჩვენება, თუ როგორ განსაზღვრავს რეალურად ცოდნა ადამიანის ქცევას. აქ კი ნაისერი და მისი ორიენტაციის ყველა მკვლევარი უძლურია რამდენადმე მნიშვნელოვანი და საინტერესო რამ თქვას, რადგან იგი, ფაქტობრივად, ამ პრობლემას არ შეისწავლის. მისი შესწავლის საგანი, ძველი ფსიქოლოგიის ენით რომ ვთქვათ, შემეცნებითი ფსიქიკური ფუნქციებია. აქ მოპოვებული ფაქტები და მათი ამხსნელი თეორიები კერძო ანუ ე.წ. მცირე ფსიქოლოგიური თეორიებია; ისინი ეხებიან კონკრეტულ ფსიქიკურ პროცესებს (აღქმას, მეხსიერებას, აზროვნებას და, შესაძლოა, მათ კავშირებსაც), მაგრამ არა ადამიანის მთელ ქცევას, მის ყოველგვარ აქტივობას და, მითუმეტეს, პიროვნების ბუნებას. ის ზოგადი, არსებითი, ფუნდამენტური კანონზომიერებანი, რაც ყოველივე ამას უდევს საფუძვლად, პრინციპულად ვერ მოთავსდება მცირე, კერძო თეორიის ჩარჩოებში.

ნაისერი, როგორც ჩანს, ამას არ აცნობიერებს. იგი ავითარებს შემეცნების ფსიქოლოგიას და სურს, რომ მან გადაწყვიტოს ქცევისა და პიროვნების საკითხები. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ კოგნიტივიზმის ფარგლებში, უკვე საკმაო ხანია, არსებობს თეორიები, რომლებიც ყველა ნიშნის მიხედვით უნდა მივაკუთვნოთ ქცევის მასშტაბურ კონცეფციებს. პირველ რიგში, ეს ეხება ზემოაღნიშნულ *კოგნიტური კონსისტენტობის ან კონგრუენტობის თეორიებს,* რომლებიც ორმოცდაათიან წლებში

გამოჩნდნენ ამერიკულ სოციალურ ფსიქოლოგიაში და მასში კოგნიტივისტური ორიენტაცია დაამკვიდრეს. აღსანიშნავია ასევე ქცევის ზოგადი კონცეფცია, რომელიც გადმოცემულია ჯ. მილერის, ი. გალანტერის და კ. პრიბრამის 1960 წელს გამოქვეყნებულ კლასიკურ ნაშრომში – „ქცევის გეგმები და სტრუქტურები". ეს თეორიები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ ერთი არსებითი გარემოება აერთიანებს: ისინი კოგნიტურ ფაქტორებზე დაფუძნებული ზოგადი ამხსნელი თეორიებია. მათი ძირითადი ნიშანი ქცევის კოგნიტური, ცოდნისეული გაპირობებულობის მტკიცებაა. პირველ შემთხვევაში აქცენტი დეტერმინაციის დინამიკურ ასპექტზე კეთდება, ხოლო მეორეში – რეგულაციურზე. დღეისთვის ნათელია, რომ ქცევის დეტერმინაციის ამ ასპექტების დაშორება არ შეიძლება. ამიტომ ქცევის თანამედროვე კოგნიტივისტური მოდელებისთვის მათი გაერთიანების ტენდენციაა დამახასიათებელი. ამაზე ქვევით ვისაუბრებთ. ჯერჯერობით კი საჭიროა საგანგებოდ აღინიშნოს შემდეგი გარემოება: კოგნიტივიზმი ან კოგნიტური ფსიქოლოგია, რომელიც თანამედროვე ფსიქოლოგიის ყველაზე გავრცელებულ და გავლენიან მიმდინარეობად შეიძლება ჩაითვალოს, ორი სახით არის წარმოდგენილი: ერთი, როგორც შემეცნებითი პროცესების შემსწავლელი დარგი, თავისი სპეციფიკური მეთოდოლოგიური, მეთოდური, ტერმინოლოგიური და კონცეპტუალური ასპექტებით (ჩვენი ანალიზის კონტექსტში მთავარი ისაა, რომ ყოველგვარი განზოგადება მოცემულ სფეროში *კერძო ან მცირე თეორიის* ფარგლებს არ სცდება) და მეორე – კოგნიტივიზმი, როგორც საერთო კონცეფცია ადამიანის ყოველგვარი აქტივობის შესახებ, ანუ როგორც *დიდი ზოგადფსიქოლოგიური თეორია*. სამწუხაროდ, სპეციალურ ლიტერატურაში კოგნიტური ფსიქოლოგიის ანალიზისას ეს გარემოება სათანადოდ არ არის გააზრებული. როგორც წესი, მკვლევართა მხედველობის ველში კოგნიტივიზმის მხოლოდ ერთი სახეობა, ერთი მხარე ექცევა და ანალიზიც ამით შემოიფარგლება.

* * *

კოგნიტივიზმის, როგორც შემეცნების ფსიქოლოგიის ძალიან მოკლე და ზოგადი დახასიათების შემდეგ, ცოტა უფრო ფართოდ განვიხილოთ ქცევის ზოგიერთი კოგნიტივისტური კონცეფცია. დავიწყოთ უკვე ნახსენები კოგნიტივისტური ორიენტაციით სოციალურ ფსიქოლოგიაში. ზემოთ ითქვა, რომ იგი, არსებითად, ადამიანური ქცევის ზოგადი კონცეფციაა. მას საფუძვლად უდევს სწორედ ზოგადფსიქოლოგიური თეორია, სახელდობრ, გეშტალტფსიქოლოგია. *სოციალურმა კოგნიტივისტებმა*, რომელთა რიცხვს მიეკუთვნებიან ისეთი თვალსაჩინო ავტორები, როგორებიცაა: ფ. ჰაიდერი, ლ. ფესტინგერი, რ. აბელსონი, მ. როზენბერგი, ე. არონსონი, ჩ. ოსგუდი, პ. ტანენბაუმი, ს. აში, დ. კრეჩი, რ. კრაჩფილდი და სხვები, აითვისეს გეშტალტფსიქოლოგიის ძირეული იდეები და ცნებები – იზომორფიზმი, ხატი, კარგი ფიგურის დომინირება, პრეგნანტობა და ა.შ. ხატის ცნებასთან დაკავშირებული კოგნიტური სტრუქტურების ორგანიზაციის იდეასთან ერთად, კოგნიტივიზმი ეყრდნობოდა მოტივაციის ცნებასაც, რაც კ. ლევინის ველის თეორიის უშუალო გავლენით მოხდა. ლევინის მიერ შესწავლილი ვალენტობა, კონფლიქტი, დასრულებულობისკენ სწრაფვა

და დაძაბულობა ქცევითი კოგნიტივიზმის, კერძოდ კი ე.წ. *კოგნიტური თავსებადობის,* როგორც მოტივაციური თეორიების, საყრდენ წერტილად იქცა. მხოლოდ ცოდნა, ინფორმაცია არ არის საკმარისი ფაქტორი სოციალური ქცევის გასაგებად. ყველა ქცევის მსგავსად, სოციალურ ქცევასაც ინიციაცია, აღძრა ესაჭიროება. ასეთი მოტივაციური ფაქტორი კი კოგნიტურ სფეროში აღმოცენებული პროცესის შედეგია. ამდენად, მოტივაციური ფაქტორი მეორეულ, კოგნიტური სფეროდან გამომდინარე ქცევის, დეტერმინანტად გვევლინება [47].

სოციალურ-ფსიქოლოგიური კოგნიტივიზმი არ ამოიწურება კოგნიტური თავსებადობის თეორიებით, მაგრამ, არსებითად, სწორედ ისინი განსაზღვრავენ მის სახეს. კოგნიტური თავსებადობის რამდენიმე თეორიული მოდელი არსებობს. მათ შორის გამოყოფენ: ჰაიდერის, ნიუკომის, ოსგუდ-ტანენბაუმისა და ფესტინგერის თეორიებს. როგორც საერთოდ კოგნიტივისტური თვალსაზრისისთვის, ისე მათთვისაც ძირეულია თეზისი კოგნიციის, შემეცნებითი პროცესებისა და სტრუქტურების პრიორიტეტის შესახებ ქცევის (სახელდობრ კი სოციალური ქცევის) დეტერმინაციაში. ბიჰევიორიზმის სანინააღმდეგოდ გამოთქმულია რწმენა, რომ ქცევა, საბოლოო ჯამში, ადამიანის შინაგანი სამყაროდან მომდინარეობს და მის ორგანიზაციას შემეცნებითი პროცესი ახორციელებს. გამოცდილების ორგანიზაციის შედეგად წარმოიქმნება სხვადასხვა სახის იდეები, რწმენები, მოლოდინები, განწყობები. ისინი სოციალური ქცევის რეგულატორებია. ქცევა ხატების, წარმოდგენების, ცნებების, ანუ სხვადასხვა კოგნიტურ-მენტალური მოვლენების ორგანიზაციის შედეგია.

თავსებადობის თეორიებისთვის სპეციფიკურია შემდეგი იდეა: ყოველგვარი კოგნიტური სტრუქტურა თავისი ბუნებით ისეთია, რომ უნდა იმყოფებოდეს ბალანსურ, ჰარმონიულ, გაწონასწორებულ მდგომარეობაში. ამგვარი მდგომარეობის ყოველგვარი დარღვევა აღძრავს საწყისი ანუ ოპტიმალური მდგომარეობის აღდგენის ტენდენციას. ადამიანის ქცევა მიმართულია იმაზე, რომ მისი კოგნიტური სტრუქტურები მაქსიმალურად იყვნენ გაწონასწორებული. თავსებადობის ამ ძირითად იდეაზე დაყრდნობით, დროის საკმაოდ მცირე შუალედში, 50-60-იან წლებში, რამდენიმე თეორიული მოდელი შეიქმნა. მათ ეწოდათ *ბალანსის, დისონანსის, კონგრუენტობისა და სიმეტრიის თეორიები.* პირველი ორი ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობს და, ამიტომ, სწორედ მათ ძირითად დებულებებზე შევაჩერებთ ყურადღებას.

დავიწყოთ ავსტრიელ-ამერიკელი ფსიქოლოგის, აშშ-ში სოციალური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, **ფრიც ჰაიდერის** (1896-1988) თეორიით. ჰაიდერმა გერმანიაშივე განიცადა გეშტალტფსიქოლოგიის ძლიერი გავლენა და ამერიკაშიც, ერთ ხანს, ფ.კოფკასთან ერთად მუშაობდა.

ჰაიდერმა შემოიტანა „საღი აზრის" ან „ცხოვრებისეული, გულუბრყვილო ფსიქოლოგიის" ცნება, რომელიც მდიდარ მასალას გვაძლევს სოციალური ქცევის საიდუმლოთა გასახსნელად. „ქუჩიდან" მოსული ადამიანები გარეშემყოფთა ქცევას მიაწერენ ან შინაგან მიზეზებს (მაგალითად, პიროვნულ მიდრეკილებებს) ან გარეგან მიზეზებს (მაგალითად, სიტუაცია, რომელშიც ადამიანი აღმოჩნდა). ქცევის მიზეზები მიეწერება ან გარემოცვას, ან მოქმედ პირს. როცა ეს მიზეზები ნაგულისხმებია

გარემოცვაში, მაშინ ადამიანი არ ითვლება პასუხისმგებლად თავის ქცევის დადებით ან უარყოფით შედეგებზე, და პირიქით. ამდენად, ჰაიდერი *ატრიბუციის* ფსიქოლოგიის სათავეებთან დგას. თავისი *სტრუქტურული ბალანსის* თეორიის აგებისას, ატრიბუციის შეხედულებასთან ერთად, ჰაიდერი იყენებს წონასწორობის ან თავსებადობის იდეას. ადამიანების აზრებს შორის უნდა არსებობდეს თავსებადობა. კოგნიტური სისტემა დაბალანსებული უნდა იყოს. წონასწორობის დარღვევა, ანუ დისბალანსი, კოგნიტურ სისტემაში (ველში) წარმოქმნის დაძაბულობას და აჩენს ბალანსის აღდგენისკენ მიმართულ ძალებს. საღი აზრიდან წამოსული ეს მოსაზრებები ჰაიდერის მიერ ემპირიულად მოწმდება კვლევებით, რომლებშიც შეისწავლება სამი ელემენტის ურთიერთმიმართების შედეგად აღმოცენებული კოგნიტური ველი. ეს ელემენტებია: „ადამიანი", „სხვა" და „ობიექტი". კვლევის ამოცანაა, დადგინდეს, რომელი ტიპის ურთიერთობაა ამ სისტემაში დაბალანსებული და რომელი იწვევს დისკომფორტის განცდას. მიმართებათა ეს სისტემა აღიწერება სქემით P-O-X, სადაც P – არის აღმქმელი სუბიექტი, O – აღქმული სუბიექტი და X – ობიექტი, რომელიც აღიქმება ორივე სუბიექტის მიერ. ელემენტებს შორის ორი სახის ურთიერთობაა დაშვებული – *შეფასების* (მაგალითად, მოსწონს-არ მოსწონს, უყვარს-არ უყვარს) და *მიკუთვნებულობის* (მაგალითად, ჰგავს-არა ჰგავს, ახლოს-შორს). ყოველი მათგანი, თავის მხრივ, შეიძლება იყოს პოზიტიური ან ნეგატიური. პიროვნების კოგნიტური სისტემა დაბალანსებულია, თუ იგი აღიქვამს სიტუაციას სტრესის გარეშე, როგორც ჰარმონიულს, ანუ თუ მოცემული შეფასებისა და მიკუთვნებულობის ურთიერთობები აღიქმება როგორც პოზიტიური. ამ მოდელით ადვილი გამოსათვლელია, როგორი იქნება მესამე ურთიერთობა, თუ ცნობილია დანარჩენი ორი. P-O-X-სქემა ლოგიკურად გამართულია და იძლევა მოცემული ტრიადის ფარგლებში მარტივი პროგნოზის გაკეთების საშუალებას. მასზე დაყრდნობით შესრულებულია მრავალი გამოყენებითი ხასიათის გამოკვლევა, განსაკუთრებით ამომრჩეველთა ატიტუდების შეცვლაზე პროპაგანდის გავლენის ჩვენების მიმართულებით. ჰაიდერის სტრუქტურული ბალანსის თეორია თავსებადობის თეორიების ჯგუფს მიკუთვნება და მასზე სრულად ვრცელდება ყოველივე დადებითი და უარყოფითი, რაც ამ სახის კონცეფციებისთვისაა დამახასიათებელი და რაზეც ქვემოთ შევჩერდებით [64].

ძალიან პოპულარულია თავსებადობის თეორიების კიდევ ერთი ნაირსახეობა, **ლეონ ფესტინგერის** (1919-1989) *კოგნიტური დისონანსის თეორია*. ფესტინგერმა სადოქტორო დისერტაცია კურტ ლევინის ხელმძღვანელობით დაიცვა აიოვის უნივერსიტეტში. იყო ლევინის ასისტენტი მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ჯგუფური დინამიკის ცენტრში. 1947-1968 წლებში მუშაობდა მიჩიგანის, მინესოტისა და სტენფორდის უნივერსიტეტებში. 1968 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო სოციალური კვლევების ახალი სკოლის პროფესორი ნიუ-იორკში. სარგებლობდა დიდი პოპულარობით, როგორც მკვლევარი და როგორც ლექტორი. მისი ყველაზე ცნობილი მონაფეებია: ე. არონსონი, ფ. ზიმბარდო, ს. შეხტერი.

ფესტინგერი ამოდის იმ დებულებიდან, რომ კოგნიტური ელემენტები მიისწრაფვიან, იყვნენ *თავსებად და კონსონანსურ* მიმართებაში ერთმანეთთან. *არათავსება-*

დი ანუ დისონანსური მდგომარეობა უსიამოვნოა და იწვევს მისგან თავის დაღწევის ტენდენციას. დისონანსის რედუქცია შეიძლება მოხდეს ცნობიერებაში კონსონანსური ელემენტების გაზრდის (დამატების) ან თვით დისონანსში მყოფი ელემენტების შეცვლის გზით, რათა ისინი უფრო თავსებადნი გახდნენ. ფესტინგერს მოჰყავს მაგალითი, რომელიც მრავალი ავტორის მიერ გამეორების გამო, ცოტა არ იყოს, „გაცვდა", მაგრამ კვლავაც საკმაოდ დამაჯერებელია და ამ თეორიის დედააზრის თვალსაჩინო ილუსტრაციას ახდენს. თუ მწეველმა ადამიანმა იცის, რომ მოწევა მავნეა ან, უფრო კონკრეტულად, იწვევს კიბოს, იგი იმყოფება დისონანსის მდგომარეობაში. ერთი კოგნიტური ელემენტი – „მე ვეწევი" შეუთავსებელია მეორესთან – „მოწევა იწვევს კიბოს". ნათელია, რომ ამ დისონანსის მოხსნის ყველაზე ეფექტური საშუალება მოწევაზე ხელის აღებაა. მაგრამ ისიც ცნობილია, რაოდენ ძნელია ამის გაკეთება. ამიტომ ადამიანი, უმეტესწილად, ამჯობინებს, ზემოქმედება მოახდინოს მეორე კოგნიტურ ელემენტზე. საამისოდ ბევრი გზა არსებობს: 1) შეიძლება შევასუსტოთ მოწევასა და დაავადებას შორის არსებული კავშირი (მონაცემების უმრავლესობა მიღებულია კლინიკაში, ექსპერიმენტულად; შესაბამისად, არ გამოხატავს რეალურ მდგომარეობას); 2) შესაძლებელია საკუთარი თავის ასოცირება სხვა მწეველებთან (ბაბუაჩემი ბავშვობიდან ეწეოდა და ას წელს იცოცხლა); 3) შეიძლება დაირწმუნო თავი, რომ ფილტრი ბევრად ამცირებს სიგარეტის მავნებლობას; 4) შესაძლოა გაზარდო მოწევის ჰედონისტური ღირებულება (უმჯობესია, კაცმა შედარებით ხანმოკლე, მაგრამ სიამოვნებით აღსავსე სიცოცხლე განვლოს); 5) შეიძლება ისიც კი იფიქრო, რომ მოწევაზე უარის თქმა გასუქებას გამოიწვევს, რაც ასევე მავნეა ჯანმრთელობისთვის. ამ სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება. ჩვენი ცხოვრება სავსეა ასეთი მაგალითებით. ჩვენი ფსიქიკა, მართლაც, ამდაგვარად მუშაობს, რაც გარკვეულ „ყოფით დამარწმუნებლობას" მატებს ფესტინგერის შეხედულებას. ყოველ შემთხვევაში, იგი ბევრად უფრო „ეკოლოგიურად ვალიდურია", ვიდრე იგივე ნაისერის კოგნიტური ფსიქოლოგია. თანაც, ამის გამო სულაც არ მცირდება ფესტინგერის თეორიის მეცნიერული სიმკაცრე და სიზუსტე. კოგნიტური დისონანსის თეორია აგებულია საფუძვლიან მეცნიერულ დებულებებზე და განტკიცებულია მრავალფეროვანი და სარწმუნო ექსპერიმენტული მასალით.

კოგნიტური დისონანსის, როგორც ქცევის თეორიის, სულისკვეთებას კარგად გამოხატავს შემდეგი ნაწყვეტი ფესტინგერის ერთ-ერთი მთავარი შრომიდან: „დისონანსი, ანუ წინააღმდეგობრივი ურთიერთობის არსებობა, კოგნიციებს შორის, თავისთავად წარმოადგენს მოტივაციურ ფაქტორს. ტერმინ „კოგნიციაში" მე ვგულისხმობ ყოველგვარ ცოდნას, თვალსაზრისს ან რწმენას, რომელიც ეხება გარემოცვას ან ვინმეს ქცევას. კოგნიტური დისონანსი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც საწყისი პირობა, რომელიც იწვევს დისონანსის შემცირებაზე მიმართულ აქტივობას, ისევე, როგორც შიმშილს მივყავართ შიმშილის დაკმაყოფილებაზე მიმართული ქცევისკენ. ეს მოტივაცია ძალიან განსხვავდება იმისგან, რასთანაც, ჩვეულებრივ, საქმე აქვთ ფსიქოლოგებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი არაჩვეულებრივად ძლიერი აღმძვრელი ფაქტორია" [49; 3].

ახლა საჭიროა, განისაზღვროს ძირითადი ტერმინები. კოგნიტური დისონანსი აღმოცენდება კოგნიტურ ელემენტებს შორის. კოგნიტურ ელემენტებს მიეკუთვნება ის *ცოდნა*, რომელიც ადამიანს აქვს თავისი თავის, თავისი ქცევისა და თავისი გარემოცვის შესახებ. მაშასადამე, კოგნიტური ელემენტი ცოდნაა, ცოდნა ძალიან ფართო გაგებით, ვინაიდან ამ ტერმინით ისეთი მოვლენებიც აღინიშნება, რომლებიც, თითქოს, არ წარმოადგენენ ცოდნას. მაგალითად, უნდა ჩაითვალოს თუ არა თვალსაზრისი ცოდნად? ფესტინგერი ასე მსჯელობს: ადამიანი არ გაიზიარებს თვალსაზრისს, სანამ არ ირწმუნებს მის ჭეშმარიტებას; ამიტომ, ფსიქოლოგიურად, თვალსაზრისი არ განსხვავდება ცოდნისაგან. იგივე ითქმის რწმენის, ღირებულებისა და სოციალური განწყობების მიმართ. ისინი, ცხადია, განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგრამ, ძირითადი განსაზღვრების თანახმად, ყველა მათგანი კოგნიციაა და მათ შორის შეიძლება კონსონანსური და დისონანსური ურთიერთობები დამყარდეს. კოგნიტურ ელემენტებს შორის შესაძლებელია არარელევანტური მიმართებაც არსებობდეს. ამ შემთხვევაში მათ, უბრალოდ, არაფერი აქვთ საერთო ერთმანეთთან.

განსაზღვრების თანახმად, ორი ელემენტი დისონანსურ ურთიერთობაში იმყოფება, თუ ერთი ელემენტის უარყოფა გამომდინარეობს მეორიდან, ანუ ფორმალურად, X და Y დისონანსურები არიან, თუ ის, რაც X-ის უარყოფაა, გამომდინარეობს Y-იდან. ფესტინგერი გამოყოფს დისონანსის გამომწვევ ოთხი სახის ვითარებას: 1) ლოგიკური შეუთავსებლობა; 2) შეუთავსებლობა კულტურულ ნორმებთან; 3) მოცემული კოგნიტური ელემენტის შეუთავსებლობა კოგნიციათა უფრო ფართო სისტემასთან; 4) შეუთავსებლობა წარსულ გამოცდილებასთან. შესაძლებელია თითოეული მათგანის ილუსტრაცია ყოფით მაგალითებზე. 1) დავუშვათ, ადამიანს სჯერა, რომ ყველა ადამიანი მოკვდავია და, იმავდროულად, სჯერა იმისიც, რომ იგი, როგორც ადამიანი, იცხოვრებს მუდამ. აქ ერთი კოგნიცია ლოგიკური თვალსაზრისით მეორეს გამორიცხავს; 2) თუ ადამიანს ოფიციალურ ბანკეტზე ხელიდან უსხლტება ქათმის ნაჭერი, იმის ცოდნა, თუ რა ემართება, დისონანსშია იმასთან, რაც მან იცის ოფიციალური სადილის ეტიკეტის შესახებ. სხვა კულტურაში ეს კოგნიციები შეიძლება სულაც არ იყვნენ დისონანსური; 3) თუ ადამიანი, რომელიც თავს ყოველთვის თავს დემოკრატიული პარტიის მომხრედ თვლიდა, მაგრამ კონკრეტულ არჩევნებში ხმას რესპუბლიკელთა კანდიდატს აძლევს, დისონანსს უნდა განიცდიდეს; 4) თუ ადამიანი წვიმის ქვეშ დგას და არ სველდება, ეს ორი კოგნიცია დისონანსურ ურთიერთობაში იქნება, რადგან მან გამოცდილებით იცის, რომ წვიმა ასველებს ადამიანს. მაგრამ, თუ ისეთ კაცს წარმოვიდგენთ, რომელსაც წვიმა საერთოდ არ უნახავს, მას დისონანსი არ შეექმნება.

ასე წარმოიქმნება დისონანსი, რომელიც, თავის მხრივ, იწვევს მისი შემცირების ან სრული მოსპობის ტენდენციას. ფსიქოლოგიურად ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან დისონანსი სწორედ ამიტომ გვევლინება აქტივობის მოტივაციურ დეტერმინანტად. ამასთან არის დაკავშირებული შემდგომი დებულებაც – დისონანსის შემცირების მისწრაფება დისონანსის სიდიდის ფუნქციაა. თავად დისონანსის სიდიდე კი დამოკიდებულია კოგნიტური ელემენტების სუბიექტურ მნიშვნელობაზე,

ღირებულებაზე. ფესტინგერის თეორიაში განხილულია დისონანსის შემცირების ან მოხსნის რამდენიმე ხერხი, რომლებსაც, ჩვეულებრივ, მიმართავენ ადამიანები. ესენია: ა) ქცევითი კოგნიტური ელემენტების შეცვლა. თუ, ვთქვათ, წინააღმდეგობაში მოვიდა გარემოსა და ქცევის შესატყვისი კოგნიციები, ყველაზე უბრალო და ეფექტური გამოსავალი თვით ქცევისა და მასთან დაკავშირებული კოგნიციის შეცლაა. მაგალითად, თუ მავანი წავიდა პიკნიკზე და დაინახა, რომ განვიმდა, მას შეუძლია, სახლში დაბრუნდეს. ადამიანების ნაწილი თავს ანებებს მოწევას, როცა მიხვდება, რომ ეს ვნებს მის ჯანმრთელობას; ბ) ქცევითი კოგნიციის შეცვლის მსგავსად, შესაძლებელია გარემოსთან დაკავშირებული კოგნიციის შეცვლა, თუმცა ეს გაცილებით უფრო რთული საქმეა; გ) როცა შეუძლებელია რომელიმე დისონანსური ელემენტის შეცვლა, დისონანსის შემცირება ხდება ახალი კოგნიტური ელემენტების დამატებით. თუ ადამიანი თავს ვერ ანებებს მოწევას, მას საშუალება აქვს, შეამციროს დისონანსი ახალი კონსონანსური ელემენტების შემოყვანის გზით. იგი სელექციური ხდება ინფორმაციის მიმართ – აქტიურად ეძებს კონსონანსურ ცოდნას და ერიდება დისონანსურ ინფორმაციას. ხალისით ეცნობა მასალებს, სადაც მოცემულია იმ შეხედულების კრიტიკა, რომ მოწევა მავნებელია და, პირიქით, გადაჭარბებულად კრიტიკულია ან სულაც გაურბის იმ მასალების კითხვას, სადაც საპირისპირო მტკიცდება.

ფესტინგერის კოგნიტური დისონანსის თეორია ერთობ სარწმუნო ფაქტოლოგიას ეფუძნება და დებულებების მწყობრ სისტემას ქმნის. ის ნათელი და მარტივია. ე. არონსონის აზრით, კოგნიტური დისონანსის თეორიის სიმარტივე ერთდროულად მისი ძალაც არის და სისუსტეც. საქმე ისაა, რომ, თეორიის ბირთვის შემადგენელი საკმაოდ ნათელი ჰიპოთეზების მიუხედავად, მათზე დაყრდნობით ყოველთვის ვერ ხერხდება დისონანსის არსებობის უტყუარი დადასტურება. იგულისხმება ე.წ. არაცხადი დისონანსური სიტუაციები. ამ სირთულის მიზეზს არონსონი თვით არათავსებადობის ანუ დისონანსის განმარტებაში ხედავს. საქმე რომ მხოლოდ ლოგიკურ არათავსებადობას ეხებოდეს, დისონანსური სიტუაციების დადასტურება შედარებით გაადვილდებოდა. მაგრამ შეიძლება თუ არა ყველა სიტუაციის ინტერპრეტაცია ფორმულით – „არა X გამომდინარეობს Y- იდან". რას ნიშნავს გამომდინარეობს არა ლოგიკის, არამედ ფსიქოლოგიის თვალსაზრისით? მაგალითად, გამოიწვევს თუ არა დისონანსს იმის ცოდნა, რომ ჩემი საყვარელი მწერალი თავის ცოლს სცემს? თავისთავად ცნებები – „ცოლის ცემა" და „საყვარელი მწერალი" – არ არის არათავსებადი. ასეთებად ისინი იქცევიან მაშინ, თუ მე ვგულისხმობ, რომ დიდი ადამიანი უნდა იყოს ბრძენი, გულისხმიერი, თანამგრძნობი და ა.შ. ასეთი პიროვნებები კი ცოლებს არ სცემენ, მაგრამ ეს ჩემი პირადი შეფასება იქნება. ეს სიტუაცია არც ლოგიკური შეუსაბამობაა, არც კულტურული ნორმების აშკარა დარღვევა და არც დისონანსის გამომწვევი სხვა ვითარება. მაშასადამე, ისეთი სიტუაციების ცოდნა, რომელშიც დისონანსი შეიძლება წარმოიქმნეს, ყოველთვის არ არის საკმარისი დისონანსის რეალური აღმოცენების პროგნოზირებისთვის [14][64]. ფესტინგერის მოდელზე დაყრდნობით ძნელია იმის პროგნოზირებაც, თუ კონკრეტულ შემთხვევაში დისონანსის რედუქციის რომელი სტრატეგია იქნება გამოყენებული. ამის წინასწარმეტყველებას ის

გარემოება ართულებს, რომ ინდივიდები საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისგან შეუთავსებლობის მიმართ მგრძნობელობით, მისი აღმოჩენისა და ატანის შესაძლებლობით. ეს დამოკიდებულია ინდივიდის თვითცნობიერებაზე, საკუთარი კოგნიტური სისტემის ანალიზის უნარზე და პიროვნულ ცვლადებზე, რომლებიც განსაზღვრავენ როგორც სიტუაციის დისონანსურობის განცდას, ისე დისონანსის დაძლევის გზების გამოყენებას. ეს მომენტები ფესტინგერის თეორიაში არ არის გათვალისწინებული [67]. იგივე ითქმის ინდივიდის სიტუაციაში ეგოჩართულობის დონეზეც, ანუ იმაზე, თუ რამდენად იღებს იგი პასუხისმგებლობას მოცემულ ვითარებაზე და მოსალოდნელ შედეგებზე. სპეციალურმა გამოკვლევებმა გამოავლინა, რომ პასუხისმგებლობის ფაქტორი მნიშვნელოვნად განაპირობებს იმას, იარსებებს თუ არა კოგნიტურ ელემენტებს შორის დისონანსური ან კონსონანსური ურთიერთობა [65]. დისონანსის წარმოქმნის პირობებთან დაკავშირებით დ. მაკ-ლელანდი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ დისონანსი, როგორც განრიდების ტენდენციის შემცველი უსიამოვნო მდგომარეობა, წარმოიქმნება მხოლოდ მაშინ, თუ კოგნიტურ ელემენტებს შორის დიდი განსვლაა – მცირე განსვლა სასიამოვნოც კი არის. ს. მადი უფრო შორს მიდის და ამტკიცებს, რომ კოგნიტური დისონანსი, ზოგადად, სასიამოვნო და სასურველია იმ დოზით, რაც აუცილებელია ფსიქიკის აქტივაციის ჩვეული დონის შესანარჩუნებლად. ადამიანები მიისწრაფიან მრავალფეროვნებისკენ, ცვალებადობისკენ, სიახლისკენ, ე.ი. დისონანსისკენ, ვინაიდან სიახლეც და მოულოდნელობაც გულისხმობს განსვლას არსებულ წარმოდგენა-მოლოდინსა და აღქმულ სიტუაციას შორის [28].

ეს შენიშვნები კერძო ხასიათისაა და, უმთავრესად, ფესტინგერის თეორიას ეხება. ამასთან ერთად, საჭიროა, გამოითქვას ზოგიერთი კრიტიკული მოსაზრება მთელი ამ მიმდინარეობის მიმართ. საქმე ისაა, რომ თავსებადობის ყველა თეორია ჰომეოსტაზის პრინციპზე დაფუძნებული კონცეფციაა. მართალია, მათში ლაპარაკია არა ფიზიოლოგიური, არამედ კოგნიტური წონასწორობის აღდგენაზე, მაგრამ ზოგადი ხასიათის კრიტიკული შეფასება, რომელიც საერთოდ ჰომეოსტაზურ პრინციპს ეხება, მართებულია ამ მიმდინარეობის მიმართაც. როგორც ზემოთ ვნახეთ, პერსონოლოგიური და ჰუმანისტური ფსიქოლოგიის წარმომადგენლებმა (გ. ოლპორტი, კ. გოლდშტაინი, ა. მასლოუ) ნათლად აჩვენეს, რომ პიროვნება მოქმედებს არა მხოლოდ წონასწორობის აღდგენის, არამედ პირიქით, დაძაბულობის გაზრდის მიზნით.

ერთიც უნდა ითქვას: არ შეიძლება, შეიქმნას ქცევის ზოგადი თეორია მხოლოდ კოგნიტურ ცვლადებზე დაყრდნობით. ასევე ფიქრობენ შემდგომი თაობის კოგნიტივისტები, როცა აღნიშნავენ, რომ კოგნიტური დისონანსი, როგორც, საზოგადოდ, ყოველგვარი განსვლა (თუნდაც მოტივაციურად გაგებულ ელემენტებს შორის), არ არის ადამიანის დინამიზმის მასაზრდოებელი წყარო. ეს გარემოება კარგად გააცნობიერა კოგნიტური ორიენტაციის ზოგიერთმა თანამედროვე მკვლევარმა და მთელი ინტერესი იმაზე მიმართა, რომ მოენახა მოტივაციური დინამიზმის პირველწყარო და მისი კოგნიტური გადამუშავების მექანიზმები. ამ საკითხზე მოგვიანებით დაწვრილებით ვისაუბრებთ. ახლა კი მოკლედ განვიხილოთ ქცევის კოგნიტივისტური თეორიის


მეორე კლასიკური ვარიანტი, რომელიც 1960 წელს **ჯორჯ მილერმა** (1920-2012), **იუჯინ გალანტერმა** (1924-2016) და **კარლ პრიბრამმა** (1919-2015) ჩამოაყალიბეს თავის საეტაპო წიგნში – „ქცევის გეგმები და სტრუქტურები“.

ამ წიგნმა იმთავითვე დიდი რეზონანსი გამოიწვია. მასში ჩამოყალიბებული მოდელი დიდი ხნის განმავლობაში ქცევის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ კონცეფციად რჩებოდა. ის, ფაქტობრივად, ჩაენაცვლა ნეობიჰევიორისტულ თეორიებს. ფსიქოლოგიის ისტორიკოსები მას ზოგჯერ კოგნიტურ ბიჰევიორიზმსაც უწოდებენ [23], თუმცა ამგვარი კვალიფიკაცია არ უნდა იყოს მართებული, რადგან მოდელი კოგნიტივიზმის აშკარა ნიშნებს ატარებს. ეს ავტორთა მიერ დასახული მთავარი მიზნიდანაც ჩანს: გარკვეულ იქნეს, თუ როგორ შეიძლება შეივსოს ვაკუუმი შემეცნებასა და ქცევას შორის. ცხადია, რომ ასეთი მიზანი ბიჰევიორისტული აზროვნების ყოველგვარი გამოვლინებისთვის უცხოა.

მოცემულ თეორიულ მოდელში ცნობიერების (შემეცნებითი სტრუქტურების) ორი ერთეული გამოიყოფა – *გეგმა და ხატი*. სწორედ მათი ურთიერთობის შედეგად წარმოიქმნება ის მოვლენა, რომელსაც ქცევა ეწოდება. პრობლემა, თუ როგორ აღმოცენდება ქცევა გეგმიდან და ხატიდან, ნითელ ზოლად გასდევს მთელ შრომას. „გეგმა – ეს არის ორგანიზმში მიმდინარე იერარქიული სტრუქტურის მქონე ყოველგვარი პროცესი, რომელსაც უნარი შესწევს, გააკონტროლოს ოპერაციების რაიმე თანმიმდევრობის წესრიგი“ [29; 30]. ავტორებისთვის ანალოგია კომპიუტერსა და ცოცხალ არსებას (ადამიანს) შორის საკმაოდ მისაღებია და სასურველიც. ისინი პირდაპირ ამბობენ, რომ ორგანიზმისთვის გეგმა ის არის, რაც პროგრამა გამოთვლითი მანქანისთვის და რომ გეგმა ყველგან შეიძლება შეიცვალოს ტერმინით – *პროგრამა*. ამრიგად, ცნობიერება გეგმის მეშვეობით *ალგორითმულ* ფუნქციას ასრულებს (ოპერაციათა თანმიმდევრობის კონტროლი). ამასთან ერთად, ცნობიერებას ქცევასთან მიმართებით *ინფორმაციული* ასპექტიც აქვს. ეს ასპექტი ხატის ცნებაშია ფიქსირებული. „ხატი – ესაა ორგანიზმის მიერ დაგროვილი და ორგანიზებული მთელი ცოდნა საკუთარი თავისა და იმ სამყაროს შესახებ, რომელშიც იგი არსებობს“ [29; 32]. ხატი შეიცავს ყველაფერს, რაც ორგანიზმმა შეიძინა – შეფასებებს, ცნებებსა და დამოკიდებულებებს, რომლებიც მან ცხოვრების განმავლობაში გამოიმუშავა და ა.შ.

მიუხედავად ცნობიერების მოვლენების ამგვარი დაყოფისა, ავტორების აზრით, არ შეიძლება ცალსახად ითქვას, შედის თუ არა ესა თუ ის პროცესი მხოლოდ გეგმაში ან მხოლოდ ხატში. საქმე ისაა, რომ შესაძლებელია გეგმის დასწავლა და ამით მისი ხატის ნაწილად ქცევა. ცნობიერების, კოგნიციის ეს ერთეულები, როგორც წესი, მჭიდროდ ურთიერთობენ, უფრო მეტიც, ისინი გულისხმობენ ერთმანეთს. გეგმები ხატის ელემენტს შეიცავენ, რადგან იმის რწმენა, რომ ადამიანს შეუძლია მოცემული გეგმების შესრულება, მისი საკუთარი თავის შესახებ ხატის ნაწილია. საზოგადოდ, ცოდნის გარეშე გეგმა ვერ შეიქმნება და ვერ შეასრულებს თავის რეგულაციურ ფუნქციას. გარდა ამისა, ხატის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ ინფორმაციის შეგროვებასა და გადამუშავებასთან დაკავშირებული გეგმების შესრულების გზით; თავის მხრივ, გეგმებიც მხოლოდ ხატებში მოცემული ინფორმაციის მეშვეობით იცვლებიან.

ქცევის აღწერა-დახასიათება მისი სტრუქტურის დადგენას გულისხმობს. ამისთვის კი საჭიროა, გამოიყოს ანალიზის ერთეული, ის ელემენტარული პროცესი, რომელიც ათვლის წერტილად გამოდგება. ასეთ ერთეულად მიჩნეულია უკუკავშირის პრინციპზე დაფუძნებული ელემენტარული აქტი, რომელიც T-O-T-E-სიმბოლოთია აღნიშნული; T (test) – შემოწმება, O (operate) – ოპერაცია, E (exit) – შედეგი. აქტივობის ეს ელემენტარული ერთეული შემდეგი სქემით აღიწერება:



ყოველგვარი აქტივობა აღიძვრება რეალურ და სასურველ ქცევას შორის არსებული შეუსაბამობით. პირველი *ტესტი* ამ შეუსაბამობას ავლენს. ოპერაცია მიმართულია მის აღმოსაფხვრელად. *ოპერაციამ* უნდა შეცვალოს სიტუაცია. მოიხსნა თუ არა ეს შეუსაბამობა და, თუ მოხდა, რამდენად წარმატებულად, ამას შემდგომი შემოწმება (ტესტირება) გამოავლენს. თუ შეუსატყვისობა კვლავ არსებობს, ოპერაცია ხელმეორედ შესრულდება და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ტესტირება *შესატყვისობას* არ დაადასტურებს. ამდენად, არსებობს უკუკავშირი მოქმედების რეზულტატსა და ტესტირების (აპრობირების) ფაზას შორის. მთელი სქემის საკვანძო მომენტი სწორედ ესაა. ამ თეორიულ მოდელში ქცევის ანალიზის ერთეულის განხილვა ე.წ. კიბერნეტიკული ჰიპოთეზის საფუძველზე წარმოებს. ამ ჰიპოთეზის თანახმად, კომპიუტერული თუ ნერვული სისტემის აგების ძირითადი ელემენტი *უკუკავშირის რკალია.*

აშკარად ვლინდება თეორიის კომპიუტერული სულისკვეთება იმ საკითხის განხილვის დროსაც, თუ რა გადადის ერთი ბლოკიდან მეორეში სქემაში აღნიშნული ისრების მეშვეობით. პასუხის სამი შესაძლო ვარიანტიდან – ენერგია, ინფორმაცია, რეგულაცია – ავტორები უკანასკნელს ირჩევენ, ვინაიდან ის უფრო ეთანხმება გამოთვლითი მანქანის მოქმედებაზე არსებულ წარმოდგენებს. ისრები მხოლოდ თანმიმდევრობას გამოხატავენ. მანქანაშიც ოპერაციათა რეგულაცია მის პროგრამაში ჩადებული ინსტრუქციების თანმიმდევრული შესრულების გზით ხორციელდება.

T-O-T-E-სქემა არ არის თვითმიზანი. ის მხოლოდ ანალიზის ერთეულია და მან, საბოლოოდ, ყველა მეტ-ნაკლებად რთული ქცევის განხილვის საშუალება უნდა მოგვცეს. ეს სქემა ყველა შემთხვევაში მიუთითებს ორგანიზებული, კოორდინებული სისტემის ფორმირებაზე, იმაზე, რომ არსებობს გარკვეული გეგმა. ქცევის რეგულა-

ციის საკითხის გახსნისას *გეგმა* საყრდენი ცნებაა. „T-O-T-E არის ძირითადი სქემა, რომელშიც ჩვენი გეგმები განთავსდება; მისი აპრობირების ფაზა მოიცავს იმის განსაზღვრას, თუ რა ცოდნაა საჭირო შედარებისთვის, ხოლო ოპერაციული ფაზა წარმოადგენს იმას, რასაც ორგანიზმი აკეთებს ამის შესატყვისად“ [29; 47]. ისმის კითხვა, თუ როგორაა შესაძლებელი T-O-T-E-სისტემიდან ქცევის იერარქიულ სტრუქტურაზე გადასვლა. ამ საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია იმის დაშვებით, რომ ეს სქემა, ფაქტობრივად, ჩაირთავს, როგორც ქცევის ტაქტიკურ, ისე სტრატეგიულ ელემენტებს. T-O-T-E-სისტემის ოპერაციული ფაზა შეიძლება შედგებოდეს უფრო დაბალი თანრიგის ასეთივე ტიპის სისტემებისგან, რომლებიც აგრეთვე დაქვემდებარებული ელემენტებისგან შედგება და ა.შ. ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ მოყვანილია ლურსმნის დაჭედების მაგალითი. ეს მარტივი მოქმედება სრულყოფილად აღიწერება T-O-T-E-სქემით: აპრობაციას მოჰყვება ჩაქუჩის დარტყმა, რომლის შედეგიც ფასდება ლურსმნის თაიის ზედაპირთან გასწორებით. მაგრამ საქმე ისაა, რომ, თავისი სიმარტივის მიუხედავად, ამ სქემის ოპერაციული ფაზა, რეალურად, ორი სხვადასხვა, თუმცა ერთმანეთთან დაკავშირებული, ქვესისტემის სახით არსებობს. პირველი ეხება ჩაქუჩის აწევას, მეორე დარტყმას. ადამიანის რთული ქცევაც შეიძლება აღიწეროს კომპლექსური *გეგმების იერარქიების* სახით. იქმნება სისტემა, რომლის თითოეული ოპერაციული რგოლი თვითონ შეიცავს დაქვემდებარებული სისტემების რიგს. აქ მთავარია არსებობდეს სასურველი შედეგის მკაფიო ხატი. მის შესაბამისად შეიძლება აიგოს სიტუაციებისა და მოქმედებების თანმიმდევრული წყება, რომელიც გეგმის სტრატეგიად გვეელინება. ამრიგად, გეგმის *კოორდინაციისა და ინტეგრაციის* პროცესები იმის შესაძლებლობას ქმნიან, რომ T-O-T-E-სისტემა მიესადაგოს არა მარტო ერთეულ მოქმედებას, არამედ იერარქიულად ორგანიზებული აქტივობის რთულ ნიმუშებს. ამასთან ერთად, დახასიათებულია გეგმების კონსტრუირება-ფორმირების ეტაპები და კანონზომიერებები, ასევე გეგმის სტრუქტურული თვისებები, მაგალითად: მოცულობა, დეტალიზაცია, მოქნილობა და სხვა. ეს ყოველივე, გეგმის რეალიზაციის კონტროლის უკუკავშირის მექანიზმთან ერთად, ქცევის განხორციელების მეტნაკლებად სრულ სურათს გვაძლევს.

ამრიგად, მილერ-გალანტერ-პრიბრამის კონცეფციის ცენტრალური ცნება არის გეგმა. როგორც ითქვა, ის მჭიდროდაა დაკავშირებული ცოდნასთან (ხატი) და, ამდენად, არის ხიდი ცოდნასა და ქცევას შორის. შემეცნებას (კოგნიციას) და აქტივობას შორის არსებული ვაკუუმი სწორედ მან უნდა ამოავსოს. წარმოდგენილი თვალსაზრისის ეს მთავარი პუნქტი გარკვეულ ეჭვებს ბადებს. ისმის კითხვა, თუ რამდენადაა შესაძლებელი ქცევის უშუალოდ ცოდნიდან გამოყვანა. ასეთი რამ ნაკლებ სავარაუდოა, იმიტომ, რომ ცოდნა, თავისთავად, აქტივობის დინამიკურ წყაროს არ შეიცავს და მოტივაციური ძალა არ გააჩნია. ამ მხრივ არც გეგმას აქვს რაიმე უპირატესობა, რამდენადაც, განმარტების თანახმად, ის მხოლოდ მოქმედებათა თანმიმდევრობას, ე.ი. მხოლოდ შესრულების რაგვარობას აკონტროლებს, ანუ ქცევის ოპერაციულ მხარეს განსაზღვრავს. ქცევის მოტივაციური მხარე, ის, თუ რისთვის და რატომ წარმოებს აქტივობა, გეგმაში არ არის პირდაპირ მოცემული. არადა, აქტივობის აღძვრა,

მიზანმიმართულება, მისი სუბიექტური საზრისი და ღირებულება ის აუცილებელი მომენტებია, რომელთა გარეშე ქცევა, როგორც მოვლენა, არ არსებობს. ქცევის ამ ასპექტებს სპეციალური მოტივაციური პროცესები განსაზღვრავენ. მოცემულ მოდელში არაფერია ნათქვამი ამ პროცესების თავისებურებებსა და მათ გეგმასთან კავშირზე. ამიტომ სავსებით სამართლიანი ჩანს შ. ჩხარტიშვილის შენიშვნა იმის შესახებ, რომ გეგმა, თავისი ფსიქოლოგიური ბუნებით, წმინდა კოგნიტური ფენომენია, რის გამოც ვერ შეასრულებს იმ ფუნქციას, რომელიც ამ თეორიის ავტორებმა დააკისრეს – ის ვერ შეავსებს ვაკუუმს შემეცნებასა და ქცევას შორის [10]. თუმცა თვით ავტორები თვლიან, რომ მათი მოდელი ფსიქოლოგიის ძირითად განხრებს მოიცავს. ეს თვითშეფასება გადაჭარბებულად გამოიყურება, თუნდაც იმიტომ, რომ მოტივაციური სფეროს კანონზომიერებანი მოცემულ თეორიულ სისტემაში გათვალისწინებული არ არის. მილერ-გალანტერ-პრიბრამის მოდელი შემოიფარგლება ქცევის შესრულების ტექნოლოგიისა და მასთან დაკავშირებული კოგნიტური მექანიზმის პრინციპების ჩვენებით. ეს, თავისთავად, მნიშვნელოვანია, მაგრამ მაინც ღიად რჩება საკითხი, თუ რა ამოქმედებს ამ მექანიზმს, რატომ და რისთვის სრულდება T-O-T-E-სქემით აღწერილი მოქმედება, თუნდაც მისი პირველი ტესტირების აქტი.

ბელგიელი მეცნიერის, **ჟოზეფ ნიუტენის** (1909-1988) *ქცევითი დინამიკის მიმართებითი თეორია* გამორჩეულია ქცევის თანამედროვე კოგნიტივისტურ მოდელებს შორის. ნიუტენი სწავლობდა და მუშაობდა ლიუვენის კათოლიკურ უნივერსიტეტში, სადაც განახორციელა ბელგიაში პირველი საგანმანათლებლო პროგრამა ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკაში, იყო ფსიქოლოგიის პირველი ფაკულტეტის დეკანი, დააარსა ფსიქოლოგიის ინსტიტუტი და მოტივაციის შემსწავლელი ცენტრი. ნიუტენი არჩეული იყო ფსიქოლოგთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტად (1972), მიღებული ჰქონდა პრესტიჟული საერთაშორისო ჯილდოები. მისი მოწაფეებისა და მიმდევრების აქტიური ჯგუფები ახლაც მუშაობენ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში.

ნიუტენი მკაცრად აკრიტიკებს T-O-T-E-კონცეფციის ავტორებს გადაჭარბებული კიბერნეტიკულ-კომპიუტერული მიდგომისთვის. კომპიუტერული მოდელების დამუშავებისას საჭირო არ არის გამოთვლითი მანქანის მოქმედების ენერგეტიკული წყაროს საკითხზე მსჯელობა. ადამიანის ქცევის განხილვა კი შეუძლებელია იმის გარკვევის გარეშე, თუ საიდან მომდინარეობს მისი დინამიზმი, რა მოტივაციურ ფორმებში ყალიბდება ის და როგორ სახეს იღებს სხვადასხვა სიტუაციაში. კომპიუტერი, შესაძლებელია, ოპერაციებში გენიოსი იყოს, მაგრამ მოტივაციაში ის ხეიბარია, – ამბობს ნიუტენი. მიუხედავად კომპიუტერული მეტაფორის ასეთი გააზრებისა, ნიუტენი ჭეშმარიტ კოგნიტივისტად რჩება. ადამიანის ქცევაში კოგნიტური პროცესებს განმსაზღვრელი ფუნქცია აკისრია, თუმცა ეს ფუნქცია, მისი აზრით, მოტივაციურ პროცესებთან მიმართებით ხორციელდება. თავის მხრივ, მოტივაციური პროცესები აქტივობის აღძვრასა და მისთვის მიმართულების მიცემას უზრუნველყოფენ [32].

ნიუტენი ქცევის ზოგადი თეორიის შექმნაზე ზრუნავს და, აქედან გამომდინარე, ყველა ფსიქოლოგს ბიჰევიორისტად მიიჩნევს. აქ, ცხადია, ის არის მთავარი, თუ როგორაა გაგებული თვით ქცევა. ნიუტენი კატეგორიულად უარყოფს ქცევის დახასია-

თების შესაძლებლობას S-R-ტერმინებში. ასეთი მოლეკულარული, რეფლექსოიდური მიდგომით იკარგება ქცევის, როგორც ფენომენის, სპეციფიკა. ბიჰევიორიზმმა განდევნა ფსიქოლოგიიდან კოგნიცია, იდეა. ამ ორიენტაციის ფსიქოლოგთა მისამართით ნიუტენი ირონიულად შენიშნავს, რომ მათი საკუთარი ქცევა განსაზღვრა „იდეამ" იმის შესახებ, რომ იდეებს არა აქვთ გავლენა ქცევაზე. მხოლოდ ღია, დაკვირვებად ქცევაზე ლაპარაკი ანაქრონიზმია. კოგნიტური აქტივობა აუცილებლად მონაწილეობს ღია ქცევის მიმდინარეობაში და უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მასში. ნიუტენის თანახმად, ქცევა, ფართო გაგებით, ეწოდება „მიზანშეწონილი აქტივობის იმ კატეგორიას, სადაც ინდივიდი, როგორც ინფორმაციის გადამამუშავებელი და დინამიკური ცოცხალი არსება, ზემოქმედებს თავის სასიცოცხლო სამყაროზე." [58; 25]. ქცევას ორი არსებითი ნიშანი ახასიათებს: *ინტეგრირებულობა და მიმართულობა.* პირველი გულისხმობს ქცევაში შემეცნებითი და მოტივაციური პროცესების ერთიანობას, ხოლო მეორე – ქცევის მიზანდასახულობას.

ქცევის ანალიზისას სამი ძირითადი კომპონენტი გამოიყოფა: 1) *სიტუაცია,* რომელშიც იმყოფება ინდივიდი; 2) *მიზანი,* რომლის მიღწევასაც იგი ვარაუდობს; 3) მიზნის მიღწევისთვის საჭირო *ოპერაციები.* ამის შესაბამისად სახეზეა ქცევის პროცესის სამი ფაზა: პირველ ფაზაში ფსიქიკური ფუნციების მეშვეობით ხდება „ქცევითი სამყაროს" აგება. გარემოს შესახებ მონაცემები გადამუშავდება მნიშვნელობის მქონე სიტუაციად, ხოლო ინდივიდი ამ სიტუაციაში ჩართული სუბიექტი ხდება; მეორე ფაზაში სუბიექტის დინამიზმი (მოთხოვნილებები) კოგნიტური საშუალებებით გადამუშავდება ქცევით პროექტებად, ანუ მოქმედების გეგმებად და მიზნებად. ეს ქცევის მოტივაციური ფაზაა. საბოლოო ფაზაში ინდივიდი ზემოქმედებს აღქმულ სიტუაციაზე, რათა განახორციელოს საკუთარი მიზნები. აქ უკვე შესრულების ფაზასთან გვაქვს საქმე.

ნიუტენი ცდილობს, დაახასიათოს ქცევის მთელი ეს პროცესი. პირველ ფაზაში განმსაზღვრელია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ინდივიდი განუშორებელია გარემოსგან. *ინდივიდი-გარემო* ფუნქციონალური ერთეულია. აქტივობა კონკრეტულ სიტუაციაში მყოფი ინდივიდიდან მომდინარეობს. ეს ვერ მოხდება, თუ ინდივიდში არ იმოქმედებენ დინამიკური ძალები. მათ გარკვეული *კოგნიტურ-მოტივაციური* წარმონაქმნების სახე უნდა მიიღონ და აქტივობის კონკრეტული მიმართულება განსაზღვრონ. მოტივაციური ფაზის დანიშნულება ესაა. ნიუტენი საგანგებოდ იხილავს აქ მიმდინარე პროცესებს, რომელთა ძირითადი ფუნქცია სანყისი მოტივაციური მდგომარეობების კოგნიტური გადამუშავება და მათთვის რეალური ქცევის ნარმმართველი ფორმის მიცემაა.

მოტივაციური თეორიისთვის გადამწყვეტია საკითხი, თუ საიდან მომდინარეობს აქტივობის დინამიზმი. ნიუტენი უარყოფს თვალსაზრისს, რომლის თანახმად, ქცევის დინამიზმი ჰომეოსტაზის, წონასწორობის მდგომარეობაშია ჩადებული. დანაკლისი, თავისთავად, ვერ აღძრავს ქცევას, ისევე, როგორც საწვავის უქონლობა ვერ გახდება მანქანის ამოძრავების მიზეზი. დეფიციტი აქტივობის წყაროა იმ *თანდაყოლილი დინამიზმის* გამო, რომლითაც ორგანიზმი დანაკლისის დაძლევას ცდილობს. აქტივობა

არ იწყება და არც მთავრდება დეფიციტის გაჩენასა და შევსებასთან ერთად. მოსვენების, უმოქმედობის მდგომარეობა, რასაც ჰომეოსტაზის პრინციპი გულისხმობს, არ არსებობს. ცოცხალი ორგანიზმი მუდმივი აქტივობით ხასიათდება, რომლის წყარო საკუთარ თავშია მოცემული.

ეს *ამოსავალი ან ძირეული დინამიზმი* ინდივიდი-გარემოს ორგანულ კავშირს ითვალისწინებს. როგორც მცენარეები საჭიროებენ ნიადაგს თავისი თანდაყოლილი პოტენციალის გამოსავლენად, ასევე აუცილებელია ცხოველური ორგანიზმისთვის გარემო, რათა მოახდინოს თავისი ძირეული დინამიზმის რეალიზაცია. გარემო მოიცავს როგორც ფიზიკურ, ისე კულტურულ ობიექტებს. მოტივაციის პროცესი ამ ძირეული დინამიზმის დიფერენცირებისა შემდგომი ქცევითი კონკრეტიზაციისა და ფოკუსირების პროცესია.

ინდივიდი-გარემოში მოცემული ძირეული დინამიზმი, გარკვეულწილად, იმთავითვეა დიფერენცირებული უზოგადესი ორიენტაციების სახით. ისინი ინდივიდის თანდაყოლილ მოტივაციურ აღჭურვილობას ქმნიან. თავისი ზოგადობის გამო ეს ორიენტაციები ჩამოყალიბებულ და მიმართულ ქცევას ვერ აღძრავენ. ამიტომ ნიუტენი მათ *მოთხოვნილებების წინაქცევით საფეხურს* უწოდებს. მოთხოვნილებათა მთელი რეპერტუარი სწორედ მათ საფუძველზე ყალიბდება დასწავლის, ასევე სხვადასხვა საგანსა და მოვლენასთან ურთიერთობის შედეგად.

ადამიანის მოთხოვნილებათა სიმრავლისა და მრავალფეროვნების გამო ავტორს მათი სრული ნუსხის შედგენა შეუძლებლად მიაჩნია. სამაგიეროდ, აუცილებლად თვლის იმ ძირითადი დინამიკური ორიენტაციების დადგენასა და დახასიათებას, რომლებიც მრავალ, ზოგჯერ თითქოს ერთმანეთთან დაუკავშირებელ მოთხოვნილებათა საერთო საფუძველს ქმნიან. მათ გამოსავლენად ნიუტენი ე.წ. *ფუნქციონალური იდენტობის მეთოდს* მიმართავს. ამ მეთოდით ხდება ნათესაური ქცევების ჯგუფის გამოყოფა მათი მიზან-ობიექტების ფუნქციონალური იდენტობის მიხედვით (მაგალითად, კვებითი პროდუქტები). ფუნქციონალური იდენტობა კი დგინდება იმ ზოგადი მოტივაციური ორიენტაციით, რომელთანაც თითოეული მიზან-ობიექტია დაკავშირებული (მაგალითად, შიმშილი).

ზოგადი დინამიზმის თავდაპირველი დიფერენციაცია სუბიექტსა და ობიექტზე მიმართული ორიენტაციების გამოყოფას გულისხმობს. ეს დიფერენციაცია შეიძლება ელინდებოდეს ინდივიდი-გარემოს პოლუსების მონაცვლეობით აქცენტირებაში. ინდივიდზე მიმართული დინამიზმი სუბიექტის დაცვა-შენარჩუნებასა და განვითარებაზე მიმართული მრავალრიცხოვანი ქცევების საერთო საფუძველია. იგი ბიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ დონეზე ვლინდება. ის, თუ რომელი კონკრეტული მოთხოვნილების სახეს მიიღებს ზოგადი დინამიკური ორიენტაცია, უმთავრესად დამოკიდებულია ინდივიდის ფუნქციონალურ აღჭურვილობაზე. მაგალითად, თვითშენარჩუნების დინამიზმის ბიოლოგიურ დონეზე გამოვლენისას ორგანიზმის ფიზიოლოგიური ფუნქციების გათვალისწინებით, შეიძლება მივიღოთ კონკრეტული სასიცოცხლო მოთხოვნილებების საკმაოდ სრულყოფილი სია. უფრო რთულადაა საქმე ფსიქოლოგიურ დონეზე. აქ, როგორც წესი, ნაკლები გარკვეულობაა იმ ფუნქციონალური უნარების მხრივ, რასაც პიროვნება ფლობს. გარემოსთან დაკავშირებული

დინამიზმი არა თავის თავზე, არამედ სხვა პირებსა და ობიექტებზეა მიმართული. ის კოგნიტურ-ფუნქციური, სოციალური და ფიზიკური (მანიპულატორული) ფორმით ვლინდება. კოგნიტური ურთიერთობა გარემოსთან ცვალებადობს ელემენტარული სიტუაციების აღქმიდან აბსტრაქციამდე და განსჯამდე. გარკვეული სახით ის ყველა ქცევას ახლავს თან. კოგნიტური დინამიზმი მოიცავს ყველა შემეცნებით ფუნქციასთან დაკავშირებულ მოთხოვნილებებს. ის შეძლება მიმართული იყოს საგანზე, სხვა ადამიანზე და საკუთარ თავზე. სოციალური დინამიზმი ჩანერგილია ინტერპერსონალურ ურთიერთობათა უნარში და, ბუნებრივია, მის ობიექტს მხოლოდ ადამიანები შეადგენენ. რაც შეეხება მანიპულატორულ დინამიზმს, ის უსულო ობიექტების ტრანსფორმირებაზეა მიმართული.

მოტივაცია ამ ძირითადი ორიენტაციების დიფერენციაციისა და კონკრეტულ მიზნებად ჩამოყალიბების პროცესია. დიფერენციაციის ეს პროცესი მოგვაგონებს გულსისხლძარღვოვანი სისტემის განტოტვას სხვადასხვა არტერიად. ძირითადი არტერია შეიძლება შევადაროთ სუბიექტის ფუნქციონალურ პოტენციას და მთავარ ცხოვრებისეულ მიზანს, ხოლო კაპილარული სისხლძარღვები განუსაზღვრელი რაოდენობის მიზან-ობიექტსა და მიზან-საშუალებას, რომელთა გავლითაც მოთხოვნილებები განიტოტება პიროვნების მოტივაციურ სისტემებად.

ამრიგად, ძირეული დინამიზმი უშუალოდ ქცევაში არ გადადის. ის განიცდის კოგნიტურ დამუშავებას. ეს პროცესი ორ ურთიერთდაკავშირებულ საფეხურს გაივლის. პირველ საფეხურზე ხდება მოთხოვნილების ბუნდოვანი მდგომარეობის გარდაქმნა კონკრეტულ *მიზან-ობიექტად*. ამის შემდეგ იმავე კოგნიტურ პროცესს მივყავართ ქცევითი გზის აგებისკენ, ანუ მიზნის მიღწევისთვის საჭირო *მიზან-საშუალებების* სტრუქტურის ჩამოყალიბებისკენ (ქცევითი გეგმა, პროექტი). პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მიზან-ობიექტი და მიზან-საშუალება განსხვავდება ჩვეულებრივი წარმოსახვის პროდუქტებისგან. ეს არის ის, რაც „უნდა გაკეთდეს", ანუ იგი მოტივაციურადაა დამუხტული. უფრო მეტიც, მიზნის დასახვა და დაგეგმვა არის იმ მოთხოვნილებითი მდგომარეობის მანიფესტაცია, რომელიც ქცევითი სამყაროსკენ იკაფავს გზას. აქედან გამომდინარე, *მიზნები და გეგმები* არ არის წმინდა კოგნიტური წარმონაქმნები, ისინი *კოგნიტურ-დინამიკური სტრუქტურები*, ანუ კოგნიტურად დამუშავებული მოთხოვნილებებია. ტიპური ადამიანური ქცევა მათ გარეშე წარმოუდგენელია. ამიტომ, ნიუტენის აზრით, მოთხოვნილებების კოგნიტურ-დინამიკურ სტრუქტურებად ტრანსფორმაციის უნარი პიროვნული მოწიფულობისა და ფსიქიკური სიჯანსაღის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია.

ქცევის დაგეგმვის ფაზა არ უნდა გამოვაცალკეოთ (თუმცა უნდა განვასხვავოთ) ქცევის შესრულების ფაზისაგან. დაგეგმვა და მოქმედება ხშირად გვერდიგვერდ არსებობენ; ისინი ხელს უწყობენ და ასწორებენ ერთმანეთს. ჩვეულებრივ, მნიშვნელოვანი მიზნები და გეგმები მოქმედების პროცესში ჩნდება, ხოლო მათი დამუშავება თანდათანობით, ზოგჯერ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობს.

ქცევა მოტორული და მენტალური ოპერაციების გზით ხორციელდება. აქ შემდეგი კითხვა ჩნდება: როგორ გამომდინარეობს სხვადასხვა ოპერაციით რეალიზებული რთული აქტივობა მიზნიდან და გეგმიდან? ნიუტენის თქმით, კოგნიციიდან ღია

ქცევაზე გადასვლის პროცესი საერთოდ ქცევის ახსნის ცენტრალური პრობლემაა. ნიუტენის აზრით, ისეთი კოგნიტური წარმონაქმნი, როგორიც მიზანია, არ უნდა გაიხილებოდეს ქცევის გამომწვევ ფაქტორად. საბოლოო ჯამში, აქტივობა აღიძვრება თანდაყოლილი დინამიზმის არსებობის წყალობით, ოღონდ რეალურ ქცევაში გამოსავლენად მას კოგნიტური გადამუშავება, კონკრეტული მიმართულების არხებში მოქცევა ესაჭიროება. ამ აზრით, კოგნიტურ-დინამიკური კონსტრუქტები (მიზანი, გეგმა) ქცევის უშუალო მიზეზი კი არა, მისი რეგულაციის მექანიზმის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი საფეხური ან რგოლია. „მექანიზმში იგულისხმება პროცესების კოორდინებული რიგი, რომლის სათავე ინდივიდი-გარემოს ერთეულში ჩანერგილი ამოსავალი დინამიზმია“ [58; 152]. ქცევის შესრულება დასწავლილი სამოქმედო სქემების არსებობას ითვალისწინებს. ამავე დროს, ხაზგასმულია, რომ აქტივობის დინამიკური და ოპერაციული ასპექტების მოწყვეტა ერთმანეთისგან დაუშვებელია. „შესაბამისი დინამიკური სისტემის აქტივაციისას აქტუალიზდება, აგრეთვე, ამ სისტემაში ინტეგრირებული კოგნიტური მონაცემები“ [57; 450]. კოგნიტურ-მოტივაციური სტრუქტურები, რომლებიც ქცევის ფსიქოლოგიური მექანიზმის ფუნქციას ასრულებენ, დინამიკურ ტენდენციასთან ერთად შეიცავენ გამოცდილებისეულ მონაცემებს სამოქმედო და კოგნიტური სქემების სახით.

ნიუტენის „ქცევითი დინამიკის მიმართებით თეორიაში“ გათვალისწინებულია ქცევის კონცეფციის ძირეული საკითხები და მათი გადაწყვეტის მთავარი ტენდენციები. ამ მხრივ ავტორი არ იფარგლება მხოლოდ კოგნიტივისტური ორიენტაციით. მისმა თეორიამ ორგანულად შეითვისა კ. ლევინის, ჰ. მიურეის, გ. ოლპორტის, ა. მასლოუს და სხვათა შეხედულებების კონსტრუქციული იდეები. ეს, პირველ ყოვლისა, გამოვლინდა კონცეფციის აშკარა ანტიბიჰევიორისტულ ხასიათში. ქცევა აღიწერება როგორც საზრისის მქონე, მიზანმიმართული და მიზანშეწონილი, მოლარული აქტივობა, რომელიც მოტორული და მენტალური ერთეულების ერთიანობად წარმოგვიდგება. უარყოფილია მოტივაციის ჰომეოსტაზური მექანიზმის უნივერსალურობის პრინციპი. ქცევის ენერგეტიკის ანუ დინამიზმის საკითხი გააზრებულია ინდივიდი-გარემოს ერთიანობის იდეის საფუძველზე. ინდივიდი იმთავითვე გულისხმობს გარემოსთან დინამიკურ კავშირს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პირველადი დინამიზმის კოგნიტურ-მოტივაციურ სტრუქტურებად გარდაქმნის პროცესს და მათ როლს ქცევის რეგულაციაში. ამდენად, ნიუტენის მოდელში მოცემულია ქცევის მოტივაციურ-დინამიკური ასპექტი, რომელიც თავსებადობის კოგნიტივისტურ თეორიებთან შედარებით, გაცილებით მართებულად და მრავალმხრივ არის გაშუქებული. გარდა ამისა, გააზრებულია ქცევის რეგულაციის მექანიზმიც, რომელიც ისეთი კოგნიტურ-მოტივაციური სტრუქტურების მეშვეობით ყალიბდება, როგორიცაა მიზანი და გეგმა. ამ მხრივ ნიუტენი მილერ-გალანტერ-პრიბრამზე შორს მიდის. იგი არ შემოიფარგლება კოგნიტურ-მოტივაციური სტრუქტურების ფუნქციის ჩვენებით და აანალიზებს მათი ქმნადობისა და ფორმირების კანონზომიერებებსაც.

მიზანშეწონილი იქნება, წარმოვადგინოთ ერთი ზოგადი ხასიათის მოსაზრება, რომელიც დაგვანახვებს ამ მოდელის ძირითადი თეორიული იდეის ძლიერ და სუსტ

მხარეებს. ქცევის ფსიქოლოგიაში კარგა ხანია, მიმდინარეობს იმის ძიება, თუ რა ფაქტორები განსაზღვრავენ ქცევას და რა ურთიერთმიმართება არსებობს მათ შორის. ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული, მაგრამ მათგან საუკეთესონიც, ასე თუ ისე, ეფუძნებიან აქტივობის უმთავრესი შინაგანი და გარეგანი ფაქტორების თავდაპირველი განცალკევებულობის იდეას. იგულისხმება, რომ თავდაპირველ, ასე ვთქვათ, ნატურალურ მდგომარეობაში, ეს ფაქტორები აქტივობის დამოუკიდებელი საწყისებია. ისინი მხოლოდ ქცევის პროცესში, გარკვეული მექანიზმების საშუალებით უკავშირდებიან ერთმანეთს და ამის შემდეგაც ინარჩუნებენ საკმარის ავტონომიას. შესაბამისად, იმის მიხედვით, თუ რომელ მათგანს (შინაგანს თუ გარეგანს) ენიჭება უპირატესობა, ვიღებთ დისპოზიციურ ან სიტუაციურ თვალსაზრისებს (იხ. IX თავი). ეს გარემოება არის იმ სირთულეთა მიზეზი, რომელზეც დ. უზნაძე მიუთითებდა ფსიქოლოგიის საფუძველში მდებარე მცდარი მეთოდოლოგიური პოსტულატების ანალიზისას (იხ. XII თავი). ე.წ. *ემპირისტული პოსტულატი* პირდაპირ ამ მდგომარეობას ითვალისწინებს: ინდივიდსა და გარემოს შორის თავდაპირველად უფსკრული არსებობს, რომელიც თანდათანობით, დასწავლის საშუალებით ამოივსება. ე.წ. *უშუალობის პოსტულატის* დაძლევაც სუბიექტის ისეთ გაგებას გულისხმობს, სადაც შინაგანი და გარეგანი ფაქტორები უშუალო კავშირში იმყოფებიან და განუყოფელ მთლიანობას ქმნიან. თანამედროვე ფსიქოლოგიურ აზროვნებაში თანდათან ხდება იმის გაცნობიერება, რომ ქცევის შინაგანი და გარეგანი ფაქტორების *თავდაპირველი განცალკევებულობის პოსტულატი* მეთოდოლოგიურად მცდარი და თეორიულად უნაყოფოა [5][20]. ყველაზე მეტი, რაც მის საფუძველზე შეიძლება შეიქმნას, ესაა ქცევის ფაქტორების გრძელი რიგი, რომელთა ორგანული და ბუნებრივი ინტეგრაცია ერთ მთლიანობაში გადაუჭრელ პრობლემად დარჩება [2].

როგორც ვნახეთ, სწორედ ასეთ მიდგომას უპირისპირდება ნიუტენი. ქცევა, მისი აზრით, არ არის ორი ავტონომიური არსის – ინდივიდისა და გარემოს გაერთიანების პროცესი. ქცევის ანალიზი მათი ერთიანობიდან გამომდინარე მიმართებათა სისტემის დადგენით უნდა იწყებოდეს. ეს სწორი პოზიციაა, მაგრამ, თუ „ინდივიდი-გარემოს“ ან „ინდივიდი-სამყაროს“ ერთიანობის იდეა მხოლოდ მეთოდოლოგიურ პრინციპად დარჩება, ის ბევრს ვერაფერს შესძენს ქცევის რეალური შესწავლის საქმეს. შინაგანისა და გარეგანის ერთიანობის მეთოდოლოგიურ იდეაზე დაყრდნობით უნდა მოვნახოთ და გავაანალიზოთ ის ფსიქოლოგიური სინამდვილე, ის მოვლენა, რომელშიც აღნიშნული ერთიანობაა განხორციელებული. ეს კარგად ესმოდა უზნაძეს, როდესაც წერდა, რომ „საჭიროა საგანგებო მუშაობა, რათა ამ პირველადის, მთლიანობითი ხასიათის სინამდვილის ბუნება და მოქმედების კანონზომიერება რაც შეიძლება სრულად იქნეს გამოკვლეული და, ამგვარად, დაგროვილ იქნეს მასალა, რომელიც კონკრეტული, მოქმედი სუბიექტის ქცევას, როგორც მეორეულს, ამ პირველადს ცვლილებაზე აღმოცენებულ ფაქტს, გასაგებად გახდის“ [6; 24]. უზნაძის და მისი ფსიქოლოგიური სკოლის მთელი საქმიანობა ამ ფსიქიკური ფენომენის – განწყობის სტრუქტურულ-ფუნქციონალური თვისებების გამოვლენისა და გაგების მიმართულებით წარიმართა.

ნიუტენმა უეჭველად სწორი ნაბიჯი გადადგა, როდესაც ინდივიდი-გარემოს ერთიანობის პრინციპზე ააგო თავისი მსჯელობა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, იგი ამ ერთიანობის თეორიული კონსტატაციით დაკმაყოფილდა. შემდგომი ნაბიჯი უნდა ყოფილიყო ისეთი ფსიქიკური რეალობის გამოვლენა და დახასიათება, რომელიც დაადასტურებდა ამ თეორიული პრინციპის მართებულობას. იმის თქმა, რომ ინდივიდი-გარემოს ერთიანობა სიტუაციაში მოქმედ სუბიექტზე მითითებას ნიშნავს, საკმარისი ნამდვილად არ არის. პრობლემა ხომ სწორედ ისაა, თუ რა ფსიქოლოგიურ ფორმაში არსებობს ამგვარი სუბიექტი და როგორი ფსიქოლოგიური სახითაა მოცემული ეს პირველადი მთლიანობა. საფიქრებელია, რომ ამის გაკეთებას ხელი შეუშალა ავტორის კოგნიტივისტურმა ორიენტაციამ, რომლის მთავარი ამოცანა ქცევის ცნობიერებით განსაზღვრულობაა. არაცნობიერის პოზიტიურ ანალიზს ეს მიმდინარეობა არ იძლევა. არადა, თუკი ჩვენ მართლა გვსურს, მოვნახოთ ის ფსიქიკური სინამდვილე, რომელიც ასეთი მთლიანობის წყალობით განაპირობებს ყოველგვარ, მათ შორის ცნობიერ, კოგნიტურ აქტივობას, იგი ცნობიერების მიღმა, არაცნობიერ სფეროში უნდა ვეძებოთ. ასეთ სავარაუდო რეალობას, განწყობის სახით, უზნაძემ სწორედ იქ მიაგნო.

თანამედროვე ქცევითი კოგნიტივიზმის კიდევ ერთი განშტოება *სოციალურ-კოგნიტური მიმართულებაა*. ამჟამინდელ აკადემიურ ფსიქოლოგიაში, რომლის დიდი ნაწილი კოგნიტივისტური სულისკვეთებითაა გამსჭვალული, ეს თვალსაზრისი ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული და პოპულარულია. როგორც თეორიული სისტემა, ის ჯერ კიდევ ვითარდება და სერიოზული კვლევითი პროგრამების სტიმულირებას ახდენს. ამ მიმართულების წამყვანი ფიგურებია: ჯ. როტერი, ა. ბანდურა და უ. მიშელი.

ჯულიან როტერი (1916-2014) თავდაპირველად ქიმიას ეუფლებოდა, მაგრამ ადლერთან ნაცნობობამ იგი, საბოლოოდ, ფსიქოლოგიასთან მიიყვანა. ომის დროს სამხედრო ფსიქოლოგი იყო. შემდგომში მუშაობდა ოჰაიოსა და კონექტიკუტის უნივერსიტეტებში. როტერი იყო სოციალური, კლინიკური და პიროვნების ფსიქოლოგიის სპეციალისტი, ექსპერიმენტატორიც და კლინიცისტიც, სოლიდური ფსიქოთერაპიული პრაქტიკით. მიღებული ჰქონდა APA-ს ჯილდო თვალსაჩინო წვლილისთვის კლინიკურ ფსიქოლოგიაში. მას ეკავა წამყვანი პოზიციები ფსიქოლოგთა ამ უდიდეს ორგანიზაციაში და რედაქტორობდა მის ცენტრალურ ჟურნალს – „ფსიქოლოგიურ ბიულეტენს".

როტერი ცდილობს, ახსნას, რატომ და როგორ ხორციელდება ესა თუ ის ქცევა კონკრეტულ სოციალურ სიტუაციაში. ამ ვითარებაში ქცევის წინასწარმეტყველებისთვის მისი პოტენციალის დადგენაა საჭირო. *ქცევის პოტენციალის ცნება* არ არის ახალი. რეაქციის პოტენციალზე ჯერ კიდევ კ. ჰალი ლაპარაკობდა. ის ამ რეაქციის დასწავლილობის (ჩვევის) და აქტუალური მოთხოვნილების (დრაივის) ფუნქციის სახით იყო წარმოდგენილი (იხ. V თავი). ქცევის პროგნოზის ან პოტენციალის როტერის ფორმულაში არსებითად გათვალისწინებულია ჰალის ფორმულის შემადგენელი ცვლადები. ამავე დროს, როტერი საკმაოდ შორდება ქცევის დახასიათების მკაცრად ბიჰევიორისტულ პრინციპებს. ქცევის კატეგორიას მაქსიმალურად ფართო კონტექსტში განიხილავს და გულისხმობს როგორც მოტორულ, ისე კოგნიტურ, ვერბალურ

და ემოციურ აქტივობას. გარდა ამისა, როტერი ლაპარაკობს არა რეაქციებთან დაკავშირებულ კონკრეტულ სტიმულებზე, არამედ ფართოდ გაგებულ და მრავალფეროვან სოციალურ სიტუაციებსა და კონტექსტებზე. ეს ნიშნავს, რომ ერთსა და იმავე ქცევას სხვადასხვა სიტუაციაში განსხვავებული პოტენციალი შეიძლება ჰქონდეს. მაგალითად, ნათელია, რომ ყვირილს სტადიონის და ეკლესიის სიტუაციაში ერთნაირი პოტენციალი ვერ ექნება.

ქცევა მხოლოდ სიტუაციით არ განისაზღვრება. როტერი, ისევე როგორც სოციალურ-კოგნიტური თვალსაზრისის ბევრი მომხრე, ინტერაქციონისტურ პოზიციაზე დგას. ყოველგვარი ქცევა გარემოსეული და პიროვნებისეული ფაქტორების ურთიერთქმედების შედეგია. ამიტომ კონკრეტულ სიტუაციასთან დაკავშირებული ქცევის პოტენციალის როტერისეული ფორმულა ორი შინაგანი ცვლადის ფუნქციაა, ესენია: სუბიექტური ალბათობა ან მოლოდინი, რომ კონკრეტულ ქცევას რაიმე სახის განმტკიცება მოჰყვება და ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ინდივიდისთვის ეს განმტკიცება. განმტკიცების ბიჰევიორისტულ ტერმინოლოგიას თუ არ ვიხმართ, ქცევის პროგნოზირება (პოტენციალი) დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მოსალოდნელია სუბიექტისთვის დასახული მიზნის მიღწევა მოცემულ სიტუაციაში ამ ქცევის გზით, და რა ღირებულება აქვს მისთვის ამ მიზანსა და შესაბამის მოთხოვნილებას. პირველი მომენტი ქცევისა და პიროვნების *კოგნიტურ* (შემეცნებით) მხარესთანაა დაკავშირებული, მეორე – *მოტივაციურთან*. პროგნოზირებისთვის მოლოდინის მაჩვენებლის *ცოდნაც* არის საჭირო და *ღირებულებისაც*. ეს ცვლადები ერთმანეთს ცალსახად არ განსაზღვრავენ. სავსებით შესაძლებელია, ადამიანი დარწმუნებული იყოს, რომ ქცევა წარმატებით დასრულდება, მაგრამ სულაც არ ეჩვენებოდეს მისი განხორციელება მნიშვნელოვნად, ან პირიქით. საბოლოოდ, ქცევის *პროგნოზირების ძირითადი ფორმულა* შემდეგ სახეს იღებს: PB = F(ER & VR), სადაც PB – ქცევის პოტენციალია, ER – განმტკიცების მოლოდინი, VR – განმტკიცების ღირებულება. მოგვიანებით *პროგნოზირების საერთო ფორმულაში* როტერმა ამ ცვლადებს ცოტა უფრო კონკრეტული სახე მისცა, მაგრამ ფაქტობრივი შინაარსი უცვლელი დარჩა: ადამიანი ირჩევს ისეთ მიზნებს, რომელთა მიღწევა მტკიცდება რაც შეიძლება დიდი ალბათობით, ხოლო თვით განმტკიცებას მაქსიმალური სუბიექტური ღირებულება აქვს [62].

როტერი სერიოზულ ყურადღებას აქცევს ქცევის სუბიექტური ღირებულების განმსაზღვრელ მოთხოვნილებათა საკითხს და მათ შემდეგ სახეებს გამოყოფს: ფიზიოლოგიურს, კომფორტის, აღიარების, დაცულობის, დომინირების, დამოუკიდებლობისა და სიყვარულის მოთხოვნილებებს. გარკვეულად კლასიფიცირებულია მოლოდინებიც. ქცევის შესაძლო წარმატებულობის შესახებ მოლოდინები ორ ჯგუფს ქმნიან: ესაა ე.წ. *სპეციფიკური მოლოდინები*, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციებს უკავშირდებიან და ე.წ. *გენერალიზებული მოლოდინები*, რომლებიც სხვადასხვა სიტუაციაში მოქმედების შედეგიანობის განზოგადებას წარმოადგენენ.

გენერალიზებული მოლოდინების მიხედვით, შესაძლებელია პიროვნებათაშორის განსხვავებულობებზე მსჯელობა. როტერმა სახელი გაითქვა ე.წ. *ლოკუსის კონტრო-*

ლის აღმოჩენითა და შესწავლით. ეს უკანასკნელი გამოხატავს პიროვნების განზოგადებულ მოლოდინს იმის თაობაზე, თუ სად მდებარეობს მოქმედების წარმატება-წარუმატებლობის მიზეზი – გარეთ თუ შიგნით. ადამიანები *ექსტერნალური* ლოკუსით ქცევის შედეგებს მათგან დამოუკიდებელ ძალებსა თუ ვითარებებს მიაწერენ. *ინტერნალური* ლოკუსის მქონე პირები მოქმედების განმსაზღვრელად თავის თავს მიიჩნევენ და მის შედეგებზე პასუხისმგებლობას თვითონ იღებენ. ლოკუსის კონტროლის ტიპის გამოსავლენად როტერმა სპეციალური დიაგნოსტიკური მეთოდიკა შექმნა. მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა იმის გარკვევას, თუ რა კავშირი არსებობს ლოკუსის კონტროლსა და ადამიანის აქტივობის სხვადასხვა გამოვლინებას შორის. დადგენილად ითვლება, რომ თავის თავში დარწმუნებული ინტერნალები, საზოგადოდ, უფრო ადაპტირებულები, ნაყოფიერები, აქტიურები და ჯანმრთელები არიან, ვიდრე გარეშე ძალებსა თუ ბედს მინდობილი ექსტერნალები.

კონტროლის ლოკუსი, ისევე როგორც ყოველგვარი მოლოდინი, ცხოვრებისეული გამოცდილების პროცესში ყალიბდება, ე.ი. *სოციალური დასწავლის* შედეგია. უფრო მეტიც, მოლოდინი იმთავითვე გულისხმობს საკუთრივ მოქმედების დასწავლის ამა თუ იმ დონეს. მოლოდინი ქცევის წარმატებულობის შესახებ სიტუაციის გარდა, უთუოდ იმასაც ითვალისწინებს, თუ როგორაა დაუფლებული ინდივიდი კონკრეტულ მოქმედებებს. ადამიანი, რომელმაც არ იცის ჩინური, ვერ ალაპარაკდება ჩინურად. აქ მნიშვნელობა არა აქვს არც მის დარწმუნებულობას, რომ ამისთვის აუცილებლად დაჯილდოვდება და არც ამ ჯილდოს დიდ სუბიექტურ ღირებულებას. ამრიგად, ჰალის ფორმულისა არ იყოს, თუ ჩვევის ძალა, ანუ დასწავლის მაჩვენებელი, ნულის ტოლია, ქცევის წარმატებასთან დაკავშირებული მოლოდინი და შესაბამისი ქცევის პოტენციალიც ნულის ტოლი იქნება. აქედან გამომდინარეობს ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც როტერის სისტემაში დასწავლას ენიჭება. შემთხვევითი არ არის, რომ თავის კონცეფციას როტერი *სოციალური დასწავლის თეორიას* უწოდებს. მასში ხაზგასმულია ასევე სოციალურობის მომენტიც. ეს სახელწოდება, მისი განმარტებით, აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ქცევის უკვე განხორციელებული და ახალი ტიპები სოციუმში ისახება. ამასთან, ადამიანის ქცევის სხვადასხვა ტიპი მიმართულია განსხვავებულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე სხვა სუბიექტებთან ერთიერთქმედების გზით [62].

სოციალურ-კოგნიტური მიმართულების მთავარი თეორეტიკოსი **ალბერტ ბანდურა** (1925-2021) შენიშნავს, რომ ეს თეორია ადეკვატურია იმ სოციალური ქცევების წინასწარმეტყველებისთვის, რომლებიც უკვე დასწავლილია [17]. ამავე დროს, როტერის ყურადღების მიღმა რჩება თვით სოციალური ქცევების დაუფლების მექანიზმი. ამ საკითხში როტერი დასწავლის ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიის მონაცემებსა და კანონზომიერებებს ეყრდნობა. ბანდურას აზრით, საკითხი ამით არ ამოიწურება და აქ ახალი გარემოებების გათვალისწინებაა საჭირო.

თავდაპირველი ფსიქოლოგიური განათლება ბანდურამ მიიღო კანადაში, ბრიტანული კოლუმბიის უნივერსიტეტში, შემდგომ გადმოვიდა საცხოვრებლად აშშ-ში და გააგრძელა სწავლა კლინიკური ფსიქოლოგიის მიმართულებით აიოვის უნივერსიტეტში. იგი თითქმის მთელი ცხოვრება მოღვაწეობდა სტენფორდის (სან-ფრანცის-

კო) უნივერსიტეტში. ბანდურა იყო XX საუკუნის მეორე ნახევრის აშშ-ის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ფსიქოლოგი, APA-ს პრეზიდენტი (1974) და კანადის ფსიქოლოგიური ასოციაციის საპატიო პრეზიდენტი.

ბანდურას მიაჩნია, რომ გამოცდილების შეძენა, ამა თუ იმ სოციალურ სიტუაციასთან დაკავშირებული ქცევის ფორმირება, აუცილებლობით არ გულისხმობს ინდივიდის მიერ ამ მოქმედების შესრულებას და მის განმტკიცებას (როგორც, მაგალითად, სკინერი ასაბუთებს). ადამიანს შეუძლია, ისწავლოს სხვათა მოქმედების დაკვირვებითაც. ყოველდღიური ცხოვრება ადასტურებს, რომ გამოცდილების შეძენის ამ გზას ჩვენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე მივმართავთ, რაც დახარჯული ძალებისა და დროის დიდ ეკონომიას იძლევა. ზოგ შემთხვევაში სხვის შეცდომებზე სწავლა ბევრ სირთულესა და ხიფათს გვარიდებს თავიდან.

სხვა ინდივიდის (მოდელის) მოქმედებაზე დაკვირვებით ამ მოქმედების შეთვისების პროცესს ბანდურა *მოდელირებას* უწოდებს. ეს პროცესი მრავალი ექსპერიმენტით იქნა შესწავლილი. მაგალითად, ერთ-ერთ ცნობილ გამოკვლევაში ბავშვები აკვირდებოდნენ ადამიანის სხვადასხვაგვარ მოქმედებას (აგრესიულს და არააგრესიულს) თოჯინის მიმართ. ისინი, ვინც აგრესიას აკვირდებოდნენ, შემდგომში ბევრად უფრო აგრესიულად ეპყრობოდნენ თოჯინას, ვიდრე ისინი, ვინც არააგრესიულ ქცევას ადევნებდნენ თვალყურს, ან სულ არ ჰქონდათ მოდელზე დაკვირვების გამოცდილება. აღსანიშნავია, რომ ქცევის მოდელირება მაშინაც ხდებოდა, როცა ბავშვები უთვალთვალებდნენ არა ცოცხალი მოდელის მოქმედებას, არამედ მის სატელევიზიო ჩანაწერს[1]. ასეთი დასწავლისთვის, არსებითად, არ არის აუცილებელი არც მოდელის და არც მოსწავლის ქცევის განმტკიცება. თუმცა ირკვევა, რომ მოდელის ქცევის იმიტირების ალბათობა მკვეთრად იზრდება მაშინ, თუ მოდელის ქცევა ჯილდოვდება; ეს არ ხდება, როდესაც იგი ისჯება. მაშასადამე, ქცევის შეთვისებისა და განხორციელებისთვის მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ *პირდაპირ*, არამედ *არაპირდაპირ განმტკიცებასაც*, ე.ი. სხვისი ქცევის შედეგების გათვალისწინებას. მოდელირების ეფექტურობაზე გავლენას ახდენს, აგრეთვე, მოდელის ისეთი თვისებები, როგორებიცაა: ასაკი, სქესი, სოციალური სტატუსი, კომპეტენტურობა და სხვ.

ბანდურას *სოციალურ-კოგნიტური თეორიის* დებულება არაპირდაპირი განმტკიცების შესახებ მოდელის ქცევის შედეგებზე მიღებული ინფორმაციის კოგნიტურ გადამუშავებას გულისხმობს. მოდელირებით დასწავლის მთელი პროცესიც, არსებითად, კოგნიტურ პროცესადაა წარმოდგენილი. მასში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება *ყურადღებას* (მოდელის ქცევის მნიშვნელოვანი ასპექტების გამოყოფა) და *მეხსიერებას* (მოდელის ქცევის შესახებ ინფორმაციის შემონახვა ხატოვანი ან ვერბალური კოდირების საშუალებით).

სოციალური ქცევის შეთვისება უპირატესად მოდელირების პროცესების მეშვეობით ხდება, მაგრამ იმისთვის, რომ მოქმედება პრაქტიკაში განხორციელდეს, მარტო მისი დასწავლა საკმარისი არ არის, აუცილებელია იმის რწმენაც, რომ დასწავლი-

[1] ამდაგვარი გამოკვლევები საფუძვლად დაედო შეხედულებას იმის შესახებ, რომ აგრესიულობა ადამიანის შეძენილი თვისებაა და მის გამომშუავებაში დიდ როლს ასრულებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, განსაკუთრებით ტელევიზია.

ლი მოქმედება ეფექტურად იქნება გამოყენებული. ქცევის რეგულაციის ამ მომენტს ბანდურას კონცეფციაში *თვითეფექტურობა* ეწოდება და განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეწერება [43].

თვითეფექტურობა არის ადამიანის ცნობიერი წარმოდგენა კონკრეტულ სიტუაციაში წარმატებით მოქმედების უნარის შესახებ. ადამიანები მართლაც სხვადასხვაგვარად ფიქრობენ, გრძნობენ და მოქმედებენ იმის მიხედვით, თუ რამდენად კომპეტენტურად თვლიან თავს გარკვეულ ამოცანებსა და ვითარებებთან მიმართებით. ინდივიდის მიერ თვითკომპეტენტურობის შეფასება ცვალებადობს ქცევის სახის, მისი სირთულისა და სიტუაციის განსხვავებული ვითარების შესაბამისად. სხვა ფაქტორებთან ერთად, თვითეფექტურობა განსაზღვრავს ამა თუ იმ ქცევის შესრულების გადაწყვეტილებას, შეუპოვრობას ამ აქტივობის განხორციელებისას, მის წარმატებულობას და ამასთან დაკავშირებულ ემოციებს – სტრესს, შფოთვას, დეპრესიას, სიამაყეს და სხვ. თვითეფექტურობის მაღალი მაჩვენებელი განაპირობებს ადაპტირებულობისა და ცხოველქმედების მაღალ დონეს და, საბოლოოდ, ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობას.

ამრიგად, თვითეფექტურობა გადაწყვეტილების მიღების, ქცევის დაგეგმვის და მისი განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კოგნიტური მექანიზმია. მის ფორმირებაში ყველაზე დიდ როლს ასრულებს ინდივიდის მიერ ამა თუ იმ მოქმედების შესრულების წარმატებით შესრულების პირადი გამოცდილება. შესრულების შედეგიანობა განსაზღვრავს თვითეფექტურობას იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად რთული იყო ამოცანა, რა ძალისხმევა დასჭირდა მის გადაჭრას და როგორი იყო გარედან მიღებული დახმარება. მაგალითად, რთული ინტელექტუალური ამოცანის გადაწყვეტა ან ძლიერი მოწინააღმდეგის დამარცხება უფრო მეტად შეუწყობს ხელს თვითეფექტურობის ზრდას, მაგრამ როგორი რთულიც არ უნდა იყოს ამოცანა, თუ მისი გადაწყვეტის ხერხი ვინმემ გვიკარნახა, მაშინ დადებითი შედეგი არ გააუმჯობესებს ამ სფეროში თვითეფექტურობის განცდას. თვითეფექტურობის მოლოდინი შეიძლება გამომუშავდეს არა მხოლოდ ინდივიდის უშუალო გამოცდილებით, არამედ სხვა ადამიანების მოქმედებაზე დაკვირვების გზითაც. ასეთ შემთხვევაში, მართლაც, შეიძლება წარმოიქმნას იმის მოლოდინი ან რწმენა, რომ ეს მოქმედება სავსებით შესრულებადია. თუმცა ამისთვის მოდელის უნარ-შესაძლებლობები დაახლოებით მაინც უნდა შეესაბამებოდეს ინდივიდის ანალოგიურ მონაცემებს. დაბოლოს, თვითეფექტურობაზე საგრძნობ გავლენას ახდენს ფიზიოლოგიური და ემოციური მდგომარეობები. ეს სხვადასხვანაირად იჩენს თავს: ჟერ ერთი, მაღალი აღგზნებულობა ხშირად ობიექტურად აუარესებს ამოცანის შესრულებას და შესაბამის თვითეფექტურობის განცდას; მეორე – კარგი გუნება-განწყობილება თავისთავად ამაღლებს თვითეფექტურობას და მესამე – ისეთი მოქმედებების შესრულებისას, რომლებიც ძალას და გამძლეობას გულისხმობენ, თანმდევი დაღლილობა, სისუსტე ან ტკივილი ადამიანების მიერ განიხილება, როგორც დაბალი ფიზიკური ეფექტურობის ნიშანი. ასეა თუ ისე, ყველა შემთხვევაში თვითეფექტურობის გაზრდა იწვევს ქცევის რეალური ეფექტურობის მატებას და არასასურველი ქცევის მოდიფიკაციას. ამდენად, ბანდუ-

რას მიერ თვითეფექტურობა განიხილება როგორც, საზოგადოდ, ქცევის კორექციის, კერძოდ კი ფსიქოთერაპიული რეგულაციის ძირითადი კოგნიტური მექანიზმი. ამას ადასტურებს მრავალი გამოკვლევა, განსაკუთრებით შიშისა და შფოთვის ფენომენების მოხსნასთან დაკავშირებით.

საზოგადოდ, სოციალურ-კოგნიტური თეორიის თანახმად, ფსიქიკური პათოლოგია დასწავლილი არაადაპტური ქცევაა, რომელიც გამომუშავდა საკუთარი გამოცდილების ან მოდელირების გზით, მშობლების თუ სხვა პირების არაადეკვატურ ქცევაზე დაკვირვებისა და, შემდგომში, პირდაპირი ან არაპირდაპირი განმტკიცების შედეგად. შესაბამისად, ფსიქოთერაპიაც დასწავლის მექანიზმების გამოყენებას უნდა ეფუძნებოდეს, ამაშია კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპიის არსი, რომლის თეორიული დაფუძნებისა და პრაქტიკული რეალიზაციის საქმეში ბანდურას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის. კოგნიტური ელემენტი ამ სახის თერაპიაში შემუშავებული არაადეკვატური, დისფუნქციური მოლოდინების ნეიტრალიზაცია ან გაადეკვატურებაა. ადამიანებს, მაგალითად, შეიძლება გამომუშავებული (დასწავლილი) ჰქონდეთ მცდარი მოლოდინი იმის თაობაზე, რომ რაიმე საგანი, მოვლენა თუ სიტუაცია ტკივილის მომგვრელია. ასეთი მოლოდინი ზოგიერთი ფობიის წყარო ხდება. კოგნიტური ელემენტია ჩართული ასევე დისფუნქციური თვითშეფასებების, განსაკუთრებით საკუთარი არაეფექტურობის მოლოდინის, ჩამოყალიბებაში. ფობიები და დეპრესია დიდწილად დაბალი თვითეფექტურობის მოლოდინის შედეგია. ამ შემთხვევაში თვითეფექტურობის ამაღლებაზე უნდა ვიზრუნოთ; ადამიანები უფრო კომპეტენტურები უნდა გავხადოთ, შევუქმნათ საკუთარი თავის ძლიერი რწმენა და ამ კომპეტენციების გამოყენების შესაძლებლობები [46]. ამის ყველაზე ეფექტური გზა კოგნიტურ-ბიჰევიორალური თერაპიაა. სხვა თერაპიების ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად წარმატებულად ახერხებენ ისინი იმუშაონ თვითეფექტურობის ამაღლების მიმართულებით [9].

ბანდურა აღნიშნავს, რომ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს საჭირო ჩვევები და თვითეფექტურობის საკმარისი დონე, მაგრამ არ გააჩნდეს მისი მოქმედებისთვის შესრულების სურვილი ან აუცილებელი მატერიალური ან ფინანსური რესურსები. პირველ შემთხვევაში საქმე ეხება აქტივობის მოტივაციურ ფაქტორს, მეორეში – სიტუაციურს. საზოგადოდ, ბანდურას მიაჩნია, რომ ქცევა, პიროვნება და გარემო ერთმანეთს განსაზღვრავენ. ამაშია ე.წ. *ურთიერთდეტერმინიზმის ან რეციპროკული დეტერმინიზმის პრინციპის* ძირითადი იდეა. ეს არის მეთოდოლოგიური მიდგომა, ინტერაქციული პარადიგმის ერთ-ერთი თანამედროვე მოდელი, შინაგანი-გარეგანის დიქოტომიის გააზრების ბანდურასეული ვარიანტი. ავტორი აკრიტიკებს როგორც ბიჰევიორიზმის, ისე ფსიქოდინამიკური და პიროვნების თვისებების მოდელების ცალმხრივობას. ერთ შემთხვევაში, ქცევა გარემოს/სიტუაციის მონაცემებიდან გამოიყვანება, მეორე შემთხვევაში – ინტრაპიროვნული ძალებიდან/თვისებებიდან. ბანდურას აზრით, ადამიანის ფუნქციონირების მიზეზები უნდა გავიაზროთ ქცევის, პიროვნებისა და გარემოცვის მუდმივი ურთიერთობის ტერმინებში. ეს ფენომენები რეალურად და გამუდმებით ერთმანეთს განაპირობებენ. ქცევაში იგულისხმება გამოვლენილი ანუ

ღია აქტივობა; პიროვნულ ფაქტორებში, პირველ რიგში, თვითეფექტურობა, მოლოდინები, სტანდარტები; გარემოცვის გავლენაში კი ძირითადად – წახალისება-დასჯა. ქცევა ცვლის გარემოსაც და პიროვნებასაც, ამავე დროს, მათი მუდმივი ზემოქმედებითაა განსაზღვრული. ადამიანი გარესინამდვილის გაელენას განიცდის, მაგრამ, ამასთანავე, თვითონ ირჩევს ქცევის ხერხებს, იგი ერთდროულად სიტუაციაზე რეაგირებს და თვითონაც ქმნის მას. ადამიანი ირჩევს სიტუაციებს და ასევე ყალიბდება მათი გავლენით; ადამიანი გავლენას ახდენს სხვა ადამიანების ქცევაზე და, ამასთანავე, სხვა პიროვნებათა გავლენით თავადაც ყალიბდება.

პიროვნებასთან დაკავშირებულ ცვლადებს – გამოცდილებას, თვითეფექტურობასა და მოტივაციას ბანდურა, უპირატესად, კოგნიტური თვალსაზრისით განიხილავს. მართლაც, დასწავლა შემეცნებითი სტრუქტურების ფორმაში მოცემული კომპეტენტურობაა. თვითეფექტურობა გაგებულია როგორც ცნობიერი წარმოდგენა ან მსჯელობა თავის შესაძლებლობებზე. იგივე ითქმის ადამიანურ მოტივაციაზე, რომლის დიდი ნაწილი, ავტორის რწმენით, კოგნიტური პროცესების წყალობით წარმოიქმნება.

მოტივაციაზე მსჯელობისას ბანდურა აღნიშნავს, რომ ქცევას, დიდწილად, მისი შედეგი განსაზღვრავს. ამასთან, შედეგით მოქმედების განსაზღვრა ხდება არა ავტომატურად და უშუალოდ, არამედ ე.წ. *კოგნიტური მოტივატორების* მეშვეობით. ესენია *მოლოდინები* ქცევის შედეგების შესახებ, ანუ *პროგნოზირებული შედეგი*. ეს მოლოდინები, როგორც ქცევის მოტივატორები, კოგნიტური პროცესების საშუალებით გამომუშავდება. ისინი დაკავშირებულია მრავალფეროვან ფიზიკურ (საკვები, ტკივილი, სენსორული შთაბეჭდილებები და სხვ.) თუ სოციალურ (შეფასება, სტატუსი, ძალაუფლება და სხვ.) სტიმულებთან. ადამიანის მოტივაციაში მთავარი მაინც ისაა, რომ მოქმედება უშუალო განმტკიცების გარეშე ხორციელდება. ის მომავალი შედეგების მიღწევაზეა მიმართული. ადამიანებს შეუძლიათ, მომავალი მიღწევებისა თუ დანაკარგების წინასწარმეტყველება. ამის საშუალებას მათ აძლევთ იმ *შინაგანი სტანდარტების* არსებობა, რომლებითაც ფასდება საკუთარი და სხვისი ქცევები. ამ სტანდარტების სისტემის შესაბამისად ხდება მიზნის დასახვა და იმ განმტკიცებების განსაზღვრა, რომლებიც ქცევებს მოჰყვება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ე.წ. *თვითგანმტკიცებას* ენიჭება. სწორედ ის არის აქტივობის საყრდენი მაშინ, როდესაც ქცევა ხანგრძლივია და არ მოეპოვება გარეგანი განმამტკიცებლები. თვითშეფასების ასეთი გამოვლინებებით, როგორებიცაა, ვთქვათ, თვითშექება, სიამაყე, თვითკრიტიკა და დანაშაულის განცდა, ჩვენ შეგვიძლია, წავიხალისოთ ან დავისაჯოთ თავი. აქ მნიშვნელოვანია, თუ რა პიროვნული სტანდარტების შესაბამისად ვმოქმედებთ. არსებითად, სწორედ ეს არის ადამიანისთვის ესოდენ დამახასიათებელი თვითრეგულაციის უნარი. ისეთი კოგნიტური მექანიზმების მეშვეობით, როგორებიცაა მოლოდინები, სტანდარტები და თვითგანმტკიცება, ინდივიდს შეუძლია, თვითონ დაისახოს სამომავლო მიზნები და აკონტროლოს მათი განხორციელების პროცესი. ადამიანური მოტივაციის არსი, ბანდურას აზრით, ესაა.

ბანდურას მიერ აღწერილი *თვითრეგულაციის მექანიზმი* განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, რამდენადაც ის გვევლინება თანამედროვე კოგნიტური ფსიქოლო-

გიის ყველაზე არგუმენტირებულ პასუხად დეტერმინაცია-თავისუფლების დილემაზე. როგორც აღინიშნა, ბანდურა გვთავაზობს ე.წ. რეციპროკული დეტერმინიზმის მოდელს, რომლის თანახმად, *პიროვნება, ქცევა* და *სიტუაცია* ურთიერთზემოქმედი აგენტების სამკუთხედის სახით არის წარმოდგენილი. ქცევაზე მოქმედებს პიროვნება და სიტუაცია, მაგრამ ისიც ზეგავლენას ახდენს ორივე მათგანზე. თვითრეგულაციის პრობლემის კონტექსტში მთავარია პიროვნების ქცევაზე ზემოქმედების ამსახველი მიმართება. ბანდურას მიხედვით, პიროვნება, ძირითადად, კოგნიტური სტრუქტურებისა და მათ შორის არსებული კავშირების სისტემის სახით აღიწერება. ამ სისტემაში სრულიად კანონზომიერი, დეტერმინირებული პროცესები მიმდინარეობს [42].

ბანდურას მიხედვით, ქცევის თვითრეგულაციის პროცესს ფაქტორების მთელი რიგი განსაზღვრავს. მათი ერთი ნაწილი იმ ორიენტირებს ქმნის, რომელთაც გარემოსა და ქცევის შეფასება ეფუძნება. ცენტრალური ადგილი აქ სტანდარტებს უკავია. სტანდარტი დასწავლის შედეგია. ის იქმნება როგორც პირდაპირი (საკუთარი ქმედების), ისე ირიბი (სხვის ქცევაზე დაკვირვების მოდელირების) გამოცდილების გზით. ავტორიტეტული უფროსების დარიგებით მოზარდი იგებს პატიოსნებისა და სიკეთის ღირებულებას; სხვებზე დაკვირვებით ხვდება, რა არის კარგი და რა ცუდი სხვებისა და საკუთარ ქცევაში; თავისი მოქმედების წყალობით სწვდება გარე ზემოქმედების სასიამოვნო და მტკივნეულ მხარეებს. ყველა ეს სტანდარტი სუბიექტურია, ვინაიდან ახალი ინფორმაცია უკვე მოცემულ ცოდნას უკავშირდება და ინდივიდუალურად გადამუშავდება.

თვითკონტროლის ფაქტორების მეორე წყებას კონკრეტული ფსიქიკური უნარები და პროცესები შეადგენს. მათი საშუალებით ქცევის გაკონტროლება ხდება. თვითდაკვირვების უნარის გამოყენებით ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ საკუთარი ქცევის სხვადასხვა მხარეს (ხარისხი, რაოდენობა, ორიგინალურობა, თანმიმდევრულობა და ა.შ.), ვმსჯელობთ მისი ღირებულების შესახებ, ვადარებთ გარკვეულ ნიმუშებს, სტანდარტებს, ნორმებს, ვარკვევთ ჩვენი ქცევის მიზეზებს – გარეგანი ვითარებითაა ის განპირობებული თუ შინაგანი ძალებით (ე.წ. ატრიბუცია). ამ უპირატესად კოგნიტური უნარების გარდა, ქცევის კონტროლი გარკვეულ დადებით და უარყოფით ემოციებსაც ითვალისწინებს – ესაა აქტიური რეაქცია საკუთარ თავზე, რომელიც სტანდარტებთან ქცევის შესაბამისობის მაჩვენებელია, მაგალითად: კმაყოფილება ან უკმაყოფილება თავისი თავით. ამრიგად, მოდელში განიხილება თვითრეგულაციაში ჩართული პროცესების სამი სახე: *თვითდაკვირვება, აზროვნება და ემოციური რეაგირება* [43].

სტანდარტების ჩამოყალიბებისა და მათთან ქცევის შეუსაბამობის დადასტურების შემდეგ დგება სათანადო ზომების მიღების დრო. ბანდურა ამას სანქციებს უწოდებს. იგი გამოყოფს *საზოგადოებრივ სანქციებს* და საკუთარ, *შინაგან სანქციებს*. თვითრეგულაცია ამ უკანასკნელს უკავშირდება და ორ ძირითად მექანიზმს მოიცავს: პირველია ე.წ. *შერჩევითი ჩართვა*. ბანდურას რწმენით, ადამიანში არ არის ჰომუნკულუსის სახით მოცემული რაიმე შინაგანი მაკონტროლებელი ინსტანცია (აგენტი), რომელიც, თავისი კრიტერიუმების შესაბამისად, აეტომატურად ახდენს ქცევის

სანქციონირებას ან ბლოკირებას. სინამდვილეში ეს კრიტერიუმები (სტანდარტები) მე-სისტემაშია მოცემული, რომელიც „თავის თავში შეიცავს კოგნიტურ სტრუქტურებსა და აღქმის ქვეფუნქციებს, ქცევის შეფასებებსა და რეგულაციებს, და თან ისე, რომ არ წარმოადგენს ფსიქიკურ აგენტს, რომელიც აკონტროლებს მოქმედებას“ [42; 348]. ქცევის შერჩევითი ჩართვა-გამორთვის მექანიზმი მუდამ აქტიურია და მოქმედებს თვითშეფასების სტანდარტებისა და სიტუაციის მონაცემების შესაბამისად. ერთ სიტუაციაში ადამიანმა შესაძლოა ჩათვალოს, რომ ქცევა ეწინააღმდეგება მის სტანდარტებს, ვნებს სხვა ადამიანებს – ასეთ შემთხვევაში ქცევა შეიცვლება. სხვა სიტუაციაში, თუ ადამიანი თვლის, რომ იგივე ქცევა არ ბღალავს ვინმეს ინტერესებს და მისაღებია მისი სტანდარტებისთვის, განაგრძობს ამ ქცევის შესრულებას.

თვითრეგულაციის მეორე მექანიზმს ბანდურა *შინაგანი კონტროლის გამორთვას* უწოდებს. ამ დროს ადამიანმა შეიძლება განახორციელოს საზოგადოებრივი და მორალური თვალსაზრისით დასაგმობი ქცევები. ეს მექანიზმი, უპირატესად, ორჭოფულ ვითარებებში იჩენს თავს და გვეხმარება, შევამციროთ ან სულ ავირიდოთ პასუხისმგებლობა, გავამართლოთ ის კონკრეტული მოქმედება, რომელიც, საზოგადოდ, მიუღებელია ჩვენი სტანდარტების თვალსაზრისით. შინაგანი კონტროლის გამორთვის სხვადასხვა ხერხი არსებობს: 1) ქცევის ახლებური განსაზღვრება. ამ შემთხვევაში ადამიანი თავისი მოქმედების მორალურ გამართლებას პოულობს (მკვლელობის ჩადენა შესაძლებელია, თუ ამას სამშობლოს დაცვის აუცილებლობა მოითხოვს), ან მიმართავს გამამართლებელ შედარებას (ნაცისტები ჰოლოკოსტის მხეცობას „ევროპის გასუფთავებას“ უწოდებდნენ, ქილერები მკვლელობას – „კონტრაქტის შესრულებას“ არქმევენ); 2) პასუხისმგებლობის სხვაზე დაკისრება (გადაბრალება) ან გადანაწილება. ამ შემთხვევაში ადამიანი უარს ამბობს, აღიაროს კავშირი თავის მოქმედებასა და მის შედეგს შორის. გადაბრალების დროს ხდება პასუხისმგებლობის სხვაზე გადაცემა (ნაცისტები თავს იმართლებდნენ იმით, რომ მხოლოდ მეთაურების ბრძანებებს ასრულებდნენ, ხოლო მოძალადეები იმით, რომ მსხვერპლი მათ პროვოცირებას ახდენდა თავისი სექსუალური გარეგნობით ან სუსტ წინააღმდეგობას უწევდა); გადანაწილებისას პასუხისმგებლობა ისეთი რაოდენობის ადამიანებზე ვრცელდება, რომ რეალურად აღარავინ რჩება პასუხისმგებელი (ასეთია პოლიტიკა – ამბობენ არაკეთილსინდისიერი სახელმწიფო მოხელეები; ან – ამას ყველა აკეთებს); 3) ქცევის უარყოფითი შედეგების გაბუნდოვნება, დამახინჯება, არასწორი ინტერპრეტაცია (მამა ამართლებს შვილის ცემას იმით, რომ იგი არ არის ისე ნაბეგვი, როგორც იმსახურებს, ან იმით, რომ ეს ბავშვის აღზრდას უწყობს ხელს; მფრინავი ამბობს, რომ მან, უბრალოდ, ღილაკს დააჭირა ხელი, ბომბები კი ღრუბლებში გაუჩინარდნენ); 4) მსხვერპლის დეჰუმანიზაცია (თეთრი რასის წარმომადგენლები მათ მოწინააღმდეგე ფერადკანიანებს ან ინდიელებს ხშირად არც თვლიდნენ ადამიანებად; შესაბამისად, არც დანაშაულის გრძნობა ჰქონდათ მათი ხოცვის გამო).

როგორც ვხედავთ, დასწავლის, მოტივაციის და თვითრეგულაციის შემთხვევაში ხაზგასმულია კოგნიტური პროცესების როლი. სწორედ ეს მომენტი – ქცევის კოგნიტური რეგულაცია, განსაკუთრებით, დამახასიათებელია ბანდურას *სოციალურ-კოგ-*

ნიტური თეორიისთვის, ამიტომ ის ქცევითი კოგნიტივიზმის ერთ-ერთ ვარიანტად უნდა იქნეს მიჩნეული. თუმცა, თავდაპირველად, დასწავლაზე აქცენტის გამო, ის ბიჰევიორისტული მიმდინარეობის განშტოებად განიხილებოდა, კერძოდ, ნეო-ნეობიჰევიორიზმად ან სოციალურ ბიჰევიორიზმად [38][40]. თანდათან ბანდურას კონცეფციაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო გონებრივ, შინაგან ფსიქიკურ პროცესებს. ურთიერთდეტერმინიზმის პრინციპის შესაბამისად, ქცევა შინაგანი და გარეგანი ფაქტორების მუდმივი ურთიერთზემოქმედების შედეგის სახით იქნა წარმოდგენილი. აქცენტი გაკეთდა ცნობიერ თვითეფექტურობასა და ცნობიერ თვითრეგულაციაზე. ეს კი უკვე ნიშნავდა ბიჰევიორიზმისგან ფაქტობრივ გამიჯვნას. რამდენიც არ უნდა ვზარდოთ „ნეო" წინსართების რაოდენობა, ცნობიერებით ესოდენ გაჯერებული თვალსაზრისი მაინც ვერ ჩაითვლება ბიჰევიორისტულად. ბიჰევიორიზმთან სოციალურ-კოგნიტურ მიდგომას ის აკავშირებს, რომ აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქცევის შეთვისებას, დასწავლას და განმტკიცებას სოციალურ სიტუაციებში; აგრეთვე ისიც, რომ განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ზუსტ ემპირიულ კვლევაზე და მკაცრად კონტროლირებულ მონაცემებზე.

სწორედ აქ გადის მთავარი წყალგამყოფი ფსიქოანალიზსა და სოციალურ-კოგნიტურ თეორიას შორის. ბანდურა აკრიტიკებს ფსიქოანალიზს იმის გამო, რომ ის ეფუძნება ისეთ ცნებებს, რომელთა ექსპერიმენტული შემოწმება შეუძლებელია. მას მიაჩნია, რომ ემპირიულმა კვლევებმა ვერ აღმოაჩინეს იმ ტიპის არაცნობიერი ძალები, რომლებიც აღიარებულია ფსიქოდინამიკურ შეხედულებაში. საერთოდ, სოციალურ-კოგნიტურ თეორიაში არაცნობიერის ნაცვლად ხაზგასმულია ცნობიერი შემეცნებითი პროცესების მნიშვნელობა; უარყოფილია, ასევე, ფსიქოანალიზისთვის დამახასიათებელი დისპოზიციონიზმი – ხასიათის ტიპები, რომელთა ფორმირება აუცილებელი ბუნებრივი სტადიების გავლით ბავშვობაში ხდება. ამის ნაცვლად, ხაზგასმულია ქცევის სიტუაციური და კოგნიტური სპეციფიკა და ის, რომ ქცევა აწმყოში მოქმედი ძალებითა და მექანიზმებით იმართება.

ფსიქოლოგიის თეორიების შემსწავლელი სპეციალისტების მიერ სოციალურ-კოგნიტური შეხედულება თანამედროვე აკადემიურ ფსიქოლოგიაში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ და სერიოზულ კონცეფციად არის შეფასებული [34][39]. მასში მოცემული ახალი თეორიული კონსტრუქციები სანდო ემპირიულ საფუძველზეა აშენებული. ამავე დროს, გათვალისწინებულია სხვა ფსიქოლოგიური სისტემების პოზიტიური მონაცემები და გადადგმულია ნაბიჯები მათი ცალმხრივობის დასაძლევად. ცნობიერების როლის წინ წამოწევა, მოდელირებით გამოცდილების შეძენის კანონზომიერებათა დადგენა, აქტივობის შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ურთიერთქმედების მაქსიმალური გათვალისწინება ამ შეხედულების საკმაოდ მიმზიდველი ასპექტებია. მაგარამ რამდენად ორგანულად ერთიანდება მისი სხვადასხვა მომენტი არაწინააღმდეგობრივ თეორიულ სისტემად, ეს კიდევ საკითხავია. ყოველ შემთხვევაში, ავტორიტეტული ექსპერტები თელიან, რომ „სოციალურ-კოგნიტური თეორია უფრო იდეებისა და ცნებების ნარევია, ვიდრე ერთიანი, მთლიანობითი თეორია. ამ იდეებისა და ცნებების ნაწილი ამ თეორიის უნიკალურ წვლილს განაპირობებს, და-

ნარჩენები სხვა თეორიებიდან არის ნასესხები" [34; 480]. ეს თეორია „უფრო ზოგადი ორიენტაციაა და არა დაწვრილებით დამუშავებული შეხედულება ურთიერთკავშირების სისტემის შესახებ" [იქვე]. ეს, თუ შეიძლება ითქვას, თეორიული სისტემის ორგანიზაციასთან დაკავშირებული ნაკლოვანებებია, მაგრამ სირთულეები თავს იჩენს, ასევე, თეორიის შემადგენელი ცნებებისა და კონცეპტების შინაარსის გააზრებისას. აქ, პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს შეხედულება მოტივაციაზე.

მოტივაციის პროცესის ანალიზი ბანდურასთან მთლიანად კოგნიტური სტრუქტურებისა (მოლოდინი, სტანდარტი, მიზანი) და მათი მიმართებების დახასიათებით ამოიწურება. საკუთრივ მოტივაციის სპეციფიკა არ ჩანს და ის, არსებითად, კოგნიტური პროცესის სახეს იღებს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, თანამედროვე შეხედულებების თანახმად, კოგნიტური, მოტივაციური და ემოციური პროცესები ურთიერთგაჯერებული და ურთიერთდაკავშირებული პროცესებია. ზოგ შემთხვევაში ეს კავშირი იმდენად მჭიდროა, რომ ისინი ერთიანი ფსიქიკური ფენომენის ასპექტებად გვევლინებიან. მაგალითისთვის *ატრიბუციის* სამკომპონენტიანი სტრუქტურის მოდელიც იკმარებს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ფსიქიკური სინამდვილის ამ სამი კლასის მოვლენებს სპეციფიკური სტრუქტურულ-ფუნქციონალური თავისებურებები არ გააჩნია. მოტივაციამ უნდა აღძრას ქცევა, ხოლო კოგნიციამ წარმართოს. მოტივაციის პროცესში ამ ფუნქციების გაერთიანება და გარკვეული ინტეგრალური, კოგნიტურ-მოტივაციური წარმონაქმნების პროდუცირება ხდება. გავიხსენოთ, როგორაა გაანალიზებული „მოტივაციის კოგნიტური გადამუშავების პროცესი" ნიუტენთან. ამ პროცესის პროდუქტები კონკრეტული მიზნები და გეგმებია. მიზანზე ბანდურაც ლაპარაკობს, მაგრამ ისე, თითქოს ეს უკანასკნელი შემეცნებით სფეროს განეკუთნება. მიზანი წარმოდგენაა, ანუ როგორც ა. ელისი იტყოდა, „ცივი კოგნიციაა". ქცევის წარმმართველ ძალად რომ გადაიქცეს, მისმა მოტივაციურმა „ტემპერატურამ" უნდა მოიმატოს, იგი დინამიზმის წყაროს უნდა დაუკავშირდეს. ბანდურა, ფაქტობრივად, არაფერს ამბობს ქცევის აღმძვრელ მოტივაციურ სისტემაზე, რომლის გააზრების გარეშე სრულყოფილი ზოგადფსიქოლოგიური თეორიის დაფუძნება წარმოუდგენელია. სანამ ეს არ გაკეთებულა, აუხსნელი რჩება ძირითადი საკითხი – საიდან მომდინარეობს აქტივობა. ბანდურასთვის მიღებელია ფროიდის პასუხი, მაგრამ ვერც თვითონ ამბობს რაიმე დამარწმუნებელს. სტანდარტი, როგორც შეფასების ეტალონი, თვითონ ვერ იქნება *მოტივატორი* და ვერ აღძრავს ქცევას. იგივე ითქმის მოლოდინზეც. მოლოდინი ეხება ქცევის იმ ასპექტს, რომელსაც შეიძლება განმტკიცების ეფექტი მოჰყვეს, მხოლოდ მაშინ გახდება ის მოტივატორი. მაგრამ თვითგანმტკიცება, ლოგიკურადაც და ფაქტობრივადაც, რაიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე დაიყვანება. მაშასადამე, მოლოდინი მხოლოდ იმდენად შეიძლება განვიხილოთ მოტივაციურ და არამხოლოდ კოგნიტურ ფაქტორად, რამდენადაც ის უკავშირდება ქცევის რეალური დინამიზმის ამა თუ იმ წყაროს.

უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ მოტივაციის პრობლემა როტერის მიერ უფრო დამაკმაყოფილებლად არის გაანალიზებული. როტერთან ქცევის პოტენციალის განმსაზღვრელი „განმტკიცების ღირებულება" ცალსახად უკავშირდება რაიმე მოთხ-

ოვნილებას და მიუთითებს სუბიექტისთვის მისი დაკმაყოფილების მნიშვნელობაზე. აუცილებელია ისიც აღინიშნოს, რომ სოციალურ-კოგნიტურ კონცეფციაში არ არის გათვალისწინებული ფსიქიკური სინამდვილის ერთი მეტად მნიშვნელოვანი ასპექტი – საქმე ეხება არაცნობიერს. მოტივაციის გარდა, ბანდურა ამ საკითხშიც უპირისპირდება ფროიდს და უარყოფს არაცნობიერის ფსიქოანალიზურ გაგებას. ეს, შესაძლოა, მართებულიც იყოს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ბანდურა არანაირ ალტერნატივას არ გვთავაზობს. სოციალურ-კოგნიტურ თეორიაში ამ მხრივ დიდი თეთრი ლაქაა. არადა, დღეს უკვე ძნელია, მოინახოს სერიოზული თეორეტიკოსი, ვინც ქცევის ორგანიზაციასა და რეგულაციაში არაცნობიერი პროცესების მონაწილეობის იგნორაციას ახდენს. ერთია მხოლოდ, რომ არაცნობიერ მექანიზმებს ზოგ შეხედულებაში მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ზოგში – ნაკლები. საზოგადოდ, ნათელია, რომ ფსიქოლოგიური რეალობის მთელი სივრცის დასაფარავად ზოგადფსიქოლოგიურმა კონცეფციამ არაცნობიერის სფეროც უნდა მოიცვას. ამავე დროს, როგორც დ. უზნაძე მოითხოვდა, არაცნობიერი უნდა დახასიათდეს არა ნეგატიურად, – როგორც იგივე ფსიქიკა ცნობიერების გარეშე, – არამედ პოზიტიურად, არსებობის სპეციფიკური ფორმისა და ფუნქციის ჩვენებით [7]. განხილულ თეორიულ სისტემას, ამ მხრივ, ჯერ კიდევ, ბევრი რამ აკლია.

ანალიზი უფრო განზოგადებული სახითაც შეიძლება წარმოვადგინოთ. ფსიქოლოგიის იმ მიმართულებებში, სადაც არაცნობიერის პრობლემა მთელი სიგრძე-სიგანით არის დამუშავებული (უანეს სისტემა, სიღრმის ფსიქოლოგია, განწყობის ფსიქოლოგია), ნაჩვენებია, რომ ტრადიციულ ცნობიერების ფსიქოლოგიას ცნობიერების ფენომენების აღმოცენებისა და არსებობის ფორმის გარკვევა უმთავრესად ერთი მიზეზის გამო უჭირდა: იგი უგულებელყოფდა არაცნობიერს. ცნობიერების ნამდვილი ფსიქოლოგია არაცნობიერის ნამდვილ ფსიქოლოგიას გულისხმობს. თანამედროვე კოგნიტურ (ცნობიერების) ფსიქოლოგიაში ტრადიციული ფსიქოლოგიის ეს ფუნდამენტური შეცდომა არ იქნა სათანადოდ გათვალისწინებული. ამის დასტურია თუნდაც ამ თავში განხილული შეხედულებები. კოგნიტივიზმის მიერ ცნობიერების მნიშვნელობის ხაზგასმა მართლაც მისასალმებელია, მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს არაცნობიერის მნიშვნელობის უარყოფის ან შემცირების ხარჯზე. არაცნობიერი ფსიქიკური პროცესების რაობისა და როლის შესახებ თავისი პოზიციის ჩამოყალიბება კოგნიტურ ფსიქოლოგიას უთუოდ მოუწევს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ვერ ექნება სერიოზული პრეტენზია, გახდეს სხვა დიდი ზოგადფსიქოლოგიური კონცეფციების ალტერნატივა.

კოგნიტური ფსიქოლოგების გარკვეული ნაწილი აღიარებს, რომ არაცნობიერ პროცესებს დიდი ადგილი უკავიათ ადამიანის ფსიქიკურ ცხოვრებაში და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მისი ქცევის ორგანიზაციაში. ამასთან, მათ არაცნობიერი სხვაგვარად ესმით, ვიდრე ფსიქოანალიზს. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, ხაზს უსვამს არაცნობიერის ინსტინქტურობას, ირაციონალურობას და ალოგიკურობას; ამტკიცებს მისი შინაარსის სექსუალურობას და აგრესიულობას (ეროსი და თანატოსი); მიუთითებს მისი ბუნების მოტივაციურობაზე (დინამიკური არაცნობიერი

პროცესები). კოგნიტური ფსიქოლოგია იქიდან ამოდის, რომ „არ არსებობს ფუნდამენტური თვისებრივი განსხვავება გაუცნობიერებელ და გაცნობიერებულ პროცესებს შორის“ [34; 113]. ამ კონტექსტში აქცენტი კეთდება არაცნობიერის რაციონალურობაზე, ლოგიკურობაზე, მის შინაარსობრივ მრავალფეროვნებაზე, იმაზე, რომ შეუძლებელია მისი დაყვანა მოტივაციურ მოვლენებზე. კოგნიტური ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, არაცნობიერის „ფაქტოლოგია“ მოიცავს განსხვავებული სახის ფსიქიკურ და ქცევით ავტომატიზმებს, სუბსენსორულ ფენომენებს, ინფორმაციის სხვადასხვა ასპექტის პარალელურ გადამუშავებას, ცნობიერებისგან დამოუკიდებლად მოქმედ ფარულ მოგონებებს, ცნობიერი ანალიზის გარეშე წარმოქმნილ გრძნობებს, მე-კონცეფციებს და სტერეოტიპებს, რომლებიც გაუცნობიერებლად ზემოქმედებენ ინფორმაციის გადამუშავების პროცესებზე. ზოგადად, კოგნიტივიზმისთვის დამახასიათებელი ინფორმაციული მიდგომა არაცნობიერ სფეროზეც ვრცელდება. არაცნობიერი შეიცავს ინფორმაციის გადამუშავების პროგრამის იმ ნაწილს, რომელიც არ ცნობიერდება. ის უკვე პერცეპტულ დონეზე აქტივირდება და ინფორმაციის გადამუშავების შემდგომ ეტაპებზეც მოქმედებს. კოგნიტური სისტემა ხშირად ისე ახორციელებს ინფორმაციის გადამუშავებას, რომ ეს სუბიექტის მიერ არ ცნობიერდება [52][54]. საერთოდ კი, კოგნიტივისტების მონაცემებით, შემოსული ინფორმაციიდან ცნობიერდება მხოლოდ ის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ამჟამინდელი ფუნქციონირებისთვის. ნაკლები ღირებულების ან მცირე ინტენსივობის ინფორმაცია კი საერთოდ არ ცნობიერდება (მაგალითად, სუბსენსორული გამღიზიანებლები). ამიტომ კოგნიტურ ფსიქოლოგიაში არაცნობიერის ემპირიული შესწავლის ყველაზე გავრცელებული მოდელი დაკავშირებულია გაძნელებული აღქმის პირობებში განსხვავებული მასალის ცნობიერებაში ასახვა-არასახვის ფიქსაციასთან [12].

რა შეიძლება ითქვას კოგნიტურ ფსიქოლოგიაში არაცნობიერის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებზე? 1) ისინი არ შეადგენენ რამდენადმე სისტემატიზებულ კონცეპტუალურ მოდელს, რომელიც სადღეისოდ შეიძლება დაუპირისპირდეს თუნდაც ფსიქოანალიზურ შეხედულებას. მასში დაუზუსტებელია არაცნობიერის ცნების უმნიშვნელოვანესი მომენტები. ასე მაგალითად, არაცნობიერის ერთ-ერთი წამყვანი მკვლევარი კოგნიტურ ფსიქოლოგიაში, ჯ. კილსტრემი აღნიშნავს, რომ *კოგნიტური არაცნობიერი* უფრო რბილი, კეთილი და რაციონალურია, ვიდრე ფროიდის ბობოქარი არაცნობიერი [53]. მაგრამ ამ დახასიათებას დიდი შემეცნებითი ღირებულება არ გააჩნია, ვინაიდან არაა განსაზღვრული, სად, რა ფორმით იმყოფება ეს „კარგი“, ცნობიერებას მოკლებული ფსიქიკა. არ არის ნათელი არაცნობიერი ფსიქიკური პროცესების რეალური ბუნება, ანუ რანი არიან ისინი ფსიქოლოგიურად. კოგნიტივიზმში ესოდენ გავრცელებულ კომპიუტერულ და ნეიროლოგიურ ანალოგიებს ამ საკითხში სიცხადე არ შეაქვთ. კოგნიტური ნეიორომეცნიერების ფარგლებში ერთმანეთს ადარებენ, თუ როგორ მუშაობს ტვინი ინფორმაციის ცნობიერი და არაცნობიერი გადამუშავების პროცესში. ამით ცდილობენ, დაადგინონ ცნობიერებისა და არაცნობიერის „ნერვული კორელატები“. მაგრამ, იმ შემთხვევაშიც, თუ გაირკვევა, რომ ინფორმაციის ცნობიერი და არაცნობიერი გადამუშავებისას ტვინის აქტივაციის სურათი

განსხვავებულია, ჩვენ ბევრს ვერაფერს გავიგებთ არაცნობიერის ფსიქოლოგიური ბუნების შესახებ; 2) კოგნიტურ ფსიქოლოგიაში ხაზგასმულია კოგნიტური არაცნობიერი პროცესების განსხვავებულობა დინამიკური არაცნობიერი პროცესებისგან, მაგრამ არ არის ბოლომდე გარკვეული, თუ რას ნიშნავს ეს – იმას, რომ პარალელურად არსებობს ორი სახის არაცნობიერი, თუ იმას, რომ არაცნობიერი ფსიქიკური სინამდვილე მხოლოდ კოგნიტური არაცნობიერი პროცესებით არის წარმოდგენილი; 3) თვალსაზრისი კოგნიტურ არაცნობიერზე ამოდის დაშვებიდან, რომ ცნობიერი და არაცნობიერი პროცესები პრინციპულად არ განსხვავდება ერთმანეთისგან. ის, რომ კოგნიტური არაცნობიერი და ცნობიერი პროცესები გონიერი, ლოგიკური და რაციონალურია და რომ მათში შინაარსის სელექცია მიმდინარეობს, არ ნიშნავს იმას, რომ ამ პროცესებს შორის არ არსებობს ფუნდამენტური ხასიათის განსხვავება [54]. ეს პრინციპული შეცდომაა და გამომდინარეობს რწმენიდან, რომ არსებობს მხოლოდ ერთი ტიპის ფსიქიკა, ის, რომელსაც ცნობიერება იცნობს. ამ შეცდომას უშვებდა კლასიკური ფსიქოლოგია და, როგორც ჩანს, თანამედროვე კოგნიტივიზმიც იმეორებს. ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში აღნიშნულია ასეთი თვალსაზრისის უნაყოფობა, ვინაიდან ის არაცნობიერს მხოლოდ უარყოფითად ახასიათებს და არ ითვალისწინებს ფსიქიკის ამ სფეროს სპეციფიკას, კერძოდ იმ თვისებებს, რითაც არაცნობიერი განსხვავდება ცნობიერ ფსიქიკაში რეფლექსიის გზით გამოყენილი თვისებებისგან. ასეთ არაცნობიერს, ი. ჰერბარტის თქმისა არ იყოს, შეადგენენ მოვლენები, რომლებიც ერთ დროს ცნობიერების „სცენაზე" იყვნენ, მაგრამ შემდეგ მის ზღურბლს მიღმა აღმოჩნდნენ [3]. არაცნობიერის თეორია, რომელიც ვერ იძლევა არაცნობიერის ცნობიერებისგან განსხვავებული შინაგანი ბუნებისა და სტრუქტურის დახასიათებას, უნაყოფოა [7]; 4) ქცევითი კოგნიტივიზმის ჩარჩოებში შექმნილ თეორიულ სისტემებში არაცნობიერ ფსიქიკურ სინამდვილესთან დაკავშირებული პროცესები და მექანიზმები, ფაქტობრივად, არ არის აღწერილი და გათვალისწინებული. შეხედულება კოგნიტური არაცნობიერის შესახებ ჯერ არ მომწიფებულა იმისთვის, რომ სერიოზული თეორეტიკოსების მიერ მსჯელობის საგანი გახდეს.

გამონაკლისი არც ჟ. პიაჟეა, მიუხედავად მისი მცდელობისა, მოენახა გარკვეული ადგილი კოგნიტური არაცნობიერის ცნებისთვის თავის თეორიულ სისტემაში. პიაჟე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ კოგნიტივისტური და ფსიქოანალიზური მიდგომები არაცნობიერის საკითხისადმი ოდესმე შეავსებენ ერთმანეთს. ფსიქოანალიზს სურს, გამოავლინოს აფექტური პროცესების დაფარული მექანიზმები, ვინაიდან ემოციების განმცდელი ადამიანი არ აცნობიერებს მათ წარმომავლობას. პიაჟეს მიაჩნია, რომ კოგნიტური პროცესების მიმართაც იგივე ითქმის. სუბიექტმა, ასე თუ ისე, იცის, რაზე ფიქრობს, ოღონდ ვერ აცნობიერებს მისი აზროვნების წარმმართველ სტრუქტურებს. კოგნიტურ არაცნობიერს ასეთი სტრუქტურების ერთობლიობა შეადგენს. ცნობიერება სწვდება კოგნიტური აქტივობის შინაარსს ან შედეგს, მაგრამ მისი სტრუქტურული და ფუნქციონალური მიზეზები, ანუ შინაგანი მექანიზმები, ცნობიერების მიღმა რჩება. კოგნიტური არაცნობიერის შემადგენელი კოგნიტური სტრუქტურები, პიაჟეს თანახმად, გარემოსთან ადაპტაციას ემსახურებიან და, მაშა-

სადამე, *რეალობის პრინციპით* ხელმძღვანელობენ. ამას ვერ ვიტყვით ფსიქოანალიზურ არაცნობიერზე, სადაც *სიამოვნების პრინციპია* გაბატონებული. ამიტომ გაუგებარი რჩება, როგორ აპირებს პიაჟე მათ შორის ხიდის გადებას.

პიაჟეს საფუძვლიანად აქვს შესწავლილი კოგნიტური სტრუქტურების ფორმირებისა და ფუნქციონირების პროცესი (იხ. VII თავი). ამ მხრივ მის კონცეფციაში მეტი გარკვეულობაა, ვიდრე კოგნიტივიზმში, სადაც არაცნობიერი სინამდვილის ფსიქოლოგიური დახასიათების დიდი დეფიციტი იგრძნობა. ამავე დროს, სისტემური და პოზიტიური თვალსაზრისი არაცნობიერ ფსიქიკაზე არც პიაჟეს მოძღვრებაშია მოცემული. დავიწყოთ იმით, რომ მისი პოზიცია ფუნქციონალისტურია და შემოიფარგლება ცალკეული ფუნქციების (თუნდაც მთლიანად კოგნიტური სფეროს) არაცნობიერი მექანიზმების ჩვენებით. გარდა ამისა, მის მიერ კოგნიტურ არაცნობიერში შეტანილი მოვლენების შესახებ ადრეც იყო ცნობილი. ის გარემოება, რომ აზროვნების მექანიზმები არ ცნობიერდება, ჯერ კიდევ ვიურცბურგელებმა დაადგინეს [33]. მიუხედავად ამისა, მათ ნათელი წარმოდგენა არ ჰქონდათ ამ მექანიზმების ბუნებაზე. ისეთი აღწერითი ცნებები, როგორიცაა, მაგალითად, დეტერმინაციის ტენდენცია, დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება. პიაჟე სავსებით ადეკვატურადაც რომ სწვდებოდეს კოგნიტური პროცესების არაცნობიერი მექანიზმების ბუნებას, მისი ყურადღების მიღმა მაინც რჩება ქცევის აფექტურ-მოტივაციური მხარე. იგი თავადვე აღნიშნავს, რომ არაცნობიერი „აფექტური და კოგნიტური მექანიზმები განუყოფელია, თუმცა განსხვავებული: პირველნი ეფუძნებიან ენერგიას, მეორენი – სტრუქტურას“ [35; 260]. პიაჟემ, საუკეთესო შემთხვევაში, იცის სტრუქტურა, მაგრამ არ იცის ენერგია, იგი არასდროს შეუსწავლია. ქცევა კი კოგნიტურისა და აფექტურ-მოტივაციურის ერთიანობაა. ქცევას, როგორც თავისებურ მოვლენას, თავისთავად უნდა ჰქონდეს არაცნობიერი საწყისი, მექანიზმი, რომელიც არ დაიყვანება არც კოგნიტურ და არც აფექტურ არაცნობიერზე, ან მათ უბრალო ჯამზე. ის უნდა მოიცავდეს ქცევის მთლიან სუბიექტს (ყველა სტრუქტურით) მის განუყოფელ კავშირში აქტივობის განმსაზღვრელ სიტუაციასთან. უზნაძის თეორიაში, განწყობის მოვლენის სახით, სწორედ ასეთი არაცნობიერი სინამდვილეა კონცეპტუალიზებული (იხ. XII თავი).

აქამდე განხილული სისტემების ავტორებს, მათი მკაფიო კოგნიტივისტური ორიენტაციის გარდა, საგულდაგულოდ ჩატარებული ექსპერიმენტული გამოკვლევებისადმი ერთგულებაც აერთიანებდა. ყველა მათგანი ისე ადგენდა და აზუსტებდა ცნებებს, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათი ემპირიული შემოწმება კონტროლირებად პირობებში. ამდენად, მათი სამუშაო უფრო აკადემიური ფსიქოლოგიის ჩარჩოებში წარმოებდა. ამავე დროს, ფსიქოლოგიის კოგნიტური მიმდინარეობის ფარგლებში თავიდანვე გამოირჩეოდნენ მკვლევრები, რომლებიც *კლინიკური მეთოდოლოგიის* საფუძველზე მუშაობდნენ. ისინი თეორიულ პრინციპებს უპირატესად ფსიქოთერაპიულ მონაცემებზე დაყრდნობით აყალიბებდნენ და ფსიქოკორექციულ პრაქტიკაში აფუძნებდნენ. სადღეისოდ არსებობს ფსიქოთერაპიული სისტემების მრავალი სახეობა, რომელთა თეორიულ ბაზას, არსებითად, კოგნიტური ფსიქოლოგია შეადგენს.

ამ ორიენტაციის ფსიქოლოგებში ყველაზე გავლენიანი თეორეტიკოსი, ალბათ, **ჯორჯ კელია** (1905-1966). მან მრავალმხრივი განათლება მიიღო ამერიკასა და ბრი-

ტანეთში, კერძოდ შოტლანდიაში (ფიზიკა-მათემატიკა, სოციოლოგია, პედაგოგიკა, ფსიქოლოგია). საბოლოოდ კი, ფსიქოლოგად ჩამოყალიბდა და დისერტაციაც ამ სფეროში დაიცვა აიოვის უნივერსიტეტში. ომის დროს კელი ემსახურებოდა სამოქალაქო რეისების მფრინავების გადამზადების საქმეს. ომის შემდგომ, ოცი წლის განმავლობაში, იგი ხელმძღვანელობდა კლინიკური ფსიქოლოგიის განყოფილებას ოჰაიოს სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1955 წელს გამოქვეყნდა მისი მთავარი ნაშრომი „პიროვნების კონსტრუქტების ფსიქოლოგია", რომელმაც მაშინვე მიიპყრო ფართო ფსიქოლოგიური საზოგადოებრიობის ყურადღება. მასში დამუშავებული *პიროვნული კონსტრუქტების თეორია* საყოველთაოდ არის ცნობილი.

კელი პიროვნების ფსიქოლოგიის სფეროში კოგნიტივისტური მიდგომის ერთერთი პიონერია. მისთვის შემეცნებითი მხარე ადამიანში იმდენად მნიშვნელოვანია, რომ პიროვნება მეცნიერ-მკვლევრის ანალოგად არის გაგებული. მეცნიერის მსგავსად, ადამიანი აანალიზებს სხვადასხვა ვითარებას, აყალიბებს მათ შესახებ გარკვეულ შეხედულებებს და, ამის საფუძველზე, წინასწარ განჭვრეტს მომავალ მოვლენებს. აქედან გამომდინარეობს ადამიანის ბუნების ორი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი: ერთი ის, რომ იგი უბრალოდ კი არ რეაგირებს გარემოცვაზე, არამედ აქტიურად ქმნის ამ უკანასკნელის შესახებ თავის წარმოდგენას, მის ფსიქიკურ რეპრეზენტაციას და, მეორე, რომ იგი, ძირითადად, მომავალზეა ორიენტირებული. პიროვნების არცერთ მკვლევართან (ალბათ გ. ოლპორტის გარდა) ადამიანის მომავალზე ორიენტირებულობა (ე.წ. *პროსპექტულობა)* არ არის ისე ხაზგასმული, როგორც კელის სისტემაში. ადამიანს მომავალი აწუხებს, მომავალი ხიბლავს და არა წარსული. იგი ყოველთვის ცდილობს, მომავალში შეიხედოს აწმყოს ფანჯრიდან, ამბობს კელი. ეს არსებითად განასხვავებს მის შეხედულებებს ფსიქოანალიზისგან, სადაც აქცენტი წარსულზე კეთდება.

მოვლენების აღსაწერად და ასახსნელად მეცნიერები თეორიულ კონსტრუქციებს მიმართავენ. ამის მსგავსად, ადამიანებიც ქმნიან და იყენებენ გარკვეულ კოგნიტურ ანუ აზროვნებით სტრუქტურებს – ე.წ. *კონსტრუქტებს,* რათა მოახდინონ მოვლენებისა და ვითარებების *კატეგორიზაცია, ინტერპრეტაცია დაპროგნოზება.* აკვირდებიან რა მოვლენებს, ადამიანები აფიქსირებენ მათში მსგავს და კონტრასტულ მხარეებს, ისეთებს, როგორებიცაა: კარგი–ცუდი, მაღალი–დაბალი, მაგარი– რბილი, ჭკვიანი–სულელი, წყნარი–აღელვებული, კეთილი–ბოროტი, რელიგიური–არარელიგიური და მრავალი სხვ. ეს პიროვნული კონსტრუქტების მაგალითებია, რომელთა მეშვეობითაც ადამიანები აფასებენ და აწესრიგებენ თავის ცხოვრებისეულ სამყაროს. პიროვნება კონსტრუქტების სისტემაა.

პიროვნული კონსტრუქტი კელის თეორიის ძირითადი ცნებაა. მასში კონსტრუქტების სხვადასხვა სახე განიხილება იმის მიხედვით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ისინი პიროვნებისთვის (*ცენტრალური და პერიფერიული კონსტრუქტები),* მოვლენების რამდენად ფართო წრეს მოიცავენ (გამოყენების *დიაპაზონი),* რამდენად ექვემდებარებიან სიტყვიერ ფორმულირებას (*ვერბალური და არავერბალური კონსტრუქტები),* რამდენად ექვემდებარებიან შეცვლას (შეღწევადობა–შეუღწევადობა) და ა.შ.

ადამიანები ერთმანეთისგან იმით განსხვავდებიან, თუ რა სახის და რა რაოდენობის კონსტრუქტებს იყენებენ ქცევაში, რამდენად რთულია კონსტრუქტების სისტემის ორგანიზაცია და რამდენად ექვემდებარება სისტემა შეცვლას. ყველა ადამიანის კონსტრუქტების სისტემა უნიკალურია [24].

როცა კონსტრუქტების სისტემა ვეღარ ახდენს მოვლენების ეფექტურ პროგნოზირებას, საჭირო ხდება მისი შეცვლა. ასეთი სიტუაცია მაშინ იქმნება, როდესაც ადამიანი ახალ ან უცხო მოვლენებს ხვდება, ისეთებს, რომლებიც ან არ არიან ასახული მის კონსტრუქტებში, ან მათთან წინააღმდეგობაში მოდიან. ამ დროს ხდება ახალი კონსტრუქტების შექმნა ან უკვე არსებულის შინაარსის გაფართოება. ეს უკანასკნელი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორია ამა თუ იმ პიროვნების კონსტრუქტების შეღწევადობის დონე. ეს პარამეტრი აღნიშნავს კონსტრუქტების თვისებას, მოახდინოს ახალი ინფორმაციის ასიმილაცია და, შესაბამისად, გარკვეულად შეცვალოს თავისი სტრუქტურა (კელი ამას *მოდულაციასაც* უწოდებს). შეღწევადობის დაქვეითება ადამიანის ფსიქოლოგიური რიგიდულობის გამოხატულებად ითვლება. ადამიანის თავისუფლებას კელი სწორედ იმაში ხედავს, რომ მას შეუძლია, შეცვალოს საკუთარი პიროვნული კონსტრუქტები და, საზოგადოდ, ამ კონსტრუქტების შესაბამისად იმოქმედოს.

კონსტრუქტების სისტემა ქცევის *რეგულაციას* ემსახურება. ამიტომ ამ სისტემის ფუნქციონირების დეფექტი ქცევის დარღვევას იწვევს. პათოლოგიური ქცევისას ადამიანი ცდილობს, შეინარჩუნოს კონსტრუქტების შინაარსი და სტრუქტურა, თუმცა ის ვერ უზრუნველყოფს სწორ წინასწარმეტყველებას და ქცევის მიზნის მიღწევას. პოზიტიური ცვლილებების პროცესის არსი კონსტრუქტების კოგნიტური სისტემის რეკონსტრუქცია, მისი განვითარება და გაუმჯობესებაა. ერთ შემთხვევაში ეს შეიძლება გულისხმობდეს სისტემაში ახალი კონსტრუქტების შემოტანას, მეორეში – ძველი კონსრუქტების მოსპობას. ზოგჯერ საჭიროა კონსტრუქტების შინაარსის გაფართოება ან, პირიქით, შევიწროება, შეღწევადობის გაზრდა და ა.შ.

ამ მიზნების მისაღწევად კელიმ შექმნა ფსიქოთერაპიული სისტემა და კოგნიტური ფსიქოთერაპიის ერთ-ერთ ფუძემდებლად ითვლება. მისი რწმენით, ადამიანებს ეუფლებათ შფოთვა ან დეპრესია, როცა ხვდებიან საკუთარი აზროვნების რიგიდული, არაადეკვატური კატეგორიების/კონსტრუქტების ხაფანგში. კელის ფსიქოთერაპია მიმართულია არაადაპტური აზროვნების შეცვლაზე და ისეთი კოგნიციის გამომუშავებაზე, რომელიც ამჟამინდელ და მომავალ სასიცოცხლო ვითარებათა ადეკვატურ სურათს მოგვცემს. პაციენტებში კოგნიტური სქემების კორექციისთვის სხვადასხვა ტექნიკები გამოიყენება, მათ შორის ახალი როლების შესრულება. ადამიანს სთავაზობენ, გაითამაშოს გარკვეული სცენარები და როლები, განასახიეროს სხვა პიროვნება, რაც უბიძგებს მას, მოიქცეს ახლებურად და საკუთარი თავი სხვაგვარად დაინახოს [1]. ამიტომ კელის ფსიქოთერაპიულ მიდგომას *ფიქსირებული როლების* თერაპია ეწოდება.

კელი ჰარმონიულად უხამებდა ერთმანეთს ექსპერიმენტულ და კლინიკურ კვლევით მეთოდოლოგიას. მან შეიმუშავა *რეპერტუარული ბადის* მეთოდური პრინციპი,

რომლის დახმარებითაც მან და მისმა მიმდევრებმა შექმნეს ტესტური მეთოდიკების მთელი რიგი, სუბიექტის მიერ რეალობის კონსტრუირების ინდივიდუალურ თავისებურებათა დიაგნოსტირებისთვის. მათ შორის ყველაზე ცნობილია *როლური კონსტრუქტების რეპერტუარული ტესტი* (REP-ტესტი) [51]. ეს მეთოდიკა საშუალებას იძლევა, დავადგინოთ, რა კონსტრუქტებს იყენებს ადამიანი, როგორია მათ შორის კავშირები, რაოდენ დიფერენცირებულად და უნიკალურად აღიქვამს და აფასებს ადამიანი სამყაროს. ეს ყოველივე ფართოდ გამოიყენა კლინიკურმა, პედაგოგიურმა და გამოყენებითი ფსიქოლოგიის სხვა დარგებმა.

სამწუხაროდ, კელის თეორიაში, ღიად არის დატოვებული ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი იმის შესახებ, თუ რა ფაქტორები განსაზღვრავენ კონსტრუქტების შინაარსსა და სტრუქტურას, მის ადაპტურ ან არაადაპტურ (ავადმყოფურ) თვისებებს. კონსტრუქტების სისტემაში არსებული ამა თუ იმ დეფექტის წარმომავლობა ახსნას მოითხოვს, რის გარეშეც ძნელია, გაირკვეს, თუ სად უნდა ვეძებოთ ავადმყოფობის ფუნდამენტური მიზეზები (ორგანიზმში თუ გარემოში) და, შესაბამისად, გამოვიმუშაოთ მისი პრევენციისა და მკურნალობის ადეკვატური სტრატეგია. გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება, რომ ადამიანის მეცნიერ-მკვლევართან იდენტიფიკაციით კელიმ გადაჭარბებული რაციონალიზმი გამოავლინა და ერთგვარად დააკნინა პიროვნების ემოციური სფეროს მნიშვნელობა.

აარონ ბეკის (1921-) მოდელიც კლინიკური ფსიქოლოგიის ნიადაგზეა შექმნილი. ის, პირველ ყოვლისა, ფსიქიკური დარღვევის მექანიზმის გარკვევასა და შესაბამისი თერაპიის შემუშავებას ემსახურება. ეს ყოველივე კოგნიტური ფსიქოლოგიის ფარგლებში ხორციელდება. ამერიკელი ფსიქოთერაპევტი ბეკი ფსიქოთერაპიაში კოგნიტურ-ბიჰევიორალური მიმდინარეობის ერთ-ერთი მიმართულების – *კოგნიტური ფსიქოთერაპიის* ფუძემდებელია. არის პენსინვალიის უნივერსიტეტის პროფესორი, მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და წოდება, მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ფსიქოთერაპევტად. 1994 წელს ბეკმა ფილადელფიაში დააფუძნა კოგნიტური თერაპიისა და კვლევის ცენტრი, სადაც ამზადებენ სპეციალისტებს სომატურ და ფსიქიკურ აშლილობათა სფეროში, ხორციელდება სპეციალური ტრენინგ-პროგრამები, მიმდინარეობს ფსიქოდიაგნოსტიკური სკალების შემუშავება კლინიკური მოხმარებისთვის.

ბეკის მიხედვით, ორგანიზმის გარემოსთან ადაპტაციის საკვანძო მომენტი ინფორმაციის გადამუშავებაშია. სპეციალური ფსიქიკური ფუნქციონალური აპარატი უზრუნველყოფს გარემოდან ინფორმაციის მიღებას, მის სინთეზირებას და, ამის საფუძველზე, მოქმედების დაგეგმვას. ეს ფუნქციონალური აპარატი, კოგნიტივიზმის სულისკვეთების შესაბამისად, გააზრებულია როგორც კომპიუტერული პროგრამის ანალოგი. პროგრამა განსაზღვრავს შემოსული ინფორმაციის სახეს, მისი გადამუშავების ხერხებს და, აქედან გამომდინარე, პასუხებს. პათოლოგიური პროცესის შემთხვევაში, ინფორმაციის მიღება-გადამუშავებისას, აზროვნება ტენდენციური ხდება და შეცდომების წყაროდ იქცევა. ბეკი კოგნიტური შეცდომების თუ დამახინჯებების საკმაოდ გრძელ სიას ადგენს. ამ სიაში შედის: *უსაფუძვლო დასკვნები*

– ესაა დასკვნები, რომლებიც კეთდება მტკიცებულებების უქონლობისა და, შესაძლოა, რეალობასთან სრული შეუსაბამობის პირობებში. მაგალითად, მომუშავე დედა, რომელიც მძიმე სამუშაო დღის ბოლოს მიდის დასკვნამდე, რომ „იგი ძალიან ცუდი დედაა". *შერჩევითი აბსტრაქცია* – სიტუაციის კონცეპტუალიზაცია კონტექსტიდან ამოღებული დეტალის მიხედვით, რაც ხდება სხვა, უფრო მნიშვნელოვანი ინფორმაციის იგნორირების ფონზე. მაგალითად, ყმანვილი, რომელიც ხმაურიან წვეულებაზე ეჭვიანობას იწყებს იმის გამო, რომ მისმა შეყვარებულმა გოგონამ თავი სხვისკენ მიაბრუნა, რათა უკეთ გაეგონა მისი ნათქვამი. *ზოგენერალიზაცია* – ზედმეტად ფართო და გაუმართლებელი განზოგადება ერთი ან რამდენიმე იზოლირებული შემთხვევის საფუძველზე. მაგალითად, ქალი, რომელიც იმედისგამაცრუებელი პაემნის მერე ასკვნის, რომ „ყველა მამაკაცი ერთნაირია. მე ყოველთვის უარყოფილი ვიქნები". *პერსონალიზაცია* – მოვლენების ინტერპრეტაცია პიროვნული მნიშვნელობის თვალსაზრისით, საკუთარ თავთან მიმართებით. მაგალითად, დეპრესიული ფსიქოტიპი იწყებს თავისი თავის დადანაშაულებას იმაში, რომ მან გამოიწვია ეპიდემია შორეულ ქვეყანაში, რომლის შესახებ ტელევიზორში გაიგო; დეპრესიული ნევროტიკი გამვლელის მოღუშული სახის დანახვაზე ფიქრობს: „მას მე ვეზიზღები". *გადაჭარბება ან დაკნინება* – რაიმე მოვლენის შედეგების გაზვიადება ან მისი მნიშვნელობის აშკარა შემცირება. გადაჭარბების მაგალითია სტუდენტი, რომელიც წინასწარმეტყველებს, რომ აუცილებლად ჩაიჭრება, თუ ოდნავ მაინც ინერვიულებს გამოცდაზე; დაკნინების მაგალითია, როცა ადამიანი უკურნებელი სენით შეპყრობილ დედაზე ამბობს, რომ იგი „ოდნავ გაციებულია". *დიქოტომიური აზროვნება* – მოვლენების შეფასება უკიდურეს კატეგორიებში (შავ-თეთრი, ან-ან), მაქსიმალიზმის ნიშნით აღბეჭდილი აზროვნება. მაგალითად, სტუდენტი, რომელიც ფიქრობს, რომ, თუ ამ საგანს აუცილებლად ფრიადზე არ ჩააბარებს, იგი უიღბლო და ხელმოცარული კაცი ყოფილა. ამ სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება.

პათოლოგიის შემთხვევაში კოგნიტური დამახინჯება იმ თემების მიმართულებით წარიმართება, საითაც *კოგნიტური ძვრა* მოხდა. მაგალითად, დეპრესიის დროს ასეთია დამარცხებისა და უსუსურობის თემა, შფოთვისის – ხიფათისა და ა.შ. ამდენად, ყველა ფსიქიკურ პათოლოგიას აქვს სპეციფიკური პროგრამა ან სქემა. ბეკის *კოგნიტური სქემის* ცნება კელის პიროვნული კონსტრუქტის ცნების ანალოგიურია და გულისხმობს გამოცდილებისა და ქცევის მაორგანიზებელ კოგნიტურ სტრუქტურას. ეს არის შედარებით მდგრადი კოგნიტური მოდელი, რომელიც ადამიანების განწყობების საშუალებით მოქმედებს ინფორმაციის სელექციისა და სინთეზირების პროცესებზე. თავისთავად სქემა არ შეიძლება ჩაითვალოს ნორმალურად ან პათოლოგიურად, მაგრამ იგი შეიძლება იყოს ადაპტური ან არაადაპტური. ამ არაადაპტურობას ყოველთვის თავისებური სახე აქვს [44]. შფოთვისას აქტივირდება გადარჩენის პროგრამა – ინფორმაციული ნაკადიდან სუბიექტი ირჩევს ხიფათის შემცველ სიგნალებს და თრგუნავს უსაფრთხოების სიგნალებს. აქტივობაში ეს გამოვლინდება იმით, რომ ინდივიდი განერიდება ყოველ ობიექტურად ნეიტრალურ სიგნალს, რომელსაც იგი შეცდომით საფრთხის მნიშვნელობას მიაწერს. დეპრესიის პროგრამა მოიცავს სამ მომენტს, ანუ ე.წ. *დეპრესიის კოგნიტურ ტრიადას*. ესენია: *ნეგატიური წარმოდ-*

გენა თავის თავზე, როგორც წარუმატებელ და უმაქნის ადამიანზე; *ნეგატიური წარმოდგენა სამყაროზე,* როგორც მტრულსა და მაფრუსტრირებელზე; და *ნეგატიური წარმოდგენა მომავალზე,* როგორც შავბნელსა და უპერსპექტივოზე. ამგვარი კოგნიცია იწვევს ყოველდღიური სირთულეების გაზვიადებას და მათ განცდას ნამდვილ უბედურებად.

მრავალი გამოკვლევა ადასტურებს, რომ ბეკის დეპრესიის კოგნიტური ტრიადა, ძირითადად, სწორად აღწერს დაავადების სურათს. ამასთან, ჯერ კიდევ გაურკვეველი რჩება, ტრიადაში გათვალისწინებული საქმის ვითარება დეპრესიის მიზეზია თუ მისი შედეგი ან, უბრალოდ, დეპრესიის სიმპტომი [18]. საზოგადოდ, დეპრესიისა და სხვა ნეგატიური კოგნიტური სქემები გამოწვეულია წარუმატებელი ცხოვრებისეული გამოცდილების დაგროვებით (მაგალითად: მკვეთრი კრიტიკა სახლში, სასწავლებელში, სამსახურში, ახლობლის დაკარგვა, გარემოცვის მხრიდან აგდებული დამოკიდებულება, ფრუსტრაცია სასიყვარულო ურთიერთობებში, სხვადასხვა საქმიანობაში და ა.შ.). მაგრამ ეს გამოცდილება ზედ ედება უკვე არსებულ დეპრესიულ სქემას, რომელიც ცხოვრების ადრეულ ეტაპებზე ფორმირდება და ინდივიდში მიდრეკილების სახით ვლინდება. უფრო მეტიც, არსებობს სრულიად, გარკვეული მემკვიდრული მიდრეკილებაც დეპრესიისა და სხვა დარღვევების მიმართ. საერთოდ, სულიერი დარღვევები ბეკის მიერ განიხილება როგორც ევოლუციური და ბიოლოგიური ფაქტორების ურთიერთქმედება განვითარებისა და გარემოს ფაქტორებთან. მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს სპეციფიკური არაადაპტური კოგნიტური სქემების წარმოშობის ისტორია, ყველა მათგანი, ჯერ ერთი, დამყარებულია მცდარ ვარაუდებზე, გაზვიადებულია და შემდეგ, აქტივაციის მერე თვითგანხორციელებად ხასიათს იძენს და ძალიან ძნელად, ან სულ არ ექვემდებარება თვითრეგულაციას. ამიტომ მათ დასარეგულირებლად საჭირო ხდება კოგნიტური ფსიქოთერაპევტის დახმარება. როგორც დეპრესიის, ისე სხვა პათოლოგიების შემთხვევაში *კოგნიტური თერაპიის* მიზანი ინფორმაციის გადამუშავებაში არსებული დარღვევის გამოსწორება და აზროვნების ტენდენციურობის აღმოფხვრაა. ბეკისეული ფსიქოთერაპიის სტრატეგია მიმართულია პარტნიორობაზე თერაპევტსა და პაციენტს შორის, რათა ამ უკანასკნელმა თავისი კოგნიტური შეცდომების რაციონალიზაცია მოახდინოს. ამისთვის მიმართავენ *სოკრატულ დიალოგს* – საუბარი მიმდინარეობს საგანგებოდ შერჩეული კითხვების დახმარებით, რაც ემსახურება პრობლემის შესწავლას, პაციენტის აზრებისა და წარმოდგენების იდენტიფიკაციას, იმის გაგებას, თუ რა მნიშვნელობას დებს იგი სიტუაციებსა და მოვლენებში; ასევე, არაადეკვატური კოგნიციის შედეგების პროგნოზირებას. შემდგომში, როცა თერაპევტის დახმარებით პაციენტი აღმოაჩენს საკუთარი კოგნიციის მცდარობას, მრავალრიცხოვანი კოგნიტური და ქცევითი ტექნიკის საშუალებით იგი ახალ გამოცდილებას შეიძენს და, საბოლოოდ, აყალიბებს რეალისტურ კოგნიციას.

ალბერტ ელისი (1913-2007), *რაციონალურ-ემოციური ფსიქოთერაპიის* ავტორი, აგრეთვე ცდილობს, შეცვალოს დამახინჯებული, ირაციონალური კოგნიციები რეალისტური, ადაპტური კოგნიციებით.

ელისმა განათლება მიიღო კოლუმბიის უნივერსიტეტში კლინიკური ფსიქოლოგიის განხრით. განაგრძო სამეცნიერო წრთობა ფსიქოანალიზში კ. ჰორნის ინსტიტუტში. შემდგომში ეწეოდა კერძო ფსიქოანალიზურ პრაქტიკას ნიუ-იორკში. თანდათანობით ელისს ჩამოუყალიბდა კრიტიკული დამოკიდებულება ფსიქოანალიზის მიმართ და 1950 წლების შუა პერიოდიდან დაიწყო საკუთარი ფსიქოთერაპიული მიდგომის ჩამოყალიბება, რომელიც დღეს, ა. ბეკის სისტემასთან ერთად, განიხილება ფსიქოთერაპიაში *რაციონალურ-ბიჰევიორალური* მიმართულების პირველ ვარიანტად. 1959 წელს ელისმა დააფუძნა რაციონალურ-ემოციური თერაპიის ინსტიტუტი და დიდი ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მის სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობას.

სახელწოდებიდანაც ჩანს, რომ ავტორი კოგნიტურ და ემოციურ სფეროებს შორის მჭიდრო კავშირის დაშვებიდან ამოდის. როგორც ზემოთ დავრწმუნდით, კოგნიტურ ფსიქოლოგიაში ქცევის ანალიზი უმთავრესად კოგნიტურ-აფექტური და კოგნიტურ-მოტივაციური წარმონაქმნების საშუალებით წარმოებს. ელისი ამ კავშირის იდეას სხვადასხვაგვარად ავითარებს: ჯერ ერთი, იგი გამოყოფს ფსიქიკის ერთეულს, რომელშიც ეს კავშირი რეალურად ხორციელდება და რომელიც უშუალოდ განსაზღვრავს ქცევის ხასიათს. ამ ერთეულს ქმნის *რაციონალური და ირაციონალური განწყობები თუ რწმენები*. რაციონალური განწყობების სისტემას, რომელიც ნორმალურ ადამიანებში ფუნქციონირებს, აყალიბებს მოქნილი კოგნიტურ-ემოციური კავშირები. ეს სისტემა პოტენციურ, შესაძლებელ ქცევებს გულისხმობს. კერძოდ, მოვლენების ამა თუ იმ მიმართულებით განვითარების სურვილს იმ უპირატესობების გამო, რაც ასეთ განვითარებასთან არის დაკავშირებული. როგორი ძალისაც არ უნდა იყოს მისი აფექტური კომპონენტი, იგი არ ეუფლება ინდივიდს მთლიანად ან დიდი ხნით და არ აფერხებს ქცევის მიზნების განხორციელებას. ირაციონალური განწყობები ხისტ კოგნიტურ-ემოციურ კავშირებს გამოხატავენ. მათ აქვთ მკაცრი მოთხოვნის, ან, ავტორის თქმით, აბსოლუტური მოთხოვნის ხასიათი. აქედან გამომდინარე, ისინი, როგორც წესი, რეალობის მიმართ არაადეკვატურები არიან. ავადმყოფური ქცევა ირაციონალურ განწყობებს თუ რწმენებს უკავშირდება.

კოგნიტურ-ემოციური კავშირების გააზრების კიდევ ერთ ვარიანტია შეხედულება *ცივი, თბილი და ცხელი კოგნიციების* შესახებ, სადაც კოგნიციების ტემპერატურა მათთან დაკავშირებული გრძნობების ინტენსივობას გამოხატავს. მაგალითად, იმ მამაკაცის კოგნიცია, ვისი ცოლიც გაბრაზებულია, შეიძლება სამი სახის ტემპერატურული რეჟიმით გამოიხატოს: ერთია ციცი – „მე ვხედავ, რომ ჩემი ცოლი ფიცხია“; მეორე თბილი – „მე არ მომწონს მისი სიფიცხე და მაღიზიანებს მისი ქცევა“, ხოლო მესამე ცხელი – „მე სრულიად ვერ ვიტან მის საქციელს, იმას, რომ შეურაცხყოფას მაყენებს. რაში მჭირდება ასეთი! ნამდვილად მოვკლავ!“.

დაბოლოს, როგორც ფსიქოთერაპევტი, ელისი მიიჩნევს, რომ კოგნიტური სფეროს შეცვლა დაკავშირებულია ემოციური სფეროს შეცვლასთან. შესაბამისად, კოგნიტური სფეროს მკურნალობა ემოციური სფეროს მკურნალობას გულისხმობს და, საბოლოო ჯამში, ქცევისას.

ირაციონალური რწმენების რაოდენობა თითქმის უსასრულოა, მაგრამ ელისი მაინც გამოყოფს ძირითადებს, რომლებიც, მისი დაკვირვებით, ყველაზე ხშირად უქმნიან პრობლემებს პაციენტებს. ასეთია, მაგალითად რწმენა, რომ: 1. ყველა უბედურება გარედან არის თავსმოხვეული; 2. მოზრდილი ადამიანისთვის სრულიად აუცილებელია, რომ მისი ყოველი ქმედება სხვებისთვის მოსაწონი იყოს; 3. ბედნიერებისკენ მიმავალი გზა დინების მიყოლა და არაფრის კეთებაა; 4. კატასტროფაა, როცა ყველაფერი ისე არ მიდის, როგორც გსურს; 5. ის, რამაც ერთხელ ძლიერ იმოქმედა თქვენს ცხოვრებაზე, ყოველთვის იმოქმედებს მასზე; 6. უნდა ყველაფერი იცოდე, შეგეძლოს, გესმოდეს და ყველაფერში აღწევდე წარმატებას; 7. ყველას ესაჭიროება იმაზე ძლიერი და მნიშვნელოვანი რამ, ვიდრე ის, რასაც თავის თავში ატარებს; 8. ჩვენ არ ვფლობთ ჩვენ გრძნობებს და შეუძლებელია არ განვიცადოთ ისინი; 9. უფრო ადვილია, თავი აარიდო პასუხისმგებლობას და სირთულეებს, ვიდრე გადალახო ისინი; 10. ჩვენს კეთილდღეობაზე გავლენას ახდენს სხვა ადამიანების ქმედებები, ამიტომ საჭიროა ყველაფრის გაკეთება, რათა ისინი სასურველი მიმართულებით შეიცვალონ.

სტოიციზმის ფილოსოფიის მსგავსად, რაციონალურ-ემოციური თერაპია ემყარება რწმენას, რომ ადამიანებს არა აქვთ საფუძვლიანი მიზეზები, აიძულონ თავი, უსაზღვროდ იტანჯონ ან განიცადონ ემოციური დარღვევები, მიუხედავად იმისა, როგორი ფსიქოლოგიური და ვერბალური სტიმულები ზემოქმედებენ მათზე. რაციონალურ-ემოციური თერაპიის პროცესში ადამიანები იგებენ, რომ სავსებით შეუძლიათ განიცადონ ძლიერი, მდგომარეობის შესატყვისი ემოციები (როგორებიცაა: დარდი, მწუხარება, უკმაყოფილება, გაღიზიანება, აღშფოთება და სხვ.), მაგრამ სრულიად არ არის აუცილებელი, განიცადო თვითდამანგრეველი და მდგომარეობის შეუსაბამო ისეთი ემოციები, როგორებიცაა: დანაშაულის განცდა, დეპრესია, რისხვა ან საკუთარი არარაობის შეგრძნება [48].

ელისის მიხედვით, ფსიქოთერაპევტის ამოცანაა, გამოავლინოს ირაციონალური განწყობები, დააფიქსიროს მათზე პაციენტის ყურადღება, მიიღოს აუცილებელი ზომები მათ შესაცვლელად და ადეკვატური, რაციონალური კოგნიციის ჩამოსაყალიბებლად. შემდეგი ამოცანაა დადებითი ცვლილებების განმტკიცება. თერაპია გულისხმობს განსხვავებული მეთოდების გამოყენებას კოგნიტურ, ემოციურ და ქცევით დონეზე. ამ მიზნით პაციენტს სხვადასხვა დავალებას აძლევენ და სთხოვენ, შეასრულოს გარკვეული მოქმედებები; მიმართავენ ლოგიკურ არგუმენტაციას, დარწმუნებას, იუმორს, დაცინვასაც კი [41]. ამის მიღწევა უკვე ფსიქოთერაპიული ტექნიკის საკითხია, ტექნიკისა, რომელიც კოგნიტური მიმდინარეობის ფარგლებში დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

ლიტერატურა

1. ბალიაშვილი მ., პიროვნების ფსიქოლოგიის საფუძვლები. უნივერსალი, თბილისი, 2012.
2. იმედაძე ი., ინტერაქციონიზმი და განწყობის თეორია / მაცნე, „ფსიქოლოგია", 2005, 1, 79-91.

3. იმედაძე ი., ფსიქოლოგიის ისტორია: ანტიკური ხანიდან ჩვენ დრომდე. მწიგნობარი, თბილისი, 2021.
4. კაკიაშვილი მ., კოგნიტური ფსიქოლოგია. უნივერსალი, თბილისი, 2010.
5. ნადირაშვილი შ., განწყობის ანთროპული თეორია. ოპიზა, თბილისი, 2003.
6. უზნაძე დ., განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები / თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ.19, თბილისი, 1941.
7. უზნაძე დ., განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები / შრომები, ტ. VI, მეცნიერება, თბილისი, 1977.
8. ფარჯანაძე დ., მეხსიერების ფსიქოლოგია. შპს „თათა სოლუშენსი", თბილისი, 2008.
9. ხეჩუაშვილი ლ., შესავალი პიროვნების ფსიქოლოგიაში. თსუ, თბილისი, 2013.
10. ჩხარტიშვილი შ., განწყობა და ცნობიერება, მეცნიერება, თბილისი, 1975.
11. Александров А. А., Современная психотерапия. Академический проект, СПб, 1997.
12. Аллахвердов В. М., Воскресенская Е. Ю., Науменко О. В. Сознание и когнитивное бессознательное / Вестник Санкт-Петербургского университета, 2008, 12 (2). С. 10-19.
13. Андреева Г. М., Богомолова Н. Н., Петровская Л. А,Зарубежная социальная психология XX столетия: Теоретические подходы. Аспект Пресс, М., 2001.
14. Аронсон Э., Теория диссонанса: прогресс и проблемы / Современная зарубежная социальная психология. Тексты. МГУ, М., 1984.
15. Асмолов А. Г., Культурно-историческая психология и конструирование миров. Ин-тут практической психологии, М., 1996.
16. Аткинсон Р., Человеческая память и процесс обучения. Прогресс, М., 1980.
17. Бандура А., Уолтерс Р. Принципы социального научения / Современная зарубежная социальная психология. Тексты. МГУ, М., 1984.
18. Бек А., Раш А., Шоу Б., Эмери Г. Когнитивная терапия депрессии. Питер, СПб., 2003.
19. Брунер Дж., Психология познания. За пределами непосредственной информации. Прогресс, М., 1977.
20. Василюк Ф. Е., Психология переживания. МГУ, М., 1984.
21. Величковский Б., М. Когнитивная наука. Основы психологии познания. Смысл, М., 2006.
22. Гейвин Х., Когнитивная психология. Питер, СПб., 2003.
23. Ждан А. Н., История психологии. МГУ, М., 1999.
24. Келли Дж., Психология личных конструктов. Речь, СПб., 2000.
25. Клацки Р., Память человека: структуры и процессы. Мир, М., 1978.
26. Линдсей П., Норман Д., Переработка информации человеком. Мир, М., 1974.
27. Лихи Т., История современной психологии. Питер, СПб., 2003.
28. Малди С., Теории личности. Сравнительный анализ. Евразия, СПб., 2002.
29. Миллер Дж., Галантер Ю., Прибрам К., Планы и структуры поведения. Прогресс, М., 1965.
30. Найсер У., Познание и реальность. Прогресс, М., 1981.
31. Нельсон-Джоунс Р., Теория и пряктика консультирования. Питер, СПб., 2000.
32. Нюттен Ж., Мотивация / Экспериментальная психология. Ред. П. Фресс, Ж. Пиаже. Вып. V. Политиздат, М., 1975.

33. Основные направления исследований психологии мышления в капиталистических странах / Под ред. Е.В.Шороховой. Наука, М., 1966.
34. Первин Л., Джон О., Психология личности. Теория и исследования. Академический Проект, М., 2000.
35. Пиаже Ж., Аффективное бессознательное и когнитивное бессознательное / Жан Пиаже: теории, эксперименты, дискуссии. Гардарики, М., 2001.
36. Солсо Р., Когнитивная психология. Питер, СПб., 2006.
37. Фаликман М. В., Когнитивная наука: основоположения и перспективы / Логос, 2014, 1 (97). С. 1-18.
38. Холл К. Л., Линдсей Г., Теории личности. КСП +, М., 1997.
39. Хьелл Л., Зиглер Д., Теории личности. Питер, СПб., 1997.
40. Шульц Д., Шульц С., История современной психологии. Евразия, СПб., 1998.
41. Эллис А., Драйден У., Практика рационально-эмоциональной поведенческой терапии. Речь, СПб., 2002
42. Bandura A., The self system in reciprocal determinism / American Psychologist, 1978, 33. P. 344-358.
43. Bandura A., Social foundations of thought and action: A social cognitive theory. Prentice Hall, Englewood Cliffs, N. J., 1986.
44. Beck A. T., Freeman A., Davis D. D., Cognitive therapy of personality disorders. Guilford Press, New York, 2003.
45. Chomsky N., A Review of B. F. Skinner's Verbal Behavior / Language, 1959, 35 (1). P. 26-58.
46. Cloninger S. C., Theories of personality: understanding persons. Pearson/Allyn and Bacon, Boston, MA, 2012.
47. Cognitive consistency. Motivational antecedents and behavioral consequents / S. Feldman (Ed.). Academic Press, New York, 1966.
48. Ellis A., Humanistic psychotherapy: the rational-emotive approach. Julian Press, New York, 1973
49. Festinger L., A. Theory of cognitive dissonance. Stenford University Press, Stenford, 1957.
50. Gardner H., The mind's new science. A history of the cognitive revolution. Basic Books, New York, 1987.
51. Kelly G., A theory of personality: The psychology of personal constructs. Norton. New York, 1963.
52. Kihlstrom J. F., The cognitive unconscious / Science, 1987, 237 (4821). P. 1445–1452.
53. Kihlstrom J. F., The psychological unconscious / L.A. Pervin (Ed). Handbook of personality: Theory and research. Guilford Press, New York, 1990.
54. Kihlstrom J. F., Unconscious cognition / Encyclopedia of consciousness. Ed. W. Banks. Academic Press. New York, 2009.
55. Miller G. A., The cognitive revolution: a historical perspective / Trends in Cognitive
56. Sciences, 2003, 7 (3). P. 141-144.
57. Neiser U., Cognitive psychology. Appleton-Century-Crofts, New York, 1967.

58. Nutten J., Tache, reussite et echec: theorie de la conduite humaine. Publications Universitaires de Louvain; Louvain, 1961.
59. Nutten J., Motivation, planning and action. A relational theory of behavior dynamics. Leuven University Press, Leuven, 1984.
60. Overskeid G., Cognitivist or behaviorist – Who can tell the difference? The case of implicit and explicit knowledge. British Journal of Psychology, 1995, 46. P. 59-86.
61. Palmer S. E., Fundamental aspects of cognitive representation / E. Rosch, B. B. Lloyd (Eds). Cognition and categorization. Erlbaum, Hillsdale (N. J.), 1978.
62. Patterson C. H., Theories of counsellig and psychotherapy. Harper and Row, New York, 1986.
63. Rotter J. B., The development and applications of social learning theory: Selected papers. Praeger, New York, 1982.
64. Smith, N. W., Current systems in psychology: history, theory, research, and applications. Wadsworth, Belmont, CA, 2001.
65. Theories of cognitive consistency; sourcebook / R.P. Abelson (Ed.). Rand McNally, Chicago, 1968.
66. Wicklund R. A., Brehm J. W., Perspectives of cognitive dissonance. Erlbaum, Hillsdale (N. J.), 1976.
67. Woodworth R. S., Psychology. McGraw-Hill, New York, 1945.
68. Zajonc R. B., Cognitive theories in social psychology / C. Lindzey, E. Aronson (Eds.). The handbook of social psychology. Vol. 2. Addison-Wesley, Massachusetts, 1968.

XII თავი
განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია

გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა **დიმიტრი უზნაძემ** (1886-1950) შექმნა ზოგადფსიქოლოგიური მასშტაბის მოძღვრება, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება XX საუკუნის სხვა ფსიქოლოგიური სისტემებისგან, როგორც მეთოდოლოგიური ამოცანებითა და პრინციპებით, ისე საკუთრივ თეორიის შინაარსით.

უზნაძე დაიბადა ქუთაისის გუბერნიის სოფელ საქარაში (ამჟამად ზესტაფონის რაიონი) შეძლებული გლეხის ოჯახში, სადაც განათლება დიდად ფასობდა. სასკოლო განათლება უზნაძემ ქუთაისის პრესტიჟულ გიმნაზიაში მიიღო, ხოლო 1905 წელს გაემგზავრა გერმანიაში, სადაც შევიდა ლაიფციგის უნივერსიტეტში, ფილოსოფიის ფაკულტეტზე. იმ დროს ეს იყო ერთ-ერთი წამყვანი უნივერსიტეტი ბრწყინვალე პროფესურით ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სფეროში. საკმარისია ითქვას, რომ აქ სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა თვით ვილჰელმ ვუნდტი – ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის მამამთავარი, მსოფლიოში პირველი ფსიქოლოგიური ლაბორატორიისა და ინსტიტუტის ფუძემდებელი. უზნაძემ სწორედ ამ ინსტიტუტში, ვუნდტის უშუალო ხელმძღვანელობით, გაიარა მეცნიერული წრთობა. თავად ვუნდტის გარდა, აქ სხვადასხვა კურსი ისეთ თვალსაჩინო მეცნიერებს მიჰყავდათ, როგორებიც იყვნენ: პაულ ბარტი, ვილჰელმ ოსტვალდი, ფელიქს კრიუგერი, ჰანს ფოლკელტი, ედუარდ შპრანგერი და სხვ. [3].

1907 წელს უზნაძე წერს თავის პირველ სამეცნიერო შრომას. ის ლაიბნიცს მიეძღვნა და უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ პრემიით დაჯილდოვდა. 1909 წელს იგი ქმნის სერიოზულ ნაშრომს ვლადიმერ სოლოვიოვის ფილოსოფიურ მემკვიდრეობაზე, რომელშიც დოქტორის ხარისხს ანიჭებენ. უზნაძე ამავე წელს ბრუნდება სამშობლოში, როგორც განათლებული ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი. მაგრამ მისი განათლების პროცესი გერმანიაში მიღებული ცოდნით არ სრულდება. საზღვარგარეთ მიღებული დიპლომი რუსეთის იმპერიაში ოფიციალურ დოკუმენტად არ ითვლებოდა. ამიტომ უზნაძე იძულებული გახდა, ექსტერნის წესით ჩაებარებინა გამოცდები ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოსოფიურ ფაკულტეტზე და 1913 წელს მიიღო პირველი ხარისხის დიპლომი.

ამ დროისთვის უზნაძე უკვე მთლიანად ჩართულია პრაქტიკულ-საგანმანათლებლო, საზოგადოებრივ-პუბლიცისტურ და სამეცნიერო მოღვაწეობაში. მისი მეცნიერული ინტერესები იმ ხანად მიმართული იყო ლიტერატურათმცოდნეობის, ესთეტიკის თეორიის, ფილოსოფიისა და პედაგოგიკის საკითხებისადმი. ესთეტიკური აღქმის ორიგინალურ გააზრებაზე დაყრდნობით, უზნაძემ ქუთაისში მოღვაწეობის პირველსავე წლებში შექმნა ქართველი მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებთა ფსიქოლოგიური ანალიზის მშვენიერი ნიმუშები.

უზნაძე სერიოზული ფილოსოფოსი იყო. მისი შემოქმედება ამ სფეროში მოიცავს როგორც ფილოსოფიის ისტორიას (მონოგრაფიები სოლოვიოვისა და ბერგსონის ფილოსოფიური სისტემების შესახებ), ისე აქტუალურ ფილოსოფიურ პრობლემატიკას: სიკვდილი და უკვდავება, ომი და ცხოვრების რაობა, პირადი ბედნიერება და ერისა თუ კულტურის სამსახური, ადამიანის ინდივიდუალობა და შემეცნების თავისებურება – აი იმ თემების არასრული ჩამონათვალი, რომელთაც უზნაძე ამუშავებდა. უზნაძის ფილოსოფიურ თხზულებებს დღესაც არ დაუკარგავთ მეცნიერული მნიშვნელობა და აქტუალობა, და მათი ავტორი სამართლიანად ითვლება არა მხოლოდ ქართული ფსიქოლოგიური სკოლის, არამედ ფილოსოფიური სკოლის ერთ-ერთ ფუძემდებლადაც [3][14][23][39]. ძალიან მდიდარია და საინტერესო მისი პედაგოგიური შემოქმედებაც. უზნაძემ წარმოადგინა შეხედულებათა მთლიანი სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც პედაგოგიკის, ისე ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის უმნიშვნელოვანეს საკითხებს [31][36][42[74]. 1910-1916 წლებში უზნაძე აქვეყნებს წერილების სერიას თეორიულ პედაგოგიკაში. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს წიგნი „შესავალი ექსპერიმენტულ პედაგოგიკაში" (1912), რომელმაც, ფაქტობრივად, სათავე დაუდო საქართველოში ორ ახალ დისციპლინას – ექსპერიმენტულ პედაგოგიკას და ბავშვის ფსიქოლოგიას. ამავე პერიოდში ახალგაზრდა სწავლულმა შექმნა ოთხი სახელმძღვანელო ძველი მსოფლიოს ისტორიაში. ეს იყო ქართულ ენაზე შესრულებული პირველი სერიოზული სახელმძღვანელოები, რომლებზეც დიდი მოთხოვნილება არსებობდა. უზნაძე თავად ასწავლიდა ისტორიას გიმნაზიაში, მაგრამ მისი პრაქტიკულ-პედაგოგიური საქმიანობა ამით არ ამოიწურებოდა. გარემოებებმა მას საშუალება მისცა, პრაქტიკაში შეემოწმებინა თავისი პედაგოგიური სისტემა. 1915 წელს ქუთაისში გაიხსნა ქალთა პირველი ქართული სკოლა „სინათლე", რომლის დირექტორად უზნაძე დაინიშნა. მას დაეკისრა სწავლა-აღზრდის პროცესის ორგანიზაციული, შინაარსეული და მეთოდური პრინციპების ჩამოყალიბება და მათი პრაქტიკული განხორციელება. უზნაძემ წარმატებით გაართვა თავი ამ ამოცანას და ორიოდ წელიწადში შექმნა ნოვატორული სკოლა. მან თავისი მუშაობის პრინციპები სპეციალური ანგარიშის სახით გამოაქვეყნა, რომელსაც პრესამ „ბრწყინვალე პედაგოგიური ტრაქტატი" უწოდა [3].

1917 წელს უზნაძე საცხოვრებლად გადმოდის თბილისში და მთლიანად ერთვება ი. ჯავახიშვილის თაოსნობით განხორციელებულ უზარმაზარი ნაციონალური მნიშვნელობის პროექტში – თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში. მისი მუშაობის დაწყებისთანავე (1918) უზნაძემ გახსნა ფსიქოლოგიის კათედრა, ფსიქოლოგიური ლაბორატორია და საქართველოში ფსიქოლოგიური მეცნიერების ჩამოყალიბებას შეუდგა. იმხანად იგი ერთადერთი ფსიქოლოგი იყო საქართველოში და ფსიქოლოგიის სწავლებისა თუ კვლევის ყველა საკითხი – მეცნიერული, პედაგოგიური თუ ორგანიზაციული – ამ ერთ ადამიანს უნდა გადაეწყვიტა. მან კი არა მარტო იმდროინდელი ფსიქოლოგიური კულტურა შემოიტანა ჩვენში, არამედ თვით საქართველო აქცია ორიგინალური ზოგადფსიქოლოგიური თეორიის სამშობლოდ. იგი კითხულობდა ლექციებს, მიჰყავდა ლაბორატორიული მეცადინეობები, წერდა სახელმძღვანელოებს, ქმნიდა

ტერმინოლოგიას, ამზადებდა კადრებს. უზნაძის მეცნიერულმა, პედაგოგიკურმა და პიროვნულმა თვისებებმა ხელი შეუწყო მის გარშემო თანამოაზრეთა გუნდის შეკრებას. სულ მალე მეცნიერული ფსიქოლოგია ჩვენში ისეთი გაძლიერდა, რომ აუცილებელი გახდა საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოების შექმნა (1927). ამ ფაქტით გაცხადდა, რომ ჩვენში არსებობდა სერიოზული სამეცნიერო სკოლა, რომელშიც სახელოვანი ქართველი ფსიქოლოგების მთელი პლეადა გაერთიანდა. თავდაპირველად მისი ერთადერთი ცენტრი უნივერსიტეტი იყო. მოგვიანებით, 1941 წელს შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი უზნაძეც იყო. აკადემიის ფარგლებში მან მაშინვე ჩამოაყალიბა ფსიქოლოგიის სექტორი, რომლის ბაზაზეც ორ წელინადში გაიხსნა ფსიქოლოგიის ინსტიტუტი. ის 30 წლის განმავლობაში ფსიქოლოგიაში ერთადერთ აკადემიურ კვლევით ინსტიტუტად რჩებოდა საბჭოთა კავშირში. უზნაძის ხელმძღვანელობით ამ ინსტიტუტში ძლიერი სამეცნიერო კოლექტივი ჩამოყალიბდა. ის გახდა ქართული ფსიქოლოგიის ცენტრი, სადაც უზნაძის გარდაცვალების შემდეგაც წარმატებით ვითარდებოდა და ვითარდება მის მიერ შექმნილი განწყობის ფსიქოლოგია [80]. უზნაძე მოულოდნელად გარდაიცვალა ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, ე.წ. „ოთხშაბათობაზე“, განწყობის შესახებ მსჯელობის დროს.

უაღრესად ფართოა უზნაძის ფსიქოლოგიური ინტერესების სფერო. გარდა ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის საკითხებისა, იგი ერთხანს ფსიქოტექნიკის (შრომის ფსიქოლოგიის) საკითხებსაც იკვლევდა [75]. ძალზე მრავალფეროვანია იმ პრობლემების წრე, რომელთაც უზნაძე ამუშავებდა ზოგად ფსიქოლოგიაში [74]. იგი იკვლევდა ფსიქოლოგიის ისტორიისა და მეთოდოლოგიის პრობლემატიკას; შეისწავლიდა ცალკეულ ფსიქიკურ ფუნქციებს და გამოთქვა მრავალი საყურადღებო მოსაზრება კოგნიტური, ემოციური და ვოლიტური ფსიქიკური პროცესების შესახებ. მის კალამს ეკუთვნის ორი სქელტანიანი სახელმძღვანელო ზოგად ფსიქოლოგიაში. მაგრამ მისი ცხოვრების მთავარი საქმე, რა თქმა უნდა, განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია იყო.

უზნაძემ კვლევითი მუშაობა ფსიქოლოგიაში გასული საუკუნის ოციან წლებში დაიწყო. ეს იყო პერიოდი, როდესაც ფსიქოლოგია ე.წ. „ღია კრიზისის“ ხანაში შევიდა და ტრადიციული ფსიქოლოგიის უნაყოფობა საყოველთაოდ ნათელი გახდა. ევროპასა და ამერიკაში თავი იჩინა ფსიქოლოგიის რეფორმირების ძლიერმა ტენდენციამ. გაჩნდა სრულიად ახალი ფსიქოლოგიური სისტემები (ფსიქოანალიზი, პერსონოლოგია, ბიჰევიორიზმი, გეშტალტფსიქოლოგია და ა.შ.), რომლებიც სხვადასხვა ასპექტში დაუპირისპირდნენ კლასიკურ ფსიქოლოგიას. მაგრამ ეს ფსიქოლოგიური კონცეფციები ერთმანეთსაც უპირისპირდებოდნენ და ბევრი მხრივ ურთიერთგამომრიცხავნიც იყვნენ. ფსიქოლოგიური კვლევა განსხვავებული და შეუთავსებელი პროგრამების საფუძველზე მიმდინარეობდა. არ არსებობდა ერთიანი ფსიქოლოგიური მეცნიერება, არსებობდა მრავალი ფსიქოლოგია. საჭირო იყო ამ ფსიქოლოგიური სისტემების ძლიერი და სუსტი მხარეების გარკვევა და პრინციპული ხარვეზების დაძლევის გზის პოვნა.

თავდაპირველად უზნაძემ სწორედ ასეთ უმნიშვნელოვანეს მეთოდოლოგიურ სამუშაოს მოჰკიდა ხელი. სათანადო ანალიზის შედეგად იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აქამდე არსებულ ყველა ფსიქოლოგიურ შეხედულებას ერთი საერთო შეცდომა ახასიათებდა – ისინი დაფუძნებულნი იყვნენ შეუმოწმებელ და უკრიტიკოდ მიღებულ მეთოდოლოგიურ პრინციპზე, რომელსაც უზნაძემ *უშუალობის პოსტულატი* უწოდა. თავის ორიგინალურ ზოგადფსიქოლოგიურ თეორიაში მან ამოცანად ამ პოსტულატის დაძლევა დაისახა. ამ მეთოდოლოგიურ ამოცანას შემდგომში „უზნაძის ამოცანა" უწოდეს [49].

უშუალობის პოსტულატი ფსიქოლოგიაში ბუნებისმეტყველების, კერძოდ, ფიზიკის პირდაპირი მიბაძვით იქნა შემოტანილი. იმჟამინდელ ფიზიკაში კი მექანიკური მიზეზობრიობის პრინციპი ბატონობდა, რომლის თანახმად, ერთი ფიზიკური მოვლენა უშუალოდ იწვევს მეორეს – მიზეზსა და შედეგს შორის უშუალო კავშირი არსებობს. ეს პრინციპი ფსიქიკის სფეროშიც გადმოიტანეს: რაც არ უნდა იყოს ფსიქიკური მოვლენის მიზეზი, გარემოს ფაქტორი თუ სხვა ფსიქიკური ფაქტი, იგი მას უშუალოდ და პირდაპირ იწვევს. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, ფსიქოფიზიკურ პრობლემასთან დაკავშირებით უშუალობის პრინციპის რომელ ვარიანტთან გვაქვს საქმე. ურთიერთზემოქმედების თეორიის მიხედვით, გარეგანი იწვევს შინაგანს ანუ განცდას. პარალელიზმის მოძღვრების თანახმად, ერთი განცდის მიზეზი მხოლოდ მეორე განცდა შეძლება იყოს. ფსიქიკური ფაქტის უშუალო გამომწვევი ყველა შემთხვევაში ან გარე სტიმულია, ან სხვა ფსიქიკური ფაქტი. განსხვავებული ბუნების მქონე რეალობა, რომელიც მათ ურთიერთობას აშუალებს, ამ სქემაში არ მოიაზრება.

უზნაძის აზრით, უშუალობის პოსტულატს აქამდე არსებული მთელი ფსიქოლოგია ეფუძნება. ასეა კლასიკურ ფსიქოლოგიაში, კერძოდ ფსიქოფიზიკაში, სადაც გამღიზიანებელი უშუალოდ იწვევს შეგრძნებას; ასევეა ასოციაციონიზმში, სადაც ერთ წარმოდგენას ავტომატურად მოჰყვება მასთან რაიმე სახით დაკავშირებული მეორე წარმოდგენა; იგივე ითქმის ცნობიერების შინაარსების, სტრუქტურულ და ფუნქციონალურ ფსიქოლოგიაზეც, რომლებიც ფსიქიკური წარმონაქმნების ახსნას ასეთივე ფსიქიკური მოვლენების უშუალო ურთიერთზემოქმედებით ცდილობენ [17]. უშუალობის პოსტულატს ეფუძნება შედარებით ახალი ფსიქოლოგიური შეხედულებებიც. გეშტალტფსიქოლოგია ერთმანეთისგან მიჯნავს მარტივ, კერძო და რთულ მთლიანობით ფსიქიკურ მოვლენებს და აღნიშნავს, რომ პირველს მეორე განსაზღვრავს. მაგრამ, საქმე ისაა, რომ ორივე ჩვეულებრივი ფსიქიკური მოვლენების სამყაროს კუთვნილებაა და ამიტომ ზეგავლენის წესიც უშუალო რჩება (იხ. III თავი).

ბიჰევიორიზმის დახასიათება ამ მხრივ არავითარ სირთულეს არ ქმნის. კლასიკური (უოთსონი) და რადიკალური ბიჰევიორიზმის თანამედროვე ვარიანტებში (სკინერი) სტიმული უშუალოდ განსაზღვრავს რეაქციას. რაც შეეხება ნეობიჰევიორიზმს, სადაც ნაცადია სტიმულსა და რეაქციას შორის ე.წ. შუალედური ცვლადების შემოტანა, ძირითადი არსი აქაც თითქმის უცვლელი რჩება. საქმე ისაა, რომ ეს ცვლადები ან წმინდა ოპერაციონალურადაა განსაზღვრული და ამ გამაშუალებლების ჭეშმარიტი ფსიქოლოგიური ბუნების შესახებ ვარაუდებიც არ გამოითქმის, ან მათი დახასიათება

ისეთი ტერმინებით ხდება (ცოდნა, გეშტალტი, მოლოდინი, ლტოლვა, მიზანი), რომელთაც ისევ და ისევ ჩვეულებრივ ფსიქიკურ წარმონაქმნებსა და პროცესებთან მივყავართ (იხ. I და V თავები). ერთი სიტყვით, „თუ გარემო – ფიზიკური იქნება იგი თუ ფსიქიკური – უშუალოდ მოქმედებს ჩვენს ფსიქიკაზე, თუ ჩვენი მოტორული და ფსიქიკური პროცესები მათზე მოქმედი სტიმულების უშუალო პასუხია, მაშინ გამოდის, რომ სინამდვილესთან ურთიერთობას სუბიექტი კი არა, მისი ფსიქიკა, ან კერძოდ, მისი მოტორიკა ამყარებს, რომ ჩვენი ქცევა თუ განცდა სუბიექტის არსებითი მონაწილეობის გარეშე ჩნდება და, მაშასადამე, მათზე მოქმედი სტიმულებით ერთმნიშვნელოვნად განისაზღვრება“ [34; 20]. ამრიგად, ასკვნის უზნაძე, კლასიკური და თანამედროვე ფსიქოლოგია *უსუბიექტო ფსიქოლოგიაა*. მისი კრიზისული მდგომარეობა ამ დიაგნოზის გამოძახილია.

ეს, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ აქამდე არსებული ფსიქოლოგიისთვის სუბიექტის, პიროვნების ცნება სრულიად უცხოა. პირიქით, ფსიქოლოგიაში ხშირად მიუთითებენ იმაზე, რომ გარე ზემოქმედება ერთმნიშვნელოვნად არ განსაზღვრავს ფსიქიკური რეაგირების ამა თუ იმ ფორმას, ვინაიდან მათ შორის სუბიექტია მოთავსებული, რომელიც თავისი თვისებებით აშუალებს ამ ურთიერთობას. უშუალობის პრინციპი, ერთი შეხედვით, დაძლეულია, მაგრამ უზნაძე აჩვენებს, რომ ეს ასე არ არის. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას ენიჭება, თუ რა შინაარსია ჩადებული ტერმინ „სუბიექტში“ (პიროვნებაში). თუ სუბიექტი მხოლოდ ფსიქიკურ მოვლენათა ერთობლიობად იქნება მიჩნეული (ვუნდტი), საქმის ვითარება არსებითად არ შეიცვლება. ეს ეხება ვ. შტერნის პერსონოლოგიასაც, სადაც თითქოს ყველაზე მეტადაა ნაცადი პიროვნების ფენომენის თავისებურებების ჩვენება. მაგრამ შტერნი არ მიუთითებს ისეთ განმასხვავებელ არეზე, სადაც წარმოდგენილი იქნებოდა პიროვნების ცნების სპეციფიკური შინაარსი. აქედან გამომდინარე, იგი იძულებული ხდება, პიროვნების დახასიათებისას ისევ ტრადიციული მოვლენებით შემოისაზღვროს. უშუალობის პრინციპი აქაც ძალაში რჩება, ვინაიდან სუბიექტსა და გარემოს შორის ასე გაგებული ურთიერთობა კვლავ ცნობიერების კარგად ცნობილ (შემეცნებით, ემოციურ თუ ვოლიტურ) პროცესებსა და სინამდვილეს შორის ურთიერთობას ნიშნავს (იხ. IX თავი).

ამრიგად, თუ ფსიქოლოგიას მყარ მეთოდოლოგიურ პოზიციაზე დადგომა და იმ ჩიხიდან გამოსვლა სურს, რომელშიც უშუალობის პრინციპის მიღებამ შეიყვანა, მან ამოსავალ წერტილად უნდა დაისახოს არა ფსიქიკური ცხოვრების ცალკეული აქტები, არამედ თვით სუბიექტი, როგორც მთელი, რომელიც სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში ამ აქტებს მიმართავს და მათ ხასიათსა თუ მიმდინარეობას განსაზღვრავს. ამისთვის საჭიროა მოინახოს ისეთი სპეციფიკური რეალობა, რომელიც სუბიექტის მთლიანობით მდგომარეობას გამოხატავს და, ამ სახით აშუალებს ურთიერთობას, როგორც გარემოსა და ფსიქიკურ აქტივობას, ისე ცნობიერების სხვადასხვა შინაარსს შორის. აღნიშნული მეთოდოლოგიური მოთხოვნიდან გამომდინარე, სუბიექტის ამ *სპეციფიკურ მდგომარეობას* ორი აუცილებელი ნიშანი უნდა ახასიათებდეს: *მთლიანობა* (რადგანაც ყველა კერძო ფსიქიკური პროცესი მისგან გამომდინარეობს) და *არაცნობიერობა* (ვინაიდან ცნობიერების შინაარსების გამაშუალებელი ინსტანცია ცნობიერი მოვლენა ვერ იქნება).

დაისახა რა ასეთი მეთოდოლოგიური ამოცანა, უზნაძე ახალი ფსიქოლოგიური სისტემის შექმნას შეუდგა. კვლევა-ძიება თავიდანვე ერთდროულად თეორიულ და ემპირიულ პლანში მიმდინარეობდა. დამუშავდა სისტემის ცენტრალური ცნება – *განწყობა*. გამოიკვეთა მისი არსებითი ნიშნები. პარალელურად დაიწყო განწყობის სპეციფიკური ფსიქოლოგიური თავისებურებებისა და კანონზომიერებების ექსპერიმენტული შესწავლა.

აღსანიშნავია, რომ განწყობის ცნება ფსიქოლოგიისთვის ახალი არ იყო. მისი დამუშავება XIX საუკუნეში დაიწყო და შემდგომ საუკუნეში გაგრძელდა. ზოგ შემთხვევაში, იგი ამა თუ იმ ფსიქოლოგიური კონცეფციის საყრდენ ცნებადაც კი მოიაზრებოდა (კ. მარბე და სხვ.). მაგრამ განწყობის ცნების გამოყენების ყველა შემთხვევაში მასში იგულისხმებოდა რაიმე ემოციური განცდა ან მოტორული მდგომარეობა, რომელიც სხვა განცდაზე (მაგალითად, აღქმაზე) ან მოტორულ პროცესზე (მაგალითად, რეაქციის დროზე) მოქმედებს და მათზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ასე გაგებული განწყობა, ჩვეულებრივ, კერძო ხასიათის ფსიქოფიზიკურ პროცესად წარმოგვიდგება და, ცხადია, ვერ შეასრულებს ამ პროცესებსა და სინამდვილეს შორის შუამდებარე რგოლის როლს.

სწორედ ეს ფუნქცია აკისრია განწყობას უზნაძის თეორიაში. იგი *უნივერსალური გამაშუალებელი ცვლადია* გარემოსა და ცნობიერებას, თვითონ ცნობიერების მოვლენებსა და, აგრეთვე, ცნობიერებასა და ქცევას შორის. ამ ფუნქციების შესრულება მას იმიტომ შეუძლია, რომ მთლიანი სუბიექტის სპეციფიკური მოდიფიკაციაა და მის სამოქმედოდ მომართვას განაპირობებს. უზნაძის მიხედვით, მოთხოვნილებით აღძრულ ინდივიდში სიტუაციის ზემოქმედების შედეგად იქმნება სპეციფიკური მთლიანი მდგომარეობა – განწყობა. მისი ფსიქოლოგიური არსი მოთხოვნილებისა და სიტუაციის შესაბამისი აქტივობის განხორციელების მზაობაა. განწყობა აქტივობისთვის *მობილიზაციის, მომზადების, მომართვის* მდგომარეობაა, მდგომარეობა, რომელიც ახასიათებს ერთიან *სუბიექტს, როგორც მთლიანობას*, და არა მის ცალკეულ პროცესსა თუ ფუნქციას.

განწყობა *პირველადი* მდგომარეობაა, რომელთან მიმართებით სუბიექტში მიმდინარე ყველა ფსიქოფიზიკური პროცესი *მეორეული* ხასიათისაა. ეს პროცესები, ჩვეულებრივ, ქცევას ემსახურება და ამა თუ იმ კონკრეტული ქცევის ფორმაშია მოცემული; ქცევა კი საზოგადოდ „გარე სინამდვილის ზემოქმედებით განისაზღვრება არა უშუალოდ, არამედ გაშუალებულად, სახელდობრ, სუბიექტის ქცევაში მისი მთლიანობითი ასახვის, სუბიექტის ქცევის განწყობის საშუალებით. ქცევის ცალკე აქტები, მთელი ფსიქიკური ცხოვრება, ამის მიხედვით, მეორეული წარმოშობის მოვლენას წარმოადგენს“ [38; 136]. უზნაძის თეორიის ძირითადი სქემა ასათია: *გარემო – სუბიექტი (განწყობა) – ქცევა*. განწყობა გააზრებულია როგორც შუალედური ცვლადი გარემოსა და ქცევას შორის. იგი ქცევის უშუალო მიზეზია, ქცევის რეალური ფსიქოლოგიური მექანიზმია. განწყობა წინ უსწრებს ქცევას და განსაზღვრავს მის მიზანშეწონილ ხასიათს; იგი ქცევის *მიზანშეწონილობის* საფუძველია. *განწყობა მთლიანი სუბიექტის ქცევისთვის მზაობაა*. მასში თავმოყრილია ყველა ის მომენტი, რომელიც

აქტივობის მიზანშეწონილი განვითარებისთვისაა აუცილებელი. ვინაიდან განწყობა მოთხოვნილებისა და სიტუაციის საფუძველზე აიგება, მას შეუძლია, აღძრას და წარმართოს ქცევა საჭირო მიმართულებით.

განწყობის ფსიქოლოგია არც მხოლოდ გაშუალების მეთოდოლოგიური პრინციპის რეალიზაციაა და არც მხოლოდ ქცევის მიზანშეწონილობის ამხსნელი თეორიული მოდელი. განწყობა, პირველ ყოვლისა, რეალური მოვლენაა, სუბიექტის სპეციფიკური მთლიანობითი მდგომარეობაა. აქედან გამომდინარე, ის ემპირიულად უნდა იქნეს შესწავლილი. ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის მექანი – ლაიფციგში ნასწავლმა უზნაძემ თავიდანვე მიაგნო განწყობის ექსპერიმენტული კვლევის მარტივ, მოხდენილ და ეფექტურ მეთოდს. ცდისპირს ტაქტილურად (ხელებში) ან ვიზუალურად მიეწოდება ორი არატოლი ბურთი (ან წრე) – ვთქვათ, მარჯვნივ დიდი, მარცხნივ პატარა. ყოველი ექსპოზიციისას ცდისპირი აფასებს ბურთების სიდიდეს და აფიქსირებს მათ არატოლობას. ცდის ეს *საფიქსაციო* ნაწილი 10-15 ექსპოზიციას მოიცავს. მოულოდნელად ექსპოზიცია იცვლება და ცდისპირს ტოლი ბურთები (წრეები) მიეწოდება. იწყება ცდის *კრიტიკული* ნაწილი, რომლის დროსაც უმრავლეს შემთხვევაში იქმნება *ილუზია,* ანუ ცდისპირი ობიექტურად ტოლ ბურთებს (წრეებს) არატოლად აფასებს. ილუზია უმეტესწილად *კონტრასტულია,* ე.ი. უფრო დიდად ეჩვენება იმ მხარეს, სადაც მანამდე მცირე ზომის მასალა ეძლეოდა, და პირიქით. თუმცა შედარებით იშვიათად თავს იჩენს *ასიმილაციური* ილუზიაც, ანუ ილუზიური აღქმა საფიქსაციო აღქმის მიმართულებით წარიმართება.

უზნაძისა და მისი მოწაფეების ინტენსიური კვლევა-ძიების შედეგად საბოლოოდ და ერთმნიშვნელოვნად დამტკიცდა, რომ ილუზიის რა სახესთანაც არ უნდა გვქონდეს საქმე, ის გამოწვეულია ცდის პირველ ნაწილში დაფიქსირებული განწყობის მოქმედებით. განწყობა, რომელიც იქმნება და მტკიცდება საფიქსაციო ცდაში, განსაზღვრავს და წარმართავს პერცეპტულ პროცესს – აღქმის ილუზიას. ეს მეთოდი *ფიქსირებული განწყობის მეთოდის* სახელითაა ცნობილი, ხოლო მისი გამოყენებით მიღებულ განწყობის ეფექტებს ჟან პიაჟემ „უზნაძის ეფექტები" უწოდა [94]. შემდგომმა კვლევებმა აჩვენა, რომ ამდაგვარი განწყობის ეფექტების მიღება შესაძლებელია არა მხოლოდ აღქმის, არამედ აზროვნების, წარმოსახვის, ფსიქომოტორული აქტივობის თუ სხვა სფეროებში. ეს სავსებით ადასტურებს იმას, რომ განწყობა ყოველგვარი ფსიქოფიზიკური აქტივობის საფუძველი და განმსაზღვრელი მექანიზმია. უზნაძის მეთოდი, უბრალოდ, საშუალებას იძლევა, განწყობა ხელოვნურად შევქმნათ, გავაძლიეროთ და შემოვინახოთ, დავადგინოთ მისი აქტივობაში გამოვლენის კანონზომიერებანი.

ამრიგად, არსებობს განწყობის ორი სახე: *პირველადი (აქტუალური) და მეორეული (ფიქსირებული).* გამეორების ან დიდი პიროვნული წონის შემთხვევაში აქტივობის წინ შექმნილი პირველადი განწყობა ფიქსირდება და ლატენტურ ფორმაში გადადის. შემონახული ფიქსირებული განწყობები სათანადო პირობებში აქტუალიზდებიან და შესაბამის აქტივობას წარმართავენ. მაშასადამე, განწყობათა ფიქსაციის მექანიზმი, უზნაძის თანახმად, საზოგადოდ გამოცდილების შეძენისა და შემონახვის მექანიზ-

მია. რაკი ფიქსირებული განწყობა ყველა იმ არსებითი ნიშნის მატარებელია, რაც საერთოდ განწყობას ახასიათებს, მისი კვლევით შესაძლებელი ხდება იმ სპეციფიკური ზოგადფსიქოლოგიური თუ დიფერენციალურფსიქოლოგიურ კანონზომიერებათა დადგენა და შესწავლა, რაც განწყობის მოვლენას ახასიათებს. უზნაძისა და მისი მიმდევრების რამდენიმე თაობის ფართო კვლევითი მუშაობის შედეგად მოპოვებულ იქნა მრავალი ემპირიული მონაცემი, რამაც უზნაძის სკოლა გამორჩეული ექსპერიმენტული კულტურის სკოლად აქცია.

პირველ რიგში, დამტკიცდა თეორიის ძირითადი დებულებები განწყობის ბუნების შესახებ, კერძოდ, განწყობის *მთლიანობა და არაცნობიერობა*. ამ უკანასკნელის დასადგენად გამოიყენეს ფიქსირებული განწყობის კლასიკური ცდები, ოღონდ ჰიპნოზურ მდგომარეობაში. ჰიპნოზში მყოფ ინდივიდს უტარდება საფიქსაციო ცდები. კრიტიკულ ცდებში ბურთები შესაფასებლად ეძლევა ჰიპნოზიდან გამოსვლის შემდეგ. ამ შემთხვევაში ადამიანი სრულიად ჩვეულებრივ ცნობიერ მდგომარეობაში იმყოფება, ოღონდ მას არაფერი ახსოვს ჰიპნოზის დროს განწყობის შესაქმნელად და გასაძლიერებლად ჩატარებული პროცედურების თაობაზე, ე.ი. აქვს ე.წ. პოსტჰიპნოზური ამნეზია. მიუხედავად ამისა, განწყობა თავს მაინც იჩენს – ცდისპირი ილუზორულად აღიქვამს კრიტიკულ ექსპოზიციას. ეს ცდები ადასტურებს, რომ განწყობის წარმოშობისა და მოქმედების პროცესები არ ცნობიერდება. მაშასადამე, *განწყობა არაცნობიერია.*

მაგრამ არის კი ეს არაცნობიერი პროცესი მთლიანპიროვნებისეული ხასიათისა? ამ ცდების მიხედვით, ხომ შეიძლებოდა, გვეფიქრა, რომ ეს ლოკალური, პერიფერიული პროცესია, რომელიც ინდივიდის რომელიმე კერძო, ვთქვათ, მოტორულ ან პერცეპტულ სისტემაში წარმოიქმნება და მოქმედებს. უზნაძემ სპეციალურად აჩვენა, რომ ეს ასე არ არის, რომ განწყობა ცენტრალური სახის მოვლენა და, მართლაც, სუბიექტის მთლიანი მდგომარეობაა. ამისთვის საფიქსაციო ცდები ხელებით მოსინჯვის გზით, ანუ ჰაპტურ არეში ჩატარდა, ხოლო კრიტიკული ცდები მხედველობით არეში (ან პირიქით). გამოირკვა, რომ ამ შემთხვევაშიც ფიქსირებული განწყობის ჩვეულებრივ ეფექტებთან გვაქვს საქმე. მაშასადამე, ხდება განწყობის გავრცელება, ირადიაცია ერთი ფუნქციონალური სისტემიდან მეორეში. ეს, თავის მხრივ, შეუძლებელი იქნებოდა, თუ განწყობა ერთ კერძო პროცესთან, ვთქვათ მოტორულთან ან პერცეპტულთან იქნებოდა დაკავშირებული.

არსებითად იმავეზე მეტყველებს ექსპერიმენტების სხვა ციკლის მონაცემები, რომლებითაც დადასტურდა, რომ გარკვეულ მასალაზე (მაგალითად, წრეებზე) ფიქსირებული განწყობა ადვილად ტრანსპონირდება სხვა მასალაზე (მაგალითად, კვადრატებზე). ე.ი. მიმართებაზე (ამ შემთხვევაში დიდი-პატარა) შექმნილი განწყობა ერთი რომელობითი მასალიდან მეორეზე გენერალიზდება. უზნაძის აზრით, *ირადიაციისა და გენერალიზაციის* ეფექტები განწყობის მთლიანპიროვნებისეულ ხასიათზე მიუთითებენ. ვინაიდან განწყობილია მთელი სუბიექტი, ეს მდგომარეობა მის ყველა სტრუქტურულ არეში აისახება და ყოველგვარი მასალის აღქმასა თუ სხვა სახის აქტივობაზე ვრცელდება.

ფიქსირებული განწყობის ცდებში ილუზია წარმოიქმნება. ისმის კითხვა, ხდება თუ არა ადეკვატურ აღქმაზე გადასვლა და, თუ ხდება, როგორ. საკითხი ფიქსირებული განწყობის ჩაქრობას ეხება. აქ გარკვეული კანონზომიერებანი გამოვლინდა. აღმოჩნდა, რომ საზოგადოდ განწყობის *შექმნისა და ჩაქრობის* პროცესები განსხვავებულად მიმდინარეობს სხვადასხვა ინდივიდში. უფრო მეტიც, ამ პროცესების დინამიკის რაგვარობის მიხედვით ადამიანთა ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე შეიძლება მსჯელობა. ამდენად, ფიქსირებული განწყობის მეთოდმა დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური მნიშვნელობაც შეიძინა. იმის მიხედვით, თუ რამდენად სწრაფად ფიქსირდება განწყობა, როგორია ილუზიის სიდიდე, მისი ჩაქრობის პროცესის დინამიკა, რამდენად გამძლეა დროში საგანწყობო ეფექტები და სხვ., შესაძლებელია, გამოიყოს განწყობის ესა თუ ის ტიპი (მაგალითად, *სტატიკური ან დინამიკური, პლასტიკური ან ტლანქი, კონსტანტური ან ვარიაბილური, სტაბილური ან ლაბილური).* განწყობის ამ *ფორმალურ-დინამიკურ* მახასიათებლებზე დაყრდნობით პიროვნების ქარაქტეროლიგიურ თვისებებზე შეიძლება ლაპარაკი. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ განწყობა, მართლაც, მთლიანი სუბიექტის მოცემულობა და მისი გამოხატვის ფორმაა.

უზნაძის მიერ დაწყებულმა პიროვნების განწყობისეული თავისებურებების შესწავლამ ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლაში ფართო ხასიათი მიიღო. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ვლადიმერ (მიტო) ნორაკიძისა და მისი თანამშრომლების გამოკვლევები. სახელდობრ, დადგენილ იქნა, რომ განწყობის ტიპსა და სხვა ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდებით მიღებულ მონაცემებს შორის მყარი კორელაციური კავშირი არსებობს. მაგალითად, სოციალური ადაპტაციის თვალსაზრისით, დადებითი ნიშნები (მეგობრულობა, კოლექტიურობა, აფილაცია და სხვ.), რომლებიც დგინდება თემატური აპერცეფციის მეთოდით, აღმოაჩნდათ პლასტიკურ-დინამიკური განწყობის მქონე ადამიანებს, ხოლო სოციალური ადაპტაციის მხრივ უარყოფითი ნიშნები – ეგოცენტრულობა, აგრესიულობა, რიგიდულობა და სხვ. – სტატიკური ან ლაბილური განწყობის ტიპებს. ამდენად, ფიქსირებული განწყობის მეთოდმა სერიოზული ფსიქოდიაგნოსტიკური ტექნიკის სახე მიიღო, რომელიც პიროვნების ხასიათობრივ თავისებურებათა გამოვლენის საშუალებას იძლევა [63][64].

ფიქსირებული განწყობის მეთოდის მაღალ ფსიქოდიაგნოსტიკურ პოტენციალზე მიუთითებს გამოკვლევათა ციკლი, რომელიც უზნაძის ხელმძღვანელობით ჩატარდა ფსიქოპათოლოგიის სფეროში [35][37]. უზნაძე ამოდიოდა მოსაზრებიდან, რომ ფსიქიკური მოქმედების ყოველგვარმა გადახრამ, პირველ ყოვლისა, მის საფუძვლად მდებარე ფსიქოლოგიურ მექანიზმში, ანუ განწყობაში, უნდა იჩინოს თავი. ამიტომაც ავადმყოფური ფსიქიკის შემთხვევაში განწყობის შექმნის, მოქმედების და შეცვლის პროცესებს თავისებური ხასიათი უნდა ჰქონდეს. კვლევაში ეს ვარაუდი სავსებით დადასტურდა. აღმოჩნდა, რომ ფსიქოპათოლოგიის სხვადასხვა შემთხვევაში ფიქსირებული განწყობის მახასიათებლები არსებითად განსხვავდება ნორმისგან. ამასთან, ეს განსხვავება ყოველი კონკრეტული დარღვევის შემთხვევაში (შიზოფრენია, ეპილეფსია, ისტერია, ფსიქასთენია და ა.შ.) სპეციფიკურ სახეს ატარებს. კვლევამ ისიც

აჩვენა, რომ განწყობის ფორმალური სტრუქტურა გამოჯანსაღების ან მდგომარეობის გაუმჯობესების შესაბამისად იცვლება. აქ უნდა აღინიშნოს ის უდიდესი წვლილი, რომელიც განწყობისეული ფსიქოპათოლოგიის განვითარებაში შეიტანა უზნაძის სკოლის ერთ-ერთმა ღირსეულმა წარმომადგენელმა, ი. ბჟალავამ [5][7]. შემდგომში ეს კვლევა გასცდა ფსიქოპათოლოგიის სფეროს და მრავალი ფსიქოსომატური დაავადებაც მოიცვა [9].

როგორც ვხედავთ, განწყობის ფსიქოლოგიაში *პიროვნებასთან* დაკავშირებული პრობლემატიკა საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი. აქ შეიძლება, რამდენიმე ასპექტი გამოიყოს: ზოგადფსიქოლოგიური თვალსაზრისით მოცემულია შეხედულება იმის შესახებ, რომ ქცევის მთლიანი სუბიექტის (მათ შორის პიროვნების) ფსიქოლოგიური არსებობის ფორმა, მოდუსი არის განწყობა. ამ შემთხვევაში მთავარია ის, რომ ქცევის ყოველი სუბიექტი მთლიანია, მაგრამ ყოველი სუბიექტი არ არის პიროვნება (მაგალითად, ცხოველი). აქედან გამომდინარე, ბუნებრივად დაისმის საკითხი პიროვნების, როგორც სპეციფიკური ადამიანური ქცევის სუბიექტის თავისებურების შესახებ. ქცევისა და ფსიქიკის ადამიანური დონის სპეციფიკის ცხადყოფა უზნაძისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო. ამას ადასტურებს მისი შეხედულებების სისტემა ნებელობაზე (აგრეთვე ე.წ. ობიექტივაციაზე, რაც ქვემოთ იქნება განხილული). ავტორი ცდილობდა, ეჩვენებინა, რომ ნებელობა ადამიანის (პიროვნების) ის უნარია, რომელიც მას ყველა სხვა ცოცხალი არსებისგან გამოარჩევს. ნებელობის საშუალებით ყალიბდება განწყობა, რომელიც სპეციფიკურ ადამიანურ ქცევას ედება საფუძვლად. ამ განწყობის შექმნისა და მოქმედების კანონზომიერებანი მხოლოდ ადამიანისთვის დამახასიათებელ შინაგან და გარეგან ფაქტორებს გულისხმობს. პიროვნების ფსიქოლოგიის კონტექსტში მთავარია ის, რომ პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესების შესაბამისი ქცევის განწყობის შექმნას განსაზღვრავს და აადვილებს წინასწარი მიდრეკილება (დისპოზიცია), რომელიც ადამიანს აქვს ამ ქცევის მიმართ. ასეთი მიდრეკილება პიროვნების ხასიათის სახითაა მოცემული; *ბასიათი* ნებელობის დისპოზიციაა. იგი ყალიბდება ცხოვრების განმავლობაში გარკვეული ქცევების შესრულებისა და მათი ქვემდებარე განწყობების ფიქსაციის გზით. ასეთი განმტკიცებული, *დისპოზიციური განწყობები* ქმნიან პიროვნების ხასიათის სტრუქტურას. უზნაძე მიუთითებს, რომ „ნებელობის აქტის წარმატება იმაზეა დამოკიდებული, აქვს თუ არა პიროვნებას ამ სიტუაციის ზეგავლენით ამ განწყობის აქტუალიზაციის უნარი, ე.ი. აქვს თუ არა მას ეს განწყობა დისპოზიციურად. მაშასადამე, გამოდის, რომ ის, რასაც, ჩვეულებრივ, ხასიათს ვუწოდებთ, ნამდვილად პიროვნების დისპოზიციურ განწყობას, გარკვეულ განწყობათა აქტუალიზაციის უნარს წარმოადგენს" [35; 244]. საზოგადოდ პიროვნებას, მის სტრუქტურას ეს განწყობები ქმნიან; ისინი განსაზღვრავენ, თუ რა მიმართულებით წარიმართება ადამიანის მოქმედება კონკრეტულ პირობებში.

შემდგომში დიდი პიროვნული წონის მქონე დისპოზიციური განწყობების, როგორც პიროვნების სტრუქტურის ძირეული ერთეულების, პიროვნული ნიშნების განხილვას უზნაძის სკოლაში სერიოზული ყურადღება მიექცა [65][68]. ეს ცნება ნაყოფი-

ერად გამოიყენება შ. ნადირაშვილის მიერ, რომელიც ცდილობს, მაქსიმალურად წინ წამონიოს პიროვნების ზოგადი თეორიის პრობლემატიკა განწყობის ფსიქოლოგიაში და თავის მოდელს „განწყობის ანთროპულ თეორიას“ უწოდებს. მის მიერ ნაჩვენებია დისპოზიციური განწყობების შექმნისა და შეცვლის მრავალი მნიშვნელოვანი კანონზომიერება. საბოლოო ჯამში, პიროვნება დისპოზიციური განწყობების სახითაა წარმოდგენილი [27].

გარდა ამისა, განწყობის თეორიაში პიროვნების პრობლემა დამუშავებულია დიფერენციალურფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც (იგულისხმება პიროვნების განწყობისეული ტიპოლოგია) და სამედიცინო ფსიქოლოგიის კუთხითაც – შეხედულება განწყობაზე, როგორც პიროვნების ფსიქოფიზიკური სისტემების დარღვევისა და ნორმალიზაციის მექანიზმის შესახებ [72].

პიროვნების (სუბიექტის) კატეგორიასთან ერთად განწყობის თეორიაში დამუშავებულია ფსიქოლოგიის ისეთი ძირეული კატეგორიებიც, როგორებიცაა: *ქცევა, ცნობიერება და არაცნობიერი.* სრულყოფილი, უნივერსალური ზოგადფსიქოლოგიური კონცეფცია ამ კატეგორიებს ერთიანი პრინციპიდან გამომდინარე უნდა განიხილავდეს. ასეა განწყობის თეორიაში.

როგორაა მასში წარმოდგენილი თუნდაც *არაცნობიერის კატეგორია?* არაცნობიერის სფერო განწყობის სფეროა – ესაა ამოსავალი დებულება. თეორიის წინაშე მდგარი ძირითადი მეთოდოლოგიური ამოცანიდან გამომდინარე, განწყობა გაგებულია როგორც რეალობა, რომელიც აშუალებს ცნობიერების მიმართებას ფიზიკურსა და ფიზიოლოგიურთან და მიმართებას თავად ცნობიერების მოვლენებს შორის. ამიტომ განწყობა თვითონ *აუცილებლად არაცნობიერია.* უზნაძე არაერთხელ აღნიშნავდა, რომ „განწყობა ცნობიერების შინაარსს არ წარმოადგენს, იგი ისეთი კატეგორიის მოვლენაა, რომელიც განცდისეულად არ გვეძლევა, განცდით ნრეში არ ხვდება“ [32; 23]. იგი კატეგორიულად უსვამდა ხაზს, რომ „ცნობიერი განცდები შეიძლება ჩვენი განწყობის გარკვეული ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ, განწყობისა, რომელიც თავის მხრივ არავითარ შემთხვევაში ჩვენი ცნობიერების შინაარსად არ ჩაითვლება“ [37; 43]. როგორც ზემოთ დავრწმუნდით, ეს ვითარება ექსპერიმენტულადაც იქნა ნაჩვენები. მაგრამ დგება საკითხი განწყობის ონტოლოგიური ბუნების შესახებ: რა რეალობას მიეკუთვნება ის? არის თუ არა ფსიქიკური? თეორიის შემუშავების საწყის ეტაპზე უზნაძე ფიქრობდა, რომ განწყობა „სინამდვილის ჯერ უცნობ არეს წარმოადგენს, რომლისთვისაც სუბიექტურისა და ობიექტურის საწინააღმდეგო პოლუსები სრულიად უცხოა და რომელშიც ჩვენ მათი შინაგანი, გაუნაწევრებელი არსებობის შეურყვნელ ფაქტთან გვაქვს საქმე“ [40; 314]. ამ *ქვეფსიქიკურ* არეს თავდაპირველად *ბიოსფერო* ეწოდა. ეს სახელწოდება ნათლად გამოხატავს იმას, რომ შემდგომში განწყობად ცნობილი მოვლენა *სიცოცხლის პრინციპად* იყო წარმოდგენილი; ის ფსიქოფიზიკურად ნეიტრალურ რეალობად მოიაზრებოდა [34].

მოგვიანებით უზნაძემ განწყობა ერთმნიშვნელოვნად ფსიქიკის სფეროს მიაკუთვნა. განწყობა *არაცნობიერი ფსიქიკურია,* მაგრამ განწყობის სახით ფსიქიკის ისეთ განსაკუთრებულ სახეობასთან გვაქვს საქმე, რომელიც ჩვენს უშუალო ცნობიერე-

ბაში დღემდე დადასტურებული ფსიქიკურისგან არსებითად განსხვავდება. თუ ფსიქიკურ სამყაროს განვითარების თვალსაზრისით შევხედავთ, საჭირო გახდება „ფსიქიკის ჩვეული საზღვრების გარღვევა“ და მისი სპეციფიკური არაცნობიერი ფორმის დაშვება. ფსიქიკა თავიდანვე ცნობიერების სახით ვერ ჩამოყალიბდებოდა. მან ხანგრძლივი ევოლუციური განვითარების გზა გაიარა. უნდა არსებობდეს ათვლის წერტილი, განვითარების ის საწყისი დონე, რომელიც სიცოცხლისა და ფსიქიკურის მიჯნაზეა. განწყობა სწორედ ასეთი არაცნობიერი ფსიქიკური რეალობაა. ფსიქიკის განვითარების რა სახეც არ უნდა გვქონდეს მხედველობაში (ფილოგენეზი, ონტოგენეზი, აქტუალგენეზი), განწყობა წინ უსწრებს და აპირობებს ფსიქიკის ჩვეულებრივ გამოვლინებებს (წარმოდგენებს, აზრებს, გრძნობებს და სხვ.).

განწყობა ორგანიზმის ჩარჩოებში მოქცეული სინამდვილეა, ის სუბიექტის მდგომარეობაა და ცნობიერების ყოველგვარი შინაარსი მისი გამოვლინებაა. მაგრამ ეს მხოლოდ ცნობიერებას, განცდას არ ეხება. შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოდ აქტივობაც და ქცევაც, ძირითადად, ფსიქოფიზიკური ბუნებისაა. ქცევაში ჩართული სხეულებრივი და მოტორული პროცესები ცნობიერების (შემეცნებით, ემოციურ, ვოლიტურ) პროცესებთან ერთიანობაში აღმოცენდება იმ არაცნობიერი საწყისიდან, რომელსაც განწყობა ეწოდება. თვით განწყობა კი თავისებური ფსიქიკური ფენომენია, სპეციფიკური რომელობითა და კანონზომიერებით. „როდესაც სუბიექტზე სინამდვილე მოქმედებს, იგი, როგორც მთლიანი, უპასუხებს მას, როგორც ეს სპეციფიკური, ეს თავისებური რეალობა, რომელიც წინ უსწრებს კერძოულ ფსიქიკურსა და ფიზიოლოგიურს და მათზე არ დაიყვანება“ [33; 25]. ამავე დროს, „თუ განწყობა სუბიექტის, როგორც მთელის, მდგომარეობაა, მაშინ საფიქრებელია, რომ იგი რაიმე გარკვეული, განცდადი, კერძოული ფსიქიკური შინაარსის სახით არ გვეძლევა, რომ იგი ცნობიერებაში მოცემულობის გარეშე მოქმედებს, რომ ამ აზრით იგი არაფენომენალურ პროცესად შეიძლება ჩაითვალოს“ [35; 104]. ამრიგად, განწყობა, როგორც სრულიად თავისებური ფენომენი, არ მიეკუთვნება ცნობიერი განცდების სფეროს.

მართალია, განწყობა სუბიექტის მდგომარეობაა, მაგრამ ის გარემოთია პირობადებული და ობიექტური შინაარსით არის დატვირთული. განწყობა მოთხოვნილების ფონზე გარემოს, სიტუაციის ზემოქმედებას ასახავს. უზნაძის თქმით, განწყობა სუბიექტში გადმოსული ობიექტური ვითარებაა. დაბოლოს, განწყობის სახით საკმაოდ სომატიზირებულ ფსიქიკასთან გვაქვს საქმე. განწყობა, მართლაც, მჭიდროდ არის დაკავშირებული სხეულებრივ პროცესებთან. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ქცევა ფსიქოფიზიკური მოვლენაა, განწყობა კი – მისი რეალიზაციის მექანიზმი. ქცევისათვის მომზადება გულისხმობს როგორც გარკვეული ინფორმაციის არსებობას ორგანიზმის მოტივაციური და ოპერაციული სისტემების შესახებ, ისე მათ მობილიზაცია-მომართვას გარკვეული მოქმედების შესასრულებლად. უფრო ფართო მეთოდოლოგიურ კონტექსტში უზნაძე ლაპარაკობდა, რომ არსებობს „სხეულებრივი და ფსიქიკური, როგორც ერთი მთლიანი მოვლენა – სიცოცხლის მოვლენა. ამიტომ ცალკე შესწავლა არც ერთის შეიძლება (ფსიქიკურის) და არც მეორის (სხეულებრივის). ფსიქოლოგია ამას სწავლობს და საფუძველსაც ხედავს ამისას, განწყობას“ [43; 64].

ექსპერიმენტული კვლევის შედეგად საფუძვლიანად იქნა შესწავლილი განწყობის მოქმედების კანონზომიერებანი სენსომოტორულ სფეროში [26].

ფსიქოლოგიაში არაცნობიერის შესწავლა ტრადიციულად ფსიქოანალიზის დომინირების ნიშნით მიმდინარეობდა. უზნაძე თავიდანვე დაუპირისპირდა არაცნობიერის ფროიდისტულ გაგებას. მას მიაჩნდა, რომ ფროიდის თვალსაზრისი არაცნობიერის ბუნებისა და წარმოშობის თაობაზე არ გვაძლევს რაიმე ახალ ცოდნას ფსიქიკის რაობისა და მისი განვითარების შესახებ. ფროიდისეული არაცნობიერი შინაარსები ხომ ჩვეულებრივი ფსიქიკური მოვლენებია, რომლებიც, უბრალოდ, ცნობიერების ნიშანს არიან მოკლებულნი. ცნობიერებიდან გასვლისას (განდევნისას) ისინი ამ ნიშანს კარგავენ, ხოლო უკან დაბრუნებისას კვლავ იძენენ და ჩვეულებრივ განცდებად იქცევიან. უზნაძის შეფასებით, ფროიდის მიერ არაცნობიერ წარმოდგენაზე ან არაცნობიერ გრძნობაზე ლაპარაკი არაგანცდადი განცდის დაშვების ტოლფასია. ფსიქოანალიზის მიერ დახასიათებული არაცნობიერი, როგორც განცდა მინუს ცნობიერება, მეცნიერებას პოზიტიურს არაფერს აძლევს, ვინაიდან თავისი შინაგანი ბუნებითა და სტრუქტურით, არსებითად, ცნობიერი ფსიქიკის იგივეობრივია. გარდა ამისა, ეს თვალსაზრისი არაცნობიერ და ცნობიერ მოვლენებს ფსიქიკური განვითარების ერთ საფეხურზე ათავსებს. ფსიქოანალიზური არაცნობიერი ცნობიერებიდან განდევნილი ფსიქიკაა და, ამდენად, ცნობიერება მისი წარმოქმნის პირობაა; ცნობიერების განვითარებას იგი ვერ აგვიხსნის. უზნაძის მიხედვით კი, არაცნობიერი და ცნობიერება ფსიქიკის სხვადასხვა სახე და სხვადასხვა საფეხურია. არაცნობიერი, რომელიც განწყობის სახითაა მოცემული, ლოგიკურად და ფაქტობრივად წინ უსწრებს და განსაზღვრავს ცნობიერების ყოველგვარ გამოვლინებას, როგორც აქტუალგენეზში, ისე ფილოგენეზსა და ონტოგენეზში [37][38][41].

ფსიქოანალიზისა და განწყობის თეორიის ურთიერთმიმართების საკითხი განსაკუთრებით გამოიკვეთა თბილისის 1979 წლის საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომელიც არაცნობიერის პრობლემას მიეძღვნა. ეს იყო მსოფლიო ფსიქოლოგიის ისტორიაში ყველაზე წარმომადგენლობითი ფორუმი არაცნობიერის შესახებ [19][81]. მისი ჩატარება თბილისში თავისთავად მრავლისმეტყველი ფაქტია, რამდენადაც პირდაპირ მიუთითებს იმ წვლილზე, რომელიც უზნაძემ და მისმა სკოლამ შეიტანა არაცნობიერის ურთულესი პრობლემის დამუშავებაში. თავის გამოსვლებსა და სიმპოზიუმის ამსახველ მასალებში ქართველმა ფსიქოლოგებმა ნათლად აჩვენეს, რომ არაცნობიერი განწყობა ფუნდამენტური მნიშვნელობის ზოგადფსიქოლოგიური კატეგორიაა. მისი გამოყენება აუცილებელი და სასარგებლოა არა მხოლოდ ისეთი „ტრადიციულად ფსიქოანალიზური“ მოვლენების გასათვალისწინებლად, როგორებიცაა: ჰიპნოზი, სიზმარი ან ნევროზი, არამედ ყოველგვარი ცნობიერი პროცესის მიმდინარეობის ასახსნელად. საქმე ისაა, რომ ცნობიერი პროცესები და ფსიქიკური აქტივობა, საზოგადოდ, მიზანშეწონილი და მიზანმიმართული პროცესებია. ისინი თავიდანვე არიან განსაზღვრულნი პროცესის ბოლო წერტილით, იმით, რაც მისაღწევია და რაც, ცხადია, პროცესის დასაწყისში ცნობიერებაში არ შეიძლება იყოს მოცემული. „ეს შესაძლებელია, მხოლოდ, პროცესის მიმართულების მიმცემი მიმართებების წინასწარი

ცნობიერებამდელი ასახვის შემთხვევაში. ცნობიერებას უნდა გააჩნდეს კანონი, რომელიც განაპირობებს მისი გარკვეული მიმართულებით მსვლელობას. ცნობიერების ყველაზე აქტიურ პროცესსაც კი ესაჭიროება ცნობიერებამდელი ასახვა" [71; 70]. ეს არაცნობიერი ასახვის ფორმა, „მოქმედების კანონი" განწყობის ცნების საშუალებით შემოდის ფსიქოლოგიაში.

უდავოა, რომ არაცნობიერის (ე.ი. განწყობის) უშუალო დაკვირვება შეუძლებელია. მაგრამ უზნაძის სკოლაში ნაჩვენებია, რომ არსებობს ცნობიერების მრავალი მოვლენა, რომელთა აღმოცენებისა და მიმდინარეობის თავისებურებანი გაუგებარი დარჩება, თუ არ დავუშვებთ მათი განმსაზღვრელი არაცნობიერი მექანიზმის, ანუ განწყობის არსებობას. გაუგებარი იქნება, მაგალითად, თუ როგორ ხდება მეხსიერების საცავებიდან სწორედ იმ შინაარსის ამოტანა ცნობიერებაში, რაც აქტუალურად არის საჭირო სუბიექტისთვის. გარდა ამისა, თვით მეხსიერებაში ინფორმაციის შემონახვასაც თავისი არაცნობიერი ფსიქიკური სუბსტრატი ესაჭიროება. გაუგებარი იქნებოდა, თუ როგორ ხდება მეტყველების პროცესში სიტყვების შერჩევა და კონკრეტული გრამატიკული შეთანხმებების გამოყენება, რადგანაც ეს ცნობიერად არ სრულდება და სუბიექტს უკვე გამზადებული ეძლევა მოცემული ვითარების შესატყვისად. ასევე განწყობისეულადაა ფორმირებული მსჯელობისას გამოსათქმელი აზრი, რომელიც, ზოგ შემთხვევაში, საერთოდ ვერ იქნება ცნობიერებაში სრული სახით მოცემული, თუნდაც თავისი დიდი მოცულობის გამო; განწყობის ფორმით ფუნქციონირებს მიზანიც, რომელიც დასახვის მერე, როგორც წესი, გადის ცნობიერებიდან, მაგრამ მაინც განაგრძობს მოქმედებას. ეს ჩამონათვალი შეიძლება გაგრძელდეს და სხვა შემეცნებითი, ემოციური თუ ვოლიტური პროცესებიც მოიცვას [48].

განწყობა, როგორც ფსიქიკური აქტივობის მიზანშეწონილობის და მიზანმიმართულობის არაცნობიერი საფუძველი, ფუნქციონლურად და შინაარსეულად არსებითად განსხვავდება იმისგან, რასაც „იდ"-ის საზღვრებში მოქცეული არაცნობიერი შეადგენს. ეს უკანასკნელი ირაციონალური ენერგეტიკული წარმონაქმნების სფეროა, სადაც მხოლოდ სიამოვნების პრინციპია გაბატონებული. მისთვის უცხოა ყოველგვარი შეფასება, მორალი, აქ არ მოქმედებს აზროვნებისა და ლოგიკის კანონები. „იდი" უგრძნობია შეუსაბამობათა და წინააღმდეგობათა მიმართ. მისთვის არ არსებობს დროულობა – წარსული და მომავალი; დრო აწმყოთია შემოფარგლული, ხოლო ის, რაც აქტუალურად არის მოცემული, სრული განუკითხაობისა და ქაოსის მდგომარეობაა. ერთი სიტყვით, ფროიდის მიერ აღწერილი არაცნობიერი ფსიქიკა შეგუებაზე კი არა, მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზე ზრუნავს. უზნაძის განწყობას რაც შეეხება, ის, პირველ ყოვლისა, შეგუებაზე, ქცევის მიზანშეწონილების მიღწევაზეა ორიენტირებული და, ამდენად, „რეალობის პრინციპით" ხელმძღვანელობს. განწყობა სინამდვილის ასახვის სპეციფიკური ფორმაა. რაც უფრო სრულად და სწორად იქნება მასში ასახული გარეგანი და შინაგანი რეალობის მონაცემები, მით უფრო მიზანშეწონილი იქნება მის მიერ გამოწვეული ცნობიერების პროცესები და, საზოგადოდ, ქცევა [12].

დიდი ხანი არ არის, რაც კოგნიტური ფსიქოლოგიის ფარგლებში დაიწყეს ე.წ. ფსიქოანალიზური და კოგნიტური არაცნობიერი პროცესების გამიჯვნა. კოგნიტუ-

რი არაცნობიერი, ცნობიერების მსგავსად, გონიერი, ლოგიკური და რაციონალურია; შინაარსის თვალსაზრისით, ის არ არის შეზღუდული სექსუალური და აგრესიული ლტოლვებით. ამ სახის არაცნობიერის კვლევა დიდწილად სუბსენსორული გამღიზიანებლების მეთოდოლოგიის საფუძველზე მიმდინარეობს. კოგნიტურ ფსიქოლოგიაში ბოლომდე არ მომწიფებულა აზრი, რომ ცნობიერების შესწავლა მისი ქვემდებარე ფსიქოლოგიური მექანიზმების გამოვლენის გარეშე შეუძლებელია, რომ ყოველგვარ ცნობიერს პრინციპულად თან ახლავს და განსაზღვრავს არაცნობიერი ფსიქიკური სინამდვილე. კოგნიცია და კოგნიტური არაცნობიერი აუცილებლობით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და საჭიროა ამ კავშირის ბუნების დადგენა (იხ. XI თავი).

უზნაძემ ასეთი არაცნობიერის შესახებ მოსაზრებები ჯერ კიდევ ოციან წლებში გამოთქვა, ხოლო შემდგომში, განწყობის თეორიის სახით, შეხედულებათა ფართო სისტემა შექმნა არაცნობიერის ფუნქციონალური და შინაარსეული ასპექტების შესახებ. ამასთან, განწყობის ფსიქოლოგია არ იზღუდება მხოლოდ არაცნობიერი ადაპტაციური მექანიზმების თეორიული დახასიათებით. უზნაძის სკოლაში მოპოვებულია მდიდარი თეორიული და ექსპერიმენტული მასალა არაცნობიერი განწყობის როლის შესახებ განსხვავებული ფსიქიკური პროცესების მიმდინარეობაში. იგი მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა: აღქმა [45][62], აზროვნება [11][30], მეტყველება [1][29], მეხსიერება [67][68], წარმოსახვა [28], ჩვევა [76], ნებელობა [47].

უზნაძე აკრიტიკებდა ფროიდის არაცნობიერის კონცეფციას, მაგრამ აღიარებდა ფსიქოანალიზის წარამატებებს მკურნალობის პროცესში. მისი აზრით, ფროიდი მართლაც ხშირად ახერხებდა იმის დადგენას, რაც რეალურად აპირობებდა დაავადების პროცესს. უზნაძე თვლიდა, რომ ეს იყო ე.წ. *არარეალიზებული განწყობები.* ნევროტული მოვლენების გარდა, ამ განწყობათა გამოვლენებია ფსიქოანალიზის სხვა ფაქტოლოგიაც: წამოცდენები, სიზმრები, ასოციაციები და სხვ. არარეალიზებულ განწყობებად ის შემთხვევებია მიჩნეული, როდესაც განწყობა, რაღაც ვითარების გამო, ვერ ახერხებს მოქმედებაში გადასვლას და განუხორციელებელი რჩება. სუბიექტს მრავალი ასეთი განწყობა აქვს. ისინი მუდამ ისწრაფვიან რეალიზაციისკენ, რაც ვლინდება ან აქტიურ ფანტაზიაში (მაგალითად, შემოქმედება), ან ე.წ. ცნობიერების შეცვლილ მდგომარეობებში (მაგალითად, სიზმარი ან ოცნება) [35][41].

მაგრამ განწყობა, პირველ ყოვლისა, ჩვეულებრივი, ანუ ღვიძილის ცნობიერების განმაპირობებელი მექანიზმია. უზნაძისთვის *ცნობიერების კატეგორია* უმნიშვნელოვანესთა რიცხვშია და მრავალი ასპექტითაა გაანალიზებული. ცნობიერების ერთერთი ძირითადი მახასიათებელი ე.წ. *დარწმუნებულობის განცდაა,* განცდა, რომელიც თან ახლავს ცნობიერების პროცესთა უმრავლესობას და რომლის აღმოცენების საიდუმლო ტრადიციული ფსიქოლოგიისთვის დაუძლეველ პრობლემად რჩებოდა. ადამიანი, ჩვეულებრივ, დარწმუნებულია თავისი აღქმის შინაარსის რეალურობაში, მსჯელობის ჭეშმარიტებაში, მოგონების სისწორესა და გადაწყვეტილების მართებულობაში.

ფსიქიკური პროცესები ყოველთვის რაიმეს ასახავენ. თუ ფსიქიკაში ცნობიერების მილმა არაფერია, მის შინაარსს ვერაფერს შევადარებთ და გაუგებარი დარჩება, თუ საიდან ჩნდება რაიმეს სწორად ასახვის რწმენა. განწყობის თეორია ადვილად

წყვეტს ამ პრობლემას. ცნობიერი ასახვის გარდა, არსებობს არაცნობიერი, მთლიან-პიროვნებისეული, *განწყობისეული ასახვაც*. ობიექტური ვითარება სუბიექტის განწყობაში მანამდე აისახება, ვიდრე ცნობიერი განცდის სახით ჩამოყალიბდება. ამიტომ სუბიექტს შეუძლია, ეს ორი რამ ერთმანეთს დაუპირისპიროს და მათი შესატყვისობა დაადასტუროს. „ჩვენი ფსიქიკის მუშაობა ჩვენი განწყობის რეალიზაციას წარმოადგენს, და როდესაც ეს დაუბრკოლებლად ხერხდება, როდესაც ფსიქიკა იმას ასახავს, რაც განწყობაშია ასახული, ბუნებრივია, რომ ჩვენ ჩვენი ფსიქიკური მუშაობის სისწორეს განვიცდით, გვიჩნდება დარწმუნებულობა, რომ ჩვენი აღქმა, მსჯელობა, მოგონება ობიექტურ ვითარებას ასახავს" [33; 38].

უზნაძის ეს გამონათქვამი განწყობის დაუბრკოლებელ რეალიზაციას გ.ულისხმობს. მაგრამ რა ხდება მაშინ, როდესაც აქტივობის პროცესში დაბრკოლება ჩნდება და განწყობა შესაბამის პროცესებს ვეღარ იწვევს? შეფერხების ობიექტური ფაქტი ნიშნავს, რომ აქტივობის დამაბრკოლებელი მომენტები არ იყო სათანადოდ ასახული განწყობაში. ამ შემთხვევაში იწყება ცნობიერების განწყობაზე უკუზემოქმედების პროცესი. ყველა დამაბრკოლებელი ფაქტორი ცნობიერების საგნად იქცევა, კოგნიტურად დამუშავდება და სათანადო კორექტივებს შეიტანს განწყობაში. ამის შედეგად განწყობა არსებული ვითარების მიმართ უფრო შესაფერისი და მოქნილი ხდება. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ცნობიერებით განწყობის კორექტირება მისი ფაქტორების (ვთქვათ სიტუაციის) ფსიქიკური აქტივობის უფრო მაღალ დონეზე ასახვისა და დამუშავების საშუალებით ხდება. ამაშია ე.წ. *ობიექტივაციის თეორიის* არსი, რომელიც უზნაძემ თავისი შემოქმედების ბოლო ეტაპზე დაამუშავა.

უზნაძემ მკაფიოდ გამიჯნა ერთმანეთისგან ფსიქიკის მუშაობის *ორი პლანი* და, შესაბამისად, ფსიქიკური ცხოვრების *ორი დონე*. პირველ დონეზე ქცევა უშუალოდ მოცემული მოტივაციისა და სიტუაციის ურთიერთქმედების საფუძველზე შექმნილი განწყობით წარიმართება. შეფერხება, რომლის გადალახვა ამ განწყობით შეუძლებელია, წყვეტს პრაქტიკული აქტივობის პროცესს – ხორციელდება ობიექტივაცია. აქტივობა გადადის მეორე პლანში, რომელიც ცნობიერების სხვადასხვა პროცესის ჩართვას გულისხმობს. პრობლემური ვითარება ყურადღების ობიექტად გადაიქცევა და იწყება მისი გარკვევა, შეფასება, შემეცნება. თუ პრობლემა გადაიჭრება, სათანადო მონაცემები განწყობაში აისახება, გადაახალისებს მას და აქტივობა ისევ პირველ პლანში გაგრძელდება. უზნაძემ და მისმა მიმდევრებმა ჩამოაყალიბეს შეხედულებათა მთელი სისტემა იმის შესახებ, თუ რა როლს ასრულებს თითოეული ფსიქიკური ფუნქცია ობიექტივაციის დონეზე გაშლილი ცნობიერი აქტივობის პროცესში.

ფსიქოლოგიის ძირეულ კატეგორიებს შორის უზნაძისთვის ერთ-ერთი უმთავრესია *ქცევის კატეგორია*. განწყობა ქცევის მექანიზმად მოიაზრება და, ამიტომ, უზნაძის მოძღვრებას ხშირად ქცევის ზოგადფსიქოლოგიურ თეორიადაც მიიჩნევენ. უზნაძე ქცევას განიხილავს როგორც აღწერითი, ისე ახსნითი თვალსაზრისით. აღწერით ნაწილში იგი ცდილობს, მოგვცეს ქცევის სტრუქტურისა და მისი ნაირსახეობების მაქსიმალურად სრული დახასიათება. უზნაძის მიხედვით, ფსიქიკური შინაარსის გარეშე ქცევა არცაა ფსიქოლოგიის საგანი. ფსიქიკისგან დაცლილი აქტივობა არის *ფიზიკური ქცევა*, რომელსაც შეისწავლის ფიზიოლოგია და ბიჰევიორიზმი.

ქცევის ფსიქოლოგიურ შემადგენლობაში განსაკუთრებით გამოიყოფა მოთხოვნილება, მოტივი და მიზანი. *მოთხოვნილებას* ქცევის სტრუქტურაში ცენტრალური ადგილი უკავია. ქცევის სტრუქტურის ყველა ელემენტი, ასე თუ ისე, მასთან არის დაკავშირებული. მაგალითად, მოტივი, რომელიც, უზნაძის თანახმად, გადაწყვეტილების საფუძველია, პირველ ყოვლისა, ე.წ. მაღალ მოთხოვნილებებში იღებს გარკვეულობას. მიზანი, არსებითად, ცნობიერებაში მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი საგნობრივი ვითარების წინასწარი მოცემულობაა. გარდა ამისა, მოთხოვნილების სახეობათა შესაბამისად, ქცევის განსხვავებული ფორმები გამოიყოფა. უზნაძე მოთხოვნილებათა ორ ჯგუფს განასხვავებს – *სუბსტანციონალურ და ფუნქციონალურ* მოთხოვნილებებს. პირველს მიეკუთვნება ყველა მოთხოვნილება, რომელსაც ფიზიკური თუ კულტურული სინამდვილის საგანი და მოვლენა აკმაყოფილებს; ისინი ყოველთვის რაიმე საგნის ან მოვლენის საჭიროების სახით განიცდებიან. ფუნქციონალური მოთხოვნილებები კი ინდივიდის ფსიქოფიზიკური ფუნქციების აქტივობაში მოყვანის ტენდენციას გამოხატავენ. მათ თვით აქტივობა, ფუნქციონირება აკმაყოფილებს. შესაბამისად, გამოიყოფა ქცევათა ორი დიდი კლასი: *ექსტროგენური ქცევები,* რომლებიც სინამდვილის საგნებისა და ღირებულებების შეთვისებასა და შექმნაზე არიან მიმართულნი და *ინტროგენური ქცევები,* რომელთა ფსიქოლოგიური აზრი თვითონ აქტივობის რეალიზაციაა. პირველ კლასს მიეკუთვნება ქცევის ისეთი ფორმები, როგორებიცაა: მოხმარება, მომსახურება, მოვლა, ცნობისმოყვარეობა, შრომა, საქმე; მეორეს – თამაში, ესთეტიკური ტკბობა, მხატვრული შემოქმედება, სპორტი, გართობა. მათ შორის თავსდება ქცევის გარდამავალ ფორმად მიჩნეული სწავლა [36]. ქცევათა ეს კლასიფიკაცია ტაქსონომიური პრინციპების სიმარტივისა და ქცევის ძირითადი სახეობების მომცველობის მხრივ დღემდე უნიკალურია ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში.

უზნაძე ქცევის სახეობათა სხვაგვარ დაყოფასაც გვთავაზობს. იგი ასხვავებს *იმპულსურ და ნებელობით* ქცევებს. ქცევების ამ ორი კლასის გამოყოფის საფუძველია მათი წარმმართველი ფსიქიკური პროცესებისა და მექანიზმების სირთულის დონე. იმპულსური ქცევა იწყება მოთხოვნილების აღმოცენებისთანავე და მიმდინარეობს სუბიექტის მიერ ქცევის შეფასებისა და კონტროლის გარეშე. რაც შეეხება ნებელობით ქცევას, იგი განზრახული, მიზანდასახული და გაცნობიერებული აქტივობაა. ის არის რთული ფსიქიკური მექანიზმებით გაშუალებული ქმედება.

ნებელობითი ქცევა სამ პერიოდს მოიცავს: მოსამზადებელს, გადაწყვეტილების მიღებისა და შესრულების. პირველი ორი აუცილებლად ობიექტივაციის დონეზე მიმდინარეობს, მაგრამ ამ პერიოდების ფსიქოლოგიური შინაარსი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. ჯერ ხდება ქცევის შერჩევა მისი მიზანშეწონილების გათვალისწინებით, რაც აზროვნების გამოყენებასა და, საერთოდ, კოგნიტურ ფუნქციონირებას გულისხმობს. ამას მოჰყვება ქცევის სუბიექტური ღირებულების დადგენა, მოტივის მონახვა და, ბოლოს, მის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება. ეს აქტივობა მოტივაციურ-ვოლიტური პროცესების მეშვეობით ხორციელდება. იგი კოგნიტურ აქტივობასაც ეყრდნობა, მაგრამ მასზე არ დაიყვანება და ფსიქიკის მუშაობის უფრო მაღალ დონეს გულისხმობს.

ამ ვითარების კონცეპტუალური გააზრება მოცემულია ფსიქიკური აქტივობის „სამდონიან მოდელში", რომელიც შ. ნადირაშვილს ეკუთვნის. მასში გამოიყოფა სამი დონის აქტივობა: პრაქტიკული ანუ იმპულსური ქცევა, თეორიული ანუ შემეცნებითი აქტივობა და ვოლიტური ანუ ნებელობითი ქმედება. ისინი სირთულით განსხვავებული ქცევებია, რომლებიც, შესაბამისად, *ინდივიდის, სუბიექტისა და პიროვნების* დონეზე მიმდინარეობს. აქტივობის ძირეული ფსიქიკური მექანიზმი ყველგან განწყობისეულია. განსხვავება ეხება სათანადო დონის განწყობათა შემადგენელი ფაქტორების თავისებურებებს. ინდივიდის დონეზე განწყობას აქტუალური მოთხოვნილება და აქტუალური სიტუაცია ქმნის. სუბიექტის დონეზე განწყობის შექმნაში შემეცნების მოთხოვნილება და პრობლემური სიტუაცია მონაწილეობს, ხოლო პიროვნების დონეზე განწყობის ფაქტორებად მაღალი მოთხოვნილებები (პიროვნების ღირებულებათა სისტემა) და წარმოსახული სიტუაცია გვევლინება [26].

სამდონიან მოდელს უფრო დაზუსტებული სახე რომ მიეცეს, მეორე დონის განწყობა მხოლოდ შემეცნებითი მოტივაციით აღძრულ თეორიულ აქტივობას კი არ უნდა დავუკავშიროთ, არამედ, საზოგადოდ, ყოველგვარ *გაცნობიერებულ* ქცევას, ხოლო მესამე დონის განწყობა განვიხილოთ ცალსახად *ნებელობითი* ქმედების საფუძვლად [12].

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ განწყობებს შორის განსხვავებას მხოლოდ მათი მოტივაციური და სიტუაციური ფაქტორების შემადგენლობა არ ქმნის. სათანადო განწყობები ინდივიდის, სუბიექტისა და პიროვნების არსენალში მყოფი სხვადასხვაგვარი ფსიქოფიზიკური ძალებისა თუ უნარების გათვალისწინებით ყალიბდება. ამ შემთხვევაში ლაპარაკია განწყობისა და ქცევის კიდევ ერთ, მესამე, ფაქტორზე – *ინსტრუმენტულ ან ოპერაციულ შესაძლებლობებზე*. განწყობის ამ ფაქტორზე პირველად შ. ჩხარტიშვილმა მიუთითა.

აღსანიშნავია, რომ განწყობის სტრუქტურაში მესამე ფაქტორის შემოტანის იდეა უცებ არ გაჩენილა. თანდათანობით ნათელი გახდა, რომ მისი გათვალისწინების გარეშე ქცევის მიზანშეწონილების სრულყოფილად ახსნა შეუძლებელი იქნებოდა. თავად უზნაძე ოპერაციულ შესაძლებლობებს არ გამოყოფდა განწყობის დამოუკიდებელ ფაქტორად, თუმცა ქცევის ამ მომენტს სერიოზულ ანგარიშს უწევდა. მისი აზრით, იმისთვის, რომ გარემომ სიტუაციის სახე მიიღოს, ის უნდა აკმაყოფილებდეს რაიმე მოთხოვნილებას და შეესაბამებოდეს სუბიექტის შესაძლებლობებს. მშიერი ადამიანისთვის, ამბობდა იგი, „თევზი წყალში" მხოლოდ მაშინ გადაიქცევა აქტუალურ სიტუაციად, თუ მას გააჩნია სათანადო მოქმედების ძალები, პერცეპტული, მოტორული და ინტელექტუალური შესაძლებლობები. „სიტუაციის ცნებაში, მაშასადამე, არა მარტო ის შედის, რომ იგი მომენტალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებებს უნდა შეიცავდეს, არამედ უეჭველად ისიც, რომ იგი სუბიექტის აქტუალური ძალებისათვისაც იყოს შესატყვისი" [41; 12].

ნათელია, რომ ინდივიდის ფსიქოფიზიკური ძალები და უნარები, აგრეთვე შეძენილი ოპერაციული შესაძლებლობები (ცოდნა-ჩვევები) ქცევის მომზადებისა და განხორციელების საქმეში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ. მოთხოვნილებებთან

ერთად ისინი შიგნიდან, ინდივიდის მხრიდან განსაზღვრავენ, განეწყობა თუ არა სუბიექტი სამოქმედოდ კონკრეტულ სიტუაციაში. განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის თანახმად, განწყობა ქცევისთვის მომზადების მდგომარეობაა, რომელშიც განსაზღვრულია რა, როგორ და რატომ უნდა გაკეთდეს. ამიტომ იგი შეიცავს მონაცემებს *მოთხოვნილების, სიტუაციისა და ოპერაციული შესაძლებლობების* შესახებ. ასეთი მოდელი უფრო ადეკვატურია ქცევის მიზანშეწონილების პრობლემის გადაჭრისთვის. საბოლოო სახე მას შ. ჩხარტიშვილმა და შ. ნადირაშვილმა მისცეს [26][49].

მკვლევართა უმეტესობა აღიარებს, რომ ქცევა შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ურთიერთქმედების შედეგია. ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე ფსიქოლოგიაში ე.წ. *ინტერაქციული* შეხედულება საკმაოდ არის გავრცელებული. მაგრამ ქცევის ფაქტორთა ურთიერთქმედების მოვლენას შემდგომი ანალიზი ესაჭიროება. ისმის საკითხი, თუ როგორია კავშირი შინაგან და გარეგან ფაქტორებს შორის, რამდენად ორგანული და არსებითია იგი. დაბოლოს, მიზანშეწონილი ქცევის თეორიამ უნდა განმარტოს, თუ რა ფსიქიკურ ფორმაში ხდება ქცევის ფაქტორების გაერთიანება, სად და როგორ მყარდება მათ შორის კავშირი [57].

ამ ურთულეს კითხვებზე პასუხის ძიებაში უზნაძე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ქცევის თეორიების უმრავლესობა ინდივიდისა და გარემოს პრინციპული განცალკევებულობის შეხედულებიდან ამოდიან. ორგანიზმსა და გარემოს შორის უფსკრული იგულისხმება. მოთხოვნილებები, ინდივიდის ძალები და გარემოს მონაცემები თვითკმარ და აბსოლუტურად განცალკევებულ რეალობებად წარმოგვიდგება. მათი დაკავშირება ქცევაში, ანუ ინდივიდის მიერ გარემოში მოთხოვნილების დაკმაყოფილების პროცესში, სრულიად შემთხვევით, ცდებისა და შეცდომების წყების შედეგად ხდება. მისი აზრით, უნდა ვილაპარაკოთ არა მხოლოდ აქტივობისა და განვითარების პროცესების შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ურთიერთქმედებაზე, ან კონვერგენციაზე, როგორც ეს, მაგალითად, შტერნთანაა, არამედ მათ პრინციპულ და თავდაპირველ ერთიანობაზე ანუ *კოინციდენციაზე*. თუ ცხოველქმედებისა და განვითარების შინაგანი და გარეგანი გარემოებანი იმთავითვე განცალკევებულნი არიან, მაშინ ვერავითარი თეორია მათ ვერ გაამთლიანებს. მეცნიერების ისტორია ცხადყოფს, რომ ამგვარ მცდელობებს ყოველთვის ხელოვნური ხასიათი ჰქონდა და უნაყოფო რჩებოდა. ამის ნაცვლად უზნაძე გვთავაზობს აქტივობის შინაგანი და გარეგანი პირობებისა და ფაქტორების პირველადი, არსებითი და დაუნაწევრებელი ერთიანობის იდეას. ესაა ქვაკუთხედი მისი შეხედულებათა სისტემისა ცოცხალი ორგანიზმების ფუნქციონირებისა და განვითარების კანონზომიერებათა შესახებ.

უზნაძეს მიაჩნია, რომ ინდივიდის ყოველგვარ მახასიათებელს აუცილებლად შეესაბამება გარემოში არსებული რაიმე მოვლენა ან გამღიზიანებელი. მაგალითად: მოთხოვნილება მის დამაკმაყოფილებელ საგანს გულისხმობს, შეგრძნების ორგანო – სათანადო გამღიზიანებელს და ა.შ. ამიტომ, შინაგანი სისტემების ორგანიზაცია გარეგანი პირობების თავისებურებებთან მიმართებით ხდება. აქედან გამომდინარე, „შინაგანის ცნება უკვე შეიცავს თავის შინაარსში იმას, რასაც გარეგანად თვლიან, და პირიქით, გარეგანი იმას, რასაც შინაგანად თვლიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ცნებათა

შინაარსის ურთიერთისაგან გამოთიშვა სრულიად მოუხერხებელია, და მაშასადამე, ჩვენს წინაშე შინაგანისა და გარეგანის, თანდაყოლილისა და შეძენილის ცნებათა კოინციდენციის, ერთიანობის ფაქტი დგას" [31; 51]. ეს იმასაც ნიშნავს, რომ მათ შორის კავშირი არსებითია და არა შემთხვევითი.

კოინციდენციის კონცეფცია უზნაძემ თავისი შემოქმედების ადრეულ ეტაპზე, ონტოგენეტური განვითარების საკითხის გააზრებისას, შეიმუშავა. თუმცა ერთიანობის ამ პრინციპის ყველაზე თვალსაჩინო რეალიზაცია სწორედ განწყობის თეორიაა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ერთიანობის იდეას უზნაძე ბოლო შრომებში მიუბრუნდა; მას ემპირიული კავშირების შემთხვევითობის, ანუ, უბრალოდ, *ემპირისტული პოსტულატი* უწოდა და, უშუალობის პოსტულატთან ერთად, თავისი თეორიის საყრდენ მეთოდოლოგიურ პრინციპად დასახა. განწყობის ცნების ერთ-ერთი ძირითადი ღირსება ისაა, რომ მასში ორგანულადაა გაერთიანებული ქცევის შინაგანი და გარეგანი ფაქტორები, ინდივიდი და სიტუაცია. განწყობა ხომ სუბიექტის ისეთი მთლიანობითი მოდიფიკაციაა, რომელშიც *მოთხოვნილების* დასაკმაყოფილებლად საჭირო *ძალები სიტუაციის* შესაბამისადაა მომართული. განწყობა, ასე ვთქვათ, ერთ მთლიანობაში ადუღაბებს ქცევის ფაქტორებს და მათი კავშირის ფსიქიკური სუბსტრატის სახით გვევლინება.

მიზანშეწონილების პრობლემა ერთ-ერთი უმთავრესია უზნაძისთვის და, *გაშუალების პრობლემასთან* ერთად, განწყობის თეორიის შექმნის ძირითადი სტიმული იყო. ქცევის მიზანშეწონილება ისაა, რომ ორგანიზმი მოცემულ გარემოში სწორედ ისეთ აქტებს ახორციელებს, რომლებიც მის აქტუალურ მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ. პრობლემა იმის ახსნას ეხება, თუ როგორაა ეს შესაძლებელი. უზნაძე საგანგებოდ აანალიზებს მისი გადაჭრის ორ კლასიკურ ვარიანტს – მექანიციზმს და ვიტალიზმს. მექანიციზმი ცოცხალ ორგანიზმს განიხილავს როგორც მანქანას, რომლის ფუნქციონირება გარედან მომდინარე ზემოქმედებითაა განპირობებული. გარემოსა და ინდივიდის ურთიერთობისას, ისევე როგორც თვით ორგანიზმის შიგნით, ფიზიკურ-ქიმიური, მექანიკური ხასიათის მიზეზშედეგობრივი კანონზომიერებანი მოქმედებენ. ვიტალიზმის მიხედვით, ცოცხალი არსების ქცევის მიზანშეწონილებას სიცოცხლისთვის სპეციფიკური არამატერიალური ფაქტორი, შინაგანი „ვიტალური ძალა", ე.წ. „ენტელექია" ან „ფსიქოიდი" განსაზღვრავს. უზნაძის შეფასებით, ორივე პოზიცია მცდარია. პირველი იმიტომ, რომ უარყოფს ცოცხალი ორგანიზმის სპეციფიკურობას და მისი თავისებურებები მთლიანად არაორგანულ კანონზომიერებებზე დაყავს; მეორე მცდარია იმის გამო, რომ უფსკრულს თხრის ორგანულსა და არაორგანულს შორის, მათ აბსოლუტურად განსხვავებულ მოვლენებად მიიჩნევს და სიცოცხლის სპეციფიკურობას არამატერიალურ საწყისში ხედავს.

მიზანშეწონილების პრობლემის ჭეშმარიტი მეცნიერული გადაწყვეტა იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ ცოცხალი ორგანიზმის სპეციფიკას მექანიკურ კანონზომიერებებზე არ დავიყვანთ და, ამავე დროს, მისი ფუნქციონირების ადაპტურობის ასახსნელად მეტაფიზიკურ ძალებს არ მივმართავთ. ამისთვის კი უნდა გამოიყოს ქცევის რეალური განხორციელებისთვის საჭირო ფაქტორები და დადგინდეს

მათი კოორდინებული თანაქმედების წესი. განწყობაში ეს ყველაფერი მოცემულია. მასში თავმოყრილია მიზანშეწონილი ქცევის შესრულებისთვის აუცილებელი და საკმარისი პირობები. განწყობა შეიცავს მონაცემებს ინდივიდის მოტივაციური და ოპერაციული სისტემების მდგომარეობისა და სიტუაციური ვითარების შესახებ. ყოველივე ამის საფუძველზე განწყობაში წინასწარ არის მომზადებული ისეთი ქცევა, რომელიც სუბიექტისთვის საჭიროცაა და შესაძლებელიც.

განწყობა, როგორც მიზანშეწონილი ქცევის შესრულების *ფსიქოლოგიური მექანიზმი,* ქცევის მთელი პროცესის მუდმივ მართვა-რეგულაციას უზრუნველყოფს. ქცევა განწყობიდან გამომდინარეობს და ამიტომ მასში მოცემული უნდა იყოს განსახორციელებელი აქტივობის მოდელი. მოქმედების დაწყებამდე განწყობაში ნარმოდგენილია ქცევის მონახაზი, მისი ძირითადი პარამეტრები. განწყობა ქცევის ესკიზიაო, ამბობდა უზნაძე. ეს ნიშნავს, რომ განწყობისეულ პროგრამაში მოქმედების ყველა დეტალი არ არის განსაზღვრული. მათი დაზუსტება ქცევის მსვლელობაში ხორციელდება. სამსახურში მიმავალ ადამიანს წინასწარ განწყობის სახით მოცემული აქვს სამოქმედო *სიტუაციური გეგმა,* მაგრამ ამ უკანასკნელში ვერ იქნება ჩაწერილი მისი ყველა ნაბიჯი თუ ოპერაცია, ვინაიდან ისინი კონკრეტული საგზაო ვითარების მიხედვით იგეგმება და სრულდება, ამიტომ წინასწარ ვერ იქნება გათვალისწინებული. ინფორმაცია აქტუალური სიტუაციის შესახებ პერცეპტულად, ე.წ. *სიტუაციური ხატების* სახით შემოდის სუბიექტში და განწყობაში აისახება. აქედან გამომდინარე, განწყობის მუდმივი დაზუსტება და დაკონკრეტება ხდება. ერთი სიტყვით, ქცევის პროცესში სიტუაციური ვითარების განუწყვეტელი ცვალებადობის გამო, განწყობის სტრუქტურა ცვალებად ან „დინებად" ხასიათს იძენს. ესაა განწყობის სტრუქტურის *დინამიკური მოდელის* დედააზრი, რომლითაც შალვა ჩხარტიშვილმა გარკვეულად დააზუსტა უზნაძის თვალსაზრისი ქცევის მიზანშეწონილების განწყობისეული მექანიზმის ფუნქციონირების შესახებ [48].

საფიქრებელია, რომ განწყობის სტრუქტურის პროცესუალურ ცვალებადობას მხოლოდ სიტუაციური ფაქტორის დინამიკა არ განაპირობებს. იგივე ითქმის მოტივაციური ფაქტორის მიმართაც. ადამიანის ქცევა უმეტესწილად მოთხოვნილებათა სისტემით არის მოტივირებული. აქტივობის პროცესში ამ სისტემის სერიოზული ტრანსფორმაცია ხდება. მასში ახალი მოთხოვნილების ჩართვამ შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს ქცევის ენერგეტიკული პოტენციალი ან მისადმი ინტერესი. შეიძლება, საერთოდ შეიცვალოს აქტივობის მიმართულება, რაც ხშირად ხდება ძლიერი ფიზიოლოგიური მოთხოვნილების აქტუალიზაციის შემთხვევაში. არსებობს საპირისპირო სიტუაციაც – აქტივობის პროცესში, მოთხოვნილების დაკმაყოფილების კვალდაკვალ, ქცევის მოტივაციური საფუძველი ზოგჯერ სუსტდება. მაგალითად, ფუნქციონალური მოთხოვნილებები, სხვა მოთხოვნილებებთან ერთად, ხშირად მონაწილეობენ ქცევის მოტივირებაში და მას პროცესუალურ მიმზიდველობას ანიჭებენ. ბუნებრივია, რომ ფუნქციონირების პროცესში ისინი თანდათან კმაყოფილდებიან. ამის შედეგია, რომ თავდაპირველად სახალისო ქცევა შეიძლება უინტერესო და მძიმე საქმედ გადაიქცეს [12][55].

არსებითად იგივე ითქმის შესაძლებლობათა ფაქტორის მიმართაც. ყოველივე ეს, პირველ რიგში, აისახება განწყობის სტრუქტურაში და, შესაბამისად, ქცევის დინამიკურ თუ შინაარსეულ მახასიათებლებში. განწყობაში მოცემულია, აგრეთვე, ინფორმაცია აქტივობის შედეგების შესახებ. ამის შესაბამისად, მასში იგეგმება მომდევნო მოქმედებები და ოპერაციები. ერთი სიტყვით, განწყობა, როგორც მიზანშეწონილი ქცევის მექანიზმი, უკუკავშირების პრინციპის საფუძველზე მოქმედებს. ეს განწყობის თეორიას აახლოებს ქცევის თანამედროვე მოდელებთან, სადაც აღნიშნული პრინციპია გამოყენებული [6].

რადგან განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის სხვა თეორიებთან მიმართება ვახსენეთ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ განწყობის ფსიქოლოგია საბუნებისმეტყველო, სციენტისტური ტიპის მოძღვრებაა და მისი მიმართება სხვა დიდი მასშტაბის ფსიქოლოგიურ სისტემებთან ამ გარემოებით განისაზღვრება. განწყობის ფსიქოლოგია მიმართულია ზოგად კანონზომიერებათა და ძირეული მექანიზმების დადგენაზე ზუსტი და შემოწმებადი ექსპერიმენტული პროცედურების საშუალებით. განწყობის ფსიქოლოგიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფსიქიკური აქტივობის პროგნოზირებას – განწყობიდან ქცევის წინასწარმეტყველების შესაძლებლობა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. დაბოლოს, განწყობის ფსიქოლოგია დეტერმინისტული ფსიქოლოგიაა [16]. ინდეტერმინიზმი უზნაძისთვის მიუღებელია. იგი ხაზს უსვამს, რომ, განწყობის თეორიის მიხედვით, ქცევის არც ერთი რგოლი არ არის ამოვარდნილი მიზეზობრივი ჯაჭვიდან. ამასთან, მას კარგად აქვს გაცნობიერებული მექანიკური კაუზალობის პრინციპების ფსიქოლოგიის სფეროში გადმოტანასთან დაკავშირებული სირთულეები. უზნაძე უშვებს ფსიქოლოგიის სფეროში დეტერმინაციის სპეციფიკური სახის არსებობას. სწორედ ამ მიმართულებით წარმოებული კვლევის შედეგად ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ განწყობა გამაშუალებელი ინსტანციაა, რომელშიც მოხსნილია სუბიექტ-ობიექტის დაპირისპირება. გარდა ამისა, განწყობაში ქცევა წინასწარაა მოდელირებული. ამიტომ „განწყობა არა მარტო როგორც ნამდვილი მიზეზი მოქმედებს ქცევაზე, არამედ ამავე დროს თითქოს მიზნის მსგავსადაც: როგორც მიზანში წინასწარაა მოცემული ის, რაც შემდგომში უნდა მოხდეს, სწორედ ასეა განწყობაშიც“ [35; 89]. ეს მოსაზრება თანამედროვე ქცევის მეცნიერებათა თვალსაზრისით ძალიან აქტუალურად გამოიყურება.

ყოველივე აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ უზნაძის განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია თავისი მეთოდოლოგიური ამოცანებით, მეცნიერული იდეალებით და კვლევის პრინციპებით არსებითად განსხვავდება ჰუმანიტარული ტიპის ფსიქოლოგიური კონცეფციებისგან (იხ. X თავი). სამაგიეროდ, მასთან ბუნებით ნათესაურ ზოგადფსიქოლოგიურ სისტემებთან განწყობის ფსიქოლოგია საკმაოდ მჭიდრო მიმართებას ამყარებს. თვით უზნაძე, მისი დროის ფსიქოლოგიის კრიტიკული ანალიზისას მუდამ ეძებდა (და პოულობდა კიდეც) პოზიტიურ ელემენტებს ნეობიჰევიორიზმშიც (ტოლმენი), გეშტალტფსიქოლოგიაშიც (კელერი), ველის თეორიაშიც (ლევინი) და პერსონოლოგიაშიც (შტერნი). რაც შეეხება თანამედროვე ფსიქოლოგიას, აქ შეიძლება გავავლოთ ბევრი საინტერესო პარალელი განწყობის

თეორიასა და ქცევითი კოგნიტივიზმის დებულებათა მთელ რიგს შორის (იხ. XI თავი).

აღსანიშნავია, რომ უზნაძის სკოლაში ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმდინარეობის შესწავლას და კრიტიკულ ანალიზს, რაც საშუალებას იძლევა, სათანადოდ შეფასდეს განწყობის თეორიის ადგილი და როლი მთელი ფსიქოლოგიური მეცნიერების მასშტაბით. ამ ტრადიციას თვითონ უზნაძემ ჩაუყარა საფუძველი თავისი დროის ძირითადი ფსიქოლოგიური კონცეფციების კომპეტენტური ანალიზით [34]. ამ მიმართულებით ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლაში არაერთი სერიოზული ნაშრომია შესრულებული.

უნდა აღინიშნოს, რომ განწყობის ზოგადფსიქოლოგიურმა თეორიამ ჩამოყალიბების ხანგრძლივი და რთული გზა გაიარა. თვით უზნაძეს მუდამ შეჰქონდა ცვლილებები და დაზუსტებები თავის სისტემაში. სხვადასხვა დროს იგი არაერთი ახალი დებულებითა და მონაცემით შეავსო. განწყობის ფსიქოლოგიის მრავალი ასპექტი ღრმად იქნა დამუშავებული და განვითარებული უზნაძის სკოლის სხვადასხვა თაობის მკვლევართა მიერ. განწყობის ფსიქოლოგიის განვითარების პროცესი დღესაც მიმდინარეობს, თუმცა ოთხმოცდაათიანი წლებიდან იგი მკვეთრად შენელდა. ეს სრულიად გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური (როგორც მეცნიერების მეთოდოლოგიაში ამბობენ, ექსტერნალური) ფაქტორებით იყო განპირობებული. განწყობის თეორიას უთუოდ აქვს ზრდის საკმაოდ მაღალი პოტენციალი, მაგრამ მისი რეალიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ გათვალისწინებული და ურთიერთშესაბამისობაში მოყვანილი იქნება მოცემული თეორიის შინაგანი ლოგიკა და თანამედროვე ფსიქოლოგიაში გამოვლენილი ტენდენციები. მათ შორის შეიძლება გამოიყოს თეორიულ შეხედულებათა საერთო ჰუმანიზაცია-ანთროპომორფიზაცია, გამოყენებითობის პრიმატი და დისციპლინათშორისი კავშირების გაღრმავება.

უდავოდ აქტუალურია განწყობის ფსიქოლოგიის საზოგადოებრივ პრაქტიკასთან დაახლოების ამოცანა, რადგან დღეს, ფსიქოლოგიური თეორიის შეფასებისას, ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმად მისი გამოყენებითი ღირებულებაა მიჩნეული. კონცეფცია რეალურ საფუძველს უნდა ქმნიდეს ნაყოფიერი ფსიქოდიაგნოსტიკური და ფსიქოკორექციული (კერძოდ, ფსიქოთერაპიული) მუშაობისთვის. თუ პირველ სფეროში განწყობის ფსიქოლოგიას სრულიად გარკვეული მონაცემები მოეპოვება (იგულისხმება ფიქსირებული განწყობის ტიპოლოგია, თუმცა აქაც ჯერ კიდევ ბევრია გასარკვევი და დასაზუსტებელი), მეორე სფეროში პრაქტიკული საქმიანობა მხოლოდ საუკუნეთა მიჯნაზე დაიწყო. ამ ვითარებას თავისი ობიექტური მიზეზები აქვს. პოლიტიკურ-იდეოლოგიური გარემო, რომელშიც მოცემული ფსიქოლოგიური სისტემა ყალიბდებოდა, საერთოდ არ იყო ფსიქოთერაპიის განვითარების ხელშემწყობი. საბჭოთა სახელმწიფოში პერიოდულად მიმდინარე იდეოლოგიურ კომპანიებს შეეწირა გამოყენებითი ფსიქოლოგიის ისეთი დარგები, როგორებიცაა ფსიქოტექნიკა და პედოლოგია [70] (ორივეში უზნაძემ სერიოზული ნაშრომების შესრულება მოასწრო [31][75]). ფსიქოთერაპია იმ გარემოში, სადაც უზნაძის სკოლა ფუნქციონირებდა, თითქმის ყოველთვის ფროიდთან იყო ასოცირებული. ე.წ. „საბჭოთა ფროიდიზმთან" დაკავშირებული კამპანიის შემდეგ იგი ყველაზე მტრულ იდეოლოგიურ საფრთხობე-

ლად იქნა წარმოდგენილი. სამწუხაროდ, ეს ინერცია საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლომდე შენარჩუნდა. ამიტომ ფსიქოთერაპია, ფაქტობრივად, არ ვითარდებოდა. ამჟამად ნათლად ჩანს ფსიქოთერაპიის ისეთი კონცეფციისა და ტექნიკის შექმნის საჭიროება, რომელიც, არსებითად, განწყობის ფსიქოლოგიაზე იქნება დაფუძნებული. ამ თეორიაში უთუოდ არსებობს ამის პოტენციალი, თუმცა ამოცანა საკმარისად რთულია, რაც გაცნობიერებულია ამ მიმართულებით წარმოებულ ზოგიერთ კვლევაში [13][24][73]. რაც შეეხება დისციპლინათშორის კავშირებს, აქ, პირველ რიგში, მომიჯნავე ბიოლოგიურ და სოციალურ მეცნიერებათა მონაცემთა გათვალისწინება იგულისხმება. სოციალურ დისციპლინებთან კონტაქტი სახეზეა, რაც იქიდანაც ჩანს, რომ განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის ფარგლებში წარმატებით ვითარდება სოციალურ-ფსიქოლოგიური შეხედულებების მთელი სისტემა [25][26]. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს სამუშაო, რომელიც წარმოებს ე.წ. *სოციალურ განწყობათა* ბუნების თეორიული გააზრებისა და ემპირიული შესწავლის მიმართულებით [2][22][78].

ამავე დროს, საჭიროა, კიდევ უფრო გაძლიერდეს კავშირი ბიოლოგიურ დისციპლინებთან, რასაც ხელს შეუწყობს განწყობის ფსიქოფიზიოლოგიური, ნეიროფსიქოლოგიური და ფსიქოგენეტიკური მიმართულებით კვლევა. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით აქტუალურია იმ მნიშვნელობიდან გამომდინარე, რაც თანამედროვე მეცნიერებაში ენიჭება ფსიქიკისა და პიროვნების გენეტიკური ასპექტების კვლევას. განწყობის ეს მხარე თითქმის შეუსწავლელია, რაც, ასევე, მეცნიერების განვითარების ექსტერნალური ფაქტორებითაა პირობადებული; იგულისხმება სოციალისტურ ქვეყანაში გამეფებული რადიკალური სოციოცენტრისტული დოქტრინა და გენეტიკასთან ბრძოლის კამპანია [85]. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უზნაძეს თავიდანვე ძალზე შეწონასწორებული პოზიცია ეკავა თანდაყოლილობა-შეძენილობის დიქოტომიასთან დაკავშირებით. ამას ნათლად ადასტურებს მისი ზემოთ მოყვანილი კოინცინდენციის კონცეფცია, რომელმაც, აღნიშნული მიზეზების გამო, განვითარება ვერ პოვა. შესაბამისად, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, არ ჩატარებულა სერიოზული კვლევა-ძიება განწყობაში მემკვიდრული ელემენტის გამოსავლენად, რომელიც უთუოდ უნდა არსებობდეს თუნდაც იმიტომ, რომ განწყობის ტიპი სანდოდ კორელირებს ტემპერამენტის ტიპსა და პიროვნულ ნიშნებთან; მათი ძლიერი გენეტიკური განპირობებულობა კი თანამედროვე მეცნიერებაში დადასტურებულად ითვლება.

სხვადასხვა სახის შეფასება განწყობის ფსიქოლოგიას არ დაჰკლებია. დასავლეთში იგი არსებითად განიხილებოდა ე.წ. „საბჭოთა ფსიქოლოგიის" ნაწილად. ეს, შესაძლოა, ფორმალურად მართებულიც იყო, მაგრამ განწყობის თეორია მაინც ყოველთვის გამოირჩეოდა საბჭოთა ფსიქოლოგიის სხვა კონცეფციებისგან მრავალი ნიშნით: პირველ ყოვლისა, იმით, რომ ის პრაქტიკულად არ იყო იდეოლოგიზებული. ეს გარემოება, სხვათა შორის, შედარებით ობიექტურ დასაყელ ექსპერტებსაც არ გამოჰპარვიათ [91]. ყველა წამყვანი საბჭოთა თეორეტიკოსი თავისი შეხედულებათა სისტემის აგების საჭიროებას მარქსისტული ფსიქოლოგიის შექმნის აუცილებლობით ასაბუთებდა (ლ. ვიგოტსკი, ა. ლეონტიევი, ს. რუბინშტეინი და სხვ.). უზნაძეს არასდროს დაუსვამს ასეთი ამოცანა და არც ოფიციოზის საამებლად მოუხდენია ამ-

გვარი განზრახვის დეკლარირება. როგორც ზემოთაც აღინიშნა, განწყობის თეორიის შექმნის მოტივაცია დაკავშირებულია მეცნიერების ფუნდამენტურ პრობლემებთან, ისეთებთან, როგორებიცაა: *ფსიქოფიზიკური პრობლემა, სუბიექტის პრობლემა, ქცევის მიზანშეწონილების პრობლემა და ფსიქიკის განვითარების პრობლემა*. ბუნებრივია, რომ იმ სახელმწიფოში, რომელშიც განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია ჩამოყალიბდა, მისი იდეოლოგიური კორექტულობის საკითხი თითქმის მუდმივად იდგა დღის წესრიგში. იგი მრავალჯერ გამხდარა განხილვის, შეფასებისა და უაღრესად მწვავე დისკუსიების საგანი. სამწუხაროდ, ეს დისკუსიები ხშირად სცდებოდნენ მეცნიერების ჩარჩოებს და იდეოლოგიური კამპანიის ხასიათს იღებდნენ. ქართული ფსიქოლოგიური სკოლის რამდენიმე თაობამ ღირსეულად წარმოაჩინა თავი ამ დისკუსიებში. განსაკუთრებულ მოხსენიებას იმსახურებენ უზნაძის სკოლის პირველი თაობის შესანიშნავი მკვლევრები: ერეკლე აბაშიძე (1902-1956), ანგია ბოჭორიშვილი (1902-1982), იოსებ (სოსო) ბუაღავა (1904-1972), ნინო ელიავა (1900-1973), რევაზ ნათაძე (1904-1984), ვლადიმერ (მიტო) ნორაკიძე (1905-1993), დარეჯან რამიშვილი (1907-1991), ალექსანდრე (ვასო) ფრანგიშვილი (1904-1989), ბარნაბ ხაჭაპურიძე (1905-1974), ზოსიმე ხოჯავა (1903-1990), შალვა ჩხარტიშვილი (1910-1978) და სხვ.

პირველი საჯარო პაექრობა სახელწოდებით „ფსიქოლოგიის ზოგიერთი საკითხი", შედგა თბილისში, 1952 წლის გაზაფხულზე, როდესაც უზნაძის გარდაცვალებიდან ორი წელიც არ იყო გასული. მისი ორგანიზება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ მოხდა და ერთგვარი გამოხმაურება იყო უზნაძის თეორიის წინააღმდეგ მიმართულ იმ წერილებზე, რომლებიც ეკუთვნოდა ფიზიოლოგ დ. გედევანიშვილსა და ფილოსოფოს ა. ქუთელიას. უზნაძის სკოლის წარმომადგენლებმა დამაჯერებლად დაიცვეს განწყობის თეორიის მეცნიერული ღირსება აშკარად იდეოლოგიური ხასიათის მქონე კრიტიკისგან [20]. ამ სახის კრიტიკა ყველაზე სახიფათოა, ვინაიდან თავისი არსით დოგმატურია და პოლიტიზებული. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა სავალალო, ხშირად ტრაგიკული, შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა ასეთ ბრალდებებს იმდროინდელ საბჭოთა იმპერიაში. ამ დისკუსიას გამოეხმაურა ოფიციოზი და თბილისში ჩამოვიდა სპეციალური კომისია მოსკოვიდან, რომელსაც ცენტრში უნდა წარედგინა დასკვნა უზნაძის ფსიქოლოგიური სკოლის მეცნიერული და პოლიტიკური სახის შესახებ.

სულ მალე ქართული ფსიქოლოგია რეალური საფრთხის წინაშე დადგა. 1955 წლის ივლისში მოსკოვში ჩატარდა თათბირი განწყობის თეორიის გარშემო, რომელშიც მონაწილეობდა იმდროინდელი საბჭოთა ფსიქოლოგიის ყველა წამყვანი ფიგურა. მოხსენებებში, ერთი შეხედვით, მეცნიერული საკითხები განიხილებოდა, მაგრამ ბევრ გამოსვლაში, ღიად ან ქვეტექსტის სახით, ეჭვის ქვეშ დგებოდა უზნაძის თეორიის იდეოლოგიური კორექტულობა. ეს კიდევ უფრო ცხადად გამოვლინდა იმ დისკუსიაში, რომელიც რამდენიმე წელს გრძელდებოდა ცენტრალური ფსიქოლოგიური ჟურნალის ფურცლებზე.

აქ არ შევუდგებით იმის განხილვას, თუ როგორ მიმდინარეობდა პოლემიკა განწყობის თეორიის *იდეალისტურობასა* და პავლოვის სწავლებასთან შესაბამისობის თაობაზე. შედარებით სერიოზულად გამოიყურებოდა შენიშვნა განწყობის *ფსიქიკუ-*

რობასთან დაკავშირებით. იმ დროის მოსკოვური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ავტორიტეტული წარმომადგენელი ასე სვამდა საკითხს: თუ განწყობა არ არის ცნობიერი ფაქტი, იგი არც ფსიქიკური ფაქტია. განწყობის ფაქტები ამომწურავად შეიძლება ავხსნათ ფიზიოლოგიურად, ამიტომ ფსიქოლოგიური კვლევის ცენტრალურ ცნებად განწყობა ვერ გამოდგება (ბ. ტეპლოვი). უზნაძის მიმდევრებს იმის ახსნა მოუხდათ, რომ ცხოველებს, მაგალითად, არა აქვთ ცნობიერება, მაგრამ აქვთ ფსიქიკა – სწორედ ფსიქიკა და არა მხოლოდ ფიზიოლოგია. გარდა ამისა, ფსიქოლოგია შეისწავლის ე.წ. დისპოზიციებს (ტემპერამენტი, ხასიათი, უნარები), რომლებიც არ არიან ცნობიერების ფაქტები, მაგრამ პიროვნების ფსიქიკურ თვისებებად ითვლებიან. ამდენად, ფსიქიკა არ ამოიწურება ცნობიერებით, ხოლო ის, რაც ცნობიერი არ არის, არ უნდა იქნეს დაყვანილი ფიზიოლოგიაზე [20][66].

იქვე გამოითქვა მოსაზრება განწყობის ცნების *უნივერსალიზაციის* დაუშვებლობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით განიმარტა, რომ ფსიქოლოგიაში, როგორც ყველა მეცნიერებაში, არსებობს ცნებათა იერარქია თავისი ზოგადობისა და ფუნდამენტურობის შესაბამისად. ქცევისა და ფსიქიკის ძირეული მექანიზმები, რომელთაც ასე თუ ისე ყველა ზოგადფსიქოლოგიური თეორია მოიაზრებს, ყოველთვის და აუცილებლად ზოგადი ხასიათისაა. მეთოდოლოგიაში ცნობილია სისტემური ცნებები – განწყობა სწორედ ასეთი ცნებაა.

გაცილებით არსებითი ხასიათი ჰქონდა კამათს განწყობისა და ქცევის (ქმედების) პირველადობის საკითხის გარშემო. იგი მრავალ წელს მიმდინარეობდა და ნაყოფიერიც გამოდგა, თუნდაც მხარეთა პოზიციების დაზუსტებისა და გაღრმავების თვალსაზრისით. უზნაძის მომხრეები ყოველთვის ამოდიოდნენ იმ მოსაზრებიდან, რომ განწყობა ქცევის მიზანშეწონილების მექანიზმია და, როგორც ასეთი, უნდა აპირობებდეს მას. ოპონენტების აზრი ორად გაიყო: ა. ლეონტიევი და მისი სკოლა კატეგორიულად უარყოფდა თეზისს განწყობის პირველადობის შესახებ. ყველაზე საინტერესო კი სწორედ უზნაძის მიერ დასმული მეთოდოლოგიური ამოცანის – უშუალობის პრინციპის დაძლევის – კუთხით ხდებოდა. ქმედების თეორიაში ეს ყველაფერი შემდეგნაირად იყო ფორმულირებული: ორწევრიანი სქემა (S-R): ობიექტური ზემოქმედება – სუბიექტის მიმდინარე მდგომარეობების ცვალებადობა, უნდა შეიცვალოს სამწევრიანით. აქ შუალედური რგოლის ფუნქცია *ქმედებას* ეკისრება და განწყობაზე საერთოდ არ არის ლაპარაკი [59]. ვითარების ამგვარი გააზრება, სხვა რომ არა იყოს რა, ერთ თვალსაჩინო წინააღმდეგობას შეიცავს: საქმე ისაა, რომ ქმედება, როგორც ფსიქოლოგიური მოვლენა, არ არის მხოლოდ მოტორული (ფიზიკური) ფაქტი. იგი შეიცავს უამრავ ფსიქიკურ ელემენტს, ანუ „სუბიექტის მიმდინარე მდგომარეობებს“, რომელთაც თურმე თვითონვე აშუალებს. ქცევა თუ ქმედება ვერ იქნება გამაშუალებელი რგოლი, რადგანაც თვითონ საჭიროებს გაშუალებას. ამიტომ უზნაძესთან სამწევრიანი სქემა ასეთია: სტიმული (S) – განწყობა – ქცევა/რეაქცია (R). განწყობა იმიტომაც შეიძლება გამოვიდეს ქცევისა და ცნობიერების შინაარსების გამაშუალებლის როლში, რომ იგი არ არის სუბიექტში მიმდინარე ჩვეულებრივი პროცესი, განცდა. განწყობა სრულებით სხვა სახის, სპეციფიკური, მთლიანობითი და არაცნობიერი

მდგომარეობაა. კონცეფციაში, სადაც არ არსებობს არაცნობიერის შესახებ პოზიტიური შეხედულება, ქცევის და ცნობიერების გაშუალების პრობლემა ვერ გადაწყდება. სწორედ ასეა ქმედების თეორიაში.

სამოცდაათიან წლებში ა. ასმოლოვი შეეცადა, მოენახა განწყობის ცნების ადგილი ლეონტიევის ქმედების თეორიაში. განწყობა განიხილება როგორც ქმედებიდან ნაწარმოები, *მეორეული მოვლენა*, რომელსაც ქმედების და მისი სტრუქტურული ელემენტების (მოქმედებები და ოპერაციები) *სტაბილიზაციის* ფუნქცია ეკისრება. ასე ჩნდება მის მოდელში ე.წ. საზრისული, მიზნობრივი და ოპერაციული განწყობები [49]. ამ შეხედულებას აზრი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განწყობას მხოლოდ ქმედების სტაბილიზაციის ფუნქციას მივაწერთ. მაგრამ, თუ განწყობაში იმ მნიშვნებლობას ჩავდებთ, რომელიც უზნაძის თეორიაშია, მაშინ იგი უთუოდ ქმედების წინ წარმოიქმნება და მისი სტრუქტურის ყველა ნაწილის მოწესრიგებულ და მიზანშეწონილ განხორციელებას განაპირობებს. განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის თანახმად, განწყობა ქცევის მიმართ *პირველადი მოვლენაა*.

სხვა თვალსაზრისი განწყობა-ქმედების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით პირველად ს. რუბინშტეინმა ჩამოაყალიბა [66]. მოგვიანებით, ფაქტობრივად, იგივე პოზიცია სხვა ცნობილმა რუსმა ფსიქოლოგებმაც დაიკავეს [53][54]. ამ შეხედულების თანახმად, განწყობა ფუნქციონალურად პირველადია ქმედების მიმართ, ხოლო გენეტიკურად – მეორეული. აღნიშნული მოსაზრება არსებითად რუბინშტეინის გახმაურებულ პრინციპს ეფუძნება – „გარეგანის მოქმედება შინაგანით არის გაშუალებული". რუბინშტეინისთვის განწყობა ასეთი „შინაგანია" და, ამდენად, ფუნქციონირების თვალსაზრისით (ე.ი. აქტუალგენეზში) პირველადია. ეს პოზიცია განწყობის ფსიქოლოგიისთვის არსებითად მისაღებია, ოღონდ საჭიროა სიცხადის შეტანა თეზისში ქმედების მიმართ განწყობის გენეტიკური მეორეულობის შესახებ. ის სავსებით სამართლიანია განწყობის ფაქტორებთან დაკავშირებით. მართლაც, ადამიანის გარემო (სიტუაცია) და მოთხოვნილებები (განსაკუთრებით ე.წ. „მაღალი") კულტუროლოგიური წარმოშობისაა და, შესაბამისად, ისინი ადამიანის ქცევის შედეგს წარმოადგენენ. ასეთი გაგებით განწყობა, გენეტიკურად, ქმედების მიმართ მეორეულ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს (იგულისხმება ანთროპოგენეზი, სოციოგენეზი და ონტოგენეზი). მაგრამ ფილოგენეტურად, თუ განწყობა სიცოცხლის პრინციპია, ქცევის ძირეული მექანიზმია, იგი ცალსახად მეორეული მოვლენა ვერ იქნება. საქმე ისაა, რომ შეუძლებელია, ჯერ გაჩნდეს ფსიქოფიზიკური მოვლენა, პროცესი (ქცევა) და მხოლოდ ამის შემდეგ შეიქმნას მისი განხორციელების მექანიზმი. განწყობა ქცევის (ქმედების) არსებითი მხარეა. ყველაზე პრიმიტიული ქცევაც იმთავითვე გულისხმობს განწყობისეულ მექანიზმს. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ განწყობისა და ქცევის ურთიერთმიმართების საკითხის გააზრება ფილოგენეტური განვითარების კუთხით კვერცხისა და ქათმის დილემის სახეს იღებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყოველივე ეს პირველად განწყობას ეხება. რაც შეეხება ფიქსირებულ განწყობას, იგი, ფართო მნიშვნელობით, გამეორების, სწავლის, ე.ი. გარკვეული აქტივობის შედეგია და, ამდენად, პრინციპულად მეორეულია.

უზნაძე ყოველთვის ცდილობდა, გაეცნო თავისი კვლევის შედეგები უცხოელი კოლეგებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ დახურულ ქვეყანაში ცხოვრობდა, იგი ახერხებდა სტატიების გამოქვეყნებას სოლიდურ ფსიქოლოგიურ ჟურნალებში და აკეთებდა მოხსენებებს საერთაშორისო ფსიქოლოგიურ კონგრესებზე. მას პირადი ნაცნობობა აკავშირებდა არაერთ ცნობილ ფსიქოლოგთან, თუმცა იძულებული გახდა, შეეწყვიტა მათთან კონტაქტები 30-იანი წლების რეპრესიების ხანაში. მას მერე, რაც რკინის ფარდა ოდნავ გამჭვირვალე გახდა, უზნაძისა და მისი სკოლის ცნობადობა შესამჩნევად გაიზარდა [83][91]; თავის ზენიტს მან გასული საუკუნის 70-80-იან წლებში მიაღწია.

ასეა თუ ისე, უზნაძის და მისი სამეცნიერო სკოლის შემოქმედებას იცნობდნენ და აფასებდნენ მსოფლიოში აღიარებული მეცნიერები: ვ. შტერნი, ვ. კელერი, ჟ. პიაჟე, ჯ. ბრუნერი, რ. იაკობსონი, გ. ოლპორტი, კ. როჯერსი, ჰ, მიურეი, პ. ფრესი, ს, მოსკოვიჩი, პ. ოლერონი, ა. ლაჩინსი, დ. ბერლაინი, ჰ, ოკონორი, ჯ. ბროუეკი, გ. მაკლიში, ჟ. შატო, ლ. შერტოკი, კ. სატო, ვ. ბლუმფელდი, ი. ლინგარტი, მ. ფორვერგი, ფ. კლიქსი და სხვ.

უზნაძის ფსიქოლოგიური სისტემის გაგება-შეფასების მიმართ პირობითად სამი ტენდენცია იკვეთება: ერთ შემთხვევაში, უზნაძის განწყობის თეორია განიხილება პიროვნების ფსიქოლოგიის სიბრტყეში. ცდილობენ, რომ ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლაში წარმოდგენილი პიროვნების განწყობისეული ტიპოლოგია მიმართებაში მოიყვანონ პიროვნების ტიპოლოგიის სხვა მოდელებთან. მაგალითად, მიუთითებენ, რომ არსებობს სრულიად გარკვეული შესაბამისობა აიზენკის მიერ გამოყოფილ ფაქტორებსა და განწყობის ტიპებს შორის [86]; მეორე შემთხვევაში, უზნაძისა და მისი მიმდევრების მიერ მეცნიერებაში შეტანილი წვლილი კოგნიტური ფსიქოლოგიის კუთხით არის შეფასებული. აქ მთავარი ყურადღება ექცევა განწყობის ფსიქოლოგიის ემპირიულ მხარეს: განწყობის ფიქსაციისა თუ ჩაქრობის, ილუზიის სიდიდისა თუ ტრანსპოზიციის მიმართებებს კოგნიტური განვითარებისა და ფუნქციონირების ამა თუ იმ ასპექტთან. იგულისხმება ისეთი პარამეტრები, როგორებიცაა: ინფორმაციის მიწოდების ტიპი, კავშირი პერცეპტულ ველთან, სხეულის დინამიკური სქემის მოქნილობა, ლინგვისტური კოდის განვითარება და ა.შ. [77][82][84][92]. ამასთან, უზნაძის ეფექტების ინტერპრეტაციისას უფრო ხშირად ეყრდნობიან არა თვით მის თეორიას, არამედ სხვა, უპირატესად კოგნიტივისტურ შეხედულებებს. პიაჟე, მაგალითად, მათ განიხილავს ინტელექტის განვითარების საკუთარი კონცეფციის თვალსაზრისით, კერძოდ, სენსომოტორული ინტელექტის თვისებებთან მიმართებით. ინტერპრეტაციისთვის გამოიყენება აგრეთვე ლურიას ცენტრალური სინთეზის კონცეფცია, ვერნერ-ვაპნერის ორგანიზმულ-გენეტიკური თეორია, უიტკინის ველზე დამოკიდებულების თეორია და სხვა კოგნიტივისტური მოდელები. ქართველმა მკვლევრებმა ნათლად აჩვენეს აღნიშნული ემპირიული ფაქტების განწყობისეული ახსნის უპირატესობა სხვა სახის ინტერპრეტაციებთან შედარებით. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ დასახელებულ მოდელებში ავტორებს ისეთი ცნებები შემოაქვთ, რომლებიც თავისი შინაარსით საკმაოდ უახლოვდებიან უზნაძის განწყობის ცნებას.

არსებობს სხვაგვარი მიდგომაც. ასე მაგალითად: კანადელი ფსიქოლოგი რ. ჰერცოგი თავის კვლევით პროგრამას არსებითად უზნაძის განწყობის თეორიაზე აფუძნებს [52]. იგივე ითქმის იაპონელ მეცნიერ ი.კავაგუჩიზე [88]. საზოგადოდ, საგანგებო აღნიშვნას იმსახურებს ის ინტერესი უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიის მიმართ, რომელსაც იჩენდნენ კანადელი (კალგარის, მონრეალის და ოტავის უნივერსიტეტები) და იაპონელი (კიოტოს და ოსაკის უნივერსიტეტები) ფსიქოლოგები.

გვერდს ვერ ავუქცევთ იმას, რომ ზოგჯერ განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია აბსოლუტურად არაადეკვატურად არის გაგებული. სახელდობრ, ერთ-ერთ რეცენზიაში, რომელიც ინგლისურად უზნაძის ნიგნის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით დაიწერა, ფიქსირებული განწყობის მეთოდით ჩატარებული კვლევა-ძიება აღქმის შესწავლად ჩაითვალა, ხოლო ამ მონაცემების განზოგადება ქარაქტეროლოგიის, პათოლოგიისა და, საზოგადოდ, ქცევის სფეროში, არაკორექტულად იქნა მიჩნეული. ამრიგად, უზნაძის განწყობის თეორიამ აღქმის თეორიის კვალიფიკაცია მიიღო [90]. ეს, ცხადია, სრული გაუგებრობაა, თუმცა კოგნიტივისტური მიდგომის ფარგლებში გვხვდება სავსებით კომპეტენტური შეფასებებიც. მაგალითად, ცნობილი გერმანელი სპეციალისტი ვ. მათეუსი განწყობის თეორიაზე აზროვნების ფსიქოლოგიის კონტექსტში მსჯელობს, მაგრამ კარგად აცნობიერებს ამ კონცეფციის ზოგადფსიქოლოგიურ მასშტაბს [61]. იგი განწყობას მოტივაციურ-კოგნიტურ კონსტრუქტს უწოდებს, რომელიც განაპირობებს ქცევის რეგულაციის ორ დონეს (იმპულსურს და ნებელობითს). გარკვეული აზრით, განწყობა მართლაც შეიძლება წარმოვიდგინოთ მოტივაციურ-კოგნიტურ წარმონაქმნად, მასში ხომ გაერთიანებულია მოთხოვნილება, სიტუაცია და შესაძლებლობები, ანუ აქტივობის დინამიკური, შემეცნებითი და გამოცდილებისეული მომენტები. აქ ნათლად იკვეთება გარკვეული პარალელები განწყობის თეორიასა და ქცევის (მოტივაციის) კოგნიტივისტურ მოდელებს შორის, მაგალითად: დეცის, იზარდის, ნიუტენის, ჰეკჰაუზენის და სხვ. ამავე დროს, მათეუსი განწყობის თეორიას შემეცნებითი პროცესების ამხსნელ მოდელადაც განიხილავს – იგი უპირისპირებს მას თანამედროვე კოგნიტური ფსიქოლოგიის კომპიუტერულ მიდგომას და უჩვენებს უზნაძის შეხედულების უპირატესობას ამ უკანასკნელთან შედარებით [60]. საინტერესოა, რომ უზნაძის ბიოსფერულ კონცეფციას მათეუსი, დღევანდელი ტერმინოლოგიის შესაბამისად, *ეკოლოგიურ სისტემას* უწოდებს. არ არის გამორიცხული, რომ აქაც აღმოჩნდეს საინტერესო მიმართებები თანამედროვე ეკოლოგიურ ფსიქოლოგიასთან.

დაბოლოს, არსებობს შეფასების მესამე სახეობა, რომლის მიხედვით, უზნაძის განწყობის თეორია განიხილება ფსიქოანალიზთან მიმართებით. აქ ორი მიმართულება იკვეთება; ერთ შემთხვევაში, უზნაძის თეორია, უბრალოდ, გაიგივებულია ფსიქოანალიზთან. გერმანელი ფსიქოანალიტიკოსი ვ. ლაკერი პირდაპირ ამბობს, რომ „უზნაძემ და მისმა მიმდევრებმა ფაქტობრივად გადაიღეს ფროიდის მოძღვრება არაცნობიერის შესახებ“ [90; 591]. ეს, რა თქმა უნდა, სრული გაუგებრობაა. როგორც ზემოთაც აღინიშნა, უზნაძე მკვეთრად უპირისპირდებოდა არაცნობიერის ფროიდისეულ გაგებას; მეორე მიმართულება სწორედ ამას ითვალისწინებს და განწყობის

თეორიას ფსიქოანალიზის საბჭოთა ალტერნატივად მიიჩნევს [83][85]. იგი არსებითად ემთხვევა ზოგიერთი ქართველი ავტორის პოზიციას [8][79]. თუ გავითვალისწინებთ, რომ უზნაძე თვითონ უპირისპირდებოდა თავისი თეორიით ფსიქოანალიზს და ფროიდის არაცნობიერის განწყობის ცნებით ჩანაცვლების მომხრე იყო, განწყობის ფსიქოლოგიის ამდაგვარი კვალიფიკაცია, ძირითადად, კანონიერად გამოიყურება. არაცნობიერის ცნობილი სპეციალისტი ფ. ბასინი სწორედ ამ კუთხით განიხილავდა უზნაძის კონცეფციას [50]. განწყობის ფსიქოლოგიის ასეთი შეფასება თითქმის დაააკანონა უკვე ნახსენებმა თბილისის არაცნობიერის სიმპოზიუმმა. მისი მასალების ფუნდამენტური ოთხტომეულის რედაქტორები ყველანაირად ცდილობდნენ, დაემკვიდრებინათ ეს აზრი. ამავე სიმპოზიუმის მონაწილე სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტებმა განიხილეს ფსიქოანალიზისა და განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის მიმართების მრავალი საინტერესო ასპექტი [51].

დასასრულს, აუცილებელია ითქვას, რომ განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის დამუშავებისა და სრულყოფის პროცესი სულაც არ დასრულებულა. როგორც დავრწმუნდით, თავად უზნაძეს შეჰქონდა მასში ცვლილებები და, თუ არა უდროო სიკვდილი, უეჭველად კიდევ ბევრ სიახლეს შეიტანდა. გარკვეული პრობლემების სათანადო დამუშავება მან ვერ მოასწრო. ისიც აღინიშნა, რომ არაერთი დაზუსტება და ნოვაცია მისი სკოლის წარმომადგენლებს ეკუთვნით. ზოგიერთზე უკვე ითქვა. აქ კიდევ ორს დავასახელებთ: პირველია კონტრასტული ილუზიის საკითხი, რომელიც წლების განმავლობაში განწყობის ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის მთავარ პრობლემად იქცა. სახელდობრ, ახსნას მოითხოვდა, თუ რატომ ჩნდება სამოდელო ექსპერიმენტებში იმ განწყობის საწინააღმდეგო (კონტრასტულ) ეფექტი, რომელიც ცდის პირველ ნაწილში დაფიქსირდა. კერძოდ, თუ ცდისპირებს შემუშავებული ჰქონდათ დიდ-პატარა ობიექტების აღქმის განწყობა, ცდის კრიტიკულ ნაწილში ისინი მათ კონტრასტულად, ანუ პატარა-დიდად აღიქვამდნენ. ამ პრობლემის გადაჭრაში უზნაძის სკოლის რამდენიმე მეცნიერმა მიიღო მონაწილეობა (ი. ბჟალავა, ო. ტაბიძე, შ. ჩხარტიშვილმა). მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ექსპერიმენტების შედეგად დადგინდა, რომ ფიქსირებული განწყობის ცდების მთელ გაყოლებაზე ერთი განწყობა მოქმედებს და ცდებში მიღებული ყველა ეფექტი მის ნიადაგზე აღმოცენდება. საბოლოოდ, შ. ნადირაშვილმა ჩამოაყალიბა „განწყობის ასიმილაციური მოქმედებისა და კონტრასტული განცდის კანონი". იგი აჩვენებს, რომ ფიქსირებული განწყობა მართლაც ყოველთვის ასიმილაციურად მოქმედებს და იმასაც ხსნის, თუ საიდან და რატომ ჩნდება კონტრასტული შეფასება (ილუზია) [26].

კიდევ ერთი ასეთი პრობლემური საკითხი თეორიული ხასიათისაა და ე.წ. „აღქმის პარადოქსს" ეხება. მისი არსი კარგადაა ცნობილი: განწყობის შექმნა სიტუაციის აღქმას საჭიროებს, ხოლო აღქმას, როგორც ფსიქიკურ პროცესს ან განცდას, თავადვე ესაჭიროება საფუძვლადმდებარე განწყობა, და ასე უსასრულოდ... უზნაძის დროს ამის დამაჯერებელი ახსნა ვერ მოხერხდა. საკითხის შემდგომმა დამუშავებამ აჩვენა, რომ ეს დილემა, არსებითად, ფსევდოპრობლემაა. მისი დაძლევა სავსებით შეიძლება, თუ დავაზუსტებთ მიმართებას ფსიქიკურ პროცესებს, ქცევასა და განწყობას შორის და გამოვიყენებთ ზემოაღწერილ განწყობის დინამიკურ მოდელს [12].

ჩვენ შევეხეთ განწყობის ფსიქოლოგიის იმ პრობლემებს, რომელთა სათანადო დამუშავება უზნაძის შემდგომ პერიოდში გახდა შესაძლებელი. მაგრამ ჯერ კიდევ გადასაწყვეტი რჩება საკითხების რიგი, რომელთაგან, ალბათ, ყველაზე რთული და საკამათოა საკითხი განწყობის ონტოლოგიური ბუნების შესახებ. ძალიან მოკლედ და თეზისების სახით თუ ჩამოვაყალიბებთ, საქმე ეხება იმას, მოვლენათა რომელ სახეობას განეკუთვნება განწყობა, არის თუ არა იგი ფსიქიკური, თუ სრულიად თავისებური მოვლენაა. განწყობის ფსიქიკურობის თეზისი უზნაძემ უკანასკნელ ნაშრომში დაასაბუთა. თეორიის ქმნადობის პირველ ეტაპზე მას მიაჩნდა, რომ ბიოსფეროს სახით მოინახა ისეთი ახალი, ფსიქოფიზიკურად ნეიტრალური რეალობა, რომელიც არ არის არც მატერიალური, კერძოდ ბიოლოგიური (თუმცა, ცხადია, არსებითად დაკავშირებული სიცოცხლესთან), და არც ფსიქიკური (ცნობიერი, განცდადი). მომდევნო ეტაპზეც, როდესაც უკვე საკუთრივ განწყობის ცნება ჩამოყალიბდა, ის გაგებული იყო როგორც სუბიექტის ისეთი სრულიად თავისებური მდგომარეობა, რომელიც, აშუალებს რა ფიზიკურსა და ფსიქიკურს, „წინ უსწრებს კერძოულ ფსიქიკურსა და ფიზიოლოგიურს და მათზე არ დაიყვანება <...> მის შესასწავლად არც ფსიქიკურის ჩვეულებრივი ცნებები და კანონზომიერებები გამოდგება და არც ფიზიოლოგიურის“ [33; 24-25]. ეს პოზიცია ლოგიკურად სრულიად გამართულია, რამდენადაც ცხადია, რომ გამაშუალებელი რგოლი თავად ფსიქიკური ვერ იქნება. საბოლოო შრომებში კი განწყობა ცალსახად ფსიქიკურ მოვლენად გამოცხადდა. ამით ძირფესვიანად შეიცვალა თეორიის ცენტრალური ცნების შინაარსი, რამაც სერიოზული თავსატეხი გაუჩინა შემდგომდროინდელ მკვლევრებს. საქმე ისაა, რომ, თუ განწყობა ფსიქიკურია, იგი ვეღარ გააშუალებს ფსიქიკის მიმართებას ფიზიკურსა თუ ფიზიოლოგიურთან ან სხვა ფსიქიკურ შინაარსებთან. განწყობის ფსიქიკურად მიჩნევა არღვევს მთელი თეორიული კონსტრუქციის სიმწყობრეს და აჩენს აშკარა ლოგიკურ წინააღმდეგობას. იგი, ფაქტობრივად, უშუალობის პოსტულატთან გვაბრუნებს.

ძნელი წარმოსადგენია, რომ უზნაძე ამას არ ხედავდა. მაშასადამე, მის მიერ პოზიციის ასეთ ტრანსფორმაციას ძალზე სერიოზული საფუძველი უნდა ჰქონოდა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ უზნაძემ ეს სვლა გააკეთა არა წმინდა მეცნიერული მოსაზრებებით, არამედ გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური გარემოებების გათვალისწინებით, კერძოდ, საბჭოთა ეპოქის იდეოლოგიური ცენზურის გამო. ის, რომ უზნაძე ამ წნეხს განიცდიდა, უდავოა [15]. მატერიალურსა და სულიერს შორის არსებული ფსიქოფიზიკურად ნეიტრალური რეალობის დაშვება მართლაც კატეგორიულ წინააღმდეგობაში მოდიოდა მებრძოლი მარქსიზმ-ლენინიზმის, „დიამატის“ დოქტრინასთან. სხვა საკითხია, იყო თუ არა ეს ერთადერთი მიზეზი. ადვილი შესაძლებელია, რომ აქ გარკვეული მეცნიერული საფუძველიც არსებობდა, რომელიც, პირველ რიგში, განწყობის ფენომენის წარმატებულ ექსპერიმენტულ კვლევას უკავშირდებოდა. ამის გათვალისწინებით, განწყობის თეორიის ავტორი ცდილობდა, ანალიზი შეძლებისამებრ ემპირიული მეცნიერების კატეგორიებით ეწარმოებინა. სუბიექტური და ობიექტური სამყარო, ფსიქიკური და ფიზიოლოგიური – რეალურად არსებული მოვლენებია, რომელთაც მეცნიერება შეისწავლის. მათ შორის არსებული სინამდვილის დახასიათება-გააზრება კი მეტაფიზიკურ ბურანს აჩენს, რაც წინ ეღობება ემპირი-

ულ კვლევას. დასაშვებია, რომ მოცემულ შემთხვევაში ექსტერნალური (მეცნიერებისთვის გარეგანი) და ინტერნალური (შიდამეცნიერული) ფაქტორი ერთდროულად მოქმედებდა.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ განწყობის ფსიქიკურობის თეზისი აუცილებლად გასაზიარებელია. შეიძლება ასეც ვიფიქროთ – მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული მოსაზრებების გამო უზნაძემ განწყობა, *პირობითად*, ფსიქიკურის კატეგორიაში მოათავსა, სინამდვილეში მისი ონტოლოგიური განსაზღვრულობა ბიოლოგიურსა და ფსიქიკურს შორის, მათ მიჯნაზეა საძებარი. იქნებ განწყობის რეალური „ფაქტურა" სწორედაც *ფსიქოფიზიოლოგიურია* (და არა ფსიქოფიზიკურად ნეიტრალური), ანუ გარდამავალი რგოლია ცოცხალიდან ფსიქიკურისკენ.

საბოლოოდ დავსძენთ, რომ ამ უმძიმეს პრობლემასთან დაკავშირებით უზნაძის სკოლაში რამდენიმე მოსაზრებაა გამოთქმული [4][18][21][48]. მათ ანალიზს აქ ვერ ჩავუღრმავდებით და მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ განწყობის ონტოლოგიური ბუნების გარკვევა კვლავაც რჩება განწყობის ფსიქოლოგიის აქტუალურ ამოცანად. ეს ფსიქოლოგიური სისტემა ქართული მეცნიერული აზრის ერთ-ერთი თვალსაჩინო მიღწევაა და მის დახვეწასა და შემდგომ განვითარებაზე სათანადო ზრუნვაა საჭირო.

ლიტერატურა

1. ბაინდურაშვილი ა., სახელდების ექსპერიმენტული ფსიქოლოგია. თსუ, თბილისი, 1971.
2. ბალიაშვილი მ., სოციალური განწყობის ჩამოყალიბება და პიროვნების აქტივობა. მეცნიერება, თბილისი, 1980.
3. ბერულავა ნ., დიმიტრი უზნაძე: ცხოვრება და შემოქმედება. მეცნიერება, თბილისი, 1967.
4. ბოჭორიშვილი ა., თხზულებები, ტ. I. მეცნიერება, თბილისი, 1991.
5. ბჟალავა ი., შიზოფრენიის ფსიქოპათოლოგიისათვის. საქ. მეცნ. აკადემია, თბილისი, 1958.
6. ბჟალავა ი., ფსიქოლოგია და კიბერნეტიკა. მეცნიერება, თბილისი, 1965.
7. ბჟალავა ი., პათოფსიქოლოგიური მუშაობის ძირითადი შედეგები და პერსპექტივები / მაცნე, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის...სერია, 3, 1971, გვ. 49-60.
8. ბჟალავა ი., ცნობიერებისა და არაცნობიერი ფსიქიკურის პრობლემა განწყობის ფსიქოლოგიაში. მეცნიერება, თბილისი, 1976.
9. გრიგოლავა ა., განწყობის ილუზიის სიდიდე ფსიქიკური და სომატური პათოლოგიის შემთხვევებში, დ. უზნაძის დაბადების 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. მეცნიერება, თბილისი, 1999.
10. ვახანია ზ., ქცევის დისპოზიციური და სიტუაციური ფაქტორები / საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე, 1, 2017, გვ. 13-55.
11. ელიავა ნ., განწყობის პრობლემა აზროვნების ფსიქოლოგიაში. მეცნიერება, თბილისი, 1964.
12. იმედაძე ი., გამოკვლევები თეორიულ ფსიქოლოგიაში. თბილისი, 2013.

13. იმედაძე ი., ფსიქოანალიზისა და განწყობის თეორიის შედარებითი ანალიზი / ი. იმედაძე, გამოკვლევები თეორიულ ფსიქოლოგიაში. Capr diem, თბილისი, 2013.
14. იმედაძე ი., განწყობის თეორია და უზნაძის ფილოსოფიური შეხედულებანი / ფილოსოფიური ძიებანი. უნივერსალი, 2014, თბილისი, გვ. 78-90.
15. იმედაძე ი., უზნაძე და საბჭოთა იდეოლოგია / დიმიტრი უზნაძე: სულმა იგივეობა და უცვლელობა არ იცის. თსუ, თბილისი, 2016.
16. იმედაძე ი., განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის პარადიგმატული სახე / საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე, 2017, გვ. 218-237.
17. იმედაძე ი., ფსიქოლოგიის ისტორია: ანტიკური ხანიდან ჩვენ დრომდე. მწიგნობარი, თბილისი, 2021.
18. იმედაძე ი., განწყობის ონტოლოგიური ბუნება – ისტორიულ-მეთოდოლოგიური ანალიზი. ნიუტონი, თბილისი, 2019.
19. იმედაძე ი., თბილისის არაცნობიერის სიმპოზიუმი – მცირე რეტროსპექტივა / საქართველოს ფსიქოლოგიური ჟურნალი, 1, 2020, გვ. 158-165.
20. იმედაძე ი., დისკუსიები განწყობის ფსიქოლოგიის გარშემო. თბილისი, 2020.
21. კაკაბაძე ვ., განწყობის ფსიქოლოგია და არაცნობიერი ფსიქიკის პრობლემა. მეცნიერება, თბილისი, 1990.
22. მაღრაძე გ., სოციალური ჯგუფისადმი განწყობა და კონფორმულობა. მეცნიერება, თბილისი, 1980.
23. მახარაძე მ., დიმიტრი უზნაძის ადგილი მე-20 საუკუნის ქართულ ფილოსოფიაში / დიმიტრი უზნაძის სამეცნიერო შემოქმედება და ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები, თსუ, თბილისი, 2016.
24. მერაბიშვილი გ., ფსიქიკური სიჯანსაღის ფორმულა. ანთროპოანალიზი. საზოგადოება „ცოდნა“, თბილისი, 2005.
25. ნადირაშვილი შ., პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია. მეცნიერება, თბილისი, 1975.
26. ნადირაშვილი შ., განწყობის ფსიქოლოგია, მეცნიერება. თბილისი, ტ. 1-1983, ტ. 2-1985.
27. ნადირაშვილი შ., განწყობის ანთროპული თეორია. ოპიზა, თბილისი, 2001.
28. ნათაძე რ., წარმოსახვის განმაწყობელი მოქმედება. მეცნიერება, თბილისი, 1972.
29. რამიშვილი დ., მეტყველების განსხვავებულ სახეთა ფსიქოლოგიური ბუნებისათვის. საქ. მეცნ. აკადემია, თბილისი, 1963.
30. რამიშვილი დ., აზროვნების პროცესის გენეზისისა და სპეციფიკის საკითხისათვის. მეცნიერება, თბილისი, 1968.
31. უზნაძე დ., პედოლოგია. დაუსწრებელი პედ. ინ-ტი, ტფილისი, 1933.
32. უზნაძე დ., განწყობის ფსიქოლოგიისათვის / თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 7, 1938.
33. უზნაძე დ., განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები / სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 9, თბილისი, 1941.
34. უზნაძე დ., ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები / შრომები, ტ. 2, საქ. მეცნ. აკადემია, თბილისი, 1960.

35. უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია / შრომები, ტ. 3-4, მეცნიერება, თბილისი, 1964.
36. უზნაძე დ., ბავშვის ფსიქოლოგია / ბავშვის ფსიქოლოგია, შრომები, ტ. 5, მეცნიერება, თბილისი, 1967.
37. უზნაძე დ., განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები / შრომები, ტ. 6, მეცნიერება, თბილისი, 1977.
38. უზნაძე დ., განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები / შრომები, ტ. 6, მეცნიერება, თბილისი, 1977.
39. უზნაძე დ., ფილოსოფიური შრომები, თსუ, თბილისი, 1984.
40. უზნაძე დ., Impersonalia / შრომები, ტ. 9, მეცნიერება, თბილისი, 1986.
41. უზნაძე დ., ძილი და სიზმარი. ფავორიტი, თბილისი, 2004.
42. უზნაძე დ., პედაგოგიური თხზულებანი. ცისნამი, თბილისი, 2005.
43. უზნაძე დ., ჩანაწერების რვეული. ნიუტონი, თბილისი, 2019.
44. ფრანგიშვილი ა., დ. უზნაძის სამეცნიერო მემკვიდრეობა (განწყობის თეორია) თანამედროვე ფსიქოლოგიის აქტუალურ პრობლემათა შუქზე / ფსიქოლოგია, ტ. XIV, თბილისი, 1963.
45. ქირია გ., აღქმის ფსიქოლოგია. თსუ, თბილისი, 2003.
46. ქოჩორაძე ბ., დ. უზნაძის განწყობის თეორიის სისტემატოლოგიური ანალიზი მეტა-განზომილების მიხედვით. საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1993.
47. ჩხარტიშვილი შ., ნებისმიერი ქცევის მოტივაციის პრობლემა. საქ. მეცნ. აკადემია, თბილისი, 1958.
48. ჩხარტიშვილი შ., განწყობა და ცნობიერება. მეცნიერება, თბილისი, 1979.
49. Асмолов А. Г., Деятельность и установка. МГУ, М., 1979.
50. Бассин Ф. В., Проблема бессознательного. Медицина, М., 1968.
51. Бессознательное: природа, функции, методы исследования. Под. ред. Прангишвили А. С., Шерозия А. Е., Бассина Ф. В. Тбилиси: Мецниереба, т.1,2,3-1978, т.4-1985.
52. Герцог Р. Л., Характеристика установки лингвистического кода / Экспериментальные исследования по психологии установки. Т. 5. Мецниереба, Тбилиси, 1970.
53. Запорожец А. В., Развитие произвольных движений. Педагогока, М., 1960.
54. Зинченко В. П., Установка и деятельность: нужна ли парадигма / Бессознательное: природа, функции, методы исследования. Т. 1. Мецниереба, Тбилиси, 1978.
55. Имедадзе И. В., Категория поведения в теории установки. Мецниереба, Тбилиси, 1991.
56. Имедадзе И. В., Научное творчество Узнадзе и проблемы общей психологии / Д.Н. Узнадзе – Общая психология. Смысл, М., 2004.
57. Имедадзе И. В, Интеракционизм и общепсихологическая теория установки / Психологический журнал, 2012, 3. С. 33-44.
58. Имедадзе И. В., Школа Узнадзе: штрихи к истории / Вопросы психологии, 2015, 2. С. 120-130.
59. Леонтьев А. Н., Деятельность. Сознание. Личность. Политиздат, М., 1975.
60. Матеус В., Вопросы теории установки Д.Н. Узнадзе (в адрес компютерного подхода в психология познавательных процессов) / Теория установки и актуальные проблемы психологии. Мецниереба, Тбилиси, 1990.

61. Матеус В., Многоуровневые концепции познания в российской и грузинской психологии (к восприятию идей Вюрцбургской школы) / Психологический журнал, 1995, 4.
62. Надирашвили Ш. А., Психологическая проблема восприятия. Мецниереба, Тбилиси, 1966.
63. Норакидзе В. Г., Типы характера и фиксированная установка. Мецниереба, Тбилиси, 1966.
64. Норакидзе В. Г., Методы исследования характера личности. Мецниереба, Тбилиси, 1975.
65. Норакидзе В. Г., Свойства личности и фиксированная установка / Вопросы психологии, 1983, 5. С. 130 -136.
66. Обсуждение докладов по проблеме установки на совещании по психологии / Вопросы психологии, 1955, 6.С. 72-112.
67. Парджанадзе Д. Ш., Проблема динамики памяти и теория установки / Узнадзе – классик советской психологии. Мецниереба, Тбилиси, 1986.
68. Прангишвили А. С., Исследования по психологии установки. Мецниереба, Тбилиси, 1967.
69. Прангишвили А. С., Герсамия Е. А., О некоторых интерпретациях «эффекта узнадзе» в современной когнитивной психологии / Психологический журнал, 1980, 1. С. 30-44.
70. Психологическая наука в России XX столетия: проблемы теории и истории. Под. ред. А. В. Брушлинского, М.: ИП РАН, 1997.
71. Сакварелидзе М. А., Проблема бессознательного на международном симпозиуме «бессознательное» в г.Тбилиси / Бессознательное: природа, функции, методы исследования. Т. 4. Тбилиси: Мецниереба, 1985.
72. Сакварелидзе М. А., О целесообразности применения установки к определенным разделам медицинской психологии / Медицинская психология, Мецниереба, Тбилиси, 1983.
73. Сакварелидзе Р. Т., Некоторые методологические вопросы психотерапии и теории установки / Медицинская психология, Мецниереба, Тбилиси, 1983.
74. Узнадзе: Антология гуманной педагогики. Изд. дом Ш. Амонашвили, М., 2000.
75. Узнадзе Д. Н., Об актуальных задачах и теоретических основах психологии профессии. Колор, Тбилиси, 2005.
76. Ходжава З. И., Проблема навыка в психологии. Мецниереба, Тбилиси, 1960.
77. Хрицюк Д., Тейлор Р., Взаимосвязь между полезависимостью и установкой (Set) / Психологические исследования, посвященные 85-летию Д.Н.Узнадзе. Мецниереба, Тбилиси, 1973.
78. Чарквиани Д. А., Информация, противоречие и смена социальных установок. Мецниереба, Тбилиси, 1980.
79. Шерозия А. Е., К проблеме сознания и бессознательного. Мецниереба, Тбилиси, 1973.
80. 30 лет института психологии им. Д.Н.Узнадзе академии наук Грузинской ССР (1941-1971). Мецниереба, Тбилиси, 1972.
81. Angelini A., History of the unconscious in Soviet Russia: from its origins to the fall of the Soviet Union / The International Journal of Psychoanalysis, 2008, 89 (2). P. 369-88.

82. Bain B. C., Tovard a theory of perseption: participation as a function of bodi – flexibility / Jornal of General Psychology, 1973, 83. P. 157-296
83. Brozek J., Slobin D. I., Psychology in the USSR: a historical perspective. International Arts and Sciences Press, New York, 1972.
84. Cummins J., The cognitive basis of Uznadze illuzion / International Journal of Psychology, 1976, 2 (2). P. 89-100.
85. Graham L. R., Science, philosophy and human behavior in the Soviet Union. Columbia University Press, New York, 1987.
86. Hritzuk J., Unruh W., Herzog R., Some Soviet approaches to the stady of personality / The Canadian Psychologist, 1969, 10 (1). P. 32-48.
87. Jansen H. L., An investigation of the integral nature of Soviet consept of set / International Journal of Psychology, 1972, 7 (4). P. 207-218.
88. Kawaguche I., The size comparison from the standpoint of the psychology of set. Osaka University Press, Osaka, 1984.
89. Laqueur W., Psychoanalyse in Sowjetischer Perspektive / Psyche, 1956, 10 (9). P. 588-596.
90. Lynn R., The psychology of set by D. N. Uznadze. The British Journal of Psychology, 1967, 58 (1-2).
91. McLeish J., Soviet psychology: History, Theory, Content. Fakenham and Reading, London, 1975.
92. Piaget J., Lambercier M., Essai sur un effet d„Einstellung survenant an cours de perception visuelles successive (effect Uznadze) /Archives de Psychologie, 1944, 30. P. 139-196.

XIII თავი

თანამედროვე ფსიქოლოგიის ზოგიერთი ახალი მიმდინარეობა

აქამდე ყველა თავში ესა თუ ის კონკრეტული მეცნიერული მიმდინარეობა ან მიმართულება განიხილებოდა. მათგან განსხვავებით, ამ თავში წარმოდგენილი სამი ფსიქოლოგიური მიმართულება: ტრანსპერსონალური ფსიქოლოგია, პოზიტიური ფსიქოლოგია და რაიან-დეცის თვითდეტერმინაციის კონცეფცია საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისგან როგორც თემატიკის, ისე მეთოდოლოგიის მხრივ, თუმცა აქვთ გადაკვეთის წერტილებიც. მთავარია, რომ ისინი მართლაც უახლესი და მზარდი სისტემებია, რომელთაც სრულიად გარკვეული ადგილი უკავიათ თანამედროვე ფსიქოლოგიის რუკაზე. თითოეული მათგანი თავისებურად ცდილობს, განავითაროს თეორიული და პრაქტიკული ფსიქოლოგიის ესა თუ ის მხარე. ამიტომ თანამედროვე ფსიქოლოგიის საერთო სურათის შესაქმნელად მათი დახასიათებაც არის საჭირო.

ტრანსპერსონალურმა ფსიქოლოგიამ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ფსიქოლოგიური მეცნიერების სისტემაში საკუთარი ნიშა დაიმკვიდრა და საკმაოდ მაღალი ამბიციებიც აქვს, რადგან თავს მეოთხე ძალად თვლის (ბიჰეევიორიზმის, ფსიქოანალიზისა და ჰუმანისტური ფსიქოლოგიის გვერდით). ასეთი სტატუსი თავდაპირველად მას ა. მასლოუმ მიანიჭა. თვითაქტუალიზაციისა და ე.წ. „მწვერვალის განცდების“ შესწავლამ მიიყვანა იგი რწმენამდე, რომ ამ დონის განცდებს ერთგვარი სულიერი ასპექტი აქვთ. მასლოუ ამბობდა: „მე განვიხილავ ჰუმანისტურ ფსიქოლოგიას გარდამავალ მომენტად, როგორც მომზადებას კიდევ უფრო „მაღალ“, მეოთხე – ტრანსპერსონალურ, ტრანსადამიანურ – ფსიქოლოგიაზე გადასასვლელად, რომელიც უფრო კოსმოსზეა ცენტრირებული, ვიდრე ადამიანურ მოთხოვნილებებსა და ინტერესებზე და მიდის ადამიანურობაზე, იდენტობაზე, თვითაქტუალიზაციაზე და სხვ. ამდაგვარზე უფრო შორს<...> პერსპექტივაში ეს ფსიქოლოგია შეიძლება გადაიქცეს სასიცოცხლო ფილოსოფიად, რელიგიურ სუროგატად, ღირებულებათა სისტემად, სასიცოცხლო პროგრამად, რომელიც ასე აკლია ადამიანებს. ტრანსცენდენტურისა და ტრანსპერსონალურის გარეშე ჩვენ ვხდებით ავადმყოფები, ძალადობრივი ნიჰილისტები, განვიცდით უიმედობასა და აპათიას. ჩვენ გვესაჭიროება რაღაც უფრო მეტი, ვიდრე ჩვენ ვართ“ [24; 7-8]. იგი ხვდებოდა, რომ ადამიანური განცდების სფერო უფრო ფართოა და ცნობიერების შეცვლილ მდგომარეობებსაც მოიცავს. ტრადიციულად ასეთი გამოცდილება რელიგიურ-თეოლოგიურ ლიტერატურაში აღიწერებოდა. მასლოუს და მის უახლოეს თანამზრახველს, ე. სიუტიჩს მიაჩნდათ, რომ ამ სფეროში არსებული მასალა სათანადო მეცნიერული პოზიციებიდან და მეცნიერული ენით უნდა იყოს დახასიათებული. სწორედ ამისთვის დააარსეს სპეციალური „ტრანსპერსონალური ფსიქოლოგიის ჟურნალი“ (1967) და მალე, რამდენიმე თანამზრახველთან

ერთად (ს. გროფი, გ. ფეიდიმანი, ს. მარგულისი), ჩამოაყალიბეს ტრანსპერსონალური ფსიქოლოგიის ასოციაცია (1973). ამან დასაბამი მისცა შესაბამისი მეცნიერული მიმართულების შექმნას. მისი კვლევის საგანია ადამიანის ზღვრული შესაძლებლობები, ცნობიერების შეცვლილი მდგომარეობები, მისტიკური და ექსტატური გამოცდილება, თვითტრანსცენდენცია. მას მჭიდრო კავშირი აქვს სხვადასხვა სახის დასავლურ თუ აღმოსავლურ რელიგიებსა და ფსიქოპრაქტიკებთან, შამანურ გამოცდილებასთან, ფსიქოდელიკურ, ვიზიონერულ და მისტერიულ კულტურასთან, თეოსოფიასთან, სპირიტუალიზმსა და მისტიციზმთან, პარანორმალური მოვლენების კვლევასა და პარაფსიქოლოგიასთან. იგი ასევე დაკავშირებულია ისეთ ფსიქოლოგიურ სისტემებთან, რომლებიც გარკვეულ მისტიკურ ელემენტს მოიცავს. თავის წინამორბედთა შორის ტრანსპერსონალური ფსიქოლოგიის წარმომადგენლები მიუთითებენ ვ. ჯეიმსზე, რომელმაც პირველმა გამოიყენა ტერმინი „ტრანსპერსონალური" რელიგიური გამოცდილების სხვადასხვა სახის აღწერისას; აგრეთვე კ. იუნგზე, რომლის სისტემა გაჯერებულია მითოლოგიურ-რელიგიური და მისტიკური წარმოდგენებით და, რომელიც ამ ტერმინს ზოგჯერ იყენებდა არქეტიპების დახასიათების დროს.

ამ მიმდინარეობის ფარგლებში არსებობს ტერმინ „ტრანსპერსონალურის" რამდენიმე ინტერპრეტაცია. ხშირად ტრანსპერსონალური პირდაპირ ითარგმნება როგორც უშუალოდ პერსონალური, ინდივიდუალური გამოცდილების მიღმა მდებარე, ანუ განცდების ის სფერო, რომლის სათავე არის მთლიანად კაცობრიობა, სიცოცხლე, სულიერება, კოსმოსი, სამყარო. თუმცა, უფრო ფართო მნიშვნელობით, ტრანსპერსონალური ორიენტაცია ცდილობს, მოიცვას პიროვნების ფენომენოლოგიის მთელი სპექტრი, სადაც „ჩვეულებრივი" და „უჩვეულო" განცდები დინამიკურად ურთიერთქმედებენ. ხაზგასმით აღინიშნება, რომ სახელწოდებამ არ უნდა შეგვიყვანოს შეცდომაში: ტრანსპერსონალური მიდგომა არ აუქმებს პერსონალურს; იგი მას უფრო ფართო კონტექსტში განიხილავს და ტრანსპერსონალურ გამოცდილებასაც მოიცავს.

ტრანსპერსონალურ კვლევას სრულიად გარკვეული გამოყენებითი ასპექტი აქვს. იგი ემყარება იმას, რომ ზოგიერთ ტრანსპერსონალურ განცდას აქვს პოზიტიური, გამაჯანსაღებელი ეფექტი და შესაძლებელია მისი მიმართული გამოყენება ფსიქოთერაპიულ პრაქტიკაში. მიჩნეულია, რომ სეანსის სწორად წარმართვის შემთხვევაში პაციენტი თავის ხილვებში ხვდება მატრავმირებელ ვითარებას, რომელიც მას აწუხებდა, ფსიქიკური და პიროვნული პრობლემების არაცნობიერი მიზეზი იყო. ამაშია მეთოდის ფსიქოთერაპიული პოტენციალი, მაგრამ, თავისთავად, იგი არ არის სამედიცინო დანიშნულების ფსიქოტექნიკა და მიმართულია პიროვნების ტრანსფორმაციასა და განვითარებაზე. ადამიანს ეუფლება შვების, განთავისუფლების, გადარჩენის გრძნობა, რაც ხელს უწყობს ზნეობრივ და ესთეტიკურ განვითარებას, შემოქმედებას. როგორც ამ მეთოდის მომხრენი ამტკიცებენ, ამ დროს ფართოვდება ცნობიერების არე და ხშირი გამოყენების შემთხვევაში, ზოგიერთი ადამიანი მუდმივი არსებობისა და სამყაროს მოწყობის კითხვებზეც პოულობს პასუხს.

რაც შეეხება თეორიულ-მეთოდოლოგიურ მოსაზრებებსა და პრინციპებს, ამ მიმდინარეობის ფარგლებში ისინი საკმაოდ მრავალფეროვანია, მაგრამ აერთიანებთ ე.წ.

მუდმივი მოდელი. მის მიხედვით, არსებობს ყველა მოვლენის გამაერთიანებელი საბოლოო ტრანსპერსონალური რეალობა ან მთლიანობა. ინდივიდუალური „მე" მხოლოდ ნაწილია დიდი ტრანსპერსონალური მთლიანობისა, საიდანაც იგი ამოდის და სადაც ბრუნდება. ადამიანი განიხილება კოსმიურ არსებად, რომელიც არაცნობიერ დონეზე დაკავშირებულია მთელს კაცობრიობასა და სამყაროსთან, ყოველი ცოცხალისა და არაცოცხალის ისტორიასთან. ინდივიდუალურ ცხოვრებაში ამ გლობალურ რეალობასთან კავშირი იკარგება, მაგრამ, თუ გვინდა მივაღწიოთ მთლიანობას, ჰარმონიას, სულიერ გარდაქმნასა და ჯანმრთელობას, ის უნდა აღდგეს. ამ ტრანსცენდენტური რეალობის უშუალო აღქმა და წვდომა, მასთან პრაქტიკული კონტაქტი მხოლოდ ტრანსპერსონალურ, ან, გროფის ტერმონოლოგიით, *ჰოლოტროპულ მდგომარეობაშია* შესაძლებელი (ჰოლოს – მთლიანი და *trepein* – მიმართული, ანუ მიმართული მთლიანობაზე). ამ შემთხვევაში ხდება ინდივიდუალურისა და პერსონალურის მიღმა გასვლა (ტერმინი ტრანსპერსონალური პირდაპირი მნიშვნელობით ხომ ამას აღნიშნავს) და რეალობის გამთლიანება.

მისტიკურ განცდებს გარკვეული საერთო ნიშნები ახასიათებს: ერთიანობა როგორც შინაგან, ისე გარეგან სამყაროსთან; სივრცისა და დროის გარეთ გასვლა; ის არის ღრმად პოზიტიური მსოფლგანცდა – სიხარულის, მადლის, სიმშვიდის განცდა; ის საკრალური გრძნობაა – სიწმინდის, რიდის და შიშის გრძნობა; მისთვის ასევე დამახასიათებელია ობიექტურობა და რეალურობა, ანუ გასხივოსნება, საბოლოო რეალობის არსებობაში უეჭველი დარწმუნებულობა; ზუსტი და სრული სიტყვიერი გამოხატვის შეუძლებლობა; ცვალებადობა (მისტიკური ცნობიერება ინდივიდის მუდმივი მდგომარეობა არ არის, იგი დროში შემოსაზღვრული „უკიდურესი გამოცდილებაა"); ქცევისა და გუნება-განწყობილების ხანგრძლივი პოზიტიური ცვლილება, თავის თავთან ჰარმონიის მიღწევა [14].

მისტიკური განცდების ეს ნიშნები ვლინდება სხვადასხვა სახის ცნობიერების შეცვლილ მდგომარეობებში; ისინი განსხვავებული საშუალებებით მიიღწევა, მათ შორის ფსიქოაქტიური ნივთიერებების მიღებით. სწორედ LSD-ს (ლიზერგინული მჟავის დიეთილამიდი) ფსიქოთერაპიული შესაძლებლობების შესწავლით დაიწყო ტრანსპერსონალური მოვლენების კვლევა ამ მიმდინარეობის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა და აღიარებულმა ლიდერმა **სტანისლავ გროფმა** (1931-). თავდაპირველად იგი ცხოვრობდა და მუშაობდა ჩეხოსლოვაკიაში. როგორც ფსიქოანალიზზე ორიენტირებული ფსიქიატრი, იკვლევდა ფსიქოდელიკური ნივთიერებების, უმთავრესად LSD-ს, თერაპიულ ეფექტს სერიოზული ფსიქიკური დარღვევების შემთხვევაში. სამოციანი წლების ბოლოს გადავიდა საცხოვრებლად აშშ-ში, სადაც დღემდე განაგრძობს კვლევას. ამ ნივთიერების გამოყენების აკრძალვის შემდეგ, ცნობიერების შეცვლილი მდგომარეობის მისაღწევად, მან შეიმუშავა ე.წ. *ჰოლოტროპული სუნთქვის* მეთოდი. ეს, არსებითად, ე.წ. „რებენფინგის" მეთოდის ნაირსახეობაა.ამ დასავლური მეთოდების სათავე ინდურ იოგას სისტემაში მოცემული პრანაიამას პრაქტიკაა, რომელიც ცნობიერების შეცვლილი მდგომარეობის მისაღწევად მუდმივ, რიტმულ სუნთქვას იყენებს. ჰოლოტროპული მეთოდიც სპეციალური სუნთქვითი რეჟიმის გამოყენე-

ბას გულისხმობს. მისი ფიზიოლოგიური მექანიზმი შემდეგში მდგომარეობს: ღრმა და ხშირი სუნთქვის შედეგად სისხლში მკვეთრად მცირდება ნახშირორჟანგის რაოდენობა, რასაც მოჰყვება სისხლძარღვების შევიწროება. ჟანგბადი უფრო მჭიდროდ უკავშირდება ჰემოგლობინს და წითელი სხეულები ნაკლებად გადასცემენ მას ქსოვილებს. შედეგად, ჰაერის სიჭარბის გამო წარმოიქმნება პარადოქსული ჟანგბადის შიმშილი იმის მსგავსად, როგორც ეს ხდება ხოლმე ასთმის ან სტენოკარდიული შეტევის დროს, როცა სისხლი, ხშირი სუნთქვის გამო, იჟღინთება ჟანგბადით, ხოლო ორგანიზმი იხრჩობა ჟანგბადის უკმარისობისგან. შედეგად, მუხრუჭდება თავის ტვინის ქერქის მუშაობა და აქტივირდება ქერქქვეშა სტრუქტურები. ამას, ფსიქიკური ცხოვრების დონეზე, თან ახლავს ეიფორიის განცდა, ჰალუცინაციები, ცნობიერების შეცვლილი მდგომარეობა. ტრანსპერსონალური ფსიქოლოგების აზრით, ეს ბიძგს აძლევს გარკვეული სიღრმივი არაცნობიერი განცდების/შინაარსების „გამოღვიძებას“ და ამოტივტივებას აღწერილი წესით გაფართოებულ ცნობიერებაში. ადამიანს ბევრი რამ ახსენდება თავისი პერინატალური და ჩვილობის გამოცდილებიდან, რომლებამდე ჩასვლა ხანგრძლივ ფსიქოანალიზსაც კი არ ძალუძს [49].

ფსიქოდელიკური და ჰოლოტროპული ცდების საფუძველზე გროფმა გამოყო ოთხი სახის ან დონის გამოცდილება და შესაბამისი განცდები: 1. აბსტრაქტული გამოცდილება ან ზედაპირული დონე, რომელიც დაკავშირებულია აღქმის ცვალებადობასთან – ფერის, ხმის, ფორმის გამძაფრებული განცდა; 2. ფსიქოდინამიკური გამოცდილება ან ბიოგრაფიული დონე. მის შინაარსს შეადგენენ აწმყოს მოუგვარებელი კონფლიქტები, ბავშვობის პრობლემები და წარსულის ტრავმატული მოგონებები; 3. პერინატალური გამოცდილება და დონე. იგი მიეკუთვნება მუცლად ყოფნისა და დაბადების სხვადასხვა ფაზას, რომლებიც ე.წ. *საბაზო პერინატალური მატრიცების* სახით არის დახასიათებული; 4. ტრანსპერსონალური გამოცდილება და დონე. ესაა ცნობიერების გასვლა „მე“-სა და სხეულის, დროისა და სივრცის მიღმა – ექსტრასენსორული აღქმა, მემკვიდრული (ფილოგენეტური), არქეტიპული (ანთროპოლოგიური, ისტორიული) წარმოდგენები, მითოლოგიური, კოსმიური, ასტრალური ხილვები, წარსულ ცხოვრებასთან დაკავშირებული (რეინკარნაციული) განცდები.

რაც შეეხება მატრიცებს, ისინი ასახავენ ემბრიონული განვითარებისა და დაბადების გამოცდილებას. პროცესის ყოველი სტადია ხასიათდება სპეციფიკური განცდებით და ასოცირდება სპეციფიკურ სიმბოლურ „ხატებთან“. აქ თავს იჩენს არაერთი ანალოგია მითოლოგიურ, მისტიკურ, არქეტიპულ, ისტორიულ, სოციოპოლიტიკურ, ანთროპოლოგიურ და ფილოგენეტურ ტრანსპერსონალურ წარმოდგენებთან.

პირველი მატრიცა ემბრიონის მუცლადყოფნის პირობებზეა დამოკიდებული. თუ ყველაფერი წესიერად წარიმართა მატრიცის შინაარსი სავსე იქნება სიმშვიდის, უსაფრთხოების, ნეტარების განცდებით, რომლებიც უკავშირდებიან მისტიკურ ხილვებს ყოველივე არსებულის ერთიანობის ან სხვადასხვა კულტურაში არსებულ არქეტიპულ წარმოდგენებს ღვთიური სამყაროს, სამოთხის შესახებ. პირიქით, ორსულობის ამა თუ იმ სახის გართულებისას აღმოცენდება უარყოფითი განცდები: იზოლირებულობა, დაძაბულობა, პარანოიდული შიში, მონამლულობის შეგრძნება, ასო-

ცირებული წყლისქვეშა საშიშროებათა, ჭუჭყიან დინებათა, ნაგავსაყრელთა და სხვა წარმოდგენებთან. ამ დროს ხშირია დემონების, ბოროტების მეტაფიზიკური ძალების სხვადასხვა მითოლოგიური ფიგურის სახით სიმბოლიზებული არქეტიპული წარმოდგენები.

მეორე მატრიცა შეესაბამება მშობიარობის პირველ ფაზას, როდესაც ნაყოფი ვეღარ იღებს საკმარისი რაოდენობით საჭირო ნივთიერებებსა და ჟანგბადს. შედეგად, მატრიცის შინაარსში შეიძლება აღმოვაჩინოთ კლაუსტროფობიის, მოახლოებული საშიშროების შფოთისა და შიშის, რისხვის, უსუსურობის, უიმედობის, სასოწარკვეთილების განცდები, რომლებიც LSD-ს ან ჰოლოტროპული მკურნალობისას ასოცირდება ჯურღმულში, საკონცენტრაციო ბანაკში ან ჯოჯოხეთში ყოფნასთან და სხვა მსგავს ხილვებთან.

მესამე მატრიცა შეესაბამება მშობიარობის მეორე ფაზას, როდესაც ნაყოფი გამოსვლას იწყებს. წინარე მატრიცისთვის დამახასიათებელი ასფიქსია მატულობს, ჩნდება ბრძოლასთან, მოძრაობასთან, ტკივილთან დაკავშირებული განცდები. ხილვები შეიცავს სადომაზოხისტურ, გამოყოფასთან, სექსუალურ აგზნებასთან კავშირში მყოფ ელემენტებს.

მეოთხე მატრიცას გროფი სიკვდილისა და აღორძინების ფაზას უწოდებს. იგი უშუალოდ დაბადების მომენტის და პირველი წუთებისა და საათების გამოცდილებას უკავშირდება. წყდება კავშირი დედის სხეულთან, იწყება დამოუკიდებელი სუნთქვა, შეიძლება გაჩნდეს მშობიარობის პროცედურებთან (ანესთეზია, მაშები და ა.შ.) ასოცირებული უარყოფითი ფენომენოლოგია. აქაც მატრიცის შინაარსში შედის როგორც კონკრეტულ ბიოფიზიოლოგიურ პროცესებთან დაკავშირებული შეგრძნებები, აგრეთვე სხვადასხვა სიმბოლური და არქეტიპული განცდა – განთავისუფლების, სიყვარულის, გადარჩენის, ცოდვის გამოსყიდვის პოზიტიურ გრძნობებთან თანაარსებობს შეცბუნების, აღშფოთების, მარცხის, დაწყევლილობის და სხვა გრძნობები. სახეზეა ასევე ბიოგრაფიული ელემენტებიც – მოგონებები პირადი წარმატებების, საშიში სიტუაციების დასრულების, მძიმე ავადმყოფობის მერე გამოჯანმრთელების და სხვა სიტუაციების შესახებ. ეს მატრიცა ხშირად დატვირთულია სიკვდილსა და აღორძინებასთან, სამოთხესა და ჯოჯოხეთთან, გასხივოსნებასა და სხვა მსგავსთან ასოცირებული არქეტიპული წარმოდგენებით [12].

გროფს მიაჩნია, რომ ნევროტული მდგომარეობების (ფობიები, შიშები, შფოთვები და ა.შ.) სათავე დაბადება-სიკვდილის განცდებშია ჩადებული. ის, ვინც მიიღებს ტრანსპერსონალურ/ჰოლოტროპულ გამოცდილებას, აღიდგენს სიკვდილსა და ხელახალ დაბადებასთან დაკავშირებულ განცდებს, უკვე სხვაგვარად აღიქვამს სამყაროს და საკუთარ თავს. მას ეუფლება სიწყნარის, სიხარულის გრძნობა, ცხოვრება ხდება საინტერესო და მიმზიდველი, უკან იხევს ავადმყოფობა.

თავისთავად იდეა, რომ ორსულობისა და მშობიარობის მსვლელობა საკმაოდ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაზე და გარკვეულ დაღს ასვამს პიროვნების ჩამოყალიბების პროცესს, არახალია და სავსებით შეესაბამება თანამედროვე მეცნიერულ მონაცემებს [15]. ოტო რანკი პირველი იყო, ვინც

ილაპარაკა დაბადების ტრავმაზე, რომელსაც შიშისა და შფოთვის პირველწყაროდ განიხილავდა. მისი აზრით, დაბადებისა და დედისგან მოცილების პროცესი ძლიერ მატრავმირებელი მოვლენაა. ნეუროზის საფუძველს რანკი იმ კონფლიქტში ხედავდა, რომელიც პირველადი მუცლადყოფნის ჰარმონიული მდგომარეობის აღდგენის ტენდენციასა და დაბადების პროცესთან დაკავშირებულ საზარელ გამოცდილებას შორის არსებობს. ფსიქოანალიზური ფსიქოთერაპია რანკის მიერ განიხილებოდა როგორც წარმატებული დასრულება პაციენტის მანამდე წარუმატებელი მცდელობებისა, გადაელახა დაბადების ტრავმა. გამოჯანმრთელება ამ თვალსაზრისით ახლად დაბადებაა, ანალიტიკოსი კი პაციენტის სულიერი მშობელი [27].

გროფმა აიტაცა რანკის იდეა დაბადების ტრავმის თაობაზე, მაქსიმალურად შეამცირა მისი ფსიქოანალიზური ღერძულობა, დაამატა პერინატალური დინამიკა და თავის შეხედულებათა შესაბამისად გადაამუშავა. არაცნობიერზე იგი მატრიცების კონტექსტში ლაპარაკობს, როგორც ემბრიონულ და დაბადების ცნობიერებამდელ გამოცდილებაზე, რომლის გამოთავისუფლება ტრანსპერსონალური სეანსების მსვლელობაში სერიოზული სიღრმისეული პოზიტიური ეფექტის მომტანია. მოგვიანებით გროფმა მატრიცების კონცეფციაში შეიტანა ასტროლოგიის ელემენტებიც. კერძოდ, ოთხი საბაზისო მატრიცა დაუკავშირა ოთხ არქეტიპს, რომელთაც, თავის მხრივ, ასტროლოგიურად ოთხი გარეგანი პლანეტა შეესაბამება.

საბაზო პერინატალური მატრიცების იდეა შეიძლება განიხილებოდეს ე.წ. პერინატალური ფსიქოლოგიის მიერ, რომელიც შეისწავლის ადამიანის განვითარებას დაბადებამდე და ახალდაბადებულობის პერიოდში [15], თუმცა გროფის მისტიკურ-პარაფსიქოლოგიური ინტერპრეტაციები ართულებენ მისი ზოგიერთი საინტერესო დაკვირვების ასიმილაციას. სპეციალისტებისთვის, საზოგადოდ, მიუღებელია ამგვარი ანალოგიების გავლება LSD-ს ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების ხილვებსა და დაბადების პროცესში მყოფი ბავშვების განცდებს შორის [26]. აღნიშნულია ასევე, რომ სიკვდილ-აღორძინებისა და სხვა ეგზისტენციალური განცდები არ არის მკაცრად „მიბმული" მატრიცებთან და სხვა სასიცოცხლო ვითარებებსაც უკავშირდება, მაგალითად, ექსტრემალურ ან სიკვდილთან ახლოს მყოფ გამოცდილებას.

ტრანსპერსონალური მიმდინარეობის ფარგლებში ადამიანის განვითარების სხვა მოდელებიც არსებობს. სახელდობრ, პოპულარობით სარგებლობს ე.წ. *ინტეგრაციული მოდელის* შემქმნელის, **კენეტ უილბერის** (1949-) თვალსაზრისი. უნდა აღინიშნოს, რომ იგი თავის შეხედულებებს უფრო ფართო მასშტაბის მიდგომად განიხილავს, რომელიც შეიცავს სოციოლოგიას, ისტორიას, ფსიქოლოგიას, ბიოლოგიას, ანთროპოლოგიას, ფილოსოფიას და სულიერ პრაქტიკებს. უილბერის ფილოსოფიური პოზიცია იმის პოსტულირებაა, რომ ყველაფერს ამ ქვეყნად აქვს სუბიექტური, ობიექტური და სუბიექტთაშორისი განზომილება. ფსიქოლოგიისთვის მნიშვნელოვანია ცნობიერების/სულიერების სამი კატეგორიის გამოყოფა: ისტორიამდელი (პრეეგოისტური), პიროვნული (ეგოისტური) და ზეპიროვნული (ტრანსეგოისტური). თითოეული მათგანი ადამიანის განვითარების კიდევ სამ დონეს მოიცავს. განვითარება გულისხმობს ყველა ამ სტადიის თანმიმდევრული გასვლის პროცესს, რომელშიც

ცნობიერება პროგრესირებს. უმაღლესი და საბოლოო წერტილი განსაკუთრებულ მდგომარეობაში მიიღწევა (გასხივოსნება, ნირვანა). იგი აღიწერება ასევე ინდუიზმიდან ნასესხები ტერმინით – „ატმანი" (უმაღლესი, აბსულუტური ცნობიერება), რაც ადამიანში აბსოლუტს, პირველსაწყისს, სულიერ სუბსტანციას (ე.წ. „ბრახმანი") გამოხატავს [32]. ცნობიერების ევოლუციის მამოძრავებელ ძალად განიხილება ადამიანის მიზანსწრაფვა ამოსავალი კოსმიური ერთიანობისკენ. ამავე დროს, ცნობიერების ყოველი დონე პიროვნების გარკვეულ სტრუქტურას უკავშირდება, რომელიც მოწყვლადია გარკვეული ტიპის ფსიქიკური პათოლოგიის მიმართ. ფსიქოლოგიის სხვადასხვა სკოლა ამ სპექტრის გარკვეული დონის ანალიზზეა ფოკუსირებული და შესაბამის ფსიქოთერაპიას მიმართავს. ტრადიციული ფსიქოლოგია უმთავრესად პირველ დონეზეა კონცენტრირებული, თუმცა, ერთგვარად, მეორე დონესაც სწვდება (სიღრმის ფსიქოლოგია). მესამე დონეს ტრანსპერსონალური ფსიქოლოგია და მასთან ასოცირებული პარაფსიქოლოგია ეხება. მანამდე ცნობიერების უმაღლეს მდგომარეობებს მხოლოდ დიდი მისტიკოსები და აღმოსავლური რელიგიური სისტემები თუ ფსიქოპრაქტიკები უკავშირდებოდნენ. ავტორს მიაჩნია, რომ ინტეგრაციული მოდელის მიდგომა საშუალებას გვაძლევს, ერთი პარადიგმატული სისტემის ფარგლებში მოვიცვათ დასავლური ფსიქოლოგიური მეცნიერების თითქოს შეუთავსებელი კონცეფციები და გავაერთიანოთ ისინი აღმოსავლური სწავლებების უმდიდრეს გამოცდილებასთან [61].

არსებითად, იგივე ლოგიკაა ჩადებული რ. მეცნერისა და მ. უოშბერნის მოდელებში, სადაც განვითარება ცნობიერებამდელი (პიროვნებამდელი) სიღრმეებიდან პერსონალურისკენ და, შემდგომ, ტრანსპერსონალისტურისკენ მიისწრაფვის, მაგრამ ამ დონის მიღწევისას შესაძლებელი ხდება ფსიქიკის სიღრმიე დონესთან მიბრუნება და მისი რეინტეგრაცია [50].

აკადემიური და ტრანსპერსონალური ფსიქოლოგიის ურთიერთმიმართება რთულია. მრავალი იმ მოვლენისაგან, რომლებიც ძირეულია ტრანსპერსონალური ფსიქოლოგიისთვის, უბრალოდ არ არის აღიარებული აკადემიური მეცნიერების მიერ. თუ მოვლენას არ სცნობ, ბუნებრივია, არც მისი ამხსნელი შეხედულება იქნება მისაღები. აკადემიური მეცნიერების ასეთი დამოკიდებულების ფონზე ტრანსპერსონალური ფსიქოლოგია ცდილობს, იმით დაიმკვიდროს თავი, რომ აჩვენოს იმ პარადიგმის მოძველებულობა, რომელზეც დგანან მათი ოპონენტები, ანუ მთელი ტრადიციული მეცნიერება, მათ შორის ფსიქოლოგიაც. იგი გამოდის ისეთი *ახალი პარადიგმის*, ანუ ზოგადმეცნიერული პრინციპების დაფუძნების მოწოდებით, რომლებიც მისაღებს და გასაგებს გახდის მის მიერ აღიარებულ მოვლენებს და შესაბამისი თეორიული შეხედულებების სისტემას.

ახალი პარადიგმის დასაბუთებისთვის გროფი მიმართავს ფიზიკასთან ანალოგიას, რომელმაც ნიუტონურ-კარტეზიანული მოდელი კვანტურ-რელატივისტურით შეცვალა. მან უარი თქვა მკვრივი დაუშლელი მატერიისა და ცალკეული ობიექტების მოდელზე და სამყარო მოვლენებისა და კავშირების რთული ქსელის სახით წარმოადგინა. ფსიქოლოგია დარჩა ნიუტონურ-კარტეზიანული შეხედულებების დონეზე,

რაც სავსებით შეესატყვისება ყოველდღიური ცხოვრების პრაქტიკულ აზროვნებას და იყენებს მყარი მატერიის, სამგანზომილებიანი სივრცის, ერთმიმართულებიანი დროისა და წრფივი მიზეზობრიობის კატეგორიებს. ეს მოდელი მუშაობს ყოველდღიური დაკვირვების, ანუ საშუალო სიდიდეების დონეზე, მაგრამ აბსოლუტურად არაადეკვატური ხდება, როცა ჩვენ მიკრო- და მაკრო- სამყაროში ჩავიხედებით. შესაბამისად, იგი არ წარმოადგენს რეალობის ზუსტ და სრულ დახასიათებას. ამის მსგავსად, LSD-პაციენტებში, იმათში, ვინც მედიტაციას მისდევს ან სხვა გზით აღწევს ტრანსპერსონალურ სამყაროს, ავტომატურად ხდება კონცეპტუალური და მეტაფიზიკური ძვრები. არადა, ტრადიციულად, ფსიქოლოგები ყველაფერს, რაც ამ მოდელში არ თავსდება, საეჭვოდ, აბსურდულად ან არანორმალურად თვლიან. იმის გაფიქრებაც არ სურთ, რომ ცნობიერების შეცვლილ მდგომარეობებს რაიმე სახის ონტოლოგიური ან გნოსეოლოგიური რელევანტურობა ახასიათებს. ამიტომ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა კულტურაში და განსხვავებული საშუალებებით მოპოვებული გამოცდილების არსებობას ან არ იმჩნევენ, ან აქილიკებენ, როგორც არამეცნიერულს. მეცნიერებამ, რომელიც ითვალისწინებს ცნობიერების უჩვეულო მდგომარეობების მონაცემებს, აუცილებლად უნდა გაარღვიოს ნიუტონურ-კარტეზიანული პარადიგმის ვიწრო ჩარჩოები.

საკუთრივ ტრანსპერსონალური დონის გამოცდილება ორი სახისაა: პირველ კატეგორიაში შედის მატერიალურ სამყაროსთან, სხვა ადამიანებთან, ცხოველებთან, მცენარეებთან, უსულო ობიექტებსა და პროცესებთან დაკავშირებული განცდები; მეორე კატეგორიაში თავსდება გამოცდილების ის სფერო, რომელიც აშკარად სცდება იმას, რაც დასავლურ კულტურაში ობიექტურ რეალობად არის მიჩნეული. აქ შედის სხვადასხვა სახის არქეტიპული ხილვები, მითოლოგიური სიუჟეტები, ღვთიური და დემონური გავლენები, იდენტიფიკაცია უნივერსალურ გონთან ან ზეკოსმიურ სიცარიელესთან და ა.შ.

პირველ კატეგორიაში მოქცეული გამოცდილება, თავის მხრივ, ორად იყოფა იმის მიხედვით, თუ რა სახის ბარიერის გადალახვა, ანუ რისი ტრანსცენდირება ხდება. ერთ შემთხვევაში, ეს არის სივრცე, მეორეში – დრო. სივრცისა და დროის შეზღუდვების დაძლევა, რაც ესოდენ დამახასიათებელია ტრანსპერსონალური განცდებისთვის, სრულიად აუხსნელი და მიუღებელია ნიუტონურ-კარტეზიანული მეცნიერებისთვის. სამაგიეროდ, ახალი პარადიგმის მიხედვით, რომელიც სამყაროს ურთიერთკავშირების უსასრულო ქსელის სახით წარმოგვიდგენს და ყოველგვარ საზღვარს პირობითად და ცვალებადად მიიჩნევს, ეს სავსებით გასაგები და მისაღებია. ცნობიერი და მატერიალური განუყოფელი ერთიანობაა. ამდენად, თუ სამყაროს ინტეგრირებული ქსელის ზოგიერთი მდგენელი ცნობიერია, გარკვეული აზრით, მთელი სისტემაც ცნობიერია. აქედან გამომდინარე, არ უნდა არსებობდეს პრინციპული საზღვრები ცნობიერების ელემენტებს შორის. გარკვეულ ვითარებაში ინდივიდს შეუძლია, აღადგინოს თავისი იგივეობრიობა კოსმიურ ქსელთან და ცნობიერად განიცადოს მისი არსებობის ნებისმიერი ასპექტი. ამ მოდელში ბუნებრივად თავსდება სივრცისა და დროის ბარიერების გადალახვასთან დაკავშირებული ე.წ. პარანორმალური მოვლენების მთელი რიგი: ექ-

სტრასენსორული აღქმის ფენომენები, მაგალითად: ტელეპორტაცია, ტელეკინეზი; ასევე ისტორიული, რასობრივი, ფილოგენეტური განხორციელებებიდან ან, ისეთი პერიოდებიდან მოსული განცდები, როცა არათუ სიცოცხლე, თვით პლანეტებიც არ არსებობდნენ; აქვე მოიაზრება მომავალი მოვლენების ნათელხილვები.

გროფი ცდილობს აჩვენოს, რომ ასეთი ვითარებები თანამედროვე ფიზიკის წარმოდგენებთან შესაბამისობაში იმყოფება. მაგალითად, ფარდობითობის სპეციალური თეორია გარკვეულ პირობებში დროის უკუსვლას უშვებს[1]. ავტორი აღიარებს, რომ სადღეისოდ შეუძლებელია, პირდაპირი და გასაგები ხერხით დავუკავშიროთ თანამედროვე ფიზიკის ცნებები ცნობიერების შეცვლილი მდგომარეობების კვლევის მონაცემებს. მიუხედავად ამისა, მათ შორის გასაოცარი პარალელები იკვეთება. ერთერთი ასეთი ნილს ბორის მიერ შემოტანილი დამატებითობის პრინციპია, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კვანტური მექანიკის ჩამოყალიბებაში. ამ პრინციპის თანახმად, სინათლე ტალღაცაა და ნაწილაკიც, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ და ერთი რეალობის აუცილებელ ასპექტებს შეადგენენ. ამის მსგავსად, ადამიანის ბუნების გააზრებაც მის ორგვარობას უნდა ითვალისწინებდეს. ზოგჯერ იგი მექანიცისტურ ვითარებამდე დაიყვანება, სადაც ადამიანი სხეულსა და ორგანიზმთან არის გაიგივებული. სხვა შემთხვევაში იგი სრულიად განსხვავებულად წარმოგვიდგება და გულისხმობს, რომ ადამიანს შეუძლია ცნობიერების უსასრულო ველის სახით ფუნქციონირება, რომელიც სივრცის, დროისა და წრფივი მიზეზობრიობის ტრანსცენდირებას ახდენს. „ადამიანის ყოველმხრივი და ამომწურავი აღწერისთვის ჩვენ უნდა ვაღიაროთ პარადოქსული ფაქტი, რომ იგი ერთდროულად მატერიალური ობიექტი, ე.ი. ბიოლოგიური მანქანაც არის და ცნობიერების ფართო ველიც“ [11; 92]. ახალმა პარადიგმამ, რომლის შექმნა ფსიქოლოგიას ადრე თუ გვიან მოუწევს, უნდა გააერთიანოს ადამიანის ბუნების შესახებ ასეთი, ერთი შეხედვით, შეუთავსებელი წარმოდგენები (ესაა დამატებითობის პრინციპის არსი). მსგავსი სინთეზის შესაძლებლობას *ჰოლოგრაფიული მოდელი* უშვებს, სადაც ცნობიერება ჰოლოგრამასთან არის შედარებული და რომლის თითოეული ნაწილი მთელის შესახებ ინფორმაციის მატარებელია. მაგალითის სახით მოყვანილია დევიდ ბომის ჰოლომოძრაობის მოდელი და კარლ პრიბრამის ტვინის ფუნქციონირების ჰოლოგრაფიული ჰიპოთეზა. ამ მიდგომის თანახმად, ე.წ. *ჰოლონომიურ რეალობაში* ყველაფერი მოთავსებულია ყველაფერში და მთელ სისტემაშია განაწილებული. გროფი აღნიშნავს, რომ სამყარო არ არის ჰოლოგრამა, მაგრამ ეს უკანასკნელი მიგვანიშნებს ახალი პრინციპების არსებობაზე, რომელთაც, ძველ პარადიგმაზე დამყარებულ ტრადიციულ ფსიქოლოგიასთან შედარებით, რეალობის უფრო სრულყოფილი დახასიათება შეუძლიათ. ტრადიციულ ფსიქოლოგიას, საუკეთესო შემთხვევაში, შეუძლია, ახსნას ბიოგრაფიული დონის განცდები. პრენატალური გამოცდილება უკვე მოითხოვს შეხედულებების სერიოზულ ცვლილებას, თუმცა, ალბათ, მაინც შესაძლებელია მისი ასიმილირება არსებული პარადიგმის რადიკალური ცვლილების გარეშე; ტრანსპერსონალური განცდები კი სასიკვდილო

[1] თანამედროვე ფიზიკის მიხედვით, დროის შეუქცევადობა ფუნდამენტურ პრინციპად არის მიჩნეული.

დარტყმას აყენებს ნიუტონურ-კარტეზიანულ პარადიგმაზე აგებულ ამჟამად გაბატონებულ ფსიქოლოგიას.

გროფის ეს ანალიზი შეიძლება მართებული ყოფილიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტრანსპერსონალური განცდის ფაქტი აუცილებლად იგულისხმებდა მასში მოცემული შინაარსის რეალურობას, მაგრამ ეს ასე არ არის, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი რეალობა დიდი ხანია, საყოველთაოდ იქნებოდა აღიარებული. აქ იგივე სიტუაციაა, როგორიც, მაგალითად, კლინიკური სიკვდილის დროს წარმოქმნილი განცდების შემთხვევაში. ამ დროს, ზოგჯერ, მართლაც აღინიშნება გარკვეული ტიპის წარმოდგენები, რაც, ცხადია, არ ამტკიცებს საიქიოს არსებობას. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ მათი წარმოქმნა დაკავშირებულია სისხლში ჟანგბადის შემცველობის შემცირებასთან, რაც იწვევს ქერქის ვიზუალური ზონის ნეირონულ აქტივაციას სათანადო გარეგამღიზიანებლის გარეშე, ანუ ჰალუცინაციურ ხილვებს[1]. ამ საკითხის ერთ-ერთი წამყვანი მკვლევრის, რ. სიგელის, დასკვნით, სიკვდილისწინა ხილვები უნდა გავიგოთ როგორც ტვინის დისოციაციური მოქმედება ჰალუცინაციების შესაქმნელად. როდესაც მცირდება გარეგანი სენსორული ინფორმაციის შემოსვლა, საგრძნობლად მატულობს თვითონ ტვინის შინაგანი აქტივობა (სენსორული შეზღუდვის ან იზოლაციის სხვადასხვა შემთხვევა ამას ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს). სიგელის ანალოგიით, როცა ბინდში ფანჯარაში ვიყურებით, მასში ოთახის ინტერიერი ისე აისახება, თითქოს ის ფანჯრის გარეთ იყოს. ეს ან იმიტომ ხდება, რომ გარეთ სინათლე ქრება (როგორც სიკვდილისწინა შეგრძნებებშია), ან იმიტომ, რომ შინაგანი სინათლე მატულობს (როგორც LSD-ს ზემოქმედების დროს). ავტორის აზრით, ცნობიერების შინაგანი ხატები რეალურად გვეჩვენება, როცა ისინი ჩვენ „პერცეპტულ ფანჯარაზე“ პროეცირდება. ვინც სიკვდილის პირას არის და ისიც, ვინც LSD-ს ზემოქმედების ქვეშ იმყოფება, „შინაგან გამოცდილებას გარეთ განიცდიან“. ამ წარმოდგენების ფენომენოლოგიურ სურათსა და შინაარსში, ორივე შემთხვევაში დამაფიქრებელ ანალოგიას ვხვდებით – ესაა განცდა, რომ სხეულს შორდები, გვირაბში მოძრაობ, ხედავ კაშკაშა სინათლეს, განათებულ სახეს და ნეტარებას განიცდი [23].

შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმდინარეობის წარმომადგენლების მოთხოვნაა, ძირფესვიანად შეიცვალოს პარადიგმა [11][59], ვინაიდან ის არ აღიარებს ტრანსპერსონალური განცდების ანუ, არსებითად, ჰალუცინაციების შინაარსის რეალურობას. აკადემიური მეცნიერების თვალსაზრისით, ასეთი მოთხოვნა საფუძველს მოკლებულია. არსებული პარადიგმა (თუ კი ის ფსიქოლოგიაში საერთოდ არსებობს) შესაძლოა, მართლაც შესაცვლელია, მაგრამ ამას ბევრად უფრო სერიოზული დასაბუთება სჭირდება. აკადემიური მეცნიერების დამოკიდებულებას კარგად გამოხატავს კოგნიტური ფსიქოლოგის, ა. ელისის შეფასებები. მას მიაჩნია, რომ ტრანსპერსონალური ფსიქოლოგია ეფუძნება რამდენიმე რელიგიურ და ანტიემპირიულ ფილოსოფიურ არამეც-

[1] ფრიად საგულისხმოა, რომ, თვით გროფის მტკიცებით, ჰოლოტროპული ტექნიკა, რომელიც ჰალუცინოგენების მსგავს ეფექტს იძლევა, მკვეთრად ამცირებს ტვინის ქერქის ჟანგბადით მომარაგებას. ეს, არსებითად, იმეორებს იმ მისტიკოსების გამოცდილებას, რომლებიც ჰიმალაებში, გაიშვიათებული ჰაერის პირობებში ცხოვრობენ.

ნიერულ დოქტრინას. კერძოდ, ტრანსპერსონალური ფსიქოლოგია ამოდის იქიდან, რომ: 1. ნამდვილად არსებობს რაღაც „აბსოლუტური რეალობა" და გარკვეულ მდგომარეობებში ჩვენ შეგვიძლია, ვწვდეთ „მუდმივ და მარადიულ ჭეშმარიტებას"; 2. არსებობს სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ, სულის უკვდავება, რეინკარნაცია და რომ ეს ყველაფერი ემპირიულად დამტკიცებულია; 3. ყოველივე ცოცხალი და არაცოცხალი ერთიანი არსის ნაწილია. მისი წვდომის გზით შესაძლებელია ღმერთთან გაერთიანება და უსაზღვრო ნეტარების მიღწევა. ეს ყოველივე მეტაფიზიკისა და რწმენის სფეროა და ვერ გახდება პოზიტიური მეცნიერების ფუნდამენტი.

ტრანსპერსონალური ფსიქოლოგიის პასუხი აკადემიური მეცნიერების კრიტიკაზე ასეთია: ჰოლოტროპული განცდების შინაარსის მოჩვენებითობის მტკიცება დასავლურ მატერიალისტურ მენტალობაზე აგებული მეცნიერების ცალმხრიეობის გამოხატულებაა. იგი პირს იბრუნებს იმ გამოცდილებისგან, რომელიც მოცემულია სხვადასხვა რელიგიასა და მისტიკურ სწავლებებში. ჰოლოტროპულ მდგომარეობებში მოცემული სინამდვილე ისევე რეალურად განიცდება, როგორც მატერიალური სამყაროს აღქმა. ეს გვაფიქრებინებს მათი ონტოლოგიური სტატუსის იდენტურობაზე. უეჭველია, რომ ორგანიზებული რელიგიების დოგმატები, უმეტესწილად, ძირფესვიან წინააღმდეგობაშია მეცნიერებასთან, მაგრამ სულიერ განცდებზე დამყარებული ჭეშმარიტი მისტიციზმი სხვა საქმეა. ყველა დიდი მსოფლიო რელიგია შთაგონებული იყო წინასწარმჭვრეტელთა მძლავრი ჰოლოტროპული განცდებით, აგრეთვე წინასწარმეტყველების, მისტიკოსებისა და წმინდანების გონების ღვთიური განათებებით. თუ სინამდვილის წმინდა განზომილებათა წარმომჩენი ეს განცდები მხოლოდ ავადმყოფური ჰალუცინაციები იყო, როგორ უნდა აიხსნას უდიდესი გავლენა, რომელიც მათ მოახდინეს სხვადასხვა ეპოქაში მილიონობით ადამიანზე და მთლიანად საკაცობრიო კულტურაზე. ყველა ინდუსტრიამდელი კულტურა განსაკუთრებით აფასებდა ამ მდგომარეობებს და ხარჯავდა დიდ დროსა და ენერგიას მათი გამოწვევის ქმედითი ხერხების გამომუშავებაზე. ცნობიერების თანამედროვე კვლევებმა და ტრანსპერსონალურმა ფსიქოლოგიამ დაადგინა, რომ ამ განცდებიდან მრავალი სინამდვილის ჩვეულებრივი დაფარული განზომილებების გამოვლინებაა და ვერ იქნება მიჩნეული რეალობის დამახინჯებად ან პათოლოგიურ მოჩვენებად. განსაკუთრებულ სულიერ მდგომარეობებში სხვა რეალობათა განცდა იმდენად დამარწმუნებელია და უტყუარი, რომ ინდივიდებს, რომელთაც ეს ემართებათ, არ რჩებათ სხვა არჩევანი, გარდა იმისა, რომ ჩართონ ისინი სამყაროს საკუთარ ხედვაში. მე ჯერ არ შემხვედრია არცერთი ევროპელი, ამერიკელი ან სხვა ტექნოლოგიური საზოგადოების წევრი, ამბობს გროფი, რომელიც ზებუნებრივის ღრმა განცდის შემდეგ დასავლური მატერიალისტური მეცნიერების მსოფლმხედველობაზე გააგრძელებდა დგომას. ამგვარი ევოლუცია სრულიად არ არის კავშირში გონებრივი შესაძლებლობების ან განათლების დონესთან [48].

მკითხველმა თავად განსაჯოს, რამდენად დამარწმუნებელია გროფის ეს არგუმენტაცია. ჩვენი აზრით, ეს ლოგიკა არსებითად შემდეგი „ჭეშმარიტი" მსჯელობის იდენტურია: რადგან სიზმარი რეალურად განიცდება მძინარის მიერ, მისი შინაარსიც

ობიექტურად არსებობს და მართლაც რეალურია!? ასეა თუ ისე, მეოთხე ძალად ნოდებული ამ მიმდინარეობის მცდელობა, შეცვალოს ჩვენი ფუნდამენტური წარმოდგენები ფსიქიკის ბუნების შესახებ, შედეგიანი ვერ აღმოჩნდა. მისი მხრიდან რიხიანი მოწოდებებისა და ოპტიმისტური განცხადებების მიუხედავად, სამეცნიერო წრეებში სკეპტიციზმი უფრო ჭარბობს. ყოველ შემთხვევაში, ფსიქოლოგიის რეალურ ძალად იგი არ მოიაზრება. ზოგიერთი იმასაც ფიქრობს, რომ საერთოდ არამცთუ ტერმინი „მეოთხე ძალა", არამედ „მესამე ძალაც", რომელზეც, როგორც ცნობილია, ჰუმანისტური ფსიქოლოგია აცხადებს პრეტენზიას, ანაქრონიზმად გამოიყურება. მაგალითად, ავტორიტეტული მეთოდოლოგი და ისტორიკოსი ნოელ სმიტი თანამედროვე ფსიქოლოგიის ლანდშაფტზე მხოლოდ ორ რეალურ ძალას ხედავს – ესენია: კოგნიტური ფსიქოლოგია და ქცევის ანალიზი (ანუ, არსებითად, სკინერისეული ბიჰევიორიზმი). ამ უკანასკნელის დომინირებულ ძალად შეფასება, როგორც ჩანს, თვით ავტორის პირადი სიმპათიებითაა ნაკარნახევი [58]. შესაბამისად, ყველა დანარჩენი, მათ შორის ისეთი ტრადიციული მიმდინარეობები, როგორებიცაა ფსიქოანალიზი და ჰუმანისტური ფსიქოლოგია, ძალაგამოცლილად ცხადდება. ასეთი ანალიზის მართებულობა სერიოზულ ეჭვს იწვევს. უდავოა, რომ ამჟამად ფსიქოლოგიის სცენაზე კოგნიტივიზმი მთავარ როლს ასრულებს, მაგრამ დანარჩენი „მოთამაშეების" ასე მარტივად „ჩამონერა" არც დღევანდელი მდგომარეობის თვალსაზრისით უნდა იყოს გამართლებული და, მით უფრო, არც სინთეტური, ინტეგრაციული მომავალი ფსიქოლოგიის ფორმირების ამოცანიდან გამომდინარე. რაც შეეხება ტრანსპერსონალურ ფსიქოლოგიას, მას საკმარისზე მეტი დრო ჰქონდა თავისი „სიმართლის" დამტკიცებისთვის. ის გარემოება, რომ ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაცია არ ცნობს ტრანსპერსონალური ფსიქოლოგიის ასოციაციას, როგორც სამეცნიერო სტრუქტურას, ხოლო თავად ფსიქოლოგიის ამ მიმდინარეობას, როგორც მეცნიერებას (მიუხედავად ტრანსპერსონალური ფსიქოლოგების მრავალი მცდელობისა, ფსიქოლოგიის ამ მიმართულებას APA-ს სტრუქტურაში დამოუკიდებელი განყოფილების სატატუსი არ მიენიჭა), საკმარისად ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად დამარწმუნებელი აღმოჩნდა ტრანსპერსონალური ფსიქოლოგიის არგუმენტები და პრეტენზიები.

ამავე დროს, ბრიტანეთის ფსიქოლოგიურმა საზოგადოებამ (APA-ს ბრიტანულმა ანალოგმა) 1998 წელს ჩამოაყალიბა თავის სტრუქტურაში ტრანსპერსონალური ფსიქოლოგიის განყოფილება, რაც იმის მანიშნებელია, რომ პროფესიული ფსიქოლოგიის დამოკიდებულება ამ მიმდინარეობის მიმართ არაერთგვაროვანია. ყოველ შემთხვევაში, მისი კვალიფიკაცია, როგორც ცალსახად ფსევდომეცნიერულის, არ იქნებოდა მართებული. ტრანსპერსონალური ფსიქოლოგიის საბაზისო მეტათეორიული დაშვებები და განზოგადებები მართლაც არ არის თანხმობაში თანამედროვე მეცნიერულ მსოფლმხედველობასთან, მაგრამ ფაქტოლოგიის/ემპირიის დონეზე აქ მოპოვებული ზოგიერთი მონაცემი უთუოდ იმსახურებს ყურადღებას. სხვას რომ თავი დავანებოთ, ფსიქოლოგიის ამ მიმართულებამ საფუძვლიანად გააღრმავა ჩვენი ცოდნა ფსიქიკური ცხოვრების ისეთ მნიშვნელოვან და ფართო სფეროში, როგორიც ცნობიერების შეცვლილი მდგომარეობებია [8][31] კერძოდ, უმდიდრეს კლინიკურ გამოცდილება-

ზე დაყრდნობით, გროფმა ექსპერიმენტულად აჩვენა, რომ ყველა ადამიანს შეუძლია უჩვეულო შინაარსისა და ინტენსივობის განცდების მიღწევა, რომლებიც, როგორც წესი, ისეთ ექსტრემალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებს უკავშირდება, როგორიცაა სატორი (გასხივოსნება), ექსტაზი, კატასტროფა, კლინიკური სიკვდილი. რა თქმა უნდა, ემბრიონული ფსიქიკის არსებობა ტრანსპერსონალური ფსიქოლოგიის აღმოჩენა არ არის, მაგრამ ჰოლოტროპული მეთოდოლოგიით ფსიქიკის ამ სიღრმიე ფენაში შეღწევის მცდელობა ერთობ საყურადღებო ნოვაციაა. წარმატებით მიმდინარეობს მედიტაციის განსხვავებული ფორმების კვლევა. ნაჩვენებია მედიტაციის სტადიების კავშირი არაცნობიერის სფეროს სხვადასხვა შინაარსთან; გამოვლენილია მედიტაციის პოტენციალი, როგორც თერაპიული, ისე პიროვნული ზრდის თვალსაზრისით.

იგივე ითქმის ცნობიერების შეცვლილი მდგომარეობების მისაღწევად მსოფლიოს (დასავლური და აღმოსავლური) სულიერ ტრადიციებში შემუშავებულ მიდგომებსა და ფსიქოტექნიკებზე. ტრანსპერსონალური ფსიქოლოგიის მიზანდასახულება მათი მდიდარი გამოცდილების მეცნიერულ დასაბუთებასა და ფსიქოთერაპიაში გამოყენებაა. უილბერის ღვაწლზე უკვე ითქვა. რ. უოლში შეეცადა, მოეხდინა ქრისტიანობის, ისლამის, იუდაიზმის, ინდუიზმისა და დაოსიზმის სულიერი საფუძვლების გაერთიანება. მან გამოყო შვიდი ფსიქოპრაქტიკა, რომელთაც ცენტრალური ადგილი უკავიათ მთავარ მსოფლიო რელიგიებში და აჩვენა მათი გამოყენების შესაძლებლობები რეალურ ცხოვრებაში. სიზუსტისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ცნობიერების შეცლილი მდგომარეობების სხვადასხვა ასპექტის შესწავლა ფსიქოლოგიის სხვა მიმდინარეობების ფარგლებშიც ხორციელდება და მხოლოდ ტრანსპერსონალური ფსიქოლოგიის პრეროგატივა არ არის.

მეთოდოლოგიის თვალსაზრისით, საყურადღებოა ტრანსპერსონალური ფსიქოლოგიის სფეროში შემუშავებული ე.წ. *ინტეგრალური მიდგომა* (უილბერი, უოლში, კოზლოვი), როგორც ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმდინარეობისა და სულიერი მოძღვრებების ერთგვარი გაერთიანების ვარიანტი. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამინდელი მდგომარეობით არ მომხდარა ტრანსპერსონალური ფსიქოლოგიის სრულფასოვანი აღიარება ფართო მეცნიერული საზოგადოებრიობის მიერ, ის ლეგიტიმიზებულია როგორც სასწავლო პროგრამა რამდენიმე უნივერსიტეტში, მას ჰყავს საკმარისად ბევრი მიმდევარი მთელ მსოფლიოში, თუმცა მისი ცენტრი იყო და რჩება აშშ-ის დასავლეთი, კერძოდ – კალიფორნია. ის ვითარდება, მიმდინარეობს ლაბორატორიული და კლინიკური სამუშაო, რომლის შედეგები ქვეყნდება სპეციალურ პერიოდიკაში, განზოგადდება მონოგრაფიებში და განიხილება საერთაშორისო კონფერენციებზე. თანამედროვე ტრანსპერსონალური ფსიქოლოგიის ლიდერებია: სტანისლავ გროფი, კენ უილბერი, მაიკლ უოშბერნი, როჯერ უოლში, ჩარლზ ტარტი, სტენლი კრიპნერი, ფრენსის ვოგენი, დევიდ რუკოფი, სტიუარტ სოვატსკი და სხვ.

ტრანსპერსონალური ფსიქოლოგია მიმართულია პიროვნულ განვითარებასა და ზრდაზე, თვითშემეცნებაზე, სამყაროსთან ერთიანობის, თავის თავთან და გარშემომყოფებთან ურთიერთობის ჰარმონიზაციაზე, მოკლედ, პოზიტიურ პიროვნულ ცვლილებებზე. ამ მხრივ, აქამდე განხილული მიმდინარეობებიდან ყველაზე მეტად

იგი ჰუმანისტური ფსიქოლოგიის საერთო ორიენტაციას ეხმიანება. გარკვეული პარალელები იძებნება საუკუნეების მიჯნაზე გაჩენილ ფსიქოლოგიური აზრის ერთერთი ყველაზე ახალ მიმართულებასთან – *პოზიტიურ ფსიქოლოგიასთან*. ეს უკანასკნელი ფუნდამენტური მსოფლმხედველობრივი პარადიგმის ძირფესვიან შეცლას არ მოითხოვს, მიმართულია ტრადიციული ფსიქოლოგიის კვლევითი ველის გაფართოებასა და მასში ისეთი თემების შემოტანაზე, რომელთაც აქამდე ნაკლები ყურადღება ეთმობოდა. სახელდობრ, ფსიქოლოგიის ამ მიმდინარეობის ინტერესების ცენტრში მოქცეულია ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების დადებითი ასპექტები: ბედნიერება, კეთილდღეობა, წარმატებულობა და ა.შ.

პოზიტიური ფსიქოლოგიის კრედო ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაციის (APA-ს) კოლეგების წინაშე წარმოადგინა **მარტინ სელიგმანმა** (1942-) თავის საპრეზიდენტო გამოსვლაში 1998 წელს. სანამ ეს პატივი ერგებოდა, სელიგმანი უკვე საყოველთაოდ ცნობილი იყო თავისი კვლევებით ე.წ. *ნასწავლი უმწეობის* გარშემო. ესაა ადამიანისა და ცხოველის მდგომარეობა, რომლის დროს ინდივიდს არ სურს, რაიმე მოიმოქმედოს თავის მდგომარეობის გამოსასწორებლად, თუმცა აქვს ამის შესაძლებლობა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა მკვლევარმა პენსილვანიის უნივერსიტეტის ლაბორატორიაში ჩაატარა ექსპერიმენტები ძაღლებზე და აღმოაჩინა, რომ რამდენიმე უშედეგო მცდელობის შემდეგ, აერიდებინათ ნეგატიური განმტკიცება (დენის სუსტი დარტყმა), ისინი ხდებოდნენ პასიურები, ვარდებოდნენ უმწეობის მდგომარეობაში და აღარ აქტიურობდნენ მაშინაც, როცა შესაძლებელი იყო სიტუაციის შეცვლა. ეს ფენომენი ადამიანებთანაც დადასტურდა შემუშავებული დათრგუნვილობისა და დეპრესიის სახით. შემდგომ კვლევებში გაირკვა, რომ ყველა ცხოველი და ადამიანი არ ხდება უსუსური და არ აცხადებს კაპიტულაციას გადაუწყვეტელი პრობლემის წინაშე. სელიგმანი დაინტერესდა, თუ რა გამოარჩევს ასეთ ინდივიდებს. ამ გზით მივიდა *ცნობიერი ოპტიმიზმის ფენომენის* აღმოჩენამდე (ადამიანის უნარი, ზემოქმედება მოახდინოს თავის აზროვნებაზე/ცნობიერებაზე და, საბოლოოდ, თავის ქცევაზე), და გახდა ოპტიმიზმის გამოჩენილი სპეციალისტი [55].

ხსენებულ გამოსვლაში სელიგმანმა თქვა, რომ ტრადიციული ფსიქოლოგია ფოკუსირებულია ადამიანთა ურთიერთობისა და ფუნქციონირების უარყოფით მომენტებზე, ნაკლოვანებებსა და დანაკლისებზე, ფსიქიკური გადახრების კორექციაზე. თანამედროვე ფსიქოლოგიის მიდგომა უნდა შეიცვალოს: ნეგატიურობიდან – პოზიტიურობისკენ, ავადმყოფობის კონცეფციიდან – ჯანმრთელობის კონცეფციისკენ. კვლევისა და პრაქტიკის ობიექტი უნდა გახდეს ადამიანისა და საზოგადოების ძლიერი მხარეები, მათი შემოქმედებითი პოტენციალი და ჯანმრთელი ფუნქციონირება. გადაჭარბებული ყურადღება ექცეოდა ავადმყოფობას, დისტრესებს და ა.შ. კლინიკურ ფსიქოლოგიაში აქამდე ბატონობს ე.წ. „დიესემი“ (DSM) – ადამიანურ „უბედურებათა“ 800-გვერდიანი კლასიფიკაცია, რომელიც დიაგნოსტიკური მიზნებით გამოიყენება. შედეგად, ჩვენთვის მეტია ცნობილი ცრურწმენების ან ძალადობის ფსიქოლოგიიდან და თითქმის არაფერი ხელგაშლილობის, გმირობის და ა.შ. ფსიქოლოგიიდან. მეტაფორულად რომ ითქვას, პოზიტიურ ფსიქოლოგიას აინტერესებს არა ის,

როგორ გამოვასწოროთ, მაგალითად, მდგომარეობა -7-იდან -2-ამდე, არამედ ის, თუ როგორ ავიდეთ +2-იდან +7-ამდე [7][25].

თავის დროზე ჰუმანისტურმა ფსიქოლოგიამ, კერძოდ, მასლოუმ და როჯერსმა წარმოადგინეს ადამიანის ბუნების დადებით ასპექტებზე ორიენტირებული კონცეფცია, რომელიც შეიცავდა ისეთ მომენტებს, როგორებიცაა: თვითაქტუალიზაცია, უმაღლესი განცდები, ნდობა, ოპტიმიზმი, კრეატიულობა და ა.შ. მასლოუ ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მას, პირველ რიგში, სრულყოფილი და ჯანსაღი ადამიანი აინტერესებს. მაგრამ ჰუმანისტურ ფსიქოლოგიას აკლდა ემპირიული დასაბუთებულობა მკაცრი მეცნიერული მეთოდოლოგიით. თავის კვლევაში იგი, ძირითადად, მიმართავდა *თვისებრივ მეთოდებს*, რომელთა მეცნიერული პოტენციალი დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება. პოზიტიური ფსიქოლოგია გამოთქვამს მზაობას, აღმოფხვრას ეს ნაკლოვანება და კვლევა დააფუძნოს *გაზომვით-რაოდენობრივ მეთოდებზე*.

პირველი, რაც გაკეთდა ახალგახსნილ პოზიტიური ფსიქოლოგიის ცენტრში, შეიქმნა ინდივიდის ძლიერი მხარეებისა და დადებითი თვისებების კლასიფიკაცია (DSM-IV-ის პათოლოგიების კლასიფიკაციის ნოზოლოგიური სისტემის მსგავსად). იგი შეიცავს 6 ჯგუფად დაყოფილ ადამიანის 24 დადებით თვისებას, ესენია: *სიბრძნისა და ცოდნის* ღირსებანი/სათნოებანი – კრეატიულობა, ღიაობა, სწავლის სიყვარული, პერსპექტივა; *გაბედულების* ღირსებანი/სათნოებანი – უშიშრობა, გულმოდგინება, მთლიანობა, სიცოცხლისუნარიანობა; *ადამიანურობის* ღირსებანი/სათნოებანი – სიყვარული, სიკეთე, სოციალური გონება; *სამართლიანობის* ღირსებანი/სათნოებანი – მოქალაქეობა, სამართლიანობა, ლიდერობა; *თავშეკავებულობის* ღირსებანი/სათნოებანი – გულმოწყალება, თავშეკავებულობა, ზომიერება, წინასწარგანჭვრეტის უნარი, თვითკონტროლი; *ტრანსცენდენციის* ღირსებანი/სათნოებანი – სილამაზის დაფასების უნარი, მადლიერება, იმედი, იუმორის გრძნობა, სულიერება. ეს ჩამონათვალი შედგენილია იმის საფუძველზე, თუ ხასიათის რა თვისებები ფასობს ყველაზე მეტად სხვადასხვა კულტურაში. ამ სიის საფუძველზე შემდგომში შეიქმნა კითხვარი VIA-Survey, რომელიც შეიცავს 240 კითხვას. სადღეისოდ იგი 17 ენაზეა თარგმნილი. მისი გამოყენებით წარმოებულმა კვლევამ გამოავლინა ხასიათის თვისებები, რომლებიც ხელს უწყობს დეპრესიის დაძლევას და ბედნიერების მიღწევას. ასეთებია: იმედი, მადლიერება, ცნობისმოყვარეობა, სიყვარული.

ამ ტესტის გამოყენება ფსიქოთერაპიაში შემდეგნაირად შეიძლება: კითხვარის მეშვეობით კლიენტი აფასებს თავის ძლიერ მხარეებს, შემდეგ კი ცდილობს, გამოიყენოს ეს ძლიერი თვისებები სხვადასხვა ახალი ხერხით (ვთქვათ, კვირის ყოველ დღეს სცადოს ახალი ხერხი). კლიენტმა უნდა ჩაიწეროს დღიურში დღის განმავლობაში მომხდარი სამი ბედნიერი/სასიხარულო მოვლენა/შემთხვევა და აღნიშნოს, რომელმა მისმა მოქმედებამ გამოიწვია ისინი. საზოგადოდ, პოზიტიური ფსიქოლოგიის მიდგომა ფსიქოკონსულტაციისა და ფსიქოთერაპიისადმი იმით გამოიხატება, რომ გამოავლინოს პიროვნების ძლიერი მხარეები. მეცნიერული ფსიქოლოგიის მსგავსად, ფსიქოკონსულტაციაც აქამდე კონცენტრირებული იყო ადამიანურ სისუსტეებზე. ეს ორიენტაცია უნდა შეიცვალოს პოზიტივისკენ. ადამიანები სიხარულით გაიხსნებიან,

თუ მათთან ურთიერთობა იმას დაეფუძნება, რასაც ისინი კარგად აკეთებენ; ეს არ არის მხოლოდ კლიენტთან კონტაქტის დამყარების ტექნიკა, არამედ დამოუკიდებელი ფსიქოთერაპიული და ფსიქოკონსულტაციური სტრატეგიაა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ, თუ ადამიანი ყურადღებას და ძალისხმევას წარმართავს სიცოცხლის პოზიტიური მომენტებისკენ, მისი პიროვნული ნაკლოვანებანი და პრობლემები ან თავისით გაქრება, ან დაკარგავს სიმძაფრეს და ავადმყოფურ მნიშვნელობას. მოკლედ, პოზიტიური ფსიქოლოგია ადამიანებს ამ ძლიერი პიროვნული თვისებების ეფექტურ გამოყენებასაც ასწავლის.

გამოიყოფა პოზიტიური ფსიქოლოგიის სამი ძირითადი ნაწილი: 1. ბედნიერების სუბიექტური განცდა (პოზიტიური ემოციები – სიამოვნება, ცხოვრებით კმაყოფილება, ოპტიმიზმი, დარწმუნებულობა და ა.შ.); 2. ადამიანის უმაღლესი ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თვისებები (სიბრძნე, სიყვარული, პატიოსნება, სიკეთე, რეალობის გრძნობა, შემოქმედება, საზრისის ძიება, მეგობრულობა, იუმორი, ალტრუიზმი, ემპათია და ა.შ.). ადვილი შესამჩნევია, რომ ეს ჩამონათვალი თითქმის იმეორებს მასლოუს თვითაქტუალიზებული პიროვნების თვისებათა ნიშნებს; 3. სოციალური სტრუქტურები, რომლებიც ხელს უწყობენ ბედნიერებას და განვითარებას (დემოკრატია, თავისუფალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ჯანსაღი ოჯახი და სამუშაო გარემო და ა.შ.).

პოზიტიური ფსიქოლოგიის ფარგლებში, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და პოპულარული ავტორის, **მიხაი ჩიკსენტმიხაის** (1986-) მიერ დამუშავდა ე.წ. *ნაკადის თეორია* [36][38]. მის მიხედვით, ადამიანები ყველაზე მეტად ბედნიერები მაშინ არიან, თუ იმყოფებიან განსაკუთრებულ *ნაკადურ მდგომარეობაში*, რომელიც ხასიათდება ქცევასა და სიტუაციასთან სრული ერთიანობით. ნაკადის მდგომარეობა შეიძლება ჩაითვალოს შინაგანი მოტივაციის ოპტიმალურ მდგომარეობად, რომლის დროსაც ადამიანი მთლიანად არის ჩართული იმაში, რასაც აკეთებს, განიცდის თვითრეალიზაციის სიამოვნებას. ალბათ ყველას ჰქონია ქცევაში ისეთი ჩართულობის შეგრძნება, როდესაც განიცდი თავისუფლებას, სიხარულს, ინტერესს, გეუფლება სრული კმაყოფილებისა და ოსტატობის გრძნობა. ამ დროს ივიწყებ სხვა მოთხოვნილებებს, მათ შორის საბაზისოს, ივიწყებ შიმშილს, სოციალურ როლს, კარგავ დროის შეგრძნებას... მოქმედება თვით მოქმედებისთვის სრულდება, იგი სახალისოა და არ მოითხოვს საგანგებო ძალისხმევას. ნაკადის მდგომარეობის მისაღწევად აუცილებელია წონასწორობის მონახვა ამოცანის სირთულესა და სუბიექტის უნარ-ჩვევებს შორის – ამოცანა სუბიექტისთვის არც ძალზე მარტივი უნდა იყოს და არც გადაჭარბებულად რთული; ძალიან დიდ სირთულეებს კონტროლის დაკარგვასთან მივყავართ, ხოლო თუ საქმიანობა იმდენად ადვილად სრულდება, რომ საერთოდ აღარ მოითხოვს კონცენტრაციას, ის მოსაწყენი გახდება და ყურადღება სხვა რაიმეზე გადაერთვება. მოკლედ, ამოცანა უნდა იყოს გამოწვევა ჩვენი შესაძლებლობების მიმართ. იმავდროულად, ჩვენ უნდა შეგვეძლოს ამ გამოწვევაზე პასუხის გაცემა. ნაკადის მდგომარეობის დროს ყურადღება მიმართულია როგორც სიტუაციის, ისე ქცევის კონტროლზე. ხორციელდება პირდაპირი უკუკავშირი – ხდება ქცევის კორექცია მოქმედების წარმატება-წარუმატებლობის შესახებ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე.

თავის კვლევას ჩიკსენტმიხაი შემოქმედებითი პიროვნებებისა და მათი საქმიანობის შესწავლით იწყებდა, თუმცა ნაკადის მდგომარეობა არ არის უნიკალური, მას განიცდიან მკვლევრები, ხელოვანები, წარმატებული ბიზნესმენები, პოლიტიკოსები, სპორტსმენები, რიგითი ადამიანები. ნაკადის მდგომარეობის ემპირიულმა შესწავლამ გამოავლინა, რომ ამ დროს მატულობს კრეატიულობა, პროდუქტიულობა, საკუთარ თავში დარწმუნებულობა, კომუნიკაციის, აზრის გამართულად გამოთქმის, სხვისი დარწმუნების, არაორდინარულ გადაწყვეტილებათა მონახვის, ინფორმაციის ანალიზის, დამახსოვრებისა და სხვა უნარები, მცირდება სტრესი და, საბოლოოდ, იზრდება კეთილდღეობა. გარშემომყოფთათვის ინდივიდი ნაკადის მდგომარეობაში და მის გარეთ ორ სხვადასხვა ადამიანად აღიქმება.

თამაშები, მხატვრული შემოქმედება, რელიგიური რიტუალები და ზოგიერთი ჰობი ნაკადისებრი ქცევების კარგი მაგალითებია, თუმცა, შეიძლება ითქვას, ყოველგვარ საქმიანობას შეუძლია გამოიწვიოს ნაკადის ოპტიმალური მდგომარეობა, თუ მას აქვს გარკვეული მახასიათებლები. კერძოდ, უნდა არსებობდეს: კონკრეტული მიზანი და მკაფიო წესები. ადამიანი გარკვეული უნდა იყოს იმაში, რას და როგორ აკეთებს; უნდა არსებობდეს შესაბამისობა ინდივიდის უნარებისა ქცევის ამოცანებთან; საჭიროა უკუკავშირი, ანუ ინფორმირებულობა მოქმედების წარმატებულობის თაობაზე და საქმიანობის ხელისშემშლელი ფაქტორების ნიველირების შესაძლებლობა. ამასთან ერთად, აღნიშნულია, რომ არსებობენ ე.წ. „ნაკადის პიროვნებები“, რომლებიც განსაკუთრებით კარგად ახერხებენ, გამონახონ შესაძლებლობები თავიანთი უნარების რეალიზაციისთვის, ანუ „დაიჭირონ ნაკადი“. ისინი ისახავენ რეალისტურ მიზნებს მაშინაც, როცა თითქოს არაფერი აქვთ გასაკეთებელი, ნათლად ხედავენ უკუკავშირს, ახასიათებთ ყურადღების კონცენტრაციისა და გადაუხრადობის კარგი უნარი.

ამასთან, რაც არ უნდა კარგი იყოს ნაკადის მდგომარეობა თავისთავად, ის სულაც არ არის აბსოლუტური სიკეთე. პოტენციურად მას შეიძლება ჰქონდეს ნეგატიური ეფექტიც. ადამიანი შეიძლება ნაკადის განცდაზე დამოკიდებული გახდეს, მისი გამომწვევი ქცევის ტყვეობაში მოექცეს, რაც უარყოფითად, ზოგჯერ კი დამღუპველადაც აისახება მის ცხოვრებზე. ასეთ საფრთხეს შეიცავს, მაგალითად, მოზარდის მიერ აზარტულ თამაშებში განცდილი ნაკადი ან სხვა ნებისმიერი წრეგადასული ჩართულობა რაიმე საქმიანობაში (სამსახური იქნება ეს თუ ჰობი), რომელიც ნაკადის მდგომარეობასთან ასოცირდება. ნაკადს შეუძლია, გახადოს ცხოვრება სახალისო, შინაარსიანი და საინტერესო, შეუძლია, განავითაროს პიროვნების ძლიერი მხარეები. მაგრამ რამდენად კარგია ყოველი კონკრეტული ნაკადის განცდის შედეგები, ამის განხილვა და შეფასება უფრო ფართო სოციალური კრიტერიუმებიდან გამომდინარე უნდა მოხდეს.

ნაკადის მდგომარეობის შეფასება არც ზნეობრიობის კრიტერიუმით შეიძლება. ჩიკსენტმიხაი წერს, რომ, ალბათ, ნაკადის, პოზიტიური ემოციებისა და ბედნიერების მდგომარეობაში იმყოფებოდა მარკიზ დე სადი, გლადიატორების ბრძოლის მაყურებელნი, სისასტიკით განთქმული ოქროს ურდოს მებრძოლები, ხოლო ახლა იმყოფე-

ბიან თანამედროვე მეომრები, რომლებიც მტერს ანადგურებენ, მანქანების მპარავი დამნაშავეები, თუ მასობრივი ვანდალიზმის აქტების მონაწილენი [36]. მაშასადამე, პოზიტიური განცდის კულტივირება, თავისთავად ვერ იქნება თვითმიზანი, გააჩნია, რისგან და როგორ აღმოცენდება ეს განცდა, თუნდაც ნაკადის მდგომარეობა. ასეა თუ ისე, ჩიკსენტმიხაი აღნიშნავს, რომ მის მიერ აღწერილ მდგომარეობას უძველესი დროიდან იცნობს აღმოსავლური სულიერი ტრადიცია (ბუდიზმი, დაოსიზმი) და მიიჩნევს ცენტრალურად სულიერი განვითარების თვალსაზრისით. იაპონური პრაქტიკა იყენებს მსგავს ძენ-ბუდისტურ ტექნიკებს საბრძოლო (მაგალითად, კენდო) თუ ნებისმიერი სხვა (მაგალითად, იკებანა) ხელოვნების სრულყოფის მიზნით [38].

ჩიკსენტმიხაის თქმით, „ნაკადის მდგომარეობა ყველაზე ახლოს დგას ბედნიერებასთან“ [37]. საზოგადოდ, ბუნებრივია, რომ პოზიტიური ფსიქოლოგიის აზრი მუდამ უტრიალებს *ბედნიერების* იდეას. მისი ნათელყოფის გარეშე შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რა უნდა ჩაითვალოს „პოზიტიურად“, რას ნიშნავს კარგი ცხოვრება? აქ თვალსაზრისები გაიყო. არიან ე.წ „ჰედონისტები“, რომლებიც ბედნიერებას სიამოვნებაში ჭვრეტენ, ხოლო ე.წ. „ევდემონისტები“ იდეალად სათნოებას, ზნეობრიობას მიიჩნევენ [30]. თავისთავად საკითხი არახალია. მისი ისტორია ძველ საბერძნეთში მიგვიყვანს და ყველაზე გამოკვეთილად ეპიკურეელებისა და სტოელების დაპირისპირებაში იჩენს თავს [3]. თუმცა ჯერ კიდევ არისტოტელე (რომლის ეთიკაზე ხშირად მსჯელობენ პოზიტიურ ფსიქოლოგიაში), ამტკიცებდა, რომ ევდემონია, ეს არის კარგი ცხოვრება, რაც, ფაქტობრივად, ბედნიერებას, კეთილდღეობას უიგივდება. პრობლემა ისაა, რა ჩაითვალოს ნამდვილად კარგ ცხოვრებად და როგორ მივაღწიოთ ბედნიერებას. არისტოტელეს აზრით, ამის გზა გონება, უფრო ზუსტად, გააზრებული ზნეობრივი ცხოვრებაა. მაგრამ ბედნიერების მისაღწევად სხვა ცხოვრებისეული სიკეთეებიც არის საჭირო, მაგალითად: ჯანმრთელობა, სიმდიდრე, ძალაუფლება, მეგობრები, სილამაზე და ა.შ. დიდი ბერძენი მოაზროვნე იმასაც აღნიშნავდა, რომ სიამოვნება არ არის ის ღირებულება, რომელსაც ღირს სიცოცხლე მიუძღვნა.

თანამედროვე ფილოსოფიურ ლიტერატურაშიც საკმაოდ დიდი აზრთა სხვადასხვაობაა ამ ცნებებთან დაკავშირებით [45]. შემოთავაზებულია რამდენიმე ახსნითი თეორია – ზოგში ბედნიერება და კეთილდღეობა გაიგივებულია, ზოგში ხდება მათი გამიჯვნა. შეხედულებათა უმრავლესობა ამ მოვლენათა ბუნების შესახებ ორ დიდ კლასში ერთიანდება: თეორიები, რომლებიც ბედნიერებას მენტალურ მდგომარეობად განიხილავენ (სუბიექტური ბედნიერების თეორიები). ამ შემთხვევაში საუბარია ისეთ სუბიექტურ მდგომარეობა-განცდებზე, როგორებიცაა: ცხოვრებით კმაყოფილება, სიამოვნება, პოზიტიური ემოციური მდგომარეობები და სხვ.; მეორე შემთხვევაში, ბედნიერება განიხილება როგორც თავისებური „ობიექტური“ ღირებულება, ის, რაც ადამიანისთვის სასარგებლოა, კარგია, სასურველია – კეთილდღეობა, დოვლათიანობა, ჯანმრთელობა და სხვ.

შეიძლება ითქვას, რომ ბედნიერებისა და კეთილდღეობის საკვანძო ცნებები არც პოზიტიურ ფსიქოლოგიაშია სათანადოდ გამიჯნული ერთმანეთისგან. იგივე სელიგმანი მათ ზოგჯერ სპეციალურად განასხვავებს [29] და იმასაც ამბობს, რომ ბედნიე-

რება, საზოგადოდ, არ არის ის, რისკენაც უნდა მიისწრაფოდე [57]. სხვა შემთხვევაში, იგი ამ ცნებებს ურთიერთშემნაცვლებლებად იყენებს [56]. კეთილდღეობის სახით სელიგმანი უფრო ფუნდამენტურ ღირებულებაზე მიანიშნებს. ეს უკანასკნელი ხუთ, თავისთავად ღირებულ განზომილებას შეიცავს, ესენია: პოზიტიური ემოციები, მოქმედებაში ჩართულობა (ნაკადის მდგომარეობა), გააზრებულობა, პოზიტიური ურთიერთობები და მიღწევები. ბედნიერებასა და კეთილდღეობაზე მსჯელობა წითელ ზოლად გასდევს მთელ პოზიტიურ ფსიქოლოგიას. აქ განსაკუთრებით გამოკვეთილია ცხოვრებით კმაყოფილების ფაქტორი. მაგალითად, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბედნიერება კეთილდღეობის აუცილებელი შემადგენელია, მაგრამ არ არის მისი ცალსახა განმსაზღვრელი; ბედნიერება და ცხოვრებით კმაყოფილება თვითრეალიზაციისა და კეთილდღეობის მაჩვენებლებია.

პოზიტიური ფსიქოლოგები ცდილობენ, კონკრეტული ფსიქოლოგიური შინაარსით დატვირთონ ეს ცნებები. ბუნებრივია, რომ ამ შემთხვევაში ძირითად აქცენტს „მენტალურ მდგომარეობებზე" აკეთებენ, თუმცა მხედველობიდან არც მათი გამომწვევი გარე ფაქტორები რჩებათ. გავრცელებული შეხედულებით, ბედნიერება სამ ვეშაპზე დგას: 1. ადამიანის გენეტიკური პროგრამა; 2. სასიცოცხლო ვითარებები; 3. ცნობიერი მოქმედება. პირველი, სელიგმანის თქმით, „ბედნიერად ყოფნის თანდაყოლილი დონეა", მემკვიდრული თვისებების ერთობლიობაა, რომლებიც გზას უხსნიან ან პირდაპირ განსაზღვრავენ პოზიტიურ თვითშეგრძნებას და თითქმის არ ექვემდებარებიან ცვლილებას [56]. პირობების მეორე ჯგუფი ძნელად, მაგრამ მაინც ემორჩილება ცვლილებას (სოციალური წრე, ოჯახური, საზოგადოებრივი ან ეკონომიკური მდგომარეობა, სამუშაო, ასაკი, სქესი, ნაციონალობა, რელიგია, განათლება, ჯანმრთელობა და ა.შ.). ის, რაც მესამე სეგმენტშია მოქცეული, უმთავრესად პიროვნების ნებაზეა დამოკიდებული. აქ შედის ყველაფერი, რასაც ადამიანი აკეთებს წუთიერი თუ ხანგრძლივი სიამოვნებისა და ბედნიერების მისაღწევად, რა მიზნებს ისახავს, ცხოვრების რა წესს მისდევს. ბედნიერება ჩვენზე გაცილებით მეტად არის დამოკიდებული, ვიდრე ეს აქამდე ეგონათ. პოზიტიურმა ფსიქოლოგებმა ე.წ. „ბედნიერების ფორმულაც" კი შექმნეს. ის გამოხატავს თითოეული ამ ფაქტორის წვლილს საერთო ბედნიერებაში. ავტორების გამოთვლით, გენეტიკური ფაქტორის შენატანი დაახლოებით 50%-ს შეადგენს, ცხოვრებისეული გარემოებებისა – 10%-ს, ხოლო ცნობიერი ქმედების – 40%.

ძნელია თავის დადება ამ გამოთვლების სანდოობასა და სიზუსტეზე, მაგრამ საყურადღებოა, რომ ყველა შემთხვევაში ცხოვრებისეული ვითარებები ყველაზე ნაკლებ გავლენას ახდენენ ბედნიერების საერთო ინდექსზე. საზოგადოდ, ამ ფაქტორების შესწავლას სოციალურ მეცნიერებებში დიდი ყურადღება ეთმობა მათი აშკარად გამოხატული კულტურულოგიური, პოლიტიკურ-სოციოლოგიური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და ა.შ. მნიშვნელობის გამო. პოზიტიური ფსიქოლოგებიც აქტიურად არიან ჩართული ამ კვლევაში. განსაკუთრებით ცნობილია ე. დინერის მასშტაბური კვლევითი პროექტები, მიმართული ცხოვრებით კმაყოფილების სხვადასხვა ასპექტის შესწავლაზე განსხვავებულ სოციუმებში.

პოზიტიური ფსიქოლოგიის წარმომადგენლები ხშირად იმეორებენ, რომ „ფულში არაა ბედნიერება“ და მოჰყავთ სტატისტიკა, რომელიც მოწმობს, რომ 1960-იდან 1990-ამდე ამერიკელთა საშუალო შემოსავალი გაორმაგდა, ხოლო იმ ადამიანთა პროცენტი, რომლებიც თავს ბედნიერად თვლიან – შემცირდა; დეპრესიის მაჩვენებელი სწორედ იქ არის ყველაზე მაღალი, სადაც მატერიალური კეთილდღეობა სუფევს. სიღარიბის დონის ზევით შემოსავლის მატება პრაქტიკულად არ ცვლის ადამიანთა გუნება-განწყობილებას; ძალიან მდიდრებს ბევრად მეტად არ უხარიათ ცხოვრება, ვიდრე საშუალო ამერიკელებს. მიუხედავად ამისა, გარკვეული კავშირი ბედნიერების განცდასა და მატერიალურ უზრუნველყოფას შორის უთოდ არსებობს. მოსახლეობის ღარიბ ნაწილში შემოსავლის ზრდასთან ერთად ეს განცდა შესამჩნევად მატულობს; მდიდარ სახელმწიფოებში ცხოვრებით კმაყოფილების ინდექსი ზოგადად უფრო მაღალია, თუმცა ეს დამოკიდებულება არაა ცალსახა. ზოგიერთ ღარიბ ქვეყანაში ეს მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, რაც სხვა ფაქტორების გავლენაზე მიუთითებს. მაგალითად, მდიდარ იაპონიაში ცხოვრებით კმაყოფილების ინდექსი უფრო დაბალია ღარიბ ნიგერიასა და ინდოეთთან შედარებით, ხოლო ბრაზილიის, ჩილესა და ჩინეთის მოსახლეობა უფრო კმაყოფილია თავისი ცხოვრებით, ვიდრე გერმანიისა და ესპანეთის მოქალაქეები, სადაც მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი შეუდარებლად მაღალია [56]. აქ იჩენს თავს კულტურულ-ეთნიკური ფაქტორების როლი. ჩინეთში ბედნიერების თვითგანცდას ხელს უწყობს სოციუმში მიღებული ურთიერთდახმარების მაღალი დონე, მძიმე ცხოვრებისადმი მიჩვევა და დაბალი მოლოდინები. ლათინურ ამერიკაში ტრადიციულად კულტივირებულია დადებითი ემოციები. თავის მხრივ, იაპონიაში, საზოგადოებრივი ნორმებისა და მოთხოვნების ძალიან ძლიერი წნეხის გამო, გაძნელებულია ცხოვრების პოზიტიური აღქმის შენარჩუნება.

მიმდინარეობს ბედნიერების თვითგანცდაზე ზემოქმედი სხვა ფაქტორების კვლევა და უკვე დადგენილია აქ არსებული კავშირები [13]. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ჰარმონიული სოციალური ურთიერთობები საზოგადოდ და, კერძოდ, ოჯახში. ახლო, თბილი და ღრმა ურთიერთობები – ოჯახური, რომანტიკული თუ მეგობრული – ბედნიერების მყარი საფუძველია. აღინიშნება ისეთი ფაქტორების გავლენა, როგორებიცაა: განათლება, რელიგიურობა, საზოგადოებრივი სტატუსი და ა.შ. დინერი და სელიგმანი ჭეშმარიტ ბედნიერებას ადარებენ სიმფონიურ მუსიკას, რომელიც მრავალი ინსტრუმენტის მონაწილეობით იქმნება, მაგრამ ცალცალკე არცერთი არ არის საკმარისი.

ბედნიერების თვითგრძნობა მრავალი სხვა სიკეთის მომტანია. ბედნიერი ადამიანები უფრო ჯანმრთელები არიან. პოზიტიური ემოციები, კმაყოფილების გრძნობა, კეთილდღეობისა და იმედის განცდა აქვეითებს სხვადასხვა დაავადების რისკს, აძლიერებს იმუნიტეტს, აჩქარებს რეანიმაციის პროცესებს და ა.შ. გამოვლენილია კავშირი ბედნიერებასა და სხვადასხვა საზოგადოებრივ თუ პროფესიულ საქმიანობაში წარმატების დონეს შორის, თუმცა ამ და სხვა მსგავს კორელაციურ კვლევებში ძნელია დანამდვილებით იმის თქმა, რომელი ცვლადია მიზეზი და რომელი – შედეგი. ეს კარგად აქვთ გაცნობიერებული პოზიტიური ფსიქოლოგიის ფარგლებში მომუშა-

ვე სპეციალისტებს, რომლებიც, როგორც წესი, მეცნიერული კვლევის მაღალი სტანდარტებით ხელმძღვანელობენ.

კვლევები აჩვენებს, რომ ბედნიერების თვითგრძნობა სიცოცხლის ხანგრძლივობასთანაც კორელირებს. ლიტერატურაში ხშირად მოპყავთ გახმაურებული გამოკვლევა, რომელშიც ერთ-ერთი კათოლიკური მონასტრის მონაზვნები შეისწავლეს. გააანალიზეს მომავალი მონაზვნების ავტობიოგრაფია, რომელიც მათ 18 წლის ასაკში, მონასტერში მიღებისას დაწერეს. იმის საფუძველზე, თუ რა სიხშირით იყო აქ წარმოდგენილი უარყოფითი და დადებითი ემოციები, გამოიყო პოზიტივსა და ნეგატივზე ორიენტირებულთა ორი თანაბარი ჯგუფი. შემდგომში ყველა ქალბატონი ერთნაირ სათნო და მშვიდ ცხოვრებას და ერთნაირ საქმიანობას ეწეოდა. პირველი ჯგუფის წევრების 90% ცოცხალი იყო 85 წლის ასაკში, ხოლო 54%-მა 94 წლის ასაკსაც მიაღწია. შესაბამისი მაჩვენებლები ბედნიერების ყველაზე დაბალი ინდექსის მქონე მონაზვნებთან შეადგენდა 34%-ს და 11%-ს. მკვლევრებმა დაასკვნეს, რომ ოპტიმისტები, სულ ცოტა, 10 წლით მეტს ცხოვრობენ. ეს შედეგები, მართლაც, შთამბეჭდავია. გამოდის, რომ ნეგატიურ ემოციებს ცხოვრების მეტი ნაწილის წართმევა შეუძლიათ, ვიდრე, მაგალითად მოწევას, რომელიც ქალებს 7 წლით უმოკლებს სიცოცხლეს [19].

დადებითი ემოციების როლი მრავალმხრივი შესწავლის საგანი გახდა. დადგა საკითხი მათი ევოლუციური წარმომავლობისა და დანიშნულების შესახებაც. რაშია დადებითი გრძნობების ევოლუციური სარგებლიანობა? უარყოფითი ემოციებისგან განსხვავებით, ისეთი გრძნობების მიმართ, როგორებიცაა სიხარული, სიწყნარე, მადლიერება და სხვ., ეს არ არის სავსებით ნათელი. გამოითქვა შეხედულება, რომ პოზიტიურ ემოციებს, აგრეთვე, აქვთ მნიშვნელობა შეგუებითი თვალსაზრისით, რამდენადაც ისინი აფართოებენ შემეცნებასა და პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირებული ტენდენციების სპექტრს, ანუ ზრდიან შესაძლო ქცევათა ვარიანტების რაოდენობას (ბ. ფედრიქსონი). მათი ეფექტი უფრო ხანგრძლივ პერსპექტივაში იჩენს თავს და ვლინდება სოციალურად სასარგებლო უნარ-თვისებებისა და კავშირების ფორმირებაში. მაგალითად, კეთილმოსურნე ადამიანს მეტი შანსი აქვს, გაიჩინოს მეგობრები და მიაღწიოს სოციუმთან ადაპტაციის მაღალ დონეს. საბოლოო ანგარიშით, პოზიტიური ემოციები პიროვნული ზრდისა და სრულფასოვანი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს შეადგენენ.

კვლევებმა პოზიტიური ემოციების კიდევ ერთი საინტერესო ეფექტი გამოავლინა. მას „გაუქმების ეფექტი“ უწოდეს. საუბარია იმაზე, რომ დადებითი ემოციები არბილებენ („აუქმებენ“) ნეგატიური ემოციების მოქმედებას ფიზიოლოგიურ დონეზე. მაგალითად, სტრესი იწვევს ძლიერ ძვრებს ორგანიზმში. საჭიროა ამ მდგომარეობის სწრაფი ნორმალიზაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება, რაიმე ფუნქცია დაზიანდეს და განვითარდეს სხვადასხვა დაავადება. სპეციალურმა კვლევამ აჩვენა, რომ დადებითი ემოციები ეხმარებიან ადამიანებს, რომლებმაც ეს-ესაა გადაიტანეს სტრესი, დამშვიდდნენ, დაუბრუნდნენ თავის ფიზიოლოგიურ ნორმას.

სელიგმანი ბედნიერების სამ მდგენელზე საუბრობს: 1. დადებითი ემოციები, მათი ზრდისა და გამრავალფეროვნების უნარი; 2. მოქმედებაში ჩართულობა/გატაცება

(იგივეა, რაც ნაკადში ყოფნა) და 3. აზრიანი, საზრისის შემცველი ცხოვრება. ეს უკანასკნელი, არსებითად, ნიშნავს, გამოვიყენოთ ჩვენი ძლიერი მხარეები რაღაც უფრო დიდისადმი/დიადისადმი სამსახურისთვის, ვიდრე ჩვენ თვითონ ვართ, ორიენტირებულები ვიყოთ ისეთ რაიმეზე, რაც ჩვენ საკუთარ არსებობაზე მაღალია. მაშინ, იმის მიხედვით, რამდენად დიდია ის მთლიანობა, რომლის ნაწილადაც თავს მივიჩნევთ, ჩვენი ცხოვრება თავის მაღალ საზრისს მოიპოვებს.

ჩიკსენტმიხაის აზრით, ნაკადის ერთეული შემთხვევები ბედნიერ ადამიანად ვერ გაგხდიან. მთელი ცხოვრების ერთიანი ნაკადის მდგომარეობად ტრანსფორმაციისთვის საჭიროა საზრისების სისტემის შემუშავება, რომელიც დასახავს თქვენი არსებობის მიზანს. ავტორი უფიქრდება კაცობრიობის მომავალს და იმ გამოწვევებს, რომლის წინაშეც ცივილიზაცია დგას [37]. სამყარო, რომელშიც ვცხოვრობთ, სულ უფრო რთული ხდება და თუ გვსურს სრულფასოვანი და ბედნიერი ცხოვრება, ჩვენც უფრო რთული, კრეატიული, უნიკალურები და, იმავდროულად, სოციუმთან დაკავშირებულები უნდა ვიყოთ. ადამიანის ევოლუციის პროცესი გრძელდება და სულ უფრო მზარდი გართულებისკენ მიემართება. ამ კონტექსტში გამოითქმის ზოგადი მოსაზრება, რომ ჩვენი ტვინი დაპროგრამებულია გენოტიპით და საზოგადოებით. პირველი გვაიძულებს, ვიზრუნოთ საკუთარ თავზე, ხოლო მეორე – საზოგადოებრივ ინსტიტუტებზე. ევოლუციის მოცემულ ეტაპზე კი პრიორიტეტი მთელი პლანეტის საჭიროებებზე ზრუნვა ხდება. ტვინის პროგრამა ამ მიმართულებით არის შესაცვლელი ევოლუციური გზით, რაც, ისევ და ისევ, საზოგადოებრივი ცხოვრების სათანადო გარდაქმნას გულისხმობს. აქედან გამომდინარე, ავტორი გვთავაზობს „სწორი" საზოგადოების მოდელს, რომელშიც კულტივირებული იქნება სირთულე და ნაკადის განცდა. ესაა, ავტორის თქმით, *ოპტიმალური განცდა*, რომელიც, უბრალოდ, არ გვეძლევა, თავისთავად არ „გვემართება". ბედნიერების მდგომარეობას მოპოვება, გაზრდა და შენარჩუნება უნდა. ამისთვის საჭიროა სათანადო მომზადება, ძალისხმევა და გარკვეული კვალიფიკაცია.

ამრიგად, ჩიკსენტმიხაის თანახმად, ბედნიერება ნაკადისებრ მდგომარეობაში ცხოვრებაა. ეს მოითხოვს საზრისის მიმცემ ღირებულებათა სისტემასთან თანაზიარებას, ხოლო იმისთვის, რომ შევიმუშაოთ ცივილიზაციის თანამედროვე გამოწვევების შესატყვისი ღირებულებათა სისტემა, ისევ ნაკადის მდგომარეობის კულტივირება არის საჭირო. მაგრამ ხომ არ გამოსდის ავტორს ისე, რომ დახშულ წრეში ვტრიალებთ – ბედნიერების მისაღწევად უკვე უნდა ვიყოთ ბედნიერები? ასეც რომ არ იყოს, ახალი საკაცობრიო მნიშვნელობის ღირებულებების დამკვიდრება, არსებითად, საზოგადოებრივი ცნობიერების გარდაქმნის ამოცანაა და საკითხავია, რამდენად ხელეწიფება მისი გადაჭრა პოზიტიურ ფსიქოლოგიას? შეიძლება კი, ამის მიღწევა მხოლოდ პოზიტიური გრძნობებისა და პიროვნული თვისებების გამოწვევა-შემუშავებაზე მიმართული ფსიქოკორექციული თუ ფსიქოკონსულატაციური საქმიანობით? სამწუხაროდ, ამაზე ნათელ პასუხს ვერ ვიღებთ. ჩვენ გვეუბნებიან: მოცემულ მომენტში ყველაზე კარგი, რაც თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ საკუთარი ცხოვრების გასაზრისებისთვის, – ეს არის, გახდეთ ევოლუციური პროცესის აქტიური, შეგნებული მონაწილენი და ისიამოვნოთ მისი ყოველი მომენტით [37].

დღეს პოზიტიური ფსიქოლოგია წარმოდგენილია რამდენიმე სკოლით, რომელთაც სათავეში უდგანან ავტორიტეტული მეცნიერები: დ. გილბერტი, ე. დინერი, ჯ. ველიანტი, ა. ლინლი, მ. სელიგმანი, ჩ. სნაიდერი, მ. ჩიკსენტმიხაი და სხვ. თუმცა რადგან მის კრიტიკას შევეხეთ, უნდა ითქვას, რომ, როგორც ყველა ახალი მიმდინარეობა, პოზიტიური ფსიქოლოგიაც „ძველ" ფსიქოლოგიას უპირისპირდება. ზოგჯერ უკმაყოფილება მანამდე არსებული ფსიქოლოგიით გამოთქმულია ერთობ უკომპრომისოდ; ეს უკანასკნელი დადანაშაულებულია იმაში, რომ ფსიქიკური ცხოვრების უმეტესწილად ნეგატიურ ასპექტებზეა კონცენტრირებული და იმასაც ვერ იკვლევს ხეირიანად. ჰუმანისტურ ფსიქოლოგიას მეთოდოლოგია დაუწუნეს, აკადემიურ ფსიქოლოგიას და ფსიქოანალიზს – საგანი (ავადმყოფობასა და ნეგატიურ ასპექტებზე ორიენტირებულობა). ჰუმანისტურ მიმდინარეობას, ალბათ, მართლაც აკლია მეცნიერული სიმკაცრე და სიზუსტე, თუმცა ეს პრეტენზია უფრო ეგზისტენციურ ფსიქოლოგიას ეკუთვნის, რომელიც საერთოდ არ ცნობს ექსპერიმენტსა და გაზომვას. მაგრამ ისეთ ფორმაში გამოთქმული პრეტენზია, რომ პოზიტიური ფსიქოლოგია არის ერთადერთი მართებული გზა, ხოლო წინამორბედთა კვლევის კონცეპტუალური და მეთოდური მიდგომები მცდარი ან უნაყოფო, ბევრისთვის სრულებით მიუღებელია. ამასთან დაკავშირებით ბ. ჰელდი მიუთითებს, რომ პოზიტიური ფსიქოლოგია წინანდელი ფსიქოლოგიის „პათოლოგიზაციას" ახდენს [46]. ტერმინი „ნეგატიური ფსიქოლოგია" პოზიტიური ფსიქოლოგიის, კერძოდ სელიგმანის, გამოგონებაა, რომლითაც მან მთელი მანამდე არსებული აკადემიური (არაჰუმანისტური) ფსიქოლოგია აღნიშნა და „ვიქტიმოლოგიასთან", ანუ მსხვერპლის ფსიქოლოგიასთან გააიგივა [22]. სინამდვილეში ამ ტერმინის რელევანტური ფსიქოლოგია, ალბათ, საერთოდ არ არსებობს. ცხოვრების პოზიტიური მომენტები ყველგანაა, მთელ ფსიქოლოგიაში. ისინი, შესაძლოა, მართლაც ნაკლებ გამოკვეთილია, როგორც შესწავლის უშუალო ობიექტი, მაგრამ გამოიხატება მიზნით, რომლის მიღწევაზეც მიმართულია კორექცია ან მკურნალობა.

სიზუსტისთვის უნდა ითქვას, რომ დღეს ამ მიმართულების მიმდევრები პოზიტიურ ფსიქოლოგიას, პრინციპულად, არაკონფრონტაციულად თვლიან. წინამორბედთა მიმართ არცთუ მორიდებული გამონათქვამები და ზედმეტად მკაცრი შეფასებები ამ მიმდინარეობისთვის განვითარების ადრეულ სტადიაზე იყო დამახასიათებელი, როდესაც ის ცდილობდა, გამიჯვნოდა სხვებს და ხაზი გაესვა თავისი მიდგომის სპეციფიკისთვის. ამჟამად ეს ეტაპი განვლილია და საკმარისად არის გაცნობიერებული ერთიანობის აუცილებლობა[53].

ამ მიმდინარეობის შეფასებისას ზოგჯერ გამოითქმის მოსაზრება, რომ ფიზიკური არსებობის პრობლემებით გაწამებულ ადამიანს ბედნიერად ყოფნას ვერ მოსთხოვ, ხოლო ფსიქოლოგიური ჩარევით ვერ გააბედნიერებ და კეთილდღეობის განცდას ვერ გაუჩენ. არა და, დღესაც, ადამიანების საკმაოდ დიდი ნაწილი უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს. აქედან გამომდინარე, რაც არ უნდა ითქვას, პოზიტიური ფსიქოლოგია მაინც რჩება კაცობრიობის უზრუნველყოფილი ნაწილის ფსიქოლოგიად [25]. ცხოვრების ნეგატიური მომენტები იყო და იარსებებს. არავის გაუუქმებია სიკვდილი,

ავადმყოფობა, ტანჯვა, ტკივილი, კონფლიქტები, უსამართლობა, გაჭირვება და, შესაბამისად, შიში, სტრესი, ტრავმა, წარუმატებლობა, სხვადასხვა სახის აშლილობები და ა.შ. ფსიქოლოგია, რომელსაც მხოლოდ პოზიტიური მომენტების შესწავლა დაუსახავს მიზნად, აუცილებლად იქნება ცალმხრივი, ისევე როგორც ცალმხრივია მხოლოდ ნეგატივზე ორიენტირებული ფსიქოლოგიაც, რომლის უკმარისობას მართებულად აღნიშნავს პოზიტიური ფსიქოლოგია. მისი ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი კრიტიკოსის, რ. ლაზარუსის, სიტყვებით: ღმერთს სჭირდება ეშმაკი, და პირიქით; იმისთვის, რათა სრულად დავაფასოთ კარგი, ჩვენ გვესაჭიროება ცუდი, რომელიც ასევე ცხოვრების ნაწილია. ყოველთვის, როცა ძლიერ ვავიწროვებთ ჩვენი ყურადღების ფოკუსს ერთ-ერთ მხარზე, საერთო პერსპექტივის დაკარგვის საფრთხის წინაშე ვდგებით [51] [52]. ზრდის პროცესში მყოფ პოზიტიურ ფსიქოლოგიას, შესაძლოა, ზოგჯერ ასეც გამოსდის. როგორც ერთ-ერთი კრიტიკოსი შენიშნავს, მას, საზოგადოდ, ამერიკულ კულტურაში დამკვიდრებული „პოზიტიურობის ტირანია“ ახასიათებს [46]. სხვა თუ არაფერი, ისიც გასათვალისწინებელია, რომ, ფაქტობრივად, უარყოფითი ემოციები გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე დადებითი, რაც ზოგად ფსიქოლოგიაში დიდი ხანია ცნობილია. ეს გარემოება გრძნობების სასიგნალო-შეგუებითი ფუნქციით აიხსნება. ქცევაში შეფერხებებისა და ცხოვრების სირთულეების რიცხვი ხომ ბევრად აღემატება წარმატებებს. თუმცა ისიც სათქმელია, რომ პოზიტიურმა ფსიქოლოგიამ იკვლია დადებითი ემოციების ისეთი მნიშვნელოვანი თვისებები, მათი გავლენები სასიცოცხლო პროცესებზე და პრაქტიკული რეგულაციის ასპექტები, რომლებიც არ იყო მანამდე სათანადოდ დახასიათებული და შეაფასებული. პოზიტიური ფსიქოლოგები არც არასოდეს უარყოფდნენ ნეგატიური განცდების არსებობასა და მნიშვნელობას. სელიგმანი იმასაც აღნიშნავს, რომ სწორედ ასეთი განცდების შესწავლით დაიწყო თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა (ნასწავლი უმწეობის მდგომარეობა, დეპრესია). უბრალოდ, მათი მიზანდასახულება მეტ-ნაკლებად ნორმალური ცხოვრების პირობებში პოზიტივის გაზრდის მიმართულებით არის წარმართული.

დაეუკვირდეთ, რას ამბობს პოზიტიური ფსიქოლოგიის ევროპული საზოგადოების ფუძემდებელი ილონა ბონვილი: „დასავლურმა სამყარომ უკვე კარგა ხანია, დაძლია ის მიზეზები, რომლებიც ფსიქოლოგიის მხოლოდ და მხოლოდ სამედიცინო მოდელს ამართლებდა. დადგა დრო, გავიგოთ ნორმალური და წარმატებული ადამიანების ნორმალური და წარმატებული ცხოვრების შესახებ და არა მხოლოდ იმათზე, ვინც დახმარებას საჭიროებს. იქნებ მოვიდა დრო შევკრიბოთ მონაცემები ცხოვრების ძლიერ მხარეებზე და ტალანტებზე, უმაღლეს მიღწევებზე, თვითსრულყოფის საუკეთესო საშუალებებზე, ნაყოფიერ მუშაობასა და თვითგამოსახვაზე ურთიერთობებში – ერთი სიტყვით, ჩვეულებრივი ცხოვრების უდიდეს ხელოვნებაზე, რომლითაც ცხოვრობენ ადამიანები პლანეტის ყველა წერტილში“ [7; 15]. ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით, საქმეც ისაა, რომ ეს მონოდება ცხოვრების ისეთ სტანდარტს გულისხმობს, რომლისგან, სამწუხაროდ, პლანეტის მოსახლეობის დიდი ნაწილი ჯერ საკმარისად შორსაა. არავინ დავობს, რომ საჭიროა სიცოცხლის პოზიტიურ ასპექტებთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა; არავინ ამბობს, რომ +2-იდან +7-ს მიღწევის ამო-

ცანა ცუდია, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ -7 არსებობს და მისი -2-ამდე მიყვანა ნამდვილად არანაკლებ მნიშვნელოვანია. პოზიტიური ფსიქოლოგია, უმეტესწილად, დემონსტრაციულად იბრუნებს პირს ცხოვრების ნეგატიური ასპექტებისგან, სოციალური თუ ეკონომიკური არაკეთილდღეობისგან. შეგნებულად თუ შეუგნებლად პოზიტიური ფსიქოლოგები ცდილობენ, დახატონ სამყარო იმდენად კეთილმოსურნედ და ნეგატივისგან დაცლილად, რომ უმთავრეს ამოცანად თვითსრულყოფილებაზე ზრუნვა და ბედნიერების განცდა რჩება [25].

ეს ანალიზი შეიცავს რაციონალურ მომენტებს, მაგრამ სინამდვილე ისაა, რომ პოზიტიური ფსიქოლოგიის წარმომადგენლები რეალისტურად განწყობილი მკვლევრები და პრაქტიკოსები არიან, ამიტომ, ცხადია, ცხოვრების ნეგატიურ ასპექტებს სათანადო ანგარიშს უწევენ და ითვალისწინებენ. საფიქრებელია, რომ აქ მხოლოდ აქცენტებსა და პრიორიტეტებზე შეიძლება ლაპარაკი. პოზიტიურმა ფსიქოლოგიამ პრიორიტეტად დადებითი მხარეები გაიხადა. რა თქმა უნდა, ამით მან ერთობ შეავიწროვა თავისი კვლევითი ფოკუსი. პოზიტიური ფსიქოლოგია მოიცავს არა ადამიანის მთელ ეგზისტენციას და მის ყველა უნარ-თვისებას, არამედ ადამიანის ცხოვრების პოზიტიურ ასპექტებს, როგორებიცაა: ბედნიერება, კეთილდღეობა და სიცოცხლის სისავსე, ასევე უდავოდ „ძლიერ" პიროვნულ თვისებებსა და ღირსებებს – ალტრუიზმს, მომთმენლობას, ოპტიმიზმს, სიმამაცეს, სიყვარულს, ორიგინალურობას, სიბრძნეს, ურთიერთობათა უნარს და ა.შ. ამის გამო ფსიქოლოგიის ეს მიმართულება ვერ ჩაითვლება პიროვნების სრულფასოვან კონცეფციად; ასეთი სახით ის ვერ შექმნის მთლიანი პიროვნების ყველა ასპექტის მომცველ სურათს და დარჩება მხოლოდ გარკვეული თემატიკის შემსწავლელ ორიენტაციად. თუმცა პოზიტიური ფსიქოლოგები თავისი განვითარების პერსპექტივად სახავენ სინთეზს ე.წ. „ნეგატიურ ფსიქოლოგიასთან" და ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების შესახებ მთელი ცოდნის გაერთიანებას ერთიან სისტემაში. „ამ შემთხვევაში, წერს ბონიველი, პოზიტიური ფსიქოლოგია, ალბათ, აღარ იარსებებს როგორც დამოუკიდებელი მოძრაობა" [7; 165]. დინერი, ამ მიმდინარეობის ერთ-ერთი ლიდერი, ამბობს: „მე იმედი მაქვს, რომ პოზიტიური ფსიქოლოგია – ესაა მოძრაობა, რომელიც, საბოლოო ანგარიშით, გაქრება, ვინაიდან ის გახდება მთელი ფსიქოლოგიის საფუძველი. როგორც კამპანია, იგი დასრულდება სწორედ თავისი წარმატებულობის გამო" [43; 120]. იმავეს ამბობენ სხვებიც. აღინიშნება ინტეგრაციული მიდგომის აუცილებლობა, რომელიც უარყოფს ადამიანური გამოცდილებისა და განცდების გახლეჩას პოზიტიურად და ნეგატიურად, მაგრამ ასეთი ინტეგრაციული მიდგომისას პოზიტიური ფსიქოლოგია შეიძლება საერთოდ გაქრეს, რადგანაც მისი საჭიროება აღარც იარსებებს [53]. სელიგმანი ამ აზრს იზიარებს, რაც, ფსიქოლოგიის მოცემული ახალი მიმართულების წარმომადგენელთა ადეკვატურ პრეტენზიებსა და თვითშეფასებაზე მეტყველებს.

ინტეგრაციის ინტენცია მთელი თანამედროვე ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიისთვის არის დამახასიათებელი. ძალიან კარგია, რომ პოზიტიურ ფსიქოლოგიას ამ საქმეში თავისი წვლილის შეიტანა სურს, მაგრამ გაუგებარია, როგორ აპირებს იგი ამის გაკეთებას? ეს ვერ მოხდება, თუკი პიროვნების მხოლოდ ერთ მხარეს, თუნდაც

პოზიტიურს, შევისწავლით. პოზიტიური ფსიქოლოგების მტკიცებით, ტრადიციული აკადემიური ფსიქოლოგიისგან მათ მხოლოდ მიზნები და ამოცანები, ანუ თემატიკა განასხვავებს. რაც შეეხება კვლევის ტექნოლოგიას, ისინი მთლიანად იზიარებენ აკადემიური ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიას და სტანდარტებს [20]. ეს მიმდინარეობა ამ მხრივ არავითარ ნოვაციებს არ გვთავაზობს. მისი პერსპექტივა, საბოლოოდ, მთელ ფსიქოლოგიასთან ასიმილაციაა, რომელშიც იგი პოზიტიურ მომენტებზე აქცენტირების იდეასა და პოზიტივის კვლევით მოპოვებულ მონაცემებს შეიტანს. მოკლედ, ერთობ პარადოქსული ვითარება იქმნება – თუ პოზიტიური ფსიქოლოგია მის მიერვე რეფლექსირებული სწორი მიმართულებით განვითარდება, ანუ უარს იტყვის ნეგატიურისა და პოზიტიურის გამიჯვნაზე და მხოლოდ ამ უკანასკნელის კვლევაზე, ის თავის თვითმყოფადობას დაკარგავს და მართლაც გაუქმდება, როგორც ორიგინალური მიმართულება.

პოზიტიურმა ფსიქოლოგიამ უცებ მოიპოვა პოპულარობა და, მიუხედავად თავისი ახალგაზრდობისა, უკვე დიდი გავრცელება ნახა ამერიკასა და სხვა ქვეყნებში. იხსნება კვლევითი და თერაპიული ცენტრები, გამოიცემა ჟურნალები და წიგნები, ტარდება სოლიდური სამეცნიერო ფორუმები, რეალიზდება სასწავლო პროგრამები და ა.შ. იგი უთუოდ არის თანამედროვე ფსიქოლოგიის ყველაზე სწრაფად განვითარებადი მიმართულება. მისი პოპულარობის ფორმულა მარტივია – ყველას უნდა ღირსეული ცხოვრება, ჰქონდეს კეთილდღეობა, იყოს ბედნიერი, წარმატებული, ჯანმრთელი, კრეატული და ა.შ. და, მართლაც, მომხიბლავია, როდესაც გასწავლიან, როგორ უნდა აამაღლო საკუთარ პოზიტიურ შეგრძნებათა ხარისხი და გაიუმჯობესო საკუთარი არსებობის კომფორტულობა. პოზიტიურმა ფსიქოლოგიამ ამ მხრივ უკვე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. ეს ეხება როგორც პოზიტიური ფსიქიკური მდგომარეობებისა და პიროვნული თვისებების დახასიათება-შესწავლას, ისე მათ გამოვლენაზე, მიღწევასა და განვითარებაზე მიმართული მეთოდებისა და რეკომენდაციების შემუშავებას. ამაშია პოზიტიური ფსიქოლოგიის მთავარი პოზიტივი.

პოზიტიური ფსიქოლოგიის ფარგლებში ხორციელდება ბევრი კვლევითი და პრაქტიკული პროექტი, რომლებიც, უმეტესად, საკმაოდ მაღალი მეცნიერული დონით ხასიათდება. თუმცა ისიც აღინიშნება, რომ კვლევების დიდი ნაწილი კორელაციურია და, ამდენად, ვერ ადგენს მიზეზშედეგობრივ კავშირებს. რაც შეეხება კონცეპტუალურ ნაწილს, „ამჟამად არ არსებობს პოზიტიური ფსიქოლოგიის ისეთი ყოვლისმომცველი თეორია, რომელსაც შეუძლია მოიცვას მისი შესასწავლი ყველა თემა. პოზიტიურ ფსიქოლოგიას სურს, გააუმჯობესოს ბევრი სხვადასხვა რამ, ხშირად იმის ცოდნის გარეშე, როგორ არიან ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული“ [7; 161]. ამავე დროს, პოზიტიური ფსიქოლოგიის, როგორც ფსიქოლოგიის ახალი მიმდინარეობის, პრეტენზიის დონე საკმარისად მაღალია – გამოასწოროს წინანდელი ფსიქოლოგიის ხარვეზები და გამოიყვანოს იგი კრიზისის მდგომარეობიდან. იმასაც ამბობენ, რომ XXI საუკუნის ფსიქოლოგიის ისტორია, უფრო მეტად, ვიდრე სხვაგან, სწორედ პოზიტიური ფსიქოლოგიის სივრცეში იწერება [22].

ბუნებრივია, ასეთ თვითშეფასებას ბევრი სკეპტიკურად და კრიტიკულად უდგება. ზოგიერთ შენიშვნაზე უკვე შევჩერდით. აქ ისევ ლაზარუსის შეფასებას მოვიყ-

ვანთ. იგი მიიჩნევს, რომ პოზიტიური ფსიქოლოგია არა იმდენად მეცნიერული, რამდენადაც იდეოლოგიური მოძრაობაა, პოპულისტური რელიგიის სახეობაა, რომელიც არ ბრწყინავს ინტელექტუალური სიღრმითა და სამყაროზე სუპერგამარტივებულ წარმოდგენას ამკვიდრებს. უნდა ითქვას, რომ ცნობილი ფსიქოლოგის ეს შეფასება ზედმეტად მკაცრია და, ფაქტობრივად, არაადეკვატური. მისთვის გამაღიზიანებელი ფაქტორი, როგორც ჩანს, გახდა ის, რაც ზემოთ უკვე აღინიშნა – პოზიტიური ფსიქოლოგიის ზოგიერთი წარმომადგენლის მიერ გამოთქმული გადაჭარბებული პრეტენზიები, პლუს წინარე ფსიქოლოგიის მეტად მკაცრი და არცთუ მთლიანად მართებული შეფასებები. მაგრამ, თუ ამისგან განყენებას მოვახერხებთ, აღმოჩნდება, რომ პოზიტიური ფსიქოლოგია მართლაც ბევრი პოზიტიური თვისების მატარებელია. ფსიქოლოგიურად „კარგ ცხოვრებას" ასეთად გარკვეული გარეგანი და შინაგანი, პიროვნული, სოციალური, კულტურული და სხვა ფაქტორები ხდიან. მათი გამოვლენა და შესწავლა უთუოდ მნიშვნელოვანია. პოზიტიურმა ფსიქოლოგიამ სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება და უკვე ბევრი საინტერესო მონაცემი მოიპოვა და კანონზომიერება დაადგინა. იმის გათვალისწინებით, რომ კვლევის ეს მიმართულება ინტენსიურად ვითარდება, მომავალში მისგან კიდევ მეტს უნდა ველოდეთ.

ასეა თუ ისე, პოზიტიურმა ფსიქოლოგიამ უკვე დაიმკვიდრა თავისი ადგილი ფსიქოლოგიური მეცნიერების „რუკაზე". ამიტომ საჭიროა, გაირკვეს მისი რეალური მიმართება თანამედროვე ფსიქოლოგიის სხვა მიმდინარეობებთან. ამისთვის საინტერესო იქნება პოზიტიური ფსიქოლოგიის პოზიციის განსაზღვრა საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული ფსიქოლოგიების დაპირისპირების თვალსაზრისით. უკვე აღინიშნა, რომ პოზიტიური ფსიქოლოგია უპირისპირდება როგორც ერთს, ისე მეორეს. პირველს შინაარსს უწუნებს, მეორეს – მეთოდოლოგიას. ტრადიციული საბუნებისმეტყველო ფსიქოლოგია, მისი გაგებით, კონცენტრირებულია ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების ნეგატიურ ასპექტებზე. ჰუმანისტური ფსიქოლოგია ვერ აკმაყოფილებს მეცნიერული კვლევის აუცილებელ ნორმებს: მიზეზობრივი კავშირების გამოვლენას, გაზომვას, ვერიფიკაციას, პროგნოზირებას და სხვა. ეს ნორმები, როგორც ცნობილია, საბუნებისმეტყველო ფსიქოლოგიის ნიშნებია [1]. ამიტომ, რამდენადაც საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული ფსიქოლოგიის დაპირისპირება არსებითად მეთოდოლოგიური ხასიათისაა და ნაკლებად ეხება ამ პარადიგმებში შემავალი ფსიქოლოგიური სისტემების შინაარსს, პოზიტიური ფსიქოლოგია საბუნებისმეტყველო ფსიქოლოგიის კლასს უნდა მივაკუთვნოთ. თუმცა ისიც ნათელია, რომ პოზიტიური ფსიქოლოგია მის ამჟამინდელ ფორმაში საკმაოდ ვიწროდ პოზიტივით შემოსაზღვრულ თემატიკას იკვლევს და, ამდენად, ვერ ჩაითვლება დიდი ზოგადფსიქოლოგიური სისტემების ალტერნატივად, ისეთების, როგორებიცაა: ფსიქოანალიზი, ველის თეორია, ქცევითი კოგნიტივიზმი, განწყობის თეორია და სხვ.

ეს შეფასება ვერ გავრცელდება **ედვარდ დეცისა** (1942-) და **რიჩარდ რაიანის** (1953-) თეორიაზე [42]. როჩესტერის უნივერსიტეტის (აშშ) ეს პროფესორები ცოცხალი კლასიკოსების რეპუტაციით სარგებლობენ. მათ მიერ შექმნილ *თვითდეტერმინაციის თეორიას* ზოგჯერ პოზიტიურ ფსიქოლოგიას აკუთვნებენ [13][17]. ამგვარი

კვალიფიკაცია არ არის მთლად ზუსტი. დეცი-რაიანის თვითდეტერმინაციის თეორია ქცევის რეგულაციის ზოგადი მოდელია, რომელიც თავისი კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური ნიშნებით უფრო *კოგნიტური ფსიქოლოგიის* მიმდინარეობას მიეკუთვნება, თუმცა მას მართლაც აქვს პოზიტიურ ფსიქოლოგიასთან შეხების წერტილები. კერძოდ, ამ თეორიული სისტემის ავტორები მონაწილეობენ ისეთი თემების დამუშავებაში, რომლებიც პოზიტიური ფსიქოლოგიის კვლევით ველში იმყოფებიან. ისინი ცდილობენ, აჩვენონ ისეთი ფსიქოლოგიური მექანიზმების, უნარებისა და შესაძლებლობების არსებობა, რომლებიც ადამიანის ჯანმრთელი, სრულფასოვანი და კეთილდღეობით სავსე ცხოვრებისთვისაა საჭირო. ამ მხრივ მათი ინტერესი, უპირატესად, მოტივაციურ პროცესებზეა მიმართული; სახელდობრ, ისეთ მნიშვნელოვან და, არსებითად, პოზიტიურ მახასიათებლებზე, როგორებიცაა: ავტონომიურობა, თვითდეტერმინებულობა, კომპეტენტურობა და სხვ. [9].

თანამედროვე ქცევით კოგნიტივიზმში მათ ძალზე დიდი ყურადღება ექცევა [34] [47]. მაგალითისთვის, თუნდაც, ბანდურას კონცეფცია იკმარებს. ეს აქცენტი დღევანდელი ფსიქოლოგიის ქცევის დახურული, ჰომეოსტაზური მოდელების ტყვეობიდან გამოსვლის საერთო ტენდენციის ერთ-ერთი მანიშნებელია. დეცისა და რაიანის სისტემაც ამ რიგში დგას. მასში აღწერილი ქცევით-მოტივაციური მექანიზმები ზოგადი ხასიათისაა. ისინი შეიძლება, პიროვნების როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ განვითარებას და ფუნქციონირებას დაედოს საფუძვლად, ხოლო ამ მექანიზმების აღწერის სტილი და შესწავლის მეთოდოლოგია ამ მოდელის კოგნიტივისტური ორიენტაციისთვის მიკუთვნებულობის მეტ საფუძველს იძლევა. ეს მოდელი მაგალითია იმისა, რა მიმართულებით ვითარდება სადღეისოდ *ქცევითი კოგნიტივიზმი* [4]. მოცემული თეორიული სისტემის წარმატებული პრაქტიკული გამოყენების არეალი მეტად ფართოა: განათლება (ბავშვისა და მშობლის/მასწავლებლის ეფექტური ურთიერთობების აგება), ბიზნესი (ხელმძღვანელისა და მოსამსახურის ურთიერთობა), მედიცინა (ექიმი-პაციენტი), სპორტი (მწვრთნელი-სპორტსმენი) და ა.შ. [10].

ფართო გაგებით, *თვითდეტერმინაცია* ნიშნავს გარე ზეგავლენებისა და პიროვნებაში მოქმედი ძალებისგან თავისუფლების განცდას, არჩევანის გაკეთების უნარს და საშუალებას. ამჟამად ავტორები უფრო ხშირად მიმართავენ ავტონომიის ცნებას. *ავტონომიურობა* გაგებულია როგორც სუბიექტის მიერ აქტივობის თვითინიციირება და თვითრეგულირება, რაც განასხვავებს მას იძულებისა და ცდუნების სიტუაციებისგან, როდესაც ქცევა არ გამომდინარეობს საკუთარი მე-ს სიღრმივი განცდიდან. ავტონომიურობა მით მეტია, რაც უფრო მეტია ადამიანის ჰარმონია თავის ჭეშმარიტ მე-სთან. თვითდეტერმინაციის ფსიქოლოგიური კრიტერიუმია ადამიანის მოქნილობა გარემოსთან თავისი ურთიერთქმედების მართვისას.

ამასთანავე, თვითდეტერმინაცია განიხილება არა მხოლოდ უნარად, არამედ მოთხოვნილებადაც [41]. ამ კონტექსტში იკვეთება საკვანძო იდეა (მინითეორია), რომლის თანახმად, ადამიანში არსებობს სამი საბაზო მოთხოვნილება – ავტონომიის, კომპეტენტურობისა და სხვა ადამიანებთან კავშირის. ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება უმთავრესი პირობაა, რომელიც განსაზღვრავს პიროვნების ფსიქოლოგი-

ურ კეთილდღეობას, ოპტიმალურ ფუნქციონირებას და ჯანმრთელ განვითარებას. ამის საპირისპიროდ მათი ფრუსტრაცია იწვევს ფსიქოლოგიური კეთილდღეობისა და ქცევის ეფექტურობის დონის დაწევას. *ავტონომიის მოთხოვნილება* საკუთარი ქცევის არჩევისა და თვითდეტერმინაციისკენ მისწრაფებაა. ეს არის უნივერსალური მოთხოვნილება, განიცადო თავი ქმედითად, აქტივობის ინიციატორად და მაკონტროლებლად, საკუთარი ცხოვრების მიზეზად; ეს არის მისწრაფება, იმოქმედო საკუთარი ინტეგრირებული მე-ს შესაბამისად. ესაა თვითდეტერმინაციის თეორიის ქვაკუთხედი. *კომპეტენტურობის მოთხოვნილება* გაგებულია როგორც მისწრაფება, იყო ეფექტური, დაძლიო საშუალო სირთულის ქცევითი ამოცანები, გესმოდეს, რომ კარგად მოქმედებ და თვალს უსწორებ ცხოვრებისეულ გამოწვევებს. *სხვებთან დაკავშირებულობის მოთხოვნილება* ნიშნავს სურვილს, გქონდეს სანდო კავშირები სუბიექტურად მნიშვნელოვან ადამიანებთან, იყო გაგებული და მიღებული მათ მიერ. ეს თანდაყოლილი მოთხოვნილებებია და, ამდენად, ლაპარაკია მათი დაკმაყოფილება-ფრუსტრაციის დონეებზე სხვადასხვა ინდივიდებთან.

თვითდეტერმინაციის თეორიის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია შეხედულება *შინაგან და გარეგან მოტივაციაზე*. ნიშანდობლივია, რომ თვითდეტერმინაციის თეორია აღმოცენდა ემპირიული კვლევებიდან, რომლებიც მიმართული იყო იმის ჩვენებაზე, თუ რა ხდება, როცა შინაგანად (ინტერესით) მოტივირებულ ქცევაში შეჰყავთ ფულადი ანაზღაურების ფაქტორი. აღმოჩნდა, რომ მატერიალური დაჯილდოება ასუსტებს შინაგან მოტივაციას, ქცევისადმი ინტერესს. ეს საინტერესო კანონზომიერება არცთუ ადვილი ასახსნელი იყო. შემდგომში, ხანგრძლივი თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის შედეგად, შემუშავდა ზოგადფსიქოლოგიური მასშტაბის კონცეფცია, რომელშიც შინაგანი მოტივაციის საკითხმა ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი დაიკავა [40].

შინაგანად მოტივირებული ქცევა ინდივიდისთვის სასურველი, საინტერესო, სიამოვნების მომგვრელი აქტივობაა. გარეგანი მოტივაციისას ქცევა რეგულირდება გარეგანი ძალებით/ფაქტორებით (დასჯა, მუქარა, წახალისება, შექება, ჯილდო, დროითი რეგლამენტაცია, თვალთვალი, შეჯიბრი და ა.შ.). ზეწოლა, რომელსაც ინდივიდი ამ დროს განიცდის, არ არის ერთნაირი ბუნებისა და ხარისხის. ამის შესაბამისად ვარიირებს გარეგანად მოტივირებული ქცევის ფენომენოლოგიური სურათი. პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ „თვითდეტერმინაციის თეორია გარეგნულად მოტივირებულ ქცევას აუცილებლად ავტონომიურობას მოკლებულად არ განიხილავს, პირიქით, მიიჩნევს, რომ გარეგანი მოტივაცია შეიძლება ძლიერ ვარიირებდეს ავტონომიურობის ხარისხის მიხედვით" [54; 71]. თავდაპირველად გამოიყო გარეგანი მოტივაციური რეგულაციის ოთხი ტიპი: ექსტერნალური, ინტროეცირებული, იდენტიფიცირებული და ინტეგრალური. ისინი, ძირითადად, ქცევის ავტონომიურობის დონის მაჩვენებლის მიხედვით განსხვავდებიან, ანუ იმის მიხედვით, თუ რამდენად არის იგი განსაზღვრული საკუთრივ მოქმედი სუბიექტით. *ექსტერნალური რეგულაციის* ყველაზე მარტივი მაგალითია, როდესაც ბიჰევიორისტულ ცდებში ვირთაგვას ურტყამენ დენს და აიძულებენ, გამოიქცეს გალიიდან. ადამიანის შემთხვევაში – რო-

დესაც ბავშვს აიძულებენ, ისწავლოს ორიანის თუ ქამრის მუქარით ან, პირიქით, სათამაშოს თუ ნაყინის დაპირებით. ასეთი ქცევა თვითდეტერმინებულად საერთოდ ვერ ჩაითვლება.

ინტროეცირებული რეგულაციისას გარეგანი მოტივაცია უკვე ნაწილობრივ გაშინაგანებულია, შესაბამისად, გაზრდილია მისი ავტონომიურობის დონეც. ქცევა განისაზღვრება ინდივიდის მიერ გარკვეული დონით შეთვისებული წესებითა და მოთხოვნებით. იგი ასოცირდება დანაშაულის გრძნობასთან ან შფოთვასთან, როდესაც ქცევა წარუმატებელია და, პირიქით, სიამაყესთან კარგად შესრულებული საქმის შემთხვევაში. ამ დროს აქტივობის მიზეზები თითქოს ინდივიდშია, თუმცა ქცევა მაინც ვერ ჩაითვლება თვითდეტერმინებულად. რეალურად იგი ავტონომიის მოთხოვნილების რეალიზაციას არ წარმოადგენს და, საბოლოო ჯამში, სოციალურ კონტროლზეა დაფუძნებული.

იდენტიფიცირებული რეგულაციისას ავტონომიურობის დონე იმდენად გაზრდილია, რომ მას უკვე შეიძლება თვითდეტერმინირებული ეწოდოს. ამ დროს სუბიექტი ქცევას საკუთარ არჩევნად განიცდის, მანამდე გარედან თავსმოხვეულ მიზნებს თავისად მიიჩნევს და მათთან იდენტიფიცირებას ახდენს – მაკონტროლებლისა და კონტროლს დაქვემდებარებულის დაპირისპირება ქრება და რეგულაცია საკუთარი თავიდან მომდინარედ განიცდება. სწავლის მაგალითზე ქცევის რეგულაციის ეს ფორმები დაახლოებით შემდეგ სახეს მიიღებს: პირველი, მთლიანად იძულებითი და მხოლოდ უსიამოვნების მომგვრელი სწავლაა; მეორეა სწავლა, რომელსაც მისი სოციალური მნიშვნელობის განცდა აკონტროლებს; დაბოლოს სწავლა, რომელიც განიცდება როგორც თვით სუბიექტისთვის მნიშვნელოვანი ღირებულების მატარებელი და შინაგანად მის მიერ წარმოებული საქმიანობა; მეოთხე, *ინტეგრალური რეგულაციის* დონეზე, ავტონომიურობის განცდა პიკს აღწევს. ავტორების თქმით, აქ ხდება ადამიანის ყველა იდენტიფიკაციის, ყველა სოციალური როლის ინტეგრაცია, მათი „კრეატიული სინთეზი". მაგალითად, მშობელს შეუძლია, შვილების მაკონტროლებლადაც განიხილოს თავი და მათ მეგობრადაც. ამ ორ როლთან იდენტიფიკაცია გაუადვილებს, მთლიანად მიიღოს შვილები, იზრუნოს მათზე და, ამასთანავე, დაუწესოს მათ მოქმედებას გარკვეული საზღვრები, გააკონტროლოს იგი. ინტეგრაციული რეგულაცია ასეთი ღირებულებებისა და მოტივაციური ტენდენციების ჰარმონიულ თანაქმედებას უზრუნველყოფს. იგი მთლიანად თვითდეტრმინირებულია.

როგორც ვხედავთ, დეცი და რაიანი მაქსიმალურად აფართოებენ გარეგანი მოტივაციის ცნებას. იგი არ არის აუცილებლად გარეგანი ზეწოლა პირდაპირი მნიშვნელობით. სხვაგვარად გამოვიდოდა, რომ ადამიანი ან მხოლოდ სიამოვნებისთვის მოქმედებს (შინაგანი მოტივაცია) ან საერთოდ არაფერს აკეთებს დასჯა-წახალისების, ანუ გარეგანი ბიძგის გარეშე.

ქცევის რეგულაციის ამ ფორმების დახასიათებაში კრიტიკულად მნიშვნელოვანი მომენტი ისაა, რომ ყველა მათგანი გარეგანი მოტივაციის სახეობაა. იდენტიფიცირებული და, მეტადრე, ინტეგრაციული რეგულაცია ემსგავსება შინაგან მოტივაციას ავტონომიურობის კუთხით, თუმცა მათ შორის განსხვავება მაინც არსებითია. კერ-

ძოდ, შინაგანი მოტივაცია ყოველთვის ინტერესისა და სიამოვნების ნიშნით ხასიათდება, მაშინ, როდესაც გარეგანი მოტივაციის მაღალი ფორმებისთვისაც ის აუცილებელი არ არის.

მომდევნო კვლევებში კიდევ მეტად დაზუსტდა შინაგანი და გარეგანი მოტივაციის სახეები. სახელდობრ, საუბარია ავტონომიურ მოტივაციაზე, კონტროლირებულ მოტივაციასა და ამოტივაციაზე. ავტონომიური მოტივაცია, შინაგანთან ერთად, მოიცავს გარეგანი მოტივაციის კარგად გათავისებულ ფორმებს. საზოგადოდ კი, *ავტონომიური* (შინაგანი) მოტივაციისას ადამიანებს ამოძრავებს თავის მოქმედებათა დამოუკიდებელი, ნებაყოფლობითი ინიციაციის მისწრაფება; *კონტროლირებული* (გარეგანი) მოტივაციისას პირიქით, ისინი განიცდიან ზეწოლას, იმას, რომ ვიღაც ან რაღაც აიძულებს მათ, გარკვეულად იფიქრონ და იმოქმედონ. სხვანაირად რომ ვთქვათ, როდესაც სუბიექტს ესმის, რომ მისი მოქმედება ვინმეს მიერ გარედან კონტროლდება, ავტონომიის მოთხოვნილება ფრუსტრაციას განიცდის, ითრგუნება, რაც, თავის მხრივ, ნეგატიურად აისახება შინაგან მოტივაციაზე. ავტორების მიერ ამის მრავალი მაგალითი განიხილება, ვთქვათ, ისეთი შემთხვევები, როდესაც პედაგოგი სწავლის სტიმულირებისთვის სტუდენტებს ეუბნება, რომ ლექციებზე დასწრების მაჩვენებელს მხედველობაში მიიღებს საბოლოო შეფასებისას, ხოლო სტუდენტები ამას განიცდიან, როგორც მათი ნებით მანიპულაციას და ლექციებზე დასწრების იძულებას. ამავე კატეგორიას ეკუთვნის ქცევის სხვა მაკონტროლებელი მოტივატორები, როგორებიცაა: დასჯის მუქარა, შეჯიბრებითობის დანერგვა და ა.შ. იგივე ითქმის ჯილდოსა და ფულად წახალისებაზე, რომლებიც თითქოს უნდა ზრდიდნენ ქცევის მოტივირებულობის დონეს, თუმცა ეს აუცილებლად ასე არ ხდება. იმ შემთხვევაში, თუ ფულადი წახალისება განიცდება ერთგვარ კონტროლად/ზეწოლად გარკვეული გარეგანი მიზნების მიღწევისთვის, მაშინ ფრუსტრაციას განიცდის ავტონომიის მოთხოვნილება და, ხშირად, კომპეტენციის მოთხოვნილებაც. შედეგად, მცირდება ინტერესი, შინაგანი მოტივაცია და, შესაბამისად, ქცევის მოტივირებულობის საერთო დონე. მოკლედ, კონტროლირებადი მოტივაცია ამცირებს სასიცოცხლო ტონუსს, მოქმედების პროდუქტიულობას და კეთილდღეობის განცდას. ავტონომიური მოტივაცია პირიქით, ხელს უწყობს მასალის უკეთ გაგებას, სასწავლო მიღწევებისა და კრეატიულობის მატებას, ფსიქოთერაპიაში მეტ ჩართულობას და მის წარმატებულობას, ჯანმრთელი ცხოვრების წესს და, საბოლოო ჯამში, ადამიანის პროდუქტიულობის და კეთილდღეობის ზრდას.

ამოტივირებულობა არის მდგომარეობა, როდესაც ადამიანში არ მოქმედებს რამდენადმე გამოხატული შინაგანი ან გარეგანი მამოძრავებელი ძალა. იგი ან უაზრო, წმინდა სიტუაციურ, ან, როგორც კ. ლევინი იტყოდა, „ველისმიერ მოქმედებას" ასრულებს, ან საერთოდ უმოქმედოა. მას არა აქვს რაიმე კონკრეტული განზრახვა და ინტერესი, თუმცა ფხიზლადაა. ამგვარი მდგომარეობა მაინც აქტივობაა, მართალია, მე-ს კონტროლს მოკლებული და, ამ გაგებით, არადეტერმინირებული.

მოტივაციის ამ სახეობათა ანალიზი მჭიდროდ უკავშირდება თვითდეტერმინაციის თეორიის კიდევ ერთ მდგენელს – შეხედულებას ე.წ. *კაუზალური ორიენტაცი-*

ების შესახებ. გამოიყოფა პიროვნული ორიენტაციის სამი ტიპი, ესენია: *ავტონომიური, კონტროლირებადი და უპიროვნო ორიენტაცია*. მათი ფორმირება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ და რამდენად კმაყოფილდება საბაზო მოთხოვნილებები. კონტროლირებადი პიროვნული ორიენტაცია ყალიბდება ავტონომიის მოთხოვნილების ფრუსტარაციის და, ამავე დროს, კომპეტენტურობის და სხვებთან კავშირების მოთხოვნილებათა მეტ-ნაკლები დაკმაყოფილების ფონზე. უპიროვნო ორიენტაციის ტიპი სამივე საბაზისო მოთხოვნილების ფრუსტრაციის შედეგია, ხოლო სამივეს სისტემატური დაკმაყოფილება – ავტონომიური ტიპის ორიენტაციის გამომუშავების პირობაა.

ეს უკვე პიროვნებათა ტიპოლოგიის სფეროა. *შინაგანი კაუზალური ორიენტაციის* ტიპი თავისი მოქმედების მიზეზებს (კაუზალობის ლოკუსს) საკუთარ თავში ხედავს და თვითდეტერმინაციისა და კომპეტენტურობის გრძნობას განიცდის. ასეთი შინაგანი მოტივირებისას მაღალია ძირეულ ადამიანურ მოთხოვნილებათა გაცნობიერებისა და გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ინფორმაციის ფლობის დონე. საბოლოო ჯამში, ეს აისახება ნებისყოფის გამოვლინების მაღალ მაჩვენებელში. შედეგად, კლებულობს ავტომატური რეაქციების რიცხვი, მინიმიზებულია თვითგამტყუნება მარცხის შემთხვევაში, ანუ მაღალია თვითდარწმუნებულობა და მგრძნობელობა გარემოს ცვალებადობის მიმართ. ქცევითი რეაგირება გარემოზე მოქნილია, ადამიანი ირჩევს ისეთი მოქმედების ტიპს, რომელიც აუცილებელია მოცემულ პირობებში – თუმცა მას შეუძლია, აირჩიოს როგორც შინაგანი, ისე გარეგანი მოტივირების ქცევა, იქიდან გამომდინარე, რას მოითხოვს სიტუაცია.

გარეგანი კაუზალური ორიენტაციის გამოვლინებები თითქოს წააგავს თვითდეტერმინაციას, ანუ აქაც ხდება არჩევა, მაგრამ ის დაფუძნებულია, ძირითადად, გარეგან იმპულსებსა და კრიტერიუმებზე. სახეზეა მოტივების ფლობის დეფიციტი და გარე ვითარებით განსაზღვრულობა. ასეთ ადამიანებს დაკარგული აქვთ კავშირი ძირეულ მოთხოვნილებებთან, მათ ქცევაში მომეტებულია ავტომატური რეაგირება და არაცნობიერი მოტივირებულობა. თვითდეტერმინაციის ნაკლებობა ჩანაცვლებულია კონტროლის ძლიერი მოთხოვნილებით. გარეგანი მოტივაციური სისტემის კონტროლის შედეგია თვითმოტყუება, რაც ვლინდება ექსტერნალობასა და უპიროვნო ორიენტირებულობაში. ადამიანს სჯერა მხოლოდ ზოგიერთი, შესაძლოა არარეალისტური წარმოდგენებისა საკუთარ თავზე და მოქმედებს მათ შესატყვისად, ხოლო ამის შეუსაბამო ინფორმაცია არაცნობიერში რჩება და იბლოკება. ინფორმაცია, რომელიც ცნობიერდება, ძლიერ არის გაფილტრული არცთუ ადეკვატური კრიტერიუმების საფუძველზე [39].

უპიროვნო კაუზალური ორიენტაციისას აღმოცენდება სელიგმანის მიერ აღმოჩენილი „დასწავლილი უმწეობის“ ფენომენი, რადგანაც ასეთი ადამიანები „დაისწავლიან“ იმას, რომ გარემო არ რეაგირებს მათ მოქმედებაზე. ამასთან, თვითდეტერმინაციის დონე მინიმალურია და მათი ქცევა უპირატესად ავტომატური და უსუსური ხასიათისაა. თეორიაში ხაზგასმულია, რომ პიროვნების ეს სამი ტიპი სუფთა სახით იშვიათად გვხდება. საერთოდ ყველა ადამიანს აქვს სამივე ორიენტაცია, საქმე ეხება

მათი გამოვლინების ხარისხს სხვადასხვა ინდივიდთან. ამის დადგენა შეიძლება სათანადო დიაგნოსტიკური მეთოდებით, რომლებიც უხვადაა შექმნილი ფსიქოლოგიის ამ მიმართულების ფარგლებში და განსხვავებული ფსიქოლოგიური და ქცევითი გამოვლინებების, პირველ ყოვლისა, კეთილდღეობისა და თვითრეგულაციის ტიპის პროგნოზირების საშუალებას იძლევა.

ამრიგად, კაუზალობის ლოკუსი არის კოგნიტური კონსტრუქტი, რომელიც განსაზღვრავს, რამდენადაა ადამიანი თვითდეტერმინირებული ქცევის დაგეგმვისა და განხორციელების დროს. ადამიანი შეიძლება ეყრდნობოდეს საკუთარ ავტონომიურ არჩევანს (შინაგანი ლოკუსი), გარეგან მოთხოვნილებას და ჯილდოს მოლოდინს (გარეგანი ლოკუსი) ან ამოდიოდეს სასურველი რეზულტატის მიღწევის შეუძლებლობიდან (უპიროვნო ლოკუსი).

თვითდეტერმინაცია დამყარებულია თანდაყოლილ მიდრეკილებაზე, რომლის წყალობით ინდივიდი ერთვება მისთვის საინტერესო ქცევაში და, რომელიც, ჩვეულებრივად, უკეთესია სოციალურ გარემოსთან ურთიერთქმედების უნარების განვითარების თვალსაზრისით. ითვალისწინებენ რა მასლოუს იდეებს მაღალ ანუ „მეტამოთხოვნილებათა“ ინსტინქტოიდობის შესახებ, ავტორები თვითდეტერმინაციის საფუძვლად მდებარე *საბაზისო მოტივების თანდაყოლილობაზეც* ლაპარაკობენ. მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ თვითდეტერმინაციის თვისება გენეტიკურად განსაზღვრულია. გადამწყვეტი აქ ისაა, თუ როგორ კმაყოფილდება თანდაყოლილად მოცემული მოტივაციური ტენდენციები. ჯანმრთელი და სრულფასოვანი ცხოვრების პოტენციალს განვითარება ესაჭიროება. თუ თავიდანვე ბავშვის ცხოვრების პირობები ხელს უწყობს იმას, რომ მან თავისუფლად აირჩიოს აქტივობა, ინტერესების სფერო, თუკი იგი არაა შეზღუდული თავის შესაძლებლობათა გამოვლინებაში ზედმეტი და გადაჭარბებული აკრძალვებით, მაშინ ბავშვი და შემდგომში მოზრდილი, იქნება ჯანმრთელი და სრულფასოვანი, მას ექნება კეთილდღეობის განცდა. „თვითდეტერმინაციის თეორია მიმართულია იმ ფაქტორების გამოვლენაზე, რომლებიც კვებავენ ადამიანის თანდაყოლილ პოტენციალს, რომელიც განსაზღვრავს ზრდას, ინტეგრაციასა და ჯანმრთელობას, აგრეთვე იმ პროცესებისა და პირობების გამოკვლევაზე, რომლებიც ხელს უწყობენ ჯანმრთელ განვითარებას და ინდივიდების, ჯგუფებისა თუ საზოგადოებების ეფექტურ ფუნქციონირებას“ [54; 74].

აქედან გამომდინარე, თვითდეტერმინაციის თვისების ონტოგენეტური განვითარების საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. აღინიშნება, რომ აღზრდის მაკონტროლებელი სტრატეგიები თრგუნავენ ავტონომიურობას და აძლიერებენ პასიურ თუ რიგიდულ ორიენტაციებს. გარემო, რომელიც ოპტიმალურია აქტივობის თავისუფალი გამოვლენის თვალსაზრისით, არის ბავშვის წარმატებული განვითარების გარანტია, ვინაიდან ბავშვები, რომელთა განვითარების დროს წახალისებული იყო ავტონომია და ინიციატივა, შინაგანად მოტივირებულები და სხვადასხვა სიტუაციის დაუფლებაზე ორიენტირებულები არიან. განვითარების, სოციალური დასწავლის პროცესში ხდება გარეგანი მოთხოვნების გადაქცევა შინაგან რეგულაციად. ესაა ე.წ. *ინტერნალიზაციის* პროცესი, რომელიც თვითდეტერმინაციის თეორიაში გაგებულია

როგორც ქცევის გარეგანი მამოძრავებელი ძალებისა და საშუალებების გადართვა შინაგან პლანში. ინტერნალიზაციის შედეგად გარეგანი მოთხოვნები და ქცევის შედეგები ადამიანის შინაგანი სამყაროს ნაწილად გარდაიქმნება და აღარ საჭიროებენ გარეგან განმტკიცებას. ინტერნალიზაცია შინაგანი მოტივაციის ფორმირების ყველაზე პროდუქტიული ხერხია. ის უზრუნველყოფს ბავშვის ყველაზე უფრო ჰარმონიული განვითარების შესაძლებლობას. კონტროლსა და ზემოქმედებას, ცხადია, ვერ ავცდებით, მაგრამ „მშობლებისა და პედაგოგების წინაშე მდგარი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, გარეგანი განმტკიცებების მეშვეობით ისე მოვახდინოთ ბავშვის ქცევის რეგულაცია, რომ ეს რეგულირება თანდათანობით მისაღები გახდეს მისთვის, მის საკუთრებად გარდაიქმნას და კონტროლის გამოყენებამ არ მოახდინოს ნეგატიური ეფექტი ბავშვის შინაგანად მოტივირებული ქცევის სახეობებზე" [40; 129]. გადაჭარბებული კონტროლისა და არასტაბილურობის სიტუაციაში ინტერნალიზაცია სათანადოდ ვერ ხორციელდება, რასაც არაადეკვატური განვითარება და ფსიქოპათოლოგია მოჰყვება. ზოგიერთ სიტუაციაში ბავშვების კონტროლი აუცილებელია, მაგრამ, ძირითადად, მშობელი უნდა ეცადოს, დაეხმაროს ბავშვს, სწორად გაერკვეს სიტუაციაში, იპოვოს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ოპტიმალური გზები სოციალური საზღვრების დარღვევის გარეშე. რაც უფრო მეტ გადაწყვეტილებას იღებს ბავშვი დამოუკიდებლად, მით უფრო კარგად ეჩვევა თვითდეტერმინაციას. ამ უნარის განვითარება იწყება დაბადებისთანავე, გაივლის ოთხ სტადიას, რომლებიც აღწერილია თეორიაში, და მეტ-ნაკლებად დასრულებულ სახეს იღებს თორმეტი წლისთვის[39].

თვითდერმინაციის ცნება მჭიდროდ არის დაკავშირებული ნებისყოფის ცნებასთან. ეს უკანასკნელი გაგებულია როგორც უნარი გადაწყვეტილების მიღებისა გარედან და შიგნიდან (პიროვნებაში მიმდინარე პროცესებიდან) მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. ნებისყოფა დაფუძნებულია შინაგან მოტივაციაზე. ის ადამიანის ჯანმრთელი ფუნქციონირების აუცილებელი ასპექტია, რამდენადაც შესწევს უნარი, გადაჭრას კონფლიქტი (დაპირისპირება) მოთხოვნილებებს შორის და დაიმორჩილოს ქცევა. ამასთან, როგორც ჩანს, ქცევის ნებელობითი რეგულაციის უნარი არაა გაიგივებული თვითდეტერმინაციასთან. ეს უკანასკნელი უფრო ფართო ცნებაა, რომელიც მოიცავს ნებელობით ქცევასაც.

მოცემული თეორიული მოდელის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია მცდელობა, ქცევის დეტერმინაციის ახსნისას გაერთიანდეს მოტივაციური, კოგნიტური და ემოციური რეგულაციის სახეები, მაქსიმალურად დაუკავშირდეს ისინი ერთმანეთს. ეს უდავოდ დადებითი მომენტია და ქცევის თეორიის სწორი ორიენტაცია. ფსიქოლოგიაში უკვე დაგროვდა ემპირიული ცოდნის დიდი მასივი თითოეული ამ სისტემის ფუნქციონირებისა და განვითარების შესახებ. ჯერი იმაზეა, რომ მოხდეს ამ ცოდნის ინტეგრაცია არაწინააღმდეგობრივი და საკმარისად ეკონომიური თეორიული მოდელის სახით. ამისთვის საჭიროა *სისტემურ-ინტერაქციული მეთოდოლოგიის* გამოყენება. ეს უკანასკნელი მოიცავს სისტემის ელემენტების ნომენკლატურის ზუსტ განსაზღვრას. ამ მხრივ დეცი-რაიანის მოდელში ბევრი რამაა გაკეთებული. მასში ლაპარაკია აქტივობის ისეთ მდგენლებზე, როგორებიცაა: კომპეტენცია (რაც

ახლოსაა ბანდურას თვითეფექტურობასთან), დასწავლა, განმტკიცება, ავტომატიზმები, თვითდეტერმინაცია, მოტივაცია, ნებისყოფა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქცევის სტრუქტურა ამომწურავადაა განხილული (მაგალითად, შედარებით სუსტადაა დამუშავებული ქცევის ოპერაციული მხარე). მოდელში განხილული სტრუქტურის ელემენტებიც, ხშირ შემთხვევაში, არ არის სრულყოფილად დახასიათებული. მაგალითად, ნებისყოფის ცნება გამოყენებულია მხოლოდ როგორც აღწერითი და ისიც არაზუსტად. არ ჩანს ის, რაც ძირეულია ქცევის ნებელობითი რეგულაციისთვის. უბრალო მითითება იმაზე, რომ ნებისყოფა ცნობიერი არჩევანის უნარია, რომელიც მოთხოვნილებებს შორის კონფლიქტებს აგვარებს, რა თქმა უნდა, საკმარისი არაა. ამითაც რომ შემოიფარგლებოდეს ნებისყოფის ფუნქცია, მთავარი იმის ჩვენებაა, თუ როგორ კეთდება ეს. ნებისყოფის პრობლემა, რომელსაც ამდენი ხანია, ებრძვის ფსიქოლოგია, სწორედ ესაა. საკმარისი არ არის მხოლოდ იმის თქმა, რომ „ნებისყოფის გამოვლინებას ენერგიას აძლევს კომპეტენტურობისა და თვითდეტერმინაციის თანდაყოლილ მოთხოვნილებებზე დაფუძნებული შინაგანი მოტივაცია“ [14]. გამოდის, რომ ნებისყოფა დაიყვანება გარკვეული ტიპის მოთხოვნილებების მოქმედებაზე, მაგრამ მაშინ გაუგებარია, რა საჭიროა საერთოდ ნებისყოფა, რატომ არ შეუძლიათ აქტივობის ამ აღმძვრელებს, თავად წარმართონ ქცევა? არც ისაა ნათელი, როგორ და რატომ უკავშირდება ნებისყოფა კომპეტენციას (განა განათლებულ ადამიანს მეტი ნებისყოფა აქვს?); ან რით განსხვავდება ნებისყოფა თვითდეტერმინებულობისგან (განა ნებისყოფა, ფაქტობრივად, თვითდეტერმინაცია, ანუ საკუთარი თავიდან გამომდინარე ქცევის წარმართვა არ არის?).

ამ თეორიაში თვითდეტერმინაციის საკითხის განხილვა უფრო გლობალურ, ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიურ განასერშიც მიმდინარეობს. სახელდობრ, იგი უკავშირდება თავისუფლების პრობლემას. თვითდეტერმინაცია ფენომენოლოგიის (და არა მექანიზმის) დონეზე, გარე თუ შიდა ძალებისგან თავისუფლების განცდას ნიშნავს. დეცი მყარად დგას საბუნებისმეტყველო პარადიგმის პოზიციაზე და მიაჩნია, რომ ქცევა დეტერმინირებული, გარკვეული ფაქტორებით განსაზღვრული პროცესია. ამიტომ თავისი ეგზისტენციალისტი თუ მათთან დაახლოებული სხვა კოლეგებისგან განსხვავებით, იგი არ ფიქრობს, რომ თავისუფლება ადამიანის გლობალური ანთროპოლოგიური მახასიათებელია, ხოლო ნების თავისუფლება არსებითად თვითდეტერმინაციის სინონიმი, რამდენადაც გამოხატავს ადამიანის მიერ თავისი მოქმედების კონტროლის განცდისეულ, ფენომენოლოგიურ მხარეს [21]. მაგრამ, დეცის აზრით, უნდა განვასხვავოთ ნებისყოფა და ნების თავისუფლება. ნებისყოფის ცნება, ნების თავისუფლებისგან განსხვავებით, არ ნიშნავს თავისუფლებას განსაზღვრულობისგან ანუ ინდეტერმინებულობას. ნებისყოფა შეიძლება გავიგოთ როგორც ადამიანის უნარი, აზრებსა და გრძნობებზე დაყრდნობით, გარკვეულ დონემდე თავად განსაზღვროს საკუთარი ქცევა. ნებისყოფა, ფაქტობრივად, ნიშნავს უნარს გადაწყვეტილების მიღებისა იმის შესახებ, როგორ მოიქცე და გამოიყენო ეს გადაწყვეტილება საკუთარი ქცევის მიზეზის სახით. მაშასადამე, თვითდეტერმინაცია მოიცავს საკუთარი ნებისყოფის, გადაწყვეტილების პროცესის გამოყენებას. „ეს პროცესი

შეიძლება განხილულ იქნეს როგორც კანონზომიერება, რამდენადაც პრინციპები, რომლებსაც ემყარებიან ადამიანები არჩევანის დროს, მეცნიერულ შესწავლას ექვემდებარებიან" [14]. ამდენად, ნებელობითი ქცევა დეტერმინირებული (ანუ არათავისუფალი) პროცესია.

ავტორს თითქოს ესმის ნებისყოფის პრობლემის არსი, რომელიც იმაში მდგომარეობს, თუ საიდან ჩნდება ნებისყოფის ძალა, რა არის ნებელობითი ქცევის ენერგეტიკული წყარო. იგი ხედავს იმ სიძნელეს, რომელსაც აწყდება ნებისყოფის კლასიკური თეორიები, მაგალითად ჯეიმსის ან ლევინის. ამ თეორიებში ნებელობითი ქცევის საბოლოო და ერთადერთ აღმძვრელად დაშვებულია გარკვეული მოთხოვნილებები, რომელთაც თავდაპირველად, ნებისყოფის დაუხმარებლად, ქცევის ინიციაციისა და შემდგომი ენერგიზების ძალა არ შესწევდათ (მაგალითად, კვაზიმოთხოვნილებები). მაგრამ, თუ ასეა, მაშინ გაუგებარია, რატომ უნდა მივიჩნიოთ ისინი ნებელობითი ქცევის მოტივატორებად. დეცი ფიქრობს, რომ მის თეორიაში ეს პრობლემა გადაწყვეტილია. მისი აზრით, ნებისყოფის გამოვლინების ენერგია ჩადებულია შინაგან მოტივაციაში, რომლის საფუძველი კომპეტენციისა და თვითდეტერმინაციის თანდაყოლილი მოთხოვნილებებია [14]. ეს რომ ამ ურთულესი პრობლემის გადაწყვეტა ყოფილიყო, ფსიქოლოგია მართლაც დიდ ნაბიჯს გადადგამდა წინ ქცევის სრულყოფილი თეორიის ჩამოყალიბების გზაზე. სამწუხაროდ, ეს ასე არ არის.

ზედმეტი დეტალიზაციის გარეშე, ნებისყოფის პრობლემის სათავე ისაა, რომ არ არის ნათელი, როგორ ხდება შესაძლებელი ისეთი ქცევის განხორციელება, რომლის შესრულების სურვილი სუბიექტს არ გააჩნია; როგორია ასეთი ქცევის მოტივაციური მექანიზმი; რანაირად წყდება საკითხი „მინდასა" და „საჭიროს" („უნდას") შორის. სამწუხაროდ, ამ საკითხში გარკვეულობა არც თვითდეტერმინაციის თანამედროვე მოდელებს შეაქვთ. თუ ეს „საჭირო" ისეა ინტერნალიზებული (გაშინაგანებული), რომ შინაგან მოტივაციად იქცა, ანუ სასურველი გახდა, მაშინ აღარც საჭიროების განცდა უნდა გვქონდეს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ნამდვილ ნებელობით აქტს ეს განცდა ყოველთვის თან ახლავს, რასაც ნებელობითი ქცევის ფენომენოლოგიის ყველა კვლევა ადასტურებს [2][4][6][17]. აქედან გამოდის, რომ ნებელობითი ქცევის შემთხვევაში საქმე სხვა მოტივატორთან, აღმძვრელ ძალასთან გვქონია, რომლის ბუნება და წარმომავლობა სულაც არ არის ნათელი. ყოველ შემთხვევაში, შინაგანი მოტივაციის ცნება ამ პრობლემის გადაჭრაში სინათლეს ვერ შეიტანს. საგულისხმოა, რომ თავად თეორიის ავტორების მიერ თვითდეტერმინაციის ერთ-ერთ ემპირიულ კრიტერიუმად მიჩნეულია ისეთი ფსიქოლინგვისტური ინდიკატორი, როგორიცაა მეტყველებაში ზმნა „მინდას" სიჭარბე, „უნდასთან" შედარებით [41]. მაგრამ, თუ „უნდა" განცდა ნებელობითი მოქმედების გამოხატულებაა, მაშინ თვითრეგულაცია და ნებისყოფა ურთიერთდაკავშირებული კი არა, ურთიერთდაპირისპირებული ცნებები ყოფილა, რაც წინააღმდეგობაში მოდის ამ თეორიასთანაც და, საერთოდ, საღ აზრთანაც.

თვითდეტერმინაციის ცნებაზე აგებულ სხვა თანამედროვე მოდელებში თვითრეგულაციის (ნებისყოფის) უნარი არსებითად გაიგივებულია თვითცნობიერების

უნართან. სწორედ თვითცნობიერება გამოდის ქცევის მადეტერმინებელ ძალად [21]. მაგრამ ასეთი მიდგომა, ფაქტობრივად, ახალი ტერმინოლოგიით ძველი შეხედულების გამეორებაა, რომელსაც ნებისყოფა ცნობიერებაზე დაყავს. ჯერ კიდევ არისტოტელეს მიაჩნდა, რომ ნებელობითი ქცევის საფუძველი ე.წ. პრაქტიკული გონებაა [3]. ის, რომ ცნობიერება საზოგადოდ და თვითცნობიერება კერძოდ, ნებელობითი ქცევის აუცილებელი პირობაა, უდავოა. უზნაძე წერდა: „ნებელობის ყველა შემთხვევისთვის მე-სა და ქცევის ობიექტივაციაა დამახასიათებელი" [4; 178]. მე-ს ობიექტივაცია არსებითად თვითცნობიერებაა, მაგრამ გაცნობიერებული და ნებელობითი ქცევა ერთი და იგივე არაა [2][18]. საკუთრივ პიროვნებაზე იქნება ცნობიერება მიმართული, თუ მოქმედების შესრულების გარემოებებზე, სულერთია: „თვითონ ცნობიერებას, ცნობიერების მოვლენას არ შეუძლია, რაიმე მიზეზობრივი მოქმედება შეაპირობოს" [6; 64]. ნებისყოფა ქცევას აღძრავს, მას მოტივაციური ძალა აქვს, რასაც ცნობიერება მოკლებულია. ცნობიერებას რომ შეეძლოს, გაგვაკეთებინოს ის, რაც ჩვენ მიერ საჭიროდ/აუცილებლად არის მიჩნეული, ნებისყოფის ურთულესი პრობლემა საერთოდ არც დადგებოდა დღის წესრიგში. რა საჭიროა ნებისყოფა, თუ კი საკმარისია გაფიქრება/გაცნობიერება, რომ რაიმეს გაკეთებაა საჭირო და ეს ქმედებაც თავისთავად შესრულდება?! თვითდეტერმინაციის თეორია, რომელიც ნებელობის თავისებურებას და, შესაბამისად, თავისუფლების საფუძველს ცნობიერების (თვითცნობიერების) არსებობაში ხედავს, ძალაუნებურად ძველ, ე.წ. „იდეამოტორული თეორიის", პოზიციაზე მიბრუნებაა, რომლის თანახმად, ცნობიერებაში მოძრაობის იდეის გაჩენას უშუალოდ შეუძლია, გამოიწვიოს შესაბამისი მოძრაობა. თ. რიბო იდეისთვის მოძრაობის გამოწვევის ფუნქციის მიწერას სპირიტუალიზმად და მისტიკად მიიჩნევდა, ხოლო ე. ტიტჩენერის ერთობ დამცინავი კომენტარის მიხედვით, იდეამოტორული შეხედულების გაზიარება იმის ტოლფასია, რომ აზრს „ბალახის მორწყვის" თაობაზე მიაწერო რეალური ძალა, უშუალოდ მოიყვანოს მოქმედებაში სარწყავი მოწყობილობა. მიუხედავად ამისა, თვითდეტერმინაციის ტერმინოლოგიაში შეფუთული ნებისყოფის პრობლემატიკის აქტუალიზაცია თანამედროვე ფსიქოლოგიის უთუოდ დადებით ტენდენციად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც პოზიტიურ კვლევით პერსპექტივას აჩენს [60].

სასურველია სიცხადის შეტანა მოცემული თეორიული სისტემის სხვა მომენტებშიც. მისი ამოსავალი არსებითად სინონიმური თვითდეტერმინაციისა და ავტონომიურობის ცნებებია. თავის მხრივ, ავტონომიურობა მიბმულია შინაგან და გარეგან მოტივაციაზე. აქედან გამომდინარე, გარეგანი მოტივაციის 4 ტიპს ავტონომია-თვითდეტერმინირებულობის მზარდი დონეები შეეფარდა. ვინაიდან რეგულაციის ბოლო ორ ტიპს ავტონომიის აშკარა ნიშნები აღენიშნება, ძნელი აღმოჩნდა მათი გამოყოფა შინაგანად მოტივირებული და, მაშასადამე, მთლიანად ავტონომიური ქცევისგან. ამის გათვალისწინებით, თეორიის ბოლო ვერსიაში შემოიტანეს ახალი დიქოტომია – ავტონომიური და კონტროლირებადი მოტივაციური რეგულაციის სახით. მაგრამ ეს ახალი დიქოტომია ერთგვარად არყევს მთელი თეორიული კონსტრუქციის სიმ-

წყობრეს. განსხვავება შინაგან თვითრეგულაციასა და გარეგან თვითრეგულაციას შორის ისპობა, რჩება მხოლოდ ავტონომიისა და კონტროლის დისკრიმინაციული ნიშანი. რადგანაც ძალაშია კონცეპტი ამოსავალი ფუნდამენტური მოთხოვნილებების შესახებ, უნდა ვიფიქროთ, რომ ავტონომიური ქცევა მოტივირებულია ავტონომიისა და კომპეტენციის მოთხოვნილებებით, ხოლო კონტროლირებადი – არა. მაგრამ რა ვუყოთ იმ უეჭველ ფაქტს, რომ არსებობს ავტონომიურობის განცდის მრავალი გარდამავალი ფორმა. განა ცოტაა ქცევა, რომელთა ფენომენოლოგიური სურათი გამოკვეთილად ამბივალენტური ხასიათისაა – მათში ავტონომიურობისა და თავსმოხვეულობის განცდა თანაარსებობს. ასეც რომ არ იყოს, მხოლოდ იმ მოთხოვნილებების მიხედვით, რომლებიც მოცემულ თეორიაშია პოსტულირებული, ძნელია რთული ადამიანური ქცევის ფორმების სრულყოფილად დახასიათება, მაგალითად, სწავლის ან შრომის (სწორედ ისინი არიან მოქცეული ამ კონცეფციის ფარგლებში მიმდინარე მრავალრიცხოვანი ემპირიული კვლევების ფოკუსში). საქმე ისაა, რომ რთული ადამიანური ქცევები პრაქტიკულად ყოველთვის პოლიმოტივირებულია; მათ ენერგიას ანიჭებს და აღძრავს არაერთი განსხვავებული სახის (ბიოგენური, ფსიქოგენური თუ სოციოგენური) მოთხოვნილება სხვადასხვა ინტენსიობით. ამ პოლიმოტივაციურ სტრუქტურებში საკმაოდ რთული შინაარსული და დინამიკური პროცესები მიმდინარეობს, რომლებიც უთუოდ ახდენენ გავლენას იმაზე, როგორ ხორციელდება კონკრეტული ქცევის თვითრეგულაცია [2][18]. პოლიმოტივაციის ფენომენის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ქცევის რეგულაციაზე რამდენადმე ადეკვატური წარმოდგენის შექმნა, რაც, როგორც ჩანს, სათანადოდ არ არის გააზრებული მოცემულ თეორიაში. ურიგო არ იქნებოდა, ასევე, თუ მეტი ყურადღება მიექცეოდა ქცევის პროცესუალურ მხარესთან დაკავშირებულ მოტივაციას, რის გარეშეც შინაგანი მოტივაციის სრულფასოვანი დახასიათება წარმოუდგენელია. უზნაძის ფუნქციონალური ტენდენციის კონცეფცია ამ მხრივ მნიშვნელოვან მოსაზრებებს შეიცავს [5]. ქცევის შინაგანი მოტივირება ხშირად პროცესუალურ და შინაარსეულ ასპექტებს შეიცავს, რაც გასათვალისწინებელია თეორიაშიც და პრაქტიკაშიც. რაიმე საქმიანობა ზოგჯერ საინტერესოცაა და ფუნქციონალური სიამოვნების მომგვრელიც, მაგრამ ისინი შეიძლება დამოუკიდებლადაც ქმნიდნენ ქცევის შინაგან მოტივაციას.

თვითდეტერმინაციის კონცეფციის დამუშავება ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს. შემუშავებულია რამდენიმე კარგად აპრობირებული მეთოდიკა აღწერილი პიროვნულ-მოტივაციური კონსტრუქტების გამოსავლენად და გასაზომავად. ისინი მიეყენება პრაქტიკის სხვადასხვა სფეროს (სწავლება, ოჯახური აღზრდა, შრომის ორგანიზაცია, ფსიქოთერაპია და ა.შ.). მრავალი ავტორის მიერ ფართოდ გაშლილი ემპირიული კვლევის შედეგები აზუსტებს და აღრმავებს თეორიულ დებულებებს. ყოველივე ეს განიხილება სადღეისოდ ერთობ პოპულარული თვითდეტერმინაციის თემისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ფორუმებსა და მრავალრიცხოვან პუბლიკაციებში. შეიძლება თამამად ითქვას, რომ თვითდეტერმინაციის ფსიქოლოგია ცალკე მეცნიერულ მიმართულებად ჩამოყალიბდა და მის ფარგლებში მიმდინარე ფართო მასშტაბის სამუშაო უთუოდ მოიტანს შედეგს.

ლიტერატურა

1. იმედაძე ი., ორგვარი ფსიქოლოგიის პრობლემა და განწყობის თეორია / მაცნე, „ფსიქოლოგია", 2006, 1 (ნ. კენჭაძესთან თანაავტ.) 75-91.
2. იმედაძე ი., გამოკვლევები თეორიულ ფსიქოლოგიაში. Capra diem, თბილისი, 2013.
3. იმედაძე ი., ფსიქოლოგიის ისტორია: ანტიკური ხანიდან ჩვენ დრომდე. მწიგნობარი, თბილისი, 2021.
4. უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია / შრომები, ტ. 3-4, მეცნიერება, თბილისი, 1964.
5. უზნაძე დ., ბავშვის ფსიქოლოგია / შრომები, ტ. 5, მეცნიერება, თბილისი, 1967.
6. ჩხარტიშვილი შ., ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა. ცოდნა, თბილისი, 1958.
7. Бонивелл И., Ключи к благополучию: что может позитивная психология. Время, М., 2009.
8. Гордеева О. В., Измененные состояния сознания и культура. Хрестоматия. Питер, СПб, 2009.
9. Гордеева Т. О., Теория самодетерминации: настоящее и будущее. Часть 1: Проблемы развития теории [Электронный ресурс] // Психологические исследования: электрон. науч. журн. 2010, 4 (12). URL: http://psystudy.ru. 0421000116\0041.
10. Гордеева Т. О., Теория самодетерминации: настоящее и будущее. Часть 2: Вопросы практического применения теории [Электронный ресурс] // Психологические исследования: электрон. науч. журн. 2010, 5 (13). URL: http://psystudy.ru. 0421000116/0050.
11. Гроф С., За пределами мозга. Центр «Соцветие», М., 1992.
12. Гроф С., Путешествие в поисках себя. АСТ, М., 2008.
13. Дергачева О. Е., Автономия и самодетерминация в психологии мотивации: теория Э. Деси и Р. Района / Современная психология мотивации. Смысл, М., 2002.
14. Деси Э. Л., Самодетерминация (self-determination). Психологическая энциклопедия. 2-е изд. / Под ред. Р. Корсини, А. Ауэрбаха. Питер, СПб., 2006. http://yanko.lib.ru/books/psycho/psych-enc.htm
15. Добряков И. В., Перинатальная психология. Питер, СПб., 2010.
16. Друри Н., Трансперсональная психология. Инициатива, Львов, 2001.
17. Ильин Е., П. Психология воли. Питер, СПб., 2009.
18. Имедадзе И. В., Категория поведения в теории установки. Мецниереба, Тбилиси, 1991.
19. Клифтон Д., Рат Т., Сила оптимизма. Почему позитивные люди живут дольше. Альпина Паблишер, М., 2014.
20. Леонтьев Д. Н., Психология смысла. Смысл, М., 1999.
21. Леонтьев Д. А., Психология свободы: к постановке проблемы самодетерминации / Психологический журнал. 2000, 1. С. 15-25.
22. Леонтьев Д. А., Позитивная психология – повестка дня нового столетия / Психология. Журнал Высшей школы экономики, 2012, 4. С. 36-58.
23. Майерс Д., Психология. ООО Попурри, Минск, 2001.

24. Маслоу А., По направлению к психологии бытия. ЭКСМО-пресс, М., 2002.
25. Поддьяков А., Н. Позитивная психология и проблема зла / Психологические исследования. 2012, 2 (22). http://www.psystudy.ru/index.php/num/2012n2-22/659-poddiakov22.
26. Психотерапия - что это? Современные представления / Под ред. Дж. К. Зейга и В. М. Мьюниона. Класс, М., 2000.
27. Ранк О., Травма рождения и её значение для психоанализа. Когито-Центр, М., 2009.
28. Селигман М., Как стать оптимистом. АСТ, М., 1994.
29. Селигман М., Новая позитивная психология: научный взгляд на счастье и смысл жизни. София, М., 2006.
30. Солодушкина М. В., Позитивная психология: успехи, проблемы и перспективы. Психологические исследования. 2012, 5 (24). http://psystudy.ru/index.php/num/2012v5n24/709-solodushkina24.
31. Тарт Ч., Изменённые состояния сознания. Эксмо, М., 2003.
32. Уилбер К., Проект Атман. Трансперсональный взгляд на человеческое развитие. АСТ, М., 2004.
33. Франкл В., Человек в поисках смысла. Прогресс, М., 1990.
34. Хекхаузен Х., Мотивация и деятельности. Питер, СПб., 2003.
35. Чикесентмихайи М., Креативность: психология открытий и изобретений. Карьера Пресс, М., 1996.
36. Чиксентмихайи М., Поток: психология оптимального переживания. Смысл, М., 2011.
37. Csikszentmihalyi M., The evolving self: a psychology for the third millennium. Harper Perennial, New York, 1994.
38. Csikszentmihalyi M., Flow and the foundations of positive psychology: the collected works of Mihaly Csikszentmihalyi. Springer, Dordrecht, 2014.
39. Deci E. L., The psychology of self-determination. Lexington books, Toronto, 1980.
40. Deci E. L., Ryan R. M., Intrinsic motivation and self-determination in human behavior. Plenum Publishing, New York, 1985.
41. Deci E. L., Ryan R. M., A motivational approach to self: integration in personality / R. Dienstbier (Ed.). Nebraska symposium on motivation. Vol. 38. University of Nebraska Press. Lincoln, NE: 1991. P. 237-288.
42. Deci E. L., Ryan R. M., Handbook of self-determination research. University of Rochester Press, Rochester, New York, 2002.
43. Diener E. L., What is positive about positive psychology: the curmudgeon and pollyanna / Psychological Inquiry, 2003, 14 (2). P. 115–120.
44. Deci, E. L., Ryan, R. M., Self-determination theory: A macrotheory of human motivation, development, and health / Canadian Psycholog, 2008, 49 (3). P. 182–185.
45. Haybron D. Happiness / E. N. Zalta (ed.), The Stanford Encyclopedia of Philosophy (Fall 2011 Edition), URL = https://plato.stanford.edu/archives/fall2011/entries/happiness/.
46. Held B. S., The negative side of positive psychology // Journal of Humanistic Psychology, 2004, 44 (1). P. 9–46.

47. Franken R. E., Human Motivation. Wadsworth, New York, 2006.
48. Grof S., Psychology of the future: lessons from modern consciousness research. State University of New York Press, New York, 2000.
49. Grof S., Healing our deepest wounds: the holotropic paradigm shift. Stream of Experience Productions, Washington: 2012.
50. Kasprow M. C., Scotton B. W., A Review of transpersonal theory and its application to the practice of psychotherapy / Journal of Psychotherapy Practice and Research, January 1999, 8. P. 12-23.
51. Lazarus R. S., Does the positive psychology movement have legs? / Psychological Inquiry. 2003a, 14 (2). P. 93–109.
52. Lazarus R. S., The Lazarus manifesto for positive psychology and psychology in general / Psychological Inquiry, 2003b, 14 (2). P. 173–189.
53. Linley P. A., Joseph S., Harrington S., Wood A. M., Positive psychology: past, present and possible future / The Journal of Positive Psychology, 2006, 1 (1). P. 3–16.
54. Ryan R. M., Deci E. L., Self-determination theory and the facilitation of intrinsic motivation, social development and well-being / American psychologist, 2000, 55 (1). P. 68-78.
55. Seligman M., Learned optimism: how to change your mind and your life. Knopf, New York, 1991.
56. Seligman M., Authentic happiness. Using the new positive psychology to realize your potential for lasting fulfillment. Free Press, New York, 2002.
57. Seligman M., Flourish: A visionary new understanding of happiness and well-being. Free Press, New York, 2011.
58. Smith N. W., Current systems in psychology: history, theory, research, and applications. Wadsworth, Belmont, CA, 2001.
59. Transpersonal psychologies / C. Tart (Ed.). Harper, San Francisko, 1992.
60. Zhu J., Understanding of volution / Philosophical Psychology, 2004, 17 (2). P. 247-273.
61. Wilber K., Integral Psychology: consciousness, spirit, psychology, therapy. Shambhala Publications, Washington, 2000.

XIV თავი

ფსიქოლოგიური მეცნიერება: მდგომარეობა და განვითარების ტენდენციები

ფსიქოლოგიის ისტორიკოსებს ხშირად მოჰყავთ ჰ. ებინჰაუსის სიტყვები: „ფსიქოლოგიას ხანგრძლივი წარსული და მოკლე ისტორია აქვს". მისი წარსული ანტიკურ სამყაროში, ევროპული ფილოსოფიის სათავეებთან მიგვიყვანს, ხოლო, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების ისტორია, დაახლოებით 150 წელს ითვლის. ასეა თუ ისე, იგი ყოველთვის ურთიერთდაპირისპირებული და ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი ზოგადფსიქოლოგიური კონცეფციების ჭიდილის ასპარეზი იყო. ეს ვითარება, რომელიც ფსიქოლოგიის დისციპლინარულ ერთიანობას ეჭვის ქვეშ აყენებს, კარლ ბიულერის მიერ მონათლულია *ფსიქოლოგიის კრიზისად* [87]. მისი ანალიზი მეთოდოლოგიური კვლევის ერთ-ერთი მთავარი საკითხია.

კრიზისს, არსებითად, ორი წყარო ასაზრდოებს: ერთი ის, რომ, ზოგადობის პრეტენზიის მიუხედავად, თეორიული სისტემები მეტ-ნაკლებად მაინც ზღუდავენ კვლევის საგნობრივ ველს და ფსიქოლოგიური რეალობის სხვადასხვა ასპექტზე აკეთებენ აქცენტს; მეორე ის, რომ ფსიქოლოგიური თეორიის ხასიათზე ყოველთვის აისახება მისი ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი საფუძვლის თავისებურებანი. აქედან გამომდინარე, ჩვეულებრივ, ფსიქოლოგიის ორი ძირითადი ნაირსახეობა გამოიყოფა. ამგვარ დაყოფას ჩვენი მეცნიერების სათავეებთან მივყავართ (ვუნდტი-დილთაი). *ორგვარი ფსიქოლოგიის* იდეა ყველაზე მკვეთრად ახსნილი და აღწერილი (დილთაი) ან გაგებითი (შპრანგერი) ფსიქოლოგიების დაპირისპირებაში ჩამოყალიბდა [27][82]. შემდგომში მან *საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული* ფსიქოლოგიის დიქოტომიის სახე მიიღო. სადემარკაციო ხაზი თეორიებს შორის, ამ შემთხვევაში, მეთოდოლოგიურ პრინციპებზე გადის.[1]

ბუნებისმეტყველურად ან სციენტისტურად ორიენტირებულ ფსიქოლოგიას ამ კუთხით ახასიათებს შემდეგი: *დეტერმინიზმის პრინციპის* თანმიმდევრული დაცვა, *ნომოთეტურობა* ანუ ზოგადი კანონზომიერებების ძიება, კვლევის მკაცრი მეცნიერული, მათ შორის *ექსპერიმენტული პროცედურების გამოყენება, ცოდნის ვერიფიკაცია, პროცესების პროგნოზირება და მართვა*. ამ ნიშნებით ხასიათდება ბიჰევიორიზმის ყველა ნაირსახეობა, გეშტალტფსიქოლოგია და ველის თეორია, ზოგიერთი

[1] ზოგჯერ ამბობენ, რომ ფსიქოლოგიაში თანაარსებობს „ორი დისციპლინა" [91] ან „ორი კულტურა" [98] – მეცნიერული და ჰუმანიტარული. კიმბლის მიხედვით, ისინი ხუთი ძირითადი პარამეტრით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ესენია: 1) კვლევის პირობები (ლაბორატორია – შემთხვევების კლინიკური კვლევა); 2) კანონების საყოველთაოობა (ნომოთეტური – ოდეოგრაფიული); 3) ანალიზის დონეები (ელემენტარიზმი – ჰოლიზმი); 4) ღირებულებები (მეცნიერული – ჰუმანიტარული); 5) ცოდნის წყარო (დაკვირვება – ინტუიცია).

პერსონოლოგიური სისტემა, კოგნიტური ფსიქოლოგიის ყველა მიმართულება და სხვა ნაკლებგავლენიანი კონცეფციები. რაც შეეხება კლასიკურ ფსიქოანალიზს, მისი ცალსახა კვალიფიკაცია, ამ თვალსაზრისით, ჯერჯერობით არ არის შეთანხმებული (იხ. თავი I).

ჰუმანისტური, ფენომენოლოგიური და ეგზისტენციალური თეორიები ფსიქოლოგიის ე.წ. ჰუმანიტარული ვერსიის ტიპური წარმომადგენლები არიან. არსებითად, მასვე მიეკუთვნება: გონის ფსიქოლოგია, პერსონოლოგიის გარკვეული ნაწილი, სიღრმის ფსიქოლოგიისა და ნეოფროიდიზმის რამდენიმე მოდელი. ამ შემთხვევაში აქცენტი კეთდება თავისუფლების პრინციპზე; ეგზისტენციალურ ფსიქოლოგიაში დეტერმინიზმთან დაპირისპირება, ფაქტობრივად, ინდეტერმინიზმის და ანტისციენტიზმის სახეს იღებს (რ. ასანჯიოლი, ლ. ბინსვანგერი, მ. ბოსი, ჯ. ბუგენტალი, რ. მეი და სხვ.). მეცნიერული ნიადაგიდან სრული მოწყვეტის საფრთხე მკვლევრების ერთ ნაწილს უფრო ზომიერი პოზიციის დაკავებას და დეტერმინიზმის გარკვეული დოზით დაშვებას კარნახობს (ა. მასლოუ, გ. ოლპორტი, კ. როჯერსი, ვ. ფრანკლი და სხვა). მაგალითად, როჯერსი უშვებს დეტერმინიზმის ელემენტს მეცნიერებაში, მაგრამ ფსიქოთერაპიაში ან ყოფითი ქმედების დონეზე ხაზს უსვამს არჩევანის თავისუფლების პრიმატს. თუ საკითხი ასე ისმის, ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, რომ არჩევანსაც თავისი საფუძველი აქვს, რომ ისიც გარკვეულად დეტერმინირებულია. მ.არნოლდი ამბობდა: ყველა არჩევანს თავისი მიზეზი აქვს, მაგრამ ეს მიზეზი ამომრჩეველშია. ფრანკლი ასეთ მიზეზებს ახასიათებს როგორც სუბიექტურ საფუძვლებსა და საზრისებს, რომლებიც მოტივების სახით მოქმედებენ. როგორც პრაქტიკოსი ფსიქოთერაპევტები, რომლებსაც რეალურ ქცევასთან აქვთ საქმე, ეგზისტენციალისტი ფსიქოლოგები ნათლად ხედავენ, რომ ქცევის ახსნა მხოლოდ ადამიანის „თავისუფალი ნებით“, რომელსაც ყოველგვარი მიზეზის გარეშე შეუძლია აირჩიოს ყველაფერი, „რაც კი მოესურვება“, არა მხოლოდ თეორიულადაა უმართებულო, არამედ პრაქტიკულადაც არაპროდუქტიულია. ამიტომ დეტერმინიზმთან გაიგივებული კაუზალობის ნაცვლად მათ ქცევის *მოტივირებულობის პრინციპი* შემოაქვთ. ადამიანის გადაწყვეტილება და ქცევა მიზეზობრივად კი არ არის გამოწვეული გარეგანი ფაქტორებით, არამედ შინაგანად არის განპირობებული მოტივებით [62]. მ. ბოსი პირდაპირ ამბობს: სულიერ დაავადებას არ გააჩნია მიზეზები; მას მხოლოდ მოტივები აქვს. ადამიანურ სამყაროში მიზეზები საერთოდ არ მოქმედებენ; ანმყო მოტივირებულია წარსულით და არა დეტერმინირებული [89]. ცხადია, აქ მთავარი პრობლემა იმის გარკვევაა, ნიშნავს თუ არა მოტივირებულობა თავისუფლებას და თუ ნიშნავს, რა აზრით. ყოველ შემთხვევაში ფრანკლი ფიქრობს, რომ ერთმანეთს თავისუფლება და დეტერმინიზმი კი არ უპირისპირდება, არამედ თავისუფლება და პანდეტერმინიზმი. ეს უკანასკნელი კაუზალობის პრინციპის უნივერსალიზაციას და ადამიანის სულიერი სამყაროს სიტუაციური და გენეტიკური ფაქტორებით სრულ განსაზღვრულობას გულისხმობს. ადამიანი, ფრანკლის აზრით, თავისუფალია საბოლოო მიზნის და არა პირობების მიმართ. იგი თავისუფალია საკუთარი პოზიციის არჩევანში ამ პირობების მიმართ. ადამიანი „ცნობიერად თუ არაცნობიერად, თვითონ წყვეტს, შეეწინააღ-

მდეგოს პირობებს თუ დაემორჩილოს მათ და თავს უფლება მისცეს, მათ მიერ იყოს განსაზღვრული“ [72; 78].ამ არჩევანს, თავის მხრივ, კონკრეტული საფუძველი აქვს მოტივის სახით. ამდენად, დეტერმინაცია თითქოს მაინც სახეზეა. მიუხედავად იმისა, რომ არ ჩანს ნათელი პასუხი, თუ რამდენად შეიძლება ჩაითვალოს ეს ყოველივე ჭეშმარიტ ეგზისტენციურ თავისუფლებად, ამ ტიპის ფსიქოლოგიის ყველა მოდელში პიროვნების ნების თავისუფლების პრინციპის პრიორიტეტი ეჭვს გარეშეა.

ამგვარი პოზიცია სხვა ნიშნებსაც განსაზღვრავს, მაგალითად, მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას მეცნიერული კვლევის მკაცრი და ზუსტი პროცედურების მიმართ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ორი სახის მიდგომა არსებობს. ფენომენოლოგიური კვლევის ერთ-ერთი წამყვანი მეთოდოლოგი ა. ვან-კაამი საკმაოდ კატეგორიულად ამტკიცებს, რომ „ისეთი განცდები, როგორებიცაა: პასუხისმგებლობა, შიში, შფოთვა, გულგატეხილობა, თავისუფლება, სიყვარული, გაოცება ან გამბედაობა, ვერ გაიზომება, მათზე ექსპერიმენტირება შეუძლებელია, ისინი უშუალოდ არსებობენ და შესაძლებელია მხოლოდ მათი ექსპლიცირება თავიანთ მოცემულობაში“ [114; 187]. არსებითად იმავე პოზიციაზე დგანან: კ. აანტუსი, მ. არონსი, ჯ. ბერელი, ლ. ბისვანგერი, მ. ბოსი, რ. მეი, ა. ჯიორჯი და სხვ. საზოგადოდ, ფენომენოლოგიური და ეგზისტენციალური მიმართულების წარმომადგენლები მკვეთრად ილაშქრებენ აკადემიური მეცნიერების მეთოდოლოგიისა და კვლევითი აპარატის გამოყენების წინააღმდეგ, ისეთის, როგორებიცაა: ექსპერიმენტი, ტესტი, სტატისტიკა და ა.შ., ზოგ შემთხვევაში კი მათ სრულ უარყოფამდეც მიდიან. ჰუმანისტური ფსიქოლოგიის უფრო ზომიერი ფრთის წარმომადგენლები ასე რადიკალურნი არ არიან და ექსპერიმენტის გამოყენებას, არ გამორიცხავენ, თუმცა მას მხოლოდ დამატებით და დამხმარე მეთოდად თვლიან. ყველაფერი უნდა იწყებოდეს გაგებით-ფენომენოლოგიური, ანუ ე.წ. *იქსპირიენტული* შემეცნებით და მხოლოდ ამის მერე, ისიც საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია კვლევაში ექსპერიმენტული ან გაზომვითი პროცედურების ჩართვა (ლ. ბუგენტალი, ა. მასლოუ, კ. როჯერსი, ჯ. რიჩლაკი, ი. ჩაილდი და სხვ.). ადამიანის სულიერი სამყაროს შესწავლის ადეკვატურ მეთოდებად მიჩნეულია გაგება, წვდომა, შთაგრძნობა, პიროვნული ჰერმენევტიკა, ინტუიცია. მხოლოდ ამ გზით მოპოვებული ცოდნაა პირველადი და სანდო [37].

შემდეგი თეზისის მიხედვით, ყოველი ადამიანი ინდივიდუალური და უნიკალური ქმნილებაა და ფსიქოლოგიაც მისი განუმეორებელი შინაგანი სამყაროს თავისებურებების ჩვენებით უნდა შემოიფარგლოს (იდეოგრაფიული მიდგომა). გარკვეული განზოგადების შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი „ფსიქოლოგიის საქმეა ფენომენების რაც შეიძლება გულმოდგინე აღწერა. ფსიქოლოგიური მეცნიერების მიზანია ფენომენოლოგიური აღწერა ან ექსპლიკაცია და არა ახსნა და დამტკიცება“ [78; 313]. თუ საქმის ვითარებას უფრო ფართო კონტექსტში შევხედავთ, ნათლად გამოჩნდება ამ მეთოდოლოგიური პოზიციის ანტისციენტიზმი. ეგზისტენციალურად მოაზროვნე ფსიქოლოგებს არაერთხელ გამოუხატავთ თავისი უარყოფითი დამოკიდებულება მეცნიერების შესაძლებლობების მიმართ, განსაკუთრებით, როცა საქმე სულიერი სამყაროს შემეცნებას ეხება. ასე მაგალითად, ბოსი ამტკიცებს, რომ ეგზის-

ტენციალური ფენომენოლოგია და მეცნიერება გამორიცხავენ ერთმანეთს. მეცნიერება წინააღმდეგობაში მოდის „სწორედ იმასთან, რაშიც ეგზისტენციონალური მიდგომა ხედავს თავის ძირითად ღვანლს მედიცინაში. ეს მიდგომა თავის პერსპექტივას (კატეგორიულად არა საბუნებისმეტყველოს, არამედ ფენომენოლოგიურს) ადამიანური „მუნყოფიერების" ყველა იმ სფეროს გაგებაში ხედავს, რომელსაც ვერასდროს მიუახლოვდება საბუნებისმეტყველო ორიენტაცია" [89; 155]. ზუსტად ასევე ფიქრობს როლო მეიც [105]. კარლ როჯერსი კი ამბობს, რომ არ არსებობს ისეთი რამ, როგორც მეცნიერული ცოდნაა, არსებობს მხოლოდ ადამიანთა ინდივიდუალური წარმოდგენები ასეთი ცოდნის შესახებ. სპეციალისტების ზუსტი კომენტარის თანახმად, როჯერსის პოზიცია ამ საკითხში არსებითად იმას ნიშნავს, რომ როგორც არ უნდა შეივსოს მომავალში ჩვენი ცოდნა პიროვნების შესახებ, მეცნიერება და, პირველ რიგში, ფსიქოლოგია ვერასოდეს შეიმეცნებს ადამიანს. მეცნიერების შესაძლებლობები ამ მხრივ ფრიად შეზღუდულია [59]. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარეობს ბოლო ნიშანიც – ესაა პროცესების წინასწარმეტყველებისა და მართვის უარყოფა. იგი ნათლად გამოიკვეთა თუნდაც სკინერისა და როჯერსის ცნობილი დისკუსიისას, როდესაც ეს უკანასკნელი აკრიტიკებდა თავის ოპონენტს იმ საბაბით, რომ ადამიანის, როგორც თავისუფალი და შემოქმედი არსების, ქცევის წინასწარმეტყველება შეუძლებელია, მართვა კი დაუშვებელი [109]. როჯერსი საერთოდ ფიქრობდა, რომ პროგნოზირებადი ქცევა ფსიქიკურად არასრულყოფილი ადამიანებისთვის არის დამახასიათებელი და მის რიგიდულობას გამოხატავს.

ამრიგად, ჰუმანიტარული ტიპის ფსიქოლოგიის სპეციფიკური ნიშნებია: *თავისუფლების პრინციპის პრიმატი, ინდივიდუალურობა-იდეოგრაფიულობა, გაგებითობა-ფენომენოლოგიურობა და ქცევის პროგნოზირება-მართვის უარყოფა*. ეს ნიშნები ეხება შესასწავლი სფეროს დახასიათების მეთოდოლოგიურ და მეთოდიკურ ასპექტებს და არა კონცეფციების შინაარსს, მათ თემატიკას. ძნელი დასანახი არ არის, რომ ფსიქოლოგიის აგების ეს ვარიანტი საკმაოდ განსაზღვრულია მისი ფილოსოფიური ბაზისით – იგულისხმება *სიცოცხლის ფილოსოფია, ფენომენოლოგია და, განსაკუთრებით, ეგზისტენციალიზმი*.

ეგზისტენციალიზმი რთული და არაერთგვაროვანი ფილოსოფიური სისტემაა. თვით ცენტრალური ცნების, ეგზისტენციის, ანუ ადამიანის საკუთარი ყოფიერების, პირადი არსებობის ბუნების გაგებაშიც კი არ არსებობს შეთანხმებული აზრი. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია, ჩამოყალიბდეს ეგზისტენციალური ფილოსოფიის არსებითი ნიშნები, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური მეცნიერების მეთოდოლოგიის თვალსაზრისით. სახელდობრ, ეგზისტენციალიზმი არის *თავისუფლების ფილოსოფია*. თავისუფლება და პასუხისმგებლობა, რომელსაც ის გულისხმობს, არის ადამიანის ყველა სხვა არსებისგან განმასხვავებელი ძირითადი ნიშანი. „ადამიანს თავისუფლება მისჯილი აქვს" (სარტრი). იგი თვითონ აკეთებს არჩევანს და, ამდენად, პასუხისმგებელია ყველაფერზე, რასაც აკეთებს და რასაც წარმოადგენს. მე-ს, პიროვნებას, აყალიბებს არა გარემოებები, არამედ თავად ადამიანი. ადამიანი სხვა არაფერია, გარდა იმისა, რასაც ის თავის თავისგან ქმნის, „აპროექ-

ტებს" – ეს ეგზისტენციალიზმის პირველი პრინციპიაო – ამბობდა ჟან პოლ სარტრი. თავისუფლების პრინციპის აბსოლუტიზაცია და, აქედან გამომდინარე, ქცევის განუპირობებლობის, სპონტანურობის, ინდეტერმინირებულობის იდეა, ასე თუ ისე, მთელ ეგზისტენციალიზმს გამსჭვალავს (ნ. ბერდიაევი, კ. იასპერსი, ჟ.პ. სარტრი, მ. ჰაიდეგერი და სხვ.). კარლ იასპერსის თქმით, მეცნიერება უნდა შეიზღუდოს, რათა ადგილი დაეთმოს თავისუფლებას. მაშასადამე, ეგზისტენციალიზმი *ირაციონალური და ანტისციენტისტური* მოძღვრებაა. ყოველ შემთხვევაში, იგი თვლის, რომ რელევანტური მეცნიერული სისტემის ფარგლებში ადამიანის ეგზისტენციის გაგება შეუძლებელია. მთავარი სწორედ გაგებაა, ინტუიციური წვდომა ან, შესაძლოა, „ფენომენოლოგიური რედუქცია" და არა მკაცრი მეცნიერული მეთოდები. ერთი სიტყვით, ეგზისტენციალიზმი *გაგებითი და ფენომენოლოგიურია.* თავისი კვლევის მეთოდებით იგი გაცილებით ახლოს დგას ხელოვნებასთან, ვიდრე მეცნიერებასთან (ა. კამიუ, გ. მარსელი, მ. ჰაიდეგერი და სხვ.). და ბოლოს, ეგზისტენციალიზმს ახასიათებს რადიკალური *სუბიექტივიზმი და ინდივიდუალიზმი.* ამ მოძღვრების თანახმად, საჭიროა ჩვენი თვალთახედვის სრული შემობრუნება სუბიექტური არსებობისკენ, სადაც გვეძლევა არა აბსტრაქტული და განზოგადებული, არამედ მხოლოდ კონკრეტული და ინდივიდუალური, არა „საერთოდ პიროვნების" ზოგადი კანონზომიერებები, არამედ ერთეული მე-ს განუმეორებელი თავისებურებები (მარსელი). ადვილი დასანახავია, რომ ამგვარ ფილოსოფიას მხოლოდ გარკვეული ტიპის, კერძოდ ჰუმანიტარული ფსიქოლოგია, შეიძლება დაეფუძნოს [107].

ფსიქოლოგიის კრიზისის ანალიზი და შეფასება, ჩვეულებრივ, ეყრდნობა გარკვეულ შეხედულებებს საზოგადოდ მეცნიერების განვითარების შესახებ. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია თომას კუნის *პარადიგმული მოდელი.* პარადიგმა მოსაზრებათა სისტემაა მეცნიერების ამოცანების, შესასწავლი რეალობის ბუნებისა და მისი ძირითადი მახასიათებლების, მოვლენების ახსნისა და კვლევის მთავარი პრინციპების შესახებ. ვიდრე ეს პრინციპები არ შეთანხმებულა, მეცნიერება პარადიგმამდელ სტადიაზე იმყოფება. პარადიგმის ფორმირებასთან ერთად იგი *ნორმალური* განვითარების სტადიაში გადადის და მისი შემდგომი წინსვლა პარადიგმების მონაცვლეობაში გამოიხატება [7].

პარადიგმის ცნებასთან მიმართებით ფსიქოლოგიის დახასიათება შემდეგნაირად შეიძლება: 1) ფსიქოლოგია *პარადიგმამდელი* დისციპლინაა; 2) ფსიქოლოგია *არაპარადიგმულია,* მასში პარადიგმა პრინციპულად ვერ იარსებებს. (ასეთი დახასიათება ფსიქოლოგიის ჰუმანიტარული დისციპლინებისადმი ცალსახა მიკუთვნებას გულისხმობს); 3) ფსიქოლოგია *მულტიპარადიგმული* მეცნიერებაა. მასში იყო და იქნება ორი ან მეტი პარადიგმა. ფსიქოლოგიის ძირითადი მიმდინარეობები პარადიგმის მაგალითებია.[1]

[1] აღსანიშნავია, რომ არსებობს მეცნიერების განვითარების სხვა მოდელებიც, სადაც თეორიებს შორის დაპირისპირება არა მხოლოდ ნორმალურ, არამედ მეცნიერების პროგრესის განმაპირობებელ ვითარებად არის წარმოდგენილი. ამ მოდელებით ფსიქოლოგიაში არსებული მდგომარეობა თითქოს უკეთ აღინერება. შესაძლებელია, მართლაც ასე იყოს.

პირველი პოზიცია, რომელსაც თავად კუნი ემხრობოდა, სპეციალისტებში მეტი მხარდაჭერით სარგებლობს. იგი გულისხმობს, რომ მომავალში მაინც ფსიქოლოგიამ შეიძლება „ერთიანი მეცნიერების" სახე მიიღოს, მაგრამ, როგორ უნდა მოხდეს ეს? აქ ჩვენ მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეგვიძლია. მაგალითად, შესაძლოა, უკუგდებულ იქნეს არსებული თეორიები და შეიქმნას პრინციპულად სხვაგვარი, პარადიგმის ძალის მქონე ახალი კონცეპტუალური სისტემა. ასეთი რამის შესაძლებლობა და პროდუქტიულობა საკმაოდ საეჭვოა. უფრო მართებული იქნებოდა დისციპლინარული ერთიანობის მიღწევა რომელიმე თეორიული სისტემის თანდათანობითი გაბატონების გზით. როგორც პოლ ფეირაბანდი აღნიშნავს, მეცნიერების განვითარების კუნისეული მოდელიდან გამომდინარე, სამოქმედო გეგმა საზოგადოებრივი მეცნიერებების მრავალი წარმომადგენლის მიერ სწორედ ასე იქნა გაგებული: საჭიროა კრიტიკის შეზღუდვა, უნივერსალური თეორიების რიცხვის ერთამდე დაყვანა და „ნორმალური" მეცნიერების შექმნა ამ ერთი დარჩენილი თეორიის, როგორც პარადიგმის, ბაზაზე. ეს პოზიცია საკმაოდ გავრცელებულია ფენომენოლოგიურ და ეგზისტენციალურ ფსიქოლოგიაში, სადაც ხშირად საერთოდ არ ცნობენ სხვა ტიპის ფსიქოლოგიას. საბუნებისმეტყველო ფსიქოლოგიის წარმომადგენლებიდან, ფაქტობრივად, ამისკენ იხრებიან: კ. ლევინი, ლ. ვიგოტსკი, ბ. სკინერი, ჰ. აიზენკი და სხვები. ამ მხრივ, ყველაზე შორს ჰანს აიზენკი მიდის, რომელსაც ფსიქოლოგიის განვითარების ასეთი სცენარი მეთოდოლოგიური პრინციპის დონეზე აჰყავს.მისი შეფასებები უკიდურესად მკაცრია: ჰუმანიტარული ყაიდის ფსიქოლოგიური სისტემები (მაგალითად, ა. ადლერის, კ. იუნგის, კ. ჰორნის, ე. ფრომის, ე. ერიქსონის, ლ. ბინსვანგერის, ა. მასლოუს და სხვების) მის მიერ კვალიფიცირებულია როგორც „დაუშვებელი", რადგან მათში, როგორც წესი, არ ხდება შემოწმებადი დასკვნების პროდუცირება. ასეთი დასკვნები, უმეტესწილად, შემოწმებას ვერ უძლებენ. ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მათ ვერ მოენახათ რამდენადმე სერიოზული დასაყრდენი სანდო ემპირიული

ამავე დროს, იგულისხმება, რომ კონკურენციაში მყოფი ე.წ. *კვლევითი პროგრამები* [38] ან *ალტერნატიული თეორიები* [71] ერთნაირ რეალობას ან ფაქტობრივ ვითარებას ეხება და მის სხვადასხვაგვარ ახსნას იძლევა. დაპირისპირებული ზოგადფსიქოლოგიური კონცეფციების შემთხვევაში კი ასეთ საერთო ემპირიულ ბაზაზე ლაპარაკი ძნელია. ფსიქოლოგიის კრიზისის ანალიზისას მეთოდოლოგები სწორედ ამ გარემოებას უსვამენ ხაზს. მაგალითად, ლ. ვიგოტსკი აღნერს ვითარებას კრიზისის სანყის სტადიაზე, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდებოდა სამი მასშტაბური ფსიქოლოგიური მოძღვრება – ცნობიერების ტრადიციული ფსიქოლოგია, ბიჰევიორიზმი (რეფლექსოლოგია) და ფსიქოანალიზი. თითოეული მათგანი თავის სისტემას ერთ კატეგორიაზე (შესაბამისად, ცნობიერებაზე, ქცევასა და არაცნობიერზე) და მასთან დაკავშირებულ ფაქტოლოგიაზე აგებს.კვლევის პროცესის კვალდაკვალ, ამ სამი კონცეფციის ბაზაზე ხორციელდება სხვადასხვა სახის განზოგადება, იქმნება კანონები, კლასიფიკაციები და, შედეგად, სხვადასხვა სახის მეცნიერული სისტემები. „აღმოცენებიდან ცოტა ხანში ისინი უკვე იძულებული ხდებიან, მოახდინონ ფაქტების შერჩევა; შემდგომში კი უკვე თვით ფაქტების შერჩევა განსაზღვრავს მეცნიერების ბედს" [22; 299]. ერთი სიტყვით, ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში მოცემული მდგომარეობის დახასიათებისას ისეთი ეპისტემოლოგიური მოდელი უნდა იქნეს გამოყენებული, სადაც გათვალისწინებული იქნება ის ვითარება, რომელიც მეცნიერების ფილოსოფიაში დაპირისპირებული თეორიების „უთანაზომობის" ან „შეუთავსებადობის" ტერმინებით აღინიშნება [1].

კვლევების სახით. ისტორიული თვალსაზრისით, ჰუმანიტარული ფსიქოლოგიის ნააზრევმა გარკვეული გავლენა კი მოახდინა, მაგრამ მისი თეორეტიზება, ისევე როგორც ამ ფსიქოლოგიების მუშაობის მეთოდები, საბუნებისმეტყველო მეცნიერების მიღმა რჩებოდა. მათ არ სურდათ, ეპასუხათ კრიტიკასა და მეცნიერულ უარყოფაზე. ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ჰერმენევტიკული, ეგზისტენციალური ან ფენომენოლოგიური მიდგომები არ შეიძლება სასარგებლო ან ღირებული იყოს. მაგრამ, ვინაიდან „არსებობს ძალიან მკაფიო საზღვარი, ერთი მხრივ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებასა და, მეორე მხრივ, ჰერმენევტიკულ ჭვრეტას შორის, კამათს მათი შედარებითი ღირებულების შესახებ უფრო ფილოსოფიური ხასიათი აქვს და, როგორც ასეთი, არ უშვებს ფსიქოლოგიური გადაწყვეტის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, უფრო მართებულად მიგვაჩნია ვაღიაროთ მათი შეუთავსებლობა და, შესაძლებლობის ფარგლებში, ავაგოთ პიროვნების საბუნებისმეტყველო თეორია, რამდენადაც ეს აღმოჩნდება შესაძლებელი“ [12; 11]. სამწუხაროდ, ჯერჯერობით მაინც, ნათელი არ არის, როგორ უნდა მოიპოვოს ამა თუ იმ კონცეფციამ გადამწყვეტი უპირატესობა.

პოპულარულია თეორიების გაერთიანების იდეაც. მიუხედავად იმისა, რომ, ზოგადად, მეცნიერებაში *ეკლექტიზმი* კარგი რეპუტაციით არ სარგებლობს, ფსიქოლოგიაში იგი საკმაოდ გავრცელებული და მრავალსახოვანია. თანამშრომლობისა და კონვერგენციის ბუნებრივმა ტენდენციამ ისეთი ჰიბრიდები წარმოშვა, როგორებიცაა: ფსიქოანალიზური ბიჰევიორიზმი, კოგნიტური ბიჰევიორიზმი, ჰუმანისტური ფსიქოანალიზი, ფროიდომარქსიზმი და ა.შ. ფსიქოლოგიის კრიზისის პრობლემისადმი მიძღვნილ ფუნდამენტურ გამოკვლევაში ლევ ვიგოტსკი ფრიად ხატოვნად აჩვენებს ეკლექტური ფსიქოლოგიური სისტემების მანკიერებას: „ყველა ამ შემთხვევაში, ამბობს იგი, იღებენ ერთი სისტემის დაბოლოებას და მეორის თავს უსადაგებენ, მათ შორის კი მესამის სხეული თავსდება. საქმე ის კი არ არის, რომ ეს საზარელი კომბინაციები უზუსტობით გამოირჩევა, პირიქით, ისინი მეათედ ნიშნულამდე სწორია, მაგრამ არასწორად არის დაყენებული თვითონ ის საკითხი, რომლის გადაჭრასაც ლამობენ. შესაძლებელია, პარაგვაის მცხოვრებთა რაოდენობა გავამრავლოთ ვერსების იმ რიცხვზე, რომელიც დედამიწას მზისგან აშორებს და მიღებული სიდიდე გავყოთ სპილოს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობაზე. ეს ოპერაცია შეიძლება უნაკლოდ, ყოველგვარი შეცდომის გარეშე ჩატარდეს, მაგრამ ასეთი გამოთვლების შედეგად მიღებული სიდიდე ნამდვილად თავგზას აუბნევს იმას, ვისაც ამ სახელმწიფოს ნაციონალური შემოსავალი აინტერესებს“ [20; 326]. ეკლექტიკოსები ამის მსგავსად იქცევიან – ისინი ერთი კონცეფციის მიერ დასმულ კითხვაზე მეორე თეორიიდან გამომდინარე დებულებით პასუხობენ. კონცეფციების არსებითად მექანიკური გაერთიანება, როგორც ჩანს, ნაკლებ პროდუქტიულია, თუმცა მეთოდოლოგების ნაწილი კრიზისიდან გამოსავალს სწორედ ამაში ხედავს (კ. ბიულერი, რ. ვუდვორთი, ნ. ლანგე და სხვ.).

არიან ისეთებიც, ვინც ცდილობს, მოუნახოს ეკლექტიზმს მეთოდოლოგიური გამართლება და საფუძველი. მიუხედავად ამისა, თეორიული პლურალიზმის ნაყოფიერებისა და სასურველობის დეკლარაციის მიღმა, როგორც წესი, საკმაოდ ნათლად ჩანს ფსიქოლოგიის ამა თუ იმ ტიპისთვის უპირატესობის მინიჭების გამოკვეთილი

ტენდენცია. ასე მაგალითად, ედვინ ბორინგი თავის „ეკლექტიზმში" აშკარა უპირატესობას საბუნებისმეტყველო მიდგომას ანიჭებს [88], მასლოუ და როჯერსი კი – ჰუმანიტარულს [37]. გ. ოლპორტი ე.წ. სისტემური ეკლექტიზმისკენ იხრება. იგი თვლის, რომ მხედველობაში უნდა მივიღოთ ფსიქიკურის ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელსაც წინ წამოწევს ესა თუ ის თეორია და დავუშვათ პლურალიზმი კვლევის *ნომოთეტურ და იდეოგრაფიულ* სტრატეგიებში [45].

დაბოლოს, ეკლექტიზმის სახეობად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი მიდგომაც, რომლის თანახმად, ფსიქოლოგიის სხვადასხვა ტიპი უნდა შეეფარდოს ფსიქოლოგიის ერთიან სივრცეში მის აკადემიურ-კვლევით და პრაქტიკულ-გამოყენებით ასპექტებს. მაგალითად, პრაქტიკული ფსიქოლოგიის გარიჟრაჟზე ჰიუგო მიუნსტენბერგი თვლიდა, რომ აკადემიური ფსიქოლოგია გაგებითი უნდა იყოს, ხოლო ე.წ. ფსიქოტექნიკა ობიექტურ-კაუზალური. დღეს გავრცელებულია ამ „ერთიანობის" შებრუნებული ვარიანტი, რომლის თანახმად, ფსიქოლოგიის ჰუმანიტარული ტიპი სწორედ *ფსიქოპრაქტიკას*, კერძოდ ფსიქოთერაპიას, მიესადაგება. თუმცა გამოთქმულია ისეთი აზრიც, რომ პრაქტიკული ფსიქოლოგია საერთოდ თავისი საკუთარი მეთოდოლოგიის მქონე დამოუკიდებელი ჰუმანიტარული მეცნიერებაა [74].

რაც შეეხება მესამე თვალსაზრისს, რომლის თანახმად, ფსიქოლოგია მულტიპარადიგმული დისციპლინაა, მასაც თავისი დამცველები ჰყავს. აქ შეიძლება აღვნიშნოთ ფსიქოლოგიის ცნობილი მეთოდოლოგის, ზიგმუნდ კოხის პოზიცია, რომელიც თვლის, რომ ფსიქოლოგიის შინაგანი ბუნების თავისებურება შეუძლებელს ხდის მისი ერთიანი და შეთანხმებული მეცნიერების სახით ჩამოყალიბებას [100]; ყოველ შემთხვევაში, ჩვენი მეცნიერების განვითარების ამჟამინდელ დონეზე მრავალი ისეთი თეორიის არსებობა, რომლებიც ეხება თვალუწვდენელი ფსიქიკური სინამდვილის გარკვეულ ასპექტებს, არა ნეგატიურ, არამედ პოზიტიურ ტენდენციად უნდა ჩაითვალოს [99].

როგორც ვხედავთ, არ არსებობს გარკვეულობა არც ფსიქოლოგიის კრიზისის „დიაგნოსტიკაში" და არც მის „თერაპიაში". სპეციალისტების რწმენით, ფსიქოლოგიის მომავალი მაინც მის გარკვეულ ჰომოგენიზაციას უკავშირდება. ამჟამად მხოლოდ ზოგად ამოცანებზე შეიძლება ლაპარაკი, რომელთა გადაწყვეტა გააადვილებს ამ მიზნის მიღწევას. აუცილებელია ფსიქოლოგიის საგნობრივი ველის დაზუსტება, ძირითადი კატეგორიების გამოყოფა და მათი შეძლებისამებრ ჰარმონიული გაერთიანება ზოგად თეორიულ სისტემაში. ამით გამოირიცხება ფსიქოლოგიის შესასწავლი რეალობის ამა თუ იმ მხარის გაუმართლებელი აქცენტირება ან ჰიპერტროფირება, რაც კრიზისის ერთ-ერთი მთავარი ნიშანია. საფიქრებელია, რომ ქცევის, ცნობიერების, არაცნობიერისა და პიროვნების კატეგორიები მეტ-ნაკლებად ფარავს ფსიქოლოგიის საგნობრივ სივრცეს. მაგალითისთვის შეიძლება მივუთითოთ განწყობის ზოგადფსიქოლოგიურ თეორიაზე: განწყობა *ქცევის* განხორციელების მექანიზმია; იგი *პიროვნების* მთლიანი მდგომარეობაა, რომელიც თვითონ *არაცნობიერია*, მაგრამ განსაზღვრავს *ცნობიერების* შინაარსს (იხ. XII თავი).

პარადიგმულმა თეორიულმა სისტემამ უნდა მოიცვას და დააბალანსოს ფსიქოლოგიური რეალობის სტრუქტურული, ფუნქციონალური და გენეტიკური ასპექტებიც. ცნებების შინაარსის დაზუსტება და არსებული პოლისემიის მინიმიზაცია, რის გარეშეც პარადიგმა ვერ ჩამოყალიბდება, არსებითად ემპირიული კვლევის მონაცემების საფუძველზეა შესაძლებელი. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ თანმიმდევრულად გატარდეს პრინციპი – მეცნიერების საგანი განსაზღვრავს მეთოდოლოგიას, და არა პირიქით. ფსიქოლოგიამ, როგორც დამოუკიდებელმა მეცნიერებამ, საბოლოოდ უნდა დაძლიოს ფილოსოფიის დიქტატი და მეთოდოლოგია თავისი საგნის ბუნებას შეუფარდოს. ფსიქიკის ორგვარი (ბიოსოციალური) ბუნების გათვალისწინებით, ეს ნიშნავს, რომ ამგვარი რეალობის შესწავლა უნიკალურ მეთოდოლოგიას უნდა დაეყრდნოს, ისეთს, რომელშიც შეხამებული იქნება საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ-სოციალური მეცნიერების ნიშნები.

ამ კონტექსტში აუცილებელია იმ არსებითი ძვრების გათვალისწინება, რაც ხდება ბუნებისმეტყველების მეთოდოლოგიაში, განსაკუთრებით ფიზიკური რეალობის „სუბიექტივაციასთან", ანუ მისი ობიექტური, დამკვირვებლისგან დამოუკიდებელი გააზრების შეუძლებლობასთან დაკავშირებით (ნ. ბორი, ვ. ჰაიზენბერგი და სხვ.). თავის მხრივ, სუბიექტურობა ჰუმანიტარული შემეცნების ერთ-ერთი ნიშანია და ახასიათებს როგორც მკვლევარს, ისე კვლევის ობიექტს. აქ განსაკუთრებულ როლს ასრულებს მკვლევრის მსოფლმხედველობრივი და ღირებულებითი ორიენტაცია, რაც თეორიული პოზიციების სიმრავლეს განაპირობებს. ამავე დროს, მეცნიერების საკვლევი საგანი ან თავად სუბიექტია, ან სუბიექტის მიერ არის შექმნილი. ამიტომ პასიური საგნობრივი სინამდვილის *მონოლოგურ* შემეცნებასთან შედარებით ჰუმანიტარული შემეცნება *დიალოგური* ფორმისაა [17]. აქ ობიექტი იმავე სინამდვილეს მიეკუთვნება, რასაც შემმეცნებელი სუბიექტი და ისიც ასეთივე აქტიურია; მას რეფლექსიური ბუნება აქვს, რომელიც ცვალებადობს იმის მიხედვით, თუ რას ამტკიცებს ჰუმანიტარული ცოდნა და როგორ მოიპოვება იგი [60]. ეს ყოველივე სახეზეა ფსიქოლოგიური კვლევის შემთხვევაში და ამის უგულებელყოფა არ შეიძლება.

ამრიგად, საჭიროა გავაცნობიეროთ, რომ ფსიქოლოგიური კრიზისის საფუძველი ამ მეცნიერების საგნის ბუნებაში დევს. მისი შესასწავლი რეალობა ანუ ფსიქიკა ბუნებრივი და გონით-კულტურული დეტერმინაციის ერთიანობას გულისხმობს. აქედან გამომდინარე, ფსიქოლოგიისთვის რელევანტურია ისეთი კვლევითი სტრატეგია, რომელიც მომდინარეობს როგორც საბუნებისმეტყველო, ისე ჰუმანიტარული პარადიგმიდან. ამიტომ საჭირო არ არის კრიზისის სინდრომის დრამატიზება. უნდა მოხდეს ამ ვითარების „ბუნებრიობისა" და „ნორმალურობის" გაცნობიერება და სათანადო პლურალისტური მეთოდოლოგიური პოზიციის შემუშავება. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქოლოგიის კრიზისის ნორმალურობის აღიარება სრულებითაც არ ნიშნავს, რომ კრიზისი განვითარების პროცესში მყოფი ყოველი მეცნიერების ჩვეულებრივი თანმდევი მდგომარეობაა, როგორც ამას ზოგიერთი სპეციალისტი ფიქრობს [52]. განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, განსაკუთრებით პარადიგმის ცვლილების დროს, ყველა მეცნიერება განიცდის ერთგვარ კრიზისს და ეს ნორმალუ-

რია. მაგრამ მუდმივი გაურკვევლობა იმისა, თუ არსებითად რა სახის დისციპლინას წარმოადგენ და, საზოგადოდ, როგორ უნდა ააწყო კვლევა, არ არის ჩვეულებრივი მოვლენა; მისი გამართლება მხოლოდ განსაკუთრებული ვითარებით შეიძლება. ეს ვითარება ფსიქოლოგიის პრინციპული *ორსახოვნებაა*, რასაც ფსიქოლოგიის საგნის ორგვარი, *ბიოსოციალური ბუნება* განაპირობებს. მას, პირობითად, *ონტოლოგიური ორსახოვნება* შეიძლება ვუწოდოთ. ფსიქოლოგიის ორსახოვნებას მეორე გამოვლინებაც აქვს, რაც ასევე უნდა ჩაითვალოს მისი მუდმივი კრიზისის წყაროდ. აქ იგულისხმება ფსიქოლოგიის *პრინციპული სუბიექტურობა* (სუბიექტურ სამყაროს სუბიექტი შეისწავლის). ეს გნოსეოლოგიურ დილემას ქმნის, რაც ფსიქიკის როგორც კვლევის ობიექტისა და კვლევის საშუალების დამთხვევას გულისხმობს; ვუწოდოთ მას *გნოსეოლოგიური ორსახოვნება*. გნოსეოლოგიურ ორსახოვნებას მივყავართ ფსიქიკური რეალობის მკვლევრის მიერ საკუთარი პიროვნულ-ფენომენოლოგიური სამყაროს შესატყვისი სურათის შექმნასა და ფსიქიკურის შესახებ სხვისი კონცეპტუალიზაციის მიუღებლობასთან. ავტორის პიროვნულ-ფსიქიკური თვისებების მნიშვნელოვანი გავლენა ჰუმანიტარულ ცოდნაზე აღიარებული ფაქტია, მაგრამ ფსიქოლოგიაში ეს განსაკუთრებული რელიეფურობითაა მოცემული. ფსიქოლოგები ყოველთვის განსხვავებულად „ხედავდნენ" ფსიქიკურ სინამდვილეს. სწორედ ამიტომ იყო მუდმივი შეუთანხმებლობა ფსიქოლოგიური მეცნიერების ემპირიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების გააზრებაში.

გამოსავალი ამ ვითარების გაცნობიერება და მომავალში შესაფერისი მეთოდოლოგიური სტრატეგიების გამომუშავებაა. ძალიან ზოგად პლანში შესაძლებელია ორ მათგანზე მივუთითოთ. პირველი სტრატეგია გულისხმობს ამ გაორებული მდგომარეობის ელიმინირებას და ფენომენოლოგიზმისგან პროგრესულ განთავისუფლებას. ამ შემთხვევაში ფსიქოლოგიამ უნდა იაროს მკვლევარსა და საკვლევ რეალობას შორის დისტანციის გაზრდის მიმართულებით. პრაქტიკულად ეს ნიშნავს, მათ შორის რაც შეიძლება მეტი გამაშუალებელი რგოლის შემოტანას სათანადო კვლევითი პროცედურების, ტექნიკებისა თუ ტექნოლოგიების საშუალებით. ამით ფსიქიკური სამყაროს ისეთი სურათი შეიქმნება, რომელიც საკმარისად დაშორებული იქნება მკვლევრის საკუთარი ფენომენოლოგიური აღქმისგან. XX საუკუნეში ბუნების მეცნიერებათა დიდი წარმატებები ასეთი *კონტრ-ფენომენოლოგიური* მიდგომის შედეგია. მათ რეალობის ისეთი სურათი შექმნეს, რომელიც არათუ შეესაბამება, არამედ ზოგჯერ კიდეც ეწინააღმდეგება ჩვეულებრივ აღქმას, დაკვირვებას და, საერთოდ, ცუდად ესადაგება ჩვენს გონებას (გავიხსენოთ, თუნდაც, თანამედროვე კვანტური ფიზიკის „წარმოუდგენელი წარმოდგენები", მაგალითად, რომ ელემენტარული ნაწილაკი ერთდროულად სივრცის სხვადასხვა წერტილში შეიძლება იმყოფებოდეს და სხვ.). საბუნებისმეტყველო პარადიგმა არაფენომენოლოგიური პარადიგმაა. თუ ფსიქოლოგიამ შეძლო მისი შემუშავება და ათვისება, გაიხსნება გზა იქითკენ, რომ ფსიქიკური რეალობა წარმოდგენილ იქნეს მისი იმანენტური კანონზომიერებების და არა ჩვენი სუბიექტურ-ინდივიდუალური აღქმის ტერმინებში. ყოველ შემთხვევაში, ფუნდამენტურ აკადემიურ მეცნიერებას, თუ მას სულიერი სამყაროს იმანენტური კანონების

დადგენა სურს, ამ გზით მოუწევს სიარული. თუმცა ისიც სათქმელია, რომ ამგვარი სტრატეგიის რეალიზაციის ფარგლები მაინც ყოველთვის შეზღუდული იქნება იმ გარემოებით, რომ ფსიქიკა იმანენტურად სუბიექტურია.

არსებობს მეორე გზაც, ანუ ფსიქოლოგიის აგების სხვა სტრატეგია. იგი, ფაქტობრივად, პირველის საპირისპიროა და ორსახოვნების მინიმიზაციას კი არა, მის გამოკვეთასა და გაღრმავებასაც გულისხმობს. ასეთ მეთოდოლოგიას თავისი ლოგიკა აქვს. თუ ვაღიარებთ, რომ გნოსეოლოგიური ორსახოვნება ფსიქოლოგიური კვლევის მოუცილებელი ნიშანია, მაშინ იქნებ „ჩათრევას ჩაყოლა სჯობდეს"; საბუნებისმეტყველო მეთოდოლოგია ფსიქოლოგიის ერთ ნაწილს, უპირატესად აკადემიურ-ფუნდამენტურ კვლევას მიესადაგოს, ხოლო ჰუმანიტარული მეთოდოლოგია, ძირითადად, პროფესიული ფსიქოლოგიური საქმიანობის პრაქტიკულ სფეროს, პირველ რიგში, ფსიქოთერაპიისა და ფსიქოკონსულტაციის ასპარეზად დარჩეს. ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიაში ასეთი მიდგომის მონახაზი უკვე გაჩნდა. იგი აფიქსირებს ფსიქოლოგიური შემეცნების პრინციპულ განსხვავებულობას ბუნებისმეტყველური კვლევისგან, რომელიც ობიექტისა და სუბიექტის მაქსიმალური დაშორიშორების პრინციპს ეყრდნობა [66].

უნდა ითქვას, რომ ასეთი დახასიათება უფრო კლასიკური ბუნებისმეტყველების იდეალს გამოხატავს, ვიდრე რეალურ ვითარებას. როგორც ზემოთ აღინიშნა, თანამედროვე ფიზიკაშიც კი გაცნობიერდა, რომ ობიექტურისა და სუბიექტურის აბსოლუტური დაშორება შეუძლებელია; დასაკვირვებელი ვერ გაემიჯნება დამკვირვებელს. თუმცა ასეთი სწრაფვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში, საზოგადოდ, მაინც არსებობს და კიდეც უნდა იარსებოს. ეს, ნაწილობრივ, ფსიქოლოგიასაც ეხება, მაგრამ, გარკვეული აზრით, ერთგვარ „ძალადობად" შეიძლება ჩაითვალოს, როგორც სულიერი მოვლენების მიმართ (მათი ონტოლოგიური ორსახოვნების გამო), ისე ფსიქოლოგიური კვლევის მიმართ (მისი გნოსეოლოგიური ორსახოვნების მიზეზით). ამიტომ ზოგიერთი მეთოდოლოგი ადამიანის ფსიქოლოგიური შესწავლის ისეთი ვარიანტის მომხრეა, რომელიც საკუთრივ კვლევა კი არ იქნება (აკადემიური ფსიქოლოგიის გაგებით), არამედ განსაკუთრებული „ფსიქოტექნიკური ქმედება", ე.ი. სხვა ადამიანის ფსიქიკის სპეციალური „ხელოვნური ორგანიზაცია" მასში მიზანმიმართული ჩარევის გზით [53]; ამ დროს ადამიანის სულიერი სამყაროს შესახებ ცოდნის მოპოვება ხორციელდება გამოყენებითი ამოცანების გადაწყვეტისას, სახელდობრ, სხვადასხვა ტიპის ფსიქოთერაპიული და ფსიქოკორექციული პრაქტიკის პროცესში. ამგვარი მიდგომისას ფსიქიკური რეალობის შემეცნება, მასზე დაკვირვება მიმდინარეობს მისი გადასხვაფერების, დაგეგმვის, გაუმჯობესების, განვითარების, მართვის პირობებში. მეთოდოლოგების ნაწილს ეს მიდგომა, სადაც თვითმიზანი სხვა ადამიანის დახმარებაა, ხოლო შემეცნება – თანმდევი პროდუქტი, ჰუმანიტარული პარადიგმის ყველაზე ადეკვატურ რეალიზაციად მიაჩნია [63]; ზოგიერთი კი თვლის, რომ აქ საქმე გვაქვს პრაქტიკული ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიასთან, რომელიც „არც თავისი წარმოშობით და არც შინაარსით არ გამოიყვანება „ობიექტური კვლევების" ფსიქოლოგიიდან. მაშასადამე, მისი მიჩნევა აკადემიური ფსიქოლოგიის „გამოყენე-

ბით“ დარგად მართებული არ არის. იგი დამოუკიდებელი ჰუმანიტარული მეცნიერებაა თავისი მეთოდოლოგიით“ [74; 39].

ეს, ალბათ, ერთგვარი გადაჭარბებაა. პრაქტიკული ფსიქოლოგიის ასეთი მოწყვეტა აკადემიური ფსიქოლოგიისგან დაუშვებელია, თუნდაც იმიტომ, რომ ყოველგვარ პრაქტიკას ფუნდამენტური მეცნიერება უდევს საფუძვლად. მაგრამ ის მოსაზრება, რომ ფსიქოლოგიურ პრაქტიკასა და ფუნდამენტურ კვლევაში განსხვავებული პარადიგმების რეალიზაცია ხდება – ერთში ჰუმანიტარულის, მეორეში ბუნებისმეტყველურის, ნამდვილად საყურადღებოა. ორივე ეს მეთოდოლოგია ფსიქოლოგიის ერთიან ველში მოქმედებს და მისი, როგორც უნიკალური მეცნიერული დისციპლინის, პრინციპულად ორგვარი ბუნების გამოხატულებაა.

როგორც ითქვა, პრაქტიკა, პირველ ყოვლისა, ფსიქოთერაპიისა და ფსიქოკონსულტაციის სახით, უნდა გახდეს ფსიქოლოგიაში ჰუმანიტარული პარადიგმის გავრცელებისა და განვითარების სფერო. ჰუმანიტარული მეთოდოლოგია სწორედ აქაა ადეკვატური. შთაგრძნობა, ემპათია, ინტერპრეტაცია, ჰერმენევტიკა ფსიქოთერაპიულ კაბინეტშია უფრო აზრიანი და ეფექტური, ვიდრე ექსპერიმენტულ ლაბორატორიაში. შემთხვევითი ხომ არ არის, რომ „ჰუმანისტურად ორიენტირებული ფსიქოლოგიური თეორიების იდეების ფორმულირება მოახდინეს ფსიქოლოგიური მეცნიერების გამოყენებით დარგებში მომუშავე მეცნიერებმა: ფსიქოთერაპევტებმა, ფსიქოლოგ-კონსულტანტებმა, ურთიერთობებისა და სწავლების პროცესის ორგანიზაციით დასაქმებულმა ფსიქოლოგებმა და ა.შ.“ [80; 24].

ამრიგად, შესასწავლი სფეროს მთლიანი შინაარსის დადგენამ, კატეგორიალური აპარატის დახვეწამ და, რაც მთავარია, ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიის შესაბამისობაში მოყვანამ მისი საგნის ბუნებასთან თავიდან უნდა აგვაცილოს ის დიქოტომიები, რომლებიც რეალურად აკანონებენ ორი ფსიქოლოგიის სრული შეუთავსებლობის იდეას.

• • •

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს *თავისუფლება-დეტერმინაციის* დიქოტომია, ვინაიდან სხვა სახის დაპირისპირებანი მეტ-ნაკლებად მასთან არის დაკავშირებული. თავისუფლების პრინციპს აქვს თავისი ფილოსოფიური, მორალურ-სამართლებლივი და სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა. მაგრამ კონკრეტული მეცნიერების სფეროში და, მაშასადამე, ფსიქოლოგიაშიც, იგი არ უნდა იქცეს დაბრკოლებად კვლევითი პროცესისთვის. ამიტომ დაუშვებელია თავისუფლების პრინციპის აბსოლუტიზაცია, რასაც ლოგიკურად *ინდეტერმინიზმი,* და, ფაქტობრივად, მეცნიერული შემეცნების დასასრული მოჰყვება. თავის მხრივ, დეტერმინიზმი, როგორც თავისუფლების ოპოზიცია, თანამედროვე ფსიქოლოგიაში (და საერთოდ მეცნიერებაში) არ მოიაზრება როგორც მხოლოდ მიზეზობრიობა (მით უმეტეს, მექანიკური). არადა, დღესაც სწორედ ამ ქიმერას ებრძვის ზოგიერთი ეგზისტენციალურად ორიენტირებული თეორეტიკოსი. *დეტერმინიზმის კატეგორია* გულისხმობს მოვლენათა შორის *კანონზომიერი კავშირების* არსებობის აღიარებას. თვით კავშირების სახე კი შეიძ-

ლება მრავალნაირი იყოს: კორელაციური, ფუნქციონალური, სტატისტიკური, სისტემური, აგრეთვე ლოგიკური და ტელეოლოგიური (კავშირი მნიშვნელობებს შორის, სხვადასხვა სახის გამომდინარეობა და განსაზღვრულობა, მათ შორის განპირობებულობა მიზნით, ე.წ. *მიზნობრივი დეტერმინიზმი).* გაუგებრობები და სირთულეები თავისუფლება-დეტერმინაციის პრობლემის გააზრებისას დიდწილად დეტერმინიზმის მოძველებული და არაზუსტი, ე.წ „მექანიცისტური", ან, სხვანაირად, კაუზალური გაგებიდან მომდინარეობს. მაგრამ მოვლენათა დეტერმინირებულობა მათი რაიმეთი განპირობებულობა ან განსაზღვრულობაა და არ ნიშნავს ერთის მიერ უთუოდ მეორის გამოწვევას პირდაპირი ფიზიკური მნიშვნელობით. მიზეზშედეგობრივი კავშირი მხოლოდ ერთ-ერთი ფორმაა მოვლენათა კანონზომიერი კავშირისა. დეტერმინიზმი უფრო ფართო კატეგორიაა, რომელიც მოიცავს *კაუზალობას,* მაგრამ მასზე არ დაიყვანება.

ნიშანდობლივია, რომ ერთ-ერთი ყველაზე თანმიმდევრული დეტერმინისტი ჟ. პიაჟე ფსიქიკური რეალობის სპეციფიკურ მახასიათებლად არა კაუზალურ, არამედ ფართო მნიშვნელობით იმპლიკაციურ კავშირებს მიიჩნევდა. იმპლიკაცია (implico) პირდაპირი მნიშვნელობით მჭიდრო კავშირს ნიშნავს. ლოგიკაში იგი გამომდინარეობას შეესაბამება. 2+2=4 მოცემულობიდან გამომდინარეობს, რომ 4-2=2, მაგრამ იგი არ ინვევს მას ისევე, როგორც კიის დარტყმა ბილიარდის ბურთის მოძრაობას. პირველი ვითარება მეორის მიზეზი არ არის, მაგრამ გულისხმობს მას. ეს კავშირის სახეა, ოღონდ არა კაუზალური. აქაც ერთგვარი დეტერმინაცია იგულისხმება და იგი ვრცელდება არა მხოლოდ ლოგიკისა და აზროვნების სფეროზე, არამედ მთელ ადამიანურ ფსიქიკაზე. მნიშვნელობა, რომელიც აქვს მიზანს, მორალურ ვალდებულებას ან სხვა მოტივაციურ ფაქტორს, ასევე არ განსაზღვრავს მიზეზობრივად ცნობიერების შინაარსებს და სათანადო მოქმედებებს. აქ ერთი მნიშვნელობა განაპირობებს მეორე მნიშვნელობას დაახლოებით ისევე, როგორც ეს ლოგიკურ იმპლიკაციაშია. ამიტომ მას შეიძლება პირობითად ეწოდოს *იმპლიკაცია მნიშვნელობებს შორის.* აქედან პიაჟე არსებითი ხასიათის განზოგადებამდე მიდის: ცნობიერების ყველა მდგომარეობის საერთო ნიშანია მათი შემეცნებითი და აფექტურ-მოტივაციური (ღირებულებითი) ხასიათის *მნიშვნელობები* და მათ შორის *კავშირები.* ერთი გამოიხატება ჭეშმარიტება-მცდარობის, მეორე – მისაღებობა-მიუღებლობის ტერმინებში, თუმცა, ჩვეულებრივ, ფსიქიკური რეალობის ეს ასპექტები თანაარსებობენ. კავშირის ამ ორივე ფორმის აღსანიშნავად პიაჟე ლაპარაკობს *იმპლიკაციაზე ფართო მნიშვნელობით,* და მას ცნობიერებაში მიმდინარე პროცესების დეტერმინირებულობის გამოხატულებად მიიჩნევს [49]. იმპლიკაციური მიმართების საზღვრების ასეთი გაფართოება შეიძლება არც იყოს მართებული, მაგრამ ფსიქიკური მოვლენების სფეროში მიზნობრივი (ტელეოლოგიური) განპირობებულობა, უდავოდ, სახეზეა და ესეც დეტერმინიზმის გამოვლინებაა.

ამრიგად, თუ დეტერმინიზმის ცნება სწორად არის გაგებული, იგი სავსებით ესადაგება ყველა პროცესს, რომელიც ქცევის ჩარჩოებში ხორციელდება. დეტერმინიზმი – თავისუფლების განზომილებით სწორედ მათი შეფასება წარმოებს. ტრადიციუ-

ლად, ეს ყოველივე ნებელობის პრობლემატიკის კონტექსტში განიხილებოდა. სწორედ აქ მიმდინარეობდა გაუთავებელი და არსებითად უნაყოფო დისკუსიები ნების თავისუფლების შესახებ. ამ გარემოებამ და ასევე იმან, რომ ე.წ. *თავისუფალი ნება* ხშირად უმიზეზო და უპირობო მეტაფიზიკური ძალის სახეს იღებდა, მეცნიერებაზე მკაცრად ორიენტირებულ ფსიქოლოგიაში ნებისყოფის ცნების დისკრედიტაცია გამოიწვია. ეს პროცესი ეტაპობრივად მიმდინარეობდა. XX საუკუნის დასაწყისში ნებისყოფის ექსპერიმენტული შესწავლის მცდელობებიც კი აღინიშნა (ნ. ახი, ა. მიშოტი და ნ. პრიუმი, ფ. ეველინგი). მაგრამ უკვე 1926 წელს შესრულებული კ. ლევინის საეტაპო შრომის – „განზრახვა, ნებისყოფა და მოთხოვნილება" – გამოსვლის შემდეგ (რომელშიც ნებისყოფა, ფაქტობრივად, კვაზიმოთხოვნილებებზე ანუ მოტივაციაზე და გარემოსთან მათ მიმართებაზეა დაყვანილი) ვითარება საგრძნობლად შეიცვალა [103].დადგა მოტივაციის ფსიქოლოგიის ხანა. მისტიკური ელფერის მქონე თავისუფალი ნება უარყოფილ იქნა და კვლევითი ინტერესი ისეთი ცვლადებისკენ წარიმართა, რომლებიც რეალურ მონაწილეობას იღებენ ქცევის აღძვრის, მიმართულობა-ორიენტირებულობისა და მნიშვნელობა-ღირებულების მინიჭების საქმეში [77][83][90].

ბიჰევიორისტული სახადის მოხდის მერე ეს უკანასკნელი ასპექტი მკვლევრების სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობდა, განსაკუთრებით არჩევანისა და გადაწყვეტილების მიღების პრობლემატიკასთან დაკავშირებით, რომელიც ცენტრალური იყო ნებისყოფის კლასიკურ კონცეფციებში. აქ თეორიული აზრი, ძირითადად, იმ მიმართულებით მოძრაობდა, რომელიც ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში მათემატიკოს დავიდ ბერნულის მიერ შემდეგნაირად იყო ფორმულირებული: არჩევანი ეფუძნება მოქმედების კონკრეტული ვარიანტის სუბიექტისთვის მოსალოდნელ ღირებულებას, რომელიც აღქმული ღირებულების ანუ სარგებლიანობისა და სასარგებლო რეზულტატის მიღების ალბათობის ნამრავლია. შემდგომში, უკვე XX საუკუნის ორმოციან წლებში, ფონ ნეიმანმა და ოტო მორგენშტერმა შეიმუშავეს გადაწყვეტილების მათემატიკური ან ფორმალური თეორია, რომლის მიხედვით, *სარგებლიანობა და ალბათობა* ის აუცილებელი და ურთიერთდამოუკიდებელი ცვლადებია, რომელთა საფუძველზე კეთდება ოპტიმალური არჩევანი. შემოთავაზებულ იქნა მოცემული ცვლადების გამოთვლის ფორმალური სტრატეგიები. ამ თეორიამ დიდი გავრცელება პოვა სხვადასხვა სფეროში, განსაკუთრებით ეკონომიკაში. მნიშვნელოვანი იყო მისი გავლენა ფსიქოლოგიაზეც [34][92]. ამავე დროს, თავიდანვე ცხადი იყო ამ მიდგომის ნაკლოვანებაც. საქმე ის არის, რომ აღნიშნული მოდელი ისეთ სუბიექტს გულისხმობს, რომელიც ამომწურავად არის ინფორმირებული, შესწევს უნარი, განასხვავოს და შეაფასოს ალტერნატივების დიდი რაოდენობა და მხოლოდ რაციონალურ საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება. მაგრამ განა გადაწყვეტილების მიღების ჩვეულებრივი ვითარება ასეთია? ხომ აშკარაა, რომ მრავალი გადაწყვეტილება მიიღება ინფორმაციისა და დროის დეფიციტის პირობებში ადამიანის მიერ, რომლის ინფორმაციული და პროგნოსტული შესაძლებლობები შეზღუდულია. ისიც ნათელია, რომ რეალური არჩევანი რეალური ადამიანის მიერ წმინდა რაციონალურ საფუძველზე პრაქტიკულად არ კეთდება. აქ ყოველთვის მონაწილეობს უამრავი სუბიექტური მომენტი, არაცნო-

ბიერი თუ ინტუიციური კრიტერიუმი. გარდა ამისა, ფსიქოლოგიაში ფეხი ვერ მოიკიდა უტილიტარული ღერადობის მქონე სარგებლიანობის ცნებამ. ბევრად ფართო გავრცელება პოვა ლევინის სკოლაში გამოყენებულმა ცნებითმა აპარატმა. მასზე დაყრდნობით შეიქმნა რამდენიმე საინტერესო სისტემა, რომლებიც ე.წ. *მოსალოდნელი ღირებულების* მოდელების ჯგუფს მიეკუთვნებიან. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქ ორ ცვლადს ენიჭება: იმის ღირებულებას, რისი განხორციელებაც ადამიანს უნდა (ამოსავალი *მოტივაცია)* და იმის მოლოდინს, რომ ეს განხორციელდება (აღქმული *ალბათობა).ჯ.* ატკინსონი ამ ცვლადებს, გარკვეული მუდმივი ფაქტორის სახით, ე.წ. მიღწევის მოტივაციას უმატებს [84]. ტ. მიჩელი, ვ. ვრუმი და სხვები ლაპარაკობენ ვალენტობასა და ინსტრუმენტალობაზე [106][115]. გადაწყვეტილება შეიძლება *ვინმე ასწარმეტყველოთ,* თუ ვიცით, როგორ განიცდება სუბიექტის მიერ ორი რამ: ერთი – კონკრეტულ აქტივობასთან დაკავშირებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება-დაუკმაყოფილებლობა, ანუ ქცევის შედეგების *საერთო ღირებულება (ვალენტობა)* და მეორე – ამ შედეგების დადგომის *ალბათობა (ინსტრუმენტალობა).* გადაწყვეტილება ქმნის ე.წ. *რეზულტატურ მოტივაციას* ან, ლევინის ტერმინოლოგიით, ფსიქოლოგიურ ძალას; მაგრამ იმის დასადგენად, განხორციელდება თუ არა სათანადო ქცევა, მოტივაციური ტენდენციის მონაცემებს უნდა დაემატოს მონაცემები ინდივიდის *უნარ-შესაძლებლობებისა და სიტუაციის* შესახებ. ასე აიგება ქცევის საბოლოო ფორმულა. ამავე ჯგუფის მოდელებს მიეკუთვნება ა. ბანდურას და, განსაკუთრებით, ჯ. როტერის თეორიაც (იხ. XI თავი). არსებითად ასევე აღიწერება გადაწყვეტილების პროცესი დ. უზნაძის განწყობის თეორიაშიც [31].

მოსალოდნელი ღირებულების თეორიებს თანამედროვე ქცევისა და მოტივაციის ფსიქოლოგიაში ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ადგილი უკავია. მათში რეალიზებულმა იდეამ, რომ ღირებულებისა და მოლოდინის ცვლადები განსაზღვრავენ გადაწყვეტილებას, რომელიც საბოლოოდ ხორციელდება, საკმაოდ საფუძვლიანი დადასტურება მიიღო. მიუხედავად ამისა, სპეციალისტები მიუთითებენ მათთვის დამახასიათებელ ნაკლოვანებებზე – ესენია: გადაჭარბებული ობიექტივისტურობა, განზოგადებულობა, რაციონალისტურობა, ფორმალიზებულობა და უნივერსალურობა [90].

ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გარკვეული მუშაობა წარიმართა. ჯერ ერთი, გადაწყვეტილების მიღების კვლევისას მისი ავკარგიანობის განსაზღვრა დაიწყეს კონკრეტული ღირებულებებისა და გონითი მდგომარეობების კონტექსტში (ა. ტვერსკი, დ. კანემანი და სხვ.). ამავე დროს, ყურადღება გამახვილდა გადაწყვეტილების მიღებისა და, საზოგადოდ, მოტივაციის პროცესში ინფორმაციის კოგნიტური გადამუშავების სპეციფიკურ თავისებურებებზე. სერიოზული მნიშვნელობა შეიძინა მოსაზრებამ, რომლის თანახმად, ქცევაში მონაწილე ზოგიერთ კოგნიტურ სტრუქტურას გამოკვეთილი ემოციურ-მოტივაციური ელფერი დაჰკრავს. ქცევის თანამედროვე კოგნიტივისტურ მოდელებში სულ უფრო ნაკლებად ვხვდებით წმინდა ენერგეტიკულ (მოთხოვნილება, ემოცია) და წმინდა კოგნიტურ (წარმოდგენა, აზრი) ერთეულებს. ამჟამად გავრცელებული თვალსაზრისის თანახმად, აქტივობის

აღძვრა-წარმართვისთვის აუცილებელია პირველადი მოტივაციის კოგნიტური გადამუშავება, რის შედეგადაც ყალიბდება რთული *კოგნიტურ-მოტივაციური ან კოგნიტურ-აფექტური* წარმონაქმნები და სტრუქტურები; ასეთებია: მიზანი, გეგმა, ინტერესი, მოლოდინი, რწმენა, განწყობა და ა.შ. რეალური ქცევა სწორედ მათ ეფუძნება. მოტივაციის კოგნიტური გადამუშავების პროცესი დეტალურად არის აღწერილი ჟ. ნიუტენის კონცეფციაში (იხ. XI თავი). დღევანდელი ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ტენდენცია ქცევის ძირითადი დეტერმინანტების მიმართ *ინტეგრაციულ მიდგომაში* აისახება. ეს იმას ნიშნავს, რომ კოგნიტური და ემოციურ-მოტივაციური პროცესები საკმაოდ ხშირად ქმნიან ისეთ *კომპლექსებს*, რომელთა ანალიზის დროსაც ამ პროცესების ერთმანეთისგან გამიჯვნა საკმაოდ რთულია [30][116]. კლასიკური ფსიქოლოგია, როგორც ცნობილია, მათ ცალსახად განსხვავებულ კლასებში ათავსებდა. ამჟამად უკვე საყოველთაოდ ცნობილია, რომ ისეთი ფენომენები, როგორებიცაა, მაგალითად, სოციალური განწყობები, შეიცავენ შემეცნებით, დამოკიდებულებით და ქცევით კომპონენტებს.

რადგან ქცევის ფსიქოლოგიის უახლეს ტენდენციებზე ვსაუბრობთ, საჭიროა აღინიშნოს, რომ ბოლო ხანებში მკვლევრები სულ უფრო თამამად ლაპარაკობენ ადრე ლამის ტაბუირებულ ნებისყოფაზე [77][81][118]. ამერიკულ ფსიქოლოგიაში ამას უფრო სპონტანური ხასიათი აქვს. ტერმინი *ნებისყოფა* ამ შემთხვევაში აღნერს კონტროლის, თვითკონტროლისა და თვითრეგულაციის სტრატეგიებს, რომლებიც, უპირატესად, კოგნიტური დასწავლის მეშვეობით ფორმირდება, თუმცა, როგორც ეს კონტროლის ლოკუსის შემთხვევაშია, დაშვებულია მათი ერთგვარი გენეტიკური განპირობებულობაც [93]. ზემოთ ჩვენ შევეხეთ ზოგიერთ მოსაზრებას, რომელიც გამოთქმულია ამ საკითხების გარშემო კოგნიტურ ფსიქოლოგიაში (ბანდურა, მიშელი და სხვ.).

ევროპულ ფსიქოლოგიაში ნებისყოფის ცნების რეაბილიტაციის ტენდენცია უფრო გამოკვეთილ ხასიათს ატარებს. აქ, პირველ ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს გერმანელი მეცნიერების, ი. კულისა და ჰ. ჰეკჰაუზენის შეხედულებები.

კულმა თავის *მოქმედების კონტროლის* მოდელში განასხვავა საკუთრივ მოტივაციური და ნებელობითი პროცესები. სხვანაირად მათ ავტორი *სელექციისა და რეალიზაციის* მოტივაციასაც უწოდებს. *ქცევის* ერთ-ერთი ალტერნატივის შერჩევა (სელექცია) არ ნიშნავს მის რეალიზაციას. ამისთვის ხშირად საჭირო ხდება მოქმედების კონტროლის პროცესების ჩართვაც და ესაა სწორედ *ნებელობა*. ეს პროცესები ორ ჯგუფად იყოფა: ა) *კონტროლი ჩანაფიქრზე* – იგი ხორციელდება განზრახვის შექმნიდან ქცევის დაწყებამდე და ბ) *კონტროლი მოქმედებაზე* ვიწრო მნიშვნელობით, ანუ თავად მოქმედების მსვლელობის მართვა. ქცევის მიმდინარე კონტროლის საჭიროებას განაპირობებს მისი მოტივაციური ძალის შესუსტება ან სხვა მიზნებისკენ წარმართული ტენდენციების გაძლიერება, ასევე, შესრულების პროცესში წარმოქმნილი შინაგანი თუ გარეგანი წინააღმდეგობები. აქ ლაპარაკია გარკვეული ემოციებისა და მოტივების მართვაზე. ასე მაგალითად, ადამიანს უნარი შესწევს, გამოიწვიოს ცნობიერების გარკვეული მდგომარეობები, რომლებიც ხელს უწყობენ მოქმედების შეს-

რულებას და, პირიქით, შეაკავოს ისეთები, რომლებიც დაბრკოლებას ქმნიან. ამისთვის სხვადასხვა ხერხი გამოიყენება, ვთქვათ, მიზნის დადებით შედეგებთან დაკავშირებული წარმოდგენების აქტუალიზაცია ან უარყოფითი შედეგიდან ყურადღების გადატანა სხვა შინაარსზე. აღნიშნული კონტროლი ასევე ვრცელდება ფიზიკურ და სოციალურ გარემოზე. მაგალითად, ადამიანს შეუძლია, თავი დაიცვას ცდუნებებისგან მაპროვოცირებელი საგნების მოშორებით გარემოდან (სიგარეტისათვის თავის დანებება უფრო ადვილია, როცა თვალში აღარ გხვდება მოწევასთან ასოცირებული საგნები), ან თავის გარემოცვაში ისეთი სოციალური პრესინგის შექმნით, რომელიც გაუადვილებს განზრახვის საწინააღმდეგო ტენდენციებთან ბრძოლას (მოწევაზე უარის თქმის შესახებ ეცნობება ყველა ახლობელს, რომლებიც, გარკვეულად, მაკონტროლებელ ფუნქციას შეიძენენ). როგორიც არ უნდა იყოს კონტროლის სტრატეგია, იგი გულისხმობს ინფორმაციის *ძიებას* (ყურადღება), *შენახვას* (ოპერატიული და ხანგრძლივი მეხსიერება) და *გადამუშავებას* (კოდირება-დეკოდირება, შეფასება, პროგრამირება და კორექცია). ავტორი სპეციალური სქემის სახით გამოსახავს ამ კოგნიტური პროცესების ურთიერთკავშირს ქცევის ნებელობითი რეგულაციის დროს [101]. ნებისყოფა, როგორც უნარი, არსებითად, ამ პროცესების კოორდინებულ ფუნქციონირებას გულისხმობს. კული მიუთითებს, რომ მისი ფორმირების კანონზომიერებების დასადგენად ჯერ კიდევ დიდი მუშაობაა გასაწევი. თავისი ემპირიული კვლევის შედეგად კი მან შექმნა ე.წ. *მოქმედების კონტროლის ტესტი,* რომლითაც ამ უნარის ზოგიერთი ასპექტის გაზომვა და, ამდენად, ინდივიდუალური თავისებურებების დადგენა ხერხდება. იგი სამ სკალას შეიცავს; პირველი ორი *მდგომარეობაზე ორიენტაციას* ზომავს, ხოლო მესამე – *მოქმედებაზე ორიენტაციას.* მდგომარეობაზე ორიენტაცია ინერციული ბუნებისაა და გამოხატავს ყოყმანს აქტიურ მოქმედებაზე გადასვლის წინ. მოქმედებაზე ორიენტაცია გამოხატავს განზრახვის განხორციელებისკენ სწრაფვასა და საამისო შესაძლებლობას. შესაბამისად, იზომება პიროვნული ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებენ განზრახვის შენარჩუნებისა და გააქტიურების უნარზე.

ჰეკჰაუზენი უფრო დეტალიზებულ მოდელს გვთავაზობს, თუმცა ძირითადი იდეა აქაც იგივეა: უნდა გაიმიჯნოს საკუთრივ *მოტივაციური* პროცესი ქცევის *შესრულების, ანუ ნებელობითი* პროცესისგან. ისინი ცნობიერების ორ განსხვავებულ მდგომარეობას ქმნიან. ეს განსხვავება ეხება ცნობიერების შინაარსს და ინფორმაციის გადამუშავების ტიპს. ავტორის თქმით, მოტივაციის პროცესი ორიენტირებულია რეალობაზე, ხოლო ნებისყოფისა – შედეგზე. ერთ შემთხვევაში სუბიექტი არკვევს არსებულ და სამომავლო ვითარებას, მეორეში – ზრუნავს განზრახული რეზულტატის მისაღწევად. კოგნიცია ამ ორ შემთხვევაში განსხვავდება შინაარსეულად, ინფორმაციის სელექციისა და გადამუშავების ხერხების თვალსაზრისით. მათ შორის გამავალი რუბიკონის გადალახვას სპეციალური პროცესები უზრუნველყოფს (ჰეკჰაუზენი თავის შეხედულებას *რუბიკონის მოდელს* უწოდებს). საერთოდ კი ქცევის რეგულაციის მთელი პროცესი რამდენიმე სტადიად იყოფა, რომლებიც არსებითად იმეორებენ ნებელობის პერიოდების კლასიკურ ფსიქოლოგიაში გამომუშავებულ სქემას: მომზადე-

ბა – გადაწყვეტილება – შესრულება. განსხვავება ისაა, რომ თანამედროვე ვერსიაში მოტივაციურ-კოგნიტური პროცესები საგულდაგულოდ არის დახასიათებული მრავალრიცხოვანი ემპირიული მონაცემების საფუძველზე. ჰეკჰაუზენი პროცესის ასეთ სტრუქტურას გვთავაზობს: მოტივაცია – რეზულტატური მოტივაციური ტენდენცია – განზრახვის ჩამოყალიბება – მოქმედების ინიციირება – შესრულება [77].

ნებისყოფის ცნების დაბრუნება ფსიქოლოგიის ძირითად ცნებათა შორის თავისთავად დადებით ტენდენციად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ისიც ნათელია, რომ მისი აქ დამკვიდრება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას საბოლოოდ ჩამოშორდება ის ვოლუნტარისტულ-მისტიკური შინაარსი, რომლის გამოც თითქმის განიდევნა აკადემიური ფსიქოლოგიიდან. ეს ცნება უნდა დაზუსტდეს მეცნიერულობის მკაცრი კრიტერიუმების შესაბამისად. ამის გათვალისწინებით, გამართლებული არ ჩანს ნებისყოფის ცნების შინაარსის ისეთი შეზღუდვა, როგორც ეს ზემოთ მოყვანილ მოდელებში მოხდა. ნებისყოფის ცნებაში ქცევის ყველა ეტაპი შედის, მათ შორის გადაწყვეტილების მიღების და მასთან დაკავშირებული მოტივაციის. მეტიც, სწორედ გადაწყვეტილების მიღება ითვლება ნებისყოფის საკვანძო მომენტად კლასიკურ თეორიებში, რაც სავსებით მართებულია [10][11]. საზოგადოდ კი, ტერმინი „ნებისყოფა" აღნიშნავს ქცევის რეგულაციის გარკვეულ დონესა და სახეს, არსებითად განსხვავებულს ავტომატურისა და იმპულსურისაგან. მთავარი აქ ისაა, რომ დღეს ნებისყოფის ფუნქციის განმსაზღვრელი რეგულატორული პროცესების დახასიათება კონკრეტული კოგნიტურ-მოტივაციური ცვლადებისა და მათ შორის არსებული მიმართებების საშუალებით ხდება. სხვანაირად რომ ვთქვათ, ქცევის *ნებელობითი რეგულაციის მექანიზმების* სტრუქტურისა და ფუნქციის შესწავლა სხვა ფსიქიკური პროცესებისა თუ უნარების მსგავსად ხდება, რაც გულისხმობს მათი კავშირის დადგენას გარემოსთან, ბიოლოგიურ ცვლადებსა და გარკვეულ ფსიქიკურ ფაქტორებთან. ამ მექანიზმების აღმოცენება-ჩამოყალიბება ასევე *დეტერმინირებულია* ინტერიორიზაციის, სოციალიზაციის, მომწიფებისა თუ დასწავლის პროცესებით.

თავისუფალ ნებას, თუ ის სპირიტუალისტური, ზეადამიანური ძალა არ არის, სუბიექტი ესაჭიროება. ნებელობით ქცევას თავისი ავტორი ჰყავს, რომელიც მეცნიერული ენითა და საშუალებებით უნდა დახასიათდეს. ფსიქოლოგიაში ასეთად მოიაზრება ე.წ. *მე* ან *თვითონი*, რომლებიც პიროვნების მაინტეგრირებელ სისტემებად ითვლება. ფსიქოლოგიაში ძნელად თუ მოიძებნება ესოდენ მრავალი მნიშვნელობის შემცველი ცნებები. მათი შინაარსი სხვადასხვა თეორიის კონტექსტის შესაბამისად ცვალებადობს. უ. ჯეიმსთან ისინი მატერიალური, სოციალური და სულიერი მე-ს სტრუქტურების სახით არიან წარმოდგენილი; ფსიქოანალიზში ესაა ეგო, რომელიც ცნობიერი ადაპტაციის რეგულატორია და სუპერეგო, რომელიც მორალურ ცენზორად გვევლინება; ა. ადლერთან მე ცხოვრების სტილს განასახიერებს; ეგოფსიქოლოგიაში მე-ს დახასიათება კიდევ უფრო ღრმავდება როგორც სტრუქტურულ-ფუნქციონალური (ჰ. ჰარტმანის ავტონომიური მე), ისე ონტოგენეტური (ე. ერიქსონის თვითიდენტური მე) თვალსაზრისით. კ. როჯერსი რეალური და იდეალური მე-ს მიმართებას ახასიათებს; კოგნიტივიზმში მე-სისტემა კოგნიტური სტრუქტურების ერთიანობად განი-

ხილება (ა. ბანდურა, უ. მიშელი), თუმცა ჯ. კელი მას თავისებურ მაკონტროლებელ კონსტრუქტად მიიჩნევს და ა.შ. (იხ. I, IV, IX, X, XI თავები).

როგორი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანიც არ უნდა იყვნენ პიროვნების შემადგენელი ერთეულები (განწყობა, მოლოდინი, მოტივი, ღირებულება, მიდრეკილება, კომპეტენცია თუ სხვა), მაინც უნდა არსებობდეს სისტემური რგოლი, რომელიც მათ გააერთიანებს. ეგო, მე-კონცეფცია, თვითონი, პროპრიუმი – ასეთი განზოგადებული კონსტრუქტებია. თავისუფალ ნებას სწორედ ასეთი კონსტრუქტი უნდა ახორციელებდეს. გამოხატავს რა ინდივიდის თვითრეფლექსიას, იგი განსაზღვრავს თვითაღქმას, თვითშეფასებას, თვითიდენტიფიკაციას, თვითპატივისცემას და ა.შ. ბევრ თეორიაში სწორედ მას მიეწერება მართვის ის ფუნქცია, რომელიც ადამიანის ქმედებათა შერჩევასა და შესრულებას უზრუნველყოფს.

ამასთან დაკავშირებული წარმოდგენების სიმრავლე იმაზე მეტყველებს, რომ არავინ იცის დანამდვილებით, როგორ უნდა იქნეს გააზრებული პიროვნების ეს სტრუქტურული რგოლი. მაგრამ სწორედ აქ არის გამოსაჩენი უდიდესი სიზუსტე და სიფრთხილე. საქმე ისაა, რომ, თუ თავისუფალი ნების მატარებელი რაღაც ინსტანცია/წარმონაქმნი არსებობს, ის რეალური ავტონომიით უნდა სარგებლობდეს სულიერი სამყაროს და ქცევის სხვა კომპონენტებთან მიმართებით, რათა ისინი „თავის ნებაზე" მართოს და გააკონტროლოს. ნების თავისუფლების იდეა შეიცავს რეალურ საფრთხეს, მივიდეთ პიროვნებაში არსებული პატარა ადამიანის, ე.წ. *ჰომუნკულუსის* აღიარებამდე, რომლის დაშვების მერე ადამიანის ქცევის/ფსიქიკის მეცნიერულ შესწავლაზე საერთოდ ხელის აღება მოგვიწევს.

ესეც არ იყოს, დეტერმინაცია-თავისუფლების დიქოტომიის კონტექსტში აუცილებლად დაისმის საკითხი, თუ როგორ წარმოიქმნება აღნიშნული სისტემა, არის თუ არა იგი ადამიანის მიერ საკუთარი თავის პროექტირება-ქმნადობისა და, შესაბამისად, მისი „თავისუფალი და შემოქმედი ნების" გამოვლინება, როგორც ამას ეგზისტენციალისტები ფიქრობენ. აქ სახეზეა შემდეგი ლოგიკა: ის, ვინც თავისუფალ არჩევანს აკეთებს და საკუთარი ნებით მოქმედებს, საკუთარივე არჩევანის პროდუქტს უნდა წარმოადგენდეს და საკუთარი ნების საფუძველზე უნდა იყოს ისეთი, როგორიც არის. ნების ნამდვილ თავისუფლებასთან მაშინ გვაქვს საქმე, თუ ნებელობითი ქცევის ყველა შინაგანი რეგულატორი თვით ადამიანის მიერ არის შექმნილი. ხოლო თუ მათი ქმნადობა გარეგანი (აღზრდა, სოციალური წრე და სხვ.) და შინაგანი (მემკვიდრეობა) ფაქტორებითაა განსაზღვრული, გადაწყვეტილების მიმღები დეტერმინირებული ყოფილა და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება თავისუფალი ნების გამოხატულებად ვეღარ ჩაითვლება. აქედან გასაგებია, რომ თვითქმნადი პიროვნების ეგზისტენციალური თეზისი ფუძემდებლური ხდება ფსიქოლოგიის ჰუმანიტარული მიმართულების ყოველგვარი სახეობისთვის, რომელიც დეტერმინაციის უარყოფისა და თავისუფლების იდეის კულტივირებისკენ არის მიდრეკილი.

მასლოუც, რომელიც ყოველთვის თანაუგრძნობდა ეგზისტენციალურ ფსიქოლოგიას, ასე აფასებს ამ პოზიციას: ეგზისტენციალისტებს მიაჩნიათ, რომ თვითონი არის პროექცია, რომელიც „იქმნება იმ მუდმივი (და ნებისმიერი) არჩევანით,

რომელსაც პიროვნება ახორციელებს, თანაც ისე, თითქოს მას შეუძლია, საკუთარი თავისაგან გააკეთოს ყველაფერი, რაც მოესურვება. ეს ის უკიდურესობაა, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება გენეტიკური და კონსტიტუციური ფსიქოლოგიის მიერ მოპოვებულ მონაცემებს და ცოტა სულელურადაც ჟღერს" [41; 25]. თვითონის, მე-ს „თავისუფალი ქმნადობის" პროცესი მხოლოდ მემკვიდრეობითი მასალით კი არ არის შეზღუდული, არამედ უკვე არსებული ღირებულება-განწყობებით ან მე-ს სხვა ქვესისტემებით; ისინი ხომ გამზადებული სახით ხვდებიან სუბიექტს, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს საკუთარი თავის შეცვლის თაობაზე. ამასთან, ყოველგვარი გადაწყვეტილება და მთლიანად ნებისმიერი ქცევა სავსებით დეტერმინირებულ პროცესად უნდა განვიხილოთ. ყოველ შემთხვევაში, ეს არის თანამედროვე აკადემიურ ფსიქოლოგიაში ყველაზე გავრცელებული პოზიცია. ამავე დროს, დიდ წინააღმდეგობას აწყდება თეზისი, რომ პიროვნება, ან, თუნდაც, მასში თავისუფალი არჩევანის განმახორციელებელი ინსტანცია, *თვითშემოქმედების* შედეგია. მე-ს ჩამოყალიბება ონტოგენეზში საკმაოდ ადრეული ასაკიდან მიმდინარეობს სხვადასხვა სოციალური ზემოქმედების გავლენით [18]. გარდა ამისა, დისპოზიციური განწყობებისა თუ ღირებულებების ფორმირება-შეცვლის მექანიზმების დიდი ნაწილი (როლების შესრულება, მიბაძვა, იდენტიფიკაცია, კატეგორიზაცია, არათავსებადობის მოხსნა და კონგრუენტობის გაზრდა), მოზრდილობაშიც, ძირითადად, ავტომატურ რეჟიმში, სუბიექტის აქტიური მონაწილეობის გარეშე მოქმედებს [8]. ყოველ შემთხვევაში, თუ სუბიექტი მონაწილეობს მათი ქმნადობის ან რეორგანიზაციის პროცესში, იგი, ცხადია, ამისთვის თავად არის *მოტივირებული და განწყობილი*, და, მაშასადამე, დეტერმინირებული. თვითქმნადობის ეგზისტენციალისტური იდეა, ერთი შეხედვით, მიმზიდველად გამოიყურება, მაგრამ, თუ ჩაუკვირდებით, აღმოჩნდება, რომ იგი ვერ ჩაენაცვლება თავისუფლების იდეას, ვინაიდან თვითქმნადობაზე მიმართული ყოველი გადაწყვეტილება და ქმედება უთუოდ თავადაა დეტერმინირებული გარეგანი მოთხოვნებით და შინაგანი მოტივებით. ძნელი გასაგებია, თუ რა მნიშვნელობით შეიძლება ამ შემთხვევაში „თავისუფალ თვითქმნადობაზე" ლაპარაკი.

თუ ეგზისტენციალური ფილოსოფიის სიბრტყიდან ფსიქოლოგიურ სიბრტყეში, რეალური ქცევის პლანში გადმოვალთ, თვითქმნადობა საკუთარი თავის (ცოდნა-ჩვევების, უნარ-თვისებების, ღირებულება-განწყობების) ფორმირებაზე ან შეცვლაზე მიმართულობას და შესაბამის აქტივობას უნდა გულისხმობდეს. თვითქმნადობის ცნების ასეთი დაზუსტება აუცილებელია, რათა განვასხვაოთ იგი საკუთარ თავზე ზრუნვასთან დაკავშირებული უამრავი სხვა ქცევისგან. მაგრამ აქ დგება საკითხი, რომელიც სათანადოდ არ არის გათვალისწინებული მათ მიერ, ვინც თავისუფლების ცნებას ადამიანის თვითქმნადობის უნართან აკავშირებს. თვითქმნადობა უმაღლესი დონის რთული აქტივობაა და საკმაოდ მოწიფულ პიროვნებას გულისხმობს. იმ შემთხვევაში, თუ თავისუფლება თვითქმნადობასთან ასოცირდება, პიროვნება თავისუფალი თვითქმნადობის პროდუქტი ვერ იქნება, რადგან ეს პროცესი (უნარი) უკვე გულისხმობს პიროვნული დონის აქტივობის მექანიზმების არსებობას. მაგალითად, განზრახვას, თავი დაანებოს რაიმე მავნე ჩვევას, ან გამოიმუშაოს რომელიმე სასარ-

გებლო თვისება, უკვე შემდგარი პიროვნება იღებს. მაშასადამე, *პიროვნება თვითქმნადობამდე და ე.ი. თავისუფლებამდე არსებობს;* აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ იქამდე, ვიდრე პიროვნება თვითქმნადობის მიზანს დაისახავს (თუ ასეთი რამ საერთოდ მოხდა), მისი ფორმირებისა და ფუნქციონირების პროცესი ყოველგვარი თავისუფლების გარეშე, კანონზომიერად, შინაგანი და გარეგანი ფაქტორებით დეტერმინირებულობის პირობებში მიმდინარეობს.

ასეთნაირად დეტერმინირებულმა პიროვნებამ შემდგომში შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება, რომ საკუთარი თავი შეცვალოს და თვითქმნადობის მიმართულებით იღვაწოს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც იგი აუცილებლობით დაეყრდნობა იმ შინაგან დეტერმინანტებს (მოტივაციურ ძალებს, ღირებულებით ორიენტაციებს, განწყობებს, მსოფლმხედველობას და ა.შ.), რომლებიც მასში „ჩადებულია" და რომელთა შემუშავებაში მას არსებითად და შეგნებულად მონაწილეობა არ მიუღია.

ადამიანი, რა თქმა უნდა, შემოქმედი არსებაა, იგი ზემოქმედებს თავის გარემოზე, ქმნის კულტურას, მაგრამ ამით, ცხადია, არ თავისუფლდება მისგან, პირიქით, კიდევ უფრო უკავშირდება მას. ადამიანმა ასევე შეიძლება მიზნად დაისახოს საკუთარი თავის, თავისი მოტივაციისა თუ შესაძლებლობების შეცვლა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის აღარ არის დეტერმინირებული ამ *შინაგანი ფაქტორებით.* ეს გარემოება ძალიან ზუსტად დაახასიათა ვ. ვინდელბანდმა: „თავისუფლება არასოდეს არ არის აბსოლუტური განსაზღვრულობა. ის ყოველთვის თავისუფლებაა სხვა რაიმესგან. ამ ცნების სრული განსაზღვრისთვის მისი ყოველი გამოყენებისას დაისმის კითხვა: თავისუფლება რისგან? გამოცდილებაში მოცემულ სინამდვილეში არ არსებობს აბსოლუტური თავისუფლების მაგალითი, არ არსებობს თავისუფლება ყოველგვარი განსაზღვრულობისა და ყოველგვარი დამოკიდებულებისგან არც ქცევაში, არც მდგომარეობაში, არც ნივთში" [21; 13-14].

ეს ნამდვილად ასეა. ამიტომ თანამედროვე აკადემიურ ფსიქოლოგიაში თავისუფლების კატეგორიის უარყოფა თუ არა, საფუძვლიანი შეზღუდვა ხდება. მართლაც, ბოლოს და ბოლოს, რისგანაა ადამიანი დამოუკიდებელიც და თავისუფალიც? შესაძლოა, *გარემოსგან,* ისიც მხოლოდ ნაწილობრივ. მაგრამ გათავისუფლება *შინაგანისგან* პრინციპულად შეუძლებელია, რადგან სწორედ ისაა თავისუფალი გადაწყვეტილებისა და მოქმედების საფუძველი, პირობა. ამიტომ დეტერმინაციის ცნების შეცვლა მოტივაციის ცნებით, რასაც ფსიქოლოგიის ჰუმანიტარული ვერსია გვთავაზობს, გაუგებრობის გარდა, არაფრის მომტანია, ვინაიდან *მოტივირებულობა დეტერმინირებულობის სახეობაა.* ამდენად, პიროვნების არჩევანი და გადაწყვეტილება შინაგანად განპირობებულია. თავად *გადაწყვეტილების მიღების უნარი* შეიძლება ჩაითვალოს ერთგვარი თავისუფლების გამოხატულებად, მაგრამ ორი პრინციპული შენიშვნის გათვალისწინებით: 1) არჩევანისა და გადაწყვეტილების მასალა (მოთხოვნილებები, მოტივები, ღირებულებები, სოციალური განწყობები, ინფორმაცია სიტუაციისა და თვითეფექტურობის შესახებ) წინასწარი მოცემულობაა და არ არის პიროვნების თვითშემოქმედების შედეგი. ადამიანი, როგორც ცოცხალი არსება, მათგან დამოუკიდებელი და თავისუფალი ვერ იქნება. ასეთი რამ სიკვდილის ტოლფასია; 2) თვით

არჩევანი და გადაწყვეტილება კანონზომიერი პროცესია, ანუ განპირობებულია გარკვეული ფაქტორებით და გარკვეულ წესებს ემორჩილება. მასში განსაზღვრულია მიზანი, ამოცანა (ყველაზე მაღალი სუბიექტური ღირებულების მქონე ალტერნატივის გამოვლენა-შეწყნარება) და სათანადო ტექნოლოგია (შეფასების, პროგნოზირების და სანქციონირების უნარ-ჩვევები). ეს ყოველივე მოცემული სუბიექტური პროცესის „ობიექტური" *ალგორითმია*, რომლის არსებობა მისი მეცნიერული შესწავლის საწინდარია. როგორც ზემოთ ვნახეთ, ფსიქოლოგიაში უკვე შექმნილია გადაწყვეტილების მიღების საკმაოდ გამართული მოდელები. მათ საფუძველზე, ძირითადად, შესაძლებელია გადაწყვეტილებისა და ქცევის წინასწარმეტყველება.

ეს ორივე პუნქტი პროცესის *დეტერმინირებულობას* გულისხმობს, რაც იმდენად ზღუდავს თავისუფლების არეს, რომ ამ ცნების გამოყენება იმ შინაარსით, როგორც ის მოცემულია ნების თავისუფლების ტრადიციულ შეხედულებებში, სათუოა. ფუნქცია, რომლის *მოდელირება, პროგნოზირება და გაზომვა* შეიძლება, ძალიან ძნელი დასახასიათებელია თავისუფლების კატეგორიით. ყოველ შემთხვევაში, ასე მიაჩნია თანამედროვე საბუნებისმეტყველო ფსიქოლოგიას. მასში ნებელობის პრობლემატიკის დაბრუნება იმითია პირობადებული, რომ აქ მონაწილე ფაქტორები და პროცესები, როგორებიცაა „იმპულსური ქცევისა და მე-ს მოთხოვნის შეუთავსებლობის განცდა, პიროვნებისთვის მისაღები ალტერნატიული ქცევების გამონახვა, მათი შეფასება პიროვნების ღირებულებითი სისტემის საფუძველზე, რომელიმე ქცევის ამორჩევა, მისთვის გარკვეული მოტივის გამონახვა და სხვებთან შედარებით მეტი ღირებულების მიწერა, გადაწყვეტილების მიღება" [8; 162], თანამედროვე ფსიქოლოგიის ჩვეულებრივი ემპირიული კვლევის ობიექტია. ვოლიტური ფსიქიკური პროცესები ძალიან რთულია. ჯერ კიდევ ბევრი რამაა დასადგენი მათ მექანიზმებზე, აქ მონაწილე ცვლადებს შორის არსებულ კავშირებზე, მაგრამ, უეჭველია, რომ ეს კავშირები არსებობს. ასევე, ბევრი რამ არ ვიცით დამახსოვრებისა და მოგონების, ამოცანის გადაწყვეტისა და სხვა ფსიქიკურ პროცესებზე, მაგრამ ამის გამო ისინი ვერ იქცევიან თავისუფლების კატეგორიის გამოყენების ობიექტებად.

კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ „თავისუფალი ნება" აუცილებლად პიროვნების გაცნობიერებული ნებაა, ხოლო მისი განმახორციელებელი ფსიქიკური პროცესები დიდწილად გაუცნობიერებლად მიმდინარეობს. ნათელია, რომ არაცნობიერი ფსიქიკის დახასიათება თავისუფალი ნების კატეგორიის ტერმინებში, უბრალოდ, აზრს მოკლებულია. მიმოიხილავს რა თანამედროვე კოგნიტურ ფსიქოლოგიაში ამასთან დაკავშირებულ ემპირიულ მონაცემებს, ცნობილი სპეციალისტი ბ. ველიჩკოვსკი აღნიშნავს, რომ „ახალი კოგნიტური ცოდნა განსაკუთრებით საეჭვოს ხდის ჩვენი გადაწყვეტილებების თავისუფლებას. გადაწყვეტილების მიღების პროცესების სირთულის გათვალისწინებით, გასაგებია, რომ მათი მხოლოდ მცირე ნაწილი რჩება ცნობიერი, ამასთან, ისიც ცნობიერი მე-ს მიმართ გარეგანი აფექტური გავლენის ქვეშ იმყოფება" [20; 377].

და მაინც, უნდა ითქვას, რომ ფსიქოლოგიას უჭირს, მთლიანად შეელიოს თავისუფლების იდეას, თუნდაც იმიტომ, რომ მას გარკვეული სარგებლობა მოაქვს მე-

ქანიცისტური აზროვნების უკიდურესობათა პრევენციის კუთხით. მაგრამ ისიც ნათელია, რომ მან ხელი არ უნდა შეუშალოს ადამიანის ქცევის მეცნიერულ კვლევას, რომელიც ცვლადებსა და ფაქტორებს შორის სხვადასხვა სახის კავშირის დადგენას გულისხმობს. თუ კანონზომიერება (დეტერმინაცია) და თავისუფლება (ინდეტერმინიზმი) ერთმანეთს გამორიცხავს, მაშინ მეცნიერულ ფსიქოლოგიას პირველის სასარგებლოდ მოუწევს არჩევანის გაკეთება. თუ ეს დიქოტომია მცდარია, თავისუფლების ცნებას სხვა, ახალი შინაარსი უნდა მოენახოს ყოველივე იმის გათვალისწინებით, რაც ზემოთ ითქვა. ამავე დროს, ამოსავალი უნდა იყოს თეზისი „აბსოლუტური თავისუფლების" არარსებობის შესახებ მატერიალურ და სულიერ სინამდვილეში. აქედან გამომდინარე, თავისუფლება მხოლოდ არათავისუფლების (დეტერმინირებულობის) ხარისხის შემცირებად შეიძლება იქნეს განხილული და, რაც მთავარია, პრაქტიკულად უნდა იქნეს ნაჩვენები, როგორ არის შესაძლებელი თავისუფალი ანუ ინდეტერმინირებული (კანონზომიერების არმქონე) პროცესის მეცნიერული კვლევა.

საყურადღებოა დ. უზნაძის პოზიცია ნებისყოფის თავისუფლების საკითხთან დაკავშირებით. მას არც დეტერმინიზმის პრინციპის აუცილებლობაში ეპარება ეჭვი და არც თავისუფლების იდეის დათმობა სურს. როგორც ვიცით, უზნაძე ქცევის უშუალო დეტერმინანტად განწყობას მიიჩნევს. განწყობა, თავის მხრივ, მოთხოვნილებით და სიტუაციით არის დეტერმინირებული. ამდენად, იმპულსური იქნება ქცევა თუ ნებისმიერი, „იგი მთლიანად *მის ზემოთ* რკალშია ჩართული: მიზეზ-შედეგის ჯაჭვი აქ არსად არ წყდება" [10; 89]. უზნაძე საკითხს ვინდელბანდის მსგავსად სვამს: რისგან არის ამ შემთხვევაში თავისუფალი ნებელობა? და პასუხობს – აქტუალური სიტუაციისგან. ეს მართლაც ასე უნდა იყოს. ნებისმიერი ქცევა აქციაა და არა რეაქცია. იმპულსური ქცევა ამჟამად ზემოქმედი სიტუაციით არის განპირობებული და, მაშასადამე, თავისუფალი არ არის. გადაწყვეტილების შემთხვევაში კი სუბიექტი მომავლისკენაა მიმართული და ნებისმიერი ქცევის განწყობა წარმოსახული (აზრითი), ე.ი. არა უშუალოდ ზემოქმედი სიტუაციის საფუძველზე წარმოიქმნება. ამაში ხედავს უზნაძე თავისუფლების მომენტს. მაგრამ, ამასთან, ინდეტერმინიზმის დაშვება არ სურს და საგანგებოდ აღნიშნავს, რომ აქტუალური იქნება სიტუაცია თუ წარმოსახული, ის მაინც სიტუაციაა, ანუ განწყობის და, შესაბამისად, ქცევის რეალური დეტერმინანტი. „ამრიგად, ნებელობა თავისუფალია, რამდენადაც აქტუალური სიტუაციის გავლენას არ ემორჩილება, რამდენადაც აქედან გამომდინარე იძულებას არ განიცდის. იგი თავისუფალია, რამდენადაც მასზე მოქმედი სიტუაცია წარმოსახვითია, მაშასადამე, სუბიექტის მიერაა გაცნობიერებული. მაგრამ იგი დეტერმინირებულია, არაა თავისუფალი, რამდენადაც, თუმცა წარმოსახულით, მაგრამ სიტუაციითაა პირობადებული" [10; 222].

უნდა ითქვას, რომ ეს, მართლაც, საინტერესო მსჯელობაა, მაგრამ, თუ ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ იგი, ფაქტობრივად, დეტერმინიზმის პრინციპის გამართლებაა. საქმე ისაა, რომ, თუ სიტუაციის გათვალისწინება ყოველთვის აუცილებელია, ეს აუცილებლობა თავისუფლებას არსებითად ზღუდავს. ამ კონტექსტში პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, პერცეპტულად იქნება სიტუაცია მოცემული (აქტუ-

ალური სიტუაცია), თუ მაღალი კოგნიტური პროცესების მეშვეობით (წარმოსახული სიტუაცია). მთავარი ისაა, რომ იგი ყოველთვის რეალური, ობიექტური ვითარების ფსიქიკური რეპრეზენტაციაა, რომლის გათვალისწინების გარეშე მიზანშეწონილი ქცევა, უბრალოდ, ვერ განხორციელდება. ობიექტივაციის დროს ფსიქიკური აქტივობა, ცხადია, მეტია, ვიდრე სიტუაციის პასიური ასახვისას. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ადამიანი თავისუფლად, თავისი ნების მიხედვით ქმნის ან იგონებს სიტუაციას. „სიტუაციური გეგმა" თავისუფალი ფანტაზიის ნაყოფი ვერ იქნება, ზღაპრულ სამყაროში რეალური ქცევა ვერ განხორციელდება.

იგივე, თუ მეტი არა, ითქმის განწყობის სუბიექტურ ფაქტორზე, ანუ მოთხოვნილებაზე. უზნაძეს მიაჩნია, რომ, რადგან ნებისყოფის მოტივაციურ საფუძველს ე.წ. მე-ს მაღალი მოთხოვნილებები შეადგენენ, ისინი პიროვნების კუთვნილებას და სუბიექტის აქტივობის ნაყოფს წარმოადგენენ. გამოდის, რომ ადამიანი ფლობს თავის მოტივაციას, რაც მისი ნების თავისუფლებაზე მიანიშნებს. მაგრამ საფიქრებელია, რომ აქ საქმის ვითარება დაახლოებით იგივეა, რაც სიტუაციასთან მიმართებით იყო. მართლაც, დაბალია თუ მაღალი, მოთხოვნილება მაინც მოთხოვნილებაა. იგი თავისთავად ჩნდება და სუბიექტს თავისი დაკმაყოფილებისკენ მიმართავს. მოთხოვნილება სუბიექტის მიერ არაა შექმნილი, იგი არ არის თვითაქტივობის შედეგი. სუბიექტისთვის მოთხოვნილება მოცემულობაა და საკმაოდ იმპერატიულიც. ვოლტერი ამბობდა: როცა მე შემიძლია გავაკეთო, რაც მსურს, ეს თავისუფლებაა, მაგრამ მე არ შემიძლია არ ვისურვო ის, რაც მინდა. შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს იმან, რომ პიროვნება ახერხებს ხოლმე, წინ აღუდგეს ამა თუ იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ამას იგი ყოველთვის სხვა მოთხოვნილების (ან რაიმე დინამიკური ფაქტორის) კარნახით აკეთებს და, ამრიგად, ქცევა (განწყობა) მოტივაციის მხრიდანაც ყოველთვის დეტერმინაციის ფარგლებში რჩება. არსებითად არ შეიცვლება ვითარება, თუ ნებელობის დინამიკურ ფაქტორად მაღალი მოთხოვნილებების ნაცვლად სხვა მოტივაციურ წარმონაქმნებს ვიგულისხმებთ. ასე მაგალითად, პიროვნების აქტივობის დონეზე შეიძლება ვილაპარაკოთ სოციალური განწყობების ან ღირებულებების სისტემაზე; იგი აღზრდისა და სოციალური გამოცდილების შეძენის პროცესში ყალიბდება და კონკრეტული ნებელობის აქტის იმანენტურ მოცემულობას წარმოადგენს. ყველა პიროვნება ღირებულებათა თავისებური სისტემის მატარებელია. პიროვნებას, აგრეთვე, აქვს უნარი, ამ სისტემაზე დაყრდნობით მიიღოს ოპტიმალური გადაწყვეტილება, აირჩიოს და შეიწყნაროს კონკრეტულ ვითარებაში ყველაზე მიზანშეწონილი და ღირებული აქტივობა. როგორც ზემოთ ვნახეთ, თანამედროვე ფსიქოლოგია ცდილობს, დაადგინოს ამ პროცესების დეტერმინაციის ხასიათი და მათი განმსაზღვრელი ფაქტორები; გარკვეულად მათი მოდელირებაც ხერხდება. შესაბამისად, აქ თავისუფლებისთვის ადგილი არ რჩება.

ცალკე საკითხია მოტივაციისა და მოტივის ცნებები და მათი კავშირი განსახილველ პრობლემასთან. ერთი შეხედვით, აქ ყველაფერი მარტივად არის: ფაქტია, რომ ნებისმიერი ქცევა (გადაწყვეტილება) მოტივირებულია, მაშასადამე – დეტერმინირებული. უზნაძე ამ ფაქტს საეჭვოდ არ მიიჩნევს, პირიქით, იგი აყალიბებს შეხედულება-

თა ფართო სისტემას ნებელობის მოტივაციის შესახებ. მისი არსი ისაა, რომ მოტივი, როგორც ქცევის სუბიექტური ღირებულება, მნიშვნელობას ანიჭებს და ამართლებს ოპერაციებისა და მოქმედებების გარკვეულ ერთობლიობას (ე.წ. ფიზიკური ქცევა) და მას ფსიქოლოგიურ ქცევად გარდაქმნის, საფუძველს უქმნის მისი შესრულების გადაწყვეტილებას. მიუხედავად ამისა, ავტორს აქაც სურს, ადგილი დაუტოვოს თავისუფლების ცნებას. ამიტომ იგი უარს ამბობს, განიხილოს გადაწყვეტილების (ქცევის) მოტივირებულობა ნებელობის დეტერმინირებულობის გამოხატულებად. „ნებელობის აქტს მოტივი განსაზღვრავს, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ერთი და იგივე მოტივი ყოველთვის ერთსა და იმავე აქტს არ იწვევს: ერთხელ რომ იგი ერთ შედეგს იძლევა, მეორეჯერ მის მიმართ სრულიად უძლური რჩება. მიზეზობრიობის ცნებას ასეთი ფაქტები სრულიად არ ეგუება: მიზეზი განსაზღვრულ პირობებში ყოველთვის განსაზღვრულ შედეგს იწვევს. ამიტომაც შეუძლებელია, რომელიმე გარკვეული მოტივი ან მოტივთა ჯგუფი კაუზალურად დაუკავშირო გარკვეულ ნებელობით აქტს“ [10; 221].

მოტივი მართლაც კაუზალურად არ განსაზღვრავს ქცევას, მაგრამ არა იმიტომ, რომ მათ შორის ერთმნიშვნელოვანი კავშირი არ არსებობს. პირიქით, უზნაძის შეხედულება მოტივისა და ქცევის სრული შინაარსობრივი შესატყვისობის პრინციპს ეყრდნობა [31]. ქცევა იმდენია და ისეთი, რამდენი და როგორიც არის მისი მოტივი. მათ შორის უმჭიდროესი კავშირია, მაგრამ ეს კავშირის სხვა, არა მიზეზშედეგობრივი ფორმაა. მოტივი არ იწვევს გადაწყვეტილებას და შესაბამის ქცევას. გადაწყვეტილება გამომდინარეობს მოტივიდან (პიაჟეს ტერმინლოგიით, მათ შორის ფართო მნიშვნელობით იმპლიკაციური კავშირია) ან განპირობებულია მოტივით (მათ შორის მიზნობრივი, ტელეოლოგიური კავშირია). უზნაძის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის მიხედვით, ქცევის გამომწვევი მექანიზმის სახით მოტივი კი არა, განწყობა უნდა იქნეს განხილული. „ქცევა განწყობით არის უშუალოდ განსაზღვრული: იგი არის მისი აღმოცენების უშუალო მიზეზი“ [10; 89]. მაგრამ უზნაძე უფრო აღრმავებს ანალიზს და ძალზე მნიშვნელოვან დებულებას აყალიბებს: ვინაიდან განწყობაში წინასწარ არის მოცემული ის, რაც მომავალში უნდა მოხდეს, იგი ქცევაზე მიზეზის მსგავსადაც მოქმედებს და, იმავე დროს, მიზნის მსგავსადაც. მიზნობრივი დეტერმინიზმის ელემენტის განწყობისეულში ჩართვა ფრიად ნიშანდობლივია. ეს ნიშნავს, რომ განწყობაში აისახება იმპლიკაციურ-ტელეოლოგიური კავშირების გამომხატველი შინაარსები, მათ შორის, ცხადია, მოტივაციურიც. ეს მონაცემები „ადამიანის ქცევას მიზანდასახულსა და შეგნებულს ხდიან“ [8; 160]. ასე რომ, მოტივირებულობა ქცევის დეტერმინირებულობის მაჩვენებელია, თუ ეს უკანასკნელი, მეთოდოლოგიის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, მხოლოდ მიზეზობრიობის მნიშვნელობით არ იქნება გაგებული.

ამ თვალსაზრისის მაგალითზე კარგად ჩანს, თუ რაოდენ ძნელია დეტერმინაციისა და თავისუფლების ერთიან მოდელში არაწინააღმდეგობრივი გაერთიანება. როგორი რთულიცაა სანახევროდ მეტაფიზიკური მეცნიერების წარმოდგენა, ასევე რთულია კანონზომიერი პროცესის სანახევროდ ინდეტერმინირებულად გააზრება.

არსებითად ეს ნიშნავს, რომ მოვლენის (ამ შემთხვევაში ადამიანის ქცევის) მხოლოდ რაღაც ნაწილი ან დონე ექვემდებარება მეცნიერულ შესწავლას. ეგზისტენციალურ ფილოსოფიას, სხვათა შორის, ასეც წარმოუდგენია.

გამოდის, რომ განწყობის არც სიტუაციური, არც მოტივაციური და არც ოპერაციული ფაქტორის ანალიზს ნებისყოფის თავისუფლებასთან არ მივყავართ. ამ იდეის გასამართლებლად მხოლოდ *ნებელობის ფენომენოლოგია* რჩება. წინა საუკუნის დასაწყისში ნებელობის პირველსავე ექსპერიმენტულ კვლევებში გამოვლინდა, რომ გარკვეული ხასიათის ქცევებში თავს იჩენს თვითაქტივობის, დამოუკიდებლობის დამახასიათებელი განცდა. ეს განცდა, მართლაც, არსებობს. სხვა საკითხია, რას გვეუბნება ეს განცდა, არის თუ არა იგი ნების თავისუფლების რეალური არსებობის დამადასტურებელი. იქნებ ცნობიერებას შეცდომაში შევყავართ და ნებისყოფის თავისუფლება ილუზიაა? – ასე ფიქრობდა, მაგალითად, სკინერი [111].

ამ საკითხის პირდაპირი და ცალსახა გადაწყვეტის გზა, როგორც ჩანს, არ არსებობს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის უკვე დიდი ხანია, მოხსნილი იქნებოდა დღის წესრიგიდან. სინამდვილეში ნებელობის ფენომენოლოგია განცდების თაიგულია, მაგრამ ნებელობის აქტისთვის სპეციფიკურია განცდა, რომელიც ახისა და მიშოტის მიხედვით ასე გამოითქმება: „მე მინდა“, „ახლა მე ნამდვილად მინდა“. უფრო ყურადღებიანი ანალიზი უჩვენებს, რომ ეს განცდა ქცევის განხორციელების სურვილს (მე მინდა) არ გამოხატავს; ეს არის სუბიექტის მიერ იმის დადასტურება, რომ მან თავის თავზე აიღო ამ ქცევის განხორციელების ვალდებულება, რომ მან „უნდა“ შეასრულოს იგი [11]. „მინდასა“ და „უნდას“ შორის არსებითი განსხვავებაა. „უნდა“ საჭიროებას, აუცილებლობას და, მაშასადამე, შინაგან იძულებასაც გულისხმობს. იგი, ალბათ, საჭიროა, განვასხვავოთ გარეგანი იძულებისგან. მაგრამ, არსებითად, საქმის ვითარება ორივე შემთხვევაში ერთია. იძულება იძულებად რჩება, იმის მიუხედავად, საიდან მომდინარეობს იგი, გარედან თუ შიგნიდან, მათრახიდან თუ სინდისიდან. ამიტომ, არც ფენომენოლოგიური და არც ლოგიკური თვალსაზრისით, მართებული არ არის მითითება იძულებით ქცევაზე, როგორც ცალსახად არათავისუფალზე და მისი დაპირისპირება ნებისმიერ, ანუ თავისუფალ ქცევასთან. საქმე ის არის, რომ „სუბიექტი, თუმცა იძულებით, მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, მაინც თვითონ იღებს თავის თავზე დაკისრებულ საქმეს, მაინც *იწყნარებს* მას, მაშასადამე, ამ საქმეს მაინც ის ასრულებს და ამდენად იგი მაინც მისი საქმეა“ [10; 233]. ამდენად, საკუთარი ნების მომენტი გარკვეულად მონაწილეობს იძულებით ქცევაში და მის ფენომენოლოგიურ სურათშიც აისახება. ეს ერთნაირად ეხება იძულების სამივე სახეს, რომელთაც უზნაძე გამოყოფს: 1) *კომანდა*, რომელსაც ჯარისკაცი ასრულებს; 2) *კანონი ან წესი*, რომელსაც სახელმწიფოს ან რომელიმე ორგანიზაციის ავტორიტეტი უდევს საფუძვლად და რომლის შესრულებაც სავალდებულოა; 3) *ბრძანება*, რომელიც მინდა-არ მინდა, უნდა შეასრულო: ბრძანება უფროსისა უმცროსისადმი, ბატონისა მონისადმი და ა.შ.

თავის მხრივ, ნებისმიერ ქცევაშიც არის წარმოდგენილი სრულიად გარკვეული შინაგანი იძულების მომენტი, რასაც მისი ფენომენოლოგიაც ადასტურებს („მე უნდას“ განცდა). „ნებელობის ერთ-ერთი დამახასიათებელი მომენტი ის არის, რომ ადა-

მიანი აქ იმიტომ კი არ აკეთებს რაიმეს, რომ ეს მას ამჟამად უნდა, არამედ სულ სხვა მიზეზის გამო" [10; 234]. ამ მიზეზების ძიება, საბოლოოდ, გარკვეულ ობიექტურ ღირებულებებამდე და ფასეულობებამდე მიგვიყვანს, რომლებიც სოციალურ-კულტურული წარმოშობისაა. მათ წესების, ნორმებისა და კანონების სახე აქვთ; ამავე დროს ინდივიდის მიერ არიან გაშინაგანებული და შეწყნარებული. ისინი სუბიექტურად მოთხოვნებისა და ვალდებულებების სახით განიცდებიან. ამ შინაგანი იმპერატივების შესაბამისი ნებისმიერი ქცევის შესრულებისას ადამიანს ხშირად უჩნდება საკუთარ თავზე ძალადობის განცდა. მაშინ რაშია განსხვავება იძულებასა და ნებელობას შორის? უზნაძე ფიქრობს, რომ პირველ შემთხვევაში სხვის ბრძანებას ვასრულებთ, ხოლო მეორეში – საკუთარი თავისას. „მაგრამ თავის მიმართ ბრძანება – ბრძანება აღარ არის: იგი მოთხოვნილებაა იმის გაკეთებისა, რისი გაკეთების მოთხოვნილებაც სუბიექტს ამ მომენტში არა აქვს. იგი მე-ს მოთხოვნილებათა ხელმძღვანელი როლის შეგნებაა" [10; 234]. ეს თითქოს პარადოქსის შემცველი პასაჟი ააშკარავებს იმ სირთულეს, რაც ნებელობის მოტივაციის ბუნების გარკვევას უკავშირდება. თუ ნებისმიერი ქცევა მართლაც პიროვნებაში ხელმძღვანელი როლის მქონე მე-ს მოთხოვნილებათა იმპულსით აღიძვრება, იგი იმპულსური ქცევა ყოფილა, სადაც თავისუფალ ნებაზე ლაპარაკი საერთოდ შეუძლებელია. ამ საკითხთან დაკავშირებით უზნაძის სკოლაში აზრთა დიდი სხვადასხვაობა არსებობს [5][31]. ამაზე აქ არ შევჩერდებით. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ სპეციფიკური ადამიანური ქცევის ფენომენოლოგიური სურათი, როგორც წესი, რთულია და არაერთმნიშვნელოვანი. მის საფუძველზე იძულებითი და ნებისმიერი ქცევის ცალსახა გამიჯვნაც კი ჭირს. მით უფრო არ უნდა იყოს სადავო, რომ ქცევის თანმხლები განცდები მისი რეალური თავისუფლების მაჩვენებლად ვერ გამოდგება. ამაში დასარწმუნებლად შთაგონებული მოქმედების ფაქტების ანალიზიც კმარა. მართლაც, უამრავმა ექსპერიმენტულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ პოსტჰიპნოზური შთაგონების შემდეგ ადამიანები ასრულებენ დავალებულ თუ „ნაბრძანებ" მოქმედებას, სრულიად დარწმუნებულნი იმაში, რომ თვითონ არიან ამ აქტივობის ინიციატორები, რომ ეს მათი საკუთარი გადაწყვეტილებაა. როცა მათ ეკითხებიან ამ ქცევის მიზეზის შესახებ, ისინი გარკვეულ ახსნას პოულობენ და, რაც მთავარია, თვითონაც სჯერათ ამისა. ექსპერიმენტების დამკვირვებელთათვის ნათელია, რომ თავისუფალი ნება ვერ იქნება იმ ცდისპირების ქცევის წარმმართველი, რომლებსაც არ ახსოვთ, თუ როგორ დააპროგრამეს ისინი ჰიპნოზის დროს. აშკარაა რომ ამ შემთხვევაში განცდას შეცდომაში შეჰყავს ადამიანები, ვინაიდან მათი ქცევა თავისუფლების გამოხატულებად ნამდვილად ვერ ჩაითვლება. აქედან იმის თქმა შეიძლება, რომ ნებისყოფის თავისუფლების რეალური არსებობის დასამტკიცებლად *თვითაქტივობისა და თავისუფლების განცდაზე* მინიშნება არაფრის მომცემია. *ფენომენოლოგიური არგუმენტი* ამ პრობლემას დადებითად ვერ გადაწყვეტს, პირიქით, მას უფრო ბუნდოვანს გახდის [5].

ამასთან ერთად, იმის უარყოფაც არ შეიძლება, რომ რამდენად ილუზორულიც არ უნდა იყოს ეს განცდა, იგი, უთუოდ, დადებით როლს ასრულებს პიროვნული ადაპტაციის თვალსაზრისით. ამას აჩვენებს ატრიბუციისა და თვითკონტროლის კვლევე-

ბი. დადასტურებულად ითვლება, რომ, თუ ადამიანები თავისი მოქმედების მიზეზად საკუთარ თავს კი არა, გარე ვითარებას მიიჩნევენ, ქცევის პიროვნული კონტროლის ეფექტურობა საგრძნობლად მცირდება. მრავალი ექსპერიმენტული გამოკვლევა ჩატარდა იმის საჩვენებლად, თუ რა ზემოქმედებას ახდენს აქტივობის ხასიათსა და ნაყოფიერებაზე ცდისპირის რწმენა, რომ მას შეუძლია თავისი ქცევის გაკონტროლება. ამ კვლევების განზოგადებას შემდეგ დასკვნამდე მივყავართ: „იმის განცდა, რომ ყველაფერი კონტროლს ექვემდებარება, ილუზია, რომ ყველას შეუძლია გააკეთოს საკუთარი არჩევანი, პოზიტიურ და განმსაზღვრელ როლს ასრულებს ცხოველქმედების ხელშეწყობის პროცესში. თავისუფლების ილუზიის მოცილება უმტკივნეულოდ, არასასურველი შედეგების გარეშე, შეუძლებელია“ [102; 425-426]. საფიქრებელია, რომ ამიტომაც არის ნებისყოფის თავისუფლების იდეა ასეთი სიცოცხლისუნარიანი. ყოველ შემთხვევაში, უზნაძის შენიშვნისა არ იყოს, ნებელობის თავისუფლების განცდა ილუზიაც რომ აღმოჩნდეს, „ფსიქოლოგიის წინაშე მაინც იდგება ნებელობის თავისუფლების საკითხი: გამოსაკვლევი იქნება, თუ როგორ ჩნდება და რას ემყარება ეს ილუზია“ [10; 221]. როგორც ვხედავთ, უზნაძე საკითხის მეცნიერული გადაწყვეტის იმედს არ კარგავს. ამას ვერ ვიტყვით უ. ჯეიმსზე, რომელსაც უზნაძესავით დეტერმინაციისა და თავისუფლების იდეების შერიგება სურს, მაგრამ ამ საკითხში, ფაქტობრივად, მეცნიერების უსუსურობის აღიარებამდე მიდის. მისი თქმით, ფსიქოლოგიას, როგორც მეცნიერებას, შეუძლია, დეტერმინიზმის პრინციპი განახორციელოს იმ შემთხვევაშიც, თუ თავისუფალი ნება რეალობას წარმოადგენს. მას შეუძლია, თავისუფლება იმ სივრცეში დატოვოს, სადაც „მეცნიერება უბრალოდ ჩერდება“ [6][26].

ამრიგად, დეტერმინიზმი კანონზომიერებაა ფართო მნიშვნელობით. საბუნებისმეტყველო ტიპის ფსიქოლოგია ყველგან ეძებს და კიდეც პოულობს კანონზომიერ კავშირებს, როგორც თვით ფსიქიკურ მოვლენებს, ისე ფსიქიკურ და ბიოსოციალურ ფენომენებს შორის. კანონზომიერება ვერ ურიგდება თავისუფლებას. კანონზომიერების მიღმა იწყება *შემთხვევითობის* ან, სულაც, *მეტაფიზიკის* სამყარო. ეს უკანასკნელი პოზიტიურ მეცნიერებასთან საერთოდ შეუთავსებელია. შემთხვევითობამ, დეტერმინაციის ოპოზიტის მნიშვნელობით, კიდევ შეიძლება გარკვეული აზრი შეიძინოს ფსიქოლოგიაში. ამაზე ქვემოთ შევჩერდებით. აქ კი მხოლოდ იმას დავძენთ, რომ დეტერმინაციის პრინციპის თავისუფლების პრინციპთან დაპირისპირებისას ეს უკანასკნელი ნამდვილად არ მოიაზრება შემთხვევითობის მნიშვნელობით. თავისუფალი ნება შემთხვევითი ან სტატისტიკურად კანონზომიერი მოვლენა ვერ იქნება.

ყოველივე ეს კარგად ჩანს ბანდურას *რეციპროკული დეტერმინიზმის* კონცეფციაში; იგი დღევანდელ ფსიქოლოგიაში მოცემული საკითხის გააზრების ერთ-ერთ ყველაზე პოპულარული ვერსიაა. ადამიანზე მოქმედებს როგორც გარეგანი, ისე შინაგანი ფაქტორები, მაგრამ იგი აქტიური არსებაა და თავის კოგნიტურ პოტენციალს იმისთვის იყენებს, რომ წარმოიდგინოს მოვლენები, განჭვრიტოს მომავალი, აირჩიოს მოქმედების მიმართულება და წარმართოს იგი. მაშასადამე, ქცევა არა მხოლოდ დამოკიდებული ფუნქციაა, არამედ გარემოსა და პიროვნებაზე მოქმედი დამოუკიდებელი ცვლადიც. აქედან გამომდინარე, შეიძლება, ვილაპარაკოთ სამი ფაქტორის – *პი-*

როვნების, გარემოს და მოქმედების ურთიერთზემოქმედებაზე. რეციპროკული, ანუ ურთიერთდეტერმინიზმის სქემა ასეთია: მართალია, გარემო ზემოქმედებს ქცევაზე, მაგრამ ისიც ცვალებადობს ადამიანის აქტივობის შედეგად, აქტივობის, რომელსაც გარკვეულ ფარგლებში თვით პიროვნება წარმართავს. „რამდენადაც ადამიანთა მოსაზრებები, მათი ქცევა და გარემოცვა ურთიერთგანსაზღვრულია, ინდივიდები არ არიან არც გარემომცველი ძალებით კონტროლირებადი ობიექტები და არც სრულიად თავისუფალი არსებები, რომელთაც შეუძლიათ, აკეთონ ყველაფერი, რაც მოესურვებათ“ [85; 356-357]. ეს, როგორც ვხედავთ, დეტერმინაციის მოდელია, მაგრამ მასში თავისუფლების ცნებისთვისაც არის ადგილი დატოვებული. თავისუფლება გაგებულია როგორც ქცევაზე ინდივიდის გავლენის უნარი. მაგრამ, აქ ავტონომიური ნება კი არ იგულისხმება (მას ბანდურა უარყოფს), არამედ *თვითრეგულაციის* პროცესები. ზემოთ უკვე დავრწმუნდით, რომ თავის თეორიაში ბანდურამ ისინი დეტერმინიზმის პრინციპების სრული დაცვით აღწერა და ემპირიული კვლევის საკმაოდ დიდი ნაწილი მათი ფუნქციონირების წესისა და ფორმირების კანონზომიერებათა დადგენას მიუძღვნა (იხ. XI თავი).

ამრიგად, ქცევა კანონზომიერი და დეტერმინირებული პროცესია. ბანდურა ემხრობა დეტერმინიზმის კიბერნეტიკულ განსაზღვრებას. ამ განსაზღვრების თანახმად, სისტემა დეტერმინირებულია, როცა მისი მდგომარეობა გამოსავალ ეტაპზე განსაზღვრულია სანყისი მდგომარეობით და მიმდინარე პროცესების ალგორითმით. მაგრამ დეტერმინიზმს საზღვრები აქვს, რომლებსაც *შემთხვევითი* პროცესები ადგენს. ადამიანის ქცევის დახასიათებისას ამ პროცესების გაუთვალისწინებლობა არ შეიძლება. რეციპროკული ტრიადის სამივე წევრმა შეიძლება განიცადოს შემთხვევითი, არაპროგნოზირებული ცვალებადობა. ეს ეხება სიტუაციას, პიროვნებას და ქცევას. ამდენად, ადამიანის ქცევა სისტემაა, რომლის აბსოლუტურად ზუსტი წინასწარმეტყველება პრაქტიკულად შეუძლებელია. ქცევა შეიძლება განსაზღვროს შემთხვევითმა შეხვედრამ ვინმესთან, ამინდის უეცარმა ცვლილებამ, მოულოდნელმა ძვრებმა ორგანიზმში და ა.შ. ეს ზემოქმედება შემთხვევითია, არაპროგნოზირებული, მაგრამ, ამ ხდომილობის შემდეგ ყველაფერი სრულიად განსაზღვრული წესებისა და კანონზომიერებების შესაბამისად ხორციელდება. ახალი პიროვნების შემთხვევითი გაცნობისას ადამიანი მის მიმართ ქცევას იმის მიხედვით აყალიბებს, თუ როგორი განმტკიცებები ჰქონდა ანალოგიურ ვითარებებში წარსულში, რას მოელის ამ ნაცნობობისგან და როგორ რეაგირებენ მასზე სხვა ადამიანები და ა.შ. ერთი სიტყვით, იმ ფაქტორებისა და მექანიზმების შესაბამისად, რომლებიც, ბანდურას თეორიის მიხედვით, საერთოდ განსაზღვრავენ ქცევას (იხ. XI თავი).

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ფსიქიკის სფეროში, როგორც ჩანს, მოვლენები *მიზეზობრივადაც* იწვევენ ერთმანეთს და, ამასთანავე, *განპირობებისა თუ გამომდინარეობის* კავშირშიც იმყოფებიან. მოვლენათა შორის კავშირის თითოეულ ამ ფორმას ფსიქოლოგიაში თავისი სპეციფიკური შინაარსი უნდა მიენიჭოს [4][8]. მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს ეს შინაარსი, საბოლოო ჯამში, იგი დეტერმინაციის სახეობაა. ფსიქოლოგიის განვითარების მაგისტრალური ტენდენცია ფართოდ გაგე-

ბული დეტერმინაციის პრინციპის რეალიზაციაშია. თავისუფლების პრინციპი ადამიანის სულიერი სამყაროს შემეცნებისას მაშინ იქნება სასარგებლო, თუ მას არ დავუპირისპირებთ დეტერმინიზმს და, ამის გათვალისწინებით, ახალ პოზიტიურ შინაარსს მოვუძებნით.

თუ ფსიქიკის სფეროში კანონზომიერება მოქმედებს, თუ არჩევანი, გადაწყვეტილება, მიზანდასახული ქცევა და სხვა პროცესები, რომლებიც ზოგჯერ ადამიანის თავისუფალი ბუნების გამოვლინებად ითვლება, განსაზღვრულია არა „მეტაფიზიკური ნებით", არამედ რეალური გარეგანი და შინაგანი ფაქტორებით, მაშინ შესაძლებელია მათი *პროგნოზირება და მართვა*. ის, რომ ფსიქოლოგიის პრინციპული ამოცანა ადამიანის ქცევის პროგნოზირებაა, XX საუკუნის დასაწყისში მკაფიოდ დააფიქსირა უოთსონმა. მას მერე ეს ამოცანა მუდამ იდგა ფსიქოლოგიის წინაშე. თანამედროვე ფსიქოლოგიაში ერთ-ერთ ყველაზე დისკუსიურ საკითხად გადაიქცა ის, თუ რა ფაქტორებს უნდა მიენიჭოს უპირატესობა ქცევის წინასწარმეტყველებისას: ერთნი ამბობენ, რომ დისპოზიციურს, მეორენი – სიტუაციურს, მესამენი კი მათ ინტერაქციაზე საუბრობენ (იხ. IX თავი). როგორც არ უნდა გადაწყდეს ეს დავა, მოცემულ კონტექსტში მთავარი ის არის, რომ საკითხი ეხება პროგნოზირებისთვის აუცილებელი ფაქტორების რაგვარობასა და ურთიერთმიმართებას და არა იმას, შესაძლებელია თუ არა პროგნოზირება პრინციპულად.

თანამედროვე ფსიქოლოგიაში უკვე საკმაოდ კარგად არის გაცნობიერებული ის გარემოება, რომ ქცევის წინასწარმეტყველებას სრულიად გარკვეული საზღვრები აქვს. ეს შეზღუდვები დაკავშირებულია კონკრეტული ქცევის დეტერმინაციაში მონაწილე ცვლადების გამოვლენის, მათი დაყოფისა და გაზომვის სირთულეებთან. ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია, მეცნიერული განჭვრეტის საფუძველზე ეფექტური ზომები მივიღოთ ცალკეული ინდივიდებისა თუ ადამიანთა ჯგუფების სულიერი მდგომარეობის შესაცვლელად. „მოცემული შეზღუდვები მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ არსებობს ჩვენი შესაძლებლობების საზღვრები და, სანამ მათ რეალიზაციას მოვახდენთ, საჭიროა ცოტაოდენი დაფიქრება, რათა გამოვიყენოთ ჩვენს მეცნიერებაში არსებული საუკეთესო ჰიპოთეზები და, ასევე, საგულდაგულოდ ჩატარებული პილოტაჟური კვლევების შედეგები" [61; 57]. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პროგნოზირების შესაძლებლობის შეზღუდულობა პრინციპულად არ განასხვავებს ფსიქოლოგიას და სოციალურ მეცნიერებებს საბუნებისმეტყველო დისციპლინებისგან. ის, რომ ფიზიკის კანონების ცოდნის მიუხედავად, ჩვენ ვერ ვახერხებთ იმის პროგნოზირებას, თუ, ვთქვათ, როდის ჩამოვარდება ხიდან ესა თუ ის ფოთოლი, სრულებით არ აღიქმება საგანგაშო ვითარებად მეცნიერებაში. იმასაც აღიარებენ, რომ მეცნიერული პროგნოზირების შესაძლებლობები არსებითად შეზღუდულია უფრო ფართო სისტემების (მაგალითად, ეკოლოგიურის ან მეტეოროლოგიურის) მიმართაც. ისეთი სუსტი ან არარეგისტრირებადი მოვლენების დასახასიათებლად, რომელთაც შეიძლება მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვეს, სპეციალური ტერმინიც კი შემოიღეს – ე.წ. „პეპელას ეფექტი". მისი საშუალებით აღიწერება ისეთი ჰიპოთეზური ვითარება, როდესაც ერთი გარკვეული პეპელას ფრთების ქნევამ პეკინში შეიძლება

ვანსაზღვროს რამდენიმე დღის მერე ამინდის მდგომარეობა ამერიკის დასავლეთ-ში. აქედან გამომდინარე, ალბათ, მართებულია აზრი, რომ წინასწარმეტყველება არ უნდა იქცეს ფსიქოლოგიისთვის „სუპერამოცანად" [39], მით უმეტეს, რომ ფიზიკაც უკვე მოვლენებს ე.წ. „დინამიკური ქაოსის" თვალსაზრისით განიხილავს. მაგრამ ის, რომ პროგნოზი ფსიქოლოგიაში პრინციპულად შესაძლებელია, და რომ ჩვენ ამისკენ უნდა მივისწრაფოდეთ, უეჭველია. ყოველ შემთხვევაში, დღეს ძნელად თუ შეხვდებით როჯერსის პოზიციის მომხრეს, რომელიც, ფაქტობრივად, უარს ამბობს ფსიქოლოგიაში პროგნოზისა და კონტროლის შესაძლებლობასა და საჭიროებაზე. როჯერსის მიხედვით, ადამიანის ქცევის წინასწარმეტყველება შეუძლებელია, რადგან იგი თავისუფალი და შემოქმედი არსებაა, ხოლო „თავისუფლება არაპროგნოზირებადია" – იგი სერიოზულ ეჭვს გამოთქვამს ამ მხრივ მეცნიერების შესაძლებლობებში [59].

თანამედროვე ფსიქოლოგიის უძლიერესი ტენდენცია მისი გამოყენებითი მხარის წინ წამოწევა, მისი პრაქტიზაციაა. ფსიქოლოგიაში კი პრაქტიკული საქმიანობა, პირველ რიგში, პროცესების პროგნოზირებას, მართვასა და კონტროლს გულისხმობს. ამის უარყოფა ან ეჭვის შეტანა მათ შესაძლებლობასა თუ მართებულობაში, დინების წინააღმდეგ სვლაა. საგულისხმოა, რომ ამ რეალობას როჯერსიც ხედავს და ადასტურებს, რომ ფსიქოლოგია ადამიანის ქცევის მართვისა და კონტროლის საკმაოდ ეფექტურ ხერხებს ფლობს. როჯერსის ანალიზის შემდეგ ფსიქოლოგიამ კიდევ უფრო შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწია ამ მიმართულებით. მაგრამ ავტორს ეშინია, რომ ეს საშუალებები ადამიანთა საწინააღმდეგოდ იქნება გამოყენებული ძალაუფლებით აღჭრუვილი ზოგიერთი პირის მიერ. დიდი ჰუმანისტი მეცნიერის შეშფოთება საკვესებით გასაგებია. მართლაც არსებობს იმის საფრთხე, რომ ფსიქოლოგიის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა მეცნიერების კვლევის შედეგები და მათ საფუძველზე შექმნილი ტექნოლოგიები ადამიანთა საზიანოდ იქნეს გამოყენებული, მაგრამ ამის გამო ხათზე უარის თქმა ხომ კაცობრიობის პროგრესისთვის სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი იქნებოდა.

მხოლოდ ამის საფუძველზე ქცევის პროგნოზირებაზე, მართვასა და კონტროლზე უარის თქმა გაუმართლებელია არა მხოლოდ ფსიქოლოგიის პოზიციიდან, არამედ უფრო ფართო სოციალური თვალსაზრისითაც, ვინაიდან ამას, საბოლოოდ, საზოგადოებრივი მოწყობის უტოპიურ-ანარქიულ მოდელამდე მივყავართ. მაგრამ უნდა ითქვას, რომ როჯერსის პოზიციას ამ საკითხში უფრო ღრმა მეთოდოლოგიური ძირი აქვს და იგი, ისევ და ისევ, თავისუფლების პრინციპს უკავშირდება. როჯერსს მიაჩნია, რომ მის მიერ განხორციელებულ არადირექტიულ ფსიქოთერაპიაში პროცესის ხართვა სხვა სახეს იღებს. გარეგანი მართვის საშუალებით, ამბობს იგი, ჩვენ გზას ვუხსნით შინაგან მართვას. „ჩვენ შევქმენით პირობები, რომელთაც მივყავართ სხვადასხვა ტიპის ქცევებთან – თვითმართვასთან, აწეულ მგრძნობელობასთან შინაგანი და გარეგანი სამყაროს რეალიების მიმართ, მოქნილ ადაპტაციასთან – ქცევის იმ ჰიპებთან, რომელთა სპეციფიკა თავისი ბუნებით არაწინასწარმეტყველებადია. პირობები, რომლებიც ჩვენ დავაწესეთ, იწვევენ ქცევას, რომელიც თავისი არსით „თავისუფალია" [59; 462]. თავისუფლების ცნების ბრჭყალებში მოქცევა ამ გამონათქვამ-

ში თავისთავად ნიშანდობლივია და იმაზე მიუთითებს, რომ თვით ავტორიც არ არის ბოლომდე დარწმუნებული ჩამოთვლილი ქცევების თავისუფლების ნიშნით დახასიათების სამართლიანობაში. მაგრამ ასეც რომ არ იყოს, ხომ ცხადია, რომ გარეგანი იქნება თუ შინაგანი, დირექტიული თუ არადირექტიული, მართვა მაინც მართვაა. ყოველგვარი ფსიქოკორექცია და ფსიქოთერაპია, თავისი არსით არის მართვა და კონტროლი. ხოლო ის, რომ ფსიქოთერაპიის შედეგად ადამიანის შემოქმედებითობა და სპონტანურობა მატულობს (რაც ზოგჯერ ხდება კიდეც არადირექტიული ფსიქოთერაპიის შემთხვევაში), სწორედ გამოყენებული მართვა-კონტროლის ტექნოლოგიის ეფექტურობაზე მეტყველებს. აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად როჯერსის იდეების პოპულარობისა, იმავე ჰუმანისტური მიმდინარეობის ზოგიერთი წარმომადგენელი, მაგალითად მასლოუ, მიუთითებს კონტროლის აუცილებლობაზე და სპონტანურობასთან მისი ბალანსის შენარჩუნების საჭიროებაზე [41]. ეს მოსაზრება სავსებით სამართლიანია; მისაღებია ისიც, რომ ქცევის კონტროლი *რბილად*, ხოლო მართვა *ჰუმანურად* უნდა წარმოებდეს. როჯერსთან თავისი პოლემიკის მსვლელობაში სკინერი სწორედ ასეთი კონტროლისა და მართვის საჭიროებასა და შესაძლებლობაზე საუბრობდა [109].

რაც შეეხება ორი ტიპის ფსიქოლოგიის დაპირისპირების კიდევ ერთ პუნქტს, რომელიც მათ მეთოდურ აპარატს შეეხება, საჭიროა იმთავითვე ითქვას, რომ, თუ კარგად ჩაუკვირდებით, *ექსპერიმენტული და ფენომენოლოგიური* კვლევა საერთოდ არ უნდა წარმოადგენდეს დიქოტომიურ ოპოზიციას. ფსიქოლოგიაში ე.წ. *ფენომენოლოგიური ექსპერიმენტის* ერთობ წარმატებული გამოყენების ფაქტები მათი თავსებადობის საკმარისი დადასტურებაა. თუმცა იმავე ჰუმანისტურ ფსიქოლოგიაში ფენომენოლოგიის ქვეშ, მაინც, სხვა რამ იგულისხმება, ვიდრე ის, რასაც თუნდაც გეშტალტფსიქოლოგები გულისხმობდნენ, როდესაც ფენომენოლოგიურ ექსპერიმენტს იყენებდნენ (იხ. III და X თავები).

ერთი რამ აშკარაა – *მეთოდური პლურალიზმი* თანამედროვე ფსიქოლოგიის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. ამავე დროს, უაღრესად მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, თუ რომელი პრობლემის ან ფსიქიკური სინამდვილის რა სფეროს მიმართაა რელევანტური ესა თუ ის მეთოდი. ცნობილი მეთოდოლოგი დ. მაგნუსენი ფსიქოლოგიურ მეთოდებს ჩვეულებრივ სამუშაო იარაღებად განიხილავს, რომლებსაც თავისი გამოყენების სფერო აქვთ; თუ თქვენ წკირის გათლა გსურთ, სამართებელს ან დანას ამჯობინებთ, ხოლო თუ ტყეში შეშის დაჩეხვა განგიზრახავთ, ცული უფრო შესაფერისი იქნება. მეთოდის არასწორმა გამოყენებამ, ზოგ შემთხვევაში, შეიძლება ეჭვი აღძრას საზოგადოდ მისი ვარგისიანობის თაობაზე, მაგრამ ეს სულაც არ იძლევა იმის მტკიცების უფლებას, თითქოს „არც ერთი მეთოდი, თავისთავად, მეორეზე უფრო მეცნიერული არ არის" [39; 8]. როგორც ფსიქოლოგიის, ისე სხვა მეცნიერებათა ისტორია და დღევანდელობა ადასტურებს, რომ ეს ასე არ არის. ზოგი მეთოდი უფრო ახლოს დგას მეცნიერების სტანდარტებსა და კრიტერიუმებთან, ვიდრე სხვა. როცა ჰუმანიტარული ტიპის ფსიქოლოგიაში ფენომენოლოგიური მეთოდისთვის უპირატესობის მინიჭებაზე ვსაუბრობთ, კითხვა იმასაც უნდა ეხებოდეს,

თუ რატომაა იგი მიჩნეული პირველადად სხვა მეთოდების, თუნდაც ექსპერიმენტის მიმართ და იმასაც, თუ რამდენად აკმაყოფილებს იგი *მეცნიერულობის მოთხოვნებს.* ამ შემთხვევაში მხედველობაში არა გვაქვს დისკუსიური საკითხი იმის შესახებ, რამდენად ხელეწიფება გაგებით-ინტერპრეტაციულ მეთოდოლოგიას ზოგადი კანონზომიერებების დადგენა და პროდუქტიული ფუნდამენტური კვლევის უზრუნველყოფა. ვთქვათ, გვაინტერესებს შევისწავლოთ ამა თუ იმ პიროვნების უნიკალური ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებანი, მაგალითად, რამდენად კონფორმულია, კრეატიულია, ალტრუისტულია, ინტროვერტულია და ა.შ. იგი. საკითხის შინაარსისა და მისი დასმის წესის მიხედვით, აქ საქმე გვაქვს ჰუმანიტარული ფსიქოლოგიისთვის ესოდენ დამახასიათებელი იდეოგრაფიული მიდგომის ტიპურ გამოვლინებასთან. რა მეთოდი მოგვცემს ამ შემთხვევაში უფრო მდიდარ და სანდო ინფორმაციას – პიროვნული ტესტები თუ ფენომენოლოგიური წვდომა, შთაგრძნობა? აქ, ცულისა და სამართებლის შედარების ნაცვლად (ორივე მათგანი ხომ სპეციფიკური ამოცანების გადაწყვეტის ეფექტური საშუალებაა), შეიძლება, უფრო მიზანშეწონილი იყოს ტესტოლოგიის შედარება ასტროლოგიასთან ან ქირომანტიასთან. როცა ჰერმენევტულ, გაგებით თუ ფენომენოლოგიურ მეთოდებს მკაცრი მეცნიერული კრიტერიუმებით აფასებენ, ჩნდება ხოლმე ეჭვი მათი მეცნიერული ღირებულების მიმართ. მართლაც, რამდენად არის შესაძლებელი მათთან მიმართებით ემპირიული კვლევის ისეთ აუცილებელ ნიშნებზე ლაპარაკი, როგორიცაა სანდოობა, ვალიდობა, სტანდარტულობა, გაზომვადობა და სხვა? ამ მხრივ, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასარკვევი. ამასთან, დაბეჯითებით უნდა ითქვა, რომ მიმდინარეობს ნაყოფიერი მუშაობა ამ მეთოდების სრულყოფისა და ვალიდიზაციის მიმართულებით [9][70][115]; ინტენსიურად მუშავდება ე.წ. თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია, რათა ისიც აკმაყოფილებდეს ე.წ. რაოდენობრივი კვლევის კრიტერიუმებს. ამ შემთხვევაში, კაცმა რომ თქვას, მათ შორის საზღვარი იშლება კიდეც – რაოდენობრივად გამოხატული თვისებრივი კვლევა უკვე რაოდენობრივია! აღნიშნავენ, რომ ბევრი კვლევა აერთიანებს რაოდენობრივ და თვისებრივ მიდგომებს. სოციალურ მეცნიერებათა მეთოდოლოგიაში ამ საკმარისად განსხვავებული ტექნიკებისა და სტრატეგიების გამაერთიანებელი „კვლევის შერეული მეთოდების" ცნებაც კი გაჩნდა. მეტიც, ზოგჯერ საკუთრივ მეთოდშიც ხერხდება გაზომვით-ექსპერიმენტული და ინტერპრეტაციულ-გაგებითი პროცედურების ჰარმონიული სინთეზირება. ამის კარგ ილუსტრაციად, თუნდაც, ე.წ. „ექსპერიმენტული ფსიქოსემანტიკის" ნაყოფიერება შეიძლება გამოდგეს, რომელიც სუბიექტის მენტალურ ველში მოცემულ მნიშვნელობებსა და მათ ინდივიდუალურ თუ სოციალურ სისტემებს შეისწავლის. მნიშვნელობათა ამ სისტემების საშუალებით ადამიანები აღიქვამენ სამყაროს, სხვებს და საკუთარ თავს. მათი რეკონსტრუირება, მათი დინამიკისა და ფორმირების დახასიათება, ფსიქიკური ცხოვრების ფუნდამენტური კვლევის სანდო ემპირიული მონაცემების წყაროდ გვევლინება [49].

ცხადია, არსებობს ცუდი მეთოდები, ისინი, რომლებიც ცუდად ასრულებენ მათზე დაკისრებულ ამოცანას, ანუ ვერ იკვლევენ (ან ზომავენ) სათანადოდ იმას, რასაც

უნდა იკლეევდნენ. როგორც ყველგან, ფსიქოლოგიაშიც მიმდინარეობს მათი სრულყოფის ან შეცვლის მუდმივი პროცესი. მაგრამ უკვე აპრობირებული და საკუთარი ნიშის მქონე მეთოდიც შეიძლება „გაფუჭდეს“, თუ ის ადეკვატურად არ იქნება გამოყენებული. კოსმეტიკურ კაბინეტში ცული თუ გამოიყენე, ადვილად შესაძლებელია, რაიმე სერიოზულად დაიზიანო, ხოლო ტყეში შეშაზე სამართებლით წასული – ხელცარიელი დაბრუნდე. მეცნიერებაშიც ასეა. კერძოდ ფსიქოლოგიაში ფუნდამენტური ფაქტები და ზოგადი კანონზომიერებები მაინც მძლავრი მეთოდიკური საშუალებების გამოყენებით დგინდება (ექსპერიმენტული, გაზომვითი, სტატისტიკური და ა.შ.). ხოლო ინდივიდუალურ ცნობიერებაში შეღწევის დონეზე წარმართული მუშაობისას ეს „მძიმე არტილერია“, უმეტესწილად, გამოუსადეგარია, ზოგჯერ კი მავნეც. აქ საჭიროა ფაქიზი, შესაძლოა იუველირული ინსტრუმენტი. ესაა სწორედ გაგებითი მეთოდოლოგია – დაწყებული ემპათიური შთაგრძნობიდან, მკაცრ ჰერმენევტიკულ პროცედურებამდე. მათ უკვე რა ხანია, იყენებენ ფსიქოთერაპიულ და ფსიქოკონსულტაციურ პრაქტიკაში.

არ უნდა შეიქმნას გადაულახავი სირთულე *ნომოთეტური და იდეოგრაფიული* მიდგომის დაპირისპირების მოხსნის თვალსაზრისითაც. ფსიქოლოგების რეალურ საქმიანობაში ეს დიქოტომია, ფაქტობრივად, დაძლეულია. აქ საქმე უფრო აქცენტებსა და გამოყენების სფეროს ეხება. კვლევითი მუშაობისას უპირატესობა ნომოთეტურ სტრატეგიას ენიჭება, ხოლო პრაქტიკული, კერძოდ ფსიქოთერაპიული საქმიანობისას – იდეოგრაფიულს.

ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს *აკადემიური (კვლევითი) და გამოყენებითი (პრაქტიკული)* ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიური და მეთოდური (კვლევითი) საფუძვლების დაზუსტებისა და ურთიერთმიმართებაში მოყვანის ამოცანა. მისი გადაჭრა წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ფსიქოლოგიის ერთიანობის მიღწევის მიმართულებით. ამ მხრივ ფრიად საგულისხმოა, რომ დღეს რეალურად ყველაზე უფრო გავრცელებული *ეკლექტური ფსიქოთერაპიაა*. არსებობს საერთაშორისო ჟურნალი: „ინტეგრაციული და ეკლექტური ფსიქოთერაპია“ და ეკლექტური ფსიქოთერაპიის საერთაშორისო აკადემია.

თავისი გახმაურებული საღამოს ლექცია მოსკოვის XVIII საერთაშორისო ფსიქოლოგიურ კონგრესზე – „ფსიქოლოგია – დისციპლინათშორისი კავშირები და და მეცნიერებათა სისტემა“ – ჟ. პიაჟემ შემდეგი სიტყვებით დაიწყო: ფსიქოლოგიის მომავალი, პირველ ყოვლისა, მისი საკუთარი განვითარებაა, რომლის წინასწარმეტყველება საინტერესო, თუმცა სარისკო საქმეა. მისი მომავალი აგრეთვე განისაზღვრება *დისციპლინათშორისი კავშირების* ერთობლიობით, რომელთა მეშვეობითაც იგი გამდიდრდება სხვა მეცნიერებათა მონაპოვარით და, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მათ შევსებას [51]. დღეს ამ სიტყვების მართებულობა კიდევ უფრო ნათლად ჩანს. მართლაც, ფსიქოლოგიამ, პირველ რიგში, თავის თავში უნდა მონახოს შემდგომი წინსვლის რესურსები. მან უნდა დაძლიოს კრიზისი, რაც მისი განვითარების ისეთ პერსპექტივებს გააჩენს, რომელთა პროგნოზირება, პიაჟეს თქმისა არ იყოს, მეტად რთულია. ერთი

რამ ცხადია: თუ გადაილახება კრიზისის მასაზრდოებელი ბარიერები, გზა გაიხსნება კოჰერენტული, ერთიანი დისციპლინისკენ, რომელიც გაცილებით დიდი შემეცნებითი და პრაქტიკული პოტენციალის მქონე იქნება, ვიდრე ამჟამად არის.

ამავე დროს, უეჭველია ისიც, რომ ფსიქოლოგიის მომავალი ბევრად იქნება დამოკიდებული სხვა, მომიჯნავე მეცნიერებათა პროგრესზე. ეს პერსპექტივა იმპლიციტურად არის ჩადებული მისი უნიკალური ბუნების თავისებურებაში, ონტოლოგიურ (ფსიქიკის ბიოსოციალურობა) და გნოსეოლოგიურ (შემეცნების ობიექტისა და სუბიექტის ერთიანობა) ორსახოვნებაში. ეს გარემოება ფსიქოლოგიას საერთოდ ეპისტემოლოგიური კვლევის განსაკუთრებულ ობიექტად აქცევს, რაც ასახულია მეცნიერებების ე.წ. *არაწრფივი კლასიფიკაციის* სისტემებში. მაგალითად, ბ. კედროვის სქემაში მეცნიერებები, გარდა ფსიქოლოგიისა, განლაგებულია სამკუთხედის ფერდებზე; აქ ფსიქოლოგიის ადგილი არ აღმოჩნდა და ის სამკუთხედის ცენტრში იქნა მოთავსებული [32]. აქედან გამომდინარე, ფსიქოლოგია ორგანულად არის დაკავშირებული ყველა ძირითად დისციპლინასთან. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ფსიქოლოგია პრაქტიკულად ყველა მეცნიერებასთან მიმართებით სპეციალურ დარგს ქმნის (ფსიქოგენეტიკა, ნეიროფსიქოლოგია, ზოოფსიქოლოგია, სამედიცინო ფსიქოლოგია, ფსიქოკიბერნეტიკა, ფსიქომოდელირება, მათემატიკური ფსიქოლოგია, ფსიქოლინგვისტიკა, სოციალური, ეკონომიკური, საინჟინრო, პედაგოგიური და ა.შ. ფსიქოლოგია). ფსიქოლოგიის დარგების რაოდენობრივი (ასზე მეტი დარგი) და შინაარსობრივი სიუხვე მის გამორჩეულ დისციპლინათშორის ხასიათზე მიუთითებს.

თავის ეპისტემოლოგიურ შეხედულებებში პიაჟე იქიდან ამოდის, რომ ყოველ შემეცნებით აქტში პროცესი და რეზულტატი აუცილებლად ატარებს სუბიექტის ობიექტზე გავლენის ანაბეჭდს. შემეცნებითი მოქმედება ორმხრივი, ანუ ციკლური სქემით მიმდინარეობს: ობიექტიდან სუბიექტისკენ, და პირიქით, სუბიექტიდან ობიექტისკენ. მეცნიერებათა არაწრფივი, პიაჟეს შემთხვევაში წრიული განლაგებისას, დგება საკითხი, თუ სად, რა პუნქტში იკვრება წრე; ე.ი. საქმე ეხება იმის დადგენას, თუ კონკრეტულად რომელ მეცნიერებაშია რეალიზებული, მთელი ადამიანური შემეცნების თვალსაზრისით, *სუბიექტის უკუგავლენა ობიექტზე*. პიაჟეს აზრით, ესაა ფსიქოლოგია, რომელსაც წამყვანი, საკვანძო როლი ენიჭება მეცნიერებათა სისტემის დახასიათებისას, მაგრამ არა იმ გაგებით, რომ იგი რიგის თავში დგას, არამედ იმ აზრით, რომ იგი გარკვეულად მსჭვალავს და აერთიანებს ყველა მეცნიერებას. ზემოთ მოხსენიებული ლექციის დასასრულს პიაჟე ამბობს: მე მინდა გამოვხატო ერთგვარი სიამყის გრძნობა იმასთან დაკავშირებით, რომ ფსიქოლოგიას ცენტრალური ადგილი უკავია მეცნიერებათა სისტემაში. ერთი მხრივ, ფსიქოლოგია ყველა მეცნიერებაზეა დამოკიდებული, რადგან გულისხმობს ფსიქიკურ ცხოვრებაში ფიზიკურ-ქიმიური, ბიოლოგიური, სოციალური, ლინგვისტური, ეკონომიკური და სხვა ფაქტორების მოქმედებასა და გავლენას. ამ ფაქტორების შემსწავლელი მეცნიერებები, ეპისტემოლოგიურად მაინც, ფსიქოლოგიაზე არიან დამოკიდებული, ვინაიდან ისინი ობიექტისა და სუბიექტის კერძო თუ ზოგადი ურთიერთობის, ანუ კოგნიტური მოქმედებების შედეგს წარმოადგენენ; ხოლო ფსიქოლოგია სწორედ ის მეცნიერებაა,

რომელიც ამ მოქმედებების ახსნას გვთავაზობს. ამიტომ ფსიქოლოგიას ცენტრალური ადგილი უკავია არა მხოლოდ როგორც ყველა მეცნიერების პროდუქტს, არამედ როგორც მათი ფორმირებისა და განვითარების ახსნის შესაძლო წყაროს [51].

ამრიგად, ფსიქოლოგიის ორმაგი ბუნება მას ერთნაირად აახლოებს როგორც საბუნებისმეტყველო, ისე ჰუმანიტარულ-საზოგადოებრივი ციკლის დისციპლინებთან. ჩვენი მეცნიერების ისტორია, სხვა მეცნიერებებთან მუდმივი თანამშრომლობისა და ურთიერთგავლენის შთამბეჭდავ სურათს წარმოაჩენს. ჩვეულებრივ, იგი უფრო მეტს იღებდა ბუნების შემსწავლელი დისციპლინებისგან, ვიდრე აძლევდა მათ (აქედან *რედუქციონიზმის* პრობლემა). ამავე დროს, შემთხვევათა მთელ რიგში თავად გამოდიოდა ჰუმანიტარული ცოდნის საფუძველმდებარე მეცნიერების როლში (აქედან *ფსიქოლოგიზმის* პრობლემა) [6]. მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ ეს ტენდენცია შეიძლება ერთგვარად შეიცვალოს. ფსიქოლოგიისა და ბიოლოგიური, მართვისა და ინფორმაციული სისტემების დისციპლინების მიჯნაზე უკვე ისეთი დარგები შეიქმნა, სადაც ნათლად იკვეთება ფსიქოლოგიური მეცნიერების ქმედითი როლი ფუნდამენტური და პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტაში.

* * *

თითქმის ორმოცი წლის წინ ზემოხსენებულ გამოსვლაში პიაჟემ გააკეთა პროგნოზი იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება წარიმართოს დისციპლინათშორისი კვლევები და რას მოუტანენ ისინი ფსიქოლოგიას. დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზოგი რამ სავსებით გამართლდა, ზოგი ნაწილობრივ, ზოგიერთი ძალიან მნიშვნელოვანი ტენდენცია, უბრალოდ, არ აისახა მის ვარაუდებში, ვინაიდან პრინციპული ხასიათის გარღვევები ცოდნის გარკვეულ სფეროებში ცოტა მოგვიანებით მოხდა. ეს, პირველ რიგში, ეხება გენეტიკას და ინფორმატიკას. XX საუკუნის ბოლო მეოთხედი ამ სფეროს არნახული წინსვლის ნიშნით წარიმართა. მან უშუალოდ ჩართო ფსიქოლოგია და მნიშვნელოვნად განაპირობა როგორც მისი კონცეპტუალური სახე, ისე კვლევითი პრიორიტეტები.

საუკუნეების მიჯნაზე ფუტუროლოგიური აქტივობა საყოველთაოდ მატულობს. სახეზეა მომავალში ფსიქოლოგიის განვითარების გააზრების მცდელობებიც [52] [113]. უნდა ითქვას, რომ მაგისტრალური მიმართულებების განჭვრეტა დღევანდელ ტენდენციებს ეფუძნება და სპეციალისტებში აზრთა დიდ სხვადასხვაობას არ იწვევს. გამოიყოფა განვითარების სამი ძირითადი ხაზი. თვალსაწიერ მომავალში, ალბათ, სწორედ მათზე მიიმართება ყველაზე მეტი ფინანსური და ინტელექტუალური რესურსები, ვინაიდან აქ ყველაზე მეტი პროგრესია მოსალოდნელი. ამ მიმართულებებს განეკუთვნება *გენეტიკური ინჟინერია, კომპიუტერული ტექნოლოგიები და კოგნიტური ნეირომეცნიერება*. შევეცადოთ, მოკლედ დავახასიათოთ ცოდნის ამ სფეროებისა და ფსიქოლოგიის გადაკვეთაზე არსებული მდგომარეობა, რამაც შესაძლოა, ერთგვარად, გააადვილოს ჩვენი მეცნიერების ხვალინდელი დღის წარმოდგენა.

ბევრის აზრით, ყველაზე ფუნდამენტური ძვრები და ცვლილებები ადამიანის შესახებ მეცნიერებათა სისტემაში, რომელიც მოიცავს ფსიქოლოგიას და ე.წ. კოგნი-

ტურ მეცნიერებებს, შეიძლება, გამოიწვიოს ადამიანის ბიოლოგიური კოდის, გენომის მოდიფიკაციის ტექნოლოგიის ათვისებამ და მისმა დამკვიდრებამ. თეორიულად და პრაქტიკულად ეს სავსებით განხორციელებადია. ახალ საუკუნეში კაცობრიობა *ადამიანის გენომის პროექტის* შესრულებით შევიდა, რამაც, ფაქტობრივად, მეცნიერებას ხელში მისცა „სიცოცხლის საიდუმლოს" გასაღები. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მალე გვექნება ტექნიკური „ნოუ ჰაუ", რომელიც საშუალებას მოგვცემს, შევცვალოთ ადამიანის გენომი ერთი თაობის განმავლობაში [47]. *გენურ ინჟინერიას* შესაძლებლობა უჩნდება, დაუმატოს ორგანიზმს (რომელიც არსებითად იგივე დარჩება), მცირე რაოდენობის ახალი თვისებები. გარდა ამისა, პრინციპულად შესაძლებელი ხდება მხოლოდ იმ თვისების გადატანა, რომელიც ერთი ან რამდენიმე გენითაა განპირობებული. ქცევის გენეტიკის არსებული ცოდნა ჯერ არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მეცნიერებმა ისეთი ქცევითი და ფსიქიკური თვისებების გადატანა შეძლონ, რომლებიც წარმოადგენენ მრავალი გენისა და ონტოგენეტიკური ფაქტორის რთულ ერთობლიობას (მაგალითად, ინტელექტი). მაგრამ საქმე აქეთკენ მიდის, რაც კოლოსალურ შესაძლებლობებსაც აჩენს და, ამავე დროს, დიდ საფრთხესაც შეიცავს. ბოთლიდან გამოშვებული გენეტიკური ჯინი თავის ატომურ კოლეგაზე ნაკლებ სახიფათო არ იქნება. კაცობრიობას მკაცრი გამოცდა ელის – მან უნდა აჩვენოს თავისი სიმწიფე და სასიკეთოდ გამოიყენოს მეცნიერების ეს აღმოჩენები. სიკეთე კი ძალზე მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი შეიძლება იყოს. ადამიანი ევოლუციის პროდუქტია და ფსიქიკა ბუნებრივადაც არის დეტერმინირებული, ხოლო მეცნიერების მომავალი პროგრესის გათვალისწინებით, ჩნდება ქცევის (ფსიქიკის) მართვისა და კორექციის რეალური პერსპექტივა მისი ბიოლოგიური საფუძვლის მოდიფიკაციის გზით. რას ნიშნავს ეს პრაქტიკულად, თუნდაც ფსიქიკურ დაავადებებსა და გადახრებთან ბრძოლის კუთხით, განმარტებას არ საჭიროებს. გარდა ამისა, ჩნდება შესაძლებლობა ფსიქიკური პოტენციალის ვარიირებისა ან წინმსწრები კორექციული ჩარევისა, როცა დადგენილია მიდრეკილება ანომალიური ქცევისკენ და ბევრი სხვ.

ეჭვს გარეშეა, რომ ამ მხრივ ჩვენი შესაძლებლობები მუდამ და აუცილებლად შეზღუდული იქნება, ვინაიდან ქცევის გარემოსეული (აღზრდა, სოციალური, კულტურული და ა.შ. ფაქტორები) დეტერმინაციის წვლილი ყოველთვის დიდია და, ზოგ შემთხვევაში, გადამწყვეტი. უფრო მეტიც, არსებითად ყოველთვის სახეზეა ბიოსოციალური ფაქტორების ინტეგრაციული მოქმედება. ამიტომ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება ველოდოთ გენეტიკური ტექნოლოგიების გამოყენების პირდაპირ ეფექტს ქცევის მოდიფიკაციის სფეროში. გარდა ზოგადად გარემოსეული შეზღუდვებისა, ამას ეწინააღმდეგება ისიც, რომ მემკვიდრული ფაქტორის როლი ფრიად განსხვავებულია ფსიქიკისა და პიროვნების ფუნქციონირების სხვადასხვა ასპექტსა და გამოვლინებაში. მაგრამ, სადაც გენეტიკური ფაქტორის წვლილი მნიშვნელოვანია, მისი ამოქმედება შესაძლებელია საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდეს.

როგორც ბიოლოგიამ, ისე ფსიქოლოგიამ ამ მიმართულებით საკმაოდ გრძელი გზა უნდა გაიარონ. გარდა გენური ინჟინერიის ტექნოლოგიის დახვეწისა, საჭიროა იმის ზუსტად დადგენა, რამდენადაა ესა თუ ის თვისება გენეტიკურად განპირობე-

ბული და, თუ არის, როგორია მემკვიდრეობის კონკრეტული მექანიზმი. ე.ი. ყველა შემთხვევაში უნდა გამოვლინდეს კონკრეტული ფუნქციის მატარებელი გენი ან გენების კომბინაცია და მისი ლოკალიზაცია დნმ-ის სტრუქტურაში. ასევე უნდა გაირკვეს მისი ურთიერთქმედების კანონზომიერება სპეციალურ სტიმულებთან. ამისგან ჯერ ძალიან შორს ვართ და ნაკლებ სავარაუდოა, რომ ეს ამოცანები სრულყოფილად გადაწყდეს თვალსაწიერ მომავალში. მიუხედავად ამისა, ინტენსიური კვლევა-ძიება უკვე დაწყებულია და გარკვეული შედეგებიც არსებობს. იმ ფსიქიკური ფენომენების ჩამონათვალი, რომლებიც ასე თუ ისე განპირობებულია მემკვიდრეობით და, მაშასადამე, ევოლუციურად, საკმაოდ დიდია და შთამბეჭდავი. ამ მხრივ, სადღეისოდ უკვე არსებობს სანდო, სათანადოდ დოკუმენტირებული და კარგად შემოწმებული მონაცემები. ისინი ასახულია არა მხოლოდ სპეციალურ წყაროებში, არამედ ზოგადი ხასიათის ავტორიტეტულ და ხელმისაწვდომ სახელმძღვანელოებშიც. ამიტომ ჩვენ მხოლოდ ზოგიერთის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით, რათა მკითხველს წარმოდგენა შეექმნას იმაზე, თუ მოვლენათა რამდენად ფართო წრეზე ვრცელდება ევოლუციურ-გენეტიკური მიდგომა.

ის, რომ შიში შეძენილი რეაქციაა, ჯერ კიდევ ჯ. უოთსონმა აჩვენა. შემდგომში ამ მიმართულებით დასწავლის ბიჰევიორისტულ ფსიქოლოგიაში ბევრი რამ გაკეთდა (ნ. მილერი, ი. დოლარდი, ა. ბანდურა და სხვ.). შემდგომში გამოჩნდა ფაქტები და განმაზოგადებელი თეორიული მოდელი (ე.წ. მზაობის თეორია), რომელიც დაუპირისპირდა ორთოდოქსულ ბიჰევიორისტულ დებულებას იმის შესახებ, რომ შიშის რეაქციის გამომუშავების თვალსაზრისით ყველა სტიმული თანაბარია. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი სტიმულის მიმართ შიში უფრო ადვილად ყალიბდება, ზოგის მიმართ კი უფრო რთულად. ამის მიზეზი თანდაყოლილი მიდრეკილებებია, რომლებიც ზედ ედება შიშის შემუშავების პროცესს და აადვილებს მას. ასე გამოვლინდა თანდაყოლილი ფობიები გველების, მწერების (განსაკუთრებით ობობების, ხოჭოების, ბუზების), გარკვეული ცხოველების (მაგალითად: ვირთხების, მტაცებლების) და ა.შ. მიმართ. იგივე ითქმის სიმაღლის, ღრმა წყლის, სიბნელის, დახშული სივრცის და ზოგიერთი სხვა საფრთხის მიმართ არსებულ ფობიურ რეაქციებზე. მაშასადამე, გარკვეული სტიმულების მიმართ ადამიანები საერთოდ უფრო სენსიტიურები არიან, რაც ევოლუციური გზით ჩამოყალიბებული გენეტიკური მექანიზმებით აიხსნება. მაგრამ ისევე, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, ეს მემკვიდრული მიდრეკილება პირდაპირ არ განსაზღვრავს ქცევით პატერნს. იგი ურთიერთქმედებს აღზრდისა და შემდგომი ცხოვრების პროცესში მოქმედ სტიმულებთან და ასე ქმნის ქცევითი თუ ემოციური რეაგირების უამრავ ვარიანტს.

იგივე ითქმის გენეტიკურად დეტერმინირებულ უპირატესობებზე, რომელთაც ადამიანები ანიჭებენ სხვადასხვა ფერს ან გემოს. ევოლუციის პროცესში ასეთ მიდრეკილებებს გადამწყვეტი მნიშვნელობის ადაპტაციური ღირებულება ჰქონდა, თუმცა დღევანდელი ცივილიზაციის პირობებში შესაძლებელია, მათ ეს მნიშვნელობა აღარც ჰქონდეთ. ჩვენს შორეულ წინაპარს, რომელიც ამჯობინებდა ტკბილ ნივთიერებებს და არ უყვარდა მწარე ან გახრწნილი, უდავოდ აქვს მნიშვნელოვანი სასი-

ცოცხლო უპირატესობა, ისევე როგორც ეს ექნებოდა, ვთქვათ, იმას, ვინც ამჯობინებს მწიფე ხილს ან ახალ ხორცს. იგივეა ცხიმიან საჭმელთან დაკავშირებით.

ასეთივე ევოლუციურად ჩამოყალიბებულ და გენეტიკურად განსაზღვრულ თვისებებს მიეკუთვნება კაცების უფრო განვითარებული ლოგიკურ-მათემატიკური და სივრცითი, ხოლო ქალების ენობრივი და ემოციონალური ინტელექტი. თანამედროვე ევოლუციური ფსიქოლოგია ნათელყოფს მათ ევოლუციურ ძირებს. ასე მაგალითად, ენის წარმოშობა საზოგადოებრივი ურთიერთობების დამყარებისა და გაძლიერების ამოცანას უკავშირდება. ბავშვების აღზრდის უმნიშვნელოვანესი საერთო ამოცანიდან გამომდინარე, ქალებს სულ უფრო მეტად ესაჭიროებოდათ კომუნიკაცია და მისი ყველაზე სრულფასოვანი ფორმა – მეტყველება. თაობათა ცვლის კვალდაკვალ ეს ყოველივე ასახვას პოულობდა გენოტიპში. შედეგად, ადამიანთა საზოგადოებაში ქალები უკეთ ეუფლებიან სამეტყველო ჩვევებს, უფრო ადრე სწავლობენ და „გრძნობენ" ენას. მოკლედ, ქალებს უფრო მაღალი სამეტყველო ინტელექტი აქვთ. იგივე ითქმის, ალბათ, ე.წ. „ემოციურ უნართა" შესახებაც, რომელიც ქალებს უკეთ აქვთ განვითარებული. ესაა უნარი, ამოიცნო, გამოხატო, გაიგო და მართო ემოციები. ზოგიერთი ევოლუციური ფსიქოლოგი მიიჩნევს, რომ ეს უნარი ეხმარებოდა ჩვენს წინაპარ დედებს ოჯახური ურთიერთობების დალაგებაში, ბავშვების აღზრდაში, შვილებისა და შესაძლო რჩეულთა ემოციების ამოცნობაში. შესაბამისად, კაცების თანდაყოლილი სივრცითი ორიენტაციის უნარი აღმოცენდა დიდ ტერიტორიებზე და უცხო გარემოში გადაადგილების საჭიროებიდან, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებული იყო თავისი მცირერიცხოვანი ჯგუფის მიღმა სექსუალური პარტნიორის ძიებისა და ნადირობის ამოცანებთან. სავარაუდოდ, ასეთივე ევოლუციური ძირები აქვს მამაკაცთა მეტ აგრესიულობას და ნაკლებ ემპათიურობას. ეს ტენდენციებიც უშუალოდ უკავშირდება გამრავლებისა და ნადავლის მოპოვების ქცევებს.

ადამიანის თანდაყოლილ მიდრეკილებებს შეადგენენ ქალებისა და კაცების მიერ სექსუალური პარტნიორის არჩევისას განსხვავებული ფაქტორებისადმი უპირატესობის მინიჭება, მამაკაცის მეტი მიდრეკილება უფრო მრავალფეროვანი სექსუალური გამოცდილებისადმი, არაპატიოსანი ქცევის შემჩნევის გამახვილებული უნარი, ინცესტური ბარიერი, სავანის მსგავსი ლანდშაფტებისადმი უპირატესობის მინიჭება, დედა ენის ათვისების უნარი და ა.შ. [47]. ძნელი დასანახი არ არის, რომ ამ მექანიზმების საფუძველი ადამიანის ევოლუციური განვითარების საწყის საფეხურებზე უნდა ვეძიოთ.

როგორც ზემოთ ითქვა, ედვარდ უილსონმა მათ აღსანიშნავად შემოიტანა *ეპიგენეტური წესების* ცნება (იხ. VIII თავი). მათ მიეკუთვნება ადამიანის ფსიქიკაში არსებული გარკვეული მემკვიდრული უპირატესობები და შეზღუდვები. ეპიგენეტური წესების ორი ტიპი გამოიყოფა: *პირველადი და მეორეული.* პირველადი ეპიგენეტური წესები შეგრძნება-აღქმის დონეზე მოქმედებენ და განსაზღვრავენ ადამიანთა მოდგმის მიდრეკილებას, უპირატესობა მიანიჭოს გარკვეულ სენსორულ მასალას (ფერი, გემო, სუნი, ტემპერატურა, ფონემატური ბგერა და ა.შ.); მეორეული ეპიგენეტური წესები ჩვენ გარკვეული სოციალური ქმედების შესრულება-აკრძალვისკენ მიგვმარ-

თავენ. ამით მათ საგრძნობი წვლილი შეაქვთ კაცობრიობის სოციოგენეზისა და კულტუროგენეზის პროცესებში. კლასიკური მაგალითია ინცესტური ბარიერი. მშობელი-შვილი, და-ძმა არ განიცდის ერთმანეთისადმი ლტოლვას, რასაც შეიძლება შთამომავლობის გაჩენა მოჰყვეს. ამ ეპიგენეტიკური წესის აზრი ისაა, რომ იმბრინდინგს უარყოფით გენეტიკურ შედეგებამდე, კერძოდ, თანდაყოლილი ანომალიების რიცხვის მკვეთრი ზრდისკენ მივყავართ [115]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სინამდვილეში ჩვენ არ გაგვაჩნია მარტივი და ცალსახა გენეტიკური მექანიზმი, რომელიც წინ აღუდგება სქესობრივ კავშირს უახლოეს სისხლით ნათესავებს შორის. უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ადამიანებში არსებობს გენეტიკური მიდრეკილება იმის მიმართ, რომ ბავშვობის გამოცდილების პროცესში განმტკიცდეს უარყოფითი ტენდენცია ინცესტის მიმართ. ეს მიუთითებს ადრეული ონტოგენეტური გამოცდილების უდიდეს მნიშვნელობაზე სხვადასხვა გენეტიკური პროგრამების ამოქმედების, მათთვის ქცევითი ფორმის მიცემისა თუ რეალიზაციის საქმეში. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს მეტყველების თანდაყოლილი, სპეციფიკური ადამიანური უნარის რეალიზაციის შემთხვევაში. დადასტურებულია, რომ, თუ ბავშვობის გარკვეულ ეტაპზე, ე.წ. სენსიტიურ პერიოდში, ენის ათვისებისა და ამეტყველების გენეტიკური პროგრამა არ ამოქმედდა, იგი ატროფირდება. აქედან ისიც ჩანს, რომ კონკრეტული სოციალური ინდივიდის დონეზე ფსიქიკური პროცესებისა თუ ქცევითი პატერნების ჩემოყალიბება თანდაყოლილ ეპიგენეტურ მიდრეკილებათა და გარემოსეულ კულტურულ ზემოქმედებათა თანაქმედებას გულისხმობს. ამის აღსანიშნავად სოციობიოლოგიაში ე.წ. *კოევულუციის* ცნებაა შემუშავებული (იხ. VIII თავი).

დღეს უკვე ფართოდაა ცნობილი მრავალრიცხოვანი გამოკვლევების შედეგები, რომლებიც უტყუარად ადასტურებენ ადამიანის ფსიქოფიზიკური და ფსიქიკური ფუნქციონირების განსხვავებული მხარეების გენეტიკურ განპირობებულობას. ეს ფსიქიკური ფუნქციების განმსაზღვრელ მყარ თვისებებს, ე.წ *დისპოზიციებს* უფრო ეხება, ვიდრე თვით ფუნქციებს, თუმცა, გარკვეულად, მათზეც ვრცელდება. ყველაზე მეტად ეს გამოხატულია *ტემპერამენტის* შემთხვევაში. ტემპერამენტი ითვლება თანდაყოლილ დისპოზიციად, რომელიც განსაზღვრავს ქცევითი და ფსიქიკური პროცესებისა თუ მდგომარეობების დინამიკურ თავისებურებებს. ე.ი. თანდაყოლილობა, გენეტიკური განპირობებულობა ტემპერამენტის განსაზღვრების აუცილებელი ნიშანია. ადამიანები ტემპერამენტის კონკრეტული თვისებებით იბადებიან. ამაზე დღეს აღარავინ დავობს [54]. ამჟამად სპეციალისტები შეთანხმებულები არიან იმაში, რომ ტემპერამენტის ნიშნებს პოლიგენური ბუნება აქვთ. მიმდინარეობს აქტიური კვლევა-ძიება სპეციფიკური გენების გამოსაელენად. მისი ტექნოლოგია ცნობილია, ეფექტურობა კი მთლიანად დაფინანსებაზეა დამოკიდებული. გარკვეული პროგრესი სახეზეა, თუმცა ნათელია, რომ ეს მხოლოდ გზის დასაწყისია [14].

მრავალრიცხოვანი გამოკვლევებით დადგენილად ითვლება, აგრეთვე, *ინტელექტის* ძლიერი გენეტიკური განპირობებულობაც. ეს მონაცემები სანდოა, დადასტურებულია სხვადასხვა კატეგორიის ცდისპირებთან სხვადასხვა მკვლევრის მიერ, განსხვავებული მეთოდების გამოყენებით, სხვადასხვა დროს და განსხვავებულ ეთ-

ნოკულტურულ პირობებში. ამ გამოკვლევების მეთოდოლოგია ითვალისწინებს კორელაციის განსაზღვრას განსხვავებული გენეტიკური კავშირის მქონე პირების ინტელექტის მაჩვენებლებში. ერთნაირი გენოტიპის მქონე მონოზიგოტური, ერთად გაზრდილი ტყუპების ინტელექტის მაჩვენებლების მსგავსება 86%-ს შეადგენს. სხვადასხვა პირობებში გაზრდილ მონოზიგოტურ ტყუპებში ეს მონაცემი 72%-ის ტოლია. აღნიშნული განსხვავება გარემოს გარკვეულ გავლენაზე მიუთითებს, მაგრამ კორელაცია მაინც იმდენად დიდია, რომ ინტელექტის ძლიერი გენეტიკური დეტერმინირებულობა სრულიად უეჭველია. ამას უჩვენებს დიზიგოტური ტყუპების, სიბლების, მშობლებისა და შვილების და ა.შ. მონაცემებიც. ზოგადად ითვლება, რომ გონებრივი შესაძლებლობების (უნარების) მაჩვენებლების ინდივიდუალური განსხვავებულობის დაახლოებით 70-80% გენეტიკური ვარიატულობით აიხსნება [13]. უფრო ფრთხილი შეფასებით, იგი, სულ მცირე, 50%-ის ტოლია [40]. ეს მონაცემები კონკრეტული ინდივიდის ინტელექტის მემკვიდრეობით მიღებულ პროცენტს კი არ აღნიშნავს, არამედ იმას, თუ ინდივიდებს შორის გონებრივი განსხვავებულობის რა ოდენობა შეიძლება მიეწეროს გენეტიკურ ფაქტორს. ძლიერი გენეტიკური განპირობებულობა დასტურდება არა მხოლოდ ინტელექტში, არამედ კოგნიტური ფუნქციონირების სხვა ასპექტებშიც; ასეთებია, მაგალითად: აღქმის სიზუსტე და სისწრაფე, მხედველობითი მეხსიერება, სივრცითი (გეომეტრიული) და ვერბალური ნიჭიერება, სპეციალური და ზოგადი გონიერება, დასწავლისუნარიანობა და ა.შ. [29][76].

ნაკლები გარკვეულობა და ერთსულოვნებაა *პიროვნული თვისებების* მემკვიდრულობის საკითხში. თანამედროვე ფსიქოლოგიაში ეს საკითხი ორი თვალსაზრისის – *სიტუაციონიზმისა და დისპოზიციონიზმის* – დაპირისპირების ასპარეზია. სიტუაციონიზმი ან საერთოდ უარყოფს ქცევაზე პიროვნულ, მათ შორის გენეტიკური ფაქტორების, გავლენას, ან მინიმუმამდე დაჰყავს იგი. დისპოზიციონიზმი, პირიქით, გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ ფაქტორს. შეწონასწორებული და, ალბათ, ფსიქოლოგიური აზრის განვითარების მაგისტრალური ტენდენციის გამომხატველია *ინტერაქციონისტული* თვალსაზრისი. იგი ინდივიდის განვითარების ყველა დონეზე გენეტიკური და გარემოსეული ფაქტორების მუდმივი და უმჭიდროესი კავშირის იდეას ეყრდნობა (იხ. IX თავი). რეალური პროცესის დახასიათებისას ამ დეტერმინანტების ერთმანეთისგან დაშორება არც შეიძლება. *რეაქციების დიაპაზონის ან ნორმის* ცნება უფრო აკონკრეტებს ამ მოსაზრებას. მისი არსი ისაა, რომ მემკვიდრეობა აფიქსირებს ვარიანტების გარკვეულ ერთობლიობას, გარემო კი, საბოლოოდ, ირჩევს ერთ კონკრეტულ ვარიანტს; სხვაგვარად რომ ვთქვათ, მემკვიდრეობა აწესებს პიროვნების მახასიათებლების განვითარების დიაპაზონს, რომლის შიგნით ამა თუ იმ თვისების ფორმირება განსაზღვრულია გარემო პირობების გავლენით. ასეა თეორიულ პლანში და ზოგადად. ემპირიულად და კონკრეტულად ამ მოდელით მრავალი კვლევაა შესრულებული. მათი შედეგების განზოგადებული საექსპერტო შეფასების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, პიროვნული თვისებების, სულ მცირე, 40% გენეტიკური ფაქტორით უნდა იყოს განპირობებული [48][108]. მიმდინარეობს კონკრეტულ თვისებებთან დაკავშირებული სპეციფიკური გენების ძიება. მაგალითად, აღმოჩენილია

გენი, რომელიც პასუხისმგებელია ადამიანის სიახლისკენ მისწრაფებაზე და ვლინდება პიროვნების ექსტრავერტულობაში, იმპულსურობაში, სისწრაფეში, აგზნებულობაში, კომუნიკაბელურობასა და ცნობისმოყვარეობაში [48]. სხვათა შორის, ითვლება, რომ სწორედ ამ თვისებებში ავლენენ ადამიანები ყველაზე მეტ მემკვიდრულ მიდრეკილებას [79]. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ თვისებებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება დასტურდება. მაგალითად, ექსტრავერსია-ინტრავერსიისა და ნეიროტიზმის პარამეტრებთან დაკავშირებული თვისებები ბევრად უფრო მეტად არიან გენეტიკურად დეტერმნებული, ვიდრე სხვები [93].

დაბოლოს, უკვე მოპოვებულია სარწმუნო ფაქტობრივი მონაცემები იმისა, რომ არსებობს მნიშვნელოვანი მემკვიდრული მიდრეკილება სულიერი აშლილობებისადმი. ეს ეხება შიზოფრენიას, დეპრესიას, პიროვნულ, აფექტურ, დევიანტურ და ა.შ. დარღვევებს [24][33]. მაგალითად, ალბათობა იმისა, რომ მონოზიგოტური ტყუპებიდან ერთ-ერთი შიზოფრენიით დაავადდება, თუ მისი ტყუპისცალი ავადაა, თითქმის 50%-ს უტოლდება. დაახლოებით ასეთივე პერსპექტივა აქვს შიზოფრენიით დაავადებული მშობლების შვილებსაც. კიდევ უფრო დიდია ეს პროცენტები ბიპოლარული აშლილობების შემთხვევაში. ხორციელდება ფართომასშტაბიანი კვლევითი პროგრამები სპეციფიკური გენების დასადგენად. ამისათვის გამოიყენება ე.წ. კავშირების ანალიზის მეთოდოლოგია. მისი არსი ისაა, რომ ნახულობენ ოჯახებს, სადაც ესა თუ ის პათოლოგია რამდენიმე თაობაშია გავრცელებული და შეისწავლიან როგორც დაავადებული, ასევე ჯანმრთელი ოჯახის წევრების დნმ-ს. პერიოდულად ქვეყნდება ცნობები, თითქოს ნაპოვნია კონკრეტული „ფსიქიკური აშლილობის გენი“. ჯერჯერობით ეს მონაცემები არ მტკიცდება, მაგრამ სპეციალისტებს სჯერათ, რომ კვლევა ამ მიმართულებით საბოლოოდ მოიტანს შედეგს.

ამგვარი დისციპლინათშორისი კვლევების პროგრესი სახეზეა. კვლევითი პროცესი არსებითად ორი მიმართულებით მიმდინარეობს: ქცევის ბიოქიმიური და გენეტიკური საფუძვლების შესწავლა და იმ კონცეპტუალური სქემების განვითარება, რომლებიც ადეკვატურად ახსნიან, როგორ მოქმედებს ინდივიდის მემკვიდრეობა სხვადასხვა ქცევით გამოვლინებასა და ფსიქიკურ ან პიროვნულ თვისებებზე, იქნება ეს ტემპერამენტი, გონებრივი შესაძლებლობები, სულიერი დარღვევები, აგრესიულობა თუ ალტრუიზმი [79].

• • •

არანაკლები პერსპექტივა აქვს ფსიქოლოგიის კავშირს კიბერნეტიკასა და ინფორმატიკასთან. იგი უკვე დღეს განსაზღვრავს ფსიქოლოგიის სახეს. კოგნიტივიზმი, რომლის ჰეგემონია თანამედროვე ფსიქოლოგიაში უდავოა, თავისი წარმომავლობით, ძირითადად, ამ მეცნიერებებს უკავშირდება. მის ბაირაღებზე ახლაც გარკვევით იკითხება ე.წ. „კომპიუტერული მეტაფორა“. თავდაპირველად, ამ კავშირისგან იმდენად ბევრს მოელოდნენ, რომ რეალობამ ერთგვარი იმედგაცრუება გამოინვია. გაჩნდა ეჭვი, რომ კოგნიტური რევოლუცია მითია (იხ. XI თავი). მართალია, პრინციპული გარღვევა ამ მხრივ ჯერ არ მომხდარა, მაგრამ ადამიანის კოგნიტური ფუნ-

ქციონირების შესახებ ცოდნის საერთო დონემ შესამჩნევად იმატა. გაჩნდა როგორც ფუნდამენტური კვლევის, ისე გამოყენებითი სფეროს განვითარების პერსპექტივა და იმის იმედი, რომ მოიხსნება ფსიქოლოგიის ყველაზე პრინციპული და სპეციფიკური სირთულე. ესაა სირთულე, რომელიც სხვისი სულიერი სამყაროს უშუალო დაკვირვებისთვის „ჩაკეტილობას" უკავშირდება. სხვადასხვა „ვირტუალური ტექნოლოგია" უკვე ახლა იძლევა საშუალებას, რომ სამყაროს სხვისი თვალებით შევხედოთ (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით), მივიღოთ სუბიექტური რეალობის ობიექტური სურათი.

ყველაზე დიდი მოლოდინი მაინც ფსიქიკური პროცესების მოდელირებას და, საბოლოო ჯამში, ხელოვნური ფსიქიკის (ხელოვნური ინტელექტის) კონსტრუირებას უკავშირდება. *მოდელირება* შემეცნების ერთ-ერთი საშუალებაა, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მოპოვების ინსტრუმენტია და, შესაბამისად, აქვს ფუნდამენტური და გამოყენებითი ასპექტები. მილერი, გალანტერი და პრიბრამი ერთ-ერთი პირველები იყვნენ, ვინც მიუთითეს ფსიქოლოგიაში მოდელირების მნიშვნელობისა და სარგებლიანობის შესახებ. მათ აღნიშნეს, რომ ფსიქიკური პროცესების მანქანური მოდელირების მცდელობები დიდწილად მოტივირებულია იმის დემონსტრირების სურვილით, თუ როგორ ესმის კონსტრუქტორს მის მიერ არჩეული თეორია. ადამიანს შეუძლია, შექმნას თითქმის ყველაფერი, რასაც ცხადად წარმოიდგენს. მოდელის შექმნა ამ სიცხადის დადასტურებაა. თუ თქვენ იმდენად კარგად გესმით, როგორ მოქმედებს საგანი/ნივთი, რომ შეგიძლიათ მისი კონსტრუირება, ეს თქვენი გაგების სრულყოფილების მანიშნებელია. ავტორების მიდგომა მდგომარეობს „გამოთვლითი მოწყობილობების, როგორც ავტომატების, გამოყენებაში სხვადასხვა ფსიქოლოგიური თეორიის ილუსტრაციისთვის" [42; 66]. მათი ინტერესი ქცევის თეორიაზეა მიმართული. აღნიშნულია, რომ არავითარი მოდელირება არ შეიძლება იყოს სრული და ვერავითარი მოდელირება ვერ მოიცავს ქცევის ყველა მახასიათებელს. ამიტომ გარკვევით უნდა ვიცოდეთ, ქცევის რა ასპექტის მოდელირება ხდება და მაქსიმალური სიზუსტით აღვწეროთ ეს ასპექტი. მაშინ შესაძლებელი იქნება, „გადავცეთ" ეს თვისებები მანქანას, რომელიც მათ გაიმეორებს. ამასთან, აუცილებელი არ არის, რომ მოდელი ზუსტად იმეორებდეს ორიგინალის აქტივობას. მაგალითად, როდესაც მანქანა, რომელიც იმეორებს ცეცხლზე მფრენი ფარვანას ქცევას, კი არ მიფრინავს, არამედ მიგორავს, მოდელირება მაინც ადეკვატურად ჩაითვლება, თუ ის არ ცვლის აქტივობის მიზანს. ამ შემთხვევაში მიზნის მიღწევის გზები (ქცევის ოპერაციული ასპექტი) მოდელირების საგანს არ შეადგენს. ადვილი დასანახავია, რომ ეს წმინდა ფუნქციონალური ან კიბერნეტიკული მიდგომაა, რომლის მიხედვით, მანქანა სისტემაა, რომელსაც უნარი აქვს, შეასრულოს გარკვეულ მიზანზე მიმართული მოქმედება. ცოცხალი არსება, მათ შორის ადამიანიც, მოქმედებს გარკვეული პროგრამით (გეგმით) და კომპიუტერისგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ მასში „პროგრამის ჩატვირთვა" სხვა ტექნოლოგიისა და მექანიზმების მეშვეობით ხდება (გენეტიკურად, აღზრდით, სოციალიზაციით, დასწავლით და სხვ.).

არსებითად ასეთივეა პ. ანოხინის პოზიცია. მისი აზრით, ძირითადი პრობლემა ხელოვნური ინტელექტის შექმნის გზაზე ისაა, რომ ინტელექტის მოქმედების პრინციპები საკმარისად არ არის გააზრებული. მისი მთავარი თვისებებია: აფერენტული სინთეზი, მიზნის მიღწევა, გადაწყვეტილების მიღება, მიღწეული შედეგების შეფასება, წინასწარმეტყველება და უკუაფერენტაცია, რომელიც სანქცირებას უკეთებს სასარგებლო შედეგს. ამ პროცესების სინთეზს ახორციელებს მოქმედების *აქცეპტორი*, რომელიც ანოხინის *ფუნქციონალური სისტემების თეორიის* ცენტრალური ცნებაა. აქცეპტორისა და მისი ქვესისტემების მოქმედების ცოდნა „საშუალებას იძლევა, გავდოთ კონცეპტუალური ხიდი ნეიროფიზიოლოგიას, ფსიქოლოგიას და იმ პრობლემებს შორის, რომლებიც წარმოიქმნება ინტელექტის საიდუმლოების შემეცნების გზაზე“ [16; 97]. პირველ რიგში, აქ ხელოვნური ინტელექტის პრობლემა იგულისხმება. ასეთი მიდგომა იდენტურია მილერის, გალანტერისა და პრიბრამის პოზიციისა, რომლებსაც აქცეპტორის ნაცვლად უკუაფერენტაციის საკუთარი მექანიზმი აქვთ დამუშავებული (T-O-T-E მოდელი) და მიაჩნიათ, რომ ხელოვნურ სისტემებში მისი მოდელირება სავსებით შესაძლებელია (იხ. XI თავი).

თავის უკიდურეს ფორმაში ფუნქციონალურ-კიბერნეტიკული თვალსაზრისი ხელოვნურსა და ბუნებრივს შორის განსხვავების იგნორაციამდე მიდის. ყველაფერი, რაც ხელოვნურად იქმნება, ბუნებაში არსებულ მასალას იყენებს და კონსტრუირდება იგივე მათემატიკური, ფიზიკური, ქიმიური თუ სხვა კანონების შესაბამისად, რომელთაც მთელი ცოცხალი და არაცოცხალი ბუნება ექვემდებარება. ამიტომ მაღალი ორგანიზაციის კომპიუტერსა და ადამიანს შორის განსხვავება არ უნდა ვეძებოთ. აზროვნების, შემოქმედების, შეფასების, გადაწყვეტილებისა და ა.შ. უნარები არ არის ადამიანის გამორჩეული თვისებები, რადგან ამა თუ იმ ფორმით სხვა სისტემებშიც გვხვდება. მაშასადამე, საკითხი, უბრალოდ, დაიყვანება იმაზე, თუ რამდენად მძლავრია მანქანა, და რამდენად მაღალია მისი ორგანიზაციის დონე. ასეთ პოზიციას თავისი დამცველები ჰყავს [19]. მაგალითად, ა. კოლმოგოროვი ასე გამოხატავს ფუნქციონალისტურ თვალსაზრისს: „მატერიალური სისტემის ორგანიზაციის ხერხის მოდელირება მეტს არაფერს გულისხმობს, თუ არა სხვა მატერიალური ელემენტებიდან ახალი სისტემის შექმნას, რომელსაც, ძირითადად, იგივე ორგანიზაცია აქვს, რაც იმ სისტემას, რომლის მოდელირებაც ხდება. ამიტომ ცოცხალი არსების საკმარისად სრულ მოდელს უნდა ეწოდებოდეს ცოცხალი არსება, მოაზროვნე არსების მოდელს – მოაზროვნე არსება“ [35; 4]. უნდა აღინიშნოს, რომ აქ ლაპარაკია „ფუნქციის ორგანიზაციის ხერხის“ გამეორებაზე და ამ ფუნქციის აბსტრაჰირებაზე მისი მატარებელი სუბსტრატის სპეციფიკისგან. მოდელი შეიძლება იმეორებდეს არა მხოლოდ მოდელირების ობიექტის ფუნქციას, არამედ მის სუბსტრატს, მასალას (მაგალითად, რაიმე რთული საინჟინრო ნაგებობის იმიტაცია მცირე ზომებში). მაგრამ ამ შემთხვევაში მოდელიც და მოდელირების ობიექტიც ერთნაირი ბუნებისაა – მატერიალური, არაცოცხალი, ხელოვნური. ამასაც მოდელი ეწოდება, თუმცა, არსებითად, ნიშნავს იგივეობრივი სისტემის აგებას, ობიექტის ზუსტ გამეორებას. ეს ცოცხალთან მიმარ-

თებით ხელოვნური სიცოცხლის შექმნაა, ხოლო სულიერი არსების შემთხვევაში – ფსიქიკის შექმნა.

ფსიქიკის მოდელირების საკითხთან დაკავშირებით ასე შორს თითქმის არავინ მიდის. მაგრამ ფსიქიკის მანქანური ეკვივალენტის შექმნის იდეას ე.წ. *ხელოვნური ინტელექტის* მოძრაობის ფარგლებში მრავალი მეცნიერი იზიარებს. ამ მიმართულებით ფართომასშტაბიანი კვლევითი პროგრამები ხორციელდება. ლაპარაკია კომპიუტერულ პროგრამებზე, რომლებიც ადამიანის ფსიქიკური ფუნქციონირების ამ თუ იმ ასპექტის ან სახეობის იმიტირებას ახდენენ, ანუ იმავე ფუნქციას ასრულებენ, რასაც ფსიქიკური აპარატი. არსებული მდგომარეობით, ყველაზე მეტად ეს ეხება აღქმას (რთული სტიმულების ამოცნობა), მეხსიერებას (ინფორმაციის შენახვა და რეპრეზენტაცია), მეტყველებას (ენის გაგება და გამოყენება), აზროვნებას (ამოცანის გადაწყვეტა); აგრეთვე ისეთი „გონებრივი", შემოქმედებითი მოქმედებების შესრულებას, როგორებიცაა: პროექტირება, ხელოვნების ნაწარმოების შექმნა, თარგმნა, ექსპერტიზა, დიაგნოსტირება, ჭადრაკის თამაში და ა.შ. აქ არსებული მიღწევები და სირთულეები კარგადაა ცნობილი [23][43][64], ამიტომ მათზე არ შევჩერდებით. ზოგადად, სურათი ასეთია: ზოგ სფეროში მანქანას ბადალი არა ჰყავს, ზოგში კი ადამიანთან ახლოსაც ვერ მოვა. მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში, ხელოვნურად შექმნილი მოწყობილობა, ანუ ფსიქიკურის მოდელი ახორციელებს გარკვეულ ოპერაციებს და აღწევს მიზანს, რომელიც, ჩვეულებრივ, ადამიანის კოგნიტური აქტივობის შედეგია.

დგება საკითხი ამ პროცესების შეფასების თაობაზე ფსიქიკაში და ნერვულ სუბსტრატში მიმდინარე პროცესებთან მიმართების კუთხით. აქ, არსებითად, ორი პოზიცია იკვეთება. ამასთან დაკავშირებით კოგნიტივიზმში ხშირად მიუთითებენ ფილოსოფოს ჯონ სირლის ფორმულირებაზე. ერთნი თვლიან, ამბობს სირლი, რომ მანქანასა და ადამიანს (ტვინს) შორის არსებული განსხვავება სუბსტრატში (ანუ იმაში, სადაც მიმდინარეობს პროცესი), მეორეხარისხოვანია. მთავარია შედეგისა და, ნაწილობრივ, პროცესების მსგავსება ან იდენტურობა. ასეთ თვალსაზრისს იგი მკაცრ პოზიციას ან *ძლიერ ხელოვნურ ინტელექტს* უწოდებს. მისი არსი შემდეგ თეზისშია: ინტელექტის (ფსიქიკის) იმიტაცია, თავისთავად, უკვე ინტელექტია. სათანადოდ დაპროგრამებულ კომპიუტერს გონება და გაგების უნარი აქვს. *სუსტი ხელოვნური ინტელექტის* შემთხვევაში კომპიუტერი კი არ ფიქრობს, არამედ უბრალოდ ბაძავს აზროვნებას. ამიტომ ის ინარჩუნებს ყველა განსხვავებას, რაც იმიტაციასა და ორიგინალს შორის არსებობს და ყოველთვის დარჩება შესანიშნავ, მაგრამ მხოლოდ დამხმარე ინსტრუმენტად, მხოლოდ გამოთვლით მოწყობილობად თეორიების შემოწმებისა და პრაქტიკული საჭიროებისთვის [110].

მკაცრი პოზიციის მომხრენი ზოგჯერ ძალიან კატეგორიული არიან და იმასაც ამბობენ, რომ ერთადერთი მეცნიერული თეორია კოგნიტურ ფსიქოლოგიაში იქნება ის, რომელიც განიხილავს ადამიანის მიერ ინფორმაციის გადამუშავებას ზუსტად ისევე, როგორც ამას კომპიუტერი აკეთებს. ამ შემთხვევაში კომპიუტერული მეტაფორა, ფაქტობრივად, პირდაპირი მნიშვნელობითაა გაგებული. „კომპიუტერი და ტვინი, ცხადია, ბევრი პარამეტრით განსხვავდებიან, მათ შორის იმით, რომ განსხვა-

ვებულ ფიზიკურ სუბსტრატს იყენებენ: ერთი – ნახევარგამტარებს, მეორე – ნეირონებს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი სხვადასხვაგვარად უნდა ფუნქციონირებდნენ. ფიზიკურად ერთმანეთისგან ხის საანგარიშო და კალკულატორიც განსხვავდება, მაგრამ ორივე არითმეტიკული წესების მიხედვით მოქმედებს. მრავალი თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ კომპიუტერი არაორგანული ნაწილებისგან შედგება, ხოლო ნერვული სისტემა – ორგანული მოლეკულებისგან" [24; 374].

პირველად ეს პოზიცია მკაფიოდ ჩამოაყალიბეს ხელოვნური ინტელექტის პიონერებმა: ა. ნიუელმა, ჰ. საიმონმა და ჯ. შოუმ. ისინი ხელოვნურ ინტელექტზე უდიდეს იმედს ამყარებდნენ. მათთან ერთად ხელოვნური ინტელექტის მოძრაობის სათავეებთან იდგნენ ჯ. მაკარტი და მ. მინკოვსკი. 1956 წელს, ნობელის პრემიის მომავალმა ლაურეატმა, ჰერბერტ საიმონმა ინინასწარმეტყველა, რომ ათი წლის შემდეგ ფსიქოლოგიური თეორიები ისევე დაიწერებოდა, როგორც კომპიუტერული პროგრამები, ხოლო თვითონ კომპიუტერი ახალ თეორემებს დაამტკიცებდა მათემატიკაში და გახდებოდა მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში. 1965 წელს, მისი შემდგომი ოცწლიანი პროგნოზის თანახმად, კომპიუტერი შეძლებდა ყოველგვარი სამუშაოს შესრულებას, რისი გაკეთებაც ადამიანს შეუძლია. შესრულდა თუ არა ეს წინასწარმეტყველება? მთლიანობაში – არა. თუმცა ისიც აშკარაა, რომ ადამიანური მოღვაწეობის ბევრ სფეროში კომპიუტერები ადამიანებზე წინაც წავიდნენ. მაგალითად თუნდაც ჭადრაკის თამაში შეიძლება დასახელდეს. 1997 და 2006 წლებში სხვადასხვა საჭადრაკო პროგრამას მატჩში დამარცხებული ჰყავს მაშინდელი მსოფლიო ჩემპიონები – გარი კასპაროვი და ვლადიმერ კრამლიკი.

სიმბოლური ლოგიკის ამოცანების ამოხსნისთვის გათვალისწინებული ე.წ. *ევრისტიკული პროგრამები,* რომლებიც ნიუელმა, საიმონმა და შოუმ შექმნეს, მიმართავდნენ არა უხეშ გადათვლას, არამედ ევრისტიკულ ხერხებს. ავტორები ცდილობდნენ იმ გზებისა და მეთოდების მაქსიმალური სიზუსტით გამეორებას, რასაც ადამიანები მიმართავენ ასეთი შემოქმედებითი ამოცანების გადაწყვეტის დროს. ამისთვის ექსპერიმენტის მონაწილეებს სთხოვდნენ, სხვადასხვა ამოცანის ამოხსნისას ხმამაღლა ეფიქრათ. ამ მეთოდით გამოვლინდა ამოცანების გადაწყვეტის განსხვავებული სტრატეგიები, რომლებშიც ორი ჯგუფი გამოიყო – ალგორითმები და ევრისტიკები; ისინი კომპიუტერულ ენაზე გადაიტანეს [44]. კოგნიტური რევოლუციის ისტორიის ამსახველ წიგნში ჰ. გარდინერი ასე ახასიათებს ავტორების პოზიციას: „მათი თვალსაზრისით, ამოცანის გადაწყვეტით დაკავებულ ადამიანის ტვინსა და ამავე ამოცანის გადაწყვეტაზე დაპროგრამებულ კომპიუტერს შორის არსებული ძირეული მსგავსება ბევრად აღემატება იმ განსხვავებას, რაც მათ მოწყობილობაში არსებობს (ელექტრონული მანქანა და ნერვული ქსოვილების ჯგუფი). ერთიც და მეორეც, უბრალოდ, სისტემებია, რომლებიც გარკვეული დროის განმავლობაში გადაამუშავებენ ინფორმაციას და, ამასთან, მეტ-ნაკლებად ლოგიკურად მოქმედებენ. უფრო მეტიც, თუ ინტროსპექციის პროცესში ინდივიდის მიერ აღნიშნული ეტაპები შეესაბამება კომპიუტერული პროგრამის სტრიქონებს, ჩვენ უკვე აღარ შეგვიძლია მივემხროთ ხელოვ-

ნური ინტელექტისადმი რბილ მიდგომას. ირკვევა, რომ აზრს მოკლებული არ არის ამ ფიზიკური სიმბოლური სისტემის განხილვა ამოცანების გადაწყვეტის ნამდვილი უნარის მქონე სისტემად" [96; 150].

ასეთია ხელოვნური ინტელექტის მომხრეთა პოზიცია. მაგრამ შეიძლება კი, ყველა დარწმუნდეს, რომ ეს მართლაც ასეა, თუ აქ ყველაფერი ამა თუ იმ მკვლევრის მეცნიერულ პოზიციაზეა დამოკიდებული? საკითხის რეალური გადაწყვეტისთვის უნდა არსებობდეს იმის ობიექტური მაჩვენებელი, ნამდვილად აზროვნებს თუ არა მანქანა, ანუ იდენტურია თუ არა ადამიანური და ხელოვნური ინტელექტი. ინგლისელი მათემატიკოსი ალან ტიურინგი შეეცადა, მოენახა ასეთი კრიტერიუმი. ჯერ კიდევ გამოთვლითი მანქანების ეპოქის დასაწყისში მან შემოგვთავაზა სპეციალური ტესტის იდეა იმის დასადგენად, აქვს თუ არა კომპიუტერს ადამიანური ინტელექტი. ინტერვიუერი წინასწარ მომზადებული კითხვებით მიმართავს კომპიუტერსა და ადამიანს, რომლებსაც ვერ ხედავს და არ იცის, რომელი მათგანი პასუხობს. პასუხები პროეცირდება ეკრანზე. ორივე ცდილობს, კეთილსინდისიერად უპასუხოს კითხვებზე და, რაც მთავარია, დაარწმუნოს ინტერვიუერი იმაში, რომ იგი ადამიანია. კომპიუტერი მოქმედებს სპეციალურად შექმნილი პროგრამის საფუძველზე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს, რომ მისი პასუხების ფორმა არ განსხვავდებოდეს ტიპური ადამიანური პასუხებისგან. თუ ტესტების სერიაში ინტერვიუერი ვერ შეძლებს, რეგულარულად და სწორად განასხვავოს ადამიანისა და კომპიუტერის პასუხები, ეს ნიშნავს, რომ ამ უკანასკნელმა გაიარა „ტიურინგის ტესტი", ე.ი. აქვს ადამიანური ინტელექტი. მაშასადამე, კრიტერიუმად მიჩნეულია უნარი, მოატყუო დამკვირვებელი და დაარწმუნო იმაში, რომ იგი ესაუბრება ადამიანს და არა ხელოვნურად შექმნილ არსებას [69].

რამდენად მართებულია ეს კრიტერიუმი? ამის გარშემო დისკუსიები დღემდე მიმდინარეობს. ხელოვნური ინტელექტის მომხრეთა მოსაზრებით, ეს სიტუაცია ხელოვნური და ბუნებრივი ინტელექტის ფაქტობრივი იდენტურობის მაჩვენებელია. კრიტიკოსების აზრით, ამ ტესტის წარმატებით გავლა მხოლოდ იმას დაადასტურებს, რომ მანქანას შეუძლია ადამიანის ინტელექტის იმიტაცია და არა იმას, რომ მანქანა და ადამიანი ერთნაირად აზროვნებენ. შესრულებულია სპეციალური ანალიზი იმის საჩვენებლად, რომ ტიურინგის ტესტი შეიძლება ვერ გაიარონ არსებებმა, რომლებიც ნამდვილად ფიქრობენ და, პირიქით, წარმატებას მიაღწიონ ობიექტებმა, რომელთაც არ ესმით სიმბოლოები და საერთოდ არ ფიქრობენ, რაც ტესტის არავალიდურობის მაჩვენებელია [29]. ძნელი სათქმელია, რომელი მხარეა მართალი, თუმცა, თავისთავად, ვნებები ამ ტესტის გარშემო იმის მაჩვენებელია, თუ რაოდენ დიდია სხვადასხვა სპეციალობის მეცნიერთა ინტერესი და შეშფოთება ბოთლიდან ამოშვებული კომპიუტერული ჯინის მიმართ [113].

განსხვავებული კუთხით აანალიზებს პრობლემას ცნობილი ქართველი ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი ანგია ბოჭორიშვილი. იგი საკითხს დერმინიზმი-ინდეტერმინიზმის კატეგორიებში სვამს. დეტერმინიზმის მიხედვით, ამ ქვეყნად ყველაფერი, მათ შორის ადამიანი და მისი ფსიქიკა, რაღაც კანონზომიერებას ემორჩილება. ინდეტერმინიზმი კი გულისხმობს, რომ ადამიანში არის არსებითად ზებუნებრივი ძალები,

მაგალითად, ნებისყოფის ძალა, რომელიც სავსებით თავისუფალია და ბუნების კანონებში არ არის მოქცეული. ამავე ძალებს უნდა მიეწეროს ის ფაქტიც, რომ ადამიანი აზროვნებს.

ავტორის პოზიცია ასეთია: „არაფერი არ არსებობს მსოფლიოში, რაც კანონების გარეშე იდგეს, არსებობის საკმაო საფუძველს იყოს მოკლებული. ადამიანის სულიერი ცხოვრება გამონაკლისს არ შეადგენს <...> რა აზრი ექნებოდა, მაგ., ზრუნვას ფსიქოლოგიური მეცნიერების შექმნისთვის, თუ წინასწარ მიღებული იქნებოდა ის აზრი, რომ ფსიქიკური ცხოვრება კანონებს არ შეიცავს, კანონზომიერებას არ ექვემდებარება?!“ [3; 275]. ხოლო თუ ეს ასეა, რატომ არ უნდა შეიძლებოდეს მისი რეპროდუქცია და ინტელექტის მოდელის შექმნა. „ჩვენ იგი შესაძლებლად მიგვაჩნია და ამ მხრივ თეორიულად გამხნევებულები ბიძგს ვაძლევთ მეცნიერულ და ტექნიკურ მუშაობას ამ მიმართულებით“ [2; 268]. სხვა საკითხია, რომ ადამიანის აზროვნების კანონზომიერებათა უკიდურესი სირთულის გამო, ადამიანი-მანქანის პრაქტიკული შექმნა ძლიერ შორეული საქმე ჩანს. გასული საუკუნის 60-70-იან წლებში შესრულებული ეს მეთოდოლოგიური ანალიზი უთუოდ საყურადღებოა.

ყველაზე არგუმენტირებულად ხელოვნური ინტელექტის საწინააღმდეგო პოზიცია ცნობილმა თანამედროვე ფილოსოფოსმა ჯონ სირლიმ ჩამოაყალიბა. მას მოჰყავს მოსაზრებათა მთელი წყება ფსიქიკურ თვისებათა და, კერძოდ ინტელექტის, არაცოცხალ, ხელოვნურ ქმნილებებში გამეორებისა თუ გამოწვევის პრინციპული შეუძლებლობის დასამტკიცებლად. ამის საჩვენებლად ავტორი ერთობ თვალსაჩინო ანალოგიებს მიმართავს. თქვენ არ შეგიძლიათ, ამბობს იგი, ჩართოთ მანქანა ბენზინის დაჟანგვის პროცესის კომპიუტერული იმიტაციის საშუალებით. აშკარა უნდა იყოს, რომ კოგნიტური უნარის იმიტაციაც ვერ შეძლებს იმავე ეფექტების გამოწვევას, რასაც კოგნიტური უნარის მქონე ნეირობიოლოგიური სუბსტრატი. სირლი აჩვენებს კომპიუტერული იმიტაციის არსებით განსხვავებას სხვა სახის იმიტაციისგან. მეტეოროლოგები ქმნიან ტაიფუნისა თუ ტორნადოს კომპიუტერულ მოდელს, ეკონომისტები – ქვეყნის ფინანსური სისტემისას, ბიოლოგები – გენომის ან ფოტოსინთეზის. მიუხედავად ამისა, მათი მოდელები ნამდვილ ქარიშხალს ვერ იწვევენ, ვერც სავაჭრო დეფიციტს ქმნიან და ვერც სინათლეს აქცევენ ჟანგბადად. კოგნიტივისტები კი ამტკიცებენ, რომ, თუ ისინი შეძლებენ ინტელექტის იმიტირებას, ანუ თუ პროგრამა გაივლის ტიურინგის ტესტს, მანქანა მართლაც ჩაითვლება გონიერ არსებად. მაგრამ ყველა სხვა სფეროში მოდელი და რეალობა სრულიად განსხვავებული რამაა და, ავტორის აზრით, კოგნიტივიზმში ამის უგულებელყოფა აბსურდულია. სირლი ფიქრობს, რომ იმის მიღწევა, რასაც მან ძლიერი ინტელექტი უწოდა, უბრალოდ, შეუძლებელია იმავე მიზეზების გამო, რატომაც კომპიუტერს არ ძალუძს, განახორციელოს რეალური ფოტოსინთეზი. ეს შეუძლებელია, ვინაიდან იგი სხვა მასალისგან არის დამზადებული. ფოტოსინთეზი მცენარის გარკვეული სტრუქტურების ბუნებრივი ბიოლოგიური ფუნქციაა, აზროვნება და რაიმეს გაგება კი ტვინის ბუნებრივი ფუნქცია. მანქანებს არ გააჩნიათ ბუნებრივი ბიოლოგიური ფუნქციები და, ამიტომ, ვერც ფოტოსინთეზს განახორციელებენ და ვერც იაზროვნებენ. კომპიუტერი მხო-

ლოდ ტექნიკური საშუალებაა, რომელიც დაგვეხმარება ფოტოსინთეზისა და აზროვნების კვლევაში, მაგრამ რეალურად ვერ გააკეთებს ვერც ერთს და ვერც მეორეს [110].

ამრიგად, სირლის თანახმად, ადამიანისა და მანქანის აზროვნებას შორის პრინციპული განსხვავება მათ მატერიალურ სუბსტრატში უნდა ვეძებოთ. ასეთი მიდგომა წინააღმდეგობას წააწყდა ხელოვნური ინტელექტის დამცველთა მხრიდან. ისინი ფიქრობენ, რომ, თუ კომპიუტერული და ფსიქიკური პროცესების ალგორითმი იდენტურია, მნიშვნელობა არა აქვს, ორგანული სუბსტრატი უდევს მათ საფუძვლად თუ არაორგანული. ზემოთ მოყვანილ პოზიციას „პროტოპლაზმური შოვინიზმიც" კი უწოდეს და მას ტვინსა და მანქანას შორის არსებული ანალოგიები დაუპირისპირეს. ლოგიკა მარტივია – ტვინი ევოლუციის პროდუქტი და მატერიალური ობიექტია, ამიტომ პარალელები კომპიუტერსა და ტვინს შორის წინააღმდეგობას არ უნდა იწვევდეს. ეს უკვე პირველი თაობის მანქანების შესახებ ითქვა. დახურული ან ღია რელე ნეირონის ანალოგია, რომელიც „ყველაფერი ან არაფრის" პრინციპით მუშაობს; ელექტრული იმპულსები გამოთვლით მოწყობილობაში ნერვული იმპულსების ანალოგია, ხოლო მანქანის მეხსიერების სისტემა ტვინის – ასოციაციური ზონებისა. ორივე სისტემაში ინფორმაციული პროცესები მიმდინარეობს და უკუკავშირის პრინციპით მოქმედებს.

„პროტოპლაზმური შოვინიზმის" პოზიციის მართებულობა სერიოზული ეჭვის ქვეშ დააყენა ახალმა მიმართულებამ ხელოვნურ ინტელექტში – *ბიოკომპიუტერინგმა*. საქმე ეხება ისეთი კომპიუტერების შექმნას და გამოყენებას, რომლებიც ცოცხალი ორგანიზმების მსგავსად ფუნქციონირებენ ან შეიცავენ ბიოლოგიურ კომპონენტებს. ამ მიმართულების ფუძემდებლად ითვლება უ. მაკ-კალოკი. განსხვავებით იმ მიმართულებისგან, რომელიც მიიჩნევს, რომ ხელოვნური სისტემა არ არის ვალდებული, გაიმეოროს ბიოლოგიური სისტემის სტრუქტურულ-ფუნქციონალური მახასიათებლები, ე.წ. *კვაზიბიოლოგიური პარადიგმა* ამტკიცებს, რომ ადამიანის ქცევის ფენომენები, მისი სწავლისა და ადაპტაციის უნარი სწორედ ბიოლოგიური სტრუქტურის გამოვლინებაა. ამიტომ კომპიუტერის კონსტრუირებისას მაქსიმალურად გამოიყენება ბიოლოგიური მასალა. ცოცხალი ქსოვილების, უჯრედების, ვირუსების, ბიომოლეკულების ჩართვით ბიოკომპიუტერინგი რთული გამოთვლების საშუალებას იძლევა. ხშირად გამოიყენება დეზოქსირიბონუკლეინის მჟავის მოლეკულები, რის საფუძველზე ქმნიან *დნმ-კომპიუტრს*. ბიოპროცესორის სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცილოვანი მოლეკულები და ბიოლოგიური მემბრანები. ამჟამად უკვე არსებობს ბიოლოგიური ნეირონებისა და ზემინიატურული ტრანზისტორების გაერთიანების ტექნოლოგია ნანობოჭკოების მეშვეობით. ნანოტექნოლოგიების განვითარების კვალობაზე ბიოკომპიუტერინგის ნეიროკომპიუტერული მიმართულება უფრო დაიხვეწება. კომპიუტერების საშენი მასალა ბიოლოგიური იქნება, ხოლო საზღვარი ხელოვნურ და ბუნებრივ ინტელექტს შორის სულ უფრო ეფემერული გახდება.

ნეირომეცნიერებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე დონეზე ანალოგიები ტვინსა და მანქანას შორის იხვეწება და ღრმავდება.

ეს მჭიდროდ არის დაკავშირებული ამჟამად გავრცელებულ თეორიულ მოდელთან, ე.წ. *ახალ კონექციონიზმთან.* კომპიუტერების უმრავლესობა ინფორმაციას სერიული წესით ანუ ნაბიჯ-ნაბიჯ ამუშავებს. ადამიანის ტვინი პირიქით, რამდენიმე ამოცანას ერთდროულად წყვეტს. მაგალითად, ნაცნობთან შეხვედრისას ტვინი ამოიცნობს გამოსახულებას, აანალიზებს მის მეტყველებას, აღიქვამს გარემოს, აღძრავს ემოციებს, აკონტროლებს სათქმელს, მოძრაობებს და ა.შ. ამასთან, თითოეული ეს პროცესი ხშირად ტვინის სხვადასხვა უბანშია განაწილებული. მაგალითად, მეტყველების ფუნქციას ტვინის რამდენიმე ზონა ემსახურება. ასევეა ამოცნობა, რომელიც ტვინის სხვადასხვა სენსორულ ზონაში ინფორმაციის მრავალი პარამეტრის ერთდროული გადამუშავების საფუძველზე ხდება. ყოველივე ეს პარალელურად მიმდინარეობს. ამიტომ ტვინს, როგორც პარალელურ კომპიუტერს, სერიულთან შედარებით ბევრი უპირატესობა აქვს. ბოლო დროს გაჩნდა *ნეიროქსელების* პრინციპზე აწყობილი კომპიუტერული სისტემები. ფიქრობენ, რომ ისინი უნდა გახდნენ ტვინის ურთიერთდაკავშირებული ნეირონული უბნების ანალოგი. ისევე, როგორც ტვინი, რომელსაც მილიარდობით ნეირონი აქვს და თითოეული დაკავშირებულია ათასობით სხვა ნეირონთან, პარალელური კომპიუტერის პროცესორის ბლოკი მრავალ სხვა ბლოკთან იმყოფება კავშირში. კომპიუტერის ელექტრონული ნეიროქსელი შეიძლება ისეთი წესების შესრულებაზე იქნეს დაპროგრამებული, რომლებიც ტვინის ნეირონების მოქმედების პრინციპების იმიტაციას ახდენენ. რაც მთავარია, ტვინის მსგავსად, ნეიროქსელები დაპროგრამებულები არიან, გაფართოვდნენ და გაძლიერდნენ გამოცდილების მიღების პროცესში. ნეიროქსელების ყველაზე გამორჩეული თვისებაა, რომ ისინი საკუთარ გამოცდილებაზე სწავლობენ (ე.წ. კონკურენტული დასწავლა, ე.ი. დასწავლა მასწავლებლის ანუ პროგრამისტის გარეშე). თუ ნეირონები პატარა პროცესორებად განიხილება, კონექციონისტური პროექტების მიხედვით, შესაძლებელია, კომპიუტერული მოდელი შეიცვალოს თავის ტვინის მოდელით. კონექციონისტურ მოდელში ურთიერთდაკავშირებული პროცესორები ნეირონების მსგავსად ფუნქციონირებენ: ყოველი მათგანი აქტივირდება შესასვლელი იმპულსით და წარმოქმნის გამოსასვლელ სიგნალს, რომელიც დამოკიდებულია სისტემაში გაერთიანებული ნეირონების შესასვლელი იმპულსების ჯამურ სიდიდეზე. ასეთი ქსელი (პროცესორების ანსამბლი) ისწავლის, სტაბილურად უპასუხოს შესასვლელ სიგნალებს, ზუსტად ისევე, როგორც ამას აკეთებენ ცოცხალი ორგანიზმები – ნეირონული ქსელები. ეს არის თვითდასწავლადი სისტემა. ინფორმაციის პარალელურ გადამუშავებასთან ერთად, კომპიუტერის ეს უნარი, ხელოვნური ინტელექტის მომხრეთა აზრით, მას ტვინის სრულ სტრუქტურულ-ფუნქციონალურ ანალოგად აქცევს. ეს უზარმაზარ პერსპექტივებს აჩენს მანქანის მიერ არა მხოლოდ გამოთვლითი, არამედ შემოქმედებითი (ევრისტიკული) ამოცანების შესრულების, ინტუიციური აზროვნების განხორციელების თვალსაზრისით.

ევრისტიკულობა და ინტუიციურობა ადამიანის აზროვნების (ინტელექტის) სპეციფიკური ნიშნებია, რომელთა სრულყოფილი იმიტირების შესაძლებლობის შესახებ მეცნიერებაში საღეისოდ შეთანხმებული აზრი არ არსებობს. მიუხედავად ამისა,

გარკვეული დამაიმედებელი პროგნოზები ამ მიმართულებითაც კეთდება. ამის საფუძველს, ისევ და ისევ, ნეირონული ქსელების მსგავსად მოწყობილი კომპიუტერული პროგრამები იძლევა. გარდა იმისა, რომ საწყისი პირველადი მონაცემების ბაზაზე თვითონ სწავლობენ და ვითარდებიან, ისინი არ არიან შეზღუდულები მხოლოდ „გადათვლადი ამოცანების" ამოხსნით და წარმატებას აღწევენ იქ, სადაც საქმის ვითარება მოითხოვს შემოქმედებით მიდგომას, ერთგვარ ინტუიციურ წვდომას. ყველაფერი დაიწყო შედარებით მარტივი კლასიფიკაციური ამოცანებით (სურათების ამოცნობით). დიდ წარმატებად ითვლება ხელოვნური ინტელექტის პროგრამის მიერ სამაგიდო თამაშებში ყველაზე რთული, გოს უძლიერესი მოთამაშეების დამარცხება. ამ შემთხვევაში ალგორითმი აფასებს სიტუაციას (პოზიციას) მთლიანობაში და არ ცდილობს თითოეული სვლის პროგნოზირებას (როგორც ეს ჭადრაკის პროგრამებშია). იგი უფრო ჰიბრიდულია, ე.ი. სვლებსაც თვლის და მოთამაშის ინტუიციის უნარსაც ავლენს. ეს წარმატება აჩვენებს, რომ ნეიროქსელების პრინციპით მოქმედი თვითსწავლადი კომპიუტერების ინტელექტის სრულყოფის პროცესი მეტად სწრაფად მიმდინარეობს. ამ პროგრამის ავტორების რწმენით, მხოლოდ დროის საკითხია, როდესაც პროგრამა ყველაფერში უფრო ძლიერი გახდება ადამიანზე. ეს, თავის მხრივ, სრულიად ახალ დონეზე აიყვანს კაცობრიობის აქტუალური პრობლემების გადაწყვეტის საქმეს ყველა სფეროში.

მიუხედავად თქმულისა, შემოქმედებითი აზროვნების მოდელირების შესახებ ადამიანის კოგნიტურ ფუნქციონირებას და, საერთოდ, ფსიქიკას სხვა ნიშან-თვისებებიც ახასიათებს, რომელთა გამეორება ხელოვნურ სისტემაში დიდ ეჭვს ბადებს, მიუხედავად იმისა, რამდენად შორს წავა იმიტაცია სუბსტრატის დონეზე (ტვინი – პროცესორი). მაგალითად, ბევრი ამოცანა, რომლის გადაწყვეტა ადამიანს უწევს ცხოვრების პროცესში, მკაფიოდ ფორმულირეული არ არის. ჯერჯერობით მანქანური პროგრამები კარგად ესადაგება მკაფიოდ ჩამოყალიბებულ ამოცანებს, მაგრამ ჩიხში ექცევა განუსაზღვრელი ამოცანების შემთხვევაში, რომლებსაც ადამიანები ყოველდღიურად უპრობლემოდ წყვეტენ. არსებითად ამასვე უკავშირდება მანქანისთვის *საღი აზრის* მინიჭების პრობლემა, რომელზეც ხშირად ლაპარაკობენ. სიტუაციაში გარკვევა არა მკაფიო მითითების საფუძველზე, არამედ საღი აზრის პოზიციიდან, ნიშნავს მის გააზრებას ადამიანური *განზრახვებისა და ღირებულებების* თვალსაზრისით. ეს „ცოცხალი ფსიქიკის" გამორჩეული თვისებაა და, შესაძლოა, სწორედ აქ გადის მისი საზღვარი „ხელოვნურ ფსიქიკასთან". სირლის მიხედვით, ადამიანური ფსიქიკის თავისებურება მისი *ნებისმიერობაა*. ესაა გონებრივი მდგომარეობების გარე ობიექტებსა და სიტუაციებზე მიმართვის უნარი. ამიტომ, როგორც არ უნდა ჰგავდეს ერთმანეთს ხელოვნური და ბუნებრივი გონება, მათ შორის ყოველთვის იქნება არსებითი განსხვავება, ვინაიდან მოაზროვნე ადამიანს, როგორც „ორგანულ არსებას", *განზრახვა* აქვს. აქტობრივად, ლაპარაკია ცოცხალი არსების, და, ე.ი. ადამიანის ფსიქიკის, *ემოციონალურობასა და მოტივირებულობაზე*, რაც პრინციპულად განასხვავებს მას მანქანურისგან [68]. ხელოვნურად შექმნილ სისტემას გრძნობები და მოთხოვნილებები არა აქვს. მართალია, არსებობს ღირებულებათა იერარქიისა და

რწმენის სისტემის დაპროგრამების გარკვეული მცდელობები, მაგრამ რეალურ მოტივაციურ სისტემებთან მათი გაიგივება არ შეიძლება, თუნდაც იმიტომ, რომ კომპიუტერის უპირატესობების მინიჭების სისტემა (ემოციის ან მოტივაციის ანალოგი) მხოლოდ „ცივ კოგნიციას", ინფორმაციას ეფუძნება, მაგრამ ინფორმაცია და ფსიქიკა ერთი და იგივე არ არის. ფსიქიკა განცდისა და ცოდნის ერთიანობაა. მართალია, თანამედროვე კოგნიტური ფსიქოლოგიის ინტერესის ცენტრში სწორედ ე.წ. კოგნიტურ-ემოციური და კოგნიტურ-მოტივაციური წარმონაქმნები მოექცა (იხ. XI თავი), მაგრამ არავინ იცის, როგორ შეიძლება ფსიქიკის ამ ერთეულების კომპიუტერული დუბლირება. ყოველ შემთხვევაში, მგრძნობიარე ან დეპრივირებული კომპიუტერის წარმოდგენა ძნელია, ხოლო ვნებით შეპყრობილი რობოტები, საბედნიეროდ, მხოლოდ ფანტასტიკურ ნაწარმოებებში გვხვდება.

ადამიანური ფსიქიკის, უფრო ზუსტად, ცნობიერების ატრიბუტული თვისება *რეფლექსიურობაა*. ხელოვნური ინტელექტის ნაკლად მის მიერ თვითგანცდის უქონლობას ასახელებენ. ეს სავსებით ლოგიკურია, ვინაიდან, თუ მანქანას განცდა არა აქვს, თვითგანცდა მით უფრო არ ექნება. ხელოვნური ინტელექტის დამცველებს მიაჩნიათ, რომ საკითხისადმი ასეთი მიდგომის შემთხვევაში „ერთადერთი ხერხი, რომლის დახმარებითაც შეგვეძლება იმაში დავრწმუნდეთ, რომ მანქანას აზროვნება შეუძლია, ის არის, რომ თავად გახდე მანქანა და გააცნობიერო საკუთარი აზროვნების პროცესი. ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება, სხვებს აღუწერო შენი განცდები, თუმცა ამგვარი მონათხრობი ნამდვილად ვერავის დააკმყოფილებს. ზუსტად ასევე, ამ შეხედულების მიხედვით აღმოჩნდება, რომ ერთადერთი ხერხი იმაში დარწმუნებისა, რომ რომელიმე ადამიანი მართლაც აზროვნებს, ამ ადამიანად გახდომაა. შესაძლოა, ამგვარი შეხედულებები ფრიად ლოგიკურია, მაგრამ, თუ აქედან ამოვალთ, იდეების გაცვლა ერთობ გაძნელდება" [69; 37-38]. ტიურინგი აქ იმას გულისხმობს, რომ ცნობიერების წვდომა გარედანაც, რეფლექსიის გარეშეც, შეიძლება, რასაც ადამიანების მიერ ურთიერთგაგებინების ფაქტი მოწმობს. გარდა ამისა, რადგან ურთიერთგაგებინებას ადამიანი და მანქანაც ახერხებს, და, ამასთან, ადამიანს არ შეუძლია, გაარჩიოს სხვა ადამიანთან ურთიერთობს იგი თუ მანქანასთან (ტიურინგის ტესტი), მაშინ მათი აზროვნება იდენტური ყოფილა. მეცნიერების ისტორიიდან კარგადაა ცნობილი, თუ რაოდენ რთულია ფსიქიკის არსებობის დასაბუთება იქ, სადაც რეფლექსია არ არსებობს. მექანიციზმისა და ანთროპომორფიზმის გაუთავებელი დავა ზოოფსიქოლოგიაში ამის თვალსაჩინო ილუსტრაციაა. დღესაც ერთნი ცხოველს განცდების არმქონე ავტომატად თვლიან, მეორენი კი მას ადამიანს უთანაბრებენ. ამ გაუგებრობას ის ასაზრდოებს, რომ ცხოველის ფსიქიკის დანახვა შიგნიდან (ანუ რეფლექსია) შეუძლებელია; ასევეა ადამიანისა და მანქანის „ფსიქიკის" შემთხვევაშიც.

თვითრეფლექსიასთან დაკავშირებული კიდევ ერთი მომენტი ხელოვნური ინტელექტის ზნეობრივ მხარეს ეხება. ისინი, ვინც ხელოვნური ფსიქიკის შესაძლებლობას აღიარებენ, ფიქრობენ, რომ, თუ იგი თვითრეფლექსიის (თვითგაგების) დონეს მიაღწევს, რობოტისთვის ზნეობაც არ იქნება უცხო. ყოველ შემთხვევაში, იგი არ მიაყენებს ზიანს ცნობიერებით დაჯილდოებულ სხვა არსებებს. ასეთი მოსაზრების ლოგიკა და-

ფუძნებულია იმის იმპლიციტურ დაშვებაზე, რომ ცნობიერების მქონე ინტელექტს ემპათიის უნარიც ექნება. სხვებს ეს ნაკლებ სავარაუდოდ ეჩვენებათ. „ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ თვითცნობიერების მქონე ხელოვნური ინტელექტისთვის მხოლოდ ცივი გულგრილობა იქნება დამახასიათებელი. თუ ხელოვნური ინტელექტი შეძლებს საკუთარი არსებობის შეფასებას, იგი, სავარაუდოდ, აბსოლუტურად შეუბრალებლად დაიცავს თავს, მიუხედავად იმისა, როგორ აისახება ეს სხვა მგრძნობიარე უდანაშაულო არსებებზე, რომელთაც თავის გზაზე გადაეყრება“ [47; 358].

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ სადღეისოდ ხელოვნური და ბუნებრივი ფსიქიკის ურთიერთმიმართების საკითხის ცალსახა და ყველასთვის მისაღები გადაჭრა არ არსებობს. იგი, ალბათ, კიდევ დიდ ხანს იქნება ფსიქოლოგიის, ინფორმატიკისა და ნეირომეცნიერების წარმომადგენლების ერთობლივი კვლევის საგანი.

ამ დისციპლინათშორის კვლევას მძლავრ სტიმულს საზოგადოებრივი პრაქტიკა აძლევს. ფუტუროლოგები უკვე ახლა ხედავენ მომავალ შედეგებს, რომელთაც მისი გამოყენებითი მხარე მოიტანს. მაგალითად, შემეცნების პროცესის ფსიქოლოგიური საფუძვლების ცოდნა შესაძლებელს გახდის, შეიქმნას მიკროკომპიუტერები, რომლებიც შეავსებენ ან შეცვლიან ზოგიერთ კოგნიტურ ფუნქციას. მაგალითად, ყურში მოთავსებული ან ქირურგიული გზით სმენით არხში იმპლანტირებული პაწაწინა მექანიზმი შეიძლება ისე იყოს აწყობილი გარკვეულ უცხო ენაზე, რომ, ვთქვათ, იაპონელთან მოსაუბრე ქართველს საშუალება ექნება, გაიგოს მოსაუბრის ენა. იაპონელი ასეთივე მიკროკომპიუტერით აეწყობა ქართულზე და საუბარი ისე შედგება, რომ ორივე მშობლიურ ენაზე ილაპარაკებს. მენტალური პროთეზები, რომელთა შესაქმნელად აუცილებელი იქნება კომპიუტერული ტექნოლოგიების, ტვინისა და კოგნიტური ფსიქოლოგიის სპეციალისტების თანამშრომლობა, შეძლებენ, შეინახონ საჭირო ინფორმაცია (სახელები, მისამართები, ტელეფონის ნომრები და ა.შ.) ისე, რომ საკმარისი იქნება გაიფიქრო ადამიანზე და მასთან დაკავშირებული ცნობები ჩუმად გაისმება თქვენს ყურში. ამასთან დაკავშირებით სოლსო ირონიით შენიშნავს, რომ ასეთი მოწყობილობები, ალბათ, ძალიან პოპულარული გახდება სასწავლო დაწესებულებებში, განსაკუთრებით გამოსაშვები გამოცდების დროს [64].

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ფსიქოლოგიის თანამშრომლობა ინფორმატიკასთან ფრიად ნაყოფიერი და პერსპექტიულია პრაქტიკული კუთხით. ამავე დროს, სპეციალისტების აზრით, „მიუხედავად მრავალრიცხოვანი არგუმენტებისა, *pro* და *contra*, საკითხი ხელოვნური ინტელექტის კონსტრუირების შესახებ კვლავაც მთლიანად ღიად რჩება“ [20; 313].

* * *

კოგნიტურ ნეირომეცნიერებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იმ დისციპლინებს შორის, რომლებიც ე.წ. *კოგნიტურ მეცნიერებას* ქმნიან. იგი ფსიქიკური პროცესების ნევროლოგიური უზრუნველყოფის საკითხებს არკვევს. ტვინისა და ფსიქიკის მიმართების პრობლემა უძველესია და ფუნდამენტური. კოგნიტური მეცნიერების

კონტექსტში მას მანქანურ სისტემებთან მიმართების საკითხიც დაემატა. როგორც ზემოთ აღინიშნა, იგი ახალი კონექციონიზმის მოდელების მიხედვით მოიაზრება. ახალი იმიტომ ეწოდება, რომ თავისთავად კონექციონიზმის ფუძემდებლური იდეა ძველია და საკმაოდ მარტივი. თეზისი, რომ გამოცდილების მიღების პროცესში სისტემის ელემენტები ახალ კავშირებს ქმნიან, ჯერ კიდევ არისტოტელესთან გვხვდება და, ასოციაციონიზმიდან მოყოლებული, მენტალური ცხოვრების ორგანიზაციის ძირეულ პრინციპად ითვლება. ბიჰევიორიზმმა იგი ქცევას მიუსადაგა და, ამასთან ერთად, დააზუსტა კავშირის შექმნის მექანიზმი (დასწავლის კანონები). სხვათა შორის, ე. თორნდაიკი თავის სისტემას კონექციონიზმს უწოდებდა (იხ. II თავი). კოგნიტურ მეცნიერებაში კონექციონიზმმა ინფორმაციული ჟღერადობა შეიძინა: შესავალი, გამოსავალი, ინფორმაციის წარმართვა და პარალელური გადამუშავება და ა.შ. თანამედროვე კონექციონიზმს სურს, შექმნას კოგნიტური ფუნქციონირების სურათი ნეირონულ დონეზე და შესაბამისობაში მოიყვანოს ხელოვნური ინტელექტის სფეროში მოცემულ განზოგადებებთან. კონექციონისტური მიდგომა ნეირომეცნიერებაში სათავეს იღებს კარლ ლეშლის მოსაზრებებიდან იმის თაობაზე, რომ დასწავლის მონაცემები არ არის ტვინში ლოკალიზებული; აუცილებელია აღინიშნოს დონალდ ჰების შეხედულებებიც დასწავლის შედეგად შექმნილი ნეიროკავშირებისა და ნეირონული ქსელების შესახებ. ოთხმოციან წლებამდე, ვიდრე მნიშვნელოვანი მტკიცებულებები გაჩნდებოდა ტვინში *პარალელური პროცესების* მიმდინარეობის შესახებ, კონექციონიზმი მაინც ჩრდილში რჩებოდა. ეს იდეა გადატანილ იქნა ხელოვნური ინტელექტის კვლევაზე. მაგალითად, რ. მაკლელანდის კომპიუტერული მეხსიერების მოდელი ჩაირთავს პარალელურ პროცესირებას და კონექციონიზმის სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს.

კონექციონიზმის ძირეული პრინციპების თანახმად, დასწავლის შედეგად სისტემის მარტივი ერთეულები (ნეირონები ან ნახევარგამტარები) გარკვეულ კავშირებს (კონექციებს) ქმნიან. მათ აქვთ *შესავლის, გამოსავლის და შინაგანი (ფარული) ფუნქცია*. შესავლის ფუნქცია უზრუნველყოფს გარემოდან ან სისტემის სხვა უბნებიდან მომდინარე ინფორმაციის მიღებას. გამოსავლის ფუნქცია აკონტროლებს ინფორმაციას და აგზავნის მას ქსელის სხვა ნაწილებში. შინაგანი ფუნქცია ამყარებს კავშირს შესავალსა და გამოსავალს შორის. ერთეულების ურთიერთქმედება და კავშირი გვაძლევს მთლიანობით ეფექტს ყოველგვარი ცენტრალური კონტროლის ან აღმასრულებელი მონიტორინგის გარეშე. ყველა ერთეული აქტივაციის გარკვეულ დონეს შეესაბამება. სისტემაში ინფორმაციის ნაკადის მოძრაობის კვალდაკვალ ხდება მისი სულ უფრო სრულყოფილი და საფუძვლიანი გადამუშავება [97].

შეიძლება ითქვას, რომ კონექციონისტური შეხედულება საკმაოდ ტრივიალურად გამოიყურება. მიუხედავად ამისა, ბოლო ხანებში იგი იმდენად ფართოდ გავრცელდა, რომ ზოგჯერ *კონექციონისტურ რევოლუციაზეც* კი ლაპარაკობენ. საფიქრებელია, რომ ასეთი შეფასებისთვის სერიოზული საფუძველი ჯერჯერობით არ არსებობს. ასეა თუ ისე, ამ ზოგად მოდელზე დაყრდნობით საკმაოდ წარმატებული კვლევა მიმდინარეობს ამა თუ იმ ფსიქიკური ფუნქციის ნევროლოგიური მოდელის შესაქმნე-

ლად. ამას ძალიან შეუწყო ხელი ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ, განსაკუთრებით ისეთების, რომლებიც ტვინის ვიზუალური შესწავლის შესაძლებლობას იძლევიან: მაგნიტურ-რეზონანსული, პოზიტრონულ-ემისიური, კომპიუტერული ტომოგრაფია და ელექტროენცეფალოგრაფია. ინფორმაციულია, აგრეთვე, ტვინის ქიმიზმის შესწავლა. კოგნიტური ნეირომეცნიერების მეთოდები გულისხმობს კოგნიტური მოვლენებით მანიპულირებას და შესაბამისი ნეირონული ფენომენების შესწავლას, ან პირიქით, ნეირონული მოვლენებით მანიპულირებას კოგნიტურ ფენომენებზე მათი გავლენის გარკვევის მიზნით. პოზიტრონულ-ემისიური და მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია უჭვენებს ფუნქციონალურ ანატომიას, ხოლო ელექტრული აქტივობის ჩანაწერები ნეირონული აქტივობის რეგისტრაციას ახდენს. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა, მივიღოთ ინფორმაცია ტვინის განსხვავებული ზონების აქტივობის შესახებ სხვადასხვა ფსიქიკური პროცესების მიმდინარეობისას (ამოცანის გადაწყვეტა, მეტყველება, აღქმა, ამოცნობა, მოგონება, წარმოსახვა, ემოცია და ა.შ.), ასევე, ტვინის აქტივობის თავისებურებების შესახებ სხვადასხვა სახის დარღვევების დროს. ამ მხრივ უკვე მიღებულია მეტად მნიშვნელოვანი მონაცემები და ვარაუდობენ, რომ მომავალში, ტვინის შესწავლის ტექნიკური შესაძლებლობების განვითარების კვალდაკვალ, ეს მიღწევები შეუდარებლად მეტი იქნება [96].

თუმცა, უკვე ამჟამად, ბევრი რამ გახდა შესაძლებელი. მაგალითად, 1990-იანი წლებიდან დაიწყო ე.წ. ნეიროსტიმულატორების გამოყენება ნევროლოგიური ტკივილებისა და გართულებების სამკურნალოდ. ათასობით ადამიანს ჩადგმული აქვს ნეიროსტიმულატორი, რომელიც საკმაოდ ეფექტურია ქრონიკული ტრემორის და პარკინსონის დაავადებასთან დაკავშირებული უნებლიე მოძრაობების შემთხვევაში, სისტონიისა და გაფანტული სკლეროზის დროს. ე.წ. „ტვინის სიღრმივი სტიმულაციის მეთოდის“ გამოყენების არე სულ უფრო ფართოვდება.

დიდი პერსპექტივები ისახება ნეირო-კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებით. განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა ე.წ. ნეირო-კომპიუტერული ინტერფეისების შექმნა/გამოყენება. ესაა სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციის გაცვლას ტვინსა და ელექტრონულ მოწყობილობას (მაგალითად, კომპიუტერს) შორის. ცხოველებზე ინტენსიური ექსპერიმენტირების შემდეგ, გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში, ადამიანის ორგანიზმში დაიწყეს ისეთი მოწყობილობების იმპლანტაცია, რომელთაც შეუძლიათ, გადასცენ ინფორმაცია სხეულიდან კომპიუტერს. მათი მეშვეობით შესაძლებელი შეიქნა სმენის, მხედველობის, ასევე სამოძრაო ფუნქციების აღდგენა. ეს, თავის მხრივ, შეუძლებელი იქნებოდა ტვინის ადაპტაციური უნარის (პლასტიკურობის თვისების) გარეშე. 2004 წელს შეიქმნა პირველი „კაუბადიანი ჩიპი“ (კაუს აღმოაჩნდა თვისება, შეაერთოს არაცოცხალი მატერია ცოცხალ ნეირონებთან). ამით დაიწყო ნეიროპროტეზირების ეტაპი ნევროლოგიაში. შემუშავდა ალგორითმები, რომლებიც ახდენენ მოძრაობათა რეკონსტრუქციას ტვინის ქერქის მოტორული ზონიდან წამოსული სიგნალების საფუძველზე. შემდეგ ნეირონების ეს სიგნალები იშიფრება და გამოიყენება სხვადასხვა მოწყობილობის (რობოტების, ნეიროპროტეზების) სამართავად, რომლებიც ამა თუ

იმ მოძრაობის იმიტაციას ახდენენ. უკვე გაიარა გამოცდა ნეირონტერფეისმა (ტვინი-კომპიუტერი), რომლის საშუალებით ადამიანი მხოლოდ აზრის დაძაბვით ახერხებს, მართოს ეგზოპროტეზების (მაგალითად, ხელოვნური კიდურის) მოძრაობა.

შექმნილია და აპრობირებულია კომპიუტერული ჩიპი, რომელიც თავსდება ტვინში და ენაცვლება ცხოველის (ვირთაგვა) ჰიპოკამპს. თუ მხედველობაში მივიღებთ ტვინის ამ სტრუქტურის უდიდეს მნიშვნელობას (ინფორმაციის კოდირება ხანგრძლივ მეხსიერებაში შესანახავად), აღნიშნული კვლევების ფასეულობა კომენტარს არ საჭიროებს. მიმდინარეობს მუშაობა შესაბამისი პროტეზის შექმნაზე მაიმუნებისთვის, ხოლო ადამიანის ხელოვნური ჰიპოკამპის შექმნას 2025 წლისთვის ვარაუდობენ.

არსებულმა ტექნოლოგიებმა უკვე გახსნეს გზა იმ ბარიერის გადასალახავად, რომელიც ყოველთვის წინ ედგა ფსიქიკური ცხოვრების მეცნიერული შესწავლის საქმეს. მხედველობაში გვაქვს, რომ სხვა ინდივიდის შინაგანი სამყაროს სუბიექტური სურათი არ ექვემდებარება უშუალო გარეგან დაკვირვებას. ახალი ტექნოლოგიები ფსიქიკური პროცესებისა და მდგომარეობების ობიექტივაციის საშუალებას იძლევიან. მაგალითად, ფუნქციონალური მაგნიტურ-რეზონანსის გამოყენებით შეიძლება 80-90%-იანი ალბათობით გამოვიცნოთ რამდენიმე მარტივი კატეგორიიდან მოცემულ მომენტში რომელზე ფიქრობს ადამიანი; ნეირო-კომპიუტერულ ინტერფეისებს შეუძლიათ, „მიადევნონ თვალი" მათი მომხმარებლის შინაგან მდგომარეობებს, აღქმებსა თუ განზრახვებს. ეს მეთოდოლოგია კიდევ უფრო განვითარდება, რაც უდავოდ დიდად შეუწყობს ხელს ფსიქოლოგიურ კვლევას. თუმცა სპეციალისტები ყოველივე ამაში ჩადებული საფრთხეების შესახებაც გვაფრთხილებენ. ადამიანის „კოგნიტურ გამჭვირვალობას" შეუძლია, გარეგანი კონტროლის ისეთ ფორმებამდე მიგვიყვანოს, რომლებიც პესიმისტური ფუტუროლოგიური რომანების ავტორებსაც ძნელად წარმოედგინათ [20].

ზემოთ ვახსენეთ ტვინის პლასტიკურობის უნარი. ესეც ნეირომეცნიერების ერთ-ერთი ბოლოდროინდელი მნიშვნელოვანი აღმოჩენაა. აქამდე ნეირომეცნიერებაში გაბატონებული იყო წარმოდგენა, რომ ტვინი ერთადერთი ორგანოა, რომელშიც არ ხდება უჯრედების კვლავწარმოება, ძველი ნეირონების შეცვლა ახლით. მოზრდილი ადამიანის ტვინი, კომპიუტერის მსგავსად, რჩება სტაბილური, უცვლელი, ფიქსირებული მეხსიერებით და პროცესორის სიმძლავრით. აქედან გამომდინარე, ნეიროლოგები მხოლოდ ერთ რეკომენდაციას იძლეოდნენ: შეეცადეთ, არ დააზიანოთ ტვინი, ვინაიდან არ არსებობს მისი „შეკეთების" საშუალება. გასული საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბებული ეს დოგმატური შეხედულება საუკუნის ბოლოს მთლიანად იქნა დეზავუირებული. ნეირობიოლოგებმა აღმოაჩინეს ორი ბუნებრივი ბიოლოგიური მექანიზმი, რომლებიც ეხმარებიან ტვინს, შეცვალოს ფუნქციონირება, აღადგინოს და შეინარჩუნოს ქმედითუნარიანობა და ინტელექტი ღრმა სიბერემდე. ეს მექანიზმებია *ნეიროგენეზისი* და *ნეიროპლასტიკურობა.*

ნეიროგენეზისის მექანიზმის წყალობით ხდება ნეირონების გარკვეული რაოდენობის აღდგენა. ეს პროცესი მუდმივად მიმდინარეობს თავის ტვინის გარკვეულ

სტრუქტურებში, ძირითადად, ჰიპოკამპში. შეუძლებელია ამ პროცესის გაძლიერება კოგნიტური სტიმულირებით, სწავლით, ფიზიკური ვარჯიშებით და ა.შ. ქრონიკული სტრესი, პირიქით, თრგუნავს ნეიროგენეზისის პროცესს. აღმოჩნდა, აგრეთვე, რომ ტვინი არა მხოლოდ ახალ ნეირონებს წარმოშობს, არამედ ახალ ნეირონულ კავშირებსაც ქმნის. ამით შესაძლებელი ხდება დაზიანებული ან არაქმედითუნარიანი ნეირონების ფუნქცია, „გადაეცეს" სხვა, სტრუქტურულად მსგავს ნეირონებს. ასეთია ნეიროპლასტიკურობის მექანიზმი [28].

მაგრამ რევოლუციური აღმოჩენების რიგი ამით არ დასრულებულა. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ნეირობიოლოგიის უმთავრესი მოვლენა ბოლო წლებში ე.წ. სარკისებრი ნეირონების აღმოჩენა გახდა. ეს არის ნეირონების ჯგუფი, რომელიც აქტივირდება არა მხოლოდ მაშინ, როცა კონკრეტულ მოქმედებას ვასრულებთ, არამედ მაშინაც, როდესაც ვხედავთ, რომ ვიღაც სხვა ახორციელებს იმავე მოქმედებას. ამ ნეირონების აღმოჩენამ სენსაცია გამოიწვია სამეცნიერო წრეებში. პირველად სარკისებრი ნეირონები 1990 წელს აღმოაჩინა და აღწერა სპეციალისტების ჯგუფმა იტალიის ქალაქ პარმიდან, ჯაკომო რიცოლატის ხელმძღვანელობით. ექსპერიმენტები მაკაკებზე ტარდებოდა, რომელთაც თავის ტვინის გარკვეულ ზონაში მიკროელექტროდები ჰქონდათ ჩადგმული. როდესაც მაკაკა ხელს სტაცებს მაგიდიდან არაქისს და პირში მიაქვს, გარკვეული ნეირონი აიგზნება. სხვა მოძრაობის შესრულებისას ეს ნეირონი იმპულსებს არ იძლევა. მაგრამ, როდესაც ეს მაკაკა პასიურად ზის და უყურებს, როგორ იღებს მაგიდიდან და ჭამს არაქისს სხვა მაიმუნი, მის ტვინში აქტივირდება ზუსტად იგივე ნეირონი, თითქოს ამ მოქმედებას იგი თავად ასრულებდეს. თავდაპირველად ეს ნეირონები აღმოაჩინეს შუბლის წილის F5 ზონაში, ხოლო შემდგომში მაიმუნების თავის ტვინის ქერქის სხვა უბნებშიც. მალე ნათელი გახდა, რომ ეს რეაქციები ერთი ნეირონის კი არა, ნეირონების ქსელის მოქმედების შედეგია.

მომდევნო წლებში დაიწყო სარკისებრი ნეირონების ინტენსიური შესწავლა მსოფლიოს მრავალ ლაბორატორიაში. ტომოგრაფიისა და ელექტროენცეფალოგრაფიული მეთოდების გამოყენებით მალე დადასტურდა ადამიანის თავის ტვინში ანალოგიური ნეირონების არსებობა. ისინი აქტივირდება როგორც მოქმედების შესრულების, ისე ამ მოქმედების სხვის მიერ შესრულების ხილვის ან წარმოდგენის დროს.

კვლევის საწყის ეტაპზე სარკისებრი ნეირონების ფუნქცია ცალსახად დაკავშირებული იყო მოქმედების მიბაძვის უნართან. ამ ნეირონების აღმოჩენის შემდეგ შესაძლებელი გახდა, გაცილებით მარტივად ახსნილიყო ადამიანის უნარი, გამოიცნოს და იწინასწარმეტყველოს სხვა ადამიანთა მოქმედება. ამ ნეირონების წყალობით ჩვენ, ფაქტობრივად, ვგრძნობთ, რას აკეთებს სხვა ადამიანი; შესაბამისად, შეგვიძლია ტვინში რაიმე ლოგიკური ოპერაციებისა და გამოთვლების დაშვების გარეშე განვსაზღვროთ, როგორ გაგრძელდება ეს მოქმედება. მაგრამ ეს უნარი სხვა უნარებისა და თვისებების აღმოცენებასაც განაპირობებს. კერძოდ ისეთების, როგორებიცაა: 1. ემპათია – სხვათა ემოციების გაგების უნარი შთაგრძნობის გზით; 2. სხვათა ქმედების დაფარული შინაარისისა და განზრახვის გაგების უნარი (ე.წ მაკიაველისტური ინტელექტი) და 3. სხვებზე დაკვირვებით, იმიტაციით სწავლის უნარი, ე.წ. მოდელი-

რება (ფსიქოლოგიაში დასწავლის ეს სახეობა პირველად ა. ბანდურამ იკვლია) (იხ. XI თავი). ეს უკანასკნელი უნარი უზარმაზარ შესაძლებლობებს აჩენს სხვათა გამოცდილებისა და, შესაბამისად, კულტურის მონაპოვრის ათვისების მიმართულებით [36].

უდიდესია ემპათიის – სხვათა განცდებზე ემოციური რეაგირების თვისების მნიშვნელობაც. შთაგრძნობა შეიძლება აღმოცენდეს როგორც სხვისი დაკვირვებადი (ან წარმოსახული) გრძნობების მიმართ, ისე მხატვრული ნაწარმოების (კინო, თეატრი, ლიტერატურა) პერსონაჟების მიმართ. განაპირობებს რა სხვათა გრძნობების, მისწრაფებების, მიზნების გაზიარება-გათავისებას, ემპათია ასრულებს ფუნდამენტურ სოციალურ როლს, რომლის გარეშე ადამიანური ცივილიზაცია წარმოუდგენელია. როგორც ჩანს, სარკისებრი ნეირონები ემპათიის ნეირონულ საფუძველს შეადგნენ. მათი აქტივობის დაქვეითება ამ ფსიქიკური თვისების დაქვეითებას უკავშირდება.

ფაქტობრივად იგივე ითქმის „სხვისი ცნობიერების გაგების“ თვისებაზეც. სხვა ინდივიდის ცნობიერების შინაარსის, მისი ქმედების მიზეზის/განზრახვის წვდომის უნარი სოციალური ქცევის არსებითი კომპონენტია. სოციალური ურთიერთქმედების უნარის დაქვეითება (მაგალითად, აუტიზმის დროს) სავარაუდოდ, დიდწილად, ამ ნეირონების ქსელის არასწორი/არასათანადო მუშაობის შედეგია.

იქიდან, რაც ითქვა, მკაფიოდ ჩანს, რომ სარკისებრი ნეირონების აღმოჩენამ შეიძლება სერიოზულად შეუწყოს ხელი საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დაახლოებისა და თანამშრომლობის უაღრესად მნიშვნელოვან საქმეს. კიდევ უფრო მეტად ამყარებს ამ იმედს მოსაზრებები, რომლებიც გამოითქმის ამ ნეირონების როლთან დაკავშირებით ადამიანური მეტყველების აღმოცენების პროცესში. F5 ზონა მაიმუნების ტვინში, სადაც პირველად აღმოაჩინეს სარკისებრი ნეირონები, შეესაბამება ადამიანის ტვინის ქერქის 44-ე ზონას, სადაც აგრეთვე განლაგებულია ეს ნეირონები. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ ზონაში მდებარეობს ე.წ. ბროკას ცენტრი, რომელიც მეტყველების მოტორული კომპონენტის რეგულაციას ახდენს. მისი დაზიანებისას ადამიანი ვეღარ ახერხებს, გამოთქვას სიტყვები, თუმცა ესმის სხვისი ნათქვამი. ეს ფაქტი შეუმჩნეველი არ დარჩა და მალე გაჩნდა შეხედულება, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს მეტყველებას და სარკისებრ ნეირონებს. ყველაზე ცნობილია რიცოლეტის მიერ შემუშავებული თეორია [58]. მის მიხედვით, პირველყოფილ ადამიანებში მეტყველება შემთხვევითი მაკრომუტაციების შედეგად, უცებ კი არ აღმოცენდა, როგორც ეს მანამდე ითვლებოდა, არამედ თანდათანობითი ევოლუციის პროცესში. ეს პროცესი, სავარაუდოდ, ასე მიმდინარეობდა: F5 ზონა მაიმუნების ტვინში პასუხისმგებელია ხელებისა და სახის კუნთების მოძრაობაზე. მასში, სარკისებრი ნეირონების არსებობის გამო, რომლებიც მოძრაობათა იმიტაციას და გაგებას უზრუნველყოფენ, მისი ფუნქცია ევოლუციის პროცესში გაფართოვდა. ამ ზონამ საშუალება მისცა პირველყოფილ ადამიანებს, ურთიერთობა დაემყარებინათ ერთმანეთთან მიმიკის, ჟესტებისა და ე.წ პერკუსიული, ე. ი. შინაგანი ორგანოებიდან წამოსული ბგერების, ანუ პროტეინის საშუალებით. განაგრძობდა რა ევოლუციონირებას, F5 ზონა გადაიქცა ბროკას ზონად და გახდა არტიკულაციური მეტყველების რეგულაციის ცენტრი. ფაქტობრივად, ამ თეორიის თანახმად, სწორედ იმიტომ,

რომ Homo sapiens-ის ტვინში არსებობდნენ სარკისებრი ნეირონები, ამ სახეობამ შეძლო მეტყველების ათვისება, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. მოკლედ, პასუხი კითხვაზე ენის წარმოშობის შესახებ უნდა ვეძებოთ არა ხმოვანი კომუნიკაციის პრიმიტიულ ფორმებში, არამედ არავერბალური კომუნიკაციის ევოლუციაში. აქ გადამწყვეტი როლი შეასრულეს სარკისებრმა ნეირონებმა.

ჟესტების ენის პირველადობის იდეა არაა ახალი. ამდაგვარ მოსაზრებას გამოთქვამდა ვ. ვუნდტი, როდესაც საუბრობდა ჟესტების ენის „ბუნებრივი განვითარების" შესახებ; ეს ენა არაა სრულყოფილი, ძირითადად, გამომხატველ მოძრაობებს უკავშირდება და, ამდენად, მხოლოდ „დისკურსის ადრეულ ფორმას" უზრუნველყოფს. განვითარების კვალდაკვალ, მასში, თანდათანობით, ურთიერთობის ვერბალური, გახმოვანებული ფორმის ინტეგრაცია ხდება. რიცოლეტი აღნიშნავს, რომ სარკისებრი ნეირონების წყალობით ჩვენ გვაქვს უნარი, მივბაძოთ სხვა ადამიანების არტიკულაციური აპარატის (ტუჩები, ენა) მოძრაობას, რაც მეტყველების ევოლუციური საფუძველია. გადამწყვეტი აქაც სხვა ადამიანთა განზრახვის ამოკითხვა/გაგების და მათი ვოკალიზაციისადმი მიმბაძველობის უნარებია, რომლებიც, თავის მხრივ, სარკისებრი ნეირონების მოქმედებას უკავშირდება.

ყოველივე თქმულიდან გზა იხსნება უფრო ფართო განზოგადებისკენ, რომელსაც ბოლო დროს სულ უფრო ხშირად მიმართავენ მკვლევრები. მხედველობაში გვაქვს მოსაზრება, რომ სწორედ სარკისებრ ნეირონებს ეკუთვნის საკვანძო როლი კულტურული ევოლუციის პროცესის სტიმულირებაში. ადამიანური ევოლუციის ერთ-ერთი გამოცანაა ე.წ. „უეცარი ნახტომი" – 50-75 ათასი წლის წინ ევოლუციურად უმოკლეს დროში წარმოიშობა სპეციფიკურად ადამიანური ყოფის ისეთი ატრიბუტები, როგორებიცაა: ცეცხლი, ხელოვნება, თავშესაფარი/საცხოვრებელი, მოკაზმულობა, მრავალკომპონენტიანი იარაღები და ენის უფრო რთული ფორმები. ფიქრობენ, რომ ამ პერიოდში, ხანგრძლივი ბიოლოგიური ევოლუციის შედეგად, სარკისებრმა ნეირონებმა ადამიანში განვითარების ისეთ დონეს მიაღწიეს, რომელმაც შეუდარებლად გაუსწრო ნებისმიერი დაბალი პრიმატის შესაძლებლობებს. ამან განსაზღვრა ის, რომ ჩვენ მივაღწიეთ სრულფასოვან კულტურულ განვითარებას.

ამგვარი სახის თამამ განზოგადებაში ყველაზე შორს ალბათ ცნობილი ნეირობიოლოგი, ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი ვილეინაურ რამაჩანდრანი წავიდა [55][57]. მისი რწმენით, სარკისებრმა ნეირონებმა ითამაშეს ცენტრალური როლი იმაში, რომ სწორედ ადამიანები არიან ერთადერთი სახეობა, რომელიც ჭეშმარიტად ცხოვრობს და საზრდოობს კულტურით. კულტურა გულისხმობს უამრავ მოვლენასა და მოქმედებასთან დაკავშირებულ ცოდნა-ჩვევას, რომელიც გადაეცემა ადამიანიდან ადამიანს ორი ძირეული შუამავლის – ენისა და მიბაძვის საშუალებით. სარკისებრი ნეირონები საშუალებას გვაძლევენ, მივხვდეთ სხვის განზრახვას, დავინახოთ სამყარო სხვა ადამიანის ვიზუალური პოზიციიდან, მივიღოთ მისი ცნებითი პოზიცია. შემთხვევითი ხომ არაა ისეთი მეტაფორების გამოყენება, როგორებიცაა: „მე მესმის რისი თქმა გინდა", „შეეცადე, შეხედო ამას ჩემი გადასახედიდან" და ა.შ. შესაძლოა, სწორედ მი-

ბაძვა გახდა საკვანძო მომენტი ადამიანის ევოლუციაში, რომელიც გადაიქცა ჩვენს უნარად, გადავცეთ ცოდნა და დამოკიდებულებები მაგალითის გზით (სოციალური დასწავლა)[1]. როდესაც ეს ნაბიჯი გადაიდგა, ჩვენი სახეობა სწრაფად გადავიდა გენებზე დაფუძნებული დარვინიანული ევოლუციიდან (რომელსაც მილიონობით წელი დასჭირდა) კულტურულ ევოლუციაზე. სარკისებრი ნეირონების სისტემის გაძლიერებული განვითარების საშუალებით ევოლუციამ, ფაქტობრივად, კულტურა ახალ გენომად აქცია.

რამაჩანდრანი გრძნობს, რომ ასეთი შორს მიმავალი განზოგადება და სარკისებრი ნეირონების როლის ამგვარი განდიდება უფრო მეტ დასაბუთებას მოითხოვს. იგი ცდილობს, გარკვეული სიფრთხილე გამოიჩინოს და ამბობს, რომ არ ამტკიცებს, თითქოს მარტო სარკისებრი ნეირონებია საკმარისი დიდი ნახტომისა და კულტურისთვის საზოგადოდ. მისი რწმენა ეხება იმას, რომ მათ გადამწყვეტი როლი შეასრულეს. იგი იმასაც ამბობს, რომ საჭიროა სიფრთხილე, რათა არ მივაწეროთ სარკისებრ ნეირონებს ტვინის ყველა ამოუხსნელი გამოცანა. ამასთან, რამაჩანდრანი დარწმუნებულია, რომ ზოგიერთ მათგანს მართლაც აეხდება ფარდა ამ ნეირონული ქსელების შემდგომი დეტალური შესწავლის შედეგად. სახელდობრ, ეს ეხება გარკვეული ფსიქიკური აშლილობების/ანომალიების ნეირონული მექანიზმების გარკვევა-დაზუსტებას. უნდა ითქვას, რომ ამისთვის ერთგვარი საფუძველი მართლაც არსებობს.

ამ მხრივ, ყველაზე საინტერესოა ზემოთ უკვე ნახსენები აუტიზმის ანალიზი. ამ დაავადების ძირითად სიმპტომად მიჩნეულია დარღვევები სოციალური კონტაქტების სფეროში: სოციალური იზოლირებულობა, თანაგრძნობის უქონლობა, ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის საშუალებათა გაგების და გამოყენების უუნარობა. ბევრი აუტისტი ბავშვი განიცდის სირთულეებს სხვა ადამიანების მიბაძვისა და მოქმედების იმიტაციის კუთხით. მას მერე, რაც გაირკვა სარკისებრი ნეირონების ფუნქციები, ბუნებრივად დაისვა საკითხი ამ დარღვევასთან მათი კავშირის შესახებ. სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ აუტისტ პაციენტებს აღენიშნებათ სარკისებრი ნეირონების აქტივობის დეფიციტი ტვინის ქერქის რამდენიმე უბანში.

სარკისებრი ნეირონების დისფუნქციის ჰიპოთეზაზე აგებული აუტიზმის მოდელი უკვე საკმაოდ პოპულარულია. თუმცა ჯერჯერობით არაა ბოლომდე გარკვეული საკითხი, თუ რა არის პირველადი: სარკისებრი ნეირონების სისტემის განვითარების ჩამორჩენა/დარღვევა, თუ აუტიზმი, რომელიც სხვა ფაქტორებითაა გამოწვეული.

[1] სხვათა შორის, გამოჩენილი სოციოლოგი ჟან-გაბრიელ ტარდი ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ამტკიცებდა, რომ საზოგადოების განვითარების საფუძველი მიბაძვის (იმიტაციის) ფორმაში წარმართული ინდივიდების სოციალურ-კომუნიკაციური ქცევაა. „საზოგადოება მიბაძვაა“, ამბობდა იგი. მიბაძვა გულისხმობს ერთის მიერ მეორის მოქმედების ელემენტარულ კოპირებასა და გამეორებას. ეს ეხება არსებით სოციალურ, სამეურნეო და ეკონომიკურ პრაქტიკებს, ენას, რელიგიურ და ეთიკურ რწმენებს, განწყობებს და ა.შ. ისინი მეორდება თაობიდან თაობაში მიბაძვის მექანიზმის წყალობით. საზოგადოების მთლიანობა და კულტურის ქმნადობა/შენარჩუნება ამ პროცესის შედეგია [67].

სან-დიეგოს უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფი, რამაჩანდრანის ხელმძღვანელობით, პირველი ვარიანტისკენ იხრება და ამუშავებს მიმდინარე კვლევის სამედიცინო ასპექტებს [56]. მართლაც, თუ აუტიზმის მიზეზი სარკისებრი ნეირონების სისტემის ფუნქციის დაღრვევაა, მაშინ შესაძლებელია, მოხერხდეს ახალი და ნაყოფიერი მიდგომების შემუშავება ამ აშლილობის დიაგნოსტირებისა და მკურნალობის მიმართულებით. ასეთებად რეკომენდებულია ბიოლოგიური უკუკავშირის მეთოდოლოგია და გარკვეული პრეპარატები, ე.წ. ნეირომოდულატორები, რომლებიც ააქტიურებენ ემოციურ რეაქციებთან დაკავშირებულ სარკისებრ ნეირონებს. ნავარაუდევია, რომ თანაგანცდის უუნარობა ტვინში ამ ნივთიერებათა ნაწილობრივი გამოფიტვის შედეგია. თუ ბავშვის სარკისებრ ნეირონებს მთლიანად არ დაუკარგავთ თავისი ფუნქცია, ტვინის ამ სისტემის აღდგენა შესაძლებელი უნდა იყოს. სათანადო კვლევა-ძიება ჯერჯერობით ადრეულ სტადიაშია და თავისი ვალიდურობის ექსპერიმენტულ დადასტურებას საჭიროებს.

უნდა ითქვას, რომ ჩამოთვლილ მიდგომებს პაციენტების მდგომარეობის მხოლოდ ნაწილობრივი გაუმჯობესება შეუძლიათ. საქმე ისაა, რომ სარკისებრი ნეირონების დისფუნქციის მოდელი ვერ ხსნის აუტიზმის ყველა სიმპტომის წარმოშობას, მაგალითად, როგორიცაა გამეორებადი მოძრაობები (აქეთ-იქით ქანაობა), მოსაუბრესთან ვიზუალური კონტაქტისგან თავის არიდება, ჰიპერმგრძნობელობა და ზიზღი გარკვეული ხმების მიმართ და სხვ. მათი ბუნების გასარკვევად შემოთავაზებულია ე.წ. „ემოციური ლანდშაფტის თეორია", რომელიც აღნიშნულ სიმპტომებს იმით ხსნის, რომ აუტიზმის შემთხვევაში დარღვეულია კაუშირი ტვინის სენსორულ არესა და ემოციური ქცევის მარეგულირებელ ლიმბურ სისტემას შორის.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ სარკისებრი ნეირონების აღმოჩენამ მართლაც ძლიერი იმპულსი მისცა ნეიროფსიქოლოგიურ კვლევას. ამჟამად იგი ინტენსიურად მიმდინარეობს მსოფლიოს მრავალ ლაბორატორიაში. ჯერ კიდევ არაა ნათელი ბევრი ძირეული საკითხი, კერძოდ ფსიქიკური მოქმედების რა სფეროებზე ვრცელდება სინამდვილეში სარკისებრი ნეირონების გავლენა, რა გენეტიკური ან გარემოსეული ფაქტორები იწვევენ ამ სისტემის დარღვევას და სხვ. ამ ნეირონების აღმოჩენიდან გამომდინარე, ექსტრაპოლაციები და განზოგადებები ქმნიან იმის მოლოდინს, რომ ახლოს ვართ ამა თუ იმ ფსიქიკური მოვლენის ნეირონული მექანიზმის გარკვევასთან. მაგალითად, ერთობ დამაინტრიგებლად გამოიყურება კვლევის შემდეგი მიმართულება: როგორც აღინიშნა, როცა ადამიანი უყურებს სხვის მოქმედებას, ტვინის ქერქის მოტორულ ზონაში აქტიურდება ის ნეირონები, რომელთაც იგი გამოიყენებდა, თუ თავად შეასრულებდა ამ მოქმედებას. თუ, ვთქვათ, თქვენ ხედავთ, რომ ვინმეს ნემსით ჩხვლეტენ, თქვენი ტკივილის ნეირონები რეაგირებენ ისე, თითქოს ნემსი თქვენ გიჩხვლიტეს. მაგრამ თუ ეს ასეა, რატომ არ ვაკეთებთ ყოველი დანახული მოქმედების ავტომატურ იმიტაციას ან რატომ არ ვგრძნობთ სხვის ტკივილს პირდაპირი მნიშვნელობით? მოტორული სარკისებრი ნეირონების შემთხვევაში სავარაუდოა, რომ ტვინის ფრონტალურ არეში არსებობს სათანადო უბნები, რომლებიც

თრგუნავენ ავტომატურ მიბაძვას, მაშინ, როცა ეს უადგილოა ან მიუღებელი. მაშასადამე, ლაპარაკია ისეთ ნეირონულ მექანიზმზე, რომელიც აბრკოლებს არასასურველ ან იმპულსურ მოქმედებას. თუ ასეთი რამ მართლაც იქნება აღმოჩენილი, მაშინ ის „იდუმალი ძალა" ან ნახევრად მისტიკური უნარი, რომელსაც ნებისყოფა ეწოდება, თავის რეალურ ბიოლოგიურ სუბსტრატს შეიძენს. მომავალი კვლევა გვიჩვენებს, გამართლდება თუ არა ეს და სხვა ამდაგვარი მოლოდინები. ყოველ შემთხვევაში, ჟურნალ "The Economist"-ის ცნობით, დანახარჯები სარკისებრი ნეირონების კვლევის სფეროში ყოველწლიურად თითქმის გეომეტრიული პროგრესიით იზრდება, ხოლო მთელი ეს მიმართულება უახლოესი წლების მეცნიერების განვითარების ერთ-ერთ ძირითად ტრენდად მოიაზრება.

მრავალი სპეციალისტის წინასწარმეტყველებით, დამდეგი საუკუნის 20-30-იან წლებში მოსალოდნელია სტრატეგიული გარღვევები ფსიქიკური მოვლენების ტვინის ნეიროდინამიკური კოდების გაშიფვრის მიმართულებით. ეს მოგვცემს სრულიად ახალ ცოდნას ჯერ შედარებით მარტივი, ხოლო შემდგომში, სულ უფრო რთული ფსიქიკური ფუნქციებისა და, საერთოდ, სულიერი რეალობის მართვის თვალსაზრისით. ამის საფუძველი მოცემულია ხ. დელგადოს, უ. პენფილდის, ჯ. ეკლზის, რ. სპერის და სხვების გამოკვლევებში. ამასთანავე, სუბიექტურ სამყაროში ასეთი ჩარევის ხერხები დღის წესრიგში აყენებს არანაკლები სიმწვავისა და სირთულის სოციალურ პრობლემებს, ვიდრე ისინი, რომლებიც ადამიანის გენომში ჩარევის შესაძლებლობებს უკავშირდება. ეს, აგრეთვე, დიდ გავლენას მოახდენს თვით ფსიქოლოგიის საგნის გააზრებაზე იმ მხრივ, რომ წინა პლანზე წამოიწევს ნეიროფსიქოლოგიისა და ინფორმაციის თეორიის ცნებები [52].

ასეთ პროგნოზებს კატეგორიულად არ ეთანხმებიან ისინი, ვინც პრინციპულად მიუღებლად თვლის კოგნიტური ნეირომეცნიერების თვალსაზრისს, კერძოდ იმას, რომ ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმები პირდაპირი მნიშვნელობით ქმნიან, „აწარმოებენ" ფსიქიკურ მოვლენებს, ერთმნიშვნელოვნად განაპირობებენ მათ. ტვინისა და ფსიქიკის მიმართების ასეთ გააზრებას ძალიან აქტიურად ებრძვის თანამედროვე ბიჰევიორიზმი ე.წ. *ქცევის ანალიზის* სახით. ბ. სკინერს მიაჩნია, რომ ფსიქოლოგიური ფაქტი (მოვლენა) ორგანიზმისა და გარემოს ურთიერთობაა. ტვინი ვერ ახსნის ქცევას, ვინაიდან იგი, როგორც ორგანიზმის შემადგენელი ნაწილი, მიმართების მხოლოდ ერთ-ერთი წევრია. ტვინი ამას იმიტომაც ვერ შეძლებს, რომ ერთადერთი, რასაც ნერვულ სისტემაში ვაკვირდებით, ბიოლოგიური მოვლენებია, კერძოდ, ესაა ელექტროქიმიური იმპულსები, ჰორმონალური, მეტაბოლური აქტივობა და სხვ. ინფორმაციის გადამუშავებას, პრობლემის გადაჭრას, მოგონებას, პერცეფციას და სამყაროს რეპრეზენტაციას ტვინში ვერ დააკვირდები, ვინაიდან ასეთი მოვლენები იქ არ არის მოთავსებული. კოგნიტივისტებთან დისკუსიის დროს ქცევის ანალიზის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ ორგანიზმი არ შთანთქავს გარემოს, რათა გადაამუშაოს იგი და შემდეგ ქცევის სახით „ამოაგდოს". ქცევა არ არის ტვინის პროდუქტი. რაც სინამდვილეში ხდება, ეს არის კონტაქტი ორგანიზმსა და გარემოს შორის და

სწორედ ამ კონტაქტის სხვადასხვა ფორმა არის ფსიქიკური მოვლენების შინაარსი. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, შესასვლელსა და გამოსასვლელს შორის, სადაც ტვინია მოთავსებული, არაფერიც არ ხდება, რადგან არც არაფერი შედის და არც გამოდის. ფსიქოლოგიის საქმე არ არის იმის შევსება, რაც სტიმულსა და რეაქციას შორისაა [112]. ამ რადიკალური ბიჰევიორისტული თვალსაზრისის ანალიზს აქ არ შევუდგებით (იხ. V თავი). აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ იგი არა მხოლოდ ტვინს ტოვებს „თამაშგარე მდგომარეობაში", არამედ მთელ მენტალურ სამყაროსაც. იმის დასამტკიცებლად, რომ ფსიქიკური სინამდვილე მხოლოდ ტვინიდან არ არის ნაწარმოები, თვით მისი რეალობის უარყოფა ვერაფერი გამოსავალია. აქედან გამომდინარე, თანამედროვე ფსიქოლოგიის კვლევითი პერსპექტივა მიმართულია გონება (ცნობიერება) – ტვინი – ქცევის (Maind-Brain-Behavior) ურთიერთმიმართების კანონზომიერებათა დადგენაზე [86][94].

სხეულისა და სულის, ტვინისა და ფსიქიკის მიმართების პრობლემა ოდითგანვე იდგა ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური აზროვნების წინაშე. იგი ფსიქოლოგიის ისტორიის *მუდმივი პრობლემების* რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც ახლაც აქტუალურია და, ალბათ, მომავალშიც იდგება დღის წესრიგში. ამ პრობლემასთან ადამიანური შემეცნების ჭიდილის უაღრესად საინტერესო პერიპეტიებს აქ ვერ შევეხებით [6]. საკმარისია მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ იგი მსოფლმხედველობისა და მეცნიერების ყველაზე ფუნდამენტურ პრობლემებს შორისაა, ხოლო, ფსიქოლოგიური მეცნიერების დაფუძნების თვალსაზრისით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. საქმე ისაა, რომ გავრცელებული შეხედულების თანახმად, ფსიქიკის გაგებაში მკაცრი და ცალსახა ტვინისმიერი დეტერმინიზმი ფსიქოლოგიას უსაგნოდ ტოვებს. დღის წესრიგში დგება ე.წ. ფიზიოლოგიური ან ნევროლოგიური რედუქციონიზმის პრობლემა [50]. თუ ტვინი ისევე წარმოქმნის ფსიქიკას, როგორც ჯირკვალი ჰორმონს, ფსიქოლოგიისთვის, ფაქტობრივად, ადგილი აღარ რჩება. ეს საფრთხე, ალბათ გაზვიადებულია, რადგან, ასეც რომ იყოს, ფსიქოლოგიის საჭიროება მაინც იარსებებს. ჰორმონის მსგავსად, საკუთრივ ფსიქიკის შემადგენლობა და თვისებებიც ხომ შესასწავლია. მართალია, თუ ამით შემოვიფარგლეთ, ფსიქოლოგია ფენომენოლოგიური ანალიზის ანუ აღწერით დონეს ვერ გასცდება და ახსნითი მეცნიერების სახეს დაკარგავს, რასაც ჯერ კიდევ ვ. დილთაი წინასწარმეტყველებდა. ამ ვითარების წინაშე შეიძლება დავდგეთ, თუ ახსნაში მხოლოდ მოვლენის წარმოშობის მექანიზმის გარკვევას ვიგულისხმებთ. მაგრამ ახსნის ცნების ასეთი შეზღუდვის შემთხვევაშიც საკუთრივ ფსიქოლოგიური ახსნის საჭიროება ყოველთვის იარსებებს, ვინაიდან ადამიანის ფსიქიკა უნიკალური ბიოსოციალური ბუნებისაა და, მაშასადამე, არც ცალკე ბიოლოგიური და არც ცალკე სოციალური ახსნა მისთვის ადეკვატური ვერ იქნება.

ასე მაგალითად, რა სიზუსტითაც არ უნდა იქნეს შესწავლილი მეტყველებასთან დაკავშირებული ტვინის სტრუქტურები და მექანიზმები, ეს სრულებით არ იქნება საკმარისი იმის გასაგებად, თუ როგორ და რატომ წარმოიქმნება კონკრეტული პირის კონკრეტული სამეტყველო აქტი კონკრეტულ სოციალურ პირობებში. შესაბამისად,

შეუძლებელი იქნება ამ საზრისის მქონე მოქმედების გამოწვევა მხოლოდ ტვინის სათანადო უბნების აქტივაციის გზით. ამასთან, ისიც ფაქტია, რომ გარკვეული განცდებისა და რეაქციების გამოწვევა ამ გზითაც შეიძლება. ტვინის სპონტანურ ან ხელოვნურ აქტივირებას შედარებით მარტივი ფსიქოფიზიკური მოვლენების აღმოცენება მოჰყვება. ასეა სიზმარში, ასეა ტვინის სპეციალური ზონების მიმართული გაღიზიანებისას. ჯ. ოლდსის, ხ. დელგადოს და სხვათა ცდები ამას უტყუარად ადასტურებს[1].

დასასრულს, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ფსიქოლოგიის განვითარების მეთოდოლოგიური ვექტორი დასახელებული ორი პარადიგმის გაერთიანება უნდა იყოს. ეს ნაკარნახევია ფსიქოლოგიის საკვლევი საგნის, ფსიქიკის ბიოსოციალური, ანუ ორსახოვანი ბუნებით. სხვანაირად რომ ვთქვათ, ფსიქოლოგიის განვითარების ეს ვექტორი მისი შინაგანი ლოგიკითაა განსაზღვრული. მეცნიერების ფილოსოფიასა და ისტორიაში ამას *ინტერნალურ ფაქტორს* უწოდებენ. რაც შეეხება *ექსტერნალურ ფაქტორს*, რომელიც მეცნიერების განვითარებას გარედან განსაზღვრავს, აქ მნიშვნელოვანია მომიჯნავე დისციპლინებისა და, ზოგადად, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მაღალი დონე. იმის გათვალისწინებით, რაც ზემოთ ფსიქოლოგიის დისციპლინათშორის კავშირებზე ითქვა, შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: გასული საუკუნის შუა პერიოდში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გზაზე მძლავრი პოლიდისციპლინარული შემადგენლობის მატარებელი დაიძრა. მისი ლოკომოტივი გენეტიკა, ინფორმატიკა და ნეირომეცნიერება იყო. ფსიქოლოგიას აქ თავიდანვე საპატიო ადგილი დაეთმო. შემეცნების გზა არ იყო ადვილი და სწორი. მრავალი სირთულის გადალახვა გახდა საჭირო და ნინ კიდევ ბევრია. მიუხედავად ამისა, ეჭვს გარეშეა, რომ შემეცნების ამ მიმართულებით მოძრაობა მეტად წარმატებული აღმოჩნდა; მან მნიშვნელოვნად შეცვალა ცივილიზაციის იერსახე. პერსპექტივები, როგორც ჩანს, კიდევ უფრო შთამბეჭდავია, ვინაიდან ლოკომოტივის სიმძლავრე სულ უფრო მატულობს და, შესაბამისად, იზრდება მთელი შემადგენლობის სიჩქარე, შემადგენლობისა, რომელშიც ფსიქოლოგიაც არის ჩაბმული. ეს მის განვითარებას მძლავრ იმპულსს აძლევს და წინსვლის სრულიად ახალ, ზოგჯერ ძნელად პროგნოზირებად შესაძლებლობებს ქმნის. მეორე მხრივ, ფსიქოლოგიას უკვე შეაქვს თავისი წვლილი ამ მეცნიერულ კოოპერაციაში და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ XXI საუკუნეში, რომელსაც ზოგიერთი ფუტუროლოგი ფსიქოლოგიის საუკუნესაც უწოდებს, მისი წვლილი მეცნიერებისა და კულტურის პროგრესში გაცილებით მნიშვნელოვანი იქნება.

---

[1] მაგალითად, გასული საუკუნის 50-იან წლებში თანამედროვე ნეირობიოლოგიის ერთერთმა ფუძემდებელმა, კანადელმა მეცნიერმა ჯეიმს ოლდსმა ვირთაგვის ტვინში მიაგნო „სიამოვნების ზონას". ცხოველებს შეეძლოთ მისი გაღიზიანება ბერკეტზე თათის დაჭერით. ამის შედეგად, ისინი ივიწყებდნენ ყველაფერს – ჭამას, წყლის მიღებას, ძილს..., განუწყვეტლივ აღიზიანებდნენ „სიამოვნების ზონას" (საათში 8000-ჯერ), სანამ გამოფიტვისგან არ იხოცებოდნენ. მოგვიანებით ეს ცენტრები სხვა ძუძუმწოვრებსა და ადამიანებშიც აღმოაჩინეს. სიამოვნების ცენტრის გაღიზიანებით ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია სათანადო განცდის უშუალო გამოწვევა.

ლიტერატურა

1. ავალიანი ს., მეცნიერების ფილოსოფიის შესავალი, მეცნიერება. თბილისი, 1991.
2. ბოჭორიშვილი ა., აზროვნებს თუ არა მანქანა/ა. ბოჭორიშვილი. თხზულებანი, ტ. II, მეცნიერება, თბილისი, 1992.
3. ბოჭორიშვილი ა., მანქანური აზროვნების შესახებ / ა. ბოჭორიშვილი, თხზულებანი, ტ. II, მეცნიერება, თბილისი, 1992.
4. ვახანია ზ., ძირითად მიმართებათა იერარქია და ცნება, „მიზნობრიობა" / მაცნე, 2007, 1, 64-98.
5. იმედაძე ი., გამოკვლევები თეორიულ ფსიქოლოგიაში. Capre diem, თბილისი, 2013.
6. იმედაძე ი., ფსიქოლოგიის ისტორია: ანტიკური ხანიდან ჩვენ დრომდე. მწიგნობარი, თბილისი, 2021.
7. კუნი თ., სამეცნიერო რევოლუციების სტრუქტურა. იოანე პეტრინი, თბილისი, 2004.
8. ნადირაშვილი შ., განწყობის ანთროპული თეორია. ოპიზა, თბილისი, 2001.
9. სურმანიძე ლ., კულტურა მეთოდოლგიურ პერსპექტივაში. უნივერსალი, თბილისი, 2010.
10. უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია / შრომები, ტ. 3-4, თბილისი, მეცნიერება, 1964.
11. ჩხარტიშვილი შ., ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა. ცოდნა, თბილისი, 1958.
12. Айзенк Г., Количество измерений личности: 16, 5 или 3? – критерий таксономической парадигмы / Иностранная психология, 1993, 2. С. 143-150.
13. Айзенк Г., Келман Л., Природа интеллекта: битва за разум. Эксмо-Пресс, М., 2002.
14. Алфимова М. В., Трубников Е. М., Генные основы темперамента / Вопросы психологии, 2000, 2. С. 128-139.
15. Анастази А., Дифференциальная психология. Индивидуальные и групповые различия в поведении. Апрель Пресс, М., 2001.
16. Анохин П. К., Философский смысл проблемы естественного и искусственного интеллекта / Вопросы философии, 1973, 6. С.83-97.
17. Бахтин М. М., Эстетика словесного творчества. Искусство, М., 1979.
18. Бернс Р. Развитие Я-концепции и воспитание. Прогресс, М., 1986.
19. Братко А. А., Волков П. П., Кочергин А. Н., Царегородцев Г. И., Моделирование психической деятельности. Мысль, М., 1969.
20. Величковский Б. М., Когнитивная наука. Основы психологии познания. Смысл, М., 2006.
21. Виндельбанд В., О свободе воли. Харвест, Минск, 2000.
22. Выготский Л. С., Исторический смысл психологического кризиса / Собрание сочинений. Т. 1. Педагогика, М., 1982.
23. Гейвин Х., Когнитивная психология. Питер, СПб., 2003.
24. Глейтман Г., Фридлунд А., Райсберг Д., Основы психологии. Питер, СПб., 2001.
25. Гудвин Дж., Исследование в психологии: методы и планирование. Питер, СПб., 2004.
26. Джемс У., Психология. Наука и школа, Пг., 1922.
27. Дильтей В., Описательная психология. Алетейя, СПб., 1996.

28. Дойдж Н., Пластичность мозга. Эксмо, М., 2011.
29. Дружинин В. Н., Психология общих способностей. Питер, СПб., 2007.
30. Изард К. Е., Психология эмоций. Питер, СПб., 1999.
31. Имедадзе И. В., Категория поведения в теории установки. Мецниереба, Тбилиси, 1991.
32. Кедров Б. М., Классификация наук. Т. 2. Мысль, М., 1965.
33. Клиническая психология / Под ред. М. Перре., У. Баумана. Питер, СПб., 2006.
34. Козелецкий Ю., Психологическая теория решений. Прогресс, М., 1979.
35. Колмогоров А. Н., Жизнь и мышление с точки зрения кибернетики. АН СССР, М., 1962.
36. Косоногов В., Зеркальные нейроны: краткий научный обзор. ООО Антей, Ростов-на-Дону, 2009.
37. Крипнер С., де Карвало Р., Проблема метода в гуманистической психологии / Психологический журнал, 1993, 2. С.113-126
38. Лакатос И., История науки и ее рациональные реконструкции / Структура и развитие науки. Прогресс, М., 1978.
39. Магнуссон Д., Назад к фактам / Иностранная психология, 1994, 1. С. 5-11.
40. Майерс Д., Психология. ООО Попурри, Минск, 2001.
41. Маслоу А., По направлению к психологии бытия. Эксмо-пресс, М., 2002.
42. Миллер Дж., Галантер Ю., Прибрам К., Планы и стуктуры поведения. Прогресс, М., 1964.
43. Никандров В. В., Экспериментальная психология. Речь, СПб., 2003.
44. Ньюэлл А., Шоу Дж., Саймон Г. А., Моделирование мышления человека с помощью электронно-вычеслительной машины / Хрестоматия по общей психологии. Аст, М., 1981.
45. Олпорт Г. В., Горечь и сладость плодов эклектизма / Личность в психологии. Ювента, СПб., 1998.
46. Олпорт Г. В., Продуктивные парадоксы Уильяма Джемса / Личность в психологии. Ювента, СПб., 1998.
47. Палмер Д., Палмер Л., Эволюционная психология. Прайм-Еврознак, СПб., 2003.
48. Первин Л., Джон О., Психология личности: теория и исследования. Аспект Пресс, М., 2000.
49. Петренко В. Ф., Основы психосемантики. МГУ, М., 1997.
50. Пиаже Ж., Характер обьяснения в психологии и психофизиологический паралелизм / Экспериментальная психология. Под ред. П. Фресса, Ж. Пиаже. Т. 1-2. Прогресс, М., 1966.
51. Пиаже Ж., Психология, междисциплинарные связи и система наук / Жан Пиаже: теория, эксперименты, дискусси. Гардарики, М., 2001.
52. Психология XXI века: пророчества и прогнозы. «Круглый стол» / Вопросы психологии, 2000, 1. С. 3-35; 2. С. 3-40.
53. Пузырей А. А., Культурно-историческая теория Л.С.Выготского и современная психология. Издательство МГУ, М., 1986.

54. Равич-Щербо И. В., Марютина Т. М., Григоренко Е. Л., Психогенетика. Аспект -пресс, М., 2008.
55. Рамачандран В. С. Рождение разума. Загадки нашего сознания. Олимп-Бизнес, М., 2006.
56. Рамачандран В. С., Оберман Л. Разбитые зеркала: теория аутизма / В мире науки, 2007, 3. С. 31-37.
57. Рамачандран В. С., Мозг рассказывает: Что делает нас людьми. Карьера Пресс, М., 2015.
58. Риццолатти Д., Синигалья К., Зеркала в мозге: О механизмах совместного действия и со-переживания. Языки славянских культур, М., 2012.
59. Роджерс К., Взгляд на психотерапию. Становление личности. Прогресс, М., 1994.
60. Розин В. М., Научные интерпретации предмета психологии (от парадигмы естественно-научной к гуманитарной?) / Психологический журнал, 1991, 2. С. 5-15.
61. Росс Л., Нисбетт Р., Человек и ситуация. Аспект Пресс, М., 1999.
62. Рутковиц А. М., От Фрейда к Хайдеггеру. Политиздат, М., 1985.
63. Соколова Е. Е., Тринадцать диалогов о психологии. Смысл, М., 1997.
64. Солсо Р., Когнитивная психология. Питер, СПб., 2006.
65. Солсо Р., Психология в XX веке: к новым пределам точности / Психологический журнал, 1996, 4. С. 3-11.
66. Стеценко А. П., О роли и статусе методологического знания в современной советской психологии / Вестник МГУ. Сер. 14. Психология, 1990, 2. С. 66-75.
67. Тард Г., Социальная логика. Социально-психологический центр. СПб., 1996.
68. Тихомиров О. К., Бабанин Л. Н., ЭВМ и новые проблемы психологии. Изд-во МГУ, М., 1986.
69. Тюринг А., Может ли машина мыслить? Изд-во, М., 1960.
70. Улановский А. М., Качественные исследования: подходы, стратегии, методы / Психологический журнал, 2009, 2. С.18-28.
71. Фейрабенд П., Избранные труды по методологии науки. Прогресс, М., 1986.
72. Франкл В., Человек в поисках смысла. Прогресс, М., 1990.
73. Фрейджер Р., Фейдимен Дж., Личность: теории, эксперименты, упражнения. Прайм-ЕВРОЗНАК, СПб., 2001.
74. Флоренская Г. А., Диалог в практической психологии. Институт психологии АН СССР, М., 1991.
75. Франкл В., Человек в поисках смысла. Прогресс, М., 1990. .
76. Хегенхан Б., Олсон М., Теории научения. Питер, СПб., 2004.
77. Хекхаузен Х., Мотивация и деятельности. Смысл, М., 2003.
78. Холл К. С., Линдсей Г., Теории личности. КСП+, М., 1997.
79. Хьелл Л., Зиглер Д., Теории личности. Питер, СПб., 1997.
80. Шевеленкова Т. Д., Основные направления гуманизации в зарубежной психологии / Гуманистические проблемы психологической теории. Наука, М., 1995.
81. Шляпников В. Н., Исследования волевой регуляции в современной зарубежной психологии / Вопросы психологии, 2009, 2. С. 135-144.

82. Шпрангер Э., Два вида психологии / Хрестоматия по истории психологии. Изд-во МГУ, М., 1980.
83. Arkes H. R., Garske T. R., Psychological theories of motivation. Monterey, California: 1982.
84. Atkinson J. W., Personality, motivation and action. Praeger, New York, 1983.
85. Bandura A. The self system in reciprocal determinism / American Psychologist, 1978, 33. P. 344-358.
86. Bem S., Jong H. L., Theoretical issues in psychology: an introduction. SAGE Publications, London, 2006.
87. Buhler K., Die krise der psychologie. Verlag Gustav Fischer, Jena, 1927.
88. Boring E. G., Psychology for eclectics / C. C. Murchison (Ed.). Psychology of 1930. Clark University Press, Worcester,1930.
89. Boss M., Existential foundations of medicine and psychology. Oswald Wolff, New York, 1979.
90. Cofer C. N., Appley M. N., Motivation: Theory and research. John Wiley, New York, 1966.
91. Cronbach L. J., Beyond the two dicsiplines of scientific psychology / American Psychologist, 1975, 30.
92. Edvards W., The theory of diceision-making / Psychological Bulletin, 1954, 51. P. 380-417.
93. Eysenk H. J., Personality, genetics and behavior: Selected papers. Praeger, New York, 1982.
94. Fernald D., Psychology: six perspectives. SAGE Publications, Los Angeles, 2008.
95. Franken R. E., Human motivation. Wadsworth, New York, 2006.
96. Gardner H. The minds new science. Basik Books, New York, 1985.
97. Hampson P. J., Vorris P. E., Understanding cognition. Blackwell, Cambridge, MA, 1996.
98. Kimble G. A., Psychologi's two culture / American Psychologist, 1984, 39. P. 833-839.
99. Koch S. Psychological science versus the science-humanism antinomy: Intimations of a significant science of man / American Psychologist, 1961, 16. P. 629-639.
100. Koch S. Psychology cannot be a coherent science / Psychology Today, 1969, 2. P. 64-69.
101. Kuhle J., Bekerman J., Volition and personality: Action and state-oriented model of control. Hargrefe, Gottingen, 1989.
102. Lefcourt H. M., The fonction of the illusions of control and freedom / American Psychologist, 1973, 28 (5). P. 107–128.
103. Lewin K., Vorsatz, will und bedurfnis / Psychologische Forschung, 1926, 7. P. 330-385.
104. Maslow A., The psychology of science: A reconnaissance. Harper-Row, New York, 1966.
105. May R., The emergens of existential psychology / R. Mey (Ed.). Existential psychology. Random House, New York, 1969.
106. Mitchell D. R., Biglan A., Enstrumentality teories: current uses in psychology / Psychological Bulletin, 1971, 76. P. 432-454.
107. Muus R., Existentialism and psychology / Educational Theory, 1976, 6. P. 135-153.
108. Plomin R., Genetics and experience: The interplay between nature and nurture. Sage, Newbury Park, California, 1994.
109. Rogers C. R., Skiner B. F., Some issues consening the control of human behavior: A simposium / Scaience, 1956, 124 (30). P. 1057-1066.

110. Searle J. R., The rediskovery of the mind. MIT Press, Cambridge, MA, 1994.
111. Skiner B. F., Beynd freedom and dignity. Knopf, New York, 1971.
112. Smith N. W., Current systems in psychology: history, theory, research and applications. Wadsworth, Belmont, CA, 2001.
113. The science of the mind: 2001 and beyond / Solso R. L., Massaro D. W. (Eds.). Oxford University Press, New York, 1995.
114. Van-Kaam A., Existential foundations of psychology. University Press, Pittsburgh,1966.
115. Vroom V., Work and motivation. John Wiley, New York, 1964.
116. Weiner B., Motivation from the cognitive perspective / Handbook of learning and cognitive processes. Vol.3. Erlbaum, Hillsdale, N. J., 1976.
117. Wilson E. O., Sociobiology. The new syntesis. Harvard University Press, Cambridge, MA, 1975.
118. Zhu J., Understanding of volution / Philosophical Psychology, 2004, 17 (2). P. 247-273.

გამომცემლობის რედაქტორი **თამარ გაბელაია**
გარეკანის დიზაინერი **მარიამ ებრალიძე**
დამკაბადონებელი **ლალი კურდღელაშვილი**
გამოცემის მენეჯერი **მარიკა ერქომაიშვილი**

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel: +995 (32) 2250484, 6284; 6278
www.tsu.ge/ka/publishing-house